

**მერაბ ჩუხუა**

**იბერიულ-იჩქერიულ ენათა  
შედარებითი  
გრამატიკა**

**თბილისი**  
2007

**IBERO-CAUCASICA**

**Merab Chukhua**

**IBERO-ICHKERIAN COMPARATIVE  
GRAMMAR**

**Мераб Чухуа**

**СРАВНИТЕЛЬНАЯ ГРАММАТИКА  
КАРТВЕЛЬСКИХ И НАХСКИХ  
ЯЗЫКОВ**

**I**

**Tbilisi 2007 Тбилиси**

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

**მერაბ ჩუხუა**

**იბერიულ-იჩქერიულ ენათა  
შედარებითი  
გრამატიკა**

**I**

თბილისი  
2007

ერთი ჯგუფის ენათა ფონოლოგიური სისტემისა და ძირეული ლექსიკის რეკონსტრუქცია და გენეზისურად მონათესავე მეორე ჯგუფის ენათა ფუძე-ენის ანალოგიურ მონაცემებთან ერთად მათი ისტორიულ-შედარებითი ანალიზი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის, ენობრივი უნივერსალებისა და ენის ისტორიის თვალსაზრისით.

წინამდებარე გამოკვლევა წარმოადგენს ლინგვისტურ კავკასიოლოგიაში ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის შექმნის პირველ სერიოზულ ცდას; იგი ეძღვნება საერთოიბერიულ-კავკასიური ფუძე-ენიდან მომდინარე (resp. გენეტიკურად ურთიერთმონათესავე) ქართველური და ნახური ენების ფონოლოგიური სისტემებისა და საერთო ლექსიკური ფონდის ძირ-ფუძეთა სტრუქტურული მოდელების რეკონსტრუქციას.

მიღებული კვლევის შედეგები გამოადგებათ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების პრობლემატიკით დაინტერესებულ პირთ, პროტოიბერიული კულტურის ისტორიის სპეციალისტებს, პედაგოგებს — იბერიულ-კავკასიური ენების შედარებითი ფონეტიკისა და შედარებითი ლექსიკის, ენის ისტორიის სათანადო საკითხების სწავლებისას.

მონოგრაფია ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელოდ ასევე განკუთვნილია ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის კავკასიოლოგიური მიმართულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

რედაქტორი აკად. ქ. ლომთათიძე

რეცენზენტები: პროფ. თ. უთურგაიძე  
პროფ. ვ. შენგელია  
პროფ. კ. ჭრელაშვილი

## შინაარსი

წინათქმა . . . . .	9
<b>ნაწილი პირველი</b>	
<b>ქართველურ-ნახურ ენათა შედარებითი ფონეტიკა</b> . . . . .	11
შესავალი . . . . .	12
§ 1.1 საკითხის ისტორია . . . . .	18
§ 2. პრობლემის არსი და მეთოდოლოგიის ზოგი წანამძღვარი . . . . .	20
§ 3. შებრუნებული წყობის ფუძეები. . . . .	
<b>გოკალური სისტემა</b>	
§ 4. ქართველური და ნახური ენების ხმოვანთა სისტემის ამოსავალი ტიპისათვის . . . . .	30
§ 5. ამოსავალი *ა ხმოვნის შესატყვისობანი . . . . .	33
§ 5.1. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ა . . . . .	33
§ 5.2. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ო . . . . .	36
§ 5.3. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ე . . . . .	40
§ 5.4. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ი . . . . .	41
§ 6. ამოსავალი ე ხმოვნის შესატყვისობანი . . . . .	43
§ 6.1. ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ე . . . . .	43
§ 6.2. ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა . . . . .	46
§ 6.3. ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ი . . . . .	48
§ 7. ამოსავალი ი ხმოვნის შესატყვისობანი . . . . .	49
§ 7.1. ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ი . . . . .	49
§ 7.2. ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ე . . . . .	52
§ 7.3. ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა . . . . .	53
§ 8. ამოსავალი ო ხმოვნის შესატყვისობანი . . . . .	55
§ 8.1. ს.-ქართვ. ო : ს.-ნახ. ო . . . . .	55
§ 8.2. ს.-ქართვ. ო : ს.-ნახ. უ . . . . .	58
§ 9. ამოსავალი უ ხმოვნის შესატყვისობანი . . . . .	60
§ 9.1. ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. უ . . . . .	60
§ 9.2. ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. ო . . . . .	62
§ 10. ხმოვანთა ამოსავალი სისტემის ცვალებისათვის ფუძენახურში . . . . .	64
§ 11. ზმნური აბლაუტის ერთგვაროვანი ტიპისათვის საერთო-ქართველურსა და საერთონახურში . . . . .	66
<b>კონსონანტური სისტემა</b>	
თანხმოვანთა სისტემის ზოგადი დახასიათება . . . . .	68
§ 12. სონორთა სისტემის ამოსავალი ტიპისათვის საერთო-ქართველურსა და ფუძენახურში . . . . .	72
§ 13. ლატერალი . . . . .	73
§ 13.1. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ლ . . . . .	73
§ 13.2. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. მ . . . . .	74
§ 13.3. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. რ . . . . .	75
§ 13.4. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ჟ . . . . .	76

§ 13.5. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	78
§ 13.6. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	ნ	79
§ 13.7. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	81
§ 13.8. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	82
§ 14. ვიბრანტი	მ	სონორი		84
§ 14.1. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	84
§ 14.2. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	86
§ 14.3. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	87
§ 14.4. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	89
§ 14.5. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	90
§ 15. ნაზალური	მ	სონორი		90
§ 15.1. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	91
§ 15.2. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	92
§ 15.3. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	93
§ 15.4. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	95
§ 15.5. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	96
§ 16. ნაზალური	მ	სონორი		97
§ 16.1. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	97
§ 16.2. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	99
§ 16.3. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	100
§ 16.4. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	101
§ 16.5. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	102
§ 16.6. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	104
§ 17. სონორთა ამოსავალი სისტემის ცვალებისათვის ფუძენახურში				104
§ 18. მ და მ სონანტები				106
§ 19. სონანტი მ — ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	106
§ 20. წყვილბაგისმიერი სონანტი მ				108
§ 20.1. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	109
§ 20.2. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	110
§ 20.3. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	111
§ 20.4. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	113
§ 20.5. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	114
§ 21. ლაბიალიზებულ კომპლექსთა შესატყვისობისათვის				116
§ 22. ლაბიალიზებულ კომპლექსთა სუპერაცია ფუძენახურში				120
§ 22.1. პირველი #Cმ → #მ/ფC ტიპის სუპერაცია				120
§ 22.2. მეორე Cმ → მC → მC ტიპის სუპერაცია				122
<b>ხშული თანხმოვნები</b>				
§ 23. წყვილბაგისმიერ ხშულთა შესატყვისობანი				125
§ 23.1. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	125
§ 23.2. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	126
§ 23.3. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	127
§ 23.4. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	128
§ 23.5. ს.-ქართვ.	მ	: ს.-ნახ.	მ	129

§ 23.6. ს.-ქართვ.	<b>ბ</b> : ს.-ნახ.	<b>მ</b> . . . . .	130	
§ 23.7. ს.-ქართვ.	<b>მ</b> : ს.-ნახ.	<b>ბ</b> . . . . .	131	
§ 24.1. ს.-ქართვ.	<b>ფ</b> : ს.-ნახ.	<b>ფ</b> . . . . .	132	
§ 24.2. ს.-ქართვ.	<b>ფ</b> : ს.-ნახ.	<b>ჰა</b> . . . . .	133	
§ 25. ამოსავალი	წყვილბაგისმიერი	აბრუპტივი	<b>ბ</b>	135
§ 25.1. ს.-ქართვ.	<b>ბ</b> : ს.-ნახ.	<b>ბ</b> . . . . .	135	
§ 25.2. ს.-ქართვ.	<b>ბ</b> : ს.-ნახ.	<b>ფ</b> . . . . .	135	
§ 25.3. ს.-ქართვ.	<b>ბ</b> : ს.-ნახ.	<b>მ</b> . . . . .	136	
§ 26. დენტალურ	ხშულთა	შესატყვისობანი		137
§ 26.1. ს.-ქართვ.	<b>ღ</b> : ს.-ნახ.	<b>ღ</b> . . . . .	137	
§ 26.2. ს.-ქართვ.	<b>ღ</b> : ს.-ნახ.	<b>თ</b> . . . . .	139	
§ 26.3. ს.-ქართვ.	<b>თ</b> : ს.-ნახ.	<b>ღ</b> . . . . .	140	
§ 26.4. ს.-ქართვ.	<b>რ</b> : ს.-ნახ.	<b>ღ</b> . . . . .	140	
§ 27. დენტალური	<b>თ</b> . . . . .		141	
§ 27.1. ს.-ქართვ.	<b>თ</b> : ს.-ნახ.	<b>თ/თა</b> . . . . .	141	
§ 27.2. ს.-ქართვ.	<b>სთ</b> : ს.-ნახ.	<b>თა/თ</b> . . . . .	144	
§ 28. დენტალური	<b>ტ</b> . . . . .		145	
§ 29. სიბილანტ	თანხმოვანთა	სისტემა		148
§ 30. ამოსავალი	სისინა	სიბილანტები		150
§ 30.1. ს.-ქართვ.	<b>ძ</b> : ს.-ნახ.	<b>ჯ</b> . . . . .	150	
§ 30.2. ს.-ქართვ.	<b>ც</b> : ს.-ნახ.	<b>ჩ</b> . . . . .	152	
§ 30.3. ს.-ქართვ.	<b>წ</b> : ს.-ნახ.	<b>ჭ</b> . . . . .	155	
§ 30.4. ს.-ქართვ.	<b>ზ</b> : ს.-ნახ.	<b>ყ</b> . . . . .	157	
§ 30.5. ს.-ქართვ.	<b>ს</b> : ს.-ნახ.	<b>შ/ჰა</b> . . . . .	158	
§ 31. სისინა	სიბილანტები		160	
§ 31.1. ს.-ქართვ.	<b>ძ</b> : ს.-ნახ.	<b>ძ</b> . . . . .	161	
§ 31.2. ს.-ქართვ.	<b>ც</b> : ს.-ნახ.	<b>ც</b> . . . . .	162	
§ 31.3. ს.-ქართვ.	<b>ც</b> : ს.-ნახ.	<b>სთ</b> . . . . .	164	
§ 31.4. ს.-ქართვ.	<b>ცხ</b> : ს.-ნახ.	<b>ც/სა</b> . . . . .	166	
§ 31.5. ს.-ქართვ.	<b>წ</b> : ს.-ნახ.	<b>წ</b> . . . . .	168	
§ 31.6. ს.-ქართვ.	<b>ზ</b> : ს.-ნახ.	<b>ზ/ს</b> . . . . .	170	
§ 31.7. ს.-ქართვ.	<b>ს</b> : ს.-ნახ.	<b>ს</b> . . . . .	172	
§ 32. შიშინა	სიბილანტები		174	
§ 32.1. ს.-ქართვ.	<b>ჯ</b> : ს.-ნახ.	<b>ღა</b> . . . . .	175	
§ 32.2. ს.-ქართვ.	<b>ჩ</b> : ს.-ნახ.	<b>თა</b> . . . . .	176	
§ 32.3. ს.-ქართვ.	<b>ჭ</b> : ს.-ნახ.	<b>ტა</b> . . . . .	177	
§ 32.4. ს.-ქართვ.	<b>შ</b> : ს.-ნახ.	<b>ჰა/ლ'</b> . . . . .	178	
§ 33. სისინ-შიშინა	სიბილანტთა	ისტორიის	შესახებ	182
§ 33.1. ს.-ქართვ.	<b>ჯ</b> : ს.-ნახ.	<b>ჯ/ძ</b> . . . . .	182	
§ 33.2. ს.-ქართვ.	<b>ჩ</b> : ს.-ნახ.	<b>ჩ/ც</b> . . . . .	183	
§ 33.3. ს.-ქართვ.	<b>ჭ</b> : ს.-ნახ.	<b>ჭ/წ</b> . . . . .	184	
§ 33.4. ს.-ქართვ.	<b>ყ</b> : ს.-ნახ.	<b>ყ</b> . . . . .	185	
§ 33.5. ს.-ქართვ.	<b>შ</b> : ს.-ნახ.	<b>წ</b> . . . . .	185	

§ 34. უკანაენისმიერი თანხმონები . . . . .	187
§ 34.1. ს.-ქართვ. <b>გ</b> : ს.-ნახ. <b>გ</b> . . . . .	187
§ 34.2. ს.-ქართვ. <b>ქ</b> : ს.-ნახ. <b>ქ</b> . . . . .	190
§ 34.3. ს.-ქართვ. <b>კ</b> : ს.-ნახ. <b>კ</b> . . . . .	192
§ 34.4. ს.-ქართვ. <b>ღ</b> : ს.-ნახ. <b>ღ</b> . . . . .	196
§ 34.5. ს.-ქართვ. <b>ხ</b> : ს.-ნახ. <b>ხ</b> . . . . .	199
§ 35. ფარინგალური თანხმონები . . . . .	201
§ 35.1. <b>ფ</b> მჟღერი ფარინგალი — ს.-ქართვ. <b>ყჟ</b> : ს.-ნახ. <b>ლ</b> . . . . .	202
§ 35.2. ს.-ქართვ. * <b>ფ/ვ</b> : ს.-ნახ. <b>ჰ/ლ</b> . . . . .	204
§ 36. <b>ვ</b> ფშვინვიერი ფარინგალი . . . . .	205
§ 37. <b>ყ</b> ფარინგალური აბრუპტივი . . . . .	209
§ 37.1. ს.-ქართვ. <b>ყ</b> : ს.-ნახ. <b>ყ</b> . . . . .	209
§ 37.2. ს.-ქართვ. <b>ყ</b> : ს.-ნახ. <b>ღ</b> . . . . .	211
§ 37.3. ს.-ქართვ. <b>ყ</b> : ს.-ნახ. <b>ხკ</b> . . . . .	212
§ 37.4. ს.-ქართვ. <b>კ/ყ</b> : ს.-ნახ. <b>ყ/ყ</b> . . . . .	212
§ 38. ფარინგალური სპირანტები. ს.-ქართვ. <b>ღ</b> : ს.-ნახ. <b>ჟ/ჰა</b> . . . . .	214
§ 39. ს.-ქართვ. <b>რ</b> : ს.-ნახ. <b>ჟ/ჰა</b> . . . . .	217
§ 40. <b>ჰა</b> ფარინგალური სპირანტი . . . . .	218
§ 40.1. ს.-ქართვ. <b>ხ</b> : ს.-ნახ. <b>ჰა</b> . . . . .	218
§ 40.2. ს.-ქართვ. <b>ქ</b> : ს.-ნახ. <b>ჰა</b> . . . . .	220
§ 41. ლარინგალური <b>ჰ</b> სპირანტი . . . . .	221
§ 42. საერთონახური <b>ლ'</b> ლატერალი სპირანტი . . . . .	222
<b>თანხმონთა სისტემის სინტაგმატური ანალიზი</b>	
§ 43. ბგერათმშესატყვისობები თანხმონაკომპლექსებში . . . . .	223
§ 44. ჰარმონიული ჯგუფები . . . . .	223
§ 44.1. ჰარმონიულ კომპლექსთა გენეზისი . . . . .	231
§ 44.2. ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსების ჩამოყალიბება . . . . .	231
§ 45. არადეცესიური ჰარმონიული კომპლექსები . . . . .	233
§ 46. არაჰარმონიული კონსონანტური ჯგუფები . . . . .	236
§ 47. ლაბიალიზებულ კომპლექსთა ჩამოყალიბება . . . . .	237
§ 48. სონორი + კონსონანტი სინტაგმატური ჯგუფები . . . . .	242
§ 49. სონორი + სონორი თანმიმდევრობა — <b>რლ</b> . . . . .	249
§ 50. ქართველურ-ნახური კონსონანტიზმის ამოსავალი ტიპი . . . . .	250
§ 50.1. ამოსავალი ფონოლოგიური სისტემის ტრანსფორმაციის რაგვარობისათვის ფუძენახურში . . . . .	254
დასკვნითი დებულებები . . . . .	256
<b>ნაწილი მეორე</b>	
<b>ქართველურ-ნახური ეტიმოლოგიური ლექსიკონი ა — ჰ</b> . . . . .	261
რეზიუმე . . . . .	670
რეკონსტრუირებულ ძირ-ფუძეთა ინდექსი . . . . .	695
გამოყენებული და დამოწმებული ლიტერატურა . . . . .	740



## წინათქმა

წინამდებარე მონოგრაფია – **იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარე-ბითი გრამატიკა** (ფონეტიკა, ლექსიკა) იმთავითვე მიზნად ისახავდა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ორი ჯგუფის, ქართველური და ნახური ენების ისტორიულ-გენეზისური ურთიერთმიმართების გარკვევას. წიგნში ეს პრობლემა დადებითად არის გადაწყვეტილი; ენობრივი იერარქიის ორივე საფეხური (ფონეტიკა, ლექსიკა) ამის შესაძლებლობას იძლევა. ქართველური და ნახური ენები, რომლებიც მომდინარეობენ საერთო ენობრივი წყაროდან, **მონათესავე ენებად** ითვლება. ამოსავალ ენას პირობითად ვუწოდებთ **პროტოიბერიულ**(ალაროდულ) ფუძე-ენას. იგულისხმება, რომ საერთოქართველური და საერთონახური ფუძე-ენები დიფერენციაცია-დივერგენციის მომდევნო საფეხურზე პროტოიბერიული წინარე-ენის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენენ გარკვეული პერიოდების გავლით. საერთოქართველურისთვის, ისევე როგორც საერთონახურისათვის, ეს იქნებოდა ენობრივი ევოლუციის სამი ეტაპი, ანუ პრეისტორიული განვითარების პროცესი წარიმართა შემდეგი მიმართულებით – **ერთი მხრივ**, პროტოიბერიულ ფუძე-ენას გამოეყო: 1. **შუმერულ-იბერიულ-პელაზგური** ენობრივი ერთობა → 2. **წინარე-ქართველური**(იბერიული) ფუძე-ენა → 3. **საერთოქართველური** ფუძე-ენა; იმავედროულად, **მეორე მხრივ**, პროტოიბერიულ ფუძე-ენას ასევე გამოეყო: 1. **პურიტულ-ურარტულ-ნახური** ენობრივი ერთობა → 2. **წინარენახური**(იჩქერიული) ფუძე-ენა → 3. **საერთონახური** ფუძე-ენა.

რეკონსტრუირებული **საერთოქართველური** და **საერთონახური** ენები ურთიერთმონათესავედ ჩათვლილია მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ დასახელებულ ფუძე-ენებს შორის ხერხდება ძირეულ და აფიქსურ მორფემებში **რეგულარული** და **კანონზომიერი ფონემური შესატყვისობების** დადგენა. ამ პრობლემას მონოგრაფიაში **პირველი ნაწილი** ეთმობა, ხოლო წიგნის **მეორე ნაწილი** მთლიანად ეძღვნება საერთო ეტიმოლოგიის მქონე საერთოქართველურ და საერთონახურ აფიქსებსა და ძირ-ფუძეებს, რომელთა შედარებით-ისტორიული რეკონსტრუქციები ეფუძნება ორივე ჯგუფის თანამედროვე ენებში რეალურად წარმოდგენილ(ფიქსირებულ) ენობრივ ფაქტებს. რა თქმა უნდა, აქვე შემოვიდა ის მასალაც, რომელიც მხოლოდ ძველი ქართულისთვის იყო დამახასიათებელი და თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენა-

ში უკვე აღარ იხმარება. შუემრულ-ჰურიტულ-ურარტულ ლინგოკულ-ტურულ პარალელებზე სხვაგან გვექნება საგანგებო მსჯელობა.

ქვემოთ აღწერილ ენათა ჯგუფების ენობრივი შედგენილობა და სათანადო ტერმინოლოგია დიდი ხნის დადგენილია – ქართველური (ქართული, მეგრულ-ლაზური, სვანური), ნახური (ჩეჩნური, ინგუშური, ბაცბური). აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ პირადად ჩვენთვის ტერმინ ჩეჩნურის ხმარება მიუღებელია. ქართულში მის სანაცვლოდ შემოთავაზებულია **იჩქერ-** ფუძის გამოყენება შემდეგი თანმიმდევრობით: **იჩქერ-ი-ულ-ი** ენა, **იჩქერ-ი-ელ-ი** ერი (ხალხი) და რესპუბლიკა **იჩქერ-ია** (იჩქერიის რესპუბლიკა). გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩეჩნებმა ორასწლოვანი ომის შედეგად აღადგინეს საკუთარი სახელმწიფოებრიობა და მოიპოვეს სანუკვარი დამოუკიდებლობა. მათ შექმნეს დემოკრატიული საპრეზიდენტო რესპუბლიკა, რომელსაც უწოდეს მათთვის ბუნებრივი სახელი – **იჩქერია**. ყოველი ქართველი (იმაგდროულად ჭეშმარიტი კავკასიელი) ვალდებულია პატივი მიაგოს იჩქერიელი ხალხის მონაპოვარს. მე, როგორც ქართველი მეცნიერი და მოქალაქე, ვარ ერთგული იჩქერიელი ერის ნებისა და არჩევანისა.\*

წარმოდგენილი წიგნი ხელნაწერის სახით დასრულდა 1996 წლის ზაფხულში. კავკასიოლოგთაგან მისი პირველი მკითხველები და შემფასებლები იყვნენ აკად. ქეთევან ლომთათიძე, პროფ. ვაჟა შენგელია და პროფ. ლატავრა სანიკიძე. მაშინ, ჩემი საქართველოში არ ყოფნის დროს, ნაშრომის გამოქვეყნებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ამდენად, წიგნს, რომელსაც დღეს წარმოვადგენ საზოგადოების წინაშე, თან ვატარებდი არაერთი წლის მანძილზე, რაც მისი სრულყოფისა და შევსების შესაძლებლობასაც მაძლევდა.

ნაშრომის გამოსაცემად მომზადებაში უდიდესი დახმარება გაგვიწიეს პროფ. ცირა ბარამიძემ და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორმა ნუგზარ წიკლაურმა, ჩემმა ერთგულმა მეგობრებმა თემურ საჯაიამ, ზურა თექთუმანიძემ და გია შონიამ.

წიგნს საბოლოო სახე მისცეს პროგრამისტებმა ლევან ვაშაკიძემ და თინათინ გაბროშვილმა.

ზემოხსენებულ კოლეგებსა და მეგობრებს მინდა დახმარებისა და თანადგომისათვის გულწრფელი მადლობა მოვახსენო.

თბილისი, ვარდობისთვე, 2007 წელი.

---

\* ამ სტრიქონების ავტორი, როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტის წარმომადგენელი, უშუალო მონაწილე იყო 1991 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისა იჩქერიის რესპუბლიკაში; პირადად იცნობდა პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევს და წლების მანძილზე მასთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა.

ნაწილი პირველი

ქართველურ-ნახურ ენათა  
შედარებითი ფონეტიკა

## შესავალი

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ცალკეულ ჯგუფებს შორის არსებულ რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა სისტემის გამოვლენა ლინგვისტური კავკასიოლოგიის უმთავრეს ამოცანათაგანია. ქართველური და ნახური ენების ფონოლოგიური სისტემებისა და საერთო ლექსიკური ფონდის ძირ-ფუძეთა სტრუქტურული მოდელების რეკონსტრუქცია, ხოლო შემდგომ ეტაპზე მათი ფუძე-ენათა დონეზე ისტორიულ-შედარებითი შესწავლა გადაუჭრელ პრობლემად დგას თანამედროვე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე.

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ერთგვარად აჯამებდა რა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მიღწევებს, აკად. არნ. ჩიქობავა ხაზგასმით მიუთითებდა ჩვენი მეცნიერების მომავლის ამოცანებზე: „საჭიროა... ოთხივე ჯგუფის (ქართველურისა, აფხაზურ-ადიღურისა, ნახურ-ქისტურისა და დაღესტნურის) ისტორიულ-შედარებითი გრამატიკები და ლექსიკონები დამუშავდეს; დაბოლოს ერთობლივ იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა და საერთო ძირთა ისტორიული ლექსიკონი შედგეს“ [ჩიქ. 1979: 11].

იმ დროს, როდესაც იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის არც ერთი ჯგუფის ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა არ მოგვებოვება, იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეზისური ურთიერთმიმართების საკითხის საბოლოო გარკვევა შეუძლებელი ჩანს. მაგრამ აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ დღემდე წარმოებულ კვლევა-ძიების მასშტაბურობა. კერძოდ, არაერთი თაობის ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა თავდაუზოგავი და სისტემური კვლევა-ძიების შედეგად დაგროვდა უზარმაზარი ინფორმაცია დასახლებული ენების შესახებ, რაც მოითხოვს შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომთა შექმნას. სწორედ აქედან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნევთ, ჯგუფებს შორის ნათესაობრივი დამოკიდებულების გამოსავლენად, შედარებით-ისტორიული კვლევის გაღრმავებას და შედარებითი გრამატიკების დამუშავებას. შედარებითი ხასიათის ნაშრომთა შექმნა, შეიძლება ითქვას, დროის მოთხოვნაა. ისტორიულ-შედარებითი გრამატიკების არქონა, რა თქმა უნდა, გამოწვეულია არაერთი ობიექტური მიზეზით, რაზეც აქ არ შევჩერდებით. ვეთანხმებით ჩვენი მასწავლებლის საგანგებო შენიშვნას იმის შესახებ, რომ „... ენათა და ენათ-ჯგუფების მთლიანი შესწავლა არ ნიშნავს, თითქოს, სანამ ეს სამუშაო არ დამთავრებულა უადგილო და გაუმართლებელი იყოს ცალკეული საკითხების შესწავლა ორი, სამი ჯგუფის მასალის გათვალისწინებით: ნ. ტრუბეცკოის გამოკვლევები მოწმობს, რომ ცალკეული საკითხების კვლევამ რამდენიმე ჯგუფის ენათა მასალაზე ფასეული შედეგი შეიძლება მოგვცეს“ [ჩიქ. 1979. 11].

**§ 1.** წინამდებარე მონოგრაფიაში ჩვენი სამეცნიერო კვლევა-ძიების უშუალო და კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ორი ჯგუფის — ქართველურისა და ნახურის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა ისტორიულ-გენეზისური თვალსაზრისით. პრობლე-

მის გადასაწყვეტად აუცილებლად მიგვაჩნია დასახელებულ ენებს შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების დადგენა. ვინაიდან ღრმად გვწამს, რომ ყოველი მონათესავე ენათა ოჯახის ცალკეული ჯგუფები წარმოქმნილია მხოლოდ ფუძე-ენის დიალექტური დიფერენცირების საფუძველზე. გ. ჰონიგსვალდის მართებული მითითებით: ბგერითი ცვლილებები ყველა ენაში ნამდვილად არის რეგულარული“ [ჰონიგ, 1971: 20]. და თუ ქართველური და ნახური ენები ერთმანეთის მიმართ ნათესაობრივ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, აქ უნდა ვლინდებოდეს რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობები. ვინაიდან მეცნიერულად არის დასაბუთებული, რომ ნებისმიერი მონათესავე ენები წარმოშობით ერთი ენის კილოებშია [ჩიქ. 1983: 249], ხოლო ბგერითი ცვლილებები — რეგულარული. აქვე უნდა აღინიშნოს ბგერით ცვლილებათა სისტემურობაზეც. რაც შემდეგს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ლოკალური რიგის ერთი წევრ-ფონემის ფონეტიკური ტრანსფორმაცია გულისხმობს იმავე რიგის სხვა ფონემათა მსგავს ცვლილებას. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ **ძ** → **ჯ** გადაბგერების (გაშიშინების) შემთხვევაში, მოსალოდნელია ამ ლოკალური რიგის სხვა ფონემათა **ც** **წ** **ზ** **ს** სისტემური ცვლილება, ანუ: **ც** → **ჩ**, **წ** → **ჭ**, **ზ** → **ჟ**, **ს** → **შ**; რაც ჩვენი ენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზანურ-სვანურში ისტორიულად დადასტურებული ენობრივი ფაქტია. ბგერათცვალებათა სისტემურობის ნიმუშად გამოდგებოდა ჩვენ მიერ მიკვლეული ს.-ქართვ. **ძ ც წ ზ ს** : ს.-ნახ. **ჯ ჩ ჭ ჟ შ** — **სისინა ~ შიშინა** — ბგერათშესატყვისობა [იხ. აქვე, § 30].

ნახურ ენათა ფონოლოგიური სისტემის საოცარი მსგავსება ქართველურ ენათა სათანადო მონაცემებთან აღრიდანვე მიიქცევა ჩვენს ყურადღებას.\* ნახური ენები სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისაგან (აფხაზურ-ადიღურ, დაღესტნური) გამოირჩევა შედარებით მარტივი პარადიგმატული მაჩვენებლებით. კერძოდ, დასახელებულ ენებში, ისევე როგორც ქართველურში, არ ფუნქციონირებს ინტენსიური თანხმოვნების რთული სისტემა, რაც ამოსავალ ვითარებას ემთხვევა და არ წარმოადგენს ისტორიულად თანხმოვანთა ინტენსივობის ფონოლოგიური კორელაციის სრული ელიმინაციის შედეგს; როგორც ეს მოხდა, ვთქვათ, დაღესტნურ ენათა დიდოურ ქვეჯგუფში [არდოტ. 2002]. ლატერალურ თანხმოვანთაგან ნახურ ენებში ერთადერთი ყრუ ფშვინვიერი სპირანტი **ლ'** დასტურდება. **ლ'** ლატერალური სპირანტი დღეს მხოლოდ ბაცბური ენის კონსონანტურ სისტემას ახასიათებს. ჩვენი დაკვირვებით, ისიც მეორეული წარმოშობისა ჩანს — **\*შ** → **ჰ** || **ლ'** [იხ. აქვე, §§ 32.4; 38; 42]. ამ ენებში არც ლაბი-ალიზებული თანხმოვნები (**ძ° ც° წ° ჯ° ჩ° ზ° დ° თ° ტ° გ° ქ° კ°...**) დასტურდება; აქ ფონოლოგიური სისტემა მარტივია ისევე, როგორც — ქართველურ ენებში. აკად. არნ. ჩიქობავას მიერ გაკეთებული დასკვნა:

\* ამ პრობლემაზე ფიჭრი დავიწყეთ ჯერ კიდევ 1987 წელს, როდესაც ვამუშავებდით ერთ-ერთი ნახური ენის (ინგუშურის) კონსონანტურ სისტემას [იხ. ჩუხ. 1989].

„ქართული ენის კონსონანტიზმს ყველაზე მეტად უახლოვდება ნახურ ენათა კონსონანტიზმი“ [ჩიქ. 1979: 53; ჩიქ. 1959: 130] რეალურად არსებულ ვითარებას ასახავს.

მეტად საყურადღებო ჩანს ისიც, რომ ნახურ ენებს, განსხვავებით დალესტნური ენებისაგან, ახასიათებთ ჰარმონიულ-დეცესიური და ჰარმონიულ-აქცესიური თანხმოვანკომპლექსები, რაც ასევე ბუნებრივია ქართველური ენებისათვის [იხ. ჭრელ. 1975; ჩუხ. 1989]. ქართველურ და ნახურ ენათათვის არაანლაუტურ პოზიციებში გამოჩნდება **სონორი + კონსონანტი** ტიპის თანხმოვნური კომბინაციები, რაც უთუოდ ფუძეენური მდგომარეობიდან მომდინარეობს.

კითხვა ისმის: ნახურ ენათა ფონოლოგიური სისტემა, ანუ საერთონახური მონაცემი, ამოსავალი (ქართველურისებური) მარტივი სისტემის უშუალო გაგრძელებაა, თუ ისტორიულად უფრო რთული (დავუშვათ, დალესტნური ტიპის) სისტემის გამარტივებული სახეობა?

იმისგან დამოუკიდებლად საერთონახური ფონოლოგიური სისტემა მიიჩნევა ამოსავალი მარტივი სისტემის გაგრძელებად, თუ რთულის გამარტივებად, კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა დადგენა ქართველურსა და ნახურ ენებს შორის მეტად ღირებულია ჩვენი მეცნიერებისათვის; ქართველური ენების მონაცემთათვის სათანადო ნახური შესატყვისების დაძებნით ჩვენ გვეძლევა უნიკალური შესაძლებლობა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სხვა ჯგუფის ენათა ისტორიულ-გენეზისურად საერთო წარმომავლობის მონაცემებზე გასასვლელად. ნახურ ენებს შეუძლიათ ქართველური ენებისთვის შემაერთებელი ხიდის ფუნქცია იტვირთონ დალესტნურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფების გენეტიკურად საერთო წარმომავლობის მასალასთან დასაახლოვებლად. ვინაიდან აქამდე კავკასიურ ენათა, მეტ-ნაკლებად ცნობილ, არც ერთ სპეციალისტს საეჭვოდ არ გაუხდია ნახურ ენათა ნათესაობრივი დამოკიდებულება (გენეტიკური ერთიანობა) დალესტნურ და აფხაზურ-ადიღურ ენებთან. ნახური ჯგუფის ენათა ნათესაობა ამ ენებთან საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, თუმცა ჯერ არავის გამოუვლენია დასახელებულ ენებს შორის რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა სისტემა (Sic!). და აქედან გამომდინარე ყველასგან აღიარებული ნათესაობა არ შეიძლება მეცნიერულად დამტკიცებულად ჩაითვალოს.

შეიძლება წინასწარი შენიშვნის სახით თამამად ითქვას: ნახურ ენათა (resp. საერთონახური) ფონოლოგიური სისტემა, ისევე როგორც საერთოქართველური ანალოგი, ისტორიულადაც მარტივი იყო. აქ ორივე ჯგუფის ფუძეენურ მონაცემს ემატება მხოლოდ **თ** (→ ს.-ქართვ. \***სთ**), **ც**, **ჩ** (→ ს.-ქართვ. **ცხ**; ს.-ნახ. **ც/სა, ჩ**) ინტენსიური თანხმოვნები, რომლებიც, ალბათ, ასევე დამახასიათებელი იყო წინარექართველური და წინარენახური ენობრივი მდგომარეობისათვის. ამით იმის თქმა გვსურს, რომ წინარენახური ფონოლოგიური ინვენტარი, განსხვავებით დალესტნურისაგან, კარდინალურად არც შემდგომში (resp. საერთონახურ ენობრივი

ერთობის პერიოდში) შეცვლილა. — რატომ?

გარდა ექსტრალინგვისტური მიზეზებისა, სტატიკური (ამოსავალი) მდგომარეობის შენარჩუნებას ხელს უწყობდა უკვე წინარენახურში ჩამოყალიბებული თანხმომავანკომპლექსების სიუხვე. ჩვენ მიერ ადრევე დადგენილი ფონოტაქტიკური წესია: ერთი საკვლევი ენის ფარგლებში რაც უფრო მეტია თანხმომავანკომპლექსთა რაოდენობა, მით უფრო ნაკლებია ინტენსიურ და ლატერალურ თანხმომავანთა რიცხვი. ინტენსიურ თანხმომავანთა ჩასახვის პროცესის ესოდენ ნელი განვითარება ნახურ ენებში გამოიწვია თანხმომავანთა კომპლექსების შედარებითმა სიუხვემ: ინტენსიური თანხმომავანები არ შედის არც ერთი ტიპის კომბინაციებში [ჩუხ. 1989: 66]. ამიტომაც არ ჩამოყალიბდა ნახურ და ქართველურ ენებში ლატერალური და ინტენსიური თანხმომავანები მწყობრ სისტემად. მწყობრ სისტემას იმიტომ ვამბობთ, რომ აქა-იქ ნახურ ლექსიკაშიც იჩენს თავს არაფონოლოგიური ღირებულების თანხმომავანთა სიგრძე: **სს, ხხ, ქქ, ვვ**, რომელთა აღსანიშნავად უპრინაია ვინამართ ტერმინი გაორმაგებული თანხმომავანი ანუ გემინატი, შესაბამისად ფონეტიკური პროცესის აღსაწერად — გემინაცია, თანხმომავანთა გაორმაგება. გემინატთა წარმომავლობა ადვილი გასარკვევია: ისინი, როგორც წესი, ნახურ ენათა სიტყვის არაანლაჟტში გამოჩნდებიან და ძირითადად ბოზიციით არიან შეპირობებული.

მიუუახლოვდით მთავარ სათქმელს: ნახურ ენათა განვითარების ფუძენურ (*resp.* საერთონახურ) ეტაპზე არ ფუნქციონირებდნენ ინტენსიური თანხმომავანები (გარდა **ღა, თა, ტა** თანხმომავანებისა, რომელთა წარმომავლობაც გარკვეულია — **წ**-ნახ. **\*ჯ \*ჩ \*ჭ** → **ღა თა ტა**; იხ. აქვე, §32) და ლატერალები (შდრ. ს.-ნახ. **ლ'** || ← **ჭა** ← **წ**-ნახ. **\*შ**). ყველა სხვა სპორადულად თავჩენილი თანხმომავანი თუ თანმიმდევრობა (გემინატი) ამოსავალი საერთონახური ფონოლოგიური სისტემის განვითარების გვიანდელ საფეხურს ასახავს.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, თუ რატომ ავირჩიეთ სახელდობრ ქართველურ-ნახურ ენებს შორის არსებული ბგერათმომართებათა სისტემა თავდაპირველი კვლევის ობიექტად.

**§ 1.1. საკითხის ისტორია.** დიდი ხანია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე მწვავედა დგას იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ცალკეულ ჯგუფებს შორის რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობათა სისტემის გამოვლენის აუცილებლობა. წინამდებარე ნაშრომი, როგორც უკვე ითქვა, ეძღვნება ქართველური და ნახური ჯგუფის ფუძე-ენათა ურთიერთმიმართების კარდინალურ პრობლემას ისტორიულ-გენეზისური თვალსაზრისით.

გასული საუკუნის გამოჩენილი ენათმეცნიერი ა. მეიე თავის სკეპტიკურ განწყობას იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის რეგულარულ-კანონზომიერი ბგერათშესატყვისობების გამოვლენის შესაძლებლობასთან დაკავშირებით დაუფარავად გამოხატავდა. კერძოდ, ა. დირის 1928 წელს გამოცემული ნაშრომის — „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში“ — რეცენ-

ზიაში იგი წერდა: კავკასიურ ენათა (resp. ქართული ენის) ძირები ზმირად ცალთანხმოვნია, რაც არ უნდა ასახავდეს ამ ენათა განვითარების თავდაპირველ მდგომარეობას. ამგვარი ვითარება, მტკიცებულებათა არქონის გამო, თითქმის შეუძლებელს ხდის ეტიმოლოგიურ დაკავშირებებს [მეი 1929: 243]. კავკასიური ძირის სტრუქტურასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლის იმდროინდელი მდგომარეობა შეიძლება იძლეოდა მსგავსი სკეპტიციზმისათვის საფუძველს, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ჩანს, რომ ძირთა ცალმორფემიანობის მტკიცება აშკარად გადაჭარბებულია. ძირეული მორფემის სიგრძე ჩვენს ენებში საკმარისი არის იმისათვის, რომ შემოწმდეს დადგენილ ფონეტიკურ კანონზომიერებათა სიზუსტე. კერძოდ, დასახელებულ ენათა ჯგუფების ფუძეეწერი მდგომარეობისთვის უკვე დამახასიათებელი იყო როგორც ცალთანხმოვნია C, VC, VCV, ისე CVC, CCVC, CVCC სტრუქტურის ძირები.

ბგერათმეცნიერების გამოვლენის აუცილებლობაზე მსჯელობდა ივანე ჯავახიშვილი საყოველთაოდ ცნობილი მონოგრაფიის შესავალ ნაწილში, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემას ეძღვნება: „ენათმეცნიერული თვალსაზრისით დაწერილს ასეთ გამოკვლევას, რასაკვირველია, უნდა წინ ქართველური და კავკასიური ენების ფონეტიკა ჰქონოდა წაძლოილი. თავდაპირველად ასეც მქონდა განზრახული და ამისთვის მასალებიც დამზადებული მაქვს, მაგრამ დასაბეჭდავად წიგნის საბოლოოდ დამუშავების წინ, გადავწყვიტე, რომ მხოლოდ ცალკეული დებულებისათვის აუცილებლად საჭირო ფონეტიკური მაგალითების მოყვანით დავკმაყოფილებულიყავი... ქართულ-კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების საკითხის გადასატრეოდ კი უმთავრესი მნიშვნელობა მორფოლოგიური აღნაგობის გამორკვევას აქვს, რომლის მიგნების შემდეგაც ფონეტიკური მოვლენებიც ბევრჯელ სულ სხვანაირად წარმოგვიდგება“ [ჯავახ. 1937: XVI]. მართლაც, ვერანაირი ფონეტიკური კანონზომიერებით ვერ აიხსნება ვაინახური თხოჲ : ბაცბური ფხუჲ „სახურავი, სარქველი, ხუფი“ ტიპის ფუძეთა მიმართება — თ : ფ; თუ არ დავუშვებთ, რომ ამ შემთხვევაში სხვადასხვა გრამატიკული კლასნიშნით (თ- ←\*ღ-, ფ- ←\*ბ-) გაფორმებულ საერთო წარმომავლობის ძირთან გვაქვს შეხება.

სახელის ფუძეში გრამატიკული კლასის კატეგორია მოშლილი ჩანს საერთონახური ენობრივი ერთიანობის პერიოდში. ამ დროისათვის ეს საერთოქართველური პროცესი ზმნებშიც დასრულებულა. ქართველური და ნახური ფუძე-ენების დამოუკიდებელი განვითარების პერიოდში ბუნებრივია წინარე-ენიდან მომდინარე საერთო ძირეულ მასალაში სხვადასხვა კლასნიშნათა ფუძეში გაქვავება-შეხორცება. ამიტომ მორფემათა ანლაუტში გამოვლენილი ს.-ქართვ. \*ღ-უსთ-ე „მთვარე, თვე“ : ს.-ნახ. \*ბ-უთ-ე „მთვარე, თვე“ ტიპის მიმართებებში უნდა ამოვიცნოთ განსხვავებული გრამატიკული კლასის ნიშნები. ამის გათვალისწინების საფუძველზე შესაძლებელი ხდება განსხვავებული პრეფიქსაციის ძირეული მასალის გაერ-



თმნიშვნელიანება, ერთ საერთო ძირეულ სემანტიკაზე დაყვანა იბერიულ-კავკასიურ ენებში. სწორედ ამ სპეციფიკით ხასიათდება კავკასიური ძირის სტრუქტურა, რაც მომავალი ეტიმოლოგიური ძიებების დროს ჩვენს წინაშე გადაშლის ახალ, აქამდე აუთვისებელ პერსპექტივას.

მორფოლოგიურ-ფუნქციური მიმართებების ჩვენებათა გათვალისწინება ღირებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უკვე დადგენილი გვაქვს ფონემაური მიმართებები, ანუ, თუ რა შეესატყვისება ერთი ენის (ჯგუფის) ფონოლოგიურ სისტემაში მეორე ენის (ჯგუფის) ფონოლოგიური სისტემის ამა თუ იმ წევრ-ფონემას.

ნ. ტრუბეცკოი იმთავითვე უარყოფდა იბერიულ-კავკასიურ ენათა წარმოშობით-ნათესაობრივ ერთიანობას. ამგვარი დასკვნის საფუძველი მართებული ჩანს: არ არის დამუშავებული შედარებითი გრამატიკა და შედარებითი ლექსიკონი [ტრუბ. 1924: 327], მაგრამ აკად. არნ. ჩიქობავას მართებული შენიშვნა რომ მოვიშველიოთ: „...ასეთი გრამატიკა და ლექსიკონი არც ჩრდილო-კავკასიურ ენათა შესახებ მოგვეპოვება“ [ჩიქ. 1979: 34]. სამწუხაროდ, ნ. ტრუბეცკოის ხელი არ მიუწვდებოდა ქართულ-ქართველურ ენათა მასალაზე, რომ ჩრდილო-კავკასიურ და ქართველურ ენათა შრთიერთობის შესახებ დამოუკიდებელივ ემსჯელა [ჩიქ. 1979: 35].

უფრო მეტიც, ტენდენციურად გვეჩვენება ნ. ტრუბეცკოის დამოკიდებულება ქართულ-კავკასიური ნათესაობის პრობლემასთან დაკავშირებით. ნიშანდობლივია, რომ იგი არც ახსენებდა პ. უსლარის დასკვნას: ყველა ამ ენას ნათესაობის ღრმა თვისებები ემჩნევა [უსლ. 1888: 35]. აკად. ქ. ლომთათიძის დაკვირვებით, ტრუბეცკოის შეპირისპირებებში ქართულმა მასალამ მაშინაც ვერ ჰპოვა თავისი ადგილი, როცა სპეციალურ ლიტერატურაში ასეთი ქართულ-კავკასიური შეხვედრები უკვე მითითებული იყო: „აფხ. გ<sup>გ</sup>, უბიხ. გი, ადიღ. გ<sup>გ</sup>., ხუნდ. რაკ., ჩეჩნ. დუ-ოგ, მაგრამ, უსლარის მიერ თავის დროზე მათ რიგში დასახელებული ქართ. გულ-ი, აღარ აგონდება!“ [ლომთ. 1968: 265].

და მაინც, მიუხედავად ტენდენციურობისა, მართალი იყო ნ. ტრუბეცკოი, როცა შედარებითი ფონეტიკისა და შედარებითი ლექსიკონის დამუშავებას მოთხოვნად უყენებდა იბერიულ-კავკასიურ (resp. კავკასიურ) ენათმეცნიერებას: შედარებით ლინგვისტიკაში ენათა გენეზისური ნათესაობის დასასაბუთებლად აუცილებელია ძირეულ ლექსიკურ ერთეულთა ეკვივალენტებში თუ გრამატიკულ ინვენტარში კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა დადგენა. როგორც აღინიშნა, ჩვენ რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა დადგენისას მოვითხოვთ ბგერით ცვლილებათა სისტემურობის აუცილებელ გათვალისწინებას...

ნახურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობათა პრობლემის კვლევას, სიტყვათა პიდაპირი მნიშვნელობით თუ ვისაუბრებთ, ისტორია არ გააჩნია. დღემდე არავის უცდია გამოევილინა დასახელებულ ენებს შორის რეგულარული და კანონზომიერი ფონემათმიმართებები. ასევე არც არავინ ცდილობდა საპირისპიროს — ნათესაობრივი დამოკიდებულების არ არსებობის — დამტკიცებას. ხოლო ნახურ-ქართველური ლექსიკური იზოგლო-

სების გამოვლენის თვალსაზრისით, საკმაოდ წარმატებული ცდა წარმოადგინა თ. გონიაშვილმა ცნობილი ნაშრომის სახით — „ლექსიკური შეხვედრები ჩაჩხურისა ქართველურ ენებთან“ [გონ. 1940, V-VI]. არაერთ ქართველურ-ნახურ ლექსიკურ პარალელზე მიუთითებდა ი. ჯავახიშვილი ფუნდამენტური ხასიათის მონოგრაფიაში: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ [ჯავახ. 1937]. საერთო წარმომავლობის სიტყვებზე ამახვილებდა გ. კლიმოვი ყურადღებას „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ [კლიმ. 1964]. რომლის ინგლისურენოვან გამოცემაშიც ქართველურ-კავკასიური პარალელების ძირითადი ნაწილი ავტორს, რატომღაც, არ შეუტანია. სამაგიეროდ, საკმაოდ განივრცო ქართველურ-ინდოევროპული ვითომ იზოგლოსების ხვედრითი წილი, რომელთა რიცხვი ოთხმოც ლექსიკურ ერთეულს ითვლის [ინდოევროპულ არქეტიპთა ჩამონათვალი იხ. კლიმ. 1998: 497-498]. ქართველურ-ნახური მასალა დამოწმებული აქვს რ. ლაფონს თავის ცნობილ წერილში „ბასკური და კავკასიური ეტიუდები“ [იხ. ლაფ. 1952]. ქართველურ-ნახური საერთო წარმომავლობის არაერთი ძირის ისტორია განიხილება ტ. გუდავას, გ. ბურჭულაძის წერილებში [იხ. გუდ. 1954; 1959; ბურჭ. 1981; 1988, 1989, 1991; 1992; 1994; 1995; 2001; 2002].

ზემოთჩამოთვლილი ნაშრომები არ იძლევიან იმის საფუძველს, რომ მათზე დაყრდნობით შევუდგეთ ქართველურ-ნახური ბგერათშესატყვისობათა სისტემის დამუშავებას. უფრო ზუსტად: ოდენ აქამდე წარმოებული ეტიმოლოგიური კვლევის შედეგებით ვერ გადაწყდება დასახელებულ ენებს შორის ისტორიულ-გენეზისური ურთიერთმიმართების პრობლემა. აქამდე გამოვლენილი საერთო წარმომავლობის ლექსიკური მასალის სიმწირე და არასისტემური კვლევა ჩანს ამის უბრალო და მკაფიო მიზეზი.

**§ 2. პრობლემის არსი და მეთოდოლოგიის ზოგი წინამძღვარი.** როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე ნაშრომის უმთავრესი მიზანია ქართველურ-ნახურ ენათა ისტორიულ-გენეზისური ურთიერთმიმართების გარკვევა. დასახული მიზნის მისაღწევად შეიქმნა ქართველურ-ნახური ეტიმოლოგიური ლექსიკონი, რომელიც ნაშრომის მეორე ორგანულ ნაწილს შეადგენს. ლექსიკონში შესულია ათასზე მეტი საერთო წარმომავლობის ნახურ-ქართველური ლექსიკური ერთეული. ფაქტობრივ ერთი ჯგუფის ენათა ძირითადი ლექსიკური ფონდის მასალას სემანტიკურ-სტრუქტურული შესატყვისები დაეძებნა მეორე ჯგუფის ენებში. გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენ მიერ დამუშავებული ქართველურ-ნახური შედარებითი ლექსიკონი პირველი ეტიმოლოგიური ლექსიკონია, სადაც ასე ვრცლად არის წარმოდგენილი საერთონახური ლექსიკა. აქ შედარება ხდება რეკონსტრუირებული არქეტიპებისა, ე. ი. საერთოქართველური პროტოტიპები შედარებულია საერთონახურ შესაბამის არქეტიპებთან. ორივე ჯგუფის ენებისათვის მკაცრად არის გარჩეული ორი ქრონოლოგიური დონე ფუძემდებელი მდგომარეობისა: 1. ადრეული ანუ **წინარეენური** მდგომარეობა — **წინარე-ნახური, წინარე-ქართველური**; 2. გვიანდელი ანუ **საერთონახური** და **საერთოქართველური** ენობრივი პერიოდები.

რელატიური ქრონოლოგიის თვალსაზრისით მორფოლოგიურ კატეგორიათა ისტორიის ნიმუშად შეგვეძლო გვესაუბრა გრამატიკული კლას-კატეგორიის შესახებ; ვიტყვით, რომ წინარექართველურში გრამატიკული კლასის კატეგორია ფუნქციონირებდა, რაც მომდევნო, საერთოქართველურ პერიოდში მოიშალა თავდაპირველად სახელებში, შემდგომ კი — ზმნებში. ეტიმოლოგიური ლექსიკონი კიდევ ერთხელ ამოწმებს, რომ შინაგანი და შედარებითი რეკონსტრუქციის ხერხების გამოყენებით შესაძლებელი ხდება გამოვლინდეს ქართველურ-ნახურის საერთო ლექსიკური ფონდი, რომელშიც კუთვნილ ადგილს იკავებს მორფოლოგიური ინვენტარი ანუ ფორმანტა სისტემა. სწორედ ამგვარად დამუშავებული გენეზისურად საერთო წარმომავლობის ლექსიკურ მასალაზე დაყრდნობით ხდება მონათესავე ენათა შორის კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა გამოვლენა. ბგერითი შესატყვისობები, როგორც ითქვა, ფორმანტებშიც რელევანტურია: გენეზისურად მონათესავე ენათა შორის ბგერათშესატყვისობანი კანონზომიერი და რეგულარული უნდა იყოს ფონოლოგიურ იზოგლოსებში, მორფოლოგიურ ინვენტარსა და ძირეულ ლექსიკურ ფონდში. ის უნდა მოიცავდეს ენობრივი იერარქიის ყოველ საფეხურს, როგორცაა: ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, ლექსიკა. ჩვენს შემთხვევაში მორფოლოგიაზე საუბარი იმდენად არის შესაძლებელი, რამდენადაც დადგენილ ბგერობრივ მიმართებათა კანონზომიერება აისახება მორფოლოგიურ ინვენტარში, მორფემებში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ საკვლევ ენათა ფარგლებიდან გასვლა სპეციალურად არ ხდება ანუ მხოლოდ ორი ჯგუფის ენებს შორის მიმართებითი კანონზომიერებები დგინდება; როცა გამოვლენილი იქნება საერთოქართველური ფონოლოგიური სისტემის ნებისმიერი წევრ-ფონემის სათანადო შესატყვისი საერთონახურ ფონოლოგიურ სისტემაში. საკვლევ ენათა ფარგლებიდან არგასვლით დაცულია დასახელებულ ენათა იმანენტური ბუნება, რათა ხმოვანთა და თანხმოვანთა ფონოლოგიური ქვესისტემის რეკონსტრუქცია მოხდეს ამ ენათა იმანენტური ბუნების მაქსიმალური გათვალისწინებით.

რეკონსტრუქციის პროცედურა გულისხმობს ქართველოლოგიაში დაგროვილი გამოცდილების ათვისებასა და ტრანსფორმაციას საჭირო მიმართულებით. აქ მეტ-ნაკლებად გარკვეული ფუძეენური სურათი გამოიკვეთება, რასაც ვერ ვიტყვით საერთონახურ ვითარებაზე, სადაც ეტიმოლოგიური კვლევის მიმართულებით თითქმის ნულოვანი მდგომარეობა ვლინდება. ასეთ სიტუაციაში, რომ აღდგენილი ენობრივი სისტემა მაქსიმალურად მიუთახლოვოთ რეალურად არსებულს, უნდა გავითვალისწინოთ ფონეტიკური პროცესების ჩვენება ნახურ ენებს შორის და ნახურ ენებს შიგნით. ასეთ ფონეტიკურ გარდაქმნად გვეჩვენება ნახოლოგიაში კარგად ცნობილი არაანლაუტური გაუჩინარება ფუძეენური წარმომავლობის მქდერი ხშულებისა ვაინახურ ენებში — ს.ნახ. **ბ დ გ** → ვაინახ. **ა** || **Ø** [შიფ. 1864, § 25; სომ. 1947, XIV; იმ. 1977: 260]. არაანლაუტში

განხორციელებული გამჟღერების ვაინახური ტ → დ, წ → ძ, ჭ → ჯ, კ → გ და, პირიქით, დ → ტ, ძ → წ, ჯ → ჭ, გ → კ გამკვეთრების ფონეტიკური პროცესი ბაცბურში მოითხოვს დიფერენცირებულ მიდგომას. მსგავს სიტუაციაში რეკონსტრუქციის საკონტროლო საშუალებად გამოდგებოდა საერთოქართველური ფუძე-ენის ჩვენება, ვინაიდან საერთოქართველურ ფუძე-ენაში არ შეინიშნება მკვეთრი → მჟღერი ან მჟღერი → მკვეთრი ფონეტიკური გარდაქმნები. მაგალითისთვის ვაინახ. ბ : ბაცბ. პ ტიპის მიმართებებში თუ მხოლოდ ბაცბურის ქვესისტემას მივიჩნევდით არქაულად, მაშინ მივიღებდით ბგერათშესატყვისობათა შემდეგ ფორმულას ს.-ნახ. პ : ს.-ქართვ. უ (ს.-ნახ. \*წუბ- : ს.-ქართვ. \*წოუ- „წოვა“), რაც არ იქნებოდა მართებული. ვინაიდან საერთონახური პ ფონემა არც ერთ სხვა შემთხვევაში არ იძლევა პ რეფლექსს ნახურ ენებში; ამდენად, იმ სიტუაციაში, როდესაც მჟღავნდება ბაცბ. მკვეთრი, ვაინახ. მჟღერი: ს.-ქართვ. მჟღერი, საერთონახურისთვის რეკონსტრუქცია მჟღერი არქიფონემა, ხოლო როცა გამოჩნდება ბაცბ. მკვეთრი, ვაინახ. მჟღერი : ს.-ქართვ. მკვეთრი ტიპის შეფარდება, მაშინ საერთონახურისთვის აღსადგენია მკვეთრი არქიფონემა. საერთოქართველურის ჩვენებას გადამწყვეტ მნიშვნელობას იმიტომაც ვანიჭებთ, რომ, განსხვავებით ქართველურისაგან, ცალკე ბაცბურში დასტურდება მჟღერი → მკვეთრი (ქართ. ჯაგარ → ბაცბ. ჭაგარ, ქართ. წალღ-ი → ბაცბ. წალტ...) და ვაინახურისთვისაც დამახასიათებელია მკვეთრი → მჟღერი გადაბგერების პროცესი, რასაც ასევე ნახესხები ლექსიკა ამტკიცებს: ქართ. პანკის-ი → ვაინახ. პენგაზ "id", ქართ. შატღი-ი → ვაინახ. შედღალ "id"...

**§ 3. შებრუნებული წყობის ძირ-ფუძეები.** შედარებისა და რეკონსტრუქციის პროცედურის სწორად წარმართვისათვის აუცილებელი ჩანს სრულიად ახალი მიდგომის შემოტანა შესადარებელ ფუძეთა ანალიზისას, რაც უკავშირდება ე. წ. შებრუნებული წყობის ძირ-ფუძეთა არსებობას ქართველურ-ნახურ საერთო მასალაში. მხედველობაში გვაქვს ს.-ქართვ. \*წუედ- „წვეთი, ცვარი“ : ს.-ნახ. \*ღარწ- „მცირე წვიმა“ ტიპის ფუძეთა მიმართების საკითხი. თუ დაღესტნურ შესაბამის ლექსიკას მოვიხმობთ, გამოჩნდება, რომ საურთიერთო მეტათეზისი ამ შემთხვევაში ფუძენახურში განხორციელებულა — \*ღარწ- ← \*წარღ-, შდრ. ხუნძ. წად, ახვ. წარი ← \*წადი „წვიმა“..., თაბ. წად-ალ „წვეთი“, აღ. წარ ← \*წად, კრიწ. წადი „სითხე“. მაგრამ პრინციპული მნიშვნელობისა მსგავს სიტუაციაში ამგვარი სუბსტიტუციის პოტენციური შესაძლებლობა ჩანს, რაც დამახასიათებელია როგორც ქართველური, ისე ნახური ენებისათვის; ე. ი. ე. წ. შებრუნებული წყობის ფუძის არსებობას ამა თუ იმ ჯგუფის ენაში განაპირობებს საურთიერთო მეტათეზისის ფონეტიკური პროცესის რეალურად არსებობა, შდრ. ქართ. კუნ-ი → ზუკ-ი "id" (საბა), კვენს-ა → სნეკვ-ა (საბა), უინ-ი → თუმ. ნიუ-ი, უონ-ვა → იმერ. ნოუ-ვა,

დუფი → ქიზ. უფდი, სილა → რაჭ. ლისა, ჩანთა → ზ. იმერ. თანჩა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენის მასალაში გამოვლენილი საურთიერთო მეტათეზისის რეალურობით ჩვენს თვალწინ გადაიშლება დიდი პერსპექტივა ეტიმოლოგიური კვლევისა. რომ არა საურთიერთო მეტათეზისის ზემოთაღწერილი ტიპის გარდაქმნების არსებობა, სხვანაირად ვერ აიხსნებოდა, თუ რატომ გვაქვს ქართული გრძილ-ი „ღრძილი“ ფუძის შესატყვისად ზანურში ჯირგილ-ი „ძირა კბილი“. ხომ ცხადზე უცხადესია, რომ ან ქართულში განხორციელდა გრძილ-ი ←\*ძრგილ-ი ან ზანურში ჯირგილ-ი ←\*ჯირჯილ-ი. საინტერესო ფაქტია, რომ საერთონახური \*ძაქარ- „ნისკარტი“ არქეტიპი (შდრ.: იჩქ. ზმუოქ || ძმუოქ — ერგ. ძმაქარ-ჟო, ინგ. ზმოქ || ძმოქ — ერგ. ძმოქარ-ჟო, ბაცბ. ზოქ — ზოქრ-გ<sup>5</sup> „ნისკარტიდან“) ზანური მონაცემის ბგერათმომდევრობას მიჰყვება: ჯირგილ- : \*ძაქარ-. თუმცა, თუ გავალთ ნახურ-ქართველური ენების ფარგლებიდან და მოვიხმობთ დადესტნურ ენათა სათანადო მასალას, იქ გამოჩნდება ქართული გრძილ- თანმიმდევრობის ფუძეები, შდრ.: ხუნძ. გოზო || გოჟო, ანდ. გჟორზუ, ლოდ. გჟაზა || გოზა „ნისკარტი“, აზვან. გოჟო, დიდ. გაჟუ, ჰინ. გაჟუ, ხვარშ. ქოჟუ, ბეჟ. გჟო „ნისკარტი“ (დადესტნური მასალისთვის იხ. გუდ. 1964: 85; ნიკ.-სტარ. 1994: 1093; არდოტ. 2002: 134).

ქართულ მასალაში გამოვლენილი ჩანთა → თანჩა ტიპის საურთიერთო მეტათეზისი ასევე ცოცხალი პროცესი ჩანს ნახურ ენებშიც. საილუსტრაციოდ ბაცბური მასალის მოხმობით დავკმაყოფილდებით — შდრ.: ბაცბ. ქიჩილ ← ქართ. ჩიქილ-ა; ბაცბ. ნაჯიბ ← ქართ. ნაბიჯ-ი, ბაცბ. ლიჭარ ←\*ჭილ-არ „გაფრცქვნა“; იჩქ. ჭულ-და<sup>5</sup>, ინგ. ჭგლ-დჟე „მარცვლეულის კილისაგან გაწმენდა“ : ს.-ქართვ. \*წილ- „კრეფა, ნაყოფის მოწყვეტა“, ქართ. მო-წილ-ვა, ზან. ო-წილ-ჟუ || წილ-ჟუ-ა „კრეფა“, ბაცბ. საკერ, „კეფა“, ვაინახ. კანერ || კეხირ "id", შდრ. ქართ. (← ნახ. ენ.) კისერ-ი, ბაცბ. ხურს „მსხმო, ზღმურდლი“, ვაინახ. სურს „მუწუკი“...

ქვემოთ აღწერილი გვაქვს ე. წ. შებრუნებული წყობის ფუძეების ყველა შესაძლო სახეობა, რაც კი ქართველურ-ნახურ საერთო ლექსიკაში გამოვლინდა. ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულის შემდგომ არ უნდა გაჭირდეს ისტორიულ-შედარებით შტუდიებში ქვემოთყოფანილი სტრუქტურის ძირ-ფუძეთა შემოტანა:

ა) ს.-ქართვ. სონანტი ანლაუტში ~ ს.-ნახ. სონანტი აუსლაუტში:

(1) ს.-ქართვ. \*ჟესკ- „მნათობი; ცეცხლი“ (ქართ. ვასკ-ულ-ავ-ი || ვარსკ-ვლ-ავ-ი || მასკ-ულ-ავ-ი, ზან. მასკ-ურ-ი || მასქ-ურ-ი „მნათობი“, სვან. -მესგ/კ, ლე-მესგ/კ „ცეცხლი“): ს.-ნახ. \*სკიჟ- „ნაპერწკალი“ (იჩქ. სიგ ←\*სგიჟ, ინგ. სიგ ←\*სგიჟ, ბაცბ. სკივ);

(2) ს.-ქართვ. \*რბ-ო „ორმო, ჩაღრმავებული ადგილი“ (ქართ. რაბო, ზან. რობჟ, სვან. რუებ ←\*რებჟ) : ს.-ნახ. \*ბორ-ა „ხრამი, ხევი“

(იჩქ. ბრრა, ინგ. ბერა ← \*ბრრა, ბაცბ. ბორა);

(3) ს.-ქართვ. \*ნუმ- „ყველი“ (ქართ. ნუმ-ი, ზან.-სვან. ნუმქ-ი) : ს.-ნახ. \*მონ- „დვრიტა, კვეთი“ (იჩქ. შუმ — მრ. შუმნ-ამ, ინგ. შოა ← \*შონ „კვეთი“, ბაცბ. შონ-);

(4) ს.-ქართვ. \*მაქუ- „თივის ზვინი“ (ქართ. მექვ-ი || ნექვ-ი „ბუ-ლული“, ზან. მოქვ-ი (ტობ.), სვან. მექუ „ზვინი“) : ს.-ნახ. \*ქან- „ბზე“ (იჩქ. ქე-გ-ამ ← \*ქან-გ-იმ, შდრ. ჰებ. ქან-გ-იმ, ინგ. ქან-გ-ამ "pluralia tantum", ბაცბ. ქან-);

ბ) ს.-ქართვ. სონანტი აუსლაუტში ~ ს.-ნახ. სონანტი ანლაუტში:

(1) ს.-ქართვ. \*ყაჟ- „ყოფნა, ყოლა, გაჩერება“ (ქართ. ყავ-ი, ყავ-ს, ი-ყავ-ი, და-ვ-ყავ-ი, ზან. ცუჟ- || ცუჟ- || ყო ← \*ყოჟ- "id", სვან. ყა- ← \*ყაჟ- "id") : ს.-ნახ. \*მეყ- „დარჩენა; დატოვება“ (იჩქ. მენყ-, მენყ-ალგ „გამონაყოფი“, ინგ. მეყ-, ბაცბ. მეყ- „დარჩენა“);

(2) ს.-ქართვ. \*ყუჟ- „ყუა; გნდე; ტარი“ (ქართ. ყუჯ-ა → || ყუჟ-ა, ხევს. ყუჯ-ი, სა-ყუჯ-ი, ზან. ყჯ-ა → || ყჯ-ა „შუბლი“, ყჟ-ა „თოხის ყუა“, სვან. ყუჟ-ა „ყუა; ძირი“) : ს.-ნახ. \*მუყ- „ტარი, ვადა“ (იჩქ. მუყ, ინგ. მუყ, ბაცბ. მუყ);

(3) ს.-ქართვ. \*ყჟ-აჟ- „ყვავილი; ყვავის“ (ქართ. ყვავ-ი-ს, ყვავ-ილ-ი, ზან. პე-გჟ-, პეჟლ-ი ← \*პეგჟ-ილ-ი „ყვავილი“, პეჟლ-ან-ს || პონ-ს „ყვავის“) : ს.-ნახ. \*ჟალ- „თივა; გამხმარი ბალახი“ (იჩქ. ჟოლ, ინგ. ჟოლ, ბაცბ. ჟოლ, შდრ. ერგ. ბრ.: იჩქ. ალ-ჟო, ინგ. ელ-ჟო, მრ. რ. იჩქ. ელ-ამ, ინგ. ელ-ამ);

(4) ს.-ქართვ. \*ჯიჟ- „ბორკილი, დასაბმელი“ (ძვ. ქართ. სა-ჯიჯ-ი „ქედზე მოსაბმელი“, ზან. ო-რხე ← \*ო-რხეჯ-ა "id") : ს.-ნახ. \*ჟირხ- „სადავე“ (იჩქ. ურხ — მრ. არხ-ამ ← \*ჟარხ-ამ, ინგ. ურხ ← \*ჟირხ „სადავე, ბაცბ. ურხ“);

(5) ს.-ქართვ. \*ხალ- „ხლება; ახლოს ყოფნა“ (ქართ. ხელ-ხლ-, ხლ-ებ-ა ხელის, ხლ-ებ-ა, ა-ხლ-ო(ს), ზან. მე-ხოლ-აფ-ჟ/მე-ხოლ-ჟ „მიახლოება“, ო-ხოლ-ჟ(ნ) „ახლავს“, ხოლ-ო „ახლო“) : ს.-ნახ. \*ლაჰა-/ლეჰა- „შეხება; ხელის ხლება“ (იჩქ. ლაჰა-/ლეჰა-, ინგ. ლაჰა-/ლეჰა-, ბაცბ. ლაჰა-/ლეჰა- „ხელის ხლება“);

(6) ს.-ქართვ. \*ჯალ- „ჩასობა, ჩაფლობა, ჩაყოფა“ (ქართ. ჯლ-ა, ა-ჯალ-ა, და-ა-ხალ-ა, სვან. ჯალ-ა „ჩაფლობა, ჩარჭობა, ჩასობა“) : ს.-ნახ. \*ლაჯ-/ლეჯ- „ჩაყოფა, ჩაწება“ (იჩქ. ლაჯ-, ინგ. ლაჯ-, ბაცბ. ლაჯ-/ლეჯ-, ტარკ ლეჯ-ო-ს „თითს ვყოფ (წყალში)“);

(7) ს.-ქართვ. \*ყალ-ე „მამაკაცის სასქესო ორგანო“ (ქართ. ყელ-ე „ხანჯალი“, \*ყელ-ე → ყლ-ე „მამაკაცის სარცხვინელი“ (საბა), ზან. ცოლ-ე → || ოლ-ე || ყოლ-ე || კოლ-ე "id", სვან. ყლ-ირ, შდრ. სომხური (← სვანური) კლ-ირ "id") : ს.-ნახ. \*მაჟ- „რქა“ (იჩქ. მაჟ-ა, ინგ. მუჟ-ა, ბაცბ. მჟ-აჟ ←

მაჲ-ოჲაჲჲ „რქა“);

(8) ს.-ქართვ. \*ცხამ- „ცხიმი“ (ქართ. ცხიმი ← \*ცხამ-ი, ზან. ჩხომი „ცხიმი“, ჩხომ-ჰაბჲ = ცხიმი-ჴებო, სვან. ჩხემ, მგ-ჩხემ „ცხიმი“) : ს.-ნახ. \*ნაჩხ-ი „ყველი“ (იჩქ. ნეხა || ნეჩხა, ინგ. ნეჩხ → || ნეჩხ, ბაცბ. ნაჩხ ← \*ნაჩხი „ყველი“);

(9) ს.-ქართვ. \*ცხემ-ალ- „რცხილა/ცხემლა“ (ქართ. ცხემ-ლ-ა, ზან. ცხემ-ურ-ი || ცხიმი-ურ-ი ← \*ჩხამ-ურ-ი „რცხილა“, შდრ. ო-ჩხამ-ურ-ი (ტობ., გ. როგავა), სვან. ცხტიმი- || ცხუმი- „რცხილა“, შდრ. ლე-ჩხუმი „ლეჩხუმი“) : ს.-ნახ. \*ნაჩხ-ი „ტყიური, ველის ჴყიმი“ (იჩქ. ნეჩხ-ა || ნეჩხ, ინგ. ნეჩხ-ჲ → || ნეჩხ-ჲ, ბაცბ. «ნაჩხ-ი»);

(10) ს.-ქართვ. \*ყტიჲ-/\*ყტიჲ- „პარსვა; რაღაცის მოცილება“ (ქართ. და-ყვეჲ-ა, და-ი-ყვეჲ-ა, სა-ყტიჲ-ელ-ი „საპარსი“, სვან. ყტიჲ-ლ-ყტიჲ-ლ- „მოცილება“) : ს.-ნახ. \*ლერკ-/\*ლარკ- „კრეჴა, პარსვა“ (იჩქ. ლარგ- ← \*ლარკ-, ინგ. ლარგ- ← \*ლარკ-, ბაცბ. ლერკ-/ლარკ- „უსრ., სრ. ასპ.“, „გაკრეჴა“, ლარკ-უდნი „გამკრეჴი“);

(11) ს.-ქართვ. \*ქინ- „ბანაობა“ (ქართ. «ქინ-», სვან. ქინ-/ქინ-, ლი-ქინ- ალ || ლი-ქინ-ე „ბანაობა“, ი-ქინ-ალ „ბანაობს“, ო-თ-ქინ-ალ/ჲდ-ქინ-ალ „იბანავა“) : ს.-ნახ. \*ნაქ- „ცურვა“ (იჩქ. ნდჲქ-ა, ნდჲქ-ა-დარ „ცურვა“, ინგ. ნჲქ-, ნჲქ-დარ „ცურვა“, ბაცბ. «ნაქ-», შდრ. ნაქ-არ „ზვაგი“);

(12) ს.-ქართვ. \*ჯარ-, \*ჯარ-ჯარ- (რედუჴბლ.) „ხანა“ (ქართ. ჯარ-ჯა → || ხარ-ხა ← \*ჯარ-ჯარ „ხანა“, ზან. \*ხორ-ხოჯ- → \*ხორ-ხოჯ-ა → || ხორ-ხოტ-ა „ხორხი; ხანა“, სვან. ჯარ-ჯ „ხანა“) : ს.-ნახ. \*ნაჯ- „ხანა, სასა“ (იჩქ. «ნაჯ-», ინგ. «ნაჯ-», ბაცბ. ნაჯ „ხანა, სასა“);

(13) ს.-ქართვ. \*თხარ- „გასკდომა, გახეთჴვა“ (ქართ. «თხარ-», ზან. ნთხორ- ← \*თხორ- „ღებინება, ამოხეთჴვა“, ო-ნთხორ-უ „აღებინა“, სვან. თხარ-ა → || თხერ-ა „გახეთჴვა, გასკდომა“, ა-თხარ „გასკდა“) : ს.-ნახ. \*ლეთხ- „გასკდომა, გახეთჴვა“ (იჩქ. ლდელხ-ა<sup>5</sup> „გასკდომა; ხეთჴა“, ინგ. ლდელხ-ჲ, ბაცბ. ლეთხ-ა<sup>5</sup> "id");

(14) ს.-ქართვ. \*ჩერ- „გაჩერება“ (ქართ. ჩერ-, აჩერ-ებ-ს, გაჩერ-ებ-ა, ზან. რჩქალ- ← \*ჩქარ-, დო-რჩქალ-აჲ-ა „ბავშვის გაჩერება“) : ს.-ნახ. \*ლათა- „დგომა, ერთ ადგილზე გაჩერება“ (იჩქ. ლათა-არ, ინგ. ლათა-ჲრ, ბაცბ. ლათა-არ).

გ) ს.-ქართვ. ბაგისმიერი ანლაუტში ~ ს.-ნახ. ბაგისმიერი აუს-ლაუტში:

(1) ს.-ქართვ. \*ბედ- „დაბადება; დაბედება“ (ქართ. ბედ-ი, და-ბად-ებ-ა, უ-ბედ-ურ-ი, ზან. ბად- „დაბადება“, უ-ბად-ო = უ-ბედ-ო, დო-ბად-ონა „სამშობლო“, სვან. ბდ-, ლი-ბდ-ე „დასხმა“) : ს.-ნახ. \*დ-ებ- „გამრავლება“ (იჩქ. დ-დებ-არ, ინგ. დ-დებ-ჲრ, ბაცბ. «დ-ებ-», შდრ. ბედ „ცალკე“);

(2) ს.-ქართვ. \*ბაწ- „ბაწარი; შებოჭვა“ (ქართ. ბაწ-არი „წვრილი თოკი“, ზან. ბეჭ- ←\*ბოჭ-, შდრ. ქართ. (← ზან.) ბოჭ- „შებოჭვა“, სქუ-ბოჭ-უ-ა „შეკვრა“) : ს.-ნახ. \*ჭაბ-ან- „თოკი“ (იჩქ. ჭაბა — მრ. ჭაბან-ამ, ინგ. ჭაბან, ბაცბ. ოჭაბან<sup>1</sup>);

(3) ს.-ქართვ. \*ბოც-ო „მწერი“ (ქართ. ბოც-ო, ზან. ბოჩ-ი „მწერი“, შდრ. იმერ. (← ზან.) ბოჩ-ი „მწერი“) : ს.-ნახ. \*ჩუაფ- ტარაკანი“ (იჩქ. ჩაფ-ილგ, ინგ. ჩაფ-ილგ, ბაცბ. ჩუაფ<sup>1</sup>);

(4) ს.-ქართვ. \*ფუჟ- „ღუღება, ბერვა“ (ქართ. ფუჟ-ილ-ი, აღ-ა-ფუჟ-ა, აღ-ფუჟ-ნ-ებ-ა, ზან. ფუჟ-ნ- ←\*ფუჟ-ნ- „ფუჟილი“, ნა-ფუჟ-ნ-ეფ-ი „ნადული“, სვან. ფუჟ-, ფუჟ-ე „ღულს“, ხ-ო-ფუჟ-ლ-ი „უბერავს“) : ს.-ნახ. \*ტუჟ- „ქროლა/დაბერვა“ (იჩქ. ჰუჟ-ალა, ინგ. ფუჟ-ალან „ქროლა, დაბერვა“, ბაცბ. ოფუჟ<sup>1</sup>);

(5) ს.-ქართვ. \*ფათ-(რ-) „თიკანი; ფოთრი“ (ქართ. ფოთრ-ი, სვან. ფეთ ←\*ფათ „ჩიხვის ან არჩვის თიკანი“) : ს.-ნახ. \*თაბ-ო „ჭედლია; ბატკანი“ (იჩქ. თურ ←\*თაბო „ბატკანი“, ინგ. თოა ←\*თობა, ბაცბ. თაუბუჟ ←\*თაბუჟ „ჭედლია“);

(6) ს.-ქართვ. \*პრას- „პრასი/პრასა“ (ქართ. პრას-ი || პრას-ა „ხახვის ერთ-ერთი სახეობა“, ზან. პუროსქ-ია → || პურასქ-ია || პროსქ-ია „პრასი“) : ს.-ნახ. \*სორამ- „პიტნა“ (იჩქ. სურამ „ერთგვარი ჭაობიანი ადგილების მცენარე“, ინგ. სორამ "id", ბაცბ. ოსორამ<sup>1</sup>);

(7) ს.-ქართვ. \*ფუტ- „კვამლი, ბოლი; ელვა“ (ქართ. ფუტ-ი „ბოლი, კვამლი“, ზან. ფუტ-ი → || ფიტ-ი „ელვა“) : ს.-ნახ. \*ტაფ- ← ო-ნახ. \*ტუაფ- „ელვა“ (იჩქ. ტეფ- „გაელვება, დაკარგვა“, ინგ. ტეფ-, ბაცბ. ტაფ ლაჟარ „გაელვება“);

დ) ს.-ქართვ. **ბაგისმიერი აუსლაუტში** ~ ს.-ნახ. **ბაგისმიერი ან-ლაუტში**:

(1) ს.-ქართვ. \*ქუაბ- „ქვაბი, ერთგვარი ჭურჭელი“ (ქართ. ქვაბ-ი, ზან. ქვიბ-ია „ქვაბი“, სვან. ქუაბ "id") : ს.-ნახ. \*ბუჟ-ი „მცირე თიხის ქოთანი“ (იჩქ. ბუჟა, ინგ. ბუჟან || ბიჟან, ბაცბ. ობუჟი<sup>1</sup>);

(2) ს.-ქართვ. \*გებ- „ხბო“ (ქართ. გებ-ო → || ხბ-ო, ზან. ქაბ-ულ-ა „ბოჩოლა“, სვან. ლაბ-ნ-ა || ლაბ-ენ-ა „მოზვერი“) : ს.-ნახ. \*ბაჰა- „თიკანი, ციკანი“ (იჩქ. ბუჰა-იგ || ბუჰა-იგ || ბოჰა-იგ, ინგ. ბჰ-იგ ←\*ბოჰა-იგ, ბაცბ. ბოჰა- „ციკანი“);

(3) ს.-ქართვ. \*გუაფ- „ღრმა, ორმო, ღრუ; ნიჩაბი“ (ქართ. გუამფ-ი || ხოფ-ი, ზან. ხვიბ-ია, ხობ-ი || ხოფ-ი || ხობ-ი || ხოფ-ა „ამოდრმავებული; ნიჩაბი“) : ს.-ნახ. \*ბაჰა- „ხის ნიჩაბი“ (იჩქ. ბაჰა || ბეჰა, ინგ. ბაჰან, ბაცბ. ბაჰა);

(4) ს.-ქართვ. \*კობ-ე „ერთგვარი ჭურჭელი; კობე“ (ქართ. კობე, ზან. კობა „ერთგვარი ჭურჭელი“, „ციცხვი“, სვან. კობ → || კობ || კობ



„ჩამჩა; ხის სასმისი“) : ს.-ნახ. \*ბოკ-ა „დიდი მისკა“ (იჩქ. ბუოგა, ინგ. ბოგა, ბაცბ. «ბოკ-<sup>1</sup>»);

(5) ს.-ქართვ. \*კობ- „ამობურცული ადგილი, კობი“ (ქართ. კობი, ზან. კობ-ულ-ი ← \*კობ-ულ-ი „ამობურცული ადგილი“) : ს.-ნახ. \*ბოკ- „კობი“ (იჩქ. ბუოგ, ინგ. ბოგ, ბაცბ. «ბოკ-<sup>1</sup>»);

(6) ს.-ქართვ. \*სოფ-(ელ-) „სოფელი“ (ქართ. სოფ-ელ-ი, მ-სოფ-ლ-იო, სვან. სუფ → || სუიფ „სასოფლო მოედანი“) : ს.-ნახ. \*ფჰა-ე „სოფელი“ (იჩქ. ფჰა „სოფელი“, ინგ. ფჰა "id", ბაცბ. ფჰაე „სოფელი“, ფჰაე-ხკე „ქვეყანა“);

ე) ს.-ქართვ. დენტალი ანლაუტში ~ ს.-ნახ. დენტალი აუსლაუტში:

(1) ს.-ქართვ. \*თელ- „თელვა, მოთელვა, ქსელვა“ (ქართ. თელ-ვ-ა, მო-თელ-ილ-ი, ზან. თალ- → || ნთალ- „თელვა; სრესა“, მო-თალ-ირ-ი = მო-თელ-ილ-ი, სვან. თოდ- „ქსელვა“, ლი-თელ „მიკარება“) : ს.-ნახ. \*ლათ-/\*ლეთ- „ჭიდაობა; მიკრობა/მიწებება“ (იჩქ. ლათ-, ინგ. ლათ- „და-ჭიდება“, ბაცბ. ლათ-/ლეთ- „ჭიდება; მიკრობა/მიწებება“);

(2) ს.-ქართვ. \*თხარ- „გასკდომა, გახეთქვა“ (ქართ. «თხარ-<sup>1</sup>, ზან. ნთხორ- ← \*თხორ- „ღებინება, ამოხეთქვა“, ო-ნთხორ-უ „აღებინა“, სვან. თხარ-ა → || თხერ-ა „გახეთქვა, გასკდომა“, ა-თხარ „გასკდა“) : ს.-ნახ. \*ლეთხ- „გასკდომა, გახეთქვა“ (იჩქ. ლფელხ-არ ← \*ლფეთხ-არ, ინგ. ლფელხ-არ ← \*ლფეთხ-არ, ბაცბ. ლეთხ-არ);

ვ) ს.-ქართვ. დენტალი აუსლაუტში ~ ს.-ნახ. დენტალი ანლაუტში:

(1) ს.-ქართვ. \*ჯედ- „სვლა; გადახდა; მოხდა; ამოღება“ (ქართ. ჯად- /ჯედ- → || ხად-/ხდ-, გან-ვ-ჯად-ე, აღ-ი-ჯად-ა, მო-ხ-ჯად-ა, შთა-ვ-ჯედ, მო-ი-ხად-ა, ი-ხდ-ი-ს, ხდ-ილ-ი, ზან. ქთ- → ხთ- || რთ-, ო-ხთ-იმ-უ „ასვლა“, გე-რთ-უ „ახდა“, სვან. ჯედ- || ჯად-, ლი-ჯედ „მოსვლა; გადახდა“) : ს.-ნახ. \*დ-აჯ-/\*დ-ეჯ- „გადახდა, ამოღება; მოყვანა“ (იჩქ. თაჯ-არ/თეჯ-არ „გადა-ხდა“, დ-აჯ-არ „მოხდა; გამოყვანა/მოტანა“, ინგ. თაჯ-/თეჯ- "id", დ-აჯ-არ "id", ბაცბ. თაჯ-/თეჯ-, დ-ეჯ-არ „გადახდა“, დ-აჯ-არ „ამოღება“);

(2) ს.-ქართვ. \*კიდ- „აღება; წაღება“ (ქართ. კიდ-ებ-ა, ა-კიდ-ა, ძვ. ქართ. აღ-ი-კიდ-ა, კიდ-ებ-ა-დ, ზან. ო-კიდ-უ „ხელის ჩავლება/წაღება“, კინდ- || კიდ-აფ-ა „კიდება“, სვან. კედ-, ი-კედ „იღებს“, ან-კიდ „აიღო“) : ს.-ნახ. \*დ-იკ- „წაყვანა, ტარება“ (იჩქ. დ-იგ- ← \*დ-იკ-, ინგ. დ-იგ- ← \*დ-იკ-, ბაცბ. დ-იკ-);

(3) ს.-ქართვ. \*ყიდ- „ყიდვა/გაყიდვა“ (ქართ. ყიდ-ი-ს, გა-ყიდ-ა, ძვ. ქართ. ს-ყიდ-ვ-ა-დ, ნა-ს-ყიდ-ი, ზან. ყიდ-ირ-ი „ყიდვა“, მა-ყიდ-ე „მყიდველი“, ი-ყიდ-უ „იყიდა“, სვან. ყედ-/ყიდ-, ენ-ყიდ „იყიდა“) : ს.-ნახ. \*დ-ეხკ-/\*დ-ახკ- „გაყიდვა“ (იჩქ. დ-ონქ-, ინგ. დ-ონქ-, ბაცბ. დ-ონკ-/დ-ეხკ- „უსრ. ასბ.“, „გაყიდვა“);

(4) ს.-ქართვ. \*ცედ- „ფაშატი, ჭაკი, ცხენი“ (ქართ. ცედ-, მო-ცედ-ი, ზან. წაჯ-ი, შდრ. სვან. (← ზან.) ჩჷ || ჩჷ „ცხენი“, სვან. ფაშად ←\*მაჩედ „ფაშატი“) : ს.-ნახ. \*დაც-ო „ცხვარი“ (იჩქ. დაცა, ინგ. დაც, ბაცბ. რაცო);

(5) ს.-ქართვ. \*ჭედ- „ჭდევა, ჭდე“ (ქართ. ჭდე-, ჭდე-ე-ა, ზან. წკანტ-ი ←\*ჭკანდი „ჭდე“) : ს.-ნახ. \*დეტ- „ჭრა“ (იჩქ. თედ- ←\*დეტ-, ინგ. თედ- ←\*დეტ-, ბაცბ. თეტ- ←\*დეტ- „ჭრა“);

(6) ს.-ქართვ. \*სათ- „გიშერი“ (ქართ. სათ-ი, მა-სათ-ი „სალესი ქვა“, ზან. შოთ-ი, შდრ. ქართ. (← ზან.) შოთ-ი, შოთ-ა (ანთროპ.), სვან. შანთ-ჷ → || შანთ „სალესი ქვა“) : ს.-ნახ. \*დამ- „ოქრო“ (იჩქ. დემ-ი || დამ-ჷ || დამ-ი, ინგ. დომ-ჷ || დომ-ჷ, ბაცბ. რამ-ებ);

ზ) ს.-ქართვ. უკანაენისმიერი ანლაუტში ~ ს.-ნახ. უკანაენისმიერი აუსლაუტში:

(1) ს.-ქართვ. \*გაწ- „დამჭერი, დამკავებელი“ (ქართ. გაწ-არ-ი „გრძლად ნაგები მახე“ (საბა), სვან. გჷ- → || გჷ- || გჷ-, ად-გჷ „დააკავა, დაიჭირა“, გჷ-ა „დაჭერა, გაძლება“, მე-გჷ „დამჭერი“) : ს.-ნახ. \*ჭეგ- „საკეტი, ურდული“ (იჩქ. ჭეგა, ინგ. ჭეგ, ბაცბ. ჭეგ ←\*ჭეგ „ურდული“);

(2) ს.-ქართვ. \*გირძ-ილ- „კბილი; გრძილი“ (ქართ. გრძ-ილ-ი „ღრძილი“, ზან. ჯირგ-ილ-ი → || ჯირგ-ილ-ი „ძირა კბილი“) : ს.-ნახ. \*ძაქ-არ- „ეშვი, ნისკარი“ (იჩქ. ძჷოქ || ძოქ || ძჷოქ, ინგ. ძოქ, ბაცბ. ზოქ „ნისკარტი“);

(3) ს.-ქართვ. \*გული- „გული“ (ქართ. გული-ი, ზან. გურ-ი, სვან. გუ || გუტი ←\*გუტი „გული“) : ს.-ნახ. \*დიგუ- ~ \*დაგუ- „გული“ (იჩქ. დუოგ || დუაგ, ინგ. დოგ — ერგ. დაგ-ჷ, ბაცბ. დოგ ←\*დოგ — მრ. დაკ-ბი);

(4) ს.-ქართვ. \*გირჯლ-იბ- „ბალღინჯო, ტკიპა“ (ქართ. კირჩხ-იბ-ი ←\*გირჯლ-იბ-ი, ზან. გირჯლ-იბ-ია/ე „ტკიპა“, სვან. გერდლ-ჷბ ←\*გერჯლ-ჷბ „ბალღინჯო“) : ს.-ნახ. \*ძაგ-ჷ „კრაზანა, ბზიკი“ (იჩქ. ძჷგა, ინგ. ძოქ-მოზ „კრაზანა“, ბაცბ. რძაგ-ჷ);

(5) ს.-ქართვ. \*კაწ- „წვივი, კოჭი“ (ქართ. კაწ-არ-ი „ბრჭყალი“, ზან. კოჭ-ი || კონჭ-ი „კოჭი“, სვან. გაწრ ←\*კაჭ-არ „წვივი“) : ს.-ნახ. \*წიკ- „წვივი, კანჭი“ (იჩქ. წიგ ←\*წიკ, ინგ. წიგ || წიქ ←\*წიკ „წვივი“, ბაცბ. წიკ „კანჭი“);

(6) ს.-ქართვ. \*ლაწ- „ლაწვი, ლოყა“ (ქართ. ლაწ-ი || ლაწ || ლაწ-ი, ზან. ლვანწკ-ი || ლვანწკ-ილ-ი „ყბა, ლოყა“, სვან. ლჷ-ა || -ოლ ←\*ლაწ-ა || -ოლ „ლაწვი“) : ს.-ნახ. \*ჭამად- „ლოყა, ლაწვი“ (იჩქ. რჭამად, ინგ. რჭამად, ბაცბ. რამად „ლოყა, ლაწვი“).

თ) ს.-ქართვ. უკანაენისმიერი აუსლაუტში ~ ს.-ქართვ. უკანაენისმიერი ანლაუტში:

(1) ს.-ქართვ. \*ცქიფ- „ხის ტოტი“ (ქართ. ცქიფი- „მცენარის პატარა ტოტი“, ზან. ჩქვიფი- ←\*ჩქიფი- „ხის ამონაყარი“, შდრ. გურ. (← მეგრ.) ჩქვიფი- ) : ს.-ნახ. \*ქაჩ-ალ- „ერთგვარი ხის ჩაქუჩი; ჯოხი“ (იჩქ. ქაჩალ, ინგ. ქოჩალ, ბაცბ. ქაჩალ);

(2) ს.-ქართვ. \*წუკ- „პატარა; პატარა ძაღლი, თაგვი“ (ქართ. (მონ.) წუკ-ან-ია-დ „პატარა“, ქიზ. წუკ-ლაკა „უხეირო ძაღლი“, წუკ-ია „უჯიშო“, ფშ. წუკ-ი „ცუდი“, ზან. ჭუკ-ი „თაგვი“, ჭუკ-ია „პატარა“) : ს.-ნახ. \*კტაწ-ე „ლეკვი“ (იჩქ. კდწა || ქისტ. კტდ || ჭებ. კაზე, ინგ. კაზნ || კაძძ ←\*კაწე, ბაცბ. კაწე „ლეკვი“);

(3) ს.-ქართვ. \*ძახ- „სახელი; ძახილი; რქმევა“ (ქართ. ძახ-ილ-ი, ი-ძახ-ი-ს, სახ-ელ-ი ←\*ზახ-ელ-ი, შდრ. ძვ. ქართ. ზახ- ← ძახ-, ზან. ჯოხ-ო(ნ) „ჰქვია“, ვ-უ-ჯოხ-ი „გუძახე“, ჯოხ-ო „სახელი“, სვან. მა-ჟახ-ა „მქვია“, ყნხ-ე || ჟახ-ე „სახელი“) : ს.-ნახ. \*ხად- „გაგონება, სმენა, შეგნება“ (იჩქ. ხახ- || ← ხად-, ინგ. ხად- || ხაზ-, ბაცბ. ხაწ- ←\*ხად- „გაგონება/შეგნება“, შდრ. აფხ. ა-ხძ „სახელი“, ჰურიტ. ხაჟ- „გაგონება“);

(4) ს.-ქართვ. \*კეხ- „კეხი, ნისკარტი“ (ქართ. კეხ-ი, კეხ-იან-ი, ინგილ. კეხ-ვ-ა-დ „ნისკარტით ჩაკვრა“, სვან. კეხ → || კეჰ „კეხი“) : ს.-ნახ. \*ჰაკ- „შუბლი“ (იჩქ. ჰაჟ || ჰაჯ ← ჰაგ || ითუმყ. ჰაგ-ა ←\*ჰაკ-ა „შუბლი“, ინგ. ჰაჟ || ჰაჯ ←\*ჰაგ, ბაცბ. ჰაკ „შუბლი“).

ი) ს.-ქართვ. ფარინგალი ანლაუტში ~ ს.-ნახ. ფარინგალი აუს-ლაუტში:

(1) ს.-ქართვ. \*ჯორც- „ხორცი; სხეული/გვამი“ (ქართ. ჯორც-ი → || ხორც-ი „ცხოველთ სხეული“ (საბა), ზან. ხორც-ი → || ხოწ-ი „ხორცი“) : ს.-ნახ. \*ჩარხ- ←\*ჩარჯ- „გატყავებული და გამომიგნული ცხოველი“ (იჩქ. ჩარხ, ინგ. ჩარხ, ბაცბ. ჩარხ);

(2) ს.-ქართვ. \*ჯედ- „სვლა; გადახდა; მოხდა“; „ამოღება“ (ქართ. ჯად-/ჯედ- → || ხად- || ხდ- „მოხდა, მოხსნა, ამოღება, სვლა“, ზან. ჟთ → ხთ- →|| რთ- „სვლა, ხდომა“, სვან. ჯედ- || ჯდ- „მოსვლა, გადახდა“) : ს.-ნახ. \*დ-ავ-/დ-ეჯ- „გადახდა; მოხდა; ამოღება; მოყვანა“ (იჩქ. თავ-/თდჯ- „გადახდა“, დ-ავ-არ „გამორთმევა, მოხდა; გამოყვანა; მოტანა“, ინგ. თავ-/თდჯ- "id", დ-ავ-არ "id", ბაცბ. თავ-/თეჯ- "id", დ-ეჯ-არ „გადახდა“, დ-ავ-არ „ამოღება“);

(3) ს.-ქართვ. \*ყმ-ა „მოყმე, ვაჟკაცი, რაინდი“ (ქართ. ყმ-ა, მო-ყმ-ე, კაი ყმ-ა, ზან. —, სვან. —) : ს.-ნახ. \*მაყ-ო „თავისუფალი“ (იჩქ. მუყა, ინგ. მუყა, ბაცბ. მაყა);

(4) ს.-ქართვ. \*ჯემ-ალ- „დანა; ხმალი“ (ქართ. ჯრმალ-ი || ჯმალ-ი, ზან. ხამ-ი || ხამ-უ „დანა“) : ს.-ნახ. \*მაჯ-უ „დანა; სამართებელი“ (იჩქ. მუოჯა, ინგ. მუჯ „ჯაყვა“, ბაცბ. მაჯუ „სამართებელი“);

(5) ს.-ქართვ. \*ფებ- „ხბო“ (ქართ. ვბ-ო ←\*ვებ-ო, ვბ-ორ-ებ-ი, ხბ-ო, ზან. ქბ-ულ-ა „მოზვერი“, სვან. ღაბ-ნ-ა || ღაბ-ენ-ა ←\*ღებ-ენ-ა „მოზვერი“) : ს.-ნახ. \*ბაჰა- „თიკანი, ციკანი“ (იჩქ. ბჷჰა-იგ || ბოჰა-იგ || ბოჰა-იგ, ინგ. ბჷგ ←\*ბოჰა-იგ „თიკანი“, ბაცბ. ბოჰა „ციკანი“).

(6) ს.-ქართვ. \*ვალ- „ჩასობა; ჩაფლობა; ჩაყოფა“ (ქართ. ვალ-, ა-ვლ-ი-ს, და-ა-ვალ-ა, სვან. ვალ- „ჩაფლობა, ჩარჭობა, ჩასობა“, ხ-ა-ვალ-ე „ასობს“, ათა-ვალ-ე-ხ „ჩაყავი“) : ს.-ნახ. \*ლაგ-/\*ლეგ- „ჩაყოფა“ (იჩქ. ლაგ-; ინგ. ლაგ-; ბაცბ. ლაგ-არ/ლეგ-არ „ჩაყოფა“).

კ) ს.-ქართვ. ფარინგალი აუსლაუტში ~ ს.-ნახ. ფარინგალი ან-ლაუტში:

(1) ს.-ქართვ. \*ძავ(ჷ)- „ძახვა, ტენა; ნაწლავი, ძეხვი“ (ქართ. ძახ- ←\*ძავ-, ძახ-ავ-ს, ძეხვ-ი ←\*ძახ-ვ-ი „ძეხვი“, ზან. ჯგხ- → || ჯიხ-, ჯიხ-უნ-ს „ტენის ხორცს ნაწლავში“, ენჷ-ჯიხვ-ან-ს „ჩატენილი აქვს“, სვან. ჟაჷ || ჟაჷ || ჟაჷ „ტიკი, ტიკჷორა“) : ს.-ნახ. \*ჰაოდჷ- „ძახვა“ (იჩქ. ჰაოდჷ- → || ჰაოდჷ- „ძახვა“, ინგ. ჰაოდჷ-, ბაცბ. ჰაოდჷ-);

(2) ს.-ქართვ. \*ჭიჭ- „ჭიხი, წილი“ (ქართ. ჭიხ-ი || ჭიჭ-ი, ზან. —, სვან. —) : ს.-ნახ. \*ვიწ- „ბალღინჯო“ (იჩქ. ვიწ-იგ, ინგ. ვიწ-იგ, ბაცბ. ვიწ-იგ).

**§ 3.1.** შედარებებში, საერთო ქართველურ-ნახური ლექსიკური მასალის სრულად წარმოსაჩენად, ასევე უნდა გავითვალისწინოთ განსხვავებული კლასნიშნიანი ძირების ჩვენებაც. მხედველობაში გვაქვს ს.-ქართვ. \*დ-უსთ-ე „მთვარე, თვე“ : ს.-ნახ. \*ბ-უსთ-ე „მთვარე, თვე“ ტიპის მიმართებები. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ აქ საქმე გვაქვს სხვადასხვა (დ-, ბ-) პრეფიქსულ გაფორმებასთან, მსგავსი დ : ბ ოპოზიცია საერთოდ აუხსნელი დავგვრჩება. ვინაიდან არც ქართველური და არც ნახური ფონეტიკა არ იცნობს დ → ბ ან ბ → დ ტიპის გადაბგერებას. ხოლო მორფოლოგიურ-ფუნქციური მომენტის გათვალისწინების შემთხვევაში ცხადი ხდება, რომ საერთო -უსთ- სეგმენტის განსხვავებული კლასნიშნიანი დ-, ბ- ძირთან შეხორცებულ რუდიმენტთან გვაქვს შეხება და აქედან გამომდინარე მსგავსი სტრუქტურის ნახურ-ქართველურ ძირთა ერთმანეთამდე მიყვანა შესაძლებელი ხდება.

არათუ ნახურ-ქართველურ მასალაში, ხშირად საერთოქართველური წარმომავლობის ქართველურ ალომორფებშიც, დაჩნდება ბ : დ ოპოზიცია. კერძოდ, ქართულ ბინჷველ- || ბუნჷველ- ფორმაზე მსჯელობისას არნ. ჩიქობავა წერდა: „ბ- პრეფიქსი უნდა გვქონდეს ბუნჷველ-შიც, რაც ჯინჷველის დიალექტურ ვარიანტს წარმოადგენს — ბუნ- || დი-“ [ჩიქ. 1979: 131]. სვან. მე-რჷკ : ზან. დუნ-მჷკჷ „ჭიანჷველა“ ფორმათა შესატყვისობაზე მიუთითებდა ვ. თოფურია [1960: 154]. ქართულ ბუნჷველა ფუძეს სპეციალური წერილი მიუძღვნა გ. ბურჷულაძემ [2001: 43]. ჩვენი დაკვირვებით, ლაზური დიმჷკჷ სიტყვის განაყოფი ჩანს ბ- → ბ- თავ-

სართიანი ბინჰკუ „ციცინათელა“ ფორმაც [ჩუხ. 2000-2003: 161]; ოლონდ იმ განსხვავებით ქართულისაგან, რომ ლაზურში ბ- → ჰ- თავსართიანმა ალომორფმა განსხვავებული სემანტიკა შეიძინა. ბუნებრივია, ფორმალური გარჩევა ენამ სემანტიკის დონეზეც განასხვავა. ეტიმოლოგ-კომპარატივის-ტების წინაშეც იგივე პრობლემა დადგებოდა ბაცბ. ჰმა<sup>ნ</sup> : ვაინახ. ტყამ || ტამ „ფრთა“, „ბუმბული“; ბაცბ. ფბუე : ვაინახ. თხოჟ „სახურავი, სარქველი“ მიმართებათა კვლევისას. თუ არ გავითვალისწინებთ გრამატიკული კლასის ისტორიული ნიშნების ძირთან შეხორცება/გაქვევების შესაძლებლობას, ფონეტიკურად ერთმანეთამდე ვერ დავიყვანთ ბაცბურ-ვაინახურ ალომორფებსაც კი (sic!), შდრ. შესაბამისად ს.-ქართვ. \*ტყაჟ-„ტყავი“, ს.-ქართვ. \*თხამ- „თხემი“ ფორმები. ქართველური მასალა ამ შემთხვევაში ვაინახურის ტ- || თ- ←\*დ- მაჩვენებლებს მიჰყვება.

კავკასიური ძირის ისტორიის კვლევისას უმნიშვნელოვანესია იმ დებულების გათვალისწინება, რომელიც მოითხოვს ერთი სიტყვის ფარგლებში მორფოლოგიურ-ფუნქციური შესატყვისობების გარჩევა-განსხვავებას ფონეტიკური შესატყვისობებისაგან.

გრამატიკული კლასის კატეგორიის მოშლის მომდევნო ეტაპზე ერთი ენის დიალექტების მიხედვით ერთსა და იმავე ძირს შეიძლება შეუხორცდეს განსხვავებული კლასნიშნის აღმნიშვნელი მორფემები; რისი ნიმუშიც ქართულშიც დაიძებნება, შდრ.: ქართ. (სალიტ.) დ-ინდგელ-ი ~ ქართ. (იმერ.) ბ-ინდგელ-ა „დინდგელი“, ქართ. (სალიტ.) ბ-ოჩოლ-ა ~ ქართ. (გურ., აჭარ.) დ-ოჩოლ-აი „მოზრდილი დეკეული“, ქართ. (სალიტ.) ბ-უტკო ~ ქართ. (ქიზ.) დ-უტკო, ქართ. (ხევს.) ბ-ოყვი ~ ქართ. (ფშ.) დ-ოყვი „მუწუკი“, ქართ. (სალიტ.) ბ-ოკონ-ი ~ ქართ. (გურ.) დ-ოკონ-ი...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: სიტყვის ანლაუტში ფიქსირებული ბ- : დ- ოპოზიცია ნახურ-ქართველურ საერთო ლექსიკურ მასალაში მიუთითებს **მორფოლოგიური მიდგომის აუცილებლობაზე შედარებით-ფორმალური კვლევისას. ამაში ჩანს იბერიულ-კავკასიურ ენათა ძირის სტრუქტურის სპეციფიკა.**

# ვოკალური სისტემა

## I თავი

### § 4. ქართველური და ნახური ენების ხმოვანთა სისტემის ამოსავალი ტიპი.

ა) ვოკალური სისტემის სიმარტივით გამოირჩევა საერთოქართველური ფუძეენური მდგომარეობა. აქ რეკონსტრუირდება ხუთი მარტივი **ა ე ი ო უ** ხმოვანი. საერთოქართველური სურათი თითქმის უცვლელად არის შენარჩუნებული ძველ ქართულ სამწერლო ენაში. ხოლო ფუძეენური მარტივი სისტემის შემდგომი გართულება ნათლად დაჩნდება სვანური ენის დიალექტებში, სადაც ხუთი სადა ხმოვნის გვერდით დასტურდება შეზღუდული დისტრიბუციის მქონე შემდეგი ხმოვნები: **ა ე ი ო უ გ გ ა ო უ ა ო უ ა ო უ**. ზანურში ფიქსირებული ვითარება ქართულისას ემთხვევა, თუმცა მეგრული დიალექტის ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კილოკავში **გ** ირაციონალური ხმოვანი მკვიდრადა ზის [იხ. ჩიქ. 1967: 26; კიზ. 1967: 64; თოფ. 1967: 78].

როგორც ირკვევა, საერთოქართველურში მარტივ ხმოვანთა დისტრიბუცია თავისუფალი იყო. მისთვის არ ყოფილა დამახასიათებელი ხმოვანთა კომპლექსი ერთი მორფემის ფარგლებში [უთურგ. 1976: 32-33; მაჭ. 1966: 4]. მაგრამ გვაქვს ორადორი შემთხვევა, რომელშიც გამონაკლისის სახით დასტურდება საერთოქართველური **ია** თანმიმდევრობა: ს.-ქართვ. **\*ხილ-** „ხარება, სიხარული“ (ქართ. მ-**ხიარ-**ულ-ი ←\*მ-**ხილ-**ურ-ი : ზან. **ხილ-**ი „სიხარული“ : სვან. **ხილ-** ←\***ხილ-** "id"), ს.-ქართვ. **\*ზიარ-** „ზიარება; ბზარვა“ (ქართ. **ზიარ-** „ზიარი, ზიარება“ : ზან. **ზიორ-** „გაბზარვა, ბზარი“ : სვან. —). დასახელებულ ძირებში **ია** თანმიმდევრობის გენეზისი არ არის გარკვეული.

საერთოქართველური **\*ა \*ე \*ი \*ო \*უ** ვოკალური სისტემა აღდგება ხმოვნურ ბგერათშესატყვისობათა შემდეგი ფორმულის საფუძველზე:

ს.-ქართვ.	ქართ.	ზან.	სვან.
<b>*ა</b>	ა →/ე	ე/ო/უ/ა	ა →/ა/ე/ი
<b>*ე</b>	ე	ა/ე/ი	ე →/ა
<b>*ი</b>	ი	ი/ე	ი/ე →/ა
<b>*ო</b>	ო	ო/უ/ე	ო/ო/უ/ე
<b>*უ</b>	უ	უ/ო	უ/ი

საერთოაქართველური ვოკალური სისტემა ტაბულის სახით შემდეგნაირად გამოისახება:

ლოკალური რიგი ენის აწეულობა	წინა წარმოების	უკანა წარმოების	
		არაბაგისმიერი	ბაგისმიერი
მაღალი	* <b>ი</b>		* <b>უ</b>
საშუალო	* <b>ე</b>		* <b>ო</b>
დაბალი		* <b>ა</b>	

ბ) პარადიგმატული ანალიზისას თანამედროვე ნახურ ენათა ვოკალიზში შეიძლება დახასიათდეს შემდეგი ექვსი ნიშნის მიხედვით: 1) **ლოკალური რიგი**, 2) **ენის აწეულობა**, 3) **ბაგისმიერი-არაბაგისმიერი**, 4) **გრძელი-არაგრძელი**, 5) **ნაზალიზებული-არანაზალიზებული**, 6) **პალატალიზებული-არაპალატალიზებული**. აქედან უკანასკნელი სამი ნიშანი შექმნილი ჩანს გვიან პერიოდში; მას შემდგომ, რაც საბოლოოდ განხორციელდა ლაბიალიზებულ კომპლექსთა სუბერაცია გვიანსაერთონახური ერთობის ხანაში [ჩუხ. 1989: 123]. კერძოდ, ლაბიალური **ჟ** სეგმენტის გაუჩინარებამ კვალი დატოვა წინამავალი ან მომდევნო ხმოვნის სიგრძის სახით — **ჟV → V̄, Vჟ → V̄**, შდრ. ინგ. გუჟ : იჩქ. გუჟ ←\*გუჟ „ბორცვი, გორაკი“. ვაინახურ ენებში **ჟი, ჟე** ხმოვანკომპლექსთა შერწყმით მივიღეთ **ჟ, ო** პალატალიზებული ალოფონები, შდრ. ბაცბ. **ტვი** : ვაინახ. **ტჟნ** || **ტუნ** „ცვარი“. ხოლო ნაზალიზებულ ხმოვანთა სისტემა ჩამოყალიბდა უკვე ისტორიულად ფიქსირებულ ნახურ ენებში აუსლაუტური **ნ** დენტალის ნაზალური არტიკულაციის წინამავალ ხმოვანზე გადასვლით (ასიმილაციური ნაზალიზაცია): **Vნ → V<sup>ნ</sup>**, შდრ. ქართ. **ციკან-** → ბაცბ. **ციკან<sup>ნ</sup>** „ციკანი“, მაგრამ **ციკნ-**ებს „ციკანს“.

ფუძენახური ვითარება შედარებით უკეთ ბაცბურმა შემოინახა, სადაც ისტორიულ-შედარებითი ანალიზითა და შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდის გამოყენებით ხუთი **ა ე ი ო უ** ძირითადი ხმოვანი გამოიყოფა; ინგუშურში ფუნქციონირებს **ა ა ე ი ო უ გ ა ო უ** ხმოვანთა სისტემა, რომელიც ხუთი მარტივი ხმოვნის გართულებულ სახეობას გვიჩვენებს. იჩქერიული ენის დიალექტებში ხმოვანთა რაოდენობა მაქსიმალურს უახლოვდება: **ა ა ა ე ე ი ი ო ო ო ო უ უ უ უ**, რომელთაც ზედ ერთვის დიფთონგთა მთელი სერია [ინ. სომ. 1933, XI; მაგ. 1974; იმნ. 1977: 21-170; დეშ. 1960; დეშ. 1963: 176-219]. მიუხედავად ნახურ ენათა ხმოვანთა სისტემის სინქრონიული მრავალფეროვნებისა, ამოსავალი ვითარება საერთოაქართველურისებური უნდა ყოფილიყო. ფუძენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება **ა ე ი ო უ** სადა ხმოვანი. დ. იმნაიშვილი ვარაუდობდა **ა ა ი უ** ოთხწევროვან ვოკალურ სისტემას

[იმნ. 1977: 170], რაც არ უნდა იყოს მართებული.\*

საერთონახურში მარტივ ხმოვანთა დისტრიბუცია თავისუფალი იყო. აქ, ისევე როგორც საერთოქართველურ ფუძე-ენაში, აკრძალულ თანმიმდევრობათა რიცხვს განეკუთვნებოდა ხმოვანკომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში.

საერთონახური \*ა \*ე \*ი \*ო \*უ ხმოვანთა მარტივი სისტემა რეკონსტრუირდება ნახურ ენებს შორის ფიქსირებულ ბგერათშესატყვისობათა შემდეგი ფორმულის საფუძველზე:

ს.-ნახ.	ჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ა	ა/ა/ა/ა	ა/ა/ა/ა	ა/ა
*ე	ე/ე/ე/ე	ე/ე/ა	ე/ე
*ი	ი/ი	ი/გ/ა	ი/ი
*ო	ო/ო/ო/ო	ო/ე ← ო/ო	ო/ო/ო
*უ	უ/უ/უ/უ	უ/ი ← *უ	უ/უ

ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირებული საერთონახური ვოკალური სისტემა ტაბულის სახით შემდეგნაირად ჩაიწერება:

ლოკალური რიგი	წინა წარმოების	უკანა წარმოების	
		არაბაგისმიერი	ბაგისმიერი
ენის აწეულობა			
მაღალი	*ი		*უ
საშუალო	*ე		*ო
დაბალი		*ა	

### ხმოვანთა შესატყვისობანი ქართველურ-ნახურ ენებში

სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად მიანიშნებენ იბერიულ-კავკასიურ ენათა ვოკალური სისტემის მონაცემთა გაუთვალისწინებლობაზე ბგერათშესატყვისობათა დადგენისას [კლიმ.-ხალ. 2003]. ჩვენი დაკვირვებით, ერთი სიტყვის (მორფემის) ფარგლებში კონსონანტური რიგის ბგერათშესატყვისობათა პარალელურად გამოვლინებადია ვოკალური მიმართების სისტემურობაც; ანუ თუ არსებობს თანხმოვანშესატყვისობათა სისტემა, იქვე სინქრონიულად (resp. ერთდროულად) უნდა ვლინდებოდეს კანონზომიერი და სისტემური ხმოვანკორესპონდენციებიც.

\* ხუნძურ-ანდიურ-დიდოურისთვის ო უ ლაბიალურ ხმოვნებს მეორეული წარმოშობის ფონემებად მიიჩნევს ნ. არდოტელი [არდოტ. 2002: 56]. დალ. ფუძეენური მდგომარეობისთვის აღსადგენია ა ი უ — არნ. ჩიქობავას ვარაუდით, ე და ო მეორეული უნდა იყოს [ჩიქ. 1979: 49]. ნახურ-ქართველურ ენათა ჩვენება მხარს არ უჭერს სამწვერიანი ვოკალიზმის პოსტულაციას.



ჩვენ მიერ შედგენილი ქართველურ-ნახური ეტიმოლოგიური ლექსიკონის მასალებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ კანონზომიერი და რეგულარული ხასიათის ხმოვანთა შესატყვისობები ვლინდება როგორც საერთო-ქართველურსა და საერთონახურ ფუძე-ენებს შორის, ისე ამა თუ იმ ჯგუფის შიგნით ცალკეულ ენებს შორისაც.

ჩვენთვის, კვლევის ამჟამინდელ ეტაპზე, უმთავრესია წარმოვადგინოთ ნახურ-ქართველური ხმოვნური შესატყვისობების სრული ფორმულები; ანუ აღვწეროთ ხმოვნური მიმართების ყველა შესაძლო სახეობა ფუძე-ენათა დონეზე. მომდევნო ეტაპის ამოცანად გვესახება დადგენილ ხმოვნურ მიმართებათა რელატიური ქრონოლოგიის დადგენა.

**§ 5. ამოსავალი \*ა ხმოვნის შესატყვისობანი.** წინარე-ენიდან მომდინარე \*ა ვოკალის შესატყვისობები ქართველურ-ნახურ ენებში არაერთგვაროვანია. აქ დასტურდება როგორც იდენტური, ისე დიფერენცირებული შესატყვისობანი. გამოიყოფა შემდეგი სახის ხმოვნური მიმართებები: 1. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ა; 2. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ო; 3. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ე; ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ი. ქვემოთ წარმოვადგინოთ ამოსავალი \*ა ხმოვნის შესატყვისობის შესაძლო ფორმულები ყველა აღსაწერი ენის მონაცემთა მიხედვით ცალ-ცალკე.

**§ 5.1. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ა** იდენტური რიგის ბგერათშესატყვისობაა, შდრ. ქართ. ა : სვან. ა (ას-ი : აშ-ირ "id").

ფ.-ე.*	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ა	ა	ა	ა	ო/უ	ა/ე	ა	ა/ო	ა

(1) ს.-ქართვ. \*კაც- „კაცი; ქმარი“ (ქართ. კაც-ი, კაც-ებ-ა-ე || კაც-ობ-ა-ე, ზან. კოი-ი „კაცი“, კოი-ონ-ი „კაცებრივი“, სვან. ჭაშ || ჭაშ ←\*კაშ „ქმარი“, ჭაშ-დაქ „საქმრო“) : ს.-ნახ. \*სთაკ- „კაცი; მამაკაცი“ (იჩქ. სთაკ ←\*სთაკ, ინგ. საგ ←\*სთაკ, ბაცბ. სტაკ ←\*სთაკ);

(2) ს.-ქართვ. \*წყარტ- „მწყერი“ (ქართ. მწყერი-ი ←\*წყარი-ი, ზან. ჭყორ-ი „მწყერი“, სვან. შეყუტ || შეწყუტ ←\*ჭყარტ „მწყერი“) : ს.-ნახ. \*ჭყარდ- „ტოროლა“ (იჩქ. ჭყარდ-, ლე-ჭყარდ-იგ „მთის ნამგალა“, ინგ. ჭყორდ „ტოროლა“, ბაცბ. ჭყარდ);

(3) ს.-ქართვ. \*ბარწყ- „ბარკალი, ფეხი, ბარძაყი“ (ქართ. ბარძაყ-ი, ზან. ბოჭოკ-ი „საქონლის, ღორის ფეხი“, შდრ. გურ., იმერ. ბოჭოკ-ი (← ზან.) ბოჭოკ-ი) : ს.-ნახ. \*ბარწყ- „ტანსაცმელი“ (იჩქ. ბარწყ || ბარწყ || ← ბარწყ „ტანსაცმელი“, ინგ. ბარწყ → || ბარწყა, ბაცბ. ბარწყ);

(4) ს.-ქართვ. \*წალ- „წალო, განჯინა“ (ქართ. წალ-ო „მთხრებლის სახეობა“ (საბა), „განჯინა“, ზან. ჭა, სიტყვაში ინ-ჭა „ჭა“, შდრ. სვან. (← ზან.) ჭარ-არ „ჭები“) : ს.-ნახ. \*წან- „ოთახი“ (იჩქ. წა — მრ. წენ-ოშ, ინგ. წა

\* ფ.-ე. განიმარტება როგორც ფუძეენური.

←\*წან, ბაცბ. წა — მრ. წენ-ბუჟ);

(5) ს.-ქართვ. \*ლას- „რბილი, თხელი, მატყლი“ (ქართ. ლას-ა „აბ-რეშუმის თხელი ქსელი“, სვან. ღენშ-ი ←\*ლანშ-ი „ნაზი, რბილი მატყლი“) : ს.-ნახ. \*ჰას-ე „ბოჭკო; ცხოველური ორგანიზმის დაფისებრი ნაწილი“ (იჩქ. ჰასა, ინგ. ჰასს ←\*ჰასე, ბაცბ. ჰასე);

(6) ს.-ქართვ. \*მას-ე „ბადე; ობობას ქსელი“ (ქართ. მასე „ბადე“, ზან. მოსა „ბადე“, მოსა-ბოდ-ა = მას-ე-ბად-ე, ნა-მოს-ა „ნაქსოვი, ქსელი“) : ს.-ნახ. \*მამ-ე „ოჯახში ნაქსოვი მაუდი; ობობას ქსელი“ (იჩქ. მამა, ინგ. მამშ, ბაცბ. მამშ „მატყლის დაფის ნაქსოვი“);

(7) ს.-ქართვ. \*წყაჟ- „წყავი; ძალყურძენა“ (ქართ. წყავ-ი || მ-წყავ-ი, ზან. \*წყოლ-ი → წყი || წყეი || მ-წყო(ლ) „წყავი“, მ-წყოლ-ეფ-უნ-ა „წყავნარი“, სვან. წყეჟ || წყაჟ „წყავი; ძალყურძენა“) : ს.-ნახ. \*წყარ- „ველური ხახვი“ (იჩქ. წყარ-გ || წყარ-აგ, ინგ. წყარ-გ, ბაცბ. წყარ-<sup>1</sup>);

(8) ს.-ქართვ. \*სამთ- „ფართო ცულისებრი პირის მქონე დანა“ (ქართ. (მესხ.) სათ-ირ-ი, ქართლ., ქიზ. სათ-ულ-ი, ზან. შუნთ-ი ←\*შომთ-ი „ხის სათლელი იარაღი“, შდრ. იმერ. (← ზან.) შმუთ-ი ←\*შუმთ-ი) : ს.-ნახ. \*შალთ-ი „ხანჯალი; სატევარი“ (იჩქ. შალთა || შალთი, ინგ. შალთშ, ბაცბ. შალთ ←\*შალთი);

(9) ს.-ქართვ. \*კუარცხ- „ფეხი“ (ქართ. კუარცხ-ლ-ბერკ-ი || კუარცხ-ბეკ-ი, მ-კუირცხ-ლ-ი || მ-კუირცხ-ი „ქვეითი“, მო-კურცხ-ლ-ა, ზან. კუჩხ-ი/ე ←\*კუჩხ-ი „ფეხი“, ო-კუ(რ)ჩხ-ან-ე „ფერხითი“, ნო-კუჩხ-ენ-ი „ნაფეხური“, სვან. კუაჩხ-ა-ფ || მუ-კუ(ა)ჩხ-ი „კოჭლი“, ჰიშხ ←\*კუჩხ „ფეხი“) : ს.-ნახ. \*კაჩ- „ფეხი“ (იჩქ. «კაჩ», ინგ. «კაჩ», ბაცბ. კაჩ „ფეხი“);

(10) ს.-ქართვ. \*კაცა- „ტარი, ხელნა; ტახტა“ (ქართ. (ლეჩხ., აჭარ.) კაცა, ზან. კაჩო „უნაგირის ტახტა“, შდრ. აჭარ. (← ზან.) კაჩო "id") : ს.-ნახ. \*ჯარჩ- „ხელნა ურმისა“ (იჩქ. აჯარჩ || აარჩ, ინგ. აჯარჩ, ბაცბ. «არჩ»);

(11) ს.-ქართვ. \*გარ- „ძებნა, შოვნა“ (ქართ. გარ-, მო-ნა-გარ-ი, ზან. გორ-, ო-გორ-უ || გორ-უ-ა „ძებნა“, გორ-უ „მძებნელი“, ნო-გორ-უ-ე „ძებნიდა“) : ს.-ნახ. \*ქარ- „ძებნა, პოვნა“ (იჩქ. ქარ-, ქარ-უ, ინგ. ქარ-, ქარ-უო, ბაცბ. ქარ-);

(12) ს.-ქართვ. \*ბარწ- „ბერწი“ (ქართ. ბერწ-ი ←\*ბარწ-ი, ზან. ბურჭ-ი ←\*ბორჭ-ი „ბერწი“) : ს.-ნახ. \*ბმარწ-ონ „ჯორი“ (იჩქ. ბმარწ-ა<sup>5</sup> || ბმარძ-ა<sup>5</sup>, ინგ. ბმარძ-ა<sup>5</sup> ←\*ბმარწ-ა<sup>5</sup>, ბაცბ. ბმარწ-ონ<sup>5</sup>);

(13) ს.-ქართვ. \*ი-ფხალ- „გვიმრა, ჩადუნა“ (ქართ. იფხლ-ი, რაჭ. იფხლ-ა „ჩადუნა“, ზან. ლ-იმხუნ-ა || ლ-იმხონ-ა ←\*ი-ფხონ-ა „გვიმრის

სახეობა“, სვან. იფხ ←\*იფხაჲ „გვიმრა“) : ს.-ნახ. \*ფხან- „რცხილა“ (იჩქ. ფხა || ფხან-ო, ინგ. ფხან, ბაცბ. ოფხანო<sup>7</sup>);

(14) ს.-ქართვ. \*ფხა- „თევზის წვრილი ძვალი; გველის ძვალი“ (ქართ. ფხა, ზან. ფხა → || მხა || ხა „თევზის ძვალი“, სვან. ფხა "id") : ს.-ნახ. \*ფხა- „ძარღვი“ (იჩქ. ფხა, ინგ. ფხა, ბაცბ. ფხა „ძარღვი, ნერვი“);

(15) ს.-ქართვ. \*ფასთ- „რკინის კავიანი იარაღი“ (ქართ. ფათ-ი, ფათ-ე (ანთრობ.), ზან. ჭვირთ-ი ←\*ჭორთ-ი „თევზის საჭერი რკინის კავიანი ჯოხი“, სვან. ოჭამო<sup>7</sup>) : ს.-ნახ. \*ფასთ-ო „სპილენძი“ (იჩქ. ფასთა || ფოსთ || ფასთო, ინგ. ფასთა, ბაცბ. ფასტ ←\*ფასთო<sup>7</sup>);

(16) ს.-ქართვ. \*წარ- „კანი, გარეკანი“ (ქართ. წარ-ი, ზე-წარ-ი, წერ-ი ←\*წარ-ი „ნიგვზის კანი“, ზან. ჭილ-ა || ჭგლ-ა ←\*ჭოლ-ა „ნიგვზის გარეკანი“) : ს.-ნახ. \*ჭარ- || ჭყარ- „კანი; ჩენჩო“ (იჩქ. ჭყორ || ჭორ || ჭყარ, ინგ. ჭორ- || ჭჳორ-გ, ბაცბ. ჭარ);

(17) ს.-ქართვ. \*მატყალ- „მატყლი“ (ქართ. მატყლ-ი, ზან. მონტ-ყორ-ი → || მონტყორ-ი „მატყლი“, სვან. მჳტყ || მატყ "id") : ს.-ნახ. \*ტარლან- „ბალანი; ბეწვი“ (იჩქ. ტარლან — მრ. ტარლან-აშ, ინგ. ტარლან ←\*ტარლან<sup>5</sup>, ბაცბ. ოტარლან<sup>7</sup>);

(18) ს.-ქართვ. \*ბაწ- „ბაწარი; შეეკვრა, შებოჭვა“ (ქართ. ბაწ-, ბაწ-არ-ი, ზან. ბოჭ-, სქუ-ბოჭ-უ-ა „შეეკვრა“) : ს.-ნახ. \*ჭაბ-ან „თოკი“ (იჩქ. ჭაბა — მრ. ჭაბან-აშ, ინგ. ჭაბ-ან ←\*ჭაბან<sup>5</sup>, ბაცბ. ოჭაბან<sup>7</sup>, შდრ. ქართ. (← ბაცბ.) ჭაბან-ი);

(19) ს.-ქართვ. \*ბაყუ- „თეძოს/ზურგის ძვალი; ღლაყვი“ (ქართ. ბაყვი || ბაყუ-ი, ზან. ბოყვი „ბარძაყის შიგნითა ნაწილი“, შდრ. იმერ. (← ზან.) ბოყვი „საჯდომი ძვალი“, სვან. ფჳყ || ფოყ || ფეყუ ←\*ბჳყუ „თეძო, გავა; მხარი“) : ს.-ნახ. \*ბალ- „მხარი; მხრები“ (იჩქ. ბელ-შ, ბოლ-ამ „მხარი“, ინგ. ბელ-აშ, ბალ-ამ "id", ბაცბ. ბალ-ი „მხრები“);

(20) ს.-ქართვ. \*ბალი- „ბალი“ (ქართ. ბალ-ი, ბალ-ლოჯ-ი, ზან. ბულ-ი ←\*ბოლ-ი „ბალი“, ბულ-ობ-ა = ბლ-ობ-ა „იენისი“) : ს.-ნახ. \*ბალი- „მიწის მსხალი“ (იჩქ. ბალ-გ || ბალ-აგ, ინგ. ბოლ-აქ ←\*ბოლ-აგ, ბაცბ. ობალი-კ<sup>7</sup>);

(21) ს.-ქართვ. \*ქუას- „ცოცხი; გამოცოცხვა, გვა, წმენდა“ (ქართ. ოქუას-<sup>7</sup>, ზან. ქოს-, ო-ქოს-ალ-ი/ე „ცოცხი“, ქოს-უ-ა || ო-ქოს-უ „დაგვა, წმენდა“, სვან. ქუას || ქუას-ი „ბალახის ცოცხი“) : ს.-ნახ. \*ქას- „მომკა; მომკილი მცენარის სვრელი“ (იჩქ. ქმეს || ქას „მომკილი ბალახის ან მარცვლეულის სვრელი“, ინგ. ქეს- "id", ბაცბ. ოქას-<sup>7</sup>);

(22) ს.-ქართვ. \*წამ- „თვალის დახამხამება; გათენება/დილა“ (ქართ. წამ-ი, წამ-ის ყოფა“ (საბა), ძვ. ქართ. წამ-ს უყოფდნენ „ანიშნებდნენ“,

ზან. ჭუმ- ←\*ჭომ-, ო-ჭუმ-ე || ჭუმ-ე || ჭუმ-ან-ი „ხვალ“, ო-ჭუმ-არ-ე || ო-ჭუმ-არ-ე „დილა“, ამ-ჭუმ-ან-ი || ამ-ჭუმ-ან-ი „ამ დილას“, სვან. ჰამ „დილა“, ჰამ-ს „დილით“) : ს.-ნახ. \*წამ- „გაღვიძება“ (იჩქ. წჰა-წამ-<sup>1</sup>, ინგ. წჰა-წამ-<sup>1</sup>, ბაცბ. ჰჰა-წამ-წამ-დარ „გაღვიძება“).

**§ 5.2. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ო** ბგერათშესატყვისობა, რომელიც არაერთ მაგალითს ითვლის, ტიპოლოგიურად ემსგავსება ქართველურ ენებს შორის ფიქსირებულ შეფარდებას — ქართ. ა : ზან. ო (კაცი : კოჩი), რაც არტიკულაციის უკან გადაწევით (ლაბიალიზაცია) აიხსნება.

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ა	ა	ო	ა	ო/უ	ა/ე/ი	ო	ო	ო

(1) ს.-ქართვ. \*ტალ- „კაჭი; ძალიან მაგარი ქვა“ (ქართ. ტალ-ი, ტალ-კვეს-ი, ზან. ტოლ-<sup>1</sup>, შდრ. სვან. (← მეგრ.) ტოლ „კაჭი“) : ს.-ნახ. \*ტოლ- „ქვა“ (იჩქ. ტულ-გ || ტოლ-აგ || ტულ-აგ, ინგ. ტოლ-გ, ბაცბ. ტოლ-აკ<sup>1</sup>);

(2) ს.-ქართვ. \*დაყუ- „იდაყვი“ (ქართ. დაყუ-, ი-დაყვი-ი, ნი-დაყვი-ი, ზან. დუყ-ი || დუყუ ←\*დოყვი-ი „იდაყვი“) : ს.-ნახ. \*დოლ- „წყრთა; სა-ზომი ერთეული“ (იჩქ. დუოლ || დოლ, ინგ. დოლ, ბაცბ. დოლ);

(3) ს.-ქართვ. \*ზამუ- „შაშვი“ (ქართ. შამუ-ი || შამუ-ი, შომ-ია ←\*შამვი-ია, ზან. მ-ზესქუ || ზესქუ || ზესქვი ←\*ჟომქვი-ი „შაშვი“) : ს.-ნახ. \*ჟორმ-ან „შაშვი, შოშია“ (იჩქ. შუორმ-ალ || შორმ-ალ || სორს-ალ, ინგ. სდერს-ალ, ბაცბ. შორმ-ან<sup>1</sup>);

(4) ს.-ქართვ. \*კარუ- „კრავი, ბატკანი“ (ქართ. კრავ-ი ←\*კარვ-ი, ზან. კირიბ-ი || კვრიბ-ი ←\*კორიბ-ი „კრავი“) : ს.-ნახ. \*კორნ- „ცხვრელ-თა ნაშიერი საზოგადოდ“ (იჩქ. კუორნ-ი || კორნ-ად, ინგ. კორ-იგ ←\*კორნ-იგ, ბაცბ. კორნ-იკ<sup>1</sup>);

(5) ს.-ქართვ. \*ტან- „სახლი, სადგომი“ (ქართ. ვან-ი, სა-ვან-ე, და-ვან-ებ-ა-დ, და-ი-ვან-ა, ზან. ონ-ი ←\*ვონ-ი = ვან-ი (ტობ.)) : ს.-ნახ. \*ბონ- „ქოხი“ (იჩქ. ბუნ, ჰებ. მრ. ბონ-ნ-ომ, ინგ. ბუ — მრ. ბონ-შუ, ბაცბ. ბონ<sup>1</sup> „ქოხი“);

(6) ს.-ქართვ. \*ძარლუ- „ძარღვი“ (ქართ. ძარღვი-ი || ძარლუ-ი || ძარლუ, ზან. ჯერღვი ←\*ჯორღვი-ი „ძარღვი“, სვან. ჯარლუ "id") : ს.-ნახ. \*ძორლ- „კუჭი“ (იჩქ. ძორს → || ზორს, ინგ. ძორს, ბაცბ. ძორს<sup>1</sup>);

(7) ს.-ქართვ. \*ვალ- „ოდნავ შეწვა; მოხალვა“ (ძვ. ქართ. ვალ-ი, მო-ვალ-ვ-ა, ზან. ხურ- „ცხელება“, ა-ხურ-ენ-ს „ცხელება აქვს“) : ს.-ნახ. \*ვოლუ- „ნამწვი“ (იჩქ. ვოლუ, ინგ. ვოლუ || ვოვ, ბაცბ. ვოვ<sup>1</sup>);

(8) ს.-ქართვ. \*კალ- „მწარე“ (ქართ. კალ-, წან-კალ-ებ-ა „მწამწარე-ბა“, ამონა-კალ-ებ-ა „ამომწარება“, ზან. ნკოლ-ო || კოლ-ო „მწარე“, გი-კოლ-უ-ან-ს „წაიმწარებს“) : ს.-ნახ. \*კონ- „მწარე“ (იჩქ. კონ || კუნ, ინგ.

კომ-ნ, ბაცბ. კონ-ონ<sup>ნ</sup> „მწარე“);

(9) ს.-ქართვ. \*წაჲ-არ- „წავი“ (ქართ. წავ-ი || მ-წავ-ი, ზან. წვინ-ორ-ი || წვინ-არ-ი „წავი“, სვან. წიჲ-ერ || წიჲ-ერ "id") : ს.-ნახ. \*ჭობ-„წყლის ბულა“ (იჩქ. ჭუობ || ჭობ, ინგ. ჭობ || ჭოფ, ბაცბ. Ⴀობ<sup>ჴ</sup>);

(10) ს.-ქართვ. \*ძალ-ალ- „ძალლი“ (ქართ. ძალლ-ი, ზან. ჯლორ-ი „ძალლი“, სვან. ჟელ(ჲ) "id") : ს.-ნახ. \*წყ- ← \*ძყ- „ფოცხვერი; გარეჲ-ლი კატა“ (იჩქ. წუყ || წყ, ინგ. წყ, ბაცბ. წყ<sup>ჴ</sup>);

(11) ს.-ქართვ. \*ლად-ენ-/-ინ- „განსჯა, სამართლის ქმნა“ (ქართ. ღდ-ინ-ი „განსჯა, რჯული, სარწმუნოება“, ზან. ღდ-ან-ა ← \*ღდ-ან-ა „განსჯა, ძრახვა“, სვან. ღედ „სამართალი“, ი-ლ-ღედ-ი „განსჯის“, უ-ლ-ღ-ჲ „უსამართლო, უკანონო“) : ს.-ნახ. \*ღდ-ან- „ჯარიმა, დაჯარიმება“ (იჩქ. ღუ-და — მრ. ღუდან-აშ, ინგ. ღოდჲ, ბაცბ. Ⴀოდ-<sup>ჴ</sup>);

(12) ს.-ქართვ. \*თხზ- „წვნა; თხზვა“ (ძვ. ქართ. შე-ს-თხზ-ი, ნა-თხზ-ენ-ი, ზან. ო-თხზ-ჲ-ჲ „წვნა“, თხზ-ერ-ი „წაწნა“, ვ-ი-თხზ-ჲ-ჲ „ვიწნავ“) : ს.-ნახ. \*ხზ- „წნელი“ (იჩქ. (ითუმყ.) ხზ, ინგ. ხუზ || ხზ, ბაცბ. ღზ ← \*ხზ „წნელი“);

(13) ს.-ქართვ. \*გალ-ო „მუხლი; ფეხის ნაწილი თითებიდან წვივა-მდე“ (ქართ. გალო, სვან. გულ ← \*გალჲ ← \*გალო „მუხლი“) : ს.-ნახ. \*გოლ-ო „იდაყვი, მუხლი“ (იჩქ. გულა, ინგ. გოლჲ, ბაცბ. გოგ-გ, შდრ. ოლოკ ← \*გოლო „იდაყვი“);

(14) ს.-ქართვ. \*ძალ- „ძალა, ძლევა“ (ქართ. ძალ-ი || ძალ-ა, და-ძალ-ებ-ა, ზან. მო-ნჯოლ-ჲ-ს „ძლევა“, მე-ნჯელ-ი ← \*მე-ნჯოლ-ი „ძლიერი“, სვან. ო-ხ-ჲ-ნა-ჲ-არ „გაუძლო“) : ს.-ნახ. \*ძორ- „ლონიერება, გულა-ღობა“ (იჩქ. ზორ-ემ || ძორ-ემ, ინგ. ძორ-ჲ-ემ, ბაცბ. ზორ-ადჲი „ლონიერად“, ზორ-ან<sup>ნ</sup> „ფხიანი“);

(15) ს.-ქართვ. \*ბლარტ- „ბლარტი, ბარტყი“ (ქართ. ბლარტ-ი → || ბარტყ-ი, ზან. ბჲ(რ)ტყ-ჲ, ბჲტყ-ატყ-ია „ჩვილი, ყრმა“) : ს.-ნახ. \*ბჲოტ- „ზრდასრული არსება (ადამიანი)“ (იჩქ. ბჲოტა || ბჲოტა, ინგ. ბჲოტჲ, ბაცბ. Ⴀოტ-<sup>ჴ</sup>);

(16) ს.-ქართვ. \*კათხა „კათხა/კოთხო“ (ქართ. კათხ-ა, ზან. კოთხ-ო → || კორთხ-ო „ხის ჭურჭელი (მარცვლეულის საწყაო)“, სვან. კათხ ← \*კათხ-ა „ხის ფეხებიანი სასმისი“) : ს.-ნახ. \*ყორთხ-ოლ- „ჭურჭელი“ (იჩქ. ცუორ-თხალ, ინგ. ცუორთხალ, ბაცბ. Ⴀორთხოლ<sup>ჴ</sup>);

(17) ს.-ქართვ. \*მე-კერცხალ- „ნეკერხალი“ (ქართ. ნე-კერცხალ-ი || მე-კენჩხალ-ი, ზან. ლა-კენჩხალ) || ლე-კენჩხალ-ი "id", სვან. ბი-კენჩხალ || ბი-კენჩხალ "id") : ს.-ნახ. \*კარცხოლ- „რცხილა/აკაცია; ეკალი“ (იჩქ. კოხცალ || კოცხალ || კაცხოლ, ინგ. კარცხალ ← \*კარცხოლ, ბაცბ. კარ-ცხილ ← \*კარცხოლ);

(18) ს.-ქართვ. \*ბად-ე „ბადე“ (ქართ. ბადე, ზან. ბოდა „ბადე“, ბოდა-კალი „ბადე-ჯონი“, ო-ბოდ-ალ-ე „ტომარა ბადისებური“, სვან. ბჷდ „ბადე; ობობას ქსელი“) : ს.-ნახ. \*ბოდ- „ბადე, ქსოვილი; მახე“ (იჩქ. ბოდ ←\*ბოდ „ბადე, ქსოვილი“, ინგ. ბოდნ-გ ←\*ბოდნ-გ „მახე“, ბაცბ. ბოდ "id");

(19) ს.-ქართვ. \*კარ-ა „კერია; ფიქალის ქვა, კერიის ქვა“ (ქართ. კერ-ა, კერ-ია, ზან. კირ-ა ←\*კორ-ა „კერია“, სვან. კა — მრ. კარ-ჲლ „ფიქალის ქვა, კერია“) : ს.-ნახ. \*კორ-ა „ნახშირი“ (იჩქ. კუორა || კორა, ინგ. კორ ←\*კორა, ბაცბ. კორ);

(20) ს.-ქართვ. \*თამ-ელ- „თამელი“ (ქართ. თამელი-ი, ზან. რთომ-ი || თომ-ი ←\*თომჷ, სვან. შტჷმ || შდჷმ ←\*შთამჷ „ერთგვარი მცენარე“) : ს.-ნახ. \*თომარ- „ერთგვარი მცენარე“, "poroz" (იჩქ. თუომარი || თომარი, ინგ. თუმარ-გ, ბაცბ. რთომარ);

(21) ს.-ქართვ. \*ტატ- „ტორი; ბარკალი“ (ქართ. (ინგილ.) ტატ-ა-მ „დიდი ტორი“, ზან. ტოტ-ი „წიხლი“, ტუტ-ულ-ი „ბარკალი“) : ს.-ნახ. \*ტოტ- „ცხოველის ფეხი; ტორი“ (იჩქ. ტუოდ || ტოდ ←\*ტოტ, ინგ. ტოდ ←\*ტოტ, ბაცბ. ტოტ);

(22) ს.-ქართვ. \*ძაჷ(ჷ)- „ძახვა, ტენა; ნაწლავი, ძეხვი“ (ქართ. ძახ-ავ-ს, ძეხ-ვი ←\*ძახ-ვი, ზან. ჯინ-ჷ-ა || ჯგნ-ჷ-ა „ჩატენა“, ჷ-ჯგნ-ვი-ან-ს „ჩატენილი აქვს“, სვან. ჟჷჷ || ჟაჷ ←\*ჯაჷ „ტიკი, ტიკჭორა“) : ს.-ნახ. \*ჰოდჷ- „ძახვა“ (იჩქ. ჰოდჷ-არ || ჰოდჷ-არ, ინგ. ჰოდჷ-არ, ბაცბ. რჰოდჷ-);

(23) ს.-ქართვ. \*კართ- „კართომა; გალიზიანება/ფრთხობა“ (ქართ. კართ-ებ-ა, გან-ჰ-კერთ „შეშინდი“, ზან. კუთ- → || მკუთ-, ა-კუთ-ჷ „სუნ-თქვა ეკვრის“, ე-მკუთ-ინ-ჷ „დაფრთხობა; გალიზიანება“, ე-მკუთ-ჷ „და-ფრთხა“) : ს.-ნახ. \*კორდ- „მოხეზრება, გალიზიანება, მოწყენა“ (იჩქ. კუ-ორდ-ჷო, ინგ. კორდ-დე, ბაცბ. კორტ- ←\*კორდ- „გალიზიანება, მოწყენა“, კორტ-დუდნ „მოსაწყენი“);

(24) ს.-ქართვ. \*ღად- „ცერცვი, ქონდარი“ (ქართ. (მობ.) ვად-ჷრ-ი „მინდვრის ბარდა“, ვნდ-ჷრ-ი ←\*ვანდ-ჷრ-ი „ცერცვი“, ზან. ქონდ-არ-ი „უსუბი“, სვან. ლედ-ჲრ || ლედ-ერ „მინდვრის ბარდა“, მგ-ლდ-ერ-ილ „ცერცველა“) : ს.-ნახ. \*ჰოდ-ერ „ბურღული; ფაფა“ (იჩქ. ხუდარ || ჰოდერ, ინგ. ხუდარ, ბაცბ. რჰოდერ);

(25) ს.-ქართვ. \*ჷარდ- „სავარძელი, სკამი“ (ქართ. ვარდ-, სა-ვარდ-ელ-ი, ზან. ორდ-ჷ → || ორდ-ო „სკამი“) : ს.-ნახ. \*ჷოჷ- „უნაგირი სასა-პალნე“ (იჩქ. ჰუოჷ || ჰუოჷ, ინგ. ვოჷ → || ვოჷ, ბაცბ. რვოჷ);

(26) ს.-ქართვ. \*მხარ- „სამხარი, საუზმე; სამხრობა, ჰამა“ (ქართ. მხარ-, სა-მხარ-ი, ზან. ფხორ- || მხორ-, ო-ფხორ-ჷ „ჰამა“, ი-მხორ-ს „ჰამს“) : ს.-ნახ. \*მჰორ- „გახშამი, ვახშამობა“ (იჩქ. ფჰაჷორ || ფჰაჷორ,

ინგ. ფჰლორ, ბაცბ. ფჰლორ);

(27) ს.-ქართვ. \*ტარძ- „ვერძი; მამალი“ (ქართ. ვერძი- „მამალი ცხვარი“, ძვ. ქართ. ვერძი- ←\*ვარძი- „მამალი, მამრი“, ზან. ერჯი- ←\*ვორჯი- „ვერძი, მამალი ცხვარი“) : ს.-ნახ. \*ბორძ- „მგელი“ (იჩქ. ბუ-ორზ || ბუორძ || ბორძ „მგელი“, ინგ. ბორძ → || ბორცა "id", ბაცბ. ბზორწ || ბორწ ←\*ბორძ "id").

**კომენტარი:** ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ო ხმოვნური შესატყვისობის ქვე-სახეობად გვეჩვენება ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. უ ბგერათფარდობა, რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, განვითარდა **ცჷ**-ს მომდევნო პოზიციის და აიხსნება **ჷო** → **უ** ფონეტიკური პროცესის ჩასახვით, ვინაიდან **ცჷო** ბგერათთან-მომდევრობა ნახურ ენებში აკრძალულ კომბინაციათა რიცხვს განეკუთვნება; ჩვენი ვარაუდის მართებულობა მტკიცდება მე-5, მე-6, მე-7 შეპირის-პირებებით — ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. უ ← წ.-ქართვ. \*ა : წ.-ნახ. \*ჷო :

(1) ს.-ქართვ. \*დალ-ა „დელაშო, დო, კვეთი“ (ქართ. დალ-ამ-ო || დელ-ამ-ო || დელ-ამ-ა, დელ-ამურწი-ი, ზან. დო || ნდო || ←\*დოგ-ი „დო“, სვან. დგრ || დგრ „კვეთი“ : ს.-ნახ. \*დურ- ←\*დჷორ-, „მლაშე, მარილიანობა“ (იჩქ. დურ-ი<sup>ნ</sup> „მლაშე“, დურ-დარ „დამარილება, მარილიანობის შემატება“, ინგ. დირ- ←\*დჷრ-, დირ-ა<sup>ნ</sup> "id", დირ-ა<sup>ლ</sup> „მარილიანობა“, ბაცბ. დურ-ი<sup>ნ</sup> „მლაშე“, დურ-ო<sup>ლ</sup> „სიმლაშე“, დურ-დარ „დამარილება“);

(2) ს.-ქართვ. \*დაბ-ა „სოფელი, ყანა; მიწა“ (ქართ. დაბ-ა, უ-დაბ-ნ-ო, უ-დაბ-ურ-ი, ზან. დობ-ირ-ა || დობ-ერ-ა „სახნავი მიწა“, დობ-ა-წიწი-ი „მიწის ჭია“, სვან. დაბ || დაბ (ნათ. ბრ. დაბ-ა-შ) „ყანა“) : ს.-ნახ. \*დუბ- ←\*დჷობ- „უბანი, ადგილი“ (იჩქ. თუფ ←\*დუბ, ინგ. თუფ, ბაცბ. ოდუბ-ე, შდრ. ქართ. (← ბაცბ.) დუბ-ე „დაბალი ადგილი“);

(3) ს.-ქართვ. \*ცახ- „მცირე პარკი“ (ქართ. ცახ-ი, ზან. ჩვახ- || ჩახ- || ჩახვ-ია „მცირე ტომარა“) : ს.-ნახ. \*ჩუხ-ან- ←\*ჩჷოხ-ან- „მცირე საბელი“ (იჩქ. ჩუხ-ა — ერგ. ჩუხ-ან-უო, ინგ. ჩუხ-ა<sup>ნ</sup> — მრ. ჩუხ-ან-ა<sup>ნ</sup>შ, ბაცბ. ჩუხ(ა<sup>ნ</sup>));

(4) ს.-ქართვ. \*ქალ- „რქა“ (ქართ. რ-ქა, შდრ. რ-ქ-ენ-ა, ზან. ქია || ქრა || ქა (მრ. ქალ-ეფ-ი/ე), ი-რ-ქალ-უ „ირქინება“) : ს.-ნახ. \*ქურ- ←\*ქჷორ- „რქა“ (იჩქ. ქურ, ინგ. ქურ, ბაცბ. ქურ);

(5) ს.-ქართვ. \*წაბ- „სიწითლე, წითელი, გაწითლება“ (ქართ. წამ-, მე-წამ-ულ-ი, წიფ-ინ- ←\*წაბ-ინ-, გა-წიფ-ინ-ება „გაწითლება“, ზან. ჭუბ-, დიხა-ჭუბ-ერ-ი „თიხა-წითელი“, სვან. წიფ-რ-უ || წიფ-არ-ი ←\*წაფ- „წითელი“) : ს.-ნახ. \*მუწ- „წითელი, გაწითლება“ (იჩქ. მუწ-ა<sup>ნ</sup> დუოლა „გაწითლება“, ინგ. მუწ-ა<sup>ნ</sup> დოლან „თვალეების გაწითლება“, ბაცბ. მუწ-ი<sup>ნ</sup>);

(6) ს.-ქართვ. \*კჷამ-ლ- „კვამლი“ (ქართ. კჷამ-ლ-ი || კვამ-ლ-ი, ზან. კამ-ა || კუმ-ა „კვამლი“, ო-კუმ-აშ-ე „საკვამური“, სვან. კჷამ || კჷაშ)

„კვამლი, ბოლი“) : ს.-ნახ. \***კურ**- ←\***კურ**- „კვამლი, ნისლი“ (იჩქ. **კურ**, ინგ. **კურ**, ბაცბ. **კურ** „კვამლი; ჯანლი“);

(7) ს.-ქართვ. \***მ-ჭტალ**- „ლურსმანი, წკირი“ (ქართ. მა-ნ-ჭვალ-ი, სა-მ-ს-ჭვალ-ი, მ-ჭვალ-ვ-ა „დალურსმენა“, ზან. მ-წყულ-ი → || მ-წყილ-ი „წკირი, სოლი“) : ს.-ნახ. \***ჭუტ**- ←\***ჭუტ**- „მამფური“ (იჩქ. **ჭუ** || **ჭუ** ←\***ჭუტ**, ინგ. **ჭი** ←\***ჭუ**, ბაცბ. **ჭუ** ←\***ჭუტ**).

**§ 5.3. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ე** ბგერათმესატყვისობა ასევე წარმოადგება არაერთი შეპირისპირებით. ტიპოლოგიურად ემსგავსება ქართველურ ენებს შორის ფიქსირებულ ხმოვნურ მიმართებათა ერთ-ერთ ქვეტიპს, შდრ. ქართ. **ა** : სვან. **ე** (სამ-ი : სემ-ი, ძალ-ი : ჟელ(ტ)).

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
* <b>ა</b>	<b>ა</b>	<b>ე</b>	<b>ა/ე</b>	<b>ო/უ</b>	<b>ა/ე</b>	<b>ე</b>	<b>ე</b>	<b>ე</b>

(1) ს.-ქართვ. \***კალ**- „კალია“ (ქართ. **კალ**-ია, ძვ. ქართ. მ-კალ-ი "id", ზან. **კოლ**-ი → || **ნკოლ**-ი „კალია“) : ს.-ნახ. \***კელ**-ო „კრაზანა, ბზიკი“ (იჩქ. **კელა**, ინგ. **კელ**, ბაცბ. **კელ** ←\***კელ**);

(2) ს.-ქართვ. \***კანძ**- „მატყელი, ერთი ცხვრის ნაპარსი“ (ქართ. **კანძ**-ი „ერთი ცხვარის ნაპარსი“ (საბა), სვან. **კარძ** „წალა“, ა-კ<sup>ა</sup>რძ-ე || ა-კ<sup>ა</sup>რძ-ე „ბანდავს“) : ს.-ნახ. \***კეჯ**- „ერთგვარი მატყელი“ (იჩქ. **კეჟ** || **კეჯ**, ინგ. **კეჯ** || **კეჟ**, ბაცბ. **კეჟ** ←\***კეჯ**);

(3) ს.-ქართვ. \***ქარ**- „სელი, კანაფი; ქერი“ (ქართ. **ქერ**-ი, **ქერ**-ელ-ი „კანაფის, სელის გარეკანი“, სვან. **ქან** „კანაფი“) : ს.-ნახ. \***ქენ**- „შვრია“ (იჩქ. (ახ., ითუმყ.) **ქენ**, ინგ. **ქენ**, ბაცბ. „ქენ“);

(4) ს.-ქართვ. \***ვარ**- „ხარი“ (ქართ. **ვარ**-ი → || **ხარ**-ი, ზან. **ხოჯ**-ი, სვან. **ვან** „ხარი“) : ს.-ნახ. \***ჰაელ**- „ძროხა“ (იჩქ. **ჰაელ**-, **ჰაელ**-ი „ძროხები“, ინგ. **ჰაელ**-, **ჰაელ**-ი „id“, ბაცბ. „ჰაელ-“);

(5) ს.-ქართვ. \***თხარ**- „გასკლომა, გახეთქვა“ (ქარ. „თხარ-“, ზან. ო-ნთხორ-უ „ღებინება“, ო-ნთხორ-აფ-ს „აღებინებს“, სვან. თხ<sup>ა</sup>რ-ა → || თხ<sup>ე</sup>რ-ა „გახეთქვა“, ა-თხარ „გასკდა“) : ს.-ნახ. \***ლეთხ**- „გასკლომა, გახეთქვა“ (იჩქ. **ლეთხ**-არ, ინგ. **ლეთხ**-არ, ბაცბ. **ლეთხ**-არ);

(6) ს.-ქართვ. \***ფაშტენ**- „ფშენა“ (ქართ. **ფშტენ**-ი, **და-ვ-ფშენ**-ი, **ნა-ფშენ**-ი, სვან. **ფურშტენ**-ი ←\***ფარშტენ**-ი, **ლი-ფურშტენ**-ი „ფშენა“) : ს.-ნახ. \***ბ-ემტ**- „ფშენა, მსხვრევა“ (იჩქ. **ბ-ემ**-არ, ინგ. **ბ-ემ**-არ, ბაცბ. **ბ-ემ**-არ „ფშენა, მსხვრევა“);

(7) ს.-ქართვ. \***ფარ**- „ფარფლი; ქერცლი, ფაფარი“ (ქართ. **ფარ**-ფლ-ი, **ფა-ფარ**-ი, ზან. **ფორფილ**-ი/უ „ქერცლი“, **ფო-ფორ**-ი „ფაფარი“, სვან. **ფა-ფალ** "id") : ს.-ნახ. \***ფელ**- „ქერცლი“ (იჩქ. **ფელ**-აგ-აშ, ინგ. **ფელ**-გ-აშ, ბაცბ. „ფელ-“);



(8) ს.-ქართვ. \*დარ- „დარი, დრო; მარჯვე დრო“ (ქართ. დარ-ი, დარ-ი || დრ-ო, ზან. დორ-, ე-დორ-ია „დრო (მარჯვე)“, ჰემინ-დორ-ას „იმ დროს“) : ს.-ნახ. \*დენ- „დღე“ (იჩქ. დე — მრ. დენ-ოშ, ინგ. დგ || დი — ერგ. დენ-უო, ბაცბ. დე — მრ. დენ-იშ);

(9) ს.-ქართვ. \*გაწ- „დამჭერი, დამკავებელი“ (ქართ. გაწ-არი (საბა), სვან. ლე-გეჭ „დასაჭერი“, მგ-გეჭ „დამჭერი“) : ს.-ნახ. \*ჭეგ- „საკე-ტი, ურდული“ (იჩქ. ჭეგ-ა || ჭეგ-ა, ინგ. ჭეგ, ბაცბ. ჭეგ ←\*ჭეგ);

(10) ს.-ქართვ. \*გად- „თოხი; მარწუხი; რალაც ინსტრუმენტი“ (ქართ. გაზ-ი „მარწუხი“, ზან. გოჟო || გოჯო „წისქვილის ნაწილი“, სვან. გეჯ „თოხი; წისქვილის ბორბლის სატრიალებელი რკინა“) : ს.-ნახ. \*გერძ- „იარალი“ (იჩქ. გეგრზ || გეგრძ, ინგ. გერძ → || გერძჲ, ბაცბ. გერწ ←\*გერძ);

(11) ს.-ქართვ. \*წამ- „მცნება; შეტყობინება, დაბარება“ (ქართ. წამ-, შე-წამ-ება „შეტყობინება“, ძვ. ქართ. წამ-ება „მცნება“, ვ-წამ-ება-თ, ი-წამ-ო-ნ, ზან. წუმ-, დო-ვ-ჟ-წუმ-ე „დავუბარე“, სვან. ი-ჭბ-ი „იბარებს“, ოთ-ჭზბ „დაიბარა“) : ს.-ნახ. \*წერ- „სახელი; რქმევა, ჰქვია“ (იჩქ. წე — ერგ. წერ-უო, ინგ. წი — მრ. წერ-აშ, ბაცბ. წე — მრ. წარ-იშ „სახელი“, წე „ჰქვია“);

(12) ს.-ქართვ. \*ყაჟ- „ყოფნა, ყოლა; გაჩერება“ (ქართ. ყავ-, ი-ყავ-, და-ვ-ყავ-, ზან. ყუ „ყო“, ჟ-ყო-ჟნ(ს) „ჰყავს“, სვან. მ-ა-ყა „მყავს“) : ს.-ნახ. \*მეყ- „დარჩენა; დატოვება“ (იჩქ. მეყ- „გამოყოფა“, მეყ-ალგ „გამონაყოფი“, ინგ. მეყ-1, ბაცბ. მეყ-არ „დარჩენა, ყოფნა“, მეყ-დარ „და-ტოვება“).

**§ 5.4. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ი** არაიდენტურ ხმოვნურ შესატყვი-სობათა რიგს განეკუთვნება. გამოირჩევა საილუსტრაციო მასალის სიუხ-ვით, რაც ფონეტიკური პროცესის რეგულარულობაზე მიუთითებს ფუძე-ნახურში. ტიპოლოგიურად ემსგავსება ქართველურ ენებს შორის ფიქსი-რებული ერთ-ერთი ხმოვნური მიმართების ქვესახეობას, შდრ. ქართ. ა : სვან. ი (ძალ-ი „სიმი“ : ჯილ-ად || ჯილ „სიმი“, ძამლ-ი : ჯინირ „ციყვი“).

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ა	ა	ა	ა	ა/უ	ა/ე/ი	ი	ი	ი

(1) ს.-ქართვ. \*თხარ- „თხრა, ამოთხრა“ (ქართ. თხარ-, ვ-თხარ-ე, სა-თხარ-ი, თხრ-ილ-ი, ზან. თხორ- → || ნთხორ-, ო-ნთხორ-ჟ „თხრა, სა-თხრელი“, გო-ნთხორ-ჟ „გათხარა“, თხორ-ილ-ი „თხრილი“, სვან. შთხარ-, ჟან-შთხარ-ე „მოთხარა“) : ს.-ნახ. \*თხირ- „ამოჭრილი, ამოთხრილი“ (იჩქ. თხირ „ამონაჭერი, ჩუქურთმა“, ინგ. თხგრ ←\*თხირ "id", ბაცბ. თხირ<sup>7</sup>);

(2) ს.-ქართვ. \*ამგალ- „მომიჯნავე, ამხანაგი, მეწყვილე; ნათესავი“ (ქართ. ამგალ-ი || ანგალ-ი, ზან. ოგურ-ი ←\*ომგორ-ი „ახლონათესავი,

თავისიანი“, შდრ. ქართ. (← ზან.) ოგურ-ი) : ს.-ნახ. \*ამგირ- „მეწყვილე; ერთი ცოლი მეორის მიმართ“ (იჩქ. ემგარ || ანგირ || ენგირ, ინგ. ენგირ, ბაცბ. ოამგირ);

(3) ს.-ქართვ. \*პატ- „ნეხვი“ (ქართ. პატ-ივ-ი, ზან. პუტ-ინ-ი ←\*პოტ-ინ-ი „ქვეშეთ ბერვა“) : ს.-ნახ. \*ბიტ- „განავალი“ (იჩქ. ბიდ ←\*ბიტ, ინგ. ბიდ ←\*ბიტ, ბაცბ. ბიტ „განავალი“);

(4) ს.-ქართვ. \*მახ-ე „მომჯავო/მოტკბო“ (ქართ. მხე ←\*მახე, ზან. მახა, მახა-სქურ-ი = მჟავე წყალი, სვან. მგხ-იმ „მწარე, მჟავე“) : ს.-ნახ. \*ნინ- „ბრაგა; ბურახი“ (იჩქ. ნინ, ინგ. ნგხ || ნინ, ბაცბ. ონინ);

(5) ს.-ქართვ. \*ძალ- „ნაწლავი“ (ქართ. ძალ-ი „ნაწლავი, სიმი“, ზან. ჯილ-, ო-ჯილ-აშ-ე „ბადე, ნაბანდი ხილის შესაგროვებლად“, სვან. ჯილ, ჯილ-აჲ „სიმი“) : ს.-ნახ. \*ჯინ- „თირკმელი“ (იჩქ. ჯიმ || ჯინ, ინგ. ჯიმ, ბაცბ. ჟინ ←\*ჯინ „თირკმელი“);

(6) ს.-ქართვ. \*ცა- „ცა“ (ქართ. ცა, ცა-ჲ, ზან. ცა || ნცა || მცა "id", ცა-შხა || ჩა-შხა „ცის დღე; ხუთშაბათი“) : ს.-ნახ. \*სთი- „ცა“ (იჩქ. სთი-გალ, ინგ. სი- ←\*სთი-, სი-გალ-ჲ „ცა“, ბაცბ. ოსტი-კალ);

(7) ს.-ქართვ. \*თან- „გამოჩენა, გამჟღავნება; დანახვევა“ (ქართ. \*თან- → თნ-, გ-თნ-დ-ა, თნ-ებ-ა, სა-თნ-ო, ზან. თინ-, თინ-უ-ა „გამოჩენ-ნა“, სვან. თენ-/თნ-, ლი-თენ-ე „გამოჩენა, გამომჟღავნება“, ა-თენ-ე „ამ-ჟღავნებს, ამხელს“) : ს.-ნახ. \*თიდ- „გამოჩინება; ყურება; თვალის დევნა“ (იჩქ. თიდ-ან, თიდ-ამ „თვალყურის დევნა“, ინგ. თიდ-არ, თიდ-ამ "id", ბაცბ. ოთიდ-);

(8) ს.-ქართვ. \*ნახ- „ნაჭუჭი, ქერცლი, გარსი“ (ქართ. ნახ-ორ-ი (საბა), ზან. ნახ-ი || ნახ-იი || ნახ-იჲ „ნაჭუჭი, გარსი“) : ს.-ნახ. \*ნიჰა- „გარსი, კანი“ (იჩქ. ნეჲ ←\*ნიჰა, ინგ. ნიჰა, ბაცბ. ნიჰა);

(9) ს.-ქართვ. \*წუართ- „წრთობა, გვემა/წვალება“ (ქართ. წუართ-ა „დასჯა, წვრთნა“, გ-წუართ-ე, წუართ-ი-ს, ზან. ჭორთ-უნ-ს „სცემს ძლიერად, დასჯის“, ნა-ჭორთ-ა || ჭორთ-ილ-ი „ნაგვემი, დასჯილი“) : ს.-ნახ. \*თიჰუ- „გოდება, ტირილი, ცრემლის ღვრა“ (იჩქ. თიჰუ-უო „ატირება“, თიჰუ-არ „ტირილი, გოდება“, ინგ. თიჰუ-მ, თიჰუ-არ || თიჰუ-არ "id", ბაცბ. ოთიჰუ-);

(10) ს.-ქართვ. \*მარ- „ღრუბელი, ღრუბლიანი ამინდი“ (ქართ. მარ-აგ-ი „თხელი ღრუბელი“, მარ-აგ-იან-ი, სვან. მერ-ე || მერ-ე || მერ-ი „ღრუბელი“) : ს.-ნახ. \*მილ- „სიცივე/შეციება“ (იჩქ. მილ-, მილ-ლა ←\*მილ-ნა „სიცივისაგან“, ინგ. ომილ-; ბაცბ. მილ-დარ „შეციება“, მილ-დ-ორიკ „მცივანა“);

(11) ს.-ქართვ. \*წამ- „თივა; ლერწამი“ (ქართ. წამ-ალ-ი ზან. ჰამ-ი „წამალი“, სვან. ჰემ „თივა“) : ს.-ნახ. \*ჰიმ- „ნემსიწვერა“ (იჩქ. ჰიმ, ინგ. ჰიმ, ბაცბ. ჰიმ, შდრ. ქართ. (← ბაცბ.) ჰიმ-ა || ჰიმ-ი || ჰყიმ-ი);

(12) ს.-ქართვ. \*ცხაჲ- „მოწნული ჭურჭელი; ცხავი/ცხრილი“ (ქართ. ცხავ-ი, ზან. ო-რჩხე || ო-ჩხე ←\*ო-ჩხავ-ი „ქარქაში“, სვან. ჩხჷფ „მარ-ცვლეულის საწყაო“) : ს.-ნახ. \*სიბა- „შიბაქი“ (იჩქ. სიფა || სიფა „შიბა-ქი“, ინგ. სიფჷ "id", ბაცბ. შიბა-ქ "id");

(13) ს.-ქართვ. \*კაწ- „წვივი, კოჭი“ (ქართ. კაწ-არ-ი „ბრჭყალი“, ზან. კონჭ-ი || კოჭ-ი „კოჭი“, სვან. გაწრ ←\*კაჭ-არ „წვივი“) : ს.-ნახ. \*წიკ- „წვივი, კანჭი“ (იჩქ. წიგ ←\*წიკ, ინგ. წიქ || წიგ, ბაცბ. წიკ „წვივი, კანჭი“);

(14) ს.-ქართვ. \*თხამ-ალ- „თხრამლი, ჩირქი“ (ქართ. თხამლ-ი || თხრამლ-ი, ზან. თხომურ-ი || თხომრ-ი || თხომბრ-ი „ჩირქი“) : ს.-ნახ. \*თხირ- „თრთვილი“, „ცვარი“ (იჩქ. თხირ → || თხი, ინგ. თხირ, ბაცბ. თხირ).

**§ 6. ამოსავალი \*ე ხმოვნის შესატყვისობანი.** წინარე-ენიდან მომდინარე ე ვოკალის შესატყვისობები ქართველურ-ნახურ ენებში, ისევე როგორც \*ა ხმოვნის შემთხვევაში, არაერთგვაროვანია. გამოჩნდება როგორც იდენტური, ისე დიფერენცირებული შესატყვისობანი. გამოვყოფთ შემდეგი სახის მიმართებებს: 1. ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ე; 2. ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა; 3. ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ი. ამოსავალი \*ე ხმოვნის შესატყვისობის ფორმულას წარმოვადგენთ ყველა აღსაწერი ენის მონაცემთა მიხედვით ცალ-ცალკე.

**§ 6.1. ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ე** იდენტური სახეობის ხმოვნური შესატყვისობაა, რომელიც რეგულარულად მქონდადგება. იგი ტიპოლოგიურად ემსგავსება ქართველურ ენებში ფიქსირებულ ერთ-ერთ იდენტურ ბგერათმომართებას, შდრ. ქართ. ე : სვან. ე (ბეთქ-ვა : ლი-ბეთქჷ-ე „დარტყმა“, ვედ-რ-ეზა : ჟედ- „სურვილი, ნატვრა“).

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ე	ე	ე	ე	ა/ე	ე/ჷ	ე	ე/ა	ე

(1) ს.-ქართვ. \*ბერკ- „ფეხი“ (ქართ. ბერკ-, კტარცხლ-ბერკ-ი, ზან. ბარკ-, ე-ბარკ-ან-ჟა || ე-ბარკ-ან-აფ-ა „ფეხის აკაპიწება“, სვან. ბჷრკ- ←\*ბერკ-, ბჷრკ-ჷ || ბჷრკ-აფ „მრუდეფეხა“) : ს.-ნახ. \*ბერკ- „ფლოქვი“ (იჩქ. ბერგ ←\*ბერკ, ინგ. ბარჯ || ბარგ ←\*ბჷრკ, ბაცბ. „ბრეკ“);

(2) ს.-ქართვ. \*ლეკჷ- „ნაშიერი, ლეკვი“ (ქართ. ლეკჷ-ი || ლეკვი-ი, ზან. ლაკვი-ი → || ლაკ-ი „ლეკვი, ძაღლი“, ლაკ-ოტი "id") : ს.-ნახ. \*ლეყჷ- „მწყერი“ (იჩქ. ლეყ, ინგ. ლეყ || ლეყ, ბაცბ. ლეყ);

(3) ს.-ქართვ. \*მგელ- „მგელი“ (ქართ. მგელ-ი, ზან. გერ-ი || მგერ-ი ←\*მგარ-ი „მგელი“) : ს.-ნახ. \*ბერგ- ←\*ბგერ- „მგელი“ (იჩქ. ბერგ, სიტყვაში: წუოყ-ბერგ „ჯიქი“, ინგ. ბერგ, სიტყვაში: წუოყ-ბერგ "id", ბაცბ. „ბერგ“);

(4) ს.-ქართვ. \*ხელ- „გიჟი, გახელება“ (ქართ. ხელ-ი, სი-ხელ-ე, გა-ხელ-ებ-ა, ზან. ხან-გა ← \*ხარ-გა „გიჟი“, გე-ხან-გ-უ „გაგიჟდა“, სვან. ლი-ხრ-ინ-ე „გაბრაზება, გაჯავრება“) : ს.-ნახ. \*ჰაერ-ა „გაგიჟება, სიხელე“ (იჩქ. ჰაერ-ა-დაჯა<sup>ნ</sup> „გაგიჟება“, ინგ. ჰაერ-ა-დაბნ "id", ბაცბ. ოჰაერ-ა-);

(5) ს.-ქართვ. \*კეც- „გამხმარი ტყავი“ (ქართ. კეც-ი, რბილ-კეც-ი, ჩვილ-კეც-ი, ზან. კაშ-ი, შდრ. სომხ. (← ზან.) კაშ „ტყავი“, კაშ-ია (ან-თროპ.), სვან. კეშ || კეშ „ტყაბუჭი“) : ს.-ნახ. \*ყერც- „გაუხეშებული, გა-მაგრებული ტყავი“ (იჩქ. ყერს-იგ || ყერც-იგ || კერც-იგ, ინგ. ყერც-იგ, ბაცბ. ოყერც-იკ);

(6) ს.-ქართვ. \*ეტერ- „რძეში, ერბოში შეზავებული შეჭამადი“ (ქართ. ეტერ-ი, ზან. ატარ-ია, შდრ. ქართ. (← ზან.) ატრ-ია) : ს.-ნახ. \*ტეთ- „არაყანი; ხსენი“ (იჩქ. ტუო || ტაჟ-ა, ინგ. ტოა „არაყანი“, ბაცბ. ტე ← \*ტევ „ხსენი“);

(7) ს.-ქართვ. \*ბელტ- „ბელტი; იატაკი“ (ქართ. ბელტი „მიწის მო-ნაკვეთი“, ზან. ბერტი ← \*ბარტი „ბელტი; იატაკი“) : ს.-ნახ. \*ბეტან „მიწა; იატაკი“ (იჩქ. ბედან<sup>ნ</sup> ← \*ბეტან<sup>ნ</sup> „მიწა, იატაკი“, ინგ. ბედან<sup>ნ</sup> ← \*ბეტან<sup>ნ</sup>, ბაცბ. ბეტან<sup>ნ</sup> || ბატან<sup>ნ</sup> „იატაკი“);

(8) ს.-ქართვ. \*უმეზ- „ვეფხვი“ (ქართ. ვეფხვი → || ვეფხვი, აქლემ-ვეფხვი, ზან. ვემზ-ი || ვემზვი "id") : ს.-ნახ. \*უმერზ- „ავაზა“ (იჩქ. ჰერზ, ინგ. ფერზ „ავაზა“, ბაცბ. ოფერზ);

(9) ს.-ქართვ. \*ხემ- „მოთელვა, მოდრეკა, მოქნა“ (ქართ. მო-ხემ-ვ-ა, უ-ხემ-ი, მო-ხემ-ილ-ი, ზან. ხასქ-არ-უ-ა „მოქნა, მოთელვა, მოდრეკა, მო-ხასქ-არ-ელ-ი „მოთელილი; შეზარხომებული“) : ს.-ნახ. \*ვერლ- „შეშინე-ბა, შიში, შედრკომა“ (იჩქ. ვაერჰ-არ → || ვაერ-არ, ინგ. ვაერჰ-არ, ბაცბ. ვერლ-არ);

(10) ს.-ქართვ. \*ვეჟ- „ქალი ნამზითევი“ (ქართ. ვეჟ- || ხეჟ- „მ-ვეჟ-ალ-ი → || მ-ხეჟ-ალ-ი, ზან. ხე || ფ-ხე „ქალი; ქალთა გვარე-ბის სუფიქსი“, მატკა-ხე „მატკავას ქალი“, შდრ. გურ. (← მეგრ.) ფ-ხე "id") : ს.-ნახ. \*ვენ- „რძალი; მაზლის ცოლი“ (იჩქ. ვინ || ვენ, ინგ. ვენ ← \*ვენ<sup>ნ</sup>, ბაცბ. ოვენ<sup>ნ</sup>);

(11) ს.-ქართვ. \*წეკ- „ერთგვარი თამბაქო, მომწვანო ყვავილები-ანი“ (ქართ. წეკო || წეკუა, ზან. ჰეკო „თამბაქო“, შდრ. იმერ. (← მეგრ.) ჰეკო „სათუთუნე“) : ს.-ნახ. \*ჰეკ-უ „მწვანე ლობიო; კიტრი“ (იჩქ. გიჟუ || გიჟო ← \*ჰეკუ „მწვანე კიტრი“, ინგ. გიჟან ← \*ჰეკუ "id", ბაცბ. ჰეკ ← \*ჰეკუ „მწვანე ლობიო“);

(12) ს.-ქართვ. \*ღელ- „დაღლა; შეშინება“ (ქართ. მ-ღელ-ვ-არ-ე, ღელ-ავ-ს, და-ი-ღალ-ა, ზან. ღალ-უ-ა || ღალ-აფ-ა „შეშინება, დაღლა“, დნ-ღალ-უ „შეშინდა“, ღალ-ირ-ი „შეშინებული“) : ს.-ნახ. \*ღელ- „დაუძ-

ლურება/დაღლა“, \*ღელ-ინ „უძღურა“ (იჩქ. ღელ-დაღლა „დაუძღურება, დაქანცვა, დაღლა“, ღელ-დან<sup>5</sup> "id", ღღელ-ან<sup>5</sup> „უძღურა“, ინგ. ღელ-დაღლა "id", ღელ-დღე "id", ღღელ-ან<sup>5</sup> „უძღურა“, ბაცბ. ღელ-დაღლარ „დაძაბუნება“, ღელ-ინ<sup>5</sup> „უღონო“);

(13) ს.-ქართვ. \*სელ- „ბორბლიანი მარხილი“ (ქართ. სელ-ი, ზან. სალ-ი „ურმის ბორბლის ნაწილი“, სვან. სეტ → || სჭტ „მარხილი“) : ს.-ნახ. \*სემ-ა „ლერძი“ (იჩქ. სემა, ინგ. სო ← \*სენა — მრ. სონ-აშ, ბაცბ. სემა<sup>7</sup>);

(14) ს.-ქართვ. \*სტელ-ა „ძლოკვი, უშხამო გველი“ (ქართ. მსვლ-იკ-ი || მსვლ-იკ-ი, მსტენ-ი || ფსვენ-ი || სვენ-ა, შდრ. ტობ. სვენ-ეთ-ი, ზან. შველ-ა „გველზოკერა“, სვან. შტჷლ ← \*შტელა- „ხვლიკი“) : ს.-ნახ. \*შერ-ო „ყურბელა, ერთგვარი ჭია“ (იჩქ. შერა || შერა, ინგ. შერა, ბაცბ. შერა<sup>7</sup>);

(15) ს.-ქართვ. \*ცელ- „ცელი“ (ქართ. ცელ-ი, ზან. ცალ-ი „ცელი“) : ს.-ნახ. \*ცელ- „თოხი; სიმინდის სამარგლავი“ (იჩქ. ცელ || ცელ, ინგ. ცელ, ბაცბ. ცელ<sup>7</sup>);

(16) ს.-ქართვ. \*წერ-ო „წერო; ჭარო“ (ქართ. წერო, ზან. ჭარო, შდრ. ქართ. (← ზან.) ჭარო) : ს.-ნახ. \*ჭენ-ტა „ჩიტბატონა, ერთგვარი ფრინველი“ (იჩქ. ჭეტნა ← \*ჭენტა, ინგ. ჭენა ← \*ჭეტნა, ბაცბ. ჭეტნო<sup>7</sup>);

(17) ს.-ქართვ. \*მენ- „სენაკი, სორო“ (ქართ. მენ-ა, ინგილ. მენ-ა-მ, ზან. მან-, ო-მან-ე „ბუნაგი“ (ტობ.), შდრ. გურ., იმერ. (← ზან.) ო-მან-ო „სორო ტურასი, მელიასი“) : ს.-ნახ. \*ბენ- „ბუდე/ბუნაგი“ (იჩქ. ბენ „ბუდე“, ინგ. —, ბაცბ. ბენ<sup>5</sup> „ბუდე, ბუნაგი“);

(18) ს.-ქართვ. \*სეტყ- „სეტყვა, და-/წა-შენა“ (ქართ. სეტყ-ა, სეტყ-ავ-ს, და-სეტყ-ილ-ი, სვან. სენტყ-ი, ი-სენტყ-ჷლ „წაშენს თავში ხელეხს“) : ს.-ნახ. \*სეტყო „ვარსკვლავი“ (იჩქ. სეტყა || სეტყა || სეტყა, ინგ. სეტყა, ბაცბ. სეტყო<sup>7</sup>);

(19) ს.-ქართვ. \*ძეტ- „ძეძვი, კვრინჩხი“ (ქართ. ძეტ-ი || ძეძვი, ზან. ღაძ-ი || ღანძ-ი || ნღაძ-ი ← \*ძაძ-ი „კვრინჩხი“) : ს.-ნახ. \*ძეტ- „ფიჭვი; ღვია“ (იჩქ. ძეზ || ზეზ || ძეტ „ფიჭვი“, ინგ. ძეტ || ზეზ „ღვია, რბილ-წიწვიანა“, ბაცბ. ძეტ<sup>7</sup>);

(20) ს.-ქართვ. \*ცერ- „ცერი; ცერა თითი“ (ქართ. ცერ-ი, ცერ-ა თითი, ზან. ჩანჯ-ი ← \*ჩაჯ-ი ← \*ჩარ-ი „ცერი“, სვან. ჩერ-შდოლ || ჩერ-შტოლ "id") : ს.-ნახ. \*შენ- „მტკაველი“ (იჩქ. შა — მრ. შენ-აშ, ინგ. შა ← \*შენ<sup>5</sup>, ბაცბ. შე);

(21) ს.-ქართვ. \*ლერწ- „ვაზი, ლერწი; ვენახი“ (ქართ. ლერწ-ი, ზან. მერწ-ი „ვაზი“, სვან. ლერწ „ლერწი“, ლერწ-ჷლ „ვენახი“) : ს.-ნახ. \*ერწ- ← \*ლერწ- „ლერწამი“ (იჩქ. ერზ || ერზ || ერძ „ლერწამი“, ინგ. ერცა || ერძ ← \*ერწ "id", ბაცბ. ერწ<sup>7</sup>).

**§ 6.2. ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა** დიფერენცირებული სახეობის ხმოვ-  
ნური შესატყვისობა, ასევე, გამოირჩევა განსაკუთრებული რეგულარულო-  
ბით. ტიპოლოგიურად ეპარალელურია ქართველურ ენებს შორის ფიქსირე-  
ბულ ერთ-ერთ ხმოვნურ მიმართებას, შდრ. ქართ. ე : ზან. ა (წერ-ა :  
ჭარ-ა "id"). ეს უკანასკნელი განვითარებული ჩანს ე → ა არტიკულაცი-  
ის უკან გადაწევით ზანურში [იხ. ჩიქ. 1938: 7-10].

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ე	ე	ა	ე	ა	ე/ა	ა	ა	ა

(1) ს.-ქართვ. \*ნესჷ- „ნესვი“ (ქართ. ნესჷ-ი || ნესვ-ი, ნესჷ-ხავარტი-  
სვან. ნესვ ← \*ნესჷჷ- კუახ-ნესვ „გოგრა, კვახი“) : ს.-ნახ. \*ნარს- „კიტ-  
რი“ (იჩქ. ნარს, ინგ. ნარს, ბაცბ. ნარს<sup>7</sup>);

(2) ს.-ქართვ. \*სერ- „გაშლილი, ვრცელი, ფართო“ (ქართ. სერ-ი  
„გრძელი გორა“, სვან. შერ-, მა-შრ-ი || მა-შერ-ი „ფართო, ვრცელი“) :  
ს.-ნახ. \*შარ-ენ „განიერი, ფართო, ბრტყელი“ (იჩქ. შერ-ა<sup>5</sup> || შარ-ი<sup>6</sup>,  
ინგ. შერ-ა „განიერი, ფართო“, ბაცბ. შარ-ე<sup>5</sup> „ბრტყელი, გლუვი“, შარ-  
ეი<sup>6</sup> დალარ „ვაკეზე გასვლა, გავაკება“);

(3) ს.-ქართვ. \*დელ-ე „დღე“ (ქართ. დღე ← \*დელ-ე, ზან. დღა  
← \*დალა, სვან. დელ-, ლა-დელ „დღე“) : ს.-ნახ. \*დალ-ო „წვიმა“ (იჩქ.  
დღოლა || დოლა || დალუ, ინგ. დოლან || დოლან „წვიმა“, ბაცბ. დალ<sup>7</sup>);

(4) ს.-ქართვ. \*ცენ- „მცენარე, ნაყოფი; ნაყოფის მოსხმა“ (ქართ.  
ცენ-, მ-ცენ-არ-ე, აღმო-ცენ-ებ-ა-ე, ცენ-ებ-ულ, ზან. ო-ჩან-უ „ცენება“,  
ჩან-ს „ხარობს, იზრდება“, ჩან-ა „მცენარე; მცენარეული საფარი“, სვან.  
მა-შენ → || მა-შენ „ნაყოფი“, ი-შენ-ე „ნაყოფს ისხამს“) : ს.-ნახ. \*სთამ-  
„ნაყოფი მცენარეთა; ხილი“ (იჩქ. სთომ || უ-სთამ, ინგ. სომ ← \*სთამ-,  
ბაცბ. სტამ<sup>7</sup>);

(5) ს.-ქართვ. \*ძერ- „ძერა“ (ქართ. ძერ-ი || ძერ-ა, ძერ-ქორ-ი „შე-  
ვარდენი“, ძენ-ძერ-უკ-ი || ძერ-ძერ-უკ-ი, ზან. ჯაჯ-ა-ი || მ-ჯაჯ-ი „ძერა“,  
სვან. ჟინ-ა → || ჟინ-ა „ძერა“) : ს.-ნახ. \*ძარძარ- „ტოროლა,  
ბულბული“ იჩქ. ძარძარ → || ზარზარ „ბულბული“, ინგ. ძარძარ „ტო-  
როლა“, ბაცბ. ძარძარ<sup>7</sup>);

(6) ს.-ქართვ. \*ბებ- „დედალი ცხვარი; უვარგისი ცხენი (ჭაკი)“  
(ქართ. ბებ-ი, ზან. ბახ-ი „ავადმყოფი“, სვან. ბებ „დედალი ცხვარი“,  
„ჯაგლაგი ცხენი“) : ს.-ნახ. \*ჰახ- „ჯიხვი“ (იჩქ. ჰახ, ინგ. ჰალ ← \*ჰახ  
„დაღესტნური ჯიხვი“, ბაცბ. ჰახ „ჯიხვი“);

(7) ს.-ქართვ. \*ვერც-ო „გვარედინი იარაღი; წერაქვი/თოხი“ (ქართ.  
ვერცო, ზან. ქარჩ-ი „თოხი, წერაქვი“, შდრ. ქართ. (← ზან.) ქარჩ-ი, ქაჩ-ი ||  
ქარჩ-ი „გვარი“) : ს.-ნახ. \*ვანჩ-ო „გვარედინი“ (იჩქ. ვანჩა, ინგ. ვანჩ,  
ბაცბ. ვანჩ<sup>7</sup>);

(8) ს.-ქართვ. \***ღებ-** „ღებვა, საღებავი“ (ქართ. ღებ-ავ-ს, მ-ღებ-ვ-არ-ი, მ-ღებ-რ-ი, მ-ღებ-რ-ი-შვილ-ი, სა-ღებ-ავ-ი, ზან. ლაფ-უ-ა „ღებვა“, ლაფ-ერ-ი || ლაფ-ილ-ი „ღებილი“, ო-ლაფ-ულ-ა „საღებავი“, ლამფ-უ „მურ-ი“) : ს.-ნახ. \***ღარბ-** „შავი საღებავი“ (იჩქ. ღარბ-ჟ, ინგ. ღარბ-ჟჟ, ბაცბ. ᾠღარბ-ᾠ);

(9) ს.-ქართვ. \***წჳერ-** „წვერი“ (ქართ. წჳერ-ი || წვერ-ი, ზან. წვანდ-ი || წვანჯ-ი ←\*წვანჯ-ი „წვერი“, სვან. ჟწრ-ე || ჟერ-ე ←\*ჳწერ-ე „წვერი (კაცისა, თხისა)“) : ს.-ნახ. \***ჳწ-** ←\*ჳწან- „ნიკაპი“ (იჩქ. ჳწნ-იგ || ჳწწ-იგ, ინგ. ჳწან-გ, ბაცბ. ჳწან-იკ);

(10) ს.-ქართვ. \***ბელ-** „ბელი, შვილი, ნაშიერი, ბავშვი“ (ქართ. ბელ-ი, უ-ბელ-ო, ზან. ბერ-ი || ბერ-ე „ბიჭი, ბავშვი“, სვან. ბელ „ბელი“, სა-ბელ „კვიცი“) : ს.-ნახ. \***ბად-ერ-** „შვილი, ბავშვი“ (იჩქ. ბდერ ←\*ბად-დერ, ინგ. ბდერ ←\*ბადდერ, ბაცბ. ბადდერ);

(11) ს.-ქართვ. \***ღერძ-** „ღერძი; ფეხი“ (ქართ. ღერძ-ი, გა-ღერძ-ვ-ა, ზან. ღანჯ-ი „წვივი, ფეხი“) : ს.-ნახ. \***ღაჯ-** „ტარი“ (იჩქ. ღაჟ || ღაჯ, ინგ. ღაჯ || ღაჟ, ბაცბ. ᾠღაჯ);

(12) ს.-ქართვ. \***ნედ-** „კაკალი/ნიგოზი; სოჭი“ (ქართ. ნედ-ი „კაკალი“, შდრ. ზან. (← ქართ.) ნედ-ი "id", სვან. ნენძ → || ნენზ „სოჭი“) : ს.-ნახ. \***ნაჯ-** „მუხა; რკო“ (იჩქ. ნაჟ || ნაჯ, ინგ. ნაჯ || ნაჟ, ბაცბ. ᾠნაჯ);

(13) ს.-ქართვ. \***ნეფხ-** „ყინვა, ყინული“ (ქართ. ნეფხ-ჟ-ა-დ, სა-ნეფხ-ავ-ი, ზან. მაფხ-, წა-მაფხ-ა „წყარო“ = წყალ-ცივი) : ს.-ნახ. \***დაჳჳა-** „შეყინვა, მოყინვა, დაზრობა“ (იჩქ. დაჳჳა-ჟო „მოყინვა, დაზრობა, ინგ. დოჳჳა-ა-ბე "id", ბაცბ. დოჳჳა-ა „გაზაფხული“);

(14) ს.-ქართვ. \***ჯჳელ-** „ხველა, ხველება“ (ქართ. ჯჳელ-ა-დ || ხველ-ა, ი-ჯჳელ-დ-ა, ზან. ხვალ-ი || ო-ხვალ-ჟ „ხველება“, ფირტ-ხვალ-ი „ჳლექი“, სვან. ჯჳემ → || ჯჳწემ „ხველა“) : ს.-ნახ. \***ჯჳჳა-** ←\*ჯჳაჳა- „ხველა, ხვე-ლება“ (იჩქ. ჳჳჳა ინგ. ჳჳჳა, ბაცბ. ᾠჯჳა);

(15) ს.-ქართვ. \***მსჳელ-** „ფრთა, ხელი“ (ქართ. სჳე || სვე, ზან. ფსვა || ფსჳა „ფრთა“, სვან. ში || შჳ ←\*მშჳი „ხელი“) : ს.-ნახ. \***ფჳაჳაჳ-** „სახელო“ (იჩქ. ფჳაჳო-შ — მრ. ფჳაჳდ-შ-აშ, ინგ. ფჳაჳ-შ, ბაცბ. ფჳაჳ — მრ. ფჳაჳდ-ნი).

**კომენტარი: ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა** ხმოვნური ბგერათშესატყვი-სობის ქვესახეობად უნდა გამოიყოს ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ო ხმოვანმიმარ-თება, რაც მეორეული მოვლენა ჩანს — განვითარებული თანხმოვნის ლა-ბიალიზაციის მომდევნო პოზიციაში, როცა საერთოქართველური ე ხმოვ-ნის შესატყვისი საერთონახური ა შეერწყა წინამავალი თანხმოვნის ლაბი-ალურ სეგმენტს — **ჳე** : **ჳო** ← ს.-ქართვ. **ჳე** : ს.-ნახ. **ჳა**, რასაც საფუძვლად დაედო ნახურ ენებში ნებისმიერი თანხმოვნის მომდევნოდ **ჳ**-სონანტის დისტრიბუციული შეუთავსებლობა. **ჳV** ტიპის ბგერათთანმი-

დევრობები ნახურში აკრძალულ კომბინაციათა რიცხვს განეკუთვნება:

(1) ს.-ქართვ. \***შეღ**- „შეღი, ირემი“ (ქართ. **შეღ**-ი || **შეღ**-ი, ზან. მსკვერ-ი || ფსქვერ-ი || მსქვერ-ი || სქვერ-ი ←\*სქვარ-ი „შეღი, ირემი“) : ს.-ნახ. \***შონ**- ←\***შთან**- „დედალი ჭიხვი“ (იჩქ. **შუო** || **შო** — მრ. **შონ**-იშ, ინგ. **შუნ** — მრ. **შონ**-შშ, ბაცბ. **შუნ** ←\***შონ** „შუნი“, შდრ. ქართ. (← ბაცბ.) **შუნ**-ი "id");

(2) ს.-ქართვ. \***შენ**- „შენ, შენი“ (ქართ. **შენ**-, **შენ**-ი, ზან. სი || სინ ←\*სქინ „შენ“, სქან-ი ←\*სქთან-ი „შენი“, სვან. სი ←\*სქინ „შენ“, ი-სგუი || ი-სკუი ←\*ი-სქუინ „შენი“) : ს.-ნახ. \***ჰაონ**- ←\***ჰათან**- „შენ“ (იჩქ. **ჰაუო**, ინგ. **ჰაუო** || **ჰაო**, ბაცბ. **ჰაო** ←\***ჰაონ** „შენ“);

(3) ს.-ქართვ. \***თქვენ**- ← წ.-ქართვ. \***სთვენ**- „თქვენ“ (ქართ. **თქვენ**- ←\***სთქვენ**-, **თქვენ**-, **თქვენ**-ი, ზან. **თქვა**(ნ) „თქვენ“, **თქვან**-ი „თქვენი“, სვან. სკჷ || სგაჷ || სგჷჷ ←\***შქვენ** „თქვენ“, შდრ. ი-სკუი || ი-სგუი || ი-სგუჷჷ ←\*ი-შქუინ „თქვენი“) : ს.-ნახ. \***შონ**- ←\***შთან**- „თქვენ“ (იჩქ. **შუ** ←\***შონ**, ინგ. **შუო** ←\***შონ**, ბაცბ. **შუ** ←\***შონ** „თქვენი“).

**§ 6.3. ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ი** არაიდენტური სახეობის ხმოვნური შესატყვისობაა, რომელიც რეგულარულობით ხასიათდება. ტიპოლოგიურად ემსგავსება ქართველურ ენებს შორის ფიქსირებულ ერთ-ერთ არაიდენტურ შესატყვისობას, რომელსაც საფუძვლად ე → ი დავიწროების ფონეტიკური პროცესი დაედო, შდრ. ქართ. ე : ზან. ი (ენ-ა : ნინ-ა "id", შემა : დიშქა, შენ : სინ ←\*სქინ „შენ“).

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
* <b>ე</b>	<b>ე</b>	<b>ი</b>	<b>ე</b>	<b>ა/ი</b>	<b>ე</b>	<b>ი</b>	<b>ი</b>	<b>ი</b>

(1) ს.-ქართვ. \***ფეცხ**- „წნელი, ტოტი“ (ქართ. **ფეცხ**-ი, შდრ. მეგრ. (← ქართ.) **ფეცხ**-ი „წნელი, ტოტი“, ზან. **ფაცხ**-ა „ფაცხა“, **ფაცხ**-უ-ა „წვნა“) : ს.-ნახ. \***ფიცხ**-ე „ერთგვარი ჯოხი“ (იჩქ. **ფიცხა** „ჯოხი მრგვალი ბოლოთი, იხმარება სითხის ასარევად“, ინგ. **ფიცხ** "id", ბაცბ. **ფიცხენ**);

(2) ს.-ქართვ. \***ძეგუ**- „ბალახი, ბუჩქი“ (ქართ. **ძეგ**-ი, **ძეგ**-ე „ეკალი“, ზან. **ჯაგ**-ი || **ჯაგ**-ი, შდრ. ქართ. (← ზან.) **ჯაგ**-ი, სვან. **ჟჷგ** || **ჟაგ**-პრ „წამალი“ ← ეტ. „ბალახი“) : ს.-ნახ. \***ძიგუ**-ალ- „ყლორტი“ (იჩქ. **ზუგალ** || **ძუგალ**, ინგ. **ძუგალ**, ბაცბ. **ძუგალ**);

(3) ს.-ქართვ. \***ქეც**-ო „ქერცლი, ფარფლი“ (ქართ. **ქეც**-ი, **ქერც**-ლ-ი, ზან. **ქაცუ** „ფარფლი“) : ს.-ნახ. \***გიჩ**-ო „თმა საფეთქელზე“ (იჩქ. **გიჩ**-უო, ინგ. **გიჩ**-იგ, ბაცბ. **გიჩ**-ო, შდრ. **ჭებ**. **გიჩ**-აჷ);

(4) ს.-ქართვ. \***ლეფან**- „ლაფანი“ (ქართ. **ლაფან**-ი || **ლეფან**-ი, ზან. **ლეფონ**-ი „ლაფანი“) : ს.-ნახ. \***ლიფარ**- „ერთგვარი მცენარე“ (იჩქ.



ლიფარ, ინგ. ეფჰარ ←\*ლიფჰარ, ბაცბ. რლიფარ);

(5) ს.-ქართვ. \*კეჲ- „კევი; ლეჰვა“ (ქართ. კევ-ი, კევ-ნ-ა, მ-კვ-არ-ი, ზან. კავ-ი „აბედი“, სვან. კჷკი ←\*კჷტ-კი (რედუბლ.) „კევი“) : ს.-ნახ. \*კიჲ- „კევი“ (იჩქ. კჷ ←\*კიჲ, ინგ. კუჲ ←\*კიჲ, ბაცბ. კივ „კევი“);

(6) ს.-ქართვ. \*ტესკ-ულ- „მნათობი, ცეცხლი“ (ქართ. ვასკ-ულ-ავ-ი || ვარსკ-ვლ-ავ-ი || მასკ-ულ-ავ-ი, ზან. მასკ-ურ-ი „მნათობი“, სვან. მესკ, ლე-მესკ „ცეცხლი“) : ს.-ნახ. \*სკიჲ- „ნაბერწკალი“ (იჩქ. სიფგ ←\*სკიჲ, ინგ. სიფგ ←\*სკიჲ, ბაცბ. სკივ);

(7) ს.-ქართვ. \*ეჲ „მრ. სუფიქსი“ (ქართ. -ეჲ, ზან. ეფ- || ეფ-ე ←\*აბ-ი/ე „-ეჲ“, სვან. რ-ეფ || -ეჲ) : ს.-ნახ. \*ბი „მრ. სუფიქსი“ (იჩქ. რ-ბი, ინგ. რ-ბი, ბაცბ. -ბი);

(8) ს.-ქართვ. \*ქჲჲჲ- „თიხის ჭური“ (ქართ. ქჲჲჲ-ი || ქვეჲჲ-ი „ჭური“, ზან. ქვეინჲ-ი ←\*ქვეჲჲ-ი „ფსკერი“) : ს.-ნახ. \*ქჲჲჲ-ი „სადღვე-ბელი (თიხის, ქვის)“ (იჩქ. ქჲჲ-ა ←\*ქჲჲჲ-ა, ინგ. ქჲჲჲ-ჲ ←\*ქჲჲჲ-ჲ „სადღვებელი“, ბაცბ. რქჲჲ-ი).

**§ 7. ამოსავალი \*ი ხმოვნის შესატყვისობანი.** წინარე-ენიდან მომდინარე ი ხმოვანი არაერთგვაროვან რეფლექსებს გვიჩვენებს ქართველურ-ნახურ ენებში; გამოიყოფა როგორც იდენტური, ისე დიფერენცირებული შესატყვისობები. გამოჩნდება შემდეგი ტიპის ხმოვანმიმართებები: 1. ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ი; 2. ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ე; 3. ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა. ცალ-ცალკე წარმოვადგენთ ამოსავალი ი ფონემის რეფლექსებს ყველა აღსაწერი ენის მიხედვით.

**§ 7.1. ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ი** იდენტური სახეობის ხმოვნური შესატყვისობა, ასევე, რეგულარულად გამოჩნდება საერთო ლექსიკურ მასალაში. ტიპოლოგიურად ემსგავსება ქართველურ ენებს შორის ფიქსირებულ იდენტური შეფარდებების ერთ-ერთ ქვესახეობას, შდრ. ქართ. ი : ზან. ი : სვან. ი (შვიდ-ი : შქვით-ი : იშგჲიდ || იშკჲიდ, თხილ-ი : თხირ-ი : შდიხ || შტიხ ←\*შთხიჲ).

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ი	*ი	*ი	ი	ი	ი	ი	ი	ი

(1) ს.-ქართვ. \*წირჲ-ლ- „წირბლი“ (ქართ. წირბლ-ი „თვალის ბაყლი რბილი“ (საბა), ი-წირბლ-ეჲ-ა, მ-ე-წირბლ-ეჲ-ა, ზან. ჭირბ-ი || ჭირ-ი || ჭებნ-ი „წირბლი, ჭორფლი“) : ს.-ნახ. \*ჭიბალ- „ქერტლი, გამონაყარი“ (იჩქ. ჭიბალ, ინგ. ჭიბალ, ბაცბ. რჭიბალ);

(2) ს.-ქართვ. \*ჰილ- „წილი; ტილი“ (ქართ. ჰილ-ი → || წილ-ი, ჰი-ჰილ-ა ←\*ჰილ-ჰილ-ა, ზან. მჰკირ-ი || ჰკირ-ი „წილი“) : ს.-ნახ. \*წიმ- „ბადლინჯო“ (იჩქ. წიმ-ერგ, ინგ. წიმ-არგ, ბაცბ. წიმ-);

(3) ს.-ქართვ. \*წიჲ- „წვივის ძვალი, კანჭი“ (ქართ. წივ-ი || წვივ-ი,

ზან. წიღვი → || წირღვი „კანჭი“, სვან. \*ჭიღუ- → ჯიღუ || ჯურღუ „წინამხრის ძვალი“ : ს.-ნახ. \*ჭიჟ- „წვივის ძვალი“ (იჩქ. ჰუ || ჰიჟ-ა, ინგ. ჰიჟ ←\*ჭიჟ, ბაცბ. «ჭიჟ»);

(4) ს.-ქართვ. \*წილ- „კრეფა, წყვეტა“ (ქართ. წილ-ვ-ა, მო-წილ-ა „მოკრიფა“, ნა-წილ-ი, წილ-ი, ზან. წილ-უ-ა || ო-წილ-უ „კრეფა“, წილ-ერ-ი „მოკრეფილი“) : ს.-ნახ. \*ჭილ- „წმენდა, ფრცქვნა“ (იჩქ. ჰულ-დან, ინგ. ჰილ- || ჰგლ-დჟ, ბაცბ. ლიჭ-არ „წმენდა, ფრცქვნა“);

(5) ს.-ქართვ. \*ზინ- „ზვინი“ (ქართ. ზვინ-ი, ზვინ-ულ-ი, ზან. რზვენ-ი || ზენ-ი „ზვინული“, რზვენ-უ-ა „ზვინვა“) : ს.-ნახ. \*ჟურ- „ბზე“ (იჩქ. ჟურ || ჟურჟ, ინგ. ჟურ || ჟგრ, ბაცბ. «ჟურ»);

(6) ს.-ქართვ. \*დინჭულ- „ჭიანჭველა“ (ქართ. ჯინჭულ-ი ←\*დინჭულ-ი „ჭიანჭველა“, ზან. დიმჭუ || დინჭუ „ჭიანჭველა“, სვან. მერშუ ←\*ბ-ირჭუ- "id") : ს.-ნახ. \*დ-იტ-ან- „კოლო“ (იჩქ. დითა — მრ. დითან-აშ, ინგ. დითაჟ — მრ. დითან-აშ, ბაცბ. «დითაჟ»);

(7) ს.-ქართვ. \*ძიტ- „ძვალი“ (ქართ. ძიტალ-ი ←\*ძიტალ-ი, ზან. ჯიჯვ- ←\*ჯიჯვ-, ო-ჯიჯვ-ინ-ან-ს „ძვალმსხვილად გამოიყურება“, სვან. ჯიჯუ- „ძვალი“) : ს.-ნახ. \*ჯიჯ- „ხორცი“ (იჩქ. ჯიჯ-იგ || ჟიჟ-იგ „ხორცი“, ინგ. ჯიჯი || ჟიჟი „ჩიჩია“, ბაცბ. ჯიჯი „ხორცი; ჩიჩია“);

(8) ს.-ქართვ. \*ციც-ინ- „კანის დასკდომა/გაქერტლიანება“ (ქართ. და-ციც-ინ-ებ-ა „სხეულის კანის, ტუჩის დასკდომა“, ზან. გო-ჩიჩ-ინ-აფ-ა || გო-ციც-ინ-აფ-ა „გაციცინება“) : ს.-ნახ. \*ჩიჩ- „ქერტლი“ (იჩქ. ჩიჩ, ინგ. ჩიჩ, ბაცბ. «ჩიჩ»);

(9) ს.-ქართვ. \*ციც- „მატლი, მწერი“ (ქართ. ციც-ი-ნათელ-ა, ზან. ჩიჩ-ი „მატლი“) : ს.-ნახ. \*ციც- „მწერი, მატლი“ (იჩქ. ციც-, ინგ. ცისქ ←\*ციც-გ, ბაცბ. ციც-აჟ „მწერი“);

(10) ს.-ქართვ. \*ციჟ- „ცივი“ (ქართ. ცივი-ი, სი-ცივი-ე, გა-ცივი-დ-ა, ზან. ჩე ←\*ჩივი-, ჩე-ჩხურ-ი „ცივებ-ცხელება“) : ს.-ნახ. \*ჩიჟ- „ყველაზე უფრო ცივი“ (იჩქ. ჩილლა ←\*ჩიჟ-ლა || ჩიმ-ა, ინგ. ჩიჟ-ლან, ბაცბ. «ჩიჟ»);

(11) ს.-ქართვ. \*ციც-ა „კატა“ (ქართ. ციც-ა, ზან. ციც-ო „კატის ერთ-ერთი სახელი“, სვან. ციც-უ → || ცჟიც „კატა“) : ს.-ნახ. \*ციც- „კატა“ (იჩქ. ციც-იგ, ინგ. ციც-ი || ცის-ქ ←\*ციც-გ, ბაცბ. «ციც-იკ»);

(12) ს.-ქართვ. \*ცირცუ- || \*ცირცულ-ა „ცერცვი, ცერცველა, სოიო“ (ქართ. ცერცვი-ი, ცერცვ-ელ-ა, ცერცვ-ალ-ა, სვან. ჩიჩუ-ლა || ჩიჩუ-ელ-ა, შღრ. ლეჩხ. (← სვან.) ჩინჩველა) : ს.-ნახ. \*ციც-ა „კამა, კვლიავი“ (იჩქ. ციცა, ინგ. ციცა, ბაცბ. ციც-);

(13) ს.-ქართვ. \*ქიჟ- „ჩუმამაწონი, ერთგვარი ყველი“ (ქართ. «ქიჟ-», ზან. ქიჟ-ურ-ი ←\*ქიბ-ურ-ი „ჩუმამაწონი (მზადდება გუდაში)“, სვან. ქიჟ

„ყველი“) : ს.-ნახ. \*ქირ- „შრატი“ (იჩქ. ქირ, ინგ. ქირ, ბაცბ. ქირ „შრატი“);  
(14) ს.-ქართვ. \*დიკა- „ხორბალი (სახეობა)“ (ქართ. დიკა „ხორ-  
ბლის ჯიში“, ზან. დიკა „ხორბალი“, დიკა-მ-ქირ-ი „პურის ფქვილი“) :  
ს.-ნახ. \*დიკო- „ბრინჯი“ (იჩქ. დუგა || დიგუ ←\*დიკუ, ინგ. დუგან ←\*დი-  
კუ, ბაცბ. რდიკო<sup>7</sup>);

(15) ს.-ქართვ. \*წტიმ- „წვიმა, გაწვიმება“ (ქართ. წვიმ-ა || წტიმ-ა ||  
წვიმ-აჲ, წვიმ-ს, ზან. მჭიმ-ა || მჭვიმ-ა || ჭვიმ-ა || ჭვიმ-ა „წვიმა“, ჭვიმ-ს ||  
ჭვიმ-ს || მჭიმ-ს „წვიმს“, სვან. ჭმ- ←\*ჭტიმ-, მე-ჭმ-ინ-ანლ „ვარსკვლავთმრ-  
იციხველი“) : ს.-ნახ. \*წტიჲ- „ღვთაება, სიწმინდე, კერპი“ (იჩქ. წიჲ → ||  
წუჲ, ინგ. წუჲ „ქადაგი, სულიწმინდა, წმინდა ადგილი“, ბაცბ. წიჲჲ  
←\*წტიჲ- „კერპი, ღმერთი“);

(16) ს.-ქართვ. \*გირც- „მრგვალი რამ; ხინკალი/პელმენი“ (ქართ.  
გირც-ი, ზან. გირჩ-ი, შდრ. ქართ. (← ზან.) გირჩ-ა) : ს.-ნახ. \*ქირც-უ  
„პელმენის სახეობა“ (იჩქ. ქურზ-ა || ქირზუ, ინგ. ქირძ || ქირც, ბაცბ.  
ქირც<sup>7</sup>);

(17) ს.-ქართვ. \*ას-ირ- „ასი“ (ქართ. ას-ი, ზან. ოშ-ი „ასი“, სვან.  
აშირ || აშირ „ასი“) : ს.-ნახ. \*ბაჰა-ინ- „ასი“ (იჩქ. ბჰჲ, ჭებ. ბაჰაჲ,  
ითუმყ. ბეჲი, ინგ. ბჰჲ ←\*ბაჰაი „ასი“, ბაცბ. რაჰაი<sup>7</sup>);

(18) ს.-ქართვ. \*წილწილ- „წაწიერი; წიწილა“ (ქართ. წიწილ-ი ||  
წიწილ-ა || წუწულ-ა, ზან. ჭუჭულ-ი „წიწილი“, შდრ. ჭიჭ-ე „ბატარა“) :  
ს.-ნახ. \*წირწირ- „ჩიტი მონაცრისფრო, ბოლოქანქარა“ (იჩქ. წირწირ,  
ინგ. წირწირ, ბაცბ. წირწირ<sup>7</sup>).

**კომენტარი:** ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ი ბგერითი შესატყვისობის ქვესა-  
ხეობად უნდა გამოიყოს ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. უ ხმოვნური მიმართება,  
რაც მეორეულ ვითარებას ასახავს. იგი ჩამოყალიბდა ლაბიალიზებულ  
თანხმოვანთა მომდევნო პოზიციაში, რასაც საფუძვლად უდევს **CV** ტი-  
პის ბგერათთანმიმდევრობათა არაკანონიკურობა ნახურ ენებში. ე. ი.  
ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. უ ←\*ი : \*ჲი. ამგვარი ახსნის მართებულობას ამო-  
წმებს ქართველურ ძირთა ჩვენება, სადაც ი-ს წინა პოზიციაში ლაბიალი-  
ზებული თანხმოვნები გამოჩნდება:

(1) ს.-ქართვ. \*კჲილ- „კუნძი; ხის დაბალი სკამი“ (ქართ. კვილ-ო,  
ზან. კვილ-ა ←\*კვილ-ა || კულ-ი „სკამი (ხის)“, სვან. კჲილ „ჯორკო“) :  
ს.-ნახ. \*ყუნ- „ფიცარი“ (იჩქ. ცუ — ერგ. ცუნ-უო, ინგ. ცუ, ბაცბ. რყუნ<sup>7</sup>);

(2) ს.-ქართვ. \*სჲილ- „ჭვავი, შვრია“ (ქართ. სვილ-ი || სვილ-ა,  
ზან. შელ- ←\*შვილ-, შელ-ებ-ურ-ი „ჭვავის პური“, სვან. რსულ-ა<sup>7</sup>  
„შვრია“) : ს.-ნახ. \*სულ-ო „შვრია“ (იჩქ. სულა, ინგ. სულან || სგლან,  
ბაცბ. სულ<sup>7</sup>);

(3) ს.-ქართვ. \*შჲიბ- „ქვის წვერი; წისქვილი“ (ქართ. შიბ-ი, ზან.  
მსქიბ-უ || ფსქიბუ || სქიბუ „წისქვილი, წისქვილის ქვა“, სვან. შგჲიბ

„ქვის ურო“) : ს.-ნახ. \*შუჟ- „ბორცვი, მაღლობი“ (იჩქ. შუჟ, ინგ. შუჟ, ბაცბ. შუჟ);

(4) ს.-ქართვ. \*ცჳილ- „ცვილი“ (ქართვ. ცვილ-ი || ცჳილ-ი, ზან. მ-ჩირ-ი || ჩირ-ი ←\*ჩვირ-ი „ცვილი“, სვან. ჯჳიდ ←\*ჩჳიდ "id") : ს.-ნახ. \*ჩჳრ- „ხელოვნური, გაუწმენდავი ცვილი“ (იჩქ. ჟჳრ-გ || ჯჳრ-გ, ინგ. ჯჳრ-გ, ბაცბ. ჩჳრ-კ);

(5) ს.-ქართვ. \*ყჳილ- „ძვალი“ (ქართ. ყჳლ-ივ-ი → || ყვლ-ივ-ი, ზან. ყვილ-ი || ცვილ-ი || ვილ-ი || ცვილ-ე „ძვალი“, სვან. ყჳლ-აფ- „აყვ-ლეფა“) : ს.-ნახ. \*კჳრ-ჟმ- „ძვალი“ (იჩქ. კჳრამ || კჳრჟმ, ინგ. კორამ, ბაცბ. კჳრჟმ);

(6) ს.-ქართვ. \*ტჳინ- „ტვინი, ცხიმი“ (ქართ. ტვინ-ი || ტჳინ-ი, გან-ტჳინ-ვა, ზან. ტვენ-ი || ტვინ-ი „ტვინი“, ტვინ-გა || ტვინ-გალ-ი „უტ-ვინო“, სვან. თჳელ „ტვინი, ჭკუა“) : ს.-ნახ. \*ტჳმ- „ძვლის ტვინი“ (იჩქ. ტჳმ, ინგ. ტჳმ, ბაცბ. ტჳმ „ნიგვზის, თხილის გული“).

**§ 7.2. ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ე**, არაიდენტური სახეობის ერთ-ერთი ხმოვნური შესატყვისობა რეგულარულად მჟღავნდება საერთო ნახურ-ქართველურ მასალაში. ტიპოლოგიურად ემსგავსება ქართველურ ენებს შორის არსებულ არაიდენტური ტიპის შემდეგ ქვესახეობას — ქართ. ი : ზან. ე : სვან. ე (ქართ. წვიმ-ა : ზან. ჭვემ-ა, ქართ. ლიღვ-ი „დაბეჭილი კანი, ხორცი“ : სვან. ლელჳ „ხორცი“, ქართ. თიჯა : ზან. დეხა...).

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ი	ი	ე	ი	ი/ე	ი/გ	ი/ე	ი/წ/ე	ი

(1) ს.-ქართვ. \*ისლ- „ისლი“ (ქართ. ისლ-ი, ზან. ისირ-ი → || ლი-სირ-ი „ისლი“, სვან. ისრ „ისლი“) : ს.-ნახ. \*ერშ- „ლელქაში“ (იჩქ. ერშ, ინგ. ერშ, ბაცბ. ერშ);

(2) ს.-ქართვ. \*წიქ-არ- „წითელი“ (ქართ. წიქარ-, წიქარ-ა, ზან. წი-ქორ-ი „წითელი“, წიქორ-ია (ანთროპ.), შდრ. გურ. (← მეგრ.) წიქორ-ი „წითელი“) : ს.-ნახ. \*წეგ-ენ „წითელი“ (იჩქ. წეგენ ←\*წეგ-ენ, ინგ. წეგ ←\*წეგ-ენ, ბაცბ. წეგ-ენ, შდრ. ს.-ნახ. \*წიგ-ი ←\*წიგ-ი „სისხლი“);

(3) ს.-ქართვ. \*წიმ-ოლ- „მარცვლეული; ქერი; ერთგვარი საჭმელი“ (ქართ. წინოლ-ი ←\*წიმოლ-ი „ტიმოთელა, ბალახეული მცენარე“, ზან. ჭიმჳრ-ი „პურის ან მჭადის ნაფხვენი (საჭმელი)“, შდრ. მესხ. (← ზან.) ჭიმბჳრ-ი, სვან. ჭემინ „ქერი“) : ს.-ნახ. \*ჭებ-ილ- „ხორბლის კვერი“ (იჩქ. ჭეჳალ-გ || ჭებილ-გ, ინგ. ჭეჳილ-გ, ბაცბ. ჭებილ-კ);

(4) ს.-ქართვ. \*მ-ქჳილ- „ფქვილი“ (ქართ. ფქვილ-ი, ზან. ქვირ-ი || მქირ-ი || მქვერ-ი „ფქვილი“, სვან. ქჳერ-, ლე-ქჳერ- ←\*ლე-ქჳირ „წის-ქვილი“) : ს.-ნახ. \*ჰატჳერ- „ფქვილი; წისქვილი“ (იჩქ. ჰატჳერ „წისქვილი“, ინგ. ჰატჳარ ←\*ჰატჳერ „ფქვილი“, ბაცბ. ჰატჳრჳ ←\*ჰატჳერ „ფქვილი“);

(5) ს.-ქართვ. \*ფილ-ფილ- „თმასავით ფოჩი; წვერ-ულვაში“ (ქართ. ფიფილ-ი, ზან. ფიმფ-ი || ფინფილ-ი || ფიმფილ-ი „სიმინდის ფოჩი; წვერ-ულვაში“) : ს.-ნახ. \*ფელ- „ბუმბული, ფრინველის ნაკრტენი“ (იჩქ. ფელ-აგ, ინგ. ფელ-ანგ, ბაცბ. «ფელ-აკ»);

(6) ს.-ქართვ. \*იყ- „მაგარი სასმელი; არაყი“ (ქართ. იყ-ი „არაყი, რახი“, ზან. «იყ-ი») : ს.-ნახ. \*ა-ეგ- „ლუდი“ (იჩქ. აიგ ←\*აეგ, ინგ. აიგ ←\*აეგ, ბაცბ. აეგ ←\*აეკ „ლუდი“);

(7) ს.-ქართვ. \*თიხტ- „შტო, გვარი; ჭიბი/მობმული“ (ქართ. (გურ.) თიხ-ი ←\*თიხვ-ი, სვან. შდტუხტუ || შდხტუ ←\*შთიხტუ „ჭიბი“; „ჩალის ზვი-ნი ხეზე“) : ს.-ნახ. \*თერხ-ი „შვერილი, თარო“ (იჩქ. თერხი, ინგ. თარხნ, ბაცბ. «თერხნ»);

(8) ს.-ქართვ. \*გირძ-ილ-/\*ძირგ-ილ- „კბილი, ღრძილი“ (ქართ. გრძილ-ი ←\*გირძილ-ი, ზან. ჯირგილ-ი → || ჯირჯილ-ი „ძირა კბილი“) : ს.-ნახ. \*ძეგ-არ- „ეშვი, ნისკარტი“ (იჩქ. ძშუოქ || ძუოქ || ძოქ, ინგ. ძშოქ, ბაცბ. ზოქ „ნისკარტი“).

**§ 7.3. ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა** არაიდენტური ქართველურ-ნახურ-ი ხმოვნური შესატყვისობაა, რომელიც არაერთ ლექსიკურ ერთეულს მოიცავს. იგი ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ი ტიპის შეპირისპირების (იხ. აქვე § 5.4) შებრუნებული შესატყვისობა ჩანს. მსგავსი ხმოვანშეფარდების გასაგებად შეიძლება მოგვეხმო ი ~ ა სახელური აბლაუტის ჩვენება ნახური ენებიდან ან შიდანახური ი : ა ხმოვნური ოპოზიცია, შდრ. ბაცბ. ტიგ : ინგ. ტიგ ←\*ტიტუ : იჩქ. ტად ←\*ტატუ „ხილი“.

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ი	ი	ა	ი	ი/ე	ი/ე	ა/წ	ა/ე	ა

(1) ს.-ქართვ. \*მისტ- „წვეტი“ (ქართ. მის- ←\*მისტ-, მის-ებ-ი „წვეტები ქართული კაბის ზედატანისა“, სვან. ლისტუ → || ლუსტუ „ძუძუ“ ← ეტ. „ძუძუს თავი“) : ს.-ნახ. \*მარშ- „ღრუნჩი“ (იჩქ. მარშ, ინგ. მარშ, ბაცბ. «მარშ»);

(2) ს.-ქართვ. \*სიტ- „სიჭარბე, მომატება წონაში; გასივება“ (ქართ. სიგ-ნ-, გან-სიგ-ნ-ა, სი-მ-სიგ-ნ-ე, ზან. ში-ნ- ←\*შიგ-ნ-, ში-ნ-აფ-ა „სივება“, ღო-ში-ნ-დ-უ „გასივდა“, სვან. შიტ- ← || ში-, ლი-ში-ე „გასივება“, მგ-შიტუ „გასივებული; მსივანი“) : ს.-ნახ. \*საბ- „ჭარბი; მეტობა/მატება“ (იჩქ. სოტუ ←\*სატუ, ინგ. სოტუ ←\*სატუ, ბაცბ. საუბტუ ←\*საბტუ „ჭარბი“, საბ-დარ „ჭარბად ქმნა“);

(3) ს.-ქართვ. \*სიმ- „სიმი, ძუა“ (ქართ. სიმ-ი, სიმ-ი-კინ-ი (საბა), ზან. შიმ-ა → || შირმ-ა „ძუა“) : ს.-ნახ. \*სამ- „ნაწლავი; მსხვილი ნაწლავებისაგან დამზადებული ძეხვი“ (იჩქ. სამ-გ, ინგ. სწმ-გ, ბაცბ. «სამ-კ»);

(4) ს.-ქართვ. \*ვიდ- „ხიდი“ (ქართ. ვიდ-ი → || ხიდ-ი, შე-ვიდ-ებ-ა,

ზან. ხინჯი-ი ←\*ხინდი-ი „ხინდი“, ქვა-მ-ხინჯი-ი, ჭუბურ-ხინჯი-ი (ტობ.) : ს.-ნახ. \*ჰალდჷ- „ბაგა, ახორი“ (იჩქ. ჰალდ-ა || ჰალდ-ა || ჰალდ-ა, ინგ. ჰალდ ←\*ჰალდჷ-, ბაცბ. ჰალდ ←\*ჰალდჷ „ბაგა“);

(5) ს.-ქართვ. \*ქის-ორ- „ნაცრისფერი; რუხი“ (ქართ. ქის-ორ-ი || ქის-ონ-ი „თავისფერი, ნაცრისფერი“, ზან. ქვიშ-ორ-ი ←\*ქვიშ-ორ-ი „ნაცრისფერი“, სვან. ქვიშ-ორ-ა || ქვიშ-არ-აჲ „რუხი“) : ს.-ნახ. \*ჰარს-ინ „წითული“ (იჩქ. ჰარს-ან || ჰარს-ინ<sup>5</sup>, ინგ. ჰარს-ან, ბაცბ. ჰარს-ინ<sup>5</sup>);

(6) ს.-ქართვ. \*ფიტ- „ცარიელი ფიჭა“ (ქართ. ფიტ-ი, ზან. ფიჭ-ი ← ფიტ-ი, სვან. ფიჭ ←\*ფიტ-ი „ფიჭა“) : ს.-ნახ. \*ფატ-ი „თავლია ჭურჭელი“ (იჩქ. ფად ←\*ფატ, ინგ. ფედ ←\*ფატი, ბაცბ. ფადჷ<sup>7</sup>);

(7) ს.-ქართვ. \*ყინ- „ყინვა; ყინული/ცივი“ (ქართ. ყინ-ავ-ს, ყინ-ელ-ი || ყინ-ულ-ი, ზან. ცინ-გ || ცინ-ჟ || ცინ-ი || ყინ-ი „ყინული“, ცინ- || ყინ- „ყინვა“, სვან. ყგვ- || ყგვ- „ყინვა“) : ს.-ნახ. \*ჰან- „ზამთარი“ (იჩქ. ჰა || ჰან<sup>5</sup>, მრ. ჰან-აჲ, ინგ. ჰა — მრ. ჰან-აჲ/ჟ, ბაცბ. ჰა — მრ. ჰამ-ეჲ);

(8) ს.-ქართვ. \*ფხინ- „ჩხირი; საქსოვი იარაღი“ (ქართ. ფხინ-ი, ზან. ფხენ-ი || მხენ-ი ←\*ფხინ-ი „თითისტარი“) : ს.-ნახ. \*ფხან- „ისარი“ (იჩქ. ფხან<sup>5</sup>, ინგ. ფხა — მრ. ფხან-აჲ, ბაცბ. ფხან<sup>5</sup>);

(9) ს.-ქართვ. \*კუირტ- „კვირტი, გაუმწელებელი ყლორტი“ (ქართ. კუირტ-ი || კვრტი || კვირტ-ი, სვან. კუირტ → || კუერტ || კორტ „კვირტი“) : ს.-ნახ. \*ლარტ-ჟ „ყლორტი“ (იჩქ. ლორდ || ლუორდ, ინგ. ლორდ ←\*ლარდჟ, ბაცბ. ლარტჷ);

(10) ს.-ქართვ. \*ლიდჷ- „ხორცი, კანი, ტყავი“ (ქართ. ლიდჷ-ი, ლედჷ-ლედჷ-ად, ზან. ლიდჷ- „ყველფა/ფრცქვნა“, სვან. ლედჷ „ხორცი“) : ს.-ნახ. \*ლაჰა- „ზამთრისთვის დამზადებული ხორცი“ (იჩქ. ლაჰა || ლაჰაჲ, ინგ. ლაჰა, ბაცბ. ლაჰა<sup>7</sup>);

(11) ს.-ქართვ. \*წრიფ- „წვრილი, სწორი, წრფელი“ (ქართ. წრიფ-ი „გამხდარი“, წრფ-ელ-ი ←\*წრიფ-ელ-ი, ზან. ჰრიფ-ე „წვრილი“, მ-ჰრიფ-ა „წმინდა, წრფელი“) : ს.-ნახ. \*ჰაფ- „ბრტყელი, გაბრტყელება“ (იჩქ. ჰაფ-ან-იგ „ბრტყელი“, ჰაფ-დან<sup>5</sup> „გაბრტყელება“, ინგ. ჰაფ-დჟ, ბაცბ. ჰაფ-<sup>7</sup>);

(12) ს.-ქართვ. \*წიმ- „წმენდა, გასუფთავება“ (ქართ. წიმ-ელ-/წიმ-იდ-ა, წიმ-არ-ო „წმინდა, სუფთა“, ზან. წიმ-ინდ- „წმენდა“, სვან. ჰმ-ინ- ←\*ჰიმ-ინ- „წმენდა, დაგვა, ხვეტა“) : ს.-ნახ. \*წამ- „წმენდა, გასუფთავება“ (იჩქ. წან-დარ || წამ-დარ, ინგ. წან-დარ, ბაცბ. წამ-დარ);

(13) ს.-ქართვ. \*წიდ-ა „ჭურჭყი, მომყოლი მშობიარობის შემდეგ“ (ქართ. წიდ-ა, წიდ-ოვან-ი, ზან. წინდ-ა „ჭურჭყი“, წინდ-ამ-ი „ჭურჭყიანი“, სვან. წიდ „ჭურჭყი; ძროხის მომყოლი მშობიარობის შემდეგ“) : ს.-ნახ. \*წანდ-არ- „წალა მშობიარობის შემდეგ“ (იჩქ. წანდარ, ინგ. წარდარ,

ბაცბ. წანდარ<sup>7</sup>);

(14) ს.-ქართვ. \*ლირ- „ღირებული, ღირსი; ღირსება“ (ქართ. ღირ-ს, ღირ-ს-ი, სა-ღირ-ალ-ი, ღირ-ებ-ა, ზან. ღირ-უ(ნ) „ღირს“, მ-ი-ღირ-უ „მი-ღირს“, ვა-ღირ-უ(ნ) „არ ღირს“) : ს.-ნახ. \*ღალ- „ვარგისიანობა, გამოსადეგობა“ (იჩქ. ღალ-და, ინგ. ღალ-დჷ, ბაცბ. ღალ-დარ „ვარგისად მიჩნევა“);

(15) ს.-ქართვ. \*ქიტ- „ქაფქირი; საწვნი კოვზი“ (ქართ. ქიტ-ი, ქიტ-ურ-ა, ზან. ქიტ-ია „ერთგვარი კოვზი“) : ს.-ნახ. \*ქატ-ო „კათხა, ფიალა; ხის დიდი კოვზი“ (იჩქ. ქად || ქადჷ ←\*ქატო, ინგ. ქად ←\*ქატო „ფიალა, კათხა“, ბაცბ. ქატჷ „ხის დიდი კოვზი“);

(16) ს.-ქართვ. \*ლიც- „წყალი“ (ქართ. ლიც-ლიც-ი, გა-ლიც-ლიც-ებ-ა „სითხით გავსება პირთამდე“, სვან. ლიც → || ნიც „წყალი“) : ს.-ნახ. \*ჰას- „წყარო“ (იჩქ. ჰასთ, ინგ. ჰასთ, ბაცბ. «ჰასტ»);

(17) ს.-ქართვ. \*ბიდ- „ბიძა“ (ქართ. ბიდ-ა, ბიდ-ია, ზან. ჯიჷ-ია || ჯიჷ-ი ←\*ბიჷ-ი „ბიძა, ბიძია“) : ს.-ნახ. \*ბაჷ- „ქვისლი“ (იჩქ. ბაჷ-ა → || ბაჷ-ა „ქვისლი“, ინგ. ბაჷ-ჷ || ბაჷ-ჷ "id", ბაცბ. ბაჷ „სიძე“);

(18) ს.-ქართვ. \*ხუის- „წმენდა, დაგვა/გაცოცხვა“ (ქართ. ხვის-ნ-ა „წმენდა, დაგვა“, ზან. ხუშ- ←\*ხეშ- „დაგვა, წმენდა“, ო-ხუშ-ალ-ი „დასაგველი“) : ს.-ნახ. \*ჟუს- „ფხანა, მოსმა (ხელის)“ (იჩქ. ჟუს-არ, ინგ. ჟუს-არ, ბაცბ. ჟუს-არ);

(19) ს.-ქართვ. \*სინსილ- „სინსილა, მართვე, წიწილი, ახალშობილი“ (ქართ. სინსილ-ა, ზან. წინწირ-<sup>7</sup>) : ს.-ნახ. \*სარსალ- „კვერცხის ჩანასახი“ (იჩქ. სარსალ, ინგ. სარსალ, ბაცბ. «სარსალ»);

(20) ს.-ქართვ. \*ნირ- „დაწესებული ფასი/გადასახადი“ (ქართ. ნირ-ი, ზან. წირ-ი<sup>7</sup>) : ს.-ნახ. \*მან- „საფასური ერთი მოკლულისა“ (იჩქ. მან — მრ. მან-აჷ, ინგ. მან, ბაცბ. «მან»<sup>7</sup>).

**§ 8. ამოსავალი \*ო ხმოვნის შესატყვისობანი.** წინარე-ენიდან მომდინარე ო ხმოვანი არაერთგვაროვან რეფლექსებს წარმოაჩენს ქართველურ-ნახურ ენებში. გამოიყოფა როგორც იდენტური, ისე დიფერენცირებული შესატყვისობები, რაც შემდეგი ტიპის ხმოვანმმართვებს გულისხმობს: 1. ს.-ქართვ. ო : ს.-ნახ. ო; 2. ს.-ქართვ. ო : ს.-ნახ. ა; 3. ს.-ქართვ. ო : ს.-ნახ. უ. ცალ-ცალკე წარმოვადგენთ ამოსავალი ო ფონემის რეფლექსებს ყველა აღსაწერი ენის მიხედვით.

**§ 8.1. ს.-ქართვ. ო : ს.-ნახ. ო** არის ხმოვნური შესატყვისობა, რომელიც იდენტური მაჩვენებლებით ხასიათდება. ეს ხმოვანფარდობა არაერთ მაგალითს ითვლის ქართველურ-ნახური ლექსიკური შეპირისპირებებიდან. ტიპოლოგიურად მსგავსი შესატყვისობა დასტურდება ფუძე-ენური ო-ს შესატყვისად ქართველურ ენებში, შდრ. ქართ. ო : ზან. ო : სვან. ო (ქართ. ოთხ-ი || ოთხო : ზან. ოთხო || ოთხუ || ოთხ-ი : სვან. ოთხუთხუ ←\*ოთხო „ოთხი“).

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ო	ო	ო	ო	ო/უ	ო	ო/უო	ო/უო	ო/უ

(1) ს.-ქართვ. \*პონ- „ქონი, ღორის ქონი“ (ქართ. პონ-ილ-ი, პონ-იერ-ი, პონ-ა, ზან. სი-პუნ-ა „ცხიმგროვა“, სვან. პონ-ილ „ღორის ქონი“) : ს.-ნახ. \*მონჰ- „ქონი, მუცლის ქონი“ (იჩქ. მონჰ || მუნჰ, ინგ. მუნჰ, ბაცბ. მონჰ „ქონი“);

(2) ს.-ქართვ. \*ხორ- „ხორა; გროვა“ (ქართ. ხორ-ა „შეშის ზვინი“ (საბა), ზან. ხორჰ, შდრ. სვან. (← ზან.) ვორჰ „შეშის ან ყავრის წყობა“, სვან. ხორ-, ხორ-ეჰ „ხორა, კრებული, გროვა“) : ს.-ნახ. \*ხორ-ან- „ზვინი“ (იჩქ. ხორ-ლა — მრ. ხორ-ლან-აშ, ინგ. ხორ-ა, ბაცბ. ხორ-ა<sup>57</sup>);

(3) ს.-ქართვ. \*წობ- „ჭიბი“ (ქართ. წობ-ი (საბა), ზან. ჭიბ-ე || წიბ-ა ← \*ჭიბ- „ჭიბი“) : ს.-ნახ. \*წომ- „ჭიბი“ (იჩქ. წონ-გა || წომ-გ, ინგ. წონ-გ ← \*წომ-გ, ბაცბ. წომ-კ<sup>7</sup>);

(4) ს.-ქართვ. \*ღონ- „ღონე, ძალა, შეძლება“ (ქართ. ღონ-ე, ღონ-იერ-ი, უ-ღონ-ო, ღონ-ებ-ა, სვან. ღუნენ || ღენ ← \*ღონ-ი „შეძლება, ძალა“) : ს.-ნახ. \*ღორ- „ფიზიკური სიძლიერე“ (იჩქ. ღორ-ა, ინგ. ღორ-, ბაცბ. ღორ-ი<sup>5</sup> „ძალუმი“);

(5) ს.-ქართვ. \*ღოლ- „ღლაყვი; ძვალი, რქა; ღოლნა“ (ქართ. ღოლ-ი „ღერო, რქა მცენარისა“, ზან. ო-ღოლ-უ „ღოლნა“, სვან. ღულ-უნ-ა „ღლაყვი“) : ს.-ნახ. \*ღოლ- „ბარკალი, ბარძაყი“ (იჩქ. ღოლ || ღოლ → || ღოლ, ინგ. ღოლ || ღოლ, ბაცბ. ღოლ<sup>7</sup>);

(6) ს.-ქართვ. \*ღობ- „ღობვა; ღობე“ (ქართ. ღობ-ე, სა-ღობ-ი, ღობ-ავ-ს, ზან. ღობ-ერ-ი „ღობე“, ო-ღობ-უ „ღობვა“, სვან. ღობ || ღუნებ „სკა“) : ს.-ნახ. \*ღოჰ- „კედელი“ (იჩქ. ღოჰ ← \*ღოჰ, ინგ. ღოჰ ← \*ღოჰ, ბაცბ. ღოჰ<sup>7</sup>);

(7) ს.-ქართვ. \*მომ- „მოში; охапка“ (ქართ. მომ-ი, მომ-ვ-ა, მომ-ავ-ს, ზან. მოშჰ<sup>7</sup>) : ს.-ნახ. \*მორლ- „მოში; охапка“ (იჩქ. მურჰ || მორჰ || მორ, ინგ. მურჰ || მორჰ, ბაცბ. მორლ<sup>7</sup> „ერთი ილია“);

(8) ს.-ქართვ. \*ტოქ- „მოწინააღმდეგე, წინ მდგომი, წინა“ (ქართ. ტოქ, მე-ტოქ-ე, სი-ტოქ-ე, ზან. ტოქ-, ტოქ-სერ-ი „ამას წინათ, წინა დღე-ებში“, სვან. ტოქ-, ლი-ტოქ-ე „თევზების პებლვა“) : ს.-ნახ. \*ტოჰ- „უკანა, შთამომავალი“ (იჩქ. ტჰჰ-დე || ← ტოჰ-დე „შთამომავლობა“, ინგ. ტოჰ-დე ← \*ტოჰ-დე, ბაცბ. ტოჰ-დეჰ ← \*ტოჰ-დე „უკან“);

(9) ს.-ქართვ. \*ზომ- „ჭამა, საჭმელი“ (ქართ. \*ზომ- → ზმ-, სა-უ-ზმ-ე, უ-ზმ-ო, სვან. ზუნებ- || ზომ-, ლე-ზუნებ || ლე-ზომ „საჭმელი, საკვები“, ლი-ზუნებ || ლი-ზომ „ჭამა“) : ს.-ნახ. \*მოჰ- „სალაფავი, შეჭამანდი“ (იჩქ. მოჰ, ინგ. მოჰ — მრ. მოჰ-აშ, ბაცბ. მოჰ<sup>7</sup>);

(10) ს.-ქართვ. \*კობ-ე „ერთგვარი ჭურჭელი; კობე“ (ქართ. კობ-ე,



ზან. კობ-ა „ციცხვი, ერთგვარი ჭურჭელი“, სვან. კობ || კობ || კობ „ჩამ-ჩა, ხის სასმისი“) : ს.-ნახ. \*ბოკ-ა „დიდი მისკა“ (იჩქ. ბუოგა, ინგ. ბოგა, ბაცბ. ბოკა<sup>7</sup>);

(11) ს.-ქართვ. \*კონკ- „ძველი ტანსაცმელი“ (ქართ. კონკ-ი, კონკ-ებ-ი, ზან. კინკ-ი || ← კენკ-ი, კენკ-ეფ-ი „კონკები“) : ს.-ნახ. \*კოკ- „ტყაბუჭი“ (იჩქ. კუოგ || კუოგ, ინგ. კოგ, ბაცბ. კოკ „ტყაბუჭი“);

(12) ს.-ქართვ. \*კოკ- „კოკა; გულამოდებული, ამოდრმავებული“ (ქართ. კოკ-ა, კოკ-ურ-ა, კოკ-ომ-ი, ზან. კოკ-ა "id") : ს.-ნახ. \*კოკ- „ორ-მო, ამოდრმავებული“ (იჩქ. კუოგ → || კუაგ || კაგ, ინგ. კაგ ←\*კოკ, ბაცბ. კოკ ←\*კოკ „ორმო“);

(13) ს.-ქართვ. \*გოგ- || გორგ- „რგოლი, რკალი; ბორბალი, მრგვალი“ (ქართ. გოგ-ორ-ა, გორგ-ოლ-ა || გორგ-ოლ-აჭ-ი, გორგ-ალ-ი, ზან. გორგ-ოლ-ია „პატარა ბორბალი, რგოლი“, სვან. გოგ-ურ — მრ. გოგ-ორ-ვლ „ურმის თვალი“, გორგ-ურედ → || გირგ-ოდ „რგოლი, რკალი“) : ს.-ნახ. \*გოგ- „რგოლი, რკალი; მრგვალი“ (იჩქ. გუორგ-ან<sup>5</sup> || გუორგ-ან-იგ, ინგ. გდერგ-ა ←\*გორგ-ან<sup>5</sup>, ბაცბ. გოგ-ო, გოგ-რ-ი<sup>5</sup> „მრგვალი“);

(14) ს.-ქართვ. \*ბოტ- „ბოტი, ვაცი“ (ქართ. ბოტ-ი, ზან. ბეტ-არ-ი ←\*ბოტ-არ-ი „ბოტი“, სვან. ბოტ-ა „ვაცი“) : ს.-ნახ. \*ბოტ- „თიკანი“ (იჩქ. ბუოტ<sup>7</sup>, ინგ. ბოტ<sup>7</sup>; ბაცბ. ბოტ „თიკანი“);

(15) ს.-ქართვ. \*მოთხ- „დასვენება, სეირნობა“ (ქართ. მოთხ-ვ-ა, ი-მოთხ-ვ-იდ-ა, სა-მოთხ-ვ-ელ-ი, სა-მოთხ-ვ-ე) : ს.-ნახ. \*მოთხ- „საქმე, საქმიანობა, მუშაობა“ (იჩქ. ბუოლხ ←\*მოთხ, ინგ. ბოლხ ←\*მოთხ, ბაცბ. ბოთხ „საქმე“);

(16) ს.-ქართვ. \*წობ- „წობი, წახნაგი, წვერი“ (ქართ. წობ-ი, ზან. წკიბ-ი, წკობ-ი → || ძგობ-ი „კიდე, წვერი, წახნაგი“, სვან. წკებ || ძგებ ←\*წკობ „წახნაგი“) : ს.-ნახ. \*წომ- „ხორთუმი“ (იჩქ. წუომ || წომ, ინგ. წომ, ბაცბ. წომ);

(17) ს.-ქართვ. \*თხორ- „გაბმული საქსოვი/ნაქსოვი ძაფი; თხორი“ (ქართ. თხორ-ი, ზან. თხვერ-ი || თხურ-ი || თხვირ-ი ←\*თხურ-ი „ნართი; მსხვილი ძაფი/ბაწარი“) : ს.-ნახ. \*დაჰაორ „საქსოვი დაზგა“ (იჩქ. დაჰარ || დუჰარ ←\*დაჰაორ, ინგ. დოჰარ ←\*დაჰაორ, ბაცბ. რდაჰარ<sup>7</sup>);

(18) ს.-ქართვ. \*ბოლ- „ბოლო, დაბოლოება; აბოლაგება“ (ქართ. ბოლ-ო, ბოლ-ო-ში, ა-ბოლ-აგ-ებ-ა, ზან. ბოლ-ო-ს „ბოლოში“, ბოლ-ო-ბოლ-ო „ბოლოსდაბოლოს“, ი-მბოლ-უ(ნ) „ყირავდება“) : ს.-ნახ. \*ბ-ოლ- „დასაწყისი/დაწყება“ (იჩქ. ბოლ-უო, ბოლ-ა-ბან<sup>5</sup> „დაწყება“, ინგ. ბოლ-ა-ბე "id", ბაცბ. ბოლ-<sup>7</sup>);

(19) ს.-ქართვ. \*ზომ- „ზომვა; ზომიერი, მომცრო“ (ქართ. ზომ-ვ-ა, ზომ-ა, სა-ზომ-ი, ძვ. ქართ. ზომ-ი, ზომ-ით-ი, ზომ-იერ-ი, ზან. ზუმ- → ||

ზგმ- || ზიმ- „ზომვა“, ო-ზუმ-აშ-ე „საზომი“, სვან. ზგმ- ←\*ზომ- „ზომვა“, ზგმ-პრ „ზომიერი, მომცრო“, ზგმ-პრ-დ „ზომიერად“) : ს.-ნახ. \*ჟომ-ენ „მომცრო; ზომიერი, მცირე“, \*ჟომ- „დაბატარაება“ (იჩქ. \*ჟომ- → ჟიმ-, ჟიმ-ა „ბატარა“, ჟიმმ-ალა „ზომიერი ნაჯახი“, ინგ. ზჭამ- ←\*ზჟამ-, ზჭამ- იგ „ბატარა“, ზჭამ-ალა „უმცროსი“, ბაცბ. ჟომ-ენ<sup>5</sup> „ბატარა, მცირე; უსაკო“, ჟომ-ენ-კაჟ „მომცრო“).

**კომენტარი: ს.-ქართვ. ო : ს.-ნახ. ო** შესატყვისობის ნაირსახეობად გვევლინება **ს.-ქართვ. ო : ს.-ნახ. ა** ბგერათფარდობა, რომელიც განვითარებული ჩანს ფუძენახურში განხორციელებული ო → ჟა → ა ფონეტიკური გარდაქმნის საფუძველზე — არაბაგისმიერი და არასონანტი თანხმოვნების მომდევნო პოზიციაში. ერთ-ერთ მაგალითში კარგად გამოჩნდება ჩვენს მიერ ნავარაუდები პროცესის რეალურობა, შდრ. ს.-ქართვ. \*კოკ-ელ- „ქუსლი“ (ქართ. კოკ-ელ-ი) : ს.-ნახ. \*კჰაკ- ←\*კჟაკ- „ქუსლი“ (ბაცბ. კჰაკ). თუ გავითვალისწინებთ თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში ჟ → მ ფარინგალიზაციის შესაძლებლობას, მაშინ ცხადი ხდება ო : მ შესატყვისობის წარმომავლობა, შდრ. ქართ. ჯჟარ-ი → ვაინახ. ჯჟარ- || ჟჟარ- „ჯვარი“:

(1) ს.-ქართვ. \*კოკ-ელ- „ქუსლი“ (ქართ. კოკ-ელ-ი, ზან. კონკ-ერი-ი ←\*კონკ-არ-ი „კანჭი, წვივი“) : ს.-ნახ. \*კჰაკ- ←\*კჟაკ- „ქუსლი“ (იჩქ. კჰჟა ←\*კჰჟა, ინგ. კოჟჟუჟ ←\*კჰჟუჟ, ბაცბ. კჰაკ „ქუსლი“);

(2) ს.-ქართვ. \*ვორც- „ხორცი; სხეული/გვამი“ (ქართ. ვორც-ი || ხორცი-ი, ზან. ხორცი-ი → || ხორცი-ი „ხორცი“) : ს.-ნახ. \*ჩარხ- ← წ.-ნახ. \*ჩუარჟ- „გატყავებული და გამოშიგნული ცხოველი“ (იჩქ. ჩარხ, ინგ. ჩარხ, ბაცბ. ჩარხ<sup>6</sup>);

(3) ს.-ქართვ. \*ვოვობ- „ხობობი“ (ქართ. ვოვობ-ი || ხობობ-ი, ზან. ხობობ-ი "id", სვან. ვოვობ || ვოვობ "id") : ს.-ნახ. \*ვაჟუ ←\*ვჟაჟ- „მტრედი“ (იჩქ. ვუოჟა || ვოჟუ, ინგ. ვოჟა, ბაცბ. ვაჟჟუ ←\*ვაჟუ);

(4) ს.-ქართვ. \*ბოცო „მწერი“ (ქართ. ბოცო, ზან. ბოჩ-ი, შდრ. იმერ. (← ზან.) ბოჩ-ი „მწერი“) : ს.-ნახ. \*ჩაფ- ←\*ჩჟაფ- „ტარაკანი“ (იჩქ. ჩჰფ-ილგ, ინგ. ჩაჟფ-ილგ, ბაცბ. ჩჰფ<sup>7</sup>).

**§ 8.2. ს.-ქართვ. ო : ს.-ნახ. უ** არის კანონზომიერი ხმოვნური შესატყვისობა, რომელიც არაიდენტური მაჩვენებლებით ხასიათდება. სახე-ზეა ო → უ არტიკულაციის უკან გადაწევის ფონეტიკური პროცესი ფუძენახურში, რომლის მიზეზი არ არის გამოკვლეული. ო : უ ხმოვანფარდობა არაერთ მაგალითს ითვლის ქართველურ-ნახური ლექსიკური შეპირისპირებებიდან. ფუძენახურისებური ხმოვანგადაწევით ჩამოყალიბებული, ტიპოლოგიურად მსგავსი შესატყვისობა დასტურდება საერთოქართველური ო ხმოვნის შესატყვისად ზანურში, შდრ. ქართ. ო : ზან. უ (ქართ. ოფლ-ი : ზან. უფუ || უფ-ი „ოფლი“; ქართ. ორ-ი || ო-ორ-ი : ზან.

ქურ-ი ←\*დ-ურ-ი „ორი“; ქართ. ზომ-, ზომ-ი, სა-ზომ-ელ-ი : ზან. ზუმ-,  
ო-ზუმ-ონ-ი || ო-ზუმ-აშ-ე „საზომი“, ბ-ზუმ-უმ „ვზომავ“).

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ო	ო	უ	ო	ო/უ	ო/უე	უ	უ	უ

(1) ს.-ქართვ. \*ბორბალ- „ობობა“ (ქართ. ბორბალ-ა „ობობა“, ზან. ბორბოლ-ია || ბომბულ-ა „ობობა“) : ს.-ნახ. \*ბუმბარ- „მტაცებელი ფრინველის სახეობა“ (იჩქ. ბუმბარ-ი, ინგ. ბუმბარ-გ, ბაცბ. ბუმბარ-<sup>7</sup>);

(2) ს.-ქართვ. \*მორ- „მორევი“ (ქართ. მორ-ევ-ი, ზან. მონ-ია „მორევი“) : ს.-ნახ. \*ბურ- „მორევი“ (იჩქ. ბურ-უჟ || ბურ-ჟ, ინგ. ბურ-უჟ, ბაცბ. ბურ-<sup>7</sup>);

(3) ს.-ქართვ. \*წოჟ- „წოვა, წოვება, წრუბა“ (ქართ. წოვ-ს, სა-წოვ-არ-ა, წოვ-ა, ზან. წვ- || წუ-, წუ-ალ-ა || წუ-აფ-ა „წოვა/წოვება“, სვან. წობ-, ენ-წობ-ე „მოწრუბა“) : ს.-ნახ. \*წუბ- „წოვა, წუწნა“ (იჩქ. წუბ-და<sup>5</sup> „წოვა“, წუბ-დარ „წურბელა“, ინგ. წუბ-დეჟ "id", წუბ-დარ "id", ბაცბ. წუბ- ←\*წუბ-, წუბ-დარ „წოვა“);

(4) ს.-ქართვ. \*ცონ- „დამაკება“, მ-ცონ-არ- „მაკე“ (ძვ. ქართ. მ-ცონ-არ-ე, მ-ცონ-არ-ი/ა, ს-ცონ-ი-ს, სი-ცონ-ილ-ი, ზან. მ-ჩინ-ოჯ-ი ←\*მ-ჩუნ-ოჯ-ი „მაკე“, დე-ჩინ-ოდ-უ „დამაკდა“, სვან. ჩომ-ირ → || ჩუნემ-ირ → || ჩამჟ-ირ „დონდლო“) : ს.-ნახ. \*ჩულ- „დამაკება“, \*ჩულ-ინ „მაკე“ (იჩქ. ჩულ-ა<sup>5</sup> || ჩულ-ი<sup>5</sup>, ინგ. ჩულ-ა, ბაცბ. ჩულ-ი<sup>5</sup> „ორსული, მაკე“);

(5) ს.-ქართვ. \*ცოლ- „ცოლი, ქალი“ (ქართ. ცოლ-ი, ცოლ-ებ-ა, ცოლ-იერ-ი, ზან. ჩილ-ი || ← ჩგლ-ი ←\*ჩულ-ი „ცოლი“, ო-ჩილ-უ „ცოლის შერთვა“, სვან. ჩურ- || ← ჩჟირ-, და-ჩურ || და-ჩჟირ „და ძმისთვის“ = და-ქალ-ი) : ს.-ნახ. \*ბ-სთუნ- „ცოლი; კნეინა“ (იჩქ. სთუ || უს-თუ „ცოლი“, სთუ „კნეინა“, ინგ. უსთ „ცოლი“, სუჟ — მრ. სუჟ-ნ-აშ "id", ბაცბ. ფსტუ, ფსტუნ-ი<sup>5</sup> „ცოლისა“);

(6) ს.-ქართვ. \*სონჟ- „ჭლაკვი; უთავო ხახვი“ (ქართ. სონჯ-ი → || სონ-ი, ზან. შუნჟ ←\*შუნჯ-ი "id", შუნჟ-უ-თ-ი (ტობ.), შუნჟ (ანთრობ.) : ს.-ნახ. \*სუნ-ი „ველური შვრია“ (იჩქ. სუნდა || სუნა, ინგ. სუნ || სუნდ, ბაცბ. შუნ<sup>7</sup>);

(7) ს.-ქართვ. \*კოწოლ- „თმის ნაწნავი“ (ქართ. კოწოლ-ი „თმის ნაწნავი“, ზან. კუჭ-ულ-ი „ქოჩორი“) : ს.-ნახ. \*კუჭ- „ქოჩორი“ (იჩქ. კუჟ || კუჯ ←\*კუჭ, ინგ. კუჩა || კუჯ ←\*კუჭ, ბაცბ. კუჭ);

(8) ს.-ქართვ. \*კოწ- „მწვერვალი, კენწერო“ (ქართ. კოწოლ-ა „კენწერო“, ზან. კუჭ-ან-ი „თავი, კენწერო“) : ს.-ნახ. \*კუჭ- „მთის წვერი“ (იჩქ. კუჟ || კუჯ ←\*კუჭ, ინგ. კუჟ || კუჩა || კუჯ ←\*კუჭ, ბაცბ. კუჭ „მთის წვერი“);

(9) ს.-ქართვ. \*კოდ- „კოდი“ (ქართ. კოდ-ი, ზან. კოდ-ი "id", სვან. კჷიდ „კოდი“) : ს.-ნახ. \*კუდ-ალ „ჭინჭილა“ (იჩქ. კუდ-ალ, ინგ. კუდ-ალ, ბაცბ. კუტ-ალ ←\*კუდ-ალ);

(10) ს.-ქართვ. \*მოს- „ძაფი“ (ქართ. მოს-ი, ზან. მომ-, ო-მომ-ირ-ი „ქსელში სიგანით გასავლები ძაფი“) : ს.-ნახ. \*მუმ- „თოკი, ბაწარი“ (იჩქ. მუმ „თოკი; ბაწარი“, ინგ. მუმ "id", ბაცბ. მუმ „თოკი“).

**§ 9. ამოსავალი \*უ ხმოვნის შესატყვისობანი.** წინარე-ენიდან მომდინარე უ ხმოვნის რეფლექსები ნახურ-ქართველურ ენებში არაერთგვაროვანია. გამოიყოფა როგორც იდენტური, ისე დიფერენცირებული შესატყვისობები; რაც შემდეგი ტიპის ხმოვანმართებებს გულისხმობს: 1. ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. უ; 2. ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. ო; 3. ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. ა. წარმოვადგენთ ამოსავალი უ ფონემის რეფლექსებს ყველა აღსაწერი ენის მიხედვით.

**§ 9.1. ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. უ** ხმოვნური შესატყვისობის ისეთი ტიპია, რომელიც იდენტური მაჩვენებლებით ხასიათდება. წარმოდგენილი ხმოვანფარდობა არაერთ მაგალითს ითვლის ქართველურ-ნახური ლექსიკური შეპირისპირებებიდან (იხ. ქვევით).

ფ.-უ.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*უ	უ	უ	უ	უ→გ/ი	უ	უ	უ	უ

(1) ს.-ქართვ. \*წუკ- „მომცრო ზომის ქვაბი“ (ქართ. წუკ-ალ-ა „სპილენძის პატარა ქვაბი“, ზან. ჭუკ-ი "id", ჭურკ-ა || ჭუკ-ან-ი || ჭუკ-ალ-ი „მოლიდო ქვაბი“) : ს.-ნახ. \*ჭუკ- „ყანწი/კოტომა; ქილა“ (იჩქ. ჭუკ „ქილა“, ინგ. ჭუგ ←\*ჭუკ, ბაცბ. ჭუკ „ყანწი“);

(2) ს.-ქართვ. \*ცუხ- „ფიჭის დაწურვის შემდეგ დარჩენილი წვენი“ (ქართ. ცუხ-ი || მ-ცუხ-ი, ზან. ცუხ-ი „წვენი თაფლის გამოწურვის შემდგომ დარჩენილი“) : ს.-ნახ. \*ჩუჰა-ი „ყველის ნაწური სითხე; შრატი“ (იჩქ. ჩჷჰა, ინგ. ჩუჰაი, ბაცბ. ჩუჰაჰი);

(3) ს.-ქართვ. \*ფუტ- „ოჯახი, ეზო“ (ქართ. ფუტ-ი „კომლი, ოჯახი“, ზან. ფუტ-, ო-ფუტ-ე „ეზო, სახლი, სოფელი“) : ს.-ნახ. \*ტუტ- „ეზო“ (იჩქ. ტუტ-ეჷ „ეზო“, ინგ. უდტ-ეჷ "id", ბაცბ. ვუდტ-);

(4) ს.-ქართვ. \*ფურ- „ძროხა“ (ქართ. ფურ-ი, ზან. ფუჯ-ი ←\*ფური „ფური, ძროხა“, სვან. ფურ || ფჷრ || ფჷრ „ფური, ძროხა“) : ს.-ნახ. \*ბულ- „დომბაი“ (იჩქ. ბულ-ა, ინგ. ბულ-, ბაცბ. ბულ-ჷ);

(5) ს.-ქართვ. \*კუნ- „ბნელი, სიბნელე“ (ქართ. კუმ-ეტ-ი „ბნელი“, ზან. კუმ-, უ-კუმ-ელ-ა „სიბნელე, ბნელი“, სვან. უ-ტკუნ ←\*უ-კუნ „ბნელი“) : ს.-ნახ. \*ჷუნ- „ლამე“ (იჩქ. ჷუნ ←\*ჷუნ, ინგ. ჷუნ ←\*ჷუნ, ბაცბ. ჷუნ ←\*ჷუნ);

(6) ს.-ქართვ. \*კრუტ- „კრუხი“ (ქართ. კრუტ-ი, ზან. კურტ-ი „კრუხი“) : ს.-ნახ. \*ყურტ- „კრუხი“ (იჩქ. ყურდ-იგ ←\*ყურტ-იგ, ინგ.

ყურდ-იგ ←\*ყურტ-იგ „კრუნი“, ბაცბ. «ყურტ-»);

(7) ს.-ქართვ. \*დუდ- „თავი, კეფა, ბიბილო, თხემი“ (ქართ. დუდ-ი, დუდ-ხალ-ი, ზან. დუდ-ი „თავი, კეფა“, სვან. დუდ-ულ „ძუძუსთავი“) : ს.-ნახ. \*დუდ-ი „თავის ქალა“ (იჩქ. თჷთა || თუთი, ინგ. თითი ←\*თჷთი, ბაცბ. «თუთი»);

(8) ს.-ქართვ. \*გუბ- „დაგუბება, გუბე“ (ქართ. გუბ-ე, გუბ-ი, და-გუბ-ებ-ა, ზან. გუბ-ი „დაგუბებული ადგილი“) : ს.-ნახ. \*გუტ- „ბორცვი“ (იჩქ. გუ ←\*გუტ, ინგ. გუტ, ბაცბ. «გუტ»);

(9) ს.-ქართვ. \*ბურწ-ალ- „ფიწალი; წალი“ (ქართ. ფიწალ-ი ←\*ბურწალ-ი, ზან. ბურჭულ-ი „წალდი“) : ს.-ნახ. \*ფურწ- „კავი“ (იჩქ. ფურწ → || ფურძ || ფურზ, ინგ. ფურძ ←\*ფურწ, ბაცბ. «ფურწ»);

(10) ს.-ქართვ. \*მუჭ- „მოჭერა, მომუჭვა; მუჭა“ (ქართ. მუჭ-ი || მუჭ-ა, მუჭ-ავ-ს, ზან. მუჭკ-ა „მუჭა“, მუნჭკ-უნ-ს „მუჭავს“) : ს.-ნახ. \*მუტა- „ნაწური, წვენი, ნაჟური“ (იჩქ. მუთა ←\*მუტა, ინგ. მუთა ←\*მუტა, ბაცბ. «მუტა»);

(11) ს.-ქართვ. \*მურწ- ←\*მურ- „წვერი; რქა“ (ქართ. მურწ-ი || მურწ-ა „წვერა“, სვან. მუჭტ || მიჭტ „რქა“) : ს.-ნახ. \*მურწარ- „დინგი, დრუნჩი, ხორთუმი“ (იჩქ. მურწარ, ინგ. მურწარ, ბაცბ. «მურწარ»);

(12) ს.-ქართვ. \*ულ-ელ- „უღელი“ (ქართ. ულ-ელ-ი, ზან. ულ-უ "id", სვან. ულ-ტ-ა || ულ-ტ-ა „უღელი“) : ს.-ნახ. \*დ-უყ- „უღელი“ (იჩქ. დუყ, ინგ. დუყ, ბაცბ. დუყ „უღელი“);

(13) ს.-ქართვ. \*ბუგ-ურ- „ყვავილი (დაავადება)“ (ქართ. ბუგ-ი, ზან. ფუჭურ-ი → || ფუჭირ-ი „ყვავილი“, სვან. ბუგურ → || ბუგურ „ყვავილი (დაავადება)“) : ს.-ნახ. \*ფუგ- „კვირტი (მატყლის)“ (იჩქ. ფუგ, ინგ. ფუგ, ბაცბ. ფუგ ←\*ფუგ);

(14) ს.-ქართვ. \*ქურც- „ბუჩქი/ჩირგვი“ (ქართ. ქურც-ი, ზან. ქურჩხ-ი → || ქუნცხ-ი || ქვირცხ-ი || ქვერჩხ-ი „ბუჩქი“, სვან. \*ქურჩხ → ქგრჩხ „ბალახი სარეველა“) : ს.-ნახ. \*ქურს- „თავიგული; კონა/ძნა“ (იჩქ. ქურს, ინგ. ქურს, ბაცბ. «ქურს»);

(15) ს.-ქართვ. \*დუმ- „იდუმალემა; საიდუმლო“ (ქართ. დუმ-ილ-ი, დუმ-ს, ი-დუმ-ალ-, სა-ი-დუმ-ლ-ო, სვან. დუმ-, ლი-დუმ-ე „საიდუმლოს შე-ნახვა“) : ს.-ნახ. \*დუტ- „ფიცი“ (იჩქ. დუდ ←\*დუტ, ინგ. დუტ, ბაცბ. დიბ ←\*დუბ „ფიცი“);

(16) ს.-ქართვ. \*დ-უსთ-ე „თვე, მთვარე“ (ძვ. ქართ. თვთ-ე || თუთ-ე, ზან. მ-თუთ-ა || თუთ-ა ←\*დუთ-ა „თვე, მთვარე“, სვან. დომდ-ულ || დომტ-ულ „მთვარე“) : ს.-ნახ. \*ბ-უთა- „თვე, მთვარე“ (იჩქ. ბუთა, ინგ. ბუთა, ბაცბ. ბუთა);

(17) ს.-ქართვ. \*დულ- „მუხლი; მოხრილი“ (ქართ. ი-დუნ-იო, დულ-ი,

ზან. ღულ-ი || ღულ-ა „მრუდი“, სვან. უ-ღუნ-ა „დაყვი“, ღულ-ა-ღ || ღულ-ა „მუხლი“) : ს.-ნახ. \*ღულ- „კოჭის ძვალი“ (იჩქ. ღულ-გ, ინგ. ღოლ-გ, ბაცბ. 'ღულ-<sup>1</sup>);

(18) ს.-ქართვ. \*მულ-ო „მუხვი, თხუნელა“ (ქართ. მულ-ო, ზან. მულ-უ "id", სვან. მულ-ტ ←\*მულ-ო „თხუნელა“) : ს.-ნახ. \*ნულ-ე „ციყვი/თრიითინა“ (იჩქ. უნტე- || უნდე-ფჰაიდ „კუ“, ინგ. უნდჰ-ფჰაიდ "id", ბაცბ. 'უნდ-ე<sup>1</sup>);

(19) ს.-ქართვ. \*ბულ- „ბუდე, anus, vulva“ (ქართ. ბულ-ე, ზან. მუნდ-ი || ბულ-ი "anus", სვან. ბულ || ბიდტუ || ბიდ "vulva") : ს.-ნახ. \*ბულ- "vulva" (იჩქ. ბულ, ინგ. ბულ → || ბუთჰ, ბაცბ. ბუტ ←\*ბულ);

(20) ს.-ქართვ. \*წურ- „სითხე; თხევა“ (ქართ. წურ-წურ-ი, მო-წურ-წურ-ებ-ს, ზან. ჭურ-ჭულ-ი „წურწური“, სვან. წურ- ←\*ჭურ-, ხ-ო-წურ-ე „ადენს/უდენს (ოფლს, ცრემლს...)“, მე-წურ-ე „თხევადი“) : ს.-ნახ. \*წურ-ი „ნაკელწყალი; შარდი“ (იჩქ. წუნ || წუნ-ა, ინგ. წუნ- „ნაკელწყალი“, ბაცბ. წურ- ←\*წურ-ი „ძროხის შარდი“);

(21) ს.-ქართვ. \*ცუნ- „შრობა; შესქელება“ (ქართ. (გურ.) ცუნ-ცულ-ა „ნამცხვარი“, ზან. ჩუ-ჩუნ-ა „თბილი“, ჩუნ-აფ-ა „გამომშრობა; შესქელება“) : ს.-ნახ. \*ცუნ- „მშრალი; შესქელება“ (იჩქ. ცუნი, ინგ. ცუნ-, ბაცბ. ცუნ-არ-დარ „შესქელება“, ცუნდნ ←\*ცუნი „მშრალი“).

**§ 9.2. ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. ო** ხმოვნური შესატყვისობა, რომელიც არაიდენტური მაჩვენებლებით ხასიათდება, წარმოშობილი ჩანს ნახურში განხორციელებული უ → ო ფონეტიკური გადაბგერების ნიადაგზე. უ : ო შესატყვისობის რეალურობა შემაგრებულია არაერთი ქართველურ-ნახური შეპირისპირებით. ტიპოლოგიურად მსგავსი უ : ო (← უ) შესატყვისობის დამადასტურებელ მასალას ვპოულობთ ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკიდან, შდრ. ქართ. უწყ- „უწყება“ : ზან. ორწყ-ე(ნ) || ოწყ-ენ „ხედავს“; ქართ. უბე : ზან. ობა „უბე“; ქართ. უბე : ზან. (ლაზ.) ობა "id", ქართ. უ-, უ-ვ-ი-ს „ჰყავს“ : სვან. ო-, ხ-ო-რ-ი „ჰყავს“...

ფ.-უ.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*უ	უ	ო	უ	უ→გ  ი	უ	ო/უო	ო/უო	ო

(1) ს.-ქართვ. \*წულ- „მცირე ასაკის, უმწიფარი ბავშვი; ვაჟიშვილი“ (ქართ. წულ-ი, ქალ-წულ-ი, ზან. ჭოლ-ო „ჰყინტი“, ჭოლ-ა „ჩეელი“, სვან. ჭუმ || ჭუმ || ჭუმ „ვაჟიშვილი“) : ს.-ნახ. \*წოდ-არ „მცირე ასაკის, უმწიფარი ბავშვი“ (იჩქ. წოდდარ, ინგ. წოდარ, ბაცბ. წოდარ<sup>1</sup>);

(2) ს.-ქართვ. \*ღულ- „სიმრუდე, გაღუნვა“ (ქართ. ღულ-ი || მ-ღულ-ი, ზან. ღულ-, სი-ღულ-ა „სიმრუდე“, ღულ-ა „მოხრილი“, სვან. ღულ-ა-ღ „მუხლი“) : ს.-ნახ. \*აღორ- „მრუდე, ირიბი“ (იჩქ. აღორ ||

აღორ, ინგ. ოაღორჲ, ბაცბ. «აღორ»);

(3) ს.-ქართვ. \*ღუზ- „ღუზა; მოკიდება, ჩაბლაუჭება“ (ქართ. ღუზ-ა, ზან. ღუზ-ა "id", ო-ღუზ-უ(ნ) „ეზლაუჭება, ჩამოკიდებულა“) : ს.-ნახ. \*ღოზ- „სამაჯური, მჭილი“ (იჩქ. ჰუოზ || ჰოზ ←\*ღოზ, ინგ. ღოზ, ბაცბ. «ღოზ»);

(4) ს.-ქართვ. \*სურდ-ო „სურდო“ (ქართ. სურდო, ზან. სურდუ ←\*შურდუ „სურდო“) : ს.-ნახ. \*შოდ-ო „ნერწყვი“ (იჩქ. შდეთ || შოდ || შუოდ, ინგ. შოდ, ბაცბ. შათო);

(5) ს.-ქართვ. \*ბუწალ- „ბირკა; ქერი“ (ქართ. ბუწალ-ია || ბუწალ-იე, ზან. ბუჭონ-ი „ქერი“, შდრ. ქართ. (← ზან.) ბუჭონ-ი → || ბიჭონ-ი (საბა)) : ს.-ნახ. \*ბოჭან- „ჭვავი, ქერი“ (იჩქ. ბუოჟან || ბოჯან ←\*ბოჭან, ინგ. ბოჯან ←\*ბოჭან, ბაცბ. «ბოჭან»);

(6) ს.-ქართვ. \*ბუნდ- „ბურუსი, ბინდი, ნისლი“ (ქართ. ბუნდ-ი, ბუნდ-ოვან-ი, სვან. ბინტუ || ბუნტ ←\*ბუნდ „ბურუსი, ნისლი“) : ს.-ნახ. \*ბოდ- „სიბნელე, ბნელი“ (იჩქ. ბუოდ-ა || ბოდ-ა, ბოდ-ან-დე „ბნელი“, ინგ. ბოდ ←\*ბოდ "id", ბაცბ. «ბოდ-»);

(7) ს.-ქართვ. \*ბუზ- „ბუზი“ (ქართ. ბუზ-ი, ზან. ბუზ-, ბუზ-ალ-ა „ბუზის ბუზილი“, სვან. ბუზ-ულ || ბუზ-ულ „ბუზი, ფუტკარი“) : ს.-ნახ. \*მოზ- „ბუზი“ (იჩქ. მუოზ-ა || მოზ-ა — მრ. მოზ-იე, ინგ. მოზ-ჲ — მრ. მოზ-იე, ბაცბ. «მოზ-»);

(8) ს.-ქართვ. \*ლუფზ- „ლუფზი“ (ქართ. ლუფზ-ი (საბა), მთიულ. ლუფზ-ი „წყალი ტალახიანი“, ზან. «ლუფზ-») : ს.-ნახ. \*დოფზ- „ოფლი, ნადნობი“ (იჩქ. დოფზ ←\*დოფზ, ინგ. დიფზ ←\*დოფზ „ნადნობი“, ბაცბ. დოფზ „ოფლი“);

(9) ს.-ქართვ. \*ქუბ- „ჩალის ზვინი/კონა“ (ქართ. ქუბ-ი, ზან. ქუბ-ა „ჩალის რამდენიმე კონა, ერთმანეთზე მიყუდებული გასახმობად“) : ს.-ნახ. \*ქოჟ- „ხორბლის კონა“ (იჩქ. ქუო || ქო, ინგ. ქო, ბაცბ. «ქო»);

(10) ს.-ქართვ. \*ხუტ- „მოხვევა; ხუტება“ (ქართ. ხუტ-ება, ი-ხუტ-ებ-ს, ხუტ-ილ-ი (საბა), ზან. ხუტ-ოლ-ი „ჩახუტება“, ი-ხუტ-ოლ-უ „ჩაიხუტა“) : ს.-ნახ. \*ხოტა- „გადაბმა, მიდგმა, შეერთება ერთმანეთთან“ (იჩქ. ხუოთა-არ, ინგ. ხოთა-არ, ბაცბ. ხოტა-არ || ხოტა-ან).

**კომენტარი:** ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. ო შესატყვისობის სახესხვაობად შეიძლება ჩაითვალოს ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. ა ბგერათფარდობა, რომლის-თვისაც ამოსავალია ო → უა → ა დელაბიალიზაციის ფონეტიკური პროცესი გვიანსაერთონახურში. უა → ა ფუძენახური ფონეტიკური გარდაქმნა განხორციელებული ჩანს თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში (შდრ. ო : ა ←\*უა, § 8.1). ე. ი. ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. ა ← ს.-ქართვ. \*უ : ს.-ნახ. \*უა.

(1) ს.-ქართვ. \*ა-გურ- „აგური, გამომწვარი თიხა“ (აგურ-ი, ზან. ოგურ-ი "id", ოგურ-ხინჯ-ი = აგურ-ხიდ-ი) : ს.-ნახ. \*ანგარ ←\*ანგურ- „ფაიფური, შუშა/მინა“ (იჩქ. ანგალი, ინგ. ინგალო || ინგალდე, ბაცბ. ანკრ-აყო ←\*ანგარ-აყო „შუშა“);

(2) ს.-ქართვ. \*ძუტ-ა „ძუ, დედალი“ (ქართ. ძუვ-ი → || ძუ, ზან. ჯუ-ა ←\*ჯუვ-ა „ძუ, მდედრი“, სვან. ჯუტ-ა → || ჯუ-ა "id") : ს.-ნახ. \*ჯატ-ო ←\*ჯატო-ო „ძროხა“ (იჩქ. ჟა || ჯა ←\*ჯატო, ინგ. ჟა || ჯა ←\*ჯატ, ბაცბ. ჟაბო ←\*ჯაბო);

(3) ს.-ქართვ. \*ფუტ- „კვამლი; ელვა“ (ქართ. ფუტ-ი, ზან. ფიტ-ი || ფტ-ი ←\*ფუტი „ელვა“) : ს.-ნახ. \*ტაფ ←\*ტუაფ- „ელვა“ (იჩქ. ტაფ- → || ტეფ-, ინგ. ტეფ-, ბაცბ. ტაფ-ლაჯარ „გაელვება“);

(4) ს.-ქართვ. \*წუკ- „პატარა ძაღლი, თაგვი“ (ქართ. წუკ-ან-ია-დ, წუკ-ლაკა „უხეირო ძაღლი“, წუკ-ია || წუკ-ი, ზან. ჭუკ-ი „თაგვი“, ჭუკ-ია „პატარა“) : ს.-ნახ. \*კაწ-ე ←\*კუაწ-ე „ლეკვი“ (იჩქ. კაეზნ || კეძ || კაზე, ინგ. კაზნ || კაზნ, ბაცბ. კაწე „ლეკვი“).

**§ 10. ხმოვანთა ამოსავალი სისტემის ცვალეებისათვის ფუძე-ნახურში.** ჩვენს მიერ გამოვლენილი და ზემოთ განხილული ნახურ-ქართველური ვოკალური რიგის ბგერათშესატყვისობათა ჩვენება სქემატურად შემდეგნაირად ჩაიწერება:

ამოსავალი სისტემა	საერთოქართველური	საერთონახური
*ა	*ა *ა *ა *ა	*ა *ა *ე *ი
*ე	*ე *ე *ე *ე	*ე *ა *ი
*ი	*ი *ი *ი *ი	*ი *ე *ა
*ო	*ო *ო *ო *ო	*ო *უ
*უ	*უ *უ *უ *უ	*უ *ი *უა

აღმოჩნდა, რომ საერთონახური ვოკალური სისტემისათვის დამახასიათებელი იყო ამოსავალ ხმოვანთა ფონეტიკური გადაწევა ორი მიმარ-



თულებით: 1. ღია → ვიწრო, 2. ვიწრო → ღია.\* ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა იდენტური ა : ა, ე : ე, ი : ი, ო : ო, უ : უ ტიპის შესატყვისობათა გვერდით დიფერენცირებული სახეობის ხმოვანშესატყვისობათა არსებობა. ეს უკანასკნელი, როგორც ითქვა, იყოფა ორ ძირითად ქვეჯგუფად.

პირველი სახეობის — ღია → ვიწრო — გადაბგერების ნიმუშად გამოდგება შემდეგი ტიპის ნახურ-ქართველური ხმოვნური მიმართებები — ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ე : ა → ე; ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ი : ა → ი; ს.-ქართვ. ე ~ ს.-ნახ. ი : ე → ი, რომელთაც მოეპოვებათ ლაბიალიზებული სახეობებიც. — შდრ.: ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ე || ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ო ←\*ჟე; ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ი || ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. უ ←\*ჟე; შდრ. ს.-ქართვ. ო ~ ს.-ნახ. უ : ო → უ (ე → ი); მეორე: ვიწრო → ღია გადაბგერების ნიმუშად მიიჩნევა — ს.-ქართვ. ე ~ ს.-ნახ. ა : ე → ა; ს.-ქართვ. ი ~ ს.-ნახ. ე : ი → ე; ს.-ქართვ. ი ~ ს.-ნახ. ა : ი → ა; შდრ. მათი ლაბიალიზებული სახეობები: ს.-ქართვ. ი ~ ს.-ნახ. ე || ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. ო : უ → ო; ს.-ქართვ. ი ~ ს.-ნახ. ა || ს.-ქართვ. უ ~ ს.-ნახ. ჟა.

პირობითად ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ე/ი ანუ ღია → ვიწრო ტიპის შესატყვისობები შეიძლება დახასიათდეს როგორც სვანური რიგის ბგერათგადაწევა, ვინაიდან ს.-ქართვ. ა → სვან. ე/ი კანონზომიერი მიმართებაა და რეგულარულად ვლინდება; ხოლო ს.-ქართვ. ე/ი : ს.-ნახ. ა ანუ ვიწრო → ღია ტიპის შესატყვისობებს ასევე პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ზანური რიგის ხმოვანფარდობები, შდრ. ს.-ქართვ. ე → ზან. ა (წვერ-ი : წვანჯ-ი, ერთ-ი : ართ-ი, ექუს-ი : ამშვ-ი, მე : მა...).

ადვილი შესაძლებელია გაიკვირონ ს.-ქართვ. ა ე ი ო უ ვოკალური სისტემის რომელიმე წევრის, ვთქვათ ა-ს, მიმართ საერთონახურში ხან ა-ს, ხან ე-ს ან ი-ს გამოჩენა, რომ არაფერი ვთქვათ ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ო შესატყვისობაზე; მაგრამ, მოდით გავიხსენოთ, განა ს.-ქართვ. ა ზანურში მხოლოდ კანონზომიერ-რეგულარულ ო-ს შეიტყვისებს, თუ, როგორც ნახურ-ქართველური შემთხვევაში, აქაც გამოჩნდება : ს.-ქართვ. ა → ზან. ე (\*ძარღჟ- → ზან. ჯერღვ- „ძარღვი“, \*ტყაჟ- → ზან. ტყებ- „ტყავი“...), ს.-ქართვ. ა → ზან. ა (\*დიკა → ზან. დიკა „ხორბალი“, \*ყან-ა ← ზან. ყონა || ცონა „ყანა“...) ტიპის მიმართებები. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიფერენცირებული (ა : ო, ა : ე) ტიპის ბგერათშესატყვისობათა გვერდით, ბუნებრივი ჩანს იდენტური (გაუდიფერენცირებელი) ბგერათმიმართებებიც. მომავალში სიღრმისეული ანალიზის წყალობით, ალბათ, აიხსნება წინარე-ენიდან მომდინარე \*ა \*ე \*ი \*ო \*უ ხმოვნების რეფლექსაციის მიზეზი საერთონახურში. მაგრამ, თუ დღევანდელ ეტაპზე

\* ვიწრო და ღია ტერმინებისათვის იხ. ახვლ. 1949: 65-76.

ნახურ-ქართველური ხმოვნური მიმართებები არ გამოვლინდა, ნახური ენების რეფლექსთა გენეზისის საკითხი ვერ დაისმება და, მით უფრო, ვერც გადაწყდება.

ჩვენი დაკვირვებით, ფუძენახური ა → ე, ა → ი, ე → ა, ი → ა ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი სისტემური ხმოვანთადაწევა დაედო საფუძვლად საერთონახურ სახელურ ი ~ ა, ე ~ ა და ზმნურ ა ~ ე, ი ~ ე აბლაუტს. ამათგან ზმნურ აბლაუტს პარალელები ეძებნება საერთო-ქართველურში (იხ. მომდევნო პარაგრაფი).

**§ 11. ზმნური აბლაუტის ერთგვაროვანი ტიპისათვის საერთოქართველურსა და საერთონახურში.** ცნობილია, რომ ერთი რიგის ზმნები ქართველურ ენებში ე ~ ი ფუძის აბლაუტით განასხვავებენ I და II სერიის დრო-კილოთა ნაკვთებს ერთმანეთისაგან. მხედველობაში გვაქვს ვ-ცვეთ ~ ვ-ცვით-ე, ვ-ი-ჭერ ~ ვ-ი-ჭირ-ე ანუ ე ~ ი ტიპის ხმოვანმონაცვლე ზმნები. ისტორიულად ზემოხსენებული ე ~ ი აბლაუტით დრო-კილოთა პირველი და მეორე სერიის ნაკვთები კი არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ანუ პირველ სერიაში ე და მეორე სერიაში ი კი არ გვქონდა, არამედ ერთი მორფემის ფარგლებში არსებობდა ე ~ ი ხმოვანმონაცვლეობა, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ფუნქციონალური ღირებულება გააჩნდა. აქ გვქონდა არა დროითი სხვაობა, არამედ მსგავს სიტუაციებში ხმოვნის აბლაუტით გამოიხატებოდა უსრულ და სრულ ასპექტებს შორის არსებული მორფოლოგიური დაპირისპირება, როცა ე ხმოვნის ფორმები გადმოგვცემდა განგრძობითი (დიურატიული) ასპექტის გაგებას, ხოლო ი ხმოვნის ფორმებით სრული (მომენტობრივი) ასპექტი იწარმოებოდა. ე. ი. ცვეთ-, ჭერ-... ე განხმოვანების ფუძეები გადმოსცემდნენ დიურატიულ ასპექტს, ხოლო ცვით-, ჭირ-... ი განხმოვანების ფუძეები — მომენტობრივ ასპექტს. დროის მაწარმოებლად განსხვავებული მორფოლოგიური აფიქსები ფუნქციონირებდა საერთოქართველურ ფუძე-ენაში. საერთო-ქართველური ე ~ ი ასპექტური აბლაუტის შესატყვისი ჩანს საერთონახური ე ~ ა ასპექტური ტიპი ფუძენახურში, რომელიც თავს იჩენს საერთო წარმომავლობის ნახურ-ქართველურ ზმნებში. ამრიგად, ასპექტური აბლაუტის მიხედვითაც ენათესავებიან ერთმანეთს საერთოქართველური და საერთონახური ფუძე-ენები, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ე, ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა, რაც ს.-ქართვ. ე ~ ი : ს.-ნახ. ე ~ ა ასპექტურ აბლაუტში გამოჩნდება.

**ს.-ქართვ. ე ~ ი : ს.-ნახ. ე ~ ა ასპექტური აბლაუტი**

(1) ს.-ქართვ. \*ყუნ- ~ \*ყუნ- „პარსვა; რაღაცის მოცილება“ (ყუნ-, და-ყუნ-ავ-ს, და-ყუნ-ვა „მოპარსვა“, და-ი-ყუნ-ა „გაიპარსა“, სა-ყუნ-ელ-ი „საპარსი“, სვან. ყუნელ-, ლი-ყუნელ „მოცილება“, ხ-ყუნელ-ე „აღლის“, ხ-ყუნელ-ენ-ი „სცილდება“, ყუნილ-, ა-ხ-ყუნილ „მოაცილა“) : ს.-ნახ. \*ლერკ- ~ \*ლარკ- „პარსვა, კრეჭა“ (იჩქ. ლდერგ-არ „უსრ. ასპ.“ ~ ლარგ-არ „სრ. ასპ.“, ინგ. ლდერგ-პრ ~ ლარგ-არ "id", ბაცბ. ლერკ-არ ~

ლარკ-არ, ლერკ-ი<sup>ნ</sup> „ბარსეს“ ~ ლარკ-ი<sup>ნ</sup> „გაბარსა“);

(2) ს-ქართვ. \*სრეს- ~ სრის- „სრესა, ჰყლეთა, მიჯრა“ (ქართ. სრეს-, სრეს-ა, ვ-სრეს, სრეს-ილ-ი, ვ-სრის-ე, გა-ი-სრის-ა, ზან. სირას-უ-ა „სრესა“, სირას-ილ-ი = სრეს-ილ-ი, გო-სირის-უ „გასრისა“) : ს.-ნახ. \*ჰაემ- „სრესა, ჰყლეთა“ (იჩქ. ჰაემ-არ „უსრ. ასპ.“ ~ \*ჰაემ-არ „სრ. ასპ.“, ინგ. ჰაემ-არ ~ ჰაემ-არ "id", ბაცბ. ჰაემ-არ ~ ჰაემ-არ "id");

(3) ს-ქართვ. \*მეტ- ~ \*მატ- „მატება; მეტი“ (ქართ. მეტ-ობ-ს, მეტ-ობ-ა, ი-მატ-ა, მო-ი-მატ-ა, ზან. მენტ-, უ-მენტ-აშ-ი = უ-მეტ-ეს-ი, სვან. მტ- ←\*მეტ-, ლი-მტ-ე „დამატება“) : ს.-ნახ. \*ლეტ- ~ \*ლატ- „მატება, მომატება“ (იჩქ. ოლეტ- ~ ლატ-<sup>7</sup>, ინგ. ოლეტ- ~ ლატ-<sup>7</sup>, ბაცბ. ლეტ-არ „უსრ. ასპ.“ ~ ლატ-არ „სრ. ასპ.“, ლეტ-ი<sup>ნ</sup> „ამატეს“ ~ ლატ-ი<sup>ნ</sup> „დამატეს“);

(4) ს-ქართვ. \*ცუესთ- ~ \*ცუისთ- „კვეთა, ჭრა“ (ქართ. და-ს-ცუეთ-ს, წინა-და-ს-ცუეთ-ს, და-ცუეთ-ილ-ი, და-ს-ცუით-ა, და-ს-ცუით-ო-ს, ზან. ჩით- ←\*ჩუით-, ო-ჩით-უ „ჭრა; ბობა“, ფ-ჩით-უფ „ვჭრი“, დო-ფ-ჩით-ი „დავჭერი“, სვან. ჩიმდ- ←\*ჩუიმთ-, ლი-ჩიმდ-დელ „შერჭობა“) : ს.-ნახ. \*ცესთ- ~ \*ცასთ- „ჭრა, კვეთა“ (იჩქ. ცესთ-არ „უსრ. ასპ.“ ~ ცასთ-არ „სრ. ასპ.“, ინგ. ცესთ-არ ~ ცასთ-არ "id", ბაცბ. ცესტ- ~ ცასტ-<sup>7</sup>);

(5) ს-ქართვ. \*ბექ- ~ \*ბიქ- „დანამცეცება, დაჭრა; სკდომა“ (ქართ. ბიქ-ი, ნა-ბიქ-ევ-ი, სვან. ბექკუ- ~ ბიქკუ-, ბექკუ-ნ-ი „სკდება“, ა-ბიქკუ „გახეთქა“) : ს.-ნახ. \*ჰაეტა- ~ \*ჰაატა- „შერჭობა; ჩაჭრა“ (იჩქ. ეითა-არ ~ ეოთა-არ, ინგ. ეითა-არ ~ ეოთა-არ, ბაცბ. ჰაეტა-არ „ურჭვეს“ ~ ჰაატა-არ ←\*ჰაატა-არ „შეურჭვეს“);

(6) ს-ქართვ. \*ყეც- ~ \*ყიც- „გაშვება, დახსნა“ (ქართ. ყც- „ყცო-ლა“ (საბა), სვან. ყეჩ- ~ ყიჩ-, ხ-ე-ყეჩ-ენ-ი „ეშვება, ეხსნება“, ა-ყიჩ „ახსნა, აუშვა“) : ს.-ნახ. \*ყესთ- ~ \*ყასთ- „გამოყოფა, მოშორება, მოცილება“ (იჩქ. ყესთ-არ ~ ყასთ-არ, ინგ. ყესთ-არ ~ ყასთ-არ, ბაცბ. ყესტ-არ ~ ყასტ-არ, ყესტ-დიფ<sup>ნ</sup> „აშორეს“ ~ ყასტ-დიფ<sup>ნ</sup> „მოაშორეს“);

(7) ს-ქართვ. \*წედ- ~ \*წიდ- „სვლა; გადახდა; მოხდა; ამოღება“ (ძვ. ქართ. აღ-ი-წად-ა, შთა-ვ-წედ, წარ-ვ-წედ, ზან. (ლაზ.) ო-ხთ-იმ-უ, მო-ხთ-უ „მოვიდა“, სვან. ლი-წედ „მოსვლა; გადახდა“, წიდ-ე „მოაქვს“): ს.-ნახ. \*დ-ევ- ~ \*დ-ავ- „გადახდა; მოხდა; ამოღება; მოყვანა“ (იჩქ. თდეწ-არ/თავ-არ „გადახდა“, დ-ავ-არ „მოხდა; მოტანა“, ინგ. თდეწ-არ/თავ-არ "id", დ-ავ-არ "id", ბაცბ. თევ-არ/თავ-არ „მოხდა“, დ-ევ-არ „გადახდა“).

# კონსონანტური სისტემა

## II თავი

### თანმოვანთა სისტემის ზოგადი დანასიათება

ნებისმიერი ენის ფონოლოგიური სისტემის შესწავლის პირველ საფეხურს წარმოადგენს ბგერითი სისტემის პარადიგმატული ანალიზი. საერთოქართველური და საერთონახური ენების რეკონსტრუირებულ ფონოლოგიურ სისტემაში თანმოვანთა პარადიგმატული ანალიზის მეშვეობით გამოიყოფა ბგერითი სისტემის წევრ ფონემათა ოთხი ძირითადი კლასი: 1. **ხშულები**; 2. **ნაპარალოვნები** ანუ **ფრიკატივები**; 3. **სონორები**; 4. **სონანტები**. აქ ჩამოთვლილი კონსონანტური კლასები პირობითად აღინიშნება შემდეგი სიმბოლოებით: **C** — ხშულები და აფრიკატები, **F** — ფრიკატივები (სპირანტები), **S** — სონორები, **S°** — სონანტები.

ქართველურსა და ნახურში თანმოვანთა ლოკალური რიგები განისაზღვრება ენისა და ქვედაბაგის აქტიური მოქმედებით სამეტყველო აპარატის არააქტიურ ორგანოებთან. ენა მოქმედებს პირის ღრუს სხვადასხვა ადგილის მიმართ. ხოლო ქვედაბაგე — ზედაბაგის ან ზედა კბილების მიმართ [უთურგ. 1976: 41]. თუ დასახელებულ ენათა თანმოვნებს დავაჯგუფებთ ლოკალური რიგების მოხედვით, ისინი ჰომორგანულ/ჰეტეროგენურ კონსონანტთა ათ რიგს შექმნიან: **წყვილბაგისმიერი, კბილისმიერი, წინა ალვეოლარული, შუა ალვეოლარული, უკანა ალვეოლარული, პალატალური, შუაენისმიერი, უკანაენისმიერი, ფარინგალური, ლარინგალური**.

საერთოქართველური ენობრივი ერთობის ხანისათვის რეკონსტრუირდება შემდეგი სახის კონსონანტური სისტემა:

ხშულმსკდომები: **ბ ფ პ დ თ ტ გ ქ კ**

აფრიკატები: **ძ ც წ ჯ ჩ ჭ** «ფ» **ჭ ყ**

სპირანტები: **ზ ს ყ უ ღ ხ** «ფ» «ჭ» **ჰ**

სონორები: **რ ლ მ ნ**

სონანტები: **ჲ ჳ**

საერთონახურისთვის აღდება იგივეობრივი კონსონანტური სისტემა; ოღონდ აქ სისტემა რთულდება **ღ თ ტ ს** ინტენსივებისა და ლატერალური **ლ** სპირანტის დამატებით — საერთონახურისთვის აღსადგენია ოდნავ გართულებული კონსონანტური სისტემა:

ხშულმსკდომები: **ბ ფ პ დ თ ტ ღ თ ტ გ ქ კ**

აფრიკატები: **ძ ც წ** «ჯ» «ჩ» «ჭ» «ფ» **ჭ ყ**

სპირანტები: **ზ ს სჲ ყ უ ღ ხ** «ფ» «ჭ» **ჰ ლ**

სონორები: **რ ლ მ ნ**

სონანტები: **ჲ ჳ**

თუ წინარეენის (resp. წინარექართველურ, წინარენახურ) თანხმობა სისტემას შევადარებთ საერთოქართველურ და საერთონახურ სათანადო მონაცემს, აღმოჩნდება, რომ წინარეენიდან საერთონამდე განვლილ პერიოდში ამოსავალ სისტემას საგრძნობი ცვლილებები განუცდია. პირველ რიგში თვალში საცემია გარკვეულ ფონემათა გადაშენება-გაქრობის საერთო ტენდენცია. კერძოდ, უკვე საერთოქართველურ და საერთონახურ ქრონოლოგიურ დონეზე აღარ ფუნქციონირებენ შუა ალვეოლარული ლოკალური რიგის ე. წ. სისინ-შიშინა სიბილანტები — **ძ, ც, წ, ზ, ს**, რომლებიც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო წინარეენული ფონოლოგიური სისტემისათვის.

წინარეენიდან მომდინარე ინტენსიური თანხმობების რყევა ადვილი დასანახია საერთონახურში — \*თა → თა → || თ/დ, \*ცა → სა/ც, \*ჩა → ჩ, ხოლო საერთოქართველურში შეინიშნება ინტენსიურ თანხმობანთა სათანადო არტიკულაციის ბიფონემური რეალიზაცია — \*თა → სთ, \*ცა || \*ჩა → ცხ. საერთოქართველურშივე მოშლილი ჩანს ფარინგალური (ხახის-მიერი) სპირანტები — \*ჭ → ღ, \*ჭა → ხ, რომლებიც ნახურ ენებში დღემდე უცვლელად შემოგვენახა.

ფუძენახურში, განსხვავებით ქართველურისაგან, ასევე მოიშალა ამოსავალი შიშინა სიბილანტური აფრიკატები — **ჯ ჩ ჭ**, მათი რეფლექსები დეზაფრიკატიზაციის შედეგად დაემთხვა დენტალური რიგის ყრუ თანხმობებს: \*ჯ → ვაინახ. თა : ბაცბ. ტა, \*ჩ → თა || თ, \*ჭ → ვაინახ. ტა || თა/ტ : ბაცბ. ტა/ტ.

სხვა მხრივ თავდაპირველი ფონემატური სისტემა საერთოქართველურ და საერთონახურ ფუძეენებში უფრო მდგრადი აღმოჩნდა.

ვინაიდან სამეცნიერო ლიტერატურაში ნახური და ქართველური ენების თანხმობანთა სისტემები დეტალურად და შედარებით სრულად არის შესწავლილი [ცაგ. 1872; ცაგ. 1880; მარ. 1912; მარ. 1908; ჩიქ. 1938: 3-12; 1948; 1967; თოფ. 1960; როგ. 1947; 1946; 1953; 1965; 1984: 3-73; 1986, XIII: 30-35; ჟღენ. 1949; 1953; 1956; 1960; ლომთ. 1959; 1962; 1984; მაჭ. 1965; 1969; გამყრ.-მაჭ. 1965; გამყრ. 1959; ახვლ. 1949; უთურგ. 1976; 1966; 1973; შან. 1953; კლიმ. 1960; 1964; გუდ. 1964; 1979; გუდ.-გამყრ. 1981; ქალდ. 1969; პოლ. 1955; შმიდ. 1962; ფენ.-სარჯ. 1990; 2000; შიფ. 1864; სომ. 1933, XI; 1934, VII; 1938, IX; 1947, XIV; გონ. 1969; 1973; 1940; 1974; 1961; 1979; იმწ. 1972; 1977; მიქ. 1978; ალირ. 1964; 1975; არსახ. 1959; 1969; სანიკ. 1968; ჭრელ. 1975; მალს. 1963; 1941; მაც. 1965; დეშ. 1960; 1963; დოლ. 1967], ამიტომაც ნახურ-ქართველურ ენათა კონსონანტიზმის კერძო საკითხებზე აქ აღარ შევჩერდებით.

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ ნახურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობებზე თანხმობანთა ცალკეული კლასების მიხედვით, წარმოვადგინოთ ამ ენებისათვის ამოსავალ თანხმობანთა სისტემის ამსახველ ტაბულებს (იხ. მომდევნო გვერდები).

**საერთოქართველური ენობრივი ერთობის ხანისათვის რეკონსტრუირებული  
თანხმოვანთა სისტემა**

რაგვარობა	ჩქამიერი							სონორი			სონანტი	
	ხშული						სპირანტი		ნაზალი	არანაზალი		ნახევართანხმოვანი
	ხშულ-მსკდომი			აფრიკატი						კობრანტი	გვერდითი	
	მქლერი	ყრუ		მქლერი	ყრუ		ყრუ ფშვინვიერი	მქლერი				
ფშვინვიერი		აბრუპტივი	ფშვინვიერი		აბრუპტივი							
სერია	მქლერი	ფშვინვიერი	აბრუპტივი	მქლერი	ფშვინვიერი	აბრუპტივი	ყრუ ფშვინვიერი	მქლერი	ნაზალი	კობრანტი	გვერდითი	ნახევართანხმოვანი
ლოკალური რიგი												
1. წყვილბაგისმიერი	ბ	ფ	პ						მ			ც
2. კბილისმიერი	ღ	თ	ტ						ნ		ჩ	
3. წინა ალვეოლარული				ძ	ც	წ	ს	ზ				
4. შუა ალვეოლარული										რ		
5. უკანა ალვეოლარული				ჯ	ჩ	ჭ	შ	ჟ				
6. პალატალური												
7. შუაენისმიერი												ღ
8. უკანაენისმიერი	გ	ქ	კ				ხ	ღ				
9. ფარინგალური				ღ	წ	ყ	ჭ	ჟ				
10. ლარინგალური							ჰ					

**საერთონახური ენობრივი ერთობის ხანისათვის რეკონსტრუირებული  
თანხმოვანთა სისტემა**

რაგვარობა	ჩქამიერი												სონორი		სონანტი	
	ხშული						სპირანტი						ნაზალი	არანაზალი		ნახევრთანხმოვანი
	ხშულ-მსკდომი				აფრიკატი		ლატერალური		არალატერალური		ვიბრანტი	გვერდითი				
	სერია	მქლერი	ყრუ				მქლერი	ყრუ		ყრუ ფშვინვეიერი				მქლერი		
			ფშვინვეიერი		აბრუპტივი			არაინტენსიური	ინტენსიური							
არაინტენსიური			ინტენსიური	არაინტენსიური	ინტენსიური											
ლოკალური რიგი																
1. წყვილბაგისმიერი	ბ	ფ		პ									მ			ც
2. კბილისმიერი	ღ	ღა	ფ	თა	ტ	ტა							ნ		ჩ	
3. წინა ალვეოლარული							ძ	ც	წ		ს	სა	ზ			
4. შუა ალვეოლარული															ჰ	
5. უკანა ალვეოლარული							ჯ	ჩ	ჭ		მ		ყ			
6. პალატალური										ჩ						
7. შუაენისმიერი																ფ
8. უკანაენისმიერი	გ	ქ		კ							ხ		ჟ			
9. ფარინგალური					ღ	წ	ყ				შ		ჟ			
10. ლარინგალური											შ					

## სონორთა სისტემა

**§ 12. სონორთა სისტემის ამოსავალი ტიპისათვის საერთო-ქართველურსა და ფუძენახურში.** ქართველოლოგიაში იყო ცდა აღედგინათ მარცვლოვანი რ ლ მ ნ სონანტები საერთოქართველური ენობრივი ერთობის პერიოდისათვის, მარცვლოვანთა გვერდით უმარცვლო **რ ლ მ ნ** კლასის არსებობაც იგულისხმებოდა. ავტორთა თქმით: „სხვაობა მარცვლოვან და შესატყვის უმარცვლო ელემენტებს შორის მხოლოდ პოზიციურად იყო შეპირობებული... მარცვლოვანი და შესაბამისი უმარცვლო ელემენტები საერთო ფონემური ერთეულების ორ პოზიციურ (resp. კომბინატორულ) ვარიანტად (ალოფონად) უნდა განვიხილოთ“ [გამყრ.-მაჭ. 1965: 141]. მომდევნო პერიოდის კვლევა-ძიებამ ეს ჰიპოთეზა ვერ დაამტკიცა და თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში საერთოქართველურ ძირ-ფუძეთა რეკონსტრუქციისას აღარ მიმართავენ მარცვლოვანი რ ლ მ ნ სონანტების აღდგენას [იხ. ფენ.-სარჯ. 1990; 2000; ჩუხ. 2000-2003]. საგულისხმოა, რომ გამყრელიძე-მაჭავარიანი **ძაღლ- : ჯოდორ-** მიმართების საფუძველზე ე. წ. **ჯოდორ-** „ძაღლი“ ტიპის ფუძეებში ახდენდნენ მარცვლოვანსონანტიან არქეტიპთა რეკონსტრუქციას. რაც არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ **სონორი + თანხმოვანი (SC)** თანმიმდევრობის გვერდით უკვე ზანური ენის განვითარების ადრეულ (საერთოზანურ) საფეხურზევე შებრუნებული **თანხმოვანი + სონორი (CS)** თანხმოვანკომპლექსები აკრძალულ კომბინაციათა რიცხვს განეკუთვნებოდა. ასეთ პირობებში **ძაღლ- : ჯოდორ-** ტიპის ფუძეებში ზანურის ჩვენება არგუმენტის ძალას ჰკარგავს. ვინაიდან ზანურის არც ერთ ძირში **ძაღლ-** ტიპის **(CS)** თანმიმდევრობა არ დასტურდება. რომ გვქონდა **ძაღლ- : ჯოდორ-** ტიპის გვერდით **ძაღლ- : ჯოდორ-** რედუცირებული სახეობის ერთი შემთხვევა მაინც, ზემოთმოყვანილი ჰიპოთეზის არსებობას არგუმენტირებული საფუძველი ექნებოდა.

ნახურ-ქართველური ძირითადი ლექსიკური ფონდის ფუძეთა შედარებით-ისტორიული შესწავლაც ასევე ეწინააღმდეგება საერთოქართველური ფუძეენური მდგომარეობისათვის რ ლ მ ნ მარცვლოვან სონანტთა სისტემის პოსტულაციას. ამგვარად, საერთოქართველური, აგრეთვე, საერთოზანური ენობრივი ერთობის დონეზე ვადასტურებთ **რ ლ მ ნ** სონორ ფონემებს, რომელთაც არც ერთ პოზიციაში არ გააჩნდათ მარცვლოვანი ალომორფები. საერთოქართველურში **თანხმოვანი + სონორი** თანმიმდევრობა დისტრიბუციულად არ იყო შეზღუდული და ფუნქციონირებდა როგორც სიტყვის ანლაუტ-აუსლაუტში, ისე სიტყვის შიგნით, ინტერვოკალურ პოზიციებში.

მეტად საინტერესო სონორული ტიპის ფონემათშესატყვისობები ვლინდება საერთო წარმოშობის ნახურ-ქართველურ ძირითად ლექსიკურ ფონდში. ამგვარ ბგერით მიმართებებს სისტემური ხასიათი აქვს. განვიხილოთ ისინი ცალკეული სონორი ფონემის მიხედვით.



**§ 13. ლატერალი ლ.** ფუძეენისეული ლ რეზონანტი საერთოქართველურში კარგად არის შემონახული; ამოსავალი ლ სონორი ფუძე-ენაში თითქმის არ ცვლილა. რასაც ვერ ვიტყვით საერთონახური ენობრივი ერთობის პერიოდში ლ ფონემის განვითარებაზე, სადაც ხელშესახებია: ლ → **ღ**, ლ → **რ**, ლ → **ჟ**, ლ → **მ**, ლ → **დ**, ლ → **ნ**, ლ → **ჰ**. ფონეტიკური გარდაქმნები. ეს ფონეტიკური პროცესები დაედო საფუძვლად სონორული რიგის ნახურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობებს.

**§ 13.1. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ლ** იდენტური სახეობის შესატყვისობათა რიცხვს განეკუთვნება. საერთო წარმომავლობის ლექსიკური ფონდის მიხედვით მისი დისტრიბუცია თავისუფალია; დასტურდება როგორც სიტყვის ანლაუტში, ისე არაანლაუტშიც. ცალ-ცალკე წარმოვადგენთ ამოსავალი \*ლ სონორის შესატყვისობის ფორმულას ყველა განსახილველი ენის მონაცემთა მიხედვით.

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ლ	ლ	ლ	ლ	ლ→/რ  Ø	ლ→/რ/მ	ლ	ლ	ლ

(1) ს.-ქართვ. \*ლალ- „გარეკვა, გალალვა“ (ქართ. ლალ-ვა, ჰლალ-ვიდ-ა, ზან. ლოლ-, გო-ლოლ-უ, ო-ლოლ-უ-შ-ა „გასარეკად“): ს.-ნახ. \*ლალ- „სვლა, ტარება, წყევანა“ (იჩქ. ლელ-არ, ინგ. ლელ-არ, ლელ-უო, ბაცბ. ლალ-არ);

(2) ს.-ქართვ. \*ლექ- „დანალექი; დალექვა“ (ქართ. ლექ-ი, ნა-ლექ-ი, ი-ლექ-ებ-ა, ზან. ლანქ-ერ-ი „დანალექი“, ლანქ-ერ-ო „ძირფესვიანად; დანალექიანად“): ს.-ნახ. \*ლაქ- „დანალექი, ნარჩენი“ (იჩქ. ლაქ, ინგ. ლოქ „დანალექი ზეთის გამოხდისას“, ბაცბ. რლაქ);

(3) ს.-ქართვ. \*ლზ-ენ-/\*ლზ-ინ- „მოსვენება; მხიარულება“ (ქართ. ლზ-ინ-ი, ლზ-ენ-ა, მ-ლზ-ენ-ი, ზან. რზინ-ი ←\*ლზ-ინ-ი „ლზინი“, რზ-ინ-აფ-ა „ამაყობა“): ს.-ნახ. \*ლეჯ- „თამაში/სიმღერა“ (იჩქ. ლდეჯ-არ || ლდეჯ-არ, ინგ. ლდეჯ-არ, ბაცბ. რლეჯ-);

(4) ს.-ქართვ. \*ცელ- „ცელი“ (ქართ. ცელ-ი, თუმ. ცელ-ი „ნამგალი“, ზან. ცალ-ი „ცელი“): ს.-ნახ. \*ცელ- „თოხი; სიმინდის სამარგლავი“ (იჩქ. ცეღელ || ცეღელ, ინგ. ცეღელ „თოხი“, ბაცბ. რცელ);

(5) ს.-ქართვ. \*წილ- „კრეფა, წყვეტა“ (ქართ. წილ-ვა, ნა-წილ-ი, წილ-ი, ზან. წილ-, ო-წილ-უ, ნა-წილ-ა „ნაკრეფი“): ს.-ნახ. \*ჭილ- „წმენდა, ფრცქვნა“ (იჩქ. ჭულ-დან „მარცვლეულის კილისაგან გაწმენდა“, ინგ. ჭელ-დდე, ბაცბ. ლიჭ- ←\*ჭილ-, ლიჭ-არ „გაწმენდა“);

(6) ს.-ქართვ. \*თელ- „თელვა; მიკარება“ (ქართ. თელ-ვა, მო-თელ-ილ-ი, ზან. თალ- || ნთალ- „თელვა; სრესა“, სვან. ლი-თელ „მიკარება“): ს.-ნახ. \*ლათ- „ჭიდაობა; მიკრობა“ (იჩქ. ლათ-არ, ინგ. ლათ-არ, ბაცბ. ლათ-/ლეთ-არ);

(7) ს.-ქართვ. \*ზჷლ- „ჩავარდნა, დაცურება, დამლა“ (ქართ.

ზულ-ევ-ა, მ-ზულ-არ-ი, და-ზულ-ებ-ა, ზან. ჟოლ- || ჟულ- „გადავარდნა; დაშლა“, სვან. ჟომ-, ი-ჟომ-ი „იშლება“, ა-ჟომ-ე „არღვევს“) : ს.-ნახ. \*ლაჟჟ- „დაცურება, მოსხლეტა“ (იჩქ. ლაჟჟ-/ლეჟჟ-არ „მოსხლეტა“, ინგ. ლოჟჟ-არ, ბაცბ. ლაბჟ-/ლებჟ-არ);

(8) ს.-ქართვ. \*დალ- „ნადირობის, ნაყოფიერების (ქალ-)ღმერთი“ (ქართ. დალ-ი „ნადირობის ქალღმერთი“; (ანთროპ.), ზან. დო ←\*დოლ- „ნაყოფიერების ღმერთი“, ო-დო-ია, დო-ჟუ (ანთროპ.), „დალის ხეობა, უღელ-ტეხილი“, სვან. დალ || დალ „ნადირობის ქალღმერთი“) : ს.-ნახ. \*დალ-ე „ღმერთი“ (იჩქ. დჟელა, ინგ. დალა, ბაცბ. დალ-ე → || დალ);

(9) ს.-ქართვ. \*გალ-ო „მუხლი“ (ქართ. გალ-ო, სვან. გულ ←\*გალ-ჟ) : ს.-ნახ. \*გოლ-ო „იდაყვი, მუხლი“ (იჩქ. გულა || გოლო, ინგ. გოლა, ბაცბ. ოლოკ ←\*გოლო „იდაყვი“);

(10) ს.-ქართვ. \*ბოლ- „ბოლო, დაბოლოება“ (ქართ. ბოლ-ო, და-ბოლ-ავ-ებ-ა, ა-ბოლ-ებ-ა, ზან. ბოლ- → || მბოლ-, ბოლ-ო-ს „ბოლოში“, ი-მბოლ-ჟ(ნ) „ყირავდება“) : ს.-ნახ. \*ბ-ოლ- „დასაწყისი/დაწყება“ (იჩქ. ბოლ-ჟო, ბოლ-ა-ბან „დაწყება“, ინგ. ბოლ-ა-ბჟე, ბაცბ. „ბოლ-“);

(11) ს.-ქართვ. \*ბალ- „ბალი“ (ქართ. ბალ-ი, ბალ-ლოჯ-ი, ზან. ბულ-ი, ბულ-ობ-ა „ბლობა; ივნისი“, ბულ-ია (ანთროპ.)) : ს.-ნახ. \*ბალ- „მიწის მსხალი“ (იჩქ. ბალ-გ || ბალ-აგ, ინგ. ბოლ-აქ „მიწის მსხალი“, ბაცბ. „ბალ-კ“).

**§ 13.2. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ე.** სიტყვის ანლაუტში ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ლ იდენტური შესატყვისობის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ე ბგერათფარდობა, რასაც საფუძვლად დაედო ლ ფონემის იოტიზაციის სპორადული პროცესი ფუძენახურში — ლ → ე. ამგვარი გარდაქმნის მაგალითები შეიძლება მოვიხმოთ ინგუშური ენის ფონეტიკიდან, შდრ.: ს.-ნახ. \*ლეფარ- „ერთგვარი მცენარე“, "пажитник" → ინგ. ეფჟარ, მაგრამ იჩქ. ლიფჟარ:

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ლ	ლ	ე←*ლ	ლ	ლ→/მ	ლ→/რ	ე	ე	ე

(1) ს.-ქართვ. \*ლედ- „სპილენძი“ (ქართ. პი-ლენძ-ი → || ს-პი-ლენძ-ი, ზან. ლინჯ-ი, სვან. ბე-რეჟ || ბე-რეჯ ←\*ბი-რეჯ „რკინა“) : ს.-ნახ. \*ედ- ←\*ლედ- „ყვითელი სპილენძი“ (იჩქ. ედ → || ეზ, ინგ. ედ → ეცა, ბაცბ. «ედ»);

(2) ს.-ქართვ. \*ლერწ- „ვაზი, ლერწი; ვენახი“ (ქართ. ლერწ-ი, ზან. მერწ-ი ←\*ლარწ-ი „ვაზი“, სვან. ლერწ-, ლერწ-ალ „ვენახი“) : ს.-ნახ. \*ერწ- ←\*ლერწ- „ლერწამი“ (იჩქ. ერძ → || ერზ, ინგ. ერძ || ერძ ←\*ერწ, ბაცბ. «ერწ»);

(3) ს.-ქართვ. \*ლეს- „მოსპობა, განადგურება“ (ქართ. ლეს- „მოსპობა“, მო-ლეს-ილ-ი „განადგურებული“, ზან. ლას- "id", მო-ბ-ლას-ი „გავანადგურე, მოვსპე“) : ს.-ნახ. \*ღემ- ←\*ლემ- „დამარცხება“ (იჩქ. ეშ-უო, ეშ-ა-დუ „ვამარცხებ“, ინგ. ეშ- ←\*ღემ- "id", ბაცბ. ეშ- ←\*ღემ-);

(4) ს.-ქართვ. \*ლალტ- „ლელვი“ (ქართ. ლელვ-ი || ლელტ-ი ←\*ლალტ-ი, მო-ლალ-ურ-ი || მა-ლალ-ურ-ი, ზან. ლულ-ი ←\*ლოლვ-ი „ლელვი“, მა-ლულ-ია „მოლალური“, სვან. [ლალტ], მა-ლლალტ ←\*მა-ლალტ „მოლალური“) : ს.-ნახ. \*ღირლ- ←\*ღირლ- „ერთგვარი მაგარი ხის ჯიში“ (იჩქ. ღილლა || ←ღირლა, ინგ. ღირლჲ, ბაცბ. [ღირლა]).

**§ 13.3. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. რ** არაიდენტური სახეობის ფონემათშესატყვისობათა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც მხოლოდ სიტყვის არაანლაუტში იჩენს თავს. ტიპოლოგიურად მსგავსი ბგერათშეფარდება გამოჩნდება ქართველურ მასალაში ფუძის აუსლაუტსა და თანხმოვნის წინა პოზიციაში, რამეთუ ყოველი ლC ზანურში რC-ში გადადის [იხ. როგ. 1949: 503-507]. ცხადია, ლ : რ შესატყვისობას ვიბრანტიზაციის ზანურისებური ლ → რ ფონეტიკური პროცესი დაედო საფუძვლად, რაც, ზანურის გარდა, სვანურშიც დადასტურდა, შდრ.: ქართ. კუკულ-ი : სვან. კუკურ „კვირტი“, ქართ. ძაჭტელ-ი ძახველი“ : სვან. ჟაჭტურ || ჟაჭტურ „არყის ხე“, ქართ. ფაქლ-ი, ფანქალ-ი „წყლულება“ : სვან. ფაქპრ „ჩირქი, წყლული“ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 18].

მეტად ღირებულია იჩქერიული ენის ახიური დიალექტისთვის დამახასიათებელი ლხ → რხ გარდაქმნა, რაც ფუძენახურში უთუოდ არსებული კომბინატორული ლ → რ ფონეტიკური გარდაქმნის უშუალო გაგრძელება ჩანს. ახიურის ჩვენება ნათლად წარმოაჩენს ლ → რ პროცესის რეალურობას ფუძენახურში, შდრ. ასევე ლ → რ ბაცბურში — იჩქ. ტელგ : ინგ. ტელგ : ბაცბ. ტარკ „თითი“.

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ლ	ლ	რ	ლ	ლ→/რ	ლ→/რ	რ	რ	რ

(1) ს.-ქართვ. \*ყტილ-იტ- „ძვალი“ (ქართ. ყულ-ივ-ი || ყვლ-ივ-ი, ზან. ყვილ-ი || ყვილ-ი || ყვილ-ე || ვილ-ი „ძვალი“, სვან. ყტლ-აფ || ყულ-აფ „ყვლეფა“) : ს.-ნახ. \*კურ-უმ „ძვალი“ (იჩქ. კურამ || კურუმ, ინგ. კორჲმ ←\*კორუმ, ბაცბ. [კორუმ]);

(2) ს.-ქართვ. \*წილწილ- „ნაშიერი; წიწილა“ (ქართ. წიწილ-ა || წიწილ-ი || წუწულ-ა, ზან. (მეგრ.) ჭუჭულ-ი „წიწილი“) : ს.-ნახ. \*წირწირ- „ჩიტი მონაცრისფრო, ბოლოქანქარა“ (იჩქ. წირწირ, ინგ. წირწირ, ბაცბ. წირწირ);

(3) ს.-ქართვ. \*ხელ- „გიჟი, გახელება“ (ქართ. ხელ-ი, გა-ხელ-ებ-ა, ზან. ხან-გა ←\*ხარ-გა „გიჟი“, სი-ხან-გა „სიხელე“, სვან. ლი-ხრ-ინ-ე „გა-

ბრაზება, გაჯავრება“) : ს.-ნახ. \*ჰაგრა- „გაგიჟება, სიხელე“ (იჩქ. ჰაგრა-  
ლაჰა<sup>6</sup> „გაგიჟება“, ინგ. ჰაგრა-ლახა „id“, ბაცბ. ჰაგრა-<sup>7</sup>);

(4) ს.-ქართვ. \*ამგალ- „მომიჯნავე, ამხანაგი, მეწყვილე“ (ქართ. ამ-  
გალ-ი || ანგალ-ი || ამგლ-ებ-ი „მომიჯნავეები“, ზან. ოგურ-ი ←\*ომგორ-ი  
„ნათესავი“) : ს.-ნახ. \*ამგარ- „მეწყვილე; ერთი ცოლი მეორის მიმართ“  
(იჩქ. ემგარ || ანგირ || ენგირ, ინგ. ენგირ, ბაცბ. რამგირ<sup>7</sup>);

(5) ს.-ქართვ. \*ხალ- „ხალი, გამონაყარი, წინწყლები“ (ქართ. ხალ-ი,  
ზან. ხალ-ი ←\*ხოლ-ი, სვან. ხალ || ჰალ) : ს.-ნახ. \*ჰალ- „გამონაყარი,  
ბუგრი“ (იჩქ. ჰალ, ინგ. ჰალ, ბაცბ. ჰალ<sup>7</sup>);

(6) ს.-ქართვ. \*ძაჭუელ- „ძახველი; არყის ხე“ (ქართ. ძახველ-ი ||  
ძაჭუელ-ი, სვან. ჟაჭუძარ || ჟაჭუძარ ←\*ჯაჭუელ) : ს.-ნახ. \*ჯახ-არ- „ლანძი-  
ლი“ (იჩქ. ჟახარ || ჟახარ, ინგ. ჟახარ, ბაც. რჯახარ<sup>7</sup>);

(7) ს.-ქართვ. \*ცვილ- „ცვილი“ (ქართ. ცვილ-ი || ცვლ-ი, ზან.  
ჩირ-ი || მჩირ-ი ←\*ჩვირ-ი, სვან. ჯჷიდ ←\*ჩჷიდ) : ს.-ნახ. \*ჩურ-  
←\*ჩჷრ- „ხელოვნური, გაუწმენდავი ცვილი“ (იჩქ. ჟურ-გ || ჟურ-გ ←  
\*ჩჷრ-გ, ინგ. ჟურ-გ ←\*ჩჷრ-გ, ბაცბ. რჷრ-გ<sup>7</sup>);

(8) ს.-ქართვ. \*ჩუალ- „ეშვი, დიდი კბილი“ (ქართ. შუან-ი, ზან.  
ჩჷვა — მრ. ჩჷვალ-ეფ-ი, სვან. ჩჷტარ-არ „ეშვები“) : ს.-ნახ. \*ცარ- „კბი-  
ლი“ (იჩქ. ცარ-გ || ცარ-იგ, ინგ. ცარ-გ, ბაცბ. ცარ-გ<sup>7</sup>);

(9) ს.-ქართვ. \*ლულ- „სიმრუდე, გალუნვა“ (ქართ. ლულ-ი ||  
მ-ლულ-ი „ნამგალი“, ზან. ლულ-ა „მრუდი“, სვან. ლულ-ა-დ „მუხლი“ ←  
ეტ. „მოლუნული“) : ს.-ნახ. \*ალორ „მრუდე, ირიბი“ (იჩქ. ალორ ||  
ალორ, ინგ. ოალორ, ბაცბ. რალორ<sup>7</sup>);

(10) ს.-ქართვ. \*მჭილ- „ფქვილი“ (ქართ. ფქვილ-ი, ზან. მჭევრ-ი ||  
ფქვერ-ი || ← ქვირ-ი, სვან. ქჷერ, ლე-ქჷერ „წისქვილი“) : ს.-ნახ.  
\*ჰაჷერ- „ფქვილი; წისქვილი“ (იჩქ. ჰაჷერ „წისქვილი“, ინგ. ჰაჷარ „ფქვი-  
ლი“, ბაცბ. ჰაჷარჷ „id“);

(11) ს.-ქართვ. \*სილ-ა „ჭურჭელი; კოდი“ (ქართ. სილ-ა, ხევს.  
ა-სილ-ა „კოდი“, სილ-ა-ჭურჭელ-ი, სვან. შედ ←\*შელ-ა „ჭურჭელი“) :  
ს.-ნახ. \*სარ-ი „ჭურჭელი; დიდი სკივრი“ (იჩქ. სადარ, ინგ. სედარ || სადარ,  
ბაცბ. რადარ<sup>7</sup>);

(12) ს.-ქართვ. \*სტელ-ა „ძლოკვი, უშხამო გველი“ (ქართ. მ-სველ-იკ-ი ||  
მ-სველ-ივ-ი || მ-სტენ-ი || ფ-სვენ-ი, სვენ-ეთ-ი (ტობ.), ზან. შველ-ა, სვან.  
შტენლ „ხელიკი“) : ს.-ნახ. \*შერ-ო „ყურბელა, ერთგვარი ჭია“ (იჩქ. შერა ||  
შჷრა, ინგ. შერან || შერან, ბაცბ. რერ-ო<sup>7</sup>).

**§ 13.4. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ჷ** არის არაიდენტური სონანტუ-  
რი ფონემათშესატყვისობის ერთ-ერთი ქვესახეობა, რომელიც რეგულარუ-  
ლად ვლინდება საერთო წარმომავლობის ნახურ-ქართველურ ლექსიკაში.

ტიპოლოგიურად მსგავსი ბგერათშესატყვისობა ქართველურ მასალაშიც გამოჩნდება, შდრ. ქართ. **ლ** : სვან. **ჟ** — ქართ. უღელ-ი : სვან. უღჟ-ა ← \*ულჟ-ა „უღელი“, ქართ. ძაღლ-ი : სვან. ჟღჟ „ძაღლი“, ქართ. ბაყლ-ი სვან. ფუყჟ ← \*ბაყჟ „ჩირქოვანი სიმსივნე“ [გამყრ.-მაჭ. 1965: 83; ჩუხ. 2000-2003: 16-17].

ფუძენახურში **ლ** → **ჟ** ფონეტიკური პროცესის რეალურობაზე მეტყველებს იჩქერიული ენის ხილდინაროული დიალექტის ჩვენება, სადაც **ლ** → **ჟ** მაშინაც ვლინდება, როცა სხვა დიალექტებში **ლ** ლატერალური სონორი მყარადა ზის, შდრ. ინგ. ნალხა : იჩქ. ნალხა, მაგრამ ხილდ. ნოჟხა „კარაქი“. ერთგან ბაცბურშიც დასტურდება **ლ** → **ჟ** გარდაქმნის უტყუარი მაგალითი, შდრ. ინგ. ყულ-გ : იჩქ. ყჟლ-გ „სადღვებელი“ : ბაცბ. ყუღჟ „მომცრო სადღვებელი“.

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
* <b>ლ</b>	<b>ლ</b>	<b>ჟ</b>	<b>ლ</b>	<b>ლ→/რ</b>	<b>ლ→/ჟ</b>	<b>ჟ</b>	<b>ჟ</b>	<b>ვ</b>

(1) ს.-ქართვ. \*ღელ-ა „ღელე, პატარა ხევი“ (ქართ. ღელ-ე, ზან. ღალ-ი || ღალ-გ || ← ღალ-უ, სვან. ღელ-ა „პატარა მდინარე“) : ს.-ნახ. \*ლაჟ- „თხრილი“ (იჩქ. ღაჟ → || ღაღ, ინგ. ღაღ ← \*ლაჟ, ბაცბ. [ღაგ]);

(2) ს.-ქართვ. \*ღელ- „იღლია“ (ქართ. ღლ-ია, ღლ-იავ-ი, ზან. ღალ-ა, ღალ-ა-ჯი-ჯი „იღლია“, სვან. ღა-ღლ-იანჟ || ღა-ღელ-იანჟ „იღლია“) : ს.-ნახ. \*ა-ლაჟ „ფერდი, მხარი“ (იჩქ. ალჟო || ალაჟ, ინგ. ოალჟჟ, ბაცბ. [ალაგ]);

(3) ს.-ქართვ. \*ცილ- „კანი, ქერქი“ (ქართ. ცილ-ი, ზან. ცელ-ა „ქერცლი“, სვან. ცილ → || ცირ „ქერქი“) : ს.-ნახ. \*ჩაჟ- „ბალანი, თმა“ (იჩქ. ჩუო || ჩო, ინგ. ჩო || ჩოჟ-ა, ბაცბ. ჩო ← \*ჩაგ);

(4) ს.-ქართვ. \*წელ- „წველი, წბილი“ (ქართ. წველ-ა || წველ-ი, ზან. ჰვალ-ო, შდრ. იმერ. (← ზან.) ჰვალ-ო "id") : ს.-ნახ. \*წუჟ- „წნელი“ (იჩქ. წუჟ → || წჟ, ინგ. წუჟ, ბაცბ. [წუგ]);

(5) ს.-ქართვ. \*მ-ჭუალ- „ლურსმანი, წკირი, სოლი“ (ქართ. მა-ნ-ჭვალ-ი || სა-მ-ს-ჭვალ-ი „ლურსმანი“, მ-ჭვალ-ვ-ა „დალურსმენა“, ზან. მ-წკუალ-ი → || მ-წკილ-ი) : ს.-ნახ. \*ჭუჟ- „შამფური, საქსოვი ჩხირი“ (იჩქ. ჭუჟ → || ჭუღ || ჭიჟ, ინგ. ჭიღ ← \*ჭუღ, ბაცბ. ჭუღ ← \*ჭუგ „საქსოვი ჩხირი“);

(6) ს.-ქართვ. \*ვალ- „ოდნავ შეწვა; მოხალვა“ (ქართ. ვალ-ი, ვალ-ვ-ა, ზან. ხურ-, ა-ხურ-ენ-ს „ცხელება აქვს“) : ს.-ნახ. \*ვოჟ- „ნამწვი“ (იჩქ. ვოჟ „ნამწვი“, ინგ. ვოჟ || ვოგ, ბაცბ. [ვოგ]);

(7) ს.-ქართვ. \*კილ- „ერგვარი ხორბალი“ (ქართ. კილ-ი, ზან. კელ-ი || კილ-ი, სვან. კულ „საგაზაფხულო ხორბალი“) : ს.-ნახ. \*კაჟ- „ხორბალი“

(იჩქ. კან ←\*კაჟ, ინგ. კა || კან ←\*კაჟ, ბაცბ. კავ);

(8) ს.-ქართვ. \*მთ-ელ- „მრთელი; ჯანმრთელი“ (ქართ. მთელ-ი → || მრთელ-ი, სი-მ(რ)თელ-ე, ზან. თარ-ი ←\*მთარ-ი „ჯანმრთელი“) : ს.-ნახ. \*ბუთ-ეჟ „ძლიერი, მკვრივი“ (იჩქ. ბუთუჟ → || ბუთუჟ „მაგარი, მკვრივი“, ინგ. ბუთუჟ, ბაცბ. „ბუთუბ“);

(9) ს.-ქართვ. \*მ-ხალ- „ფხალი, მიწაფხალი“ (ქართ. მხალ-ი → || ფხალ-ი, ზან. ხულ-ი ←\*მხოლ-ი „თალგამულა“, სვან. ბეხე ←\*მეხეჟ „სტაფილო“) : ს.-ნახ. \*ვოჟ- „ლობიო“ (იჩქ. ვო || ვოჟ, ინგ. ვეჟ ← ვო, ბაცბ. ვოვ „ლობიო“);

(10) ს.-ქართვ. \*ელ- „წარმომავლობის სუფიქსი“ (ქართ. -ელ, აფ-სუ-ელ-ი, კახ-ელ-ი, ზან. -არ ←\*-ალ, აფს-არ-ი „აფსუელი“, ოდიშ-არ-ი „ოდიშ-ელ-ი“, ორჭ-არ-ი „ორჭ-ელ-ი“) : ს.-ნახ. \*აჟ/\*ეჟ „წარმომავლობის სუფიქსები“ (იჩქ. -ჟო ←\*-აჟ, კახთ-ჟო „კახელი“, ბაც-ჟო „ბაცბი“, ინგ. -ეჟ || -ჟო ←\*-აჟ/\*ეჟ, ადაგ-ეჟ „ადიდელი“, ბაც-ჟო „ბაცბი“, ბაცბ. -ავ/-ევ/-ივ, ბაც-ავ „წოვათუმი“, ფხ-ევ „ხევსური“, კონ-ივ (კახ-ელ-ი) „ქართველი“).

**§ 13.5. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. მ** იდენტური რიგის სონანტური ფონემათმესატყვისობის ერთ-ერთი ქვესახეობაა, რომელიც რეგულარულობით გამოირჩევა. ლ : მ ბგერათფარდობა პოზიციით არ არის შეზღუდული; დასტურდება როგორც სიტყვის ანლაუტში, ისე არაანლაუტშიც. ტიპოლოგიურად მსგავსი ბგერათმესატყვისობა ქართველურ მასალაშიც გამოჩნდება, სადაც სვანური ლ → მ ნაზალიზაციის ფონეტიკური გადასვლის წყალობით ქართ. ლ : სვან. მ ოპოზიცია ვლინდება — ქართ. ურდულ-ი → სვან. ჰურდუმ „ურდული“, ქართ. თელ-ი „გოჭი“ : სვან. თომ-ირ „ბურაკი“, ქართ. ზულ-ევ-ა „დაშლა“ : სვან. ჟომ-, ი-ჟომ-ი „იშლება“... [ჩუხ. 2000-2003: 17].

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ლ	ლ	მ	ლ	ლ→მ	ლ→ჟ	მ	მ	მ

(1) ს.-ქართვ. \*ლაგ-(ინ) „ლოგინი, საწოლი“ (ქართ. ლაგ-, ლაგ-ებ-ა, ზან. ლოგ-ინ-ი „საწოლი“, სვან. ლერგ-იმ „სკამლოგინი“) : ს.-ნახ. \*მანგ-ე „საწოლი“ (იჩქ. მანგ-ა, ინგ. მანგ-იჟ, ბაცბ. „მანგ-ე“);

(2) ს.-ქართვ. \*ლაშჟ- „ბაგე, ტუჩი“ (ქართ. ლაშ-ი ←\*ლაშჟ-ი, შდრ. ლომ-ნ-ა ←\*ლაშჟ-ნ-ა, ზან. ლეჩქე-ი || ლეშქ-ი ←\*ლოშქე-ი) : ს.-ნახ. \*მარლ-ო „ცხვირი“ (იჩქ. მარა || ← მარჰა || მორჰ, ინგ. მარჰ || მარ, ბაცბ. მარლ(ო));

(3) ს.-ქართვ. \*ლაჯ- „ლაჯი; ფერდი“ (ქართ. ლაჯ-ი, ლაჯ-ებ-ი, სვან. ლესე || ლესე ←\*ლჰჟე „ფერდი“) : ს.-ნახ. \*მეჟ-ე „ანატომიური ორგანო, სხეულის ნაწილი“ (იჩქ. მეჟ-ეჟ || მეჟ-ეჟ, ინგ. მეჟ-ეჟ || მეჟ-ეჟ, ბაცბ. „მეჟ-ე“);

(4) ს.-ქართვ. \***ლფზ**- „დორბლი, დუჟი, სითხოვანი გამონაყოფი“ (ქართ. **ლფზ**-ი, ზან. **ლფჟ**-ი || **ლფჟ**-ა, **ლფჟ**-ერ-ა „დორბლიანი“, სვან. **ლჟ** „დორბლი“) : ს.-ნახ. \***მფზ**- „წვენი“ (იჩქ. **მჟოზ** || **მოზ**, ინგ. **მოზ** — მრ. **მფზ**-აშ, ბაცბ. **მფზ**);

(5) ს.-ქართვ. \***ლეს**- „ლესვა, ელვარება/ბრწყინვა“ (ქართ. **ლეს**-ვა, ძვ. ქართ. **ლეს**-ულ-ი „ბრწყინვალე“, ზან. **ლას**-ირ- „ლესვა“, სვან. **ლჰს**-, **ლჰს**-იწრ „სალესი ქვა“) : ს.-ნახ. \***მამ**-ა „სინათლე“ (იჩქ. **მამა**, ინგ. **მამა**, ბაცბ. **მამა** „სინათლე“);

(6) ს.-ქართვ. \***ლერწ**-ო „ლორწო; ლოკოკინა“ (ქართ. **ლორწ**-ო, ზან. **ფენწ**-ე || **ფენწ**-ო || ← **ფერწ**-ო ← \***მერწ**-ო ← \***ლორწ**-ო „ლოკოკინა“) : ს.-ნახ. \***მაწ**-ო „ლორწო, ლოქორა“ (იჩქ. **მწხ**-ა „ლორწო“, **მწხ**-ალგ „ლოქორა“, ინგ. **მწხ**-ა || ← **მად**-ა, ბაცბ. **მაწ**-ო);

(7) ს.-ქართვ. \***ჟილ**- „წილი, ტილი“ (ქართ. **წილ**-ი || **ჟილ**-ი (საბა), **ჟი**-**ჟილ**-ა ← \***ჟილ**-**ჟილ**-ა (რედუბლ.), ზან. **ჟკირ**-ი → || მ-**ჟკირ**-ი „წილი“) : ს.-ნახ. \***წიმ**- „ბალღინჯო“ (იჩქ. **წიმ**-ერგ, ინგ. **წიმ**-ერგ || **წიმ**-არგ, ბაცბ. **წიმ**);

(8) ს.-ქართვ. \***გოლ**- „კურო, მოზვერი“; „კუროს ასვლა“ (ქართ. **გოლ**-ავ-ი „მოზვერის ასვლა ავარდნილ ძროხაზე“, **გოლ**-იტ-ა „მოზვერი“, ზან.-სვან. **გორ** || **გოტ**) : ს.-ნახ. \***გომ**-უმ „კამეჩი“ (იჩქ. **გუმ**-ამ || **გომ**-უმ, ინგ. **გომ**-აშ ← \***გომ**-უმ, ბაცბ. **გომ**-უმ);

(9) ს.-ქართვ. \***ლეს**- „ნემსი“ (ქართ. **ნემს**-ი, **ნემს**-ულ-ი, ზან. **ლიფშ**-ი || **ლიშ**-ი || **ლემშ**-ი „ნემსი“) : ს.-ნახ. \***მახ**-ა „ნემსი“ (იჩქ. **მახა** || **მწხა**, ინგ. **მახა**, ბაცბ. **მწხ** ← \***მახა** „ნემსი“);

(10) ს.-ქართვ. \***სელ**- „ბორბლიანი მარხილი“ (ქართ. **სელ**-ი „ორთ-ვლიანი მარხილი“, ზან. **სალ**-ი „მანა“, სვან. **სეჟ** → || **საჟ** „მარხილი“) : ს.-ნახ. \***სემ**-ა „ლერძი“ (იჩქ. **სემა**, ინგ. **სოა** „ლერძი“ — მრ. **სოანა**-აშ, ბაცბ. **სემა**);

(11) ს.-ქართვ. \***ლემ**- „უზომოდ ბევრის სმა, გალემვა“ (ქართ. **გა-ლემ**-ვა „უზომოდ ბევრის სმა“, ქიზიყ. „ძალზედ გაძღომა“, **გა-ლემ**-ილ-ი, ზან. **ლამქ**-უ-ა „შთანქმა“, **ლამქ**-უნ-ს „ფლანგავს“, **გო-ლამქ**-ირ-ი „ამო-სრუტული, ამოწურული“) : ს.-ნახ. \***მალ**- „სმა; დაღევა; თრობა“ (იჩქ. **მალ**-არ „სმა; სასმელი“, ინგ. **მალ**-არ "id", **მოლ**-უმ „მსმელი“, ბაცბ. **მალ**-არ „სმა“, **მალ**-ენ-ო „მთვრალი“).

**§ 13.6. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ნ** არაიდენტური რიგის სონანტური ფონემათშესატყვისობის ერთ-ერთ ქვესახეობას წარმოადგენს, რომელიც რეგულარულობით გამოირჩევა. **ლ : ნ** შესატყვისობა შეზღუდულია პოზიციით; დასტურდება მხოლოდ არაანლაუტში. ტიპოლოგიურად მსგავსი ფონემათფარდობა ქართველურ ენებს შორის დადგენილ ფორმულ-

ლებშიც გამოჩნდება, შდრ. ქართ. ლ : სვან. ნ — ქართ. მ-წყვილ-ი „საზარდული“ : სვან. ჰყონ || ჰყუნ „საზარდული“, ქართ. მტკაველ : სვან. კამინ „მტკაველი“, ქართ. პასალ-ი „ბოძი, პალო“ : სვან. პაშან „ზვინი“ [ჩუხ. 2000-2003: 17-18]. ლ → ნ ნაზალიზაციის პროცესის კვალი ჩანს ნასესხებ ლექსიკაშიც, შდრ. ქართ. ჩერგილ-ი → სვან. ჩერგენ "id".

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ლ	ლ	ნ	ლ	ლ→/რ	ლ→/ნ/რ	ნ	ნ→/მ	ნ

(1) ს.-ქართვ. \*დავალ- „თხა“ (ქართ. თხა, ზან. თხა, მრ. თხალ-ეფ-ი/ე, სვან. დაველ) : ს.-ნახ. \*დახან- „საქონელი, პირუტყვი“ (იჩქ. დანნ-ი, ინგ. დოახან, ბაცბ. დახნ-ე || დახნ-ო);

(2) ს.-ქართვ. \*კალ- „მწარე“ (ქართ. კალ-, წან-კალ-ებ-ა, ზან. კოლ-, (ნ)კოლ-ო „მწარე“) : ს.-ნახ. \*კონ- „მწარე“ (იჩქ. კონ || კუნ, ინგ. კომ-ა, ბაცბ. კონ-ო<sup>ნ</sup>);

(3) ს.-ქართვ. \*სულ- „სული, სუნი“ (ქართ. სულ-ი, ზან. შურ-ი, სვან. შურ-) : ს.-ნახ. \*სინ- ←\*სტინ- „სული“ (იჩქ. სა — მრ. სინ-ოშ, ინგ. სან — ერგ. სინ-უო, ბაცბ. სა — მრ. სინ-ბჟე);

(4) ს.-ქართვ. \*მშტალ-ა „ახალგაზრდა თხმელა“ (ქართ. ფშალ-ა, ზან. ფშველ-ა, სვან. მესგტლ-ა) : ს.-ნახ. \*მოშტან- „თელა“ (იჩქ. მუმ — მრ. მუმნ-აშ, ინგ. მუმ — მრ. მოტშან-აშ, ბაცბ. მოფშან<sup>ნ</sup>);

(5) ს.-ქართვ. \*ქტალ- „ქვა; კლდე, ჭიხვი“ (ქართ. ქვა, ჩა-ქოლ-ვ-ა, ზან. ქვა || ქუა — მრ. ქუალ-ეფ-ი/ე, სვან. ქტან || ქტან) : ს.-ნახ. \*ჰატან- „ტყე, ველური ადგილი“ (იჩქ. ჰატ — მრ. ჰატან-აშ, ინგ. ჰატ „ტყე“, ჰატან-ხუო „მეტყევე“, ბაცბ. ჰატ<sup>ნ</sup>, ჰატან-ი<sup>ნ</sup> ბალ „ბალამწარა“);

(6) ს.-ქართვ. \*ქილ-ქილ- (რედუბლ.) „ბუსუსი, თმა“ (ქართ. ქინ-ქლი, ზან. ქი-ქილ-ი, სვან. ქი-ქილ) : ს.-ნახ. \*ქან- „მატყლი, მატყლის ნარჩენები“ (იჩქ. ქან, ინგ. ქან, ბაცბ. ქან<sup>ნ</sup>);

(7) ს.-ქართვ. \*შტელ- „შველი, ირემი“ (ქართ. შტელ-ი || შველ-ი, ზან. მ-სქვერ-ი || ფ-სქვერ-ი || მ-სკვერ-ი || სქვერ-ი ←\*სქტარ-ი) : ს.-ნახ. შონ ←\*შტან- „დედალი ჯიხვი“ (იჩქ. შუო || შო — მრ. შონ-იშ, ინგ. შუნ — მრ. შონ-აშ, ბაცბ. შუნ<sup>ნ</sup>);

(8) ს.-ქართვ. \*ცელ- „ცელვა“, \*ცელ-ა „ჩალა“ (ქართ. ცელ-ვ-ა, ზან. ცალ- || ნჩალ-, ნა-ჩალ-ი, ჩალ-ა) : ს.-ნახ. \*ცან-ო „სათიბელი“ (იჩქ. ცან-ა || ცან-ო || ცონ-ო, ინგ. ცონ-, ბაცბ. ცან-ო<sup>ნ</sup>, დ-აც-არ „თიბვა“);

(9) ს.-ქართვ. \*ძილ- „ნაწლავი“ (ქართ. ძალ-ი || ძილ-ი || ძილ-ა, ზან. ჯილ-, ო-ჯილ-აშ-ე, სვან. ჯილ-, ჯილ-ად) : ს.-ნახ. \*ჯინ- „თირკმელი“ (იჩქ. ჟიმ || ჯიმ || ჯინ, ინგ. ჯიმ, ბაცბ. ჟინ<sup>ნ</sup> ←\*ჯინ<sup>ნ</sup>);

(10) ს.-ქართვ. \*წალ- „წალო, განჯინა“ (ქართ. წალ-ო, ზან. ჰა, ინ-



ჭა „ჭა“, შდრ. სვან. ჭარ-პრ „ჭები“) : ს.-ნახ. \*წან- „ოთახი“ (იჩქ. წა — მრ. წენ-ოშ, ინგ. წა ←\*წან, ბაცბ. წა — მრ. წენ-ბუდ);

(11) ს.-ქართვ. \*ხტალ-(ე) „ხვალ; კიდევ, შემდგომ“ (ქართ. ხტალ || ხვალ, ხტალ-ე || ხვალ-ე, ზან. ხოლ-, ხოლ-ო „კიდევ, კვლავ“, სვან. ხარ- ←\*ხტარ-, მგ-ხპრ || მგ-ხარ „ხვალ, ხვალე“) : ს.-ნახ. \*ვ(ტ)ან-(ო) „ხვალ, ხვალე“ (იჩქ. ვან-ა „ხვალ“, ვან-ფე „ხვალე“, ვან-ჟო „შემდგომ“, ვინ „კი- დევ“, ინგ. ვოან, ვოან-პ, ვე ←\*ვინ, ბაცბ. ვან, ვან-რ, ვინ);

(12) ს.-ქართვ. \*ანწილ- „ანწლი“ (ქართ. ანწლი-ი, ზან. ინჭირი || ინჭირი-ა ←\*ონჭირ-, სვან. განჭტუ ←\*ანჭილ) : ს.-ნახ. \*ჭინ- „ანწლი“ (იჩქ. ჭინ || ჭინ-, ჭინ-ჟარლა || ჭინ-ჯურ, ინგ. ჭინ-, ჭინ-ჯერ, ბაცბ. ჭინ);

(13) ს.-ქართვ. \*ცოლ- „ცოლი, ქალი“ (ქართ. ცოლ-ი, ცოლ-იერ-, ზან. ჩილ-ი || ჩგლ-ი ←\*ჩულ-ი, სვან. ჩურ || ჩტირ ←\*ჩულ, და-ჩურ || ჩტირ „და ძმისთვის“ = ეტ. „და-ქალი“) : ს.-ნახ. \*ბ-სთუნ- „ცოლი; კენი- ნა“ (იჩქ. უსთუ || სთუ || სთუ — მრ. სთუნ-აშ, ინგ. უსთ || სუტუ — მრ. სუტუნ-აშ, ბაცბ. ფსტუ — ფსტუნ-ი „ცოლისა“).

**§ 13.7. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. დ** არაიდენტური რიგის სონორუ- ლი ბგერათმეცნიერების ერთ-ერთ ქვესახეობას წარმოადგენს და გამო- ირჩევა რეგულარულობით. ლ : დ პოზიციით არ არის შეზღუდული; დასტურდება როგორც ანლაუტში, ისე არაანლაუტშიც. ტიპოლოგიურად მსგავსი ფონემათფარდობა, რასაც ლ → დ დელატერალიზაცია-ნაზალი- ზაციის ფონეტიკური პროცესი დაედო საფუძვლად, ქართველურ ენებშიც დასტურდება, შდრ. ქართ. ლ : სვან. დ — ქართ. ცტილ-ი : სვან. ჭტიდ ←\*ჩტიდ „თაფლის სანთელი“, ქართ. მ-ხიარ-ულ-ი ←\*მ-ხიალ-ურ-ი : სვან. ხიად „სინარული“, ქართ. სილა, ასილა „ჭურჭელი“ : სვან. შედ ←\*შიდა „ჭურჭელი“... [ჩუხ. 2000-2003: 15-16]. ლ → დ მოქმედი ფონე- ტიკური პროცესი ჩანს სვანურში, რასაც ლ ფონემიან ნასესხებ ძირთა ტრანსფორმაცია ამოწმებს: ქართ. ქულა → სვან. ქულა „ქულა (მატყლისა და ბამბისა)“, ქართ. დედინაცვალ-ი → სვან. დინეცაღ, ქართ. შველ-ა → სვან. შედ- „შველა“.

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ლ	ლ	დ	ლ	ლ→რ	ლ→შ	დ	დ	ღ  დ

(1) ს.-ქართვ. \*ლყ-ე „გაფუჭებული“ (ქართ. ლყ-ე „გაფუჭებული“, გამო-ლყ-ებ-ა, ზან. ლოყ-ა „ტკბილი“ ← „გადამწიფებული“) : ს.-ნახ. \*დაყ-ო „მკვდარი, მიცვალბული“ (იჩქ. დაყა, ინგ. დაყა, ბაცბ. დაყა);

(2) ს.-ქართვ. \*ქტელ- „სიკეთე, სიქველე; მარჯვე, ყოჩაღი“ (ქართ. ქველ-ი || ქტელ-ი, სი-ქტელ-ე, ზან. სა-ქვარ-ი „საქმიანობა, სამუშაო, შრომა“) : ს.-ნახ. \*ქად- ←\*ქად- „მარჯვე, მოხერხებული“ (იჩქ. ქად-ენ, ქად-ენ-იგ „მარჯვე, მოხერხებული“, ინგ. ქად-აჲ "id", ბაცბ. ქად-ენ);

(3) ს.-ქართვ. \*გუღილ- „გული“ (ქართ. გულ-ი, ზან. გუღ-ი „გული“, სვან. გუ || გუი ←\*გუიღ „გული“) : ს.-ნახ. \*დიგუ- ~ \*დაგუ- „გული“ (იჩქ. დუოგ || დუაგ — ერგ. დაგ-უო, ინგ. დოგ — ერგ. დაგ-უო, ბაცბ. დოკ — მრ. დაკ-ბი);

(4) ს.-ქართვ. \*ალალ- „ზარნაში, ოლოლი“ (ქართ. ალალ-ი, ზან. ოლოლ-ი, შდრ. ქართ. (← ზან.) ოლოლ-ი) : ს.-ნახ. \*ოდოდ- „ოფოფი“ (იჩქ. ქისტ.) ტადუად ←\*ოდოდ, ინგ. ოდოდ, ბაცბ. ოდოდ-1, შდრ. ქართ. (ფშ.) ← (ბაცბ.) ოდოდ-ა);

(5) ს.-ქართვ. \*ობალ- „ობოლი“ (ქართ. ობოლ-ი ←\*ობალ-ი, ზან. ომბოლ-ი || ობოლ-ე || ობოლ-ე „ობოლი“) : ს.-ნახ. \*ბადო „ობოლი“ (იჩქ. ბუჲ ←\*ბადო, ინგ. ბო || ბუჲ ←\*ბადო, ბაცბ. ბადო „ობოლი“);

(6) ს.-ქართვ. \*ტალ- „ლაქა“ (ქართ. ტალ-ი, ზან. ტალ-ი ←\*ტოლ-ი, სვან. ტალ, ლგ-ტალ-ურ-ე „ტალიანი“) : ს.-ნახ. \*ტადე „ჭორფლი“ (იჩქ. ტედა, ინგ. ტადე „ჭორფლი“, ბაცბ. ტადე);

(7) ს.-ქართვ. \*მხულ- „ხვლიკი“ (ქართ. მხვლ-ივ-ი || ხვლ-იკ-ი, ძვ. ქართ. მხულ-ივ-ი, ზან. ხოლ-არ-ი || ხვილ-არ-ი || ხველ-არ-ი || მხოლ-ურ-ა || ფხოლ-ურ-ე „ხვლიკი“, სვან. ფხვლ ←\*მხულ „გველის წიწილა“, „ხვლიკი“) : ს.-ნახ. \*ფჰიდ- ←\*ჰატიდ- „ბაყაყი“ (იჩქ. ფჰიდ, ინგ. ფჰიდ, ბაცბ. ფჰიტ ←\*ფჰიდ „ბაყაყი“);

(8) ს.-ქართვ. \*წულ- „ვაჟი; შვილი“ (ქართ. წულ-ი, ქალ-წულ-ი, ზან. ჰოლ-ო „ჰყინტი“, ჰოლ-ა „ჰეელი“, სვან. ჰტუშ || ჰტიშ „ვაჟიშვილი“, ნა-ჰტულ-ამ „საწულისი“) : ს.-ნახ. \*წოდ-არ „მცირე ასაკის უმწიფარი ბავშვი“ (იჩქ. წოდარ, ინგ. წოდარ, ბაცბ. წოდარ);

(9) ს.-ქართვ. \*ბელ- „ბელი, ნაშიერი, შვილი, ბავშვი“ (ქართ. ბელ-ი, ზან. ბერ-ი || ბერ-ე „ბავშვი“, სვან. ბელ „ბელი“, სა-ბელ „კვიცი“) : ს.-ნახ. \*ბადერ- „შვილი, ბავშვი“ (იჩქ. ბდერ ←\*ბადერ, ინგ. ბდერ ←\*ბადერ, ბაცბ. ბადერ);

(10) ს.-ქართვ. \*ბესელ- „ბოსელი, გომი“ (ქართ. ბოსელ-ი, გურ. ბოსლ-ო, ზან. ბარსილ-ი „რელიგიური დღესასწაული, ბოსლობა (?)“) : ს.-ნახ. \*ბაშდ- ←\*ბაშად- „გომური“ (იჩქ. ბაშთ ←\*ბაშდ, ინგ. ბაშთ ← ბაშდ, ბაცბ. ბაშტ ←\*ბაშდ „გომური“).

**§ 13.8. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ჰა** არაიდენტური რიგის სონორული ბგერათშესატყვისობის ერთ-ერთ ქვესახეობას წარმოადგენს. გამოირჩევა რეგულარულობითა და დისტრიბუციული თავისუფლებით; დასტურდება როგორც სიტყვის ანლაუტში, ისე არაანლაუტშიც. საერთონახურში ლ-ს ფარინგალიზაციას საფუძვლად დაედო ლ → ჰა ფონეტიკური პროცესი, რაც ფაკულტატიურ-სპორადულად იჩქერიული ენის დიალექტებშიც გამოჩნდება, შდრ. ინგ. ლაგ : იჩქ. ლაგ „კურკა“, მაგრამ ახ. ჰაგ

"id". დაღესტნურ ენათა სათანადო მონაცემებთან შედარება ასევე მხარს უჭერს **ლ** → **ჰა** ფარინგალიზაციის პროცესის რეალურობას ფუძენახურ-ში, შდრ. იჩქ. **ჰასთ** : ინგ. **ჰასთ** „წყარო“ ~ ქართ. **ლიც-ლიც-ი** : სვან. **ლიც** → || **ნიც** „წყალი“ ~ ანდ. **ინცჰი** ←\***ნიცჰი**, კარ. **ინცჰი** ←\***ნიცჰი**.., ხინ. **მიც**, ბუდ. **ჟის** ←\***ლიც** „წყარო“...

შეუძლებელი არ ჩანს საუბარი ფუძენახურ **ლ** → **ჰა** და სვანურ **ლ** → **შ** ფონეტიკურ პროცესთა ტიპოლოგიურ ერთგვაროვნობაზე, რაც სინქრონიულად გამოჩნდება კიდევ ერთ-ერთ საერთო სიტყვაში, შდრ. ქართ. ვტელ- „ხველა, ხველება“ : სვან. ვტეშ || ვტეშშ „ხველა“ ~ იჩქ. ვაჰა „ცხოველთა ხველება“ : ინგ. ვაჰა "id" : ბაცბ. «ვაჰა».

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
* <b>ლ</b>	<b>ლ</b>	<b>ჰა</b>	<b>ლ</b>	<b>ლ→/რ</b>	<b>ლ→/შ/ფ</b>	<b>ჰა</b>	<b>ჰა</b>	<b>ჰა</b>

(1) ს.-ქართვ. \***ლიც-** „წყალი“ (ქართ. **ლიც-ლიც-ი**, **ლიც-ლიც-ებ-ს**, სვან. **ლიც** → || **ნიც** „წყალი“) : ს.-ნახ. \***ჰასთ-** „წყარო“ (იჩქ. **ჰასთ**, ინგ. **ჰასთ**, ბაცბ. «ჰასტ»);

(2) ს.-ქართვ. \***ცალ-** „ერთი; დაცალიერება“ (ქართ. **ცალ-ი**, **ცალ-ე**, **ცალ-იერ-ი**, **და-ცალ-ა**, ზან. **ჩოლ-უ-ა** „ცლა“, **ჩვარ-ა** „ცალიერი“, სვან. **ჰარ-ი** „ცარიელი“) : ს.-ნახ. \***ცაჰა-** „ცალი, ერთი“ (იჩქ. **ცაჰა** || **ცაჰა**, ინგ. **ცაჰა**, **ცაჰ** ← **ცაჰა** „ერთი“, ბაცბ. **ცაჰა**);

(3) ს.-ქართვ. \***ვტელ-** „ხველა, ხველება“ (ქართ. **ვტელ-ა** → || **ხველ-ა**, ზან. **ხვალ-ი**, **ხვალ-უ-ა** „ხველება“, სვან. **ვტეშ** || **ვტეშშ** „ხველა“) : ს.-ნახ. \***ვაჰა-** „ხველა (ცხოველთა)“ (იჩქ. **ვაჰა** || **ვაჰა** „ცხოველთა ხველება“, ინგ. **ვაჰა** "id", ბაცბ. «ვაჰა»);

(4) ს.-ქართვ. \***ლახტ-** „მთა, ხეობა“, „ადიდებული მდინარე“ (ქართ. **რეხვ-ა** (ჰიდრ.), **ლახტ-ურ-ა** (ჰიდრ.), **რეხ-ი** ←\***ლახვ-ი** „ხეობა“, შდრ. ზემო-ქვემო-წინა-**რეხ-ი**, ზან. **რახტ-ი** ←\***როხვ-ი** || \***ლოხვ-ი** (ტობ., ჰიდრ.), სვან. **ლახტ** „მთა“, **ლახტ** || **ლახტ** „ადიდებული მდინარე“) : ს.-ნახ. \***ჰახტ-** „მთის ჩრდილოვანი ფერდობი“ (იჩქ. **ჰახტ-ჲე**, ინგ. **ჰახტ-ჲე**, ბაცბ. «ჰახტ-»);

(5) ს.-ქართვ. \***ლას-** „რბილი, თხელი მატყლი“ (ქართ. **ლას-ა** „აბრეშუმის თხელი ქსელი; აპკი, გარსი“, სვან. **ღენშ-ი** ←\***ლენშ-ი** „ნაზი, რბილი მატყლი“) : ს.-ნახ. \***ჰას-ე** „ბოჭკო; ცხოველური ორგანიზმის ძაფისებრი ნაწილი“ (იჩქ. **ჰასა**, ინგ. **ჰასა**, ბაცბ. «ჰასე»);

(6) ს.-ქართვ. \***ლტტ-** „გაქცევა, სირბილი“ (ქართ. **ი-ლტვ-ი-ს** || **ი-ვლტ-ი-ს**, **ე-ლტვ-ი-ს**, ზან. **რტ-** → || **ნტ-** || **მტ-** „გაქცევა“, სვან. **ტტ-** ←\***ლტტ-** „გაქცევა“) : ს.-ნახ. \***ჰეტ-** „რბენა; გაქცევა“ (იჩქ. **ჰად-** ←\***ჰატ-** „რბენა“, ინგ. **ჰედ-** ←\***ჰეტ-** "id", ბაცბ. **ჰეტ-** „გაქცევა“).

**§ 14. ვიბრანტი რ.** ფუძეენისეული ამოსავალი **რ** ვიბრანტი, ნახურ-ქართველური საერთო მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კარგად არის შემონახული ორივე ჯგუფის ენებში. მისი დისტრიბუცია შეზღუდულია; არ დასტურდება ფუძენახური სიტყვის ანლაუტში საერთოდ, ხოლო ქართველურში სამადსამ მაგალითში წარმოჩნდება, რომელნიც შებრუნებული წყობისაა საერთონახურ არქექტიპებთან შედარებით (იხ. ქვემოთ). ამ ტიპის ფუძეებში შებრუნებული წყობა, ანუ საურთიერთო მეტათეზისის გამოვლინება, დასტურია იმისა, რომ ისტორიულად საერთოკავკასიურ მასალაში **რ** ვიბრანტი სიტყვის (resp. ძირის) თავში არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

ამოსავალი **რ** ვიბრანტის რეკონსტრუქცია შესაძლებელი ხდება ბგერათშესატყვისობათა შემდეგი ფორმულების მიხედვით — ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **რ**; ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ლ**; ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ნ**; ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **მ**; ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ჟ**. არაიდენტურ შეფარდებებში ფუძენახურის ჩვენება მეორეული ჩანს და ჩამოყალიბდა ფუძე-ენაში არსებული **რ** → **ლ**, **რ** → **ნ**, **რ** → **მ** და **რ** → **ჟ** ფონეტიკური გარდაქმნების საფუძველზე გარკვეულ პოზიციებში, რომელთა დაზუსტება ნახურ-ქართველური საერთო ლექსიკური მონაცემებიდან გასვლის გარეშე გაჭირდება. თუმცა ჩვენი კვლევის დღევანდელ ეტაპზე უმთავრესია ამოსავალ ფონემათმიმართებათა (resp. ბგერათშესატყვისობათა) დადგენა.

წარმოვადგინოთ **რ** ვიბრანტის შემცველი ნახურ-ქართველური ბგერათშესატყვისობათა ფორმულები ცალცალკე.

**§ 14.1. ს.-ქართვ. რ : ს.-ნახ. რ** განეკუთვნება იდენტური სახეობის შესატყვისობათა რიცხვს. როგორც აღვნიშნეთ, მისი დისტრიბუცია შეზღუდულია; არ დასტურდება სიტყვის თავში. ამოსავალი **რ** ვიბრანტის შესატყვისობის ფორმულა ყველა განსახილველი ენის მონაცემთა მიხედვით შემდეგნაირად წარმოჩნდება:

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
* <b>რ</b>	<b>რ</b>	<b>რ</b>	<b>რ</b>	<b>რ</b> → <b>ჟ/ლ</b>	<b>რ</b>	<b>რ/ლ</b>	<b>რ/ლ</b>	<b>რ</b>

(1) ს.-ქართვ. \***რებ**-/\***რბ**- „რბენა, რბოლა; მორბენალი“ (ქართ. **რბ**-ენ-ა, **რბ**-ოლ-ა, მა-**რებ**-ელ-ი, ზან. **რ**-ულ-ა ←\***რბ**-ულ-ა „რბოლა“, მა-**რულ**-ა ←\*მა-**რბ**-ულ-ა) : ს.-ნახ. \***ბარ**- „მოჯირითე, მხედარი“ (იჩქ. ბერ-ი || ბერ-იე, ინგ. ბარ-ი, ბაცბ. ბარ-ი);

(2) ს.-ქართვ. \***რბ**-ო „ორმო, ჩაღრმავებული ადგილი“ (ქართ. **რბ**-ო, ზან. **რობ**-უ, სვან. **რუებ** ←\***რებ**-უ) : ს.-ნახ. \***ბორ**-ა „ხრამი, ხევი“ (იჩქ. ბორ-ა, ინგ. ბერ-ა ←\*ბორ-ა, ბაცბ. ბორ-ა);

(3) ს.-ქართვ. \***რომ**- „მრუმე, ბნელი, შავი“ (ქართ. მ-**რუმ**-ე, და-**რუმ**-ვ-ა, მ-**რომ**-ი (საბა), შდრ. მურ-ა, ზან. **რუმ**-ე, ო-**რუმ**-ე „საპყრობილე“, **რუმ**-უ-ა „დაბნელება“) : ს.-ნახ. \***ბორ**-ინ „ყავისფერი, ბნელი“ (იჩქ.

ბუორ-ა<sup>6</sup> || ბორ-ა<sup>6</sup>, ინგ. ბუორ-ა || ბორ-ა, ბაცბ. „ბორ-ი“<sup>6</sup>;

(4) ს.-ქართვ. \*არ-ე „არე; ჩრდილიანი ადგილი“ (ქართ. არ-ე, არ-ე-მ-არ-ე, ძვ. ქართ. არ-ე-ა, „ადგილი; გაზაფხული, დრო“, არ-ე-ობ-ა „გარეთ, ღია ცის ქვეშ ყოფნა“, ზან. ორ-ა „დროის მონაკვეთი“, ორ-ო „ჩრდილი, აჩრდილი“, სვან. ჰარ- ←\*არ-, მა-ჰარ-ა „ჩრდილიანი ადგილი“) : ს.-ნახ. \*არ- „არე, სივრცე, გაშლილი ადგილი“ (იჩქ. არ-ა, არ-ა „გარეთ“, ინგ. არ-ა, არ-ა "id", ბაცბ. „არ-ე“);

(5) ს.-ქართვ. \*ფარცხ- „ფრჩხილი“ (ქართ. ფარცხ-ილ-ი → || ფარცხ-ილ-ი, ზან. ბირცხ-ა || ბურცხ-ა → || ბურცხ-ა, სვან. ცხა ←\*ფარცხ-ა) : ს.-ნახ. \*ფარსჰა- „ხელი“ (იჩქ. ფჰარს, ინგ. ფჰარს, ბაცბ. ფჰარს „ხელი“);

(6) ს.-ქართვ. \*ხურ-ო „ხურო“ (ქართ. ხურ-ო, ხურ-ვა, სა-ხურ-ავ-ი, და-ხურ-ვა, ზან. ხურ-უ — მრ. ხურ-უ-ეფ-ი „ხუროები“) : ს.-ნახ. \*ფჰარ- ←\*ჰარ- „ხელოსანი“ (იჩქ. ფჰარ, ინგ. ფჰარ, ბაცბ. ფჰარ „ხელოსანი“, შდრ. დალ., ტინდ. ე-ხუნ „ხელოსანი“);

(7) ს.-ქართვ. \*აგურ „აგური, გამომწვარი თიხა“ (ქართ. აგურ-ი, ზან. ოგურ-ი, ოგურ-ხინჯ-ი = აგურ-ხიდ-ი) : ს.-ნახ. \*ანგარ- ←\*ანგარ- „ფაიფური, შუშა/მინა“ (იჩქ. ანგალ-ი, ინგ. ანგალ-ი || ანგალ-ა ←\*ანგარ-, ბაცბ. ანგარ-ა ←\*ანგარ-ა);

(8) ს.-ქართვ. \*გარ-ო „პურის ორმო; ბეღელი“ (ქართ. გარ-ო → || ხარ-ო, ზან. ხურ-ა, მე-ხურ-ე, ხურ-ო (ტობ.)) : ს.-ნახ. \*ხარ-ან „თავლია კასრი მარცვლისათვის“ (იჩქ. ხარ<sup>6</sup> — მრ. ხარ-ან-აშ, ინგ. ხარ<sup>6</sup> — მრ. ხარ-ან-აშ, ბაცბ. „ხარ<sup>6</sup>“);

(9) ს.-ქართვ. \*დერ- „დერა“ (ქართ. დერ-ა, დერ-ი, დერ-ქორ-ი, დერ-დერ-უკ-ი, ზან. ჯაჯ- ←\*ჯარ-, მ-ჯაჯ-ი „დერა“, სვან. ჟინ-ა || ჟინ-ა ←\*ჯინ-ა „დერა“) : ს.-ნახ. \*ძარ-ძარ- (რედუბლ.) „ტოროლა; ბულბული“ (იჩქ. ზარ-არ || ძარ-არ, ინგ. ძარ-არ, ბაცბ. „ძარ-არ“);

(10) ს.-ქართვ. \*ტარ- „ტარი; ტლინკი/წიხლი“ (ქართ. ტარ-ი, ტარ-ო, ზან. ტორ-ი „წიხლი“) : ს.-ნახ. \*ტარ-ო „სილა“ (იჩქ. ტარა, ინგ. ტარა, ბაცბ. ტარ<sup>6</sup>);

(11) ს.-ქართვ. \*ჰურ- „გამოსაჰურისება“; „იმპოტენტი“ (ქართ. ჰურ-, სა-ჰურ-ის-ი, სვან. ჰურ-, ლი-ჰურ-ე „ჰრა“) : ს.-ნახ. \*ჰურ- „საჰურისი, იმპოტენტი“ (იჩქ. ჰურ-ა, ჰურ-ან-ი, ინგ. ჰურ-ა, ბაცბ. „ჰურ-ა“<sup>6</sup>);

(12) ს.-ქართვ. \*ჟურ-ელ- „ხვრელი, ნახვრეტი“ (ქართ. ჟურ-ელ-ი → || ხვრ-ელ-ი, ზან. ხურ-უ, სვან. ჟურ-, ლა-ჟურ-ა „ფანჯარა“) : ს.-ნახ. \*ხერ-ო ←\*ხერ-ო „ჰურ-ელ-ი“ (იჩქ. ხერ-უ — მრ. ხერ-ონ-აშ, ინგ. ხერ-უ || ხერ-ა, ბაცბ. „ხერ-ა“).

**§ 14.2. ს.-ქართვ. რ : ს.-ნახ. ლ** განეკუთვნება არაიდენტურ ფონემათშესატყვისობათა სონორული ტიპის ერთ-ერთ ქვესახეობას, რომელიც მხოლოდ სიტყვის არაანლაუტში გამოჩნდება. **რ** : **ლ** მიმართებას საფუძვლად **რ** → **ლ** ლატერალიზაციის ფონეტიკური პროცესი დაედო, რაც ფუძენახურში ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ტიპოლოგიურად მსგავსი ბგერათშესატყვისობები ცნობილია ქართველური ენებიდან, შდრ. ქართ. **რ** : ზან.-სვან. **ლ** (← **რ**) — ქართ. პირ-ი : სვან. პილ ←\*პირ, ქართ. წარ-ი, წერ-ი : ზან. ჭელ-ა || ჭილ-ა „ნიგვზის წერი, გარეკანი“, ქართ. ვირ-ი : სვან. ჰტილ „ჯორი“, ქართ. გარე : ზან. გალე "id", ქართ. გორ-ი : ზან. გოლ-ა, ქართ. ბერ- „ბერვა“ : სვან. ბელ- ←\*ბერ- "id"... [ჩუხ. 2000-2003: 22-23]. სხვა იბერიულ-კავკასიური ენებიდან **რ** : **ლ** სონორული ბგერათფარდობა გავრცელებულია დაღესტნურ ენათა დილოურ ქვეჯგუფში შდრ. დიდ. **რ** : ხვარშ. **ლ**, სადაც თითქმის უგამონაკლისო ვითარება დასტურდება — დიდ. ცარ : ხვარშ. ცალ „ღვია“, დიდ. ჰორუ : ხვარშ. ჰოლ „იდაყვი“, დიდ. გერ : ხვარშ. ქელ „რკინა“, დიდ. ბერო : ხვარშ. ბელო „ყინული“... [არდოტ. 2002 : 160].

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*რ	რ	ლ	რ	რ→ჯ	რ→ნ	ლ	ლ	ლ

(1) ს.-ქართვ. \*ფურ- „ძროხა“ (ქართ. ფურ-ი „ძროხა დედალი“ (საბა), ზან. ფურ-ი ←\*ფურ-ი „ძროხა-, ფური“, „ფურკამეჩი“, სვან. ფირჟ || ფტირ || ფტირ || ფურ „ძროხა, ფური“) : ს.-ნახ. \*ბულ- „დომბაი“ (იჩქ. ბულ-ა, ინგ. ბულ-, ბაცბ. „ბულ-ე“);

(2) ს.-ქართვ. \*ლურ- „სვე, კვალი, ზოლი“ (ქართ. ღვერ-ი „გრძელი სვე ნათიბარი“, ზან. ღვარ-ალ-ი, შდრ. იმერ. (← ზან.) ღვარ-ალ-ი „ახლად მოთიბული და ზოლად დაყრილი თივა“) : ს.-ნახ. \*ბჰალ- ←\*ბჰალ- „ხნული, კვალი, შრე“ (იჩქ. ბჰალ || ბჰალ „ორნატი“, ინგ. ბჰალ „შრე“, ბაცბ. „ბჰალ“);

(3) ს.-ქართვ. \*ლირ- „ღირებული, ღირსი; ღირება“ (ქართ. ღირ-ს, სა-ღირ-ალ-ი, ღირ-ს-ი, ზან. ღირ-ჟ(ნ) „ღირს“, მ-ი-ღირ-ჟ „მიღირს“, ვა-ღირ-ჟ-ნ-ო „არ ღირსა(?)“) : ს.-ნახ. \*ლალ- „ვარგისიანობა, გამოსადეგობა“ (იჩქ. ლალ-და, ინგ. ლალ-დჰ „ვარგა“, ბაცბ. ლალ-დარ „ვარგისად მიჩნევა“);

(4) ს.-ქართვ. \*ყარ- „გაყრა; შერჭობა“ (ქართ. ყარ-, გა-ჟ-ყარ-ა, სვან. ლი-ყერ „გარტყმა, გარჭობა“, ი-ყერ „ირტყამს, ირჭობს“) : ს.-ნახ. \*ყალ- „ჩხვლეტა“ (იჩქ. ყალ-დარ, ინგ. ყალ-დარ, ბაცბ. ყალ-არ „ჩხვლეტა“, „რჭობა“);

(5) ს.-ქართვ. \*შერ- „შრობა“ (ქართ. შერ- || შვერ-, შრ-ობ-ა, მ-შრ-ალ-ი, და-ვ-შვერ, ზან. სქერ-გ || სქირ-ჟ || სქურ-ჟ „მშრალი“,

მე-სქეურ-უ || მე-სქეგრ-უ || მე-სქირ-უ „გაშრა“) : ს.-ნახ. \*ლესტ-/\*ლასტ- „შრობა“ (იჩქ. ლოტს-/ლედს-არ, ინგ. ლოტს-არ, ბაცბ. ლედს-/ლათს-არ „შრობა“);

(6) ს.-ქართვ. \*ხორ- „ხორა; გროვა“ (ქართ. ხორ-ა „შეშის ზვინი“, ზან. ხოჯ-ი ←\*ხორ-ი, სვან. ხორ-, ლუ-ხორ „შეკრება“, ხორ-ეტ „ხორა, კრებული, გროვა“) : ს.-ნახ. \*ხოლ-ან- „ზვინი“ (ჩიქ. ხუოლა — მრ. ხოლ-ან-აშ „ზვინი“, ხუოლა-ბან „დაზვინვა“, ინგ. ხოლშ, ხოლშ-ბე, ბაცბ. „ხოლა“);

(7) ს.-ქართვ. \*ვარ- „ხარი“ (ქართ. ვარ-ი → || ხარ-ი, ზან. ხოჯ-ი ←\*ხორ-ი, სვან. ვან ←\*ვან „ხარი“) : ს.-ნახ. \*ჰელ- „ძროხა“ (იჩქ. ჰელ-ი „ძროხები“, ინგ. ჰელ-ი, ბაცბ. ო ჰელ-ი);

(8) ს.-ქართვ. \*ბარ- „თქმა, მბობა, ფიცი“ (ქართ. სა-უ-ბარ-ი, ნა-უ-ბარ-ი, სვან. ნა-ბან ←\*ნა-ბარ „ფიცი“, ი-მ-ბან-ალ „იფიცება“) : ს.-ნახ. \*ფალ- „თხრობა, მბობა; ზღაპარი“ (იჩქ. ფალ „მკითხაობა“, ფალ-გ „ზღაპარი“, ინგ. ფალ „მკითხაობა“, ფან-გ „ზღაპარი“, ბაცბ. ფალ „ზღაპარი“);

(9) ს.-ქართვ. \*კერ- „ფსკერი“ (ქართ. ფს-კერ-ი, სვან. ჰო-კერ || უო-კერ „ძირი, ფსკერი“, ნა-ნკურ-ი || ლა-ნკურ-ი „ფსკერი“) : ს.-ნახ. \*კელ- „ძირს, ქვეშ“ (იჩქ. კელ „დაბლა, ძირს“, ინგ. კალ, ბაცბ. კიკელ ←\*კელ-კელ (რედუბლ.) „ქვეშ“);

(10) ს.-ქართვ. \*თხარ- „გასკდომა, გახეთქვა“ (ქართ. ოთხარ-ი „სკდომა“, ზან. თხორ- ←\*თხორ- „ღებინება“, ო-თხორ-უ „აღებინა“, სვან. თხარ-ა → || თხერ-ა „გახეთქვა“, ა-თხარ „გასკდა“) : ს.-ნახ. \*ლეთ- „გასკდომა, გახეთქვა“ (იჩქ. ლელხ-არ, ინგ. ლელხ-არ, ბაცბ. ლეთხ-არ „ამოხეთქვა, გასკდომა“);

(11) ს.-ქართვ. \*რეყ- „საქონლის (გა)რეკვა“ (ქართ. გა-რეკვა-ა, რეკვა-ა (საბა), ზან. რად-უ-ა „რეკვა“, რად-ილ-ი „რეკილი“, სვან. ლი-რეყ „რეკვა“, ა-რეყ-ალ-ი „მირეკავს საქონელს“) : ს.-ნახ. \*ლექ-/\*ლახკ- „საქონლის გა-რეკვა“ (იჩქ. ლახქ-/ლექქ-არ, ინგ. ლახქ-/ლექქ-არ, ბაცბ. ლახკ-/ლექკ-არ „გა-/მი-რეკვა საქონლის“).

**§ 14.3. ს.-ქართვ. რ : ს.-ნახ. ნ** მოიაზრება სონორული ტიპის ბგერათმესატყვისობათა ერთ-ერთ ქვესახეობად, რომელიც მხოლოდ სიტყვის არაანლაუტში ფიქსირდება. რ : ნ მიმართების მიზეზი ჩანს საერთონახურ რ → ნ ნაზალიზაციის ფონეტიკურ პროცესში, რომელიც ფუძე-ენაში სპორადულად იჩენდა თავს. ტიპოლოგიურად მსგავსი ბგერათმესატყვისობის შემთხვევები ცნობილია ქართველური ენებიდან, შდრ. ქართ. რ : სვან. ნ — ქართ. ვარ-ი : სვან. ვან || ვან „ხარი“, ქართ. ძერა : სვან. ჟინა „ძერა“, ქართ. სწორ- „გასწორება“ : სვან. წინ- „დამიზნება, გასწორება“, ქართ. თეთრ-ი : სვან. თეთნ-ე || თეთნ-ე „თეთრი“ [ჩუხ. 2000-2003: 23]. საინტერესო სურათი იკვეთება, როცა რამდენიმე მაგალითში ს.-ქართვ. რ ვიბრანტს ერთნაირად უპირისპირდება როგორც ნახური მო-

ნაცემი, ისე სვანურის ვითარება, შდრ. ს.-ქართვ. \*ქარ- „კანაფი; ქერი“, სვან. ქან „კანაფი“ : ს.-ნახ. \*ქენ- „შვრია“, იჩქ. ქენ, ინგ. ქენ || ქენ „id“.

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*რ	რ	ნ	რ	რ	რ→/ნ/მ	ნ	ნ/მ	ნ

(1) ს.-ქართვ. \*ა-გარ-ა „გომური; შემოღობილი ადგილი; დირე“ (ქართ. აგარ-ა, აგარ-აკ-ი, ანგარ-ი, ზან. აგვარ-ა || ანგვარ-ა, ონგორ-ე „დირე“, სვან. აგანმ || ჰაგანმ ←\*აგარ „გომური“) : ს.-ნახ. \*ო-გან- „ტიხარი, გადატიხრული“ (იჩქ. ოგა — მრ. ოგან-აშ, ინგ. ოგან — ერგ. ოგან-დე, ბაცბ. ოგან<sup>5</sup>);

(2) ს.-ქართვ. \*ზარ- „მზიანი ადგილი; მზე“ (ქართ. მ-ზვარ-ე || ზარ-ი, ზან. მ-ჟორ-ა || მ-ჟურ-ა || ბ-ჟორ-ა „მზე“) : ს.-ნახ. \*ზმან- „სხივი“ (იჩქ. ზმენ-არ, ინგ. ზმე — მრ. ზმან-არ-აშ, ბაცბ. ზმან<sup>5</sup>);

(3) ს.-ქართვ. \*ქარ- „სელი, კანაფი; ქერი“ (ქართ. ქერ-ი, ქერ-ელ-ი, სვან. ქან ←\*ქარ „კანაფი“, ქენ-აშ || ქენ-ემ „კანაფის თესლის შეჭამანდი“) : ს.-ნახ. \*ქენ- „შვრია“ (იჩქ. (ლიალ.) ქენ, ინგ. ქენ || ქენ „შვრია“, ბაცბ. ქენ<sup>5</sup>);

(4) ს.-ქართვ. \*დარ- „დარი, დრო; მარჯვე დრო“ (ქართ. დარ-ი → დრო, ავ-დარ-ი, ზან. დორ-, ე-დორ-ია „მარჯვე დრო“, ჰე-მ-ინ-დორ-ას „იმ დროს“, სვან. ხ-ე-დარ-ალ „უღარაჯებს“, ე. ი. „მარჯვე დროს ეძებს“) : ს.-ნახ. \*დენ- „დღე“ (იჩქ. დე — მრ. დენ-აშ, ინგ. დე || დი — ერგ. დენ-უო, ბაცბ. დე — მრ. დენ-იშ);

(5) ს.-ქართვ. \*ზარ- „ყინული; ყინვა“ (ქართ. ბზარ-ი (საბა), ზან. ბჟინ-აფ-ა „ზრობა“, გურ., ლეჩხ. (← ლაზ.) გა-ბჟინ-ება „გაყინვა სიცივი-საგან“, სვან. მეჯარ || მეჯარ „გაყინული თოვლი, ყინული“, ი-მჟერ-ი „ყინება“) : ს.-ნახ. \*ბჟან- „ყინული“ (იჩქ. შა — ერგ. შან-უო, ინგ. შა — მრ. შან-აშ/ჟ, ბაცბ. ფშა ←\*ფშა<sup>5</sup>);

(6) ს.-ქართვ. \*წერ-ო „წერო, ჭარო“ (ქართ. წერო, ზან. ჭარო, შდრ. ქართ. (← ზან.) ჭარ-ო || ჭარ-ი) : ს.-ნახ. \*ჭენ-ტა „ჩიტბატონა, ერთგვარი ფრინველი“ (იჩქ. ჭენ-ა, ინგ. ჭენ-ა ←\*ჭენ-ა, ბაცბ. ოჭენ-ო<sup>7</sup>);

(7) ს.-ქართვ. \*ცერ- „ცერი; ცერა თითი“ (ქართ. ცერ-ი, ცერ-ა, ზან. ჩანჯ-ი ←\*ჩარ-ი, სვან. ჩერ-მდ/ტოლ, ჩერ-ი || ჩერ- „თითისტარი“) : ს.-ნახ. \*ჩენ- „მტკაველი“ (იჩქ. შა — მრ. შენ-აშ, ინგ. შან — მრ. შან-აშ, ბაცბ. შე — შან-არ-ფლენ „მტკაველის ოდენა“);

(8) ს.-ქართვ. \*ცარ- „ნაცარი“ (ქართ. ნა-ცარ-ი, ნა-ცარ-მტვერ-ი, ზან. ცორ-, ნო-ცერ-ი ←\*ნო-ცორ-ი „ნაცარი“) : ს.-ნახ. \*ჩან- „მტვერი“ (იჩქ. ჩან || ჩან-გ, ინგ. ჩან-გ, ბაცბ. ჩან-კ<sup>7</sup>);

(9) ს.-ქართვ. \*ყარ- „ყრა, დასხმა“ (ქართ. ყარ-ა, ნა-ყარ-ი, ზან.



ო-ყო<sup>რ</sup>-უ „გადაღვრა“, ო-ყო<sup>რ</sup>-უ || ო-ნყო<sup>რ</sup>-უ „თავზე საყრელი“) : ს.-ნახ. \*ან- „დასხმა, დაცვენა“ (იჩქ. ან-არ, ინგ. ან-არ, ბაცბ. რან-<sup>1</sup>);

(10) ს.-ქართვ. \*ქეს-არ- „ეჩო (ამოსათლელი)“; „ჭურჭელი (ამოთლილი)“ (ქართ. ქესარ-ი, ზან. ქვიშინი ←\*ქაშურ-ი „ხის ჯამი“, სვან. ქეშენი ←\*ქეშარ- „კარავი მთაში“) : ს.-ნახ. \*ქაშან „საფლავი“ (იჩქ. ქაშ — მრ. ქეშან-აშ „საფლავი“, ინგ. ქაშ — მრ. ქაშამ-აშ, ბაცბ. რქაშან-<sup>1</sup>).

**§ 14.4. ს.-ქართვ. რ : ს.-ნახ. მ** განეკუთვნება არაიდენტურ ფონემათშესატყვისობათა სონორული ტიპის ერთ-ერთ ქვესახეობას, რომელიც მხოლოდ არაანლაუტურ პოზიციებში გამოჩნდება. გამოირჩევა შედარებით ნაკლები სიხშირული მაჩვენებლებით. **რ : მ** მიმართების მიზეზი, ისევე როგორც **რ : ნ**-ს შემთხვევაში, გამოჩნდება **რ → მ** საერთონახურ ნაზალიზაციის ფონეტიკურ პროცესში, რომელიც ფუძენაში სპორადულად იჩენდა თავს. **რ → მ** ფონეტიკური პროცესი და მასზე დაფუძნებული **რ : მ** ბგერათშეფარდება ცნობილია ქართველურ ენათა შეპირისპირებებიდან. მხედველობაში გვაქვს ს.-ქართვ. **რ**, ქართ. **რ** : სვან. **მ** სონორული ოპოზიციის შემთხვევები, შდრ. ქართ. ყერ-ო „ძელი აღმართებით ზღუდედ მოვლებული“ (საბა) : სვან. ყტამ ←\*ყამ-ტ, მურ-ყტამ „კოშკი“, ქართ. მწყაზარ-ი : სვან. წყგზამ || წყგზემ „სუფთა, წმინდა“, ქართ. კუკურ-ი „წვეთი“ : სვან. კუკუმ "id" [ჩუხ. 2000-2003: 23-24]. ერთგან ზანური ენის ლაზურ დიალექტშიც გამოჩნდება **რ → მ** ნაზალიზაციის ასიმილაციური პროცესი; იხ. ქვემოთ მე-3 შეპირისპირება.

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
* <b>რ</b>	<b>რ</b>	<b>მ</b>	<b>რ</b>	<b>რ→მ</b>	<b>რ→ნ</b>	<b>მ</b>	<b>მ</b>	<b>მ</b>

(1) ს.-ქართვ. \*ფურც- „ფურცვლა/ქურჩნა; ფურცელი“ (ქართ. ფურც-ელ-ი, ზან. ფურჩ-ა „სიმინდის ნაქურჩენი; ფურცელი“, ფურჩ-ონ-უა „ფურცვლა; ფოთლებიგან გაწმენდა“) : ს.-ნახ. \*ბ-ომც- „წვნა; ქსელვა“ (იჩქ. ბ-ჟც-ა<sup>5</sup> || ბ-ჟტც-ა<sup>5</sup> „წვნა“, ინგ. ბ-ჟტც-ა || ბ-ოჟც-ა, ბაცბ. ბ-ოფც-არ ←\*ბომც-არ);

(2) ს.-ქართვ. \*ქასრ- „ქასრა, მამულა“ (ქართ. ქასრ-ი || ქასრ-ა, თივა-ქასრ-ა (საბა), სვან. მგ-ქჟსგრა-ა || მგ-ქსნ-ი ←\*მგ-ქსრ-ი „მამულა“) : ს.-ნახ. \*ქამს- „ყურძენი“ (იჩქ. ქემს || ქამს, ინგ. ქომს, ბაცბ. რქამს<sup>1</sup>);

(3) ს.-ქართვ. \*ბორბალ- „ობობა“ (ქართ. ბორბალ-ა „ობობა“, ზან. ბორბოლ-ია || ბომბულ-ა „ობობა“) : ს.-ნახ. \*ბუმბარ- „მტაცებელი ფრინველის სახეობა“ (იჩქ. ბუმბარ-ი, ინგ. ბუმბარ-გ, ბაცბ. რუმბარ-<sup>1</sup>);

(4) ს.-ქართვ. \*კერცხ-ა „წვეტი, წვერი, შვერილი“ (ქართ. კარჩხა ←\*კარცხა, ზან. კაცხუ ←\*კარცხუ „ანკესი; წვერიანი საკიდი“, სვან. კაცხ || კეცხ ←\*კერცხა „წვერი, წვეტი“) : ს.-ნახ. \*კამს-ურ „ეშვი, შვერილი, ფოცხი“ (იჩქ. კუმს-არ || კამს-ურ, ინგ. კომს-არ, ბაცბ. რკამს-ურ<sup>1</sup>);

(5) ს.-ქართვ. \*ქორ- „ცივი; გაცივება“ (ქართ. ქორ-<sup>1</sup>, ზან. ნქირ- || ნქერ- ←\*ქურ-, გო-ნქერ-აფ-ა „ძლიერ გაცივება“, გო-ნქირ-აფ-ილ-ი „ცივი“, ო-ნქერ-უ-ან-ს „აცივებს“, სვან. ქუნერ || ქუნერ „ცივი“, მა-ნქუნერ-ე „ყველაზე ცივი“) : ს.-ნახ. \*ქომ- „თოში“ (იჩქ. ქუმ-ოლ „თოში“, ინგ. ქუმ-ალ || ქომ-ალ "id", ბაცბ. ქომ-<sup>1</sup>).

**§ 14.5. ს.-ქართვ. რ : ს.-ნახ. უ** არაიდენტურ სონორულ შესატყვისობათა ერთ-ერთ სახეობად წარმოიჩნდება, რომელიც დაბალი სიხშირული მაჩვენებლით ხასიათდება. რ : უ შეპირისპირება მხოლოდ მორფემათა არაანლაუტში დასტურდება. მის საფუძველს ქმნის რ → უ ფონეტიკური გარდაქმნა, რაც ფუძენახურში მოქმედ ფონეტიკურ პროცესთა ერთ-ერთ სპონტანურ ნაირსახეობად კვალიფიცირდება. ტიპოლოგიურად მსგავსი რ → უ სონანტიზაციის ფონეტიკური პროცესი ცნობილია დილურ ენებიდან, შდრ. დიდ. ქერუ : ჰინ. ქორო : ხვარშ. ქულა : ბეჟ. ქორო → || ქუნო „ხეობა“ [იხ. არდოტ. 2002: 160].

ფ.-უ.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*რ	რ	უ	რ	რ→ჯ	რ	უ	უ	ვ→ფ

(1) ს.-ქართვ. \*ლერთ- „ჩოხა; ნაბადი“ (ქართ. ლართ-ი ←\*ლერთ-ი „საწვიმარი ნაბადი“ (საბა), რაჭ. „მოკლე ნაბადი“, ზან. ლართ-ი „ჩოხა“, ლართ-ი დო კაბა „ჩოხა-აბალუხი“, სვან. ღართ ←\*ლერთ „ნაბადი“) : ს.-ნახ. \*ლაუთ-ალ- „ხიფთანი; ნეშმეტ“ (იჩქ. ლოუთალ || ლაუთალ „ხიფთანი“, ინგ. ლოუთალ, ქეთან-ლოუთალ „ჯუბა, ბამბულა“, ბაცბ. ღაბთალ || ლაფთალ<sup>1</sup>);

(2) ს.-ქართვ. \*ე-ტერ- „რძეში ან ერბოში შეზავებული შეჭამანდი“ (ქართ. ეტერი-ი, ზან. ატარი-ა ←\*ატარი-ა, შდრ. ქართ. (← ზან.) ატარი-ა) : ს.-ნახ. \*ტეუ- „არაჟანი; ხსენი“ (იჩქ. ტუო || ტოუა „არაჟანი“, ინგ. ტოა ←\*ტეუა, ბაცბ. ტე ←\*ტეგ „ხსენი“);

(3) ს.-ქართვ. \*ქურც- „ფუჩეჩი, ქერქი“ (ქართ. ქურც-, ნა-ქურც-ენ-ი „ფუჩეჩი; ქერქი“, ზან. დო-ქურჩ-ოლ-ა „გაწმენდა, გარჩევა სიმინდისა საფარისაგან (გარსის შემოცლა“) : ს.-ნახ. \*ქოუსთ- „ქერქი“ (იჩქ. ქოუსთ „ქერქი“, ინგ. ქოასთ ←\*ქოუსთ, ბაცბ. ქოფსტ<sup>1</sup>);

(4) ს.-ქართვ. \*მეწარ- „მხარი; მკლავი“ (ქართ. მხარი-ი || მწარი-ი, სა-მწარი-ი „სამხრე“, ზან. ხუჯი-ი || ფხუჯი-ი || ←მხუჯი-ი ←\*მხურ-ი „მხარი“, სვან. მეწარ || მევერ || მეწარ-ა ←\*მევერ-ა „მკლავი“) : ს.-ნახ. \*ნაწაუ- „მკერდი“ (იჩქ. ნწა ←\*ნაწაუ, შდრ. ჰებ. მრ. ნწაუ-შ, ინგ. ნწაუ ←\*ნაწაუ „მკერდი“, ბაცბ. ნწაგ<sup>1</sup>).

**§ 15. ნაზალური მ სონორი.** ამოსავალი მ ნაზალური სონორი კარგად არის შემონახული საერთოქართველურსა და საერთონახურ ლექსიკურ მასალაში. მ-ს დისტრიბუცია თავისუფალი ჩანს: დასტურდება

როგორც სიტყვის თავში, ისევე არაანლაუტურ პოზიციებში. ფუძენისეული **მ** სონორის რეკონსტრუქცია შესაძლებელი ხდება ნახურ-ქართველურ ფუძე-ენებს შორის დადასტურებული შემდეგი ბგერათშესატყვისობათა ფორმულების მიხედვით — ს.-ქართვ. **მ** : ს.-ნახ. **მ**; ს.-ქართვ. **მ** : ს.-ნახ. **ლ**; ს.-ქართვ. **მ** : ს.-ნახ. **რ**; ს.-ქართვ. **მ** : ს.-ნახ. **ჟ**. არაიდენტურ შესატყვისობებში ფუძენახურის ჩვენება მეორეულ მოვლენად მიიჩნევა; რომელიც განვითარდა **მ** → **ლ**, **მ** → **რ**, **მ** → **ჟ** ფონეტიკური პროცესების შემდგომ გარკვეულ პოზიციებში. ამ პოზიციათა დაზუსტება მომავალი კვლევა-ძიების საქმეა. სამეცნიერო კვლევის დღევანდელ ეტაპზე შემოვიფარგლებით ფონემათმომართებათა სისტემის გამოვლინებით. რეგულარულ და კანონზომიერ ფონემურ შესატყვისობათა დადგენა პირველ ეტაპზე აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევა.

ცალ-ცალკე წარმოვადგენთ ნაზალური **მ** სონორის შემცველ ნახურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობათა ფორმულებს.

**§ 15.1. ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. მ** ერთ-ერთი სონორული რიგის იდენტურ ბგერათშესატყვისობათა რიცხვს განეკუთვნება. გამოირჩევა საილუსტრაციო მაგალითთა სიუხვით. ნახურ-ქართველური **მ**-ს დისტრიბუცია შეზღუდული არ არის. ამოსავალი **მ** ნაზალის შესატყვისობათა ფორმულა ყველა ენის მონაცემების მიხედვით შემდეგ სახეს მიიღებს:

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
<b>*მ</b>	<b>მ</b>	<b>მ</b>	<b>მ→ნ</b>	<b>მ→ზ</b>	<b>მ→ზ</b>	<b>მ→ნ</b>	<b>მ→ნ</b>	<b>მ</b>

(1) ს.-ქართვ. **\*მარხ-** „ავდარი; მენი“ (ქართ. **მეხ**-ი, ზან. **მერეხ**-ი/**მორახ**-ი „თავსხმა“, **მორახ**-ია (ანთროპ.), სვან. **მეხ** „ავდარი“, **მე-მხ-ე** „ავდრის გამომწვევი პიროვნება“) : ს.-ნახ. **\*მონ-** „ქარი“ (იჩქ. **მუონ** || **მონ**, ინგ. **მუხ**, ბაცბ. **მონ** „ქარი“);

(2) ს.-ქართვ. **\*მაზ-ე** „მზე“ (ქართ. **მზე**, ზან. **ბჟა** || ← **მჟა**, **მჟა-ჩხა** „კვირა“; „მზის დღე“, სვან. **მეჟ** || **მიჟ** „მზე“, **მიჟ-ლაღელ** „კვირა“, „მზის დღე“) : ს.-ნახ. **\*მაჟ-უნ** „ყვითელი“ (იჩქ. **მოჟ-ა** || **მუოჟ-ა**, ინგ. **მოაჟ-ნ**, ბაცბ. **მაჟ-უნ**);

(3) ს.-ქართვ. **\*მაჯ-არ-** „მხარე, კუთხე; ქვეყანა, მიწა-წყალი“ (ქართ. **მჯარ-ე** → || **მხარ-ე**, ზან. **მუხურ-ი** ← **\*მოჯორ-ი**) : ს.-ნახ. **\*მონ-** „მიწა, ქვეყანა, დედამიწა“ (იჩქ. **მუონ-ქ** || **მონ-ქ**, ინგ. **მონ-ქ**, ბაცბ. **მონ-კ**);

(4) ს.-ქართვ. **\*მად-ე** „მწიფე, შემოსული“ (ქართ. **მდ-**, უ-**მდ-ილ-ი** → || უ-**ნდ-ილ-ი**, ზან. **მონდა** ← **\*მოდა** „მწიფე“) : ს.-ნახ. **\*მად-ენ** „მწიფე“ (იჩქ. **მედ-ა<sup>ნ</sup>** || **მად-ი<sup>ნ</sup>**, ინგ. **მჰნდ-ჰ** ← **\*მნდ-ჰ**, ბაცბ. **მატ-ე<sup>ნ</sup>** ← **\*მად-ენ**);

(5) ს.-ქართვ. **\*თამ-ელ-** „თამელი“ (ქართ. **თამელ-ი**, ზან. **თომ-ი**, **რთომ-ი** (ტობ.), სვან. **მდამ** || **შტამ** ← **\*შთამ-ჟ**) : ს.-ნახ. **\*თომ-არ-** „ერთგვარი მცენარე“ (იჩქ. **თჟომარ-ი** || **თომ-არ-ი**, ინგ. **თჟმარ-გ**, ბაცბ. **თომარ<sup>1</sup>**);

(6) ს.-ქართვ. \*ამგალ- „მომიჯნავე, ამხანაგი, მეწყვილე“ (ქართ. ამგალ-ი → || ანგალ-ი, ამგლ-ებ-ი „მომიჯნავეები“, ზან. ოგურ-ი ←\*ომგორ-ი „ნათესავი“) : ს.-ნახ. \*ამგირ- „მეწყვილე; ერთი ცოლი მეორის მიმართ“ (იჩქ. ემგარ || ანგირ || ენგირ, ინგ. ენგირ ←\*ემგირ, ბაცბ. რამგირ<sup>7</sup>);

(7) ს.-ქართვ. \*წიმ- „წმენდა, გასუფთავება“; „სუფთა“ (ქართ. წმ-ელ-ა/წმ-იდ-ა, წიმ-არ-ო „სუფთა“, ზან. წიმ-ინდ-უ-ა „წმენდა“, სვან. ჳმ-ინ-„წმენდა, დაგვა/ზევტა“, მგ-ჳმ-ინ-ე „დამგველი“) : ს.-ნახ. \*წამ- „წმენდა, გასუფთავება“ (იჩქ. წან- || წამ-დარ „წმენდა“, ინგ. წან-დარ "id", ბაცბ. წამ-/წემ-დარ "id");

(8) ს.-ქართვ. \*წამწამ- (რედუბლ.) „წამწამი“ (ქართ. წამწამ-ი, წამწამ-ებ-ა (საბა), ზან.-სვან. რჳმჳმ-ჳმ-ჳმ) : ს.-ნახ. \*წაწყამ- ←\*წამწყამ- „წარბი“ (იჩქ. წოწყამ || წაწყამ, ინგ. წაწყამ, ბაცბ. წაწყამ<sup>7</sup>);

(9) ს.-ქართვ. \*ძამ- „ძმა“ (ქართ. ძმ-ა || ძამ-ა || ძამ-ია || ძამ-ულ-ა, ძმ-ად-ი „მამყარი“, ზან. ჳუმ-ა || ჳემ-ა || ჳიმ-ა, ჳუმ-ა-დ-ი || ჳიმ-ა-დ-ი „ბი-და“, სვან. ჳემ-ილ || ჳიმ-ილ) : ს.-ნახ. \*ძამ- „მამყარი“ (იჩქ. ჳამ-ულ<sup>7</sup> || ძამ-ულ<sup>7</sup> — მრ. ძამ-ო-დ, ინგ. ძამ-დგ, ბაცბ. რძამ<sup>7</sup>);

(10) ს.-ქართვ. \*ცამ-ელ- „ქონი“ (ქართ. ცმ-ელ-ი, ზან. ციმ-უ || ← ცემ-უ ←\*ცუმ-უ, სვან. ცემ-ილ) : ს.-ნახ. \*სთამ-ინ „ქონიანი, მსხვილი“ (იჩქ. სთუმ<sup>5</sup> || სთამ-ულ<sup>5</sup>, ინგ. სომ-ჰ ←\*სთამ-ჰ, ბაცბ. სტამ<sup>5</sup>);

(11) ს.-ქართვ. \*ზომ- „ჭამა; საჭმელი“ (ქართ. ჳმ-, უ-ჳმ-ო, სა-უ-ჳმ-არ-ი, სვან. ჳუმ-ბ- || ჳომ-ბ- ←\*ზომ- „ჭამა“, ლე-ზომ „საკვები“) : ს.-ნახ. \*მოყ- „სალაფავი, შეჭამანდი“ (იჩქ. მუყ „სალაფავი“, ინგ. მუყ — მრ. მოყ-ჰ, ბაცბ. რმოყ<sup>7</sup>);

(12) ს.-ქართვ. \*წამ- „ბეწვი; სხეულის თმიანი საფარი“ (ქართ. წამ-ი, სა-წმ-ის-ი, ზან. ჳემ-ი ←\*ჳომ-ი, სვან. ჳრმა || ჳრმა "pubes") : ს.-ნახ. \*მაჳ- „წვერი, ულვაში“ (იჩქ. მაყ || მაჯ ←\*მაჳ, ინგ. მოჯ || მუოჩჳ ←\*მოჳ, ბაცბ. მაჳ „ულვაში“).

**§ 15.2. ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ლ** არაიდენტური სონორული ტიპის ბგერათშესატყვისობათა ერთ-ერთი ქვესახეობაა, რომელიც გამოჩნდება როგორც სიტყვის ანლაუტში, ისე არაანლაუტურ პოზიციებში. როგორც ეტყობა, მ : ლ ბგერათფარდობას მ → ლ ნაზალური სონორის ლატერალიზაციის ფონეტიკური პროცესი დაედო საფუძვლად, რაც სპორადულად იჩენდა თავს ფუძენახურში. ტიპოლოგიურად მსგავსი ფონეტიკური გარდაქმნა ცნობილია ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკიდან. მხედველობაშია ს.-ქართვ. მ, ქართ. მ : სვან. ლ ბგერათშესატყვისობა, რომელიც პოზიციურად არ არის შეზღუდული, შდრ. ქართ. მაცალ-ო „მოზვერი“ : სვან. ლჳჩჳ || ლჳჩჳ „ირემი“; ქართ. გომ-ი, გომ-ურ-ი : სვან. გჳლ „ბოსელი“; ქართ. ყმა : სვან. ყლაჳ „ბავშვი, ყმაწვილი“; ქართ. ქათამ-ი : სვან. ქათალ „ქათამი“... [იხ. ჩუხ. 2000-2003: 19].

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*მ	მ	ლ	მ→ზ	მ→ზ	მ	ლ	ლ	ლ

(1) ს.-ქართვ. \*მზ-ე „ზზე; ბჯა“ (ქართ. ბზე ←\*მზე, ზან. ბჯა || მჯა ←\*მჟა „ძნის ან ჩალის ზვინი“) : ს.-ნახ. \*ლაზ-ე „მარცვლეულის ძნათა გროვა, ზვინი“ (იჩქ. ლდჷზა || ჰებ. ლაზზე, ინგ. ლაზა, ბაცბ. ლაზჷ);

(2) ს.-ქართვ. \*მთხ- „შეყრა; დაცემა/დახტომა/დავარდნა“ (ქართ. მთხჷ-ევა „შეყრა“, „ჩხუბი“, მი-ა-მთხ-ა „დაარტყა“, ზან. ნთხ- ←\*მთხ- „დარტყმა; დაცემა/დავარდნა“, გდ-ჟ-ნთხ-ჟ „დაარტყა“, ქეგი-ა-ნთხ-ჟ „დაახტა; თავს დაესხა“, სვან. თხ ←\*მთხ-, ა-თხ-ჲდ „ახვედრებს; თავს უყრის“) : ს.-ნახ. \*ლეთხ- „ხტომა/ცეკვა; გარეკვა, შერეკვა“ (იჩქ. ლდელხ-არ „ხტომა, გადახტომა; გარეკვა“, ინგ. ლდელხ-არ, ლდელხ-ჟო „შერეკვა, გარეკვა“, ბაცბ. ლეთხ-არ „ხტომა, ცეკვა, გადახტუნება; გაგდება“);

(3) ს.-ქართვ. \*მეტ- „მატება; მეტი“ (ქართ. მეტ-ი, ჟ-მეტ-ეს-ი, მატ-ებ-ა, ჰ-მატ-ს, ზან. მენტ-, ჟ-მენტ-ა-ში „უმეტესი“, სვან. მტ- ←\*მეტ-, ლი-მტ-ე „დამატება“) : ს.-ნახ. \*ლატ-/\*ლეთ- „მატება, მომატება“ (იჩქ. ლატ-ჷ, ინგ. ლატ-ჷ, ბაცბ. ლატ-არ/ლეთ-არ (ჟსრ. ასპ.) „მატება, აღიდება“);

(4) ს.-ქართვ. \*გამ- „ხე; დირე/მორი“ (ქართ. გამ-ირ-ა, გამ-ირ-ი „ბოძებზე გადებული ხე, დირე“, სვან. მე-გამ || მე-გამ → || მე-გემ „ხე; მორი“) : ს.-ნახ. \*გალ- „ხე; ხის ტოტი“ (იჩქ. გა ←\*გალ „ხის ტოტი“, ინგ. გა, ბაცბ. გალ „ხე (არყის)“);

(5) ს.-ქართვ. \*ხამ- „მსხვილი ძაფისგან ნაქსოვი/ქსოვილი“ (ქართ. ხამ-ი „სხული სამოსელი“, „ბამბის ქსოვილი, შინ დართული მსხვილი ძაფისაგან“, ზან. ნომ-ი) : ს.-ნახ. \*ხალ- „ძაფის ნაჭერი, ნაგლეჯი“ (იჩქ. ხალ, ინგ. ხალ, ბაცბ. ნალ).

**§ 15.3. ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ნ** ბგერათშესატყვისობა გამოირჩევა საილუსტრაციო მასალის სიუხვით. მ : ნ ფონემათფარდობისათვის დისტრიბუციული თავისუფლება ასევე დამახასიათებელია: დასტურდება როგორც მორფემათა ანლაუტში, ისე ინლაუტ-აუსლაუტში. ადვილი დასაშვებია მ → ნ ფონეტიკური პროცესის არსებობა ფუძენახური ენობრივი ერთობის პერიოდისათვის. რის ნიადაგზეც ჩამოყალიბდა კიდევ ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ნ ბგერათშესატყვისობა. ტიპოლოგიურად მსგავსი ფონემური ოპოზიცია ცნობილია ქართველურ ენებს შორისაც, შდრ. ს.-ქართვ. მ, ქართ. მ : სვან. ნ — ქართ. მახე : ზან. მოლე ←\*მოხე „იარალი“ : სვან. ნაჷ || ნახე „იარალი“, ქართ. ძამლ-ი „ვირთაგვა“ : ზან. ძემურ-ი ←\*ჯომურ-ი "id" : სვან. ჯინორ „ციყვი“, ქართ. მცვერ- „მცვერვა“ : სვან. ნჩჷერ- „ძნებად კონვა“ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 19].

ქვემოთ მოყვანილი მ : ნ ბგერათშესატყვისობის საილუსტრაციო მე-3 მაგალითში სვანურსა და ნახურ ენებში ერთგვაროვანი მ → ნ ბგერათცვლილება გამოჩნდება, რაც არ უნდა იყოს შემთხვევითი ფაქტი.

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*მ	მ	ნ	მ	მ→ნ	მ→ნ	ნ	ნ	ნ

(1) ს.-ქართვ. \*ცხემ-ალ- „რცხილა/ცხმელა“ (ქართ. ცხემ-ლ-ა, ზან. ცხემ-ურ-ი || ცხიმ-ურ-ი „რცხილა“, შდრ. ო-ჩხამ-ურ-ი (ტობ.), სვან. ცხუმ-რა || ცხტიმ-რა „რცხილა“, შდრ. ლე-ჩხუმ „ლეჩხუმი“) : ს.-ნახ. \*ნაჩხ-ი „ტყეური, ველის ჭყიმი“ (იჩქ. ნეჩხა || ნაჩხი || ნეჩხ, ინგ. ნეჩხ || ნეჩხნ, ბაცბ. ნაჩხი);

(2) ს.-ქართვ. \*ცხამ- „ცხიმი; ქონი“ (ქართ. ცხიმ-ი ←\*ცხამ-ი, ზან. ჩხომ-ი „ცხიმი“, ჩხომ-ჭაბუ „ცხიმ-წებო“, სვან. მგ-ჩხგმ „ცხიმი, ქონი“) : ს.-ნახ. \*ნაჩხ-ი „ყველი“ (იჩქ. ნეჩხა || ნეჩხა || ნაჩხი, ინგ. ნეჩხ → || ნეჩხ, ბაცბ. ნაჩხ ←\*ნაჩხი „ყველი“);

(3) ს.-ქართვ. \*მწყუ- „მოსპობა, ძალით განადგურება“ (ქართ. წყვ- ←\*მწყუ- „გა-წყვ-ა „მოისპო“, გა-მ-წყვ-არ-ი „მომსპარი“, ზან. წწყუ-ალ-ა „სპობა“, დო-ბ-წყვ-ი „დავაქციე, გავანადგურე“, სვან. წწყუ- ←\*მწყუ- „ლი-წყუ-ე „განადგურება; მოსპობა“) : ს.-ნახ. \*ნიწყ- „ძალა; შეძლება, ძალმომრეობა“ (იჩქ. ნიწყ, ნიწყ-ბიდრიგ „მჩაგვრელი“, ინგ. ნიწყ → || ნიძ, ბაცბ. ნიწყ, ნიწყ-ბარ „ძალადობა“);

(4) ს.-ქართვ. \*მახ-ე „მომჟავო/მოტკბო“ (ქართ. მხე (საბა), ზან. მონა „მჟავე“, მონა-სქურ-ი = მჟავე წყალი, სვან. მგზ-იმ „მწარე; მჟავე“) : ს.-ნახ. \*ნახ- „ბრაგა; ბურაბი“ (იჩქ. ნახ, ინგ. ნგხ || ნახ „ბრაგა, ბურაბი“, ბაცბ. ნახ);

(5) ს.-ქართვ. \*მეხ-ელ- „კვარი, ნაკვერცხალი“ (ქართ. მეხ-ელ-ი, ზან. მახ-ვა ←\*მახ-ო „ნაკვერცხალი“, სვან. მგზ-ირ „კვარი“) : ს.-ნახ. \*ნახ-არ- „კევი“ (იჩქ. ნახ || ნეხ — მრ. ნახარ-შ „კევი“, ინგ. ნახ — ერგ. ნახარ-ფე, ბაცბ. ნახ);

(6) ს.-ქართვ. \*თხამ- „თხმელა“ (ქართ. თხემ-ლ-ა || თხმ-ელ-ა, ზან. თხომ-უ || თხომ-უ || თხომ-უ → || თხომ-უ „თხმელა“) : ს.-ნახ. \*დაჯან- „არყის ხე“ (იჩქ. დაჯ — მრ. დაჯან-შ, ინგ. დაჯ ←\*დაჯან, ბაცბ. დაჯან);

(7) ს.-ქართვ. \*ჯამ- „სიმშრალე; გახმობა“ (ქართ. ჯამ-ობ-ა || ხამ-ობ-ა, გან-ვ-ჯემ, ჯემ-ელ-ი || ხამ-ელ-ი, ზან. ო-ხომ-უ „ხმობა, შრობა“, ხომ-ულ-ა „ხმელი“) : ს.-ნახ. \*და-ჯონ- „სიმშრალე, უცხიმობა ორგანიზმში“ (იჩქ. დან-ჯუო — მრ. დან-ჯონ-შ, ინგ. და-ჯუო — მრ. და-ჯონ-შ, ბაცბ. და-ჯონ);

(8) ს.-ქართვ. \*ყამ-ა „მონა, ყმა“ (ქართ. ყმა-ა, პატრონ-ყმა-ობ-ა, ე-ყმა-ო, სვან. ნა-ყმა-უნ „მათხოვარი“, „გლახაკი“) : ს.-ნახ. \*ყენ- „გლახაკი, საწყალი“ (იჩქ. ყენ || ყენ, ინგ. ყე || ყენ ←\*ყენ „საწყალი“, ბაცბ. ყენ „ლარიბი, გლახაკი“);

(9) ს.-ქართვ. \*ყამ- „წყურვილი; წყურვილით ხრჩობა“ (ქართ.

ყმ-ედ-ა „მშევა“, ძვ. ქართ. სი-ყმ-ილ-ი, მ-ყმ-არ-ი, ზან. ყომ-ინ- || ცუმ-ენ- „წყურვილი“, ბ-ცუმ-ენ-ს || მ-ყომ-ინ-ს „მწყურია“, სვან. ყიმ- ← \*ყამ-, ყიმ-ა „წყურვილით ხრჩობა“, ა-ყმ-ე „ახრჩობს“) : ს.-ნახ. \*ყან- „ხმობა/გვალვა“ (იჩქ. დო-ყა<sup>5</sup>, ახ. დო-ყან-ა, ინგ. დო-ყა — მრ. დო-ყან-აშ „გვალვა“, ბაცბ. დო-ყან-რ);

(10) ს.-ქართვ. \*ყამ-ა „ყრმა; ბავშვი, ბიჭი“ (ქართ. ყმ-ა → || ყრმ-ა, ზან. ყვა<sup>7</sup> ← \*ყმა "id", სვან. ყლა-ტუ ← \*ყალ-ტუ „ბავშვი, ბიჭი“) : ს.-ნახ. \*ყონ-ონ „ახალგაზრდა“ (იჩქ. ყუონ-ა || ყუონ-ა<sup>5</sup>, ინგ. ყონ-ჲ || ყუონ-ჲ, ბაცბ. ყონ-ონ<sup>6</sup> „ახალგაზრდა“).

**§ 15.4. ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. რ** არაანლაუტში გავრცელებული ერთ-ერთი არაიდენტური სონორული ტიპის ბგერათშესატყვისობაა, რომელსაც სავარაუდოდ ფუძენახურში გავრცელებული მ → რ დენაზალიზაციის ფონეტიკური პროცესი დაედო საფუძვლად, შდრ. ტიპოლოგიურად მსგავსი სურათი ქართველურ ენებს შორის — ქართ. მ : სვან. რ (ქართ. მტილ-ი : სვან. ჰა-რტამ „ბოსტანი“; ძვ. ქართ. ტკიმ-, მტკიმ-ება „გაღება“ : სვან. მგ-ტკირ „ოდნავ ღია“, ლი-ტკირ-ე „ოდნავ გაღება“). ამგვარ დაშვებას მხარს ასევე უმაგრებს დაღესტნურ ენათა ინფორმაცია, სადაც ნახური რ ვიბრანტის შესატყვისად ქართველურისებური მ/წ თანხმოვნები გამოჩნდება, შდრ. ს.-ქართვ. \*კტამ- „კვამლი“ : ს.-ნახ. \*კურ- „კვამლი“ — ქართ. კვამ-ლი : ზან. კუმ-ა || კომ-ა : სვან. კუმ<sup>6</sup> || კტამ ~ იჩქ. კურ : ინგ. კურ : ბაცბ. კურ „კვამლი“ ~ ანდ. კაჟოდ ← \*კაჟონ<sup>5</sup> : ახვ. კაჟი<sup>5</sup> : დარგ. ქაჟუ || გაჟუ : უდ. ქჟინ : არჩ. გუმ „მტვერი“...

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*მ	მ	რ	მ	მ	მ→ზ	რ	რ	რ

(1) ს.-ქართვ. \*ცხემ-ილ- „ჩხირი, ისარი“ (ქართ. ცხემ-ლ-ებ-ი, ცხემ-ლ-ი „ჩხირი, (წინდის)“, ცხემ-ლ-ა „ხის პატარა საქსოვი ჯოხი“, ზან. ჩხაპ-ილ-ა ← \*ჩხამ-ილ-ა „საქსოვი ჯოხი, ჩხირი“, სვან. ცხტი || ცხუ ← \*ჩხემ-ტუ „ისარი“) : ს.-ნახ. \*სარ- „წნელი“ (იჩქ. სარ-ა || სარ-ავ „ჯოხი“, ინგ. სარ-გ, ბაცბ. სარ-<sup>7</sup>);

(2) ს.-ქართვ. \*კტამ- „კვამლი; კმევა, ბოლება“ (ქართ. კვამ-ლ-ი, კომ-ლ-ი, ძვ. ქართ. კუმ-ოდ-ა, სა-კუმ-ევე-ელ-ი, სა-რ-კუმ-ელ-ი, ზან. კომ-ა || კუმ-ა „კვამლი“, ო-კუმ-აფ-უ = სა-კუმ-ევე-ელ-ი, მე-ბ-უ-მკომ-ამ „მივუბოლებ“, სვან. კუმ<sup>6</sup> || კტამ „კვამლი, ბოლი“, ლი-კუმ<sup>6</sup>-ე „ბოლვა“) : ს.-ნახ. \*კურ- „კვამლი“ (იჩქ. კურ, კურ თიღსა „ბოლვა“, ინგ. კურ, კურ ბილჲ „მოსევალება“, ბაცბ. კურ, კურ-ბუნგალ „კორიანტელი“);

(3) ს.-ქართვ. \*სამ- „ხმა; ხმიანობა, გამოხმაურება“; „სმენა“ (ქართ. სიმ-სამ-ი → || ციმ-ცამ-ი „ჩამიჩუმი“, ზან. შუმ-ორ-ი „ხმიანობა, ხმაური“, ჩამიჩუმი“, სვან. შუმ- || შუმ- || შუმ-, ხ-ე-შუმ-ი (ოხ-შუმ-ენ) „ეხმიანება,

ეხმაურება“) : ს.-ნახ. \*ა-შირ- „ხმა, ჰანგი“ (იჩქ. **ჲ**-იმ — ერგ. აშარ-ჟო, ინგ. **ჲ**-იმ — მრ. აშარ-ჟმ, ბაცბ. იშ — ერგ. აშირ-ჟ);

(4) ს.-ქართვ. \*წამ- „მცნება; შეტყობინება, დაბარება“ (ქართ. წამ-, შე-წამ-ებ-ა, ძვ. ქართ. წამ-ებ-ა „მცნება, შეტყობინება“, ვ-წამ-ებ-თ, ზან. წუმ- „დაბარება“, დო-ვ-ჟ-წუმ-ჟ „დავუბარე“, ჟ-წუმ-ჟერ-ს „ეტყვის“, სვან. ჰამ- „დაბარება, შეტყობინება“, ი-ჰბ-ი (ოთ-ჰამ) „იბარებს“) : ს.-ნახ. \*წერ- „სახელი; რქმევა, ჰქვია“ (იჩქ. წე — ერგ. წერ-ჟო, ინგ. წი — მრ. წერ-ჟმ, ბაცბ. წე — მრ. წარ-იმ „სახელი“, წე „ჰქვია“);

(5) ს.-ქართვ. \*ჟემ- „ვეფხვი“ (ქართ. ვეფხ-ი || ვეფხვ-ი, ვეფხ-ია (ანთრობ.) ზან. ვემ-ი || ვემხვ-ი) : ს.-ნახ. \*ჟერ- „ავაზა“ (იჩქ. ჰერ- ←\*ვერ-, ინგ. ჟერ- ←\*ვერ-, ბაცბ. «ვერ-»);

(6) ს.-ქართვ. \*თხამ-ალ- „თხრამლი, ჩირქი“ (ქართ. თხამლ-ი || თხრამლ-ი, ზან. თხომ-ჟრ-ი || თხუმჟრ-ი || თხომრ-ი „ჩირქი, თხრამლი“) : ს.-ნახ. \*თხირ- „თრთვილი, ცვარი“ (იჩქ. თხირ → || თხი „თრთვილი“, ინგ. თხირ, ბაცბ. თხირ).

**§ 15.5. ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ჟ** ბგერათმეცნიერების გავრცელებულია არაანლაუტურ პოზიციასში. **მ** : **ჟ** მიმართების საფუძველი ჩანს ფუძენახურში გავრცელებული დენაზალიზაციის **მ** → **ჟ** ფონეტიკური გარდაქმნა, რომლის სასარგებლოდ დაღესტნური ინფორმაციაც მეტყველებს, შდრ. ს.-ქართვ. \*თხამ- „თხემი, მწვერვალი“ : ს.-ნახ. \*თხომ- „ჰერი, სახურავი“ — ქართ. თხემ-ი : სვან. თხტიმ || თხუმ ~ იჩქ. თხომ : ინგ. თხომ ~ ანდ. ტომ : ახვ. ტამი : კარ. ტამე : ბეჟ. ტამა : ჰუნზ. ტამე „სახურავი“...

**მ** → **ჟ** ფუძენახური ფონეტიკური გადაბგერების მსგავსი მოვლენა ქართველური ენებიდან სვანურში იჩენს თავს, შდრ. ქართ. ხემს-ი „მცირე რამ საჭმელი“ : სვან. ხეჟს „საუზმე“. რაც კიდევ ერთხელ ამოწმებს **მ** → **ჟ** ფონეტიკური გარდაქმნის რეალურობას ჩვენს ენებში.

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*მ	მ	ჟ	მ	მ	მ	ჟ	ჟ	ვ

(1) ს.-ქართვ. \*წუმ- „სახელური, ტარი; მტევანი“ (ქართ. წუმ- „ყურე“, ყურ-წუმ-ი „ყურე“, გურ. წუმ-ი „მტევანი (ყურძნისა)“, სვან. ჰუმ → || ჰემ — მრ. ჰომ-ჟრ „სახელური, ყური, ტარი“) : ს.-ნახ. \*ჟუმ- „მაქო, ზუმბა“ (იჩქ. ჰუმ → || ჰუმ, ინგ. ჰუმ, ბაცბ. ჰუმ);

(2) ს.-ქართვ. \*წუმ- „წვიმა“ (ქართ. წვიმ-ა, წვიმ-ს, ზან. ჰვიმ-ა → || ჰვიმ-ა || მ-ჰვიმ-ა „წვიმა“) : ს.-ნახ. \*წუმ- „ღვთაება, სიწმინდე, კერპი“ (იჩქ. წუმ || წიმ ←\*წუმ- „წარმართული ღვთაება“, ინგ. წუმ „წმინდა ადგილი; სულიწმინდა“, ბაცბ. წიმ ←\*წუმ- „კერპი, ღმერთი“, შდრ.



ხუნდ. წაობ „მოწყალეა“);

(3) ს.-ქართვ. \*ღუმ- „ღუმელი; იღუმალეა, საიდუმლოს შენახვა“ (ქართ. ღუმ-ილ-ი, ღუმ-ს || ღუმ-ი-ს, ი-ღუმ-ალ-ებ-ა, სვან. ღუმ-, ლი-ღუმ-ე „საიდუმლოს შენახვა“) : ს.-ნახ. \*ღუმჷ- „ფიცი“ (იჩქ. ღუმ ←\*ღუმჷ, ინგ. ღუმჷ, ბაცბ. ღუმ ←\*ღუმ);

(4) ს.-ქართვ. \*თემ- „თმენა“ (ქართ. თმ-ენ-ა, ი-თმ-ენ-ს, ი-თმ-ინ-ა, ზან. თამ-, თამ-ო-თამ-ო „თმენა-თმენით, ნელ-ნელა“, სვან. თემ- ←\*თემ-, თემ-ი „გასაჭირი, თმენა“) : ს.-ნახ. \*თემჷ- „გაყუჩება, დამშვიდება“ (იჩქ. თემჷ-რ ←\*თემჷ-არ, ინგ. თემჷ-რ ←\*თემჷ-არ, ბაცბ. თემჷ-არ „დამშვიდება, გაყუჩება, დაწყნარება“);

(5) ს.-ქართვ. \*კამს- „კემსვა, მსხვილი ძაფი/ნაქსოვი“ (ქართ. კემს-ი „დიდი ნემსი, მახათი“, კემს-ვა, კამას-ი „მსხვილი ძაფი“, ზან. კამ- ←\*კამჷ- „შეერთება, მიბმა“, აკო-კამჷ-ურ-ჷ-ა "id", კომოჷ-ი || კუმჷ-ა „კამასი“, სვან. კუმჷ- ←\*კამჷ- „საქონელი“) : ს.-ნახ. \*კოჷს- „ხალიჩა“ (იჩქ. კოჷს, ინგ. კოჷს „ხალიჩა“, ბაცბ. კოჷს);

(6) ს.-ქართვ. \*თხამ- „თხემი, თავი; მწვერვალი“ (ქართ. თხემ-ი ←\*თხამ-ი, სვან. თხემ || თხემ ←\*თხამ „თავი, მწვერვალი“) : ს.-ნახ. \*თხოჷ- „ჭერი, სახურავი, სარქველი“ (იჩქ. თხოჷ, ინგ. თხოჷ, ბაცბ. თხოჷ „სარქველი, ხუფი“).

**§ 16. ნაზალური ნ სონორი.** წინარე-ენიდან მომდინარე ნაზალური ნ სონორი სოლიდურად არის წარმოდგენილი საერთო წარმომავლობის ნახურ-ქართველურ ლექსიკურ ფონდში. გამოირჩევა დისტრიბუციული შეუზღუდაობით; რ ვიბრანტისაგან განსხვავებით, დასტურდება როგორც მორფემათა თავში, ასევე არაანლაუტურ პოზიციებში. ამოსავალი ნ ნაზალური სონორის რეკონსტრუქცია შესაძლებელი ხდება ნახურ-ქართველურ ფუძე-ენებს შორის გამოვლენილი ბგერათშესატყვისობათა შემდეგი ფორმულების მიხედვით — ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. ნ; ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. რ; ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. ლ; ს.-ქართვ. დ : ს.-ნახ. ნ. ამ უკანასკნელ შეპირისპირებაში საერთოქართველური ენის ჩვენება მეორეული ჩანს — დ ← ნ. სხვა შემთხვევებში, პირიქით, ფუძე-ნახურის ვითარებაა მეორეული. ე. ი. საერთონახური ენობრივი მდგომარეობისათვის ივარაუდება ნ → ლ, ნ → მ, ნ → რ, ნ → დ ფონეტიკური გარდაქმნები, რომლებიც მხოლოდ გარკვეულ პოზიციებში განხორციელდა. ამ პოზიციათა დადგენა მომავლის საქმედ გვესახება.

ქვემოთ ცალ-ცალკე წარმოვადგენთ ნ ნაზალური სონორის შემცველ ნახურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობათა ფორმულებს.

**§ 16.1. ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. ნ** განეკუთვნება სონორული რიგის ერთ-ერთ იდენტურ ბგერათშესატყვისობათა რიცხვს. ამოსავალი ნ ნაზალის დისტრიბუცია თავისუფალი ჩანს. ნ : ნ იდენტური შეფარდება გამოირჩევა საილუსტრაციო მაგალითების სიუხვით. წინარე-ენიდან მო-

მდინარე **ნ** სონორის შესატყვისობათა ფორმულა ყველა აღსაწერი ენის მონაცემების მიხედვით შემდეგ სახეს მიიღებს:

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
<b>*ნ</b>	<b>ნ</b>	<b>ნ</b>	<b>ნ</b>	<b>ნ→მ</b>	<b>ნ</b>	<b>ნ</b>	<b>ნ</b>	<b>ნ</b>

(1) ს.-ქართვ. **\*ნაყ**-არ „ნეკერი; შტო/რტო“ (ქართ. **ნეკარ**-ი || **ნაკერ**-ი, ზან. **ნოცველ**-ი || **ნოცველ**-ა) : ს.-ნახ. **\*ნაყ**-ე „შტო“ (იჩქ. **ნეყ**-დჲ „შტო, გამონაყოფი გვარში“, ინგ. **ნაყ**-ილ<sup>გ</sup> "id", ბაცბ. **ნაყ**-ე<sup>7</sup>);

(2) ს.-ქართვ. **\*ნენ**-ა „დედა“ (ქართ. (გურ., აჭ.) **ნენა**-ი || **ნენე**-დ, ზან. **ნანა** || **ნან**-აია, **ნან**-ინ-ა, სვან. **ნან**, **ნან**-ჲგ → || **ლან**-ჲგ „დედულეთი“) : ს.-ნახ. **\*ნან**-ა „დედა“ (იჩქ. **ნანა**, ინგ. **ნან**, **ნანი** (მიმართვისას), ბაცბ. **ნან** || **ნან** ←**\*ნან** „დედა“);

(3) ს.-ქართვ. **\*ნუს**- „რძალი“ (ქართ. **ნუსა**-დია (საბა), ზან. **ნოსა** || **ნუსა** || **ნისა**, ჭუტა-**ნუსა** „პატარძალი“, **ნოლა**-მისა ←**\*მოხა**-ნისა "id") : ს.-ნახ. **\*ნუს**- „სიძე, საქმრო“ (იჩქ. **ნუს**, ინგ. **ნედ** ←**\*ნუს**, ბაცბ. **ნუს**);

(4) ს.-ქართვ. **\*ნუმ**- „ყველი“ (ძვ. ქართ. **ნუმ**-ი, ზან.-სვან **ნუმ**-ქ) : ს.-ნახ. **\*ნონ**- „ღვრიტა, კვეთი“ (იჩქ. **ნონ** || **ნუნ** — მრ. **ნონ**-აშ, ინგ. **ნონ** ←**\*ნონ**, ბაცბ. **ნონ**);

(5) ს.-ქართვ. **\*ნეყარ**- „კარი, გაღება“ (ქართ. **კარ**-ი, **კარ**-ედ-ი, **კარ**-აბ-ა, ზან. **ნეკარ**-ა || **ნეკარ**-ა, სვან. **კარ**- || **კრ**- „გაღება“) : ს.-ნახ. **\*ნეყარ**- „კარი“ (იჩქ. **ნეყ** — მრ. **ნეყარ**-შ, ინგ. **ნეყ** — მრ. **ნეყარ**-აშ „კარები“, ბაცბ. **ნეყარ** ←**\*ნეყარ** „ლია“);

(6) ს.-ქართვ. **\*წანდ**-ილ- „წანდილი, კორკოტი“ (ქართ. **წანდ**-ილ-ი, სვან. **ჭანტი**-ი || **ჭანტი**-ი || **ჭანტი**-ი ←**\*ჭანდ**-ილ, შდრ. რაჭ.-ლეჩხ. (← სვან.) **ჭანტი**-ილ-ა "id") : ს.-ნახ. **\*ჭან**-ო „ბურის სახეობა“ (იჩქ. **ჭან**-უო || **ჭონ**-უა, ინგ. **ჭან**-უო, ბაცბ. **ჭან**-ო<sup>7</sup>);

(7) ს.-ქართვ. **\*წან**- „წნელი“ (ქართ. **წნელ**-ი ←**\*წან**-ელ-ი, ზან. **ჭინ**-უ || **ჭინ**-ო || **ჭუნ**-ო || **ჭუნ**-უ) : ს.-ნახ. **\*ჭან**- „რტო, კვირტი“ (იჩქ. **ჭუნ**-იგ || **ჭუნ**-იგ, ინგ. **ჭან**-გ, ბაცბ. **ჭან**-კ);

(8) ს.-ქართვ. **\*ფხინ**- „ჩხირი; საქსოვი იარაღი“ (ქართ. **ფხინ**-ი, ზან. **ფხინ**-ი → || **მხინ**-ი) : ს.-ნახ. **\*ფხან**- „ისარი“ (იჩქ. **ფხან** ←**\*ფხან**, ინგ. **ფხან** — მრ. **ფხან**-აშ, ბაცბ. **ფხან**);

(9) ს.-ქართვ. **\*ლადენ**-/ინ- „განსჯა, სამართლის ქმნა“ (ქართ. **ლდ**-ინ-ი, ზან. **ლდ**-ან-ა ←**\*ლდ**-ან-ა „ძრახვა“, სვან. **ლედ**- || **ლდ** „სამართალი“, ი-ლ-ლედ-ი „განსჯის“ უ-ლდ-უ „უსამართლო“) : ს.-ნახ. **\*ლოდა**-ან- „ჯარიმა, დაჯარიმება“ (იჩქ. **ლოდა** — მრ. **ლოდან**-აშ, ინგ. **ლოდა** — მრ. **ლოდა**-აშ, ბაცბ. **ლოდა**);

(10) ს.-ქართვ. \*წყონ- „მუხა“ (ქართ. წყონ-<sup>1</sup>, წყნ-ეთ-ი (ტობ.), წყნ-ორ-ი (ტობ.), ზან. მ-ჰკონ-ი || ჰკონ-ი || ← ჰყონ-ი, სვან. ჰყორ, ლა-ჰყორ „მუხის სარები“) : ს.-ნახ. \*წონ- „მაგარმერქნიანი ხის სახეობა“ (იჩქ. წუნ, წულლა (←\*წუნ-ლა) დეჩიგ, ინგ. წონ, ბაცბ. წუნ<sup>1</sup>);

(11) ს.-ქართვ. \*კუნ- „ბნელი, სიბნელე“ (ქართ. კუნ-, უ-კუნ-ი, ზან. უ-კუმ-ელ-ა, სვან. უ-ტკუნ- ←\*უ-კუნ) : ს.-ნახ. \*ყუნ- „ღამე“ (იჩქ. ყუ, ყუნ-ალლა „ღამისთევა, დარაჯობა“, ინგ. ყუ ←\*ყუნ, ბაცბ. ყუ ←\*ყუნ);

(12) ს.-ქართვ. \*გან- „განი, სივანე“ (ქართ. გან-ი, სი-გან-ე, გან-იერ-ი, ზან. გო ←\*გონ „გან- ზმნისწინი“, სვან. გან || გენ, ლგ-გან || ლგ-გენ „გან-ნიერი“) : ს.-ნახ. \*გან- „შორი, შორს“ (იჩქ. გენ-ა, გენ-არ-ა „შორეული“, ინგ. გან-ს, გან-არ-ს "id", ბაცბ. გან-ი<sup>1</sup>).

**§ 16.2. ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. ლ** შეფარდება განეკუთვნება სო-ნორული რიგის ერთ-ერთ არაიდენტურ ბგერათშესატყვისობათა რიცხვს. მიუხედავად საილუსტრაციო მასალის სიმცირისა, ნ : ლ ფონემათშესატყვისობა გამოირჩევა დისტრიბუციული თავისუფლებით. ტიპოლოგიურად მსგავსი შეფარდება დასტურდება ქართველურ ენებში, შდრ. ს.-ქართვ. ნ, ქართ. ნ : სვან. ლ — ქართ. ყუნ-ყუნი- „გაპარსვა“ : სვან. ყუნ-ელ- „მოცილება რაიმესი“, ქართ. ნენა : სვან. ლან-ანგ „დედუღეთი“... [ჩუხ. 2000-2003: 22].

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ნ	ნ	ლ	ნ	ნ	ნ→ლ	ლ	ლ	ლ

(1) ს.-ქართვ. \*ნეხუ- „ნეხვი“ (ქართ. ნეხ-ი || ნეხ, ზან. ნახ-უ-ა „რეცხვა“, გო-ბ-ნახ-ი „გავრეცხე“, ე. ი. ჰუჰყი მოვამორე, ნახ-ე-რი ←\*ნახ-ე-რი „ნავი“) : ს.-ნახ. \*ლახ- „ნაკელი“ (იჩქ. (ახ.) ლახ, ინგ. —, ბაცბ. ლახ „ნაკელი“);

(2) ს.-ქართვ. \*მან-ე „ბატონი; მსახური“ (ქართ. მნე „მსახური, მოხელე; ბატონი“, ზან. მონა „მონა; ცუდი“) : ს.-ნახ. \*ალ-ე „ბატონი“ (იჩქ. ელა „თავადი, ბატონი“, ინგ. ალ, ბაცბ. ალ ←\*ალე „ბატონი“);

(3) ს.-ქართვ. \*ნახ- „ნახვა, მონახვა“ (ქართ. ნახ-ვ-ა, მ-ნახ-ავ-ი, შე-ნახ-ვ-ა, სა-ნახ-ი, ზან. ნახ-<sup>1</sup>) : ს.-ნახ. \*ლახ- ძებნა; მონახვა“ (იჩქ. ლახ-არ, ინგ. ლახ-არ, ბაცბ. ლახ-არ „ძებნა“);

(4) ს.-ქართვ. \*ცონ- „დამაკება“, მ-ცონ-არ- „მაკე“ (ქართ. ცონ-, სი-ცონ-ილ-ი, მ-ცონ-არ-ე, ზან. მ-ჩინ-ოჯ-ი || ჩენ-ოდ-ი „მაკე“) : ს.-ნახ. \*ჩულ-ინ „მაკე“ (იჩქ. ჩულ-ან, ინგ. ჩულ-ან, ბაცბ. ჩულ-ინ „ორსული“);

(5) ს.-ქართვ. \*ყუნ- ~ \*ყუნი- „პარსვა; რაღაცის მოცილება“ (ქართ. და-ყუნ-ავ-ს, და-ი-ყუნი-ა, სა-ყუნი-ელ-ი „საპარსი“, სვან. ლი-ყუნ-ელ „მოცილება“, ა-ნ-ყუნილ „მოაცილა“) : ს.-ნახ. \*ლერკ- ~ \*ლარკ-

„პარსვა, კრეჭა“ (იჩქ. ლფერგ-არ/ლარგ-არ, ინგ. ლფერგ-პრ/ლარგ-პრ, ბაცბ. ლფერკ-არ/ლარკ-არ).

**§ 16.3. ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. მ** სონორული ბგერათშესატყვისობა განეკუთვნება არაიდენტურ ბგერათშესატყვისობათა რიცხვს, რომელიც გამოირჩევა დისტრიბუციული თავისუფლებით. **ნ : მ** ფონემური მიმართების საფუძველი გამოჩნდება **ნ → მ** ბგერათცვლილებაში, რომლის ტიპოლოგიურად მსგავსი სურათი ქართველურ მასალაშიც დასტურდება. მხედველობაში გვაქვს ჩვენ მიერ გამოვლენილი ქართ. **ნ** : სვან. **მ**, სადაც რეკონსტრუირდება ფუძეენური **ნ** ნაზალური სონორი, შდრ. ქართ. მ-ვნ-ე, სი-მ-ვნ-ე, უ-მ-ვნ-ე : სვან. ვამ-, ვამ-აშ-ა || ვამ-შ-ა „ძალა, ღონე, შეძლება“, ქართ. ცონ-, მ-ცონ-არ-ი : სვან. ჩამჟირ ←\*ჩომ-ირ „ღონდლო“, ქართ. „ლაგინ-“ : ზან. ლოგინ-ი : სვან. ლგრგიმ „ლოგინი, დივანი“, ქართ. წირან-ი „წითელი“ : სვან. ჰგრემ || ჰერამ „წითელზოლება“... [იხ. ჩუხ. 2000-2003: 21].

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ნ	ნ	მ	ნ	ნ	ნ→მ	მ	მ	მ

(1) ს.-ქართვ. \*ნირ-ი „დაწესებული ფასი/გადასახადი“ (ქართ. ნირ-ი „სხვადასხვა საქონლის დაწესებული ფასები“, ზან. „ნირხ-ი“) : ს.-ნახ. \*მანან- „საფასური ერთი მოკლულისა“ (იჩქ. მანა — მრ. მანან-აშ, ინგ. მანან, ბაცბ. მანან<sup>წ</sup>);

(2) ს.-ქართვ. \*ნერჩ- „ძირი, ფუძე; საყრდენი ადგილი“ (ქართ. ნერჩ-ი „ძირი“, ზან. ნარჩ-ა ←\*ნარჩქ-ა „ძირი“) : ს.-ნახ. \*მათა- „ადგილი; ლოგინი“ (იჩქ. მეთა-იგ „ადგილი“, ინგ. მოთა-იგ "id", ბაცბ. მოთა „ადგილი, ლოგინი“);

(3) ს.-ქართვ. \*ნელ- „ნელი“ (ქართ. ნელ-ი, ნელ-ებ-ა, ნელ-ი-ად, ზან. ნარ-, ნარ-აფ-ი „ნელება“, ი-ნარ-უ/გ „მდოვრედ, ნელა ინძრევა“) : ს.-ნახ. \*მალ- „ნელი, სუსტი“ (იჩქ. მელ-ა, მელა-ა-შა „სუსტი, ნელი“, ინგ. მელ-ან, ბაცბ. მალ-ი<sup>წ</sup>);

(4) ს.-ქართვ. \*ნისლ- „ნისლი; თოვლი“ (ქართ. ნისლ-ი, ზან. ნირს-ი „ნისლი“, სვან. მუსჟ ←\*მისჟ „თოვლი“) : ს.-ნახ. \*მარხ- „ღრუბელი“ (იჩქ. მარხ-უო, ინგ. მარხ-ან „ღრუბელი“, ბაცბ. მარხ-<sup>წ</sup>);

(5) ს.-ქართვ. \*სთხუნ-ელ- „თხუნელა, ხვლიკი“ (ქართ. თხუნ-ელ-ა || მ-თხუნ-ელ-ა || თხუნ-ელ-ი, ზან. მ-თხოლ-არ-ი „ხვლიკი“, სვან. შიხუნდ || შიხუნდ ←\*შიდიხუნ „ძლოკვი“) : ს.-ნახ. \*დჰომ-ან- ←\*თჰომ-ან- „მაჩვი“ (იჩქ. დჰჰმა — მრ. დჰჰმან-აშ, ინგ. დჰჰმან, ბაცბ. დჰჰმან<sup>წ</sup>);

(6) ს.-ქართვ. \*ცენ- „მცენარე; ნაყოფი; ნაყოფის მოსხმა“ (ქართ. ცენ-ებ-ა, აღმო-ცენ-ებ-ა, ძვ. ქართ. ცენ-დ-ებ-ი-ნ, ცენ-ებ-ულ, მ-ცენ-არ-ჴ, ზან. ო-ჩან-უ „ცენება“, ქო-ჩან-ს „ასხია“, ჩან-ა „მცენარეული საფარი“,

სვან. შან- || შენ- ←\*ჩენ-, ხ-ე-შან „ასხია“, მა-შან || მა-შენ „ნაყოფი“ : ს.-ნახ. \*სთამ- „ნაყოფი მცენარეთა“; „ხილი“ (იჩქ. სთამ, ახ. უ-სთამ „ნაყოფი, ხილი“, ინგ. სომ ←\*სთამ, ბაცბ. სტამ ←\*სთამ);

(7) ს.-ქართვ. \*ტუნი- „ტვინი, ცხიმი“ (ქართ. ტვინი- || ტუნი-ი, გან-ტუნი-ვ-ა, ზან. ტვენ-ი || ტვინ-ი „ტვინი“, ტვინ-გა || ტვინ-გალ-ი „უტვინო“, სვან. თუელ || თოლ ←\*ტუელ „ტვინი, ჭკუა“) : ს.-ნახ. \*ტუმ- „ძვლის ტვინი“ (იჩქ. ტუმ, ინგ. ტუმ „ძვლის ტვინი“, ბაცბ. ტუმ „ნიგვზის, თხილის გული“);

(8) ს.-ქართვ. \*ჩან- „ჩენა, ცოდნა, მიჩნევა“ (ქართ. ჩან-ს, ჩან-ნ, ჩან-დ-ა, მიჩნ-ევ-ა, ზან. ჩქუნ- „ჩანს“, ჩქუნ-ა || რ-ჩქინ-ა „ჩენა, ცოდნა“, ო-ჩქინ-უ „ცოდნა; გაგონება, გაგება“) : ს.-ნახ. \*მოთა- „მიჩნევა, გონება (ჰგონია)“ (იჩქ. მუოთა-არ || მუოთა-ან, ინგ. მუოთა-არ || მუოთა-ან, ბაცბ. მოთა-არ || მოთა-ან<sup>5</sup>).

**§ 16.4. ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. რ** ბგერათშესატყვისობა წარმოადგენს არაიდენტური სონორული ფონემათმომართების ერთ-ერთ სახეობას, რომელიც დისტრიბუციული შეზღუდულობით გამოირჩევა. დასტურდება მხოლოდ სიტყვის არაანლაუტურ პოზიციებში. **ნ : რ** შესატყვისობის საფუძველი ჩანს ფუძენახურ **ნ** → **რ** ფონეტიკურ პროცესში. ისევე როგორც წინა შემთხვევებში, აქაც სვანური ტიპის გარდაქმნასთან გვაქვს საქმე. ვინაიდან სწორედ **ნ** → **რ** ფონეტიკური გადაბგერების შედეგად ჩამოყალიბდა ბგერათშესატყვისობის შემდეგი ფორმულა ქართ. **ნ** : სვან. **რ** — ს.-ქართვ. \*ნ, შდრ. ქართ. ზეგან-ი : სვან. ზაგარ || ზაგარ „ქედი, ზეგანი“, ქართ. შინა- „ხევსურული სახლის ქვედა სართული“ : სვან. სგირ-ი || სკირ-ი „სვანური სახლის ქვედა სართული“; ქართ. ბან- „დაბანა“ : სვან. ბარ- || ბარ- „დაბანა“; ქართ. წანა- „წვეულება“ : სვან. ჰერ- „დაბარება“, ი-ჰირ-ი „იბარებს“, ან-ჰერ „დაიბარა“... [იხ. ჩუხ. 2000-2003: 21].

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ნ	ნ	რ	ნ	ნ	ნ→რ	რ	რ	რ

(1) ს.-ქართვ. \*ან „მრ. სუფ.“ (ქართ. -ან || -ნ „მრ. სუფიქსი“, ზან. -ონ „კრებითობის სუფიქსი“, სვან. -არ || -არ „მრ. სუფიქსი სახელებში“) : ს.-ნახ. \*არ „მრ. სუფ.“ (იჩქ. -არ, ინგ. -არ, ბაცბ. -არ);

(2) ს.-ქართვ. \*ზუნი- „ზვინი“ (ქართ. ზვინ-ი, ზვინ-ვ-ა, ზვინ-ულ-ი, ზან. რზვენ- ←\*ზვინ-, რზვენ-ილ-ი „დაზვინული“) : ს.-ნახ. \*ჟუნი- „ბზე“ (იჩქ. ჟირ || ჟუარ, ინგ. ჟარ || ჟირ, ბაცბ. «ჟუარ»);

(3) ს.-ქართვ. \*ლონ- „ლონე, ძალა; შეძლება“ (ქართ. ლონ-ებ-ა, ლონ-იერ-ი, ლონ-ე, სვან ლენ || ლუნ ←\*ლონ- „შეძლება, ძალა“) : ს.-ნახ. \*ლორ- „ფიზიკური სიძლიერე, ძალოვნება“ (იჩქ. ლუორ-ა, ინგ. ლორ-ან, ბაცბ. ლორ-ინ „ძალუმი“);

(4) ს.-ქართვ. \*წყენ- „ქონი, ცხიმი (გადამდნარი)“ (ქართ. წყენ-ი, ზან. ჭყან-ი „ხორცის ნახარში, ქონიანი წყალი“, სვან. ჭყან „ქონი, ცხიმი“) : ს.-ნახ. \*ჭყარ-ე „თევზი“ (იჩქ. ჭნარ || ჭყარა || ჭყარ „თევზი“, ინგ. ჭყარა, ბაცბ. ჭარჲ || ჭნარ || ჭმარ-ე);

(5) ს.-ქართვ. \*ფატენ- „პერანგი, კაბა; ტანისამოსი“ (ქართ. ფატენ-ი, ზან. ფოტა || ფოტა ←\*ფოტან „ქალების ჩასაცმელი პერანგი“, შდრ. იმერ. (← მეგრ.) ფოტა „ერთგვარი კაბა“, სვან. ფატან „პერანგი“) : ს.-ნახ. \*ბატ-ი რ- „ტანსაცმელი“ (იჩქ. ბედარ || ბადი რ „ტანსაცმელი“, ინგ. ბედარ, ბაცბ. ბატირჲ);

(6) ს.-ქართვ. \*ცხუნა- „სხვენი“ (ქართ. სხვენ-ი || სხუნენ-ი ←\*ცხუნა-ი, ზან. ცხონ-, ო-ცხონ-ე → || ო-ნცხონ-ე „ჭერი“) : ს.-ნახ. \*ცხარ- „ფარდული, ჩარდახი“ (იჩქ. ცხარ, ინგ. ცხარ „ნაგებობის თავზე წამოშვერილი სახურავი“, ბაცბ. რცხარჲ);

(7) ს.-ქართვ. \*მაწონ- „მაწონი“ (ქართ. მაწონ-ი, ზან. მარწვენ-ი || მარწვინ-ი) : ს.-ნახ. \*მაწრ-ო „შრატი“ (იჩქ. მორზა || მარზუ || მორძო, ინგ. მორძ || მორცა, ბაცბ. მაწრჲ);

(8) ს.-ქართვ. \*ლეფან- „ლაფანი“ (ქართ. ლაფან-ი, ზან. ლიფონ-ი) : ს.-ნახ. \*ლეფარ- „ერთგვარი მცენარე“, "пажитник" (იჩქ. ლიფარ, ინგ. ლეფარ ←\*ლეფარ, ბაცბ. რლეფარჲ);

(9) ს.-ქართვ. \*ჯან- „ხენა“ (ქართ. ჯან- „ხენა“, ზან. ხონ- "id", სვან. ჯან-, ა-ჯან-ი „ხნავს“) : ს.-ნახ. \*ა-ხარ- „ხენა“ (იჩქ. ა-ხარ, ნა-ხარ-არ „გუთნები, სახვენელები“, ინგ. ა-ხარ-, ა-ხარ-უო „მხვენელი“, ბაცბ. ა-ხარ-);

(10) ს.-ქართვ. \*რ-კინა- || \*ბი-კინა- || \*დი-კინა- „რკინა, იარაღი, ცული“ (ქართ. რკინა- „რკინა, ცული“, ზან. კინა- || ეკინა- || ტიკინა- ←\*დიკინა-, სვან. მგარ-ა ←\*ბიკინა- „სახნისი“) : ს.-ნახ. \*დიკარ- „ცული“ (იჩქ. დიგ — მრ. დაგარ-შ, ინგ. დიგ — ერგ. დაგარ-უო, ბაცბ. დიკ — ერგ. დიკარ-ეგ).

**§ 16.5. ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. დ** ბგერათშესატყვისობა გამოირჩევა საილუსტრაციო მასალის სიუხვით. **ნ : დ** შეფარდების დისტრიბუცია თავისუფალია; დასტურდება როგორც მორფემათა ანლაუტში, ისე ინლაუტ-აუსლაუტში. ადვილი დასაშვებია **ნ → დ** ფონეტიკური პროცესის არსებობა ფუძენახური ენობრივი ერთობის პერიოდისათვის. რის ნიადაგზეც ჩამოყალიბდა კიდევ ს.-ქართვ. **ნ : ს.-ნახ. დ** ბგერათშესატყვისობა. **ნ → დ** ფონეტიკური გადაბგერება თავს იჩენს ქართველურ მასალაშიც, შდრ. სვან. ფუსნ → || ფუსდ || ფუსტ „ბატონი“, ოსნაჲ || ჰისნაჲ → || ჰისტამ || ჰისდამ || ისტამ „სიზმარი“, ქართ. წუწნ- „წუწნა“ : სვან. წუსდ- → || წუსტ- „წუწნა“, ძვ. ქართ. გან-კაც-ნა-ა — ახ. ქართ. გა-კაც-დ-ა... [იხ. ჩუხ. 2000-2003: 27], რაც კიდევ ერთხელ ამოწმებს **ნ → დ** ფონეტიკური პროცესის რეალურობას ფუძენახურში.

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ნ	ნ	დ	ნ	ნ	ნ	დ	დ	დ

(1) ს.-ქართვ. \*ნაყ-ორ- „ნაყრი, საჭმელი, შეჭამანდი“ (ქართ. ნაყრ-ი, და-ნაყრ-ებ-ა, ზან. ნოყორ-ი „საყლაბავი; ყრონტი“, სვან. ნწყუნ || ნწყუნ || ნწყუნ „საჭმელი, შეჭამანდი“) : ს.-ნახ. \*დაყორ- „საკვები, ფურაჟი“ (იჩქ. დოყარ, ინგ. დოაყარ ← \*დაყორ, ბაცბ. [დაყურ]);

(2) ს.-ქართვ. \*ნეც- „წვრილი; წვრილად მტვრევა“ (ქართ. ნეც-, და-ნეც-ვ-ა || და-ნეც-უ-ა, სვან. ნეც-ინ „წვრილი“) : ს.-ნახ. \*დაც-ინ „მოკლე“ (იჩქ. დუოც-ა<sup>5</sup> || დოც-ა<sup>5</sup> || დაც-ინ<sup>5</sup>, ინგ. ლოაც-ა<sup>5</sup> ← \*დოაც-ა<sup>5</sup>, ბაცბ. დაც-უ<sup>5</sup> „მოკლე“);

(3) ს.-ქართვ. \*ნოლ-ა „ღრძილები; ღრძილის გარეთა ნაწილი“ (ქართ. ნუნ-ა ← \*ნულ-ა, ზან. ნოლ-, ნოლ-ეფ-ი "pluralia tantum") : ს.-ნახ. \*დოლა „ღრძილი“ (იჩქ. დოლა || დოლა || დოლ, ინგ. დოლ, ბაცბ. დოლ „ღრძილი“);

(4) ს.-ქართვ. \*ქტინ- „სული, ტვინი“ (ქართ. ქტინ-ვ-ა, ზან. ქუნ-ი → || ქინ-ი „ტვინი“, სვან. ქუნ || ქტინ „სული“, ი-ქტინ-დ-ა „სუნავდა“) : ს.-ნახ. \*ჰტად- „ტვინი“ (იჩქ. ჰად ← \*ჰად „ტვინი“, ინგ. ჰაო ← \*ჰტად, ბაცბ. ჰად);

(5) ს.-ქართვ. \*ქუნ- „ჩაცმა, გადაფარება, დახურვა“ (ქართ. ქუნ-, შტა-ქუნ-ი || შატ-ქუნ-ი (საბა), ზან. ქუნ- „ჩაცმა“, დოლო-ქუნ-უ „ტანისა-მოსი“, სვან. ქუმ- ← \*ქუმ- „ჩაცმა“) : ს.-ნახ. \*ქულ-ი „ქული“ (იჩქ. ქულ || ქულ, შდრ. ახ. ქულა „ქული“, ინგ. ქილ ← \*ქულ, ბაცბ. [ქულ]);

(6) ს.-ქართვ. \*შინ-დ- „შინდი“ (ქართ. შინდ-ი ← შვინდ-ი, ზან. სქინდ-, სქინდ-ონ-ა „შინდნარი“) : ს.-ნახ. \*შლად- ← \*შან-ო „შინდი“ (იჩქ. ასთი || სთად || სოად, ინგ. ესთე, ბაცბ. [სთად]);

(7) ს.-ქართვ. \*თან- „გამოჩენა, გამჟღავნება; დანახვება“ (ქართ. თნ-ებ-ა, სა-თნ-ო, ზან. თონ-უ-ა „გამოჩენა“, სვან. ლი-თენ-ე „გამოჩენა, გამომჟღავნება“) : ს.-ნახ. \*თიდ- „გამოჩენება; ყურება; თვალის დევნა“ (იჩქ. თიდ-ამ, თიდ-არ, ინგ. თიდ-არ, თიდ-ამ, ბაცბ. [თიდ]);

(8) ს.-ქართვ. \*ნიშ- „მსგავსი; ნიში/ა“ (ქართ. ნიშ-ი/ა, და-მ-ი-ნიშ-ავ-ს, ნიშ-ოვან-ი (საბა), მოგვ-ნიშ-ულ-ი || მოგუ-ნიშ-ულ-ი „მოგვის მსგავსი“ (საბა), ზან.-სვან. [ნიშ-]) : ს.-ნახ. \*დარლ- „მსგავსი; მსგავსება“ (იჩქ. თერ-ა<sup>5</sup> || თერჰ-ა<sup>5</sup> „მსგავსი“, ინგ. თარ-ა<sup>5</sup> || თარჰ-ა<sup>5</sup>, ბაცბ. თარლ-ენ-ო „მსგავსი“, თარლ-დარ „მიმსგავსება“);

(9) ს.-ქართვ. \*ნიჩ- „ნიჩვირი, პირი“ (ქართ. ნიჩ-ი || ნიჩ, ნიჩ-ირ-ი || ნიჩურ-ი, ზან. ნიჩ-ი „სახე“, შდრ. იმერ. (← ზან.) ნიჩ-ი „უშნო სახე“) : ს.-ნახ. \*დით- „პირი (ხანჯლის, დანის...)“ (იჩქ. დით, ინგ. დით, ბაცბ. დით);

(10) ს.-ქართვ. \*ნიფხ-აჟ- „ქვედა ტანისამოსი, ნიფხავი“ (ქართ. ნიფხავი, ნიფხავ-პერანგი, მესხ. ნიფხავი „ბურტყელი“, ზან. «ნიფხორ-») : ს.-ნახ. \*დაფხ-ჟ- „ტანსაცმელი, ფეხსაცმელი“ (იჩქ. დჟხარ || დაჟხარ || დოჟხარ, ინგ. დოჟხარ, ბაცბ. დოჟფხჟ → || დჟფხჟ „ტანისამოსი“).

§ 16.6. ს.-ქართვ. დ : ს.-ნახ. ნ სონორული ტიპის ბგერათმეცა-ტყვისობა შებრუნებული სახეობა ჩანს ზემოთგანხილული ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. დ ოპოზიციისა. ამ შემთხვევაში ბგერითი ცვალებების მიმართულე-ბაც საპირისპიროა; ივარაუდება წინარექართველური ნ ნაზალური სონო-რის დ-ში გადასვლა საერთოქართველურ პერიოდში. ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის თვალსაზრისით, ნ → დ ფონეტიკური პროცესი პრინციპული მნიშვნელობისაა, ვინაიდან წინარექართველური \*ნ ფონემა (→ ს.-ქართვ. \*დ) ჭინჭრის აღმნიშვნელ იბერიულ-კავკასიურ ენათა სათანადო ძირებში მ ნაზალურ სონორს შეიფარდებს, რაც ბუნებრივად გვესახება — ს.-ქართვ. დ ← წ.-ქართვ. ნ, \*დინჟ-არ- „ჭინჭარი“ : ს.-ნახ. \*ნიტა-არ "id" : ს.-დალ. \*მიჟა- "id" (ხუნდ. მიჟა : ანდ., კარ. მიჟი : ბავგ. მიჟა : დიდ. მეჩა : ხვარშ., ბეჟ. მიჩ „ჭინჭარი“). ნახურ-დალესტნურ ენათა ანლაუტი მხარს უჭერს გ. როგავას დებულებას ძვ. ქართული ჭინჭარ-ფუძის ამოსავალი დინჟარ- არქეტიპისაგან მომდინარეობაზე [როგ. 1947: 351-355; 1986: 30-35] და არა პირიქით [შდრ. გუდ. 1964, XXXIII, 2]. ჩვენ მიერ გამოვლენილი საერთოქართველური ლექსიკა გ. როგავას დებუ-ლებისმართებულობას — დ → ჯ აფრიკატიზაცია ი ხმოვნის წინა პოზი-ციისაში — ამტკიცებს, შდრ. ქართ. დიშლ-ა „ერთგვარი სათიბი ბალახი“ : ზან. ჭიშკილ-ა || ჭიშქილ-ა ←\*დიშქილ-ა „ლანძილი“, სადაც ანლაუტური საერთოქართველური დ ქართულმა შემოინახა [იხ. ჩუხ. 1988: 94-96].

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ნ	ნ→დ	ნ	დ→ჯ	დ→ჯ	დ→ზ/შ	ნ	ნ	ნ

(1) ს.-ქართვ. \*დითხ-ელ- „თხელი“ (ქართ. თხელი-ი ←\*თთხ-ელ-ი, ზან. თითხ-ჟ → || თუთხ-ჟ || თხითხ-ჟ „თხელი“, სვან. დგთხ-ელ „თხე-ლი“) : ს.-ნახ. \*ნეთხ-ინ „ბრტყელი, თხელი“ (იჩქ. ნილხ-ა || ლილხ-ა || ნელხ-ა, ინგ. ნელხ-ჟ || ნილხ-ჟ, ბაცბ. ნეთხ-ინ<sup>6</sup>);

(2) ს.-ქართვ. \*დინჟ-არ- „ჭინჭარი“ (ქართ. ჭინჭარი-ი || ← ჭინჭარი-ი ←\*დინჯარი-ი, ზან. დიჟკიჯ-ი ←\*დინჟკოჯ-ი „ჭინჭარი“, სვან. ჭიშკარ- ←\*დინჟკარ- "id", ჭიშკარ-იან-ი (ანთროპ.)) : ს.-ნახ. \*ნიტა-არ- „ჭინჭარი“ (იჩქ. ნითა — ერგ. ნათა-არ-ჟო, ინგ. ნითა — ერგ. ნათა-არ-ჟო, ბაცბ. ნიტა — ერგ. ნატა-არ-ვ).

§ 17. სონორთა ამოსავალი სისტემის ცვალებებისათვის ფუძე-ნახურში. ზემოთ აღწერილი სონორული რიგის ნახურ-ქართველური ფო-ნემათმეცატყვისობები სქემატურად შემდეგნაირად ჩაიწერება:





### III თავი

**§ 18. *ჟ* და *ჲ* სონანტები.** სპეციალურ ლიტერატურაში *ჟ* და *ჲ* სონანტებს ნახევარზმონებსაც უწოდებენ. ტერმინი **ნახევარზმონანი** სწორად გახაზავს *ჟ* || *ჲ* ფონემათა *ზმონურ* ბუნებას, მაგრამ *ჟ* || *ჲ*, ჩვენი მოსაზრებით, უპირველეს ყოვლისა, თანზმონანთა კლასის სრულყოფილი წევრია. ამიტომაც ასევე მართებული იქნებოდა მისი დახასიათება როგორც **ნახევართანზმონისა**, რომელიც კონსონანტებში მაქსიმალური *ლიაობით* გამოირჩევა.

სონანტები (*resp.* *ჟ*, *ჲ*) დამოუკიდებელ თანზმონურ ჯგუფად უნდა გამოვყოთ, ვინაიდან ისინი არც სინქრონიულ დონეზე, არც დიაქრონიულად არ ასრულებდნენ *ზმონური* ალოფონის ფუნქციას. ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის მონაცემები ასევე ამოწმებენ *ჟ*, *ჲ* ფონემათა განსხვავებულ ბუნებას **რ ლ მ ნ** სონორებთან შედარებით. კერძოდ, ზანურის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ერთი ძირის ფარგლებში ნებისმიერი თანზმონის მომდევნოდ **რ ლ მ ნ** სონორები აკრძალულ თანზმონანკომპლექსთა რიცხვს განეკუთვნება [შენ. 1999]. რასაც ვერ ვიტყვით თანზმონანი + *ჲ* || *ვ* ტიპის თანმიმდევრობებზე, რომლის თითქმის ყველა შესაძლო კომბინაცია ზანურ დიალექტებში რეალიზებულია [იხ. ქუთ. 2005]. უფრო მეტიც, მეგრულში **C + მ** — **კონსონანტი + სონორი** თანზმონური ჯგუფები სუპერირდება **C + ჲ/ვ** ანუ **კონსონანტი + სონანტი** თანმიმდევრობით, რაც ყველაზე უკეთ სალიტერატურო ენიდან შეთვისებულ სიტყვა-ფორმათა ადაპტაციისას წარმოჩნდება, შდრ. ქართ. **ხმარ-** → მეგრ. **ხვარ-** „ხმარება“, **უქმ-** → **უქვ-**... [შენ. 1999: 11]. ამდენად, **რ ლ მ ნ** სონორები და *ჲ* *ჟ* სონანტები ერთ ფონემურ კლასად ვერ გაერთიანდება.

**§ 19. *ჟ* სონანტის დისტრიბუცია თავიდანვე განსაზღვრული ჩანს.** საერთოქართველურში ერთადერთი *ჟ* დასტურდება სიტყვის ანლაუტში, **ო** *ზმონის* წინ. საერთონახურშიც *ჟ* თავჩენილია მხოლოდ *ზმონის* წინა პოზიციაში როგორც სახელებში, ისე ზმნებში. და თუ ქართველურ მასალაში *ჟ* მხოლოდ *ორის* აღმნიშვნელ **\*ჟორ-** ძირში დასტურდება (ქართ. *ორ-* || *ჟორ-* : ზან. *ჟირ-* || *ჟერ-* || *ჟურ-* ← **\*ჟურ-** „ორი“, სვან. *ჟორ-* || *ჟერბ-* || *ჟერჲ* „ორი“), ფუძენახურში რეკონსტრუირდება არაერთი არქეტიპი, რომლის ანლაუტშიც *ჟ* სონანტი მკვიდრადა ზის (იხ. ქვემოთ).

ამოსავალი *ჟ* ფონემის თანზმონურ ბუნებაზე მეტყველებს ქართველურ-ნახური შესატყვისობაც — ს.-ქართვ. **ს** : ს.-ნახ. **ჟ** (მაგალითები იხ. ქვემოთ), რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია. როგორც მოსალოდნელი იყო, **ს** : **ჟ** შესატყვისობა სიტყვის თავში იჩენს მხოლოდ თავს, სადაც ნახური ენები დღემდე ინარჩუნებენ მყარ პოზიციებს; ხოლო ქართველურ ენებში შეიმჩნევა **ს** → || **ჟ** → **∅** ალოფონთა რყევა.

ქართული ასულ-ფუძის ისტორიაზე რომ მსჯელობდა, არნ. ჩიქობა-

ვა მიუთითებდა: „ხუნძურში შვილის სახელად -ას არის გამოყენებული; იმისდა მიხედვით ვაჟიშვილია თუ ქალიშვილი, -ას დაირთავს სათანადო კლას-კატეგორიის ნიშნებს: გ-ას — ვაჟიშვილი, დ-ას — ქალიშვილი. საფიქრებელია, რომ ას-ულ-ში გვაქვს სწორედ ეს ძირი — ას [ჩიქ. 1942: 42]. საერთოქართველური ქალიშვილისთვის ჩვენ მიერ აღდგენილია \*ჰასტ-ილ-არქეტიპი, რომლის თავკიდური ჰ ფშვინვიერ შემართვად კი არ მიიჩნევა, არამედ — ისტორიული ს- მეორე გრამატიკული კლასის ნიშნის ფონეტიკურ ვარიანტად: ს → ჰ. ს-სგან მომდინარე ჰ სვანურში დღესაც დასტურდება ჩვენთვის საინტერესო ფუძეში — ჰასტ-იმ „ასული, ქალიშვილი“. სხვაგან, სხვა სიტყვაში ს → ჰ ფონეტიკური პროცესის რეალურობა ფაქტობრივ მტკიცდება, შდრ. ქართ. ზღვარ-ი ←\*სღვარ-ი : სვან. ჰალურ-ა ←\*სადურ-ა „საზღვარი“. ეგვე ს → ჰ ფონეტიკური გარდაქმნა გვიდასტურდება ს- || ჰ- ალტერნაციის დროს ქართულ ზმნათა S<sub>2</sub>O<sub>3</sub> ნიშნებში: ჰ-კითხ-ა, ს-წერ-ა, ს-თხოვ-ა... (ა. შანიძე).

წინარექართველურში, სადაც გრამატიკული კლასის კატეგორიაა ჟ-, ბ-, დ- → || რ- მარკერებით იყო წარმოდგენილი, მეორე გრამატიკული კლასის ნიშნად ივარაუდება ს- პრეფიქსი, რომელსაც საერთონახურ მასალაში დ სონანტით გამოხატული ასევე მეორე გრამატიკული კლასკატეგორიის ნიშანი შეესატყვისება. ქვემოთ მოყვანილი მე-7 და მე-8 მაგალითები კარგად აჩვენებენ ბ- || ს- გრამატიკულ კლასნიშანთა მონაცვლეობას ერთი ენისა და ერთი ძირის ფარგლებში, რაც ს- ~ დ- მორფოლოგიურ-ფონეტიკურ იგივეობაზე მეტყველებს ნახურ-ქართველურ საერთო ეტიმოლოგიის ლექსიკურ მასალაში.

ამდენად, პალატალური დ სონანტის პოსტულაცია, როგორც იმთავითვე არსებული ფონემისა, ფუძეენური მდგომარეობისათვის დაბრკოლებას არ აწყდება. ფუძეენური დ აღდგება ს-ქართვ. ს : ს.-ნახ. დ ფონემური ფარდობის ნიადაგზე. ამოსავალი სონანტი დ რეკონსტრუირდება შესატყვისობათა ქვემოთმოყვანილი ფორმულის მიხედვით (იხ. ცხრილი):

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	ჩიქ.	ინგ.	ბაცბ.
*დ	ს    დ	დ	ს/დ/თ	ს  თ  ჟ	ს  ჰ  დ	დ	დ	დ

(1) ს.-ქართვ. \*სახ- ← ს.-ქართვ. \*ს-ახ- „სახე“ (ქართ. სახ-ე, გამო-სახ-ვ-ა-დ, გ-ი-სახ-ნ-ი-ან, შთა-სახ-ვ-ა, სვან. სახ-, ლი-სხ-ენ-ი „ჩასახვა; კეთება“, ა-სხ-ენ-ი „აკეთებს“, ან-სახ „ჩასახა“) : ს.-ნახ. \*დ-ოჰა „სახე“ (ჩიქ. დ-უჰა, ინგ. დ-ოჰა || დ-უჰა, ბაცბ. დ-უჰა „სახე“, დ-ოჰა-ქოტრ „პირისახე“, დ-ოჰა-ოხ-ჯორ „პირჯვარი“, შდრ. დ-ოჰა-ქოტრ „პირისახე“);

(2) ს.-ქართვ. \*ჰასტ-ილ- ←\*ს-ასტ-ილ- „ასული“ (ქართ. ასულ-ი, ზან. ოსურ-ი „ქალიშვილი; ქალი“, სვან. ჰასტ-იმ || ასტ-იმ „ასული“; „გათხოვილი ქალი“) : ს.-ნახ. \*დ-ოჰა- ←\*დ-აჰა- „ასული“ (ჩიქ. დ-ოჰ ←\*დ-ოჰა, ინგ. დ-ოჰ ←\*დ-ოჰა, ბაცბ. დ-ოჰა);

(3) ს.-ქართვ. \*ს-ძალ- „რძალი; ქალი; ბიცოლა“ (ქართ. სძალ-ი → || რძალ-ი, ზან. რჯალ- „ქალი“, სიტყვაში ოხო-რჯალ-ეფ-ე „ქალები“ = სა-ხლი-ქალები): ს.-ნახ. \*ა-ჟარ- ← \*ა-ჯარ- „და“ (იჩქ. მრ. რ. ა-ეჟარ-იჲ „დები“, ინგ. ა-ეჟარ-იჲ "id", ბაცბ. ა-ეჟარ-იჲ „დები“);

(4) ს.-ქართვ. \*ს-ჟყ- „ზურგი; ზურგიელი“ (ქართ. სჟყ-ი ← \*სჟყ-ი „ზურგის ძვლის ჯორცი“ (საბა), სვან. შიყ „ზურგი“): ს.-ნახ. \*ა-ჟყ- „წელი“ (იჩქ. ა-ჟყ, ინგ. ა-ჟყ, ბაცბ. ა-ჟყ „წელი“);

(5) ს.-ქართვ. \*ს- "S<sub>2</sub>O<sub>3</sub>" ← წ.-ქართვ. \*ს- „II გრ. კლასის ნიშანი“ (ქართ. ს- „II სუბ. პირ. ნიშ.“, III ობ. პირ. ნიშ.“, ზან. \*ს- "id", სვან. \*ს- → ს "id") : ს.-ნახ. \*ა- „II გრ. კლასის ნიშანი“ (იჩქ. ა- „II გრ. კლასის ნიშანი“, ინგ. ა- "id", ბაცბ. ა- "id");

(6) ს.-ქართვ. \*ს-ჟყ- „ქონიანი/ცხიმიანი, ნოყიერი“, შდრ. ს.-ქართვ. \*ნ-ჟყ- „ნოყიერება“ (საბა) — ქართ. სჟყ-, მ-სჟყ-ე, სვან. შყ ← \*შყყ- „მსუქანი“, ლი-ნე-შყ-ე „გასუქება“): ს.-ნახ. \*ა-ჟყ- „სისქე; სქელი“ (იჩქ. ა-ჟყ-ა<sup>ნ</sup>, ინგ. ა-ჟყ-ა<sup>ნ</sup>, ბაცბ. ა-ჟყ-ი<sup>ნ</sup>);

(7) ს.-ქართვ. \*ს-ჯენ- „ხენი“ (ქართ. ჯსენ-ი ← \*სჯენ-ი, ხსენ-ი || სხენ-ი, ზან. ცხონ-ი ← \*სხონ-ი „ერთგვარი საჭმელი“, სვან. ლგჯ „ხენი“): ს.-ნახ. \*ბ-ჯე „ხენი, დელამო“ (იჩქ. ფბი, ინგ. პეგ „ხენი“, ბაცბ. ფბე „დელამო“);

(8) ს.-ქართვ. \*ს-ძელ- || \*ბ-ძელ- „რძე“ (ქართ. სძე → || რძე, სა-სძე-ურ-ი „ძუძუ“, ზან. ბჯა → || მჯა || ბჟა || მჟა „რძე“, გე-ბჟალ-ია „ერთგვარი კერძი რძისაგან“, სვან. ლგჯე „რძე“): ს.-ნახ. \*მა-ჟან- ← \*ბა-ჯან- „რძის პროდუქტი“ (იჩქ. მაშა — მრ. მაშან-აშ, ხილდ. მაჟან-აშ, ინგ. მაშან — მრ. მაჟან-აშ, ბაცბ. მაჟან<sup>ა</sup>);

(9) ს.-ქართვ. \*ს-წაჟ- „სწავლა“ (ქართ. სწავ-ლ-ა, ძვ. ქართ. სწავ- "id", ა-სწავ-ებ-ს, მო-სწავ-ლ-ე, ზან. წო- || წუ- || წვ- ← \*სწოვ- „თქმა“, მ-ი-წო-ჟუ || მ-ი-წუ-ჟუ || მ-ი-წვ-ეს „მითხრეს“, შდრ. ს.-ქართვ. \*წაჟ- „სწავ-ლება“): ს.-ნახ. \*ა-აწჟ- „სწავლა, ცნობა“ (იჩქ. ა-ოჟზ- || ა-ოჟძ- „სწავ-ლა, ცნობა“, ინგ. ა-ოჟძ- "id", ბაცბ. ა-აბწ- „გამოცნობა“).

**§ 20. წყვილბაგისმიერი უ სონანტი** თავისი დისტრიბუციით შედარებით თავისუფალი უნდა ყოფილიყო. I გრამატიკული კლასნიშნის და პირველი სუბიექტური უ პირის ნიშნის გარდა იგი, ნახურ-ქართველურ საერთო მასალაში, გამოჩნდება ხმოვნის წინ და ხმოვნის მომდევნო პოზიციებშიც. საერთოქართველურში უო და უუ თანმიმდევრობები აკრძალულ კომბინაციათა რიცხვს განეკუთვნება [უთურგ. 1976: 15-17].

ფუძეენური უ სონანტის რეკონსტრუქცია შესაძლებელი ხდება შემდეგი ტიპის ქართველურ-ნახურ ფონემათშესატყვისობათა საფუძველზე: ს.-ქართვ. 1. უ : ს.-ნახ. უ; 2. ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. მ; 3. ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. მ; 4. ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. ნ; 5. ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. ბ →/ფ;

6. ს.-ქართვ. **ჟ** : ს.-ნახ. **რ**, რომლებიც განვითარდა ფუძენახურში მოქმედი **ჟ** → **ჟ**, **ჟ** → **მ**, **ჟ** → **ნ**, **ჟ** → **ბ**, **ჟ** → **რ** ფონეტიკური პროცესების წყალობით. ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ სონანტური შესატყვისობის ყველა სახეობას. წარმოვადგენთ სონანტური შესატყვისობის ფორმულებს განსახილველი ენების მონაცემთა მიხედვით.

**§ 20.1. ს.-ქართვ. ჟ : ს.-ნახ. ჟ** შესატყვისობა განეკუთვნება სონანტური მიმართების იდენტურ სახეობას, რომელიც ძირითადად ხმოვნის წინა და ხმოვნის მომდევნო პოზიციებით განისაზღვრება. იგი გამოირჩევა საილუსტრაციო მასალის სიუხვით.

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
<b>*ჟ</b>	<b>ჟ</b>	<b>ჟ</b>	<b>ჟ</b>    <b>ვ</b>	<b>ჟ</b>    <b>ვ</b>	<b>ჟ</b>	<b>ჟ</b> →/ <b>მ</b>	<b>ჟ</b> →/ <b>მ</b>	<b>ვ</b> →/ <b>მ</b>

(1) ს.-ქართვ. \*ტე**ჟ**- „მტევანი“ (ქართ. მ-ტე**ვ**-ან-ი, ზან. ტა**ბ**-ან-ი ←\*ტა**ვ**-ან-ი) : ს.-ნახ. \*ტა**ჟ**- „ტოტი, ჭლა“ (იჩქ. ტა**მ** ←\*ტა**ჟ** „ჭლა“, ინგ. ტა**მ** ←\*ტა**ჟ**, ბაცბ. ტა**ვ** „ტოტი“);

(2) ს.-ქართვ. \*ცი**ჟ**- „ცივი“ (ქართ. ცი**ვ**-ი, სი-ცი**ვ**-ე, ცი**ვ**-ა, ზან. ჩე ←\*ჩე**ვ**, ჩე-ჩხურ-ი „ციებ-ცხელება“) : ს.-ნახ. \*ჩი**ჟ**- „ყველაზე უფრო ცივი“ (იჩქ. ჩილ-ლა || ← ჩი**ჟ**-ლა „სეზონის ყველაზე ცივი პერიოდი“, ინგ. ჩი**ჟ**-ლან, ბაცბ. ჩი**ვ**);

(3) ს.-ქართვ. \*ძა**ჟ**- „ქერის ფქვილისგან დამზადებული შეჭამანდი“ (ქართ. ძა**ვ**-ი, ზან. ჯინჯ-ილ-ა ←\*ჯოჯ-ილ-ა „ქერის ბური“, სვან. ჯორ- || ჯა**ჟ**-რ- ←\*ჯა**ჟ**-რ-, მუ-ჯა**ჟ**-არ „სამარხვო შეჭამანდი“) : ს.-ნახ. \*ჯო**ჟ**-რ- „სიმინდის ფქვილი“ (იჩქ. ჯა**მ**-რ-აშ ←\*ჯა**ჟ**-რ-აშ, ინგ. ჯა**ჟ**-რ || ჯა**ჟ**-რ — მრ. ჯო**ჟ**-რ-ან, ბაცბ. ჯო**ვ**);

(4) ს.-ქართვ. \*ძუ**ჟ**-ა „ძუ, მდედრი, დედალი“ (ქართ. ძუ**ვ**-ი → || ძუ, ძუ**ვ**-ი-ებ-ა, ზან. ჯუ-ა ←\*ჯუ**ვ**-ა, ჯუ-ნ-ა || ჯუ-ლ-ა || ჯუ-ნ-ლ-ა „ამბორი, კოცნა“, სვან. ჯუ**ჟ**-ა „ძუვი“ → ჯუ**ჟ**-ნ- „დამაკება“) : ს.-ნახ. \*ჯა**ჟ**-ო „ძროხა“ (იჩქ. ჟა || ჟა ←\*ჯა**ჟ**-ო, ინგ. ჟა || ჟა ←\*ჯა**ჟ**-ან, ბაცბ. ჟა**ბ**-ან ←\*ჯა**ჟ**-ო „ძროხა“);

(5) ს.-ქართვ. \*წი**ჟ**- „წვივის ძვალი, კანჭი“ (ქართ. წვი**ვ**-ი, გურ. წვი**ვ**-ი, ზან. წირღ**ვ**-ი || წიღ**ვ**-ი ←\*ჭი**ვ**-ი, სვან. ჟურღ**ჟ** || ← ჟურღ**ჟ** ←\*ჭი**ჟ** „წინამხრის ძვალი“) : ს.-ნახ. \*ჭი**ჟ**- „ძვალი (წვივისა)“ (იჩქ. ჭუ-ა, ახ. ჭი**ჟ**-ა, ინგ. ჭი**მ** ←\*ჭი**ჟ**, ბაცბ. ჭი**ვ**);

(6) ს.-ქართვ. \*ხ**ჟ**- „წყენა, ჯავრი, მტრობა“ (ქართ. ხ**ჟ**-ებ-ა, ი-ხ**ჟ**-ა „იწყენა“, ზან. ხ**ვ**-, ა-ხ**ვ**-ი-ენ-ს „აბრაზებს“, სვან. ხ**ჟ**-, ამა-ხ**ჟ** „მტერი“) : ს.-ნახ. \*ხუ**ჟ**- „რისხვა, ბრაზი“ (იჩქ. ხუ ←\*ხუ**ჟ**, ინგ. ხუ**ჟ**, ბაცბ. ხუ**ვ**);

(7) ს.-ქართვ. \*ა-ღ**ჟ**-ილ- „ადვილი; სრული/მთლიანი“ (ქართ. ა-ღ**ვ**-ილ-ი, ზან. ე-ღო-მეშ-ამ-ო „მთლიანად“, სვან. და-ღურ ←\*და-ღ**ჟ**-ილ

„სულ“) : ს.-ნახ. \*დ-აჟ-ინ „მსუბუქი, მჩატე“ (იჩქ. დ-ადნ ←\*დ-აჟ-ინ, ინგ. დ-ად ←\*დ-აჟ-ინ, ბაცბ. დ-აგ-ი<sup>ნ</sup>);

(8) ს.-ქართვ. \*ჯიჟ- „ბორკილი, დასაბმელი“ (ქართ. სა-ხიგ-ი, ძვ. ქართ. სა-ჯიგ-ი, ზან. ორხე ←\*ო-რხიგ-ა) : ს.-ნახ. \*ურხ ←\*ჟირხ „სადა-ვე“ (იჩქ. ურხ — მრ. არხ-აშ ←\*ჟარხ-აშ, ინგ. ურხ ←\*ჟირხ, ბაცბ. ჟირხ<sup>ნ</sup>);

(9) ს.-ქართვ. \*კაჟ- „კავი, დასაკავებელი“ (ქართ. კავ-ი, კაჟჰ-ი ←\*კავ-ჟჰ-ი, და-კავ-ებ-ა, ზან. კალჟ ← კალჟ-ი ←\*კოჟ-ი, სვან. ლა-კანჟ „დასაკავებელი“) : ს.-ნახ. \*კაჟ- „სახელური, ტარი“ (იჩქ. კაჟ ←\*კაჟ, ინგ. კაჟ ←\*კანჟ, ბაცბ. კაჟ<sup>ნ</sup>);

(10) ს.-ქართვ. \*კეჟ- „კევი; ღეჭვა“ (ქართ. კევი, კევი-ა „ღეჭვა“, მ-კევი-არ-ი „ფეჭვის სანთელი“, ზან. კავ-ი „აბელი“, მკორ- || ნკორ- „ცობ-ნა“, სვან. კანკი ←\*კანჟ-კი (რედუბლ.) „კევი“) : ს.-ნახ. \*კიჟ- „კევი“ (იჩქ. კჟ || ←\*კჟჟ, ინგ. კჟჟ, ბაცბ. კიგ);

(11) ს.-ქართვ. \*სხჟა- „ერთი; სხვა“ (ქართ. სხვა || სხჟა, ზან. შხვა → || ჩქვა, სვან. ეშხჟ „ერთი“, უშხჟ-ვრ-ს „ერთმანეთს“) : ს.-ნახ. \*ჟაშჟა- „ერთი, ერთმანეთი, ერთად“ (იჩქ. ვჟაშ- „ერთად“, ინგ. ვჟაშ- „ერთი-ერთ“, ვჟაშ-ალ „ერთმანეთს“, ბაცბ. ვჟაშ-არ „ერთად“).

**§ 20.2. ს.-ქართვ. ჟ : ს.-ნახ. ჟ** შესატყვისობა ისტორიულად ჟ → ჟ || ჟა ფარინგალიზაციის ფონეტიკური პროცესის ნიადაგზე განვითარდა. და რომ ჟ → ჟ ფუძენახურში შესაძლებელია, მტკიცდება ერთი ნასესხები სიტყვის ანალიზით. ქართული ჟჟარ- ფუძე ნახურ ენებში მას შემდგომ იქნა შეთვისებული, რაც იჩქერიასა და ინგუშეთში ქრისტიანობა საქართველოს მეშვეობით გავრცელდა. საქართველოდან ქრისტიანობის შესვლის თანამდევნი პროცესი იყო ქართულ ენაში მოქმედი ღვთისმსახურების ტერმინოლოგიის თანდათანობითი დამკვიდრება ნახურ ენებში: მოძღჟარ-ი → ვაინახ. მოზღარ || მჟოზღარ, ჟჟარ-ი → ვაინახ. ჟჟარ- → || ჟჟარ- „ჯვარი“... ამ უკანასკნელში ქართული ჟ წყვილბაგისმიერი სონანტის საპირისპიროდ ჟ მჟდერი ფარინგალური სპირანტი გამოჩნდება, რაც ჟ → ჟ ფარინგალიზაციის შექველ ნიმუშად გამოგვადგება.

ნახურ ენათა შედარებითი ფონეტიკის გაღრმავებული შესწავლა გამოაჩენს კიდევ ერთ ჟ → ჟ ფარინგალიზაციის შემთხვევას, შდრ. ბაცბ. დ-იგ-არ || დ-იგ-ან<sup>ნ</sup> „რგვა“ : ინგ. დჟა-დჟე "id" ~ ქართ. დევ-/ღვ- „ჩადება“; ე. ი. ინგუშურში არსებობას განაგრძობს ფუძენახური ჟ → ჟ ფარინგალიზაციის ფონეტიკური პროცესი.

საერთონახური ჟ → ჟ გარდაქმნა, რომელიც სიტყვათა გარკვეულ რაოდენობაში განხორციელდა მხოლოდ, ტიპოლოგიურად ენათესავება ბ/ფ/პ → ბ/ფ → ჟ/ჟა ფაკულტატიური ფარინგალიზაციის შემთხვევებს (იხ. ქვემოთ, § 24.2). როგორც ეტყობა, ფუძენახურში შესაძლებელი იყო

ნებისმიერი წყვილბაგისმიერი თანხმოვნის ფარინგალიზაცია ისევე, როგორც **ბ ფ პ** → **ჰ** დაღესტნურ ენებში. რაც საზოგადოდ ბილაბიალური არტიკულაციის შესუსტებითა და ბაგისმიერ ხშულთა მოშლის თვალშისაცემი ტენდენციით აიხსნება [ჩიქ.-ცერც. 1962: 56-58].

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
* <b>ჟ</b>	<b>ჟ</b>	<b>ჟ</b>	<b>ჟ/ვ</b>	<b>ვ→/0</b>	<b>ჟ</b>	<b>ჟ</b>	<b>ჟ</b>	<b>ჟ/ვ</b>

(1) ს.-ქართვ. \***ჟეცხ**-ილ- „ვერცხლი; ფული“ (ქართ. **ვეცხ**-ლ-ი → || **ვერცხ**-ლ-ი, ზან. **ვარჩხ**-ილ-ი „ვერცხლი, ფული“, შდრ. სვან. (← მეგრ.) **ჟარჩხ**-ილ „ფული“): ს.-ნახ. \***ჟაჩხ**-ან- „ვერცხლი; ფული“ (იჩქ. ახჩა || აჩხა || ახჩა, ინგ. **ჟახჩჰ** — მრ. **ჟახჩან-აშ**, ბაცბ. **ჟაჩხ-ა<sup>წ</sup>**);

(2) ს.-ქართვ. \***ჟამ**-ალ- „ვაშლი“ (ქართ. **ვამ**-ლ-ი, ზან. უშქ-ურ-ი || ოშქ-ურ-ი || უშკ-ურ-ი ← \***ვომქ**-ურ-ი „ვაშლი“, სვან. **ჟისგ-ჟ** || **ჟისკ-ჟ** ← \***ჟაშქ**-ჟ „ვაშლი“): ს.-ნახ. \***ჟამ**- „ვაშლი“ (იჩქ. **აჟ** ← \***ჟამ**, ინგ. **აჟ** ← \***ჟამ**, ბაცბ. **ჟამ**);

(3) ს.-ქართვ. \***ჟარ**- „მზვარე, მზიანი ადგილი; მზე“ (ქართ. **ზვარ**-, **მზვარ**-ე || **მზჟარ**-ე || **ჟარ**-ი, ზან. ბჟორ-ა || მჟორ-ა || მჟურ-ა ← \***მჟვორ**-ა „მზე“): ს.-ნახ. \***ჟან**- „სხივი“ (იჩქ. **ზჟენ**-, **ზჟენ-არ** „სხივი“, ინგ. **ზჟგ** — მრ. **ზჟან-არ-აშ**, ბაცბ. **ჟან**);

(4) ს.-ქართვ. \***ძეწჟ**- „ძეწვევი/ჯაჭვი“ (ქართ. **ძეწკვ**-ი ← \***ძეწვ**-ი, ზან. **ჯაჭვ**-ი „ჯაჭვი“, შდრ. ქართ. (← ზან.) **ჯაჭვ**-ი): ს.-ნახ. \***ძჟაწ**-ე „ქვაბის ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი“ (იჩქ. (ჭებ.) **ძეზე** ← \***ძჟეწ**, ინგ. **ძჟი** || ← **ძჟიძ** ← \***ძჟიწ**, ბაცბ. **ძჟაწ**);

(5) ს.-ქართვ. \***პჟრტ**- „ნეკნი, კიღური“ (ქართ. **პჟრტ**-ი „ნეკნების ქვემოთა გვერდი“, სვან. **პწშღ** || **პწშტჟ** „კიღურების კუნთი“): ს.-ნახ. \***პჟენტ**-ო ← \***პჟენტ**-ო „ნეკნი“ (იჩქ. **პჟენდა**, ინგ. **პჟენდჰ**, ბაცბ. **პჟენტო** „ნეკნი“);

(6) ს.-ქართვ. \***ძიჟ**-(ინ-) „მძივი; ნიშანი/დამლა“ (ქართ. **მ-ძივ**-ი, **ძვ-ინ**-ი „შანი“, ზან. **ძი**-ა ← \***ჯივ**-ა „მძივი“, სვან. **ჯაბ** || **ჯჟაბ** ← \***ჯაბ**-ჟ „დამლა“): ს.-ნახ. \***ძჟან**- „ჯაჭვი“ (იჩქ. **ზჟე** || **ძჟე** — მრ. **ძჟენ-აშ**, ინგ. **ძჟგ** — ერგ. **ძჟან-არ-აშ**, ბაცბ. **ძჟან**);

**§ 20.3. ს.-ქართვ. ჟ** : **ს.-ნახ. მ** ბილაბიალური რიგის არაიდენტურ ბგერათშესატყვისობათა ტიპს განეკუთვნება, რომელსაც საფუძვლად **ჟ** → **მ** ფონეტიკური პროცესი დაედო. **ჟ** : **მ** ბგერათფარდობა დასტურდება როგორც სიტყვის ანლაუტში, ისე არაანლაუტურ პოზიციებში. ტიპოლოგიურად მსგავსი ფონეტიკური გარდაქმნა და აქედან განვითარებული **ჟ** : **მ** ბგერათშესატყვისობა დასტურდება ქართველურ ენებს შორისაც, შდრ. ს.-ქართვ. **ჟ**, ქართ. **ჟ/ვ** : ზან. **მ** — ქართ. **ვეძ**-ა „მინე-

რალური წყალი; ან ადგილი, სადაც მინერალური წყალი ამოდის“ : ზან. მენჯ-ი (ტობ.), მინჯ-ი „მარილიანი“ ~ ბაცბ. მურჯ-ი<sup>ნ</sup> „მღვრიე“ : იჩქ. მურჯ-ა<sup>ნ</sup> || მურჯ-ა „მინერალური წყალი“, ინგ. მერჯ-ა „id“; ქართ. ვინ(ა) : ზან. მინ || მი „ვინ“ ~ ბაცბ. მენ : იჩქ. მინა || მილა : ინგ. მალა „ვინ“; ქართ. არჩვი : ზან. ერცქემ-ი „არჩვი“...

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
* <b>ჟ</b>	<b>ჟ</b>	<b>ჟ</b>	<b>ჟ  ვ</b>	<b>ვ/მ</b>	<b>ჟ</b>	<b>ჟ</b>	<b>ჟ</b>	<b>ჟ→ნ</b>

(1) ს.-ქართვ. \***ჟა(ნ)ძ**- „მჟავე წყალი“ (ქართ. ვეძ-ა „მჟავე/მლაშე წყალი/წყარო“ (საბა), ვეძ-ის-ი (ტობ.), ზან. მინჯ-ი || ←\*მენჯ-ი „მარილიანი, მჟავე“, მენჯ- ←\*მონჯ-, შდრ. ოჩ- →\*ეჩ-ი „ოცი“, ლოჯ- →\*ლეჯ- „ლორი“) : ს.-ნახ. \*მურჯ- „მღვრიე“ (იჩქ. მურჯ-ა<sup>ნ</sup>, ინგ. მერჯ-ა || მორჯ-ა || მორჯ-ა, ბაცბ. მურჯ-ი<sup>ნ</sup> „მღვრიე“, მურჯ-დარ „ამღვრევა“);

(2) ს.-ქართვ. \***ჟერ**- „უარყოფითი ნაწილაკი ვერ/არ“ (ქართ. ვერ, ვერ-ვინ, ვერ-ლა, ვერ-ლარა, ზან. ვარ → || ვა- „არ, ვერ“) : ს.-ნახ. \*მა- „უარყოფითი ნაწილაკი არ/ნუ“ (იჩქ. მა-, ინგ. მა-, ბაცბ. მა-);

(3) ს.-ქართვ. \***ჟინ**-ა „ვინ“ (ქართ. ვინ-ა, ვინ-მე, ძვ. ქართ. ვინ-ა-მ, ზან. მი || მინ ←\*ჟინ- „ვინ“, სვან. პრ || ძპრ || ძპრ ←\*ჟირა „ვინა“) : ს.-ნახ. \*მინ-ა „ვინ“ (იჩქ. მილა, ჭებ. მინა, ინგ. მალ-ა ←\*მინ-ა, ბაცბ. მე<sup>ნ</sup> ←\*მენ-ა, შდრ. მენ-ა-ხ „ვილაცა“);

(4) ს.-ქართვ. \***ყუჟ**- „ყუა; გნდე; ტარი“ (ქართ. ყუჯ-ა → || ყუ-ა, ხევს. ყუჯ-ი, სა-ყუჯ-ი, ზან. ყვ-ა || ყვ-ა || კვ-ა „შუბლი“, ხოფ. ყუ-ა „თონის ყუა“, სვან. ყუჟ-ა „ყუა; ძირი“) : ს.-ნახ. \*მყუ- „ტარი, ვადა“ (იჩქ. მყუ „ტარი, ვადა“, ინგ. მყუ „ტარი“, ბაცბ. მყუ);

(5) ს.-ქართვ. \***გაჟ**- „გვა; მკა“ (ქართ. გავ-, ნა-გავ-ი, გან-გავ-ა, ზან. გუმ- → || გიმ- „მკა“, გიმ-ა/გუმ-ა-თუთა „მკათათვე“, სვან. ნგჟ- ლა-ნგჟ- ←\*ლა-გჟ- „ცოცხი“) : ს.-ნახ. \*გამ- „ხვეტია, თონი“ (იჩქ. გამ „სახეტი, სახვეტი; თონი“, ინგ. გამ „ხვეტია“, ბაცბ. გამ „ხვეწი“);

(6) ს.-ქართვ. \***თაჟ**- „თავთავი, თავი“ (ქართ. თავ-ი, თავ-თავ-ი, თავ-და-ყირა, ზან. თუ ←\*თოჯ-, თუ-დო || თუ-დე „თავდა“, თი || თუ „თავი“, სვან. შდა || შდაჟ „თავი“) : ს.-ნახ. \*თამ- „სიმინდისთავი“ (იჩქ. თუმ — მრ. თამ-არ-შ, ინგ. თუმ „სიმინდის თავი (ტარო)“, ბაცბ. «თუმ»);

(7) ს.-ქართვ. \***ლაჟ**- „ლაწვი, ლოყა“ (ქართ. ლაწვი-ი || ლაწვი-ი, ზან. ლვანწკ-ი || ლვანწკ-ილ-ი „ლაწვი, ლოყა“, სვან. ლჟ-ა ←\*ლჟ-ა „ლაწვი“) : ს.-ნახ. \*ჟამალ- „ლოყა, ლაწვი“ (იჩქ. «ჟამალ», ინგ. «ჟამალ», ბაცბ. ჟამალ);

(8) ს.-ქართვ. \***ქაცჟ**- „ქაცვი“ (ქართ. ქაცვ-ი || ქაცჟ-ი, ზან. ქჟც-ი ←\*ქოცვ-ი, სვან. გიცჟ-რ-ილ „კვლიავი“) : ს.-ნახ. \*ჟამც- „ზღმარტლი“



(იჩქ. ჰაამც, ინგ. ჰაამისქ ←\*ჰაამც-იგ, ბაცბ. ჰაამც);

(9) ს.-ქართვ. \*ტყაჟ- „ტყავი; გადატყავება“ (ქართ. ტყავი-ი, გადატყავება-ა, ზან. ტყები „ტყავი“, ტყობ-ერ-ა „კანი, ტყავი ხის“, სვან. ტყჟ-ეფ-ი, ხ-ე-ტყჟ-ეფ-ენ-ი „სძვრება (ტყავი, კანი...)“): ს.-ნახ. \*ტყამ- „ფრთა“ (იჩქ. ტყამ → || ტამ, ინგ. ტყამ, ბაცბ. ჰამ ←\*ჰყან „ფრთა“);

(10) ს.-ქართვ. \*ტეჟ- „შეტევა; ჩხუბი“ (ქართ. ტეგება-ა, უ-ტეგ-ს, სვან. ლი-ტეჟ-ე „ჩხუბი“): ს.-ნახ. \*ტემ- „ომი“ (იჩქ. ტუმ — მრ. ტემ-აშ, ინგ. ტომ — მრ. ტემ-აშ, ბაცბ. ტემ);

(11) ს.-ქართვ. \*ა-სთაკჟ- „ხვლიკი“ (ქართ. ასთაკგ-ი, სვან. აშდგჟ || აშტაკჟ „ხვლიკი“): ს.-ნახ. \*შთაყამ- „ბონმეჭა (ერთგვარი ხვლიკი)“ (იჩქ. შატყამ, ინგ. შატყამ, ბაცბ. შითყომ, შდრ. თუმ. (← ბაცბ.) შითყორ-ი ←\*შითყამ-ი).

**§ 20.4. ს.-ქართვ. ჟ : ს.-ნახ. ნ** არაიდენტურ ბგერათშესატყვი-სობათა ერთ-ერთ წყვილბაგისმიერ სახეობას განეკუთვნება, რომელსაც, როგორც ეტყობა, ჟ → ნ ნაზალიზაციის ფონეტიკური პროცესი უდევს საფუძვლად. ჟ : ნ ფონემათფარდობა შეზღუდული დისტრიბუციის მიმართება ჩანს. ჩვენი მასალებით იგი დასტურდება მხოლოდ სიტყვის არა-ანლაუტში. ქართველურ ენათა საერთო მასალაშიც შეიმჩნევა ტიპოლოგიურად მსგავსი ფონეტიკური გარდაქმნა და აქედან განვითარებული ბგერათშესატყვისობა, შდრ. ს.-ქართვ. ჟ, ქართ. ჟ/ვ : სვან. ნ — ქართ. ვიდრ-ი „ბზესავით დაფშენილი ხმელი თივა“ : სვან. ნადრ-ა || ნადრ-ა ←\*ნიდრ-ა „თივის ბულული; ჩალის კონა“; ქართ. ვაკ-ე „ვაკე“ : სვან. ნაკ ←\*ნაკ-ე „ვაკე“; ქართ. არჩვი-ი : სვან. დერსკან || ჰერსკნ || ჰერსკან || დერსკნ „არჩვი“, ქართ. ხევ-ი, ნახევ-არ-ი : სვან. ხენსკა „ნახევარი“...

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ჟ	ჟ	ნ	ჟ/ვ	ვ/ბ/თ	ჟ/ნ/ჰ	ნ	ნ/თ	ნ/თ

(1) ს.-ქართვ. \*ვეჟ-ი, მ-ვეჟ-ალ- „ქალი“; „ნამზითევი ქალი“ (ქართ. მ-ვეგ-ალ-ი → || მ-ხევ-ალ-ი, ზან. ხე ←\*ფხევ „ქალი“, შდრ. გურ. (← მეგრ.) ფ-ხე ←\*მ-ხევ) : ს.-ნახ. \*ვენ- „რძალი; მაზლის ცოლი“ (იჩქ. ვინ || ვენ, ინგ. ვე — მრ. ვონ-ი, ბაცბ. ვენ);

(2) ს.-ქართვ. \*კარჟ- „კრავი, ბატკანი“ (ქართ. კრავი-ი „ცხოვართ შვილი“ (საბა), კრავ-ელ-ი, ზან. კირიბი || კერიბი ←\*კურბი ←\*კორვი „კრავი“): ს.-ნახ. \*კორნ- „ცხოველთა ნაშიერი საზოგადოდ“ (იჩქ. კუორ-ნი, ჰებ. კუორნად, ინგ. კორ-იგ ←\*კორნ-იგ „ცხოველთა ნაშიერი“, ბაცბ. კორნ-იკ);

(3) ს.-ქართვ. \*ხეჟ- „ნახევარი“ (ქართ. ხევ-ი, ნახევ-არ-ი, სვან. ხენ-, ხენსკა || ხენსკა „ნახევარი“): ს.-ნახ. \*ა-ხან- „ნახევარი“ (იჩქ. ახ — ერგ. ეხან-უო, ინგ. ახ — ერგ. ახან-დე, ბაცბ. ახ „ნახევარი“);

(4) ს.-ქართვ. \*ბრაჟ-ალ- „მრავალი, ბევრი“ (ქართ. მრავალ-ი, უ-ამრავლ-ი, ზან. ბრეულ-ი || ბრელ-ი ←\*ბროვ-ოლ-ი „მრავალი“, სვან. მენჟ-არ ←\*მრეჟ-არ „ბევრი; ძალიან, ძლიერ“) : ს.-ნახ. \*ბჟან- „ჯარი, ლაშქარი; სიმრავლე“ (იჩქ. ბჟუო — ერგ. ბჟან-უო, ინგ. ბჟო — მრ. ბჟან-ჰჟ, ბაცბ. ბჟონ);

(5) ს.-ქართვ. \*ბლაჟ- „ფესვი, ბუდე; საბუდარი“ (ქართ. ბლავ-ან-ი „ნაშთი, ნატამალი“, ზან. -ბლე ←\*ბლავ-, ო-ბლე „საბუდარი“, სვან. ბლეჟ || ბლეჟ ←\*ბლაჟ „ნაპრალი, ამოთხრილი ადგილი“) : ს.-ნახ. \*ბჟან- „ბუდე, საბუდარი“ (იჩქ. ბჟან — მრ. ბჟან-ჰჟ, ინგ. ბჟან — ერგ. ბჟან-ჟე, ბაცბ. ბჟან);

(6) ს.-ქართვ. \*ლიჟ- „ამონაზარდი თესლიდან; ყვავილი“ (ქართ. ლივ-ი, ლივ-დ-ებ-ა, ზან. ლგ ←\*ლჟ ←\*ლივ-ი „ლივი, ლოჯი“, სვან. ლჟ- ←\*ლიჟ-, მჟ-ლჟ-ჰჟ „ყვავილი“) : ს.-ნახ. \*ლან- „ფურცელი/ფოთოლი“ (იჩქ. ლან — ერგ. ლან-ჟო, ინგ. ლან — ერგ. ლან-უო, ბაცბ. ლან „ფურცელი“).

(7) ს.-ქართვ. \*სიაჟ- „ლურჯი, სიავი“ (ძვ. ქართ. სიავ-ი „ლურჯი“, სიავ-ქაბ-ი, სვან. შაჟ- (?)) : ს.-ნახ. \*სიან-ი „ლურჯი; მწვანე“ (იჩქ. სინან, ინგ. სინან, ბაცბ. სეინან → || სინან „ცისფერი; მწვანე (ბალახი)“).

**§ 20.5. ს.-ქართვ. ჟ : ს.-ნახ. რ** განეკუთვნება არაიდენტურ ბგერათშესატყვისობათა ერთ-ერთ სახეობას. ჟ : რ არ დასტურდება სიტყვის თავში, რასაც ნახურ ენათა სიტყვის ანლაუტში რ-ს დისტრიბუციული შეზღუდულობით ავხსნიდით. თავისი არსით აქ განხილული ბგერათშესატყვისობა ეპარალელურად ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. რ შეფარდებას. შემთხვევითი ფაქტი არ უნდა იყოს მე-10 მაგალითში ს.-ქართვ. ჟ წყვილბაგისმიერი სონანტის ფარდად ნახურ დიალექტებში მ || რ სუბსტიტუცია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ საერთონახურშივე შეიმჩნეოდა გარკვეულ პოზიციებში ჟ-ს არტიკულაციის ფონეტიკური მერყეობა მ-სა და რ-ს შორის. ამიტომაც იჩქერიულში მ დამკვიდრდა, ხოლო ბაცბურში — ვიბრანტი რ, შდრ. ს.-ქართვ. \*ბოყჟ- „ბოძი“ : ს.-ნახ. \*ბოლურ- „ბოძი, პალო“ (იჩქ. ბჟჟოლამ, ინგ. ბოლა(?), ბაცბ. ბოლურ „ბოძი“).

საერთონახურისთვის სავარაუდო ჟ → რ ფონეტიკური გარდაქმნა რეალურად დღესაც ფუნქციონირებს ზანური ენის ლაზურ დიალექტში, რასაც სალიტერატურო ქართულიდან შეთვისებული ლექსიკა ამოწმებს, შდრ. ქართ. ჰვაგ-ი → ლაზ. ჰვარ-ი "id", ქართ. ხვაგ-ი → ლაზ. ხვარ-ი "id", ქართ. (სპარს.) ამბავ-ი → ლაზ. ამბარ-ი "id". სწორედ ამგვარი ჟ → რ პროცესი გახდა საფუძველი ს.-ქართვ. ჟ, ქართ. ვ : ზან. რ ბგერათშეფარდებისა, შდრ. ს.-ქართვ. \*მშეჟ- „დამშევა, შიმშილი“, ქართ. მშეგ-ა : ზან. მშქორ-ინ-ი → || შქირ-ინ-ი "id", ს.-ქართვ. \*ტეჟ- „დატევა“, ქართ. ე-ტეგ-ა : ზან. ნტერ- || ნტირ- „ტევა“, ო-ნტირ-უ „დასატევი“... [ჩუხ. 2005].

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
* <b>ჟ</b>	<b>ჟ</b>	<b>რ</b>	<b>ჟ/ვ</b>	<b>ვ/მ/ო</b>	<b>ჟ/ვ/ო</b>	<b>რ მ</b>	<b>რ/ო</b>	<b>რ</b>

(3) ს.-ქართვ. \*შტ-ებ- „გაძრობა, გატყავება“ (ქართ. შტ-ებ-, შდრ. მეგრ. (← ქართ.) შვ-ებ-ია „მძრობი“, შვ-ებ-ელ-უ-ა „ტყავის გაძრობა“, სვან. შგებ- || შკებ- ←\*შქტ-ებ- „გაძრობა“, ხ-ე-შგბ-ენ-ი || ხ-ე-შკებ-ენ-ი „სძვრება“) : ს.-ნახ. \*დ-ილ'- „გადაყვლეფა“ (იჩქ. თილ- ←\*თილ'-, ინგ. თილ- ←\*თილ'-, ბაცბ. თილ'- „გადაყვლეფა“);

(4) ს.-ქართვ. \*ლაშტ- „ბაგე, ტუჩი“ (ქართ. ლაშ-ი „დიდი ბაგე პირისა“ (საბა), ზან. ლეშკ-ი || ლეჩქვ-ი ←\*ლეშქვ-ი „ბაგე, ტუჩი“) : ს.-ნახ. \*მარლ'- „ცხვირი“ (იჩქ. მარა || მარჭ || მარჭა „ცხვირი“, ინგ. მარჭ "id", ბაცბ. მარლ' "id");

(5) ს.-ქართვ. \*მოშ- „მოში, მოშვა“ (ქართ. მოშ-ი „რისამე ასაღებად გაშლილი ორივე მკლავი“, მოშ-ავ-ს, ზან. შუშქ, სვან. შოშგ) : ს.-ნახ. \*მორლ'- „მოში“ (იჩქ. მუორარ || მორ || მუორჭ, ინგ. მუორჭ || მორჭ, ბაცბ. მორლ');

(6) ს.-ქართვ. \*ეშტ- „ტახი“ (ქართ. ეშვ-ი || ეშტ-ი „ტახი“, ზან. ოსქუ ←\*ასქუ(?)) : ს.-ნახ. \*არლ'- „ყოჩი, ერკემალი“ (იჩქ. არჭ „ერკემალი“, ინგ. არჭ "id", ბაცბ. ადრლ' ←\*არლ' „ყოჩი, ერკემალი“);

(7) ს.-ქართვ. \*ხეშ- „მოთელვა, მოდრეკა, მოქნა“ (ქართ. მო-ხეშ-ვა „მოთელვა, მოქნა“, უ-ხეშ-ი „მოუქნელი“, ზან. ხასქ-არ-უ-ა „მოქნა, მოთელვა, მოდრეკა“, მო-ხასქ-არ-ელ-ი „მოქნილი“) : ს.-ნახ. \*ვერლ'- „შეშინება, შიში, შედრკომა“ (იჩქ. ვაერ- || ვაერჭ- „შიში, შეშინება“, ინგ. ვაერჭ- "id", ბაცბ. ვერლ'- "id", ვერლ'-რიკ „მხდალი“);

(8) ს.-ქართვ. \*ნიშ- „მსგავსი; ნიში/ა“ (ქართ. ნიშ-ი, მოგვ-ნიშ-ულ-ი „მოგვის მსგავსი“ (საბა), ზან. ნიშქ-ი, სვან. ნიშგ-ი) : ს.-ნახ. \*დარლ'- „მსგავსი, მსგავსება“ (იჩქ. თერ- ←\*თერჭ- „მსგავსება“, თერ-ან ←\*თარჭ-ინ „მსგავსი“, ინგ. თარ-ან ←\*თარჭ-ა „მსგავსი“, ბაცბ. თარლ'- „მომსგავსება, შედარება“, თარლ'-ენ-ო „მსგავსი“);

(9) ს.-ქართვ. \*შტ- „მიშვება, გაშვება“ (ქართ. მი-შვ-ებ-ა, გა-შვ-ებ-ა, ზან. შქვ-აფ-ა „გაშვება“, ო-შქვ-ან-ს „უშვებს“, მე-შქვ-ინ-უ „გაშვება“, სვან. ლი-შგტ-ან „გაშვება“) : ს.-ნახ. \*ბ-ალ'- „გაშვება“ (იჩქ. ბ-ალ- ←\*ბ-ალ'- „მიცემა, გაშვება“, ინგ. ბ-ალ- ←\*ბ-ალ'- "id", ბაცბ. ბ-ალ'- „გაშვება, მიცემა“, ბ-ალ'-ინო „მიცემული, გაშვებული“).

**კომენტარი II:** ისტორიული შ შიშინა სიბილანტის არასტაბილური არტიკულაციის გამო საერთონახურში შეიმჩნეოდა შ → || ს სუბსტიტუცია, რაც სიტყვათა ერთ წყებაში საბოლოოდ ს სისინა სიბილანტად დამკვიდრდა. აქედან მივიღეთ ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. შ : ს.-ნახ. ს, რომელიც პრეისტორიული შ : შ შესატყვისობიდან მომდინარეობს:

(1) ს.-ქართვ. \*მშ- „შიმშილი; დამშევა, მომშევა“ (ქართ. მშ-ევ-ა, სი-მშ-ილ-ი → || ში-მშ-ილ-ი, ა-მშ-ევ-ს, ზან. მშქირ- || შქირ- || მშქორ-ონ- „შიმშილი“) : ს.-ნახ. \*მაც- ←\*მას- „შიმშილი“; „მშიერი“ (იჩქ. მაც- „შიმ-შილი“, მაც-ი<sup>ნ</sup> || მეც-ან<sup>ნ</sup> „მშიერი“, ინგ. მაც-, მეც-ან, ბაცბ. მაც-, მაც-ი<sup>ნ</sup>);

(2) ს.-ქართვ. \*დეშ-ა „შეშა“ (ქართ. შეშა ←\*ძეშა ←\*დეშა „შე-შა“, ზან. დიშქა || დიშკა „შეშა“, სვან. ზექ ←\*დეშქ „შეშა“) : ს.-ნახ. \*დას- „შეშა“ (იჩქ. დუოს || დოს, ინგ. დოს || დოას, ბაცბ. დოს);

(3) ს.-ქართვ. \*შტერ- „შრობა“ (ქართ. შერ- || შტერ-, შრ-ობ-ა, მ-შრ-ალ-ი, და-ვ-შვერ, ზან. სქერ-გ || სქირ-უ || სქურ-უ „მშრალი“, მე-სქურ-უ → || მე-სქერ-უ || მე-სქირ-უ „გაშრა“) : ს.-ნახ. \*ლესტ-/\*ლასტ- „შრობა“ (იჩქ. ლოტს-/ლეფს-, ინგ. ლოტს-, ბაცბ. ლეფს-/ლაფს- „შრობა“);

(4) ს.-ქართვ. \*შედ- „დარჩენა“ (ძვ. ქართ. და-ვ-შედ || და-ვ-შეთ, და-შდ-ა || და-შთ-ა, ნა-შთ-ი, ნე-შტ-ი, ზან. სქად- → || სქედ- || სქედ-, ბ-ო-სქედ-ინ-ი „ვარჩინე; ვაცხოვრე“, ო-სქად-უ „დარჩენა, ცხოვრება“, სვან. სედ-ენ-ი ←\*სგედ-ენ-ი „რჩება“, ლი-სედ ←\*ლი-სგედ „დარჩენა“) : ს.-ნახ. \*დ-ის- „დარჩენა“ (იჩქ. დ-ის-არ „დარჩენა“, ინგ. დ-ის-არ, ბაცბ. დ-ის-არ "id");

(5) ს.-ქართვ. \*აშ- „დაფი (მოოქროვილი, რკინისა, სპილენძისა)“ (ქართ. აშკ-ი „ილეკოს დაფი“ (საბა), მთიულ. აშე, ზან. ოშკ-ი (?), სვან. ჰანშქ || აშქ „შალის ორწვერა დაფი“) : ს.-ნახ. \*ას-ო „დაფი (მოოქროვილი ან მოვერცხლილი)“ (იჩქ. ჰასა, ინგ. ჰაასს, ბაცბ. ჰაასო);

(6) ს.-ქართვ. \*ქარშ- „საბელი, სარტყელი (ბრტყელი)“ (ქართ. ქარშ-იკ-ი „ბრტყელი საბელი“ (საბა), ზან. ოქორშქ-ი) : ს.-ნახ. \*ქარს-ან „ერთგვარი საბელი; საბელი“ (იჩქ. ქარსა || ქარს, ინგ. ქარს „ბაწარი“, ბაცბ. ქარს<sup>ან</sup> „საბელი“);

(7) ს.-ქართვ. \*შინდ- „შინდი“ (ქართ. შინდ-ი || შვინდ-ი, ზან. სქინდ-, შდრ. ტობ. სქინდ-ონ-ა „შინდნარი“) : ს.-ნახ. \*სთატ- ←\*შნატ „შინდი“ (იჩქ. ასთი || სთატ || სთოტ, შდრ. დუტ-უშთუო „შინდი“, ინგ. ესთაფ, შდრ. დუტ-ესთი „შინდი“, ბაცბ. ოსთავ);

(8) ს.-ქართვ. \*შინ- „შინება; რისხვა, მუქარა“ (ქართ. შინ-, შინ-ებ-ა, ა-შინ-ებ-ს, ზან. სქინ- || ცქინ- || რსქინ- || რცქინ- „მუქარა, შეშინება, რისხვა“) : ს.-ნახ. \*სიმ- „ნაღველი; ღვარძლი; მწარე“ (იჩქ. სთიმ || ← სიმ, ინგ. სიმ, ბაცბ. სემ).

(9) ს.-ქართვ. \*ეშე- „მოზვერი, ბოჩოლა“ (ქართ. იშ-ი, იშ-ი-ა „მოზვერი, ბოჩოლა“, იშ-, იშ-ო „ხარის გასადევნი მიმართვა“, ზან. ასა ←\*ას-ქა „ლორის გასადევნი მიმართვა“) : ს.-ნახ. \*ასე- „ხბო (ერთ წლამდე)“ (იჩქ. ესა || ას || აას „ხბო ერთ წლამდე“, ინგ. ასან ←\*ასე, შდრ. ას-ილ<sup>ან</sup> "id", ბაცბ. ასე „ხბო“).

## VI თავი

**§ 33. სისინ-შიშინა სიბილანტთა ისტორიისათვის.** წინა პარაგრაფებში ჩვენ განვიხილეთ სისინა და შიშინა სიბილანტთა ამოსავალი სისტემის ევოლუციის საკითხები საერთოქართველურსა და საერთონახურში. საყურადღებოდ გვეჩვენება სისინ-შიშინა ანუ შუაალვეოლარული რიგის თანხმოვანთა შესატყვისობის პრობლემა ნახურ-ქართველურ ენებში. თავიდანვე შევნიშნავთ, რომ სისინ-შიშინა სიბილანტები არ იყო დამახასიათებელი არც საერთოქართველური და არც საერთონახური ფონოლოგიური სისტემისათვის. მაგრამ სისინ-შიშინა სიბილანტები უნდა ჰქონოდა პროტოიბერიულ ანუ წინარე იბერიულ-კავკასიურ ენას. ამგვარ შესაძლებლობაზე ცალსახად მეტყველებენ ნახურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობათა არაორდინალური ფორმულები. კერძოდ, სიბილანტებში იდენტური ს.-ქართვ. **ჯ ჩ ჰ უ შ** : ს.-ნახ. **ჯ ჩ ჰ უ შ** და არაიდენტური ს.-ქართვ. **ჯ ჩ ჰ** : ს.-ნახ. **ძ ც წ** ბგერათშესატყვისობები შესაძლებელს ხდიან საუბარს პროტოიბერიულ ფუძე-ენაში არსებული სისინ-შიშინა ანუ შუასიბილანტური სახეობის თანხმოვანთა რეფლექსაციის შესახებ საერთოქართველურსა და საერთონახურში.

**§ 33.1. ამოსავალი მუდერი სისინ-შიშინა \*ძ, სიბილანტი** რეკონსტრუირდება ბგერათშესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით ს.-ქართვ. **ჯ** : ს.-ნახ. **ჯ/ძ**. საილუსტრაციო მასალის სიმწირე უნდა მიუთითებდეს \*ძ, სისინ-შიშინა მუდერი სიბილანტის დისტრიბუციის შეზღუდულობაზე წინარექართველურსა და წინარენახურში. საზოგადოდ სისინ-შიშინა სიბილანტები გამოირჩევიან დაბალი სიხშირული მაჩვენებლებით. ირკვევა, რომ საერთოქართველურში **ძ**, აფრიკატი **გაშიშინდა** უკლებლივ ყველა პოზიციაში, ხოლო ფუძენახურისათვის დამახასიათებელია როგორც **შიშინა**, ისე **სისინა** რეფლექსები: \*ძ, → **ჯ** || **ძ**.

\*ძ, აფრიკატის შესატყვისობათა ფორმულა ნახურ-ქართველური ენების მიხედვით შემდეგნაირად გამოიხატება:

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ძ.	<b>ჯ</b>	<b>ჯ  ძ</b>	<b>ჯ</b>	<b>ჯ  ჯგ  ძგ</b>	<b>ჯგ  სგ←ძგ</b>	<b>ჯ→  ჟ/ძ</b>	<b>ჯ→  ჟ/ძ</b>	<b>ჯ→  ჭ/ძ</b>

(1) ს.-ქართვ. \*ლაჯ- „ლაჯი; ფერდი“ (ქართ. ლაჯ-ი, ლაჯ-ებ-ი, სვან. ლესკ || ლესგ ←\*ლეძგ „ფერდი, გვერდი“) : ს.-ნახ. \*მეჯ-ე „ანატომიური ორგანო, სხეულის ნაწილი“ (იჩქ. მანჟ-ჟე || მნჯ-ჟე, ინგ. მანჟ-ჟე || მნჯ-ჟე, ბაცბ. შეჯ-ჟე);

(2) ს.-ქართვ. \*ყეჯ-ალ- „ჯოხი, ორკაბი, რიკი“ (ქართ. ყეჯალ-ი (საბა), სვან. ყანსკჷ || ყანსგჷ ←\*ყენჯგაჷ „რიკი“) : ს.-ნახ. \*ლაჯ- „ჯოხი“ (იჩქ. ლაჟ || ლაჯ, ინგ. ლაჯ || ლაჩ, ბაცბ. ლოჭ ←\*ლოჯ);

(3) ს.-ქართვ. \*ბანჯჷ-ალ- „ხშირი თმა, ბანჯგვლი“ (ქართ. ბანჯგლ-ი

„ხშირი თმა“, ზან. ბონძგ-ორ-ი ←\*ბონჯგვ-ორ-ი „ბანჯგვლიანი“) : ს.-ნახ. \*ბეჯო „თმა, ნაწნავი“ (იჩქ. (ახ.) ბეჯყ-ა ←\*ბეჯჟ-ა, ქისტ. ბეჟ || ბეჯ „ნაწნავი“, ინგ. „ბეჯ“, ბაცბ. ბეჯ „თმა“);

(4) ს.-ქართვ. \*გირჯლ-იბ- „ბაღლინჯო, ტკიპა“ (ქართ. კირჩხიბ-ი, ზან. გირჯლ-იბ-ი/ე „ტკიპა“, სვან. გერდლჰ ←\*გირჯლჰ- „ბაღლინჯო“) : ს.-ნახ. \*ძჟაგ- „კრაზანა, ბზიკი“ (იჩქ. ძჟუგა, ინგ. ძჟოგ-, ძჟოგ-მოზ, ბაცბ. ძჟოგ-<sup>1</sup>).

**§ 33.2. ამოსავალი ფშენიერი სისინ-შიშინა \*ც, სიბილან-ტის** რეკონსტრუქცია შესაძლებელი ხდება ბგერათშესატყვისობათა შემდეგი ფორმულის საფუძველზე ს.-ქართვ. ჩ : ს.-ნახ. ჩ/ც. როგორც მოსალოდნელი იყო, სისინ-შიშინა \*ც, აფრიკატის რეფლექსად საერთოქართველურში მხოლოდ შიშინა ვარიანტი გამოჩნდა: \*ც, → ს.-ქართვ. ჩ. ხოლო საერთონახურ მასალაში ბუნებრივი ჩანს როგორც შიშინა, ისე სისინა რეფლექსები: \*ც, → ჩ/ც.

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ც,	ჩ	ჩ ც	ჩ	ჩ/ჩ	ჩ/ჩ	ჩ→  შ/ც	ჩ→  შ/ც	ჩ→  შ/ც

(1) ს.-ქართვ. \*ქეჩ- „ქეჩო, ქედი“ (ქართ. ქეჩო → || ქერჩო, ზან. ქანჩი-ი „ქეჩო“) : ს.-ნახ. \*ქაჩ- „საყელო, კისერი“ (იჩქ. ქაჩ, ინგ. ქაჩ, ბაცბ. ქაჩ);

(2) ს.-ქართვ. \*მაჩჟ- „მაჩვი“ (ქართ. მაჩჟ-ი || მაჩჟ || მაჩვი, ზან. მუნჯყ-ი || მუნჩხ-ი || მუნჩჟ-ი || მუნჩჟჟ-ი ←\*მონჩჟჟ-ი „მაჩვი“, სვან. მინჩჟჟჟ ←\*მაჩჟჟჟ „მაჩვი“) : ს.-ნახ. \*მჩარ- „დათვი“ (იჩქ. ჩა — მრ. ჩერჩიჟ, ინგ. ჩხ — მრ. ჩარჩ, ბაცბ. ჩა — მრ. ჩარჩ „დათვები“);

(3) ს.-ქართვ. \*ბ-იჩხ- „შეშა; ფიჩხი“ (ქართ. ფიჩხი-ი „შტოედი შეშა“ (საბა), ზან. ფიჩხი-ი || ფინჩხი-ი „ფიჩხი“, სვან. ფიჩხ || ფანჩხ „ფიჩხი“) : ს.-ნახ. \*ლ-აჩხ- „შეშა“ (იჩქ. ღეჩი-იგ ←\*ღეჩხ-იგ „შეშა, ხე“, ინგ. ღახჩხ || ღახჩხ ←\*ღახჩხ-ან, შდრ. ერგ. ღახჩხ-ან-უო, ბაცბ. ღახჩხ-არ „ხმელი, წვრილი შეშის ღერი“);

(4) ს.-ქართვ. \*ჩქ- „სიჩქარე, სისწრაფე“, \*ჩქ-ერ- „ჩქარი“ (ქართ. სი-ჩქ-ურ-ი „სიჩქარე“, ი-ჩქ-ით-ი „მყისი“ (საბა), \*ჩქ-ერ-ა „მდინარის ჩქარი ღინება“, ზან. ჩქ-არ-ი „სწრაფი“, ჩქ-არ-ას „სწრაფად“) : ს.-ნახ. \*ჩაქ- „სიჩქარე, სისწრაფე; ჩქარი“ (იჩქ. ჩეხქ-ან<sup>5</sup> || ჩახქ-ინ<sup>6</sup> „სწრაფი“, ჩეხქ-ალლა „სისწრაფე“, ინგ. ჩეხქ-ან "id", ჩეხქ-ალ "id", ბაცბ. ჩახქ-<sup>7</sup>);

(5) ს.-ქართვ. \*ჩხართჟ- „ჩხართვი“ (ქართ. ჩხართვი-ი || ჩხართჟ-ი || ჩხართჟ, სვან. ჩხურჟუმტ || ჩხურჟუმდ || ჩხურჟიუმტ „ჩხართვი“) : ს.-ნახ. \*ჩართხჟ-ა „თრითინა, შურთხი“ (იჩქ. შარტყა → || შატყა, ინგ. შურტყჟ || შორტყჟ „თრითინა“, ბაცბ. შურთხ „შურთხი“);

(6) ს.-ქართვ. \*ჩუალ- „ეშვი, დიდი კბილი“ (ქართ. შუანი ←\*ჩუანი, ზან. ჩქვა, მრ. ჩქვალ-ეფი „ეშვები“, სვან. ჩქუა, მრ. ჩქუარ-ჲრ „ეშვები“): ს.-ნახ. \*ცარ- „კბილი“ (იჩქ. ცერ-გ || ცარ-იგ, ინგ. ცარ-გ, ბაცბ. ცარ-კ „კბილი“);

(7) ს.-ქართვ. \*ბაჩა „ფეტვი, ცერცივი“ (ქართ. მაშა ←\*მაჩა, ზან. ფაჩქა ←\*ბოჩქა „ფეტვი“, შდრ. ქართ. (← ზან.) ფაჩქა (საბა)): ს.-ნახ. \*ბორც- „ფეტვი“ (იჩქ. ბუორც || ბორც, ინგ. ბორც, ბაცბ. ბორც).

**§ 33.3. ამოსავალი მევეთრი სისინ-შიშინა \*წ, სიბილანტი**  
რეკონსტრუირდება ბგერათმეცნიერების საფუძველზე — ს.-ქართვ. ჭ : ს.-ნახ. ჭ/წ. როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც ნიშანდობლივია ამოსავალი \*წ, → ს.-ქართვ. ჭ; ხოლო საერთონახურში \*წ, → ჭ/წ განხორციელდა.

აბრუბტიული \*წ, სისინ-შიშინა სიბილანტის რეფლექსები სქემატურად ასე ჩაიწერება:

ფ.ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*წ,	ჭ	წ/წ	ჭ	ჭიჭკ→იწკ	ჭკ→იწკ	ჭ→ჩიწ/წ	ჭ→ჩიწ/წ	ჭ/წ

(1) ს.-ქართვ. \*მ-ჭუალ- „ლურსმანი, წყირი, სოლი“ (ქართ. მან-ჭუალ-ი || მან-ჭვალ-ი, სამ-ს-ჭუალ-ი || სამ-ს-ჭვალ-ი, მ-ჭვალ-ვა „ლურსმნის დაკვრა“, ზან. მ-წკულ-ი || მ-წკილ-ი „წვეტიანი“, „სოლი“): ს.-ნახ. \*ჭუტ- „მამფური“ (იჩქ. ჭუ || ჭუჲ, ინგ. ჭიჲ ←\*ჭუჲ, ბაცბ. ჭუჲ ←\*ჭუჲ);

(2) ს.-ქართვ. \*ქიჭ-ო „ქიჭო“ (ქართ. ქიჭო, ზან. ქიჭკუ, სვან. ქიჭკუ) : ს.-ნახ. \*ქტაჭ- „ქოჭი“ (იჩქ. ქუოჯ || ქუაჯ ←\*ქტაჭ, ინგ. ქოჯ ←\*ქოჯ, ბაცბ. ქოჯ ←\*ქტაჭ);

(3) ს.-ქართვ. \*ხოჭ-ო „ხოჭო“ (ქართ. ხოჭო, ზან. ხოჭო || ხოჭუ "id", სვან. ხოჭ-ტუ "id"): ს.-ნახ. \*ხინჭ-ი ←\*ხტინჭ-ი „წილი“ (იჩქ. ხინჟა || ხინჯ-ი ←\*ხინჭ-ი „წილი“, ინგ. ხინჭ-ჲ ←\*ხინჭ-ა "id", ბაცბ. ხინჭ-ი "id");

(4) ს.-ქართვ. \*ჭილ- „წილი; ტილი“ (ქართ. წილ-ი || ჭილ-ი, ჭი-ჭილ-ა „ტილი“, ზან. მ-ჭკირ-ი || ჭკირ-ი „წილი“): ს.-ნახ. \*წიმ- „ბაღლინჯო“ (იჩქ. წიმ-ერგ, ინგ. წიმ-არგ, „ბაცბ. წიმ-“);

(5) ს.-ქართვ. \*ჭურ- „გამოსაჭურისება“, „იმპოტენტი“ (ქართ. ჭურ-, სა-ჭურ-ის-ი, სვან. ჭკურ- „ჭრა“): ს.-ნახ. \*წურ- „საჭურისი, იმპოტენტი“ (იჩქ. წურა, წურან-იგ, ინგ. წურა, ბაცბ. წურა<sup>ნ</sup>);

(6) ს.-ქართვ. \*ჭროლ-ა „ჭრელი“ (ქართ. ჭროლა, ზან. ჭოლო || ჭო-ლა): ს.-ნახ. \*წოყ-ა „ჭრელი“ (იჩქ. წოყ || წოყა, ინგ. წოყნ „ჭრელი“, ბაცბ. წოყა<sup>ნ</sup>);

(7) ს.-ქართვ. \*ჭიჭ- „ჭრიჭინა“ (ქართ. ჭრიჭინა || ჭიჭინა, ზან.



ჭიჭ-იბ-ი „ჭრიჭინა“) : ს.-ნახ. \*წაწ- „კალია“ (იჩქ. წუოზ || წოდ || წოზ — მრ. წაზ-იფ, ინგ. წოდ || წოცა — მრ. წაზ-იფ, ბაცბ. წოწ).  
**§ 33.4. ამოსავალი მჟღერი სისინ-შიშინა ზ, სპირანტი** გამო-  
 რჩევა საილუსტრაციო მასალის სიმწირით. იგი, ჩვენი მასალებით, მხო-  
 ლოდ ორ ფუძეში აღდგება. სისინ-შიშინა ზ, მჟღერი სპირანტის რეკონს-  
 ტრუქცია შესაძლებელი ხდება ს.-ქართვ. ჟ : ს.-ნახ. ჟ იდენტური შესატყვი-  
 სობის საფუძველზე. როგორც ვხედავთ, ორივე ჯგუფის ფუძეში **ზ**, → **ჟ**  
 გაშიშინების არქაული ფონეტიკური პროცესი დასტურდება. გვაკლია მო-  
 სალოდნელი ს.-ქართვ. ჟ : ს.-ნახ. ზ სახეობა.

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ზ,	ჟ	ჟ	ჟ	ჟ(ღ)	ჟ(ღ)	ჟ	ჟ	ჟ

(1) ს.-ქართვ. \*ჟღალ- „შავ-წითელი; ჭრელი“ (ქართ. ჟღალ-ი „შავ-  
 მოწითალო“ (საბა), „ჭრელი“, ზან. ჟღარ-ი ← \*ჟღორ-ი, ჟღარ-თოლამ-ი  
 „ჭრელთვალეა“, სვან. ჟღიჟ- „ჭრელი“) : ს.-ნახ. \*ჟუღარ- „ყავისფერი“  
 (იჩქ. ჟუღარ-ბჟჟარგაშ „ყავისფერი თვალეა“, ინგ. ჟუღარ-ბჟჟარგაშ "id",  
 ბაცბ. ჟუღარ);

(2) ს.-ქართვ. \*მაჟ- „მაჟალო“ (ქართ. მაჟ-ალ-ო „ტყის ვაშლი“  
 (საბა), შდრ. მაჟ-არ-ა „მინდვრის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე“,  
 ზან. —, სვან. —) : ს.-ნახ. \*მუჟ- „მრავალძარღვა“ (იჩქ. მუჟ-გ, ინგ. მუჟ-გ,  
 მუჟ-ი-ჩე (ტოპ.), ბაცბ. მუჟ-გ).

**§ 33.5. ამოსავალი ფშვინვიერი სისინ-შიშინა ს, სპირანტი**  
 ასევე აღდგება იდენტური ს.-ქართვ. შ : ს.-ნახ. შ ბგერათშესატყვისობის  
 საფუძველზე. ვინაიდან პროტობერული ზ, სიბილანტის შემთხვევაში  
 მხოლოდ ს.-ქართვ. ჟ : ს.-ნახ. ჟ ფორმულა გამოიკვეთა, ამიტომაც სისინ-  
 შიშინა ს, ფრიკატივიც ერთადერთი შ : შ რეფლექსების შემთხვევაში  
 რეკონსტრუირდება, რადგანაც, როგორც ვნახეთ, ს.-ქართვ. შ : ს.-ნახ. ს  
 ბგერათფარდობა ამოსავალ ფონემად შიშინა შ ფრიკატივს გულისხმობს  
 (იხ. ზევით § 32.4. კომენტარი II).

მჟღერი ზ, კორელატისაგან განსხვავებით, ფშვინვიერი სისინ-შიშინა  
 ს, სიბილანტი გამოირჩევა საილუსტრაციო მასალის სიუხვით. მისი დის-  
 ტრიბუცია თავისუფალია; დასტურდება როგორც მორფემათა თავში, ისე  
 არაანლაუტურ პოზიციებში.

სისინ-შიშინა ს, ფრიკატივის შესატყვისობის ფორმულა საკვლევი  
 ენების მიხედვით სქემატურად შემდეგნაირად ჩაიწერება:

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ს,	შ	შ	შ	შქ სქ	შგ სგ	შ→/ჟ	შ→ს/ჟ	შ

(1) ს.-ქართვ. \***შტელ**- „შველი, ირემი“ (ქართ. **შტელ**-ი || **შველ**-ი, ზან. მ-**სქვერ**-ი || ფ-**სქვე**-რ-ი || **სქვერ**-ი ←\***სქვარ**-ი „შველი, ირემი“) : ს.-ნახ. \***შტან**- „დედალი ჭიხვი“ (იჩქ. **შუო** || **შო** — მრ. **შონ**-იშ, ინგ. **შუნ** — მრ. **შონ**-აშ, ბაცბ. **შუნ** „შუნი“);

(2) ს.-ქართვ. \***ტაშალ**- „ვაშლი“ (ქართ. ვა**შლ**-ი, ზან. უ**შქირ**-ი || უ**შქურ**-ი || ← ო**შქურ**-ი „ვაშლი“, სვან. ტი**სგტ** || ტი**სკტ** || უ**სგტ** ←\***ტაშქტ** „ვაშლი“) : ს.-ნახ. \***ჭაშ**- „ვაშლი“ (იჩქ. აე ←\***აშ**, ინგ. აე ←\***აშ** „ვაშლი“, ბაცბ. **აშ**);

(3) ს.-ქართვ. \***შიბ**-უ „შიბუ“ (ქართ. **შიბუ** || **შებუ**-ფ, სვან. **შგტიბ** || **შკტიბ** ←\***შქიბტ** „რკო“) : ს.-ნახ. \***შაბ**-ო „ლანძილის სახეობა“ (იჩქ. **შაბ** || **შაფ**, ინგ. **შუფ**, ბაცბ. **აშაბ**-ო);

(4) ს.-ქართვ. \***ბაშტ**- „ფაშვი, ფშვინვა“ (ქართ. ფა**შვ**-ი, ფ**შვ**-ინ-ვ-ა, ზან. ფუ**შქ**-ინ- „ფშვინვა“, **შქემბ**-ე ←\***ბოშქ**-ე „ფაშვი“) : ს.-ნახ. \***მარშ**- „ნაწლავი, ძეხვი“ (იჩქ. მარ**შ**, ინგ. მარ**შ**, ბაცბ. **მარშ**);

(5) ს.-ქართვ. \***შოლტ**- „შოლტი“ (ქართ. **შოლტ**-ი, ზან. **შქვერთ**-ი ←\***შქვერტი** „შოლტი“) : ს.-ნახ. \***შოტ**- „მათრახი“ (იჩქ. **შად** — მრ. **შოდ**-მ-აშ, ინგ. **შოდ** ←\***შოტ**, ბაცბ. **შვეტ** ←\***შოტ** „მათრახი“);

(6) ს.-ქართვ. \***ნუშ**- „ყველი“ (ქართ. ნუ**შ**-ი, ზან.-სვან. **ნუშქ**-ი) : ს.-ნახ. \***შონ**- „ღვრიტა, კვეთი“ (იჩქ. **შუნ** — მრ. **შუნ**-აშ, ინგ. **შოა** ←\***შონ**, ბაცბ. **აშონ**);

(7) ს.-ქართვ. \***შურდ**-ულ- „შურდული“ (ქართ. **შურდულ**-ი, ზან. **შქურდონ**-ი „შურდული“) : ს.-ნახ. \***შოდ**-ო „ფიწალი“ (იჩქ. **შადა** || **შოდა** || ← **შოდო**, ინგ. **შოდ** ←\***შოდო**, ბაცბ. **შატ** →\***შატოდ**);

(8) ს.-ქართვ. \***მშტალ**-ა „აბლაგაზრდა თხმელა“ (ქართ. ფ**შალა** „სვია“, ზან. ფ**შქველა** „თხმელა“, სვან. მე**სგტლა** ←\***მშქტელა** „ნაცარქათამა (მცენ.)“) : ს.-ნახ. \***მოშტან**- „თელა“ (იჩქ. მუ**შ** — მრ. მტ**შნ**-აშ, ინგ. მუ**შ** — მრ. მოტ**შან**-აშ, ბაცბ. **აშოშ**);

(9) ს.-ქართვ. \***შტილ**- „მშვილდი; მშვილვა, სროლა/ტყორცნა“ (ქართ. მ-**შტილ**-ვ-ა || მ-**შვილ**-ვ-ა „სროლა, ტყორცნა“, მ-**შტილ**-დ-ი || მ-**შვილ**-დ-ი, ზან. **შქვილ**-ი || **შქვინ**-დ-ი „მშვილდი“, ქა-**შქვილ**-ი „მშვილდისარი“, **შქვილ**- „მშვილდვა“) : ს.-ნახ. \***შირდ**- „ქვის სატყორცნი სამხედრო იარაღი“ (იჩქ. **შირდ**-ოლ-აგ || **შირდ**-უოლ-გ, ინგ. **შირდ**-ოლ-გ, ბაცბ. **აშირდ**-ოლ, შდრ. ბაცბ. (← ქართ.) შურდულულ „შურდული“);

(10) ს.-ქართვ. \***შაშტ**- „შაშვი“ (ქართ. შა**შვ**-ი, ზან. მ-ზე**სქუ** || ზე**სქუ** || ზე**სქე**-ი „შაშვი“) : ს.-ნახ. \***ყორშ**-ან „შაშვი, შოშია“ (იჩქ. **შუორშ**-ალ || სორ**ს**-ალ, ჰებ. შარ**შ**-ულ, ინგ. სდერ**ს**-ალ || სწრ**ს**-ალ „შაშვი“, ბაცბ. შორ**შ**-ა<sup>ნ</sup> „შოშია“).

## VII თავი

**§ 34. უკანაენისმიერი თანხმოვნები.** სიბილანტური რიგის თანხმოვნებისაგან განსხვავებით, უკანაენისმიერი კონსონანტები შესატყვისობათა იდენტურობით გამოირჩევიან; აქ გამოიკვეთება ისეთივე სურათი, როგორც გვექონდა წყვილბაგისმიერი და კბილისმიერი თანხმოვნების შემთხვევაში. როგორც მოსალოდნელი იყო, გუტურალური თანხმოვნები ქართველურსა და ნახურ ენებში წარმოდგენილია ხშულთა სამწევრიანი **გ ქ კ** და სპირანტთა ორწევრიანი **ღ ხ** რიგით. სინქრონიულ დონეზე, აგრეთვე ისტორიულადაც, ქართველური და ნახური ენები ერთნაირად უპირისპირდებიან დაღესტნურ ენებს, სადაც უკანაენისმიერ ხშულთა ხუთწევრიანი **გ ქ ქჃ კ კჃ** და სპირანტთა სამწევრიანი **ღ ხ ხჃ** სისტემა ფუნქციონირებს.

ამოსავალი უკანაენისმიერი თანხმოვნები კარგად არის შენარჩუნებული ორივე ჯგუფის ენებში. ევოლუციის თვალსაზრისითაც განსხვავება საანალიზო თანხმოვნებს შორის მინიმალურია: თუ ვიმსჯელებთ ფუძეენური მდგომარეობიდან გამომდინარე, აღმოჩნდება, რომ **გ ქ კ ღ ხ** გუტურალები ნულოვანი რეფლექსაციით არიან წარმოდგენილი. ტიპოლოგიურად მსგავსი უკანაენისმიერთა პალატალიზაცია-აფრიკატიზაციის სპონტანურ-სპორადული ფონეტიკური პროცესები (**გ → ჯ, ქ → ჩ, კ → ჭ**) დასტურდება ქართველური ენებიდან სვანურში, ხოლო ნახური ენებიდან იჩქერიულსა და ინგუშურში.

უკანაენისმიერ თანხმოვნებს შორის დადასტურებულ შესატყვისობებს განვიხილავთ თითოეული წევრი ფონემის მიხედვით.

**§ 34.1. ამოსავალი ველარული ხშულ-მსკდომი გ** ფონემა აღდგება შესატყვისობათა იდენტური **გ** : **გ** სახეობის მეშვეობით. მისი დისტრიბუცია თავისუფალი უნდა ყოფილიყო; დასტურდება როგორც სიტყვის თავში, ისე არაანლაუტურ პოზიციებში. ს.-ქართვ. **გ** : ს.-ნახ. **გ** ბგერათშესატყვისობა გამოირჩევა საილუსტრაციო მასალის სიუხვით.

მჟღერი **გ** გუტურალის პოსტულირება შესაძლებელი ხდება შესატყვისობის შემდეგი ფორმულის მიხედვით:

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
* <b>გ</b>	<b>გ</b>	<b>გ/ქ</b>	<b>გ</b>	<b>გ</b>	<b>გ→ჯ</b>	<b>ქ  გ→მ  ღ</b>	<b>ქ  გ→მ  ღ</b>	<b>გ→ქ  ქ</b>

(1) ს.-ქართვ. \***გალ**-ო „მუხლი; ფეხის ნაწილი თითებიდან წვივამდე“ (ქართ. **გალ**-ო, სვან. **გულ** ←\***გალჷ** ←\***გალ**-ო „მუხლი“) : ს.-ნახ. \***გოლ**-ო „იდაყვი, მუხლი“ (იჩქ. **გულ**ლა, ინგ. **გუოლ**ჷ || **გოლ**ჷ, ბაცბ. **ოლოკ** ←\***ოლოგ** ←\***გოლო** „იდაყვი“);

(2) ს.-ქართვ. \***გად**- „თოხი; მარწუხი, რაღაც ინსტრუმენტი“ (ქართ. **გაზ**-ი „მარწუხი“, ზან. **გოჷ**-ო || **გოჯ**-ო „წისქვილის ნაწილი“, სვან. **გეჯ** „თოხი; წისქვილის ბორბლის სატრიალებელი რკინა“) : ს.-ნახ. \***გერძ**-

„იარალი“ (იჩქ. გერზ || გერძ „იარალი“, ინგ. გერძ || გერცა, ბაცბ. გერწ ←\*გერძ „იარალი, ინსტრუმენტი“);

(3) ს.-ქართვ. \*გობ- „გობი, თეფში“ (ქართ. გობ-ი, ზან. ქოფ-ე ←\*გობ-ე „ბუკი, სკა“, შდრ. ლეჩხ. (← მეგრ.) ქოფ-ე „ხვიმირა, ალატი“, სვან. გტებ ←\*გობ „გობი“) : ს.-ნახ. \*გტიბ-ა „ქილა“ (იჩქ. გიბა, ინგ. გიბზ „ერთგვარი ჭურჭელი“, ბაცბ. ოგიბა<sup>7</sup>);

(4) ს.-ქართვ. \*გუბ- „დაგუბებული, გუბე; დაგუბება“ (ქართ. გუბ-ე, და-გუბ-ებ-ა, ზან. გუბ-ი „გუბე, წყარო“, შდრ. მოხ. გუბ-ი) : ს.-ნახ. \*გუტ- „ბორცვი“ (იჩქ. გუტ ←\*გუტ, ინგ. გუტ, ბაცბ. ოგუტ<sup>7</sup>);

(5) ს.-ქართვ. \*გან- „განი, განიერი“ (ქართ. გან-ი, სი-გან-ე, გან-იერ-ი, ზან. გო- ←\*გონ- „გან- ზმნისწინი“, სვან. გან || გენ, ლგ-გან || ლგ-გენ „განიერი“) : ს.-ნახ. \*გან- „შორი, შორს“ (იჩქ. გენ-ა, გენ-არ-ა „შორეული“, გენ-ა-დალან „მოშორება, განზე გაწევა“, ინგ. გან-ან, გან-არ-ან, გან-ა-დალან "id", ბაცბ. ოგან-ი<sup>7</sup>);

(6) ს.-ქართვ. \*გტამ- „გამობერილი შუატანი, მუცელი“ (ქართ. გვამ-ი „გამობერილი შუატანი (თიხის ჭურჭლისა)“, გამო-გვამ-ვ-ა „გამობერვა“, ზან. გობ-რ-ანჯ „გულ-მკერდი“, შდრ. სვან. (← ზან.) გობ-რ-ანჯ-ან || გობ-რ-ანჯ-ად "id", სვან. გტამ || გტამ „გულ-მუცელი“) : ს.-ნახ. \*გამ-ონ „მრუდე“ (იჩქ. გუმ-ან || გომ-ა, გამ-დან „გამრუდება“, ინგ. გომ-ან, გამ-დდე, ბაცბ. გამ-ონ || გამ-უნ „უსწორმასწორო“, გამ-ნა „ოდრო-ჩოდრო“, გამ-დარ „გამრუდება, მოკაკვა“);

(7) ს.-ქართვ. \*გტამ- „გმობა“ (ქართვ. გმ-ობ-ა, და-სა-გმ-ობ-ი, სვან. გტამ-, ან-გტამ-ე/ან-გტამ-ინ-ე „გმობს“) : ს.-ნახ. \*გამ- „სიძულვილი“ (იჩქ. გამ-ყო, ინგ. გამ-ყო, ბაცბ. ოგამ-<sup>7</sup>);

(8) ს.-ქართვ. \*გეც-არ- „ციკანი; ვერძი“ (ქართ. ოგეცარ-ი<sup>7</sup>, ზან. ქა-ცარ-ი „ციკანი“, სვან. გიცარ || გიცარ „ვერძი“) : ს.-ნახ. \*გაც-ან „თხა“ (იჩქ. განა || განან<sup>5</sup>, ინგ. განან, ბაცბ. განან<sup>5</sup> „თხა“);

(9) ს.-ქართვ. \*ამგალ- „მომიჯნავე, ამხანაგი, მეწყვილე; ნათესავი“ (ქართ. ამგალ-ი || ანგალ-ი || ამგლ-ებ-ი „მომიჯნავეები“, ზან. ოგურ-ი ←\*ომგორ-ი, შდრ. ქართ. (← ზან.) ოგურ-ი „საბა“) : ს.-ნახ. \*ამგირ- „მეწყვილე; ერთი ცოლი მეორის მიმართ“ (იჩქ. ემგარ || ანგირ || ენგირ, ინგ. ენგირ || ენგერ, ბაცბ. ოამგირ<sup>7</sup>);

(10) ს.-ქართვ. \*ლაგ-ინ- „ლოგინი, საწოლი“ (ქართ. ლაგ-, ლაგ-ებ-ა, ზან. ლოგ-ინ-ი, შდრ. ქართ. (← ზან.) ლოგ-ინ-ი, სვან. ლერგიმ || ლელგიმ || ლგინ „მოგრძო სკამი; სკამლოგინი“) : ს.-ნახ. \*მანგ-ე „საწოლი“ (იჩქ. მანგ-ა, ინგ. მანგ-იდ „საწოლი“, ბაცბ. ომანგ-ე<sup>7</sup>);

(11) ს.-ქართვ. \*დიგურ- ←\*დიგტ-ერ- „ეკალი“ (ქართ. დიგურ-ა-დ „ეკალი, ეკალა“, იმერ. დიგვ-ე "id", ზან. დიგირ-ი || დიგერ-ი ←\*დიგურ-ი

„ეკალი“, სვან. ძიგირ || ძეგერ ←\*ძიგურ „ძეძვი“) : ს.-ნახ. \*ძიგტ-ალ-  
„კორძი, ნუჟრი“ (იჩქ. ძტგალ, ინგ. ძუგალ, ბაცბ. ძიგოლ);

(12) ს.-ქართვ. \*მგელ- „მგელი“ (ქართ. მგელ-ი, ზან. გერ-ი || მგერ-ი  
←\*მგარ-ი „მგელი“) : ს.-ნახ. \*ბერგ- ← წ.-ნახ. \*ბგერ- „მგელი“ (იჩქ.  
ბერგ, წუოყ-ბერგ, ინგ. ბერგ, წოყ-ბერგ, ბაცბ. ბერგ);

(13) ს.-ქართვ. \*ბუგ-ურ- „ყვავილი (დაავადება)“ (ქართ. ბუგ-ი,  
ბუგ-ებრ, ზან. ფუქურ-ი || ფუქირ-ი ←\*ბუგურ-ი „ყვავილი“, სვან.  
ბუგურ → || ბუგტირ „ყვავილი (დაავადება)“) : ს.-ნახ. \*ფუგ- „კვირტი  
(მატყლის)“ (იჩქ. ფუგ, ინგ. ფუგ, ბაცბ. ფუგ ←\*ფუგ);

(14) ს.-ქართვ. \*გაწ- „დამჭერი, დამკავებელი“ (ქართ. გაწ-არ-ი  
„გრძლად ნაგები მახე“, სვან. გწ- → || გეწ- || გწ „დაჭერა“, ლე-გეწ  
„დასაჭერი“) : ს.-ნახ. \*ჭეგ- „საკეტი, ურდული“ (იჩქ. ჭეგა, ინგ. ჭეგ,  
ბაცბ. ჭეგ ←\*ჭეგ „ურდული“);

(15) ს.-ქართვ. \*სენგ- „გოგირდი“ (ქართ. სინგ-ურ-ი „მელანი, საღე-  
ბავი“, ზან. შანგ-ი „შავი“, შანგ-იშ-ფერ-ი, შანგ-უა „გაშავება“, შდრ.  
შამგ-ონ-ა „გოგირდოვანი“ (?), ტობ. სამეგრელოში) : ს.-ნახ. \*სანგ-ალ-  
„გოგირდი“ (იჩქ. სანგალ || სემგალ, ინგ. სანგალ, ბაცბ. სანგალ);

(16) ს.-ქართვ. \*თირგ- „სრესა/ზელა“; „დამორჩილება/წაღლეთა“  
(ქართ. თრგ-უნ-ვა „სრესა (საბა), დამორჩილება“, ზან. ღირგ-უ „წამლეთ-  
ტი“, სვან. შგურდ- ←\*შდურგ-, ი-შგურდ-ენ-ი „იზელს (ცომს)“) : ს.-ნახ.  
\*თიგ- „დამორჩილება“ (იჩქ. თიგ-არ, ინგ. თიგ-არ, ბაცბ. თეგ-არ „დამორ-  
ჩილება“);

(17) ს.-ქართვ. \*მაგ- „დარგვა, დამაგრება/დამაგინება“ (ქართ. მაგ-  
არ-ი, ა-მაგ-რ-ებ-ს, და-მაგ-ინ-ებ-ა, ზან. ნოგ-რ-ო || ნორგ-ო ←\*მოგ-რ-ო,  
„ნერგი“, სვან. ლგ- || ლაგ- || ლწგ- ←\*ლწგ- „დარგვა, დამაგრება“, ო-ლაგ  
„დარგო“, ხ-ა-ლწგ-ი „ამაგრებს“) : ს.-ნახ. \*მაგ- „მაგარი, გამაგრება“ (იჩქ.  
მაგ-ა<sup>5</sup> || მაგ-არ „სიმაგრე, შეძლება“, ინგ. მაგ-არ, ბაცბ. მაგ- ←\*მაგ-,  
მაგ-არ „შეძლება“);

(18) ს.-ქართვ. \*დაგ- „სადგისი; სობა, რჭობა“ (ქართ. დგ-, სა-დგ-  
ის-ი, ზან. დგ-, ო-დგ-იშ-ი „სადგისი“, სვან. თგ- || თგ-ირ „სადგისი“,  
ხ-ა-თგ-ენ-ე || ხ-ა-თგ-ი „არჭობს, ასობს“) : ს.-ნახ. \*დ-აგ-/\*დ-ეგ- „დაკერვა,  
კერვა, გამოკერვა“ (იჩქ. თაგ-/თაგ- „კერვა“, დ-აგ- „მოქარგვა“, ინგ. თეგ-  
/თაგ-, დ-აგ-, ბაცბ. თეგ-/თაგ- ←\*თეგ-/\*თაგ- „დაკერება“).

**კომენტარი:** ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. გ : ს.-ნახ. გ სიტყვათა  
ერთ რიგში გ : ქ სახეობით რეალიზდება. ბუნებრივია, ვიფიქროთ გ →  
ქ სპონტანური დაყრუების ფონეტიკურ პროცესზე, რომელიც საერთონა-  
ხურ ფუძე-ენაში განხორციელდა:

(1) ს.-ქართვ. \*გირძ-ილ- || \*ძირგ-ილ- „კბილი, ღრძილი“ (ქართ.  
გრძილ-ი „ღრძილი“, ზან. ჯირჯილ-ი || ← ჯირგილ-ი „ძირა კბილი“) :

ს.-ნახ. \*დაგ-არ „ეშვი, ნისკრატი“ (იჩქ. ზმყოქ || ძმყოქ || ძოქ, ინგ. ძმოქ, ბაცბ. ზოქ ←\*ძოქ „ნისკარტი“);

(2) ს.-ქართვ. \*გარ- „ძებნა; შოვნა“ (ქართ. გარ-, მო-ნა-გარ-ი „გარჯილობით ნაშოვნა“ (საბა), ზან. გორ- „ძებნა“, ო-გორ-უ „ძებნა, საძებნარი“) : ს.-ნახ. \*ქარ- ←\*გარ- „ძებნა, პოვნა“ (იჩქ. ქარ-უო, ინგ. ქარ-უო „ძებნა“, ბაცბ. ქარ-<sup>1</sup>);

(3) ს.-ქართვ. \*გირც- „მრგვალი რამ; ხინკალი/პელმენი“ (ქართ. გირც-ი „ხინკლის სახეობა; პელმენი“, ზან. გირჩ-ი, შდრ. ქართ. (← ზან.) გირჩ-ა) : ს.-ნახ. \*ქირც-უ „პელმენის სახეობა“ (იჩქ. ქურზ-ა || ქურძ- || ქებ. ქირზ-უ, ინგ. ქირძ- || ქირც-, ბაცბ. ქირც-<sup>1</sup>).

**§ 34.2. ამოსავალი ველარული ხშულ-მსკდომი ქ** გუტურული რეკონსტრუირდება ს.-ქართვ. ქ : ს.-ნახ. ქ იდენტური ბგერათშესატყვისობის მიხედვით. ქ : ქ ოპოზიცია თავისი დისტრიბუციით შეზღუდული არ ყოფილა; დასტურდება როგორც სიტყვის თავში, ისე არაანლაუტურ პოზიციებში. ს.-ქართვ. ქ : ს.-ნახ. ქ შეფარდება გამოირჩევა საილუსტრაციო მასალის სიუხვით.

ამოსავალი ქ ფშვინვიერი გუტურალის პოსტულაცია შესაძლებელი ხდება ფონემათმომართების შემდეგი ფორმულის მიხედვით, რომელსაც სქემატურად შემდეგნაირად გამოვხატავთ:

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ქ	ქ	ქ→გ	ქ	ქ	ქ	ქიგ	ქიგ	ქიგ

(1) ს.-ქართვ. \*ქაც- „გაქცევა, სირბილი“ (ქართ. ქეც-, გა-ი-ქეც-ი, ზან. ქუც-, გო-ქუც-ი „გაიქეცი“) : ს.-ნახ. \*ქარჩ- „გორვით სვლა, გაქანება“ (იჩქ. ქარჩ-არ, ინგ. ქარჩ-არ, ბაცბ. ქარჩ-<sup>1</sup>);

(2) ს.-ქართვ. \*ქაც- „სითხის დაღვრა“ (ქართ. ქეც-, ჩა-ი-ქეც, ნა-ქეც-ევი, ზან. ქურჩ-, ღო-ქურჩ-ინ-აფ-ა „სითხის დაქცევა“) : ს.-ნახ. \*ქაჩ-ო „თხევადი“ (იჩქ. ქურჩ-ა || ქებ. ქაჩ-ო, ინგ. ქოაჩ-ა ←\*ქაჩ-ო „თხევადი“, ბაცბ. ქაჩ-ო<sup>1</sup>);

(3) ს.-ქართვ. \*ქეს-არ- „ეჩო (ამოსათლელი)“; „ჭურჭელი (ამოთლილი)“ (ქართ. ქესარ-ი „ეჩო, ამოსათლელი იარაღი“, ზან. ქვიშინ-ი, შდრ. რაჭ. (← ზან.) ქვიშინ-ი „ხის ჯამი“, სვან. ქემუნ-ი || ქემუნ-ი ←\*ქემან-ი „კარავი მთაში“) : ს.-ნახ. \*ქაშ-ან- „საფლავი“ (იჩქ. ქაშ — მრ. ქემნ-აშ, ინგ. ქაშ — ქაშამ-აშ, ბაცბ. ქაშან<sup>1</sup>);

(4) ს.-ქართვ. \*ქურს-ლ- „ქუსლი“ (ქართ. ქუსლ-ი || ← ქურსლ-ი, ზან. ქურს-ი → || ქუს-ი „ქუსლი“) : ს.-ნახ. \*ქორს- „ქაჩაჩი“ (იჩქ. ქარს, ინგ. ქორს „ქაჩაჩი“, ბაცბ. ქორს<sup>1</sup>);

(5) ს.-ქართვ. \*ქურც- „ფუჩეჩი, ქერქი“ (ქართ. ქურც-, ნა-ქურც-ენ-ი „ფუჩეჩი; ქერქი“, ზან. ღო-ქურჩ-ოლ-ა „გაწმენდა, გარჩევა სიმინდისა სა-

ფარისაგან (გარსის შემოცლა)“ : ს.-ნახ. \*ქოუსთ- „ქერქი“ (იჩქ. ქოუსთ „ქერქი“, ინგ. ქოასთ ←\*ქოუსთ, ბაცბ. ქოფსტ<sup>7</sup>);

(6) ს.-ქართვ. \*ქიტ- „ქაფქირი; საწვინე კოვზი“ (ქართ. ქიტ-ი „ქაფქირი; ჩამჩა“, ქიტ-ურ-ა „საწვინე კოვზი“, ზან. ქიტ-ია „ერთგვარი კოვზი“) : ს.-ნახ. \*ქატ-ო „კათხა, ფიალა; ხის დიდი კოვზი“ (იჩქ. ქად || ქადა ←\*ქატა, ინგ. ქად ←\*ქატა "id", ბაცბ. ქატო „ხის დიდი კოვზი“);

(7) ს.-ქართვ. \*ქუ(რ)თ- „ქურდი; ქურდობა“ (ქართ. ქურდ-ი, ქურდ-ობ-ა, ზან. ქვირთ-უ „ქურდი“, დო-ქვირთ-უ „დამალა“, სვან. ქუთით „ქურდი“, ი-ქუთ-ერ || ი-ქუთ-ერ (პდ-ქუთით) „იპარავს“) : ს.-ნახ. \*ქოთ- „ქურდობაცაცობა; ინტრიგა“ (იჩქ. ქუოთ-ალ, ინგ. ქოთ-ალ, ბაცბ. ქოთ-<sup>7</sup>);

(8) ს.-ქართვ. \*ქამ-არ „ქმარი“, \*ქამ-ალ- „მამრი“ (ქართ. ქმ-ალ-ი<sup>7</sup>, ქმ-არ-ი, ზან. ქიმ-ოლ-ი || ქომ-ოლ-ი „ვაჟკაცი, მამრი“, ქომ-ო(ნ)ჯ-ი „ქმარი“) : ს.-ნახ. \*ქომ-ონ „ხვადი, მამრი“ (იჩქ. ქა — ერგ. ქომ-ურ, ქომ-ან „მამრი“, ინგ. ქა — მრ. ქო-მ, ბაცბ. ქომ-ონ<sup>7</sup> „ხვადი, მამალი“);

(9) ს.-ქართვ. \*ქერტ-ელ- „ქერტლი, ქერქი, კანი“, \*ქერტ-ა „წიგნი/ქერქი“ (ქართ. ქართ-ა, ქერტ-ლ-ი || ქერტ-ელ-ი, ზან. ქართ-ო „ქერტლი“, ქართ-ალ-ი „წერილი, წიგნი“) : ს.-ნახ. \*ქართ- „ცხვრის ტყავის ნაჭერი“; „პერგამენტი, ეტრათი“ (იჩქ. ქარდ-იგ || ქარდ-იგ ←\*ქართ-იგ, ინგ. ქარდ-იგ ←\*ქართ-იგ, ბაცბ. ქართ-იკ<sup>7</sup>);

(10) ს.-ქართვ. \*ქუნ- „ჩაცმა; გადაფარება, დახურვა“ (ქართ. შტა-ქუნ-ი || შათ-ქუნ-ი „საბანი“, ზან. ქუნ- „ჩაცმა“, დოლო-ქუნ-უ „ტანისამოსი“, სვან. ლი-ქუნემ „ჩაცმა“) : ს.-ნახ. \*ქუდ-ი „ქუდი“ (იჩქ. ქუდ || ქუდ || ←ქუდა „ქუდი“, ინგ. ქიდ ←\*ქუდ, ბაცბ. ქუდ<sup>7</sup>);

(11) ს.-ქართვ. \*ქარ- „სელი, კანაფი; ქერი“ (ქართ. ქერ-ი, ქერ-ელ-ი „სელის გარეკანი“, სვან. ქან „კანაფი“, ქენ-ჰმ || ქენ-ემ „კანაფის თესლის შეჭამანდი“) : ს.-ნახ. \*ქენ- „შვრია“ (იჩქ. (ითუმყ.) ქენა || ახ. ქენ, ინგ. ქენ „შვრია“, ბაცბ. ქენ<sup>7</sup>);

(12) ს.-ქართვ. \*ქიტ- „ჩუმა-მაწონი“; „ერთგვარი ყველი“ (ქართ. ქივ-<sup>7</sup>, ზან. ქიფ-ურ-ი „ჩუმა-მაწონი“, სვან. ქიტ „ერთი წველა ყველი“) : ს.-ნახ. \*ქირ- „შრათი“ (იჩქ. ქირ, ინგ. ქირ, ბაცბ. ქირ „შრათი“);

(13) ს.-ქართვ. \*ცალქ- „დახრილი, მრუდე; კოჭლი, უსწორმასწორო“ (ქართ. ცალქ-ია „დახრილი“, ზან. ცორქ-ი „მრუდე, აფრაკი“, სვან. ჩალგ-ჰ || ჩორგ-ჰ || ჩორგ-ჰ „კოჭლი“) : ს.-ნახ. \*ცოლქ- „ოდრო-ჩოდრო, უსწორმასწორო“ (იჩქ. ცუოლქ, ინგ. ცოლქ, ბაცბ. ცოლქ<sup>7</sup>);

(14) ს.-ქართვ. \*თქუ- ←\*დ-ექუ- / \*რ-ექუ- → \*რექუ-/რქუ- „თქმა“ (ქართ. თქვ-, ვ-თქვ-ი, ნა-თქვ-ამ-ი, ზან. თქვ- || თქუ-ალ-ა „თქმა“, ი-თქვ-ენ „ითქმის“, სვან. ქუ- →\*თქუ- „თქმა“, ხ-ო-ქუ-ა „უთქვამს“, შდრ. ძვ. ქართ. რქუ- „თქმა“, ზან. რაქვ-ალ-ი „ხმამალა თქმა“, სვან. რჰქუ „თქვა“) : ს.-ნახ. \*დ-ექ- „დაძახება, რქმა“ (იჩქ. დ-ექ-არ, ინგ. დ-ექ-არ,

ბაცბ. დ-ეჟ-არ „დადახება“);

(15) ს.-ქართვ. \*ქტაბ- || \*ბაქტ- „ქვაბი; გამოქვაბული“ (ქართ. ქვაბი || ქტაბი-ი, ზან. ქვიბ-ია „ქვაბი“, სვან. ქტაბ(ა) „ქვაბი“, შდრ. ზან. ფოქვ-ა/ე, სვან. ფოქ ←\*ბაქტ „გამოქვაბული“): ს.-ნახ. \*ბუქი- „მცირე თიხის ქო-  
თანი“ (იჩქ. ბუქა, ინგ. ბუქნ || ბიქნ, ბაცბ. „ბუქი“);

(16) ს.-ქართვ. \*წურქტ- „მწვერვალი (ბასრი)“ (ქართ. წიქტ-ი, ზან. წერქვ-ალ-ი ←\*ქურქვ-ალ-ი „ბასრად ამოწეული, ციცაბო“, სვან. ქუქტ „მწვერვალი“): ს.-ნახ. \*წურქო- „ზედა ბასრბოლოიანი წათლილი ქვა“ (იჩქ. წურქულ, ინგ. წურქულ, ბაცბ. წურქო“).

**კომენტარი:** ზემოთაღწერილი იდენტური რიგის ქ : ქ გუტურალური ბგერათშესატყვისობა საერთო ფუძეთა გარკვეულ ნაწილში რეალიზებულია ს.-ქართვ. ქ : ს.-ნახ. გ ვარიანტის სახით. რაც, რა თქმა უნდა, წარმოიშვა ფუძენახურში მოქმედი ქ → გ ფაკულტატიური გამჟღერების ფონეტიკური პროცესის მეშვეობით. ამასთან დაკავშირებით ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ წინა გ : გ იდენტურ შესატყვისობას გამონაკლისები გამოუჩნდა გ : ქ ქვესახეობით. ე. ი. საერთონახურისთვის ბუნებრივი ყოფილა როგორც დაყრუების გ → ქ, ისე გამჟღერების ქ → გ ფონეტიკური პროცესები:

(1) ს.-ქართვ. \*ქტირ- || \*გტირ- „ვირი, ჯორი; კვიცი“ (ქართ. (თუმ.) ქვირ-ან-აყ-ი „კვიცი“, მთიულ. ქვირ-ა-ქვირ-ა „კვიცის მოხმობის შედახილი“, ზან. ქვირ-ა „კვიცი“, შდრ. ზან. გურ-უნ-ი || გურ-ინ-ი || გერ-ინ-ი || გირ-ინ-ი „ვირი“, სვან. ჰტლ || ჰტილ ←\*გტილ „ჯორი“): ს.-ნახ. \*გტარ- „ცხენი“ (იჩქ. გოტრ, ქისტ. გატრ, ითუმყ. გატრ „ცხენი“, ინგ. გოტრ "id", ბაცბ. „გავრ“);

(2) ს.-ქართვ. \*ქეც-ო „ქერცლი, ფარფლი“ (ქართ. ქეც-ი „ქერცლი“, ზან. ქაც-უ „ფარფლი, ქერცლი“): ს.-ნახ. \*გიჩ-ო „თმა საფეთქელზე“ (იჩქ. გიჩ-უო || ჰებ. გიჩ-აჟ, ინგ. გიჩ-იგ, ბაცბ. „გიჩ-ო“);

(3) ს.-ქართვ. \*ქოც-ო „ბატარა ქილა, მომცრო ჭური“ (ქართ. ქოც-ო, ზან. ქუჩუ || ქუჩუ-ია „ერთგვარი ჭურჭელი“): ს.-ნახ. \*გორჩ- „ფილ-  
თა“ (იჩქ. გუორჩ, ინგ. გურჩ, ბაცბ. გორჩ „ფილთაქვა“, მოხკ-გორჩ "id");

(4) ს.-ქართვ. \*წიქ-არ- „წითელი“ (ქართ. წიქ-არ-ა „წითელი ზრო-  
ხა; წითელი“ (საბა), ზან. წიქ-ორ-ი „წითელი“, წიქ-ორ-ია (ანთროპ.)): ს.-ნახ. \*წეგ-ენ „წითელი“ (იჩქ. წეგენ ←\*წეგ-ენ, ინგ. წე ←\*წეგ-ენ, ბაცბ. წეგ-ენ „წითელი“).

**§ 34.3. ამოსავალი მკვეთრი ხშულ-მსკდომი კ გუტურალი**  
აღდგება ბგერათშესატყვისობათა ს.-ქართვ. კ : ს.-ნახ. კ იდენტური სახეობის საფუძველზე. კ : კ ოპოზიცია გამოირჩევა საილუსტრაციო მასალის სიმდიდრით. მისი დისტრიბუცია თავისუფალია; გამოჩნდება როგორც მორფემათა თავში, ისე არაანლაუტურ პოზიციებში.



როგორც ქვემოთ მოცემული სქემიდან ირკვევა, ფუძეეწერი წარმო-  
მავლობის აბრუბტიული კ გუტურალი ძირითადად უცვლელად არის და-  
ცული ყველა საანალიზო ენაში:

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*კ	კ	კჲ	კ	კ	კ	კ→/ყ/გ	კ→/ყ/გ	კ→/ყ

(1) ს.-ქართვ. \*კანთ-(ურ-) „შვილი, ნაშიერი, ბიჭი“ (ქართ. კანთ-  
ურ-ა „კატის კნუტი“, ზან. კინტ-ო ←\*კინთ-ო „ბიჭი, ვაჟი“, სვან. კანდ-  
რეტ ←\*კანთ-რეტ „არჩვის ნაშიერი“) : ს.-ნახ. \*კანთ- „ბიჭი; ვაჟიშვილი“  
(იჩქ. კანთ; ინგ. კანთ „ვაჟაკი“, ბაცბ. კნათ ←\*კანთ);

(2) ს.-ქართვ. \*კეტ- „კევი; ღეჭვა“ (ქართ. კევ-ი, კევ-ნ-ა „ღეჭვა“,  
მ-კვ-არ-ი „ფიჭვის სანთელი“, ზან. კავ-ი „აბედი“, მკორ- || ნკორ- „ცოხ-  
ნა“, სვან. კჷკი ←\*კჷტ-კი (რედუბლ.) „კევი“) : ს.-ნახ. \*კიტ- „კევი“ (იჩქ.  
კჷ || კჷტ, ინგ. კუტ, ბაცბ. კივ);

(3) ს.-ქართვ. \*კატ- „კავი, დასაკავებელი“ (ქართ. კავ-ი, კატუჷ-ი  
←\*კავ-უჷ-ი, და-კავ-ებ-ა, ზან. კალუ ← კალტ-ი ←\*კოტ-ი „კავი“, სვან.  
ლა-კჷტ „დასაკავებელი“) : ს.-ნახ. \*კატ- „სახელური, ტარი“ (იჩქ. კად  
←\*კატ, ინგ. კჷდ ←\*კჷტ, ბაცბ. «კავ»);

(4) ს.-ქართვ. \*კალ- „მწარე“ (ქართ. კალ-, წან-კალ-ებ-ა „წამწარე-  
ბა“, ამო-ნა-კალ-ებ-ა „ამომწარება“, ზან. კოლ-, დე-კოლ-უ „მწარე გახდა“,  
კოლ-ო || ნკოლ-ო „მწარე“) : ს.-ნახ. \*კონ- „მწარე“ (იჩქ. კონ || კუნ  
„მწარე, მკვახე“, ინგ. კომ-ჲ "id", ბაცბ. კონ-ონ „მწარე“);

(5) ს.-ქართვ. \*კალი- „კალია“ (ქართ. კალი-ა, ძვ. ქართ. მ-კალი-ი,  
ზან. კოლი-ი || ნკოლი-ი „კალია“) : ს.-ნახ. \*კელი-ო „კრაზანა, ბზიკი“ (იჩქ.  
კელი, ინგ. კელი, ბაცბ. კელ ←\*კელ ო „კრაზანა“);

(6) ს.-ქართვ. \*კარი- „კერია; ფიქალის ქვა, კერიის ქვა“ (ქართ.  
კერი-ა, კერი-ი-ის ქვა, ზან. კირ-ა → || კერი-ა „კერია“, სვან. კა(რ) — მრ.  
კჷრ-ჲლ „ფიქალის, კერიის ქვა“, ლე-კჷრ-ე || ლე-კარ-ე „საფიქალე“) :  
ს.-ნახ. \*კორ-ა „ნახშირი“ (იჩქ. კჷორა || კორა, ინგ. კორ, ბაცბ. კორ  
„ნახშირი“, კორ-ბაკბუდნჲ „მენახშირე“);

(7) ს.-ქართვ. \*კოკელ- „ქუსლი“ (ქართ. კოკელ-ი „ქუსლი; თადის  
ფეხის საბრჯენი“, ზან. კონკერი-ი „კანჭი, წვივი“) : ს.-ნახ. \*კაკ- ←\*კჷაკ-  
„ქუსლი“ (იჩქ. კჷჷა ←\*კჷჷაკ-ა, ინგ. კოჷჷ-უჷტ ←\*კოკ-უჷტ „ქუსლი“, ბაცბ.  
კჷჷაკ ←\*კჷჷაკ „ქუსლი (ფეხისა, კარისა“);

(8) ს.-ქართვ. \*კონკ- „ძველი ტანსაცმელი“ (ქართ. კონკ-ი, კონკ-  
ებ-ი, ზან. კენკ-ი || კინკ-ი „კონკები“) : ს.-ნახ. \*კოკ- „ტყაბუჭი“ (იჩქ.  
კჷოგ || კჷოგ ←\*კჷოკ, ინგ. კოგ ←\*კოკ, ბაცბ. კოკ „ტყაბუჭი“);

(9) ს.-ქართვ. \*კანძ- „მატყლი (ერთი ცხვრის ნაბარსი)“ (ქართ.

კანძ-ი, სვან. კარძ „წაღა“, მგ-კარძ-ალ-ი „მეწაღე“) : ს.-ნახ. \*კეჯ- „მატყელი (ერთგვარი)“ (იჩქ. კეჟ || კეჯ „ერთგვარი მატყელი“, ინგ. კეჯ || კეჰ „id“, ბაცბ. კეჟ ←\*კეჯ „მატყელი“);

(10) ს.-ქართვ. \*კოწ-ოლ- „თმის ნაწნავი“, „ქოჩორი“, ქართ. კოწ-ოლ-ი, ზან. კუჭულ-ი „ქოჩორი“) : ს.-ნახ. \*კუჭ- „ქოჩორი“ (იჩქ. კუჟ || კუჯ ←\*კუჭ, კუჟ-ალ || კუჯ-ალ „თმის ვარცხნილობა“, ინგ. კუჰ || კუჟ- ←\*კუჭ, ბაცბ. კუჭ „ქოჩორი“);

(11) ს.-ქართვ. \*კუწ- „კუწუბი, კუწუწი“ (ქართ. კუწ-უბ-ი, კუწ-უწ-ი, ზან. კუჭ-უჭ-ი „ქოჩორი“, კოჭ-ო ←\*კუჭ-ო „ქოჩორა“, სვან. კუწ-ილ || კუწ-ილ ←\*კუჭ-ილ „კუწუბი“) : ს.-ნახ. \*კოწ-ოლ- „კულული“ (იჩქ. კუწ-ოლ || კუწ-ოლ ←\*კოწ-ოლ „გრძელი დახვეული თმა“, ინგ. კუწ-ოლ || კოძლ „კულული“, ბაცბ. კოწ-ოლ „ნაწნავი“);

(12) ს.-ქართვ. \*კოწ- „მწვერვალი, კენწერო“ (ქართ. კოწ-ოლ-ა „კენწერო“, ზან. კუჭ-ან-ი „თავი, კენწერო“) : ს.-ნახ. \*კუჭ- „მთის წვერი“ (იჩქ. კუჟ || კუჯ ←\*კუჭ, ინგ. კუჰ || კუჯ ←\*კუჭ, ბაცბ. კუჭ);

(13) ს.-ქართვ. \*კოწ- „მდუღარე, ცხელი, ცეცხლი“ (ქართ. კოწ-ოლ-ი „ცეცხლის ალი“, „ძლიერი დუღილი“, ზან. კოჭ-ობ-ი „ჭრაქი, კაშკაშა“, სვან. გერ-გეჭ ←\*კოჭ-კოჭ „ჯოჯობეთი“) : ს.-ნახ. \*კ(უ)ეჭ- „დუღილი, ცხელი“ (იჩქ. კეჯ ←\*კეჭ, ინგ. კეჰ || კეჯ ←\*კეჭ, ბაცბ. კეჭ, კეჭ-მახარ „დუღილი“);

(14) ს.-ქართვ. \*კერტ- „გაფრცქვნა, გასხება; საფარველის შემოცლა“ (ქართ. კლერტ-ა, გა-კლერტ-ვ-ა, ზან. კანტ-არ-უ-ა „გასხება“) : ს.-ნახ. \*კატ-უ „დუქარდი; საკრეჭი მაკრატელი“ (იჩქ. ჭუოდა ←\*კადუ, ჭებ. ჭადუ ←\*კადუ, შდრ. ქისტ. კოდ, ინგ. ჭოდ ←\*კადუ „დუქარდი“, ბაცბ. ყაბტუ ←\*კატუ "id");

(15) ს.-ქართვ. \*ბერკ- „ფეხი“ (ქართ. ბერკ-, კუარცხლ-ბერკ-ი, ზან. ბარკ-, ე-ბარკ-ან-უ-ა „ფეხის აკაბიწება“, სვან. ბარკ-ან || ბარკ-ან „მრუდე-ფეხა (კოჭლი)“) : ს.-ნახ. \*ბერკ- „ფლოქვი“ (იჩქ. ბერგ ←\*ბერკ, ინგ. ბარგ || ბარგ ←\*ბარკ, ბაცბ. ბერკ);

(16) ს.-ქართვ. \*კაწ- „წვივი, კოჭი“ (ქართ. კაწ-არ-ი „ბრჭყალი“, ზან. კოჭ-ი || კონჭ-ი „კოჭი“, სვან. გაწრ ←\*კაჭ-არ „წვივი“) : ს.-ნახ. \*წიკ- „წვივი, კანჭი“ (იჩქ. წიგ ←\*წიკ, ინგ. წიქ || წიგ ←\*წიკ, ბაცბ. წიკ „წვივი“);

(17) ს.-ქართვ. \*წუჟ- „პატარა ქვაბი“ (ქართ. წუჟ-ალ-ა „პატარა ქვაბი“, ზან. ჭუჟ-ა || ჭურჟ-ა || ჭუჟ-ან-ი „ქვაბი“) : ს.-ნახ. \*ჭუჟ- „ყანწი; ერთგვარი ჭურჭელი“ (იჩქ. ჭუგ ←\*ჭუჟ „ერთგვარი ჭურჭელი“, ინგ. ჭუქ || ჭუგ ←\*ჭუჟ, ბაცბ. ჭუჟ „ყანწი“);

(18) ს.-ქართვ. \*ტლაკჷ- „მკლავი; ტლაკვი“ (ქართ. ტაკჷ-ი, ტლაკვი-ი, ზან. ტორკ-ი „ტლაკვი“) : ს.-ნახ. \*ტალკ- „თითი“ (იჩქ. ტალგ || ტელგ ←\*ტალკ „თითი“, ინგ. ტელგ ←\*ტელკ "id", ბაცბ. ტარკ „თითი; საგნის პირი“);

(19) ს.-ქართვ. \*წეკ-ო „თამბაქო“ (ქართ. წეკ-ო || წეკ-უა, ზან. ჰიკ-ო, შდრ. იმერ. (← ზან.) ჰიკ-ო) : ს.-ნახ. \*ჰეკ- „მწვანე ლობიო“ (იჩქ. გიჟ-უ ←\*გიჟ-უ ←\*ჰიკ-უ „მწვანე კიტრი“, ინგ. გიჟ || გიჟ ←\*ჰიკ-უ "id", ბაცბ. ჰეკ „მწვანე ლობიო“);

(20) ს.-ქართვ. \*დიკ-ა „ხორბალი (სახეობა)“ (ქართ. დიკა „ხორბლის ჯიში“, ზან. დიკა „ხორბალი“, შდრ. მეგრ. დი-არ- ←\*დიკ-არ- „ბურობა, დაპურება“) : ს.-ნახ. \*დიკ-ო „ბრინჯი“ (იჩქ. დუგა || ← დიგუ ←\*დიკუ „ბრინჯი“, ინგ. დუგან ←\*დიკუ, ბაცბ. 'დიკო');<sup>1</sup>

(21) ს.-ქართვ. \*ცხტიკ- „ჩხიკვი“ (ქართ. ჩხიკჷ-ი || ჩხიკჷ || ჩხვიჩკ-ი, ზან. ჩხვიჩკ-ი || ჩხვიჩკ-ი „ჩხიკვი“, სვან. ცხეკჷ → || ცხნკჷ „ქორი“) : ს.-ნახ. \*ფსიკ- ←\*ცტიკ- „რწყილი“ (იჩქ. სანგ-ალ || საგ-ალ ←\*ფსაკ-ალ, ინგ. საგ-ალ ←\*ფსაკ-ალ, ბაცბ. ფსიკ).

**კომენტარი:** ზემოთაღწერილი იდენტური კ : კ ბგერათშესატყვისობა სიტყვათა გარკვეულ ნაწილში რეალიზებულია ს.-ქართვ. კ : ს.-ნახ. ყ ალოფონის სახით. კ-ს ფარინგალიზაციით (resp. კ ← ყ) მიღებული ეს ბგერათფარდობა ტიპოლოგიურად მსგავს პარალელს პოვებს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, შდრ. ხუნძ.-ანდ. კ : დიდ. ყ — ხუნძ. ჭუნკ, ანდ. ჰინკჷა..., ჰამ. ჰეკჷად „თავი“ : დიდ. აყჷ, ხვარშ. აწყჷა "id"... იგივე კ || ყ სუბსტიტუცია ბუნებრივად გამოიყურება ერთი ენის შიგნითაც, რაც ქართველურ ენათა მასალაშიც გამოჩნდება, შდრ. ზან. (მეგრ.) ჟვარ-ია || კვარ-ია „ყვავი“, ყებ-ურ-ი || კებურ-ი „ყვერბი, კერია“..., სვან. ყალიბ || კალიბ „ყალიბი“, კაბან || ყანბა „ქვედა ყბა“... ქვემოთ მოტანილი მასალა ამოწმებს როგორც კ → ყ ისე, საპირისპირო ყ → კ ფონეტიკური პროცესების რეალურობას:

(1) ს.-ქართვ. \*კეც- „ტყავი“ (ქართ. კეც-ი, რბილ-კეც-ი, ჩვილ-კეც-ი, ზან. კაშ-ია (ანთრობ.), შდრ. სომხ. (← ზან.) კაშ „ტყავი“, სვან. კეშ || კეშ „ტყავაჭი“) : ს.-ნახ. \*ყერც- „გაუხეშებული, გამაგრებული ტყავი“ (იჩქ. ყერს-იგ || ყერც-იგ || კერც-იგ, ინგ. ყერც-იგ, ბაცბ. 'ყერც-იგ');<sup>2</sup>

(2) ს.-ქართვ. \*კრუტ- „კრუხი“ (ქართ. კრუტ-ი „ბარტყის დედა“ (საბა), ზან. კურტ-ი „კრუხი“) : ს.-ნახ. \*ყურტ- „კრუხი; დაკრუხება“ (იჩქ. ყურდ-იგ „კრუხი“, ყურდ-მოლა<sup>5</sup> „დაკრუხება“, ინგ. ყურდ-იგ „კრუხი“, ბაცბ. 'ყურტ-');<sup>3</sup>

(3) ს.-ქართვ. \*კჷილ- „კუნძი, ჯორკო; ხის დაბალი სკამი“ (ქართ. (ლექს.) კვილ-ო „პატარა კუნძი“, ზან. კველ-ა ←\*კვილ-ა „დაბალი ხის სკამი“, კულ-ი ←\*კვილ-ი „სკამი“, სვან. კჷილ „ჯორკო; კუნძი“) : ს.-ნახ.

\*ყუნ- „ფიცარი“ (იჩქ. ცუ — ერგ. ცუნ-უო, ინგ. ცუ ←\*ყუნ „ფიცარი“, ბაცბ. <sup>7</sup>ყუნ);

(4) ს.-ქართვ. \*კათხ-ა „კათხა/კოთხო (ხის)“ (ქართ. კათხ-ა, ზან. კოთხ-ო || კორთხ-ო „ხის ჭურჭელი (მარცვლეულის საწყაო)“, სვან. კათხ ←\*კათხ-ა „ხის ფეხებიანი სასმისი“) : ს.-ნახ. \*ყორთხ-ოლ- „ჭურჭელი“ (იჩქ. ცუორთხალ || ცორთხოლ, ინგ. ცოართხალ, ბაცბ. <sup>7</sup>ყორთხოლ);

(5) ს.-ქართვ. \*ლეკჷ- „ნაშიერი; ლეკვი“ (ქართ. ლეკვი || ლეკვ || ლეკჷ-ი „ნაშიერი“, ზან. ლაკვი → || ლაკვი || ლაკჷ-ი || ლაკ-ოტი „ლეკვი“) : ს.-ნახ. \*ლეყჷ- „მწყერი“ (იჩქ. ლეყ, ინგ. ლეყ || ლეყ, ბაცბ. ლეყჷ „მწყერი“);

(6) ს.-ქართვ. \*კუახ- „მკვახე“ (ქართ. კვახ-ი, მ-კვახ-ე, ზან. კოხ-ა „მკვახე (ყურძენი)“, „უმწიფარი ყურძნის მკვახე წვენი“, სვან. კუინჷ || კუხჷ ←\*კუახ-ო „მკვახე“) : ს.-ნახ. \*ყაჷ- „მწარე“ (იჩქ. ყაჷ-ა<sup>5</sup> || ყაჷ-ა, ინგ. ყაჷ-ა „მწარე“, ბაცბ. ყაჷ-ა<sup>5</sup> "id").

**§ 34.4. ამოსავალი უკანაენისმიერი მჟღერი** დ სპირანტი რეკონსტრუირდება ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ლ იდენტური ბგერათშესატყვისობის ნიადაგზე. ლ : ლ ოპოზიცია დისტრიბუციით შეზღუდული არ ყოფილა; დასტურდება როგორც მორფემათა ანლაუტში, ისე არაანლაუტურ პოზიციებში. ლ-ს პარადიგმატული ფუნქციონირების სინშირული კოფიციენტი მაღალი უნდა ყოფილიყო, რასაც საილუსტრაციო მასალის თვალშისაცემი სიუხვე ნათლად გამოაჩენს.

ღ მჟღერი სპირანტის რეფლექსაციის ფორმულა, რომლის საფუძველზეც ხდება მისი რეკონსტრუქცია საანალიზო ფუძე ენების მიხედვით, შემდეგნაირი სქემით გამოისახება:

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ღ	ღ	ღ/ყ	ღ	ღ	ღ	ღ ყ	ღ ყ	ღ ყ

(1) ს.-ქართვ. \*ღერძ- „ღერძი; ფეხი“ (ქართ. ღერძ-ი, გა-ღერძ-ვა „ღერძის გაყრა“, ზან. ღანჯ-ი „წვივი; ფეხი“) : ს.-ნახ. \*ღაჯ- „ტარი“ (იჩქ. ღაჷ || ღაჯ „ტარი (გაყრილი ხელმოსაჭიდად თოხში, ბარში...)“, ინგ. ღაჯ "id", ბაცბ. <sup>7</sup>ღაჯ);

(2) ს.-ქართვ. \*ღუზ- „ღუზა; მოკიდება, ჩაბლაუჭება“ (ქართ. ღუზ-ა, ზან. ღუზ-ა „ღუზა“, ო-ღუზ-უ(ნ) „ებლაუჭება, ჩამოკიდებულება“) : ს.-ნახ. \*ღოზ- „სამაჯური, მჭიდი“ (იჩქ. ჰუოზ || ჰოზ ←\*ღოზ, ინგ. ღოზ „სამაჯური“, ბაცბ. <sup>7</sup>ღოზ);

(3) ს.-ქართვ. \*ღიდ- „გალიზიანება, გაბრაზება“, \*ღიდ-ო „ღრძო“ (ქართ. ღრძ-ო, გულ-ღრძ-ო, ღრძ-ობ-ა, სვან. ღიჯ-უ || ღიჯ-ჷ „გაბრაზებუ-ლი“, ლი-ღჯ-გნ-ე „გაბრაზება, გალიზიანება“) : ს.-ნახ. \*ო-ღად- „გაბრაზება, განრისხება“ (იჩქ. ოღად-ღანა<sup>5</sup>, ინგ. ეღად-ღანა "id", ბაცბ. <sup>7</sup>ოღად-<sup>7</sup>);

(4) ს.-ქართვ. \*ღერთ- „ჩოხა; ნაბადი“ (ქართ. ღართ-ი ←\*ღერთ-ი

„საწვიმარი ნაბადი“, რაჭ. „მოკლე ნაბადი“, ზან. ლართ-ი „ჩონა“, ლართ-ი დო კაბა „ჩონა-ახალუხი“, სვან. ღწრთ ←\*ღერთ „ნაბადი“) : ს.-ნახ. \*ლაჟთ-ალ- „ხიფთანი“ (იჩქ. ლოჟთალ || ლაჟთალ, ინგ. ლოჟთალ "id", ქმეთარ- „ლოჟთალ „ჯუბა“, ბაცბ. «ლაფთალ»);

(5) ს.-ქართვ. \*ლად-ენ-/-ინ- „განსჯა, სამართლის ქმნა“ (ქართ. ლდ-ინ-ი „განსჯა, რჯული, სარწმუნოება“, ზან. ლდ-ან-ა ←\*ლდ-ან-ა „განსჯა, ძრახვა“, სვან. ლედ „სამართალი“, ი-ლ-ლედ-ი „განსჯის“) : ს.-ნახ. \*ლოდ-ან- „ჯარიმა, დაჯარიმება“ (იჩქ. ლუდა — მრ. ლუდან-აშ „ჯარიმა“, ინგ. ლოდ "id", ბაცბ. «ლოდ»);

(6) ს.-ქართვ. \*ღერღ- „ლაპარაკი; ყბედობა“ (ქართ. ლერღ-ვ-ა, სა-ღერღ-ელ-ი „სალაპარაკო“, ზან. ლარღ-ალ-ი || ო-ღარღ-ალ-უ „ლაპარაკი (უთავბოლო)“, უ-ღარღ-უ-ან-ს „ძლივს აქნევს, ლერღავს“) : ს.-ნახ. \*ღერღ- „ბღავილი“ (იჩქ. ლღერღ-არ, ინგ. ლერღ-ვ || ლერღ-ვარ „ბღავილი“ ბაცბ. «ღერღ-»);

(7) ს.-ქართვ. \*ღულ- „სიმრუდე, გაღუნვა“ (ქართ. ლულ-ი || მ-ღულ-ი „ნამგალი“ ← ეტ. „მოღუნული“, ზან. ლულ-ა „მოხრილი“, სი-ღულ-ა „სიმრუდე“, თოლ-ღულ-ა „ელამი“, სვან. ლულ-ა-ღ „მუხლი“ ← ეტ. „მოღუნული“) : ს.-ნახ. \*ა-ღორ- „მრუდე, ირიბი“ (იჩქ. აღუორ || აღორ, ინგ. ოაღორ "id", ბაცბ. «აღორ»);

(8) ს.-ქართვ. \*ღონ- „ღონე, ძალა; შეძლება“ (ქართ. ღონ-ე, ღონ-იერ-ი, ღონ-ებ-ა, სვან. ლჷენ || ლენ „შეძლება, ძალა“) : ს.-ნახ. \*ღორ- „სიძლიერე ფიზიკური; ძალოვნება“ (იჩქ. ლუორ-ა „ფიზიკური ძალა“, ინგ. ღორ "id", ბაცბ. ღორ-ინ „ძალუმი“);

(9) ს.-ქართვ. \*ღელ-ა „ღელე, პატარა ხვევი“ (ქართ. ლელ-ე „ხვევი, პატარა მდინარე“, ზან. ლალ-უ || ლალ-გ || ლალ-ი „ღელე“, სვან. ლელ-ა „პატარა მდინარე“) : ს.-ნახ. \*ლაჟ- „თხრილი“ (იჩქ. ლაჟ || ლაღ, ინგ. ლაღ ←\*ლაჟ, ბაცბ. «ლაღ»);

(10) ს.-ქართვ. \*ღირ- „ღირებული, ღირსი; ღირება“ (ქართ. ღირ-ებ-ა, სა-ღირ-ალ-ი, ზან. ო-ღირ-უ „ღირება“, მ-ი-ღირ-უ „მიღის“, მო-ღირ-ე || მო-ღ-ე „მაქნისი, ღირებული“) : ს.-ნახ. \*ღალ- „ვარგისიანობა, გამოსადეგობა“ (იჩქ. ლალ-, ინგ. ლალ-, ბაცბ. ლალ-დარ „ვარგისად მიჩნევა“);

(11) ს.-ქართვ. \*ღობ- „ღობვა“, \*ღობ-ე „ღობე“ (ქართ. ღობ-ე, სა-ღობ-ი, ღობ-ავ-ს, ზან. ღობ-ერ-ი „ღობე“, ო-ღობ-უ „ღობვა“, სვან. ღობ → || ლჷებ „სკა“) : ს.-ნახ. \*ღოჟ- „კედელი“ (იჩქ. ლოჟ || ლოღ „კედელი“, ინგ. ლოჟ "id", ბაცბ. «ლოჯ»);

(12) ს.-ქართვ. \*ღებ- „ღებვა, საღებავი“ (ქართ. ლებ-ავ-ს, მ-ღებ- (ვ)არ-ი, მ-ღებ-რ-ი, სა-ღებ-ავ-ი, ზან. ო-ღაფ-უ „ღებვა“, ო-ღაფ-ულ-ა „სა-ღებავი“, ლამფ-უ „მური“, შდრ. სვან. ლაფ-/ღფ- ← ზან. ლაფ-) : ს.-ნახ. \*ღარბ- „შავი საღებავი“ (იჩქ. ლარბ-ჟ, ინგ. ლარბ-ჟუ, ბაცბ. «ღარბ-»);

(13) ს.-ქართვ. \*ბღერ- „მღერა; სიმღერა“ (ქართ. მღერ-ა, სი-მღერ-ა, ზან. ბირ- ←\*ბღირ- „მღერა“, „სიმღერა“, სვან. ბრ- || ღრ- ←\*ბღრ- „მღერა, სიმღერა“) : ს.-ნახ. \*ბარღ-ულ „მამალი“ (იჩქ. ბორღალ || ბორღულ || ბარღულ, ინგ. ბორღალ „მამალი“, ბაცბ. ბარღულ);

(14) ს.-ქართვ. \*ღტაწ- „ლაწვი, ლოყა“ (ქართ. ლაწტ-ი || ლაწვ || ლაწვი-ი „ლოყა“, ზან. ღვანწკ-ი || ღვანწკ-ილ-ი „ლოყა, ყბა“, სვან. ღწჷ-ა ←\*ღტაჷ-ა „ლაწვი“) : ს.-ნახ. \*ჭამაღ- „ლოყა, ლაწვი“ (იჩქ. ჭამაღ, ინგ. ჭამაღ, ბაცბ. ჭამაღ „ლოყა“);

(15) ს.-ქართვ. \*ზაღტა- „ზღვა“ (ქართ. ზღვა || ზღტა-ა, ზან. ზოღა || მ-ზოღა || ზუღა „ზღვა“, სვან. ზუღტა → || ძუღტა „ზღვა“) : ს.-ნახ. \*ჟაღა „ქვიშა“ (იჩქ. ჟაღა „ქვიშა (მსხვილი)“, ინგ. ჟაღ „ლორღი“, ბაცბ. ჟაღა);

(16) ს.-ქართვ. \*პაღტ- „კუზი“ (ქართ. პაღვ || პაღვ-ი „დიდი მუცე-ლი“, ზან. პუხუ || ← პუღუ ←\*პოღვ-ი „კუზი“) : ს.-ნახ. \*მაღუ- „კუდი“ (იჩქ. მუღ „კუდი“, მუღლა ←\*მუღ-ლა „საძუე“, ინგ. მუღ "id", მუღღ ←\*მუღ-ლა "id", ბაცბ. მუღ „კუდი“);

(17) ს.-ქართვ. \*ძარღტ- „ძარღვი“ (ქართ. ძარღტ-ი || ძარღვ || ძარღვ-ი, ზან. ჯერღვ-ი ←\*ჯორღვ-ი „ძარღვი“, სვან. ჯარღტ "id") : ს.-ნახ. \*ძორღ- „კუჭი“ (იჩქ. ძორხ → || ზორხ, ინგ. ძორხ || ძორღ „კუჭი“, ბაცბ. ძორხ);

(18) ს.-ქართვ. \*ძეღტ- „გადღოლა, მიძღვნა“, \*ძეღტ-ენ- „ძღვენი“ (ქართ. წარ-ჟ-ძეღტ), მო-ძღვ-არ-ი, ძღვ-ენ-ი, ზან. ჯღ-ონ ←\*ჯღვ-ან- „ძღვნა“, ნჯღვ-ერ-ი = მ-ძღოლ-ი, სვან. ჟღტ-ჟოღტ- ←\*ჯეღტ- „გადღო-ლა“) : ს.-ნახ. \*ძაღ- „საჩუქარი; საჩუქრის მირთმევა“ (იჩქ. ზაღა || ძაღ, ინგ. ძაღ „საჩუქარი“, ბაცბ. ძაღ-);

(19) ს.-ქართვ. \*დიღტ-ამ- „ნიადაგი (ნოყიერი)“ (ქართ. დიღომ-ი ← დიღტამ-ი (ტოპ.), სვან. დიღტამ „ნიადაგი, ნოყიერი მიწა-ადგილი“) : ს.-ნახ. \*თაღტ-ე ←\*დაღტ-ე „ველი, დაბლობი ადგილი“ (იჩქ. თუღღე, ინგ. ა-თაღე, ბაცბ. თაღღე);

(20) ს.-ქართვ. \*ღიტ- „ამონაზარდი თესლიდან; ყვავილი“ (ქართ. ღვი-ი, ღვი-დ-ებ-ა, ზან. ღვ „ღვი, ღოჯი“, სვან. ღტ- ←\*ღიტ, მუ-ღტ-ამ „ყვავილი“) : ს.-ნახ. \*ღან- „ფურცელი/ფოთოლი“ (იჩქ. ღან — ერგ. ღან-უო, ინგ. ღან — ერგ. ღან-უო, ბაცბ. ღან „ფურცელი“).

**კომენტარი:** ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ღ : ს.-ნახ. ღ სიტყვა-თა გარკვეულ კატეგორიაში წარმოდგენილია ღ : ყ ოპოზიციის სახით. რასაც ღ → ყ ფარინგალიზაციის საერთონახური ფონეტიკური პროცესი დაედო საფუძვლად. ღ : ყ ქართველურ მასალაშიც გამოჩნდება, შდრ. ქართ. ღვიძლ-ი : ზან. ღვინჯ-ა : სვან. ყტიყე "id"...

(1) ს.-ქართვ. \*ღუარძ- „ღვარძლი, შხამი“ (ქართ. ღვარძლ-ი, ღვარძლ-ა (მცენ.), ზან. ღურძ-ულ-ი „შხამი“, ღვანძგ-ი || ღვანძგ-ირა (→ იმერ. ღვანძგ-ილა) „ღვარძლა“, სვან. ღოსგ || ღოსკ „ღიმი“ ← „ღვარძლა“) : ს.-ნახ. \*ყუნძ- „ძმარი“ (იჩქ. ყუნძა || ყუნძა „ძმარი“, ინგ. ყანძ ← \*ყუნძ "id", ბაცბ. ოყუნძ);

(2) ს.-ქართვ. \*ძალ-ა „ერთგვარი საღებავი“ (ქართ. ძალ-ა, ზან. ჯულ-ა „ჭრელი“, ჯულ-ა (ანთრობ.), სვან. ჟალ ← \*ჯალ-ა „ნარინჯისფერი“) : ს.-ნახ. \*ჟაჟე „მელანი“ (იჩქ. შდეჟ-ა || ჰებ. ჟაჟე „მელანი“, ინგ. შაჟ-ე || ჟაჟ-ე "id", ბაცბ. ოჟაჟ-ე, შდრ. ქიზიყ. (← ბაცბ.) მ-ჟაჟე „მჟავე“);

(3) ს.-ქართვ. \*ბალ-ა „ჭილუა, მუხვი“ (ქართ. ბალა „დიდი კუ“, ზან. ფულუ „თხუნელა, მუხვი“, სვან. მულულ || ბულულ „ჭილუა“) : ს.-ნახ. \*მოლყ-ა „ხელიკი“ (იჩქ. მოლყა „ერთგვარი ხელიკი“, ინგ. მელცა ← \*მოლყა, ბაცბ. ომოლყა);

(4) ს.-ქართვ. \*ულელ- „ულელი“ (ქართ. ულელ-ი, ულ-ლ-ელ-ი, ზან. ულ-უ „ულელი“, სვან. ულ-უ-ა || ულ-უ-ა „ულელი“) : ს.-ნახ. \*დ-უყ- „ულელი“ (იჩქ. დ-უყ, ინგ. დ-უყ, ბაცბ. დ-უყ „ულელი“);

(5) ს.-ქართვ. \*ძალ-ალ- „ძალი“ (ქართ. ძალ-ი, ზან. ჯოლორ-ი „ძალი“, სვან. ჟელ "id", ჟელუ-ილუ „ძალყურძენა“) : ს.-ნახ. \*ძოყ- „ფოცხვერი; გარეული კატა“ (იჩქ. წოყ || წოყ, ინგ. წოყ, ბაცბ. ოწოყ).

**§ 34.5. ამოსავალი უკანაენისმიერი ყრუ ფშვივნიერი ხ სპი-**

რანტი რეკონსტრუირდება იდენტური ს.-ქართვ. ხ : ს.-ნახ. ხ შესატყვი-სობის საფუძველზე. ხ : ხ ოპოზიციას ალტერნატივა არ გააჩნია; გამოირჩევა ნულოვანი რეფლექსაციით და ყველა საანალიზო ენაში მხოლოდ უცვლელი სახით წარმოჩნდება. ხ ფონემის დისტრიბუცია თავისუფალი იყო ორივე ჯგუფის ფუძე-ენაში.

ფ.-ე.	ს.-ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	იჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ხ	ხ	ხ	ხ	ხ	ხ	ხ	ხ  ღ	ხ

(1) ს.-ქართვ. \*ხალ- „დიდი ჯოხი, წნელი; ჰოკი“ (ქართ. ხალ-ი || ხალ-ა „ჰოკი, გრძელი ჯოხი“, ზან. ხოლ-ი „ნიგვზის საბერტყი გრძელი ჯოხი“, სვან. ხტატ || ღტატ „ჰოკი“) : ს.-ნახ. \*ხალ- „ღერო“ (იჩქ. ხალ, ინგ. ხალ „ღერო“, ბაცბ. ოხალ);

(2) ს.-ქართვ. \*ხტეტ- „გლეჯა; მოჭრა“ (ქართ. ხტეტ-ა, ხტეტ-ილ-ი, ზან. ხტატ-უ-ა „კნეტა, ღრღნა“, სვან. ლი-ხტეტ-ე „მოჭრა“) : ს.-ნახ. \*ხ(ტ)ეტ- „გაწყვეტა, მოჭრა“ (იჩქ. ხად- ← \*ხატ-, დმა-ხად-უო „მოჭრა“, ინგ. ხოდ- ← \*ხტატ- "id", ბაცბ. ხეტ-არ „გაწყდომა“);

(3) ს.-ქართვ. \*ხუთ-ი- „ხუთი“ (ქართ. ხუთ-ი, ზან. ხუთ-ი || ხუ „ხუთი“, სვან. ტო-ხტიშდ || ტო-ხუშდ || ტო-ხტიშტ „ხუთი“) : ს.-ნახ. \*ფხი- ← \*ხტი- „ხუთი“ (იჩქ. ფხი, ინგ. ფხი, ბაცბ. ფხი „ხუთი“);

(4) ს.-ქართვ. \*ტერხ- „ვერხვი“ (ქართ. ვერხ-ი || ვერხვ || ვერხვი, ზან. ვეხ-ი ←\*ვარხვი-ი „ვერხვი“, სვან. დერხ-ლა ←\*ტერხ-რა „ვერხვი“) : ს.-ნახ. \*მახან- „ვერხვი, მუხა“ (იჩქ. მახ — მრ. მახან-აშ, ქისტ. მახან-იშ „ვერხვი“, ინგ. მიხ ←\*მახან<sup>ნ</sup> "id", ბაცბ. მუხ ←\*მოხან<sup>ნ</sup> „მუხა“, შდრ. ქართ. (← ბაცბ.) მუხა);

(5) ს.-ქართვ. \*ფხინ- „ჩხირი; საქსოვი იარაღი“ (ქართ. ფხინ-ი „ჩხირი“, ხევს. „საქსოვი იარაღი“, ზან. მხენ-ი || ფხენ-ი ←\*ფხინ-ი „თითისტარი“) : ს.-ნახ. \*ფხან- „ისარი“ (იჩქ. ფხან<sup>ნ</sup>, ინგ. ფხა — მრ. ფხან-აშ/ყ, ბაცბ. ფხან<sup>ნ</sup>);

(6) ს.-ქართვ. \*იფხალ- „გვიმრა“ (ქართ. იფხალ-ი || იფხალ-ა „გვიმრა“, ზან. ლიმხუნ-ა || ლიმხონ-ა ←\*იფხონ-ა „გვიმრის სახეობა“, სვან. იფხ ←\*იფხტ „გვიმრა“) : ს.-ნახ. \*ფხან- „რცხილა“ (იჩქ. ფხა || ჰებ. ფხან, ინგ. ფხან „რცხილა“, ბაცბ. ფხან<sup>ნ</sup>);

(7) ს.-ქართვ. \*ახალ- „ახლო, ახალი“ (ქართ. ა-ხალ-ი, ა-ხალ-ო, ზან. ხოლ-, ხოლ-ო „ახლო“, ხოლ-ო-ს „ახლოს“) : ს.-ნახ. \*აოხ- „გვერდით, ახლოს“ (იჩქ. ა-უხა-ფე, ინგ. ა-უხ-ფე, ბაცბ. ა-უხ-ე<sup>ნ</sup> „გვერდით“);

(8) ს.-ქართვ. \*თხ- „თხოვნა“ (ქართ. თხ-ოვ-ნ-ა, ზან. თხ-უ-ალ-ა „თხოვნა“, ი-თხ-ნ-ს „თხოვს“, თხ-უ „თხოვა“) : ს.-ნახ. \*დ-ეხ- „თხოვნა“ (იჩქ. დ-ფეხ-არ, ინგ. დ-ფეხ-არ, ბაცბ. დ-ეხ-არ „თხოვნა“);

(9) ს.-ქართვ. \*თხარ- „თხრა, ამოთხრა“ (ქართ. ვ-თხარ-ე, სა-თხარ-ი, მ-თხარ-ებ-ლ-ი, ზან. თხორ- || ნთხორ- „თხრა“, გო-ნ-თხორ-უ „გათხრა“, სვან. შთხარ-, ყან-შთხარ-ე „მოთხრა“) : ს.-ნახ. \*თხირ- „ამონაჭერი“ (იჩქ. თხირ „ამონაჭერი, ჩუქურთმა“, ინგ. თხერ "id", ბაცბ. თხირ<sup>ნ</sup>);

(10) ს.-ქართვ. \*სოხ- „ჰლაკვი; უთავო ხახვი“ (ქართ. სოხვი → || სოხ-ი, შდრ. მეგრ. (← ქართ.) სორხ-ი "id", ზან. შუხუ ←\*შუხვი-ი, შდრ. შუხუ-თ-ი (ტობ.), შუხუ (ანთრობ.)) : ს.-ნახ. \*სუხ-ი „შვრია (ველური“) (იჩქ. სულა || სუხა, ინგ. სუხ || სულა, ბაცბ. სუხ<sup>ნ</sup>);

(11) ს.-ქართვ. \*ცახ- „მცირე პარკი“ (ქართ. ცახ-ე || ცახ-ი „მცირე პარკი“, ზან. ჩახ-ია ←\*ჩვახ-ია || ჩოხ-ია „მცირე ტომარა“) : ს.-ნახ. \*ჩლოხ-ან- „მცირე საბელი“ (იჩქ. ჩუხა — ერგ. ჩუხან-უო, ინგ. ჩუხან — მრ. ჩუხან-აშ, ბაცბ. ჩუხან<sup>ნ</sup>);

(12) ს.-ქართვ. \*წანეხ- „წნეხი, საწნეხელი“ (ქართ. წნეხ-ი, სა-წნეხ-ელ-ი, ზან. ჰინახ-ი „წნეხი“, ჰინახ-ულ-ი → ქართ. ჰირნახ-ულ-ი, სვან. ჰერეხ „სახარატო იარაღი“) : ს.-ნახ. \*წოხარ- „სახარატო დაზგა“ (იჩქ. წუოხარ, ინგ. წოხარ, ბაცბ. წოხარ<sup>ნ</sup>).



## VIII თავი

**§ 35. ფარინგალური თანხმოვნები.** იმ თანხმოვნებს, რომლებიც იწარმოებიან ენისძირის მიბჯენით ფარინგსის უკანა კედელთან, ფარინგალურ თანხმოვნებს უწოდებენ. ფარინგალური სპირანტები იწარმოება ენისძირის მიახლოებით ხახის უკანა კედელთან [ახვლ. 1949: 86]. ქართველურ ენათა ფონოლოგიურ სისტემაში შინაგანი რეკონსტრუქციის გზით შესაძლებელი ხდება ფარინგალური რიგის თანხმოვანთა პოსტულაცია. მეექვსე სამეული კონსონანტებისა ფონოლოგიური სისტემის სიმეტრიულობის თანმიმდევრულობის გამოც შეიძლება აღდგეს \***ფ ზ ყ** წევრ-ფონემათა შემადგენლობით, სადაც \***ფ** სამეულის მჟღერი წევრია, **ზ** ფშვინვიერი, ხოლო **ყ** — მკვეთრი. თუ ვიმსჯელებთ დასახელებულ ფონემათა რეფლექსაციის მიხედვით, **ზ** და **ყ** კონსონანტები აფრიკატული შედგენილობისა ჩანან, შდრ. ს.-ქართვ. **ზ** → ზან. **ქ || ხ** (ქართ. ჯარ-ი : ზან. ხოჯ-ი "id", მაგრამ ქართ. მჯცე : ზან. ჭყე → რყე „თეთრი“; ს.-ქართვ. **ყ** → ზან. **კ || ც** (ქართ. ყვერბ-ი : ზან. ყებურ-ი „კერია“, ქართ. ყველ-ი : ზან. ცვალ-ი || კვალ-ი „ყველი“...).

მჟღერი **ფ** ფარინგალური აფრიკატის არსებობის თეორიულ შესაძლებლობაზე ადრეც მიუთითებდნენ [როგ. 1946, I: 1-17; როგ. 1943, IV: 8; მაჭ. 1965: 71]. ქართულ ენას უძველეს პერიოდში მეექვსე სამეული ქონდა სრული და არა დეფექტიანი [ახვლ. 1949: 86].

(6) ს.-ქართვ. \***წყილტ**-უ „უთმო, ტიტველი, უწვერ-ულვაშო“ (ქართ. წყ**ლტ**-უ-ჲ || წყ**რტ**-უ-ჲ, თუშ. მ-წყი**რტ**-უ-ჲ, ზან. ჭყინ**ტ**-უ „უმწიფარი“, სვან. ჭყინ**ტ** „ბიჭი“) : ს.-ნახ. \***ღარწ**-ინ-ო „შიშველი, ტიტველი“ (იჩქ. დერ**წ**-ან-ა || დერ**ძ**-ან-ა, ინგ. დერ**ძ**-ან-ჲ, ბაცბ. ღარ**წ**-ინ-ო).

ს.-ქართვ. **მC** : ს.-ნახ. **მC**

(7) ს.-ქართვ. \***მგელ-** „მგელი“ (ქართ. **მგელ**-ი, ზან. **მგერ**-ი → || გერ-ი ← \***მგარ**-ი „მგელი“) : ს.-ნახ. \***ბერგ-** „მგელი“ (იჩქ. ბერ**გ**- ← \***ბგერ**-, სიტყვაში წუოყ-ბერ**გ** „ჯიქი“, ინგ. ბერ**გ**-, სიტყვაში წუოყ-ბერ**გ** "id", ბაცბ. ბერ**გ**-);

(8) ს.-ქართვ. \***მწარე** (ქართ. **მწარე**, სი-**მწარე**, ზან. ნჯორ- ← \***მჯორ**-, გითო-**ნჯორ**-აფ-ა „სიმწრის მოშორება“) : ს.-ნახ. \***მაწრ**-ინ „ტკბილი“ (იჩქ. მერ**ძ**-ა || მერ**ძ**- || მარ**ზ**-ინ<sup>5</sup> ← \***მაძრ**-ინ<sup>5</sup>, ინგ. მერ**ძ**-ჲ ← \***მაძრ**-ინ<sup>5</sup>, ბაცბ. მაწ**რ**-ინ<sup>5</sup>);

(9) ს.-ქართვ. \***მწერ-** „მწერი; ბუზი“ (ქართ. **მწერ**-ი, ზან. მჭანჯ-ი || ჭანჯ-ი ← \***მჯარი** „ბუზი“, სვან. მწ**რ** || მერ ← \***მჯერ** „ბუზი“) : ს.-ნახ. \***მაწ**-ე „ტილი“ (იჩქ. მეზ**ა** || მეძ**ა** || მაზ**ე**, ინგ. მძ**ძ** → || მწზ**ზ**, ბაცბ. მაწ**ე** ← \***მაწე**);

(10) ს.-ქართვ. \***მც**-იე „ნაცრისფერი“ (ქართ. **მც**-იე → || მც-იე) : ს.-ნახ. \***მწც**-ინ „მუქი ნაცრისფერი; ჟანგისფერი“ (იჩქ. მუწ**ცა**, ინგ. მოაწ**ც** „ჟანგისფერი“, ბაცბ. მწ**ც**-ინ<sup>7</sup>);

(11) ს.-ქართვ. \***მშ**- „შიშვლილი, დამშევა, მომშევა“ (ქართ. მშე**ვ**-, და-მშე**ვ**-ა, სი-**მშ**-ილ-ი, ზან. მშქორ- ← || შქერ- || შქირ-, მშქორ-ინ-ს „მშია“) : ს.-ნახ. \***მაც**- ← \***მას**- „შიშვლილი; მშიერი“ (იჩქ. მაც- „მოშიება“, მაც-და<sup>5</sup> „შიშვლილობა“, ინგ. მაც-დალა „მოშიება“, მეც-ჲ ← \***მაც**-ინ<sup>5</sup> „მშიერი“, ბაცბ. მაც-დალა "id", მაც-ინ<sup>5</sup> „მშიერი“);

ს.-ქართვ. **მC** : ს.-ნახ. **მC**

(1) ს.-ქართვ. \***ამგალ-** „მომიჯნავე, ამხანაგი, მეწყვილე; ნათესავი“ (ქართ. ა**მგალ**-ი || ანგალ-ი || ა**მგლ**-ებ-ი „მომიჯნავეები“, ზან. ოგურ-ი

←\***მგოლ**-ი „ახლო ნათესავი, თავისიანი“, შდრ. ქართ. (← ზან.) ოგურ-ი) : ს.-ნახ. \***მგირ**- „მეწყვილე; ერთი ცოლი მეორის მიმართ“ (იჩქ. **ემგარ** → || **ენგირ** || **ანგირ**, ინგ. **ენგირ**, ბაცბ. **Პამგირ**);

(2) ს.-ქართვ. \***მნარ**- „სამხარი, საუზმე; სამხრობა, ჭამა“ (ქართ. **სა-მნარ**-ი, **სა-მნრ**-ობ-ა, ზან. **ფნორ**- || **მნორ**-, ი-**მნორ**-ს „ჭამს“) : ს.-ნახ. \***მჰაორ**- „ვანშამი, ვანშობა“ (იჩქ. **ფჰაჸორ** || **ფჰაორ**, ინგ. **ფჰაორ**, ბაცბ. **ფჰაორ**);

ს.-ქართვ. **მც** : ს.-ნახ. **ჟც**

(1) ს.-ქართვ. \***კემს**- „კემსვა, ამოკერვა“ (ქართ. **კემს**-ი, **კემს**-ავ-ს, **ნა-კემს**-ი, ზან. **კაშ**- ←\***კაშმ**-, **აკო-კაშ-ურ-უა** „შეერთება, მიბმა სხვა-დასხვა ნაწილებისა“) : ს.-ნახ. \***კოჸს**- „ხალიჩა“ (იჩქ. **კოჸს**, ინგ. **კუჸს**, ბაცბ. **Ლკოგს**);

ს.-ქართვ. **მც** : ს.-ნახ. **ლც**

(1) ს.-ქართვ. \***სამთ**- „ფართო ცულისებრი პირის მქონე ღანა“ (ქართ. **სათ-ირ-ი** || **სათ-ულ-ი** ←\***სამთ**-, შდრ. ზან. **შუნთ**-ი „ხის სათლე-ლი იარაღი“, იმერ. (← ზან.) **შმუთ**-ი „ჭახრაკიანი დიდი შალაშინი“) : ს.-ნახ. \***შალთ**-ი „ხანჯალი; სატევარი“ (იჩქ. **შალთ**-ა || **შალთ**-ი, ინგ. **შალთ**-ჲ, ბაცბ. **შალთ** „ხანჯალი“);

ს.-ქართვ. **მც** : ს.-ნახ. **რც**

(1) ს.-ქართვ. \***რემს**- „ვეფხვი“ (ქართ. **ვეფხ**-ი || **ვეფხვ**-ი, აქლემ-**ვეფხ**-ი, ზან. **ვემს**-ი || **ვემსვ**-ი „ვეფხვი“) : ს.-ნახ. \***რერს**- „ავაზა“ (იჩქ. **ჰერს**, ინგ. **ფერს**, ბაცბ. **Ლერს**);

ს.-ქართვ. **ნც** : ს.-ნახ. **ნც**

(1) ს.-ქართვ. \***კანთ**-ურ- „შვილი, ნაშიერი; ბიჭი“ (ქართ. **კანთ**-ურ-ა „კატის კნუტი“, ქსნ. ხეობ. **კინტ**-ურ-ა „ბიჭი“, ზან. **კინტ**-ო „ბიჭი“, სვან. **კანდ**-რეჸ „არჩვის ნაშიერი“) : ს.-ნახ. \***კანთ**- „ბიჭი, ვაჟიშვილი“ (იჩქ. **კანთ** „ბიჭი, შვილი“, ინგ. **კანთ** „ვაჟკაცი“, ბაცბ. **კანთ** ←\***კანთ** „ვაჟიშვილი“);

(2) ს.-ქართვ. \***სენგ**- „გოგირდი“ (ქართ. **სინგ**-ურ-ი „მელანი, საღე-ბავი“, ზან. **შანგ**-ი „შავი“, **შანგ**-იშ-ფერი „გოგირდის ფერი(?)“, შდრ. ტობ. **შამგ**-ონ-ა ← ეტ. „გოგირდოვანი“) : ს.-ნახ. \***სანგ**-ალ- „გოგირდი“ (იჩქ. **სანგალ** || **სემგალ** „გოგირდი“, ინგ. **სანგალ** "id", ბაცბ. **სანგალ**);

ს.-ქართვ. **ნც** : ს.-ნახ. **რც**

(1) ს.-ქართვ. \*დინდგ-ელ- ←\*დინგ-ელ- „დინდგელი“ (ქართ. დინდგელ-ი, ზან. დინდგუ || დუნდგუ || დვინდგვი || დვინდგუ "id", სვან. დინდგუ-ილ "id") : ს.-ნახ. \*დურგ-ალ- „ნექტარი, ტკბილი წვენი“ (იჩქ. დურგალ || დურგალ, ინგ. დურგალ, ბაცბ. „დურგალ“);

(2) ს.-ქართვ. \*ხანძ- „ხმობა; ცხობა/წვა“ (ქართ. (აჭარ.) გამო-ხანძვა-ი, ზან. ხუჯ- ←\*ხუნჯ-, შდრ. გურ. ჩა-ხუ-ხუჯ-ებ-ა „ჩათბუნება“, ხუ-ხუჯ-ა-ი „გამომცხვარი კვერი“) : ს.-ნახ. \*ჯარძ- „მოხალვა, მოხრუკვა“ (იჩქ. ჯარზ-არ || ჯარძ-არ, ინგ. ჯარძ-არ, ბაცბ. ჯარწ-არ ←\*ჯარძ-არ);

(3) ს.-ქართვ. \*სინსილ- „სინსილა, მართვე, წიწილი, ახალშობილი“ (ქართ. სინსილ-ა, გველის სინსილ-ა, ზან. შინწირ-ი, სვან. შინწილ-ი) : ს.-ნახ. \*სარსალ- „ჩანასახი (კვერცხის)“ (იჩქ. სარსალ, ინგ. სარსალ, ბაცბ. „სარსალ“);

ს.-ქართვ. **რც** : ს.-ნახ. **რც**

(1) ს.-ქართვ. \*ტერბ- „ტერფი, ფენის გული“ (ქართ. ტერფ-ი ←\*ტერბ-ი, ზან. ტაბ-ან-ი || ტაბ-უ ←\*ტარბ- „ფენის გული“) : ს.-ნახ. \*ტარტუ- „ხელის გული“ (იჩქ. ტარა || ტარტუ „ხელის გული“, ინგ. ტარა ←\*ტარტუ "id", ბაცბ. ტარო — მრ. ტარტუ-დ);

(2) ს.-ქართვ. \*ურდუნ- „უთვალავი, ბევრი; ვეებერთელა“ (ქართ. ურდუნ-ი, ზან. ურდუნ-ი, სვან. ურდუნ ←\*ურდუნ „უშველებელი“) : ს.-ნახ. \*ორდ-ან- „გროვა, ხროვა, გუნდი“ (იჩქ. ნრდ-ან-გ || ორდ-ან-გ, ინგ. ორდინ-გ, ბაცბ. „ორდ-ან-ი“);

(3) ს.-ქართვ. \*ქურდ-ემ-ალ- „გრდემლი“ (ქართ. ქვირდემლ-ი || გრდემლ-ი, ზან. ქულამურ-ი ←\*ქურდამურ-ი „გრდემლი“, სვან. ქურმალ || ქურილ ←\*ქურდილ "id") : ს.-ნახ. \*ქურტ- ←\*ქურდ- „ერთგვარი დიდი ღუმელი“ (იჩქ. ქურტქ ←\*ქურტ, ინგ. ქურქ ←\*ქურტ, ბაცბ. „ქურტ“);

(4) ს.-ქართვ. \*ლართ- „ლართი; მამრის სასქესო ორგანო“ (ქართ. ლართ-ი, სვან. ლართ || ლართ) : ს.-ნახ. \*ლორტ- „წყვილი; ლუწი“ (იჩქ. „ლორტ“, ინგ. „ლორტ“, ბაცბ. ლორტ || ლურტ „ლუწი“);

(5) ს.-ქართვ. \*ქართ-ა „ლობე/შემოლობვა; შემოლობილი ადგილი, ციხე-სიმაგრე“ (ქართ. ქართ-ა, ქართ-აკ-ი, ზან. ქერთა → || ქეთა „დიდი სოფელი“, სვან. ქერთ- „ლობვა“, ი-ქერთე „ილობავს“, ლგ-ქერთ-ე „შემოლობილი“) : ს.-ნახ. \*ქართ- „ლობე, ზღუდე, ეზო“ (იჩქ. ქერთ, ინგ. ქართ || ქერთ „ეზო“, ბაცბ. „ქართ“);

(6) ს.-ქართვ. \*კართ- ←\*ყართ- „წვივი; ძარღვი (წვივისა)“ (ქართ.

კართ-ი, სა-კართ-ულ-ი, ზან. კართ-ი „წვივი“) : ს.-ნახ. \*ლართ- „ბარკალი, ბარდაყი“ (იჩქ. ლართ, ინგ. ლართ || ლართ, ბაცბ. ოლართ);

(7) ს.-ქართვ. \*მართ- „მართალი, სწორი, პირდაპირი“ (ქართ. მართ-ი, მართ-ალი, სა-მართ-ალი, მართ-ებ-ით-ი, მართ-ლ, მართ-ვა) : ს.-ნახ. \*ბართ- „პირი; პირობა, შეთანხმება“ (იჩქ. ბართ „პირი, პირობა“, ბართ-ხულო „მეკავ-შირე“, ინგ. ბართ "id", ბართ-ბჟე „შეთანხმება“, ბაცბ. ბართ "id");

(8) ს.-ქართვ. \*კართ- „კართომა, გალიზიანება/ფრთხობა“ (ქართ. კართ-ებ-ა, შე-კართ-ა, გან-კერთ, ზან. კუთ- ←\*კუართ- „დაფრთხობა, გალი-ზიანება; სუნთქვის შეკვრა“) : ს.-ნახ. \*კორდ- „მოხეზრება, გალიზიანება, მოწყენა“ (იჩქ. კუორდ-უო, ინგ. კორდ-დჟე, ბაცბ. კორტ- ←\*კორდ-არ);

(9) ს.-ქართვ. \*კტირტ- „კვირტი, გაუშლელი ყლორტი“ (ქართ. კტირტ-ი || კვირტ-ი || კვრტ-ი, სვან. კრტ || კტერტ || კტირტ „კვირ-ტი“) : ს.-ნახ. \*ლარტ-უ „ყლორტი“ (იჩქ. ლორდ || ლუორდ || ლარდჟუ, ინგ. ლორდ ←\*ლარდჟუ, ბაცბ. ოლარტჟუ);

(10) ს.-ქართვ. \*ყლურტ- „ყლუბი; ყლაბვა“ (ქართ. ყლურტ-ი, ყლურტ-უნ-ა, ზან. ყგრტ- || ყირტ- || ყინტ-უ-ა „ყლაბვა“) : ს.-ნახ. \*ყურტ- „ყლუბი“ (იჩქ. ყურდ ←\*ყურტ, ინგ. ყურდ ←\*ყურტ, ბაცბ. ყურტ „ყლუბი“);

(11) ს.-ქართვ. \*ტარტ- „ვერძი; მამალი“ (ქართ. ვერძ-ი ←\*ვარძ-ი, ზან. ერჯ-ი ←\*ორჯ-ი „ვერძი“) : ს.-ნახ. \*ბორტ- „მგელი“ (იჩქ. ბუორტ || ბუორზ || ბორტ, ინგ. ბორტ || ბორცჟ, ბაცბ. ბორწ ←\*ბორტ „მგელი“);

(12) ს.-ქართვ. \*ძარცჟ- „ძარცვა; მომორება/მოცლა“ (ქართ. ძარცვ-ავ-ს, ნა-ძარცვ-ი, ზან. რჩგ- → || ჩგ-, გო-რჩგ-ეს „გაძარცვეს“, ნა-რჩგ-ი „ნაძარცვი“) : ს.-ნახ. \*ჟარცჟ- „განგაში; თარეში“ (იჩქ. ორცა || არცჟ „განგაში“, ინგ. ოარც ←\*არცჟ "id", ბაცბ. ჟარცო „თარეში“);

(13) ს.-ქართვ. \*გირტ- „მრგვალი რამ; ხინკალი/პელმენი“ (ქართ. გირტ-ი, ზან. გირჩ-ი „მომრგვალო ნაყოფი წიწვოვანი მცენარეებისა“, შდრ. ქართ. (← ზან.) გირჩ-ა) : ს.-ნახ. \*ქირტ-უ „პელმენის სახეობა“ (იჩქ. ქურტ- || ქურზ-ა || ქირზ-უ, ინგ. ქირტ || ქირცჟ, ბაცბ. ოქირტ);

(14) ს.-ქართვ. \*ტარტ- „ვარცლი, ჩოგანი“ (ქართ. ვარცლ-ი, ზან. ხვარჩინ-ი || ხვარჩენ-ი „ხის ჩოგანი“, სვან. ლტარჩინ „ვარცლი, ჩოგანი“) : ს.-ნახ. \*ორც- „ძელი; ხის კოჭი“ (იჩქ. ორც-ხა „ძელი; დედა კოჭი“, ინგ. ორც || ოარც "id", ბაცბ. ოორც);

(15) ს.-ქართვ. \*ქურტ- „ბუჩქი/ჩირგვი; სარეველა“ (ქართ. ქურტ-ი, ზან. ქურჩინ-ი → || ქურტ-ი || ქვერჩინ-ი „ბუჩქი“, სვან. ქეჩხ ←\*ქურჩხ „სარეველა ბალახი“) : ს.-ნახ. \*ქურტ- „თაიგული; კონა/ძნა“ (იჩქ. ქურტ, ინგ. ქურტ, ბაცბ. ოქურტ);

(16) ს.-ქართვ. \*ტირტ- „ვრცელი, ფართო; დიდი/მრავალი“ (ქართ.

ვრც-ელ-ი, სი-ვრც-ე, ზან. ფირჩ-ე || ფირჩ-ა || ფირჩ-ალ-ი „დიდი, ვრცე-ლი, გაშლილი“, სვან. ფიშ-ირ ←\*ფირშ-ირ „ბევრი“) : ს.-ნახ. \*ბარჩ- „ფართო, საბატიო, მოხერხებული“ (იჩქ. ბარჩ, ინგ. ბარჩ, ბაცბ. ბარჩ);

(17) ს.-ქართვ. \*ქერც- „ქერცლი“ (ქართ. ქერცლ-ი, ზან. ქაც-უ ←\*ქარჩ-უ "id", სვან. ქარჩ → || ქარც „ქერცლი“) : ს.-ნახ. \*ფჰარჩ- „ბუხუსი, გინგლი“ (იჩქ. ფჰარჩ-უო, ინგ. ფჰარჩ-იე, ბაცბ. «ფჰარჩ-»);

(18) ს.-ქართვ. \*რწ- „რწევა; ტრიალი“ (ქართ. რწ-ებ-ა || რწ-ეგ-ა, სა-რწ-ეგ-ი, ზან. ო-ნწ-ე || ო-ნწ-ელ-ი „აკვანი; სარწევი“, ი-ნწ-ალ-უ „იძ-ვრის“) : ს.-ნახ. \*-რწ- „ტრიალი; ბრუნვა“ (იჩქ. დ-ფრძ-უო || დ-ფრწ-უო, ინგ. დ-ფრძ-არ, ბაცბ. დ-ერწ-არ || ჰე-რწ-არ „ტრიალი, ბრუნვა“);

(19) ს.-ქართვ. \*ბარწ- „ბერწი“ (ქართ. ბერწ-ი, ზან. ბურწ-ი „ბერ-წი“) : ს.-ნახ. \*ბჰარწ-ონ „ჯორი“ (იჩქ. ბჰარწ-ან || ბჰარძ-ან || ბჰერძ, ინგ. ბჰარძ-ან, ბაცბ. ბჰარწ-ონ<sup>5</sup>);

(20) ს.-ქართვ. \*ბარწყ- „ბარკალი, ფეხი, ბარძაყი“ (ქართ. ბარძაყ-ი, ზან. ბოჭოკ-ი ←\*ბორჭოკ-ი „საქონლის, გოჭის ფეხი“) : ს.-ნახ. \*ბარწყ- „ტანსაცმელი“ (იჩქ. ბარწყ || ბარწყ || ბარწყ, ინგ. ბარწყ-ა → || ბარწყ-ა, ბაცბ. «ბარწყ»);

(21) ს.-ქართვ. \*გირწყ- „რწყილი“ (ქართ. გრწყ-ილ-ი || გირწყ-ილ-ი || რწყ-ილ-ი, ზან. მწკ-ირ-ი || წყ-ირ-ი ←\*რწყ-ირ-ი "id", სვან. ზისყ ←\*გირწყ "id") : ს.-ნახ. \*გირწ- „მუნი, მღერი“ (იჩქ. გირძ → || გირწ, ინგ. გირძ → || გირც, ბაცბ. «გირწ»);

(22) ს.-ქართვ. \*ლერწ- „ვაზი, ლერწი; ვენახი“ (ქართ. ლერწ-ი, ზან. მერწ-ი ←\*მარწ-ი „ვაზი“, სვან. ლერწ-ალ „ვენახი“) : ს.-ნახ. \*ფერწ- ←\*ლერწ- „ლერწამი“ (იჩქ. ფერწ || ფრძ || ერძ, ინგ. ფრძ || ერძ ←\*ფერწ, ბაცბ. «ფერწ»);

(23) ს.-ქართვ. \*ბურწ-ალ- „ფიწალი; წალი“ (ქართ. ფიწალ-ი ←\*ბირწალ-ი, შდრ. სვან. (← ქართ.) ბირწალ "id", ზან. ბურწულ-ი „წალი“) : ს.-ნახ. \*ფურწ- „კავი“ (იჩქ. ფურწ || ფურძ || ფურწ, ინგ. ფურძ ←\*ფურწ, ბაცბ. «ფურწ»);

(24) ს.-ქართვ. \*ბერგ- „თოხი, მარგილი; მარგვლა“ (ქართ. მარგ-ლ-ავ-ს, მარგ-ილ-ი, ზან. ბერგ- „თოხი“, ო-ბარგ-უ- „მარგვლა“, სვან. ბერგ ←\*ბერგ-, ა-ბერგ-ე || ა-ბერგ-ი „თოხის“) : ს.-ნახ. \*ბარგ- „წერაქვი“ (იჩქ. ბერგ, ზმოქ- ბერგ „წერაქვი“, ინგ. ბერგ "id", ბაცბ. ბარგ ←\*ბარგ „წერაქვი“);

(25) ს.-ქართვ. \*ბერკ- „ფეხი“ (ქართ. ბერკ-, კტარცხლ-ბერკ-ი, ზან. ბარკ-, ე-ბარკ-ან-უ-ა || ე-ბარკ-ან-აფ-ა „ფეხის აკაპიწება“, სვან. ბარკ-ან || ბარკ-ად „მრუდეფეხა (კოჭლი)“) : ს.-ნახ. \*ბერკ- „ფლოქვი“ (იჩქ. ბერგ ←\*ბერკ, ინგ. ბარგ || ბარგ ←\*ბარკ, ბაცბ. «ბერკ-»);

(26) ს.-ქართვ. \*კტერკტ- „სიმრგვალი; მრგვალი“ (ქართ. კვეკვ-ერ-ა ←\*კვერკვ-ერ-ა „მრგვალი ნამცხვარი“, ზან. კვარკვ-, ი-კვარკვ-ანტ-უ „მრგვლად ტრიალებს, მრგვალდება“, კვარკვ-ალ-ია „მრგვალი“) : ს.-ნახ.

\***კურკ-** „მორევი“ (იჩქ. **კურკ-**მან-ი „მორევი“, ინგ. **კურკ-**, ბაც. **Ⴍკურკ-Ⴍ**);  
(27) ს.-ქართვ. \***ქურსლ-** „ქუსლი“ (ქართ. **ქურსლ-**ი → Ⴍ **ქუსლ-**ი, ზან. **ქურს-**ი Ⴍ **ქრუს-**ი „ქუსლი“) : ს.-ნახ. \***ქორს-** „ქაჩაჩი“ (იჩქ. **ქარს** ←\***ქორს**, ინგ. **ქორს**, ბაცბ. **ႭქორსႭ**);

(28) ს.-ქართვ. \***სურსტ-**ილ- „სრსვილი, მუწუკი, კობი“ (ქართ. **სრსტ-**ილ-ი Ⴍ **სრსვლ-**ი Ⴍ **სრსვილ-**ი, ზან. **სურსტ** Ⴍ **მ-სურსტ** "id") : ს.-ნახ. \***სურს-** „მუწუკი“ (იჩქ. **სურს**, ინგ. **სურს**, ბაცბ. **ႭსურსႭ**);

(29) ს.-ქართვ. \***ქარშ-** „საბელი, სარტყელი“ (ქართ. **ქარშ-**იკ-ი „ბრტყელი საბელი“, ზან. **Ⴍქარშ-Ⴍ**) : ს.-ნახ. \***ქარს-**ან „ერთგვარი საბელი; საბელი“ (იჩქ. **ქარსა** Ⴍ **ქარს**, ინგ. **ქარს** „ბაწარი“, ბაცბ. **ႭქარსანႭ** „საბელი“);

(30) ს.-ქართვ. \***ღერდ-**ილ- „ღერდილი“ (ქართ. **ღერდ-**ილ-ი, **ღერდ-**ვ-ა, ზან. **ღარდ-**ილ-ი „ღერდილი“) : ს.-ნახ. \***ღარდ-**ი „მსხვილი ნაფქვავი“ (იჩქ. **ღორდ-**ა Ⴍ **ღარდ-**ი, ინგ. **ღორდ-**ან, ბაცბ. **Ⴍღარდ-Ⴍ**);

(31) ს.-ქართვ. \***ღერდ-** „ლაპარაკი; ყბედობა“ (ქართ. **სა-ღერდ-**ელ-ი, **ღერდ-**ავ-ს, **ამო-ღერდ-**ა, ზან. **ღარდ-**ალ-ი „ლაპარაკი, ყბედობა“, ვა-**ღარდ-**ალ-უ-ა „ბევრს ნუ ყბედობ“) : ს.-ნახ. \***ღერდ-** „ბღავილი“ (იჩქ. **ღეღდ-**ან, ინგ. **ღერდ-**ან, ბაცბ. **Ⴍღერდ-Ⴍ**);

(32) ს.-ქართვ. \***ძარღ-** „ძარღვი“ (ქართ. **ძარღ-**ი Ⴍ **ძარღვ-**ი, ზან. **ჯერღვ-**ი ←\***ჯორღვ-**ი "id", სვან. **ჯარღტ** "id") : ს.-ნახ. \***ძორღ-** „კუჭი“ (იჩქ. **ძორს** Ⴍ **ზორს**, ინგ. **ძორს**, ბაცბ. **ႭძორსႭ**);

ს.-ქართვ. **რც** : ს.-ნახ. **მც**

(1) ს.-ქართვ. \***ბორბალ-** „ობობა“ (ქართ. **ბორბალ-**ა, ზან. **ბორ-**ბოლ-ია Ⴍ **ბომბულ-**ა „ობობა“) : ს.-ნახ. \***ბუმბარ-** „მტაცებელი ფრინველის სახეობა“ (იჩქ. **ბუმბარ-**ი, ინგ. **ბუმბარ-**გ, ბაცბ. **Ⴍბუმბარ-Ⴍ**);

(2) ს.-ქართვ. \***კერც-**ა „კავი, ანკესი; საკიდარი“ (ქართ. **კარჩ-**ა, ზან. **კაცხ-**უ ←\***კარცხ-**უ „კავი, ანკესი, საკიდარი“, სვან. **კეცხ** ←\***კერცხ-**ა „წვერი, წვერო“) : ს.-ნახ. \***კამს-**ურ- „ბასრი შვერილი; ეშვი; ფოცხი“ (იჩქ. **კუმსარ** Ⴍ **კამსურ**, ინგ. **კომსარ**, ბაცბ. **ႭკამსურႭ**);

(3) ს.-ქართვ. \***ფურც-** „ფურცვლა/ქურჩნა; ფურცელი“ (ქართ. **ფურც-**ელ-ი, ზან. **ფურჩ-**ა „სიმინდის ნაქურჩენი; ფურცელი“, **ფურჩ-**ონ-უ-ა „ფურცლებიგან გაწმენდა“) : ს.-ნახ. \***ბ-ომც-** „წვნა; ქსელვა“ (იჩქ. **ბ-ტც-**არ Ⴍ **ბ-ოტც-**არ, ინგ. **ბუტც-**არ Ⴍ **ბ-ოტც-**არ, ბაცბ. **Ⴍბ-ოფც-Ⴍ**);

ს.-ქართვ. **რც** : ს.-ნახ. **ტც**

(1) ს.-ქართვ. \***ღერთ-** „ჩოხა; ნაბადი“ (ქართ. **ღართ-**ი „ნაბადი“, ზან. **ღართ-**ი „ჩოხა“, სვან. **ღართ** „ნაბადი“) : ს.-ნახ. \***ღაღთ-**ალ- „ხიფთა-ნი“ (იჩქ. **ლოღთალ** Ⴍ **ღაღთალ**, ინგ. **ლოღთალ**, ბაცბ. **ႭღავთალႭ**);



(2) ს.-ქართვ. \*ქურც- „ფუხეჩი, ქერქი“ (ქართ. ქურც-, ნა-ქურც-ენ-ი, ზან. დო-ქურჩი-ოლ-ა „გარჩევა, გაწმენდა (სიმინდისა)“, შდრ. ქართ. (← ზან.) ქურჩი-ნ-ა, ქურჩი-ელ-ა) : ს.-ნახ. \*ქოჟსთ- „ქერქი“ (იჩქ. ქოჟსთ, ინგ. ქოასთ ←\*ქოჟსთ, ბაცბ. «ქოვსტ»);

ს.-ქართვ. რც : ს.-ნახ. ლც

(1) ს.-ქართვ. \*ნერბ- „დედალი ცხვარი“ (ქართ. ნერბ-ი, და-ნერბ-ვა) : ს.-ნახ. \*ჰაღლბ- „ბატკანი“ (იჩქ. აჟულ-არგ || ჟოჟულ-ურგ, ინგ. ჟოჟულ-ურგ, ბაცბ. აღლბ „ბატკანი“);

(2) ს.-ქართვ. \*ნერლ- „ნადუღრის ნარჩენი; შრატის; კარაქი (?)“ (ქართ. ნერლ-ი || ნირლ-ი, ზან. ნარლ-ი) : ს.-ნახ. \*ნალხ- „კარაქი“ (იჩქ. ნალხ-ა || ნაჟხ-ა || ნარხ-ა, ინგ. ნალხ-ჰ, ბაცბ. ნალხ-ი);

(3) ს.-ქართვ. \*მარხ- „ბალახი; ჭინჭარი“ (ქართ. მერხ-, მერხ-ეულ-ი (ტობ.), სვან. მერხ „ჭინჭარი“) : ს.-ნახ. \*მოლხ-ო „წამალი/ბალახი“ (იჩქ. მოლხა || მორხა, ინგ. მოლხ-ჰ, ბაცბ. მოლხ-ი);

ს.-ქართვ. რც : ს.-ნახ. ნც

(1) ს.-ქართვ. \*ღუარძ- „ღვარძლი, შხამი“ (ქართ. ღვარძლ-ი, ღვარძლ-ა, ზან. ღუარძულ-ი „შხამი“, ღვანძგ-ი || ღვანძგირ-ა „ღვარძლა“) : ს.-ნახ. \*ყუანძ- „ძმარი“ (იჩქ. ყონჯა || ყუონძა, ინგ. ყანძ, ბაცბ. ყონძ);

(2) ს.-ქართვ. \*ტურტლ- „ჭუჭყი, სიბინძურე“ (ქართ. ტურტლ-ი, ზან. ტირტლ-ონ-ჟა „ტურტულა“, მო-ტირტლ-ონ-ილ-ი „მოთხაპნილი“) : ს.-ნახ. \*ტონტრ-ო „წირბლი“ (იჩქ. ტონტრ-ი, ინგ. ტონტრ-ი, ბაცბ. ტონტრ-ი „წირბლი“);

(3) ს.-ქართვ. \*ვერცო- „ჯვარედინი იარაღი; წერაქვი/თოხი“ (ქართ. ვერცო, ზან. ქარჩი-ი „თოხი, წერაქვი“, ქაჩი-ი || ქარჩი-ი „ჯვარი“) : ს.-ნახ. \*ჯანჩ-ო „ჯვარედინი“ (იჩქ. ჯანჩა, ინგ. ჯანჩ-ჰ, ბაცბ. ჯანჩ-ი).

**§ 49. სონორი + სონორი** თანმიმდევრობის რეკონსტრუქცია შესაძლებელი ხდება ს.-ქართვ. რთ : ს.-ნახ. რლ შესატყვისობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში საერთოქართველურისთვის ივარაუდება ინგუშური რლ → რდ ტიპის დისიმილაციური ფონეტიკური პროცესი — \*რლ → \*რდ → რთ, შდრ. ბაცბ. არლ-ი<sup>6</sup> : ინგ. არდ-ჰ „მარცხენა“; ბაცბ. არლ-არ : ინგ. არდ-პრ „ლეწვა“; ბაცბ. დ-არლ-არ : ინგ. დ-არდ-პრ „თლა“...

სანამ სათანადო დაღესტნურ მასალას არ მოვიძიებთ, არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად საუბარი რლ თანმიმდევრობის გენეზისზე; ნახურ-ქართველურის დონეზე საბოლოოდ ვერ გაირკვევა რლ მონოფონემური წარმოშობისაა, თუ — ბიფონემური. წინასწარი მოსაზრებით, რლ წარმო-

მავლობით ბიფონემური ჯგუფი გვგონია:

(1) ს.-ქართვ. \*მ-ართ-ენ- „მარცხენა; უკუღმართი, მცდარი“ (ქართ. მართ-ი, წარ-მართ-ი, ზან. ფურთ- „წახდენა, ურიგოდ ქმნა“, სვან. მგართ-ენ || ლერთ-ენ || ლერთ-ან „მარცხენა“) : ს.-ნახ. \*არლ-ინ- „მარცხენა“ (იჩქ. არლ-უ<sup>ნ</sup> ←\*არლ-უ<sup>ნ</sup> „მარცხენა“, ინგ. არლ-ა ←\*არლ-ინ<sup>ნ</sup> "id", ბაცბ. არლ-ინ<sup>ნ</sup> „მარცხენა“);

(2) ს.-ქართვ. \*ფართ-ა „გვერდის ფიცარი“ (ქართ. ფრთა → || ფთა „გვერდის ფიცარი“, ზან. ფოშთ-, ნა-ფოშთ-ა „ხის გადანახერხი“, სვან. ფოშდა ←\*ფაშთა „გვერდის ფიცარი“) : ს.-ნახ. \*ბარლ-ინ- „ჯოხი (რძის სადღვებელი)“ (იჩქ. ბჟერა<sup>ნ</sup> ←\*ბჟერა<sup>ნ</sup>, ინგ. ბჟერლ<sup>ნ</sup>, ბაცბ. ბარლიმ ←\*ბარლინ, შდრ. ქართ. (← ბაცბ.) ბარნელ-ა);

(3) ს.-ქართვ. \*რთ- „კეთება, შრომა; შექცევა, მორთვა“ (ქართ. მო-რთ-ავ-ს, მო-რთ-ო ტირილ-ი, ზან. ო-რთ-უ(ნ) „აკეთებს“, ი-რთ-უ-ან-ს „ერთობა“, სვან. ლი-შდა<sup>ბ</sup> || ლი-შდა-ერ „თავის შექცევა; მუშაობა, შრომა“) : ს.-ნახ. \*არლ- „ლეწვა, თლა“ (იჩქ. არლ-არ || არლ-არ || არლ-არ „ლეწვა, გა-ლეწვა“, ინგ. არლ-არ "id", ბაცბ. არლ-არ "id", შდრ. დ-არლ-არ „თლა“).

**§ 50. ქართველურ-ნახური კონსონანტიზმის ამოსავალი ტიპი.** წინა პარაგრაფებში ჩვენ აღვწერეთ საერთოქართველური და საერთონახური კონსონანტური სისტემები როგორც პარადიგმატული, ისე სინტაგმატური თვალსაზრისით. დადგინდა ბგერათშესატყვისობები თანხმოვანთა ცალკეული კლასების მიხედვით; გამოვლინდა იგივე მიმართებები თანხმოვანკომპლექსთა დონეზე. კითხვა ისმის: როგორი იყო იმ წინარე-ენის კონსონანტური სისტემის ამოსავალი ტიპი, საიდანაც, წინარექართველური და წინარენახური ენობრივი ერთობის პერიოდის გავლით, განვითარდა გვიანსაერთოქართველური და გვიანსაერთონახური კონსონანტიზმი? აღმოჩნდა, რომ წინარე-ენის ამოსავალი კონსონანტური სისტემა გა-არჩევდა კონსონანტ ფონემათა ოთხ ძირითად კლასს: 1. ხშულები და აფრიკატები; 2. ნაპრალოვნები ანუ ფრიკატივები (სპირანტები); 3. სონორები; 4. სონანტები. აქედან ხშულები და აფრიკატები გაარჩევდნენ თანხმოვანთა სამ სერიას: მჟღერები (ბ დ გ ძ, ძ ჯ ფ), ფშინვიერები (ფ თ თა ქ ც ც ცა ჩ (ჩა) ჳ), მკვეთრები ანუ აბრუპტივები (პ ტ კ წ, წ ჳ ე); სპირანტები მხოლოდ — ორ სერიას: მჟღერები (ზ, ზ ყ ლ შ), ფშინვიერები (ს, ს შ ხ ჰა ჰ); ხოლო სონორები და სონანტები მხოლოდამხოლოდ უმარცვლოები და მჟღერები იყვნენ; მათ არ მოეპოვებოდათ მარცვლოვანი და ყრუ კორელატები (რ ლ მ ნ უ ე).

ფონოლოგიური ოპოზიცია ინტენსიური ~ არაინტენსიური: თ ~ თა, ც ~ ცა, ჩ ~ ჩა საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის ნეიტრალიზებულია, მაგრამ არა უკვალოდ: 1. თა ინტენსივი რეალიზებულია თანხმოვანთა ბიფონემური სთ ჯგუფით, ე. ი. თანხმოვნის ისტორიული სიგ-

რძე გამოიხატა ორი ფონემის არითმეტიკული ჯამით — \*თ<sub>ა</sub> → \*ს<sub>თ</sub>;  
 2. ც<sub>ა</sub>, ჩ<sub>ა</sub> ინტენსივები საერთოქართველურში ერთმანეთს შეერწყა და მი-  
 ვიღეთ ასევე ბიფონემური ც<sub>ბ</sub> თანხმოვნური ჯგუფი — ც<sub>ა</sub> ~ ჩ<sub>ა</sub> → ც<sub>ბ</sub>.  
 საერთონახურში თ<sub>ა</sub> ინტენსივი ძირითადად ადეკვატურად არის შემორჩე-  
 ნილი, თუმცა შეიმჩნევა თ<sub>ა</sub> → || თ/დ რყევა გარკვეული პოზიციების მი-  
 ხედვით, ხოლო ც<sub>ა</sub>, ჩ<sub>ა</sub> წარმოდგენილია ს<sub>ა</sub>, ც, ჩ ალოფონებით.

წინაპარი ენის ამოსავალი კონსონანტური სისტემა ასევე მდიდარი იყო თანხმოვანკომპლექსებით. იქ ფუნქციონირებდა ჰარმონიული და არა-ჰარმონიული კონსონანტური ჯგუფები.

ა) ჰარმონიული ჯგუფები:

ბღ	ბჭ	ფნ	ფჭ.	პე	დღ	(დჭ)	თნ	თჭ.	ტე	ბწ	(ბჭ)	ფს	ფშ
ძღ	ძჭ	ცნ	ცჭ.	წე	წღ	(წჭ)	სნ	სჭ.	სთ		სკ		
(ბღ)	(ბჭ)	(ცნ)	(ცჭ.)	(წე)	(წღ)	(წჭ)	(სნ)	(სჭ.)	(სთ)		(სკ)		
ჭღ	ჭჭ	ჩნ	ჩჭ.	ჰე	ჲღ	(ჲჭ)	შნ	შჭ.	(შთ)		(შკ)*		

ბ) არაჰარმონიული კონსონანტური ჯგუფები წარმოდგენილი იყო როგორც კონსონანტი + სონორი, ისე შებრუნებული სონორი + კონსონანტი თანმიმდევრობებით. ამათგან უკანასკნელი მოდელი მხოლოდ არაანლაუტში ფუნქციონირებდა; მისი დისტრიბუცია პოზიციურად შეზღუდული იყო.

წინარენახური მდგომარეობიდან მომდინარე კონსონანტი + სონორი თანხმოვნური ჯგუფები ქრონოლოგიურად მოგვიანო პერიოდის ენობრივ მონაცემში, ანუ საერთონახური ერთობის ხანაში შეიცვალა საპირისპირო (resp. შებრუნებული) წყობის სონორი + კონსონანტი თანმიმდევრობებით. ამ მოვლენას ფუძენახურში საფუძვლად დაედო არაჰარმონიულ და აქცესიურ ბგერათკომპლექსებში კლებადი ღიაობის კანონის ამოქმედება [ამის შესახებ იხ. ჩუხ. 1989]. ფუძეენური წარმომავლობის კონსონანტური ჯგუფების — კონსონანტი + სონორი ტიპოლოგიურად მსგავსი ტრანსფორმაცია-სუპერაციის ცოცხალ ნიმუშად გამოდგებოდა საერთოზანური მოდელის ევოლუცია, სადაც საერთოქართველური CS ამოსავალი თანმიმდევრობა ყველგან შებრუნებული წყობით შეიცვალა — CS → SC, შდრ. ქართ. ნისლ-ი : ზან. ნირს-ი, ქართ. სრიალ-ი : ზან. რსიოლ-ი, ქართ. მეგრელ-ი : ზან. მარგალ-ი...

ქვემოთ მოტანილი იქნება საერთოქართველური და საერთონახური ფუძე-ენების თანხმოვანშესატყვისობათა და მათი წინაპარი ენის ამოსავალი კონსონანტური სისტემის სინოპტიკური ტაბულები:

\* ფრჩხილებში მოთავსებული კონსონანტური ჯგუფების საილუსტრაცია ნიმუშები არ მოგვებოვება, თუმცა თეორიულად მათი არსებობა ფუძე-ენაში დასაშვებია.

**ქართველურ-ნახურ თანხმვანშესატყვისობათა ფორმულების  
სინოპტიკური ტაბულა**

ამოსა- ვალი	ს.ქართვ.	ს.-ნახ.	ქართ.	ზან.	სვან.	ჩქ.	ინგ.	ბაცბ.
*ბ	ბ/რ/ფ/მ	ბ/რ/ფ/მ	ბ/ვ/პ/ფ/მ	ბ/ფ/ო/მ	ბ/ფ/რ/პ/მ	ბ/რ/ო/ფ/მ	ბ/რ/ო/ფ/მ	ბ/პ/ვ/ფ/ო/მ
*ფ	ფ/ზ	ფ/შ,ა	ფ/ზ	ფ/ზ	ფ/ო	ფ/შ,ა	ფ/შ,ა	ფ/შ,ა
*პ	პ	ბ/ფ/მ	პ	პ	პ/ზ	ბ/ო/ფ/მ→რ	ბ/ო/ფ/მ→რ	ბ/ფ/მ
*ღ	ღ/თ/რ	ღ/თ	ღ/თ/რ/ი	ღ/ჯ/თ/რ	ღ/თ/რ→ა/ყ	ღ/თ	ღ/თ	ღ/თ/ტ
*თ	თ	თ/თა	თ	თ	თ	თ/თა	თ/თა	თ/თა→ტა
*თა	სთ	თა→თ	თ	თ	შთ→რ/მდ/შტ	თ/თ	თ/თ	თა→ტ/მთ
*ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ→თ	ტ→ლ	ტ→ლ	ტ
*ძ	ძ	ჯ→ღ/ძ	ძ	ჯ/ძ	ჯ/ღ/ძ	ჯ/ღ	ჯ/ღ	ჯ/ღ/ჭ
*ც	ც	ჩ→მ/ც/სთ	ც	ჩ/ც	ჩ/მ/ც	ჩ/მ/ც/სთ	ჩ/მ/ც/სთ	ჩ/მ/ც/სტ
*წ	წ	ჭ/წ	წ	ჭ/წ/წკ	ჭ/მ/ო/წ/წკ	ჭ→ჯ/ღ/წ/ძ	ჭ→ჯ/ღ/წ/წ/ძ	ჭ/წ
*ზ	ზ	ჟ/ზ→მ/ს	ზ	ჟ/ზ	ჟ/ზ	ჟ/ზ→მ/ს	ჟ/ზ→მ/ს	ჟ/ზ→მ/ს
*ს	ს	შ→ქ/ს/ს/ზ	ს	შ/ს	შ/ს	შ→ქ/ს/ს/ზ	შ→ქ/ს/ს/ზ	შ/ს/ს/ზ
*ცა	ცა	ც/სა	ცა	ც/ზ/ზ	ც/ზ/ზ	ც/სა	ც/სა→ს	ც/სა
*ჯ	ჯ	ღა	ჯ	ჯგ/ჯ/ღ	ჯგ/ჯ/ღ	თა	თა	ტა
*ჩ	ჩ	თა	ჩ	ჩქ/ჩქ	ჩქ/ჩქ	თა→ლ	თა→ლ	თა→ლ
*ჭ	ჭ	ტა	ჭ	ჭკ/ჭ	ჭკ→რ/ჭკ	ტ,თა←ტა	ტ,თა←ტა	ტ/ტა
*ყ	—	—	—	—	—	—	—	—
*შ	შ	შა→ლ/ს	შ	შქ→ს/ქ	შგ→ს/გ/ს	შ/შ/ლ/ლ	შ/შ/ლ/ლ	შ/ლ/ლ
*ძ.	ჯ	ჯ/ძ	ჯ	ჯგ/ჯგ	ჯგ/ჯგ←ტგ	ჯ→ქ/ღ/ძ	ჯ→ქ/ღ/ძ	ჯ→ქ/ჭ/ძ
*ც.	ჩ	ჩ/ც	ჩ	ჩქ/ჩ	ჩქ/ჩ	ჩ→ქ/მ/ც	ჩ→ქ/მ/ც	ჩ→ქ/მ/ც
*წ.	ჭ	ჭ/წ	ჭ	ჭმ/ჭ→მ/წკ	ჭმ/ჭ→მ/წკ	ჭ→ჯ/ღ/წ/წ	ჭ→ჯ/ღ/წ/წ	ჭ/წ
*ზ.	ჟ	ჟ	ჟ	ჟ(ლ)	ჟ(ლ)	ჟ	ჟ	ჟ
*ს.	შ	შ	შ	შქ/შქ	შგ/შგ	შ→ა/ყ	შ→ა/ყ	შ
*ღ	ღ	ღ/ქ	ღ	ღ	ღ→ა/ყ	ქ/ღ→ა/ღ/ო	ქ/ღ→ა/ღ/ო	ღ→ა/ყ/ქ
*ქ	ქ	ქ→ღ	ქ	ქ	ქ→ჩ	ქ/ღ	ქ/ღ	ქ/ღ
*კ	კ	კ/ს	კ	კ	კ→ჭ	კ→ა/ყ/გ	კ→ა/ყ/გ	კ→ა/ყ
*ლ	ლ	ლ/ყ	ლ	ლ	ლ	ლ/ყ	ლ/ყ	ლ/ყ
*ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ/ლ	ზ
*ღ	კრ/მ/რ/წ/ღ	ლ/შ/ლ	კრ/მ/რ/წ/ზ	კრ/მ/რ/წ/ზ	კრ/მ/რ/წ/ღ	ლ/შ/ლ	ლ/შ/ლ	ლ/შ/ლ
*წ	წ→ზ	წ→ზ	წ/ზ	ქ/ზ/ჩ	წ/ზ	წ/ზ	წ/ზ	წ/ზ
*ყ	ყ/კ	ყ/ლ→ა/ყ/ყ/კ	ყ/კ	ყ/ლ/კ	ყ/კ	ყ/ლ→ა/ზ/ყ/კ/ყ	ყ/ლ→ა/ზ/ყ/კ/ყ	ყ/ლ→ა/ზ/ყ/კ/ყ
*მ	ლ/რ←*მ	მ→შ,ა	ლ/რ	ლ/რ→ზ	ლ/რ	მ/შ/ა/შ/შ	მ/შ/ა/შ/შ	მ/ლ/შ/ა/ლ
*შ,ა	ხ/ქ←*შ,ა	შ,ა	ხ/ქ	ხ/ქ	ხ/ქ	შ,ა	შ,ა	შ,ა→ზ
*ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ/ო	ჭ/ო	ჭ	ჭ→ა/ჭ/ღ	ჭ

**წინარე-ენის თანხმომავთა სისტემის სინოპტიკური ტაბულა**

რაგვარობა	ჩქამიერი										სონორი			სონანტი			
	ხშული										სპირანტი			არანაზალი	ნახეართანხმომავანი		
	ხშულ-მსკდომი					აფრიკატი					ყრუ ფშვინვიერი		ნაზალი				
	ყრუ					ყრუ											
	ფშვინვიერი		აბრუპტივი			ფშვინვიერი		აბრუპტივი			ვიბრანტი	გვირდითი					
	მჟღერი	ინტენსიური	არაინტენსიური	ინტენსიური	არაინტენსიური	მჟღერი	ინტენსიური	არაინტენსიური	ინტენსიური	არაინტენსიური							
ლოკალური რივი																	
1. წყვილბავისმიერი	ბ		ფ		ჰ									მ			წ
2. კბილისმიერი	ღ	თა	ფ		ტ								ნ		ჩ		
3. წინა ალვეოლარული						d	ცა	ც		წ	ზ	ს					
4. შუა ალვეოლარული						d,		ც,		წ,	ზ,	ს,		რ			
5. უკანა ალვეოლარული						ჯ	ჩა	ჩ		ჭ	ჯ	მ					
6. პალატალური																	
7. შუაენისმიერი																რ	
8. უკანაენისმიერი	გ		ქ		კ							ხ					
9. ფარინგალური						ღ		ნ		ყ	ფ	შა					
10. ლარინგალური												შა					

**§ 50.1. წინარე-ენის ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემების**

სათანადო საერთონახურ მონაცემებთან შედარებითი ანალიზის მეშვეობით გამოიკვეთება მთელი წყება ფონეტიკური პროცესებისა, რომელიც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ფუძენახურისათვის. ესენია: ხმოვნებში პალატალიზაცია: ა → ე, ა → ი (§§ 5.3; 5.4), დეპალატალიზაცია: ე → ა, ი → ე, ი → ა (§§ 6.2; 7.2; 7.3); სონორებში: ლ → რ, ლ → ჟ, ლ → მ, ლ → ნ, ლ → დ, ლ → ჰ (§§ 13.3; 13.4; 13.5; 13.6; 13.7; 13.8), რ → ლ, რ → ნ, რ → მ (§§ 14.2; 14.3; 14.4), მ → ლ, მ → რ, მ → ნ (§§ 15.2; 15.3), ნ → ლ, ნ → მ, ნ → რ, ნ → დ (§§ 16.2; 16.3; 16.4; 16.5), ჟ → ნ (§ 20. 4); სიბილანტებში არტიკულაციის უკან გადაწევით — სისინა სიბილანტები → შიშინა სიბილანტები: ძ ც წ ზ ს → ჯ ჩ ჰ ჟ შ, შიშინა აფრიკატთა დეზაფრიკატიზაცია-სპირანტიზაცია: ჯ → ჟ, ჩ → შ (§§ 30.1; 30.2; 30.3; 30.4; 30.5), ამოსავალ შიშინა აფრიკატთა დესიბილაცია: ჯ ჩ ჰ → დ თ ტ (§§ 32.1; 32.2; 32.3); ფარინგალური რიგის მჟღერი აფრიკატის დეზაფრიკატიზაცია-სპირანტიზაცია: \*გ → ჰ/ღ (§ 35.2) და ა. შ.

ბუნებრივია დავსვათ კითხვა : რომელ ენაში ან ენათა ჯგუფში პოვებს ფუძენახური მდგომარეობისათვის აღწერილი ფონოლოგიური სისტემის ტრანსფორმაცია უახლოეს ტიპოლოგიურ პარალელებს?

ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის კვალიფიციური სპეციალისტებისთვის, თვალის ერთი გადავლებითაც კი, აშკარა ხდება, რომ საერთონახურ ფუძე-ენაში განხორციელებული ფონეტიკური გარდაქმნები განეკუთვნება ცვალებათა სვანურ ტიპს; ტიპოლოგიურად წინარე-ენიდან მომდინარე ამოსავალი ფონოლოგიური სისტემის ცვალება საერთონახურ ფუძე-ენაში ისეთივეა, როგორც საერთოქართველური ფონოლოგიური სისტემის ტრანსფორმაცია არის სვანურში.

შევეცდებით ზემოთაღწერილი საერთონახური ფონეტიკური პროცესები იმავე თანმიმდევრობით წარმოვადგინოთ იგივეობრივი სვანური ენობრივი მასალის მოხმობით, შდრ.: ხმოვნები — ს.-ქართვ. \*ა → სვან. ე : ს.-ქართვ. \*სამ- „სამი“ → სვან. სემ-ი „სამი“; ს.-ქართვ. \*ა → სვან. ი : ს.-ქართვ. \*ძალ- „სიმი“ → სვან. ჯილ || ჯილ-აჲ „სიმი“; ს.-ქართვ. \*ე → სვან. ა : ს.-ქართვ. \*ფეტჷ- „ფეტვი“ → სვან. ფჷტჷ „ფეტვი“; ს.-ქართვ. \*ი → სვან. ა : ს.-ქართვ. \*ბიც-ა „ქვა, მიწა“ → სვან. ბჷჩ „ქვა“; ს.-ქართვ. \*ი → სვან. ე : ს.-ქართვ. \*ლილჷ- „ხორცი, კანი“ → სვან. \*ლეღჷ „ხორცი“; სონორები — ს.-ქართვ. \*ლ → სვან. რ : ს.-ქართვ. \*ზღჷელ- „წვიმა“ → სვან. \*ჟღჷერ → ჟღერ „თავსხმა, წვიმა“, ს.-ქართვ. \*ლ → სვან. ჟ : ს.-ქართვ. \*ძალალ- „ძალი“ → სვან. ჟღჷ „ძალი“, ს.-ქართვ. \*ლ → სვან. მ : ს.-ქართვ. \*თალ- „გოჭი“ → სვან. თომ-ირ „ბურვაკი“, ს.-ქართვ. \*ლ → სვან. ნ : ს.-ქართვ. \*წყჷილ- „საზარდულები“ → სვან. ჰყჷენ "id", ს.-ქართვ. \*ლ → სვან. დ : ს.-ქართვ. \*ცჷილ- „ცვილი“ → სვან. ჯჷიდ "id", ს.-ქართვ. \*ლ → სვან. შ : ს.-ქართვ. \*წჷლ- „წული“ → სვან. ჰჷშ „ვაჟიშვილი“ (შდრ. ს.-ნახ. \*ლ → ჰ), ს.-ქართვ. \*რ → სვან. ლ : ს.-ქართვ. \*პირ- „პირი“ → სვან. პილ „ტუჩი, პირი“, ს.-ქართვ. \*რ → სვან. ნ : ს.-ქართვ. \*ნარ- „ხარი“ → სვან. ნჷნ "id", ს.-ქართვ. \*რ →

სვან. **მ** : ს.-ქართვ. \*კუკურ- „წვეთი“ → სვან. კუკუმ "id", ს.-ქართვ. \***მ** → სვან. **ლ** : ს.-ქართვ. \*გომ- „გომური“ → სვან. გტალ „ბოსელი“, ს.-ქართვ. \***მ** → სვან. **რ** : ს.-ქართვ. \*მტილ- „ბოსტანი“ ← სვან. ჰა-რტამ "id", ს.-ქართვ. \***მ** → სვან. **ნ** : ს.-ქართვ. \*ძამალ- „ვირთაგვა“ → სვან. ჯინირ „ციყვი“, ს.-ქართვ. \***ნ** → სვან. **ლ** : ს.-ქართვ. \*ყტენ-/\*ყტინ- „პარ-სვა“ → სვან. ყტელ- „მოცილება რაიმესი“, ს.-ქართვ. \***ნ** → სვან. **მ** : ს.-ქართვ. \*ლაგინ- „ლოგინი“ → სვან. ლგრგიმ „სავარძელი, ტახტი“, ს.-ქართვ. \***ნ** → სვან. **რ** : ს.-ქართვ. \*ზეგან- „ზეგანი“ → სვან. ზაგპრ „ქელი“, ს.-ქართვ. \***ნ** → სვან. **დ** : ს.-ქართვ. \*წუწნ- „წუწნა“ → სვან. წუსდ- "id", ს.-ქართვ. \***წ** → სვან. **ნ** : ს.-ქართვ. \*ტაკე „ვაკე“ → სვან. ნაკ "id" [იხ. ჩუხ. 2003, VIII: 217-225]; ს.-ქართვ. სისინა (**ძ ც წ ზ ს**) სიბილანტები → სვან. შიშინა (**ჯ ჩ ჰ უ შ**) სიბილანტები: ს.-ქართვ. \*სძე- „რძე“ → სვან. ლგჟე "id", ს.-ქართვ. \*ცბამ- „ცხიმი“ → სვან. მგ-ჩხიმ "id", ს.-ქართვ. \*ანწილ- „ანწლი“ → სვან. განჭტუ "id", ს.-ქართვ. \*ზატ- „ზავი“ → სვან. ჟაჭ "id", ს.-ქართვ. \*ას-ირ- „ასი“ → სვან. აშირ "id"; ისტორიული სვან. შიშინა **ჯ ჩ ჰ აფრიკატები** → თანამედროვე სვან. **უ შ ჰ სპირანტები**: ს.-ქართვ. \*ძლჟან- „ძღვნა“ → სვან. \*ჯლჟან- → ჟლჟან- "id", ს.-ქართვ. \*ტაჯ- „კაცი“ → სვან. \*ტაჩ → ღლჟაშ „ჯიხვი“, ს.-ქართვ. \*მწერ- „მწერი“ → სვან. \*მჭერ- → მჭერ → მწერ "id" [იხ. მაჭ. 1965: 28-30]; ამოსავალ შიშინა სიბილანტ-აფრიკატთა დესიბილაცია: **ჯ ჩ ჰ** → **დ თ ტ** მხოლოდ ერთ სვანურ მაგალითში გამოვლინდა, შდრ. ქართ. კირჩხიბ-ი, ზან. გირჯიბ-ი, სვან. გერდღაბ „ბალღინჯო“; ს.-ქართვ. \*ც → სვან. **ღ** რეგულარულად მჟღავნდება: ს.-ქართვ. \*ებ- „ზბო“ → სვან. ღაბ-ენა „მოზვერი“, ს.-ქართვ. \*დად- „ცერცვი“ → სვან. ლედ-არ || ლედ-ერ „მინდვრის ბარდა“, ს.-ქართვ. \*ფტიბ- „ხვიმირი“ → სვან. ღტებ „გობი“, ღობ-რა „ვარცლი, გეჯა“, შდრ. წ.-ნახ. \*ც → ს.-ნახ. ჰა || ღ (§ 35.2).

თუ ზემოთ აღწერილი ფუძენახურ-სვანური ფონეტიკური გარდაქმნების ერთგვაროვნებას გავიზიარებთ, უთუოდ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ საერთონახურმა ფონოლოგიურმა სისტემამ ფუძე-ენის დიფერენციაციის პროცესში განიცადა ისეთივე მოდიფიკაციები, როგორც საერთო-ქართველურმა ფონოლოგიურმა სისტემამ — სვანურის წიაღში. ამდენად, საერთონახური ენა, ამოსავალი ფონემური ინვენტარისა და პარადიგმატული სისტემის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, უახლოეს პარალელს ისტორიულ ქართველურ ენებში, კერძოდ, სვანურში პოვებს.

საბოლოო დასკვნის სახით ვიტყვი, საერთონახური ფუძე-ენის ფონემატური სტრუქტურის ფონეტიკური ტრანსფორმაციები უნდა დახასიათდეს როგორც სვანურისებური, ხოლო ფუძენახური ფონოლოგიური სისტემა — როგორც სვანური ტიპისა, ანუ ამოსავალი ვითარების ტრანსფორმაციის თვალსაზრისით **წინარენახურ** ფონოლოგიურ სისტემას **გვიანსაერთონახური** სისტემა ისევე მიემართება, როგორც **საერთოქართველურს** — **სვანურს**. ამოსავალი ფონოლოგიური სისტემის ტრანსფორმაცია აქ ერთგვაროვანია, საერთო მიმართულებისაა.

## დასკვნითი დებულებები

1. ქართველურ-ნახური ჯგუფის ენებს შორის მჟღავნდება რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობები. გამოვლენილ ფონემათ-კორესპონდენციებსა და ისტორიულ ბგერათცვლილებებს სისტემური ხასიათი აქვს, რაც სარწმუნოს ხდის კვლევით მიღწეულ შედეგებს. დადგენილი ბგერათშესატყვისობების დამაჯერებლობა ცხადდება ერთი მორფემის ფარგლებში **ხმოვნური** და **კონსონანტური** ფონემათმიმართებების სინქრონიულობის ხარჯზე: ცალფონემიან ბგერათშესატყვისობათა ჩვენება მეორდება ერთზე მეტხმოვნიან ძირებში, რასაც მიჰყვება კორესპონდენციები თანხმოვანკომპლექსთა დონეზე.

2. იბერიულ-კავკასიურ ენათა ძირის სპეციფიკიდან გამომდინარეობს ბგერათშესატყვისობათა კვლევის მეთოდოლოგიის სრულყოფის აუცილებლობა. ძირის ისტორიის სიღრმისეული ანალიზისათვის შემოტანილი **საერთიერთო მეტათეზისის** ცნების გამოყენებით საცნაური ხდება **ე. წ. შებრუნებული წყობის** ფუძეთა წარმომავლობა. ქართული **ჩანთა** → **თანჩა** ტიპის გარდაქმნები ძირეულ ლექსიკაში სავარაუდოა როგორც საერთონახური, ისე საერთოქართველური ფუძე-ენისათვის, რასაც მხარს უჭერს სათანადო დადესტნურ ძირთა ჩვენება.

3. ქართველურ-ნახური ჯგუფის ფუძე-ენათა ვოკალური სისტემისათვის ნიშანდობლივია როგორც დიფერენცირებული, ისე იდენტური ბგერათშესატყვისობანი — **დიფერენცირებული**: ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ო, ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ე, ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ი; ს.-ქართვ. ე ~ ს.-ნახ. ა, ს.-ქართვ. ე ~ ს.-ნახ. ი; ს.-ქართვ. ი ~ ს.-ნახ. ე, ს.-ქართვ. ი ~ ს.-ნახ. ა; ს.-ქართვ. ო ~ ს.-ნახ. უ, ს.-ქართვ. უ ~ ს.-ნახ. ო; **იდენტური**: ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ა, ს.-ქართვ. ე ~ ს.-ნახ. ე, ს.-ქართვ. ი ~ ს.-ნახ. ი, ს.-ქართვ. ო ~ ს.-ნახ. ო, ს.-ქართვ. უ ~ ს.-ნახ. უ.

4. ორივე ფუძეენურ მდგომარეობას ახასიათებდა ლაბიალური ო და უ ხმოვნები, რომლებიც ნახურ და ქართველურ დიფერენციამდელ ვოკალურ სისტემაშიც იყვნენ წარმოდგენილი. დასახელებულ ენათა ამოსავალი სისტემა ხუთ სადა ა ე ი ო უ ხმოვანს ითვლიდა; პალატალიზებულ, ნაზალიზებულ და გრძელ ხმოვან-ფონემათა სერიები მეორეული წარმომავლობისაა, რასაც ჯგუფებს შორის გამოვლენილი ხმოვან-მიმართებებიც ადასტურებენ; ამა თუ იმ საკვლევ ენაში თავჩენილი დიფთონგები ახალი ფორმაციისაა, რითაც დიფთონგიზაციის ტენდენცია მჟღავნდება; როგორც საერთოქართველური, ისე საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისათვის არ იყო დამახასიათებელი ხმოვანკომპლექსები, ისინი აკრძალულ კომბინაციათა რიცხვს განეკუთვნებიან.

5. საერთოქართველური და საერთონახური ფუძე-ენებისთვის ნიშანდობლივი იყო ხმოვნური აბლაუტი, კერძოდ, საერთოქართველური ე ~ ი ზმნური აბლაუტის შესატყვისი ჩანს საერთონახური ე ~ ა ასპექტური ტიპი (შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ე, ს.-ქართვ. ი :



ს.-ნახ. ა, რომელიც თავს იჩენს საერთო წარმომავლობის ნახურ-ქართველურ ზმნებში.

6. ორივე ჯგუფის ფუძე-ენათა რეკონსტრუირებულ ფონოლოგიურ სისტემაში გამოიყოფოდა კონსონანტთა ოთხი ძირითადი კლასი: 1. **ხშულები**, 2. **ნაპრალოვნები** (სპირანტები), 3. **სონორები**, 4. **სონანტები**. ხშულ-მსკდომთა წყვილბაგისმიერი (**ბ ფ პ**), კბილისმიერი (**დ თ ტ**) და ველარული (**გ ქ კ**) ლოკალური რიგები ძირითადად სამეულებრივ სისტემებს ქმნიან; აფრიკატთა ლოკალური რიგებიც სამეულებრივი იყო (**ძ ც წ, ჯ ჩ ჭ, დ ვ ყ**), ხოლო სპირანტებისათვის ნიშანდობლივი იყო წყვილმეულებრივი სისტემები (**ზ ს, ყ შ, ლ ხ, მ ჰ**).

7. საერთოქართველური ენობრივი ერთობის პერიოდისათვის რეკონსტრუირდება შემდეგი სახის კონსონანტური სისტემა — **ხშულმსკდომები**: ბ ფ პ დ თ ტ გ ქ კ, **აფრიკატები**: ძ ც წ ჯ ჩ ჭ [ღ] ჳ ყ, **სპირანტები**: ზ ს ყ შ ლ ხ [ჟ] [ჰ] ჰ, **სონორები**: რ ლ მ ნ, **სონანტები**: ა ყ.

8. ფუძენახური მდგომარეობისთვისაც იგივეობრივი კონსონანტური სისტემა აღდგება, რასაც ემატება აშკარად მეორეული წარმომავლობის **ღ თ ტ ხ** ინტენსივები და ლატერალური **ლ** სპირანტი.

9. საერთოქართველური და საერთონახური ფუძე-ენების წინაპარი ენისათვის (resp. წინარე-ენისათვის) მკვიდრი იყო **თ ~ თა, ც ~ ცა, ჩ ~ ჩა** ანუ ნორმალური ~ ინტენსიური ფონოლოგიური კორელაცია.

10. **წინარე-ენაში** სისინა და შიშინა სიბილანტების გვერდით ფუნქციონირებდა შუაალვეოლარული რიგის **სისინ-შიშინა** თანხმონები — **ძ, ც, წ, ზ, ს**, რომლებიც საერთოქართველურში გაშიშინდნენ, ხოლო ფუძენახურისთვის ბუნებრივი აღმოჩნდა როგორც შიშინა, ისე სისინა ტიპის რეფლექსაცია.

11. წინარე-ენაში არსებული სისინ-შიშინა **ზ**, მჟღერი სპირანტის გაშიშინების ისტორიული ფონეტიკური პროცესის შედეგად საერთოქართველურ ფონოლოგიურ სისტემაში დამკვიდრდა **ყ** შიშინა სპირანტი. ამით ცხადი გახდა ჩვენს ენებში **ყ** ფონემის წარმოშობის კიდევ ერთი წყარო — **ზ**, → **ყ**.

12. ამოსავალი **ა** და **ჟ** სონანტები არ იმყოფებოდნენ დამატებით დისტრიბუციულ მიმართებაში სათანადო **ი** და **უ** ხმონებთან. მათ თანხმონურ ბუნებაზე მეტყველებს ს.-ქართვ. **ს** ~ ს.-ნახ. **ა** (ამოსავალი \***ა**) და ს.-ქართვ. **ჟ** ~ ს.-ნახ. **რ/მ/ჟ** (ამოსავალი \***ჟ**) სონანტური ტიპის ბგერათმესატყვისობები.

13. ისტორიულად ორივე ჯგუფის ფუძე-ენათათვის დამახასიათებელი იყო **ცჟ** სახეობის ლაბიალიზებული კომპლექსები. **ცჟ** თანმიმდევრობა თავიდანვე ორი დამოუკიდებელი ბგერის არითმეტიკულ ჯამს წარმოადგენდა. მისი გენეზისი არ უკავშირდება ამოსავალ ლაბიალიზებულ თანხმონთან არსებობას. გვიანსაერთონახურ პერიოდში განხორციელდა ლა-

ბილიზებულ კომპლექსთა დაშლა, რასაც ვერ ვიტყვით საერთოქართველურ შესატყვისებზე. აქ ლაბილიზებული კომპლექსები ისტორიულ პერიოდშიც არ ცვლილა.

14. ხშულმსკდომთა წყვილბაგისმიერი, კბილისმიერი და უკანაენისმიერი თანხმოვნების ფონემათშესატყვისობანი ძირითადად იდენტურია, თუმცა, კონსონანტთა ამ ლოკალურ რიგებშიც შეინიშნება **ბ** → **ჟ**, **ბ** → **მ**, **ბ** → **ფ**, **ფ** → **ჰ**, **დ** → **თ**, **დ** → **რ**, **ტ** → **დ**, **გ** → **ქ**, **ქ** → **გ**, **კ** → **ყ** ფონეტიკური პროცესები.

15. წყვილბაგისმიერი **ბ** აბრუპტივი ასევე დამახასიათებელი იყო საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისათვისაც. იგი რეკონსტრუირდება ს.-ქართვ. **ბ** ~ ს.-ნახ. **ბ/ფ**, ს.-ქართვ. **ბ** ~ ს.-ნახ. **მ** კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა საფუძველზე.

16. საერთო ეტიმოლოგიის ნახურ-ქართველურ ძირ-ფუძეთა შედარებითი ანალიზისას ირკვევა, რომ ამოსავალ სისინა სიბილანტთა გაშიშინების ზანურ-სვანურისებური, ერთგვაროვანი ფონეტიკური პროცესი საცნაურია საერთონახური ენობრივი ერთობის პერიოდისთვისაც, ე. ი. წ.-ნახ. **ძ ც წ ზ ს** → ს.-ნახ. **ჯ ჩ ჭ უ შ**.

17. წინარენახური ენიდან მომდინარე შიშინა აფრიკატებში არტიკულაციის უკან გადაწევას საერთონახურ პერიოდში შედეგად მოჰყვა **ჯ ჩ ჭ** შიშინა სიბილანტთა დესიბილაცია, რის გამოც ისტორიულ შიშინა აფრიკატების რეფლექსები დაემთხვა დენტალური რიგის **დ თ ტ** ფონემებს — ს.-ქართვ. **ჯ ჩ ჭ** ~ ს.-ნახ. **დ თ ტ**.

18. ფუძენახურში არტიკულაციის უკან გადაწევის საერთო პროცესის რეალურობა მტკიცდება შიშინა **შ** სპირანტის რეფლექსთა მეშვეობითაც, შდრ. ფარინგალიზაციის საერთონახური **შ** → **ჰ** ფონეტიკური პროცესი, რომლის წიაღშიც ჩამოყალიბდა ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **შ** : ს.-ნახ. **ჰ** ← \***შ**.

19. არტიკულაციის უკან გადაწევის პირობებში, **შ** სპირანტის არასტაბილური არტიკულაციის შედეგად, ფუძენახურში **ჰ** → **ლ** ალტერნაციის გზით საფუძველი ეყრება **ლ** ლატერალის ფონემიზაციის ისტორიულ პროცესს. აქ იკვეთება ფონეტიკური საფუძველი **ლ** ბგერის ფონემად ჩამოყალიბებისა.

20. ქართველურ-ნახურ ბგერათშესატყვისობათა კანონზომიერებებზე დამყარებით შესაძლებელი გახდა ფარინგალური რიგის აფრიკატებისა და სპირანტების სრული სერიის — **ღ ჳ ყ ჴ ჰ** — რეკონსტრუქცია. ნახურ ენათა ისტორიული ფონეტიკის მონაცემები აბათილებს დალესტნური ენებისათვის გამოთქმულ ჰიპოთეზას **ჴ ჰ** ფარინგალურ სპირანტთა მეორეული წარმოშობის შესახებ.

21. როგორც საერთოქართველური, ისე საერთონახური ფუძე-ენა მდიდარი იყო თანხმოვანკომპლექსებით. ორივე ჯგუფის ფუძეენებში ფუნქციონირებდა ჰარმონიულ-დეცესიური და ჰარმონიულ-აქცესიური კონსონან-

ტური ჯგუფები, შდრ. ს.-ქართვ.  $C^{\circ}F_2 \sim$  ს.-ნახ.  $C^{\circ}F_2$ ; ს.-ქართვ.  $F_1F_2 \sim$  ს.-ნახ.  $F_1F_2$  და არადეცესიური ტიპის — ს.-ქართვ. **სთ** : ს.-ნახ. **სთ**, ს.-ქართვ. **ბზ** : ს.-ნახ. **ფშ** ←\***ბუ** — ჰარმონიულ კომპლექსთა შესატყვისობები.

22. ამოსავალ თანხმოვანკომპლექსთა არაჰარმონიულ ჯგუფებში გაირჩეოდა **კონსონანტი + სონორი** და **სონორი + კონსონანტი** სინტაგმატური ჯგუფები.

ამ ჯგუფებიდან საერთონახურში მარკირებულია მხოლოდ **სონორი + კონსონანტი** თანმიმდევრობა. საერთოქართველურისთვის კი ბუნებრივი იყო ორივე ტიპის არაჰარმონიული თანხმოვანური ჯგუფები. მეგრულ-ლაზურ ენაშიც, ფუძენახურის მსგავსად, დასაშვებია მხოლოდ **სონორი + კონსონანტი** თანმიმდევრობის სინტაგმატური ჯგუფები. შებრუნებულ წყობა ზანურში აკრძალულ კომბინაციათა რიცხვს განეკუთვნება.

23. ქართველურ-ნახურ ფუძე-ენებში თავჩენილ თანხმოვანკომპლექსთა სიმდიდრე უნდა განვიხილოთ როგორც არქაული ვითარება, რომელიც მომდინარეობს წინარეკავკასიური (resp. პროტოიბერიული) ენობრივი მდგომარეობიდან და არ წარმოადგენს ინოვაციას.

24. დასახელებული ფუძე-ენებისათვის სახელურ და ზმნურ ძირთა სტრუქტურის ძირითადი კანონიკური მოდელები უნდა ყოფილიყო **C, VC, CVC, CVCC, CCVC, CCVCC**. ფორმანტთა ამოსავალი ტიპი ანლაუტში **CV**- მოდელით იყო განსაზღვრული, ხოლო აუსლაუტში ფუნქციონირებდა **VC**- სტრუქტურის აფიქსები. ფუძენახურში, განსხვავებით საერთოქართველურისაგან, ასევე ბუნებრივი იყო ფორმანტთა არაანლაუტური **CV** ტიპის მოდელებიც.

25. წინარე-ენიდან მომდინარე ამოსავალი ფონოლოგიური სისტემის ცვალება ფუძენახურში ტიპოლოგიურად ისეთივე ჩანს, როგორც საერთოქართველური ფონოლოგიური სისტემის ტრანსფორმაცია იყო სვანურში: ამოსავალი ფონემური ინვენტარისა და პარადიგმატული სისტემის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, საერთონახური ენა უახლოეს პარალელს ისტორიულ ქართველურ ენებში, კერძოდ, სვანურში ჰპოვებს.

ნაწილი მეორე

ქართველურ-ნახური  
ეტიმოლოგიური  
ლექსიკონი

## აგარა

ქართ. აგარ-ა, აგარ-აკ-ი „სახლი მთაში“, ანგარ-ი ხელოვნური ზღუდე“, ზან. აგვარა || ანგვარა „საქონლის ჩასამწყვდევნი, შემოღობილი ალაგი“, ლაზ. ონგორე „ღირე“, სვან. აგვმ || ჰაგვმ „გომური“. სვანურში შეიმჩნევა, ერთი შეხედვით, უცნაური, თუმცა სვანურისთვის დამახასიათებელი, რ → მ ფონეტიკური პროცესი [იხ. ჩუხ. 2000-2003: 23-24].

ს.-ქართვ. \*ა-გარ-ა „გომური; შემოღობილი ადგილი; ღირე“

იჩქ. ოგა (ერგ. ბრ. ოგან-ულ, მრ. რ. ოგან-აშ) „ძვიდე, ტიხარი, გადატიხრული“, ინგ. ოგვ (ერგ. ბრ. ოგან-დე) "id", ბაცბ. ოგან; ბაცბურში სათანადო ფუძე დაკარგული ჩანს.

ს.-ნახ. \*ო-გან- „ტიხარი, გადატიხრული“.

## ა-გ-ერ

ქართ. გ-, ა-გ-ერ, ა-ქ, ძვ. ქართ. ა-ქ-ა-ე, ზან. (მეგრ.) თა-ქ „აქ“ ა-თა-ქ „აგერ“, ლაზ. ჰა-ქ-ო „აქ“; საერთოქართველურ არქეტიპად აღსადგენია გ- → ქ- ძირი, რომელიც სიახლოვის გაგებას გამოხატავდა [ჩიქ. 1938: 255].

ს.-ქართვ. \*ა-გ- „აგერ, ახლოს“

იჩქ. გერ-გა (რედუბლ.) „ახლოს“, ინგ. გარ-გვ "id", ბაცბ. გარ-გ-ეჰა „ახლოს“; ნახურ დიალექტებში საერთონახური \*გ-არ- ძირის რედუბლიციკრებული ალომორფები დასტურდება, შდრ. ქართ. ა-გ-ერ. მისგან იწარმოება ნათესავისმეგობრის ცნება ნახურ ენებში: იჩქ. გერ-გ-არ-ა, ინგ. გარ-გარ-ვ „ნათესავი, მეგობარი“, გერ-გარ-ლუო, გარ-გა-ლუო „ნათესაობა“, შდრ. ხუნძ. შაგარ-აშ „ახლოს“, აფხ. აგ-ტა „ახლოს“, მაგრამ აგ-ტა „მეგობარი“.

ს.-ნახ. \*გერ- „ახლო(ს)“.

## აგურ-ი

ქართ. აგურ-, აგურ-ი, ზან. ოგურ-ი "id" შემონახულია ადგილის დასახელებაში ოგურ-ხინჯ-ი = ქართ. აგურ-ხიდ-ი, შდრ. ლაზ. ენგურ-ი „აგური“. სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [ჩუხ. 2000-2003: 49].

ს.-ქართვ. \*ა-გურ- „აგური, გამომწვარი თინა“

იჩქ. ანგალი „მინა, ფაიფური, ქაშანური“, ინგ. ინგალო || ინ-რალდე "id", ბაცბ. ანკრ-აჰო ← \*ანგარ-აჰო „შუშა“; ბაცბურში გ → კ გამკვეთრების პროცესი აიხსნება საზოგადოდ მჟღერ ხშულთა და აფრიკატთა გლოტალიზაციისაკენ მიდრეკილებით. ამოსავალი რ ბაცბურს შემოუნახავს ფუძის აუსლაჟტში, შდრ. რ → ლ ვაინახურში.

ს.-ნახ. \*ანგარ- „ფაიფური, შუშა/მინა“.

### ა-დვ-ილ-ი

ქართ. **ა-დვ-ილ-**, **ა-დვ-ილ-ი**, სვან. **ადღურ** || **მედღურ** „მთელი“, **ადღურ**-დ „სულ, მთლად“; სვანური **ადღურ**, რა თქმა უნდა, მიღებულია \***ადღე**-ი რ ← \***ა-დღე**-ილ- პრაფორმისაგან. შეიძლება გვეფიქრა მეგრულ **ედო**-მგშამო „მთლად, მთლიანად“ ლექსემაზეც, შდრ.: ჰურ. **ედვ** „სხეული, ტანი“, ურარტ. **ელი**- „ნივთი“.

ს.-ქართვ. \***ა-დღე-ილ-** „ადვილი; სრული, მთლიანი“

იჩქ. **დ-ადნ** „მსუბუქი; იაფი“, ინგ. **დ-აჟ** "id", ბაცბ. **დ-ავ**-ი „მსუბუქი; მჩატე“; საერთონახურ ენობრივ მდგომარეობას ამ შემთხვევაში ბაცბური უკეთ გვიჩვენებს, ვინაიდან ვაინახურ დიალექტებში ისტორიული **ვ** ფონემა ჩავარდნილია, ხოლო ინგუშურმა ბოლოკიდური სონორიც დაკარგა — **ნ** → **ვ** → **∅**.

ს.-ნახ. \***დ-აჟ-ინ** „მსუბუქი, მჩატე“.

### ადრ-ე

ქართ. **ადრ-**, **ადრ-ე** „ადრე, ზვალ“, **ადრ-ე-ადრ-ე**, ზან. (მეგრ.) **ორდ-ო** „დილა“, ლაზ. **ორდ-ო** || **ორდ-ო** „მალე, ადრე“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. ყიფშ. 1914: 294; ჩიქ. 1938: 199]. ქართ. **ადრ-ე** : ზან. **ორდ-ო** ფუძის აუსლაუტში ისეთსავე მიმართებას აჩვენებს, როგორც ქართ. **თხლ-ე** : ზან. **თხლ-ო** "id" შეპირისპირებისას დასტურდება. ამოსავალი ვითარება, ალბათ, ქართულს დაუცავს. **მალე** ~ **ადრე** ~ **დილა** ~ **ზვალ** საერთო რიგის სემანტიკებია.

ს.-ქართვ. \***ადრ-ე** „დილა, ადრე; ზვალ“

იჩქ. **‘ჟმრმე** ← **‘ჟრდენ**<sup>5</sup> (მრ. **‘ჟმრმენ-აშ**) „დილა“, ინგ. **‘უმრმე** ← **‘ურდმე**<sup>5</sup> (მრ. **‘უმრმენ-აშ/ე**) "id", **‘ურ-ა** „დილით“, ბაცბ. **‘ურდნ-ა** ← **‘ურდენ-ა** „დილა“, შდრ. **‘ურდენ** „დილით, დილას“; საერთონახურ არქეტიპთან ახლოსა დგას ბაცბური მონაცემი. ვაინახურ დიალექტებში **დ** → **ჟ** პროცესი დასტურდება. ს.-ქართვ. \***ადრ-ე** : ს.-ნახ. \***ურდ-ენ** კანონზომიერი შესატყვისობაა როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით, შდრ. ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **უ-**; იხ. აქვე, **სა-ვივ-ი**.

ს.-ნახ. \***ურდ-ენ** „დილა“.

### ათ-ი

ქართ. **ათ-**, **ათ-ი**, **ათ-ეულ-ი**, მე-**ათ-ე**, **ათ-ას-ი**, **ათ-იან-ი**, ზან. **ვით-** ← \***ოთ-**, **ვით-ი** „ათი“, ლაზ. **ვით-ოშ-ი**, მეგრ. **ვით-ოშ-ი** „ათასი“, სვან. **მ-ეშდ/ტ** „ათი“; საერთოქართველურში აღსადგენია \***ასთ-** არქეტიპი, რომლის **სთ** კომპლექსი ქართულ-ზანურში გამარტივდა — **სთ** → **თ**, ხოლო სვანურში შიშინა **შთ** → **შდ/შტ** სახეობით შემოგვრჩა. არნ. ჩიქობავას ზუსტი დაკვირვებით, თავკიდური **ჟ** სვანურში იმავე ფუნქციისაა,

რაც ე-ორ- „ორი“ ფუძეში გვაქვს [ჩიქ. 1938: 218; როზ. 1845: 11; შმიდ. 1962: 92; კლიმ. 1964: 45].

ს.-ქართვ. \*ასთ- „ათი“

ჩიქ. ითჲ „ათი“, ინგ. ითჲ „ათი“, ბაცბ. იტჲ ←\*ითჲ „ათი“; საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება \*ითჲ- პრაფორმა, რომელიც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \*ასთ- ძირისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ი (§ 5.4), ს.-ქართვ. სთ : ს.-ნახ. თჲ (§ 27.2). დასადგენია ს.-ნახ. თჲ → ბაცბ. ტჲ გლოტალიზაციის საფუძველი. დ → ტ პროცესის ანალოგიურია? [იხ. ჯავახ. 1937: 422-423].

ს.-ნახ. \*ითჲ- „ათი“.

### 「ათხე」

სვან. თხ-, ა-თხ-ე || ა-თხ-ე „ახლა“, ა-თხ-ად „დღემდე, ამ დრომდე“. სვანური თხ- ძირის შესატყვისი დანარჩენ ქართველურ დიალექტებში გამოვლენილი არ არის. შეიძლება გვემსჯელა სხვა ენათაგან სესხების შესაძლებლობაზე, როგორც ამას თ. გონიაშვილი ვარაუდობდა [გონ. 1940: 593], მაგრამ მსგავსი სტრუქტურისა და შინაარსის სიტყვა სხვა ენებში ვერ გამოვავლინეთ, ამიტომაც სვანურ ათხე სიტყვას საერთოქართველურიდან მიმდინარედ მივიჩნევთ, რომელიც სხვა ქართველურ დიალექტებში დაკარგულია, ან ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის.

ს.-ქართვ. \*თხ- „ახლა, დღეს“

ჩიქ. თახ-, თახ-ანა „დღეს“, თხა-უსუ „ამდამ“, ინგ. თახ-ანჲ „დღეს“, თახ-ან-ე „დღევანდელი დღე“, ბაცბ. თხ-ა „დღეს“, თხ-ა-ბუს „წუხელ, დღეს-დამ“; საერთონახური ფუძე-ენისათვის აღსადგენია \*თახ- არქეტიპი, რომელიც შესატყვისის პოვნებს სვანურ ა-თხე-/ა-თხ-ად ფორმებში, შდრ. ს.-ქართვ. თხ : ს.-ნახ. თხ (§ 44). საერთონახური -ანა მიცემითი ბრუნვის დაბოლოება ჩანს.

ს.-ნახ. \*თახ- „დღეს“.

### -აკ „ნაწილაკი“

ქართ. -აკ : წიგნ-აკ-ი, ვაც-აკ-ი, დან-აკ-ი..., ზან. (მეგრ.) -იკ : ხოჯ-იკ-ი „ხარუკა“, ერჯ-იკ-ი „ვერძუკა“, ბოჩ-იკ-ი „ვაცუკა“... საერთოქართველურში ფუნქციონირებდა -აკ სიმცირის გამომხატველი ნაწილაკი.

ს.-ქართვ. \*-აკ „ნაწილაკი“

ჩიქ. -იგ ← -იკ, ინგ. -იგ ←\*-იკ, ბაცბ. -იკ „სიმცირის აღმნიშვნელი ნაწილაკი“, შდრ. ვაინახ. კეზ-იგ : ბაცბ. კად-იკ „პატარა“; აღდგება საერთონახური ფუძე-ენის მდგომარეობისათვის. ს.-ქართვ. \*-აკ : ს.-ნახ. -იკ კანონზომიერი შეპირისპირებაა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ი (§ 5.4).

ს.-ნახ. \*-იკ „ნაწილაკი“.

### აღალ-ი

ქართ. **აღალ-**, **აღალ-ი** „ოლოლი“, ზან. (ლაზ.) **ოლოლი**-ი „ფრინველი რომელიც ღამით დაფრინავს“, შდრ. ქართ. (← ზან.) **ოლოლი**-ი „ზარნაშო, დიდი ბუ“; სვანურში შესაბამისი ფუძე ვერ გამოვავლინეთ. ზანურისთვის სავარაუდო **ოლოლი**- ფორმა (ქართ. ა : ზან. ი) საბას ლექსიკონშიც გვხვდება, რაც ზანურიდან მის ადრეულ ნასესხობაზე მეტყველებს.

ს.-ქართვ. \***აღალ-** „ზარნაშო, ოლოლი“

იჩქ. (ქისტ.) **უადუად** ←\***ოდოდ** „ოფოფი“, ინგ. **ოდოდ** "id", ბაცბ. **ოდოდ**; ბაცბური შესატყვისი შემორჩენილია ფშაურ დიალექტში, სადაც ნასესხობის სახით დასტურდება **ოდოდ**-ა; -ა საკუთრივ ქართული სუფიქსი ჩანს. ს.-ნახ. \***ოდოდ-** კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. \***აღალ-** არქეტიპს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ი (§ 5.2), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **დ** (§ 13.7).

ს.-ნახ. \***ოდოდ-** „ოფოფი“.

### აღ-ა-ო

ქართ. **აღ-ა**, **აღ-ა-ო** „ფქვილი დანოტიოვებული“ (საბა), **აღ-ა-ო** „ნოტიო და ჩახურებული ფქვილი“; „ასეთი ფქვილისაგან გამომცხვარი პური“ (ქეგლ-ი); ზან. (ლაზ.) **აღ-ე** "id"; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ; საერთოქართველური ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \***აღ-ა**- არქეტიპი.

ს.-ქართვ. \***აღ-ა-** „ალაო; ალაოსგან გამომცხვარი პური“

იჩქ. **აღ-გ** ←\***აღ-იგ** „პატარა პური“, "хлебца", ინგ. **აღ-**, **აღ-** „ბლინი“, ბაცბ. **ღ-აღუ-ღ** (მრ. რ.) „ალაო“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \***აღ-ო** სახელური ძირი, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***აღ-ა**- პრაფორმა. ინგუშურის სემანტიკა უფრო აახლოვებს აღწერილ ფუძეთა მნიშვნელობებს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ა/ი (§ 5.2).

ს.-ნახ. \***აღ-ო** „პატარა პური; ბლინი; ალაო“.

### -ამ

ქართ. **-ამ** „ზმნური თემის ნიშანი“, გ-აბ-**ამ**, ბ-მ-ა ←\*ბ-**ამ**-ა, ვ-დგ-**ამ**, დგ-მ-ა ←\*დგ-**ამ**-ა; ზან. (ლაზ.) **-უმ** ← **-ომ** "id", ბ-ზუმ-**უმ** „ვზომავ“, ბ-ჭარ-**უმ** „ვწერ“, მეგრ. ბ-დგ-**უნ-ქ** „ვდგამ“, დგ-**უმ-ა** „დგმა“, ვ-ო-ბ-**უნ-ქ** „ვასხამ“, ბ-**უმ-ა** „სხმა“; სვან. **-ემ** ←\***-ამ** "id", ხტ-ა-ბ-**ემ** „ვაბამ“, ხტ-ა-გ-**ემ** „ვაგებ“, ხტ-ი-ქტ-**ემ** „ვიცმევ“; საერთოქართველურისთვის აღსადგენია \***-ამ** თემის ნიშანი, რომელიც მასდარულ ფორმებშიც იჩენს თავს [იხ. შან. 1916: 365-372; კლიმ. 1964: 44; ფენ.-სარჯ. 2000: 81-82].

ს.-ქართვ. \***-ამ** „თემის ნიშანი“

იჩქ. **-ამ** (ჭებ.-**ომ**) „-ობა მასდარული სუფიქსი“, ბ-დგზ-**ამ** (ჭებ.



ბ-ფეზ-**იმ**) „სიყვარულობა, სიყვარული“, თფემ-**ამ** (ჭებ. თფემ-**იმ**) „ნდობა“, ინგ. **ამ** "id", ბ-ფეზ-**ამ** "id", თფემ-**ამ** "id", ბაცბ. -**იმ** "id", თფემ-**იმ** „ნდობა“, თფემ-**იმ** „თანხმობა“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღვადგენთ \*-**იმ** სუფიქსს, რომელიც სრულად არის შემონახული ჭებერლოურსა და ბაცბურში. ს.-ქართვ. \*-**ამ** : ს.-ნახ. \*-**იმ** ბუნებრივი ფონეტიკურ-მორფოლოგიური მიმართება ჩანს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** (§ 5.2).

ს.-ნახ. \*-**იმ** „-ობა მასდარული სუფიქსი“.

### ამგალ-ი

ქართ. **ამგალ-**, **ამგალ-ი** „სამწყსო მეზობლად მდგარი“ (საბა), ქართლ. **ამგალ-ი** || **ანგალ-ი** || **ამგლ-ებ-ი** „მომიჯნავეები“, ზან. **ოგურ-ი** „ახლო ნათესავი, თავისიანი“; სვანური ეკვივალენტი ვერ გამოვავლინეთ; ხოლო ქართ. **ამგალ-** ფუძის ზანურ შესატყვისზე მსჯელობა შესაძლებელი ხდება საბასთან ფიქსირებული **ოგურ-ი** „პირუტყვი მეგობარნი, პირუტყვი დამეგობრებული“ ლექსემის წყალობით. ეს უკანასკნელი ზუსტად ასახავს ზანურისთვის მოსალოდნელ ვითარებას — ქართ. **ამგალ-** : ზან.

**ოგურ-** ← \*-**ომგორ-** ← \*-**ომგოლ-**.

ს.-ქართვ. \*-**ამგალ-** „მომიჯნავე, ამხანაგი, მეწყვილე; ნათესავი“

იჩქ. **ემგარ** (ჭებ. **ანგირ**, ქისტ. **ენგირ**) „ერთი ცოლი მეორის მიმართ“, ინგ. **ენგირ** "id", ბაცბ. **ამგირ**; ბაცბური ეკვივალენტი აღსადგენია ჭებერლოური დიალექტის ჩვენების მიხედვით. საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება \*-**ამგირ-** არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \*-**ამგალ-** ძირისა, შდრ. ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ი** (§ 5.4), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **რ** (§ 13.3). *ამხანაგის, მეწყვილის* შინაარსი ნახურ ენებშიც ხელშესახებია.

ს.-ნახ. \*-**ამგირ-** „მეწყვილე; ერთი ცოლი მეორის მიმართ“.

### -ან

ქართ. -**ან** „ზმნური სუფიქსი“, მი-უ-ძლუ-**ან-ა**, წარ-ი-ყვ-**ან-ა**; ზან. (მეგრ.) -**ონ** "id", ლაზ. -**ონ** "id", მო-მ-ი-ჯლ-**ონ-უ** „მომიგზავნა“, სვან. -**ან** "id", ხ-ო-ჟლუ-**ან-ე** „უგზავნის“, ხ-უ-ლჟ-**ან-დ-ა** „ჰქონდა“; საერთოქართველური ენობრივი მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \*-**ან** სეგმენტი, რომელსაც შესატყვისები მოეპოვება სამსავე ქართველურ დიალექტში [სარჯ. 1985: 23].

ს.-ქართვ. \*-**ან** „ზმნური სუფიქსი“

იჩქ. -**ან** ← -**ან** „ინფინიტივის სუფიქსი“, ინგ. -**ან** ← -**ან** "id", ბაცბ.

-**ან** ← -**ან** "id"; საერთონახურში ფუნქციონირებდა \*-**ან** ზმნური სუფიქსი: ს.-ნახ. \*დ-ეჟ-**ან** „გადახდა“, \*დ-ეხ-**ან** „თხოვნა“, \*თფემ-**ან** „ნდობა“, \*თფემ-**ან** „ხვეწნა“... ს.-ქართვ. \*-**ან** : ს.-ნახ. \*-**ან** კანონზომიერი ფონეტი-

კურ-მორფოლოგიური შესატყვისობა უნდა იყოს.

ს.-ნახ. \*-ან „ინფინიტივის სუფიქსი“.

### -ან

ქართ. -ან „სახელური სიტყვაწარმოებითი სუფიქსი“, -ევ-ან, ე-ან || ი-ან, -ოვ-ან, ოს-ან; ზან. -ონ "id", ჯუმ-ონ-ი „მარილიანი“, ჯოხ-ონ-ი „სახელოვანი“, ბულ-ონ-ი „ბლიანი“, გურ-ონ-ი „გულოვანი“; ჭუბურ-ონ-ი „წაბლოვანი“; სვან. -წრ || -წრ „კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსი“, თაშ-წრ „ყველიანი“, წიდ-წრ „ჭუჭყტიანი“; ს.-ქართვ. \*-ან სუფიქსს სვა-ნურში -ან უნდა მოეცა, მაგრამ ენაში მოქმედი ნ → რ გადაბგერებით მივიღეთ -არ [იხ. ჩიქ. 1926: 309; ჩუხ. 2000-2003: 55].

ს.-ქართვ. \*-ან „სახელური სიტყვაწარმოებითი სუფიქსი“

ჩიქ. -ან || -ინ ← -ინ „ზედსართაული სუფიქსი“, ინგ. -ან ← \*-ინ "id", ბაცბ. -ენ || -ინ ← -ინ "id"; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \*-ინ სუფიქსი, რომელიც დამახასიათებელი იყო ადიეტივური სიტყვაწარმოებისთვის, შდრ. ს.-ნახ. \*ნითხ-ინ „წვრილი“, \*დ-ურ-ინ „მლაშე“, \*მაც-ინ „მშიერი“... მისი ალომორფია ს.-ნახ. \*-ენ "id", ისევე როგორც ს.-ქართვ. \*-ინ, შდრ. სვან. ნეც-ინ „წვრილი“.

ს.-ნახ. \*-ინ „ზედსართაული სუფიქსი“.

### ანწლ-ი

ქართ. ანწლ-ი, ზან. ინჭირ- ← \*ანჭირ-, ინჭირ-ი || ინჭირ-ია „ანწლი“, სვან. განჭუ ← \*ანჭილ „ანწლი“; ზანური მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება მეორე მარცვლისეული ხმოვნის პოსტულაცია საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე [იხ. მარ. 1912: 1095-96, კლიმ. 1964: 44].

ს.-ქართვ. \*-ანწილ- „ანწლი“

ჩიქ. ჭინ || ჭინ- სიტყვაში: ჭინ-ჟარღა || ჭინ-ჯურ „ანწლი“, ინგ. ჭინ-, სიტყვაში ჭინ-ჯერ "id", ბაცბ. ჭინ. საერთონახური ერთიანობის დონეზე ამ ფუძის რეკონსტრუქცია პირობითია, ვინაიდან ჩვენს ხელთ არსებული მასალა მეტად მწირად გვეჩვენება.

ს.-ნახ. \*ჭინ- „ანწლი“.

### არ-ე

ქართ. არ-ე „არე“, არ-ე-მ-არ-ე, ძვ. ქართ. არ-ე-მ „ადგილი“, არ-ე-ობ-ა „გარეთ, ღია ცის ქვეშ ყოფნა“, არ-ე-მ „გაზაფხული; დრო“, ზან. (ლაზ.) ორ-ა „დროის მონაკვეთი“, მეგრ. ორ-ო „ჩრდილი, აჩრდილი“, სვან. ჰარ- ← \*არ-, მა-ჰარ-ა „ჩრდილიანი ადგილი“; შეიძლება აქვე შემოდიოდეს არ- ძირისაგან ნაწარმოები ქართული ფუძეები: არ-ილ-ი, არ-ი-ელ-ი, სი-არ-ულ-ი [იხ. ჩუხ. 2000-2003: 422].

ს.-ქართვ. **არ-** „არე; ჩრდილიანი ადგილი“  
იჩქ. **არ-**, **არ-** „ველი, გაშლილი სივრცე“, **არ-** „გარეთ“, ინგ. **არ-**  
„მინდორი, ველი, გაშლილი ადგილი“, **არ-** „გარეთ“, ბაცბ. **არ-**;  
ბაცბური ეკვივალენტი, როგორც ბევრგან, აქაც გვაკლია. საერთონახურ  
არქეტიპად აღსადგენია **\*არ-** ძირი, რომელიც კანონზომიერი სტრუქტურულ-  
სემანტიკური შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. **\*არ-** მორფისა.  
ს.-ნახ. **\*არ-** „არე, სივრცე, გაშლილი ადგილი“.

### არტალა

ქართ. **არტალა** „საკლავთ უკანა მუჯლს ქვეითი“ (საბა), ზან.  
(მეგრ.) **ონტოლე** „ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი“; **ნ/რ** ფონეტიკური  
ჩანართია, შდრ. გურ. (← მეგრ.) **ორტოლა** [იხ. როგ. 1962: 73-74]. სვა-  
ნური შესატყვისი დღემდე არ ჩანს. საერთოქართველური ფუძეების დონე-  
ზე გამოსაყოფია **ა** — **ა** ცირკუმფიქსი.

ს.-ქართვ. **\*ტალ-** / **ა-ტალ-** „საქონლის ბარკლის ქვედა ნაწილი“  
იჩქ. **ტა** (მრ. რ. **ტან-აშ**) „საქონლის წინა ფეხი“, ინგ. **ტა** (ერგ.  
**ტან-უო**) "id", ბაცბ. **ტა** (მრ. რ. **ტაფ-ნი**, **ტაფ-ნი-ხ** || **ტაფ-ნი-ხ** „წინა  
ფეხში“) "id". ბაცბურში შემორჩენილი **ტაფ** სახეობა მეტად ძვირფასია  
ამ ფუძის ისტორიის დასადგენად.

ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **ჟ** შესატყვისობა იხ. აქვე, § 13.4.

ს.-ნახ. **\*ტაჟ-** „საქონლის წინა ფეხი“.

### არჩვი

ქართ. **არჩვი** || **არჩვი**, ზან. **ერსქემ** || **ერცქემ** — **\*ორჩქამ**-  
„არჩვი“, სვან. **ჰერსკენ** || **ჰერსკენ** || ← **ფერსკენ** „არჩვი“; ზანურ-სვანურ-  
რი მონაცემების მიხედვით საერთოქართველური ფუძეებისთვის რეკონ-  
სტრუირდება **\*არჩ-ეჟ-** არქეტიპი. სხვაგვარი რეკონსტრუქციისთვის [იხ.  
კლიმ. 1964: 45; შმიდ. 1962: 93; ფენ.-სარჯ. 2000: 84-85].

ს.-ქართვ. **\*არჩ-ეჟ** „არჩვი“

იჩქ. **ფეთ** „ძროხა“, ინგ. **ფეთ** „ძროხა“, ბაცბ. **ფეთ** „ფური, ძროხა“;  
ნახურ ენათა არანომინატიურ ფორმებში კლასნიშნისეული **ფ-** არ გამო-  
ჩნდება და გვექნება **ათ-** აბლაუტური ფუძე. საერთონახური მდგომარეო-  
ბისთვის აღსადგენია **\*ფ-ეთ-**, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება  
ს.-ქართვ. **\*არჩ-ეჟ-** არქეტიპს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ა** :  
ს.-ნახ. **ე** (§ 5.3), ს.-ქართვ. **ჩ** : ს.-ნახ. **თ** (§ 32.3). **არჩვი** ~ **ძროხა** ნორ-  
მალური სემანტიკური კორელაცია ჩანს.

ს.-ნახ. **\*ფ-ეთ-** „ძროხა, ფური“.

## «ასალ-ი»

ქართ. «ასალ-ი», სვან. **ასალ** || **ასწლ** „სატეხი“; ქართულსა და ზანურში შესაბამისი ფუძეები არ არის გამოვლენილი. ვინაიდან სვანურ მონაცემს პარალელები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში, გამოვთქვამთ მოსაზრებას **\*ასალ-** ძირის საერთოქართველური წარმომავლობის შესახებ, შდრ. დიდ. **ასი**, დარგ. **ურშური** „სატეხი“...

ს.-ქართვ. **\*ასალ-** „სატეხი“

იჩქ. **ასთა** || **სთუო** || **სთო** „სატეხი“, ინგ. **ოსთ** "id", ბაცბ. **სტო** „საჭვრეთელი, სატეხი“; ბაცბურში ჩავარდნილია წინამავალი ხმოვანი, რაც სხვა დროსაც გამოჩნდება, შდრ. ბაცბ. **ვა** ← **\*ჰაჯა** „ლორი“: ვაინახ. **ჰაჯა** "id"... ამდენად, საერთონახურისთვის აღსადგენია **\*ასთ-ო** ტიპის არქეტიპი, რომელიც ს.-ქართვ. **\*ასალ-** სახელის შესატყვისი ჩანს. ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **თ** (← **დ**) გაგვასხნებს სხვა შემთხვევას, სადაც **ლ** → **დ** ფუძენახურში უამპოზიციოდაც დასტურდება (იხ. § 13.7, **ბოსელ-ი**).

ს.-ნახ. **\*ასთ-ო** „სატეხი, საჭვრეთელი“.

## ასალ-ი

ქართ. **ასალ-**, **ასალ-ი** „ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი“, გურ. **ასალა-ფ** „ქეჩა კეხის ქვეშ დასაფენი“, ზან. **ოსარე** „პერანგი; ურმის ნაწილი“, სვან. **არშულ** || **არშუილ** „ნიფხავი“; ზანური **ოსარე** ისტორიულად **ოშორაფ** არქეფორმისგან მომდინარეობს, რასაც მხარს უჭერს სვანური მონაცემიც. საერთოქართველური ფუძე-ენისთვის რეკონსტრუირდება **\*ასალ-** არქეტიპი.

ს.-ქართვ. **\*ასალ-** „ქეჩა, პერანგი, ნიფხავი“

იჩქ. **ნსა** (მრ. რ. **ნსან-აშ**) „თასმა, ქამარი“, ინგ. **ოსან** ← **\*ნსან** "id", ბაცბ. **ასრ** (მრ. რ. **ასერ-ჩ**) „თასმა“; საერთონახური მდგომარეობისთვის აღვადგინეთ **\*ასერ-** არქეტიპი, რომლისთვისაც ბაცბურის მრ. რიცხვის ფორმა ამოსავალი. ს.-ქართვ. **\*ასალ-**: ს.-ნახ. **\*ასერ-** გამოაჩენს რეგულარულ ბგერათშესატყვისობებს, შდრ. ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ე** (§ 5.3), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **რ** (§ 13.3).

ს.-ნახ. **\*ასერ-** „თასმა, ქამარი“.

## ას-ი

ქართ. **ას-**, **ას-ი**, ათ-**ას-ი**; ზან. (მეგრ.) **ოშ-**, **ოშ-ი** „ასი“, ვით-**ოშ-ი** „ათასი“, ლაზ. **ოშ-ი** „ასი“, ვით-**ოშ-ი** „ათასი“; სვან. **აშ-ირ** || **წშ-ირ** „ასი“; აკად. არნ. ჩიქობავა მიუთითებდა მეგრულში ვით-**ოშ-ი** „ათასი“ სახელის არ არსებობაზე. ვაზუსტებთ, ვით-**ოშ-ი** „ათასი“ დღესაც, იშვიათად, მაგრამ, მაინც, არის ხმარებაში [ჩიქ. 1938: 219-220]. საერთოქართველურ არქეტიპად აღსადგენია **\*ას-ირ-** ძირი.

ს.-ქართვ. **\*ას-ირ-** „ასი“

იჩქ. **ბჳჳ** (ჳებ. **ბაჳჳ**, ითუმყ. **ბეჳ**) „ასი“, **ბჳჳნ**-აშ „ასები“, ინგ. **ბჳჳ** ← \***ბაჳჳ** „ასი“, **ბჳჳნ**-აშ „ასები“, ბაცბ. **ბაჳჳ**; ბაცბურში *ასის* აღმნიშვნელი ფუძე დაკარგული ჩანს. საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის აღსადგენია \***ბაჳჳ-ინ**- პრაფორმა, რასაც მხარს უჭერს დაღესტნურ ენათა მასალა, შდრ.: ხუნდ. **ნ-უს**-გო, ანდ. **ბ-ეშონ**-უგუ, ბოთლ. **ბეშუნ**-უდა, ბაგვ. **ბეშენ**-და, ლოდ. **ბეშენ**-უდა, დიდ. **ბ-იშონ**, დარგ. **დ-არშ**, არჩ. **ბ-აშა** „ასი“. ისტორიულად თავკიდური **ბ-**, **დ-**, **ნ-** ფუძეს შეხორცებული გრ. კლასის ნიშნებია ნახურ-დაღესტნურ ენებში. ბგერათმესატყვისობა ს.-ქართვ. **ს** : ს.-ნახ. **ჳა** : ს.-დად. **ს/შ** მეორდება *ქალიშვილის* აღმნიშვნელ საერთო ფუძეებში — ქართვ. **ას-ულ-ოს-ურ-ჳას-უმ** : ნახ. **დოჳა** || **დოჳ** : ხუნდ.-ანდ. **დას/დოში** „ქალიშვილი“...  
ს.-ნახ. \***ბაჳჳ-ინ**- „ასი“.

### ასთაკე-ი

ქართ. **ასთაკე**-, **ასთაკე**-ი || **ასთაკე** „დუმიანი კიბორჩხალი დიდი“, სვან. **აშდჳჳჳ** || **ჳანშდჳჳჳ** || **აშტაკჳ** „ხვლიკი“; ამ სიტყვათა ზანური შესატყვისი უნდა ჩანდეს ბერძნულ ოსთრაკ-ონ || ოსთრაკუ „კუს სახეობა“ სიტყვებში, ქართ. ასთაკე- → ბერძნ. ასთაქ-ოს → სპარს. აჟდაჳ „ურჩხული“ → დაღესტნურ ენათა აზდაჳ „id“.

ს.-ქართვ. \***ასთაკე**- „ხვლიკი“

იჩქ. **შარტყამ** „ბოხმეჳა (ერგვარი უფეხო ხვლიკი)“, ინგ. **შატყამ** „id“, ბაცბ. **შიტყორ**. ბაცბური ფუძე შემონახული ჩანს თუშურ კილოში. საყურადღებოა, რომ ს.-ქართვ. **სთ** კომპლექსის შესატყვისი **შთ** ნახურ ენებში განხლეჩილია, რის შედეგად მიღებული **თყ** თანმიმდევრობა ნახურში კანონიკურ **ტყ**-დ გარდაიქმნა. ბუნებრივი ჩანს აუსლაუტური ს.-ქართვ. **ჳ** : ს.-ნახ. **მ** მიმართებაც, იხ. აქვე, § 20.3; იხ. ასევე **კყ** სუბსტიტუცია აქვე, § 37.4.

ს.-ნახ. \***შთაყამ**- „ბოხმეჳა (ერგვარი ხვლიკი)“.

### ასკილ-ი

ქართ. **ასკილ**-, **ასკილ**-ი „ტყის ვარდი“ (საბა), „ეკლიანი ველური ბუჩქი“ (ქეგლ-ი); სხვა ქართველურ დიალექტებში **ასკილ**-ის შესატყვისი ალომორფები ვერ გამოვლინდა. როგორც ეტყობა, ზანურ-სვანურმა ეს სიტყვა დაკარგა, თუმცა შდრ. ტოპონიმი **ოშკ**-ი ისტორიულ ლაზეთში.

ს.-ქართვ. \***ასკილ**- „ასკილი“

იჩქ. **ჳანკალ**, ინგ. **ჳანკალ**, ბაცბ. **ჳანკალ** „ასკილი“; ქართულ-ბაცბურ იზოგლოსად შეიძლება ამ შეპირისპირების კვალიფიკაცია. ს.-ქართვ. **ს** : ს.-ნახ. **ჳა** ← **შ** (იხ. აქვე, § 30.5) ბგერათმესატყვისობა ამ შემთხვევაშიც დაცულია, რაც ამაგრებს განხილულ ფუძეთა საერთო წარმომავლობის შესაძლებლობას.

ს.-ნახ. \***ჳანკალ**- „ასკილი“.

## ასლ-ი

ქართ. **ასლ-**, **ასლ-**ი დასტურდება საბას ლექსიკონში; ქართული **ასლ-**ის ზანური სახეობა **ოსგლ-** ფორმით უნდა გვქონოდა, რომელიც ნასესხობის სახით ოსურში შემოგვრჩა, შდრ. ოსური **ვასგლგ** || **ოსგლგ** „ასლი“. **ასლ-**ის შესატყვისად მიჩნევენ სვანურ **სგლ** სიტყვას [იხ. კახ. 1987:35]. ამრიგად, ქართული ფორმა **ასლ-** ისტორიულად ორმარცვლიანი ძირი იყო.

ს.-ქართვ. \***ასალ-** „ასლი“

იჩქ. **აოშა** (მრ. რ. **აოშან-აშ**) „სარეველა ბალახის სახეობა“, ინგ. **აოშა** (მრ. რ. **აოშან-აშ/ჟ**) "id", ბაცბ. **აოშა<sup>ნ</sup>**. ბაცბურ ფორმას მხოლოდ თეორიულად თუ ვივარაუდებთ. **ა-** ფორმანტი სიტყვის თავში გრ. კლასის ნიშანი ჩანს.

ს.-ნახ. \***ა-აშან-** „სარეველა ბალახის სახეობა“.

## ასულ-ი

ქართ. **ასულ-**ი, ზან. (მეგრ.) **ოსურ-**ი „ქალი; ცოლი“, **ოსურ-**კათა „ქალები“, **ოსურ-**სქუა „ქალიშვილი“, ლაზ. **ოსურ-**ი „ქალიშვილი; ქალი“, ოხრ-**ასურ-**ე || ოხრ-**ასულ-**ე || ოხორ-**ასულ-**ე „ცოლისდა; მული“, სვან. **ჰასტ-**იმ → || **ასტ-**იმ „ასული, გათხოვილი ქალი“ [მარ. 1917: 314; ჩიქ. 1938: 38-39; ფენ.-სარჯ. 2000: 87, კლიმ. 1998: 8]. სვანურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლებელი ჩანს \***ჰასტ-**ილ- არქეტიპის აღდგენა ფუძეენური მდგომარეობისთვის, შდრ. ქართ. **უსტ-**არ-ი (საბა).

ს.-ქართვ. \***ჰასტ-**ილ- ← \***ს-ასტ-**ილ- „ასული“

იჩქ. **ა-ოა** ← \***ა-ოჰა** „ქალიშვილი, ასული“, **ა-ოა-**სთაგ „ქალწული“, ინგ. **ა-ოა** ← \***ა-ოჰა** "id", ბაცბ. **ა-ოჰა** „ქალი, ქალიშვილი, გოგო“, **ა-ოჰა-გ-ოჰა** „ქალ-ვაჟი“; საეთრონახური არქეტიპი თანამედროვე ბაცბურ მონაცემს ემთხვევა. ს.-ქართვ. \***ჰასტ-**ილ- : ს.-ნახ. \***ა-ოჰა-** კანონზომიერი შეფარდება ჩანს როგორც სემანტიკური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით, შდრ. ს.-ქართვ. **ს** : ს.-ნახ. **ჰა** (§ 30.5). ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** ამ შემთხვევაში უნდა მიუთითებდეს **ჰა** ფარინგალის ლაბიალიზაციაზე ისტორიულად — \***ა-ოჰა-** ← \***ა-აჰატ-** (ბაცბ. ნათ. ბრ. **აჰა-ინ**). ანლაუტური **ჰ** სვანურში ს.-ნახ. **ა-** გრ. კლასნიშნის საერთოქართველური \***ს-** შესატყვისის კვალი გვგონია — **ს** → **ჰ**.

ს.-ნახ. \***ა-ოჰა-** ← \***ა-აჰატ-** „ასული“.

## ა-ფთარ-ი

ქართ. **ა-ფთარ-**, **ა-ფთარ-**ი, შდრ. მეგრ. (← ქართ.) **ა-ნთარ-**ი „მინაური საქონლის მფარველი ღმერთი“ (აფხ. (← მეგრ.) **აფ-თარ** "id"); ზან. (მეგრ.) **ო-ფთგრ-**, შემონახულია ტოპონიმ **ნა-ოფთგრ-**ში, რაც ნა-

**აფთარ**-ალ-ს უდრის; ლაზ. **ო-პინტრ**-ე ←\***ო-ფთირ**-ე, სიტყვაში **ოჩ-ოპინტრ**-ე = ვაც-**აფთარ**-ი; **ფ-თ** → **პ-ტ** ლაზურიდან ქართულში სესხებისას ფშვინვიერთა არაადეკვატური აღქმის შედეგად მიიჩნევა; სვან. **ა-ფსანდ** || **ა-ფსანდ** || **ა-ფსათ** ←\***ა-ფშთას** „გარეულ ნადირთა ღმერთი“; საერთოქართველური \***ა-ფთარ**- სიტყვის გაღმერთება ქართველურ დიალექტებში დაკავშირებულია **ა-ფთარ**-ის, როგორც ცხოველის, სპეციფიკურ რწმენა-ჩვეულებებთან [ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ჩუხ. 2000-2003: 52-54].

ს.-ქართვ. \***ა-ფსთარ**- „აფთარი (ნადირთა ღმერთი)“

იჩქ. **ფარდა** „ავაზა“, ინგ. **ფარდ** "id", ბაცბ. **ფარდ**„; საერთონახურისთვის აღსადგენია \***ფართ**-ე არქეტიპი, რომელსაც პარალელები, გარდა ქართველურისა, მოეპოვება დაღესტნურ ენებშიც, შდრ. ხუნძ. **ფინთა** → || ჭად. **ბუთა** „გაზელი, ანტილოპა“. ვფიქრობთ, ს.-ქართვ. **აფთარი** ~ ს.-ნახ. **ავაზა** ~ ს.-დაღ. **ანტილოპა** ნორმალური სემანტიკური მიმართებაა, რასაც მხარს უმაგრებს ამ სიტყვათა მატერიალური იგივეობა.

ს.-ნახ. \***ფართ**-ე „ავაზა“.

### «აფხა»

ქართ. **«აფხა»**, ზან. (ლაზ.) **ემხუ** || ← **ეფხუ** ←\***ოფხუ** „თხუნელა“, სვან. **აფხუ** ←\***აფხა** „ბაყაყი“; ლაზურ-სვანური იზოგლოსების შედარებითი ანალიზი არკვევს, რომ ქართულში მოსალოდნელი **აფხა** სიტყვა დაკარგულია. ადვილი შესამჩნევია **ო** → **ე** პროცესი ლაზურში, რაც ხშირად დაჩნდება, შდრ. ქართ. **რაცხ**- „აღრიცხვა“ : ლაზ. **კო-როცხ**- → || **კო-რეცხ**- „თვლა“, ქართ. **ოც**-ი : ლაზ. \***ოჩ**-ი → **ეჩ**-ი „ოცი“...

ს.-ქართვ. \***ა-ფხა** „თხუნელა; ბაყაყი“

იჩქ. **ფჰა**-გალ „კურდღელი“, ინგ. **ფჰა**-გალ "id", ბაცბ. **ფხა**-კალ ←\***ფჰა**-კალ „კურდღელი“; საერთონახურ ძირად \***ფჰა**- გამოიყოფა, -**გალ/კალ** სუფიქსური ჩანს. ს.-ქართვ. \***ა-ფხა** : ს.-ნახ. \***ფჰა**- ბუნებრივი შესატყვევება, შდრ. ბგერათშესატყვისობა კომპლექსთა დონეზე ს.-ქართვ. **ფხ** : ს.-ნახ. **ფჰა**. სემანტიკური კორელაცია **თხუნელა** ~ **კურდღელი** ვიზუალური სახელდების ნიმუშად გვესახება.

ს.-ნახ. \***ფჰა**- „კურდღელი“.

### «აფხან»-

ქართ. **«აფხან»**, ზან. (მეგრ.) **აფხა** „ბეჭი“; ქართველურ არქეტიპზე მხოლოდ მეგრული მონაცემის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ. ვინაიდან **ნ** სონორისთვის სიტყვის აბსოლუტური ბოლო მეგრულში სუსტი პოზიცია არის, ამდენად სავარაუდო ჩანს \***ა-ფხან**- არქეტიპის რეკონსტრუქცია საერთოქართველურში.

ს.-ქართვ. \*ა-ფხან- „ბეჭი“

იჩქ. ფხანარ „ბეჭი“, ინგ. ფხანდარ ←\*ფხანერ "id", ბაცბ. ფხანერ „ბეჭი“; ბაცბურის ვითარება საერთონახურისას ემთხვევა, ოღონდ ს.-ნახ \*ფხან-ერ- (შდრ. ს.-დალ. \*ბესუნ „ბეჭი“). საყურადღებოა ს.-ქართვ. ფხ : ს.-ნახ. ფხ შესატყვისობა ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა ღონეზე.

ს.-ნახ. \*ფხან-ერ- „ბეჭი“.

### აყალ-ო

ქართ. აყალ-, აყალ-ო „თიხა“, აყალ-ო „ესე არს მიწა საბონთ მსგავსი, მწიკვლთა გამრეცხავი“ (საბა), სვან. ჟოყალ „თიხა“, "ГЛЫНОЗЕМ"; \*აყალ- ძირი შეიძლება აღდგეს საერთოქართველური ენობრივი ერთიანობის ღონემდე; მას პარალელები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ს.-ქართვ. \*აყალ- „ერთგვარი მიწა, თიხა“

იჩქ. ძეყა „სიბი ქვა, ფიქალი“, ინგ. ძეყა "id", ბაცბ. აყი "id"; საერთონახური ენობრივი მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \*აყი არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \*აყალ- წინარეფორმისა.

ს.-ნახ. \*აყი „სიბი ქვა, ფიქალი“.

### აყალ-ო

ქართ. აყალ-, აყალ-ო „მოუსავლიანი მიწა“, ქართლ. აყალ-ო „რბილი მიწა; კარგი მოსავლიანი ადგილი“, ზან. (მეგრ.) უყ-ი || უს-გ „მიწა, ყამირი“, შდრ. გურ., იმერ. (← მეგრ.) უყ-ი „გაუტეხელი დიდხანს დასვენებული მიწა“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. მეგრულში ფუძე საგრძნობლად არის გაცვეთილი — ქართ. აყალ-: ზან. უყგ- ←\*ოყუ-, შდრ. წყალ- : წყუ.

ს.-ქართვ. \*აყალ- „აყალო; ყამირი მიწა, ნასვენი მიწა“

იჩქ. აყარი || აყარდე „ზეგანი“, ინგ. აყარდე „ვაკე ადგილი მალლობზე, მთაზე“, ბაცბ. აყარ-; საერთონახურისთვის აღსადგენია \*აყარ- არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*აყალ-, შდრ. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. რ (§ 13.3).

ს.-ნახ. \*აყარ- „ვაკე ადგილი მალლობზე, მთაზე“.

### აშკ-ი

ქართ. აშკ-ი „ილეკოს ძაფი“, „რკინისა და სპილენძის ძაფი“ (საბა), სვან. ჰაშკ || აშკ „შალის ორწვერა ძაფი“; თავკიდური ჰ სვანურში ფშვინვიერი შემართვის შედეგი ჩანს: ჰაშკ ← აშკ. საერთოქართველურში აღსადგენია \*აშე- არქეტიპი, შდრ. ფშ., მთ. აშე „საქსოვი ძაფი“ — ქართ. შ : სვან. შკ.



ს.-ქართვ. \*აშ-ე- „დაფი (მოოქროვილი, რკინისა, სპილენძისა)“  
იჩქ. ჰაას-ა „დაფი (მოოქროვილი, მოვერცხლილი)“, ინგ. ჰაოას-ა "id",  
ბაცბ. ჰაასზ; ნახურ ენებში ჰა ფარინგალური სპირანტი ისეთივე ფონეტი-  
კური დანართი ჩანს, როგორც — სვანური ჰ; თუმცა შესაძლებელია ჰ : ჰა  
მიმართებაზეც ვისაუბროთ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. შ : ს.-ნახ. ს —  
**შიშინა : სისინა** — ამოსავალში სისინ-შიშინა ს, ფონემას ვარაუდობს.  
ს.-ნახ. \*ას-ო „დაფი (მოოქროვილი ან მოვერცხლილი)“.

### ა-ჩუ

ქართ. -ჩუ, ა-ჩუ, ა-ჩუ-ა „ცხენი“, ზან. (მეგრ.) ჩუ „შეძახილი ცხე-  
ნისთვის განკუთვნილი“, სვან. ჩუ "id"; საერთოქართველურ არქეტიპად  
აღვადგენთ \*ჩუ- ძირს, რომელსაც ფუძე-ენაში ცხენის მნიშვნელობა ახა-  
სიათებდა.

ს.-ქართვ. \*ჩუ- „ცხენი“  
იჩქ. დინ (მრ. რ. დო-ე) „ცხენი, ჰუნე“, ინგ. დი (მრ. რ. დო-ე)  
"id", ბაცბ. დო „ცხენი“; ვაინახურ დიალექტებში ძველი ვითარება შემო-  
რჩენილია მრავლობითის ფორმებში, რომელიც ბაცბურ დო არქეფორმას  
ემთხვევა. ს.-ქართვ. ჩ (\*ჩუ-) : ს.-ნახ. დ (\*დო-) უჩვეულოა, ვინაიდან  
საერთოკავკასიური ჩ საერთონახურში თა/თ ალოფონებშია გადასული.  
ანლაუტში, როგორც ეტყობა, თა ინტენსიური ფონემის დისტრიბუციული  
შეზღუდულობის გამო მოხდა თა → დ გამჟღერება.

ს.-ნახ. \*დო- ← \*თაო- „ცხენი, ჰუნე“.

### ახ-ალ-ი

ქართ. ახ-, ახ-ალ-ი, ახ-ლ-ო, ახ-ლ-ა, მ-ახ-ლ-ო, ძვ. ქართ. ახ-ს „ახ-  
ლოს არის“, ახ-ან „ახლოს არიან“, ზან. მ-ახ-ა „ახალი“, ზო-მ-ახ-ა „წელი  
ახალი“, შდრ. სვან. (← მეგრ.) ზო-მ-ხ-ა ← ზო-მ-ახ-ა "id", ლაზ. მ-ოდ-ა  
← \*მ-ახ-ა „ახალი“, სიტყვაში ნოლა-მისა ← მ-ოდ-ა-ნისა „ახალი რძალი“,  
ანუ „პატარძალი“, სვან. მ-ახ-ე „ახალი“ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 101, 148;  
შმიდ. 1962: 94; ფენ-სარჯ. 2000: 692].

ს.-ქართვ. \*ახ- „ახლო, ახალი“

იჩქ. ა-უხ-ეჟ „ახლოს“, ინგ. ა-უხ-ეჟ „გვერდით, ახლოს“, ბაცბ.  
ა-უხ-ეჟა „გვერდით“; საერთონახური ერთობის ხანისათვის გამოიყოფა  
ა-უხ- არქეტიპი, რომელიც ს.-ქართვ. \*ახ- ძირის მონათესავე უნდა იყოს.  
აღწერილ ფუძეთა სემანტიკური სიახლოვე შემაგრებულია მატერიალურ-  
სტრუქტურული ერთიანობით.

ს.-ნახ. \*ა-უხ- „ახლოს, გვერდით“.

## ბაბ-უ-ა

ქართ. **ბაბ-**, **ბაბ-უ**, **ბაბ-უ-ა**, ზან. **ბაბ-**ა „მამა“, **ბაბ-უ** „ბაბუა“, სვან. **ბუბ-**ა „ბიძა“; საერთოქართველური \***ბაბ-** არქეტიპი საბავშვო ლექსიკას განეკუთვნება და ნაკლებ სანდოა. თუმცა, სხვადასხვა მნიშვნელობით ყველა ქართველურ დიალექტში მეორდება.

ს.-ქართვ. \***ბაბ-** „ბაბუა; მამა; ბიძა“

იჩქ. **ბაბ-**ა „ბებია“, ინგ. **ბაბ-**ი "id", შდრ. ჟერ-**ბაბ-**ი „კუდიანი დედაბერი“, ზედმიწ. „ქვრივი დედაბერი“, ბაცბ. **ბაბ-**ი „ბაბუა“; საერთონახური \***ბაბ-** არქეტიპიც საბავშვო ლექსიკას განეკუთვნება, ცხადია, მაგრამ მაინც შემოგვაქვს შესადარებელ ერთეულთა სიაში აღსაწერი მასალის სისრულისათვის.

ს.-ნახ. \***ბაბ-** „ბებია, დედაბერი; ბაბუა“.

## ბაგ-ე

ქართ. **ბაგ-ე**, ნა-**ბაგ-ეგ**-ი „ნატუჩევი“ (საბა), სვან. ნე-**ბგუ-**ა || ნი-**გბ-**ა || ნი-**გობ-**ა „შუბლი“; ზანური შესატყვისები ვერ გამოვავლინეთ. სვანურ ალომორფთა შორის მეტ სიძველეს ზემოსვანური ნე-**ბგუ-**ა ← \*ნე-**ბოგ-**ა აჩვენებს, შდრ. სტრუქტურული პარალელები სომატურ სახელებში: ნი-**კბ-**ა (კაბ-რძე) „ნიკაბი“, ნე-**ფხუნ-**ა „ცხვირი“, ნე-**ქჷ-**ა „წარბი“... ძირად \***გობ-** ← **ბაგ-** გამოიყოფა. ძირისეული ა ხმოვნის ლაბიალიზაცია მეზობელ **ბ** ფონემას მიეწერება: **ა** → **ო** [იხ. ჩუხ. 2000-2003: 168].

ს.-ქართვ. \***ბაგ-ე** „ტუჩი, ბაგე“

იჩქ. **ბაგ-**ა „პირი“, **ბაგ-**ალგ „პირუკა“, ინგ. **ბაგ-**ეგ "id", **ბაგ-**ეღღ "id", ბაცბ. **ბაქ** „პირი“; მოულოდნელია **გ** → **ქ** ბაცბურში. საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება \***ბაგ-** არქეტიპი პ ი რ ი ს მნიშვნელობით. მისაღებად გვეჩვენება შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე: ს.-ქართვ. *ტუჩი* ~ ს.-ნახ. *პირი*.

ს.-ნახ. \***ბაგ-** „პირი“.

## ბაგუ-

ქართ. **ბაგუ-**, ზან. (მეგრ.) **ბგგ-**, სიტყვაში **ბგგ-**ძირ-ი „შინდი“, სვან. **ბაგუ-**, **ბაგუ-**ინდ || **ბაგუ-**რა „მდგნალი“; სვანურში ძირად გამოყოფილ **ბაგუ-** სახელს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. **ბგგ** ← \***ბოგუ-**, შდრ. **ბოგუ-**ეთ-ი (ტოპ.). ქართულში **ბაგუ-** ტიპის ფუძე არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. \***ბაგუ-** „მდგნალი“

იჩქ. **ბაგა** (ჭებ. **ბაგა**) „ფიჭვი“, ინგ. **ბაგ** "id", ბაცბ. **ბაგა**; საერთონახური ენობრივი მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \***ბაგ-**ა არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***ბაგუ-** ძირს. შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე ს.-ქართვ. *მდგნალი* ~ ს.-ნახ. *ფიჭვი* ბუნებრივად გვეჩვენება.

ს.-ნახ. \***ბაგ-** „ფიჭვი“.

## ბად-ე

ქართ. ბად-ე „ბადე, ობობას ქსელი“, ზან. (მეგრ.) **ბოდ-<sup>1</sup>**, შდრ. ნა-ბად-ა ← \*ნა-ბოდ-ა „ნაბადევი“ (ტობ. ფოთთან), ლაზ. ბოდ-ა „ბადე“, შდრ. მოსა-ბოდ-ა = ქართ. მასე-ბად-ე, ბოდ-ა-კალ-ი „ბადე-ჯონი“, ო-ბოდ-ალ-ე „ბადისებური ტომარა“, სვან. ბნდ ← \*ბად-ი „ბადე; ობობას ქსელი“ [იხ. შმიდ. 1962: 95; კლიმ. 1964: 48]. ეგევე ბად- ძირი გამოჩნდება ქართულ ნა-ბად-ი, ლაზ. ლი-ბად-ი „მოსასხამი, პალტო“ სიტყვებში [იხ. ჩუხ. 2000-2003: 56].

ს.-ქართვ. \*ბად-ე „ბადე, ობობას ქსელი“.

იჩქ. (დიალ.) ბუონ || ბუონჲ „ქსოვილი“, „მახე“, ინგ. ბოან-გ "id", ბაცბ. ბოდ „მახე“; ვაინახურ ენებში, როგორც მოსალოდნელი იყო, დაკარგულია არაანლაუტური დ, ამიტომაც უპირატესობა საერთონახური არქეტიპის აღდგენისას ბაცბურ მონაცემს ენიჭება — ს.-ნახ. \*ბოდ- „მახე“: ს.-ქართვ. \*ბად-ე, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ო (§ 5.2). ლოგიკური ჩანს სემანტიკური კორელაცია ს.-ქართვ. ბადე ~ ს.-ნახ. მახე.

ს.-ნახ. \*ბოდ- „მახე“.

## ბად-ებ-ა

ქართ. ბად-, და-ბად-ებ-ა, ბედ-ი, და-ბედ-ებ-ა, ბედ-ობ-ა; ზან.(მეგრ.) ბად- „დაბადება“, უ-ბად-ო = უ-ბედ-ო, მო-უ-ბად-ე „მტერი“, ლაზ. ბად- „დაბადება“, დო-ბად-ონა „სამშობლო“.

ამოსავალი ე განმოვანება დაცულია ბედ-ი სიტყვაში, ე → ა სუბსტიტუციისთვის შდრ. ქართ. დელ-ავ-ს, მაგრამ და-ი-ღალ-ა: ზან. ღალ-; შესაძლოა სიტყვათა ამ რიგში შემოვიდეს სვან. ბდ-, ლი-ბდ-ე „დასხმა“ ეტ. „დაბედება“ [იხ. ფენ-სარჯ. 2000: 91].

ს.-ქართვ. \*ბედ- „დაბადება, დაბედება“.

იჩქ. დ-ჲებ-, დ-ჲებ-არ „გამრავლება“, ინგ. დ-ჲებ-, დ-ჲებ-არ "id", ბაცბ. **დ-ებ-<sup>1</sup>**.

ნახურ ენებში შებრუნებული სახეობის ფუძე დასტურდება, თუმცა შდრ. ბაცბ. ბედ „ცალკე“. ე. ი. დაბადებისთვის ამოსავალია გამოყოფა/გამოცალკეების სემა.

ს.-ნახ. \*დ-ებ-, \*ბედ- „გამოყოფა, გამრავლება“.

## ბადენ-ი

ქართ. ბადენ-ი „სამოსელი, მოსასხამი“, ზან. (ლაზ.) ფოთინ-ი ← \*ბოდინ-ი „ფეხსაცმელი“, სვან. ბარდჷნ „მოსასხამი“; საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღვადგენთ \*ბადენ- არქეტიპს, რომელიც ცნობილია ძველი ქართული სამწერლო ენიდან.

ს.-ქართვ. \*ბადენ- „სამოსელი, მოსასხამი“

იჩქ. (ჰებ.) **ბედი**<sup>5</sup> „შარვალი“, ინგ. **ბეიდან** "id", ბაცბ. **ბადი**<sup>5</sup>; ბაცბურში **\*ბადი**<sup>5</sup> არქეფორმა დაკარგულია. საერთონახური ენობრივი ერთიანობისთვის აღვადგენთ **\*ბადინ** პრაფორმას **შარვლის** მნიშვნელობით, შდრ. დალ.: რუთ. **ბად-უ**, წახ. **ბად-ა** „ტანსაცმელი, შარვალი“. ამ უკანასკნელთა სემანტიკური მონაცემები გასათვალისწინებელია ს.-ქართვ. **\*ბად-ენ-** „სამოსელი“ ~ ს.-ნახ. **\*ბად-ინ** „შარვალი“ შინაარსობრივი მიმართებისას.

ს.-ნახ. **\*ბად-ინ** „შარვალი“.

### ბალ-ი

ქართ. **ბალ-ი** (საბა), **ბალ-ლოჯი** „მყავე ბალი“ (საბა), ზან. (ლაზ.) **ბუღი-ი** „ბალი“, **ბუღი-ობ-ა** = **ბლ-ობ-ა** „იენისი“, მეგრ. **ბუღი-ი** „ბალი“, **ბუღი-იშ** თუთა „იენისი“, **ბუღი-ია**, **ბუღი-ი-სქერია** (ანთროპ.), შდრ. აფხ. (← მეგრ.) **ა-ბრსკილ** [იხ. ბროს. 1849: 92, ჩიქ. 1938: 122-123]. სომხური **ბალ** ქართულიდან არის შეთვისებული.

ს.-ქართვ. **\*ბალ-** „ბალი“

იჩქ. **ბალ-გ** (ჰებ. **ბალ-აგ**) „მიწის მსხალი“, ინგ. **ბოლ-აქ** "id", ბაცბ. **ბალ-კ**. ნახურ-ქართველურ ფუძეთა მატერიალურ იგივეობას მხარს უმაგრებს შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე: ს.-ქართვ. **ბალი** ~ ს.-ნახ. **მიწის მსხალი**.

ს.-ნახ. **\*ბალ-** „მიწის მსხალი“.

### ბანდ-ულ-ი

ქართ. **ბანდ-**, **ბანდ-ულ-ი** „დაწნულძირიანი ქალამანი“, **ბანდ-ვ-ა** „ჯღანის ძირის გამოქსოვა თასმით“, **გა-ბანდ-ვ-ა** „გაბმა“, ზან. (მეგრ.) **ბონდ-ი** „დაწნული დაკიდული ხიდი“, **ბონდ-ილ-ი** „ბადე“, სვან. ლი-**ბანდ-ე** „დაკერება“, ლგ-**ბანდ-ე** „გაკერილი“; საერთოქართველური ენობრივი ერთობისთვის აღდგება **\*ბანდ-** ძირი [ფენ.-სარჯ. 2000: 93].

ს.-ქართვ. **\*ბანდ-** „წვნა“; „ბადე“

იჩქ. **ჟანდ-ა** „ჩაკიდული ბადე; ანკესლობურა“, ინგ. **ჟონდ-ა** "id", ბაცბ. **განდ-ე**; ფუძენახური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება **\*ჟანდ-ე** არქეტიპი. ს.-ქართვ. **\*ბანდ-** : ს.-ნახ. **\*ჟანდ-ე** ნორმალური სემანტიკურ-ფონეტიკური შეპირისპირება უნდა იყოს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ბ** : ს.-ნახ. **ჟ** (§ 23.3);

ს.-ნახ. **\*ჟანდ-ე** „ერთგვარი ბადე“.

### ბანდლ-ი

ქართ. **ბანდლ-**, იმერ., გურ. **ბანდლ-ი** „ობობას ქსელი“, **ბანდლ-ვ-ა** „ქსელის გაბმა“, შდრ. რაჭ. **ფანთხ-ი** „ობობას ქსელი“, ზან. (მეგრ.) **ბონდლ-**, **ბონდლ-ი** „ობობას ქსელი“, გო-**ბონდლ-უ-ა** „ქსელის გაბმა“,

**ბონდლ**-ილ-ი „დაქსელილი“, სვან. **ფწონთ** || **ფწონთ** „ობობას ქსელი“; **ბანდლ-/ბონდლ**- ფუძეთა საერთო წარმომავლობა ცნობილია [ჟღენტ. 1940: 225]. ჩვენი დაკვირვებით, აქვე შემოსატანი ჩანს ქართ. (რაჭ.), სვან. **ფანთ**- ალომორფები. **ბანდლ-/ფანთ**- სუბსტიტუცია ამოსავალ **\*ბანთ**- არქეტიპზე მიგვითითებს.

ს.-ქართვ. **\*ბანთ**- „ქსელი; დაქსელილი“

იჩქ. **ულხ** „მოსაქსელი მატყლის ფთილა“, ინგ. **ულხ** "id", ბაცბ. **ულხ** "id"; ნახურ ენებში წარმოდგენილი გვაქვს გვიანდელი სახეობები ადრენახური **\*ჟითხ**- პროტოტიპისა. ს.-ქართვ. **\*ბანთ**- : ს.-ნახ. **\*ჟითხ**- კანონზომიერი შესატყვისობაა როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ბ** : ს.-ნახ. **ჟ** (§ 23.3), ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ი** (§ 5.4).

ს.-ნახ. **\*ჟითხ**- „მოსაქსელი მატყლის ფთილა“.

### ბანჯვლ-ი

ქართ. **ბანჯვლ**-ი „ხშირი თმა“, **ბანჯულ**-ი „ავი თმა; ძალთა და მხეცთა“ (საბა), ზან. (მეგრ.) **ბონძგორ**-ი ← **\*ბონჯგვორ**-ი „ბანჯგვლიანი“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. ქართულ **ბანჯულ**- ფუძეს კანონზომიერად შესატყვისება მეგრული **ბონძგორ**-ი ← **\*ბონჯგვორ**-ი სიტყვა. **ჩგვ** → **ძგვ** გადასვლა ახსნილია მომდევნო **ჟ**-ს ზეგავლენით [იხ. აბაშ. 1998: 16].

ს.-ქართვ. **\*ბანჯულ**-ალ- „ხშირი თმა, ბანჯგვლი“

იჩქ. (ახ.) **ბეჭყა** ← **\*ბეჭმა**, ქისტ. **ბეუ** || **ბეჯ** „ნაწნავი“, ინგ. —, ბაცბ. **ბეჯ** ← **\*ბეჯრ** „თმა“; ინგუშური შესატყვისი დაკარგული ჩანს. საერთონახური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება **\*ბეჯო** არქეტიპი, რომლის **ლ** დაბოლოებაში შეიძლება ამოვიცნოთ ამოსავალი **ჯ**-ს ლაბიალიზაციის კვალი. ს.-ქართვ. **\*ბანჯულ**-ალ- : ს.-ნახ. **\*ბეჯო** კანონზომიერი ფორმალური მიმართება ჩანს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ე** (§ 5.3), ს.-ქართვ. **ჯ** : ს.-ნახ. **ჯ** (§ 33.1). ეს უკანასკნელი ამოსავალ ფონემად **ძ**, სისინ-შიშინა სახეობას გულისხმობს.

ს.-ნახ. **\*ბეჯო** „თმა, ნაწნავი“.

### ბარდალ-ი

ქართ. **ბარდალ**-ი || **ფართალ**-ი „ქსოვილი“, ზან. (ლაზ.) **ფონთულ**-ი „შარვალი“, სვან. **ბარდწ** „ჩასაცმელი“; არქაული ვითარება ქართულს დაუცავს. **ბ—თ** → **ფ—თ** ლაზურში, ხოლო **ა** → **წ** სვანურში ამ ერთეულთა დამოუკიდებელი განვითარების პერიოდში ჩანს მომხდარი.

ს.-ქართვ. **\*ბართალ**- „ჩასაცმელი, მოსასხამი“

იჩქ. **ვდერთა** (მრ. რ. **ვერთან**-აშ, ჭებ. **ვართი**) „მოსასხამი“, ინგ. **ძერ-თან** ← **\*ვართე** "id", ბაცბ. **ვართე**; ბაცბური მონაცემი პოსტულირდება ჭე-

ბერლოური დიალექტის მიხედვით. **გ** → **ფ** ანლაუტური დაყრუების პროცესი გარდა ინგუშურისა ქისტურ დიალექტშიც იჩენს თავს: ქისტ. **ფერთ**, მრ. **ფერთან**-იშ. საერთონახური ენობრივი მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \***ჭართენ**- არქეტიპი, შდრ. ს.-ქართვ. **ბ** : ს.-ნახ. **ჟ** (§ 23.2).

ს.-ნახ. \***ჭართენ**- „მოსასხამი“.

### ბარძაყ-ი

ქართ. **ბარძაყ**-ი, „ადამიანის ფეხის ნაწილი თეძოსა და მუხლისთავს შუა“ (ქეგლ-ი), ზან. (მეგრ.) **ბოჭოკ**-ი ← \***ბორჭოყ**-ი „საქონლის ფეხი“, შდრ. გურ., იმერ. **ბოჭოკ**-ი (← ზან. **ბოჭოკ**-ი) „გოჭის ფეხი“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. ჩუხ. 2004: 79]. ადამიანის *ფეხის* ნაწილის მნიშვნელობა მეგრულისთვისაც არ არის უცხო, შდრ. მყარი შესიტყვება: ბოჭოკემ-ს გილგემობუ(ნ) = *ფეხებზე* მკილია; ამ ჩქიმგ **ბოჭოკ**-ენ-ს = ამ ჩემს *ფეხებს*...

ს.-ქართვ. \***ბარწყაყ**- „ბარკალი, ფეხი, ბარძაყი“

იჩქ. **ბარზაყ** || **ბარწყაყ** ← \***ბარწყაყ** „ტანისამოსი“, ინგ. **ბარწყაყ** → || **ბარზაყ** "id", ბაცბ. «**ბარწყაყ**»; საერთონახურში აღსადგენია \***ბარწყაყ**-არქეტიპი *ტანსაცმლის* მნიშვნელობით. ს.-ქართვ. *ფეხი* ~ ს.-ნახ. *ტანსაც-მელი* სემანტიკური შესატყვისობისთვის კარგი პარალელია შემდეგი ქართველური შეფარდება: ძვ. ქართ. საწმართულ-ი „*შარვალი* ~ ზან. (მეგრ.) წგმორთ-ი „*ფეხი მუხლამდე*“ (ტ. გუდავა).

ს.-ნახ. \***ბარწყაყ**- „ტანსაცმელი“.

### ბასრ-ი

ქართ. **ბასრ**-, **ბასრი** „ფოლადი რკინა“ (საბა), ხევს. „მაგარი“, ზან. (მეგრ.) **ბოშ**-ი ← \***ბორშ**-ი „ბიჭი, მამრი“, მა-**ბოშ**-ია „ვინც მამრობს, მამლაყინწაობს“, სვან. **ბანსრ** ← \***ბანშრ** „დაუკოდავი, მამრი (ვირი, ცხენი...)“; „ბასრი“; სემანტიკური ევოლუციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ჩანს სვანურის ჩვენება, სადაც ერთი ძირის ფარგლებში შესაძლებელია *ბასრისა* და *მამრის* თანაარსებობა. ქართველურ ენათათვის ნიშანდობლივია „მამრის; მჭრელის“ მნიშვნელობა.

ს.-ქართვ. \***ბასრ**- „მამრი; ბასრი, მჭრელი“

იჩქ. **ბუორშ-ა** || **ბუორშ-უო** „მამრი; დაუკოდავი“, **ბუორშ-ალო** „განაყოფიერება (ძროხის)“, ინგ. **ბორშ-ა** ← \***ბორშ-ო** „დაუკოდავი, მამრი“, ბაცბ. «**ბორშ-ო**»; საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება \***ბორშ-ო**-არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \***ბასრ**-ძირისა; საერთონახურში შეინიშნება **რ** სონანტის მეტათეზისი, რაც შეპირობებულია *კონსონანტი + სონანტი* თანმიმდევრობის არაკანონიკურობით ნახურ ფონოტაქტიკაში; შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ს** : ს.-ნახ. **შ** (§ 30.5), ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** (§ 5.2).

ს.-ნახ. \***ბორშ-ო** „მამრი, დაუკოდავი“.

## ბაღ-ა

ქართ. **ბაღ**-ა „კუ, დიდი კუ“ (საბა), ზან. (მეგრ.) **ფულუ** „თხუნელა, მუხვი“, სვან. **მულ-ულ** || **მულ-ულ** || **ბულ-ულ** || **ბულ-ულ** „ჭიალუა“; სვანურისთვის უწინარესია ბოლოკიდური **ა**-ს ლაბიალიზაციით მიღებული **\*ბაღ**-ილ არქეფორმა, სადაც -ილ სუფიქსი საკუთრივ სვანური კინობითობის აფიქსია. მეგრული **ფულუ** კანონზომიერად ასახავს საერთოქართველურ **\*ბაღ**-ა სიტყვას [იხ. ჩუხ. 2000;2003: 156].

ს.-ქართვ. **\*ბაღ**-ა „ჭიალუა, მუხვი“

იჩქ. **მოლყა** „ერთგვარი ხვლიკი“, ინგ. **მეღლც** "id", ბაცბ. **მოლყა**; ბაცბური ეკვივალენტი დაკარგული ჩანს. ინგუშური **მეღლც** მიღებულია **მოლყ** უმლაჟტიანი სახეობისაგან. საერთონახური ენობრივი მდგომარეობისთვის აღდგება **\*მოლყ**-ა არქეტიპი, სადაც **ლ** სონანტი საკუთრივ ნახური მონაცემი ჩანს, შდრ.: ს.-ქართვ. **ღ** : ს.-ნახ. **ყ** (§ 34.4), ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** (§ 5.2).

ს.-ნახ. **\*მოლყ**-ა „ხვლიკი“.

## ბაყე-ი

ქართ. **ბაყე**-ი, **ბაყე**-ი „დლაყვი“; „თედოს ძვალი“, **ბაყე**-ი „მუჯლზეითი“ (საბა), ზან. (მეგრ.) **ბოყე**-ი „ბარძაყის შიგნითა ნაწილი“, შდრ. იმერ. (← მეგრ.) **ბოყე**-ი „საჯდომი ძვალი“, სვან. **ფეჟუ** || **ფჷყ** || **ფოყ** „თედო, გავა; მხარი“, **ფოყ**-რა „თედომოვარდნილი“; ზანურ-ქართულ ფუძეთა ნათესაობა ეჭვს არ იწვევდა აქამდეც [კლიმ. 1998: 9]. ჩვენი მასალებით სვანური **ფეჟუ** ← **\*ბაყე**- ალომორფიც აქვე შემოდის [იხ. ჩუხ. 2000-2003: 240-241].

ს.-ქართვ. **\*ბაყე**-ი „თედოს/ზურგის ძვალი; დლაყვი“

იჩქ. **ბელ**-, **ბელ**-შ „მხარი“, **ბოლ**-ამ „მხარი ყელიდან მკლავამდე“, ინგ. **ბელ**-, **ბელ**-შ/ჟ "id", **ბალ**-ამ "id", ბაცბ. **ბალ**-, **ბალ**-ი „მხრები“; საერთონახური ენობრივი ერთობისთვის რეკონსტრუირდება **\*ბალ**- არქეტიპი, რომელიც ძირითადად მრავლობითის გაქვავებულ ფორმებში დასტურდება. ბაცბურში **ბალ**-ი ერთადერთია, მას მხოლოდითის ფორმა არ გააჩნია. ს.-ქართვ. **\*ბაყე**-ი : ს.-ნახ. **\*ბალ**- გამოაჩენს ს.-ქართვ. **ყე** : ს.-ნახ. **ლ** რეგულარულ-კანონზომიერ მიმართებას (იხ. § 35.1).

ს.-ნახ. **\*ბალ**- „მხარი; მხრები“.

## ბაყელ-ი

ქართ. **ბაყელ**-ი „მწიკვლი, ჩირქი“, ძვ. ქართ. **ბაყელ**-ეან-ი || **ბაყელ**-იან-ი „ჭუჭყიანი“, სვან. **ფუჟუ** „ძირმაგარა; ჩირქოვანი სიმსივნე“; ზანური შესატყვისი არ ჩანს. თავდაპირველად სვანურში **ლ** → **ჟ** გადასვლით **ბაყე** ალომორფი უნდა გვექონოდა, მაგრამ მსგავს პოზიციებში **ა**-ს ლაბიალიზაციით **უ** გვეძლევა ხოლმე, შდრ. ქართ. **თაგუ**-ი : სვან. **შდუგ** [მაჭ. 1956: 365-

368], ამდენად, სვან. \*ბაყუ → \*ბუყუ → ფუყუ [ჩუბ. 2000-2003: 243]. საერთონახურ არქეტიპთან შედარება გამოაჩენს თავკიდური ბ- სეგმენტის კლასნიშნიანობას საერთოქართველურში.

ს.-ქართვ. \*ბ-აყლ- „ჩირქი, მუწუკი“

იჩქ. დაე (მრ. რ. დაინ-აშ) „ჩირქოვანი წყლული“, ინგ. დაე ← \*დაინ "id", ბაცბ. [დაინ]; ბაცბური ალომორფი დაკარგული ჩანს. როგორც აღვნიშნეთ, თავკიდური დ- ნახურ ენებში ფუძეს შეხორცებული გრამატიკული კლასის ნიშანი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \*დ-აინ- არქეტიპი, შდრ.: ანდ. ენათა ბიდუან- „ჩირქი, მუწუკი“; ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ყ : ს.-ნახ. ე (§ 37.4) რეგულარულად მქდავდება.

ს.-ნახ. \*დ-აინ- „ჩირქიანი წყლული“.

### ბაწარ-ი

ქართ. ბაწ-, ბაწ-არ-ი „მატყლის მსხვილი ძაფი“; „თოკი (წვრილი)“, ზან. (მეგრ.) ბეჭ-უა „წვინა“, ბეჭ-ილ-ი „წნული“, სქუ-ბოჭ-უ-ა „შეკვრა“; სვანური შესატყვისი არ ჩანს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულშიც არსებობდა ბაწ- ზმნა წვინის მნიშვნელობით, რომლისგანაც ნაწარმოებია -არ სუფიქსით ბაწ-არ- სახელი. გამოყოფილი [ბაწ-] ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრ. ბოჭ → || ბეჭ-, შდრ. ქართ. (← ზან.) ბოჭ- „შებოჭვა“.

ს.-ქართვ. \*ბაწ- „ბაწარი; შეკვრა, შებოჭვა“.

იჩქ. ჭაბა (მრ. რ. ჭაბან-აშ) „თოკი“ ჭარბ-ალ „თასმა“, ინგ. ჭაბან "id", ბაცბ. [ჭაბა<sup>ა</sup>]; ბაცბურში აღსადგენია ჭაბა<sup>ა</sup> ფუძე, რომელიც დაკარგული ჩანს, შდრ. ქართ. (← ბაცბ.) ჭაბან-ი. ნახურ ფორმათა შედარება ქართველურ ეკვივალენტებთან არკვევს, რომ ს.-ნახ. \*ჭაბ-ან ე. წ. შებრუნებული წყობის არქეტიპია; ამ ტიპის ფუძეებში საურთიერთო მეტათეზისი გავრცელებული პროცესია (§ 3).

ს.-ნახ. \*ჭაბ-ან „თოკი“.

### ბებერ-ა

ქართ. ბებერ-, ბებერ-ა „ამობურცული წყალჩამდგარი კანი“, ა-ბებერ-ებ-ა „კანის ამობურცება“ (საბა), ბებერ-ა "волдырь", სვან. ბიბ-, ლი-ბიბ-ე „სითხის დაქცევა, დაღვრა“; საერთოქართველურ \*ბებერ- არქეტიპს სითხის ჩადგომისბუშტის (ბებერა "волдырь") მნიშვნელობა ახასიათებდა. ს.-ქართვ. \*ბებერ- ფუძის ზანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. \*ბებერ- „სითხის ჩადგომა“, „ბუშტი“

იჩქ. ფოფფარ (ქისტ. ფაფფარ, ჭებ. ფაფფერ) „თიხის ხსნარი წყალნარევი“, ინგ. თოფფარ ← \*ფაფფარ "id", ბაცბ. [ფაფერ]; საერთონახური ენობრივი ერთიანობისთვის აღსადგენია \*ბაბერ- მქდერი სახეო-



ბის ფუძე. ისტორიულად ბ-ს პრიმარობაზე მეტყველებს ფფ გემინატის პოზიციონირება ინლაუტში, რაც ბ → ფფ პროცესს ამოწმებს, შდრ. აგრეთვე: აფხ. ა-ბგბ „ბუშტი“, ად. ფსგ-ბგბ „ბუშტი“, ყაბ. ფსგ-ბგბ „წყლის ბუშტი“, სადაც ბ, ისევე როგორც ქართველურში, უალტერნატივია. ამდენად ს.-ქართვ. \*ბებერ- : ს.-ნახ. \*ბაბერ- კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური მიმართება უნდა იყოს.

ს.-ნახ. \*ბაბერ- „თიხის ხსნარი წყალნარევი, ბუშტუკებიანი“.

### ბელ-ი

ქართ. ბელ-, ბელ-ი „დათვის ბელი, ნაშიერი“, უ-ბელ-ო „უშვილო“, ზან. (ლაზ.) ბერ-, ბერ-ე „ბიჭი, ბავშვი“, მეგრ. ბერ-ი, გიგი-ბერ-ია, ჩაკა-ბერ-ია, თუთა-ბერ-ი, კაკუ-ბერ-ი.., სვან. ბელ „ბელი“, ბელ-ოდ || ბელ-ილდ || ბელ-ოდილ „ბელი კნინ-ალერს. ფორმ.“, სა-ბელ „კვიცი“; ზანური ბერ-ი ← \*ბარ-ი (ასიმილაციით) კანონზომიერი შესატყვისია ს.-ქართვ. \*ბელ- არქეტიპისა, შდრ. ლ → რ სახელობითის ი ნიშნის წინ მეგრულ-ჭანურში.

ს.-ქართვ. \*ბელ- „ბავშვი, ნაშიერი, შვილი“

იჩქ. ბაერ „ბავშვი, შვილი“, ინგ. ბაერ "id", ბაცბ. ბადერ „შვილი, ბავშვი“; ბაცბურში არქაული ვითარებაა შემონახული. ვაინახურ ენებში გაცვეთილი ფუძეები გამოჩნდება, რაც არაანლაუტში დ მჟღერი ხშულის ჩავარდნით აიხსნება. საერთონახურისთვის აღსადგენია \*ბად-ერ არქეტიპი, რომლის ბად- ძირი ზუსტი შესატყვისია ს.-ქართვ. \*ბელ- ფორმისა, შდრ.: ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა (§ 6.2), ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. დ (§ 13.7).

ს.-ნახ. \*ბად-ერ „ბავშვი, შვილი“.

### ბელტ-ი

ქართ. ბელტ-, ბელტ-ი „მიწის მონაკვეთი“, „კორდის მონაკვეთი“ (საბა), ზან. (მეგრ.) ბერტ-ი „ბელტი“, ლაზ. ბერტ-ი „იატაკი“, ბერტ-კელ-ი „იატაკის საფარი, იატაკზე დასაფენი“ [ქუთ. 2005: 284]; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. ზანურში მოველოდით ბარტ- ალომორფის არსებობას (ქართ. ე : ზან. ა, ქართ. ლC : ზან. რC), მაგრამ სახელობითის ი ნიშნის ზეგავლენით განხორციელდა ბარტ-ი → ბერტ-ი ასიმილაციური გადაბგერება.

ს.-ქართვ. \*ბელტ- „ბელტი; იატაკი“

იჩქ. ბედა<sup>ნ</sup> „მიწა; იატაკი“, ინგ. ბადა<sup>ნ</sup> "id", ბაცბ. ბატა<sup>ნ</sup> „იატაკი“; საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება ბატ-ან არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისია ს.-ქართვ. \*ბელტ- ძირისა, შდრ. ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა (§ 6.2). ფუძის შიგნით ლ სონანტი საკუთრივ ქართლური მონაცემი ჩანს. ბუნებრივად გვესახება სემანტიკური მიმართებაც.

ს.-ნახ. \*ბატ-ან „მიწა; იატაკი“.

## ბერ-ა

ქართ. ბერ-, ბერ-ა-თით-ი || ბერ-ა-ღს თით-ი „ცერი“, სვან. ბერ-, შიმ-ბერ || შიმ-ბერ || შიმ-ბერ „ხელისგული“, ჭიშხი-ბერ „ფენისგული“; ზანური ეკვივალენტი ვერ გამოვავლინეთ. საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \*ბერ- არქეტიპი.

ს.-ქართვ. \*ბერ- „ცერი; ხელის გული“

იჩქ. ბუჲ „მუშტი, მჯილი“, ინგ. ბიჲ "id", ბაცბ. ბუჲ „მუშტი; მუჲჲ, პეშვი“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება \*ბიჲ- არქეტიპი, რომელიც ინგუშურში უფრო სრულად შემოგვრჩა. სხვაგან, ყველა დიალექტში, განხორციელდა ი ძირეული ხმოვნის ლაბიალიზაცია, რასაც მომდევნო ეტაპზე ჲ-ს იოტიზაცია დაერთო — ჲ → ი. ს.-ქართვ. რ (\*ბერ-) : ს.-ნახ. ჲ (\*ბიჲ-) რეგულარულად ვლინდება ნახურ-ქართველურ საერთო ლექსიკაში (იხ. აქვე, § 14.5).

ს.-ნახ. \*ბიჲ- „მუჲი; პეშვი“.

## ბერკ-ი

ქართ. ბერკ-, სიტყვაში კუარცხლ-ბერკ-ი, ზან. (მეგრ.) ბარკ- სიტყვაში ე-ბარკ-ან-უ-ა || ე-ბარკ-ან-აფ-ა „ფენის აკაპიწება“, სვან. ბარკ-სიტყვაში ბარკ-ჲ || ბარკ-ჲ „მრუდეფენა (კოჭლი)“; საერთოქართველურ მდგომარეობასთან ყველაზე ახლოს ქართული ვარიანტი დგას.

ს.-ქართვ. \*ბერკ- „ფენი“

იჩქ. ბერგ „ფლოქვი“, ინგ. ბარგ || ბარგ "id", ბაცბ. ბრეგ. ბაც-ბურს ახასიათებს რ-ს სუბსტიტუცია ფუძის შიგნით მსგავსი სტრუქტურის ფორმებში, შდრ. იჩქ. ბერგ : ბაცბ. ბრაგ „წერაქვი“. საერთონახურისთვის აღდგება ბაცბურის ტიპის ფუძე, რადგანაც არაანლაუტში კ → გ გამჟღერება საკუთრივ ვაინახურ პროცესად გვესახება.

ს.-ნახ. \*ბერკ- „ფლოქვი“.

## ბერყ-ენ-ა

ქართ. ბერყ-ენ-ა „ველური მსხლის სახეობა; ტყიური მსხალი“, სვან. ბარყჲ-ენ-დ || ბარყჲ-ენ || ბარყ-ენ || ბარყჲ-ენ „ტყიური ქლიავი; ტყე-მალი“; ლახამულური ბარყ-ენ ქართულ ბერყ-ენ-ა ფორმას მარჯვედ უდგება, მაგრამ ჲ-ს დაკარგვით სვანურ კილოებში სწორედ ლახამულური მეტყველებაა გამორჩეული; ასე რომ, ბარყ-ენ მეორეული ფორმაციისაა. რა უნდა იყოს სვანური ჲ? — ვფიქრობთ, იგი აუსლაუტური ა (ბერყენ-ა) ვოკალის ეკვივალენტი, რასაც ქართ. ციც-ა : სვან. ციც-ჲ ტიპის შეფარდებები გვიმტკიცებს. ოლონდ ჲ (← ა) სვანურში გადასმულია ფუძის სიღრმეში ნჲ თანმიმდევრობის შეუძლებლობის გამო — \*ბარყ-ენ-ჲ → ბარყჲენ [შდრ. კლიმ. 1964: 54].

ს.-ქართვ. \*ბერყ-ენ-ა „ტყიური ქლიავი/მსხალი“

იჩქ. **მალან**, სიტყვებში: ლამ-**მალა** (მრ. ლამ-**მალან**-აშ) „ატამი“, ლამ-**მალან** „თელადლუმა (მცენ.)“, სამ-**მალა(ნ)** „თელა“, ინგ. **მალან** ←\***მალან**, სიტყვაში ლო-**მალან** „გარგარი“, ბაცბ. **მალან**; ნახურ დიალექტებში აშკარად გამოიყოფა \***მალან**- ძირი *ატმისგარგარის* მნიშვნელობით, შდრ. ხუნძ. **ფიგა** „ხილი“, ლოდ. **ფერჯი** "id", კარ. **ბიჯე** „გარგარი, აფრიკოსი“. ს.-ნახ. \***მალან**- არქეტიპის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \***ბერყენ**- — ს.-ქართვ. **ბ** : ს.-ნახ. **მ**, ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2).

ს.-ნახ. \***მალან**- ← **წ**-ნახ. \***ბაყან**- „ატამი/გარგარი“.

### ბერწ-ი

ქართ. **ბერწ**-, **ბერწ**-ი, ძვ. ქართ. **ბერწ**-ყავ, **ბერწ**-ობ-ა-ფ, ზან. (მეგრ.) **ბურჭ**-, **ბურჭ**-ი „ბერწი“, დე-**ბურჭ**-უ „ბერწი გახდა“; სვანურში შესაბამისი ფორმა ვერ გამოვავლინეთ. ქართ. **ბერწ**- : ზან. **ბურჭ**- ←\***ბორჭ**- შეპირისპირების საფუძველზე აღდგება ს.-ქართვ. \***ბარწ**- არქეტიპი, შდრ. ქართ. **ა** : ზან. **ო** → **უ** ბაგისმიერებთან [იხ. გულ. 1960; მარ. 1916: 1397; კლიმ. 1964: 49].

ს.-ქართვ. \***ბარწ**- „ბერწი“

იჩქ. **ბჰარწ**-ა<sup>5</sup> || **ბჰარძ**-ა<sup>5</sup> (ქისტ. **ბჰერძ**-) „ჯორი“, ინგ. **ბჰარძ**-ა<sup>5</sup> "id", ბაცბ. **ბჰარწ**-ონ<sup>5</sup> „ჯორი“; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \***ბჰარწ**-ონ არქეტიპი, რომელიც ბაცბურში უკეთ არის შემონახული. **წ** → **ძ** → || **ზ** მკვეთრთა გამჟღერების პროცესი ვაინახურში არაანლაუტურ პოზიციას ახასიათებს. საერთონახური **ჰ** მჟღერი ფარინგალური ფრიკატივის ფარდი ფონემა ქართველურ დიალექტებში არ შემოგვენახა, შდრ. დალ., ხუნძ. **ჰორწ**-ე<sup>5</sup> „ჯორი“. *ბერწი* ~ *ჯორი* ბუნებრივი სემანტიკური მიმართებაა.

ს.-ნახ. \***ბჰარწ**-ონ<sup>5</sup> „ჯორი“.

### ბერჯენ-ი

ქართ. **ბერჯენ**-ი „დაბერებული (ჭიხზე იტყვიან)“, ახ. ქართ. **ბენრ**-ეკ-ი ←\***ბერხ**-ეკ-ი „ბებერი“, ზან. (მეგრ.) **ბარუხ**-ა „ბებერი“.

ს.-ქართვ. \***ბ-ერჯენ**- „ბებერი“

იჩქ. **ბ-ოჯან**<sup>5</sup> || **ბ-აჯონ**<sup>5</sup> „დიდი, ასაკით უფროსი“, ინგ. **ბ-ოჯან** ← **ბ-ოჯან**<sup>5</sup> "id", ბაცბ. **ბ-აჯონ**<sup>5</sup> „უფროსი (ასაკით)“; ქართველურ დიალექტებში შემონახული თავკიდური **ბ**- ისტორიულად ფუძეს შეხორცებული ნივთთა გრ. კლასის ნიშანია, რომელიც თანამედროვე ნახურ ენებში დღესაც ფუნქციონირებს. ზემოთაღწერილ ფუძეთა საერთო წარმომავლობა ეჭვს გარეშეა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2), ს.-ქართვ. **ჯ** : ს.-ნახ. **ჯ** (§ 36).

ს.-ნახ. \***ბ-აჯონ**- „დიდი, ასაკით უფროსი“.

## ბენ-ი

ქართ. **ბენ-**, **ბენ-ი** (ქართლ., ფშ., მთიულ.) „ძალიან დაბერებული საქონელი“, ზან. **ბან-**, **ბან-ი** „ავადმყოფი“, ანთროპ. **ბან-ია**, სვან. **ბენ** „დედალი ცხვარი“, „ჯაგლაგი ცხენი“ (ლშხ.); **ბან-** ძირი მეგრულში მხოლოდ ანთროპონიმებშია შემორჩენილი. დასავლურ დიალექტებში გამოვლენილი **ბან-ი** „უვარგისი, ძლიერ გამხდარი ცხენი“ საშუალებას გვაძლევს ზანური **ბან-** ძირის ამოსავალ სემანტიკაზე ვიმსჯელოთ: იგი ქართულ-სვანურისას ემთხვევა [ჩუხ. 2000-2003: 67].

ს.-ქართვ. **\*ბენ-** „დედალი ცხვარი“; „უვარგისი ცხენი (ჭაკი)“

იჩქ. **ჭაენ** „ჯიხვი“, ინგ. **ჭაად** ← **\*ჭაან** „დალესტნური ჯიხვი“, ბაცბ. **ჭაან** „ჯიხვი“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღვადგენთ **\*ჭაან-** არქეტიპს, რომელიც წინარენახური **\*ფან-** პრაფორმისაგან მომდინარეობს, შდრ. ლაკ. **ბარხუ** „ჯიხვი“. ს.-ნახ. **ჭა** (← **ფ**) : ს.-ქართვ. **ბ/ფ** (§ 24.2), ს.-ნახ. **ა** : ს.-ქართვ. **ე** (§ 5.3) რეგულარულ-კანონზომიერი ბერათმესატყვისობებია. სემანტიკური თვალსაზრისით ს.-ქართვ. დედალი ცხვარი ~ ს.-ნახ. **ჯიხვი** შეფარდებას წინააღმდეგობა არ ახლავს.

ს.-ნახ. **\*ჭაან-** ← წ.-ნახ. **\*ფან-** „ჯიხვი (დალესტნური)“.

## ბზა

ქართ. **ბზა**, ზან. **ბჟოლ-ი/ა** „თუთა, თუთის ხე“; სვანურში შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი. ახსნას ითხოვს **ბზა/ბჟოლ-** მიმართებაც. ქართულ ფორმაში ისტორიული ლ სონანტი მოკვეცილია: **ბზა** ← **\*ბზალ-** [იხ. ჩუხ. 2003, გვ. 67].

ს.-ქართვ. **\*ბზ-ალ-** „აბრეშუმის ხე, თუთა, ბზა“.

იჩქ. **ბაზა** (მრ. რ. **ბაზან-აშ**) „ნაძვი; ურთხელი“, ინგ. **ბაზ** "id", ბაცბ. **ბაზან**; ს.-ნახ. ფუძეენისთვის დახურულმარცვლიანი ფუძე აღდგება, რასაც იჩქერიულის მრ. რ. **ბაზან-აშ** ფორმა გვაფიქრებინებს.

ს.-ნახ. **\*ბაზ-ან** „ნაძვი; ურთხელი“.

## ბზარ-ი

ქართ. **ბზარ-**, **ბზარ-ი** „ეწოდება, თუცა შემბალი თოვლი შეყინა“ (საბა), ზან. (მეგრ.) **ბჟერ-** → || **ბჟირ-** „დაზრობა“, **ბჟერ-** || **ბჟირ-** აფილ-ი „დამზრალი“, ლაზ. **ბჟინ-**, შდრ. გურ., (← ლაზ.) **ბჟინ-**, გა-**ბჟინ-** ებ-ა „გაყინვა სიცივისაგან (კაცისა)“, სვან. **მეჯარ** || **მეჯარ** „გაყინული თოვლი, ყინული“, ი-**მჯერ-** ი „ყინება“, შდრ. ქართ. **ზარ-/ზრ-** „ზრობა“, მ-**ზრ-** ალ-ი... [იხ. ჩუხ. 2000-2003: 153].

ს.-ქართვ. **\*ბზარ-** „ყინული“; „ყინვა“

იჩქ. **შა** (ერგ. ბრ. **შან-ყო**) „ყინული“, ინგ. **შა** (მრ. რ. **შან-წშ/ყ**) "id", ბაცბ. **ფშა** „ყინული“; ვაინახური და ბაცბური მონაცემების გათვალისწინებით საერთონახურისთვის აღსადგენია **\*ფშან-** არქეტიპი, რომელ-

საც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*ბზარ-, შდრ.: ს.-ქართვ. ზ : ს.-ნახ. შ (← ე) (იხ. § 30.4).  
ს.-ნახ. \*ფშან- (←\*ბჟან-) „ყინული“.

### ბზე

ქართ. ბზე „ბურეულის ნამჯის ნალეწი“, ზან. მჯა || ბჯა „ძნის ან ჩალის ზვინი“, შდრ. ქართ. (← ზან.) მჯა "id"; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. საეთოქართველური ენობრივი ერთობისთვის აღსადგენია \*მზ-ე არქეტიპი.

ს.-ქართვ. \*მზ-ე „ბზე; ბჯა“

იჩქ. ლაშა (ჰებ. ლაშე) „მარცვლეულის ძნათა გროვა, ზვინი“, ინგ. ლაშა "id", ბაცბ. ლაშე; ბაცბური ეკვივალენტი პოსტულირდება ჰებერლოური დიალექტის ჩვენების მიხედვით. ნახურ ალომორფთა შედარებითი ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საერთონახურში ფუნქციონირებდა \*ლაშ-ე ორმარცვლიანი ლექსემა. ს.-ქართვ. \*მზ-ე „ბზე; ბჯა“ : ს.-ნახ. \*ლაშ-ე „მარცვლეულის ძნათა გროვა, ზვინი“, კანონზომიერი მიმართებაა როგორც სემანტიკურად, ისე ფონეტიკური თვალსაზრისითაც, შდრ. ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ლ (§ 15.2).

ს.-ნახ. \*ლაშ-ე „მარცვლეულის ძნათა გროვა, ზვინი“.

### ბზლილ-ი

ქართ. ბზლილ-ი || მზლილ-ი „კვერცხი მწერისა; ტილი“; ზან. (მეგრ.) ჟლირ-, ჟლირ-ტ-ი || ჟლირ-ტ-ალ-ი „ყრმა, ძვალრბილი“, ო-ჟლირ-ტ-ინ-ან-ს „ჩვილად გამოიყურება“, სვან. ბჟღერ „ჩვილი, ყრმა“; საერთოქართველურისთვის აღსადგენია \*მ-ზლილ- არქეტიპი, რომლის მ- ბრეფიქსი გურულსა, იმერულსა და ლეჩხუმურში, ისევე როგორც სვანურში, ბ-ში გადასულა, ხოლო მეგრულში, როგორც მოსალოდნელიც იყო, დაიკარგა [იხ. ჩუხ. 2000-2003: 71].

ს.-ქართვ. \*მ-ზლილ- „ბატარა; კვერცხი მწერისა, ტილი“

იჩქ. ზირს „კვერცხი (მწერებისა)“, „ქვირითი (ბაყაყისა, თევზისა)“, ინგ. ზირს → || ზირლ "id", ბაცბ. ზირს; ინგუშურში ზ-ს გამჟღერება გვიანდელი ფაქტია, მაგრამ ამით ის ემსგავსება საერთონახურ მდგომარეობას — \*ზირლ-; ეს უკანასკნელი კანონზომიერი შესატყვისია ს.-ქართვ. \*მ-ზლილ- ფორმისა, შდრ.: ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. რ (§ 13.3), ს.-ქართვ. ზღ : ს.-ნახ. ზღ (იხ. აქვე, მღერა).

ს.-ნახ. \*ზირლ- „კვერცხი მწერებისა“; „ქვირითი (ბაყაყისა, თევზისა)“.

### ბიბილ-ა

ქართ. ბიბილ-, ბიბილ-ა „ყვავილი“, სვან. ბიმბილ ← ბიბილ „მარცვალი (ყურძნისა ან რომელიმე მცენარისა)“; ყ ვ ა ვ ი ლ ი ს გაგება, მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისით, უფრო ძველი ჩანს, რასაც ნახურ ენათა ჩვენებაც მხარს უჭერს (იხ. ქვევით). ზანურის დიალექტებში შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. \*ბიბ-ილ- „ყვავილი, მარცვალი“

იჩქ. «ბიბ-უგ» „ყვავილი“, ინგ. «ბიბ-უქ» "id", ბაცბ. ბუბუკ  
←\*ბიბ-უკ „ყვავილი“; ვაინახურ ენებში ეს ფუძე დაკარგული ჩანს. ბაც-  
ბურში შემოგვრჩა ასიმილირებული სახეობა ს.-ნახ. \*ბიბ- ძირისა, -უკ  
სახელური სუფიქსია ბაცბურში. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს ძირი  
ნახურ-ქართველურ ენებში რედუბლიკაციის შედეგად იყოს მიღებული.

ს.-ნახ. \*ბიბ- „ყვავილი“.

### ბიც-ი

ქართ. ბიც-ი (საბა), გურ. გა-ბიც-ებ-ა || გა-ბეც-ებ-ა „გაქვავება, გა-  
მაგრება“, ზან. (მეგრ.) ბეჩ-ა ←\*ბიჩ-ა „გამოქვავებული“, სვან. ბეჩ → ||  
ბჷჩ „ქვა“, ა-ბაჩ-აჟ-ი „აქვავებს“; ფორმალური თვალსაზრისით, საინტერე-  
სოა ბოლოკიდური ა ზანურში, რაც სვანურსაც უნდა ჰქონოდა. მისი არ-  
სებობის კვალი ჩანს \*ბიჩ-ა → ბეჩ → || ბჷჩ გარდაქმნაში (მ. ქალღანის  
წესი).

ს.-ქართვ. \*ბიც-(ა) „ქვა, მიწა; გამოქვავებული“

იჩქ. ბას-ეგ „ფერდობი, მთის კალთა“, ინგ. ბოს-ეგ "id", ბაცბ.  
«ბას-ეჟ»; ბაცბური შესატყვისი აქაც გვაკლია. ბუნებრივი ჩანს ს.-ქართვ.  
\*ბიც-(ა) : ს.-ნახ. \*ბას-ე მიმართება, ოლონდ, ს.-ნახ. \*ბას-ე ← წ.-ნახ.  
\*ბაც-ე, შდრ. ახვ. ბეჩა.., ჰუნზ. ბაჩა „მთა, კლდე“. სემანტიკური კორე-  
ლაცია ქვა ~ ფერდობი ~ მთა კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ნახ. \*ბას-ე ←\*ბაც-ე „ფერდობი“.

### ბიძ-ა

ქართ. ბიძ-ა, ბიძ-ია, ზან. (მეგრ.) ჯიჯ-ი || ჯიჯ-ია „ბიძა“; მეგრული  
ჯიჯ-ი ასიმილირებული სახეობა ჩანს ისტორიული \*ბიჯ-ი არქეფორმისა,  
რაც ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არ დასტურდება. სხვა ქართვე-  
ლურ დიალექტებში შესაბამისი ეკვივალენტი ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. \*ბიძ- „ბიძა“

იჩქ. ბაჟა || ბაჯა „ქვისლი“, ინგ. ბაჟჷ "id", ბაცბ. ბაჯ „სიძე“;

შესაძლებელია თავკიდური ბ ორივე ქვეჯგუფის ენებში გრამატიკუ-  
ლი კლასის ნიშანი იყოს.

ს.-ნახ. \*ბაჯ- „ქვისლი, სიძე“.

### ბიჭ-

ქართ. ბიჭ-, ნა-ბიჭ-ი, ნაბიჭ-ეგ-ი „ნამცეცი“, ნა-ბიჭ-ეგ-ი „ნახორხმა-  
ლი საჭმლის ნამტვრევი/ნალეწი“ (საბა), სვან. ბიჭკ-ჟ- → || ბეჭკ-ჟ- → ||  
ბაჭკ-ჟ-, ბიჭკ-ჟ-ე „ხეთქავს“, ა-ბიჭკ-ჟ „გახეთქა“, ბეჭკ-ჟნ-ი „სკდება“,  
ა-ბაჭკ-ჟ „გასკდა“, ლი-ბჭკ-ჟ-ე „გასკლომა“; ზანური შესატყვისი არ არის

გამოვლენილი [კლიმ. 1964: 52; ფენ.-სარჯ. 2000: 109].

ს.-ქართვ. \*ბიჭ- „დანამცეცება; დაჭრა; სკდომა“

იჩქ. **ნითა-/ნოთა-** ← \***ჰაიტა-/ჟატა-**, **ნითა-<sup>ნ</sup>/ნოთა-<sup>ნ</sup>** „შერჭობა, შეჭრა“,

ინგ. **ნოთა-** ← \***ჰაიტა-**, **ნოთა-**არ "id", ბაცბ. **ჰაოტა-/ჰაეტა-**, **ჰაოტა-**არ „შერჭობა“, **ჰაოტა-**დარ „შერჭობა, ჩხვლეტა; ჩაჭრა“, **ჰაეტა-**დარ უსრ. ასპ. "id"; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \***ჰაიტა- /\*ჰაატა-** აბლაუტური ფუძე, რომელსაც კანონზომიერი შესატყვისი ეძებნება ს.-ქართვ. \***ბიჭ-** ძირის სახით, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ბ** : ს.-ნახ. **ჰა** (§ 24.2), ს.-ქართვ. **ჭ** : ს.-ნახ. **ტა** (§ 32.3); სემანტიკისთვის შდრ. აღიღეური ფგჰჰგ- „ტყდომა/ტება“.

ს.-ნახ. \***ჰაიტა-/\*ჰაატა-** „შერჭობა, ჩხვლეტა; ჩაჭრა“.

### ბ-მ-ა

ქართ. **ბ-**, ა-ბ-ამ-ს, **ბ-მ-ა**, **ბ-მ-ულ-ი**, სა-**ბ-ელ-ი**, ძვ. ქართ. **უ-ბ-ნ**, ზან. (მეგრ.) **ბ-**, ო-**ბ-უ** „აბია, ეკიდება“, მე-**ბ-უნ-აფ-ა** „მიბმა“, ლაზ. ო-**ბ-უ** „ბმა“, ქომო-ი-**ბ-უ** „მოიბა“, გო-ვ-ო-**ბ-უმ** „გავაბამ“, ნ-უ-**ბ-უნ** „ჭკილია“, გ-ო-**ბ-უნ** „აბია“, სვან. ლი-**ბ-ემ** „დაბმა“, ი-**ბ-ი** „იბმება“, ლგ-**ბ-ე** „დაბმული“, ლა-**ბ-ჰმ** „დასაბამი“; საერთოქართველურ ძირად \***ბ-** ოდენტანზომოვნიანი არქეტიპი აღდგება [იხ. ჩიქ. 1938: 250; შმიდ. 1962: 95].

ს.-ქართვ. \***ბ-** „დაბმა, მიბმა; საბელი“

იჩქ. **ჟ-**, ე-**ჟ-ნა** „ნაკერი“, ე-**ჟ-ჟ** „სადგისი“, ინგ. ო-**ჟ** „ნაკერი“, ე-**ჟ-ჟ** „სადგისი“, ბაცბ. **ბ-**, ა-**ბ-ან** || ა-**ბ-არ** „შეკერვა“, ა-**ბ-ინ-რ** „შეკერილი“, ა-**ბ-უდნ** „მკერავი; შესაკერი“, ე-**ჟ-ბ** „სადგისი“; საერთონახური ენობრივი ერთიანობის აღსადგენია \***ბ-** ცალმორფემიანი ძირი. **ბ** → **ჟ** საკუთრივ ვაინახური პროცესი ჩანს. ზემოთაღწერილ ნახურ-ქართველურ ფუძეთა ერთიანობაზე ადრეც მიუთითებდნენ [ლაფ. 1952: 31]. ს.-ქართვ. \***სა-ბ-ელ** „საბელი“: ს.-ნახ. \***ე-ჟ-ბ-** „სადგისი“ მეტად საყურადღებო **ს** : **ჟ** შესატყვისობას აჩვენებს (იხ. აქვე, **ს** : **ჟ**, § 19).

ს.-ნახ. \***ბ-** „კერვა, ბმა“.

### ბოკ-ელ-ი

ქართ. **ბოკ-ელ-**, **ბოკ-ელ-ი** „ზეთიანი პური“, **ბოკ-ელ-ს** უნემობენ პურსა (საბა), ზან. **ბოკ-ერ-**, შდრ. ანთროპ. **ბოკ-ერ-ია**; სვანური ეკვივალენტი ვერ გამოვლინდა. ძველ ქართულში **ბოკ-ელ-** მკვიდრადა ზის. იგი საერთოქართველურიდან მომდინარე გვგონია.

ს.-ქართვ. \***ბოკ-ელ-** „პურის სახეობა; ზეთიანი პური“

იჩქ. **ბოკ-ელ-გ** „პატარა სამკუთხა პური საკულტო დანიშნულები-სა“, ინგ. **ბოჟ-ელ-გ** ← \***ბოგ-ელ-გ** "id", ბაცბ. **ბოკ-ალ-კ**; ინგუშურში **ი-ს** წინა პოზიციაში საცნაურია **გ-ს** პალატალიზაცია. საერთონახურში

აღდგება \***ბოკ**-ალ- ძირი, რომელიც ენათესავება ს.-ქართვ. \***ბოკ**-ელ- არ- ქეტიპს, შდრ. ლაკ. **ბურქი** → || **ბურჩი** „ნამცხვარი“, აფხ. ა-**მგ**ალ, აბაზ. **მგ**ალ „მჭადი“...

ს.-ნახ. \***ბოკ**-ალ- „საკულტო დანიშნულების პატარა სამკუთხა პური“.

### ბოლ-ო

ქართ. **ბოლ**-, **ბოლ**-ო, **ბოლ**-ო-ში, ა-**ბოლ**-ავ-ებ-ა „ურმის აყირავება“, ზან.(მეგრ.) **ბოლ**- → || **მბოლ**-, **მო-მბოლ**-უნ-ს „აყირავებს“, ი-**მბოლ**-უ(ნ) „ყირავდება“, **ბოლ**-ო-ს „ბოლოში“; სვანურში სათანადო ფუძე ვერ გამოვლინდა [შდრ. ჩუბ. 2000-2003: 70].

ს.-ქართვ. \***ბოლ**- „ბოლო, დაბოლოება, აბოლავება“

იჩქ. **ბოლ**-, **ბოლ**-უო „დაწყება, დასაწყისი“, **ბოლ**-ა-ბა<sup>ნ</sup> „დაწყება“, ინგ. **ბოლ**-, **ბოლ**-ჲ-ბდე "id", ბაცბ. **ბოლ**-; ბაცბური შესატყვისი დაკარგული ჩანს. საერთონახური ენობრივი მდგომარეობისთვის პოსტულირდება \***ბოლ**- ძირი *დაწყება / დასაწყისის* მნიშვნელობით, რასაც ენათესავება ს.-ქართვ. \***ბოლ**- არქეტიპი *ბოლო/დაბოლოების* გაგებით. გარკვეული თვალსაზრისით მნიშვნელობის ამგვარი ცვლა მისაღებია: რაღაც საგნის დასაწყისი მის დასასრულსაც ნიშნავს, თუ ათვლა მეორე ბოლოდან წარმოებს.

ს.-ნახ. \***ბოლ**- „დასაწყისი/დაწყება“.

### ბოლ-ოკ-ი

ქართ. **ბოლ**-კო-, **ბოლ**-ოკ-ი, შდრ. **ბოლ**-ქვ-ი „ხახვისა და ნივრის ძირსავით რომ ყვავილსა თუ ბალახს ძირი ჰქონდეს“, „ობოლი ხახვი, ნიორი“ (საბა), ზან. (მეგრ.) **ბულ**-ეკ-ი, ლაზ. **ბულ**-ეკ-ი || **ბულ**-ეჭ-ი „ბოლოკი“, სვან. **ბოლ**-ეკ „ბოლოკი“; ამ შეპირისპირების საფუძველზე გამოიყოფა \***ბოლ**- საერთოქართველური ძირი, რომელიც სამსავე ქართველურ დიალექტში დასტურდება.

ს.-ქართვ. \***ბოლ**- „ბოლოკი, ბოლქვი“

იჩქ. **ბო** || **ბო** (მრ. რ. **ბონ**-აშ) „ნიორი (მთის)“, ინგ. **ბო** (მრ. **ბონ**-აშ||ქ) "id", ბაცბ. **ბო** „ნიორი“; საერთონახური არქეტიპი უკეთ არის შემონახული მრავლობითის ფორმებში, სადაც \***ბონ**- სახეობა ფუნქციონირებს. ს.-ქართვ. \***ბოლ**- : ს.-ნახ. \***ბონ**- კანონზომიერი შეფარდებაა, შდრ. ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **ნ** (§ 13.6). ბუნებრივი ჩანს სემანტიკური მხარე შესაპირისპირებელი ლექსემებისა — *ბოლოკი* ~ *ნიორი*. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, შეიძლება სხვაგვარ მიმართებაზეც ფიქრი — ს.-ქართვ. \***ბოლოკ**- „ბოლოკი“ : ს.-ნახ. \***ბოლაგ**- || **ბალაგ**- „მიწის მსხალი“.

ს.-ნახ. \***ბონ**- „ნიორი“.



## ბორბალ-ა

ქართ. **ბორბალ-**, **ბორბალ-** „ობობა“, ზან. (ლაზ.) **ბომბულ-**ა, მეგრ. **ბორბოლ-**ია „ობობა“; სვანურში ფუძე დაკარგული ჩანს [იხ. ჩიქ. 1938: 112-113, კლიმ. 1964: 53].

ს.-ქართვ. \***ბორბალ-** „ობობა“

იჩქ. **ბუმბარ-**ი „მტაცებელი ფრინველი“, ინგ. **ბუმბარ-**გ "id", ბაცბ. **ბუმბარ-**ი. ბაცბური შესატყვისი გამოსავლენია. ნახურ ენათა **ბუმბარ-**ახლოს დგას ლაზურ სახეობასთან **ბომბულ-**ა: საცნაურია **მბ~მბ** კომპლექსთა გამოჩენა. სემანტიკურად ნახურ-ქართველურ ლექსემებს *მტაცებლის* სემა აერთიანებთ. **რ** : **მ** მიმართება სხვა შემთხვევაშიც იჩენს თავს, შდრ. ს.-ქართვ. \***კერცხ-**ა „წვეტი, კრჩხა“: ს.-ნახ. \***კამს-ურ** „ეშვი; კბილი, ფოცხი“, ს.-ქართვ. \***ქასრ-** : ს.-ნახ. \***ქამს...** (§ 14.4).

ს.-ნახ. \***ბომბარ-** „მტაცებელი ფრინველის სახეობა“.

## ბოსელ-ი

ქართ. **ბოსელ-**, **ბოსელ-**ი „გომი“, ხევს. **ბოსელ-**ი „პირველი სართული ქვიტკირის შენობისა, საძროხე“, გურ. **ბოსლ-**ო „რელიგიური სალოცავი“, ზან. (მეგრ.) **ბარსილ-**ი „რელიგიური დღესასწაული“; სვანურში შესატყვისი ფუძე ვერ გამოვავლინეთ. ქართ. **ო** : ზან. **ა** ბგერათშეფარდება ისტორიულად **ე** განმოვანებაზე მიუთითებს ქართულში, **ე**-ს ლაბიალიზაცია მიეწერება წინამავალ წყვილბაგისმიერ ბგერას: \***ბესელ-**ი → **ბოსელ-**ი.

ს.-ქართვ. \***ბესელ-** „ბოსელი, გომი“

იჩქ. \***ბაშთ** „გომური“, ინგ. **ბაშთ** "id", ბაცბ. **ბაშტ** „გომური“; არაანლაუტური **თ** : **ტ** მიმართება ნახურში მეორეულია და მომდინარეობს **დ** : **ტ**-საგან, სადაც ბაცბურის ვითარება გვიანდელი ჩანს: **დ** → **ტ**. ამოსავალი საერთონახური **დ** კანონზომიერად შეესატყვისება საერთოქართველურ **ლ** სონანტს. ისტორიულად **ლ** → **დ** დენტალიზაცია ნახურ ენებშია საგულვებელი; იხ. აქვე ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **დ** (§ 13.7), ს.-ქართვ. **ს** : ს.-ნახ. **შ** (§ 30.5).

ს.-ნახ. \***ბაშთ-** ← \***ბაშად-** „გომური“.

## ბოტ-ი

ქართ. **ბოტ-**, **ბოტ-**ი „თხის ერკემალი“ (საბა), **ბოტ-**ი „მამალი დაუკოდავი თხა“ (ქველ-ი), ზან. (მეგრ.) **ბეტ-**არ-ი „ბოტი“, სვან. **ბოტ-**ა „ვაცი“; ქართულ-ზანურ დაკავშირება ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურიდან [როგ. 1956: 115]. მეგრულის **-არ** დაბოლოების ფარდი **-ა** სუფიქსი უნდა გვქონდეს სვანურ **ბოტ-**ა ფორმაში. ასახსნელია ქართ. **ო** : ზან. **ე** შეფარდებაც. სავარაუდოა ს.-ქართვ. **ო** → ზან. **ე** ისევე როგორც შემდეგ საერთოქართველურ ფორმებში: ქართ. **ლორ-**ი : ზან. **ლეჯ-**ი, ქართ. **ოც-**ი : ზან. **ეჩ-**ი...

ს.-ქართვ. \***ბოტ**- „ბოტი, ვაცი“  
იჩქ. **ბუოტ**, ინგ. **ბოტ**, ბაცბ. **ბოტი** „თიკანი“; ვაინახურ ენებში  
შესაბამისი ფუძეები დაკარგული ჩანს. მის ოდინდელ არსებობაზე ბაცბ.  
**ბოტ** მეტყველებს, რომელსაც პარალელები ეძებნება მონათესავე იბერი-  
ულ-კავკასიურ ენებში: ბოთლ. **რეტანა**, ჭამ. **დეტანა** „ცხვარი“, აფხ. **ა-თგ**,  
აბაზ. **თგ**, ად. **ტგ**, ყაბ. **ტგ**, უბიხ. **ტგ** „ცხვარი“. სემანტიკური ოპოზი-  
ცია *ვაცი* ~ *თიკანი* ბუნებრივად გვეჩვენება.  
ს.-ნახ. \***ბოტ**- „თიკანი“.

### ბოქვენ-ი

ქართ. **ბოქვენ**-, **ბოქვენ**-ი „ბატარა მუცელი“, **ბოქვენ**-ი „მუცელს  
ქვეითი სასირცხომდე“ (საბა), ზან. (მეგრ.) **ქორ**-ა || **ქვარ**-ა „მუცელი“,  
ლაზ. **ქორ**-ბ-ა „მუცელი“; სვანურში ეს ძირი არ ჩანს [ჩიქ. 1938: 68-69].  
გვესმის სირთულე ამგვარი შეპირისპირებისა, მაგრამ ანლაუტური ბ-  
ქართულში და ბოლოკიდური ბ- ლაზურში იქნებ საერთო ფუნქციისა  
იყოს. მაშინ ძირად \***ქვენ**- გამონაწევრდებოდა.

ს.-ქართვ. \***ქვენ**- „ბოქვენი, მუცელი“

იჩქ. **ქირ**-ჲ (ჭებ. **ქჲრ**-ი) „სტომაქი, მუცელი; შიგნეულობა“, ინგ.

**ქერ** || **ქერ** "id", ბაცბ. **ქერ**-ი; ინტერკონსონანტური ხმოვნის სიგრძე  
ნახურ დიალექტებში იქნებ **ქ**- ფონემის ისტორიულ ლაბიალიზაციაზე მი-  
ანიშნებდეს — \***ქვენ**-ი → **ქერ**-ი. ქართული **ბოქვენ**- სტრუქტურის ფუ-  
ძეები ფუნქციონირებენ დალესტურ ენებშიც: დარგ. **ბაქუ**, უდ. **ბუქუნ**  
„მუცელი“, შდრ. აფხ. ა-მგ<sup>ა</sup> "id".

ს.-ნახ. \***ქერ**-ი ← \***ქვენ**-ი „სტომაქი, მუცელი“ (უტონა).

### ბოყვ-ი

ქართ. **ბოყუ**-, **ბოყვ**-ი „ბოძი“, ზან. (მეგრ.) **ბუკ**-ი ← \***ბიკუ**-ი „კუნ-  
ძი“, სვან. **ბიკ** ← **ბუკ** ← \***ბოკუ** „კუნძი, ჭირკი“; ზან.-სვან. ფუძეები  
გ. კლიმოვა დააკავშირა [იხ. კლიმ. 1964: 52]. **ბოყვ**-ი სიტყვა მსგავსი მნიშ-  
ვნელობით მეგრულისთვისაც არ არის უცხო. იხ. **ბოყვ**-ი, ჭარ. 1997: 43.

ს.-ქართვ. \***ბოყუ**- „ბოძი, კუნძი“

იჩქ. **ბჟუღღამ** „ბოძი“, ინგ. **ბოაღ** ← \***ბოღურ** "id", ბაცბ. **ბოღურ**  
„პალო, ბოძი“; საერთონახური ფუძეენური ენობრივი ერთობის ხანისათვის  
აღვადგენთ \***ბოღურ**- არქეტიპს, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება  
ს.-ქართვ. \***ბოყუ**- ფორმას, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ყ** : ს.-ნახ.  
**ღ** (§ 37.2), ს.-ქართვ. **ჟ** : ს.-ნახ. **რ** (§ 20.5).

ს.-ნახ. \***ბოღურ**- „ბოძი, პალო“.

## ბოც-ო

ქართ. **ბოც**-, **ბოც**-ო, ზან. **ბოჩ**-ი „მწერი“, შდრ. იმერ. (← ზან.) **ბოჩ**-ი „მწერი“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. აუსლაუტური მიმართება ქართ. **ო** : ზან. **ი** გაგვახსენებს ქართ. ღვინ-ო : ზან. ღვინ-ი შეფარდებას.

ს.-ქართვ. \***ბოც**-ო „მწერი“

იჩქ. **ჩაფ**-ილგ „ტარაკანი“, ინგ. **ჩოაფ**-ილგ "id", ბაცბ. **ჩუაფ**-; ძირისეული ხმოვნის სიგრძე იჩქერიულში და **ოა** თანმიმდევრობა ინგუშურში უცილოდ მეტყველებს **ჩ** აფრიკატის ისტორიულ ლაბიალიზაციაზე ფუძე-ენაში. საერთონახური \***ჩუაფ**- შებრუნებული წყობის შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \***ბოც**- ძირისა.

ს.-ნახ. \***ჩუაფ**- „ტარაკანი“.

## ბრაწ-ი

ქართ. **ბრაწ**-ი „წითელივით“ (საბა), და-**ბრაწ**-ებ-ა „დაწითლებისათვის“ (საბა), ი-**ბრაწ**-ებ-ა, შე-ი-**ბრაწ**-ა, **ბრაწ**-ი „გრაკის ხე“ (საბა), **ბრწ**-ამ-ლ-ი, ზან. **ბურწ**-უმ-ელ-ი || **ბურწ**-უმ-ილ-ი „ეკალიჭი“; საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \***ბრაწ**- არქეტიპი [შდრ. გიგინ. 1982: 120].

ს.-ქართვ. \***ბრაწ**- „წითელი; შებრაწვა“

იჩქ. **არჟ**-ა<sup>ნ</sup> || **არჯ**-ა<sup>ნ</sup> „შავი“, ინგ. **არჯ**-ა<sup>ნ</sup> || **არჟ**-ა<sup>ნ</sup> "id", ბაცბ.

**არჯ**-ი<sup>ნ</sup> „შავი“, **არჯ**-ოლ „სიშავე“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება \***ჰარჯ**- ძირი, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***ბრაწ**- არქეტიპი, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ბ** : ს.-ნახ. **ჰ** (§ 24.2), ს.-ქართვ. **წ** : ს.-ნახ. **ჭ** (§ 30.3). სემანტიკური სუბსტიტუცია *შავი ~ წითელი* შესაძლებელი ჩანს ერთი ენის შიგნითაც, რასაც ამოწმებს ქართულში მონაცვლე შესიტყვებები: *შავი ღვინო || წითელი ღვინო*.

ს.-ნახ. \***ჰარჯ**- „შავი; სიშავე“.

## ბრმა-ა

ქართ. **ბრმა**-ა ← \***ბრამ**-ა, და-**ბრმა**-ავ-დ-ა, სი-**ბრმა**-ავ-ე, ზან. **რუმ**-ე ← || **ბრუმ**-ე „ბნელი“; საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის აღვადგენთ \***ბრამ**-ა არქეტიპს, სადაც \***ბრამ**- ძირი ს ი ნ ა თ ლ ი ს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. უარყოფითობა ანუ ნეგატიური გაგება ამ შემთხვევაში მიიღწევა -ა სუფიქსის დართვით, შდრ. ქართ. კუდ-ი, მაგრამ კუდ-ა „უკუდო“, ე. ი. \***ბრამ**- „თვალი, სინათლე“, მაგრამ \***ბრამ**-ა „უსინათლო, ბრმა“.

ს.-ქართვ. \***ბრამ**-ა „ბრმა, უსინათლო“

იჩქ. **ბჟარ**-გ „თვალი“, **ბჟარ**-ა „თვალეში“, ინგ. **ბჟარ**-გ "id", **ბჟარ**-ა "id", ბაცბ. **ბჟარ**-კ „თვალი“; საერთონახური ენობრივი ერთობი-სათვის რეკონსტრუირდება \***ბჟარ**- არქეტიპი. ს.-ქართვ. \***ბრამ**- : ს.-ნახ. \***ბჟარ**- შეპირისპირება გამოაჩენს **ბრ** : **ბჟ** (§ 39), **მ** : **რ** (§ 15.4) რეგულ-ლარულ ბგერათშესატყვისობებს.

ს.-ნახ. \***ბჟარ**- „თვალი“.

### ბრტყ-ელ-ი

ქართ. **ბრტყ**-, **ბრტყ**-ელ-ი, სი-**ბრტყ**-ე, ძვ. ქართ. **პრტყ**-ელ-ი, ზან. (მეგრ.) **ბირტყ**-ა „ბრტყელი“, ლა-**პარტყ**-ია || ლა-**ბარტყ**-ია „ბრტყელი“, სვან. **პტყ**-ენ-, ა-**პტყ**-ენ-ე „აბრტყელებს, ლი-**პტყ**-ენ-ე „გაბრტყელება“; საერთოქართველურ არქეტიპად მოიაზრება \***ბიტყ**- ფუძე [შდრ. კლიმ. 1998: 19; ფენ-სარჯ. 2000: 119-120; ჩუხ. 2000-2003: 179].

ს.-ქართვ. \***ბიტყ**- „ბრტყელი; გაბრტყელება“

იჩქ. **ბ-უტყ**-ან<sup>ნ</sup> „წვრილი“, **ბ-უტყ**-ბან<sup>ნ</sup> „დაწვრილება“, ინგ. **ბ-იტყ**-ან "id", **ბ-იტყ**-ბე "id", ბაცბ. **ბ-უტყ**-ინ<sup>ნ</sup> „წვრილი“, **ბ-უტყ**-ბარ „დაწვრილე-ბა“; საერთონახურში აღსადგენია \***ბ-უტყ**- არქეტიპი, რომლის ანლაუტურ-რი **ბ**- მოქმედი გრამატიკული კლასის ნიშანია. საერთოქართველური **ბ**-ც იმავე კვალიფიკაციისა ჩანს, ოღონდ ფუძეს არის შეზრდილი. ინგუშურის **ი** განმოვანება ისტორიული **ჲ** ხმოვნის მოდიფიკაცია უნდა იყოს. სემან-ტიკურად **ბრტყელი** ~ **წვრილი** ბუნებრივი მიმართებაა.

ს.-ნახ. \***ბ-უტყ**- „წვრილი; დაწვრილება“.

### ბუგ-რ-ი

ქართ. **ბუგ**-რ-, **ბუგ**-რ-ი „...მსნმო რამე ბუწუკად, ვიეთნი ყვავილისა და წითელას სენთა უხმობენ“ (საბა), ძვ. ქართ. **ბუგ**-რ-, **ბუგ**-რ-ებრ-, **ბუგ**-რ-იან-ი, ზან. (ლაზ.) **ფუჟ**-ურ-ი → || **ფუჟ**-ირ-ი „ყვავილი“, სვან. **ბუგ**-ჟირ || ← **ბუგ**-ურ „ყვავილი (დაავადება)“; საერთოქართველურში ძირად **ბუგ**- გამოიყოფა, ისტორიული **-ურ** სუფიქსი ქართულში რედუცი-რებული სახითაა წარმოდგენილი — **ბუგურ**-ი → **ბუგრ**-ი [იხ. ფენ-სარჯ. 2000: 122].

ს.-ქართვ. \***ბუგ**-ურ- „ყვავილი (დაავადება)“

იჩქ. **ფუგ** „კვირტი“, ინგ. **ფუგ** "id", ბაცბ. **ფუგ** „კვირტი (მატყლის)“; საერთონახურისთვის აღსადგენია \***ფუგ**- არქეტიპი, **გ** → **კ** საკუთრივ ბაცბური პროცესი ჩანს. საინტერესოა ანლაუტური **გ** → **ქ** დაყრუების ერთგვაროვანი პროცესი ლაზურ დიალექტსა და ნახურ ენებში (resp. სა-ერთონახურში). ბუნებრივად გვესახება სემანტიკური მიმართება: ს.-ქართვ. **ყვავილი** ~ ს.-ნახ. **კვირტი**.

ს.-ნახ. \***ფუგ**- „კვირტი (მატყლის)“.

## ბუდ-ე

ქართ. **ბუდ-**, **ბუდ-ე** „ბუდე“, ზან. **მუნდ-ი** || **ბუდ-ი** "anus", სვან. **ბუდ** || **ბიდუ** || **ბიდ** "vulva"; ქართული **ბუდ-** ძირი ცნობილია უკვე ძველი ქართული სამწერლო ენის ძეგლებიდან: **ბუდ-ე-სა**, **ი-ბუდ-ებ-ს**. ქართ. **ბუდე** ~ ზან. "anus" ~ სვან. "vulva" ბუნებრივი მიმართებაა; მსგავსი სემასიოლოგიური გარდასვლები ცნობილია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ს.-ქართვ. \***ბუდ-** „ბუდე“, "anus", "vulva"

იჩქ. **ბუდ** "vulva", ინგ. **ბუდ** || **ბუთ** "id", ბაცბ. **ბუტ** "id"; საერთონახური ეტიმონი სვანურისას იმეორებს, რაც კანონზომიერი მოვლენა გვეგონია. ფუძე-ენისთვის რეკონსტრუირდება \***ბუდ-** პროტოტიპი, შდრ. ს.-ქართვ. \***ბუდ-**.

ს.-ნახ. \***ბუდ-** "vulva".

## ბუვ-ი

ქართ. **ბუვ-ი** → || **ბუ** || **ბუა** „ბუ“, ზან. (ლაზ.) **ბლუ** → || **მლუ** „ბუ“, მეგრ. **ლუ** ←\***ბლუ** "id", სვან. **ლუჰ** ←\***ბლუჷ** „ბუ“; საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღდგება \***ბლუჷ-** არქეტიპი, რომლის თავკიდური **ბლ** კომპლექსი სხვადასხვა მიმართულებით გამარტივდა ქართველურ ენებში — **ბლ** → **ბ** (ქართულში), **ბლ** → **ლ** (მეგრულსა და სვანურში); [იხ. როგ. 1965, 2; ჟღენტ. 1956: 62; კლიმ. 1964: 56; ჩუხ. 2000-2003: 269-270].

ს.-ქართვ. \***ბლუჷ-** „ბუ“

იჩქ. **ბუჰა** (ჭებ. **ბუჰუ**) „ბუ“, ინგ. **ბჰოჷ** "id", ბაცბ. **ბუჰჰ** ←\***ბუჰი** "id"; საერთონახური არქეტიპი უცვლელად არის შემონახული ინგუშურში. იჩქერიულსა და ბაცბურში **ბჰ** არქაული კომპლექსის გამარტივება უნდა მივაწეროთ მომდევნო **ჰ** ლარინგალის დისიმილაციურ ზეგავლენას.

ს.-ნახ. \***ბჰოჷ-** „ბუ“.

## ბუზ-ი

ქართ. **ბუზ-**, **ბუზ-ი**, ზან. (ლაზ.) **ბუზ-**, **ბუზ-ალ-ა** „ბუზის ბუზილი“, სვან. **ბუზ-ულ** || **ბუზ-ულ** „ბუზი, ფუტკარი“; საერთოქართველური ენობრივი მდგომარეობისთვის აღდგება \***ბუზ-** არქეტიპი [იხ. კლიმ. 1964: 51; ფენ.-სარჯ. 2000: 123].

ს.-ქართვ. \***ბუზ-** „ბუზი“

იჩქ. **მუზა** || **მუზა** (მრ. რ. **მოზ-ი**) „ბუზი“, ინგ. **მოზ** (მრ. რ. **მოზ-ი**) "id", ბაცბ. **მოზ-?**; საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება \***მოზ-ა** ძირი, რომელიც ზუსტი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \***ბუზ-** არქეტიპისა. ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **ო** მიმართება ხმოვნებში ბუნებრივია, იხ. აქვე, § 9.2.

ს.-ნახ. \***მოზ-ა** „ბუზი“.

## ბუნდ-ი

ქართ. ბუნდ-, ბუნდ-ი, ბუნდ-ოვან-ი, მთიულ. ბუნდ-ი „მუქიფერი-სა“, სვან. ბუნტ || ბინტუ „ბურუსი, ნისლი“; ზანური მონაცემები გვაკლია, არ არის გამოვლენილი; სვანურში ნდ → ნტ მჟღერი ხშული გამკვეთრდა სონანტთან მეზობლობაში (ქ. ლომთათიძის წესი): სვან.

**ბინტუ ← ბუნტ ← \*ბუნდ.**

ს.-ქართვ. \*ბუნდ- „ბურუსი, ბინდი, ნისლი“.

იჩქ. ბუოდა || ბოდა „სიბნელე“, ბოდ-ან-ფე „ბნელი“, ინგ. ბოად ← \*ბოდ „სიბნელე“, ბაცბ. „ბოდ-“; ბაცბურში შესაბამისი სიტყვა დაკარგული ჩანს.

ქართულ-იჩქერიულ ფუძეთა დაკავშირებისთვის იხ. გონ. 1940: 606-607.

ს.-ნახ. \*ბოდ- „სიბნელე, ბნელი“.

## ბურს-ა

ქართ. ბურს-, ბურს-ა „ნისლი, თოვლიანი“, სვან. ბოზ- || ბუზ-, ნა-ბოზ || ნა-ბუზ „სალამო“; სვანურში გამოყოფილი ბოზ- || ← ბუზ- ← \*ბუს- ქართულ დიალექტში შემონახული ბურს-ა ფუძის შესატყვისი ჩანს. ნისლსა და სალამოს სემანტიკურად სიბნელის გაგება აერთიანებთ. შესაძლებელია ქართული ბურუს-ი ← \*ბურს-ი სიტყვაც აქვე შემოვიდეს. საკითხი დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს.

ს.-ქართვ. \*ბუს- „სალამო, ბინდი, ნისლი“

იჩქ. ბუმსა (ჭებ. ბუმსა) „ღამე“, ინგ. ბიძან ← \*ბუმსან "id", ბაცბ.

ბუმსა „ღამე“, ბუმსუ<sup>ნ</sup> „ღამით, ღამე“, ბუს-უ-ბუს-უ „ღამღამობით“; საერთონახურისთვის აღსადგენია \*ბუს-ა || \*ბუს-უ ალომორფები, ძირად \*ბუს- გამოიყოფა. სვანურ-ნახურ ფუძეთა დაკავშირება ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურიდან [გონ. 1940: 594].

ს.-ნახ. \*ბუს- „ღამე“.

## ბუს-უს-ი

ქართ. ბუს-, შე-ბუს-ვა „ბუსუსებით დაფარვა“, შე-ბუს-ულ-ი „ბუსუსებით დაფარული“, ბუს-უს-ი ← \*ბუს-ბუს-ი, ზან. (მეგრ.) ბუჟ-უჟ-ი ← \*ბუშ-ბუშ-ი „ბუსუსი“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. ქართულში ზმნური ბუს- ძირის არსებობა ცალსახად მიუთითებს სახელურ ფუძეთა ისტორიულ გაორკვევაზე მეგრულსა და სალიტერატურო ქართულში, რასაც ზედ ერთვის ბ-სთან ასიმილაციით შ-ს გამჟღერება მეგრულში.

ს.-ქართვ. \*ბუს- „ბუსუსი, რბილი დაბალი ბეწვი; შებუსვა“

იჩქ. მოს || მას „თმა, ბუსუსი; ბუმბული“, ინგ. მოს "id", ბაცბ.

„მოს“; გასარკვევია ო → ა გადაბგერების მიზეზი იჩქერიულში, დადესტნური ენები ო/უ ხმოვნების პრიმარობას უჭერენ მხარს: ახვ. მოს-ოლო,

დიდ., ხვარშ. **მუს** „თმა, წამწამი“... ს.-ქართვ. \***ბუს-** : ს.-ნახ. \***მოს-** კანონზომიერი მიმართებაა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ბ** : ს.-ნახ. **მ** (§ 23.6), ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **ო** (§ 9.2).

ს.-ნახ. \***მოს-** „თმა, ბუსუსი; ბუმბული“.

### ბუქ-ი

ქართ. **ბუქ-**, **ბუქი-**, ქარ-**ბუქი-**, ა-ა-**ბუქი-**ებ-ს, ა-ა-**ბუქი-**ა „მტვრიანი ჰაერი/კორიანტელი დააყენა“, სვან. **ბიქუ** ← || **ბუქუ** || **ბუქუ** „ქარი; ბუქი“; ზანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. საერთოქართველურისთვის აღსადგენია \***ბუქუ-** არქეტიპი, რომელიც უფრო სრულად სვანურში შემოგვენახა, შდრ. ხევს. **ბუქვი** „ბუქი“.

ს.-ქართვ. \***ბუქუ-** „ბუქი, კორიანტელი; მტვრიანი ქარი“

იჩქ. **ბურქ-**, **ბურქი-**ჟო „დახუთული ჰაერი“, ინგ. **ბურქ-**, **ბურქი-**ჟო "id", ბაცბ. "ბურქ-"; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \***ბურქ-** პროტოტიპი, რომელიც ბაცბურმა დაკარგა. ს.-ნახ. \***ბურქ-** : ს.-ქართვ. \***ბუქუ-** შეპირისპირება კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **რ** ბგერათშესატყვისობის რეალურობას, შდრ. ს.-ქართვ. \***ნესუ-** „ნესვი“ ~ ს.-ნახ. \***ნარს** „კიტრი“... (იხ. აქვე).

ს.-ნახ. \***ბურქ-** „დახუთული ჰაერი“.

### ბუძ-ო

ქართ. **ბუძ-**, იმერ. **ბუძე** „ადგილი ძირდადგმული სახლის კარებთან არსებულ აფრებზე“, გურ. **ბუძე** „თარო“, იმერ. **ბუძ-ო** „ურდულის გასაყრელი ყურები“, ზან. (ლაზ.) **ბუჯ-ეჯი** || **ბუჯ-ერი** „საბუდარი“, სვან. **ბუჯ-ერ** „ჭურჭლის დასაწყობი თარო“, შდრ. ქართ. (← სვან.) „შინაურ ფრინველთა სადგომი“; ქართული **ბუჯერ-**ი სვანურიდანაა შეთვისებული. ქართველურ ფუძეთა შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ ძირად გამოსაყოფია **ბუძ-/ბუჯ-**; -**უ** || -**ო** || -**ე** ქართულში, -**ერ** სვანურში სადერივაციო აფიქსები ჩანს.

ს.-ქართვ. \***ბუძ-** „თარო, განჯინა“

იჩქ. **ბუჯოჯალ** || **ბუჯალ** (ჭებ. **ბოჯოლო**, ახ. **ბეჯ-** „ქართა“) „გომი, საჯინიბო“, ინგ. **ბეჯალ** || **ბეჯალ** "id", ბაცბ. "ბოჯოლ-"; საერთონახურში აღსადგენია \***ბოჯ-** არქეტიპი (შდრ. ახ. **ბეჯ-**), რომლის შესატყვისიც ბაცბურში გვაკლია. -**ალ** || -**ოლ** სადერივაციო სუფიქსი ჩანს, შდრ. -**ერ** სვანურში. ს.-ქართვ. \***ბუძ-** : ს.-ნახ. \***ბოჯ-** კანონზომიერი მიმართებაა. ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **ო**, ს.-ქართვ. **ძ** : ს.-ნახ. **ჯ** რეგულარულ ხასიათს ატარებს. ფუძენახურ ეტიმონთან ყველაზე ახლოს დგას **ბუჯერ-** ფუძის მნიშვნელობა ქართულში: *შინაურ ფრინველთა სადგომი*.

ს.-ნახ. \***ბოჯ-** „გომი, თავლა, საჯინიბო“.

### ბუწალ-ია

ქართ. ბუწალ-, რაჭ.-ლენჩხ. ბუწალ-ია || ბუწალ-იე „ბირკა“, „ხორ-ბლეულის ნათესებში გავრცელებული მცენარე“, ზან. «ბუჭონ-ი» „ქერი“, შდრ. ქართ. (← ზან.) ბუჭონ-ი || ბიჭონ-ი „ქერის ვალი“ (საბა)“; სვანურ-რი ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი, შდრ. კახ. 1987: 40-41. ბუჭონ-/ბიჭონ- მორფემათა ზანურობას, გარდა წ → ჭ გადაბგერებისა, მხარს უჭერს უ → გ პროცესიც [იხ. როგ. 1962]. საყურადღებოა აუსლაუტურ-რი ქართ. ლ : ზან. ნ (ბუწალ-: ბუჭონ-), რაც არ არის უნიკალური მო-ვლენა, შდრ. ქართ. შურდულ-ი : ზან. შქურდონ-ი "id".

ს.-ქართვ. \*ბუწალ- „ბირკა; ქერი“

იჩქ. ბუოჟან || ბუოჯან „ჭვავი, ქერი“, ინგ. ბოჟან ← \*ბოჯან "id", ბაცბ. «ბოჭან»; ბაცბური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი, მაგრამ მას-ზედ მსჯელობა შესაძლებელია არაანლაუტური ვაინახ. უ || ჯ : ბაცბ. ჭ შე-სატყვისობის მიხედვით. ამდენად, საერთონახურში აღსადგენია \*ბოჯან- არ-ქეტიპი, რომელიც კანონზომიერი ეკვივალენტია ს.-ქართვ. \*ბუწალ- ძირი-სა, შდრ. ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. ო (§ 9.2), ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ნ (§ 13.6).

ს.-ნახ. \*ბოჯან- „ჭვავი, ქერი“.

### ბღავ-ან-ი

ქართ. ბღავ-, ბღავ-ან-ი „ფესვი, ნაშთი, ნატამალი“, ზან. (ლაზ.) \*ბღე, ო-ბღე ← \*ო-ბღავ-ი „ბუდე, საბუდარი“, სვან. ბღე || ბღეჰ || ბღეჟ „ნაპრალი, ამოთხრილი ადგილი“. ავ → ე ფონეტიკური პროცესი-სათვის ზანურში შდრ. ქართ. ხვავ-ი : ზან. ხვე. ვ უნდა ჰქონოდა სვა-ნურსაც, რაზეც ჰ || მ რეფლექსი მეტყველებს: \*ბღაჟ → ბღეჰ || ბღეჟ.

ს.-ქართვ. \*ბღაჟ- „ფესვი, ბუდე, საბუდარი“.

იჩქ. (ახ.) ბჟან „ბუდე, საბუდარი“, ინგ. ბჟან (მრ. რ. ბჟან-ან) "id", ბაცბ. «ბჟან». სემანტიკურ-მატერიალური სიახლოვე აშკარაა, ხოლო რაც შეეხება ს.-ქართვ. ბღ : ს.-ნახ. ბჟ შესატყვისობას, ის სხვაგანაც დასტურ-დება, იხ. აქვე, § 44.

ს.-ნახ. \*ბჟან- „ბუდე, საბუდარი“.

### ბღავ-ილ-ი

ქართ. ბღავ-, ბღავ-ილ-ი, ბღავ-ი-ს, ი-ბღავ-ლ-ებ-ს, ი-ბღავ-ლ-ა; სვან. ბღუ-, ვან ბღუ-ე „ხარი ბღავის“, ლი-ბღუ-ლ-ი „ბღავილი“; სვანურ-ში ბღუ- თანმიმდევრობა კანონზომიერად ასახავს საერთოქართველურ \*ბღაჟ- ზმნურ ფუძეს, რომელიც აშკარად ონომატოპოეტური ბუნებისაა [იხ. ქერქ. 1974: 12; კლიმ. 1998: 22]; აქვე შეიძლება ლაზური ბღორ-ინ-ი „ბღავილი“ ზმნის შემოტანა — შდრ. ქართ. ვ : ზან. რ.

ს.-ქართვ. \*ბღაჟ- „ბღავილი“.

იჩქ. «ბ-უღ-», ინგ. «ბ-უღ-», ბაცბ. ბ-უღ-, ბ-უღ-ა<sup>5</sup> || ბ-უღ-არ „ყვი-



რილი, ბლავილი“, **ბ-ულ-ბ-არ** „ბლავილი“, **ბ-ულ-ბო** „აბლავლებს“, **ბ-ულ-**რიკ „მეყვირალა“; საერთონახური კლასნიშნიანი **\*ბ-ულ-** ძირი უცვლელად შემოგვენახა ბაცბურში, სხვაგან ვერ გამოვავლინეთ. ს.-ნახ. **\*ბ-ულ-** : ს.-ქართვ. **\*ბლაჟ-** ხმაბაძვითი ფუძეებია, რომლებიც ფორმალური იგივეობით და სემანტიკური იდენტურობით ხასიათდებიან. საკითხი ისმის **ბ-ს** კლასნიშნად გამოყოფის შესახებ საერთოქართველურში.

ს.-ნახ. **\*ბ-ულ-** „ყვირილი/ბლავილი“, "блѣять".

### ბლალ-ა

ქართ. **ბლალ-**, **შე-ბლალ-ვ-ა** „შესვრა, შესვარვა“ (საბა); **შე-ბლალ-**ავ-ს „შებილწავს, შერყვნის“, **შე-ბლალ-ულ-ი**, მთიულ. **ბლალ-ა** „წყალში გახსნილი ნაკელი“, „ჭუჭყი“, შდრ. მოხ. **ბლარ-ა-ღ** „ჭუჭყიანი“; ზანურსა და სვანურში შესაბამისი ფუძეები ვერ გამოვავლინეთ. ამ ქართველურ დიალექტებში ჩვენთვის საინტერესო ფუძეები დაკარგული ჩანს.

ს.-ქართვ. **\*ბლალ-** „შებილწვა, დაჭუჭყიანება; ჭუჭყი“

იჩქ. **ბჟალ** „გამხმარი ჭუჭყის/ტალახის კოშტი“, ინგ. **ბჟალ** "id", ბაცბ. **«ბჟალ»**; ბაცბური ეკვივალენტი დაკარგული ჩანს. უფრო ადრე თ. გონიშვილი ქართულ **ბლალ-** „შებლალვა“ ძირს იჩქერიულ **ბჟალ** „ხნული, ორნატი“ ფორმასთან აახლოვებდა, რაც არ არის მართებული [იხ. გონ. 1940: 613]. საყურადღებოა ს.-ქართვ. **ბლ** : ს.-ნახ. **ბჟ** შესატყვისობა ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა დონეზე, იხ. აქვე, § 44.

ს.-ნახ. **\*ბჟალ-** „გამხმარი ტალახის/ჭუჭყის კოშტი“.

### ბლარტ-ი

ქართ. **ბლარტ-**, **ბლარტ-ი** → || **ბარტყ-ი**, ზან. (მეგრ.) **ბუტყ-ა-ტყ-ია** „ჩვილი“, **ბუ(რ)ტყ-უ** „ბლარტი“; ცხადია, **ბარტყ-**ისთვის უწინარესია ბარალელური **ბლარტ-** სახეობა, როგორც ამას გ. როგავა ვარაუდობდა [როგ. 1977: 90].

ს.-ქართვ. **\*ბლარტ-** „ბლარტი, ბარტყი“

იჩქ. **ბჟოტა** || **ბჟოტა** „ზრდასრული არსება, ადამიანი“..., ინგ. **ბჟოტა** "id", ბაცბ. **«ბჟოტ-»**; ბაცბური ეკვივალენტი დაკარგული ჩანს.

მნიშვნელოვანია ს.-ქართვ. **ბლ** : ს.-ნახ. **ბჟ** შესატყვისობა კომპლექსთა დონეზე (იხ. § 44).

ს.-ნახ. **\*ბჟოტ-** „ზრდასრული არსება (ადამიანი)“.

### ბლვერ-ა

ქართ. **ბლჟერ-/ბლჟირ-**, **ბლვერ-ა**, **ი-ბლვირ-ებ-ა**, **უ-ბლვირ-ა**, ზან. (მეგრ.) **ნადღვირ-**, **ო-ნდღვირ-ინ-ან-ს** „ბლვირება“, **ნდღვირ-ალ-ი** „მბლვერი, ვინც იბლვირება“; ზანურში დღ კომპლექსის გენეზისი ვარაუდობს ისტორიული ბლ კომპლექსის გამარტივების (**ბლ** → **ღ**) შემდგომ **ნ-**ბგერის ფონეტიკურ დართვას და ასიმილაციით **ღ-სთვის** ჰომოგენური

დენტალის განვითარებას: \*ბღვირ- → ღვირ- → ნღვირ- → ნდღვირ-,  
შღრ. ქართ. ანკესი → მეგრ. ანტკეცი.

ს.-ქართვ. \*ბღჟერ-/ \*ბღჟირ- „ბღვერა, გაბრაზებით ყურება“

იჩქ. ბჟარ „მზერა“, ინგ. ბჟარ "id" .ბაცბ. «ბჟარ»; ბაცბური ეკვი-  
ვალენტი აქაც გაუჩინარებულია.

მნიშვნელოვანია ს.-ქართვ. ბღ : ს.-ნახ. ბჟ ბგერათმესატყვისობა  
ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა დონეზე. შესაძლოა დაისვას საკითხი  
\*ბჟჟარ- → \*ბჟარ- გარდაქმნის თაობაზეც ფუძენახურში.

ს.-ნახ. \*ბჟარ- „მზერა“.

### ბღუნძ-ელ-ა

ქართ. ბღუნძ-, ბღუნძ-ელ-ა „ერთგვარი მატლი“, ბღუნძ-ვა „კერ-  
ვის სახეობა (ნაოჭებით კერვა)“, ქართლ. ბღუნძ-ელ-ა 1. „მავნე მატლი“,  
2. „ზღარბი“; \*ბღუნძ- ძირი სხვა ქართველურ დიალექტებში ვერ გამო-  
ვლინდა. რამდენადაც ამ ფუძეს პარალელები ეძებნება მონათესავე იბერი-  
ულ-კავკასიურ ენებში, ჩვენ მას საერთოქართველურიდან მომდინარედ მი-  
ვიჩნევთ.

ს.-ქართვ. \*ბღუნძ- „ერთგვარი მატლი; ზღარბი; ნაოჭებით კერვა“

იჩქ. ბჟჟჟ-ჟ (ჟებ. ბჟჟჟ-ჟ, ხილდ. ბჟიჟ-ჟჟ) „სტების ობობა“, ინგ.

ბჟიჟ-ჟო "id", ბაცბ. ბღაჟ- „ზღარბი“; ბაცბურში აბლაუტური (ი ~ ა)  
შესატყვისი გამოვლინდა. საერთონახური ენობრივი ერთობისთვის აღსად-  
გენია \*ბჟიჟ- ძირი, შღრ. ს.-ქართვ. \*ბღუნძ-. ინტერკონსონანტური გრძე-  
ლი ი ვოკალი ისტორიულად ჟი თანმიმდევრობის საკომპენსაციო ჩანს.  
ამდენად \*ბღუნძ- : \*ბჟიჟ- კანონზომიერი შეფარდებაა — ს.-ქართვ. ბღ :  
ს.-ნახ. ბჟ (§ 44), ს.-ქართვ. ძ : ს.-ნახ. ჟ (§ 30.1).

ს.-ნახ. \*ბჟიჟ- ← \*ბჟჟიჟ- „სტების ობობა, ზღარბი“.

### გაგ-

ქართ. «გაგ-», ზან. (მეგრ.) გაგ-აჩ-ი „ხერხემალი“; „ზურგი“; სვან.  
გგგ-გვ „მკერდი“; ქართულში შესაბამისი ფუძე ვერ გამოვავლინეთ. ზა-  
ნურ-სვანურში საერთო ძირად გაგ- გამოიყოფა, რომელიც შესაძლებელია  
საერთოქართველურიდან მომდინარეობდეს. საკითხი დამატებით შესწავ-  
ლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. \*გაგ- „მკერდი; ხერხემალი“

იჩქ. გაგ- (ახ. გაგგ) „მუცელი“, ინგ. გიგგ "id", ბაცბ. გაგ-, გაგ-  
აჟო „კუჭი, მუცელი“; საერთონახურში აღსადგენია \*გაგ- არქეტიპი, რო-  
მელიც უცვლელად შემოგვინახა ბაცბურში. რეკონსტრუირებული \*გაგ-  
„მუცელი“ კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკური შესატყვისი ჩანს  
ს.-ქართვ. \*გაგ- „მკერდი“ ალომორფისა.

ს.-ნახ. \*გაგ- „მუცელი“.

### გაგ-ა

ქართ. **გაგ-**, **გაგ-**ა „მკვანხე ლეღვი“, მესხ. „უმწიფარი ლეღვი“, ზ.-რატ. **გაგ-**ამ-ა „მაგარი“, ლეჩხ. **გაგ-**ამ-ირ-ებ-ა „გაჩხირვა“, შდრ. **კაკ-**რა ← **გაგ-**რა (საბა), **კაკ-**რა ← **გაგ-**რა „...მცენარის უმწიფარი ნაყოფი, რომელიც არ იჭმევა“; სვან. **გგგ-**გნ-, ი-**გგ-**გნ-ი „ქვავდება“, ად-**გგგ-**ნი „გაქვავდა“; *უმწიფარი ნაყოფი, მაგარი* ეს ის სემანტემებია, რომლებიც **გაგ-** საერთო-ქართველურ ძირს ახასიათებს [ჩუხ. 2000-2003: 88].

ს.-ქართვ. \***გაგ-** „მაგარი, უმწიფარი ნაყოფი“

იჩქ. **გიგ** „თესლი, მარცვალი“, ინგ. **გი** "id", ბაცბ. «**გიგ**»; საერთო-ნახურ არქეტიპზე წარმოდგენას გვიქმნის დაღესტნური მონაცემები, შდრ. ხუნდ. **გაგა**, ანდ. **გაგა**, კარ. **გაგა**, ლოდ. **გაგა**., ლაკ. **ქუქუ** „ხილის კურკა, წკა; მარცვალი“. ამდენად, საერთონახურში აღსადგენია \***გიგ-**პრაფორმა, რომლის კანონზომიერი შესატყვისია ს.-ქართვ. \***გაგ-**. ყველა ჯგუფის ენებში აღწერილი ფუძეები სიმბოლიკური აგებულისა უნდა იყოს; შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ი** (§ 5.4).

ს.-ნახ. \***გიგ-** „მცენარის თესლი; მარცვალი“.

### გაზ-ი

ქართ. **გაზ-**, **გაზ-**ი „მარწუხი“, ზან. (მეგრ.) **გოჟ-**ო || **გოჯ-**ო „წის-ქვილის ნაწილი“, სვან. **გეჯ** „თოხი; წისქვილის ბორბლის სატრიალებელი რკინა“; სვან. **ე** ზუსტად ასახავს საერთოქართველური ძირის **ა** განზომანებას, შდრ. ქართ. **ა** : ზან. **ო** : სვან. **ე** (**სამ-**ი : **სუმ-**ი || **შუმ-**ი ← \***შომ-**ი : **სემ-**ი, **ძაღლ-**ი : **ჯოღორ-**ი : **ჟედ(ჟ)**...). ქართ. **გაზ-**ი სპირანტიზებული ვარიანტია ისტორიული **გაძ-** ფორმისა, რაც ქართულში **ძ** || **ზ** სუბსტიტუციით აიხსნება (**ძან-**ილ-ი → || **ზან-**ილ-ი, **ძრან-**ვა → || **ზრან-**ვა); იხ. ჩუხ. 2000-2003: 81-82.

ს.-ქართვ. \***გაძ-** „თოხი; მარწუხი; რაღაც ინსტრუმენტი“

იჩქ. **გაერზ** || **გაერძ** „იარალი“, ინგ. **გერძ** || **გერცა** "id", ბაცბ.

**გერწ** „იარალი“; საერთონახურისთვის აღსადგენია \***გერძ-** არქეტიპი, საიდანაც **ძ** → **წ** გლოტალიზაციის პროცესით **გერწ** სახეობა განვითარდა ბაცბურში, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ე** (§ 5.3).

ს.-ნახ. \***გერძ-** „იარალი“.

### გაზ-ი

ქართ. **გაზ-**, **გაზ-**ებ-ი (pluralia tantum) „წვივები“, ზან. «**გოჯ-**ი“ „მუხლი“, შდრ. ძვ. ქართ. (← ზან.) **გოჯ-**ი, სვან. **განზ** ← \***გაზ** „წვივი“, „წვივის ძარღვი“; საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \***გაზ-** არქეტიპი, რომლისთვისაც *წვივის მნიშვნელობაა* ძირითადი [იხ. ჩუხ. 2000-2003: 76].

ს.-ქართვ. \***გაზ-** „წვივი; წვივის ძვალი (ძარღვი)“

იჩქ. (ჭებ.) **გაზუ** „ფეხის ნაწილი“, ინგ. **გოაზ** "id", ბაცბ. **გაზო**; ინგუ-შური **გოაზ** მიღებულია **გაზუ/ო** ტიპის არქეფორმისაგან, შდრ. ინგ. **გოამზ** : ბაცბ. **გამუზ** „მრუდე“. საერთონახურ ენაში ფუნქციონირებდა **\*გაზ-ო** არქეფორმა, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. **\*გაზ-** ძირი. ს.-ნახ. **\*გაზ-ო** „ფეხის ნაწილი“.

### გალ-/გლ-ა

ქართ. **გალ-**, და-**გალ-**ა „დაამტვრია“, **გლ-**ა „დამტვრევა“, ძვ. ქართ. მო-**გალ-**ე, მო-**გალ-**ო, ქიზიყ. ნა-**გალ-**ი „ნალეწი“, სვან. **გაჭუ** || **გაჭუ-ვლ** „ნატეხი“, **გილ-**ე „ამტვრევს“, ლი-**გლ-**ე „დამტვრევა“, ნა-**გილ** „ნამტვრევი“; ზანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. თოფ. 1942: 971; კლიმ. 1964: 63; ჩუხ. 2000-2003: 79-80]. საინტერესოა, რომ სვანურ ზმნებში ამოსავალი **ლ** შენარჩუნებულია, ხოლო სახელურ ფორმებში **ლ** → **ჭ** განხორციელდა.

ს.-ქართვ. **\*გალ-** „ტეხა, მტვრევა; ნატეხი, ნამტვრევი“.

იჩქ. **გაერ-**, **გაერ-**იგ „ნამტვრევი“, ინგ. **გარ-**, **გარ-**იგ "id", ბაცბ. **გარ-იკ**; საერთონახურისთვის აღსადგენია **გარ-** არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. **\*გალ-** არქეფორმას, შდრ. ბგერათ-შესატყვისობა ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **რ** (§ 13.3). ფორმალურ ერთიანობას ეხმიანება შინაარსობრივი იდენტურობაც.

ს.-ნახ. **\*გარ-** „ნამტვრევი“.

### გალ-ო

ქართ. **გალ-**ო „ძვალი კიდურისა ან ნეკნისა“, „ფეხის ნაწილი თითებიდან წვივამდე“, სვან. **გულ-**, **გულ-**აჲ „მუხლი“. ზანური შესატყვისი არ ჩანს. რაც შეეხება სვანურ ეკვივალენტს, აქ ადვილი დასანახია **გალ-ო** → **\*გალ-ჭ** → **გულ** პროცესი. ა-ს ლაბიალიზაციისათვის (ა → უ) სვანურში იხ. მაჭ. 1965: 365-68.

ს.-ქართვ. **\*გალ-ო** „მუხლი; ფეხის ნაწილი თითებიდან წვივამდე“.

იჩქ. **გულა** „იდაყვი, მუხლი“, ინგ. **გულა** "id", ბაცბ. **გოვ-გ** „მუხლი“, შდრ. ბაცბ. **ოლოკ** „იდაყვი“ ← **ლოკო** ← **\*გოლო**. საერთონახური მდგომარეობისთვის აღსადგენია **ო** განზოგადების **\*გოლო-ო** არქეტიპი. ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** შესატყვისობისათვის იხ. აქვე, § 5.2.

ს.-ნახ. **\*გოლო-ო** „იდაყვი, მუხლი“.

### გამ-ირ-ი

ქართ. **გამ-ირ-**, მთიულ. **გამ-ირ-ი**, გურ. **გამ-ირ-**ა „ბოძებზე გადებული ხე, დირე“, სვან. **-გამ** || **-გემ** || **-გამ**, მე-**გამ** || მე-**გემ** || მე-**გამ** „ხე; მორი“; მეგრულ-ჭანური ეკვივალენტი ვერ გამოვავლინეთ. სვანურ ალო-მორფებზე შეიძლებოდა გვეფიქრა ქართულ **მერქან-**თან დაკავშირებითაც,

მაგრამ უფრო მისაღებად გვეჩვენება სვანურში მე-ს პრეფიქსად კვალიფიკაცია და გამ- ძირის საერთოქართველურ არქეტიპად დასახვა.

ს.-ქართვ. \*გამ- „ხე; ღირე/მორი“

იჩქ. გა „ხის ტოტი“, ინგ. გვ "id", ბაცბ. გალ „ხე (არყის)“; ბაცბურში შენარჩუნებულია არქაული ვითარება, რომელიც საერთონახურ ენობრივ მდგომარეობას ასახავს. ვაინახურ დიალექტებში ბოლოკიდური ლ სონანტი მოკვეცილია, რაც მტკიცდება ვაინახურიდან ნასესხობის სახით ქართულ დიალექტებში: ხევს., მოხ. (← ვაინახ.) გალ-ი „მომცრო, ტოტებგაცლილი ხე“. საყურადღებოა ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ლ (იხ. აქვე, § 15.2).

ს.-ნახ. \*გალ- „ხე; ხის ტოტი“.

### გან-ი

ქართ. გან-, გან-ი, სი-გან-ე, გან-იერ-ი, გან- „ზმნისწინი“, ზან. გო- ←\*გონ- „გან- ზმნისწინი“, სვან. გვნ || გენ, ლგ-გვნ || ლგ-გენ || ლგ-გან „განიერი“; ქართველურ ლექსემათა გენეტიკური ერთიანობა ეჭვს არ იწვევს; ამოსავალი ჩანს სიგანის, განის სემა. ზანური გონ- არქეფორმა სრული სახით შემონახულია ლაზურ ტოპონიმ გონ-იო-ში, რაც განიერ ადგილს აღნიშნავდა, შდრ. მეგრ. გონ-იორ-ე || გონ-იო : ქართ. გან-იერ-ი.

ს.-ქართვ. \*გან- „განი, განიერი“

იჩქ. გენ-ა „შორს, შორი“, გენ-ა-დალან „მოშორება, განზე გაწევა“, გენ-არ-ა „შორეული“, ინგ. გვან-ვ "id", გვან-ა-დალან "id", გვან-არ-ვ "id", ბაცბ. „გან-ი“; ბაცბურში სათანადო ფუძე არ იძებნება; საერთონახურისთვის აღსადგენია \*გან- არქეტიპი, რომელსაც სიშორის გაგება ახასიათებდა.

ს.-ნახ. \*გან- „შორი, შორს“.

### გაწარ-ი

ქართ. გაწ-, გაწ-არ-ი „გრძლად ნაგები მახე“ (საბა)“, სვან. გიჭ- || გიჭ || გვჭ-, ი-გიჭ-ე (ად-გიჭ) „აკავებს, იჭერს“, გვჭ-ა „გაძლება“, ლე-გიჭ „დასაჭერი“, მე-გიჭ „დამჭერი“; ქართულში ფიქსირებული მახე სემანტემა ეტიმოლოგიით საჭერი, დამჭერი შინაარსიდან მომდინარეობს. აქ ზმნური სახეობები გაწ- ფორმისა არ შემოგვრჩა.

ს.-ქართვ. \*გაწ- „დამჭერი, დამკავებელი“

იჩქ. ჭეგა „საკეტი“, ინგ. ჭეგ "id", ბაცბ. ჭეგ „ურდული“. საერთონახურისთვის აღდგება \*ჭეგ- არქეტიპი, რომელიც შებრუნებული სახეობაა ს.-ქართვ. \*გაწ- ძირისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. წ : ს.-ნახ. ჭ, იხ. აქვე § 30.3.

მნიშვნელობის ევოლუციის თვალსაზრისით, ნახურ ენათა საკეტ- /ურდულს ქართველურ მონაცემთან აერთიანებს დამჭერ-ჩამკეტის სემა.

ს.-ნახ. \*ჭეგ- „საკეტი, ურდული“.

### გვამ-ი

ქართ. გვამ-, გვამ-ი „გამობერილი შუატანი (თიხის ჭურჭლისა)“, გამო-გვამ-ვა „გამობერვა“ (ბ. წერეთელი), ზან. «გობ-რ-ანჯ-<sup>7</sup> „ლიპი“, შდრ. სვან. გობ-რ-ანჯ ← ზან., სვან. გუამ || გუამ „გულ-მუცელი“; ქართულ-სვანურ მონაცემებს აერთიანებთ *გამობერილის/მუცლის* გაგება. საერთოქართველურისთვის აღსადგენია \*გუამ- არქეტიპი.

ს.-ქართვ. \*გუამ- „გამობერილი შუატანი, მუცელი“

იჩქ. გუომ-ა<sup>5</sup> || გომ-ა „მრუდე, მოღრეცილი“, გამ-დან<sup>6</sup> „გამრუდება“, ინგ. გომ-ნ „მრუდე“, გამ-დე „გამრუდება“, ბაცბ. გამ-, გამ-ონ<sup>7</sup> || გამ-უ<sup>8</sup> „მრუდე, უსწორმასწორო“, გამ-ნა „ოღრო-ჩოღრო“, გამ-დარ „გამრუდება, მოხრა, მოკაცვა“; საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება \*გამ- ძირი *სიმრუდის/უსწორმასწორობის* მნიშვნელობით. ს.-ნახ. \*გამ- დელაბიალიზებული შესატყვისია ს.-ქართვ. \*გუამ- არქეტიპისა.

ს.-ნახ. \*გამ-ონ- „მრუდე“, \*გამ- „გამრუდება, მოღრეცა“.

### გველ-ი

ქართ. გუელ-, გველ-ი, გველ-თევზა/ი, ზან. გვერ-ი || ნგვერ-ი || მგვერ-ი ← \*გვარ-ი "id"; სვანურში შესაბამისი ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი [იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 143].

ს.-ქართვ. \*გუელ- „გველი“

იჩქ. გორ-ა || გუორ-ა (მრ. რ. გორ-ი<sup>2</sup>) „ბუზანკალი, მაწუხელა“, ინგ. გუორ "id", ბაცბ. «გორ»; ბაცბურში მოსალოდნელი გორ ვარიანტი დაკარგული ჩანს. ს.-ნახ. ო მიღებული უნდა იყოს უე თანმიმდევრობის შერწყმით — გორ ← \*გუერ.

სემანტიკური მიმართება ს.-ქართვ. გველი ~ ს.-ნახ. მაწუხელა (მწერი) ახსნადია, შდრ.: ქართ. მუმლი-ი „მწერი/ქინქლა“; სვან. მუბილ „ქვეწარმავალი“, ქართ. ბებელა → ბეჟ. ბებელი „გველი“. მსგავს სიტუაციებში ამოსავალია *მატლის* სემა.

ს.-ნახ. \*გუერ- „ბუზანკალი, მაწუხელა“.

### გვეც-ი

ქართ. გუეც-, გვეც-ი, ძვ. ქართ. გუეც-ი „მზაკვარი“; „ვერაგი“; ზან. გვაც-ა → || ქვაც-ა „უშნო“, შდრ. ლეჩხ. (← ზან.) გვაც-ა „ბატარა, დაბალი“; ქართულ გუეც- ძირს შესაძლებელია უკავშირდებოდეს ზანური გვაც-. საერთოქართველური ენობრივი ერთობის პერიოდისათვის აღდგება \*გუეც- არქეტიპი.

ს.-ქართვ. \*გუეც- „მზაკვარი“

იჩქ. გოჟ-ა || გაჟ-ა || გოჟ-ა „მარჯვე, გერგილიანი, ჭკვიანი“, ინგ. გოჟ-ნ || გოჟ-ნ "id", ბაცბ. «გაფც-ი»; ბაცბური ეკვივალენტი, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, აქაც გვაკლია. საერთონახურში აღ-

სადგენია \***გუა**-ი არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***გუეც**- პრაფორმა. აღწერილ ფუძეებს ახასიათებთ ფორმალური იგივეობა (შდრ. ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა, § 6.2) და ბუნებრივი სემანტიკური კორელაცია: *მზაკვარი ~ ჭკვიანი*.

ს.-ნახ. \***გუა**-ი „ჭკვიანი, გერგილიანი“.

### გირც-ი

ქართ. **გირც**-, **გირც**-ი „ხინკლის სახეობა“, „ბელმენი“, ინგლ. „ხინკალი ჭინჭრისა, ცხვრის ნაწლავისა“, ზან. (მეგრ.) **გირჩ**-ი „მომრგვალო ნაყოფი წიწვოვანი მცენარეებისა“, შდრ. ქართ. **გირჩ**-ა (← მეგრ. **გირჩ**-); ამ ფუძის სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. ქართველური ფუძეებისათვის სემანტიკურად ამოსავალი ჩანს *სიმრგვალის* სემა.

ს.-ქართვ. \***გირც**- „მრგვალი რამ; ხინკალი/ბელმენი“

იჩქ. **ჭირზ**-ა (ხილდ. **ჭირძ**-, ჭებ. **ჭირზ**-უ) „ბელმენის სახეობა“, ინგ. **ჭირძ**- || **ჭირც**- "id", ბაცბ. **ჭირც**-; საერთონახური ფუძე-ენისათვის რეკონსტრუირდება \***ჭირც**-უ არქეტიპი, რომლის შესატყვისი ბაცბურში დაკარგულია. საერთონახურში დასახელებული ფუძის რეალურად არსებობაზე მიუთითებენ დაღესტნური ფორმებიც, სანიმუშოდ შდრ. დარგ. **ჭურც** „ქუფთის ცომი“.

ს.-ნახ. \***ჭირც**-უ „ბელმენის სახეობა“.

### გმ-ობ-ა

ქართ. **გმ**-, **გმ**-ობს, **მ-გმ**-ობ-ელ-ი, **სა-გმ**-ობ-ი, სვან. **გუამ**-, ან-**გუამ**-ე || ან-**გუამ**-ინ-ე || ან-**გუამ**-ინ-ე „გმობს“; ზანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი [იხ. ჩუხ. 2000-2003: 86-87]. საერთოაქართველურისთვის რეკონსტრუირდება \***გუამ**- არქეტიპი, რომელიც ქართულში რედუცირდა — **გუამ**- → **გმ**-.

ს.-ქართვ. \***გუამ**- „გმობა“

იჩქ. **გამ**-, **გამ**-უო „სიძულვილი“, ინგ. **გამ**-, **გამ**-უო "id", ბაცბ. **გამ**-; ბაცბური შესატყვისი დაიკარგა. იჩქერიულში ფიქსირებული ძირეული ხმოვნის სიგრძე შესაძლებელია **გ**-ს ლაბიალიზაციის მოშლით აიხსნას — საკომპენსაციო სიგრძე. სემანტიკურ-სტრუქტურული იდენტურობა ამ ძირთა საერთოობაზე მეტყველებს.

ს.-ნახ. \***გამ**- „საძულვილი“.

### გ-ნ-ებ-ა

ქართ. **გ**- „გაგება“, **გა-ი-გ**-ო, **გა-მ-გ**-ე, **შე-ვ-ი-გ**-ენ, **გ-ნ-ებ-ა**, **სა-გ-ან-ი**, ზან. (მეგრ.) **გ**-აფ-ა „გაგება“, **გე-გ**-უ „გაიგო“, **ქ-ნ-გ-ენ**-უ „შეიგნო“, **ვა-გ-ენ**-უ „არ გაეგება“, **ლაზ. გ**-, **ო-გ**-უ „გაგება“, **ო-გ-ნ**-უ „მიხვედრა“, **ო-გ-ნ-აფ**-უ „გაგება“, **ნ-ა-გ-ნ**-უ „მიხვდა“, სვან. **მ-გ-ენ**-, **მა-მ-გ-ენ**-ა „ვთვლი, ვგონებ“. საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღდგება \***გ**-, \***გ-ან**- არქეტიპები [იხ. ჩიქ. 1938: 262-263; კლიმ. 1964: 63; ფენ.-სარჯ. 2000: 135].

ს.-ქართვ. \*გ-, \*გ-ან „ხედვა, გაგება, მიხვედრა“  
იჩქ. გა-ან<sup>5</sup> „ხედვა, ნახვა“, ინგ. გ-ან || გ-არ "id", ბაცბ. გ-უ-არ „ყუ-  
რება, ხედვა“, გ-უ-დახარ „გამჟღავნება“, შდრ. დ-ა-გ-არ „დანახვა“, დ-ა-გ-  
დალარ „მოჩვენება, დანახვა“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის  
რეკონსტრუირდება \*გ- ცალმორფემიანი ზმნა. საყურადღებო ჩანს ამ ძი-  
რის კლასის ნიშნით გაფორმება ბაცბურში, რაც უცხოა ვაინახური ენე-  
ბისთვის.

ს.-ნახ. \*გ- „ხედვა, დანახვა“.

### გობ-ი

ქართ. გობ-, გობ-ი „ამოთლილი ხის ჭურჭელი“, ზან. (მეგრ.) ქოფე  
←\*გობ-ე „ბუკი, სკა“, შდრ. ლეჩხ. (← მეგრ.) ქოფე „ხვიმირა, ალატი“,  
სვან. გუბე „გობი“; ფუძე-ენისთვის რეკონსტრუირდება \*გობ- არქეტიპი.

ს.-ქართვ. \*გობ- „თეფში, გობი“

იჩქ. გობა „ქილა“, ინგ. გობზ "id", ბაცბ. გობა<sup>7</sup>; ბაცბური სახეობა  
აქაც დაკარგული ჩანს.

გასარკვევია ხმოვანთშეფარდება ს.-ქართვ. ო : ს.-ნახ. ი, შესაძლე-  
ბელია საერთონახურში გ-ს დელაბიალიზაცია — \*გუბ-ა → \*გობ-ა(?).

ს.-ნახ. \*გობ-ა ←\*გუბ-ა „ქილა“.

### გოგ-მან-ი

ქართ. გოგ-, გოგ-მან-ი „სანდომი ჩქარი როკვა“ (საბა), გოგ-ვა  
„ფრინველთ კეთილი სვლა“ (საბა), გოგ-ი „თითის ნაწევარი“ (საბა), ზან.  
(მეგრ.) გვანგ-ვალ-ი „გოგმანი“, მი-გვანგ-ვალ-უ(ნ) „მიგოგმანებს“; მეგრულ-  
ში სახეზეა დამახასიათებელი ო → ვა ფონეტიკური პროცესი. შესაძლე-  
ბელია საერთოქართველურისათვის აღდგეს \*გოგ- ძირი ფეხით ერთგვარი  
მოძრაობის ამოსავალი მნიშვნელობით.

ს.-ქართვ. \*გოგ- „ფეხით ერთგვარი მოძრაობა“

იჩქ. ქუოგ „ფეხი; ნაბიჯი; გორგალი“, ინგ. ქოგ "id", ბაცბ. ქოკ  
„ფეხი“; საერთონახური ფუძე-ენისთვის აღვადგენთ \*ქოგ- არქეტიპს, რო-  
მელიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს ს.-ქართვ. \*გოგ- ძირს. ნახური  
ენებისგან განსხვავებით ქართველურში აკრძალულია CVC ტიპის ფუძე-  
ებში ქVკ, გVკ, ქVგ... თანმიმდევრობები, ამიტომაც აქ ასიმილირებული  
გოგ- სახეობა დამკვიდრდა.

ს.-ნახ. \*ქოგ- „ფეხი; გორგალი“.

### გოგ-ორ-ა

ქართ. გოგ-ორ- || გორგ-, გოგ-ორ-ა „ერქვანთ თვალი საბრუნავი“  
(საბა), გორგ-ოლ-ა || გორგ-ოლ-აჰ-ი „პატარა ბორბალი“, ძვ. ქართ.  
მ-გრგუ-ალ-ი, გუირგუ-ინ-ი, გორგ-ალ-ი, ზან. გორგ-ოლ-ია „პატარა  
ბორბალი; რგოლი“, გურგ-ინ-ი „გვირგვინი“, სვან. გოგუერ (მრ. რ. გო-



გორ-წლ) „ურმის თვალი“, გურგუშ-ინ- „გვირგვინი“, გორგ-წედ → || გირგ-წდ „რგოლი, რკალი“; საერთოქართველურ არქეტიპად რეკონსტრუირდება გოგ- || გორგ- ძირი.

ს.-ქართვ. \*გოგ- || გორგ- „რგოლი, რკალი; ბორბალი, მრგვალი“

იჩქ. გუორგ-ა<sup>5</sup> || გუორგ-ან-იგ „მრგვალი“, ინგ. გაერგ-ა ← \*გორგ-ა<sup>5</sup> "id", ბაცბ. გოგ-რ „რგოლი, რკალი“, გოგ-რ-ი<sup>5</sup> „მრგვალი“; საერთონახური \*გოგ- ძირი კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*გოგ- || \*გორგ- დუბლეტებს. ამგვარ ფუძეთა ნათესაობაზე ქართულსა და იჩქერიულში მსგელობდა თ. გონიაშვილი [გონ. 1940: 570-571].

ს.-ნახ. \*გოგ- „რგოლი, რკალი; მრგვალი“.

### გოდნ-ა

ქართ. გოდნ-, ინგლ. გოდნ-ა-დ „უკანა მხარე; უკანა ტანი“, სვან. გუიღმ „ირგვლივ; არემარე, მიდამო“; ზანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. საერთოქართველურისთვის აღსადგენია \*გოდ-ან- არქეტიპი, საიდანაც განვითარდა სვანური გუიღმ. ნ → მ ლაბიალიზაციის ფონეტიკური პროცესისათვის სვანურში იხ. ჩუხ. 2000-2003: 21.

ს.-ქართვ. \*გოდ-ან- „უკანა მხარე, უკანა ტანი; მიდამო“

იჩქ. გოთ-ა || გუოთ-ა „ანუსი“, ინგ. გოთ-ა, ბაცბ. ოგოთ-ა<sup>7</sup>; ბაცბური შესატყვისი დაკარგული ჩანს. საერთონახური ფუძეეწური მდგომარეობისთვის აღსადგენია \*გოდ-ა მჟღერვარიანტიანი არქეფორმა. დ → თ ნახურ ენებში განხორციელებული სპორადული ფონეტიკური პროცესია, შდრ. ხუნდ. გუადარ „შიგნიდან ცარიელი (ხე)“, „ხვრელი“, „ორმო“.

ს.-ნახ. \*გოდ-ა „ანუსი“.

### გოდ-ორ-ი

ქართ. გოდ-, გოდ-ორ-ი „წკებლის ჭურჭელი“ (საბა)“, იმერ., გურ., აჭარ. გოდ-ორ-ა/ე „მდინარეში ჩადგმული ძარი; თევზის საჭერი გოდორი“, ფშ. გუდ-ულ-ა ← \*გოდ-ულ-ა „მოწნული, ერთმანეთში ჩადგმული ორი გოდორი თევზის დასაჭერად“, ზან. (მეგრ.) გვდ-ელ-ი || გიდ-ელ-ი „ყურძნის საკრეფი თავ-ფართო და ბოლო ვიწრო კალათი“, შდრ. ქართ. (← მეგრ.) გიდ-ელ-ი/ა „ყურძნის საკრეფი გოდორი“; სხვა ქართველურ დიალექტებში გოდ- ძირის შესაბამისი ფუძეები ვერ გამოვავლინეთ. ო → გ → || ი საკუთრივ ზანური მოვლენაა [როგ. 1962].

ს.-ქართვ. \*გოდ- „გოდორი/გიდელი“

იჩქ. გირდ-ა „თორმეტკილოიანი საწყაო ჭურჭელი“, ინგ. გერდ "id", ბაცბ. ოგერდ-<sup>7</sup>; საერთონახურ არქეტიპად აღსადგენია \*გერდ- ფუძე, რომელიც მიღებული ჩანს \*გუერდ- ლაბიალიზებული წინარეფორმისაგან. სათანადო ბაცბური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი.

ს.-ნახ. \*გერდ- „თორმეტკილოიანი საწყაო ჭურჭელი“.

### გოლ-იტ-ა

ქართ. გოლ-, რაჭ. გოლ-ავ-ი „მოზერის ასვლა ავარდნილ ძროხა-ზე“, გოლ-იტ-ა „პატარა ბუღა, მოზვერი, კურო“; სხვა ქართველურ დიალექტებში შესაბამისი მასალა ვერ გამოვავლინეთ. ცხადია, მოცემულ ალომორფებში ძირად \*გოლ- გამოიყოფა, -იტ-ა კინობითობის აფიქსია. აქვე ხომ არ შემოღის ქართ. გომ-ი/გომ-ურ-ი : სვან. გჷალ?

ს.-ქართვ. \*გოლ- „კურო, მოზვერი“, „კუროს ასვლა“.

იჩქ. გუმ-ამ (ქისტ. გომ-უმ, ჭებ. გომ-უმ) „კამეჩი“ ინგ. გომ-ამ ←\*გომ-უმ "id", ბაცბ. Ⴀგომ-უმ; ბაცბური შესატყვისი დაკარგული ჩანს. საერთონახურში ძირად გამოსაყოფია \*გომ-, რომელსაც -უმ საერთონახური სუფიქსი ემატება. ამრიგად, გომ- ზმნური წარმომავლობისაა და ქართულისმაგვარი შინაარსი უნდა ჰქონოდა. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. მ კანონზომიერია (იხ. § 13.5).

ს.-ნახ. \*გომ-უმ „კამეჩი“.

### გორგ-ალ-ი

ქართ. გაგ-ა-, ეს ძირი სამწერლო ქართულში დაიკარგა. აღდგენილი გაგ-ა ფორმის კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია მეგრულ გორგ-ალ-ი „ხერხემალი“ ლექსემაში შემორჩენილი გორგ- ძირი, შდრ. ქართ. გაგ- : ზან. გორგ- (ბგერათშესატყვისობა ა : ო, რ ფონეტიკური დანართია). ქართულში გორგ-ალ-ი ზანიზმი უნდა იყოს.

ს.-ქართვ. \*გაგ-ა „ხერხემალი“

იჩქ. (ახ.) გოჷგ „მუხლი“, ინგ. გუო || გოჷგ "id", ბაცბ. გაჷგჷ „მუხლი“; ბაცბურის ჩვენება უძველესია და საერთონახური \*გაგ-უ არქეტების პირდაპირი გაგრძელება ჩანს. ვაინახურ ენებში პროცესი უფრო შორსაა წასული, შდრ. გ → Ø ინგუშურში. ხერხემალი ~ მუხლი სემანტიკური შეფარდება კანონზომიერებას ექვემდებარება. საერთოქართველური სემანტემა ხერხემლისა უფრო ახლოა ნახურ-ქართველურ ძირთა ეტიმონურ მნიშვნელობასთან. ამაში დიდი როლი ენათა გუგუ „ზურგი“ ლექსემა გვარწმუნებს.

ს.-ნახ. \*გაგ-უ „მუხლი“, შდრ. ს.-ნახ. \*გაგ-ა „მუცელი“.

### გორ-ვ-ა

ქართ. გორ-, გორ-ავ-ს, სა-გორ-ავ-ი, ა-გორ-ებ-ს, მ-გორ-ავ-ი, ზან. (ლაზ.) გორ- || ნგორ-, ვ-ო-ნგორ-აფ „ვაგორებ“, ვ-ო-ნგორ-ი „გავაგორე“, სვან. გურ-, გურ-ან „გორება“, ლი-გურ-ან-ვლ „გორაობა“, ი-გურ-ან-ვლ „გორაობს“; ქართულში გორ- ძირი ცნობილია ძველი ქართული სამწერლო ენიდან მოყოლებული, რასაც შესატყვისები დაეძებნა ქართველურ დიალექტებში [იხ. ჩიქ. 1938: 263-264; ფენ.-სარჯ. 2000: 148].

ს.-ქართვ. \*გორ-ან- „გორება, გორაობა“

იჩქ. გურმა „ბორბალი (გუთნის)“, ინგ. გურამ || გურგმ "id", ბაცბ. Ⴀგურმა; ბაცბური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი. საერთონახურ-

რისთვის რეკონსტრუირდება \*გურ-ამ- არქეტიპი ბორბლის მნიშვნელობით. სემანტიკური ოპოზიცია გორვა ~ ბორბალი ბუნებრივია და შეიძლება დადასტურდეს ერთი ენის ფარგლებშიც, შდრ. იგივე ძირი კარატა-ულში: გური „ბორბალი“ ~ გური-ლ „გორვა“.

ს.-ნახ. \*გურ-ამ- „ბორბალი (გუთნის)“.

### გორ-ო

ქართ. გორ-, გორ-ა || გორ-ო „ერთგვარი ჭურჭელი (თიხის)“, ზან. (მეგრ.) ქვინჯ-ე || ქვიჯ-ე „როდინი“, შდრ. ქართ. (← ზან.) ქვიჯა "id", სვან. გურ-ნა || გურ-ანა „ქვასანაყი“; საინტერესოა ამ საერთოქართველური სიტყვის სემანტიკური მხარე: ქართულსა და ზანურში ის როდინჭურჭლის მნიშვნელობით ხასიათდება, ხოლო სვანურში, პირიქით, ქვასანაყს აღნიშნავს. ასეთი სხვაობა აიხსნება \*გორ- არქეფორმის პოლისემიულობით ისევე, როგორც ქართულში ლექსემა ფილთაქვა: 1. როდინი, 2. ქვასანაყი (ქეგლ-ი).

ს.-ქართვ. \*გორ- „ფილთაქვა“

იჩქ. გან-იგ „კრამიტი“, ინგ. გარ-გ "id", ბაცბ. [გარ-იკ]; ბაცბურ სახეობაზე ვმსჯელობთ ჭებერლოური ალომორფის მიხედვით — ჭებ. გან-იგ. ხმოვნის სიგრძე იჩქერიულში უნდა იყოს კვალი გჷ ლაბიალიზებული კომპლექსის სუბერაციისა ლაბიალური სეგმენტის დაკარგვით. ამდენად, ძირეული ნ ვოკალის სიგრძე საკომპენსაციაა, რასაც ამოწმებს დადესტნური ინფორმაცია: ლეზგ. ქჷარ, თაბ. გჷარ, აღ. გჷარ „დიდი ღოჭი, კოკა“. ს.-ქართვ. \*გორ- : წ.-ნახ. \*გჷარ- → ს.-ნახ. \*გან- ბუნებრივ შეფარდებად გვესახება.

ს.-ნახ. \*გან- ← \*გჷარ- „კრამიტი“.

### გრდ-ემ-ლ-ი

ქართ. ქჷრდ-ემ-ლ-, ქვრდ-ემ-ლ-ი || ქვირდ-ემ-ლ-ი || გრდ-ემ-ლ-ი, ზან. (მეგრ.) ქულ-ამ-ურ-ი „გრდემლი“, სვან. ქურ-მ-ილ || ქურ-ილ „გრდემლი“; ზანურში ინლაუტური ლ საერთოქართველურ დ-ს ასახავს — დ → ლ. ამდენად, ძველი ზანური ეკვივალენტი ქულ-ამ-ურ- უნდა ყოფილიყო, შდრ. სვან. ქურ-მ-ილ ← \*ქურდ-იმ-ლ- [იხ. ჩუხ. 2000-2003: 256]. საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \*ქურდ- ძირი; -ემ ზმნური აფიქსია (თემის ნიშანი), ხოლო -ალ სახელის მაწარმოებელი ფორმანტი.

ს.-ქართვ. \*ქურდ-ემ-ალ- „გრდემლი“

იჩქ. ქურქ „ერთგვარი დიდი ღუმელი“, ინგ. ქურქ "id", ბაცბ. [ქურქ-]; ნახურ დიალექტებში დამკვიდრებული ფუძეები ასიმილირებული სახეობებია \*ქურთ- ← \*ქურდ- წინარეფორმებისა, რასაც ქართველური მონაცემების გარდა დადესტნურიც ადასტურებს, შდრ. ხუნძ. ქჷარტა „ჩაქუჩი“, დიდ. ქჷედ, ჰინ. ქოდ-ინ „მჭედლის დიდი ჩაქუჩი; კვერი“... ასე

რომ, საერთონახურ არქეტიპად აღსადგენია \*ქურდ → || \*ქურთ- ალო-  
მორფები (დუბლეტური სახეობები).

ს.-ნახ. \*ქურთ- ← \*ქურდ- „ერთგვარი დიდი ლუმელი“.

### გრ-ობ-ა

ქართ. გრ-, მა-გრ-ობ-ალ-ი „კვერცხის მჩეკელი“ (საბა), გრ-ობ-ა  
„კვერცხს ათბობდეს საჩეკლად“ (საბა), ზან. გვაჯ-, მეგრ. ო-გვაჯ-ე „ქათ-  
მის ბუდე კვერცხის დასადებად“, სვან. ლი-ნგრ-ე „კვერცხის დადება“,  
ლგ-გრ-ე „კვერცხი“, გგრ-ელ || გგრ-ილ || გგრ-ი || გგრ-ე „კვერცხი“,  
ლან-გრ-ა „ბუდე, საკვერცხე“; ქართულ-სვანურ ფუძეთა ნათესაობა ცნო-  
ბილია [კლიმ. 1964: 64; მაჭ. 1965: 61], მათვე უკავშირდება მეგრული  
გვაჯ- (ო-გვაჯ-ე) ძირი. ეს უკანასკნელი საცნაურს ხდის საერთოქართვე-  
ლური არქეტიპის განმოვანებას — \*გარ-, ე. ი. ო-გვაჯ-ე ← \*ო-გოჯ-ე.  
წარმომავლობით მეგრული ო-გვაჯ-ე უდრის საკვერცხეს, რაც ისტორიუ-  
ლად «გოჯ-ი» „კვერცხი“ ლექსემის არსებობას გულისხმობს, ფორმალური  
თვალსაზრისით შდრ. სვან. გგრ-ი ← \*გარ-ი „კვერცხი“.

ს.-ქართვ. \*გარ- „კვერცხი; კვერცხის დება“

იჩქ. «გან», ინგ. «გან», ბაცბ. გაგან<sup>5</sup> „კვერცხი“; ვაინახურ დიალექ-  
ტებში საძიებელი გან ძირი დაკარგული ჩანს. თუმცა, საერთონახური  
\*გან- რედუბლიცირებული ფორმით — \*გან-გან → გაგან<sup>5</sup> — ბაცბურმა  
შემოგვიჩინა. ს.-ქართვ. \*გარ- : ს.-ნახ. \*გან- ბუნებრივი მიმართება გვეჩინა,  
შდრ. ბგერათმესატყვისობა ს.-ქართვ. რ : ს.-ნახ. ნ (ინ. აქვე, § 14.3).

ს.-ნახ. \*გან- „კვერცხი“.

### გრძილ-ი

ქართ. გრძ-ილ-, გრძ-ილ-ი „ღრძილი“, ზან. (ლაზ.) ჯირგ-ილ-ი ←  
ჯირგ-ილ-ი, მეგრ. ჯირგ-ილ-ი „კბილი (ძირა)“; სვანური შესატყვისი გამო-  
სავლენია. ზანური ჯირგ-ილ-ი ქართულისთვის ძრგ-ილ- სახეობას გვავა-  
რაუდებინებს. ცხადია, გრძ-/ძრგ- სუბსტიტუცია საერთოქართველურია,  
რისი გაგრძელებაც ისტორიულად ფიქსირებულ ქართველურ დიალექტებ-  
ში იჩენს თავს.

ს.-ქართვ. \*გირძ-ილ-/\*ძირგ-ილ- „კბილი, ღრძილი“

იჩქ. ძჰოქ (ახ. ძოქ || ძუოქ) „ნისკარტი, ეშვი“, ინგ. ძჰოქ "id",  
ბაცბ. ზოქ „ნისკარტი“. ნახური ფუძეები სახეცვლილია, შდრ. დალ. ენ.  
გოჟო "id". ასე რომ, საერთონახურისთვის აღსადგენია \*ძეგჟ-, რომლის  
ლაბიალური სეგმენტის ფუძეში გადასმით მივიღეთ ჯერ \*ძუეგ-, ხოლო  
შემდგომ — \*ძოგ-.

ს.-ნახ. \*ძეგჟ-არ- „ეშვი, ნისკარტი“.

### გრწყ-ილ-ი

ქართ. გრწყ-ილ-ი „რწყილი“, ხევს. გირწყ-ილ-ი "id", თანამედროვე რწყ-ილ-ი მიღებულია ძვ. ქართ. გრწყ-ილ-ი ფორმისაგან ანლაუტური გ-ს ჩავარდნით; ზან. (მეგრ.) წყირ-ი, ლაზ. მწყირ-ი ← \*გწყ-ირ-ი „რწყილი“, სვან. ზისყ ← \*გიწყ „რწყილი“ [იხ. ჭარ. 1912: 25; ჩიქ. 1938: 116; კლიმ. 1964: 65].

ს.-ქართვ. \*გირწყ- „რწყილი“

იჩ. გირძ → || გირზ „მუნი, მღერი“, ინგ. გირძ → || გირცა "id", ბაცბ. «გირწ». ბაცბური სახეობა არაანლაუტში ნახურ ენებს შორის დადასტურებულ ბგერათშესატყვისობათა ფორმულის საფუძველზე აღდგება — ბაცბ. წ : ვაინახ. ძ → || ზ. ვფიქრობთ, დასაშვებია სემანტიკური შეფარდება ს.-ქართვ. რწყილი ~ ს.-ნახ. მუნი. წ → წყ საკუთრივ ქართველური პროცესი ჩანს (არნ. ჩიქობავა).

ს.-ნახ. \*გირწ- „მუნი, მღერი“.

### გუბ-ე

ქართ. გუბ-, გუბ-ე, და-გუბ-ებ-ა, ა-გუბ-ებ-ს, ზან. ლაზ.) გუბ-ი „გუბე, წყარო“, შდრ. მონ. გუბ-ი „ჩაგუბებული ადგილი“. სვანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. \*გუბ- „დაგუბებული, გუბე; დაგუბება“

იჩქ. გუ „ბორცვი“, ინგ. გუტუ "id", ბაცბ. «გუგ»; ბაცბურში მოსალოდნელი გუგ არქაული ფორმა არ ჩანს.

ს.-ქართვ. ბ : ს.-ნახ. უ ფონეტიკური შესატყვისობა კანონზომიერია, იხ. § 23.3. მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისით გადამწყვეტია დაგუბების სემა, რომელიც ერთნაირად ახსნის როგორც გუბეს, ისე ბორცვს — დაგუბების შედეგს.

ს.-ნახ. \*გუტუ- „ბორცვი“.

### გუგ-ა

ქართ. გუგ-, გუგ-ა, ძვ. ქართ. გუგ-ა-ა, ზან. (მეგრ.) გუნგ-ა ← გუგ-ა „ნაგულა“, სიმინდის გუნგ-ა „სიმინდის ნაგულა“, სვან. გუიგ-უ || გუგ-უ „გული (კვერცხის...)“; ქართველურ ლექსებში აერთიანებთ რაღაც საგნის გულის სემა : თვალის გუგა, სიმინდის გული (მეგრ.), კვერცხის გული (სვან.) საყურადღებოა ა-ს ლაბიალიზაციის შემთხვევა სვანურში (რედუქციის გზით): ა → უ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 88; ფენ.სარჯ. 2000: 153].

ს.-ქართვ. \*გუგ-ა „გული, გუგა (რაღაც საგნისა)“

იჩქ. გი (ახ. გიგ) „მარცვალი; გული“, ინგ. გიგ || გი "id", ბაცბ. გაგ „ყურძნის მარცვალი/კაკალი; მტევანი“; საერთონახურში აღსადგენია \*გიგ- არქეტიპი, რომელიც დელაბიალიზაციის გზით ჩანს მიღებული \*გუიგ- წინარე ფორმისაგან, შდრ. ლაკ. ქუქუ ← \*გუგუ „მარცვალი“.

ვანახურ დიალექტებში, გარდა ახიურისა, განხორციელდა **გ** → **ღ** არაან-  
ლაუტური პროცესი. ბაცბურში შეინიშნება **ი** ~ **ა** აბლაუტის კვალი.

ს.-ნახ. \***გიგ**- „მარცვალი, გული, წკა“.

### გუგ-ულ-ი

ქართ. **გუგ**-, **გუგ**-ულ-ი (ფრინ.) (საბა), ზან. **გუგ**-, **გუგ**-ულ-ი „გუ-  
გული“, სვან. **გიგ**-ჟ → || **გეგ**-ო → || **განგ**-ო „გუგული“; ძირად \***გუგ**-  
გამოიყოფა, რასაც კარგად აჩვენებს სვანური ალომორფები. სვანურის-  
თვის უძველესია **გიგჟ**- სახეობა, რომელიც **გუგ**- || **გუგ**- არქეფორმისა-  
გან მომდინარეობს. **ი** → **ე** → || **ან** ხმოვანთა დებალატალიზაცია აიხსნება  
მომდევნო **ჟ**-ს ზეგავლენით [იხ. ქალდ. 1969]. ამ ქართველურ ფუძეთა  
ერთიანობაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს სამეცნიერო ლიტე-  
რატურაში [იხ. ჩიქ. 1938: 104-105; კლიმ. 1998: 34; ფენ.-სარჯ. 1990: 88].

ს.-ქართვ. \***გუგ**- „გუგული“

იჩქ. «**გუგ**-ჟტა», ინგ. «**გუგუ**-ტა», ბაცბ. **გუგუ**-ტა „გუგული“; ვაინა-  
ხურ დიალექტებში შესაბამისი ფუძეები დაკარგული ჩანს. საერთონახურ  
არქეტიპზე მსჯელობა მხოლოდ ბაცბური მონაცემის მიხედვით არის შე-  
საძლებელი, რომელსაც მრავალრიცხოვანი პარალელები ეძებნება მონათე-  
სავე ენებში: ხუნძ. **გაგუ**, კარ., ლოდ., **გუგუ**, ბეჟ. **ქუქუტო**, ჰუნზ. **კუ-  
კუტო**, დარგ. **გეგუო**, ლეზგ. **ქუქუფ**, ბუღ. **გუგუტ** „გუგული“. მიუხე-  
დავად ფუძის ონომატოპოეტური ბუნებისა ბგერათშესატყვისობები დაცუ-  
ლია. მოხ., ხევს., თუშ. **გუგუტ**-ი/ა ბაცბურიდანაა შეთვისებული.

ს.-ნახ. \***გუგუ**-ტა „გუგული“.

### გუღ-ა

ქართ. **გუღ**-ა, სა-**გუღ**-ალ-ი, ძვ. ქართ. **გუღ**-ა-ღ, ზან. (ლაზ.) **გუღ**-ა  
„გუღა“, მეგრ. **გუღ**-ა "id", **გუღ**-აშე მარწვინი/ცვალი“ „გუღის მაწონი/ყვე-  
ლი“, სვან. **გუღ**-რა || **გუღიდ**-რა „გუღა“; სვანური **გუღ**-რა ალომორფი არ  
შეიძლება ნასესხობად ჩაითვალოს. ის სპეციფიკური სვანური გაფორმე-  
ბით ზუსტად ასახავს ს.-ქართვ. \***გუღ**- ძირს [შდრ. კლიმ. 1998: 34].

ს.-ქართვ. \***გუღ**- „გუღა“

იჩქ. **ქით** „ტიკი, რუმბი“, ინგ. **ქით** "id", ბაცბ. **ქით** (მრ. რ. **ქათ**-ბი)  
"id"; საერთონახურში აღსადგენია \***ქუღიდ**- არქეტიპი, საიდანაც **ქუ** კომპ-  
ლექსის დელაბილიზაციითაა და **ღ** → **თ** ასიმილაციური დაყრუებით  
დღევანდელი ალომორფები განვითარდა. ს.-ნახ. \***ქუღიდ**- არ განეკუთვნება  
მხოლოდ ჰიპოთეტურ ვარაუდს; ამგვარი ფორმები არსებული რეალობაა  
დალესტნურ ენობრივ სამყაროში, შდრ. ხუნძ. **ქოდე**- „ხმელი თივის კა-  
ლათა“, დიდ. **ქუღ** || **ქუღიდ** (ჰინ.) „კალათა“...

სა.-ნახ. \***ქუღიდ**- „ტიკი, რუმბი“.

## გუ-ება

ქართ. გუ-, შე-გუ-ებ-ა, ე-გუ-ებ-ა, შე-გუ-ებ-ულ-ი, ძვ. ქართ. გუგ-, მი-გუგ-ებ-ით, შე-გუგ-ებ-ით, შე-გუგ-ებ-ულ-ად, შე-ა-გუგ-ებ-ს; ზან. (ლაზ.) გ-, გა-გ-უ „მიიჩვია“, გე-ვ-ო-გ-ამ „ვაჩვევ“, გი-გა-ფ-ირ-ი „მიჩვეული; შეგუებული“, მეგრ. გე-გ-ა-ფ-ა „მიჩვევა“, ქო-გ-ი-ა-გ-უ „შეგუა“, გე-გ-ა-ფ-ილ-ი „შეგუებული“; სვანური ეკვივალენტი დღემდე არ არის გამოვლენილი [ჩიქ. 1938: 257; კლიმ. 1964: 65; ფენ.-სარჯ. 2000: 152-153]. ქართულში -უგ სუფიქსური ჩანს, ამიტომაც არ არის წარმოდგენილი ზანურში.

ს.-ქართვ. \*გ- „შეჩვევა, შეგუება“

იჩქ. -გ-, ქე-გ-ა-დალა „შერევა, შეზავება“, ქე-გ-უო "id", ინგ. -გ-, ქე-გ-ა-ბ-ბე "id", ქე-გ-ა-დალა "id", ქე-გ-უო "id", ბაცბ. ე-გ-, ე-გ-არ „შერევა, გარევა“, ე-გ-დარ „შეზავება“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \*გ- ცალმორფემიანი ძირი, რომელიც გართულებული სახით ფუნქციონირებს თანამედროვე ნახურ ენებში. სემანტიკური თვალსაზრისით, შეგუება ~ შეზავება ნორმალური მიმართება ჩანს, შდრ. ქართ. ზავ-ი ~ დაზავება ~ შეზავება.

ს.-ნახ. \*გ- „შეზავება, შერევა“.

## გუთ-ან-ი

ქართ. გუთ-ან-, გუთ-ან-ი, ზან. გურთ-ან-, გურთ-ან-ი „გუთანი“, სვან. გუთ-ან „გუთანი“; საერთოქართველურში ფუნქციონირებდა \*ქოთ-ან-არქეტიპი, საიდანაც მოგვიანებით თანამედროვე ალმორფები განვითარდა.

ს.-ქართვ. \*ქოთ-ან- „გუთანი“

იჩქ. ჰანთო „კალო“, ინგ. ჰეთო "id", ბაცბ. ჰათო; ბაცბური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი. საერთონახური არქეტიპის სრული სახეობა გამოჩნდება არანომინატიურ ფორმებში — ერგ.: იჩქ. ჰანთო-არ-უო, ინგ. ჰათო-არ-უო. ძირეული ხმოვნის რეკონსტრუქციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დადესტნური ინფორმაცია, შდრ. ხუნძ. ჰოწაუ „კალო“. ს.-ქართვ. \*ქოთ-ან- „გუთანი“: ს.-ნახ. \*ჰათო-არ- „კალო“ ბუნებრივი მიმართებაა როგორც ფორმალურად, ისე სემანტიკურად.

ს.-ნახ. \*ჰათო-არ „კალო“.

## გულ-ი

ქართ. გულ-ი, გულ-ი, ერთ-გულ-ი, გულ-მკერდი, ზან. გურ-ი „გული“, ართ-გურ-ი || არ-გურ-იში-ი „ერთგული“, გურ-პიჯ-ი „მკერდი“, გურ-გედვალერ-ი „ბეჯითი, მოსურნე“, სვან. გუი || გუ „გული“, გუი || გუ ხარ „უნდა, გული აქვს“, გუ-დ ანვად „მიხვდა“ [იხ. როზ. 1845: 31; ჩიქ. 1938: 65-66; კლიმ. 1964: 66]. სვანურში ბოლოკიდური სონანტი მოკვეცილი ჩანს. რაც, რა თქმა უნდა, გულისხმობს იმას, რომ ამოსავალში ისტორიულ სვანურ არქეფორმად აღდგება \*გუიუ სახეობის ფუძე: სვან.

\***გუიუ** → **გუი** || **გუ**, მაგრამ იმავე სვანურში უცვლელად არის შემონახული ძირეული **გ** თანხმონის ლაბიალიზაცია; საერთოქართველურ არქეტიპად თავის დროზე პროფ. გიორგი როგავა აღადგენდა \***გუილ**- ლაბიალიზებული სახეობის ძირს, რასაც ჩვენც მართებულად მივიჩნევთ [იხ. როგ. 1962: 86-87]. ე. ი. ნახურ ენებში აღსადგენი უკანაენისმიერი **გ** თანხმონის ლაბიალიზაცია ქართველურ მასალაში (სვანურში) დღესაც თვალნათლივ მქლავნდება.

ს.-ქართვ. \***გუილ**- „გული“.

იჩქ. **დუოგ** (ქისტ. **დუაგ**) „გული“, ინგ. **დოგ** (ერგ. **დაგ-უო**) "id", ბაცბ. **დოკ** (მრ. რ. **დაკ-ბი** || **მი**) „გული“; საერთონახურისთვის აღსადგენია \***დიგუ**- ~ \***დაგუ**- აბლაუტიანი (**ი** ~ **ა**) ფუძე, რომელიც შებრუნებული წყობისაა ს.-ქართვ. \***გუილ**- არქეტიპისა. წინარენახურში ფუნქციონირებდა \***ლიგუ**- → \***დიგუ**- პრაფორმა ისევე, როგორც აფხ.-ად. ენებში, სადაც ბოლოკიდური **ლ**- სონორის გაუჩინარებით მოვიღეთ **გუგ** → || **გგ** ალომორფები, შდრ. ს.-დალ. \***დაკუ** || \***რაკუ** ← წ.-დალ. \***ლაგუ** [შდრ. გონ. 1940: 582].

ს.-ნახ. \***დიგუ**- ~ \***დაგუ**- „გული“.

### -და

ქართ. **-და** (თანდებული): ჩემ-**და**, შენ-**და**, თქვენ-**და**, ჩუენ-**და**, ზან. ჩქიმ-**და** „ჩემთვის; ჩემკენ“, თქვან-**და** „თქვენთვის; თქვენკენ“, სქან-**და** „შენთვის; შენსკენ“... სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. ჩიქ. 1936: 75; კლიმ. 1964: 68]. **-და** თანდებულიანი ფორმები მხოლოდ ძველი ქართულისათვისაა დამახასიათებელი. აქ იგი არა მხოლოდ პირის ნაცვალსახელებში გამოიყენებოდა: მათ-**და**, შდრ. რომელთა-**და**... მეგრულსა და ლაზურში ბუნებრივია **-დ-ე** „გან“ (ჩქიმ-**დ-ე** „ჩემგან“...) თანდებულიანი ფორმებიც [ჩიქ. 1936: 74-75].

ს.-ქართვ. \***-დ-ა/ე** „-თვის, -კენ“; „-გან, -დან“

იჩქ. **და-** || **და-ჰა** „-დან, -გან“, ინგ. **და-** || **და-ჰა** "id", ბაცბ. **და-ჰა** „-დან, -გან“; საერთონახური ენობრივი ერთობისთვის აღვადგენთ \***და-ჰა** ფორმას, რომელიც შინაარსით ზანურ **-დ-ე** თანდებულიან სახეობასთან ავლენს იდენტურობას, ხოლო ფორმით იგივეობრივია ს.-ქართვ. \***-და** ალომორფისა.

ზემოთ აღწერილი ქართველურ-ნახური თანდებულები, როგორც შედარებითი ანალიზიდან გამოჩნდა, ცხადად ვაჩვენებენ წინაისტორიულად არსებულ ტიპოლოგიურ და გენეტიკურ ერთგვაროვნებას. ამ მაგალითში კიდევ ერთხელ ნათლად დადასტურდა კომპარატივისტიკისათვის საყოველთაოდ აღიარებული მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ბგერათშესატყვისობათა ჩვენება რელევანტურია როგორც ძირ-ფუძეებში, ისე გრამატიკულ ინვენტარში, შდრ. ს.-ქართვ. **დ** : ს.-ნახ. **დ**; ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ა**.

ს.-ნახ. \***და-ჰა** „-დან, -გან“.



### დაბ-ა

ქართ. **დაბ-**, **დაბ-ა** „სოფელი; დასახლებული ადგილი“, უ-**დაბ-ნ-ო** „დაუსახლებელი ადგილი“, უ-**დაბ-ურ-ი**, მ-**დაბ-ურ-ი**, მ-**დაბ-იო**, ზან. (მეგრ.) **დობ-ირ-ა** || **დობ-ერ-ა** „სახნავი მიწა“, ლაზ. **დობ-ა**, სიტყვაში **დობა-წიწი** „ჭიკაყვლა“, ზედმიწ. „მიწის ჭია/გველი“, ე. ი. ლაზ. **დობ-ა** „მიწა“, სვან. **დაბ** || **დაბ** (ნათ. ბრ. **დაბჰ-შ**) „ყანა, ნათესი“; საერთოქართველურ ძირად \***დაბ-** არქეტები გამოიყოფა [იხ. თოფ. 1927: 309; კლიმ. 1973: 361; კარტ. 2005: 188].

ს.-ქართვ. \***დაბ-ა** „სოფელი; ყანა; მიწა“

იჩქ. **თუფ** „უბანი, ადგილი“, ინგ. **თუფ** "id", ბაცბ. «თუფ»; დღეს ნახურ დიალექტებში მხოლოდ ყრუ ხშულებითაა წარმოდგენილი ისტორიული \***დუბ-** არქეფორმა. ამოსავალი მქლერი სახეობის არსებობას კარგად აჩვენებს პარალელები დალესტნური ენებიდან: დარგ. **დუბ** „კიდე, ნაპირი“, არჩ. **დუმფ-გრა** „ბორცვი“, წახ. **დამა** „ტყე“. ქართული **დუბ-ე** „დაბალი ადგილი“ (საბა) შესაძლებელია ნახური (resp. ბაცბური) სუბსტრატი იყოს.

ს.-ნახ. \***დუბ-** „უბანი, ადგილი“.

### დაგ-ვ-ა

ქართ. **დაგ-**, და-მ-**დაგ-ავ-ს**, **დაგ-ავ-ს**, სა-**დაგ-ი**, შდრ. გამოთქმა: და-მ-**წვ-ა** და და-მ-**დაგ-ა**, ზან. (მეგრ.) **დგ-უ-დგ-**, **დგ-უ-დგ-უნ-ს** „წვავს“, **დგ-უ-დგ-ილ-ი** „დამწვარი“, სვან. **დაგ-** || **დგ-**, ხ-ე-**დგ-წრ-ი** (ამ-**დაგ-ან**, ათ-**დაგ-ან**) „უკვდება, შემოაკვდება“, ხ-ე-**დგ-ენ-ი** (ლჰ-მ-**დაგ**, ლა-ხ-**დაგ**) „ქრება“; სვანურში *კვდომისა* და *გაქრობის* აღმნიშვნელი ფუძეები საერთო წარმოშობისაა და ქართულ **დაგ-** „დაგვა“ ფუძეს შეესატყვისება.

ს.-ქართვ. \***დაგ-** „დადაგვა, გაქრობა, წვა“

იჩქ. **დაგ-**, **დაგ-ან** „წვა“, **დაგ-არ** „სიციხე (ტემპერატურა)“, ინგ. **დაგ-**, **დაგ-ან** || **დაგ-არ** "id", ბაცბ. **დაკ-**, **დაკ-არ** „წვა“, **დაკ-დარ** „და-წვა“; ბაცბურში ადვილი შესამჩნევია **გ** → **კ** გლოტალიზაციის არაანლაუტური პროცესი. საერთონახურში რეკონსტრუირდება \***დ-ავ-** არქეტიპი, რომელსაც შეესატყვისება ს.-ქართვ. \***დაგ-** პროტოტიპი.

ს.-ნახ. \***დ-ავ-** „წვა“.

### დათვ-ი

ქართ. **დათუ-**, **დათვ-ი**, ძვ. ქართ. **დათვ**, ზან. (ლაზ.) **თუთ-ი** → || მ-**თუთ-ი** ← \***დოთვ-ი** „დათვი“, მეგრ. **თუნთ-ი** "id", **თუნთ-ია** (ანთროპ.), სვან. **დეშდუ** || **დაშდუ** || **დაშტუ** „დათვი“; მეგრულ-ლაზური ფორმებისათვის ამოსავალია არქაული \***დოთუ-**; აუსლაუტური **უ** ფონემის ზეგავლენით **დოთუ-** → **დუთ-** → **თუთ-** || **თუნთ-** [გულ. 1960: 120]. ქართველურ ფუძეთა კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს [როზ. 1856: 29; ბროს. 1849: 74; გრენ. 1890: 128; ბორკ. 1907: 26; ჩიქ. 1938: 88-89; თოფ. 1930: 247].

ს.-ქართვ. \*დათჷ- „დათვი“

იჩქ. თუოთ-ალ (ჰებ. თათუ-ალ-იგ, ქისტ. თუათ-ალ ←\*თათჷ-ალ, ითუმიყ. თუთ-ალ ←\*თოთჷ-ალ) „დათვის ბელი“, "медвеженок", ინგ. თოან-გ ← \*თოათ-გ "id", ბაცბ. «თათუ-ალ»; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \*თათჷ-ალ- არქეტიპი, რომელიც ასიმილირებული სახეობა ჩანს წინარენახური \*დათჷ-ალ- ფორმისა. ს.-ქართვ. \*დათჷ- : ს.-ნახ. \*თათჷ-ალ- კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისობაა; -ალ საკუთრივ ნახური წარმონაქმნი უნდა იყოს.

ს.-ნახ. \*თათჷ-ალ- „დათვის ბელი“; "медвеженок".

### დალ-ა-მუწ-ი

ქართ. დალ-ა, დალ-ა-მუწ-ი, დალ-ამ-ო, დელ-ა-მურწ-ი, დელ-ამ-ა „შედებულნი რძე, დელამუტი“, ზან. ნდო || დო „დო“, სვან. დგრ || დგრ „კვეთი“; საერთოქართველურ ძირად აღსადგენია \*დალ-ა არქეტიპი.

ს.-ქართვ. \*დალ-ა „დელამო, დო, კვეთი“

იჩქ. დურ-, დურ-ი<sup>ნ</sup> „მლაშე, მარილიანი“, დურ-დარ „დამარილება, მარილიანობის შემატება“, ინგ. დირ-ნ „მარილიანი“, დირ-ალ „მარილიანობა“, ბაცბ. დურ-ი<sup>ნ</sup> „მლაშე“, დურ-ოლ „სიმლაშე“ დურ-დარ „გამარილება“; ინგუშურში ფიქსირებული ი ისტორიულად უმლაუტიანი უჷ ვოკალის რეფლექსი ჩანს: დირ-ნ ←\*დურ-ნ. საერთონახური ფუძე-ენისათვის აღდგება \*დურ- პრაფორმა, რომელიც კანონზომიერი შესატყვისისა ს.-ქართვ. \*დალ-ა სიტყვისა, შდრ. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. რ (§ 13.3).

ს.-ნახ. \*დურ- ←\*დურ- „მლაშე, მარილიანობა“.

### დალ-ი

ქართ. დალ-, დალ-ი „ნადირობის ქალღმერთი“, დალ-ი (ანთროპ.), ზან. (მეგრ.) დო- ←\*დოლ-, ო-დო-ია „ნაყოფიერების ღმერთი“, დო-უ (ანთროპ.), შდრ. მეგრ. დო-უ „უღელტეხილი“ მთიან აფხაზეთში ~ ქართ. დალ-ის ხეობა, სვან. დწლ || დალ „ნადირობის ქალღმერთი“ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 92].

ს.-ქართვ. \*დალ- „ნადირობის, ნაყოფიერების (ქალ-)ღმერთი“

იჩქ. დღელა „ღმერთი“, ინგ. დწლწ "id", ბაცბ. დალჷ → || დალი „ღმერთი“; არქაული ვითარება ბაცბურში შემოგვენახა, სადაც მხოლოდ ე → ე დამახასიათებელი პროცესი განვითარდა. ამდენად, საერთონახურისთვის აღსადგენია \*დალ-ე არქეტიპი, რომელიც გენეტიკურად ენათესავება ს.-ქართვ. \*დალ- პროტოტიპს.

ს.-ნახ. \*დალ-ე „ღმერთი“.

## დარ-ი

ქართ. **დარ-/დრ-**, **დარ-ი**, ავ-**დარ-ი**, **დარ-ი** || **დრ-ო**, ზან. (მეგრ.) **დორ-**, ე-**დორ-**ია „მარჯვე დრო“, ლაზ. ჰე-მ-ინ-**დორ-**ას „იმ დროს“; სიტყვათა ამავე რიგში შემოვა სვანურის ზმნური **დარ-** ძირი, შდრ. სვან. ხ-ე-**დარ-**წლ „უდარაჯებს“ ← ეტ. „მარჯვე დროს ეძებს“, ქართ. **დარ-ილ-ი** (საბა) [იხ. შმიდ. 1962: 104; ჩუხ. 2000-2003: 91].

ს.-ქართვ. \***დარ-** „დარი, დრო; მარჯვე დრო“

ჩიქ. **დე** (მრ. რ. **დენ-ოშ**) „დღე“, ინგ. **დგ** || **დი** (ერგ. ბრ. **დენ-უო**) "id", ბაცბ. **დე** (მრ. რ. **დენ-იშ**) „დღე“; საერთონახურისთვის აღსადგენია \***დენ-** არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***დარ-** ძირს. ვფიქრობთ, სემანტიკური მიმართება ს.-ქართვ. *დრო* ~ ს.-ნახ. *დღე* ბუნებრივია.

ს.-ნახ. \***დენ-** „დღე“.

## დაყვ-ი

ქართ. **დაყუ-**, ი-**დაყვ-ი**, ნი-**დაყვ-ი**, ძვ. ქართ. ი-**დაყუ-**, ზან. (ლაზ.) **დუყუ** ← \***დოყვ-ი** „იდაყვი“, მეგრ. **დუც-ი** ← \***დოყვ-ი** "id"; სვანურში შესაბამისი სახელი არ არის გამოვლენილი [ჩიქ. 1938: 59; დეეტ. 1927: 12]. თანამედროვე ნი-**დაყვ-** და არქაულ ი-**დაყუ-** ალომორფებში დადასტურებული **ნი-**, **ი-** სემენტები კვალიფიცირდება როგორც სადერივაციო პრეფიქსები [იხ. თოფ. 1947: 456]. საერთოქართველურ არქეტიპად აღდგება \***დაყუ-**.

ს.-ქართვ. \***დაყუ-** „იდაყვი“

ჩიქ. **დუოლ** || **დოლ** „წყრთა“, ინგ. **დოლ** „ძველი საზომი ერთეული“, ბაცბ. **დოლ** „წყრთა“; საერთონახური არქეტიპი უცვლელად შემოგვენახა ბაცბურში. ს.-ქართვ. \***დაყუ-**: ს.-ნახ. \***დოლ-** გამოაჩენს კანონზომიერ ა : ო (§ 5.2) და ყუ : ლ (§ 35.1) შესატყვისობებს. გასარკვევია ქართული ადლ-ი სიტყვის მიმართება დასახელებულ არქეტიპებთან. *იდაყვი* ~ *წყრთა* ნორმალური სემანტიკური შეფარდება ჩანს.

ს.-ნახ. \***დოლ-** „წყრთა; საზომი ერთეული“.

## დეგ-/დგ-მ-ა

ქართ. **დეგ-** → || **დგ-**, აღ-ვ-**დეგ**, და-**დეგ**, და-**დგ-მა**, ა-**დგ-ილ-ი**, **დგ-ამ-ს**, და-ვ-ა-**დგ-ერ**, სა-**დგ-ურ-ი**, ზან. (მეგრ.) დო-**დგ-უნ-ს** „დადგამს“, **დგ-უმ-ა** „დგმა“, ო-**დგ-ინ-ან-ს** „აყენებს“, დო-**დგ-ინ-უ** „დადგომა, ცხოვრება“, ქულო-**დგ-უ** „დადგა (სახლი)“, ლაზ. დო-**დგ-ინ-უ** „დადგომა; გაჩერება“, ქოლო-**დგ-უ** „დადგა“, ო-**დგ-იმ-უ** „დადგმა“, სვან. **ზიგ-** → || **ზგ-**, ი-**ზგ-წლ**, ი-ლ-**ზიგ-წლ** (აღ-**ზიგ-ი**) „ესახლება“, ლი-**ზგ-ე** „სახლობა; ცხოვრება“ [იხ. ჩიქ. 1938: 268-269; კლიმ. 1964: 70-71; ჩუხ. 2000-2003: 103-104].

ს.-ქართვ. \***დეგ-** „დგომა, ადგილი; დადგმა/შენება“

იჩქ. **თაგ-**, **თაგე-**დარ „კეთება/შენება“, ინგ. **თეგ-**ზრ "id", ბაცბ. **თაგ-/თეგ-**, **თეგ-**დარ, **თაგ-**დარ „კეთება, ქმნა, შენება“; თავკიდური დ-თანამედროვე ნახურ ენებში დაყრუვდა — **დ** → **თ**. ამდენად, საერთონახურისთვის აღსადგენია **\*დეგ-/\*დაგ-** აბლაუტური არქეტიპი.  
ს.-ნახ. **\*დეგ-** ~ **\*დაგ-** „კეთება, შენება“.

### დედ-ა

ქართ. **დედ-ა**, **დედ-ა-ე**, **დედ-ა-ნ-ი** „დედანი“, **დედ-ალ-ი**, **დედ-ა-მთილ-ი**, **მ-დედ-რ-ი**, **სი-დედ-რ-ი**, ზან. (ლაზ.) **დიდ-ა** „მონუცი ქალი; ბე-ბია“, **დად-ი** „მამიდა, დეიდა; მდადე“, მეგრ. **დიდ-ა** „დედა“, **დად-ულ-ი** „დედალი“, **დად-ი** „დიდედა, ბებია“, სვან. **დედე-ე** „დედა; ბებია“, **დედე-ე-შ** „დედისმედი“, **დნდ-ჟ** || ← **დედე-ჟ** „დედალი“; საერთოქართველურ არქეტიპად რეკონსტრუირდება **\*დედ-** ძირი, რომლისთვისაც ძირითადია *მდედრის* შინაარსი [როზ. 1845: 31; ჭარ. 1895, XII: 110; მარ. 1912: 425; ჩიქ. 1938: 37-38]. ქართ. **დედ-** ფუძის საკუთრივ ზანური შესატყვისი შემონახულია **დად-ულ-**, **დად-ი** ლექსებში. ხოლო ზანური **დიდ-ა** „დე-და“, ბებია სახეობა კონტამინაციითაა მიღებული ქართულ **დედა**-სთან.

ს.-ქართვ. **\*დედ-** „დედა; მდედრი“; „მშობელი“

იჩქ. **დნდ-ი** „მამა (მიმართვისას)“, **და** ← **\*დად** „მამა“, ინგ. **დად-ი** "id", **დნ** ← **დად** „მამა“, ბაცბ. **დად** „მამა“, **დად-ი** (მრ. რ.) „წინაპრები“, **დადი-წ-ოლ** „უპატრონობა“; საერთონახური **\*დად-** არქეტიპი უცვლელად არის შემონახული ბაცბურში, ხოლო ფაკულტატიურად — ვაინახურში.  
ს.-ქართვ. **\*დედ-** : ს.-ნახ. **\*დად-** კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკური შესატყვისობაა (**ე** : **ა**, § 6.2). *დედა* ~ *მამა* ოპოზიციისთვის გამაერთიანებელია *მშობლის* შინაარსი, რაც ჩანს კიდევ ორივე ჯგუფის ენებში, მნიშვნელობის ევოლუციისათვის შდრ. ლეზგ. **დიდე** „დედა“, მაგრამ აღ. **დად**, რუთ. **დიდ** „მამა“, წახ. **დიდი** „ბაბუა“...

ს.-ნახ. **\*დად-** „მამა; პატრონი/მშობელი“.

### დეგ-/დებ-ა

ქართ. **დეგ-/დეგ-**, **ი-დეგ-ა**, **და-დეგ-ი**, **და-დეგ-ებ-ა** ← **\*და-დეგ-ებ-ა**, ძვ. ქართ. **ხ-დეგ-ი-თ**, **ხ-ი-დეგ-ა** || **ჰ-ი-დეგ-ა**, ზან. (ლაზ.) **გე-დეგ-ალ-ჟ** || **დო-დეგ-აფ-ჟ** (შდრ. ქართ. **და-დ(გ)-ებ-ა**), ქო-დო-**დეგ-ი** „დადე“, მო-ბ-ი-**დეგ-ი** „ჩავიცი“, კუჩხე-მო-**დეგ-ალ-ჟ** „ფეხსაცმელი“, მეგრ. **დეგ-ალ-ა** „დადება“, ქო-გ-ებ-**დეგ-ი** „დავდევი“, ბ-**დეგ-ან-ქ** „ვდებ“, კუჩხ-მო-**დეგ-ალ-ჟ** „ფეხსაცმელი“, სვან. **დ-** ← **\*დჟ-**, **ლი-დ-ესგ-ი** „დადება“, **ხ-ჟ-დ-ი** „ვდებ“, **მე-დ-ი** „დამდე-ბი“; საერთოქართველურ არქეტიპად აღსადგენია **\*დეჟ-** პრაფორმა, რომელმაც ზანურში რედუქციით **დეგ-** მოგვცა; ხოლო სვანურში ფუძე გამარტივდა **დჟ-** → **დ-**, ისევე როგორც ქართ. **დ-ებ-** ← **დეგ-ებ-** [ჩიქ. 1938: 269-270; შმიდ. 1962: 104].

ს.-ქართვ. \***დეჟ**- „დადება/ჩაცმა“

იჩქ. **დ-ჟ**- „თესვა“, ინგ. **დმა-დჟ** "id", ბაცბ. **დ-იგ**, **დ-იგ-ა**<sup>5</sup> || **დ-იგ-არ** „თესვა; რგვა“, **დ-იგ-ენ-ო**, „დარგული; დათესილი“; ბაცბურში თითქმის უცვლელად არის შემონახული ს.-ნახ. \***დ-იჟ**- არქეტიპი. საყურადღებოა **დ** მყდერი დენტალის მომდევნო პოზიციაში **ჟ** → **ჭ** ინგუშური გარდაქმნა, შდრ. ქართ. **ჯგარ-ი** → ინგ. **ჯჭარ-** "id". *დადება/ჩაცმა* ~ *დარგვა/თესვა* სემანტიკური ოპოზიცია ერთიანდება *ჩადების* შინაარსით.

ს.-ნახ. \***დ-იჟ**- „რგვა; თესვა“.

### დიკა

ქართ. **დიკა** „ხორბლის ჯიში“, ზან. (ლაზ.) **დიკა** „ხორბალი“, **დიკა-შ-მქირი** „პურის ფქვილი“, შდრ. მეგრ. **დი-არ-** „პურობა, დაპურება“, რომელიც სავარაუდოა \***დიკ-არ-** არქეფორმიდან მომდინარეობდეს: **დი-არ-ჟ-ა** „დაპურება“, **დი-არ-ა** „ქორწილი/პურობა“, ი-**დი-არ-ს** „ძოვს“, ო-**დი-არ-ე** „საძოვარი, ბალახი“; იხ. ჯავახ. 1930: 406-412.

ს.-ქართვ. \***დიკ-ა** „ხორბალი (სახეობა)“

იჩქ. **დუგა** „ბრინჯი“, ინგ. **დუგა** "id", ბაცბ. **დ-იკ-ო**; იჩქერიულსა და ინგუშურში ი-ს ლაბიალიზაცია გამოწვეულია აფიქსისეული **უ-ს** (შდრ. ჰებ. **დუგუ** ← \***დიგუ**) არტიკულაციის შესუსტებით.

კანონზომიერებას ექვემდებარება შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე: *ხორბალი* ~ *ბრინჯი*.

ს.-ნახ. \***დიკ-ო** „ბრინჯი“.

### დინდგ-ელ-ი

ქართ. **დინდგ-ელ-**, **დინდგ-ელ-ი** „სკის პირის ცვილი“ (საბა), აჭარ. „ფუტკრის მიერ სკაში დამზადებული წებოვანი მასა, ცვილისებური“, „ფიჭის გამოწურვის შემდეგ დარჩენილი ნივთიერება“, ზან. (ლაზ.) **დინდგ-უ** || **დუნდგ-უ** „შავი ცვილი“, მეგრ. **დგვინდგ-ვი** || **დგვინდგ-უ** "id", სვან. **დინდგჟ**-ილდ "id"; სვანურში -**ილდ** სუფიქსი კნინობითობის მაწარმოებელია; ასე რომ, ძირად **დინდგ-ჟ**- გამოიყოფა. აქ -**ჟ** ისევე შეეფარდება ქართულ -**ელ** სუფიქსს, როგორც **დნდ-ჟ** სიტყვაში, შდრ. ქართ. დედ-**ალ-ი**. ზანურ-ქართულ ფუძეთა ერთიანობა ცნობილია [იხ. კლიმ. 1964: 73; ფენ-სარჯ. 2000: 173-174].

ს.-ქართვ. \***დინდგ-ელ-** „დინდგელი“

იჩქ. **დურგ-ალ** (ჰებ. **დურგ-ალ**) „ნექტარი“, ინგ. **დურგ-ალ** "id", ბაცბ. **დურგ-ალ**; საერთონახურში აღსადგენია \***დურგ-ალ-** არქეტიპი, რომელიც \***დუდგ-ალ-** წინარეფორმისგან მომდინარეობს — **დგ** თანმიმდევრობის შეუძლებლობის გამო საერთონახურში განხორციელდა **დგ** → **რგ**. ს.-ქართვ. \***დინდგ-ელ-** : ს.-ნახ. \***დურგ-ალ-** შესატყვისობა კანონზომიერია როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით. *ცვილი* ~

ნექტარი საერთო სემანტიკური ველის წევრებად მოიაზრება. გასარკვევია  
o : უ ვოკალური შეფარდების საკითხი.

ს.-ნახ. \*დურგ-ალ- „ნექტარი, ტკბილი წვენი“.

### დილომ-ი

ქართ. დილომ-ი || ← დიღუამ-ი (ტოპ.), იმერ. დილღვამ-ი, რაჭ. დიღვამ-ი „შავი, ნოყიერი მიწა“, სვან. დიღუამ „წყლიანი, ნოყიერი დაბლობი“; ზანური შესატყვისები არ არის გამოვლენილი. საერთოქართველური ფუძე-ენისთვის სამართლიანად აღადგენენ \*დიღუ-ამ- არქეტიპს [კლიმ. 1998: 41; ფენ.-სარჯ. 2000: 174].

ს.-ქართვ. \*დიღუ-ამ- „ნოყიერი დაბლობი, ველი“

იჩქ. თუღღ-ჟე „ველი, დაბლობი“, ინგ. ა-თაღ-ჟე „ველი“, ბაცბ.

ღღ-ჟე; საერთონახურ ფუძე-ენაში მოსალოდნელი იყო \*დაღ-ე არქეტიპი. ამგვარი შესაძლებლობის რეალურობა გამოიკვეთება დაღესტნურ მასალასთან შედარებითი ანალიზით, შდრ.: დარგ. დირჟ || დირჟა „დაბლობი“, აღ. დირჟ „ნაპირი“. საყურადღებო ჩანს ო ~ ა სუბსტიტუცია ნახურ დიალექტებში — ო ← \*ჟა → ა?

ს.-ნახ. \*დაღ-ე „ველი, დაბლობი“.

### დნ-ობ-ა

ქართ. დნ-, დნ-ობ-ა „დადნობა; დაღვევა/გაცვეთა“, ძვ. ქართ. გან-დნ-ენ, და-დნ-ობ-ად-ი, ზან. (ლაზ.) დუნ- → ნდუნ- || დინ-, ქა-გო-ვ-ო-ნდინ-აფ „გვარგავ“, გო-ნდუნ-უ „დაიკარგა“, გო-მ-დუნ-ი-თ „დავიკარგეთ“, მეგრ. დგნ- → || დინ-, დგნ-აფ-ა „დაკარგვა“, ვ-ო-დინ-უ-ან-ქ „გვარგავ“, ო-დგნ-აფ-უ „გადასაკარგავი, შორი“, სვან. ნ- ← \*დნ-, ლი-ნ-ე „დნობა“; საერთოქართველურში ეს ფუძე გახმოვანებული უნდა ყოფილიყო, რასაც ზანური უ → გ → || o მონაცემები ამტკიცებენ. ფუძე-ენისთვის ამოსავალი ჩანს ა ხმოვანი : ს.-ქართვ. ა → ზან. ო || უ → გ || ი [იხ. ჩიქ. 1938: 176; კლიმ. 1964: 74].

ს.-ქართვ. \*დან- „დნობა/ღვევა; დაკარგვა“

იჩქ. დ-ნ-ნ „დაკარგვა; გაქრობა; ჩაქრობა“, ინგ. და-(ნ) "id", ბაცბ.

ღღ-ნ-; ამ საერთონახური ზმნის ძირად ა გამოდის, ვინაიდან დ- გრამატიკული კლასის ნიშანია, ხოლო -ნ — ზმნური აფიქსი. აქედან გამომდინარე შესაძლებელია ვიმსჯელოთ ს.-ქართვ. \*დ- (დ-ან-) ფუძესშენობრცე-ბულ კლასნიშანზეც. დაკარგვა/გაქრობის შინაარსი აერთიანებს ზემოთ განხილულ ნახურ-ქართველურ არქეტიპებს.

ს.-ნახ. \*დ-ან- „დაკარგვა/გაქრობა“.

### დუდ-ი

ქართ. **დუდ-**, **დუდ-**ი „ქათმის ბიბილო“, „თხემი“, შდრ. ზ. აჭარ. **დუდ-**ხალ-ი „თავიანი მხალი“, ზან. **დუდ-**ი „თავი; კეფა; სათავე“, სვან. **დუდ-**ულ „ძუძუსთავი“ [იხ. ჩიქ. 1938: 44, კლიმ. 1964: 75].

ს.-ქართვ. \***დუდ-** „თავი, კეფა, ბიბილო, თხემი“

იჩქ. **თჷთა** „ქალა“, ინგ. **თითი** ←\***თჷთი** "id", ბაცბ. **თუთი**. ბაცბ-ურში საძიებელი ფუძე დაკარგული ჩანს. სავარაუდოა **დუდ-ი** → **თუთ-ი** ბგერწერითი გარდაქმნა ფუძენახურში, ვინაიდან სხვა შემთხვევაში **დ** → **თ** თითქოს უჩვეულოა.

ს.-ნახ. \***დუდ-**ი „ქალა (თავის)“.

### დუმ-ილ-ი

ქართ. **დუმ-**, **დუმ-**ს, **დუმ-ილ-**ი, ძვ. ქართ. **დუმ-**ი-ს, ი-**დუმ-**ალ-, **დუმ-**ნ-ა, ახ. ქართ. სა-ი-**დუმ-**ლ-ო, ი-**დუმ-**ალ-ებ-ა, სვან. **დუმ-/დჷიმ-**, ლი-**დუმ-**ე „საიდუმლოს შენახვა“, ი-**დჷიმ-**ი „ინახავს“; ზანურ დიალექტებში მსგავსი ზმნური ფუძე არ არის გამოვლენილი [ფენ.-სარჯ. 2000: 179]. საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \***დუმ-** ზმნური ძირი.

ს.-ქართვ. \***დუმ-** „იდუმალება; საიდუმლო“

იჩქ. **დუჲ** ←\***დუჷ** „ფიცი“, ინგ. **დუჷ** "id", ბაცბ. **დიბ** ←\***დუბ** „ფიცი“, **დიბ** ბარ „ფიცის დადება“; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \***დუჷ**- სახელური ფუძე, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***დუმ-** არქეტიპი, შდრ. ბგერათ-შესატყვისობა ს.-ქართვ. **მ** : ს.-ნახ. **ჷ** (§ 15.5). *იდუმალება* ~ *ფიცი* სემანტიკური ოპოზიცია ბუნებრივი ჩანს.

ს.-ნახ. \***დუჷ**- „ფიცი“.

### დულ-ილ-ი

ქართ. **დულ-**, **დულ-**ს, ა-**დულ-**ებ-ს, მ-**დულ-**არ-ე, ნა-**დულ-**ი, ზან. (მეგრ.) **დულ-**უნ-ს „მდულარეში ავლებს“, **დულ-**ა „ცხელი, მდულარე“, **დულ-**ილ-ი „ნადული“, ლაზ. **ნდულ-** ←\***დულ-**, გე-**ნდულ-**ერ-ი „საჭმლის სახეობა“ [ყიფშ. 1914: 229; კლიმ. 1964: 169], სვან. **დიღჷ** ←\***დიღჷ**-, ა-**დიღჷ**-ე || ა-**დიღჷ**-ე „კაშკაშებს“; *კაშკაშის* სემა სვანურში *დულილის* შემდგომ განვითარებად გვეჩვენება [ჩუხ. 2000-2003: 95].

ს.-ქართვ. \***დიღჷ**- „დულილი, ხარშვა“

იჩქ. **დილა** „ცხელი ბულიონი“, ინგ. **დილა** „ხორცის ნახარში, ბულიონი“, ბაცბ. **დილა**; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის აღსადგენია \***დილა**- არქეტიპი, რომლის კანონზომიერ შესატყვისსაც ს.-ქართვ. \***დიღჷ**- ძირში ვხედავთ. ცხადია, ს.-ნახ. **ლა** მომდინარეობს

\***დიჭყ**- წინარენახური მდგომარეობიდან, შდრ.: ხუნძ. **ჰაჭო..**, დარგ. **ნირღ**, არჩიბ. **დიყ**, ჰუნზ. **ძაყტ** „ხორცის ნახარში, ბულიონი“.

ს.-ნახ. \***დილა**- ← წ.-ნახ. \***დიჭყ**- „ბულიონი, ხორცის ნახარში“.

### დღ-ე

ქართ. **დღ-ე**, **დღ-ე-ვ-ან-დელი**-ი, ძვ. ქართ. **დღ-ე-ნ-დელი**-ი, მ-**დღ-ე-ვ-რ-ი**, **დღ-ე-დ-მდე**, **დღ-ე-ჟ**, ზან. (მეგრ.) **დღ-ა** „დღე“, „ამინდი“, ა-მ-**დღ-ა** დღეს“, ო-**ნდღ-ე** „შუადღე“, ო-**ნდღ-ერ-ი** „სადილი“, ლაზ. **დღ-ა** "id", ან-**დღ-ან-ერ-ი** „დღევანდელი“, მ-**დღ-ორ-ა** || მ-**დღ-ურ-ა** „წელან“, **დღალ-**ეულ-ი „დღიური“, **დღ-ა-გუნძაშ-ი** „სადღეგრძელო“, სვან. **დღელ-**, ლა-**დღელ** „დღე“; საერთოქართველურ არქეტიპად აღსადგენია \***დღელ-ე** ფორმა, რომლის განმეორებული სახეობა მხოლოდ სვანურში შემოგვრჩა [როზ. 1845: 33; გრენ. 1890: 135; ჩიქ. 1938: 193; ჩიქ. 1942: 16; კლიმ. 1964: 75; შმიდ. 1962: 106].

ს.-ქართვ. \***დღელ-ე** „დღე“

ჩიქ. **დუოლ-ა** || **დოლ-ა** (ჰებ. **დალ-უ**) „წვიმა“, ინგ. **დოლ-ა** || **დოალ-ა** "id", ბაცბ. **ღალ-ო**; საერთონახური ფუძეეწური მდგომარეობისთვის აღდგება \***დალ-ო** არქეტიპი. ფორმალურად ს.-ქართვ. \***დღელ-ე** : ს.-ნახ. \***დალ-ო** შეპირისპირებას წინააღმდეგობა არ ახლავს (შდრ. **ე** : **ა** § 6.2). სემანტიკური მიმართების — **დღე** ~ **წვიმა** — ასახსნელად ძვირფას ინფორმაციას იძლევა ჰუნზბური ენა, სადაც **ჟადა** || **ღუნდჷ** ფორმას ერთდროულად **დღე**, **ცა**, **წვიმა** მნიშვნელობები უდასტურდება.

ს.-ნახ. \***დალ-ო** „წვიმა“.

### -ებ (მრ. სუფ.)

ქართ. **-ებ** „მრ. სუფ.“, ზან. (მეგრ.) **-ეფ** "id", ლაზ. **-ეფ** || **-ებ**; ზან-ნურში მოსალოდნელი იყო \***-აბ** → \***-აფ** ალომორფი, რაც **ა** → **ე** უმლაუტის შედეგად გადაშენდა ყველა ბოზიციაში, არსად შემოგვენახა [იხ. როზ. 1847: 408; კლიმ. 1964: 78; ფენ-სარჯ. 2000: 185]. სვანურში თემატურ აფიქსად **-ეფ** || **-ებ** სემანტის გამოყოფა თავისთავად გულისხმობს ისტორიულად **-ებ** „მრ. სუფ.“ ფუნქციონირებასაც [იხ. ჩუხ. 2000-2003: 44-46].

ს.-ქართვ. \***-ებ** „მრ. სუფ.“

ჩიქ. **ღი** „მრ. სუფ.“, ინგ. **ღი** "id", ბაცბ. **-ბი** „მრ. სუფ.“, ვირ „ვირი“ — ვარ-**ბი** „ვირები“... ბაცბურ **-ბი** სუფიქსს პარალელები დაღესტნურ ენებშიც ეძებნება, ამიტომაც შესაძლებელი ჩანს საერთონახურ ენობრივ დონეზე **-ბი** სუფიქსის პოსტულირება.

ს.-ნახ. \***-ბი** „მრ. სუფ.“



## -ელ

ქართ. -ელ, ქალაქ-ელ-ი, სოფლ-ელ-ი, აფსუ-ელ-ი, კან-ელ-ი, აჭარ-ელ-ი, იმერ-ელ-ი, მთი-ელ-ი, რაჭვ-ელ-ი... ზან. -არ, აფს-არ-ი (შდრ. აფს-ილ-ი || აფშ-ილ-ი), კოლხიდ-არ-ი „კოლხიდელი“, ოდიშ-არ-ი, ანთროპ. ოდიშ-არ-ია (შდრ. ქართ. ოდიშ-ელ-იძე), ოპიზ-არ-ი, ორჭ-არ-ი = ორჭ-ელ-ი; საერთოქართველისთვის აღსადგენია \*-ელ წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსი, რომლის სვანური ეკვივალენტი ჯერ-ჯერობით გამოვლენილი არ არის [შან. 1916: 366-368].

ს.-ქართვ. \*-ელ „წარმომავლობის სუფიქსი“

იჩქ. -უო ← \*ეჟ/\*-აჟ: ბაც-უო „ბაცბი“, ლებართ-უო „ყაბარდო-ელ-ი“, კახთ-უო „კახეთ-ელ-ი“, შემახ-უო „შემახ-ელ-ი“, ინგ. -მე || ← უო ← \*-ეჟ: ბაც-უო „ბაცბი“, ადაგ-მე „ადილეელი“, ღარმან-უო „ყირიმელი თათარი“, მისარ-ხ-უო „ეგვიპტელი“, ნელ-მე „ნოლა-ელ-ი“, ფხ-მე „ხევსური“, ბაცბ. -ევ/-ავ/-ივ: ბაც-ავ „წოვათუში“, ფხ-ევ „ხევსური“, კუხ-ივ (=კახ-ელ-ი) „ქართველი“, როჭ-ივ ← როჭვ-ევ = რაჭვ-ელ-ი... საერთონახურში აღსადგენია \*-აჟ → || \*-ეჟ წარმომავლობის სუფიქსები; აღწერილი ალომორფები ს.-ქართვ. \*-ელ სუფიქსის კანონზომიერი ფუნქციურ-ფონეტიკური შესატყვისებია, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა/ე (§ 6.1), ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ჟ (§ 13.4).

ს.-ნახ. \*-აჟ/\*-ეჟ „წარმომავლობის სუფიქსები“.

## ერკ-ემ-ალ-ი

ქართ. ვერკ-, ვერკ-ემ-ალ-ი || ერკ-ემ-ალ-ი, ფშ. ვერკ-ამ-ელ-ი „მამალი ცხვარი“, ზან. (მეგრ.) მაკ-, მაკ-უტ-ია „ხბო“, სვან. ფიკ-ჟ → || ფჟკ-ჟ || ფუკ-ჟ „ვაცი“ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 237].

ს.-ქართვ. \*ვერკ- „ერკემალი, ვაცი“

იჩქ. ბუოჟ (ქისტ. ბუაგ, ჭებ. ბოჟ — მრ. რ. ბჟჟ-ილოდ, ითუმე. ბოგ — ბაგ-ლ-იძ) „ვაცი, ბოტი“, ინგ. ბოჯ "id", ბაცბ. ბჟოკ ← \*ბაკ „ვაცი“; ბაცბურის ვითარება ახლოსაა საერთონახურ მდგომარეობასთან, შდრ. ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა; იხ. § 6.2.

ს.-ნახ. \*ბაკ- „ვაცი, ბოტი“.

## ე-ს

ქართ. -ს-, ე-ს, ა-ს- „ჩვენ. ნაცვალსახელი“, ზან. ე-შ, ა-შ „ეს“, სვან. ე-შ-ი „ისიც“; საერთოქართველურ ძირად გამოიყოფა \*-ს- ჩვენებითი ნაცვალსახელი [ჩიქ. 1938: 226; კლიმ. 1964: 173; ფენ.-სარჯ. 2000: 415].

ს.-ქართვ. \*-ს- „ნაცვალსახელური ძირი“

იჩქ. ს-უო „მე“, ს-ან „ჩემი“, ინგ. ს-ო "id", ს-ან "id", ბაცბ. ს-ო „მე“, ს-ენ „ჩემი“; საერთონახური ენობრივი ერთიანობისათვის აღსადგენია \*-ს- ძირი, რომლის შესატყვისიც ჩანს ს.-ქართვ. ნაცვალსახელურ \*-ს- ცალფონემიან მორფემაში.

ს.-ნახ. \*ს- „I პირის ნაცვალსახელი“.

## ეტერ-ი

ქართ. **ეტერ-**, **ეტერ-**ი „ატრია, შეჭამადი რძით ან ერბოთი შეზავებული“, ზან. **ატარ-ია**<sup>1</sup>, შდრ. ქართ. **ატრ-**ია (საბა) ← ზან. **ატარ-**ია „ატრია“. ძვ. ქართ. **ეტერ-**ი სიტყვის შესატყვისად ზანურში **ატარ-**ი უნდა ყოფილიყო, რაც ჩანს კიდევ საბასეულ **ატრ-**ია ← **ატარ-**ია ფორმაში, რომელიც მთის დიალექტებში დღესაც ხმარებადი სიტყვაა.

ს.-ქართვ. **\*ეტერ-** „რძეში ან ერბოში შეზავებული შეჭამადი“

იჩქ. **ტუᲗ** (ახ. **ტავ-**ა) „არაყანი“, ინგ. **ტოა** "id", ბაცბ. **ტე** „ხსენი“. საერთონახურში **\*ტეჟ-** არქეფორმაა საგულგებელი, რომლის **ევ** თანმიმდევრობის მოშლამაც დიფთონგიზაცია გამოიწვია ვაინახურ ფუძეებში, შდრ. ინგულშ. ერგ. ბრ. **ტაფგ-უო**.

ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ჟ** შესატყვისობისთვის იხ. აქვე, § 14.5.

ს.-ნახ. **\*ტეჟ-** „არაყანი; ხსენი“.

## ექვს-ი

ქართ. **ექვს-**ი || **ექუს-**ი, ზან. (მეგრ.) **ამშვ-**ი „ექვსი“, ლაზ. **ანშ-**ი → || **აშ-**ი „ექვსი“, სვან. **უსკჟ-**ა || **უსგჟ-**ა ← **\*ეუსქჟ-**ა „ექვსი“; საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია **\*ემსჟ-** არქეტიპი, რომლის ზუსტ შესატყვისს წარმოადგენს ზანური **ამშვ-** → || **ანშ-**ი. ქართულში **ქ** ფონეტიკური დანართია — **\*ემსჟ-**ი → **ექუს-**ი [თოფ. 1941]. სვანურში საერთოქართველური **ს** იცვალა **სქ** → **სგ** || **სკ** კომპლექსად, რაც მისთვის დამახასიათებელია, შდრ. ქართ. **ნესჟ** : სვან. **ნესგ** (**კჟახ-ნესგ** „ნესვი“). [სხვა თვალსაზრისისთვის იხ. შმიდ. 1962: 107; გამყრ. 1959: 29; ფენ.-სარჯ. 2000: 191].

ს.-ქართვ. **\*ემსჟ-** „ექვსი“

იჩქ. **ძალხ** (ნათ. ბრ. **ძალხან-ან**) „ექვსი“, ინგ. **ძალხ** (ერგ. ბრ.

**ძალხან-დე**) "id", ბაცბ. **მეთხ** ← **\*ძალხან** „ექვსი“; საერთონახურ არქეტიპად აღსადგენია **\*ძალხან-** ფორმა, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. **\*ემსჟ-** წინარეფორმას, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2), ს.-ქართვ. **მ** : ს.-ნახ. **ლ** (§ 15.2), ს.-ქართვ. **ს** : ს.-ნახ. **ხ** (§ 31.7), ს.-ქართვ. **ჟ** : ს.-ნახ. **ნ** (§ 20.5).

ს.-ნახ. **\*ძალხან-** „ექვსი“.

## ეშვ-ი

ქართ. **ეშჟ-**, ძვ. **ეშჟ-**ი, **ეშვ-**ი „ტახი“; ქართ. **ეშჟ-** ფუძეს ზანურში **ოსქუ** „სალორე“ სიტყვას შეუფარდებენ, რასაც ჩვენ არ ვიზიარებთ [იხ. კლიმ. 1964: 81; შდრ. ჩუხ. 2000-2003: 113-114].

ს.-ქართვ. **\*ეშჟ-** „ტახი“

იჩქ. **ვარჟ** „ერკემალი“, ინგ. **ვარჟ** "id", ბაცბ. **ადრლ** ← **\*არლ** „ყოჩი,

ერკემალი“. ზემოაღწერილ ფუძეთა შედარებითი ანალიზის წყალობით აღდგება ს.-ნახ. \*არლ'- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*ეშჷ- ფუძეს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა (§ 6.2), ს.- ქართვ. შჷ : ს.-ნახ. რლ' (§ 22.2). მნიშვნელობის მხრივ ნახურ-ქართველურ ფუძეებს აერთიანებთ მამრის გაგება.

ს.-ნახ. \*არლ'- „ყოჩი, ერკემალი“.

### ეჩ-ო

ქართ. ეჩ-ო, ძვ. ქართ. ეჩჷ-ა-ე || ეჩჷ-ე-ე || ← ეჩ-ო-ა-ე, ზან. «აცქჷ» „ეჩო“; ზანური შესატყვისი სვანურში შემოგვენახა, შდრ. სვან. აცქჷ ← ზან. აცქჷ „ეჩო“ — ქართ. ე : ზან. ა. ქართულში სავარაუდოა ც → ჩ გაშიშვნების პროცესი [იხ. ჩუხ. 2000-2003: 40-43]. ამდენად, საერთოქართველურში აღდგება \*ეც-ო არქეტიპი, რომელმაც ზანურში აცქჷ ალომორფი მოგვცა.

ს.-ქართვ. \*ეც-ო „ეჩო“

იჩქ. წსთ-ა „ხის სათლელი ინსტრუმენტი“; „თოხი“, ინგ. წსთ "id", ბაცბ. ასტ-ი<sup>ნ</sup> „ხელეჩო“; საერთონახური ენობრივი მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \*ასთ-ინ არქეტიპი, რომელიც ზუსტი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია ს.-ქართვ. \*ეც-ო ძირისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ც : ს.-ნახ. სთ (§ 31.3), ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა (§ 6.2). ბუნებრივი ჩანს ეჩო ~ ხელეჩო სემანტიკური მიმართებაც.

ს.-ნახ. \*ასთ-ინ „ხელეჩო“.

### ეწერ-ი

ქართ. ეწერ-, ეწერ-ი „მწირი, უნაყოფო მიწა“, „ისლოვან-გვიმროვანი ტყე ველოვანი“ (საბა), ზან. აჭარ-, აჭარ-ა. ვვარაუდობთ, რომ ეწერ-ის შესატყვისი ზანური ეკვივალენტი აჭარ-ა სიტყვაშია შემონახული, რომელიც ქართული ეწერ-ა ფორმის ზუსტი ანალოგია. -ა ამ შემთხვევაში მატაპონიმებელი სუფიქსი ჩანს.

ს.-ქართვ. ეწერ- „ეწერი ადგილი, ეწერი მიწა“

იჩქ. ირზ-ჷ (ჷვბ. ირზ-აჷ) „ახო, სახნავად მომზადებული მიწა“, ინგ. ირზ-უო || ირძ-უო "id", ბაცბ. «ერწ-ო». ვვიქრობთ ბაცბური სახეობა ტოპონიმ ერწო-შია შემორჩენილი.

ს.-ნახ. \*ერწ-ო „ახო, სახნავად მომზადებული მიწა“.

### ვ-

ქართ. ვ- „I სუბ. პირის ნიშანი“, ზან. ვ → || ბ "id", სვან. ხჷ- ← ჷ- "id"; საერთოქართველური ფუძეენური მდგომარეობისთვის აღსადგენია \*ჷ- „I სუბ. პირის ნიშანი“, რომელიც წინარექართველურში I გრ. კლასის ნიშნად მოიაზრება, შდრ. გ-ჷ- „I ობ. პირის ნიშანი (მრ.)“.

ს.-ქართვ. \***ჟ**- „I სუბ. პირის ნიშანი“

იჩქ. **ვ**- „I გრ. კლასის ნიშანი“, ინგ. **ვ**- "id", ბაცბ. **ვ**- "id"; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება \***ჟ**- მორფემა, რომელიც I გრამატიკული კლასის ნიშნად ვლინდება ზმნებში, ხოლო სახელებში შემორჩენილია გაქვავებული (რუდიმენტის) სახით: ს.-ნახ. \***ჟ**-ოჰა-„ვაჟიშვილი“, ს.-ნახ. \***ჟ**-აჟარ- „ძმა“... საერთოქართველურში გრამატიკული კლასის კატეგორია მოიშალა, მაგრამ ენაში გრ. კლასის ნიშნები შემდგომ სხვადასხვა ფუნქციით დაიტვირთა: **ვ**- „I სუბ. პირ. პიშ.“, **ს**- „II სუბ. და III ობ. პირ. ნიშ.“, შდრ. ს.-ნახ. \***ჟ**- „II გრ. კლასის ნიშანი“. ს.-ნახ. \***ჟ**- „I გრ. კლასის ნიშანი“.

### ვალ-/ვლ-ა

ქართ. **ვალ-ვლ-**, წარ-**ვალ**, წარ-ს-**ვლ**-ა, წარ-უ-**ვალ**-ი **ვალ**-ს; ზან. (მეგრ.) **ულ**-ა „სვლა“, მე-**ურ**-ს „მიდის“, ო-**ულ**-არ-ი „წასასვლელი“, ლაზ. **ულ**-უ „სვლა; მოგზაურობა“, **ულ**-უ-ნ „მიდის“, დ-**ულ**-ვ-ა „აღმოსავლეთი“, ნო-**ველ**-ი ← \*ნო-**ვოლ**-ი = ნა-**ვალ**-ი [იხ. ჩიქ. 1936: 172; გამყრ.-მაჭ. 1965: 167].

ს.-ქართვ. \***ვალ**- ← \***ვალ**- „სვლა“

იჩქ. **ვალ**-, **ვალ**-არ „წასვლა“, არა-**ვალ**-არ „გარეთ გასვლა“, ინგ. **ვალ**-, **ვალ**-არ "id", ბაცბ. **ვალ**-, **ვალ**-არ "id". იჩქერიული ჯგუფის ენებში გამოყოფილი თავკიდური **ვ**- I გრ. კლასის ნიშანია, რაც ქართველურ ენებში ფუძეს შეზრდია.

ს.-ნახ. \***ვალ**- „წასვლა“.

### ვან-ი

ქართ. **ვან**-, **ვან**-ი, სა-**ვან**-ე „სადგომი“, ძვ. ქართ. და-**ვან**-ებ-ა-დ, და-ი-**ვან**-ა; ზან. **ონ**-, შდრ. ტობ. ზან. **ონ**-ი = ქართ. **ვან**-ი; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. ფენ. 1980]. საერთოქართველური ფუძენისათვის აღსადგენია \***ჟან**- არქეტიპი.

ს.-ქართვ. \***ჟან**- „სახლი, სადგომი“.

იჩქ. **ბუნ** (ჰებ. მრ. რ. **ბონ**-ომ) „ქოხი“, ინგ. **ბუ** (მრ. რ. **ბონ**-შშ||ქ) "id", ბაცბ. **ბონ** "id"; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება \***ბონ**- პრაფორმა, რომელიც შენარჩუნებულია ჰებერლოურსა და ინგუშურში მრავლობითი რიცხვის ფორმებში. ს.-ქართვ. \***ჟან**-: ს.-ნახ. \***ბონ**- ფუძეებში კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკურ-სტრუქტურული მიმართება ჩანს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ჟ** : ს.-ნახ. **ბ** (§ 23.2), ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** (§ 5.2).

ს.-ნახ. \***ბონ**- „ქოხი“, "шалаш".

### ვარ-ია

ქართ. ვარ-, ვარ-იკა, ვარ-ია „ესე არს ქათმის დიდი წიწილი“, „ვარიად ითქმის ყურდგლის დიდი ბაჭია“ (საბა), ვარ-ია „ზრდადაუმთავრებელი ქათამი კვერცხის დებამდე“ (ქეგლ-ი); სხვა ქართველურ დიალექტებში ქართ. ვარ- ძირის შესატყვისი ვერ გამოვლინდა, შდრ. სვან. ჰორ-ია || ჰორ-ია || ორ-ია ← \*ჟარ-ია „ჭინკა“ (?).

ს.-ქართვ. \*ჟარ- „ვარია“

იჩქ. მეც || მეფ „ვარია“, ინგ. [მეფ], ბაცბ. [მეფ]; ინგუშურსა და ბაცბურში ამ ფუძის შესატყვისები დაკარგული ჩანს. \*მეფ ← \*მეფ- აღდგება საერთონახურ ღონეზე, რაზედაც დაღესტნური პარალელები ცალსახად მიუთითებენ: დარგ. აბჟა ← \*ბაჟა „ქათამი“, აღ. ფაჟ, თაბ. ფაჟა "id"... ამდენად, ს.-ქართვ. \*ჟარ- : ს.-ნახ. \*მეფ- ბუნებრივი მიმართება უნდა იყოს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ჟ : ს.-ნახ. მ (§ 20.3), ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ე (§ 5.3), ს.-ქართვ. რ (← მ) : ს.-ნახ. მ (§ 39). ფორმალურ მხარეს ამაგრებს სემანტიკური იდენტურობა.

ს.-ნახ. \*მეფ- „ვარია“.

### ვარსკ-ულ-ავ-ი

ქართ. ვასკ-, ვასკ-ულ-ავ-ი || ვარსკ-ვლ-ავ-ი || მასკ-ულ-ავ-ი „მნათობი“, ზან. (მეგრ.) მასკ-ურ-ი || მასქ-ურ-ი „მნათობი, ვარსკვლავი“, სვან. -მესკ || -მესგ, ლე-მესგ || ლე-მესკ „ცეცხლი“; სვანურის ე განმოვანება უძველესია, იგი საერთოქართველურისთვისაც ივარაუდება [იხ. ჩუბ. 2000-2003: 152].

ს.-ქართვ. \*ჟესკ-ულ- „მნათობი, ცეცხლი“

იჩქ. სიძგ || სიგ „ნაპერწყალი“, ინგ. სიძგ "id", ბაცბ. სკივ „ნაპერწყალი“; ამოსავალი ვითარება ბაცბურს დაუცავს, ვინაიდან ჟ → ძ და სკ → სვგ გარდაქმნები ვაინახურში განხორციელდა; ცხადია, ნახურ ენებში ე. წ. შებრუნებული წყობის ფუძეებია დაცული. დასაშვები ჩანს სემანტიკური მიმართებაც: ცეცხლი/მნათობი ~ ნაპერწყალი; შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ი (§ 6.3).

ს.-ნახ. \*სკიჟ- „ნაპერწყალი“.

### ვარყ-ა

ქართ. ვარყ-ა → || ვაყ-ა „ულაყი, ცხენი (მამალი)“, „დაჟკოდავი ცხენი“, ზან. (მეგრ.) ურ-ა ← \*ვორყ-ა „დაჟკოდავი კვიცი“, გადატ. „გაუხედნელი ცხენი“, შდრ. ქართ. ურა ← ზან. ურა, სვან. ჟარყ-ა „თავნება ცხენი“, ჟარ-ილ ← \*ჟარყ-ილ "id"; ს.-ქართვ. \*ჟარყ-ა არქეტისის შემდგომი განვითარება ზანურში ვორყ-ა → || ურყ-ა სახით უნდა მომხდარიყო. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ყ → ე → Ø შესაძლებლობას მეგრულ-ჭანურში, თანამედროვე ურ-ა-ც კანონზომიერად გამოჩნდება.

ს.-ქართვ. \***ჟარყ**-ა „დაუკოდავი კვიცი; უხედნელი ცხენი“  
 იჩქ. **ბეყ**-ა (ჭებ. **ბაყ-ი**) „კვიცი“, ინგ. **ბაყ**-, **ბაყ-ილ** გ „კვიცი“,  
 ბაცბ. **ბაყ-რ** "id"; *კვიცის* მნიშვნელობით საერთონახურ არქეტიპად აღსად-  
 გენია \***ბაყ**-ო წინარეფორმა. ს.-ქართვ. \***ჟარყ**-ა : ს.-ნახ. \***ბაყ**-ო გამოაჩენს  
**ჟ** : **ბ** შესატყვისობას, რაც რეგულარულად ვლინდება (იხ. აქვე, § 23.2).  
*კვიცის* გაგება, რაც ძირითადია ნახურში, ქართველურ მასალაშიც გამოჩნდება.  
 ს.-ნახ. \***ბაყ-ო** „კვიცი“.

### ვარძ-/სა-ვარძ-ელ-ი

ქართ. **ვარძ**-, სა-**ვარძ**-ელ-ი, ზან. (ლაზ.) **ორძ**-ო || **ორძ**-უ „სკამი“,  
 სხვა დიალექტებში სათანადო შესატყვისები დაკარგულია [იხ. ჩიქ. 1938:  
 161, კლიმ. 1964: 169].

ს.-ქართვ. \***ჟარძ**- „სავარძელი, სკამი“

იჩქ. **ჰუოჟ** || **ჰუოჯ** „უნაგირი სასაპალნე“, ინგ. **ვოჯ** || **ვოჟ** "id",  
 ბაცბ. **ვოჯ** ო. ბაცბური ეკვივალენტი დაკარგული ჩანს. იჩერიულში **ვ** →  
**ჰ** გარდაქმნა აიხსნება **ვ**-ს არტიკულაციის შესუსტებით.

ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** კანონზომიერია ისევე, როგორც ს.-ქართვ. **ძ** :  
 ს.-ნახ. **ჯ** [იხ. შესაბამისად: § 5.2, § 30.1].

ს.-ნახ. \***ჟოჯ**- „უნაგირი სასაპალნე“.

### ვარც-ლ-ი

ქართ. **ვარც**-ლ-, **ვარც**-ლ-ი, ზან. (მეგრ.) **ხვარჩ**-ინ-ი → || **ხვარჩ**-ენ-ი  
 „ხის ჩოგანი“, სვან. **ღჟარჩ**-ინ „ვარცლი, ჩოგანი“; საერთოქართველურ ძი-  
 რად აღდგება \***ჟარც**- არქეტიპი. -**ლ** ქართულში და -**ინ** ზანურ-სვანურ-  
 ში აფიქსურია [შდრ. ფენ.-სარჯ. 2000: 195]. **ჟ**-ს წინ **ღ/ხ** უკანაენისმიერ-  
 თა განვითარების შესახებ ქართველურ ენებში აკად. ვ. თოფურია შენიშ-  
 ნავდა [თოფ. 1941: 233].

ს.-ქართვ. \***ჟარც**- „ვარცლი, ჩოგანი“

იჩქ. **ორც**-, **ორც**-ხა „ძელი; დედა კოჭი“, ინგ. **ორც** || **ოარც** „ძელი-  
 კოჭი“, ბაცბ. **ორც** ო; იჩქერიულში ფუძე გართულებულია -ხა სუფიქსით.  
 საერთონახურ ფუძე-ენაში პოსტულირდება \***ორც**- არქეტიპი, რომლის  
 ზუსტი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია ს.-ქართვ. \***ჟარც**- ძირი.  
 ინგუშური **ოა** თანმიმდევრობა ხომ არ მეტყველებს იმაზე, რომ საერთო-  
 ნახური **ო**-სათვის ამოსავალია **ჟა** კომპლექსი?

ს.-ნახ. \***ორც**- „ძელი; ხის კოჭი“.

### ვაშლ-ი

ქართ. **ვაშლ**-, **ვაშლ**-ი, ზან. **უშქურ**-ი || **ოშქურ**-ი || **უშქირ**-ი  
 „ვაშლი“, სვან. **ჟისგჟ** || **ჟისკჟ** || **უსგჟ** „ვაშლი“; სვანურში აღსადგენია  
**ჟაშქჟ**- არქეფორმა, რომელმაც **ა** → **გ** → **ი** გარდაქმნით ანლაუტში და

**შქუ** → **სგუ** გასისინებით აუსლაუტში თანამედროვე ალომორფები მოგვცა. საერთოქართველური ფუძე-ენისთვის რეკონსტრუირდება \***ჭაშ**-ალ- ორმარ- ცვლიანი ძირი [იხ. ჭარ. 1895, XII: 112; ჩიქ. 1938: 121; კლიმ. 1964: 82].

ს.-ქართვ. \***ჭაშ**-ალ- „ვაშლი“

იჩქ. **აუ** „ვაშლი“, ინგ. **აუ** "id", ბაცბ. **აშა**; ბაცბურში *ვაშლის* აღმნიშვნელი ძირი დაკარგულია. მისი ფუნქცია იკისრა წარმოშობით *მსხლის* გამომანტველმა **ვორ** ფუძემ. საერთონახური ფუძე-ენისთვის პოსტულირდება \***ჭაშ**- არქეტიპი, რომელსაც მხარს უჭერს დალესტურ ენათა ინფორმაცია, შდრ. უდ. **ეშ**, ხვარშ. **ეშ**, სადაც ხმოვნის ფარინგალიზაცია ისტორიული **ჭ** მჟღერი ფარინგალი ფრიკატივის ნაშთი ჩანს. ს.-ქართვ. **ჭ** : ს.-ნახ. **ჭ** (← **ჭ**) ბუნებრივი პროცესია, ისტორიულად დამოწმებული: ქართ. **ჭყარ**-ი → ვაინახ. **ჭმარ**-გ (§ 20.2) [იხ. გონ. 1940: 588]. ს.-ქართვ. **შ** : ს.-ნახ. **შ** ამოსავალი სისინ-შიშინა **ს**, ფონემის რეფლექსად მიიჩნევა (§ 33.5).

ს.-ნახ. \***ჭაშ**- „ვაშლი“.

### ვაც-ი

ქართ. **ვაც**-, **ვაც**-ი „მამალი თხა“, **ვაც**-იკ-ი „საბოტე თხა“, ძვ. ქართ. **ვაც**-ირემი, **ვაც**-ბოტი, ზან. (ლაზ.) **ბორ**-ი → || **ორ**-ი „მამალი ცხვარი“, მეგრ. **ორ**-ი ← **ვორ**-ი „მამალი თხა“, სვან. **ღუაშ** „ხარჯიხვი“; სვანურში **ღ** ფონეტიკური დანართია **ჭ**-ს წინა პოზიციაში [თოფ. 1940: 49; თოფ. 1941: 233; ცაგ. 1880: 20; კლიმ. 1964: 82]. საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღდგება \***ჭაც**- ფუძე, რომელმაც გარკვეული ტრანსფორმაციებით დღემდე მოაღწია სამივე ქართველურ დიალექტში.

ს.-ქართვ. \***ჭაც**- „მამალი თხა/ცხვარი; ხარჯიხვი“

იჩქ. **უსთ** || **უსთუ** || **სთუ** „ხარი“, ინგ. **უსთ** "id", ბაცბ. **ფსტუ** „ხარი“; ბაცბური **ფ** ისტორიულად რედუცირებული **უ**-ს რეფლექსია — **უსთ**-უ → **უსთ**-უ → **ბსტ**-უ → || **ფსტ**-უ. ამდენად, საერთონახური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \***უსთ**-უ არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერად შეეფარდება ს.-ქართვ. \***ჭაც**-, შდრ. ს.-ქართვ. **ც** : ს.-ნახ. **სთ** (§ 31.3). ნახურ-ქართველურ ფუძეთა საერთო წარმომავლობა შენიშნულია ივანე ჯავახიშვილის მიერ [იხ. ჯავახ. 1937: 238-245].

ს.-ნახ. \***უსთ**-უ ← \***უსთ**-უ „ხარი“.

### ვედ-რ-ებ-ა

ქართ. **ვედ**-, **ვედ**-რ-ებ-ა, გ-ე-**ვედ**-რ-ებ-ი, მა-**ვედ**-რ-ებ-ელ-ი, ძვ. ქართ. გ-**ვედ**-ი-ან, გ-**ვედ**-ი-ე-თ, გ-**ვედ**-რ-ი-ა, სვან. **ჭად**- || **ჭად**-, **ჭად** „ნატვრა, სურვილი“, ლი-**ჭად**-ი || ლი-**ჭად**-ი „ნატვრა“, ი-**ჭად**-ი || ი-**ჭად**-ი „ინატრებს“; ზანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [ფენ.-სარჯ. 2000: 197]. საერთოქართველური ე-ს წილ სვანურში ფიქსირებული **წ** მე-

ორეული მოვლენაა და აიხსნება **ე** → **წ** → **|| ა** უკუმიმართულების უმლაუტით [იხ. ქალდ. 1969].

ს.-ქართვ. \***ჟედ-** „ნატვრა, ვედრება, სურვილი“

იჩქ. **ბ-ედ-**, **ბ-ედ-ა** || **ბ-ედ-არ** „დაფიცება“, **ბ-ედ-ა** „იფიცებს“, ინგ. **ბ-ედ-**, **ბ-ედ-ა** || **ბ-ედ-არ** „დაფიცება“, ბაცბ. **ბ-ად-**, **ბ-ად-ან** || **ბ-ად-არ** „დაფიცება“, **ბ-ად-ე-ს** „ვეფიცავარ“; ვაინახურ დიალექტებში იშვიათი ხმარების ზმნაა, ბაცბურში ჩვეულებრივ გამოიყენება. ნახური ენებისთვის სპეციალურად **ბ-** კლასნიშნიანი ფორმები ავარჩიეთ. ამით მივანიშნებთ ს.-ქართვ. \***ჟედ-** ძირის ანლაუტური **ჟ-**ს მორფოლოგიური კვალიფიკაციის შესახებ — \***ჟედ-** ← **წ-**ქართვ. \***ბ-ედ-**, შდრ.: ს.-ქართვ. \***უ-არცხ** „ვარცხნა“, \***ჟ-იწყ-** „დავიწყება“... ს.-ქართვ. \***ჟედ-** : ს.-ნახ. \***ბ-ად-** კანონზომიერი მიმართებაა როგორც სემანტიკური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით, შდრ. ს.-ქართვ. **ჟ** : ს.-ნახ. **ბ** (§ 23.2).

ს.-ნახ. \***ბ-ად-** „დაფიცება“.

### ვენ-ახ-ი

ქართ. **ვენ-ახ-ი** || **ვენ-აჯ-ი** „ვენახი“, ზან. **ბინ-ეხ-ი** ← \***ვინ-ოხ-ი** „ვენახი“, სვან. **ჟენ-აჯ** „ვენახი“; საერთოქართველური \***ჟინ-აჯ-** კომპოზიტი ჩანს და აღნიშნავს *ღვინის/ვენახის ბაღს* [ჩუხ. 2000-2003: 222]. გამოყოფილ \***ჟინ-** კომპონენტს უკავშირდება ს.-ქართვ. \***ღჟინ-** ← \***ჟინ-** „ღვინო“ [იხ. თოფ. 1941].

ს.-ქართვ. \***ჟინ-** „ვენახი; ღვინო“

იჩქ. **ჟენ-<sup>1</sup>**, ინგ. **ჟენ-<sup>1</sup>**, ბაცბ. **ვენ<sup>1</sup>** ← \***ვენ** „ღვინო“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსდგება \***ჟინ-** არქეტიპი, რომელიც მხოლოდ ბაცბურმა შემოინახა. ფონეტიკურ-სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა აღწერილ ნახურ-ქართველურ ალომორფთა საერთო წარმომავლობაზე უნდა მიგვიითიებდეს.

ს.-ნახ. \***ჟენ-** „ღვინო“.

### ვებ-ი

ქართ. **ვებ-**, **ვებ-ი** „ზღაპარი“, მე-**ვებ-ე** „მეზღაპრე“; **ვებ-**ს ზანურსა და სვანურში შესატყვისები არ უჩანს. შეიძლება დაიკარგა კიდევ. რამდენადაც ქართულ მონაცემს პარალელები ეძებნება მონათესავე ენებში, **ვებ-** ძირი საერთოქართველურიდან მომდინარე გვგონია.

ს.-ქართვ. \***ჟებ-** „ზღაპარი“

იჩქ. **აფ** „ნაკლი, ნაკლოვანება“; **აშფ-აშ** ← \***აფ-აშ** „სიცრუე, ტყუილი, გამოგონებული ამბავი“, ინგ. **ოაფ** || **ოაფ-აშ** „სიცრუე, გამოგონებული ამბავი“, ბაცბ. **აფ-უშ** „ტყუილი, სიცრუე“. ინგუშური **ოა** დიფთონგი სიტყვის თავში ლაბიალური მონაცემის ოდინდელ არსებობაზე უნდა უთითებდეს. იჩქერიულისთვის მხოლოდ pluralia tantum-ის ფორმებია ბუნებრივი.



ეს მაგალითიც მხარს უჭერს ს.-ქართვ. **პ** : ს.-ნახ. **ფ** კორესპონდენციის რეალურობას (იხ. § 25.2).

ს.-ნახ. **\**ჟაფ***- „სიცრუე, ტყუილი, გამოგონილი ამბავი“.

### ვერ-

ქართ. **ვერ-**, **ვერ** „უარყოფითი ნაწილაკი ვერ“, **ვერ**-ვინ, **ვერ**-ა-ვინ, **ვერ**-ც-ერთ-ი, ძვ. ქართ. **ვერ**-ლა, **ვერ**-ლარა; ზან. (მეგრ.) **ვა**- || ← **ვარ**-**"id"**, ლაზ. **ვა**- || **ვარ**-**"id"**: **ვა(რ)** ჭარ-ა „არ წერო“, **ვა(რ)** ჭკომ-ა „არ ჭამო“, **ვა(რ)** დინ-ა „არ დაიკარგო“... სვანური შესატყვისი ჭერაც არ ჩანს [ჭარ. 1895, XII: 103; შმიდ. 1962: 109; კლიმ. 1964: 83].

ს.-ქართვ. **\**ჟერ***- „უარყოფითი ნაწილაკი **ვერ/არ**“

იჩქ. **მა**- „უარყოფითი ნაწილაკი **არ**, იხმარება ზმნებთან“, ინგ. **მა**-**"id"**, ბაცბ. **მა**-**"id"**; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია **\**მა***- ნაწილაკი, რომელიც, როგორც ქართველურში, დაისმის ზმნის წინა პოზიციაში: ს.-ნახ. **მა** ლო „არ წახვიდე“, ს.-ნახ. **მა** დ-ო „ნუ აკეთებ“, ს.-ნახ. **მა** აღ-ო „არ თქვა“... ს.-ქართვ. **\**ჟერ***- : ს.-ნახ. **\**მა***- კანონზომიერი ფონეტიკურ-მოფროლოგიური შესატყვისობა ჩანს, შდრ. ს.-ქართვ. **ჟ** : ს.-ნახ. **მ** (§ 20.3), ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2); აუსლაუტური თანხმოვანი საერთონახურში ისევე, როგორც მეგრულში დაიკარგა.

ს.-ნახ. **\**მა***- „უარყოფითი ნაწილაკი არ/ნუ“.

### ვერცხ-ლ-ი

ქართ. **ვერცხ-ლ-** → || **ვერცხ-ლ-**, **ვერცხ-ლ-ი** **ვერცხ-ლ-ეულ-ი**, ძვ. ქართ. **ვერცხ-ლ-ი**, **ვერცხ-ლ-ეულ-ნ-ი**, **ვერცხ-ლ-ით-მო-სილ-ი**, **მო-ვერცხ-ლ-ულ-ი** (საბა); ზან. (მეგრ.) **ვარჩხ-ილ-ი** „ვერცხლი“, **ვარჩხ-ილ-ი** „ფული“, შდრ. სვან. (← მეგრ.) **ჟარჩხ-ილ** „ფული“; სვანური შესატყვისი ჭერაც არ ჩანს [ბროს. 1849: 74; ჩიქ. 1942: 51, 100; ფენ-სარჯ. 2000: 200]. ინლაუტური **რ** ფონეტიკური დანართი უნდა იყოს ქართულსა და ზანურში.

ს.-ქართვ. **\**ჟერცხ***-ილ- „ვერცხლი; ფული“

იჩქ. **ახჩა** || **ახჩა** (მრ. რ. **ახჩან-აშ**) „ფული“, ინგ. **ცახჩა** (მრ. რ.

**ცახჩა**-შ || **ცახჩან(აშ)** **"id"**, ბაცბ. **«*ახჩან*»**; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია **\**ჟარჩხ-ან***- არქეტიპი, რომელსაც თურქულ აქჩე „ფული“ სიტყვასთან არაფერი აქვს საერთო. ჩვენს ვარაუდს ამტკიცებს ჰურიტული **ოშხონე**, ურარტული **უშხუნე** „ვერცხლი“ ფორმათა შემოტანა საძიებელ სიტყვათა რიგში. ს.-ქართვ. **\**ჟერცხ***-ილ- : ს.-ნახ. **\**ჟარჩხ-ან***-კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკური კორელაცია ჩანს, შდრ. ბგერათ-შესატყვისობა ს.-ქართვ. **ჟ** : ს.-ნახ. **ჟ** (§ 20.2), ს.-ქართვ. **ე/ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **ნ** (§ 13.6).

ს.-ნახ. **\**ჟარჩხ-ან***- „ვერცხლი; ფული“.

### ვერძ-ი

ქართ. **ჟერძ-**, **ვერძ-ი** „მამალი ცხვარი“, ძვ. ქართული **ვერძ-ი** „მამალი, მამრი“, ზან. (მეგრ.) **ერჯ-ი** ← \***ორჯ-** „ვერძი, მამალი ცხვარი“; სვანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი [იხ. ჭარ. 1895, XII: 111; კლიმ. 1964: 84; ფენ-სარჯ. 2000: 200]. საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \***ჟარძ-** არქეტიპი, რომელსაც ზანურში **ორჯ-** უნდა მიეცა, მაგრამ გავრცელებული **ო** → **ე** (შდრ. **ოც-ი** : **ეჩ-ი** ← \***ოჩ-ი**, **ღორ-ი** : **ღეჯ-ი** ← **ღოჯ-ი**...) გადაბგერებით მეგრულში **ერჯ-** ალომორფი დამკვიდრდა.

ს.-ქართვ. \***ჟარძ-** „ვერძი; მამალი“

იჩქ. **ბუორძ** || **ბუორზ** || **ბორძ** „მგელი“, ინგ. **ბორძ** → || **ბორცა** "id", ბაცბ. **ბორწ** „მგელი“; საერთონახურისთვის აღსადგენია \***ბორძ-** არქეტიპი, რომელიც ს.-ქართვ. \***ჟარძ-** ფორმის ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია, შდრ. ს.-ქართვ. **ჟ** : ს.-ნახ. **ბ** (§ 23.2), ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** (§ 5.2), დალ., ლაკ. **ბარწ** „მგელი“. *მგელი* ~ *ვერძი* სემანტიკური შეფარდებისას მრავლისმთქმელია *მამრის შემტვეის* შინაარსი ქართველურში.

ს.-ნახ. \***ბორძ-** „მგელი“.

### ვერხვ-ი

ქართ. **ვერხუ-ი** || **ვერხვ-ი** || **ვერხვ**, ზან. **ვეხ-ი** ← \***ვარხვ-ი** „ვერხვი“, სვან. **ფერხუ-** ← \***ჟერხუ-**, **ფერხუ-** ლა „ვერხვი“; საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის აღვადგენთ \***ჟერხუ-** არქეტიპს, რომელიც სამსავე ქართველურ დიალექტში შემოგვენახა [კლიმ. 1998: 52; შდრ. ფენ-სარჯ. 2000: 201].

ს.-ქართვ. \***ჟერხუ-** „ვერხვი“

იჩქ. **მან** (მრ. რ. **მანან-აშ**, ქისტ. **მანან-იშ**) „ვერხვი“, ინგ. **მინ** || **მეხ** ← \***მანან** "id", ბაცბ. **მუნან** ← \***მონან** „მუნა“; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \***მანან-** არქეტიპი, რომელიც სრულად დაუცავს ქისტურ დიალექტს მრ. რ. ფორმაში. ს.-ქართვ. \***ჟერხუ-** : ს.-ნახ. \***მანან-** გამოაჩენს შემდეგ კანონზომიერ ბგერათშესატყვისობებს — ს.-ქართვ. **ჟ** : ს.-ნახ. **მ** (§ 20.3), ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2), ს.-ქართვ. **ჟ** : ს.-ნახ. **ნ** (§ 20.4). ქართულში სიტყვა **მუნა**, როგორც ეტყობა, ბაცბურიდან არის შეთვისებული.

ს.-ნახ. \***მანან-** „ვერხვი; მუნა“.

### ვეფხ-ი

ქართ. **ვეფხ-**, ძვ. ქართ. **ვეფხ-ი**, აქლემ-**ვეფხ-ი**, **ვეფხ-ის-ტყაოსან-ი**, ზან. (მეგრ.) **ვემხ-ი** || **ვემხვ-ი**; მეგრულსა და ახალ ქართულში დამახასიათებელია **ხ** ძირეული ფონემის მეორეული ლაბიალიზაცია **ფ/მ** ბაგისმიე-

რებთან ასიმილაციით, შდრ. ქართ. **შოთხ**-ი → || **შოთხე**-ი... საერთოქართველურში აღდგება **\*ჟემხ**- არქეტიპი, რომლისგანაც **მ**-ს კონტაქტური ასიმილაცია-დაყრუებით მივიღეთ ქართ. **ვეფხ**- ისევე, როგორც — **კემხა** → || **კეფხა, მხალ**-ი → || **ფხალ**-ი...

ს.-ქართვ. **\*ჟემხ**- „ვეფხვი“

იჩქ. **ჰერხ** „ავაზა“, ინგ. **ძერხ** "id", ბაცბ. **ერხ**; ბაცბური შესატყვისი აღდგება იჩქ. **ჰ** : ინგ. **ძ** : ბაცბ. **ვ** შესატყვისობის საფუძველზე შდრ.: იჩქ. **ჰოსთ** || **ჰუოსთ** : ინგ. **ძოსთ** : ბაცბ. **ვასთ** „სერი“, **ჰუ** : **ძუ** : **ვუ**-ხ „რა კითხვ. ნაცვალსახელი“... ამდენად, ს.-ქართვ. **\*ჟემხ**- : ს.-ნახ. **\*ჟერხ**- ბუნებრივ მიმართებად გამოჩნდება, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **მ** : ს.-ნახ. **რ** (§ 15.4).

ს.-ნახ. **\*ჟერხ**- „ავაზა“.

### ვეძ-ა

ქართ. **ვეძ**-, **ვეძ**-ა „მინერალური წყალი; მჟავე წყალი“, **ვეძ**-ის-ი (ტობ.), **ვეძ**-ა „მომჯაო წყარო ბუნებით“; „მჟავე/მლაშე წყალი/წყარო“ (საბა); ზან. (მეგრ.) **მენჯ**-ი „მჟავე წყალი“, **მენჯ**-ი (ტობ.), ლაზ. **მინჯ**-ი < **\*მენჯ**-ი „მარილიანი, მლაშე“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [ტ. გუდავა, ინ. კლიმ. 1973: 362]. საერთოქართველური ფუძეენისთვის აღსადგენია **\*ჟა(ნ)ძ**- არქეტიპი, რომელმაც **ა** → **ე** აბლაუტით ქართულში **ვეძ**- მოგვცა, ხოლო ზანურში **ა** → **ო** → **ე** განხორციელდა: **\*მონჯ**- → **მენჯ**-, შდრ. **ლოჯ**- → **ლეჯ** „ღორი“; **ოჩ**- → **ეჩ**- „ოცი“...

ს.-ქართვ. **\*ჟა(ნ)ძ**- „მჟავე წყალი“

იჩქ. **მურჯ**-ა<sup>5</sup> „მღვრიე“, „მინერალური წყალი“, ინგ. **მურ(რ)ჯ** || **მურუ** "id", ბაცბ. **მურჯ**-ი<sup>6</sup> „მღვრიე“, **მურჯ**-დარ „ამღვრევა“, **მურჯ**-ოლ „სიმღვრივე“; ვაინახურ ენებში **მურჯ**- ძირი გადაშენების გზაზეა, მის ადგილს **დარჯ**-ინ-ა „მღვრიე“ სინონიმური ფუძე იკავებს. საერთონახურისთვის აღსადგენია **\*მორჯ**- არქეტიპი. ს.-ქართვ. **\*ჟა(ნ)ძ**- : ს.-ნახ. **\*მორჯ**- ბუნებრივი შესატყვისობაა, შდრ. ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** (§ 5.2), ს.-ქართვ. **ჟ** : ს.-ნახ. **მ** (§ 20.3). ქართველურ *მჟავე წყლის* გაგებას ნახურში შემორჩენილი *მღვრიე (მინერალური)* წყლის სემა უდევს საფუძველად.

ს.-ნახ. **\*მორჯ**- „მღვრიე მინერალური წყალი“.

### ვინ-

ქართ. **ვინ**-, **ვინ**-ა, **ვინ**-მე, ძვ. ქართ. **ვინ**-ა-ჟ „საიდან“, **ვინ**-ა-ჟთ-გან „რა ღროიდან“; ზან.(ლაზ.) **მი** || **მინ**, **მინ** ორე(ნ) „ვინ არის“, მეგრ. **მი** || **მინ** „ვინ“, **მინ**-ი-ე „ვინაა“, **მინ**-ეფ-ი „ვინ-ებ-ი“; სვან. **ძარ** || **პარ** || **ძარ** „ვინ“; საერთოქართველურმა **ჟინ**-ა „ვინ“ არქეტიპმა სვანურში შემდეგი სახის ცვლილებები განიცადა: **ჟინ**-ა → **ჟერ**-ა → **ძარ**. რაც აიხსნება ამ ენისთვის დამახასიათებელი **ჟ** → **ჰ** || **ძ**, **ნ** → **რ** ფონეტიკური

გარდაქმნებით [იხ. ჩუხ. 2000-2003: 174].

ს.-ქართვ. \***ჴინ**-ა „ვინ“

იჩქ. **მილ**-ა (მრ. რ. **მიულ**-შ, ჰებ. **მინ**-ა) „ვინ“, ინგ. **მალ** „ვინ“, **მალ**-ა-ლ „ვინმე“, ბაცბ. **მენ** ←\***მენ**-ა "id", **მენ**-ა-ხ „ვილაცა“; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის აღსადგენია \***მინ**-ა არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერად შეეფარდება ს.-ქართვ. \***ჴინ**-ა. საყურადღებოა **ჴ** → **მ** ერთგვაროვანი ფონეტიკური გარდაქმნა ზანურსა და ფუძენახურში.

ს.-ნახ. \***მინ**-ა „ვინ“.

### ვიწყებ-ა

ქართ. **წყ**-, მ-**წყ**-დ-ებ-ა, მო-მ-**წყ**-დ-ა, **ვიწყ**-, მ-ა-**ვიწყ**-დ-ებ-ა, ი-**ვიწყ**-ებ-ს, და-ი-**ვიწყ**-ებ-ს, და-ჟ-**ვიწყ**-არ-ი; ზან. (მეგრ.) **ჴყ**-ორ-დ-, მე-**ჴყ**-ორ-დ-ჟ „შეწყდა“, გჟ-მ-ო-**ჴყ**-ორ-დ-გ „დამავიწყდა“, ლაზ. **ჴკ**-ონ-დ ←\***ჴყ**-ონ-დ-; ქა-გ-ო-**ჴკ**-ონ-დ-ჟ „დაავიწყდა“, გო-მ-ო-**ჴკ**-ონ-დ-ჟ „დამავიწყდა“; სვან. **შყ**-ელ- ←\***ჴყ**-ელ-, **შყ**-ელ-ენ-ი „ვარდება“, ლი-**შყ**-ელ „ვარდნა“, შდრ. ლი-**შყ**-ელ „გახსენება“; ქართულში შემონახულია ზმნის უძველესი პრეფიქსაცია. დღეს უფუნქციო ქართ. **ვი**- (შდრ. **ვა**-, **ვა**-რცხნ-ა) პრეფიქსის კვალი არ ჩანს ზანურ-სვანურში [ჩიქ. 1938: 416; მაჭ. 1965: 48].

ს.-ქართვ. \***ჴიწყ**- „დავიწყება“

იჩქ. ლა-**ჴყ**-, ლა-**ჴყ**-ა<sup>ნ</sup> „დამალვა; მოპარვა“, ლა-**ჴყ**-ჟო<sup>ნ</sup> "id", ლა-**ჴყ**-ორ "id", ინგ. ლო-**ჴყ**-, ლო-**ჴყ**-არ "id", ლო-**ჴყ**-ჟო "id", ბაცბ. ლა-**ჴყ**-, ლა-**ჴყ**-დალარ „დამალვა“, ლა-**ჴყ**-დარ „დამალვა (დამალავ)“, ლა-**ჴყ**-ოშ „მალვით, ფარულად“; საერთონახურში აღსადგენია \***ლაჴყ**- ზმნური არქეტიპი, რომლის ლა- პრეფიქსი ფუნქციურად შეეფარდება ს.-ქართვ. **ჴი**-ს, შდრ. ხუნდ. **წოჴ**- „ქურდი“, არჩიბ. **წიხ**-დი „მალვით, პარვით“. *მალვა/მოპარვასა და დავიწყებას აერთიანებს გაუჩინარების სემა.*

ს.-ნახ. \***ლაჴყ**- „მალვა, პარვა“.

### ვლთ-ობ-ა

ქართ. **ვლთ**-, ძვ. ქართ. გან-**ვლთ**-ობ-ა „გაყოფა“, გა-**ვთ**-ულ-ი „გაყოფილი“, ნი-**ვთ**-ი, ზან. **რთ**-, ო-კო-**რთ**-ჟ „გაყოფა; გაყო“, გჟ-ნო-**რთ**-ი „განყოფი“, ო-კო-ბ-**რთ**-ა-თ „გავყო“, სვან. ლ<sup>ნ</sup>-**თ**-ე ← ლი-**ჴთ**-ე „გაყოფა“, ნ<sup>ნ</sup>-**თ**-ი ←\*ნ<sup>ნ</sup>-**ჴთ**-ი „ნაწილი“, ხ<sup>ხ</sup>-**თ**-ი ←\*ხ<sup>ხ</sup>-**ა**-**ჴთ**-ი „გყოფ“; ქართველურ ფუძეთა შედარებითი ანალიზის შედეგად სამართლიანად აღადგენენ \***ჴლთ**- ფუძეენურ არქეტიპს [იხ. ჩიქ. 1938: 309; კლიმ. 1964: 85].

ს.-ქართვ. \***ჴლთ**- „გაყოფა, გამოცალკევება“

იჩქ. თით-, თით-ა<sup>ნ</sup> || თით-არ „ახსნა, ამოხსნა, გადაწყვეტა“, ინგ. თით-ა "id", ბაცბ. **თით**-; საერთონახურში აღსადგენია \***დ-ით**- კლასნიშნიანი ზმნური არქეტიპი, რომლის ბ-ით- ბ- კლასნიშნიან სახეობასაც

მიესადაგება ს.-ქართვ. \***ჟლთ**- პროტოტიპი, შდრ. ხუნძ. **ბუტა** „ნაწილი“, დარგ. **ბ-უტ**- „განაწილება“...

ს.-ნახ. \***ბ-ით**- „ახსნა, ამოხსნა, გადაწყვეტა“.

### ვლტ-ობ-ა

ქართ. **ვლტ**-, და-**ვლტ**-ობ-ა → || და-**ლტ**-ობ-ა „დასველება“, ზან. (მეგრ.) **რტ**- ←\***ჟლტ**-, **რტ**-უ-აფ-ა „დასველება, წყლით გაჭერება; და-ლბობა“, **რტ**-უ-აფ-ილ-ი, ო-**რტ**-უ-აფ-ალ-ი; სვანურში დღემდე ვერ გამოვლინდა შესაბამისი ფუძე [იხ. კლიმ. 1964: 122; ფენ.-სარჯ. 2000: 205].

ს.-ქართვ. \***ჟლტ**- „დასველება; წყლით გაჭერება; დალბობა“

იჩქ. **ბოდ**-დან „გამოდნობა, დადნობა“, ინგ. **ბოდ**-დე "id", ბაცბ. **ბოდ**-და<sup>ნ</sup>; ბაცბური ფუძე დაკარგული ჩანს.

შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით, კანონზომიერია ს.-ქართვ. **ჟ** : ს.-ნახ. **ბ** შეფარდება (იხ. აქვე § 23.2). ასევე ბუნებრივად გვეჩვენება შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე: **დალბობა** ~ **დნობა**.

ს.-ნახ. \***ბოტ**- „დნობა; გათხევადება“.

### ვნ-ებ-ა

ქართ. **ვნ**-, **ვნ**-ებ-ა, მა-**ვნ**-ე, ზან. (მეგრ.) **ნ**- ←\***ვნ**-, მო-**ნ**-უ(ნ) „მავნებს, მაწყენს“, სვან. **ჟინ**-, მა-**ჟინ** || მპ-**ჟინ** „მავნე“; საერთოქართველური მდგომარეობა უცვლელად არის შენარჩუნებული სვანურში. ვფიქრობთ, ფუძე-ენისთვის აღსადგენია \***ჟინ**- არქეტიპი. სხვაგვარი რეკონსტრუქციისთვის შდრ. ფენ.-სარჯ. 2000: 205.

ს.-ქართვ. \***ჟინ**- „ვნება, წყენა“

იჩქ. **ვუნ** ←\***ვად**-ონ „ცუდი; უბედურება“, ინგ. **ვონ** ←\***ვად**-ონ "id", ბაცბ. **ვად**-ონ „მავნე, მაწყინარი“, **ვად**-ოლ „წყენა“, **ვად**-ოლ „წყენა“, **ვად**-ოლ-წი<sup>ნ</sup> „უწყინარი, უვნებელი“; საერთონახური მონაცემი თითქმის უცვლელად ბაცბურში არის შენარჩუნებული. ს.-ქართვ. \***ჟინ**- : ს.-ნახ. \***ჟად**- კანონზომიერი მიმართება უნდა იყოს, შდრ. ბგერათმესატყვისობა ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3), ს.-ქართვ. **ნ** : ს.-ნახ. **დ** (§ 16.5).

ს.-ნახ. \***ჟად**- „ვნება, წყენა“, \***ჟად**-ონ- „მავნე“.

### ვრც-ელ-ი

ქართ. **ვრც**-, **ვრც**-ელ-ი, სი-**ვრც**-ე, ა-**ვრც**-ელ-ებ-ს, გან-ა-**ვრც**-ო, ზან. (ლაზ.) **ფირჩ**-ე „დიდი“, ლექე **ფირჩ**-ე „დიდი ლაქა“, მეგრ. **ფირჩ**-ალ-ი || **ფირჩ**-ა || **ფინ**-ა(ლი) „ვრცელი, გაშლილი, დიდი“, ო-**ფინ**-ინ-უ-ან-ს პის „პირს აღებს“, სვან. **ფიშ**-ირ „მრავალი, ბევრი“, **ფიშ**-რ-ობ „სიმრავლე“, მ-**ფიშ**-ირ-ე „ამრავლებს“; ზანურსა და სვანურში დაცულია შრედუქციო ძირები, რაც საერთოქართველური მდგომარეობიდან მომდინარეობს, შდრ. ფენ.-სარჯ. 2000: 206.

ს.-ქართვ. \***ჭირც**- „ვრცელი, ფართო“; „დიდი/მრავალი“  
 იჩქ. **ბარჩ** „ფართო“; „საპატიო ადგილი“, **ბარჩ**-ჲ დოტლა „საპა-  
 ტიო ადგილის დაკავება“, **ბარჩ**-ან-იგ „ფართო, საპატიო“, ინგ. **ბარჩ** "id",  
**ბარჩ**-ჲ "id", ბაცბ. **ბარჩ** "id", **ბარჩ**-ოლ „მოხერხება, უნარი“; *სივრცის*  
 შინაარსი საკმარისად არის გამოკვეთილი ორივე ჯგუფის ენებში, რაც  
 აერთიანებს განხილულ ფუძეთა სემანტიკას — შდრ. ხუნძ. **ბეჩედა**- „მდი-  
 დარი“, შდრ. ქართ. **დიდი**-ი ~ მ-**დიდი**-არ-ი. საყურადღებოა ს.-ქართვ. **ჭ** :  
 ს.-ნახ. **ბ** შესატყვისობა, რომელიც სხვაგანაც მეორდება (იხ. § 23.2).  
 ს.-ნახ. \***ბარჩ**- „ფართო, საპატიო, მოხერხებული“.

### ვს-ებ-ა

ქართ. **ვს**-ებ-ა, და-**ვს**-ებ-ა, ძვ. ქართ. **ვს**-, ი-**ვს**-ეს, აღ-**ვს**-ებ-ად, სა-  
**ვს**-ე-ჲ, და-ი-**ვს**-ო-ს, ზან. **ვშ**- ←\***ვშ**-, ი-ო-**ვშ**-უ „ავსო“, ო-**ვშ**-ა || ე-**ვშ**-ა ||  
 გო-**ვშ**- „სავსე“, ო-ი-**ვშ**-უ || ე-ი-**ვშ**-უ „გაივსო“, სვან. **გუშ**- ←\***გუშ**- „გავსე-  
 ბა“, **გუშეშ**-ი || **გოშ**-ი „სავსე“; საერთოქართველურ არქტიპად აღღებია  
 \***ვს**- ზმნური ძირი [იხ. ცავ. 1880: 5; ჩიქ. 1938: 333; თოფ. 1941: 233]. სვა-  
 ნური **გ** ფონეტიკური დანართი ჩანს **ვშ**-ს წინა პოზიციაში.

ს.-ქართვ. \***ვს**- „გავსება, სავსე“

იჩქ. **ღ-ვს**-არ ←\***ღ-უ-ვს**-არ „გავსება, გაბერვა“, სო-**ვს**-არ "id",  
 სო-**ვს**-უო „ბერვა“, ინგ. **ღ-ო-ვს**-არ "id", სო-**ვს**-არ "id", ბაცბ. **ღ-ე-ვს**-  
 არ/ღ-ო-**ვს**-არ სრ. ასბ. "id"; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის  
 აღვადგენთ \***ვს**- ზმნურ ძირს, რომელსაც კანონზომიერად შეეფარდება  
 ს.-ქართვ. \***ვს**- ფორმა. აღწერილ ძირებს ფონეტიკურ-სემანტიკური იდენ-  
 ტურობა ახასიათებთ. ყურადღებას იქცევს **ვშ** → **ვს** ერთგვაროვანი  
 ფონეტიკური გარდაქმნა ზანურსა და ბაცბურში.

ს.-ნახ. \***ვს**- „ვსება, ბერვა“.

### ზალ-ა

ქართ. **ზალ**-, **ზალ**-ა „შარავი, ვითარცა წყალი“, ფშ. **ზალ**-ა „წყალი  
 (მარილიანი)“; ზან. (მეგრ.) **ჟვერ**-ი „სველი“, **ჟვერ**-ამ-ი „წყლიანი“, **ჟვარ**-  
**ჟვალ**-ი || **ჟორ**-ჟოლ-ი || **ჟვერ**-უ-ა „წვეთება, წყლის სხმევა“, ი-**ჟვარ**-  
**ჟვალ**-უ(ნ) „სველდება; წყალს აქცევს“; სვან. **ჟგრ**- || **ჟირ**-, ხ-ე-**ჟრ**-ი  
 „უსველდება“, ხ-ე-**ჟრ**-ი „სწყალობს“, მგ-**ჟირ** „სველი, სისველე“, მგ-**ჟრ**-ი  
 „შემცოდებელი“ ← ეტ. „შემწყალებელი“, ლე-**ჟრ**-ი „საცოდავი, საბრალო“ ←  
 ეტ. სა-**წყალ**-ი, **ჟგრ** „წყალობა“ ← ეტ. **წყალ**-ი, შდრ. ქართ. **წყალ**-ი →  
**წყალ**-ობ-ა, შე-**წყალ**-ებ-ა, სა-**წყალ**-ი, მ-**წყალ**-ობ-ელ-ი (ი. ჭავჭავაძე); იხ.  
 ჩუხ. 2000-2003: 183.

ს.-ქართვ. \***ზალ**- „წყალი“; „შარავი“

იჩქ. **სჰლ**-ა „წალა, ჟუჟღი“, ინგ. **სჰელ** ←\***სჰლ** „შარავი“, ბაცბ.

„სოლ-ე“; ბაცბური ეკვივალენტი აქაც გვაკლია. მასზე წარმოდგენას გვიქმნის ქებერლოური სოლ-ი. საერთონახურ არქეტიპად აღვადგენთ \*ზოლ-ე ფორმას, რომლის თავკიდური მჟღერი ფრიკატივი თანამედროვე ნახურ დიალექტებში ყველგან დაყრუვდა — ზ → ს (იხ. აქვე, ზვაგ-ი). სემანტიკურ იდენტურობას მხარს უჭერს ბგერათშესატყვისობათა ჩვენებაც, შდრ. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ო (§ 5.2).

ს.-ნახ. \*ზოლ-ე „წალა, მარავი“, "суковица".

### ზარ-ი

ქართ. ზარ-, ზარ-ი „რვალის სარეკელი“ (საბა), „სამგლოვიარო, უსიტყვო გალობა... მოთქმის ტირილი“ (ქეგლ-ი), ზან. (მეგრ.) ზორ-, ზორ-ი „საყვირის ხმა“, სვან. ზწარ || ზარ „ზარი; სამგლოვიარო ჰიმნი“; საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება \*ზარ-არქეტიპი [ფენ.-სარჯ. 2000: 208].

ს.-ქართვ. \*ზარ- „ზარი; ხმით, უსიტყვოდ გალობა/ჰიმნი“

იჩქ. აზ (მრ. აზნ-აშ, ქისტ. აზ — აზნ-აშ, ჰებ. აზ — აზნ-იშ)

„ხმა“, ინგ. ოაზ ← \*აზნ "id", ბაცბ. აზ (აზნ-იშ) "id"; საერთონახური ფუძე-ენისთვის აღვადგენთ \*ა-ზან- არქეტიპს, რომლის წინამავალი ხმოვანი რედუქციის მომდევნო საფეხურზე ნახურ დიალექტებში დაგრძელდა, შდრ. ა → ოა ინგუშურში [სომერ. 1934, VII: 195]. ს.-ქართვ. \*ზარ- : ს.-ნახ. \*ა-ზან კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკური მონაცემი ჩანს. ანლაუტური ა საკუთრივ ნახური უნდა იყოს, შდრ. ასევე აფხ. აჟა (ბზიფ. აზ,ა), აბაზ. აჟჟა „სიტყვა; მეტყველება“.

ს.-ნახ. \*ა-ზან- „ხმა“, "звук".

### ზე-

ქართ. ზე-, ზე-და, ზე-ნა, ზე-მო, ზე-(ვ)ით, ზე-დ, ზან. (მეგრ.) ჟი-„ზე-“, ჟი-დო „ზემოთ; ზედ“, ჟი-ნო „ზენა“, ლაზ. ჟი- „ზე-“, ჟი-ნ „ზე-ვით“, ჟი-ნ-დო „ზემოთა“, სვან. ჟი-„ზე-“, ჟი-ბე „ზევითა, ზედა“, ჟი-ხი „ზემოთკენ“; საერთოქართველურში აღსადგენია \*ზე- არქეტიპი [იხ. ცაგ. 1880: 62; დეეტ. 1930: 16; კლიმ. 1964: 90; ფენ.-სარჯ. 2000: 221].

ს.-ქართვ. \*ზე- „ზემოთ; მეტობა; ზეობა“

იჩქ. -ზა „ჯერ“, შოტ-ზა-ტყა „ორმოცი“, ზედმიწ. ორჯეროცი, ჯუ-ზა-ტყა „სამოცი“ = სამჯეროცი, ინგ. -ზა, შოტ-ზა-ტყა "id", ჯოტ-ზა-ტყა "id", შდრ. ვაინაზ. შო-ზა „ორჯერ“, ჯო-ზა „სამჯერ“.., ბაცბ. შაუ-ზ-ტყ „ორმოცი“, ჯოუ-ზ-ტყ „სამოცი“... საერთონახური \*-ზა სუფიქსი ჯერობაშემტობას აღნიშნავდა, რითაც შესამჩნევად უახლოვდება ქართველურ ზეობა სემანტემას. ამიტომაც, ს.-ქართვ. \*ზე- : ს.-ნახ. \*-ზა კანონზომიერი ფორმალურ-სემანტიკური შეფარდება გვგონია.

ს.-ნახ. \*-ზა „ჯერობა, მეტობა; გამრავლება“.

## ზეცა

ქართ. **ზეცა** ← \***დეცა** „ზეცა“, სვან. **დეც** ← \***დეცა** „ცა“; ზანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. ქართული **ზეცა** მიმდინარეობს საერთოქართველური \***დეცა** არქეტიპისაგან, რომლის ამოსავალი ანლაუტური **დ** გახმოვანება სვანურში უცვლელად არის შემონახული [როგ. 1953: 57-65, შდრ. შმიდ. 1962: 148; კლიმ. 1964: 222; მაჭ. 1965: 33].

ს.-ქართვ. \***დეცა** „ზეცა, ცა“

იჩქ. **მარშ** || **მარჩ** „ზეცა, მაღლა ცა“, შდრ. ქისტ. **ერჩ** ← **მარჩ** "id", ინგ. **მარშ** ← \***მარჩ** „ზეცა, ზენაართ სამყოფი“, ბაცბ. **მარჩ**; ბაცბურში მოსალოდნელი **მარჩ** ალომორფი დაიკარგა. საერთონახური ენობრივი ერთიანობისთვის აღსადგენია \***მ-არჩ**-, რომელიც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \***დეცა** ფორმისა, შდრ. ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2); ს.-ქართვ. **ც** : ს.-ნახ. **ჩ** (§ 30.2). ანლაუტური **დ**- ს.-ქართვ.-ში და **მ**- ს.-ნახ.-ში ფუძესშეხორცებული გრამატიკული კლასის ნიშნებია.

ს.-ნახ. \***მ-არჩ**- „ზეცა“.

## ზვავ-ი

ქართ. **ზუავ**-, **ზვავ**-ი „დიდ გროვად წამოსული, ჩამორღვეული თოვლი“, „თუმცა გაზაფხულ თოვლი შეყინული ჩამოიზვლა, მას უწოდენ ზვავსა“ (საბა); სვან. **ჟჷჷ** || **ჟაჷ** || **ჟჷ** „ზვავი“, **ჟჷჷ**-ბაბა || **ჟაჷ**-ბაბა „ზვავ-ქარი“; ქართულ-სვანურ ფუძეთა ნათესაობა ცნობილი ფაქტია [აბ. 1949: 294]. აქვე შემოსატანია მეგრული **შუმონ**-ი ← \***ჟოვ**-ონ-ი „ზვავი“, შდრ. აგრეთვე მეგრ. **შუმინ**-ი „წვიმა ერთგვარი“. სვანური ალომორფებიდან შედარებით ძველი ჩანს **ჟჷჷ**, რომელიც ისტორიული **ჟჷჷ**-სგან მივიღეთ — აუსლაუტში განხორციელებული **ჟჷ** → **ჷ** გარდაქმნით, შდრ. ქართ. ბუჯი : სვან. ლუჷ : ლაზ. ბლუ [ჩუხ. 2000: 336, 269-270].

ს.-ქართვ. \***ზაჷ**- „ზვავი, თოვლი (შეყინული)“

იჩქ. **მ-ის** (მრ. რ. **მსარ**-შ, ჰებ. **მსირ**-ეშ) „თრთვილი“, ინგ. **მ-ის** (მრ. რ. **ასარ**-შ) "id", ბაცბ. **მ-იზ**; ბაცბური შესატყვისი აქაც გვაკლია. საერთონახური არქეტიპი \***ა-ზირ**- სახეობისა უნდა ყოფილიყო, რასაც დალესტნური ინფორმაციაც ამოწმებს, შდრ. დალ.: ხუნძ. **მაზუ** || **მაჷჷ**, ანდ. **ანჷი**, კარ. **ანჷე** „თოვლი“... [ბოკ. 1981: 23], სადაც მჷდერი **ზ** → **ჷ** ძირეული თანხმოვანი დაცულია. აუსლაუტური **რ** ნახურში ს.-ქართვ. **ჷ**-ს შესატყვისი ჩანს (§ 14.5). ამდენად, ს.-ქართვ. \***ზჷაჷ** ← \***ზაჷ**- „ზვავი“ : ს.-ნახ. \***ა-ზირ**- „თრთვილი“ ბუნებრივი სემანტიკურ-ფონეტიკური მიმართებაა (**ა** : **ი**, § 5.4) — შდრ. ქართ. **თრთვილი**-ი ← \***თოვ-თოვ**-ილ-ი (რედუბლ.).

ს.-ნახ. \***ა-ზირ**- „თრთვილი“.



## ზვინ-ი

ქართ. **ზუინ-**, **ზვინ-** „მაღლად დადგმული დიდი გროვა თივისა, ძნისა“, **ზვინ-**ავ-ს, **ზვინ-**ულ-ი, ზან. (მეგრ.) **რზვენ-**, **რზვენ-**უ-ა „ზვინვა“, **რზვენ-**ილ-ი „დაზვინული“, ლაზ. **ზენ-**ი "id"; სვანური შესატყვისი გამოსავლენია. მეგრულ სახეობაში **რ-** ვიბრანტი ფონეტიკური დანართი ჩანს, ხოლო **ი** → **ე** დამახასიათებელი ბგერათპროცესია ზანურში.

ს.-ქართვ. \***ზუინ-** „ზვინი“

იჩქ. **ჟირ** (ქისტ. **ჟუმარ**) „ბზე“, ინგ. **ჟვრ** || **ჟირ** "id", ბაცბ. **ჟურ**. ქისტური დიალექტის **ჟ** გახმოვანება ისტორიული **ჟი** თანმიმდევრობის გამომდინარე ჩანს. ბუნებრივია ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ნ** : ს.-ნაზ. **რ**, იხ. აქვე, § 16.4. ასევე კანონზომიერად გვესახება სემანტიკური კორელაცია: **ზინი** ~ **ბზე**.

ს.-ნაზ. \***ჟუირ-** „ბზე“.

## ზომ-ი-ერ-ი

ქართ. **ზომ-**, **ზომ-**ა, სა-**ზომ-**ი, გა-**ზომ-**ვ-ა, ძვ. ქართ. **ზომ-**ი „ზომა; ოდენი“, **ზომ-**ა „გაზომვა“, **ზომ-**თ-საბელ-ი „თოკი“, **ზომ-**ით-ი „ზომიერი“; ზან. (ლაზ.) **ზუმ-** → || **ზიმ-**, ბ-**ზუმ-**უმ || ბ-**ზიმ-**უმ „ვზომა“, ო-**ზუმ-**აშ-ე „საზომი“, მეგრ. **ზემ-** || **ზიმ-**, **ზემ-**უ-ა „ზომვა“, მო-**ზიმ-**აფ-ა „მორგება, მოზომვა“, ჩქიმ-**ზუმ-**ა || **ზემ-**ა = ჩემ-**ზომ-**ი, შდრ. ძვ. ქართ. **ზომ-**ი „ოდენი“; სვან. **ზემ-**, ლი-**ზემ-**ე „ზომვა“, ლგ-**ზემ-**ე „გაზომილი“, **ზემ-**არ || **ზემ-**რ-აშ || **ზემ-**არ „ზომიერი; მომცრო“, **ზემ-**არ-დ „ზომიერად“ [იხ. ერკ. 1895: 303; ჩქ. 1938: 276, კლიმ. 1964: 88]. საერთოქართველურ **ზომ-** ძირს *ზომიერ-მომცროს* ნიუანსი ძველ ქართულშივე უდასტურდება.

ს.-ქართვ. \***ზომ-** „ზომვა; ზომიერი; მომცრო“

იჩქ. **ჟიმ-**ა „პატარა; ასაკით მცირე“, **ჟიმ-**ა „არც ისე ბევრი, ზომიერი“, "немного", **ჟიმ-**ალა „ზომიერი (небольшой) ნაჯახი“, ინგ. **ზჰამ-**, **ზჰამ-**იგ || **ზჰამ-**იგ „პატარა“, **ზჰამ-**აშ „უმცროსი“, ბაცბ. **ჟომ-**, **ჟომ-**ე<sup>ნ</sup> „პატარა, მცირე; უსაკო“, **ჟომ-**ე<sup>ნ</sup>-კაც „მომცრო“; საყურადღებოა **ზ** || **ჟ** ნახურ დიალექტებში. ინგუშურში **ო-**ს დაშლამ მოგვიანებით თანხმონის მომდევნო პოზიციაში **ჰა** თანმიმდევრობა მოგვცა — **ზომ-** → \***ზჰამ-** → **ზჰამ-**. საერთონახური \***ჟომ-** კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკური შესატყვისია ს.-ქართვ. \***ზომ-** არქეტიპისა. *სიმცირის* გაგება ორივე ჯგუფის ენებში საგრძნობია.

ს.-ნაზ. \***ჟომ-**ენ „მომცრო; ზომიერი; მცირე“, \***ჟომ-** „დაპატარავება“.

## ზრზ-ოლ-ა

ქართ. **ზრზ-**, **ზრზ-**ოლ-ა, ძვ. ქართ. **ზრზ-**ოლ-ა-ა, ზან. (მეგრ.) **ჟარჟ-**, **ჟარჟ-**ალ-ი „ჟრჟოლა“, გუ-მ-ა-**ჟარჟ-**ალ-უ-აფ-უ „მაზრზოლებს“, მ-ა-**ჟარჟ-**ალ-უ „თრთის“, დ-**ჟარჟ-**ალ-უ „დაიზანზარა“; სვანური შესა-

ტყვისი არ არის გამოვლენილი. საერთოქართველურ არქეტიპად აღდგენილია \***ზერზ**- [ფენ.-სარჯ. 2000: 222].

ს.-ქართვ. \***ზერზ**- „ზრზოლა, თრთოლა“

იჩქ. **ზუზ** „თრთოლა, ზრზოლა“, ინგ. **ზუზ** "id", ბაცბ. **ზუზ** „ნაღვლიანი ღიღინი“, **ზუზ** აღარ „ნაღვლიანი ღიღინის თქმა“; საერთონახური ენობრივი ერთობისთვის აღვადგენთ \***ზუზ**- არქეტიპს. ხმაბაძვითი სიტყვაა ორივე ჯგუფის ენებში, ალბათ ამიტომ გვაქვს შეუსაბამობა ხმოვნურ შეფარდებაში — ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. უ.

ს.-ნახ. \***ზუზ**- „თრთოლა, ზრზოლა; სევდა/კრთომა“.

### ზულ-ევ-ა

ქართ. **ზულ**-, ძვ. ქართ. **ზულ-ევ-ა** „ჩავარდნა“, მ-**ზულ**-არ-ი „მეწყერი“, და-**ზულ**-ებ-ა „დაშლა; დანგრევა“, და-**ზულ**-ე-ულ-ი „დანგრეული“, ზან. (ლაზ.) **ჟულ**- ← \***ჟუოლ**-, მე-**ჟოლ**-უ || მე-**ჟოლ**-უ || მე-**ჟირ**-უ „დაშლა“, მი-**ჟულ**-ე-ენ „გადავარდნილა“; იხ. კარტ. 2005: 202; აქვე შემოდის სვანური **ჟომ**- ←\***ჟუალ**- „დაშლა, რღვევა“ ზმნა: ი-**ჟომ**-ი „იმლება“, ა-**ჟომ**-ე „არღვევს“, ლი-**ჟომ**-ე „დაშლა, რღვევა“; იხ. ჩუხ. 2000-2003: 185.

ს.-ქართვ. \***ზუალ**- „ჩავარდნა, დაცურება, დაშლა/რღვევა/ნგრევა“

იჩქ. **ლაჟუა**<sup>ნ</sup>/**ლეჟა**<sup>ნ</sup>, მოსხლეტა“, ინგ. **ლოჟუა** „დაცურება“, ბაცბ. **ლაბჟ**-/**ლებჟ**-, **ლაბჟ**-დ-არ „დაცურება“, მოსხლეტა“; საერთონახური ენობრივი მდგომარეობისთვის აღსადგენია \***ლაჟუ**- არქეტიპი **დაცურება/მოსხლეტის** მნიშვნელობით, რომელიც ე. წ. შებრუნებული სახეობაა (იხ. § 3) ს.-ქართვ. \***ზუალ**- ძირისა; შდრ. ბგერათმეცნიერების ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ა (§ 5.1), ს.-ქართვ. **ზ** : ს.-ნახ. **ჟ** (§ 30.4).

ს.-ნახ. \***ლაჟუ**- „დაცურება, მოსხლეტა“.

### ზურ-ა

ქართ. **ზურ-ა**, ზან. **ზურ-ა** „დედალი; მხდალი“, სვან. **ზურ-ა**-მ „დედალი“, **ზურ**-ალ „ქალი“; ქართულში მოსალოდნელი **ზურა** სიტყვა არ არის შემონახული [იხ. ყიფშ. 1914: 238].

ს.-ქართვ. \***ზურ**-ა „დედალი, ქალი“

იჩქ. **ჟაჟერ**-უო || **ჯაჟერ**-უო „ქვრივი ქალი“, ინგ. **ჟერ**-უო || **ჯერ**-უო "id", ბაცბ. **ჟერ**-ო „ქვრივი ქალი“;

ხმოვნებში ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **ე** მიმართება რამდენადმე მოულოდნელია, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ლაბიალიზაციის მოშლის შესაძლებლობას ნახურ ენებში, ყველაფერი გასაგები ხდება — ს.-ნახ. \***ჟერ**- ←\***ჟუერ**- ←\***ჟორ**-.

ს.-ნახ. \***ჟუერ**-ო „ქალი (ქვრივი)“.

## ზღვა

ქართ. **ზღვა**, ძვ. ქართ. **ზღუა-ღ**, ზან. (ლაზ.) **ზოლა** || **მზოლა** „ზღვა“, სვან. **ზულუა** → || **ძულუა** „ზღვა“; ლაზურის **ო** განზოგანება იმაზე მიუთითებს, რომ საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \***ზალუა** ორმარცვლიანი ფუძე. სვანურში **უ** განზოგანება მიღებული ჩანს ა-სგან მომდევნო **ჟ**-სთან ასიმილაციით: **ზულუა** ← \***ზალუა**, შდრ. ქართ. **თავუ** : სვან. **შდუგუ** ← \***შთავუ**... იხ. ჩიქ. 1938: 185 კლიმ. 1964: 89; ფენ.-სარჯ. 2000: 218. მეგრული სახეობა უნდა ჩანდეს ჰიდრონიმ **ზორლა-თ**-ში (გალი, ზუგდიდი).

ს.-ქართვ. \***ზალუა**- „ზღვა“

ჩიქ. **ჟალა** „ჭვიშა (მსხვილი)“, ინგ. **ჟაღ** „ღორღი“, ბაცბ. «**ჟალა**»; ნახურ ენებში **ზღვა** → **ჭვიშა** სემანტიკური გადაწევა გამოწვეულია ზღვასთან შეხების არქონით, ანუ ისტორიული საცხოვრისის ცვალებით. თუმცა სემანტიკური კორელაცია **ზღვა** ~ **ჭვიშა** უამისოლად კანონზომიერი. ნახურ ენებში ლაბიალური სეგმენტის კვალი არ ჩანს.

ს.-ნახ. \***ჟალა** „ჭვიშა“.

## ზღუდე

ქართ. **ზღუდ-**, **ზღუდ-ე**, ზან. **ზღუდ-ე** "id", სვან. **ზღუიღ** || **ძღუიღ** „ზღუდე“; შდრ. ქართ. **ზღვარ-ი**, **ზღურ-ბლ-ი**.

ს.-ქართვ. \***ძღუდ-ე** || \***ძღურ-** „კედელი, ღობე, ზღუდე; ზღვარი“

ჩიქ. **ძჳარა** „ჭიშკარი“, ინგ. **ძჳორა** "id", ბაცბ. «**ძჳორა**»; ბაცბური ეკვივალენტი აქაც დაგვაკლდა.

ქართველურში შენიშნული **ღ/რ** სუბსტიტუცია საყურადღებო გვგონია.

ს.-ნახ. \***ძჳორა**-ა „ჭიშკარი“.

## თავ-თავ-ი

ქართ. **თავ-**, **თავ-ი**, **თავ-თავ-ი**, **თავ-და** (**თავ-და-ყირა**), ზან. **თი** „თავი; თავ-თავი“, **თუ-ღო** || **თუ-ღუ** „თავდა“, სვან. **შდაჟ** || **შდა** „თავ-თავი“, ჩერ-**შდა** „თითის ტარი“, **შდნჟ**-შ „ცალკე“ [იხ. თოფ. 1926: 201].

ს.-ქართვ. \***თაჟ**- „თავ-თავი, თავი“

ჩიქ. **თუმ** (მრ. რ. **თამ-არ-შ**) „სიმინდის თავი (ტარო)“, ინგ. **თუმ** "id", ბაცბ. «**თუმ**»; იქვერიული მრ. რიცხვის **თამ**- სახეობა არქაულ, ფუძენახურ მდგომარეობას ასახავს.

ს.-ნახ. \***თამ**- „სიმინდის თავი“.

## თათ-აბ-ო

ქართ. **თათ-**, **თათ-აბ-ო**, მოხ. **თათ-ამ-ა-ღ** „ნაცარქათამა“, ზან. **თუთ-უბ-ო**, შდრ. ქართ. (← ზან.) **თუთ-უბ-ო**. სვანური შესატყვისი არ ჩანს. ალბათ ქართველური დიალექტებიდანაა შეთვისებული სომხური

თეთუ „მეყავე“, შდრ. ლაკ. თუთულ „ძმარი“.

ს.-ქართვ. \*თათ-აბ-ო „თუთუბო“

იჩქ. დათა (ჭებ. დათუ) „ცირცელი“, ინგ. დათაზ "id", ბაცბ. თათა "id". ფონეტიკურ-სტრუქტურული სიახლოვე ეჭვს არ იწვევს; სემანტიკური იგივეობაც აახლოვებს ნახურ-ქართველურ ლექსებებს: ცირცელის ნაყოფი მწკლარტეა, ხოლო თუთუბოსი — მეყავე.

ს.-ნახ. \*დათა-უ „ცირცელი“.

### თალგ-ამ-ი

ქართ. თალგ-ამ-ი „ბოლოკს ჰგავს, ბრტყელია“ (საბა), ზან. (მეგრ.) «თარგ-ამ-ი», შდრ. თარგ-ამ-ულ-ა (ტოპ.), სვან. ქართ- ←\*თარგ- „თალგამი, ჭარხალი“; სვანურში შეინიშნება საყურადღებო თ — ქ → ქ — თ საურთიერთო მეტათეზისის შემთხვევა. საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \*თალგ- ძირი.

ს.-ქართვ. \*თალგ- „თალგამი; ჭარხალი“

იჩქ. თურქ „ჭერამი“, ინგ. თურქ "id", ბაცბ. «თურქ»; ფუძენახური-სათვის რეკონსტრუირდება \*თურქ- ←\*თურგ- არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერი შესატყვისი უნდა ჰქონდეს ს.-ქართვ. \*თალგ- ძირის სახით, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. რ (§ 13.3), ს.-ქართვ. გ : ს.-ნახ. ქ ← გ (§ 34.1). ახსნას ითხოვს სემანტიკური კორელაცია თალგამი/ჭარხალი ~ ჭერამი; მათ სიწითლე აერთიანებთ.

ს.-ნახ. \*თურქ- ←\*თურგ- „ჭერამი“.

### თალ-ი

ქართ. თალ-, თალ-ი „რკინის სალტე“, მთიულ. თალ-ა „თალი“, ზან. «თურ-», «ო-თურ-ა» „რკინის სოლი“, სვან. თალ „სოლი“; ზანური შესატყვისი შემონახულია გურულში, შდრ. გურ. (← ზან.) ო-თურ-ა „რკინის სოლი“. საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \*თალ- არქეტიპი [იხ. ჩუხ. 2000-2003: 107].

ს.-ქართვ. \*თალ- „სოლი, სალტე“.

იჩქ. თალ „ალვის ხე“, ინგ. თაღ-გ „სოლი“, ბაცბ. «თალ-»; საერთონახურ არქეტიპად აღსადგენია \*თალ- ფორმა, რომელიც კანონზომიერად შესატყვისება ს.-ქართვ. \*თალ- წინარეფორმას. ბგერათშესატყვისობათა ჩვენებები აქ იდენტურია.

ს.-ნახ. \*თალ- „სოლი“.

### თალ-/თლ-ა

ქართ. თალ-, გამო-თლ-ი-ს, გამო-თალ-ა, სა-თალ-ი, ზან. თოლ-, თოლ-უ-ა „თლა“, გო-თოლ-უ „გათალა“, ო-თოლ-არ-ი „სათლელი“, სვან. თელ- || თიელ-, ლი-თიელ ბზ., ლშზ., ლი-თიელ ლნტ., ლი-თელ ბქ.

„მკა“. სვანურში მომხდარა მნიშვნელობის დავიწროება: *თლა* → *მკა*,  
შდრ. ლი-**თიღლ** „მკათათვე“. ასახსნელია იე—ე მიმართება სვანურშივე.

ს.-ქართვ. \***თალ-** „თლა/მკა“

იჩქ. **თილ-**, **თილ-ჟლ** „ქერქისგან დასუფთავება, გაფრცქვნა“, ინგ.

**თუჟლ-** (?), **თუჟლ-ა-დ-ჟე** "id", ბაცბ. **თეფლ-**, **თეფლ-ა<sup>ნ</sup>** || **თეფლ-არ**  
„გატყავება, გაყვლეფა“.

ს.-ნახ. \***თელ-** „გაფრცქვნა, გასუფთავება; გატყავება“.

### თამ-ელ-ი

ქართ. **თამ-**, **თამ-ელ-ი** „ერთგვარი ველური ხეხილი“, ზან. «**თომ-ი**»,  
შდრ. **რთომ-ი** (ტობ. სამურზ.-ში), რაჭ. **თომ-ი** (← ზან.), სვან. **შდწმ** ||  
**შტწმ** „ერთგვარი მცენარე (იჭმევა)“; ქართველური მასალის შედარებითი  
ანალიზი მხარს უჭერს **თამ-** თანმიმდევრობის ძირად გამოყოფას.

ს.-ქართვ. \***თამ-ელ-** „თამელი“

იჩქ. **თუომარი** (ჭებ. **თომარი**), „ლაქაში“, "poroz", ინგ. **თუმარ-გ**  
"id", ბაცბ. «**თომარ**»; ბაცბურ სახეობაზე მსჯელობა შესაძლებელი ხდება  
ჭებერლოური დიალექტის ჩვენების საფუძველზე.

საყურადღებოა ს.-ქართვ. **-ელ-**: ს.-ნახ. **-არ-** სუფიქსური მიმართება,  
რაც **ლ** : **რ** სონანტურ შესატყვისობას გამოავლენს.

ს.-ნახ. \***თომ-არ-** „ლაქაში“, "poroz".

### თარგ-ი

ქართ. **თარგ-**, **თარგ-ი** „ზომა ტანსაცმლის ფეხსაცმლისა და სხვათა  
გამოსაჭრელად“, შდრ. **თანგ-ი**, **თარგ-ვ-ა** „გამოჭრა“, გამო-**თარგ-ულ-ი**,  
ზან. (მეგრ.) **თენგ-** → || **თინგ-** „ჭრა“, **თენგ-უნ-ს** || **თინგ-უნ-ს** „გამო-  
ჭრის“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. ხმოვანფარდობა  
ქართ. **ა** : ზან. **გ/ი** ამოსავალში **ლ-ს** გულისხმობს ზანური დიალექტების-  
თვის [როგ. 1962: 75-85].

ს.-ქართვ. \***თარგ-** || \***თანგ-** „ჭრა/კერვა“; „თარგი“

იჩქ. **თაფ** ← \***თაგ** „ძაფი“, ინგ. **თეფ** ← \***თეგ** "id", ბაცბ. **თაგ** „ძა-  
ფი“, შდრ. **თაგ-ინ** „შესაფერისი“; საერთონახური ფუძეენური მდგომარეო-  
ბისთვის აღსადგენია \***თაგ-** „ძაფი“ არქეტიპი. დამაფიქრებელია ბაცბ. **თაგ-**  
ინ „შესაფერისი“ ფორმის სემანტიკა, რომელიც ქართ. **თარგ-ი** ლექსემისას  
უახლოვდება — **თარგ-ვ-ა** : ბაცბ. **თაგ-არ** „შესაფერისობაში ყოფნა“.

ს.-ნახ. \***თაგ-** „ძაფი“; „შესაბამისობაში მოყვანა“.

### თაფ-ვ-ა

ქართ. **თაფ-**, **თაფ-ვ-ა** კახურ დიალექტში „შემცხვარი პურის თონე-  
ში ჩაყრას“ აღნიშნავს, შდრ. **თაფ-ად** ცვივა „ვარდება; იყრება“, სვან.  
**თჟეფ-**, ლი-**თჟეფ** „დაკარგვა“, **თეფ-ნ-ი** || **თჟეფ-ნ-ი** || **თჟეფ-ენ-ი** „იკარ-

გება“, **თუიფ-ე** || **თუფ-ე** „კარგავს“. ბალსქვემოური **თეფ-ნ**-ი ფორმა აჩვენებს, რომ **თუიფ-ე** ძირში **უ** ფონეტიკური დანართია, ბოლოკიდური ფ-ს ასიმილაციური ზეგავლენა — **თუიფ-ე** ←\***თეფ-ე**. სხვაგვარი ახსნისთვის იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 230.

ს.-ქართვ. \***თაფ-** ←\***თაბ-** „ჩაგარდნა, დაკარგვა“

იჩქ. **თაბ-**, **თაბ-ა<sup>ნ</sup>** || **თაბ-არ** „მიმალვა, მიპარვა“, ინგ. **თაბ-ნ** || **თაბ-ნრ** "id", ბაცბ. **თაბ-**. ნახურ ენათა სემანტიკა *მიმალვა* მარჯვედ უდგება სვანურის *დაკარგვას*, განხილულ ფუძეთა საერთო წარმომავლობის იდეას ზურგს უმაგრებს მათი სტრუქტურული იდენტურობაც.

ს.-ნახ. \***თაბ-** „მიმალვა, გაუჩინარება“.

### თაგვ-ი

ქართ. **თაგუ-**, **თახვ-**, ძვ. ქართ. **თაგუ-** || **თაგვ**, მ-**თაგვ** (საბა); ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **თახვ-** განიმარტება როგორც: „ძვირფასბეწვიანი მოზრდილი მღრღნელი, რომელსაც ქერცლით დაფარული ბრტყელი კუდი აქვს“. ქართველურ დიალექტებში, ვერც სვანურში, ვერც მეგრულ-ჭანურში შესატყვისი ფუძე ვერ გამოვავლინეთ. თუმცა არც **თაგუ-** ძირის ნასესხობა ირკვევა სხვა ენებიდან. ამიტომაც, იგი საერთოქართველური მონაცემი გვგონია.

ს.-ქართვ. \***თაგუ-** „თახვი“

იჩქ. **თაგვ-**არგ „გველი“, ინგ. **თეგ-**არგ "id", ბაცბ. **თეგ-**; ბაცბური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი. საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება \***თეგ-** არქეტიპი; **-არგ** ვაინახური სუფიქსი ჩანს. ს.-ქართვ. \***თაგუ-**: ს.-ნახ. \***თეგ-** ბუნებრივი შეფარდებაა, შდრ. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ე (წ 5.3). **გ** ფარინგალის დელაბიალიზაცია საკუთრივ ნახური მოვლენაა.

ს.-ნახ. \***თეგ-** „გველი“.

### თბ-ე

ქართ. **თბ-**, **თბ-ე** „ეწოდების ცომსა, გინა საფუარსა, გინა სამკვეთოსა, გინა ფქვილსა“ (საბა), ძვ. ქართული **თბ-ე** ცნობილია უძველესი სამწერლო ძეგლებიდან (აბულ. 1973) — **თბ-ე-ჟ** „ცომი“ [სარჯ. 2004: 438], სვან. **შდებ-**, ლი-**შდებ** „აფუება (ცომისა)“, ი-**შდბ-** „ფუფდება“, ნა-**შდბ-** „უ“ „ხარშვისას მონამატები“ [იხ. სუხ. 1987: 76-80; ფენ.-სარჯ. 2000: 231]; საერთოქართველური ენობრივი ერთობისთვის აღსადგენია \***თებ-** არქეტიპი, რომლის ზანური ალომორფები დღემდე არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. \***თებ-** „აფუება; დამჟავება; შედედება“, \***თებ-ე** „საფუარი“

იჩქ. **ბ-ათ-**, **ბ-ათ-ა<sup>ნ</sup>** || **ბ-ათ-არ** „შედედება, შესქელება“, ინგ. **ბ-ათ-**, **ბ-ათ-ნ** || **ბ-ათ-ნრ** "id", შდრ. ბაცბ. **ბ-ათ-**დარ „შეწებება“; საერთონახურში ფუნქციონირებდა \***ბ-ათ-** კლასის ნიშნიანი ზმნური ფუძე, რომელსაც შებრუნებული წყობით შესატყვისება ს.-ქართვ. \***თებ-** ←\***ბეთ-**, შდრ.

ხუნდ. **ბ-ეთ-** „შედედება, შესქელება; დამყავება“, **ბეთ-ა** (შდრ. ს.-ქართვ. \***თებ-ე**) „დაწმენებული, აჭრილი რძე“.  
ს.-ნახ. \***ბ-ათ-** „შესქელება, შედედება“.

### თელ-ვა

ქართ. **თელ-**, **თელ-ავ-ს**, **გა-თელ-ილ-ი** ზან. (მეგრ.) **თალ-**, **თალ-უ-ა** „გათელვა“, **გო-თალ-ირ-ი** = **გა-თელ-ილ-ი**, **ლაზ. ნთალ-**, **ო-ნთალ-უ** „სრესა“, **სვან. თოდ-**, **ი-თუნდ-ი** „იქსელავს დართულ ძაფს“, **თოდ** „შულო“; სვანურისებური სემანტიკა ქართულშიც ახასიათებს **თელ-** ფუძეს, შდრ. **თელ-ვა** „მატყლის შენაბდვა“ (საბა) [იხ. ჩუხ. 2000-2003: 108].

ს.-ქართვ. \***თელ-** „მიკარება, მოთელვა; ქსელვა“

იჩქ. **ლათ-**, **ლათ-ა<sup>ნ</sup>** || **ლათ-არ** „დაჭიდება, ჭიდაობა“, ინგ. **ლათ-**, **ლათ-ა<sup>ნ</sup>** || **ლათ-არ** "id", **ბაცბ. ლათ-არ** „ჭიდაობა“; ნახური ენებისთვის ბუნებრივია **ლეთ-** აბლაუტური ფუძეც უსრული ასპექტის საწარმოებლად. საყურადღებოა ერთი მომენტი ნახურ-ქართველურ ფუძეთა ეტიმოლოგური მნიშვნელობის ძიებისას, კერძოდ, ნახურ **ლათ-** ფუძეს ახასიათებს *მიკრობის, მიწებების* შინაარსი ისევე, როგორც სვანურ **თელ-** ძირს — სვან. **ლი-თელ** „მიკარება“. ს.-ნახ. \***ლათ/\*ლეთ-** შებრუნებული წყობისაა ს.-ქართვ. \***თელ-** ფუძესთან შედარებით.

ს.-ნახ. \***ლათ-** ~ \***ლეთ-** „ჭიდაობა; მიკრობა/მიწებება“.

### თენ-ებ-ა

ქართ. **თ-ენ-**, **თ-ი-**, **თ-ოვ-**, **თ-ენ-ებ-ა**, **გან-თ-ი-ად-ი**, **მ-თ-ი-ებ-ი**, **მ-თ-ოვ-არ-ე** „მთვარე“, ზან. (მეგრ.) **თ-ან-**, **თ-ან-აფ-ა** „აღდგომა“, **გო-თ-ან-ა** „განთიადი“, **გო-თ-ან-ელ-ი** „გათენებული, განათებული“, **ლაზ. თ-ან-**, **თ-ე-**, **თ-ან-აფ-ა** „აღდგომა, თენება“, **მ-თ-ან-ურ-ა** „ციცინათელა“, **დო-თ-ან-ურ-ი** „განთიადი“, **თ-ე** „შუქი, სინათლე“, **სვან. თ-ენ-**, **თ-აჟ-** ← \***თ-ეჟ-**, **ლი-თ-ენ** „დაბადება“, „გაჩენა“, **ლი-თ-ენ** „გამოჩენა“, **ო-ხ-თ-ენ-ი** „გამოვჩნდები“, **ან-თ-აჟ-ე** „გააჩინა“; ქართველური ფუძეებისთვის ძირითადია *გამონათებ/გამოჩენა/ჩვენების* სემანტიკა. საერთოქართველურ ძირად **თ-** გამოიყოფა [ყიფშ. 1914: 240; ჩიქ. 1938: 277; კლიმ. 1964: 92; სარჯ. 1980: 120; ფენ.სარჯ. 2000: 231-233].

ს.ქართვ. \***თ-** „გამოჩენა, გამონათება/თენება, ჩვენება“

იჩქ. **-ათ-** „ჩვენება“, **-ათ-ა<sup>ნ</sup>** || **-ათ-არ** "id", ინგ. **-ათ-**, **-ათ-ა<sup>ნ</sup>** || **-ათ-არ** "id", **ბაცბ. -ათ-** "id"; ნახურ დიალექტებში ეს ზმნური ფუძე მხოლოდ კლასნიშნანია. ქართველურ სათანადო ზმნებში გრ. კლასის ნიშანთა არსებობის კვალი არ ჩანს. სხვა მხრივ, მატერიალურ-სემანტიკური სიახლოვე ადვილი დასაანახია, შდრ. ს.-ქართვ. \***თ-** „გამოჩენა/გაჩენა“ : ს.-ნახ. \***-ათ-** „ჩვენება“.

ს.-ნახ. \***-ათ-** „ჩვენება“.

### თენტ-ვ-ა

ქართ. თენტ-, და-თენტ-ა „მზისაგან წყენა“ (საბა), მო-თენტ-ა „მზემ, სიცხემ მოთენტა“, მო-თენტ-ილ-ი, ზან. (მეგრ.) თართ-ალ-, გო-თართ-ალ-აფ-ა „გახურება, გაცხელება“, გო-თართ-ალ-აფ-ირ-ი „გახურებულ-ი“, შდრ. იმერ. (← მეგრ.) თართ-ვ-ა „ძალზე დაქანცვა სიცხისაგან“. გასარკვევია სვანური წ-ჟ „ცხელი“ ფუძის მიმართება ზემოთაღწერილ ფუძეებთან — წ-ჟ ← თწ-ჟ(?).

ს.-ქართვ. \*თენტ- „გაცხელება, გახურება; ცხელი“

იჩქ. დწთ-ან<sup>5</sup> „ერბო“, „ცხელი“, ინგ. დწთ-ან "id", ბაცბ. დათ-ე<sup>6</sup> "id", დათ-ინ-რ<sup>7</sup> „შემწვარი“; ეს სახელური ფორმები ეტიმოლოგიურად უკავშირდებიან ს.-ნახ. \*დათ- „ცხოვა, შეწვა“ ზმნას. ს.-ქართვ. \*თენტ- : ს.-ნახ. \*დათ- ბუნებრივი მიმართებაა, თუ გავითვალისწინებთ ასიმილაციურ დაყრუებას ანლაუტში — \*დენტ- → \*თენტ- მხოლოდ მას შემდგომ, რაც დ- წარმოშობით გრამატიკული კლასის ნიშანი ფუძეს შეუხორცდა.

ს.-ნახ. \*დ-ათ- „ცხელი, შემწვარი; ცხოვა, შეწვა“.

### თერ-ო

ქართ. თერ-ო → || თე-ო „მღვურის კიდე, ნაპირი“ (საბა), თუშ., ფშ., ქართლ. თე-ო „საყარაულო ალაგი“, აჭარ. თერ-ეგ-ი ← \*თერ-აგ-ი „თარო“, ზან. (მეგრ.) თარ-ო (მრ. რ. თარ-ჟ-ეგ-ი) „თარო“, ლაზ. ნთარ-ო „სკივრი“, სვან. შდურ → || შდულ „კოშკის ქონგური“; „კოშკის უკანასკნელი სართული“, ჩბხ. „ბანი, ერდო“; აჭარული თერ-ეგ ფუძის რედუცირებული სახეობა ჩანს თუშ., ფშ. თერ-გ-ი ← \*თერ-აგ-ი „დასაწოლად გაკეთებული ადგილი“. სვანურისთვის აღსადგენია \*შთერ-ჟ არქეფორმა, საიდანაც ბოლოკიდური ჟ-ს ფუძეში გადასმითა და ძირეული ე ხმოვნის ლაბიალიზაციით მივიღეთ თანამედროვე შდურ → || შდულ ალომორფები [იხ. ჩუხ. 2000-2003: 301].

ს.-ქართვ. \*თერ-ო „კიდე, ქონგური; ერდო/თარო“

იჩქ. თთარ || უთთარ „ფარდული“, ინგ. თთარ "id", ბაცბ. ოთარ<sup>8</sup>; ბაცბური ეკვივალენტი დაკარგულია. ვაინახური მონაცემების შეჯერებით შესაძლებელია ს.-ნახ. \*ო-თარ- არქეტიპზე საუბარი. ხომ არ არის თავკიდური ო- საერთონახური ფუძესმხორცებული სადერივაციო აფიქსი, რომელიც ს.-ქართვ. -ო (თერ-ო) სუფიქსს შეეფარდება? ს.-ქართვ. \*თერ-ო : ს.-ნახ. \*ო-თარ- ბუნებრივი შესატყვისობაა როგორც სტრუქტურულად, ისე სემანტიკურად.

ს.-ნახ. \*ო-თარ- „ფარდული“.



## თექ-ა

ქართ. **თექ-ა** „ნაბდისაგან შეკერილი ზედა ჩასაცმელი“, „ნაბადი“ (ქეგლ-ი), „უმჯობესი თაქნაბადი“ (საბა), ზან. **ძიქვა** „ნიფხავი, შარვალი, მოსასხამი“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. ანლაუტში შეინიშნება, ერთი შეხედვით, უჩვეულო **თ/ძ** ოპოზიცია, რაც **დ** → **თ** ასიმილაციური დაყრუების შედეგია ქართულში (შდრ.: ქართ. **თიგა** ←\***დიგა**, **ციხე** ←\***ძიხე**...). რასაც მომდევნო **ი**-ს ზეგავლენით ზედ ერთვის **დ** → **ძ** აფრიკატიზაციის პროცესი ზანურში — **ძიქვა** ← \***დიქვა** ← \***დიქ**-ო (შდრ. თექა). სიტყვის ბოლოს **ო** → **ვა** გადაბგერება დასაშვებია მეგრულ-ჭანურში: ზან. **მან**-ო → **მან**-ვა „კვარი“ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 163], **მაქ**-ო → **მაქ**-ვა „მაქო“...

ს.-ქართვ. \***დექა** „ნაბდისგან შეკერილი ზედა ჩასაცმელი“

იჩქ. **ქეთ**-არ (ჭებ. **ქათ**-ირ) „ქურჭი, ტყაბუჭი; ნაბადი“, ინგ. **ქეთ**-პრ "id", ბაცბ. **ქათ**-იბ „ჩოხისმაგვარი ზედა ტანსაცმელი“; საერთონახურ არქეტიპად აღსადგენია \***ქად**-ი ძირი, რომლის შებრუნებული სახეობა უნდა გვქონდეს შემონახული ს.-ქართვ. \***დექა** სიტყვაში. ძირეულ მასალაში ამოსავალი **დ**-ს პოსტულაციას მხარს უჭერს დადესტნურ ენათა ინფორმაციაც — ს.-ნახ. \***ქად**-ი : დალ., დიდ. **გედ**, ხვარშ. **გიდ**, წახ. **ქეჩიე** ←\***ქეთი**-ე „ნაბადი“... ბაცბურში დამკვიდრებული **ქათ**-ი-ბ სახეობა მრავლობითობის ბ(ი) სუფიქსს უნდა შეიცავდეს.

ს.-ნახ. \***ქად**-ი „ნაბადი; ზედა ტანსაცმელი“.

## თვალ-ი/თვლ-ემ-ა

ქართ. **თვალ**-, **თვალ**-ი, **თვალ**-იერ-ებ-ა, **თვლ**-ემ-ა, **თვალ**-გნ-ებ-ა, ზან. **თოლ**-ი „თვალი“, ნა-**თოლ**-ე „განათვალი“, სვან. **თეურ**-, ხ-ე-**თეურ**-წლ || ა-**თეურ**-წლ-ი ბზ., ხ-ე-**თეურ**-წლ || ა-**თეურ**-ალ-ი ლნტ. „თვალყურს ადევნებს, ათვალიერებს“. სვანურში **უ** გადასმულია ფუძისეული ხმოვნის მომდევნო პოზიციაში, რასაც თან ერთვის **ლ** → **რ** გადასვლა: \***თუელ** → **თეურ**-, შდრ. სვან. **თერ**-ალ ←\***თუერ**-ალ „თვალეზი“.

ს.-ქართვ. \***თუალ**- „თვალი; თვალთვალი; თვლემა“

იჩქ. **თარ** „თვლემა“, **თერ**-გ-ამ „თვალთვალი“, ინგ. **თარ** „თვლემა“, **თერ**-გ-ამ || **თერ**-გ-უო „თვალყურის დევნა“, ბაცბ. **თარ**, **თერ**-გ-უ-არ „თვალთვალი“. ნახურ ენებში ქართველური **თუალ**-„თვალი“ არქეტიპის შესატყვისი ფუძე შემონახულია **თვლემისა** და **თვალთვალის** აღმნიშვნელ ლექსემებში. ნახური **თერ**-გ-ამ || **თერ**-გ-უო || **თერ**-გ-უ-არ ზუსტი ეკვივალენტია ქართული **თვალ**-გნ-ება კომპოზიტისა, რამდენადაც **გ**-ამ || **გ**-უო || **გუ**-არ *ყურება* / *ხედვას* აღნიშნავს.

ს.-ნახ. \***თარ**- || \***თერ**- „თვლემა“, „თვალყური, თვალთვალი“.

### თვალ-/თვლ-ა

ქართ. **თჳალ-**, ი-**თვლ-**ი-ს, ი-**თვალ-**ა, და-**თვალ-**ა, მი-ი-**თვალ-**ა, სა-**თვალ-**ი, ზან. **თვალ-**, **თვალ-**უნ-ს „თვლის“, **თვალ-**ირ-ი „დათვლილი“, ო-**თვალ-**არ-ი „დასათვლელი“, ო-**თვალ-**უ „სათვალი“, სვან. **შოლდ-** → || **შგლდ-**, **შდილ-** → || **შელდ-**, ი-**შგლდ-**ან-ი „ითვლის“, მგ-**შგლდ-**ან-ი || მუ-**შოლდ-**ან-ი „დამთვლელი“, **შელდ** || **შოლდ** „რიცხვი; სათვალავი“, უ-**შდილ** „მალულად“ ← ეტ. „დაუთვლელად“; სვანურში **შდ** კომპლექსის გამოჩენა ქართ.-ზან **თ-**ს შესატყვისად საერთოქართველურში ამოსავალ **სთ** კომპლექსს ვარაუდობს [იხ. ჩუხ. 2000-2003: 320].

ს.-ქართვ. \***სთჳ-**ალ- „დათვლა, აღრიცხვა, რიცხვი“

იჩქ. დ-**უსთ-**, დ-**უსთ-**ან<sup>5</sup> || დ-**უსთ-**არ „გაზომვა“, დ-**უსთ-**ურგ „გამზომ-  
მავი; გასაზომი“, ინგ. დ-**ისტ-**/დ-**უსთ-**, დ-**ისტ-**ან || დ-**ისტ-**არ „გაზომვა“,  
დ-**უსთ-**ან-დალა „ზომვა (იზომება)“, ბაცბ. დ-**უსტ-**, დ-**უსტ-**ან<sup>5</sup> || დ-**უსტ-**არ  
„გაზომვა“; საერთონახურისთვის აღსადგენია \*დ-**უსთ-** არქეტიპი, რომლის  
-**უსთ-** ძირი (დ- გრ. კლასნიშანია) კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ.  
\***თსჳ-**ალ- ძირს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **სთ** : ს.-ნახ. **სთ**  
(§ 27.2). სემანტიკური შეფარდება **თვლა** ~ **ზომვა** ბუნებრივი ჩანს.

ს.-ნახ. \*დ-**უსთ-** „გაზომვა“.

### თვ-ე

ქართ. **თვთ-**ე, **თვ-ე**, ძვ. ქართ. **თთჳ-ე** || **თვთ-**ე „თვე“, ზან. (მეგრ.)  
**თუთ-**ა „თვე, მთვარე“, **თუთ-**ერ-ი „ერთთვიანი, თვისა“, ლაზ. **თუთ-**ა  
"id", **თუთ-**ა-შ-თე „მთვარის სინათლე/შუქი“, სვან. \***დოშთ-** → **დოშდ-**  
ულ || **დოშტ-**ულ „მთვარე“, **დოშდ-**იმ || **დოშდ-**იმ || **დჳეშტ-**იმ „ორშა-  
ბათი“ = მთვარისა; აღიშის ოთხთავში **თუთ-**ე დასტურდება, რაც **თვთ-**  
სახეობის ალომორფი ჩანს [შდრ. თოფ. 1926: 217]. საერთოქართველურ  
არქეტიპად აღსადგენია \***დუსთ-**ე წინარეფორმა, რომლის ანლაუტი სვა-  
ნურში უცვლელად შემოგვენახა [იხ. ჩიქ. 1938: 204; კლიმ. 1964: 75,  
შმიდ. 1962: 114; ფენ.-სარჯ. 2000: 177].

ს.-ქართვ. \***დ-უსთ-**ე „თვე, მთვარე“

იჩქ. **ბუთა** (ერგ. ბრ. **ბათა-**უო— „თვე, მთვარე“, ინგ. **ბუთა** (მრ. რ.  
**ბეთა-**ან<sup>5</sup> ← \***ბათა-**იმ) "id", ბაცბ. **ბუთა** (მრ. რ. **ბათა-**იმ, ნათ. **ბათა-**ი<sup>5</sup>)  
„თვე, მთვარე“; სემანტიკური თვალსაზრისით სრული ანალოგია გვაქვს  
ზანურსა და ნახურში. საერთონახურში აღსადგენია \***ბ-უთა-** არქეტიპი,  
სადაც გამოყოფილი **ბ-** ნივთთა გრ. კლასის ნიშანია. ე. ი. ანლაუტური დ-  
საერთოქართველურშიც იმავე ფუნქციისა იყო. აქ შეიძლება **ბ** ~ **დ** მორფო-  
ლოგიურ ოპოზიციასზე საუბარი — ფუნქცია ამ პრეფიქსებისა ერთგვაროვა-  
ნია. ხოლო ს.-ქართვ. **სთ** : ს.-ნახ. **თა** რეგულარულად ვლინდება (§ 27.2).

ს.-ნახ. \***ბ-უთა-** „მთვარე, თვე“.

## თიხ-ი

ქართ. **თიხ-**, გურ. **თიხ-** „მოღვმა, გვარი, შტო“, სვან. **შდინ-** ბზ., **შდუინ-** ბქ. „ჭიბი“, ლხმ. „ჩალის ზვინი ხეზე“. ქართველურ დიალექტებში სემანტიკური ევოლუცია წარიმართა *ჭიბი/შტო* → *ნათესავი* → *გვარი* || *მოღვმა* || *მოძმული* მიმართულებით [იხ. ჩუხ. 2000-2003: 299].

ს.-ქართვ. \***თიხნუ-** „შტო, გვარი; ჭიბეი/მოძმული“

იჩქ. **თერხი** „შვერილი, თარო“, ინგ. **თარხი** "id", ბაცბ. «თერხი».

გასარკვევია **ე** → **ა** გადასვლის მიზეზი ინგუშურში. სემანტიკურად საერთოქართველური *შტო/მოძმული* სემანტემა ბუნებრივად უდგება ნახურ ენათა *შვერილი/თარო* შესატყვისს. ს.-ქართვ. **ხნუ** : ს.-ნახ. **რხ** რეგულარულად მჟღავნდება (§ 22.2).

ს.-ნახ. \***თერხ-ი** „შვერილი, თარო“.

## თივა

ქართ. **თივა**, **თიხა** || ← **თივა** „თიხა, ტალახი“, ძვ. ქართ. **თივა-დ**, **თივ-ნარ-ი**, **თივ-ოვან-ი**; ზან. **დინა** || **დენა** „მიწა, ნიადაგი“, **დინა-შ-უშ-ქური** „მიწისვაშლა“, **დინალ-ეფ-ი/ე** „მიწები“, **დინალ-ონ-ი** „თიხნარი“; სვან. -**დივ**, ნა-**დივ** || ნა-**დივ** „საზღაური“; ქართველურ ფუძეთა შეპირისპირება ამოსავალში **დ** მჟღერ განმოვანებას უჭერს მხარს — **დივა** → **თივა** || **თიხა** [ცაგ. 1880: 35; წერეთ. 1959: 80]. აქვე შემოსატანია სვანური ალომორფები, რომლებიც ზანურის მჟღერ განმოვანებას მიჰყვებიან [ჩუხ. 2000-2003: 93].

ს.-ქართვ. \***დივალ-** „მიწა, თიხა“

იჩქ. **ვან** ← \***ვანუ** „სახნავი მიწის ნაკვეთი; თუთქი, ნაცარტუტა“, ინგ.

**ვან** ← \***ვანუ** "id", ბაცბ. **ვავ** „ყანა“; საერთონახური ენობრივი ერთობისთვის აღდგება \***ვანუ**- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***დივალ-** ფუძეს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **უნ** (§ 13.4). სტრუქტურული მიმართებისათვის ძვირფასია აფხაზურ-ადიღურ ენათა ჩვენება: აბაზ. **რვა**, უბიხ. **თხუა** ← \***დვუა** „მინდორი“, შდრ. დაღ.: ხუნძ. **ჰურ**, ახვ. **ვური**, ანდ. **ხურ** „სახნავი მიწა“...

ს.-ნახ. \***ვანუ**- „სახნავი მიწის ნაკვეთი, ყანა; ნაცარტუტა“.

## თმ-ენ-ა

ქართ. **თმ-ენ-/თმ-ინ-**, **ი-თმ-ენ-ს**, **ი-თმ-ინ-ა**, **მო-მ-თმ-ენ-ი**, ძვ. ქართ. **თმ-ენ-ა-დ**, **მო-თმ-ინ-ე-ნ-ი**, **ი-თმ-ინ-ე-ნ**, სვან. **თემ-**|| **თმ-**, **ლი-თემ-ინ-ე** || **ლი-თმ-ინ-ე**, **ო-ხ-თმ-ინ-ე** „მოუთმინა“; მეგრულ-ლაზურში შესაბამისი ფუძეები გამოვლენილი არ არის [ფენ.სარჯ. 2000: 238]. სვანურში **გ**-ს არსებობა ისტორიულად **თმ-** ძირის სრულზმონობაზე მეტყველებს. შესაძლოა ეს ყოფილიყო ნებისმიერი ხმოვანი, რამდენადაც **V** → **გ** სვანურში შეზღუდული არ არის (გ. როგავა).

ს.-ქართვ. \***თემ**-ენ- „მოთმენა“, „თმენა“.

იჩქ. **თემ**-ნ || **თემ**-რ „გაყუჩება, დამშვიდება“, ინგ. **თემ**- || **თემ**-რ "id", ბაცბ. **თივ**-, **თივ**-ა<sup>ნ</sup> || **თივ**-არ „დაწყნარება, გაყუჩება“, **თივ**-ოთარ „დაშოშმინება“; საერთონახური არქეტიპი უცვლელად არის შემონახული ბაცბურში — \***თიჟ**-. ს.-ქართვ. \***თემ**-ენ- : ს.-ნახ. \***თიჟ**- კანონზომიერი შესატყვისობაა, შდრ. *თმენა* ~ *გაყუჩება*, რაც სავსებით ბუნებრივი ჩანს.

ს.-ნახ. \***თიჟ**- „გაყუჩება, დამშვიდება, დაშოშმინება“.

### თმ-ობ-ა

ქართ. **თმ**-, **თმ**-ობ-ს, **თმ**-ობ-ა, და-მ-**თმ**-ობ-ი, ზან. (ლაზ.) **თამ**-ო-**თამ**-ო „ნელნელა“, სვან. **თემ**- || **თმ**-, ლი-**თმ**-ე „თმოზა“, **თემ**-ი „დათმო-ზა“; ზანურ დიალექტებში შესაბამისი ზმნური ფუძეები ვერ გამოვავლი-ნეთ. გასარკვევია, რა მიმართება აქვს აღწერილ ფუძეებთან ომონიმურ ლი-**თმ**-ე „შოვნა“ ზმნას სვანურში.

ს.-ქართვ. \***თემ**- „დათმოზა; რაღაცის დატოვება“

იჩქ. **ბ-ით**-ა<sup>ნ</sup> || **ბ-ით**-არ „დატოვება“, ინგ. **ბ-ით**-ა || **ბ-ით**-არ "id", ბაცბ. **ბ-ით**-ა<sup>ნ</sup> || **ბ-ით**-არ „დატოვება, დათმოზა“, **ბ-ი-თ**-ჟენი „დასათმო-ბი“; ნახურ ენებში აღწერილი ფუძე კლასნიშნითაა სპირანტიზირებული; ნახურ-ქართველურ ზმნებს შორის ისეთსავე მიმართებას ვხედავთ, როგორც დასტურდება ხუნძურ და ან-დიურ ენათა ამავე ძირის ზმნებში, შდრ. ქართვ. **თემ**- ~ ნახ. **ბ-ით**- და ხუნძ. **თ-ანა** ~ ანდ., ბოთლ., ლოდ., ჭამ. **ბ-ეთ**-ა „დათმო, დატოვა“.

ს.-ნახ. \***ბ-ით**- „დატოვება, დათმოზა“.

### თნ-ებ-ა

ქართ. \***თან**-/**თნ**-, გ-**თნ**-დ-ა, **თნ**-ებ-ა, სა-**თნ**-ო, ზან. (მეგრ.) **თონ**-, **თონ**-ჟა „გამოჩენა“ [იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 228], სვან. **თენ**-/**თნ**-, ლი-**თნ**-ე ზს., ლშხ., ლი-**თენ**-ე ლნტ. „გამოჩენა, გამოქლავება“, ა-**თენ**-ე „ამქლავ-ნებს, ამხელს“. ზან. **თ** : სვან. **ე** მიმართება ქართულისთვის **ა** განხმოვანე-ბას გულისხმობს, შდრ. ძალღ- : ჯოღორ- : ჟელჟ...

ს.-ქართვ. \***თან**- „გამოჩენა, გამოქლავება; დანახვება“

იჩქ. **თიდ**-, **თიდ**-ა<sup>ნ</sup> „განმარტება, გამოჩინება“, **თიდ**-ამ „ყურადღება, თვალყურის დევნა“, ინგ. **თიდ**-, **თიდ**-ა "id", **თიდ**-ამ "id", ბაცბ. **თიდ**-<sup>1</sup>. ბაცბური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი. ს.-ქართვ. **ნ** : ს.-ნახ. **დ** ბუნებრივი ფონეტიკური მიმართებაა, იხ. აქვე, § 16.5.

ს.-ნახ. \***თიდ**- „გამოჩინება; ყურება; თვალის დევნა“.

### თოშ-ი

ქართ. **თოშ**-, **თოშ**-ა/ი „თხელი ყინული, რომელიც გაზაფხულზე მი-აქვს მდინარეს“, **თოშ**-ი „წყალი მონატანი ყინული“ (საბა), გა-**თოშ**-ავ-ს

„გაყინავს“, გა-**თოშ**-ილ-ი „გაყინული“, ზან. (მეგრ.) **თგშქე**-ი → || **თიშქე**-ი „თოვლ-ჰყაბი“; მეგრულში ბოლოკიდურ **ვ**-ს ადრე ფონეტიკურ დანართად მივიჩნევდით [იხ. ჩუბ. 2000-2003: 109], რაც არ უნდა იყოს მართებული. პირიქით, აქ სრულად შემოგვენახა საერთოქართველური **შ**-ს ლაბიალიზაცია. ქართულში, მეგრულისაგან განსხვავებით, ლაბიალური ელემენტი ძირეულ **ა** ხმოვანს შეერთო — ს.-ქართვ. \***თაშჷ**- → ქართ. **თოშ**-.

ს.-ქართვ. \***თაშჷ**- „ყინული; თოვლ-ჰყაბი“

იჩქ. **თარხ** „ხორგი, ყინულის ბელტი (მდინარეზე, ზღვაში)“, „льдина“, ინგ. **თარხ** "id", ბაცბ. «**თარხ**»; საერთონახური ენობრივი მდგომარეობისთვის აღსადგენია \***თარხ**- ←\***თარშ**- პრაფორმა, რომელიც კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია ს.-ქართვ. \***თაშჷ**- არქეტიპისა, შდრ. ს.-ქართვ. **შ** : ს.-ნახ. **შ** (§ 33.5), ს.-ქართვ. **ჷ** : ს.-ნახ. **რ** (§ 20.5). საერთონახური ლექსემის შინაარსი იდენტურია ქართული **თოშ**- ფუძის მნიშვნელობისა.

ს.-ნახ. \***თარხ**- ← წ.-ნახ. \***თარშ**- „ხორგი“, „льдина“.

### თოხლ-ი

ქართ. **თოხლ**- ←\***დოხლ**-, **თოხლ**-ი „ბატკანი; ცხვარი“, ზან. (ლაზ.) **თოლხ**-ი „ერთი წლის თხა“, სვან. **დუხჷ** → || **დუხ** „ერკემალი, ყოჩი“. თურქული თოქლუ ქართველურიდანაა შეთვისებული.

ს.-ქართვ. \***დ-ოხლ**- „ბატკანი, ცხვარი; ერკემალი“

იჩქ. **აწხარ** „ბატკანი“, ინგ. **აწხარ** "id", ბაცბ. **აწხარ**-ობ „თოხლი“; -ობ სუფიქსი ბაცბურში მრავლობითობა/კრებსითობას უნდა განაზღვდეს, ამიტომაც გამოსაყოფია. საყურადღებოდ გვეჩვენება ინიციალური ოპოზიცია ს.-ქართვ. **დ** : ს.-ნახ. **ფ**, რაც ისტორიული **ბ**-ს (გრ. კლ. ნიშ.) რეფლექსი ჩანს, შდრ. **ბ** → **ფ** → **ჰ** || **ფ**. პირველი მარცვლისეული ხმოვნის სიგრძე ნახურ ენებში ისტორიული **ჷ** ბილაბიალის საკომპენსაციო კვალია. ნახური ორმარცვლიანობა ასევე მიგვიითიბებს შესაბამისი ქართველური არქეტიპის რედუქციაზე ფუძე-ენაში: \***დოხლ**- ←\***დოხალ**-, შდრ. დალ. ენ. **რინარ** ←\***დინარ** „ცხვარი“.

ს.-ნახ. \***ბ-ჷაწხარ**- → **აწხარ**- „ბატკანი, თოხლი“.

### თრგუნ-ვ-ა

ქართ. **თრგუნ**-, **თრგუნ**-ავ-ს „სრესს“ (საბა); „იმორჩილებს“, ზან. (მეგრ.) **დირგ-ჷ**- „წამლლეტი“, სვან. **შგურდ**- ←\***შდურგ**-, ი-**შგურდ**-ენ-ი (ან-**შგურდ**-ენ-ე) „იზელს (ცომს)“. ქართველურ მონაცემთა შინაარსობრივი ერთიანობა ადვილი დასანახია: *სრესა ~ ზელა/დამორჩილება ~ წაღლეტა*.

ს.-ქართვ. \***თირგ**- „სრესა/ზელა; დამორჩილება/წაღლეტა“

იჩქ. **თიგ**-, **თიგ**-ა<sup>6</sup> || **თიგ**-არ „დამორჩილება“, ინგ. **თიგ**- || **თიგ**-ა<sup>5</sup>, **თიგ**-არ "id", ბაცბ. **თეგ**-, **თეგ**-ა<sup>6</sup> || **თეგ**-არ „დამორჩილება, შერიგება“ „помириться“. ნახურ-ქართველურ ფუძეთა სემანტიკურ-ფონეტიკური

იგივეობა მათ საერთო წარმომავლობაზე მიუთითებს.  
ს.-ნახ. \*თიგ- „დამორჩილება; შერიგება“.

### თრუს-ო

ქართ. თრუს-, თრუს-ო „ერთგვარი ქვა, ხმარობენ სალესად“ (ქიზ.)  
თრუს-ო, თრუს-ო-ს ხეობა ანუ ამ ქვეით (თრუს-ო-) მდიდარი ადგილი,  
შდრ. ქართლ. თრუს-ო „ტალახიანი ადგილი“, ზან. (მეგრ.) თორს-,  
თორს-ა „საფლობი, შლამი, ჭაობი“, შდრ. ტობ. თორს-ა; საერთოქართვე-  
ლური მდგომარეობისთვის აღსადგენია \*თრას- არქეტიპი, შდრ. ქართ.  
თრას-კ-ეს-ი „ქარის სახეობა“, სვან. თხარს-კ ←\*თარს-კ- „სეტყვა“.

ს.-ქართვ. \*თრას- „შლამი; სეტყვა/ქარი“

იჩქ. ტყარში (ითუმყ. ტარში) „ტალახიანობა; თოვლ-ჭყაბი; ჭენჭყო“,  
ინგ. ტარში "id", ბაცბ. ტარში; საერთონახურში აღსადგენია \*თარში-,  
რასაც დაღესტნური ინფორმაციაც მხარს უჭერს: ჭამ. თისაჟ, ტინდ.  
თიცაჟ „ჭაობი“... ს.-ქართვ. \*თრას- : ს.-ნახ. \*თარში- კანონზომიერი მი-  
მართებაა, შდრ. ს.-ქართვ. ს : ს.-ნახ. შ (§ 30.5). სამივე ჯგუფის ენებში  
ტალახიანობა/ჭყაბის შინაარსია ძირითადი.

ს.-ნახ. \*თარში- „ტალახიანობა; თოვლ-ჭყაბი; ჭენჭყო“.

### თუთა

ქართ. თუთ-, თუთ-ა, ხარ-თუთ-ა; ზანური ენის ლაზურ  
დიალექტში დასტურდება მდუთ-ი შესატყვისი. სვანური ეკვივალენტი და-  
კარგულია. თურქ. ენათა თუთ "id" კავკასიური სუბსტრატი უნდა იყოს.

სა.-ქართვ. \*თუთ-/\*დუთ- „თუთა“

იჩქ. დითა „თუთის ხე“, ინგ. დათა ←\*დითა "id", ბაცბ. თათა  
←\*დითა "id"; ინგუშურ-ბაცბურის განმეორება განსხვავებულია იჩქერიუ-  
ლისაგან, რაც ი ~ ა აბლაუტის მოშლის ნიადაგზე ჩანს გაჩენილი. ბაც-  
ბურში წარმოდგენილი ფუძე ასიმილირებული სახეობაა. ნახურ ენებში  
გასარკვევია თა გემინატის წარმომავლობა — \*თჷ → თა (?).

ს.-ნახ. \*დითა- ←\*დითჷ- (?) „თუთა, თუთის ხე“.

### თუთ-ია

ქართ. თეთრ-, თეთრ-ი, თეთრ-დ-ებ-ა, ზან. თუთ-ია, სვან. თეთჷნ-ე ||  
თჷთჷნ-ე „თეთრი“; ზანური თუთ-ია ←\*თოთჷნ-ია მონაცემის მიხედვით სა-  
ერთოქართველური ფუძე-ენისთვის რეკონსტრუირდება \*თათჷრ- პროტოტიპი.

ს.-ქართვ. \*თათჷრ- „თეთრი, თუთია“

იჩქ. დათუო || დეთი „ვერცხლი“, ინგ. დოთუჷ "id", ბაცბ. ტათ-  
ებ ←\*დათებ "id"; ფუძენახურისთვის აღდგენილი \*დათეჷ- არქეტიპი  
კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. \*თათჷრ- ფორმას, შდრ. სემანტი-  
კური კორელაცია თუთია ~ ვერცხლი ~ თეთრი.

ს.-ნახ. \*დათეჷ- „ვერცხლი“.

## «თქვ-»

ქართ. «**თქუ-**», სვან. მე-**თქუ**-ე „დაჩვეული“, დამჩვევი“, ხ-**მ-თქუ**-ე || ხ-**მ-თქუ**-ე „ჩვევა“, ხ-**მ-თქუ**-ა || ხ-**მ-თქუ**-ა „შერიგებულია, მიჩვეულია“, ხ-**მ-თქუ**-ი „ჩვევა“; **თქვ-** ძირი ჯერჯერობით მხოლოდ სვანურში გამოვლინდა. ადვილი შესაძლებელია სხვა ქართველურ დიალექტებშიც ფუნქციონირებდეს. რამდენადაც სვანურ მონაცემს მონათესავე ენებში პარალელები ეძებნება, იგი საერთოქართველურიდან მომდინარე გვგონია.

ს.-ქართვ. \***თქუ-** „მიჩვევა, დაჩვევა“

იჩქ. თნ ←\***თავ-**, თნ-რ-დ-არ „შერიგება“; "примириться", ინგ. თა ← **თავ-**, თა-რ-დარ "id", ბაცბ. თევ-, თევ-<sup>ან</sup> || თევ-არ „შერიგება“; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის აღდგება \***თავ-** არქეტიპი *შერიგების* მნიშვნელობით. საერთოქართველური *მიჩვევა/დაჩვევა* მარჯვედ მიუდგება *შერიგება* სემანტიკას, შდრ. ქართ. ბედს *შეურიგდა* ანუ შეეჩვია. ფორმალური თვალსაზრისითაც ს.-ქართვ. \***თქუ-** : ს.-ნახ. \***თავ-** ბუნებრივი მიმართება ჩანს. შეიძლებოდა აქვე დაგვესვა საკითხი საერთოქართველური ფუძის განმარტების შესახებაც. ამჟამად თავს ვიკავებთ ამგვარი შესაძლებლობისაგან.

ს.-ნახ. \***თავ-** „შერიგება“.

## თქვ-ა

ქართ. **თქვ-**, ვ-**თქვ**-ი, ნა-**თქვ**-ამ-ი, ზან. (მეგრ.) **თქუ-/თქვ-**, **თქუ-**ალ-ა „თქმა“, ფ-**თქვ**-ი „ვთქვი“, ლაზ. **თქუ-**ალ-ა, ი-**თქვ**-ენ „ითქმის“, სვან. **ქუ-** ←\***თქუ-**, ლ-**ქუ**-ისგ „თქმა“, ხ-**ო-ქუ**-ა „უთქვამს“. ფუძეენაში **თქვ-** ძირი ისტორიულად \***დ-ექუ-** განმარტებული სახეობისა უნდა ყოფილიყო, შდრ. ქართ. **რქვ-** „თქმა“, ზან. (მეგრ.) **რაქვ-**ალ-ი „ხმამალლა თქმა“, სვან. **რქუ** „თქვა“ [ვ. თოფურია, 1931: 255]. გამოყოფილი **დ-**, **რ-** ისტორიულად გაქვავებული გრამატიკული კლასის ნიშნებია (ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა).

ს.-ქართვ. \***თქუ-** ←\***დ-ექუ-**, \***რექუ-/რქუ-** ←\***რ-ექუ-** „თქმა“

იჩქ. **დ-ექუ-**, **დ-ექუ-**არ „ხმის გამოცემა“, ინგ. **დ-ექუ-**, **დ-ექუ-** "id", **ბ-ექუ-არ** „გუგული“, ბაცბ. **დ-ექუ-**, **დ-ექუ-**არ „დაძახება“, შდრ. **ვ-ექუ-**არ „ძახილი“. ს.-ქართვ. \***დ-ექუ-** : ს.-ნახ. \***დ-ექუ-** ბუნებრივი შეპირისპირება ჩანს. ს.-ნახ. \***დ-ექუ-** „დაძახება; რქმა“.

## თქვენ-ი

ქართ. **თქუნენ-**, **თქვენ**, **თქვენ-ი**, ძვ. ქართ. **თქუნენ**, **თქუნენ-ი**, ზან. **თქვა-** || **თქვან** „თქვენ“, **თქვან-ი** „თქვენი“, სვან. **სგაჲ** || **სგაჲ** || **სკჲ** „თქვენ“, ი-**სგუ**-ე || ი-**სგუ** || ი-**სკუ** „თქვენი“; როგორც ცნობილია, სვანურისთვის აღსადგენია \***შთქუნენ-** არქეფორმა გამომდინარე ქართ. **თ** : სვან. **შთ** → **შდ/ტ** შესატყვისობიდან [გამყრ. 2000: 31-32]. საერთოქართველური \***სთქუნენ-** „თქვენ“ მომდინარეობს \***სთუნენ-** წინარეფორმისაგან.

ქ ფონეტიკური დანართია **ჟ**-ს წინა პოზიციაში [თოფ. 1941, X].

ს.-ქართვ. \***სთქ**ჟენ- ← წ.-ქართვ. \***სთჟენ**- „თქვენ-, თქვენი“

იჩქ. **შუ** „თქვენ“, **შუნ** „თქვენი“, ინგ. **შო** || **შუო** „თქვენ“, **შუნ** || **შონ** „თქვენი“, ბაცბ. **შუ** „თქვენ“, **შუნ** „თქვენი“; ინგუშურის ჩვენება ახლოსა დგას საერთონახურ ვითარებასთან, სადაც \***შონ**- არქეტიპი ფუნქციონირებდა. პირის ნაცვალსახელთა **ნ** ნაზალი ნახურ ენებში ისევე დაიკარგა, როგორც ზანურსა და სვანურში. წ.-ქართვ. \***სთჟენ**- : ს.-ნახ. \***შონ**- ← წ.-ნახ. \***შუნან**- ბუნებრივი მიმართებაა, შდრ. ს.-ქართვ. **სთ** : ს.-ნახ. **შ** (§ 45), ს.-ქართვ. **ჟე** : ს.-ნახ. **ჟა** (ე : ა, § 6.2).

ს.-ნახ. \***შონ**- ← წ.-ნახ. \***შუნან**- „თქვენ, თქვენი“.

### თქორ-ი

ქართ. **თქორ**-/**თქრ**-, **თქრ**-იალ-ი, მო-**თქრ**-ი-ალ-ებ-ს (მდინარე, წყალი, სისხლი...), **თქორ**-ი „წვიმა“, **თქრ**-იალ-ი „არს, რა ჯოგნი სხვაგნით გაბრუნდეს და გაექანოს“ (საბა); ზან. (მეგრ.) **თქურ**-ინ-ი „წყლის თქრიალი“; სვან. **თქრ**-, ლი-**თქრ**-გნ-ე „სითხის თქრიალით დენა“; ქართულ-სვანურ ფუძეთა ერთიანობა დადგენილია [ფენ.-სარჯ. 2000: 244]. აქვე შემოდის მეგრ. **თქურ**-ინ- ზმნური ფუძე, რომელიც ქართ. **თქორ**- სახელური ფორმის ზუსტი შესატყვისია — **თქორ**- : **თქურ**-. ზანურსა და სვანურში ზმნის ძირი გართულებულია **-ინ**-/**-გნ** აფიქსებით.

ს.-ქართვ. \***თქორ**- „თქრიალი; თქორი“

იჩქ. (დიალ.) **თერქ**-, **თერქა**<sup>ნ</sup> || **თერქ**-არ „ქანაობა, რწევა; ქანაობით სვლა“, ინგ. **თერქ**-/**თირქ**-არ "id", შდრ. **თირქ**-ა „თერგი“ (ჰიდრონ.), ბაცბ. **თერქ**-, **თერქა**<sup>ნ</sup> || **თერქ**-არ „რწევა; ქანაობა“, **თერქ**-ემ ლელარ „რწევით/ქანაობით სიარული“; *ქანაობა/რწევის* შინაარსი ძირითადია ნახურ დიალექტებში. *გაქანება* საბას განმარტებაშიც გამოჩნდა. ნახურ ენათა ნიადაგზე *თერგის* სახელდებისას *ქანაობა/თქრიალის* ნიუანსი იყო საფუძველი. ს.-ქართვ. \***თქორ**- : ს.-ნახ. \***თერქ**- ხმაბაძვითი ფუძეები ჩანს; მიუხედავად ამისა, ბგერათშესატყვისობები დაცულია.

ს.-ნახ. \***თერქ**- „ქანაობა/რწევა“.

### ტხ-

ქართ. **ტხ**-<sup>ნ</sup>, სვან. **თხ**- „დაძინება“, **თხ**-ულ-ი „ძინავს“; ძილის მნიშვნელობით **თხ**- ძირი ქართველური ენებიდან მხოლოდ სვანურში დასტურდება. ვინაიდან **თხ**- ძირს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში, **თხ**- „მძინარება“ ზმნა საერთოქართველურიდან მომდინარედ მიიჩნევა.

ს.-ქართვ. \***თხ**- „დაძინება, ძილი, მძინარება“

იჩქ. **თჰა**-, **თჰა**-ოჰს-ა<sup>ნ</sup> „დაძინება; ძილი“, **თჰა**-ოჰს-უო „დაძინება“, ინგ. **თჰა**-, **თჰა**-ოჰს-არ „ჩაძინება, ძილი“, **თჰა**-აჟს-ად „დაიძინა“, **თჰა**-ოჰს-აჟდჟ „დაძინება“, ბაცბ. **თოჰა**-, **თოჰა**-არ „დაძინება“, **თოჰა**-ო-სო „მეძინება“,



**თოჭა**-დარ „დაძინება“, **თოჭა**-უდნ „მძინარე“; საერთონახური **\*თოჭა**-უცვლელად არის შემონახული ბაცბურში, მაშინ როდესაც ვაინახურ დიალექტებში ისტორიული **\*თოჭა** > **თჭა**-რედუცირდა მომდევნო **-ოჭს**-სეგმენტის დართვისას. ს.-ქართვ. **\*თხ**- : ს.-ნახ. **\*თოჭა**-კანონზომიერი ფონეტიკურ-სტრუქტურული მიმართება ჩანს, შდრ. ს.-ქართვ. **ხ** : ს.-ნახ. **ჭა** (§ 40.1). სემანტიკური იდენტურობა კიდევ ერთი არგუმენტი დასახელებულ ძირთა საერთო წარმომავლობის სამტყიცებლად.

ს.-ნახ. **\*თოჭა**- „ძილი; დაძინება“, "заснуть".

### თხ-

ქართ. **თხ**-<sup>1</sup> „ქსელის გაბმა“, ზან. (მეგრ.) **თუხ**-, **თუხ**-უ-ა „რთვა, დართვა“, **თუხ**-ილ-ი „ნართი“, მა-**თუხ**-ალ-ი „დამრთველი“, ლაზ. **თხ**-, ო-**თხ**-უ „დართვა“, სვან. **თხ**-, ლა-**თხ**-ა „საქსოვი ძაფი“, ლა-**თხ**-ე-ფ „ქსელი“; ძნელია ასახსნელად მეგრულის გახმოვანებული **თუხ**-ვარიანტი. სხვა ძირი ზომ არ არის — **თხ**- → **თუხ**-(?). თუ დაშვება სწორია, საერთოქართველურისთვის აღდგებოდა **\*თხ**-ძირი *ქსელის/დართვის* მნიშვნელობით [ჩიქ. 1938: 285; ანდლულ. 1950: 230-231; არაბ. 2001: 78; ფენ.-სარჯ. 2000: 234], შდრ. ქართ. **თხ**-იერ-ი (?).

ს.-ქართვ. **\*თხ**- „ქსელი; ძაფის დართვა“

იჩქ. **თხუო** || **თხო** „ქსელი“, ინგ. **თხფ** "id", ბაცბ. **თხო** „ქსელი“; ნახურ ენებში ძირად **თხ**-გამოიყოფა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ს.-ნახ. **\*თხ**-ო სახელი წარმოშობით ნაზმნარი ფორმა იყო. ს.-ქართვ. **\*თხ**- : ს.-ნახ. **\*თხ**-ო კანონზომიერი მიმართება გვეჩინა; თუმცა ნახურ ენებში ზმნური ფორმები გვაკლია. დაკავშირება ეკუთვნის ნ. ანდლულაძეს 1950: 230-231.

ს.-ნახ. **\*თხ**-ო „ქსელი“.

### თხა

ქართ. **თხა**, ძვ. ქართ. **თხა-ფ**, ზან. **თხა**, მრ. რიცხვ. **თხალ**-ეფ-ი/ე, ო-**თხალ**-ე „სათხე, თხის დასამწყვდევი ადგილი“, სვან. **დაჯგლ** „თხა“; ზანურსა და ქართულში რედუცირებული ფუძეები გვაქვს, ამოსავალია სვანურის გახმოვანებული (resp. სრულხმოვნიანი) ფორმები [იხ. თოფ. 1926: 211; ჩიქ. 1942: 16; ფენ.-სარჯ. 2000: 165].

ს.-ქართვ. **\*დაჯალ**- „თხა“

იჩქ. **დხნ**-ი „საქონელი“, ინგ. **დოახნ** "id", ბაცბ. **დახნ**-ე || **დახნ**-რ „პირუტყვი“; საერთონახურისთვის აღსადგენია ინგუშურისებური გახმოვანებული სახეობის არქეტიპი — **\*დახან**-, რომელიც ზუსტი ფონეტიკურ-სტრუქტურული შესატყვისია ს.-ქართვ. **\*დაჯალ**-ფორმისა, შდრ.: ს.-ქართვ. **ჯ** : ს.-ნახ. **ხ** (§ 36), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **ნ** (§ 13.6). მისაღები ჩანს *თხა* ~ *საქონელი* სემანტიკური კორელაცია.

ს.-ნახ. **\*დახან**- „საქონელი, პირუტყვი“.

## 「თხარ-」

ქართ. 「თხარ-」 „სკლომა“, ზან. (ლაზ.) ნთხორ- ←\*თხორ- „ღებინება“, ო-ნთხორ-უ „ღებინება“, ო-ნთხორ<sup>რ</sup>-აფ-ს „აღებინებს“, ო-ნთხორ<sup>რ</sup>-უ „აღებინა“; სვან. თხარ-ა → || თხერ-ა „გახეთქვა, გასკლომა“, თხირ-ე || თხერ-ე „გახეთქავს“, ა-თხარ „გასკლა“, ლი-თხრ-ე „გახეთქვა, გასკლომა“; ზანური თხორ- და სვანური თხარ- || თხარ- ფუძეები საერთოქართველურისთვის \*თხარ- არქეტიპს გვავარაუდებინებს. ქართული შესატყვისი დაკარგული ჩანს [შდრ. შმიდ. 1962: 92-98; ფენ-სარჯ. 2000: 244].

ს.-ქართვ. \*თხარ- „გასკლომა, გახეთქვა“

იჩქ. ლდეღს-, ლდეღს-ან<sup>5</sup> || ლდეღს-არ „გასკლომა; ხეთქა“, ინგ. ლდეღს-, ლდეღს-ან || ლდეღს-არ "id", შიშაშ ლდეღს-ან „ბოთლები სკდება“, ბაცბ. ლეთს-, ლეთს-ან<sup>5</sup> || ლეთს-არ „ამოხეთქვა, გასკლომა“, ლეთს-ე „სკდება“; საერთონახურში აღსადგენია \*ლეთს- არქეტიპი, რომლის კანონზომიერი საერთოქართველური შესატყვისი შებრუნებული წყობისაა — \*თხარ-, შდრ. ს.-ქართვ. რ : ს.-ნახ. ლ (§ 14.2), ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ე (§ 5.3). საცნაურია სემანტიკურ-ფონეტიკური იგივეობა აღწერილ ფუძეებში — შდრ. თს : თხ.

ს.-ნახ. \*ლეთს- „გასკლომა, გახეთქვა“, "лопаться, трескаться".

## თხ-არ-/თხ-რ-ობა-ა

ქართ. თხ-არ-, ვ-უ-თხ-არ-ი, მო-თხ-რ-ობა-ა, მ-თხ-რ-ობ-ელ-ი, ზან. (მეგრ.) თხ-ობ-უ-ა || თხ-ობ-ელ-უ-ა „დაბრალება, თქმა“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. ზანური მონაცემის მიხედვით საერთოქართველურ ძირად თხ- გამოიყოფა.

ს.-ქართვ. \*თხ-(არ-) „თხრობა, თქმა“

იჩქ. დ-ან-არ || ბ-ან-არ „ლაპარაკი“, ბ-ან-უ „ლაპარაკობს“, ინგ. დ-ან-არ „თქმა, ლაპარაკი“, დ-ან-ან „ამბობს“, დ-ან-არ „ჭორი, თქმულეობა“, ბაცბ. 「დას-」; საერთონახური ენობრივი ერთობის ხანისათვის რეკონსტრუირდება \*დ-ან- კლასნიშნისანი ზმნა, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*თხ- ←\*დას- ზმნური ძირი. თანამედროვე ნახურ ენა-კილოებში თავკიდური ბ- (იჩქერიულში), დ- (ინგუშურში) ფუძესშეხორცებული ისტორიული გრამატიკული კლასის ნიშნები ჩანს.

ს.-ნახ. \*დ-ან- „ლაპარაკი, თქმა“.

## თხარ-/თხრ-ა

ქართ. თხარ-, ვ-თხარ-ე, მ-თხრ-ებ-ლ-ი, სა-თხარ-ი, მ-თხრ-ელ-ი, თხრ-ილ-ი, ზან. თხორ- || ნთხორ-, ო-ნთხორ-უ „თხრა, სათხრელი“, გო-ნთხორ-უ „გათხარა“, დო-ნთხორ-უ „დაასაფლავა“, თხორ-ილ-ი „თხრილი“, სვან. შთხარ-, ჟან-შთხარ-ე „მიოთხრა“, ლი-შთხრ-ი „თხრა“ [იხ. ჭარ. 1896, I: 51; ჩიქ. 1938: 286; თოფ. 1926: 207].

ს.-ქართვ. \***თხარ-** „თხრა, ამოთხრა“

იჩქ. **თხირ** „ამონაჭერი, ჩუქურთმა“, ინგ. **თხვრ** "id", ბაცბ. **თხ-**, **ლე-თხ-** „ამოგდება, ამოთხრა“; საერთონახურისთვის აღსადგენია \***თხირ-** არქეტიპი, ბაცბური ზმნური ფორმები **თხ-**ს ძირად გამოყოფასაც უჭერენ მხარს. ს.-ქართვ. \***თხარ-** კანონზომიერად მიემართება ს.-ნახ. \***თხირ-** ფორმას, შდრ. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ი (§ 5.4).

ს.-ნახ. \***თხ-ირ-** „ამონაჭერი, ამოთხრილი“.

### თხ-ევ-ა

ქართ. **თხ-**, სი-**თხ-ე**, **თხ-ევ-ა**, და-ი-**თხ-ი-ა**, ძვ. ქართ. და-ი-**თხ-ი-ი-ს**, და-ი-**თხ-ი-ო-ს**, ზან. (მეგრ.) ო-**ნთხ**-აფ-ჟ-ან-ს „აღებინებს“, ქრ-**ნთხ**-აფ-ე „აღებინე“, **ნთხ**-აფ-ა „ნთხევა“, სვან. ლი-**თხ-უნ-ე** „პირღებინება“; საერთო-ქართველური ენობრივი ერთობისათვის სამართლიანად არის აღდგენილი \***თხ-** ძირი [შმიდ. 1962: 115-116; ფენ.-სარჯ. 2000: 244].

ს.-ქართვ. \***თხ-** „თხევა, სითხე“

იჩქ. **დ-დე-ლხ-** ← \***დ-დე-თხ-**, **დ-დე-ლხ-არ** „ტირილი; წვეთა, ნალექი“, ინგ. **დ-დე-ლხ-** ← \***დ-დე-თხ-**, **დ-დე-ლხ-არ** "id", ბაცბ. **დ-ე-თხ-არ** „ტირილი, წვეთა“, **თხ-უმ** „მტირალი, მწვეთავი“, **თხ-უმნ** ← \***თხ-უნი** "id"; როგორც ბაცბური მასალიდან ნათლად გამოჩნდა, **თხ-** სეგმენტი ძირად გამოიყოფა და საერთონახურიდან მომდინარე გვეგონია. საერთონახური ძირის ისტორიის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კლასნიშნიანი და უკლასნიშნო ფორმათა თავისუფალი სუბსტიტუცია ბაცბურში.

ს.-ნახ. \***თხ-** „ტირილი, წვეთა; ნალექი“.

### თხევ-ლ-ა

ქართ. **თხევ-**, ი-**თხევ-ლ-იდ-ა** „ნადირობდა, თევზაობდა“, **თხევ-ლ-ა** „თევზაობა, ნადირობა“, მ-**თხევ-ლ-არ-ი** „მონადირე, მეთევზე“, სვან. **თხჷ-**, მე-**თხჷ-**ჲარ „მონადირე“, ლჷ-**თხჷ-**იარ || ლა-**თხჷ-**ჲარ „სანადირო“, ი-**თხჷ-**იჲარ „ნადირობს“, **თხჷ-**რ-ე || **თხჷ-**რ-ე ← \***თხევჷ-**რ-ე „მგელი“; ზანური შესატყვისები არ არის გამოვლენილი [იხ. მარ. 1913: 10; კლიმ. 1998: 78; ჩუხ. 2000-2003: 110-111]; სვანურ *მგელსა* და *ნადირობას* შორის ისეთივე სემანტიკური მიმართებაა, როგორც ქართ. *ნადირი* ~ *ნადირობა*.

ს.-ქართვ. \***თხევჷ-** „ნადირობა (მგელზე)“, **თხევჷ-ლ-** „ნადირი, მგელი“

იჩქ. **ფჷაჷ** „ძალლი (ძუკნა)“, მრ. რ. **ფჷარ-ჩ-იდ**, ინგ. **ფჷაჷ** "id", ერგ. ბრ. **ფჷარ-ჟო**, ბაცბ. **ფჷაჷ** „ძალლი“, **ფჷარ-ავ** „ძალმა“, **ფჷარ-ი** „ძალლის“; ნახურ ენათათვის სრული სახეობის ფუძეა \***ფჷარ-**, რომელიც საერთონახურისთვის აღდგება, შდრ. ს.-ქართვ. \***თხევჷ-** ანლაუტური **ფ-** ← **ბ-** ნახურში და **თ-** ← **დ-** ქართველურში ისტორიულად გრამატიკული კლასის ნიშნებია. საყურადღებოა ბგერათმესატყვისობა ს.-ქართვ. **ხ** : ს.-ნახ. **ჷა** (§ 40.1); ს.-ქართვ. **ჷ** : ს.-ნახ. **რ** (§ 20.5).

ს.-ნახ. \***ფჷარ-** „ძალლი“.

## თხ-ელ-ი

ქართ. თხ-ელ-ი ←\*თთხ-ელ-ი, ზან. (მეგრ.) თხითხ-უ || თითხ-გ „თხელი“, ა-თითხ-არ-ენ-ს „ათხელებს“, ლაზ. თითხ-უ → || თუთხ-უ „თხელი“, სვან. დღთხ-ელ „თხელი“; საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის აღდგება \*დითხ-ელ- არქეტიპი, რომელიც უფრო სრულად სვანურმა შემოგვინახა. სხვაგვარი რეკონსტრუქციისათვის, შდრ. კლიმ. 1964: 93; კლიმ. 1998: 71; ფენ.-სარჯ. 1990: 102. პირველად ყველა ქართველური დიალექტის მასალა მოიხმო ვ. თოფურია [თოფ. 1926: 215-216].

ს.-ქართვ. \*დითხ-ელ- „თხელი“

იჩქ. ნილხ-ა<sup>5</sup> || ლილხ-ა || ნელხ-ა „თხელი, მეჩხერი“, ნილხ-დაჰა<sup>5</sup> „შეთხელება“, ინგ. ნილხ-ჰ || ნელხ-ჰ „ბრტყელი, თხელი“, ნილხ-დალჰ „შეთხელება“, ბაცბ. ნეთხ-ი<sup>5</sup> „თხელი“, ნეთხ-იშ „თხლად, მეჩხერად“, ნეთხ-დარ „გათხელება, გაბრტყელება“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \*ნითხ- არქეტიპი, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. დ : ს.-ნახ. ნ (§ 16.6), ს.-ქართვ. თხ : ს.-ნახ. თხ (§ 44).

ს.-ნახ. \*ნითხ- „შეთხელება“, \*ნითხ-ინ- „თხელი, მეჩხერი“.

## თხემ-ი

ქართ. თხემ-ი „თხემი; თავი; მწვერვალი“, სვან. თხუმ → || თხჷიმ „თავი, თხემი; მწვერვალი“; საერთოქართველური ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \*თხამ- არქეტიპი [კლიმ. 1998: 77; შდრ. ფენ.-სარჯ. 2000: 249]. სვანურში ძირეული ა ხმოვნის ლაბიალიზაცია მომდევნო მ ბაგისმიერი თანხმოვნის ზეგავლენას მიეწერება [მაჭ. 1956: 367] — სვან. \*თხამ → თხუმ.

ს.-ქართვ. \*თხამ- „თხემი, თავი; მწვერვალი“

იჩქ. თხოჷ „ჰერი; სახურავი“, ინგ. თხოჷ "id", ბაცბ. ფხუჯ „სარქველი, ხუფი“; ბაცბური მონაცემით ირკვევა, რომ თ ←\*დ, ფ- ←\*ბ- ფუძეს შეხორცებული გრ. კლასის ნიშნებია. საერთონახური ენობრივი ერთობისთვის აღვადგენთ \*თხოჷ- ფუძეს, რომელიც წინარენახური \*დ-ხოჷ- პრაფორმისაგან მივიღეთ. ს.-ქართვ. \*თხამ- : ს.-ნახ. \*თხოჷ- კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკური შესატყვისობა ჩანს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. თხ : ს.-ნახ. \*თხ- (§ 44), ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ო (§ 5.2), ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ჷ (§ 15.5).

ს.-ნახ. \*თხოჷ- „ჰერი, სახურავი; სარქველი“.

## თხვ-რ-ა

ქართ. თხჷ-, თხვ-არ-, მო-ი-თხვ-არ-ა, მო-თხვ-რ-ილ-ი, თხ-უბ- ←\*თხჷ-აბ-, მო-თხ-უბ-ნ-ა, თხ-უბ-ნ-ია, მო-თხ-უბ-ნ-ილ-ი, ზან. (მეგრ.) თხორ- || ნთხორ-, მნ-ნთხორ-ჷ „მოითხვარა, დაისვარა“, მო-ნთხორ-ილ-ი = მო-თხვრ-ილ-ი; სვანურში შესატყვისი ფუძე ვერ გამოვავლინეთ. საერთო-

ქართველურ ძირად გამოსაყოფია \***თხჷ**- ძირი, რომელსაც *გაჭუჭყიანება/დასვრის* მნიშვნელობა ახასიათებდა.

ს.-ქართვ. \***თხჷ**- „ჭუჭყი; გაჭუჭყიანება/დასვრა“

იჩქ. **ხათჷ** „ჭუჭყი, ტალახი“, ინგ. **ხათჷ**-ჲ "id", ბაცბ. **ჩათჷ**-ჲ; შესაბამისი ბაცბური ეკვივალენტი აქაც გვაკლია. საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \***ხათჷ**-ჲ არქეფორმა, რომელიც შებრუნებული წყობისაა ს.-ქართვ. \***თხჷ**- ალომორფთან შედარებით. ნახური გახმოვანების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლებელია \***თახჷ**-დუბლეტურ სახეობაზე საუბარი წინარექართველური ვითარებისათვის.

ს.-ნახ. \***ხათჷ**-ჲ ← \***თახ**-ჲ „ჭუჭყი, ტალახი“.

### თხზ-ვ-ა

იჩქ. **კა** ←\***კაჟ** „ხორბალი“, ინგ. **კა** ←\***კაჟ** "id", ბაცბ. **კავ** „ხორბალი“; ნახური ენებიდან უძველესი ჩანს ბაცბურის ვითარება. სიტყვის ბოლოში **ჟ** სონანტის მოკვეცამ ხმოვნის სიგრძის სახით კვალი დატოვა ინგუშურსა და იჩქერიულში. აღწერილ სიტყვათა სემანტიკურ იგივეობას

მხარს უჭერს ფონეტიკური შესატყვისობებიც, შდრ. ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **უ** (§ 13.4).  
ს.-ნახ. \***კაჟ**- „ხორბალი“.

### კირჩხიბ-ი

ქართ. **კირჩხ**-იბ-ი, ზან. (მეგრ.) **გირჯლ**-იბ-ე „ტკიბა“; გურ. **ჭლიბა** „ტკიბა“ ზანურიდან ჩანს შესული [კლიმოვი, 1998: 102], შდრ. სვან.

**გგრდლ-ნბ** ←\***გირჯლ-აბ** „ბალლინჯო“.

ს.-ქართვ. \***გირჯლ**-იბ- „ბალლინჯო, ტკიბა“

იჩქ. **ძჟუგა** „კრაზანა, ბზიკი“, ინგ. **ძჟოგ**-მოზ "id", ბაცბ. «**ძჟოგ**-?»;  
ბაცბურში სათანადო ფუძე დაკარგული ჩანს.

ს.-ქართვ. \***გირჯლ**- : ს.-ნახ. \***ძჟოგ**- ძირთა მიმართება ბუნებრივია ფორმალური თვალსაზრისითაც, თუ გავითვალისწინებთ საურთიერთო მეტათეზისის შესაძლებლობებს ჩვენს ენებში (იხ. აქვე, § 3).

ს.-ნახ. \***ძჟოგ**- „კრაზანა, ბზიკი“.

### კიც-ნა-რა

ქართ. **კიც**-, **კიც**-ნა-რა „ჩიტის ბირკა“, ზან. (მეგრ.) **კუც**-, **კუც**-ი „ბაძგი“, ანთროპ. **კუც**-ია, სვან. **კვც** || **კიც** „კენკეშა“; არ არის მთლად ნათელი ძირის განმარტების საკითხი ქართველურ ენებში: ქართ. **ი** : ზან. **უ** გამოსარკვევია. ქართულ **კიც**-ნა-რა ფუძეში ორმაგი სუფიქსაცია გვაქვს — **ნა**-, **რა** (შდრ. **კანკ**-რა, **ძიგ**-რა, **კენკ**-რა, იხ. ჩუხ. 2000-2003: 137).

ს.-ქართვ. \***კუც**- „კენკეშა, კიცნარა (მცენ.)“

იჩქ. **კონც**-, **კონც**-ერ-გ „ნიორი“, ინგ. **კონც**-არ-გ || **კოსთ**-არ-გ "id", ბაცბ. «**კონც**-?»; ბაცბური ეკვივალენტი დღემდე არ არის გამოვლენილი. ალბათ დაკარგულია. საერთონახური ფუძე-ენისათვის რეკონსტრუირდება \***კონც**- არქეფორმა, რომლის მიმართება ს.-ქართვ. \***კუც**- ძირთან განმარტების თვალსაზრისით გარკვეულია — ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **ო** უნიკალური არ გახლავთ, სხვა მასალაშიც იჩენს თავს, იხ. § 9.2.

ს.-ნახ. \***კონც**- „ნიორი“.

### კლერტ-ა

ქართ. **კლერტ**-ა, გა-**კლერტ**-ვა ზმნა ქართლურ დიალექტში აღნიშნავს: *გაფრცქვნას, ფოთლების შემოცლას, გასხებას*; აქ გამოყოფილი **კლერტ**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ზან. (მეგრ.) **კანტ**-არ-, გო-**კანტ**-არ-უ-ა „გასხება, ფოთლების შემოცლა, გაფრცქვნა“, შდრ. ლაზ. **კანტ**-არ-ი „თავთავი“. **ლ** სონანტი ქართლურში ფონეტიკური დანართი ჩანს; შდრ. ქართ. მა-**კრატ**-ელ-ი ←\*მა-**კერტ**-ელ-ი.

ს.-ქართვ. \***კერტ**- „გაფრცქვნა, გასხება; მაკრატელი“

იჩქ. **ჭუოდა** ←\***კადუ**, შდრ.: ჭებ. **ჭადუ**, ქისტ. **კოდ**, ითუმე. **კუ-**

ოდა ←\*კადუ „ცხვის საკრეჭი მაკრატელი“, ინგ. ჭოად ←\*კადუ „დუქარი“, ბაცბ. ყანტუ ←\*ყატუ „დუქარი“, შდრ.: მრ. რ. ყატ-ადრჩ, ერგ.

ყატ-ნ-ივ „დუქარი“; საყურადღებოა კ → ყ გადაბგერება ბაცბურში, რაც კ/ყ სუბსტიტუციით აიხსნება. ხმოვნური მიმართება ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა რეგულარულ-კანონზომიერია, იხ. აქვე, § 6.2.

ს.-ნახ. \*კატ-უ „დუქარი; საკრეჭი მაკრატელი“.

### კოდ-ი

ქართ. კოდ-, კოდ-ი, ფაცერ-კოდ-ი, კოდ-ი „დიდი ჭურჭელი, საწყაო უდრის ათ ლიტრს“, ზან. კოდ-, კოდ-ი „ხის ჭურჭელი (პატარა სატლი)“, სვან. კუიდ-, კუიდ-ოლ || კუიდ-ოლ „კოდი, მარცვლეულის საწყაო“, „პატარა ზომის გოდორი“, „გორიცა“; საერთოქართველური ფუძენისათვის პოსტულირდება \*კოდ- არქეტიპი, რომელიც სამსავე ქართველურ დიალექტში შემოგენახა [კლიმ. 1964: 113; ფენ.-სარჯ. 2000: 288].

ს.-ქართვ. \*კოდ- „კოდი“

იჩქ. კუდ-ალ „სპილენძის დიდი თუნგი“, ინგ. კუდ-ალ "id", ბაცბ. კუტ-ალ „ჭინჭილა“; საერთონახური ენობრივი ერთობისთვის აღვადგენთ \*კუდ-ალ- წინარეფორმას, რომლისაგან დ-ს გლოტალიზაციით წარმოდგა ბაცბური კუტ-ალ ალომორფი, შდრ. დალ., კრიწ. კად-ირ „სპილენძის დიდი ქვაბი“, უდ. ქუდ „ხელკასრი“. ს.-ქართვ. \*კოდ- : ს.-ნახ. \*კუდ-ალ- კანონზომიერი მიმართებაა.

ს.-ნახ. \*კუდ-ალ- „ჭინჭილა; სპილენძის დიდი თუნგი“.

### კოვზ-ი

ქართ. კოჟუზ-, კოვზ-ი || კოვზ-ი || კოზ-ი „კოვზი“, ძვ. ქართ. კოვზ-ი ზღვისაჲ „ზღვის ლოკოკინა“, ზან. (ლაზ.) კუზ-ი → || კიზ-ი „კოვზი“, მეგრ. კვზ-ი || კიზ-ი "id"; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. ჩიქ. 1938: 170]. მეტად მნიშვნელოვანია უ → გ → ი დელაბიალიზაციის ფონეტიკური პროცესის ასე თვალსაჩინოდ გამოვლენა ამ ფუძეებში [როგ. 1962: 52-71], როცა ყველა საფეხური (რგოლი) ფონეტიკური გარდაქმნისა დაცულია.

ს.-ქართვ. \*კოჟუზ- „კოვზი“

იჩქ. (ხილდ.) კუოს „ერთგვარი ჯამი“, ინგ. —, ბაცბ. კოს „ხის ჯამი“; ზ → ს ნახურ დიალექტებში მეორეული ფონეტიკური პროცესია, რაც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მყდერი სისინა ფრიკატივის სუსტი არტიკულაციით აიხსნება. ამდენად, საერთონახურში რეკონსტრუირდება \*კოზ- არქეტიპი. ს.-ქართვ. \*კოჟუზ- „კოვზი“ : ს.-ნახ. \*კოზ- „ჯამი“ ბუნებრივი მიმართება ჩანს როგორც ფონეტიკურად, ისე მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისითაც.

ს.-ნახ. \*კოზ- „ჯამი“.

### კოკ-ა

ქართ. კოკ-, კოკ-ა, კოკ-ურ-ა „მცირე კოკა“, ქართლ. კოკ-ოში-ი „გულამოდებული გოგრა“, ზან. კოკ-ა, კოკ-უმ-ა || კუკ-უმ-ა "id"; საერთოქართველურისთვის აღსადგენია \*კოკ- ძირი.

ს.-ქართვ. \*კოკ- „კოკა; ამოღრმავებული, გულამოდებული“

იჩქ. კუოგ || კაგ „ორმო“, ინგ. კოაგ ← \*კოგ "id", ბაცბ. კოოკ „ორმო“; აქვე შემოდის ვაინახ. კორგ-ან<sup>ნ</sup> ← \*კოგ-რან<sup>ნ</sup>, ბაცბ. კოოკ-რუ<sup>ნ</sup> „ღრმა“ დერივატებიც, შდრ. ბაცბ. კოოკ-რ-უმ „ღრმად“. საერთონახურ აქტეტიპად აღსადგენია \*კოკ- ძირი, რომელიც ბუნებრივად შესატყვის-სებს ს.-ქართვ. \*კოკ- ფორმას.

ს.-ნახ. \*კუაკ- „ორმო; ამოღრმავებული“.

### კოკ-ელ-ი

ქართ. (ქიზიყ.) კოკელ-ი „ქუსლი; თალის ფეხის საბრჯენი“, ზან. (მეგრ.) კონკერ-ი „კანჭი, წვივი“; ნ ზანურში ფონეტიკური დანართია.

ს.-ქართვ. \*კოკ-ელ- „ქუსლი“

იჩქ. კაჟა „ქუსლი“, ინგ. კოაჟ-ჟუ "id", ბაცბ. კააკ ← \*კააკ „ქუსლი (ფეხისა, კარისა)“; იჩქერიულსა და ინგუშურში ადვილი დასნახია კ → კ̄ → ჭ → ჭ/ჟ პალატალიზაცია-აფრიკატიზაციის ფონეტიკური პროცესი.

ს.-ნახ. \*კოკ- || \*კააკ- „ქუსლი“.

### კოკორ-ი

ქართ. კოკორ-ი || კუკურ-ი „საყვავილე კვირტი; გაუმღელი ყვავილი“, ზან. (ლაზ.) კუკულ-ი „კვირტი“, მეგრ. კვიკვილი "id", სვან. კუ-კურ „ხის კვირტი“; საერთოქართველურშივე ეს ძირი რედუბლიცირებული ჩანს — \*კორ-კორ-. რ → ლ ლატერალიზაციის ფონეტიკური პროცესი სახეზეა ზანურის ორსავე დიალექტში. მეგრულში უ → ვი უმლაუტი განხორციელდა ხვირხვილ- „ბიმბილი“ ფუძესთან კონტამინაციით.

ს.-ქართვ. \*კორ- „საყვავილე კვირტი“

იჩქ. კუორ-ა (ქისტ. კორ, ჭებ. კორ-ჟ, ითუმყ. კორ) „თავთავი, გულაფშუტა ხორბლეულისა“, ინგ. კუორ || კორ "id", ბაცბ. კორ-<sup>1</sup>; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება \*კორ-ჟ არქეტიპი. ნახურ-ქართველურ ძირ-ფუძეთა სემანტიკურ-ფორმობრივი ერთიანობა ეჭვს არ იწვევს.

ს.-ნახ. \*კორ-ჟ „თავთავი; გულაფშუტა“.

### კონკ-ი

ქართ. კონკ-, კონკ-ი „ძველი ტანსაცმელი“; კონკ-ები "pluralia tantum", ზან. (მეგრ.) კენკ-ი || კინკ-ი „კონკები“, ლაზ. კინკ-ი; სვანური შესატყვისი ვერ გამოავლინეთ. შესატყვისობა ქართ. კ : ზან. (კ→) გ → || ი პროცესს გულისხმობს მეგრულ-ჭანურში [იხ. როგ. 1962: 74-85].

ს.-ქართვ. \*კონკ- „ძველი ტანსაცმელი“

იჩქ. კუოგ || კუოგ „ტყაბუჭი“, ინგ. კოგ "id", ბაცბ. კოკ „ტყაბუჭი“; ბაცბურის ჩვენება ამ შემთხვევაში ემთხვევა ფუძენახურისას, ვინაიდან არაანლაუტში კ → გ — მკვეთრთა გამჟღერების ფონეტიკური პროცესი დამახასიათებელია ვაინახური ენებისთვის. ასევე ბუნებრივი ჩანს სემანტიკური მიმართებაც: კონკი ~ ტყაბუჭი.

ს.-ნახ. \*კოკ- „ტყაბუჭი“.

### კონცხ-ი

ქართ. კონცხ-, კონცხ-ი „ესე არს ცხვირი კლდეთა“ (საბა), ზან. კონჩხ-ი → კენჩხ-ი || კინჩხ-ი „ქელი, კისერი“, სვან. კარჩხ- || კორჩხ-, ხ-ე-კარჩხ-ი/ხ-ე-კორჩხ-ი „წვერზე ცოცდება“ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 122]. სვანურში ნასახელარი ზმნა გვაქვს, რისთვისაც ამოსავალია კორჩხ- „ქელი“ ფუძე, ანუ ა-კორჩხ-ებ-ა ე. ი. ქედზე, წვერზე ასვლა.

ს.-ქართვ. \*კჷანცხ-/\*კონცხ- „ქელი, ცხვირი; კისერი“

იჩქ. კაგეს (ითუმყ. კესირ) „კეფა“, ინგ. კაგეს "id", ბაცბ. საკრ-<sup>6</sup> სიტყვაში საკრ-ენ-კოკ „კეფის ფოსო“, შდრ. ახ. კესარ-კოგ, ჭებ. კანერ-კარგ, ითუმყ. კესირ-კაგ "id", ბაცბ. საკრ-<sup>6</sup> ← კასრ-<sup>6</sup> საურთიერთო მეტათეზით, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ცხ : ს.-ნახ. ს, იხ. აქვე, § 31.4. ქართული კისერ- ფუძე ნახური ენებიდანაა შეთვისებული.

ს.-ნახ. \*კ(ჷ)ას-ერ- „კეფა“.

### კობ-ე

ქართ. კობ-ე „საღვინე არს“ (საბა), ზან. (მეგრ.) კობ-ა „ერთგვარი ჭურჭელი“, ლაზ. კობ-ა „ციცხვი“, სვან. კობ → || კობ „ნის სასმისი; ჩამჩა“; სვანური შესატყვისი, შესაძლოა, ისტორიულად ამოსავალ სახეობას ემთხვეოდეს — კობ-ე ← \*კობ-ე დისიმილაციური გამჟღერებით.

ს.-ქართვ. \*კობ-ე ← \*კობ-ე „ერთგვარი ჭურჭელი; კობე“

იჩქ. ბუოგა „დიდი მისკა“, ინგ. ბოგან "id", ბაცბ. ბოკან<sup>7</sup>; ბაცბურში შესაბამისი ფუძე დაკარგული ჩანს. საერთონახურისთვის სავარაუდოა \*ბოკ-ა არქეტიპის პოსტულირება, რომელიც შებრუნებული წყობისაა ს.-ქართვ. \*კობ-ე სიტყვასთან შედარებით. ამ ტიპის სიტყვებში შებრუნებული წყობა (resp. საურთიერთო მეტათეზისი) ბუნებრივია (იხ. § 3).

ს.-ნახ. \*ბოკ-ა „დიდი მისკა“.

### კობ-ი

ქართ. კობ-, კობ-ი „ამობურცული ადგილი, კობი“, ზან.(მეგრ.) კომბ-ულ-ი ← \*კობ-ულ-ი "id"; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. \*კობ- ← \*კობ- „ამობურცული ადგილი, კობი“

იჩქ. ბუოგ „კობი“, ინგ. ბოგ "id", ბაცბ. «ბოკ»; ბაცბურში საძიებელი სიტყვა არ არის გამოვლენილი. ვაინახურში ადვილი შესამჩნევია არა-ანლაუტური კ → გ გამჟღერების პროცესი, შდრ. ქართ. ბურკ-ი“კობი”. ს.-ნახ. \*ბოკ- „კობი“.

### კოწ-ოლ-ა

ქართ. კოწ-, კოწ-ოლ-ა, ქიზ. „კენწერო“, ზან. (ლაზ.) კუჭ-ან-ი „თავი, კენწერო“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. ჩუხ. 2000-2003: 131]. ქართულ კოწ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური კუჭ- (კუჭ-ან-ი) ფორმა.

ს.-ქართვ. \*კოწ- „მწვერვალი, კენწერო“

იჩქ. კუჭ → || კუუ „მთის თავი“, ინგ. კუჯ → || კუჩხ "id", ბაცბ.

კუჭ „მთის წვერი“; საერთონახური \*კუჭ- არქეტიპი უცვლელად მეორდება ბაცბურში, ე. ი. ჭ → ჯ || უ მკვეთრთა გამჟღერების პროცესი ვაინახურში განხორციელდა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. წ : ს.-ნახ. ჭ (§ 30.3), ს.-ქართვ. ო : ს.-ნახ. უ (§ 8.2).

ს.-ნახ. \*კუჭ- „მთის წვერი“.

### კოწ-ოლ-ი

ქართ. კოწ-, კოწ-ოლ-ი „ცეცხლის ალი“, ფშ. კოწ-ლ-ვა „წყლის ან სხვა სითხის ძლიერი დუღილი“, ხევს. კოწ-ლ-ისა „იტყვიან მწვავ, ცხელ საქმელზე“, ზან. (მეგრ.) კოჭ-, კოჭ-ობ-ი „ჭრაქი, კაშკაშა“, სვან. გგრგგჭ ←\*გოჭ-გოჭ ←\*კოჭ-კოჭ (რედუბლ.) „ჯოჯონხეთი“; სვანურში ფუძის რედუბლიკაციით მიღწეულ იქნა სიტყვის ექსპრესიული მხარის გაძლიერება. მეგრულში ბოლოკიდური -ობ აფიქსური მონაცემი ჩანს, შდრ. ქართ. -აბ — კაკ-აბ-: ზან. კოკ-ობ-ე...

ს.-ქართვ. \*კოწ- „მდუღარე, ცხელი, ცეცხლი“

იჩქ. კეჯ → || კეუ „დუღილი“, კეუ დაჯან „ადუღება“, ინგ. კეჯ ||

კეჩხ "id", კეჯ დახარ „დუღილი“, ბაცბ. კეჭ-დახარ „დუღილი“, კეჭ-დაჯარ „მოდუღება“, კეჭ-დაჯინო „ადუღებუი“; ბაცბური კეჭ- ემთხვევა საერთონახურ მონაცემს. როგორც ეტყობა, ისტორიულად ნახურ ენებში ანლაუტური თანხმოვანი ლაბიალიზებული იყო.

ს.-ნახ. \*კ(ჭ)ეჭ- „დუღილი; ცხელი“.

### კოწ-ოლ-ი

ქართ. კოწ-ოლ-ი „თმის ნაწნავი“, კუწ-უბ-ი, ზან. კუჭ-ულ-ი „ქოჩორი“, კოჭ-ო ←\*კუჭ-ო „ქოჩორა“, შდრ. მეგრ. კოჭ-ო ყვარია „ქოჩორა ყვავი“, სვან. კუჭ-ილ „კუწუბი“; სვან. კუჭ-ილ ზუსტად შეესატყვისება ძვ. ქართულ კოწ-ოლ- ფორმას. ქართველურ ენებში ძირად კოწ- გამოიყოფა, იხ. ჩუხ. 2000-2003: 132.



ს.-ქართვ. \***კოწ**- „ქოჩორი; თმის ნაწნავი“

იჩქ. **კუჭ** → || **კუუ** „ქოჩორი“, **კუუ**-ალ || **კუჯ**-ალ „თმის ვარცხნილობა“, ინგ. **კუჭ** → || **კუჩ** "id", ბაცბ. **კუჭ** „ქოჩორი“; საერთონახურში ძირად გამოიყოფა \***კუჭ**- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვის-სია ს.-ქართვ. \***კოწ**- ძირისა; ბგერათშესატყვისობათა ჩვენება დაცულია, შდრ. ს.-ქართვ. **წ** : ს.-ნახ. **ჭ** (§ 30.3), ს.-ქართვ. **ო** : ს.-ნახ. **უ** (§ 8.2).

ს.-ნახ. \***კუჭ**- „ქოჩორი“.

### კრავ-ი

ქართ. **კრავ**-, **კრავი** „ცხოვართ შვილი“ (საბა), **კრავ**-ელ-ი „კრავის, ბატკნის მატყლი“, ზან. (მეგრ.) **კვრიბ**-ი → || **კირიბ**-ი „კრავი“; სვანური შესატყვისი ჯერ-ჯერობით არ არის გამოვლენილი. ქართული **კრავ**-დასტურდება უძველეს ხელნაწერ ტექსტებში [ჭარ. 1895, XII: 102; ფენ.-სარჯ. 2000: 291-292]. საერთოქართველურ არქეტიპად რეკონსტრუირდება \***კარტ**-, რომელმაც ზანურში \***კურბ**- → **კვრიბ**- ალომორფები მოგვცა; ხოლო ქართულში — \***კარტ**- → **კრავ**-.

ს.-ქართვ. \***კარტ**- „კრავი, ბატკანი“

იჩქ. **კუორნი** (ჭებ. **კუორნად**) „ცხოველთა ნაშიერი“, ინგ. **კორ**-იგ ← \***კორნ**-იგ "id", ბაცბ. «**კორნ**-იკ»; ბაცბური შესატყვისი აქაც გვაკლია. საერთონახური \***კორნ**- ძირი კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***კარტ**- არქეტიპს, შდრ. ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** (§ 5.2), ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **ნ** (§ 20.4). ფუძენახურში ამ სიტყვას მნიშვნელობა გაუფართოვდა, შდრ. დალ., დიდ. (ჰინ.) **ყუინუ** „ცხვარი ერთი წლის“ და ხვარშ. **ყუენუ** „ბატკანი“...

ს.-ნახ. \***კორნ**- „ცხოველთა ნაშიერი საზოგადოდ“.

### კრთ-ომ-ა

ქართ. **კერთ**-/**კრთ**-, **კრთ**-ებ-ა, **შე-კრთ**-ა „შეშინდა“, ძვ. ქართ. **კრთ**-ებ-ი-ს „ეშინია“, გან-ჰ-**კერთ** „შეშინდი“, **კრთ**-ომ-ილ-ი, ზან. (მეგრ.) **კუთ**-, ა-**კუთ**-უ „სუნთქვა ეკვრის“, **კუთ**-უ-ა „სუნთქვის შეკვრა“, ლაზ. ე-**მკუთ**-ინ-უ „დაფრთხობა; გალიზიანება“, ე-**მკუთ**-უ „დაფრთხა“, ე-**მკუთ**-ინ-ერ-ი „დამფრთხალი“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. ქართველური მონაცემები ერთმანეთს შეუპირისპირა არნ. ჩიქობავამ [ჩიქ. 1938: 299]. ქართ. **ე** (კერთ-) : ზან. **უ** (კუთ-) შეფარდება ხმოვნებში უჩვეულა. უნდა აღდგეს ისტორიული **ა** ქართულში და **ო** → **უ** (მ-ს ზეგავლენით) ზანურში [მაჭ. 1958].

ს.-ქართვ. \***კართ**- „კრთომა, გალიზიანება/ფრთხობა“

იჩქ. **კუორდ**-, **კუორდ**-უო „მობეზრება, მოწყენა“, ინგ. **კორდ**-, **კორდ**-დე „თავის მობეზრება, წყენინება“, ბაცბ. **კორტ**-, **კორტ**-ა<sup>5</sup> || **კორტ**-არ „მობეზრება, გალიზიანება, მოწყენა“, **კორტ**-უდნ „მოსაწყენი“;

საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღვადგენთ \***კორდ**- არქეტიპს, რომელმაც ბაცბურში გლოტალიზაცია — **ღ** → **ტ** განიცადა რ-სთან მე-ზობლობაში — ბაცბ. **კორტ** ← \***კორდ**. ს.-ქართვ. \***კართ** : ს.-ნახ. \***კორდ**- კანონზომიერი მიმართებაა. *გალიზიანების* შინაარსი ერთნაირად არის დამახასიათებელი ორივე ჯგუფის ენებისათვის.

ს.-ნახ. \***კორდ**- „მობეზრება, გალიზიანება, მოწყენა“.

### კრინჩხ-ი

ქართ. **კრინჩხ**-, ქიზ. **კრინჩხ**-ი „თრთვილი“, **კრინჩხ**-ის გაგდება „დათრთვილვა“, ზან. (ლაზ.) **კიცხ**-ი ← **კირცხ**-ი „კონი, სეტყვა“, მეგრ. **კირცხ**-ი/გ "id", **კირცხ**-ან-ს „სეტყვავს, სეტყვაა“, შდრ. ტიპონიმები: **კირცხ**-ი (სამეგრელოში), **კიცხ**-ი (← ლაზ., იმერეთში), სვან. **კიცხ** „სეტყვა“; ლაზურსა და სვანურში **რ** → **Ø** ერთგვაროვანი პროცესი დასტურდება. საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \***კირცხ**- არქეტიპი, **ცხ** → **ჩხ** გაშიშინება ახალ ქართულში მომხდარა.

ს.-ქართვ. \***კირცხ**- „თრთვილი/კონი“

იჩქ. **კაც** „თრთვილი, ჭირხლი“, ინგ. **კანც** || **კვც** "id", ბაცბ. **კაც**; ბაცბურში, როგორც სხვა შემთხვევებში, შესატყვისი ფუძე დაკარგული ჩანს. საერთონახური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \***კარც**- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისია ს.-ქართვ. \***კირცხ**- ძირისა, შდრ. ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3), ს.-ქართვ. **ცხ** : ს.-ნახ. **ც** (§ 31.4). **რ**-ს დაშვებას მხარს უჭერს ითუშყალურის ჩვენება — **კარც** „სეტყვა“.

ს.-ნახ. \***კარც**- „თრთვილი/ჭირხლი“.

### კრუტ-ი

ქართ. **კრუტ**-, **კრუტ**-ი „ბარტყის დედა“ (საბა), ზან. (მეგრ.) **კურტ**-ი „კრუხი“, შდრ. **კურტ**-ან-ი (ანთროპ.); სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. მეგრულში ძირისეული **რ** ვიბრანტი გადასმულია ფუძის შიგნით — **კრუტ** → **კურტ**-, რაც **კრ** — თანზომიერი + სონანტი — თანმიმდევრობის არაკანონიკურობით აიხსნება.

ს.-ქართვ. \***კრუტ**- „კრუხი“

იჩქ. **ყურდ**-, **ყურდ**-ი „კრუხი“, **ყურდ**-მოლა<sup>5</sup> „დაკრუხება“, ინგ. **ყურდ**-ი "id", ბაცბ. **ყურტ**-; საერთონახურ არქეტიპად აღსადგენია \***ყურტ**- ფორმა, რომელიც შეესატყვისება ს.-ქართვ. \***კრუტ**- ფუძეს. მიუხედავად ამ ფუძეთა ბგერწერითი აგებულებისა, ბგერათშესატყვისობათა ჩვენებები დაცულია.

ს.-ნახ. \***ყურტ**- „კრუხი; დაკრუხება“.

### კრჩხ-ა

ქართ. **კრჩხ**-ა „საკიდარი“, ზან. **კაცხ**-უ „კავი, ანკესი, საკიდარი“, სვან. **კეცხ** ←\***კეცხ**-ა „წვერი, წვერო; კენწერო“; ქართულში **კრჩხ**-ა ისტორიულად გახმოვანებული ფუძე უნდა ყოფილიყო, რაზედაც ცალსახად მიუთითებენ ქართველური მონაცემები: სვანური **ე** ზანური **ა**-ს წილ საერთოქართველურ **ე**-ზე მიუთითებს. ახსნადია **ჩხ** : **ცხ** ოპოზიციაც ჩვენს ენებში, როგორც გვიანდელი **ცხ** → **ჩხ** გაშიშინება ქართულში, შდრ.: **ფრცხილ**-ი → || **ფრჩხილ**-ი, ასევე ქართ. **კრჩხ**-ა ←\***კრცხ**-ა ←\***კერცხ**-ა.

ს.-ქართვ. \***კერცხ**-ა „კავი, ანკესი; საკიდარი“

იჩქ. **კუომს**-არ (ჭებ. **კამს**-ურ) „ბასრი შვერილი; ეშვი; ფოცხი“, ინგ. **კომს**-არ "id", ბაცბ. **კამს**-ურ; საერთონახური არქეტიპის უშუალო გაგრძელებაა ჭებერლოური **კამს**-ურ ფორმა. ს.-ნახ. \***კამს**-ურ- : ს.-ქართვ. \***კერცხ**-ა ნორმალური მიმართება ჩანს როგორც ფონეტიკურად, ისე სემანტიკური თვალსაზრისით. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2), ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **მ** (§ 14.4), ს.-ქართვ. **ცხ** : ს.-ნახ. **ს** (§ 31.4) რეგულარულ-კანონზომიერია. ს.-ქართვ. **-ა** და ს.-ნახ. **-ურ** დამოუკიდებელი სადერივაციო აფიქსები ჩანს.

ს.-ნახ. \***კამს**-ურ- „ბასრი შვერილი; ეშვი; ფოცხი“.

### კუმ-ეტ-ი

ქართ. **კუმ**-, **კუმ**-ეტ-ი „ბნელი“, ზან. **კუმ**-, უ-**კუმ**-ელ-ა „სიბნელე, ბნელი“, სვან. უ-**ტკუნ** ←\*უ-**კუნ** „ბნელი“, შდრ. ქართ. უ-**კუნ**-ი [იხ. ჩუბ. 2000-2003: 38]. ცხადია, საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \***კუნ**- ძირი *სიბნელის*, *ბნელის* მნიშვნელობით.

ს.-ქართვ. \***კუნ**- „ბნელი, სიბნელე“

იჩქ. **კუ** „ლამე“, ინგ. **კუ** "id", ბაცბ. **კუ** „ლამე“; ნახურ ენებში ამ სახელურ ფუძის აუსლაუტური **ნ** მოკვეცილია, მაგრამ ხმოვნის წინ შემორჩენილია ნასახელარ ზმნაში **კუნ**-ალა „დარაჯობა, თვალყურისდევნა“, რომელიც *ლამისთვის* მნიშვნელობიდან განვითარდა: *ლამისთვის* → *დარაჯობა, სიფხიზლე, თვალყური*. კანონზომიერია ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **კ** : ს.-ნახ. **ჟ** (§ 37.4), ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **უ** (§ 9.1).

ს.-ნახ. \***კუნ**- „ლამე“.

### კუწ-უბ-ი

ქართ. **კუწ**-, **კუწ**-უბ-ი || **კუწ**-უბ-ო, **კუწ**-უწ-ი „ნაქუჩი“, ზან. (მეგრ.) **კუჭ**-, **კუჭ**-უჭ-ი „ქოჩორი“, **კოჭ**-ო ←\***კუჭ**-ო „ქოჩორა“, სვან. **კუნჭ**-ილ || **კუნჭ**-ილ ←\***კუჭ**-ილ „კუწუბი“; ქართველური მასალის შებენისპირებითი ანალიზი არკვევს, რომ ფუძეენური მდგომარეობისათვის აღსადგენია \***კუწ**- არქეტიპი.

ს.-ქართვ. \***კუწ**- „ქოჩორი; კუწუბი“  
იჩქ. **კუწალ** (ხილდ. **კოძალ**, ჰებ. **კოწოლ**) „გრძელი დახვეული თმა“, ინგ. **კუოძალ** || **კოძალ** „კულული“, ბაცბ. **კოწოლ** „ნაწნავი“; ბაც-ბურის ჩვენება ამ შემთხვევაში იმეორებს საერთონახურ მდგომარეობას — \***კოწ-ოლ**. ნახურ-ქართველურ არქეტიპთა სემანტიკური იგივეობა გამყარებულია ბგერათშესატყვისობათა ჩვენებით, შდრ. ს.-ქართვ. **წ** : ს.-ნახ. **წ** (§ 31.5), ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **ო** (§ 9.2).

ს.-ნახ. \***კოწ-ოლ**- „კულული“.

### ლაგ-ებ-ა

ქართ. **ლაგ**-, «**ლაგ-ინ-ი**», **ლაგ-ებ-ა**, ზან. **ლოგ-ინ-ი**; ქართული **ლაგ-**ძირის ზანური შესატყვისი უნდა ჩანდეს **ლოგ-ინ-ი** „საწოლი“ სიტყვაში. სვანური შესატყვისიც **ლგრგ**-იმ „სკამლოგინი, მერხი“ ფორმაში დასტურდება.

ს.-ქართვ. \***ლაგ-ინ**- „ლოგინი, საწოლი“

იჩქ. **მანგ**-ა „საწოლი“, ინგ. **მანგ**-იდ "id", ბაცბ. «**მანგ-ე**»; ბაცბურში მოსალოდნელი **მანგ-ე** ფორმა დაკარგული ჩანს. საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება \***მანგ-ე** არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისია ს.-ქართვ. \***ლაგ-ინ**- წინარე ფორმისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **მ** (§ 13.5).

ს.-ნახ. \***მანგ-ე** „საწოლი“.

### ლალ-ვ-ა

ქართ. **ლალ**-, მო-**ლალ-ვ-ა** „გატრუსვა“, გა-**ლალ-ვ-ა**, ზან. (მეგრ.) **ლოლ**-, **ლოლ-ი** „ბოლი“; „ალი“, **ლოლ-უ-ა** || გო-**ლოლ-უ-ა** „ალზე გადავლება“, «**გო-ლოლ-ირ-ი** „გალალული“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. საერთოქართველური ფუძეენური მდგომარეობისთვის აღსადგენია \***ლალ**- ზმნური არქეტიპი [იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 301].

ს.-ქართვ. \***ლალ**- „ალზე გადავლება; გატრუსვა“

იჩქ. **ლანლ-ან** || **ლანლ-არ** „დანთება, ცეცხლის გაჩაღება; ცეცხლზე გადნობა; გახურება“, **ლანლ-უორ** "id", ინგ. **ლალ-ან** || **ლალ-არ** "id", **ლალ-უო** "id", ბაცბ. «**ლალ-?**»; ბაცბური შესატყვისი აქაც გვაკლია. საერთონახური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება \***ლალ**- ზმნური ძირი, რომელიც იდენტური ჩანს ს.-ქართვ. \***ლალ**- არქეტიპისა. სემანტიკური კორელაცია **ალზე გადავლება** ~ **გახურება** მისაღებად გვეჩვენება.

ს.-ნახ. \***ლალ**- „დანთება; გახურება; ცეცხლზე გადნობა“.

### ლალ-ვ-ა

ქართ. **ლალ**-, **ლალ-ვ-ა** „ღვენა; გარეკვა“, მი-**ლალ-ავ-ს**, წა-**ლალ-ა**, ძვ. ქართ. ჰ-**ლალ-ვ-იდ-ეს**, ჰ-**ლალ-ვ-იდ-ა**, ზან. (მეგრ.) **ლოლ**-, **ლოლ-უ-ა** „გარეკვა“, ო-**ლოლ-უ-შ-ა** „გასარეკად“, გო-**ლოლ-უ** „გარეკა“. სვანური

შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 301].

ს.-ქართვ. \***ლალ-** „გარეკვა, გალალვა“

იჩქ. **ლიელ-**, **ლდელ-**<sup>ა</sup> || **ლდელ-**არ „სვლა, ქცევა, წაყვანა“, ინგ.

**ლელ-** || **ლდელ-**, **ლდელ-**არ "id", **ლელ-**უო "id", ბაცბ. **ლალ-**, **ლალ-**<sup>ა</sup> || **ლალ-**არ „დავლა, გავლა“, **ლალ-**დარ „წაყვანა, გატარება“. ბაცბურის გა-  
ხმოვანება უწინარესია, შდრ. ბაცბ. **ლელ-** უსრული ასპექტის ფუძე.

ს.-ნახ. \***ლალ-** ~ \***ლელ-** „სვლა, ტარება, წაყვანა“.

### ლამ-ი

ქართ. **ლამ-**, ლეჩხ. **ლამ-**ი „თქორი, წვრილი წვიმა“, შდრ. **ლამბ-**  
ულ-ი „ნესტი, სისველე“: **ლამბ-**ულ-იან-ი თოვლია და მზე მალე ეიღებს,  
ზან. **ლუმბ-**<sup>ა</sup>, შდრ. ქართ. (← ზან.) **ლუმბ-**, გა-**ლუმბ-**ვა „დასველება“,  
სვან. **ლამბ-** || **ლგმბ-**, მგ-**ლგმბ** „სველი, ნესტიანი“; საერთოქართველური  
ენობრივი ერთიანობისათვის რეკონსტრუირდება \***ლამბ-** არქეტიპი [შდრ.  
ფენ.-სარჯ. 2000: 309].

ს.-ქართვ. \***ლამბ-** „თქორი, წვრილი წვიმა; სისველე“

იჩქ. **ლუმ** (ახ. **ლამუ-**ა) „თოვლი“, ინგ. **ლოა** ← \***ლამუ**, შდრ. ერგ.

ბრ. **ლამუ-**უო, ბაცბ. **ლავ** „თოვლი“, **ლავ-**არ-ენ<sup>ა</sup> || **ლავ-**ერ-ენ<sup>ა</sup> „თოვლიანი“;  
საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \***ლამუ-**  
პროტოტიპი, რომელსაც კანონზომიერად შეეფარდება ს.-ქართვ. \***ლამბ-**.  
სემანტიკური თვალსაზრისით **თქორი** ~ **თოვლი** ნორმალური მიმართება  
ჩანს. საერთო მასალაში რეგულარულად ვლინდება ბგერათშესატყვისობა  
ს.-ქართვ. **ბ** : ს.-ნახ. **ჟ** (იხ. § 23.3).

ს.-ნახ. \***ლამუ-** „თოვლი“.

### ლანძ-ვ-ა

ქართ. **ლანძ-** „ლანძვა“, გა-**ლანძ-**ვ-ა, ა-**ლანძ-**ვ-ა „პირ-მწვარი, შიგ-  
ნით უმი“ (საბა), ზან. (მეგრ.) **რუჯ-** ← \***ლუნჯ-** „ცეცხლში გავლება“, გო-  
**რუჯ-**უა "id", გო-**რუჯ-**ილ-ი = გა-**რუჯ-**ულ-ი; სვანური შესატყვისი ვერ  
გამოვლინდა. ზანურში **რუჯ-** ზმნური ძირის გამოჩენა მსგავსი სემანტიკით  
იმაზეც მიუთითებს, რომ ქართული **რუჯ-** ზანიზმია. მეგრულში **ლუნჯ-**უა  
სახეობასაც გამოავლენენ (მ. სუნიშვილი), რაც მიღებული ჩანს **ლურჯ-**  
„ლურჯი“ ფორმასთან კონტამინაციით.

ს.-ქართვ. \***ლანძ-** „ლანძვა, გალანძვა“

იჩქ. **ურძ** → || **ურზ** „ჭვარტლი“, ინგ. **ურძ** "id", ბაცბ. **ურძ**

"id"; საერთონახური ენობრივი ერთობის ხანისათვის რეკონსტრუირდება  
\***ურძ-** არქეტიპი (-**ლ** საკუთრივ ნახური სუფიქსი ჩანს), რომელიც მო-  
მდინარეობს \***ჟორძ-** წინარეფორმისაგან, შდრ. ბგერათშესატყვისობა  
ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **ჟ** (§ 13.4), ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **უ** ← \***ჟო** (§ 5.2),  
ს.-ქართვ. **ნ** : ს.-ნახ. **რ** (: 16.4). სემანტიკური კორელაცია **ლანძვა** ~

ჭვარტლი ადვილად აიხსნება.

ს.-ნახ. \*ურძ- ←\*ფორძ- „ჭვარტლი“.

### ლართ-ი

ქართ. ლართ-, ლართ-ი „პირუტყვთ მორი“, ფშ., თუშ. ლართ-ი „ხარის ასოსაგან გაკეთებული მათრახი“, სვან. ლართ || ლართ „ჩუჩა; მამრის სასქესო ორგანო“; ქართულ-სვანური ფუძეები საერთოქართველურისთვის \*ლართ- არქეტიპს აღგვადგენინებს. ზანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. ლიბ. 1994: ლართ].

ს.-ქართვ. \*ლართ- „ლართი; მამრის სასქესო ორგანო“

იჩქ. «ლორთ», ინგ. «ლორთ», ბაცბ. ლორთ || ლურთ „ლუწი“; საერთონახური \*ლორთ- ფუძე მხოლოდ ბაცბურში დავადასტურეთ. ვაინახური შესატყვისები დაკარგული ჩანს. ს.-ქართვ. \*ლართ- „სასქესო ორგანო (ცხოველისა)“ : ს.-ნახ. \*ლორთ- „ლუწი“ ფორმალური თვალსაზრისით კანონზომიერებას ექვემდებარება. ასახსნელია სიტყვათა სემანტიკური მხარე, რისთვისაც გამოდგებოდა წყვილ-ი ფორმის სემანტიკა ქართულში, შდრ. იმერ. წყვილ-ი „საქონლის სასქესო ორგანოები; ჭანჭლები“. საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ნახ. \*ლორთ- „წყვილი; ლუწი“.

### ლას-ა

ქართ. ლას-ა, ქართლ. ლას-ა „აბრეშუმის თხელი ქსელი; აბკი, გარსი“, სვან. ფენში-ი „ნაზი, რბილი მატყლი“; მეგრულ-ჭანურში შესაბამისი ფუძე ვერ გამოვავლინეთ. სვანურისთვის სავარაუდო ჩანს \*ლაში-ი არქაული სახეობა, ვინაიდან ლ → მ აქ ფიქსირებული ფონეტიკური პროცესია: ქართ. ლურჯ-ი → სვან. ფერჟ-ი "id" [იხ. ჩუხ. 2000-2003: 175].

ს.-ქართვ. \*ლას- „რბილი, თხელი მატყლი“

იჩქ. ჭანსა „ბოჭკო“, ინგ. ჭაოსა "id", ბაცბ. «ჭასე»; საერთონახური ენობრივი ერთიანობისთვის რეკონსტრუირდება \*ჭას-ე არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. \*ლას- პრაფორმას, შდრ. ბეგრათშესატყვისობა ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ჭა (§ 13.8). სემანტიკური ოპოზიცია მატყლი ~ ბოჭკო მისაღები ჩანს.

ს.-ნახ. \*ჭას-ე „ბოჭკო; ცხოველური ორგანიზმის ძაფისებრი ნაწილი“.

### ლაფან-ი

ქართ. ლეფან-ი → ლაფან-ი (ასიმილაციით), ზან. (მეგრ.) ლიფონ-ი „ლაფანი“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. ქართ. ე : ზან. ი ჩვეულებრივია სონანტთა შემდგომ პოზიციაში, შდრ. ქართ. ნემს-ი : ზან. ლიფში-ი || ლიში-ი „ნემსი“. დაკავშირებისთვის იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 302.

ს.-ქართვ. \*ლეფან- „ლაფანი“

იჩქ. **ლიფფარ** „პარკოსანი მცენარის სახეობა“ („пажитник“), ინგ. **დეფფარ** ←\***ლეფარ** "id", ბაცბ. **ლფფარ**. ბაცბური სახეობა დაკარგული ჩანს. ნახურ-ქართველურ ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური სიახლოვე საეჭვო არ უნდა იყოს.

ს.-ნახ. \***ლიფარ** „ერთგვარი მცენარე“ (пажитник).

### ლაყ-ე

ქართ. **ლაყ-ე** „გაფუჭებული“, ზან. (ლაზ.) **ლოყ-ა** „ტკბილი“; სვანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი [იხ. ფენ.-სარჯ. 1980: 73]. ლაზურში **ტკბილი** სემანტიკის წყაროა *გადამწიფებულის* გაგება.

ს.-ქართვ. \***ლაყ-ე** „გაფუჭებული“

იჩქ. **დაყა** „გარდაცვლილი, მიცვალებული“, ინგ. **დაყა** "id", ბაცბ. **დაყა** „ცხედარი“; საერთონახურისთვის აღდგება \***დაყ-ო** არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისია ს.-ქართვ. \***ლაყ-ე** ფორმისა. ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **დ** ბგერათშესატყვისობა რეგულარულად ვლინდება, იხ. აქვე, § 13.7. სემანტიკური შეფარდება ს.-ქართვ. *გაფუჭებული* ~ ს.-ნახ. *მკვდარი* ლოგიკურია, შდრ. იგივე მიმართება ერთი სიტყვის ფარგლებში — ანდ. **ბიჭო**, ბავგ. **ბიჭა**., კარ. **ბიჭა** „მოკვდა, გაფუჭდა“ [გულ. 1964: 131]. ს.-ნახ. \***დაყ-ო** „მკვდარი, მიცვალებული“.

### ლაშ-ი

ქართ. **ლაშ-**, **ლაშ-ი** „ბაგე, ტუჩი“, **ლაშ-ი** „დიდი ბაგე პირისა“ (საბა), ზან. (მეგრ.) **ლეჩქე-ი** ←\***ლეშქე-ი** „ტუჩი“, ლაზ. **ლეშკ-ი** „ბაგე, ტუჩი“. სვანური შესატყვისი დღემდე არ არის გამოვლენილი [იხ. როზ. 1845: 30; ჩიქ. 1938: 52].

ს.-ქართვ. \***ლაშჷ-** „ბაგე, ტუჩი“

იჩქ. **მარა** || **მარჰ** || **მორჰ** „ცხვირი“, ინგ. **მარჰ** "id", ბაცბ. **მარლ'რ** „ცხვირი“; საერთონახურში ძირად \***მარლ'**- გამოიყოფა, რომლის აუსლაუტური **ლ'** კანონზომიერად მიმართება ს.-ქართვ. **შ** ფრიკატივს, იხ. ს.-ქართვ. **შჷ** : ს.-ნახ. **რლ'** (§ 22.2). რეგულარულია ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **მ** მიმართებაც, იხ. აქვე, § 13.5. სემანტიკური თვალსაზრისით *ტუჩი* ~ *ცხვირი* კორელაციას წინააღმდეგობა არ ახლავს.

ს.-ნახ. \***მარლ'**- „ცხვირი“.

### ლაწ-უნ-ი

ქართ. **ლაწ-**, **ლაწ-უნ-ი**, გა-უ-**ლაწ-უნ-ა**, **ლაწ-ან-ი**, **ლაწ-ა-ლუწ-ი** (რედუბლ.) ვ-**ლეწ-ე** „გავულაწუნე“, ზან. (მეგრ.) **ლორწ-** ←\***ლოწ-**, **ლორწ-უ-ა** „მწარედ დარტყმა“, ქო-**ლორწ-უ** „მაგრად, მწარედ დაარტყა“, სვან. **ლანწ-/ლიწ-**, ლა-ხ-**ლანწ** „დაარტყა“, ლი-**ლწ-ი** „დარტყმა“; საერთოქართველურ არქეტიპად აღდგენილია \***ლაწ-** ზმნური ძირი [აბაშ. 1997: 31-32].

ს.-ქართვ. \*ლაწ- „მძიმე, ტკივილიანი დარტყმა“  
 იჩქ. ლაზ- (ხილდ. ლაძ-), ლაზ-არ || ლაზ-ან<sup>6</sup> „ტკივილი“, ლაზ-არ-  
 ხუო „ავადმყოფი“, ინგ. ლაძ- || ლაზ-, ლაძ-არ || ლაზ-ან "id", ბაცბ.  
 ლაწ-, ლაწ-დარ „ტკივილის მიყენება“, ლაწ-ან<sup>6</sup> || ლაწ-არ „ტკივილი“;  
 ბაცბურში შემონახული ლაწ- იმეორებს საერთონახურ მონაცემს. ს.-ქართვ.  
 \*ლაწ- : ს.-ნახ. \*ლაწ- ფონეტიკურად მისაღებია. რაც შეეხება აღწერილ  
 სიტყვათა სემანტიკურ მიმართებას, იგი გავაზიანებს ქართ. გალახვა „ცე-  
 მა“ : ზან. ლეხ-ი „ავადმყოფი“ მნიშვნელობათა ცვლას.  
 ს.-ნახ. \*ლაწ- „ტკივილი; ავადმყოფობა/სნეულება“.

### ლაჯ-ი

ქართ. ლაჯ-, ლაჯ-ი „ფერხვით საშუალო“ (საბა), ლაჯ-ებ-ი (pluralia  
 tantum), სვან. ლესგ || ლესკ „ფერდი, გვერდი“; ზანურში შესაბამისი ძი-  
 რი არ ჩანს. ფუძისეული ე ზმოვანი სვანურში ნაშუალოტარია: ა → ა̄ →  
 ე [იხ. ჩუხ. 2000-2003: 140].

ს.-ქართვ. \*ლაჯ- „ლაჯი; ფერდი“  
 იჩქ. მდჟჟ-ეჟ || მდჟჟ-ეჟ „ანატომიური ორგანო, სხეულის ნაწილი“,  
 ინგ. მეჯ-ეჟ || მანჟ-ეჟ "id", ბაცბ. «მეჟ-ეჟ»; ბაცბურში შესაბამისი ფუძე  
 დაკარგულია. საერთონახურისთვის აღდგება \*მეჯ-ეჟ → \*მეჟ-ეჟ არქეტიპი.  
 ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. მ სონანტური მიმართება რეგულარულ-კანონზომიერ-  
 რია (§ 13.5), შდრ. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ე (§ 5.3). ს.-ქართვ. ჯ : ს.-ნახ.  
 ჯ ანუ შიშინა: შიშინა სიბილანტური შესატყვისობა არქეფონემად სისინ-  
 შიშინა (resp. ძ) სახეობებს გულისხმობს.  
 ს.-ნახ. \*მეჯ-ეჟ „ანატომიური ორგანო, სხეულის ნაწილი“.

### ლევა

ქართ. ლევ-, ე-ლევ-ა, შე-ე-ლევ-ა „თმობს“, შე-ლევ-ა „დათმობა“,  
 ვერ შე-ე-ლევ-ა „ვერ დათმობს, ვერ შეეგუება“, ძვ. ქართ. მ-ლევ-ანი,  
 მ-ლივ-ი, შდრ. ჰ-ლივ-ა ; დათმობა/შელევის სემანტიკა ამ ფორმებიდან  
 უფრო უარყოფით კონტექსტებში გამოიკვეთება. სხვა ქართველურ ენებში  
 შესატყვისი ალომორფები ვერ გამოვავლინეთ. ფუძეენური ვითარებისთვის  
 რეკონსტრუირდება ლეჟ-/ლიჟ- აბლაუტური ფუძე.

ს.-ქართვ. \*ლეჟ-/\*ლიჟ- „დათმობა/შელევა“  
 იჩქ. ლან<sup>6</sup> || ლან-არ ←\*ლაჟ- „მოთმენა“, "вытерпеть", ინგ. ლან  
 ←\*ლაჟ-ან "id", ლან-არ ლან- „ტკივილის თმენა“, ბაცბ. ლავ-, ლავ-არ  
 „მოთმენა; დათმობა“, ლავ-ლან<sup>6</sup> „დასათმობი; მოსათმენი“; საერთონახურ-  
 რი ფუძეენური მდგომარეობისთვის აღვადგინეთ \*ლაჟ- არქეტიპს მოთმე-  
 ნა/დათმობის სემანტიკით, რომლის კანონზომიერი შესატყვისი უნდა ჩა-  
 ნდეს საერთოქართველურ \*ლეჟ- „დათმობა/შელევა“ ზმნაში. აქ სტრუქ-  
 ტურულ-სემანტიკური იგივეობა ადვილი დასანახია.  
 ს.-ნახ. \*ლაჟ- „მოთმენა/დათმობა“, "вытерпеть".



## ლევზ-ი

ქართ. ლევზ-ი, ლევზ-ი „დორბლი“, ლევზ-იანი „დორბლიანი“, ზან. (მეგრ.) ლევზ, ლევზ-ა „ქაფი“, ლევზ-ამ-ი „დუჟიანი“, ლაზ. ლევზ-ერ-ა „დორბლიანი“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 304-305, კლიმ. 1998: 20], თუმცა, შდრ. სვანური დუჟ ←\*ლავჟ „დორბლი“.

ს.-ქართვ. \*ლევზ-ი „დორბლი, დუჟი, სითხოვანი გამონაყოფი“

იჩქ. მუოზ || მოზ „წვენი“, ინგ. მოზ (მრ. რ. მაზ-აშ) "id", ბაცბ. 'მოზ'. ო ~ ა აბლაუტი ნახურ ენებში ძირისეული ზ თანხმოვნის ადრინდელ ლაბიალიზაციაზე მიუთითებს: მოზ ←\*მავჟ. საყურადღებოდ გვეჩვენება ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. მ შესატყვისობა, რაც რეგულარულად ვლინდება, იხ. აქვე, § 13.5.

ს.-ნახ. \*მავჟ-ი „წვენი“.

## ლეთ-ემ-ი

ქართ. ლეთ-ემ-, გურ. ლეთ-ემ-ი „ჭონჭყო მიწა“, „ტალახიანი ადგილი“, ზან. [ლოთ-ომ-ი], ზ. აჭარ. (← ლაზ.) ლოთ-ომ-ი „ღრმა ტალახი“, „ჭაობიანი ადგილი“; შესაძლებელია, ქართველურ დიალექტთა ჩვენების მიხედვით აღვადგინოთ საერთოქართველური \*ლასთ-ამ- არქეტიპი, რომლის მნიშვნელობაც ჭონჭყო მიწის/ტალახის გაგებით შემოიფარგლებოდა.

სა.-ქართვ. \*ლასთ-ამ- „ჭონჭყო მიწა; ტალახი“.

იჩქ. ლათ-ა „მიწა“, ლათ-ან || ლათ-ან-იგ „მიწიერი, მიწისა“, ინგ.

ლათ-ან „მიწა“, ბაცბ. ლათ „ნაგავი“; ნახურ ენებში ძირად \*ლათ- სემეგნტი გამოიყოფა, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*ლასთ-ამ- არქეტიპი. ბაცბურში მოკვეცილია -ე სუფიქსი, რომლის დეპალატალიზაციამ ვაინახურში წინამავალი ა ხმოვნის გაუმლაუტება გამოიწვია: ლათ-ე → ლათ-ა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. \*სთ : ს.-ნახ. \*თ. ს.-ნახ. \*ლათ-ე „მიწა, ტალახი/ნაგავი“.

## ლეკვ-ი

ქართ. ლეკუ-, ძვ. ქართ. ლეკუ-ი „ნაშიერი“, ახ. ქართ. ლეკვ-ი, ზან. (მეგრ.) ლაკვ-ი „ლეკვი“, ლაზ. ლაჭ-ი || ← ლაკ-ი ← ლაკვ-ი „ლეკვი, ძაღლი“, ლაკ-ოტ-ი „ლეკვი“; სვანური შესატყვისი დღემდე უცნობია [იხ. ჩიქ. 1938: 85].

ს.-ქართვ. \*ლეკუ- „ნაშიერი, ლეკვი“

იჩქ. ლაყუ „მწყერი“, ინგ. ლაყუ || ლეყ "id", ბაცბ. ლეყ „მწყერი“. საერთონახურისთვის აღდგება \*ლეყუ- არქეტიპი, რომელიც ახლოს დგას ს.-ქართვ. \*ლეკუ- ძირთან. საყურადღებოა ყ-ს ლაბიალიზაციის შენარჩუნება ბაცბურში, რაც უიშვიათესი ენობრივი ფაქტია. სემანტიკურად

ნახურ-ქართველურ ფუძეებს აერთიანებთ სიმცირის/ნაშვირის აღნიშვნა: *ლეკვი ~ მწყერი*.

ს.-ნახ. \***ლესჷ**- „მწყერი“.

### ლერწ-ი

ქართ. **ლერწ**-ი, ზან. (ლაზ.) **მერწ**-ი „ვაზი“, სვან. **ლერწ** „ლერწი“, **ლერწ**-ალ „ვენახი“. ერთი შეხედვით, უცნაურია ქართ. **ლ** : ზან. **მ** შეფარდება, თუმცა ქართული **ლ**-ს წილ ბაგისმიერთა წარმოჩენა ანლაუტში ზანურისთვის უცხო არ არის, შდრ. ქართ. **ლორწო** : ზან. (ლაზ.) **ფენწო**, მეგრ. **ფერწო** „ლოკოკინა“, აქვე მოსატანია ლაზ. **ფონწო**- „ერთგვარი თევზი“ [ამის შესახებ იხ. კლიმ. 1964: 189].

ს.-ქართვ. \***ლერწ**- „ვაზი, ლერწი; ვენახი“

იჩქ. **მერზ** || **ერზ** (ჰებ. **მერზ**, ქისტ. **მერძ**) „ლერწამი“, ინგ. **ერძ** || **მერძ** "id", ბაცბ. «**მერწ**». ნახურ ენებში ანლაუტური **ღ** ისტორიული **ლ**-ს რეფლექსი გვგონია, შდრ. **ლ/ღ** სუბსტიტუცია შემდეგ სიტყვაში: იჩქ. **ლიფფარ**, მაგრამ ითუმე. **დიფფარ** „ერთგვარი მცენარე“, ინგ. **მეფფარ**... სემანტიკური ოპოზიცია *ლერწი ~ ლერწამი* დასაშვებია.

ს.-ნახ. \***მერწ**- ← \***ლერწ**- „ლერწამი“.

### ლეს-ვ-ა

ქართ. **ლეს**-, მო-**ლეს**-ვ-ა „მოსპობა, მო-**ლეს**-ა „მოსპო“, მო-**ლეს**-ილ-ი „მომსპარი“, განადგურებული“; ზან. (მეგრ.) **ლას**-, მო-**ლას**-უ-ა „მოსპობა, განადგურება“, მო-ბ-**ლას**-ი „მოვსპე, გავანადგურე“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \***ლეს**- არქეტიპი [ფენ-სარჯ. 2000: 307].

ს.-ქართვ. \***ლეს**- „მოსპობა, განადგურება“

იჩქ. **ნეშ**- „დამარცხება“, **ნეშ**-ულ "id", **ნეშ**-ა-დუ „ვამარცხებ“, ინგ. **ეშ**- "id", **ეშ**-არ "id", **ეშ**-ულ "id", ბაცბ. **ეშ**-, **ეშ**-არ "id", **ეშ**-უდნ „დამარცხებული“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება \***მეშ**- არქეტიპი. ანლაუტში ხმოვნის სიგრძე რომელიდაც ბგერის (resp. **ღ**) გაუჩინარების საკომპენსაციო უნდა იყოს. ს.-ქართვ. \***ლეს**- „მოსპობა, განადგურება“ : ს.-ნახ. \***ნეშ**- „დამარცხება“ კანონზომიერი სტრუქტურულ-სემანტიკური მიმართება ჩანს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ს** : ს.-ნახ. **შ** (§ 30.5).

ს.-ნახ. \***მეშ**- ← \***ლეს**- „დამარცხება“.

### ლეს-ვ-ა

ქართ. **ლეს**-, შე-**ლეს**-ავ-ს (ლობოს...), შე-**ლეს**-ილ-ი ლობიო „შეკმაზული ლობიო“, შდრ. შე-**ლეს**-ვ-ა „წასმა“ (ქეგლ-ი), ზან. (მეგრ.) **ლას**- „არღვია; შლა“, მო-**ლას**-ირ-ი „არეული; მოშლილი“, **ლას**-უნ-ს „შლის“,

**ლას**-უ-ა „წაშლა; აღრევა/მორევა“; სხვა ქართველურ დიალექტებში შესაბამისი ფორმები ვერ გამოვლინდა. უნდა აღვნიშნოთ საგანგებოდ, რომ ქართ. **ლეს**- : ზან. **ლას**-ირ- „ლესვა“ სხვა ძირებია და აქ არაფერი ესაქმება [შდრ. ფენ.-სარგ. 2000: 306].

ს.-ქართვ. \***ლეს**- „შეკმაზვა; შელესვა; აღრევა/მოშლა“

იჩქ. **ლემეს**- ←\***ლემეს**- „დღვება“, **ლემეს**-ან || **ლემეს**-არ "id", ინგ. **ლემეს**- ←\***ლემეს**- "id", **ლემეს**-ან || **ლემეს**-ან "id", ბაცბ. **ლემეს**- „დღვება, ნჯღრევა“, **ლემეს**-ან || **ლემეს**-არ "id", **ლემეს**-უანჩ „შესადღვები; შემდღვებელი“; ვაინახ. **ეს** : ბაცბ. **ფს** მიმართება ფუძე-ენაში **სჟ** ლაბიალიზებული კომპლექსის არსებობას გულისხმობს. ამდენად, საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \***ლესჟ**- არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***ლეს**-. აღრევა/მოშლა ~ დღვება/ათქვეფა ბუნებრივი სემანტიკური კორელაცია ჩანს.

ს.-ნახ. \***ლესჟ**- „ათქვეფა, ნჯღრევა, დღვება“.

### ლეს-ულ-ი

ქართ. **ლეს**- „ლესვა“, სა-**ლეს**-ი, **ლეს**-ულ-ი „ბრწყინვალე“, **ლეს**-ულ-ებ-ა-დ „ბრწყინვალეა“, ზან. **ლას**- || **ლას**-ირ- „ლესვა“, ო-**ლას**-ირ-უ "id", **ლას**-ირ-უმ-ს „ლესავს“, **ლას**-ირ-ერ-ი || **ლას**-ირ-ელ-ი „გალესილი“, შდრ. ქართ. **ლეს-ულ**- : ზან.(მეგრ.) **ლას-ურ**-, **ლასურ**-ია (ანთროპ.), სვან. **ლანს**-, **ლანს**-იან „სალესი ქვა“; სვანურში უმლაუტიანი **ან** ასახავს ს.-ქართვ. ე-ს — **ლეს**- → **ლანს**- [იხ. ჭარ. 1895 XII: 107, კლიმ. 1964: 121, ჩუხ. 2000-2003: 139].

ს.-ქართვ. \***ლეს**- „ლესვა, ელვარება, ბრწყინვა“

იჩქ. **მანა** „სინათლე“, ინგ. **მანა** "id", ბაცბ. **მანა** „სინათლე“; საერთონახურისთვის აღდგება \***მანა**-ა არქეტიპი, რომელიც ანლაუტში გამოავლენს ბგერათშესატყვისობას ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **მ**, იხ. აქვე, § 13.5. შესატყვისობა ხმოვნით ნაწილში ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** ასევე კანონზომიერია და რეგულარულად ვლინდება, იხ. § 6.2. საინტერესოდ გვეჩვენება სემანტიკური მიმართება: ს.-ქართვ. **ელვარება, ბრწყინვა** ~ ს.-ნახ. **სინათლე**, შდრ. აფხ. **ა-ლაშა** „ნათელი“.

ს.-ნახ. \***მანა**-ა „სინათლე“.

### ლელვ-ი

ქართ. **ლელჟ**-, **ლელვ**-ი, მე-**ლელვ**-ია (ფრინ.), ძვ. ქართ. **ლელჟ**-, **ლელჟ**-ნარ-ი, **ლელვ**, **ლელჟ**-ოვან-ი, ზან. (ლაზ.) **ლულ**-ი „ლელვი“, მა-**ლულ**-ე „მელელვია“, მეგრ. **ლულ**-ი „ლელვი“, მა-**ლულ**-ია „მელელვია“ (ფრინ.), „მელელვია“ (ერთგვარი დაავადება)“, სვან. **ლალჟ**-, მა-**ლალჟ** ←\*მა-**ლალჟ** „მოლალჟი“; ქართ. **ლელჟ**- : ზან. **ლულ**- აჩვენებს, რომ საერთოქართველურისთვის აღსადგენია **ა** ვოკალიანი \***ლალჟ**- არქეტიპი,

რომელიც შემონახულია ქართ. მო-**ლად**-ურ-ი ←\*მო-**ლადვ**-ურ-ი სიტყვაში [იხ. ჩიქ. 1938: 122; ჭარ. 1918: 162; გულ. 1960: 122; ჩუხ. 2000-2003: 146].

ს.-ქართვ. \***ლადღ**- „ლედვი“

იჩქ. **დილდა** „ერთგვარი ხე (ხმარობენ მათრახის ტარის დასამზადებლად)“, ინგ. **დირლ** "id", ბაცბ. **დირლ**; ბაცბური ეკვივალენტი პოსტულირდება ჭებერლოური **დირლუ** ფორმის საფუძველზე. საერთონახური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \***ლირლ**- არქეტიპი, რომლის ამოსავალ სტრუქტურაზე ქართველურთან ერთად, წარმოდგენას გვიქმნის, დაღესტნური მონაცემებიც: ლეზგ. **ლეღ**, ბუღ. **ლიღ** „ლერწამი“, მაგრამ თაბ. **ფურღ** "id", შდრ. ინგ. **დირლ** (!).

ს.-ნახ. \***ლირლ**- „ერთგვარი ხე“.

### ლემ-ვ-ა

ქართ. **ლემ**-, გა-**ლემ**-ვ-ა „უზომოდ ბევრის სმა“, გა-ვ-**ლემ**-ავ, გა-ი-**ლემ**-ებ-ა, გა-**ლემ**-ილ-ი, ქიზიყ. გა-**ლემ**-ვ-ა „ძალზედ გაძლომა“, ზან. (მეგრ.) **ლაშქ**-, **ლაშქ**-უ-ა „შთანთქმა“, დო-**ლაშქ**-ი „უზომოდ დახარჯე/შთანთქე“, გო-**ლაშქ**-ირ-ი „ამოსრულული“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება \***ლემ**- არქეტიპი.

ს.-ქართვ. \***ლემ**- „უზომოდ ბევრის სმა“; „გალეშვა“

იჩქ. **მალ**-ა<sup>5</sup> || **მალ**-არ „სმა“, **მალ**-უო „დალევინება; დათრობა“, **მალ**-არ „სასმელი“, ინგ. **მალ**-ა || **მალ**-არ "id", **მოლ**-უმ „მსმელი“, **მენ**-ა ← **მელ**-ნა „მთვრალი“, **მოლ**-ა-დჟ „დალევინება, დათრობა“, ბაცბ. **მალ**-ა<sup>5</sup> || **მალ**-არ „მესმა, დალევა“, **მალ**-დარ „დალევინება“, **მალ**-ენ-ა<sup>5</sup> „დალევული, მთვრალი“; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის აღსადგენია \***მალ**- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი ფონეტიკურ-სტრუქტურული შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \***ლემ**- ძირისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **მ** (§ 13.5), ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2), ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **ლ** (§ 42). *გალეშვა/დათრობა* ~ *სმა* სემანტიკური კორელაცია მისაღებად გვესახება.

ს.-ნახ. \***მალ**- „სმა; თრობა; დალევა“.

### ლიბ-ო

ქართ. **ლიბ**-, **ლიბ**-ი „წყალში ბადის დასაბმელი“, **ლიბ**-ო „შენობის საძირკვლის ზემო ნაწილი“, „საძირკველი“, ხევს. **ლიბ**-უ „საძირკვლის ჩასაყრელად გაჭრილი ადგილი“; საერთოქართველურში გამოიყოფა \***ლიბ**-ძირი, რომელსაც *საფუძვლის/საძირკვლის* მნიშვნელობა ახასიათებდა. სამასთან ფიქსირებული **ლიბ**-იც ამის ნიმუშია — დასაბმელი ანუ სამაგრი რაღაცისთვის. სხვა ქართველურ დიალექტებში **ლიბ**- ძირის შესატყვისები ვერ გამოვავლინეთ, თუმცა შდრ. სვან. **ლობ**-ი ←\***ლიბ**-ი „ძველებური

დარბაზიდან ქვედა სართულზე საიდუმლო ჩასასვლელი“.

ს.-ქართვ. \*ლიბ-(ო) „სამაგრი, საძირკველი“

იჩქ. ლაბა „ფარდული; ჩარდახი“, ინგ. ლაბზ "id", ბაცბ. «ლაბჷ»;

საერთონახური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \*ლაბ-ე არქეტიპი, რომელსაც ჩარდახის მნიშვნელობა ჰქონდა. ს.-ქართვ. \*ლიბ-ო : ს.-ნახ. \*ლაბ-ე ბუნებრივი შეფარდება ჩანს, შდრ. ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა (§ 7.3). საძირკველი ~ ჩარდახი სემანტიკური კორელაციის სასარგებლოდ მეტყველებს დალესტნურში მონათესავე ფუძეთა ჩვენება: ჭამ. ლაბ-ულ „ბრტყელი ქვა, ფილა“, დიდ. (ინხოყვ.) ბოტ'ო „ჭერის სამაგრი ქვა“.

ს.-ნახ. \*ლაბ-ე „ჩარდახი“.

### ლილვ-ი

ქართ. ლვილ-, ლილვ-ი „ღერძი“, ლვილ-ი → || რვილ-ი „გუთნის, საქსოვი დაზგის ნაწილი“, ზან. (მეგრ.) ლოლ- → || რულ-, ო-ლოლ-ა „ღერძიანი პატარა ურემი“, შდრ. ქართ. (← ზან.) ო-ლოლ-ა "id", რულ-უ || ლურ-ე „ლილვი, ღერძი“, შდრ. აფხ. ა-ლგრ-ა ← მეგრ. ლგრ-ე || ლურ-ე „ღერძი“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება \*ლჷილ- არქეტიპი, რომელსაც ლერძის მნიშვნელობა ახასიათებდა [ჩუხ. 2000-2003: 142].

ს.-ქართვ. \*ლჷილ- „ღერძი“

იჩქ. ლნრ-ა „ლაპოტი; ფრთა; თავკავი (რალაც საგნისა)“, ინგ.

ლარ-ზ "id", ბაცბ. «ლარ-ჷ»; ბაცბურ შესატყვისზე წარმოდგენას გვიქმნის ჭებერლოური ლნრ-ი ალომორფი. ს.-ნახ. \*ლარ-ე : ს.-ქართვ. \*ლჷილ-კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისობა ჩანს, შდრ.: ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა (§ 7.3), ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. რ არაანლაუტში (§ 13.3). გასარკვევია, ასახავს თუ არა იჩქერიულში გრძელი ხმოვანი (Ლ) ისტორიული ლჷ ბგერათკომპლექსის დელაბიალიზაციას — \*ლჷარ-ე → \*ლნრ-ე.

ს.-ნახ. \*ლნრ-ე „ლაპოტი; ფრთა; თავკავი (რაიმე საგნისა)“, "лосагт".

### ლიღვ-ი

ქართ. ლიღჷ-, მობ. ლიღჷ-ი „დაბეჭილი და დაშავებული კანი“, ხევს. ლეღჷ-, ლეღჷ-ლეღჷ-ად „დაბეჭილად (ხორცზე იტყვიან)“, ზან. (მეგრ.) ლიღვ-/ლუღ- „ყვლეფა/ფრცქვნა (კანის, ხორცის, ტყავის)“, ლუღ-ონ-ი || ლიდ-ონ-ი ← \*ლიღვ-ონ-ი "id", გინო-ლიდ-ონ-ილ-ი || გგნო-ლუღ-ერ-ი „გადატყავებული“, სვან. ლეღჷ „ხორცი“; კანი ~ გადატყავება ~ ხორცი სემანტემები ქართველურ დიალექტებში საერთოქართველური ხორცი/კანის ტყავი მნიშვნელობების ასახვაა.

ს.-ქართვ. \*ლიღჷ- „ხორცი, კანი, ტყავი“

იჩქ. ლაჰა (ჭებ. ლაჰაჷ) „ხორცი ზამთრისთვის დამზადებული“,

ინგ. ლაჰაჰ "id", ბაცბ. «ლაჰაჰ»; ბაცბურ ეკვივალენტზე ფიქრი შესაძლებელი ხდება ჰებერლოური დიალექტის ჩვენების საფუძველზე. ნახურ დიალექტთა აუსლაუტური უ/რ ბოლოკიდური თანხმონის (resp. ჰა) ლაბიალიზაციის ნაშთი ჩანს. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ჰა კანონზომიერი შესატყვისობა გვგონია (იხ. აქვე, § 38).

ს.-ნახ. \*ლაჰაჰ- „ხორცი (ზამთრისთვის დამზადებული)“.

### ლიც-ლიც-ი

ქართ. ლიც-ლიც-, ლიც-ლიც-ი, ზღვა/წყალი ლიც-ლიც-ებ-ს, გა-ლიც-ლიც-ებ-ა „სითხით გავსება პირთამდე“, სვან. ლიც → || ნიც „წყალი“; ზანურში ეს ფუძე დადასტურებული არ არის. საერთოქართველურისთვის რეკონსტრუირდება \*ლიც- მარტივი ფორმა, რომელმაც ქართულში რედუქციაცია განიცადა.

ს.-ქართვ. \*ლიც- „წყალი“

იჩქ. ჰასთ „წყარო“, ინგ. ჰასთ "id", ბაცბ. «ჰასტ»; ბაცბურში დაკარგულია ჰასტ ალომორფი, შდრ. ბგერათშესატყვისობა ვაინახ. სთ : ბაცბ. სტ. თანამედროვე ვაინახური ჰასთ ლექსემა იმეორებს საერთონახურისთვის სავარაუდო არქეფორმას. ს.-ნახ. \*ჰასთ- : ს.-ქართვ. \*ლიც- ბუნებრივი მიმართება ჩანს, შდრ. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ჰა (§ 13.8), ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა (§ 7.3), ს.-ქართვ. ც : ს.-ნახ. სთ (§ 31.3).

ს.-ნახ. \*ჰასთ- „წყარო“.

### ლორწო

ქართ. ლორწ-, ლორწო-, ზან. (მეგრ.) ფერწო „ლოკოკინა“, ლაზ. ფეწო || ფენწო || ფეწე || ფენწე „ლოკოკინა“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. კლიმ. 1964: 189]. უცნაურია ბგერითი შეფარდება ქართ. ლ : ზან. ფ, მაგრამ ახსნადია, თუ დავუშვებთ, რომ ამოსავალია მ ფონემა, ე. ი. მ → ფ ზანურში, ხოლო მ → ლ ქართულში.

ს.-ქართვ. \*მერწო „ლორწო; ლოკოკინა“

იჩქ. მაზ-, მაზა „ლორწო“, მაზ-ალგ „ლოქორა“, ინგ. მაძ-ნ „ლორწო“, ბაცბ. «მაწო-»; საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება \*მაწო-ო არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*მერწო-ო ფორმას, შდრ. ხმოვანშეფარდება ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა (იხ. აქვე, § 6.2).

ს.-ნახ. \*მაწო-ო „ლორწო, ლოქორა“.

### ლტ-ობ-ა

ქართ. ლტ-, ძვ. ქართ. ლტ-ობ-ა „დასველება“, და-ა-ლტ-ო || და-ავლტ-ო „დაასველა“, ზან. (მეგრ.) რტ-უ-აფ-ა „დასველება, წყლით გაჭერება“, რტ-უ-აფ-ილ-ი „გაჭერებული წყლით“; ანლაუტში ვ-ს გაჩენა ანალოგიის წესის მოქმედებას უნდა მივაწეროთ, შდრ. ძვ. ქართ. ვლტ-

„სირბილი“. ქართულ-ზანურ ფუძეთა დაკავშირება ტოგო გუდავას ეკუთვნის [ამის შესახებ იხ. კლიმ. 1964: 122].

ს.-ქართვ. \***ლტ**- „დასველება; წყლით გაჭერება“

იჩქ. **ლდედ**-, **ლდედ**-ა<sup>ნ</sup> || **ლდედ**-არ „წვეთა; ჟონვა, წყლით გაჭერება“, ინგ. **ლედ**-, **ლედ**-ა<sup>ნ</sup> || **ლედ**-არ "id", ბაცბ. **ლეტ**-არ „დინება“; „დენა“; საერთონახურ არქეტიპად აღსადგენია \***ლეტ**- გლოტალიზებული სახეობა, რომელიც უცვლელად ბაცბურში შემოგვენახა; **ტ** → **დ** საკუთრივ ვაინახური გარდაქმნაა, არაანლაუტში ფიქსირებული. ს.-ქართვ. \***ლტ**- : ს.-ნახ. \***ლეტ**- ბუნებრივი მიმართება ჩანს, შდრ. თაბ. **ლიტინ**, რუთ. **ლტტგნ**, კრიწ. **ჟიტტილ** ← \***ლიტილ** „წვეთი“.

ს.-ნახ. \***ლეტ**- „წვეთა; ჟონვა, წყლით გაჭერება; დენა“.

### ლტ-ოლ-ვ-ა

ქართ. **ლტ**-, ი-**ლტგ**-ი-ს, ე-**ლტგ**-ი-ს, ძვ. ქართ. ი-**ვლტ**-ი-ს „მირბის, გარბის“, სი-**ვლტ**-ოლ-ა „სირბილი“, **ვლტ**-ოლ-ვ-ილ-ი „გაქცეული“, ზან. (ლაზ.) ო-**მტ**-ინ-უ „გაქცევა“, ვ-ი-**მტ**-ამ „გავრბივარ“, **მტ**-ინ-ერ-ი „ლტოლვილი“, მეგრ. **რტ**-ინ-ი || **ნტ**-ინ-ი „გაქცევა“, **რტ**-ინ-ელ-ი „გაქცეული“, მა-**რტ**-ენ-ჯ-ი „გამქცევი“, სვან. ლ-**ტჷ** „გაქცევა“; ქართველურ ფუძეთა საერთო წარმომავლობა ცნობილია [იხ. ჩიქ. 1938: 319-320; მაჭ. 1960: 20; კლიმ. 1998: 54]. ძველი ქართული **ვლტ**- ძირი მიღებულია **ლტჷ**- თანმიმდევრობიდან **ჷ**-ს მეტათეზისით, რასაც სვანური **ტჷ**- ფორმა ამოწმებს, რომელმაც ანლაუტში **ლ** დაკარგა — **ლტჷ**- → \***ჷტჷ**- → **ტჷ**-. სვანურში **ლ**-სგან მიღებული **ჷ** რომ დაიკარგა, ამან წინამავალი ხმოვანი დააგრძელა, შდრ. ლ-**ტჷ**- ← \***ლი-ჷტჷ**- „გაქცევა“.

ს.-ქართვ. \***ლტჷ**- „გაქცევა, სირბილი“

იჩქ. **ჰად**-, **ჰად**-ა<sup>ნ</sup> || **ჰად**-არ „რბენა“, ინგ. **ჰედ**-, **ჰედ**-ა<sup>ნ</sup> || **ჰედ**-არ "id", ბაცბ. **ჰაეტ**-, **ჰაეტ**-ა<sup>ნ</sup> || **ჰაეტ**-არ „რბენა, გაქცევა“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება **ჰაეტ**- არქეტიპი, რომელიც ბაცბურში უცვლელად შემოგვენახა. **ტ** → **დ** არაანლაუტური ფონეტიკური პროცესია ვაინახურ დიალექტებში. ს.-ქართვ. \***ლტჷ**- : ს.-ნახ. \***ჰაეტ**- კანონზომიერი მიმართებაა, თუ გავითვალისწინებთ ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **ჰ** ბგერათმესატყვისობას (§ 13.8).

ს.-ნახ. \***ჰაეტ**- „რბენა; გაქცევა“.

### ლუფხ-ი

ქართ. **ლუფხ**-, **ლუფხ**-ი „ლუდისა და არყის ნახადი“, მთიულ. **ლუფხ**-ი „წყალი ტალახიანი“; დასტურდება მხოლოდ ქართულში, სადაც პირველად საბას ლექსიკონშია ფიქსირებული. საერთოქართველური ენობრივი ერთობისთვისაც აღდგება \***ლუფხ**-, ვინაიდან ამ ძირს პარალელები ეძებნება მონათესავე ენებში.

ს.-ქართვ. \***ლუფხ**- „ლუფხი; ლუდისა და არყის ნახადი“  
 იჩქ. **დოფხ** ← \***დოფხ** „ნადნობი“, ინგ. **დიფხ** ← \***დოფხ** „id“, ბაცბ.  
**დოფხ** „ოფლი“; ბაცბური ალომორფი იმეორებს ს.-ნახ. \***დოფხ**- არქე-  
 ტიპს. ს.-ქართვ. \***ლუფხ**- : ს.-ნახ. \***დოფხ**- კანონზომიერი მიმართება  
 ჩანს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **დ** (§ 13.7),  
 ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **ო** (§ 9.2). *ნახადი* ~ *ოფლი/ნადნობი* სემანტიკური  
 შეფარდებისთვის საერთოა *სითხის გამოდენის* ნიუანსი, შდრ. ასევე არჩი-  
 ბული **ნაფვ** „ცრემლი“.  
 ს.-ნახ. \***დოფხ**- „ოფლი/ნადნობი“.

### ლხვ-ებ-ა

ქართ. **ლხვ**- → || **ლხ**-, **ლხვ**-ებ-ა, გა-**ლხვ**-ა, გა-მ-**ლხვ**-არ-ი, სვან.  
**ლევჷ**-, ლი-**ლევჷ** „ლხობა“, **ლევჷ**-ნი „ლხვება“, ა-**ლევჷ**-ნი „გალხვება“,  
 ა-**ლავჷ** „გალხვა“; სვანური ვარიანტი უახლოვდება საერთოქართველურ  
 მონაცემს. ზანურში ეს ძირი არ არის გამოვლენილი [ზ. ჭუმბურიძე, იხ.  
 ფენ.-სარჯ. 1990: 201].

ს.-ქართვ. \***ლევჷ**- „ლხობა“

იჩქ. -**ლხ**-, თდჷ-**ლხ**-არ || თდჷ-**ლხ**-უო „გამოლაყება“, ინგ. -**ლხ**-  
 თდჷ-**ლხ**-არ || თდჷ-**ლხ**-ან „id“, ბაცბ. ოთე-**ლხ**-; ბაცბური მონაცემი აქაც  
 გვაკლია. საერთონახურისთვის უპრეფიქსო \***ლხ**- ძირი აღდგება, რასაც  
 დაღესტნური მონაცემებიც ამოწმებენ: ლეზგ. **ლავჷ**, თაბ. **ლავჷ**, რუთ.  
**ლავ**-თგ, კრიწ. **ლავ**-აჷ, ხინ. **ლავა** „გამოლაყებული“. სხვათა შორის, და-  
 ლესტნური იმითაც არის საინტერესო, რომ აქ ისტორიული **ვ**, განსხვავე-  
 ბით ქართულია და ნახურისა, დაცულია, შდრ. ბგერათშესატყვისობა  
 ს.-ქართვ. **ვ** : ს.-ნახ. **ხ** (§ 36).

ს.-ნახ. \***ლხ**- „გამოლაყება“.

### ლხნ-ინ-ი

ქართ. **ლხნ**-ენ-/**ლხნ**-ინ-, ი-**ლხნ**-ენ-ს, **ლხნ**-ენ-ა, **ლხნ**-ინ-ი, **ლხნ**-ინ-ებ-ა-დ,  
 მო-ი-**ლხნ**-ენ-ს, მო-მ-**ლხნ**-ენ-ი, ზან. (მეგრ.) **რხნ**-ინ-ი „მხიარულება“, მრ-**რხნ**-  
 ინ-ეს „იმხიარულეს“, **რხნ**-ინ-აფ-ა „ამაყობა“, ი-თი-ვ-ო-**რხნ**-ინ-ე „ვიამაყე“;  
 საერთოქართველურისთვის აღსადგენია \***ლხნ**-ენ- / \***ლხნ**-ინ- ფუძე, სადაც  
 \***ლხნ**- ძირად გამოიყოფა [იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 310].

ს.-ქართვ. \***ლხნ**-ენ-/ \***ლხნ**-ინ- „მოსვენება; მხიარულება“

იჩქ. **ლდეჷ**-ან<sup>5</sup> || **ლდეჷ**-ან<sup>5</sup> „თამაში, სიმღერა“, ინგ. **ლდეჷ**-არ „თამა-  
 ში“, ბაცბ. ოლეჷ-; ბაცბურში **ლდეჷ**- ფუძე მივიწყებულია. საერთონახურ-  
 ისთვის აღსადგენია \***ლდეჷ**- ფორმა, რომელიც კანონზომიერად შეესა-  
 ტყვისება ს.-ქართვ. \***ლხნ**- ძირს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ხ** :  
 ს.-ნახ. **ვ** (§ 36). ბუნებრივია სემანტიკური მიმართებაც: ს.-ქართვ. *მხიარ-  
 ულება* ~ ს.-ნახ. *მღერა/თამაში*.

ს.-ნახ. \***ლდეჷ**- „თამაში/სიმღერა“.



## მაგ-არ-ი

ქართ. მაგ-, მაგ-არ-ი, ა-მაგ-რ-ებ-ს, ა-მაგ-ინ-ებ-ს და-მაგ-ინ-ებ-ა „დარგვა, გადაწინდვა“, ზან. (მეგრ.) ნოგ-რ-ო || ნორგ-ო „ნერგი“, სვან. ლაჯ- || ლაჯ- || ლჯ-, ა-ლჯ-ი „რგავს“, ო-ლაჯ „დარგო“, ხ-ა-ლაჯ-ი „ამაგ-რებს“; მეგრულში მოსალოდნელი მოგ- ზმნური ძირი არ შეგვხვდება, სამაგიეროდ სახელური ნოგ-რ-ო ←\*მოგ-რ-ო დღესაც ცოცხალი სიტყვაა. საერთოქართველურისთვის რეკონსტრუირდება \*მაგ- ძირი დარგვა, და-მაგრება/დამაგინების მნიშვნელობით [იხ. ჩუხ. 2000-2003: 139].

ს.-ქართვ. \*მაგ- „დარგვა, დამაგრება/დამაგინება“

იჩქ. მაგ-, მაგ-ან || მაგ-არ „შეძლება, სიმარე“, მეგ-ერ დუ „შეიძ-ლება, შესაძლებელია“, ცა-მოგ-უმ დუ „ავადმყოფია (ქალი)“, ინგ. მაგ-, მაგ-ან || მაგ-არ „შეიძლება; მოგ-უმ „შემძლე, ძლიერი“, ბაცბ. მაკ-, მაკ-ან || მაკ-არ „შეძლება“, მაკ-ე „შეუძლია“, მაკ-არ-წი „უღონო, სუსტი“, მაკ-ემ || მაკ-ინი „ლონიერი, შემძლე“; ბაცბური მაკ- ძირი გლოტალიზებული სახეობაა ს.-ნახ. \*მაგ- პროტოტიპისა.

ს.-ნახ. \*მაგ- „შეძლება; მძლე, ძლიერი“.

## მაზლ-ი

ქართ. მაზლ-ი „ქმრის ძმა“, მაზლ-ის-წულ-ი || მაზლ-ი-შვილ-ი, ზან. (ლაზ.) მუნჯა || მუნჯა „ქმარი“, მუნჯალ-ეფ-ე „ქმრები“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. ინლაუტური ნ ლაზურში ფონეტიკური ჩანართი ჩანს — მუნჯალ- || მუნჯალ- ←\*მუნჯალ-. ბგერათშესატყვისობა ქართ. ა : ზან. უ ამ პოზიციაში წინამავალი ბაგისმიერის ზეგავლენით აიხსნება [გულ. 1960: 121-122]. საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \*მაზელ- არქეტიპი.

ს.-ქართვ. \*მაზელ- „ქმარი, მამრი; მაზლი“

იჩქ. ბუოჟა (მრ. რ. ბუოჟარ-ი) „მამრი; მამაკაცი“, ინგ. ბოჟნ || ბუოჟნ (მრ. რ. ბოჟარ-ი) "id", ბაცბ. „ბოჟა“; ბაცბური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი. საერთონახური ფუძე-ენისთვის რეკონსტრუირდება \*ბოჟარ- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \*მაზელ- ფორმისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ბ (§ 23.7), ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ო (§ 5.2), ს.-ქართვ. ზ : ს.-ნახ. უ (§ 30.4), ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა (§ 6.2), ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. რ (§ 13.3).

ს.-ნახ. \*ბოჟარ- „მამრი; მამაკაცი“.

## მალ-ა

ქართ. მალ-ა „ხერხემლის შემადგენელი ცალკე ძვალი“, კისრის მალ-ებ-ი, მალ-ა „ზურგის ძვლის ნაკვეთი“ (საბა), შდრ. მალ-ა „დიდი ძე-ლი, რომელზედაც სახლის კოჭებს აწყობენ“, ზან. (მეგრ.) მულ-ა „ერთგვარი ხე“; სვანური შესატყვისი გამოვლენილი არ არის [იხ. ფენ.სარჯ. 2000: 316].

ს.-ქართვ. \***მალ**-ა „ზურგის ძვალი, ხერხემლის ძვალი“

იჩქ. **მინ**-, **მინ**-დწახქ „კეფის ძვალი“, ინგ. **მენ**-, სიტყვაში **მენ**-ტეხქ „კეფის ძვალი“, ბაცბ. **მინ**-<sup>1</sup>; საერთონახურ არქეტიპად აღსადგენია \***მინ**- ფორმა, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***მალ**-ა სიტყვას. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ი (§ 5.4), ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ნ (§ 13.6) რეგულარულად ვლინდება.

ს.-ნახ. \***მინ**- „კეფა, კეფის ძვალი“.

### მამ-<sup>1</sup>

ქართ. **მამ**-<sup>1</sup>, სვან. **მამ**-, ლი-**მამ**-ე „ჭამა“, ხ-**მამ** || ხ-**ამამ** „უჭამს“, ლო-ხ-**მამ** „შეუჭამა“; **მამ**- ფუძე *ჭამის* მნიშვნელობით მხოლოდ სვანურ დიალექტებში ფუნქციონირებს, თუმცა შდრ. ზან. (ლაზ.) მა-**მუნ**-ი „ბეზბიქალი, გამზრდელი“. \***მამ**- არქეტიპი რომ საერთოქართველური წარმოშობისაა, ამაზე ქვემოთ მოყვანილი მონათესავე ენათა სათანადო ძირებიც მიუთითებენ.

ს.-ქართვ. \***მამ**- „ჭამა“

იჩქ. **მამ**-, **მამ**-აგ „ქალის მკერდი; საწოვარა“, ინგ. **მამ**-<sup>1</sup>, ბაცბ. **მამ**-<sup>1</sup>; იჩქერიული **მამ**-აგ ისტორიულად გასუბსტანტივებული მიმღეობა ჩანს, სადაც -**აგ** დანიშნულების სუფიქსია, **მამ**- — *ჭამის*, *წოვის* გამო-მხატველი ზმნა. იბერიულ-კავკასიურ ენებში **მამ**- სიმბოლიკური აგებულების ფუძე ჩანს, შდრ.: დარგ. **მამა** „ძუძუ, ქალის მკერდი“, ლეზგ. **მამ**, კრიწ. **მამ**, ბუღ. **მემ** „ქალის მკერდი“...

ს.-ნახ. \***მამ**- „ქალის მკერდი; საწოვარა“.

### მ-ან-დ

ქართ. **მ**-, **მ**-ან, **მ**-ან-ს, **მ**-ან-დ, **მ**-უ-ნ, ზან. **მ**-უ- „თვითონ“, **მ**-უ-ქ „მან/თვითონ“, **მ**-უ-ნ-ეფ-ი „ისინი“, **მ**-უ-დის „როდის“, ა-**მ**-უ-ქ „ამან“, ე-**მ**-უ-ქ „ის, იმან“, სვან. **მა**-/**მ**-, ა-**მა**-ჟ „აქამდე“, ა-**მ**-ნე-მ „ამან“; საყოველთაოდ ცნობილი ქართველური შეპირისპირებებია, სადაც ძირეულ მასალად **მ**- გამოიყოფა [ბობ. 1846: 263; ჩიქ. 1936: 73, კლიმ. 1964: 44].

ს.-ქართვ. \***მ**-ა- ნაცვალსახელური ძირი“

იჩქ. **მ**-ი-ჩა „სად“, **მ**-ა-ცა „როდის“, ინგ. **მ**-ი-ჩნ || **მ**-უ-ჩნ "id", **მ**-ა-ცნ "id", ბაცბ. **მ**-ი-ჩ(ა) "id", **მ**-ა-ცა<sup>5</sup> "id"; აქაც, ისევე როგორც ქართველურ ენებში, ძირად **მ**- გამოიყოფა, რომელიც საერთონახური წარმომავლობისაა, შდრ. ლაკ. **მუ** „ის“, დარგ. **მუ**-რთ „როდის“.

ს.-ნახ. \***მ**- „ნაცვალსახელური ძირი“.

### მანძილ-ო

ქართ. **მანძილ**-ო „ბერწმსუქანი, გინა ძმარში ნადები სამწვადე“, „სამწვადე ხორცი, შეზავებული ძმრით, ხახვით, მარილით და მისთ. — ბასტურმა“ (ქეგლ-ი), სვან. **მანჯ**-ნრ-ლა || **მანჯ**-ნლ-ა „სამწვადე ხორცი;

ხბოს ხორცი“, „ГОВЯДИНА“; ქართული **მანძ**-ილ-ო ფუძე სამართლიანად არის დაკავშირებული სვანურ **მანჯ**-ირ- სახელთან [ჭონ. 2000]. ძირად, ცხადია, **მანძ**- საერთოქართველური მორფემა გამოიყოფა. ბგერათშესატყვისობათა ჩვენებები დაცულია.

ს.-ქართვ. \***მანძ**- „ხორცი; რბილობი“

იჩქ. **მაჯ**-უნ<sup>1</sup>, ინგ. **მაჯ**-უნ<sup>2</sup>, ბაცბ. **მაჟ**-უნ<sup>3</sup> „რბილი“, **მაჟ**-დარ „დარბილება“; საერთონახური ფუძეფენური მდგომარეობისთვის აღსადგენია \***მაჯ**- არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკური შესატყვისი მოეპოვება ს.-ქართვ. \***მანძ**- ძირის სახით — ს.-ქართვ. **ძ** : ს.-ნახ. **ჯ** იხ. § 30.1. სემანტიკისთვის შდრ. ქართული **რბილ**-ი, **რბილობ**-ი, **ძვალ**-**რბილი**, სადაც **რბილ**- ლექსემა ერთდროულად **სილბოსა** და **ხორცის** შინაარს შეითავსებს.

ს.-ნახ. \***მაჯ**- „რბილი; დარბილება“.

### მაჟალ-ო

ქართ. **მაჟალ**-, **მაჟალ**-ო „ტყის ვაშლი“ (საბა); ქართულ **მაჟალ**-ო სიტყვას პარალელები არ ეძებნება ქართველურ დიალექტებში. სამაგიეროდ შესაძლებელია დაისვას საკითხი ქართ. **მაჟ**-არ-ა „მინდვრის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე“ ალომორფთან ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ. ამიტომაც იგი საერთოქართველურიდან მომდინარე გვეგონია.

ს.-ქართვ. \***მაჟ**-ალ- „მაჟალო, ტყის ვაშლი“

იჩქ. **მჟჟ**-გ „მრავალძარღვა“, ინგ. **მჟჟ**-გ "id", შდრ. ტობ. **მჟჟ**-ი-ჩჟე, ბაცბ. **მჟჟ**-<sup>1</sup>; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღვადგენთ \***მოჟ**- არქეტიპს, საიდანაც თანამედროვე ნახურ დიალექტებში **მ**-სთან ასიმილაციით **ჟ** ხმოვნისანი ალომორფები განვითარდა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** (§ 5.2); ს.-ქართვ. **ჟ** : ს.-ნახ. **ჟ** ანუ **შიშინა** : **შიშინა** შეფარდება, რომელიც ამოსავალ ფონემად გულისხმობს **სისინ**-**შიშინა** ალოფონს — ამ შემთხვევაში **ზ**, ფრიკატივს (§ 33.5).

ს.-ნახ. \***მოჟ**- „მრავალძარღვა“.

### მარ-<sup>1</sup>

ქართ. **მარ**-, სა-**მარ**-ე „საფლავი“ ← ეტ. \*სა-კაც-ე, [იხ. ხახ. 2005: 24], სვან. **მარ**-ე || **მარ**-ე || **მარ**-ე „კაცი“; ზანურში სათანადო ფუძე არ არის გამოვლენილი, თუმცა შდრ. ქართ. (← ზან.) **მორ**-ი (საბა). თუ ზემოთაღწერილი შეპირისპირება მისაღებია, ქართველურ ენებში ძირად **მარ**- გამოიყოფოდა.

ს.-ქართვ. \***მარ**- „კაცი“

იჩქ. **მარ**-, სიტყვებში: **მარ**-დნ „მამამთილი“, **მარ**-დჟ „გათხოვება, ქმრის ყოლა“, **მარ**-ზჟჟ „ქმრის ნათესავი“, ინგ. **მარ** „ქმარი“, **მარ**-ჟე დ-ახ-ჟ „გათხოვება“, **მარ**-და „მამამთილი“, ზედმიწ. „ქმრის მამა“; **მარ**-წეჟ || უო „ქმრისიანები“, ბაცბ. **მარ** „ქმარი“, **მარ**-აგო ლუდნ<sup>1</sup> „გასათხოვარი,

ქმართან წასასვლელი“. შესაძლოა ვაინახური **მაძრჷ** „ვაჟკაცი, გულადი“ დაკავშირებული იყოს **მარ** „ქმარი“ სიტყვასთან. მით უმეტეს, როცა იჩქერიულ ენაში **მაძრა** (მრ. რ. **მჰრ-ოშ**) სიტყვა **ქმარსაც** აღნიშნავს და **ვაჟკაცსაც**.

ს.-ნახ. **\*მარ-** „ქმარი; ვაჟკაცი, გულადი“.

### მარ-აგ-ი

ქართ. **მარ-**, **მარ-აგ-ი** „თხელი ღრუბელი“, **მარ-აგ-იან-ი** „მოღრუბლული“, სვან. **მჰრ-ე** || **მერ-ე** || **მერ-ი** „ღრუბელი“; ზანური შესატყვისი ზემოთაღწერილი ალომორფებისა ვერ გამოვლინდა [იხ. ჩუხ. 2004: 122]. ქართულ-სვანურ ფუძეთა შედარება ადვილად გამოაჩენს ძირეულ მასალას. ეს არის ქართულში **მარ-**, სვანურში — **მერ-**; შესაბამისად **-აგ**, **-ე/-ი** სუფიქსებია. **-აგ** სუფიქსისათვის ქართულში შდრ.: ქად-**აგ-ი** (ქად-ებ-ა, ქად-ილ-ი), (მ)სუნ-**აგ-ი** (სუნ-, სუნ-ი), რაჭ. ჩმ-**აგ-ი** „ჩუმი“... ამდენად ქართ. **-აგ** : სვან. **-ე/-ი** ოდენფუნქციურ მიმართებად გვესახება.

ს.-ქართვ. **\*მარ-** „ღრუბელი, ღრუბლიანი ამინდი“

იჩქ. **მილ-**, **მილ-ლა** ← **\*მილ-ნა** „სიცივისაგან“, ინგ. **„მილ-“**, ბაცბ. **მილ-**, **მილ-დარ** „შეცივება“, **მილ-დ-ორიკ** „მცივანა“; საერთონახურში რეკონსტრუირდება **\*მილ-** არქეტიპი **შეციების**, **აციების** მნიშვნელობით. ს.-ქართვ. **\*მარ-** : ს.-ნახ. **\*მილ-** კანონზომიერი შეფარდება ჩანს, შდრ. ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ი** (§ 5.4), ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ლ** (§ 14.2). ფორმალური მხარის იგივეობას ზურგს უმაგრებს სემანტიკური სიახლოვეც: **აგდა-რიღრუბლიანობა** ~ **სიცივე/შეციება** საერთო სემანტიკურ ველში შემოდიან.

ს.-ნახ. **\*მილ-** „სიცივე/შეციება“.

### მართ-/წარ-მართ-ი

ქართ. **მართ-**, **წარ-მართ-ი**, ზან. (მეგრ.) **ფურთ-**, მიშა-**ფურთ-უა** „წახდენა, ურიგოდ ქმნა“, ქიმეშა-**ფურთ-უ** „წახდინა, ურიგოდ ქნა“, შდრ. აჭარ. (← ზან.) ა-**ფურთ-ნა** „დალაგებული ნივთების გაფანტ-გამოფანტვა“, სვან. **მგრთ-ე** → || **ლერთ-ენ** || **ლერთ-ან** „მარცხენა“. ქართველურ ენებში **მ-** პრეფიქსი გამოსაყოფია (შდრ. **მ-არჯუნ-ენ** „მარჯვენა“) [იხ. ჩუხ. 2000-2003: 161].

ს.-ქართვ. **\*მ-ართ-** „მარცხენა; უკულმართი, მცდარი“

ჩიქ. **წარ-უ** ← || **არლ-უ** „მარცხენა“, ინგ. **წარლ-ნ** ← **\*არლ-ი** "id", ბაცბ. **არლ-ი** „მარცხენა“; **მარცხენის** მნიშვნელობით საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება **\*არლ-ინ-** არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. **\*მ-ართ-** ფუძეს. საყურადღებოა ს.-ქართვ. **რთ** : ს.-ნახ. **რლ** შესატყვისობა კომპლექსთა დონეზე, რაც სხვაგანაც გამოჩნდება, იხ. აქვე, § 49.

ს.-ნახ. **\*არლ-ინ-** „მარცხენა“.

### მართ-ალ-ი

ქართ. **მართ-**, **მართ-**ი „სწორი“, **მართ-**ალ-ი, სი-**მართ-**ლ-ე, სა-**მართ-**ალ-ი, **მართ-**ებ-ულ-ი, **მართ-**ვ-ა „მრუდის გასწორება“ (საბა), ძვ. ქართ. **მართ-**ებ-ით-ი „მართალი“, **მართ-**ებ-ის სახედ „სწორად“, **მართ-**ლ „ნამდვილად, სწორად, პირდაპირ“; სამწუხაროდ სხვა ქართველურ დიალექტებში ვერ გამოვლინდა **მართ-** ძირის შესაბამისი ალომორფები. იმდენად მკვიდრია **მართ-** ძირი სამწერლო ქართულში, რომ მისი შეთვისება უცხოენობრივი სამყაროდან არ მიგვაჩნია დასაბუთებულად [შდრ. ანდრ. 1957: 201].

ს.-ქართვ. \***მართ-** „მართალი, სწორი, პირდაპირი“

იჩქ. **ბართ** „პირი, პირობა“, **ბართ-**ხუო „მეკავშირე, მოკავშირე“, ინგ. **ბართ** "id", **ბართ-**ა „ზეპირად“, **ბართ-**ბჟე „შეთანხმება“, ბაცბ. **ბართ**; საერთონახური ფუძე-ენისათვის აღვადგინეთ \***ბართ-** არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \***მართ-** ძირისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ბ (§ 23.7).

ს.-ნახ. \***ბართ-** „პირი; პირობა, შეთანხმება“.

### მართვე

ქართ. **მართვე**, **მართვე** „ნაშიერი“, ზან. (ლაზ.) **მოთა** „შვილიშვილი“, ბოზო-**მოთა** „გოგონა“, **მოთ-**ალ-ი „ნაშიერი“, მეგრ. **მოთა** „შვილიშვილი“. ზანური ფუძეები გამარტივებულია: **მოთა** ← \***მოთვა** [იხ. ლომთათ. 1961: 263-268].

ს.-ქართვ. \***მა(რ)თვე** „ნაშიერი, შვილი“

იჩქ. -**მათ**, სიტყვაში საგალ-**მათ** „მწერი“, ინგ. -**მშთ**, საგალ-**მშთ** "id", ბაცბ. **მათ**. **მათ** სეგმენტი კომპოზიტებში დასტურდება — საგალ-**მათ** „მწერი“, სადაც **საგალ** აღნიშნავს რწყილს.

ს.-ნახ.\*-**მათ** „ნაშიერი(?)“.

### მარს-ლ-ი

ქართ. **მარს-ლ-**, მოხ. **მარს-ლ-**ი „დაფშვნილი თივის ზვინი, თივა“, სვან. **მაშდ** „ნალეწი მარცვლეულის ზვაგი“; ზანური ეკვივალენტები ვერ გამოვავლინეთ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 147]. საერთოქართველური **სლ** თანმიმდევრობა რეგულარულად იძლევა **შდ-**ს სვანურში, რაც კომბინატორული ფონეტიკური პროცესია — **სლ** → **შდ**.

ს.-ქართვ. \***მარს-ლ-** „ნალეწი, დაფშვნილი ბალახეულის ზვაგი“

იჩქ. **მარს** „ნამგალი“, ინგ. **მარს** "id", ბაცბ. **მარს** „ნამგალი“; საერთონახური \***მარს-** ფორმალურად ზუსტი შესატყვისია ს.-ქართვ. \***მარს-ლ-** არქეტიპისა. სემანტიკური კორელაცია ს.-ნახ. **ნამგალი** ~ ს.-ქართვ. **ნალეწი** იმის მაჩვენებელია, რომ **ნამგალი** მოაზრება როგორც **სალეწავი** შრომის იარაღი, შდრ. ქართულში **ცელ-**ი და **ცელ-**ავ-ს.

ს.-ნახ. \***მარს-** „ნამგალი“.

## მარცხენ-ა

ქართ. **მარცხენ-ე** || **მარცხენ-ა**, **მარცხ-დ** || **მარცხნ** „მარცხნივ“, ზან. (მეგრ.) **კვარჩხ-ან-ი** „მარცხენა“, მე-**კვარჩხ-ან-ე** „ცაცია“, **კვარჩხ-ი** „მარცხიანი“; სვანური ფუძე დაკარგულია. რაც შეეხება ქართულში **მარ** ელემენტს ის აქ **მარჯვენის** ანალოგიით არის გაჩენილი; სავარაუდოდ მან გამოდევნა **კუე** თანმიმდევრობა სიტყვის თავში.

ს.-ქართვ. \***კუეცხ**- „მარცხენა, ცაცია“

იჩქ. (ჭებ.) **გაც-ათ** (ითუმყ. **გეც-იგ**) „ცაცია“, ინგ. **გეც-უო** "id", ბაცბ. **Ⴍც-ო**. ჭებერლოურში ფიქსირებული ხმოვნის სიგრძე საკომპენსაციო უნდა იყოს — **გაც** ←\***გუაც**-; ს.-ქართვ. **ცხ** : ს.-ნახ. **ც/ს** კანონზომიერი შესატყვისობა ჩანს, იხ. აქვე, § 31.4.

ს.-ნახ. \***კუაც-ო** „ცაცია“.

## მარწუნ-ი

ქართ. **მარწუნ**, **მარწუნ-ი** „რკინის სამჭედლო იარაღი“ (ქეგლ-ი), ძვ. ქართ. **მარწუნ-ი** „გაზივით არი“ (საბა); ქართულ **მარწუნ-** ფორმას შესაძლებელია უკავშირდებოდეს **მუნრუტე-ი** ←\***მურხუტე-ი**. თუ ვარაუდი სწორია, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ **მუნრუტე-** სიტყვაში შემოგვენახა **მარწუნ-**ის ზანური ეკვივალენტი, შდრ. ასევე მეგრ. **მურტუნ-ი** „მარნის სარტყლის მარწუხი“.

ს.-ქართვ. \***მარხუწ-** „რკინის სამჭედლო იარაღი“

იჩქ. **მუოგან** (ხილდ. **მოგად**, ჭებ. **მაგანუ**) „კვესი“, ინგ. **მოგანძ** → ||

**მოგან** ← **მაგოდ** "id", ბაცბ. **მაგან** ←\***მაგანო** „კვესი“; ჭებერლოურის უ სიტყვის ბოლოში და ინგუშურის **ო** მეორე მარცვალში საერთონახურ არქეტიპად გვაგარაუდებინებს \***მაგანო** ან \***მაგანო**- დუბლეტურ ფორმებს. ეს უკანასკნელი (\***მაგანო**-) კანონზომიერად შეეფარდება ს.-ქართვ. \***მარხუწ-** წინარეფორმას, შდრ. ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **ო** (§ 9.2).

ს.-ნახ. \***მაგანო**- „კვესი“.

## მ-არჯე-ე

ქართ. **არჯე-**, მ-**არჯე-ე**, გა-მ-**არჯე-ებ-ა**, ძვ. ქართ. მ-**არჯე-ე-ე** „მარჯვე“, მ-**არჯე-ებ-ა** „მოხერხება“, გან-მ-**არჯე-ებ-ა** „გამარჯვება“, **ჯობ-ნ-ა** ←\***ჯუ-ებ-ნ-ა** „ჯობნა“, მ-**ჯობ-ი** ←\*მ-**ჯუ-ებ-ი**, ზან. (მეგრ.) **ორძეუ-**, მ-**ორძევი** ← მ-**ორჯევი** „მარჯვე“, გო-მ-**ორძევილ-ი** „გამარჯვებული“, ნო-**ჯგე-ე** „ნაჯობნება“, უ-**ჯგ-უ** ←\*უ-**ჯგე-უ** „სჯობს“, **ჯგ-ირ-ი** || **ჯგ-გრ-ი** || **ჯგ-ურ-ი** ←\***ჯგე-ირ-ი** „კარგი“, უ-**ჯგუშ-ი** ←\*უ-**ჯგე-იშ-ი** „უკეთესი; მჯობნი“, **რჯგ-ინ-ა** „ჯობნა“, ლაზ. ო-**რჯგ-ინ-უ** „დამარცხება, ჯობნა“, **ჯგ-ინ-ა** „გამარჯვება“, სვან. მ-**უსგუ-ენ** || მ-**უსკუ-ენ** „სწორი“, შდრ. ძვ. ქართ. მ-**არჯე-ენ-ე-ე** „მართალი“, მ-**არჯე-ენ-ე-ობ-ა-ე** „სიმართლე“, ა-**რსგუ-ე** || ა-**რსგუ-ე** „მოე-

რევა“, ლი-ს-ერ-ე ←\*ლი-სგ-ერ-ე „ჯობნა“ [იხ. კლიმ. 1964: 128; ფენ.-სარჯ. 2000: 392, 724-725; ჩუხ. 2000-2003: 190].

ს.-ქართვ. \*ა-რჯუ- „მარჯვობა; ჯობნა/გამარჯვება“; „მარჯვე“  
იჩქ. ათ-ან „ადვილი“, ათ-უო „წარმატება“, ათ-უონ-ან „გამარჯვებულნი, წარმატებულნი“, ინგ. ათ-ან „ადვილი“, ათ-უო „ილბალი“, ათ-უუ „წარმატება“, ბაცბ. ატ-ივ „ბედნიერება, ილბალი“, ატ-ან „ადვილი; მარჯვე“, ატ-ან-ა „სიადვილე“; საერთონახურ არქეტიპად რეკონსტრუირდება \*ად-უნ- ფორმა, რომელიც წინარენახური \*აჯუ-ინ- პროტოტიპისაგან მომდინარეობს ძირის დელაბიალიზაციისა და დეზაფრიკაციის (ჯ → დ) საფეხურების გავლით. ს.-ქართვ. \*ა-რჯუ- : ს.-ნახ. \*ად-უნ- ნორმალური ფორმალური მიმართება გვეგონია.

ს.-ნახ. \*ად-უნ- ← წ.-ნახ. \*აჯუ-ინ „მარჯვე, ადვილი, წარმატება“.

### მ-არჯვენ-ა

ქართ. მ-არჯუ-ენ-, მ-არჯვენ-ა, ძვ. ქართ. მ-არჯუ-ენ-ად || მ-არჯუ-ენ-ე-დ „მარჯვენა, მართალი“, მ-არჯუ-ენ-ით-ი „მარჯვნივ მყოფი“, მ-არჯუ-ალ || მ-არჯუნ „მარჯვნივ“, ზან. (ლაზ.) მ-არძგვ-ან- „მარჯვენა“, მეგრ. მ-არძგვ-ან-ი ←\*მ-არძგვ-ან-ი „მარჯვენა“, სვან. მ-გრსგუ-ენ || მ-ურსგუ-ენ || ლ-ერსგუ-ენ || ლ-ერსკუ-ენ „მარჯვენა“, ლ-ერსგუ-ენ-ჰდ „მემარჯვენე“; საერთოქართველურ არქეტიპად აღსადგენია მ-არჯუ-ენ- ფორმა [იხ. ერკ. 1895: 298; ჭარ. 1995, XII: 12; კლიმ. 1964: 128].

ს.-ქართვ. \*მ-არჯუ-ენ- „მარჯვენა“

იჩქ. ათ-უნ<sup>ნ</sup> „მარჯვენა“, ინგ. ათ-ან ←\*ათ-უნ<sup>ნ</sup> "id", ათ-ან-დ „მარჯვნივ“, ბაცბ. ატ-ინ<sup>ნ</sup> „მარჯვენა“, ატ-ინ-ენ || ატ-ენ „მარჯვნივ“; საერთონახური ფუძეფური მდგომარეობისთვის აღსადგენია \*ად-უნ-ინ- არქეტიპი, რომელიც წინარენახური \*აჯუ-ინ- შიშინა სიბილანტიანი წინარეფორმისაგან მომდინარეობს (იხ. აქვე, § 32.1). იჩქერიული -უნ დაბოლოება ბაცბური ინ<sup>ნ</sup>-ის წილ ამ ფუძის ისტორიულ ლაბიალიზებულ ხასიათზე მეტყველებს, შდრ. ს.-ქართვ. მ-არჯუ-ენ-. აღწერილ ფუძეთა სემანტიკურ-სტრუქტურული იგივეობა ადვილი შესამჩნევია.

ს.-ნახ. \*ად-უნ-ინ- „მარჯვენა“.

### მას-ე

ქართ. მას-ე „ბადე“, მასე „ცალწუერი და უმძიო ბადე“ (საბა), ზან. (ლაზ.) მოს-ა „ბადე“, მოს-ა-ბოდ-ა = მას-ე-ბად-ე, ქაფჩაში მოს-ა „ხამსის დასაჭერი ბადე“, ათმაჯა-მოს-ა „მიმინოს დასაჭერი ბადე“, მეგრ. მოს-ა „ბადე; ქსელი“, მოს-უ-ა „ქსოვა“, ნა-მოს-ა „ნაქსოვი, ქსელი“, ბორბოლიაში ნა-მოს-ა „ობობის ქსელი“; საერთოქართველურში სახელურ ფუძედ აღდგება \*მას-ე, რომელსაც ბადე/ქსელის მნიშვნელობა ახასიათებ-

და. მეგრულ დიალექტში ნასახელარი ზმნური ფუძეც გამოვლინდა [ყიფშ. 1914: 1993; ჭარ. 1918: 223; კლიმ. 1964: 128; ფენ-სარჯ. 2000: 318].

ს.-ქართვ. \*მას-ე „ბადე; ობობას ქსელი“

იჩქ. მშა „ოჯახური ნაქსოვი მაული“, მშა ბუოზან „მაულის ქსოვა“, „ობობის ქსელის კეთება“, ინგ. მშშ "id", მშშ ბოტუზნ "id", ბაცბ. მშშე „მატყლის ძაფის ნაქსოვი“, მშ ბოწარ „დაქსელვა; შალის ქსოვის დაწყება“; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის აღსადგენია \*მაშ-ე არქეტიპი, რომელიც ზუსტი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია ს.-ქართვ. \*მას-ე ფორმისა, შდრ. ხუნდ. ნუს-ი „ობობას ქსელი“, ახვ. ნიშ-ა „ქსოვილი“, ხოლო ნიშ-ი „ობობას ქსელი“...

ს.-ნახ. \*მაშ-ე „ოჯახში ნაქსოვი მაული“, „ობობას ქსელი“.

### მატყლ-ი

ქართ. მატყლ-, მატყლ-ი, მატყლ-იერ-ი, ზან. მონტყორ-ი → || მონტკო<sup>რ</sup>-ი „მატყელი“, სვან. მანტყ || მატყ ←\*მატყჟ. ზანურის ო გახმოვანების შესატყვისი ა ვოკალი ისტორიულ ქართულშიც ივარაუდება: მატყლ- ←\*მატყალ- [იხ. ჩიქ. 1938: 95].

ს.-ქართვ. \*მატყალ- „მატყელი“

იჩქ. ტარლა (მრ. რ. ტარლან-აშ) „ბალანი, ბეწვი“, ინგ. ტარლდ "id", ბაცბ. ტარლან<sup>ნ</sup>; ბაცბური შესატყვისი აქაც გვაკლია.

სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა ქართველურსა და ნახურ ფუძეებს შორის ადვილი დასანახია.

ს.-ნახ. \*ტარლან- „ბალანი, ბეწვი“.

### მაყვ-ალ-ი

ქართ. მაყვ-ალ-ი, ძვ. ქართ. მაყჟ-ალ-ი, მაყჟ-ლ-ოვან-ი, ზან. (ლაზ.) მუყ-ი „მაყვალი“, მეგრ. მუყ-ი || მუყ-ია „მაყვალი“, ძიგირ-იშ მუყ-ია "id", სვან. მუჟჟ-წრ-ი || მუჟჟ-არ-ი ←\*მაყჟ-არ-ი „ასკილი“; საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღვადგენთ \*მაყჟ-ალ- არქეტიპს [მარ. 1915: 824; კლიმ. 1964: 129; ჩუნ. 2000-2003: 158-159].

ს.-ქართვ. \*მაყჟ-ალ- „მაყვალი“

იჩქ. მაც (ახ. მუყ, ქისტ. მწ-ინგ) „თხმელა“, ინგ. მიც-ინ<sup>გ</sup> ←\*მწ-ინ<sup>გ</sup> "id", ბაცბ. მურყ- „თხმელა“; საერთონახური ენობრივი ერთობისთვის აღვადგენთ \*მარყ- არქეტიპს, რომელიც, შედარებით უკეთ, ბაცბურს დაუცავს. ს.-ქართვ. \*მაყჟ-ალ- : ს.-ნახ. \*მარყ- გამოაჩენს საერთონახურ სახელებში აპრობირებულ Cჟ → რC გარდაქმნას, რაც გამოწვეულია ლაბიალიზებულ თანხმოვანკომპლექსთა სუბერაციის მოთხოვნით.

ს.-ნახ. \*მარყ- „თხმელა“.



## მაშა

ქართ. **მაშა** „ცერცვი“, ზან. **ფაჩქა** „ფეტვი“; სვანურში შესაბამისი ფუძე ვერ გამოვლინდა, ხოლო ქართული **მაშა** ფუძის ზანური შესატყვისი ფიქსირებული უნდა იყოს საბას ლექსიკონში **ფაჩქა**-ს სახით. **მაშა/ფაჩქა** შეპირისპირება ზანურისთვის ისტორიული **\*ბოჩქა** არქეფორმის არსებობას ვარაუდობს. ცხადია, **ბოჩქა** → **ბგაჩქა** მომდევნო ა-სთან ასიმილაციით [იხ. ჩუბ. 2000-2003: 146-147].

ს.-ქართვ. **\*ბაჩ**-ა „ფეტვი, ცერცვი“

იჩქ. **ბუორც** || **ბორც** „ფეტვი“, ინგ. **ბორც** "id", ბაცბ. **ბორც** „ფეტვი“; საერთონახური ენობრივი მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება **\*ბორც**- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. **\*ბაჩ**-ა ძირს, შდრ. ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** (§ 5.2). რაც შეეხება ს.-ქართვ. **ჩ** : ს.-ნახ. **ც** მიმართებას, იგი აიხსნება წინარე-ენაში **ც**, სისინ-შიშინა სიბილანტის პოსტულირებით (იხ. აქვე, § 33.2).

ს.-ნახ. **\*ბორც**- „ფეტვი“.

## მაჩვი

ქართ. **მაჩუ**-, **მაჩვი**-, ძვ. ქართ. **მაჩვ**, ზან. **მუჩქე**-ი → მეგრ. **მუნჩქე**-ი || ლაზ. **მუნჩქი**-ი || **მუნჩხ**-ი || **მუნჩხ**-ი || **მუნჭყ**-ი „მაჩვი“, სვან. **მინჩქუ** „მაჩვი“; საერთოქართველურ არქეტიპად აღსადგენია **\*მაჩუ**- ძირი [ჭარ. 1895, XII: 112; ჩიქ. 1938: 90; გულ. 1960: 122]. სვანურ **მინჩქუ** ვარიანტზე გამოთქმულია თვალსაზრისი მეგრულიდან შეთვისების შესახებ (კლიმ. 1964: 130). ჩვენი დაკვირვებით, სვანური **მინჩქუ** უშუალოდ მომდინარეობს ს.-ქართვ. **\*მაჩუ**- პრაფორმიდან — **ა** → **გ** → **ი** საკუთრივ სვანური გადაბგერებით, შდრ. ქართ. ძალ- „სიმი“ : სვან. ჯილ- "id"...

ს.-ქართვ. **\*მაჩუ**- „მაჩვი“

იჩქ. **ჩა<sup>რ</sup>** (მრ. რ. **ჩერ**-ჩიძ, ჰებ. **ჩარ**-ჩი) „დათვი“, ინგ. **ჩა<sup>რ</sup>** (მრ. რ. **ჩერ**-ჩი) "id", ბაცბ. **ჩა<sup>რ</sup>** (მრ. რ. **ჩარ**-ჩი) „დათვი“; საერთონახური ფუძე-ენისთვის აღსადგენია **\*მჩარ**- არქეტიპი, რომელიც ნახურ დიალექტებში გამარტივდა — ანლაუტში **მჩ** თანმიმდევრობის არაკანონიკურობის გამო, შდრ. **მ** თავსართიანი ფორმები სხვა იბ.-კავკ. ენებიდან: დალ., ხინ. **ფსგ**; აფხ. **ა-მაშ<sup>ო</sup>**, აბაზ. **მშუგ**, უბიხ. **მგშუნ** „დათვი“... ს.-ქართვ. **\*მაჩუ**- : ს.-ნახ. **\*მჩარ**- გამოაჩენს **უ** : **რ** შესატყვისობას ჩვენს ენებს შორის, რაც არაერთი შეპირისპირებით მტკიცდება (§ 20.5). **დათვი** ~ **მაჩვი** მიმართება სემანტიკურად ადვილი ასახსნელია — ვიზუალური იგივეობა. **ჩ** : **ჩ** მომდინარეობს **ც**, წინარეფონემიდან (§ 33.2).

ს.-ნახ. **\*მჩარ**- „დათვი“...

## მაწონ-ი

ქართ. **მაწონ**-ი „მჟავველ შედედებული ნაღული რძე“, **მაწვნ**-ის-დედა, ზან. (მეგრ.) **მარწვენ**-ი || **მარწვინ**-ი „მაწონი“; სვანური შესატყვისი უნდა ჩანდეს სვან. **მერწუწ** „ყველი და კარტოფილი ერთად მოხარშული“ სიტყვაში.

ს.-ქართვ. \***მაწონ**- „მაწონი“

იჩქ. **მორწ** ← \***მარძო**, შდრ. ჰებ. **მარწუ**, ხილდ. **მორძუ**, შარ.

**მორძო** „შრატი“, ინგ. **მორძ** || **მორძო** "id", ბაცბ. **მარწრ** „შრატი“; ნახურ ენებში ძირად გამოიყოფა **მარწ**- თანმიმდევრობა, რომელიც კანონზომიერად შესატყვისება ს.-ქართვ. \***მაწონ**- არქეტიპს, შდრ. ს.-ქართვ. **ნ** : ს.-ნახ. **რ** (იხ. აქვე, § 16.4). კანონზომიერი ჩანს სემანტიკური შეფარდება: ს.-ქართვ. **მაწონი** ~ ს.-ნახ. **შრატი**.

ს.-ნახ. \***მარწ**-ო „შრატი“.

## მან-ა

ქართ. **მან**-ა „ხორბლის ჯიში“, **მან**-ა „ყანაა, ასლსა ჰგავს“ (საბა), ზან. (ლაზ.) **მონ**-ა „ხორბლის ჯიში“, მეგრ. **მონ**-ა, შდრ. ტობ. **მონ**-ა-ში, სვან. **მან**-არ „ქერი“; ქართულ-ზანურ ფუძეთა ერთიანობა ეჭვს არ იწვევდა თავიდანვე [კახ. 1961: 191]. ჩვენი დაკვირვებით, აქვე შემოდის **ქერის** აღმნიშვნელი სვანური **მან-არ** ფუძე, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საერთოქართველური ფუძის აუსლაუტის ისტორიაზე, რომელიც

\***მან**-ალ- სტრუქტურისა უნდა ყოფილიყო.

ს.-ქართვ. \***მან**-ალ- „ხორბალი; ქერი“

იჩქ. **მუნჯ** (მრ. რ. **მუნჯ**-აშ, ჰებ. **მუნჯ**—**მან**-იშ) „ქერი“, ინგ. **მუნჯ** (მრ. რ. **მუნჯ**-აშ) „ქერი“, **მუნჯ**-ა „ბური“, ბაცბ. **მანჯ**-ი ← \***მანჯ**-ი „ბური“; ბაცბურში გვაკლია **მუნჯ** „ქერი“ სიტყვა. ს.-ნახ. \***მანჯ**-ი არქეტიპი თავდაპირველად **ქერისგან** გამომცხვარ **ჭურს** თუ აღნიშნავდა, შდრ. ქართ.-ზან. **მან**-ა/**მონ**-ა „ხორბალი“ : სვან. **მან**-არ „ქერი“.

ს.-ქართვ. \***მან**-ალ- „ხორბალი; ქერი“ : ს.-ნახ. \***მანჯ**-ი „ბური; ქერი“ ბუნებრივი მიმართებაა როგორც სემანტიკური, ისე ფონეტიკურ-სტრუქტურული თვალსაზრისით.

ს.-ნახ. \***მანჯ**-ი „ბური; ქერი“.

## მანალ-ი

ქართ. **მანალ**-, **მანალ**-ი „ხურჯინი“; დასტურდება საბას ლექსიკონში: **მანალი** ხურჯინი(ა) (საბა), შდრ. იქვე: **მანალ-აკ**-ი აგბა, აბგა. ძველ ქართულში **მანალ**- ფუძეს **გულის** მნიშვნელობა ახასიათებს იხ. სარგ. 2004: 453. ზანურსა და სვანურში შესაბამისი ფუძეები არ ჩანს.

ს.-ქართვ. \***მანალ**- „ხურჯინი, აბგა, გულა“

იჩქ. **მანალ** (მრ. რ. **მანალ**-აშ ← \***მანალ**-აშ) „ბარგი, ტვირთი“, ინგ. **მანალ** || **მუნალ** "id", ბაცბ. **მანალ**; ნახურ ენებში მოკვეცილია ბოლოკიდულ-

რაი **ნ** სონანტი, რაც იჩქ. **მაჰან**-აშ მრ. რ. ფორმაში გამოჩნდება.

ს.-ნახ. \***მაჰან**- „ბარგი, ტვირთი“.

### მგელ-ი

ქართ. **მგელ**-, **მგელ**-ი, ზან.(მეგრ.) **გერ**-ი „მგელი“, **გერ**-ია (ანთროპ.),  
ლაზ. **მგერ**-ი "id"; სვანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი [ჩიქ.  
1938: 87]. ლაზურისთვის ბუნებრივია **მგვერ**-ი → || **მჭვერ**-ი ალომორფე-  
ბიც, რაც **მგერ**-ი ფორმის ასიმილირებული ვარიანტებია: **გ**-ს ლაბიალიზა-  
ცია თავკიდური **მ**-ს ზეგავლენით.

ს.-ქართვ. \***მგელ**- „მგელი“

იჩქ. **ბერგ**, სიტყვაში წყოყ-**ბერგ** „ჭიქი“, ინგ. **ბერგ**, სიტყვაში წყოყ-  
**ბერგ** „ჭიქი“, ბაცბ. «**ბერგ**»; ბაცბური შესატყვისი დაკარგული ჩანს. ვაი-  
ნახური კომპოზიტი წოყ-**ბერგ** „ჭიქი“ შედგება ორი კომპონენტისაგან,  
საიდანაც პირველი წოყ კომპონენტი აღნიშნავს *ჭრელს* ე. ი. წოყ-**ბერგ**  
ისტორიულად უდრის **ჭრელ-მგელს**. უნდა ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე  
ვე **ბერგ** მომდინარეობს არქაული \***ბგერ**- ფორმისაგან, შდრ. ს.-ქართვ.  
\***მგელ**- სადაც თავკიდური **მგ** კომპლექსი სტაბილურია, — ს.-ქართვ. **მ** :  
ს.-ნახ. **ბ** (§ 13.3), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **რ** (§ 23.7).

ს.-ნახ. \***ბერგ**- ←\***ბგერ**- „მგელი“.

### მ-დარ-ე

ქართ. **დარ**-, **დარ**-ე, მ-**დარ**-ე, ძვ. ქართ. **დარ**-ე-ე „ცუდი, უვარგისი“,  
უ-**დარ**-ესი „უმცირესი, უარესი“, სვან. **დარ**- → || **დრ**-, ხ-ო-**დარ**-ა || ხ-ო-**დრა**-  
„ცუდი“, მა-**დრ**-ენ-ე „უარესი“; მეგრულ-ჭანურში შესაბამისი ფუძე არ  
ჩანს [იხ. თოფ. 1926: 200]. საერთოქართველური ენობრივი ერთობისა-  
თვის აღდგება **დარ**- ძირი.

ს.-ქართვ. \***დარ**- „უვარგისი, ცუდი“

იჩქ. **დორ**-, **დორ**-ახა „იაფფასიანი, მდარე“, ინგ. **დარ**-ფელზ "id",  
ბაცბ. «**დარ**-უხ»; ბაცბური ეკვივალენტი დაკარგული ჩანს. ნახურ ენებში  
ძირად **დარ**- → || **დორ**- გამოიყოფა, იჩქ. -**ახა**, ინგ. -**ფელზ** უფროობითი  
ხარისხის მაწარმოებელი რთული შედგენილობის აფიქსებია. საერთონახუ-  
რისთვის რეკონსტრუირდება \***დარ**- არქეფორმა.

ს.-ნახ. \***დარ**- „იაფი, მდარე“.

### მ-დგნ-ალ-ი

ქართ. «**დგნ**-», მ-**დგნ**-ალ-ი „დაბალი ხე ტირიფების გვარისა“; საბა  
განმარტავს: „**ტირიფი** (ხე) ესე ტირიფი ოთხგვარია: ... მდგნალი არს  
ბრტყელ-ფურცელი, ვიეთნი კ ა ტ ა ტ ი რ ი ფ ა ს უვმოზენ“; ზანურსა და  
სვანურში შესაბამისი ეკვივალენტები ვერ გამოვავლინეთ; ამდენად, ძირის  
რეკონსტრუქცია მეტ-ნაკლებად სააღბათოა. აქ **დგნ**-ს ძირად გამოყოფა

წმინდა ფორმალური ანალიზის მეშვეობით ხდება შესაძლებელი (მ-ყრ-ალ-ი, მ-წყრ-ალ-ი, მ-სხ-ალ-ი (?)...).

ს.-ქართვ. \*დგნ- „ტირიფის სახეობა“

იჩქ. დაქ (მრ. რ. დექნ-აშ) „ტირიფი“, ინგ. დაქ "id", ბაცბ. დაქ-რ „მდგნალი“; იჩქერიული მრ. რ. დექნ- ფორმა არქაული ჩანს, რომელიც მეტ-ნაკლებად ემთხვევა ს.-ნახ. მდგომარეობას.

ს.-ნახ. \*დაქნ- „ტირიფი/მდგნალი“.

## მენ-ა

ქართ. მენ-ა „სენაკი“, „სამყოფი, სადგომი“ (საბა), ინგილ. მენ-ა-დ „თიხის ნახევარქვევრა“, ზან. მან-, მეგრ. ო-მან-ე „სორო, ბუნაგი“, ტობ. ო-მან-ე, შდრ. გურ., იმერ. ო-მან-ო „სორო, ხვრელი ტურასი, მელიასი“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა [იხ. ჩუხ. 2000-2003: 152]. ქართული მენ- ძირის ზანური შესატყვისი უნდა ჩანდეს მეგრულ ო-მან-ე = სა-მენ-ე სიტყვაში.

ს.-ქართვ. \*მენ- „სენაკი, სორო“

იჩქ. ბენ (მრ. რ. ბენ-ნ-აშ) „ბუნაგი“, ინგ. ბე (მრ. რ. ბან-აშ) "id", ბაცბ. ბენ „ბუდე, ბუნაგი“, ბენ ხა'არ „ბუდეში ჩაჯდომა“; საერთონახურისთვის აღსადგენია \*ბენ- არქეტიპი. ს.-ქართვ. \*მენ- : ს.-ნახ. \*ბენ- კანონზომიერი მიმართება ჩანს როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით.

ს.-ნახ. \*ბენ- „ბუდე/ბუნაგი“.

## მე-რცხ-ალ-ი

ქართ. რწინ-, \*მე-რწინ-ალ-ი → \*მე-რწხ-ალ-ი → მე-რცხ-ალ-ი, ზან. (მეგრ.) ჭირხ- || რჭინ-, მა-რჭინ-ოლ-ი || მა-ჭირხ-ოლ-ი „მერცხალი“, ჭირხ-ოლ-ია „მოჭიკჭიკე“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. საერთოქართველურ არქეტიპად აღდგენილია \*წირხ- ფორმა [იხ. გუდ. 1964: 144].

ს.-ქართვ. \*წირხ- „მერცხალი; მისი ჭიკჭიკი“

იჩქ. ჭედარ-, ჭედარ-დიგ (ახ. ჭადარ-დაგ) „მერცხალი“, ინგ. ჭო-დარ-, ჭოდარ-გ "id", ბაცბ. ოადარ-კ; ბაცბური ეკვივალენტი ამ შემთხვევაშიც დაკარგული ჩანს. საერთონახური ენობრივი ერთიანობისათვის აღდგება \*ჭადარ- არქეტიპი. ს.-ქართვ. \*წირხ- : ს.-ნახ. \*ჭადარ- ხმაბაძვითი სიტყვებია; თუმცა ბგერათმესატყვისობის ძირითადი ფორმულები დაცული ჩანს. მხედველობაში გვაქვს წ : ჭ (§ 30.3), ი : ა (§ 7.3) შეფარდებები, შდრ. ხ : დ.

ს.-ნახ. \*ჭადარ- „მერცხალი“.

### მერს-ე-ულ-ი

ქართ. **მერს-**, ტობ. **მერს-ე-ულ-ი**, სვან. **მერს** „ჭინჭარი“; სვანურ **მერს** სახელს შესატყვისად ქართულში **მერს-** ←\***მარს-** უნდა ჰქონოდა, რომელიც გამოჩნდა კიდევც **მერს-ე-ულ-ი** ტობონიმში: **-ე-ულ** ხომ ოდენ-ქართული სუფიქსია.

ს.-ქართვ. \***მარს-** „ერთგვარი მცენარე/ბალახი“; „ჭინჭარი“

იჩქ. **მოლხა** || **მორხა** „წამალი/ბალახი“, ინგ. **მოლხა** "id", ბაცბ.

**მოლხა**; შესაბამისი ფუძე ბაცბურში დაკარგული ჩანს. საერთონახურ ენობრივი ერთობისთვის დასაშვებია \***მოლხ-** არქეტიპის არსებობა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** (§ 5.2), ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ლ** (§ 14.2).

ს.-ნახ. \***მოლხ-** „წამალი/ბალახი“.

### მესერ-ი

ქართ. **მესერ-**, **მესერ-ი**, ზან. **მასარ-**, **მასარ-ი** „მარგილი“, სვან. **მასერ** „მესერი“; საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის პოსტულირდება \***მესერ-** არქეტიპი, რომელიც სამივე ქართველურ დიალექტში შემოგვენახა [იხ. ჩიქ. 1938: 146; კლიმ. 1964: 133].

ს.-ქართვ. \***მესერ-** „მესერი, სარო, მარგილი“

იჩქ. **მჰარა** || **მაარა** „ჩანგალი, ბრჭყალი, კავი, კაუჭი“, ინგ. **მჰარა**

"id", ბაცბ. **მჰარა** "id"; საერთონახურისთვის სავარაუდოა \***მაჰარ-ი** ალომორფის არსებობა, რომლის ინტერვოკალურ პოზიციაში იჩქერიული **ჰა** → **ჲ** განხორციელდა, ხოლო სხვაგან **მ-**თან მეზობლობით **ჰა** → **ჟ** ასიმილაციურად გამჟღერდა. ს.-ქართვ. \***მესერ-** : ს.-ნახ. \***მაჰარ-ი** შეპირისპირება გამოაჩენს ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2), ს.-ქართვ. **ს** : ს.-ნახ. **ჰა** ← **ჟ** (§ 30.5) რეგულარულ ბგერათშესატყვისობებს. სემანტიკური ევოლუციის თვალსაზრისით, ძვირფასია ანდიურ ენათა ჩვენება, კერძოდ, ლოდობერიულში **მულურ** || **ლუმურ** ფუძეს საზიარო — **პალო**, **ბრჭყა-ლი/ფრჩხილი** მნიშვნელობები უდასტურდება.

ს.-ნახ. \***მაჰარ-ი** „ჩანგალი, ბრჭყალი/ფრჩხილი, კავი“.

### მეტ-ი

ქართ. **მეტ-/მატ-**, **მატ-**ებ-ა, **ე-მატ-**ებ-ა, **მო-მატ-**ებ-ულ-ი, **მეტ-**, **უ-მეტ-**ეს-ი, ძვ. ქართ. **ჰ-მატ-**ს, **ხ-მატ-**დ-ეს, **შე-მატ-**ებ-ულ-ი, **მეტ-**ობ-ა, ზან. (მეგრ.) **მენტ-** ←\***მატ-**, **უ-მენტ-**აშ-ი = **უ-მეტ-**ეს-ი, სვან. **მტ-** ←\***მეტ-**, **ლი-მტ-**ე „დამატება“, **ხუ-ა-მტ-**ე „ვამატებ“; ზანური ალომორფი დაცულია მხოლოდ ზედსართაულ ფორმებში. ცხადია, საერთოქართველურისათვის აღდგება \***მეტ-** არქეფორმა. **ე** ~ **ა** სუბსტიტუცია აბლაუტური ჩანს ქართულში, შდრ. **ღელ-ავ-ს/და-ი-ღალ-**ა : ზან. (მეგრ.) **ღ-ღალ-**უ

„დაიღალა, შეშინდა“ [შდრ. ფენ.-სარჯ. 2000: 319].

ს.-ქართვ. \*მეტ- ~ \*მატ- „მატება; მეტი“

იჩქ. «ლათ-», ინგ. «ლათ-», ბაცბ. ლათ- „მატება, აღიდება“, ლეტ-  
"id" (უსრ. ასპ.), ლათ-არ, ლათ-დარ „მატება, მიმატება“, ლათ-დ-იფნო  
„მომატებული“; საერთონახურში რეკონსტრუირდება ლათ-/ლეთ- აბლაუ-  
ტური არქეტიპი, რომელიც ს.-ქართვ. \*მეტ- ფუძეს შეესატყვისება, შდრ.  
მეტ-/მატ- აბლაუტი ქართულში. ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ლ კანონზომიერი  
ბგერათშესატყვისობაა (§ 15.2).

ს.-ნახ. \*ლათ- ~ \*ლეთ- „მატება, მიმატება“.

### «მე-ფხ-ე»

ქართ. «მე-ფხ-ე» „ცხელი, მზიანი“, ზან. (ლაზ.) მა-ფხ-ა „მზიანი  
დღე“, სვან. მე-ფხ-ე „მოწმენდილი ცა“; ქართულში მე-ფხ-ე ალომორფი  
არ არის გამოვლენილი [ჭარ. 1912: 35-37; ჩიქ. 1938: 188; კლიმ. 1964: 194].  
აქ გამოყოფილ ფხ- ძირს სამართლიანად გამოაცალკევებენ ქართ. ზა-ფხ-  
ულ-, სვან. ლუ-ფხ-უ „ზაფხული“ ფუძეებში.

ს.-ქართვ. \*მე-ფხ-ე „ცხელი, მზიანი, კაშკაშა (ამინდი, დღე)“

იჩქ. ბო-ფხ-ან<sup>5</sup> ← \*ბა-ფხ-ან<sup>5</sup> „ცხელი, პაპანაქება“, ინგ. ბჟ-ო-ფხ-ან<sup>5</sup>  
← \*ბა-ფხ-ან<sup>5</sup> "id", ბაცბ. ბა-ფხ-ენ<sup>5</sup> „ცხელი“, ბე-ფხ-ბარ „გაცხელება“; ნა-  
ხური მასალა სპეციალურად მოგვყავს ბ- კლასისნიშნის სახეობებით.  
ამით მივანიშნებთ ს.-ქართვ. \*მე-ფხ-ე არქეტიპის ანალოგიურ წარმომავ-  
ლობაზე — ს.-ქართვ. \*მე-ფხ-ე : ს.-ნახ. \*ბა-ფხ-ენ. ს.-ქართვ. \*ფხ- ძირის  
კავკასიურ პარალელზე სხვებიც მიუთითებდნენ [იხ. ჭარ. 1912: 35-37;  
ჩიქ. 1938: 189; გონ. 1940: 609].

ს.-ნახ. \*ბა-ფხ-ენ „ცხელი, პაპანაქება; გაცხელება“.

### მექე-ი

ქართ. მექე-, მექე-ი „ბულული, თივის პატარა გროვა“, რაჭ. ნექე-ი  
„ნაწილ-ნაწილ აგროვებული თივა ზვინის დასადგმელად“; ზან. (მეგრ.)  
«მოქე-ი», შდრ. ტობ. მოქე-ი (აფხაზეთი); სვან. მექე „ზვინი“; თუ ზანური  
განმოვანების მიხედვით ვიმსჯელებთ, საერთოქართველურში ამოსავალი გა-  
ნმოვანება ა-თი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი [ჩუხ. 2000-2003: 153].

ს.-ქართვ. \*მაქე- „თივის ზვინი“

იჩქ. ქე-გ-აშ (ჭებ. ქან-გ-იშ) „ბზე, პურეულის ნამჯის ნალეწი“, ინგ.  
ქან-გ-აშ "pluralia tantum", ბაცბ. «\*ქან-»; ბაცბური შესატყვისი დაკარგული  
ჩანს. საერთონახურ ძირად ქან- უნდა აღდგეს, რომელიც ჭებერლოურს  
დაუცავს სრულად. ს.-ნახ. \*ქან- შებრუნებული წყობის ფუძეა ს.-ქართვ.  
\*მაქე- არქეტიპთან შედარებით, შდრ. დალ.: ხუნდ. ნაქეუ, ანდ. ნიქეუ, ჭამ.  
ნიქეუ, ლოდ. ნიქეუ, ლეზგ. ნავუ || ნალუ, თაბ. ნავუ, ხინ. ნუქ „ბზე“...

ს.-ნახ. \*ქან- „ბზე“, "мякина".

## «მეხ-ელ-ი»

ქართ. «მეხ-ელ-ი» აღდგება სხვა ქართველურ მონაცემთა შედარებითი ანალიზის საფუძველზე, შდრ. ზან. (ლაზ.) მახ-ვა ←\*მახ-ო „ნაკვერცხალი“, სვან. მეხ-ირ „კვარი“; სვანური -ირ სუფიქსი ქართულიისთვის -ელ-ს გვავარაუდებინებს — სვან. მე-ნჩხ-ირ : ქართ. ცხ-ელ-ი, რასაც ამაგრებს ლაზურის ჩვენებაც — -ო: მახ-ვა ←\*მახ-ო. ზანურში ო/უ ხშირად დაჩნდება ქართ. -ელ-ის შესატყვისად — წნ-ელ- : ჭინ-ო "id"...

ს.-ქართვ. \*მეხ-ელ- „კვარი, ნაკვერცხალი“

იჩქ. ნუოხ (მრ. რ. ნახარ-შ) „კევი“, ინგ. ნოხ (ერგ. ბრ. ნახარ-ჟე)

"id", ბაცბ. «ნოხ»; ო ~ ა აბლაუტი ნახურ ენებში დამახასიათებელია იმ ფუძეებისთვის, სადაც ძირეული თანხმოვნის ისტორიული ლაბიალიზაცია არის სავარაუდო. ე. ი. საერთონახური ენობრივი მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \*ნახჷ-არ- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*მეხ-ელ- ფუძეს, იხ. ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ნ აქვე, § 15.3. ს.-ქართვ. კვარი ~ ს.-ნახ. კევი სემანტიკური მიმართებისთვის შდრ. ქართ. კევი-ი „კევი, კვარი“: ზან. (ლაზ.) კავ-ი „აბედი, კვარი“.

ს.-ნახ. \*ნახჷ-არ- „კევი“.

## მეხ-ი

ქართ. მეხ-ი, მეხ-ი, ზან.(მეგრ.) მერეხ-ი „თავსნმა, დიდი წვიმა“, მოროხ-ია (ანთროპ.), შდრ. მოროხ-ია-შ(ი) სუკი „ბორცვის სახ. საბედიანოში“, ე. ი. მოროხ-ი „ავდარი“ → მოროხ-ია „მეავდრე“, სვან. მეხ „ავდარი“, მე-მხ-ე „ავდრის გამომწვევი პიროვნება“; ზანურის ო განმოვანება ქართული ე-ს წილ საერთოქართველურისთვის ა-ს ვარაუდობს, ე. ი. ა → ე ქართულშია სავარაუდო [იხ. ჩუხ. 2000-2003: 162-163].

ს.-ქართვ. \*მარხ- „ავდარი“, „მეხი“

იჩქ. მუოხ || მოხ „ქარი“, ინგ. მუხ (მრ. რ. მის-წშ) "id", ბაცბ.

მოხ „ქარი“; საერთონახური ენობრივი ერთობისთვის აღდგება \*მოხ- არქეტიპი ქარის მნიშვნელობით, რასაც შეესატყვისება ს.-ქართვ. \*მარხ-, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ო (§ 5.2). ს.-ქართვ. ავდარი ~ ს.-ნახ. ქარი საერთო რიგის სემანტემებია.

ს.-ნახ. \*მოხ- „ქარი“.

## მზე

ქართ. მზე, ზან.(ლაზ.) ბჟა || მჟა სიტყვაში ბჟა-ჩხა || მჟაჩხა „კვირა“ (ეტ. „მზის დღე“), მეგრ. ბჟა ←\*მჟა „მზე“, შდრ. ჟა-შხა || ჟე-შხა „კვირა“, სვან. მეჟ || მიჟ „მზე“, მიჟ-უწლუნა „მზეთუნახავი“, მიჟ-ლადელ „კვირა“; საერთოქართველურში აღსადგენია \*მაზე- არქეტიპი [იხ. როზ. 1845: 34; ჩიქ. 1938: 203; ჭარ. 1895, XII: 112; კლიმ. 1998: 121; ფენ.-სარჯ. 2000: 328].

ს.-ქართვ. \*მაზე- „მზე“

იჩქ. მოყ-ა || მუჟ-ა „ყვითელი“, ინგ. მოაჟ-ჲ „ყვითელი; ვარდისფერი“, ბაცბ. რმაჟ-ჲ<sup>6</sup>; ბაცბური ეკვივალენტი დაკარგულია. მასზე ვმსჯელობთ ჭებერლოური მაჟ-ჲ<sup>6</sup> ალომორფის მიხედვით, ვინაიდან განმოვანების თვალსაზრისით ბაცბურ-ჭებერლოური არქაულ ვითარებას გვიჩვენებენ ხოლმე. ამრიგად, საერთონახურში ფუნქციონირებდა \*მაჟ- ძირი, რომელიც ს.-ქართვ. \*მაზე- არქეტიპის შესატყვისი ჩანს. მზე ~ ყვითელი სემანტიკური შეფარდება მისაღებია, თუ ყვითელს როგორც მზის ფერს განვიხილავთ, შდრ. კორელაცია ოქრო ~ მზე ~ ყვითელი.

ს.-ნახ. \*მაჟ-ჲ<sup>6</sup> „ყვითელი“.

## მ-ზვარ-ე

ქართ. ზჟარ-, მ-ზვარ-ე „ადგილი მზის მდებარე“, მ-ზვარ-ე „მზიანი ადგილი“, ძვ. ქართ. მ-ზჟარ-ე || ზჟარ-ი „მზვარე“, ზან. (ლაზ.) მ-ჟორ-ა || მ-ჟორ-ა || ბ-ჟორ-ა „მზე“; სვანური შესატყვისი ჭერჭერობით გამოვლენილი არ არის [იხ. ჩიქ. 1938: 203; კლიმ. 1964: 134; ფენ-სარჯ. 2000: 222-223].

ს.-ქართ. \*ზჟარ- „მზვარე, მზიანი ადგილი; მზე“

იჩქ. ზჟინ-, ზჟინ-არ „სხივი“, ინგ. ზჟგ „სხივი“, შდრ. მრ. რ. ზჟან-არ-აშ, ნათ. ბრ. ზჟან-არ-ა „სხივის, სხიური“, ბაცბ. რჟან-<sup>7</sup>; ძირად გამოსაყოფია \*ზჟან- არქეტიპი, რომელიც აღდგება საერთონახური მდგომარეობისათვის. ბუნებრივად გვესახება სემანტიკური მიმართება ს.-ქართ. მზე ~ ს.-ნახ. სხივი. ამ შეპირისპირებაში ვლინდება მნიშვნელოვანი ფონეტიკური შესატყვისობაც — ს.-ქართვ. ჟ : ს.-ნახ. ჟ (იხ. აქვე, § 20.2).

ს.-ნახ. \*ზჟან- „სხივი“.

## მთხ-ე-ე-ა

ქართ. მთხე-ე-ე, ა-მთხე-ე-ე-ს, ე-მთხე-ე-ე-ა, მთხე-ე-ე-ა „შეყრა“ (საბა), ძვ. ქართ. მთხე-ე-ე-ა || და-მთხე-ე-ე-ა „შეხვედრა; ჩხუბი“, მი-ა-მთხე-ა „დაარტყა“, მი-ა-მთხე-ე-ე-ს „არტყამს“; ზან. (ლაზ.) ნთხ-, ნ-ჟ-ნთხ-ჟ „ჭკრა“, მი-ნთხ-ჟ „მკრა“, გდ-ჟ-ნთხ-ჟ „დაარტყა“, გდ-ა-ნთხ-ე-ნ „დაეცემა; დავარდება“, მეგრ. გე-ნთხ-აფ-ა „დახტომა“, ქეგი-ა-ნთხ-ჟ „დაახტა; დაესხა თავს“, დო-ნთხ-აფ-ა „დავარდნა“, სვან. თხ- ← \*მთხ-, ა-თხ-ჲდ „ახვედრებს; თავს უყრის“; საერთოქართველურისთვის სამართლიანად აღადგენენ \*მთხ- არქეტიპს, რომლის თავკიდური მ ზანურში თ-სთან ასიმილაციით ნ-ში გადავიდა, ხოლო სვანურმა საერთოდ დაკარგა — მთხ- → თხ- [ჩიქ. 1936: 41; ფენ-სარჯ. 2000: 330; ჩუხ. 2000-2003: 111].

ს.-ქართვ. \*მთხ- „შეყრა; დაცემა/დახტომა/დავარდნა“

იჩქ. ლდეღს-, ლდეღს-<sup>8</sup> || ლდეღს-არ „ხტომა, გადახტომა“; „გარეკვა, შერეკვა“, ინგ. ლდეღს-ჲ || ლდეღს-არ "id", ლდეღს-ჟო „შერეკვა, გარეკვა“, ბაცბ. ლეთხ-არ „ხტომა“, ლეთხ-<sup>8</sup> იხარ „ცეკვა“, ლეთხ-



დარ „გადახტუნება; გაგდება“, "прогонять"; საერთონახური ფუძე-ენის-თვის აღდგება \***ლეთხ-** არქეტიპი, რომელიც სრულად შენარჩუნდა ბაც-ბურში. ს.-ქართვ. \***მთხ-** : ს.-ნახ. \***ლეთხ-** შეპირისპირება ბუნებრივი ჩანს, უდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **მ** : ს.-ნახ. **ლ** (§ 15.2). სემან-ტიკური კორელაცია *დაცემა/დახტომა/შეყრა ~ ხტომა/ცეკვა/შერეკვა* არ არის წინააღმდეგობრივი.

ს.-ნახ. \***ლეთხ-** „ხტომა/ცეკვა; გარეკვა/შერეკვა“, "прогонять".

### მის-ებ-ი

ქართ. **მის-**, **მის-ებ-ი** „წვეტები (ქართული კაბის ზედატანისა)“ სვან. **ლისჷ** → || **ლუსჷ** „ძუძუ“; ზანური შესატყვისი ვერ გამოვავლი-ნეთ. ქართულში ძირად **მის-** გამოიყოფა, რომელიც სვანურ **ლისჷ**- ძირს უკავშირდება ქართ. **მ** : სვან. **ლ** ბგერათშესატყვისობის საფუძველზე [იხ. ჩუხ. 2000-2003: 142]. ქართული *წვეტი* სვანური *ძუძუს* ფარდად იმაზე მიგვითითებს, რომ პირველადი მნიშვნელობა სვანურში *ძუძუსთავისა* უნ-და ყოფილიყო.

ს.-ქართვ. \***მისჷ**- „წვეტი“

იჩქ. **მარშ** „დრუნჩი“, ინგ. **მარშ** "id", ბაცბ. **მარშ**; საერთონახური \***მარშ**- კანონზომიერად შეეფარდება ს.-ქართვ. \***მისჷ**- არქეტიპს, უდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3), ს.-ქართვ. **სჷ** : ს.-ნახ. **რშ** (§ 22.2). სემანტიკური კორელაციის თვალსაზრისით *წვეტი ~ დრუნჩი* მიმართება ნორმალური ჩანს.

ს.-ნახ. \***მარშ**- „დრუნჩი“.

### მიწყ-ივ

ქართ. **მიწყ-**, **მიწყ-ივ** „მარადის“ (საბა), დასტურდება რუსთაველ-თან. ქართ. **მიწყ-** ძირის შესაბამისი ფორმა უნდა ჩანდეს სვანურ **მეჭყ-** არ „მუღმვი“ ლექსემაში, უდრ. სვან. **ჷიწყ-ჷ**-დ „განუწყვეტილივ“.

ს.-ქართვ. \***მიწყ-** „მუღამ, მარადის“

იჩქ. **მაწყ** || **მაზყ** „ზოგჯერ“, ინგ. **მაზყ** "id", ბაცბ. **მაწყ** „ზოგჯერ“; ბაცბურში შემონახულია ამ ფუძის არქაული სახეობა. გარკვეული გვაქვს ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** ხმოვნური მიმართების საკითხიც; იხ. § 7.3.

ს.-ნახ. \***მაწყ-** „ზოგჯერ“.

### მნე

ქართ. **მნე** „მსახური, მოხელე, ბატონი“, ზან. **მონა** „მონა; ცუდი“, სვან. **მე-მნ-ე** „გადია“. ზანურის გახმოვანება უძველესია და ფუძე-ენის-თვის გვავარაუდებინებს \***მ-ან-ე** არქეტიპს (უდრ. ქართ. **მნე** : ზან. **მონა** „მუჟავე“), სადაც **-ან-** სემანტი ძირად გამოყოფა.

ს.-ქართვ. \***მ-ან-ე** „ბატონი; მსახური“

ჩიქ. ელა (ჭებ., ითუმყ. ალე) „თავადი, ბატონი“, ინგ. ალდ „id“, ბაცბ. ალდ „ბატონი“; ბაცბურის ვითარება უახლოვდება ფუძე-ენისას, სადაც აღსადგენია \*ალ-ე არქეტიპი. ნახურში ძირად გამოყოფილი \*ალ-სეგმენტი ს.-ქართვ. \*ან- (\*მ-ან-ე) მორფის კანონზომიერი ეკვივალენტია, შდრ. ს.-ნახ. \*ლე-გ „მონა“.

ს.-ნახ. \*ალ-ე „ბატონი“.

### მოზვერ-ი

ქართ. მოზვერ-ი, ძვ. ქართ. მოზუერ-ი „საჯარე ჳბო დიდი“ (საბა), ვირ-მოზუერ-ი, კულ-მოზუერ-ი (საბა), ზან. (ლაზ.) მოზ-ა || მოზ-არ-ი || მუზ-არ-ი ← \*მოზვ-არ-ი „დეკეული“; „ხბო (დედალი)“, მეგრ. ნა-მოზ-ა „ნახბევი“, მოზ-არ-ი ← \*მოზვ-არ-ი „ხბო“ [მარ. 1910: 144]; სვანურში შესაბამისი ფუძე ვერ გამოვლინდა. საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \*მოზუ-ერ- არქეტიპი.

ს.-ქართვ. \*მოზუ-ერ- „მოზვერი; ხბო“

ჩიქ. ბორშ || ბუორშ „მოზვერი“, ინგ. ბუორშ „id“, ბაცბ. ბორშ „მოზვერი“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება \*ბორშ- ← \*ბორჟ- წინარეფორმა, რომელსაც კანონზომიერი შესატყვისი ეძებნება ს.-ქართვ. \*მოზუ-ერ- სიტყვის სახით. სემანტიკურ იგივეობას ამაგრებს ნახურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობათა ჩვენება — ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ბ (§ 23.7), ს.-ქართვ. ზუ : ს.-ნახ. რუ (§ 22.2).

ს.-ნახ. \*ბორშ- ← \*ბორჟ- „მოზვერი“.

### მოთხ-ვ-ა

ქართ. მოთხ-, ი-მოთხ-ვ-იდ-ა „ისვენებდა; სეირნობდა“, „მოთხ-ვ-ა-სა და ი-მოთხ-ვ-იდ-ა-სა, რომელსა მსოფლიონი სეერნობას(ა) უწმობენ“ (საბა), სა-მოთხ-ვ-ელ-ი „სასეირნო“, სა-მოთხ-ე „დასასვენებელი“; ქართულ მოთხ- ზმნურ ფუძეს შესატყვისები არ ეძებნება სხვა ქართველურ დიალექტებში. მოთხ-ის ძირითად მნიშვნელობად დასვენება/სეირნობა უნდა ჩაითვალოს. ვინაიდან მოთხ- ფორმას პარალელები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში, იგი საერთოქართველურიდან მომდინარედ ჩავთვალეთ.

ს.-ქართვ. \*მოთხ- „დასვენება, სეირნობა“

ჩიქ. ბუოლხ „საქმე“, ბუოლხ ბან „საქმიანობა, შრომა, მუშაობა“, ინგ. ბოლხ „id“, ბოლხ ბდ „id“, ბაცბ. ბოთხ „საქმე“, ბოთხ-ბარ „საქმის კეთება, მუშაობა“; საერთონახური \*ბოთხ- „საქმე“ ფონეტიკურად მარჯვედ უდგება ს.-ქართვ. \*მოთხ- „დასვენება, სეირნობა“ ფუძეს. მუშაობა ~ გართობა/დასვენება სემანტიკური შეფარდებაც ბუნებრივი ჩანს. ორივე სემანტიკა ერთი ზმნური ძირის ფარგლებშიც შეგვხვდება, შდრ. მეგრ. ო-რთ-უ(ნ) „აკეთებს“, მაგრამ ი-რთ-უ-ან-ს „ერთობა“; ქართ. ქვევა, შექვევა...

ს.-ნახ. \*ბოთხ- „საქმე, საქმიანობა, მუშაობა“.

### მო-ნა-გარ-ი

ქართ. **გარ-**, მო-ნა-გარ-ი „გარჯილობით ნაშოვნი“ (საბა), ზან. (ლაზ.) **გორ-**, ო-გორ-უ „ძებნა“, ბ-გორ-უმ „ვეძებ“, მეგრ. **გორ-**უ-ა „ძებნა“, ო-გორ-უ „საძებარი“, **გორ-**უ „მძებნელი“, ნა-გორ-ა „ნაძებნი“, ნო-გორ-უ-ე „ძებნიდა“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი“ [იხ. ჩიქ. 1938: 265, ფენ.-სარჯ. 2000: 136].

ს.-ქართვ. \***გარ-** „ძებნა, შოვნა“

იჩქ. **ქარ-**, **ქარ-**ულ „მოძებნა, პოვნა“, ინგ. **ქარ-**, **ქარ-**ულ "id", ბაცბ. **ქარ-**ⁱ; ბაცბური შესატყვისი გამოსავლენია, მასზე მსჯელობა მხოლოდ ვაინახური მონაცემებით ხერხდება. ბუნებრივია, ვიფიქროთ **გ** → **ქ** თავ-კიდური დაყრუების პროცესზე ისტორიულ ნახურ ენებში.

ს.-ნახ. \***ქარ-** „ძებნა, პოვნა“.

### მორ-ევ-ი

ქართ. **მორ-**, **მორ-**ევ-ი, ზან. (მეგრ.) **მონ-**, **მონ-**ია „მორევი“; **რ** → **ნ**, იშვიათად მაგრამ მაინც, დასტურდება ზანურში, შდრ. ქართ. **გრძელ-**ი : ზან. **გგნძე**... დასაძებნია სვანური შესატყვისი. -**ევ** სუფიქსი ქართულში მეგრული -ია დაბოლოების ფუნქციური შესატყვისი ჩანს.

ს.-ქართვ. \***მორ-** „მორევი“

იჩქ. **ბურ-**უტუ „მორევი“, ინგ. **ბურ-**უტუ "id", ასევე ინგუშეთის ყოფილი დედაქალაქი, დღევანდელი *კლადიკავკაზი*, ბაცბ. **ბურ-**ⁱ; ნახურ-ქართვულურ ფუძეთა ერთობა ეჭვს გარეშეა. შესაძლოა, ვიფიქროთ ამ სიტყვების საერთო სიმბოლიკურ აგებულებაზეც.

ს.-ნახ. \***ბურ-** „მორევი“.

### მოს-<sup>1</sup>

ქართ. **მოს-**ⁱ, შდრ. **მოს-**ელ-ი (საბა), ზან.(მეგრ.) **მოშ-**, ო-**მოშ-**ირ-ი „ქსელში სიგანით გასაღები ძაფი“; ჰიპოთეტურად ზანური **ო-** — **ირ** ქართული **სა-** — **-ილ** კონფიქსის შესატყვისია როგორც ფონეტიკურად, ისე ფუნქციითაც. ამდენად, მეგრულში **მოშ-** ძირად გამოიყოფა, რომლის შესატყვისად ქართულში სახელურ **მოს-** ფუძეს ვვარაუდობთ, შდრ. ქართ. **მოს-**ელ-ი (საბა).

ს.-ქართვ. \***მოს-** „ძაფი“

იჩქ. **მუშ** „თოკი; ბაწარი“, ინგ. **მუშ** "id", ბაცბ. **მუშ** „თოკი“; საერთონახურში ფუნქციონირებდა \***მუშ-** არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***მოს-** ალომორფს. ს.-ქართვ. \***მოს-** : ს.-ნახ. \***მუშ-** გამოაჩენს რეგულარულ **ო** : **უ** (§ 8.2), **ს** : **შ** (§ 30.5) ბგერათკორესპონდენციებს. სემანტიკურად *ძაფი* ~ *თოკი* ბუნებრივი კორელაციაა.

ს.-ნახ. \***მუშ-** „თოკი, ბაწარი“.

## მოს-ვ-ა

ქართ. მოს-, მოს-ავ-ს, მოს-ა, სა-მოს-ი, ძვ. ქართ. სა-მოს-ელ-ი, მოს-ილ-ი, ე-მოს-ა, ზან. (მეგრ.) მორს-, მორს-ჟ-ა „შავებით შემოსვა“, სვან. მსტ- ← მტს- ← \*მოს, ლი-მსტ-ი „შემოსვა“, მოს-ე || ი-მსტ-ი „იმოსება“, ან-მსტ-ან; ქართულ მოს- ძირს ზანურში კანონზომიერი შესატყვისი უჩანს ო-მოს-ალ-ი = სა-მოს-ელ-ი ფორმის სახით [შენგ. 2005: 99-104]. აქვე შემოდის სვანური მსტ- ← \*მოს- ← \*მოშ- ალომორფიც [ფენ.-სარჯ. 2000: 334].

ს.-ქართვ. \*მოს- „მოსვა; სამოსელი“

იჩქ. მარჩ-, მარჩ-ჟო (ჭებ. მარჩ-აჟ) „სუღარა“, ინგ. მერჩ-ი "id", ბაცბ. ფჰაშ-ე ← \*მაშ-ე „სუღარა“; ბაცბურის ვითარება უფრო ძველი ჩანს და ს.-ნახ. \*მტაშ-ე ძირის პირდაპირ გაგრძელებად გვესახება. ს.-ქართვ. \*მოს- : ს.-ნახ. \*მაშ- შეფარდება პრობლემურია ს.-ქართვ. ო : ს.-ნახ. ა. ეს უკანასკნელი მეორეული ჩანს, შდრ. დადესტურში იგივე ძირი: ხუნძ. მუსრჟ, ახვ. მუშუ „სუღარა“... ე. ი. ბაცბურში: შა ← \*შა.

ს.-ნახ. \*მმაშ-ე ← \*მტაშ-ე „სუღარა“.

## მო-ღ-ავ-ი

ქართ. ღ-, მო-ღ-ავ-ი დასტურდება ქართული ენის ლეჩხუმურ დიალექტში, რაც მოსავალს აღნიშნავს. ცხადია, გამოყოფილ ცალმორფემიან ღ- ძირს სვლის მნიშვნელობა ჰქონდა, შდრ. ქართ. ვალ- „სვლა“ → მო-სა-ვალ-ი. ქართ. ღ- მორფემას სვანურში სიარულის აღმნიშვნელი ღ- ზმნური ძირი შეესატყვისება: ღ-, ქა-ღ-ე „მოდი“, შდრ. ასევე ქართ. შთა-ღ-ვ-ა „შთასლვა“ (საბა). ზანური შესატყვისი არ ჩანს.

ს.-ქართვ. \*ღ- „მოსვლა“

იჩქ. -ღ-, ღ-ჟო „მოდის“, დ-ა-ღ-არ || დ-ა-ღ-ან „მოსვლა“, ინგ. -ღ-, ღ-ო-გ ვუ „მოვა (მამაკაცი)“, დ-ა-ღ-ან || დ-ა-ღ-არ "id", ბაცბ. ღ-, ღ-ო „მოდის“, დ-ა-ღ-არ || დ-ა-ღ-ან „მოსვლა“. ნახურ ენებში, ისევე როგორც ქართველურში, მოსვლის მნიშვნელობით ცალმორფემიანი ღ- ზმნური ძირი უპრობლემოდ გამოიყოფა.

ს.-ნახ. \*-ღ- „მოსვლა“.

## მოშ-ი

ქართ. მოშ-, მოშ-ი „რისამე ასაღებად გაშლილი ორივე მკლავი“, მოშ-ვ-ა, მოშ-ავ-ს „ორთავე ხელით ეხვევა“; ზანურსა და სვანურში გამო-სავლენია შესაბამისად «მუშქ-<sup>1</sup> : «მოშგ-<sup>1</sup> სახეობის შესატყვისები.

ს.-ქართვ. \*მოშჟ- „მოში; მოშვა“ (Охапка)

იჩქ. მუორჰ || მორარ || მორ „ერთი ილია, მოში“, ინგ. მუორჰ || მორჰ "id", ბაცბ. მორლ' "id"; ერთი იმ ძირთაგანია, სადაც აშკარად გამოჩნდება ს.-ნახ. რლ' (← რჰა): ს.-ქართვ. შუ შეფარდება (იხ. § 22.2).

ს.-ნახ. \*მორლ' ← \*მორჰ „მოში“, "Охапка".

## მო-ცედ-ი

ქართ. **ცედ-**, მო-ცედ-ი „საფურე ძროხა“ (საბა), ზან. «ჩაჯ-», «ჩაჯ-ი» „ცხენი“, შდრ. სვან. ჩიჟ || ჩიჟ ← ზან. «ჩაჯ-ი» „ცხენი“, სვან. ფაშად || ფაშატ ← (მა-ჩედ) „ფაშატი“; ქართულში ფური სემანტემის პოვნეირება უთუოდ იმაზე მიუთითებს, რომ ცედ- ძირის ეტიმონური შინაარსი ჭაკი-სა იყო [იხ. ჩუხ. 2000-2003: 324].

ს.-ქართვ. \*ცედ- „ფაშატი, ჭაკი, ცხენი“

იჩქ. დაცა „ცხვარი“, ინგ. დანც "id", ბაცბ. «დაცო»; საერთონახურისთვის აღვადგინეთ \*დაც-ო არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისია ს.-ქართვ. \*ცედ- ფორმისა. ე. წ. შებრუნებული სტრუქტურის ფუძეებთან გვაქვს საქმე, რაც ამ ტიპის სახელებში ბუნებრივია — შდრ. ასევე ბგერათმესატყვისობა ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა (§ 6.2).

ს.-ნახ. \*დაც-ო „ცხვარი“.

## მოცე-ი

ქართ. მოცე-ი || მოცე „სელშავი“, ზან. მუჩუ ← \*მუჩე-ი „მთის ჩადუნა“; ქართული მოცე- ძირის ზანური შესატყვისი ქართული ენის ლე-ჩხუმურ დიალექტში შემოგვრჩა, შდრ. ლეჩხ. (← ზან.) მუჩუ ← \*მუჩე-ი, ტობ. მუნჩ(ვ)-ია ხობის რაიონში [ჩუხ. 2000-2003: 154]. სვანური შესატყვისი არ ჩანს.

ს.-ქართვ. \*მოცე- „მოცე“

იჩქ. ბურჩ „წიწაკა, პილბილი“, ინგ. ბურჩ "id", ბაცბ. «ბურჩ»; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღვადგინეთ \*ბურჩ- არქეტიპს, რომელიც კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. \*მოცე- ძირს, შდრ. ბგერათმესატყვისობა ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ბ (§ 23.7), ს.-ქართვ. ო : ს.-ნახ. უ (§ 8.2), ს.-ქართვ. ცუ : ს.-ნახ. რჩ (§ 22.2). სემანტიკური კორელაცია მოცე-ი ~ პილბილიწიწაკა წარმოადგენს ტებილი ~ მწარის ანტონიმის ლოგიკურ გაგრძელებას.

ს.-ნახ. \*ბურჩ- „წიწაკა/პილბილი“.

## მრავ-ალ-ი

ქართ. მრავ-, მრავ-ალ-ი, უ-ა-მრავ-ი, ზან. (მეგრ.) ბრ-ელ-ი „მრავალი“, ლაზ. ბრეჟ-ლ-ი „მრავალი“, სვან. მეჟ-არ ← \*მრეჟ-არ „ბევრი, ძალიან, ძლიერ“; სავარაუდოდ ბალზემოურში გრძელი ე ისტორიული რ-ს გაუჩინარების საკომპენსაციოდ განვითარდა.

ს.-ქართვ. \*ბრაჟ-ალ- „მრავალი, ბევრი“

იჩქ. ბჟო || ბჟო „ჯარი, ლაშქარი“, ინგ. ბჟო "id", ბაცბ. ბჟო "id"; ფუძენახურში ჯარის გაგებას წინ უსწრებდა სიმრავლის სემა, რაც დღესაც ძირითადი სემანტემაა ქართველური ენებისთვის. სტრუქტურულად უფრო ძველია ბჟან- (შდრ. ერგ. ბრ. ბჟან-უო იჩქერიულში) ფუძე.

მნიშვნელოვანია კომპლექსური ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ბრ** ←\***ბჱ**: ს.-ნახ. **ბჱ** (იხ. § 39).

ს.-ნახ. \***ბჱან**- „ჯარი, ლაშქარი, სიმრავლე“.

### მრთ-ელ-ი

ქართ. **მთ-ელ-** || **მრთ-ელ-**, **მთ-ელ-ი** || **მრთ-ელ-ი** „შეუმუსრავი, გინა უნაკლულო“ (საბა), ძვ. ქართ. **მრთ-ელ-**, **სი-მრთ-ელ-ე**, ზან. (მეგრ.) **თ-არ-**, **თ-არ-ი** ← \***მთ-არ-** „ჯანმრთელი“; საერთოქართველური ენობრივი მდგომარეობისთვის აღსადგენია \***მთ-ელ-** არქეტიპი, რომლის **მთ** კომპლექსი ფონოტაქტიკიდან გამომდინარე გამარტივდა — **მთ** → **თ** — მეგრულში [ამის შესახებ იხ. გულ. 1979: 81-88; ყიფშ. 1914: 240]. გამოყოფილი **-ელ** (\***მთ-ელ-**) სწორად არის კვალიფიცირებული როგორც სადერივაციო აფიქსი: გრძ-**ელ-**, ვრც-**ელ-**... [იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 335].

ს.-ქართვ. \***მთ-ელ-** „მრთელი; ჯანმრთელი“

იჩქ. **ბუთ-უჟუ** || **ბუთ-უჟ** „ძლიერი, მაგარი, მკვრივი“, ინგ. **ბუთ-უჟუ** "id", ბაცბ. **ბუთ-ებ**; ბაცბური ეკვივალენტი (resp. **-ებ**) აღდგება ვაინახ. **დოთ-უჟუ** : ბაცბ. **ტათ-ებ** „ვერცხლი“ ტიპის მიმართების საფუძველზე. თუ ამგვარი რეკონსტრუქცია მისაღებია, საერთონახურ არქეტიპად პოსტულირდება \***ბუთ-ეჟუ** ფორმა, რომლის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \***მთ-ელ-** სიტყვაში, შდრ. ს.-ქართვ. **მ** : ს.-ნახ **ბ** (§ 23.7), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ **ჟ** (§ 13.4).

ს.-ნახ. \***ბუთ-ეჟუ** „ძლიერი, მკვრივი“.

### მ-რუმ-ე

ქართ. **რუმ-**, **მ-რუმ-ე**, შდრ. იმერ. **რუმ-ვ-ა** „ხშვა, გმანვა“, **და-რუმ-ვ-ა** „დახშვა, ჭუჭრუტანების დაგმანვა, რომ სინათლე არ შემოვიდეს“, ზან. **რუმ-**, **რუმ-ე** „ბნელი“, **ო-რუმ-ე** „საბყრობილე“, **რუმ-უ-ა** „დაბნელება“; სვანური ეკვივალენტი ჯერაც არ არის გამოვლენილი [იხ. ყიფშ. 1914: 31; კლიმ. 1998: 160; ფენ.-სარჯ. 2000: 160].

ქართველური დიალექტებისთვის ძირითადია *სიბნელე/სიმუქის* სემანტიკა. საბასთან **ო** გახმოვანების ფუძეც დასტურდება: **მ-რომ-ი** „შავი, გინა ბნელი“ (საბა).

ს.-ქართვ. \***რომ-** „მრუმე, ბნელი, შავი“

იჩქ. **ბუორ-ან** || **ბორ-ან** „ყავისფერი“, ინგ. **ბორ-ან** || **ბუორ-ან** „ყავისფერი, ბნელი“, ბაცბ. **ბორ-ინ**; ბაცბურში **ბორ-ინ** სახეობის ფუძე დაკარგული ჩანს. ს.-ნახ. \***ბორ-** ძირი შებრუნებული წყობისაა ს.-ქართვ. \***რომ-** არქეტიპთან შედარებით (თუმცა შდრ. ქართ. **მურ-ა** „შავ-წითელი, რუხი“). ს.-ქართვ. **მ** : ს.-ნახ. **ბ** რეგულარულად ვლინდება (იხ. § 23.7).

ს.-ნახ. \***ბორ-ინ** „ყავისფერი, ბნელი“.

## მ-სვენ-ი

ქართ. **სჟელ-** || **სჟენ-**, მ-სვლ-ივ-ი „ხვლიკი“, მ-სვლ-იკი "id", მ-სჟენ-ი (საბა), ხევს., მოხ., თუშ., იმერ., ფ-სვენ-ი ← მ-სვენ-ი „უშხამო გველი“, შდრ. ტობ. **სვენ-**ეთ-ი ← \*მ-სვენ-ეთ-ი ქართლში; ზან. (მეგრ.) **შველ-**, **შველ-**ა „უშხამო გველი, გველზოკერა“, სვან. **შჟაღ** „ხვლიკი“; ზანურ-სვანური მონაცემებით ირკვევა, რომ ქართულისთვის უძველესია **ლ** სონანტიანი ფორმები და აღსადგენია **სჟელ-**ა, შდრ. მესხ. **სვენ-**ა „მინდვრის მწვანე ხვლიკი“ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 313-314].

ს.-ქართვ. \***სჟელ-**ა „ძლოკვი, უშხამო გველი“

იჩქ. **შჟრა** || **შჟერა** „ერთგვარი ჭია, ყურბელა (уховёртка)“, ინგ.

**შერა** "id", ბაცბ. **შერა**; ბაცბური შესატყვისი დაკარგულია. ნახურ ენებში **შ** ფრიკატივის ლაბიალიზაციას ისტორიულად ვერ ვივარაუდებთ, შდრ. ს.-ქართვ. **სჟ** (\***სჟელ-**ა). სხვა მხრივ, ს.-ნახ. \***შერ-ლ** კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***სჟელ-**ა არქეტიპს, შდრ. ს.-ქართვ. **ს** : ნახ. **შ** (§ 30.5), ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ე** (§ 6.1), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **რ** (§ 13.3). *ძლოკვი* ~ *ჭია* სემანტიკური შეფარდებაც ბუნებრივი ჩანს.

ს.-ნახ. \***შერ-ლ** „ყურბელა, ერთგვარი ჭია“.

## მ-ტევ-ან-ი

ქართ. მ-ტევ-ან-ი, ზან. (ლაზ.) **ტაბ-**ან-ი || **ჭაბ-**ა "id"; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. საერთოქართველურისთვის აღსადგენია \***ტეჟ-**ძირი, ვინაიდან **მ-** — **-ან** აქ ცირკუმფიქსი გვქონია.

ს.-ქართვ. \***ტეჟ-** „მტევანი“

იჩქ. **ტაფ** „ჯღა“, ინგ. **ტაფ** "id", ბაცბ. **ტავ** „ტოტი“; ამ შემთხვევაში ბაცბურის ვითარება საერთონახურისას ემთხვევა, ე. ი. **ჟ** → **ფ** ვაინახურშია საგულვებელი. სემანტიკური მიმართება ს.-ქართვ. *მტევანი* ~ ს.-ნახ. *ტოტი* ბუნებრივად გვეჩვენება, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2).

ს.-ნახ. \***ტაჟ-** „ტოტი, ჯღა“.

## მტვერ-ი

ქართ. **მტვერ-**, **მტვერ-**ი, **მტვრ-**ევ-ა, ძვ. ქართ. **მტვერ-**ი, ზან. **მტვერ-**ი → || **ნტვერ-**ი || **ტვერ-**ი ← \***მტვარ-**ი, შდრ. ზმნური მეგრ. **რტუმ-ოლ-**ი ← \***მტურ-**ოლ-ი „მტვრევა“; სვან. **ტჟის** ← \***მტჟირ** „მტვერი“ [იხ. კლიმ. 1964: 138; ჩუხ. 2000-2003: 216].

ს.-ქართვ. \***მტვერ-** „მტვერი“

იჩქ. **მოდა** ← \***მოტა** „ჭუჭყი“, ინგ. **მჟად** ← \***მრტი** "id", ბაცბ.

**მუჟტ** ← \***მუტი** „ჭუჭყი“; ნახური ფუძეები გაცვეთილია. ისტორიულად სავარაუდოა უფრო სრული სახეობები, რომელიც შემონახული ჩანს ბაცბურ **მუტორ-**გ<sup>ნ</sup> „ჭუჭყიანი“, **მუტორ-**ნა „სიბინძურე“ ტიპის ფორმებში.

ს.-ნახ. \***მუტორ-** „ჭუჭყი“.

## მ-ტრ-ედ-ი

ქართ. ტრ-, მ-ტრ-ედ-ი, ძვ. ქართ. ტრ-ედ-ი, ზან. (ლაზ.) ტორ-ოჯ-ი, მეგრ. ტორ-ონჯ-ი „მტრედი“; სვანური შესატყვისი დღემდე არ არის გამოვლენილი [იხ. ჩიქ. 1936: 104; კლიმ. 1964: 183]. ზანურში შემონახული პირველი მარცვლისეული **ო** მიუთითებს **ა**-ს არსებობაზე ისტორიულ ქართულში, შდრ. ქართ. **ა** : ზან. **ო**.

ს.-ქართვ. \*ტარ-ად- „მტრედი“

ჩიქ. «ტარბ», ინგ. «ტარბ», ბაცბ. ტარბ „მოშია, ტარბი“; ვაინახურ ენებში ტარბ ფუძე დაკარგული უნდა იყოს, თუმცა ბაცბურში იგი თითქმის უცვლელად შემოგვინახა. ქართული ტარბ-ი ბაცბურიდანაა შემოსული. ს.-ქართვ. -ად (\*ტარ-ად-) და ს.-ნახ. -ბ (\*ტარ-ბ) ისტორიულად ფუძესშეხორცებული გრ. კლასის ნიშნებია. ბუნებრივი ჩანს შესატყვისობა სემანტიკურ დონეზეც: ს.-ქართვ. მტრედი ~ ს.-ნახ. ტარბი; შდრ. ხმოვანშესატყვისობა ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ა** (§ 5.1).

ს.-ნახ. \*ტარ-ბ- „ტარბი“.

## მუდ-ო

ქართ. მუდ-ო „თხუნელა“, მუდ-ო „დიდი თაგვი, თხუნველა“ (საბა), ზან. (მეგრ.) მუდ-უ „მუხვი“, შდრ. გურ., იმერ. (← მეგრ.) მუდ-უ "id", სვან. მუდ-ჟ ←\*მუდ-ო „თხუნელა“; სვანურში გამოვლენილი ბოლოკიდური -ჟ ქართ. -ო და ზან. -უ სადერივაციო სუფიქსების შესატყვისია. იგი სხვაგანაც დაჩნდება — ქართ. ფერ-ო : სვან. ფარ-ჟ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 155].

ს.-ქართვ. \*მუდ-ო „მუხვი, თხუნელა“

ჩიქ. უნტე- || უნდე-ფჰაიდ „კუ“, ინგ. უნდჷ-ფჰაიდ "id", ბაცბ. «უნდ-ჟ»; ვაინახური ლექსემები რთული შედგენილობისაა, სადაც პირველი კომპონენტი ისეთივე დამოუკიდებელი სიტყვა უნდა ყოფილიყო, როგორც მეორე — ფჰაიდ „ბაყაყი“. პირველი კომპონენტის მნიშვნელობის დადგენაში გვეხმარება დიდოური მადუ-ლ<sup>ნი</sup>, ჰინ. მადუ-ლ<sup>ა</sup> „ციყვი, თრითინა“... ე. ი. ვაინახური უნდ-ჟ ←\*უნდ-ჟ. ციყვი/თრითინა საერთო ჯგუფის სემანტიკებია. ს.-ნახ. \*უნდ-ჟ კანონზომიერად შესატყვისება ს.-ქართვ. \*მუდ-ო არქეტის — შდრ. ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ნ (§ 15.3).

ს.-ნახ. \*უნდ-ჟ „ციყვი/თრითინა“.

## მურწ-ი

ქართ. მურწ-, მურწ-ა, მურწ-ი „წვერა“, სვან. მუჭჟუ || მიჭჟუ „რქა“; ზანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი. ქართულში მურწ-ფუძის მნიშვნელობა დაჩრდილულია, მის ამოსავალ სემანტიკაზე წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ სინონიმური სახელწოდებიდან გამომდინარე: მურწ-ა-ც და წვერა-ც ქართულში ერთსა და იმავე თევზს მიემართება. სახელდება აქ მოტივირებული ჩანს თევზის გარეგნობის სპეციფიკით (ამ



შემთხვევაში ჭარბი წვერიანობით), ე. ი. ქართულში ისტორიულად **მურწი** = **წვერი**-ი [იხ. ჩუხ. 2000-2003: 157-158].

ს.-ქართვ. \***მურწი**- „წვერი; რქა“

იჩქ. **მუწარ** „დინგი, ხორთუმი“, ინგ. **მუწარ** → || **მჭიძარ** „დრუნჩი (ღორის)“, ბაცბ. **მუწარ**; საერთონახურში რეკონსტრუირდება \***მუწარ**-არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია ს.-ქართვ. \***მურწი**- ფორმისა.

ს.-ნახ. \***მუწარ**- „დინგი, დრუნჩი, ხორთუმი“.

### მუჭ-ი

ქართ. **მუჭი**, **მუჭა**, **მუჭი**, **მუჭი**-ეულ-ი, **მუჭი**-ვ-ა, **მუჭი**-ავ-ს, ზან. **მუჭკა** „ერთი მუჭა“, შდრ. გურ. (← ზან.) **მუჭკა**, ზმნური **მუნჯკა**-უნ-ს „მუჭავს“; ცხადია, აქ მთავარია *მომუჭვის*, *მოჭერის* სემანტიკა.

ს.-ქართვ. \***მუჭი**- „მოჭერა, მომუჭვა; მუჭა“

იჩქ. **მუთა** „წვენი, ნაჟური“, ინგ. **მუთა** "id", ბაცბ. **მუტა**; ბაც-ბურში მოსალოდნელი \***მუტა** დაკარგული ჩანს.

ს.-ქართვ. *მუჭიმუჭვა* : ს.-ნახ. *წურვანაწურისწვენი* სემანტემებს აერთიანებთ *მოჭერის/მოჭერით* წურვის სემა.

ს.-ნახ. \***მუტა**- (←\***მუჭი**-) „ნაწური, წვენი, ნაჟური“.

### მღერ-ა

ქართ. **მღერ**-, **მღერ**-ი-ს, **მო-მღერ**-ალ-ი, **ნა-მღერ**-ი, **მღერ**-ა, **სი-მღერ**-ა, ზან. **ბირ**-, მეგრ. **ბირ**-ა „მღერა“, **ო-ბირ**-ეში-ი „სამღერისი“, **მო-ბირ**-ე „მომღერალი“, **ნა-ბირ**-ა „ნამღერი“, **ვ-ო-ბირ**-უ-ან-ქ „ვამღერებ“, ლაზ. **ბირ**-ალ-ა, **ო-ბირ**-უ „სიმღერა“, **ვ-ი-ბირ**-ი „ვიმღერე“, სვან. **ღრ**-, **ბრ**-, **ლი-ღრ**-აღ || **ლი-ღრ**-აღ „სიმღერა“, „მღერა“, **ი-ღრ**-აღ || **ი-ღრ**-აღ „სიმღერის“, **ლი-ბრ**-იღ „სიმღერა“, **ი-ბრ**-ი-აღ-დ-ე-ს „მღეროდეს“; [იხ. ჩიქ. 1938: 254; კლიმ. 1964: 53; როგ. 1965: 182]. საერთოქართველურისათვის აღსადგენია \***ბღერ**- არქეტიპი, რომელიც ქართველურ დიალექტებში გამარტივდა **ბღ** → **ბ**, **ბღ** → **ღ** მიმართულებით (გ. როგავა).

ს.-ქართვ. \***ბღერ**- „მღერა; სიმღერა“

იჩქ. **ბორღალ** (ჭებ. **ბარღულ**, ითუმე. **ბორღულ**) „მამალი“, ინგ., **ბორღალ** "id", ბაცბ. **ბარღულ**; ნახურ კილოებში ჭებერლოურის ვითარება არქაული ჩანს; საერთონახურისთვის აღსადგენია \***ბარღ**-ულ- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***ბღერ**- ალომორფს. ს.-ქართვ. *მღერა* სემანტიკურად ისევე მიემართება ს.-ნახ. *მამალ* სემანტემას, როგორც რუსულში *петь—петь* [იხ. გამყრ.-ივან. 1984, II: 602].

ს.-ნახ. \***ბარღ**-ულ- „მამალი“.

## მ-ღვიმ-ე

ქართ. **ღვიმ-**, მ-ღვიმ-ე „ორმო; გამოქვაბული“, ახ. ქართ. მ-ღვიმ-ე „მთხრებლი კლდისა“ (საბა), სხვა ქართველურ დიალექტებში დღესდღეობით **ღვიმ-** ძირის შესატყვისი ალომორფი არ არის გამოვლენილი. წარმოდგენილი ფუძე ცნობილია უძველესი ქართული ტექსტებიდან. საბას განმარტებაც ამომწურავი ჩანს.

ს.-ქართვ. \***ღვიმ-** „მღვიმე; გამოქვაბული კლდეში“

იჩქ. **ღამა** „ზვინი (თივის)“, ინგ. **ღამ** "id", ბაცბ. **ღამ**-; საერთონახური \***ღამ-** ძირი ფორმალურად მარჯვედ ესადაგება ს.-ქართვ. \***ღვიმ-** არქეტიპს, შდრ. ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3). გრძელი **ა** ხმოვანი ისტორიულად ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაციის მოშლის საკომპენსაციოა, რაშიც თვალნათლივ გვარწმუნებს დაღესტნური ინფორმაცია — შდრ. კარ. **ღუანე** „ზვინი, მალლობი; ბორცვი“. ქართული ლექსემის განმარტებაშიც ისმის *კლდის* სემა, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

ს.-ნახ. \***ღამ-** ← \***ღვიმ-** „ზვინი“.

## მ-ღილ-ი

ქართ. **ღილ-**, მ-ღილ-ი „მღრღნელი ჭია, მატლი“, იმერ. **ღილ-** ფქვილ-ა „ჭიის ნაჭამი ხის მტვერი ფქვილის მსგავსი“, ძვ. ქართ. მ-ღილ-ი, და-მ-ღილ-ულ-ი; სხვა ქართველურ დიალექტებში შესაბამისი ფუძე ვერ გამოვლენილან. ჰ. ფენრიხი ვარაუდობდა ქართ. **მღილ-**ის სვანურ **მუღულ** „მწერი“ ფუძესთან ნათესაობას [ფენ.სარჯ. 2000: 338], რაც არ უნდა იყოს მართებული. სვანური **მუღულ** უპრიანია ქართ.(იმერ.) **მუღალ-**ი, ზან. **მურღულ-**ი ფუძეებს დაუკავშირდეს.

ს.-ქართვ. \***მ-ღილ-** || \***ღილ-** „ჩრჩილი; მატლი“

იჩქ. **ღენ**-იგ (ჭებ. **ღან**-იგ, ითუმყ. **ღან**-იგ) „ტილიკა; ძალზედ მცირე მწერი“, ინგ. **ღონ**-გ "id", ბაცბ. **ღან**-იკ; ბაცბური ეკვივალენტი, როგორც ეტყობა, დაიკარგა. ჭებერლოური-ითუმყალური ზუსტად გადმოგვცემენ ს.-ნახ. \***ღან-** არქეტიპს, რომელმაც ინგუშურში დამახასიათებელი **ა** → **ო** გადასვლით **ღონ-** მოგვცა.

ს.-ქართვ. \***ღილ-** : ს.-ნახ. \***ღან-** კანონზომიერი შესატყვისობაა, შდრ. ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3); ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **ნ** (§ 13.6).

ს.-ნახ. \***ღან-** „ტილიკა; ტილზე უმცირესი მწერი“.

## მყარ-ი

ქართ. **მყარ-/მყენ-**; **მყარ-**ი „მაგარი, ძლიერი“, ა-**მყნ-**ობს, და-ვ-ა-**მყენ-**ი, ნა-**მყენ-**ი, ძვ. ქართ. და-ე-**მყენ**, სა-**მყნ-**ელ-ი, ზან. (ლაზ.) **მპონ-** ← \***მყონ-**, გე-**მპონ-**უ „მყნობა“, გე-ვ-ო-**მპონ-**ი „დავამყენი“, მეგრ. **ცონ-**, გე-**ცონ-**უ-ა „დამყნობა“, ნა-**ცონ-**ა „ნამყენი“, შდრ. მეგრ. **პონ-**, მიკო-**პონ-**უ-ა „რადაციის მიმაგრება“, სვან. ლი-**მყინ-**ე „მყნობა“; საერთოქართველური \***მყან-** ზმნური ფუძის სახელური ალომორფი ჩანს \***მყარ-** ფორმა. სახე-

ლისა და ზმნის გარჩევა ამ შემთხვევაში **ნ/რ** მორფონოლოგიური ჩანაცვ-  
ლებით მიიღწევა [იხ. ჩიქ. 1938: 306; კლიმ. 1998: 127].

ს.-ქართვ. \***მყარ-** „მაგარი, მყარი, ძლიერი“

იჩქ. **ლურა** (ჰებ. **ლირუ**) „საშიში, მკაცრი“, ინგ. **ლირ** "id", ბაცბ.  
[**ლირ**]; სავარაუდო ბაცბურ ეკვივალენტზე ამ შემთხვევაშიც წარმო-  
დგენას გვიქმნის ჰებერლოური მონაცემი. ს.-ქართვ. \***მყარ-** : ს.-ნახ.  
\***ლირ-**ო გამოაჩენს, ერთი შეხედვით, უჩვეულო **მყ** : **ლ** ოპოზიციას.  
ვფიქრობთ, ისტორიულ ნახურში ს.-ქართვ. **მყ** კომპლექსის საპირისპი-  
როდ **ყუ** ლაბიალიზებული სახეობა დასტურდებოდა, აქედან — **ყუ** →  
**ლ**; შდრ. ბგერათმეცნიერების ს.-ქართვ. **ყუ** : ს.-ნახ. **ლ** (§ 35.1). ზე-  
მოთაღწერილ ფუძეთა სტრუქტურული ერთიანობისათვის საყურადღებოა  
აფხ., აბაზ. -**ბალა** : უბიხ. **ლაბგ** „მყარი“ შეპირისპირება.

ს.-ნახ. \***ლირ-**ო „საშიში, მკაცრი“.

### მშ-ევ-ა

ქართ. **მშ-**, და-**მშ-ევ-ა**, სი-**მშ-ილ-ი** → || ში-**მშ-ილ-ი**, ა-**მშ-ევ-ს**, ზან.  
(ლაზ.) **მშქ-ორ-ონ-ს** || **მშქ-ირ-ონს** „მშია“, მეგრ. **შქ-ირ-ენ-ა** „შიმშილი“,  
**შქ-ირ-ენ-ულ-ი** „მშიერი“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი;  
იხ. ჩიქ. 1938: 368; კლიმ. 1964: 139. თავკიდური **მ**, რომელიც ძირეულია,  
ზანურ დიალექტებში დაკარგული ჩანს.

ს.-ქართვ. \***მშ-აჟ-** „შიმშილი, დამშევა, მომშევა“

იჩქ. **მაც-**, **მაც-დალა** „მოშიება“, **მაც-დან** „შიმშილობა“, ინგ. **მაც-**  
დალა „მოშიება“, **მეც-ნ** ←\***მაც-ი**ნ „მშიერი“, ბაცბ. **მაც-**დალა "id", **მაც-**  
ი<sup>ნ</sup> „მშიერი“; საერთონახურისთვის აღსადგენია \***მას-** → **მაც-** ძირი, რომე-  
ლიც კანონზომიერი შესატყვისია ს.-ქართვ. \***მშ-** არქეტიპისა. ამოსავალი  
სიბილანტის სპირანტულობას მხარს უჭერს სხვა იბ.-კავკ. ენათა მონაცე-  
მებიც, შდრ.: უბიხ. **მაშუა..**, წახ. **მესუალ**, ხინ. **მეზავალ** „შიმშილი“.

ს.-ნახ. \***მას-** „მოშიება, შიმშილი“.

### მ-შვ-ილ-ი

ქართ. **შუ-**, **შვ-ებ-ა** „შემსუბუქება, რამესგან განთავისუფლების  
გრძობა“ (ქველ-ი), **შვ-ებ-ა-ს** აძლევს, **შვ-ელ-ის**, სა-**შვ-ელ-ი**, მა-**შვ-ელ-ი**,  
**შვ-ებ-ულ-ი**, ძვ. ქართ. **შუ-ებ-ა-ფ**, გან-**ი-შუ-ა**, ი-**შუ-ებ-დ-ა**, სა-**შუ-ებ-ელ-ი**,  
მ-**შვდ-ი** = მ-**შვ-ილ-ი**, სი-მ-**შვდ-ე** = სი-მ-**შვ-ილ-ე**; ზან. (მეგრ.) **შქვ-**,  
**შქვ-აფ-ა** = **შვ-ებ-ა**, მო-მ-ი-**შქვ-ი** „დამამშვიდე“, გურს მუ-მ-ა-**შქვ-უ**  
„გულზე მომეშვა“; საერთოქართველური \***შუ-** ზმნური ძირისგან არის ნა-  
წარმოები არქაული ნაზმნარი სახელი (მიმღობა) **მ-შუ-ილ-ი**.

ს.-ქართვ. \***შუ-** „შეება; შევლა; დამშვიდება“, \***მ-შუ-ილ-** „მშვიდი“

იჩქ. **მარშ-**, **მარშ-ა** „მშვიდად, მშვიდობით“, **მარშ-ა**ლლა „მშვიდო-  
ბა; მოკითხვა“, ინგ. **მარშ-**, **მარშ-ნ** „მშვიდობით“, "мирно", **მარშ-ნ**ლ ←

**მარშ**-ოლ „მშვიდობა; მისალმება“, ბაცბ. **მარშ** „მშვიდად, მშვიდობით“, **მარშ**-ი<sup>ნ</sup> „მშვიდობიანი, სამშვიდობო, მშვიდობის“, **მარშ**-ოლ „მშვიდობა, კეთილდღეობა; სალამი“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის სავარაუდოა \***მა-რშ**- ძირის პოსტულირება, რომელიც სტრუქტურულ-სემანტიკურად **მ-შუ**-იდ-ის ანალოგიურია. ძირად გამოყოფილი საერთონახური \***რშ**- კომლექსი ზუსტი შესატყვისია ს.-ქართვ. \***შუ**- ლაბიალიზებული სახეობისა, შდრ. **შ** : **შ** (§ 33.5), **ჟ** : **რ** (§ 20.5).

ს.-ნახ. \***მა-რშ**- „მშვიდობა, მშვიდი“.

### მ-შვილ-დ-ი

ქართ. **მ-შვილდ**-ი || **მ-შუილდ**-ი || **მ-შკლდ**-ი, **მ-შუილვ**-ა „ტყორცნა; სროლა“, ზან. (მეგრ.) **შქვილ**-ი || **შქვინდ**-ი „მშვილდი“, ქა-**შქვილ**-ი = რქა-**მშვილდ**-ი, **შქვილ**-უა „მშვილდვა, ბამბის პენტვა“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [ჭარ. 1918, IX; ფენ.სარჯ. 2000: 340]. სახელური **-დ** (**მ-შვილ-დ**-ი) ქართულში სუფიქსური ჩანს [იხ. ჩიქ. 1942: 99].

ს.-ქართვ. \***შუილ**- „მშვილდი; მშვილვა, სროლა/ტყორცნა“

იჩქ. **შირდ**-ლ-აგ || **შირდ**-უოლ-გ „ქვის სატყორცნი სამხედრო იარაღი“, ინგ. **შირდ**-ოლ-გ "id", ბაცბ. "შირდ-ოლ-კ"; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \***შირდ**- არქეტიპი, რომლის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \***შუილ**-, რასაც, სემანტიკური იგივეობის გარდა, მხარს უჭერს ბგერათშესატყვისობათა ჩვენება — ს.-ქართვ. **შ** : ს.-ნახ. **შ** (§ 33.5), ს.-ქართვ. **ჟ** : ს.-ნახ. **რ** (§ 20.5), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **დ** (§ 13.7).

ს.-ნახ. \***შირდ**- „ქვის სატყორცნი სამხედრო იარაღი“.

### მწარე

ქართ. **მწარე**, სი-**მწარე**-ე, ზან. (მეგრ.) **ნჭორ**-, გითო-**ნჭორ**-აფ-ა „სიმწრის მოშორება“, აქვე შემოდის სახელური **ჭურა** ← \***მჭორა** „მწარე კვანის სახეობა“ [იხ. ბერ. 1956: 247-248, გიგინ. 1984: 34]. არ გამოვრცხავთ სვანურ **მაჭარ** „მაჭარი“ სიტყვის აქვე შემოტანას.

ს.-ქართვ. \***მწარე**-ე „მწარე“

იჩქ. **მერძ**-ა || **მერზ**-ა (ჭებ. **მარზ**-ი<sup>ნ</sup>, ქისტ. **მერძ**-) „ტკბილი“, ინგ. **მერძ**-ა ← \***მარძ**-ი<sup>ნ</sup> "id", ბაცბ. **მარზ**-ი<sup>ნ</sup> „ტკბილი“. ფორმალურად საერთონახურ მდგომარეობას ყველაზე უკეთ ბაცბური აჩვენებს — **მარზ**-ი<sup>ნ</sup>. თუ ფონეტიკურ-სტრუქტურულად ამ ნახურ-ქართველურ ფუძეთა მიმართება გასაგებია, სემანტიკურად ასახსნელია **მწარე** ~ **ტკბილი** ცვალებადობა. რის პარალელადაც მოვიხმობთ შემდეგ ჩვენებას ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ენებიდან, შდრ.: ქართ. **წმან**-ი ← \***მწან**-ი „მჭავე“; ზან. (ლაზ.) **მჭონა** „მჭავე“, მაგრამ სვან. **მგჭანტი** „ტკბილი“; ხუნძ. **მიწა**, უდ. **მუჭ** „ტკბილი“, მაგრამ ხინალ. **მიწ** „მჭავე, მწარე“, ანუ **მწარე/მჭავე** ~ **ტკბილი** სემანტიკური სუბსტიტუცია ჩვენს ენებში ბუნებრივია.

ს.-ნახ. \***მარზ**-ი<sup>ნ</sup> „ტკბილი“.

### მწ-ერ-ი

ქართ. მწ-ერ-, მწ-ერ-ი, ძვ. ქართ. მწ-ერ-, მწ-ერ-ი „ბუზი“, ზან. (ლაზ.) მჭ-აჯ-ი ← \*მჭ-არ-ი „ბუზი“, მეგრ. ჭ-ანჯ-ი ← \*მჭ-ანჯ-ი "id", სვან. მწრ || მერ ← \*მჭერ „ბუზი“; საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \*მწ-ერ- არქეტიპი [შდრ. ჩიქ. 1938: 112; კლიმ. 1964: 141; ფენ.-სარჯ. 2000: 663-664].

ს.-ქართვ. \*მწ-ერ- „მწერი; ბუზი“

იჩქ. მეზა (ქისტ. მეძ, ხილდ. მეძა, ჭებ. მაზე) „ტილი“, ინგ. მძძ → || მზზ "id", ბაცბ. მაწ- ← მაწე „ტილი“; სტრუქტურულად ყველაზე ძველი სახეობა ჭებერლოურს დაუცავს — მაზე. ამავე ტიპისა, ოღონდ გლოტალიზებული ვარიანტი, ფუნქციონირებდა საერთონახურშიც — \*მაწ-ე. ს.-ქართვ. \*მწ-ერ- „ბუზი“ : ს.-ნახ. \*მაწ-ე „ტილი“ კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისობაა. ქართველური -ერ დაბოლოება ფუნქციურად ფუძენახურ -ე სუფიქსს უტოლდება.

ს.-ნახ. \*მაწ-ე „ტილი“.

### მწყერ-ი

ქართ. მწყერ- ← \*წყარ-, მწყერ-ი, მწყერ-მარჯილ-ი, ზან. (მეგრ.) ჭყორ-ი „მწყერი“, ჭყორ-ტოტი-ი (მცენ.) „მწყერისფეხა“, სვან. შყაჟუ || შყეჟუ „მწყერი“. ქართ. რ : სვან. ჟუ ფუძის ბოლოში ბუნებრივია, შდრ. ქართ. პარ- „მოპარვა“: სვან. პაჟუ- „დამალვა“ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 177].

ს.-ქართვ. \*წყარჟ- „მწყერი“

იჩქ. ჭყარდ-, ლე-ჭყარდ-იგ „მთის ნამგალა“, ინგ. ჭყორდ „ტოროლა“, ბაცბ. ჭყარდ-. იჩქერიული -იგ ფუძესშებორცეებული სუფიქსი ჩანს. ბგერათშესატყვისობა კომპლექსების დონეზე ს.-ქართვ. წყ : ს.-ნახ. ჭყ რეგულარულად ვლინდება, იხ. აქვე, § 44. სემანტიკური შეფარდება მწყერი ~ ტოროლა ასევე ბუნებრივად გვესახება.

ს.-ნახ. \*ჭყარდ- „ტოროლა“.

### მ-ხალ-ი

ქართ. მ-ხალ-ი → || ფ-ხალ-ი, ზან. (მეგრ.) ხულ-ი „თალგამულა, მიწაფხალი“, სვან. ბგხგ ← \*მგ-ხგლ „სტაფილო“; მნიშვნელობის გადაწევა ფხალი → სტაფილო სვანურშია საგულვებელი. საერთოქართველურში ძირად გამოსაყოფია \*ხალ- სემანტი [იხ. ჭარ. 1895, XII: 112; გუდ. 1960: 122; ჩუხ. 2000-2003: 75].

ს.-ქართვ. \*მ-ხალ- „ფხალი, მიწაფხალი“

იჩქ. ჳႭ || ჳႭ „ლობიო“, ინგ. ჳე ← \*ჳႭ "id", ბაცბ. ჳოგ "id"; აუსლაუტური ო იჩქერიულში ისტორიული ჳ-ს კვალია — ჳ → ო. საერთონახურში აღდგება \*ჳოჳ- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესა-

ტყვისი ჩანს ს.-ქართვ. \*მ-ხალ- ფორმისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ხ : ს.-ნახ. ვ (§ 36), ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ო (§ 5.2), ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. უ (§ 13.4).

ს.-ნახ. \*ვოლუ- „ლობიო“.

### მხარე

ქართ. მვ-არ-ე, მხ-არ-ე „ქვეყანა, მიწა-წყალი“ (ქველ-ი), ზან. (მეგრ.) მუხ-ურ-ი/ა „კუთხე, მხარე“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. ისტორიულად ქართული ფუძე გახმოვანებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ -არ სუფიქსის დართვამ ძირეული ხმოვნის რედუქცია გამოიწვია: მვ-არ-ე ← \*მავე-არ-ე, შდრ. ზან. მუხ-ურ-ი ← \*მოვ-ორ-ი.

ს.-ქართვ. \*მავე-არ-ე „მხარე, კუთხე; ქვეყანა, მიწა-წყალი“

იჩქ. მუოხ-ქ „მიწა, ქვეყანა“, ინგ. მოხ-ქ "id", ბაცბ. მოხ-კ „დედამიწა, მიწა“; მოხ-კ ბეკბარ „მიწისძვრა“; ნახურ ენებში ძირად მოხ- ფორმა გამოიყოფა, -ქ/-კ ქართული -არ სუფიქსის ფუნქციური შესატყვისია. სხვა მხრივ, დაცული ჩანს ბგერათშესატყვისობათა ჩვენება — ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ო (§ 5.2), ს.-ქართვ. ვ : ს.-ნახ. ხ (§ 36).

ს.-ნახ. \*მოხ- „მიწა, ქვეყანა, დედამიწა“.

### მხარ-ი

ქართ. მხარ-ი || მვარ-ი, სა-მვარ-ი „სამხრე“, ზან. ხუჯ-ი || ფხუჯ-ი || ← მხუჯ-ი „მხარი“, სვან. მეწარ || მეწერ || მეწრა ← \*მეწერ-ა „მკლავი“; საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის აღვადგენთ \*მაჯარ- არქეტიპს, რომელიც სრული სახეობით სვანურსა და ძვ. ქართულში შემოგვრჩა [ჩიქ. 1938: 57-58; კლიმ. 1998: 134; ფენ.-სარჯ. 2000: 347].

ს.-ქართვ. \*მაჯარ- „მხარი; მკლავი“

იჩქ. ნავა (მრ. ჭებ. ნავაჟ-შ) „მკერდი“, ინგ. ნავა "id", ბაცბ. [ნავავ]; ბაცბური მონაცემი დაკარგული ჩანს. მასზე წარმოდგენას გვიქმნის ჭებერლოური სახეობა, რომელიც მრავლობითი რიცხვის ფორმაში უფრო სრულად შემოგვრჩა. ს.-ქართვ. \*მაჯარ- : ს.-ნახ. \*ნავაჟ- კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკური მიმართებაა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ნ (§ 15.3), ს.-ქართვ. რ : ს.-ნახ. უ (§ 14.5). მხარი ~ მკერდი სემანტიკურ კორელაციას წინააღმდეგობა არ ახლავს.

ს.-ნახ. \*ნავაჟ- „მკერდი“.

### მხარ-/სა-მხარ-ი

ქართ. მხარ-, სა-მხარ-ი „სადილი; საუზმე; საუზმობის დრო“, სა-მხარ-ობ-ა, ძვ. ქართ. ი-სა-მხარ-ნ-ეს, სა-მხარ-ებ-ა, სა-მხარ-ი, ზან. (ლაზ.) ფხორ- || მხორ- || მ-ფხ-ორ-, ო-ფხორ-უ „ჭამა“, ი-მხორ-ს „ჭამს“; ზანურის მეგრულ კილოსა და სვანურში შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი [იხ. კლიმ. 1998: 134; შდრ. ფენ.-სარჯ. 1990: 232]. საერთოქართვე-

ლურ არქეტიპად აღსადგენია **\*მხარ-** წინარეფორმა.

ს.-ქართვ. **\*მხარ-** „სამხარი, საუზმე; სამხრობა, ჭამა“

იჩქ. **ფჰაუორ** || **ფჰაორ** „ვანშამი“, **ფჰაორ-დაცა**<sup>5</sup> „ვანშმობა“, ინგ.

**ფჰაორ** "id", **ფჰაორ-დაცა** „ვანშმობა“, ბაცბ. **ფჰაორ** "id", **ფჰაორ-და-** ყუღლა „ვანშმობა“; საერთონახური ენობრივი ერთობისთვის რეკონსტრუირდება **\*მჰაორ-** არქეტიპი; საყურადღებოა ყრუ ფრიკატივების წინა პოზიციის ერთვეაროვანი **მ** → **ფ** პროცესი ლაზურსა და ნახურ დიალექტებში. ს.-ქართვ. **\*მხარ-** : ს.-ნახ. **\*მჰაორ-** გამოაჩენს რეგულარულ **ხ** : **ჰა** (§ 40.1) და **ა** : **ო** (§ 5.2) ბგერათმესატყვისობებს. ხოლო სემანტიკური მხარე იგივეობრივია.

ს.-ნახ. **\*მჰაორ-** „ვანშამი, ვანშმობა“.

## მხე

ქართ. **მხე** „რომელსა მჟავისა და ტკბილისა საშუალი გემო ჰქონდეს, ეწოდება მხე“ (საბა); „**მხე** არს მჟავე და ტკბილი გემო აქვნდეს, არა რომელი სჭარბობდეს“ (საბა), ზან. **მოხა**, შდრ. **მოხა-სქურ-ი** = *მჟავე* წყალი (ადგილის სახელებია სოფლებში: მუჟავე, ჭალე...), სვან. **მგხ-**იმ „მწარე“; ქს. „მჟავე“; ზანურის **ო** განმოვანება საერთოქართველურისთვის **ა-ს** ვარაუდობს [იხ. ჩუხ. 2000-2003: 163].

ს.-ქართვ. **\*მან-ე** „მომჟავო/მოტკობ“

იჩქ. **ნის** „ბრაგა; ბურახი“, ინგ. **ნგხ** || **ნის** "id", ბაცბ. „**ნის**“; ნახურ ენათა სემანტიკა კარგად უდგება საერთოქართველურ *მომჟავო/მოტკობ* სემანტიკებს, რასაც ამაგრებს ბგერათმესატყვისობათა ჩვენებაც — ს.-ქართვ. **მ** : ს.-ნახ. **ნ** (§ 15.3); ს.-ქართვ. **ხ** : ს.-ნახ. **ხ** (§ 34.5).

ს.-ქართვ. **\*ნის-** „ბრაგა; ბურახი“.

## მვიე

ქართ. **მვიე** „ნაცრისფერი“ დასტურდება ძველ ქართულში, საბას ლექსიკონში. არ არის გამოვლენილი ზანურსა და სვანურში. ბუნებრივია **მვიე** ალომორფიც. ჩვენი დაკვირვებით, აქ მოქმედებს ქ. ლომთათიძის კანონი: სონანტთან მეზობლობაში მჟღერ ხშულთა და აფრიკატთა გლოტალიზაცია — ჩვენს შემთხვევაში **მვ** → **მყ**. -**იე** თანმიმდევრობა ქართულში სუფიქსური ჩანს, შდრ. -**იო**: ტრედ-**იო**...

ს.-ქართვ. **\*მვ-იე** ← **\*მავ-იე** „ნაცრისფერი“

იჩქ. **მუღვა** „მუქი ნაცრისფერი“, ინგ. **მოაკვ** „ჟანგისფერი“, ბაცბ. „**მავი**“; ბაცბურში არ ჩანს მოსალოდნელი „**მავი**“ არქეფორმა.

ს.-ნახ. **\*მავ-**ინ „მუქი ნაცრისფერი; ჟანგისფერი“.

## მკუ-ებ-ა

ქართ. მკუ-, და-მხ-ობ-ა, ძვ. ქართ. და-მკუ-ებ-ა-დ, და-ა-მკუ-ი-ს || და-ა-მკუ-ს, და-ე-მკუ-ა, და-მკოლ-ვ-ად; ზან. მხვ- || ხუ-, მეგრ. დო-ხუ-აფ-ა „დამხობა, დაქცევა“, დო-ვ-ო-ხუ-ან-ქ „დავამხობ“, ქუდგ-ვ-ო-ხვ-ეე/იი „და-ვამხე“, დო-ხუ-აფ-ილ-ი „დამხობილი“, ლაზ. გე-მხვ-აფ-ა „დამხობა“, გა-მხვ-ე-ნ „ემხობა“, გე-მხვ-ერ-ი „დამხობილი, წაქცეული“; სვან. ნკუ- ← \*მკუ-, ლი-ნკუ-ე „დამხობა“, ა-ნკუ-ემ „ამხობს“, მუ-ნკუ-ე „დამხობი“; საერთო-ქართველურ არქეტიპად სამართლიანად აღადგენენ \*მკუ- ფორმას [იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 348].

ს.-ქართვ. \*მკუ- „დამხობა, დაქცევა, დანგრევა“

იჩქ. ბ-უოხ-ან<sup>5</sup> || ბ-უოხ-არ „ტყდომა, ნგრევა“, ინგ. ბ-ოხ-ან || ბ-ოხ-არ "id", ბაცბ. ბ-ოხ-ან<sup>5</sup> || ბ-ოხ-არ „ნგრევა“; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \*ბ-ოხ- კლასნიშნიანი ზმნა. არ გამოვრიცხავთ, რომ თავკიდური მ ქართველურში ისტორიულად ბ- გრამატიკული კლასის ალომორფი იყოს, ანუ -ბ- → მ- მას შემდეგ, რაც გრამატიკული კლასის კატეგორია მოშალა ჩვენს ენებში, შდრ. ასევე ბგე-რათშესატყვისობა ს.-ქართვ. ვ : ს.-ნახ. ხ (§ 36).

ს.-ნახ. \*ბ-ოხ- „ნგრევა; ტყდომა“, "рушиться".

## -ნ/-ან (მრ. სუფ.)

ქართ. -ნ, -ან „მრ. სუფ.“, სახელური -ნ მრავლობითობის სუფიქსი სახელებში რედუცირებული სახეობითაა წარმოდგენილი; უფრო სრულად ის ჩანს ზმნურ ფორმებში — -ან: სხედ-ან, წვან-ან, დგან-ან, შდრ. ოთარა-ან-, ვანუა-ან-, ტობ.: ჯუგა-ან-ი, ტიბა-ან-ი; მისი კანონზომიერი შესატყვისია ზა-ნური -ონ კრებითობის სუფიქსი: ქვალ-ონ-ი „ქვავნარი“, ჯალ-ონ-ი/ა „ხეივა-ნი“, ბულ-ონ-ი/ა „ბევრი ბლის ხეები“, ლაზ-ონ-ი „ლაზ-ეთი“... ამასვე უკავშირდება სვან. -ან || -არ „სახ. მრ. ნიშ.“; სადაც ნ → რ ფონეტიკური გარდაქმნა საკუთრივ სვანური მოვლენაა [იხ. ჩუხ. 2000-2003: 20, 55].

ს.-ქართვ. \*-ან „მრ. სუფ.“

იჩ. -არ (ნუც — ნუც-არ-ი „სიძეები“...), ინგ. -არ "id", ბაცბ. -არ "id"; ნახურ ენებში გამოყოფილი -არ სახელთა მრავლობითობის სუფიქსი კანონზომიერად შეესატყვისება საერთოქართველურ -ან ასევე მრავლობითობის აფიქსს. საცნაურია სვანურისდარი დენაზალიზაციის ნ → რ გადაბგერება საერთონახურში.

ს.-ნახ. \*-არ „მრ. სუფ.“.

## ნა-ლექ-ი

ქართ. ლექ-ი, ი-ლექ-ებ-ა, და-ი-ლექ-ა, ნა-ლექ-ი, და-ნა-ლექ-ი, ზან. (მეგრ.) ლანქ-ერ-ი „დალექილი“; „დანალექი“, ლანქ-ერ-ო მოურს „ძირ-ფესვიანად (resp. დანალექიანად) მოდის, მღვრიე მდინარეზე იტყვიან“.



სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. ქართული **ლექ-** ძირის ზუსტი ფონეტიკური ანალოგია მეგრული **ლანქ-** ← **ლაქ-**, რომელიც შემოგვენახა **ლანქ-**ერ-ი ნაზმნარ სახელში.

ს.-ქართვ. \***ლექ-** „დანალექი; დალექვა“

იჩქ. (დიალ.) **ლაქ** „ნაძირალა“, „ნარჩენი“, ინგ. **ლოქ** „დანალექი ზეთის გამოხდისას“, ბაცბ. **ლაკ**; ბაცბურში სათანადო ფუძე დაკარგული ჩანს. იჩქერიულში **ლაქ** ფუძე შემორჩენილია ხილდინბაროულსა და ახიურში, სალიტერატურო (resp. ბარის დიალექტში) ენაში გავრცელებულია ძრწამ ფორმა. საერთონახურში აღდგება \***ლაქ-** არქეტიპი, შდრ.: ს.-ქართვ. \***ლექ-** — ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა (§ 6.2).

ს.-ნახ. \***ლაქ-** „დანალექი, ნარჩენი“.

### ნან-ელ-ა

ქართ. **ნან-**, იმერ. **ნან-ელ-ა** „აბრეშუმის ჭია“, გურ. მა-**ნან-ა** „ზრდაში ჩამორჩენილი აბრეშუმის ჭია“, ზან. (მეგრ.) **ნონ-**ო-ია „რალაც არსება, რითაც ბავშვებს აშინებენ“; სვანური შესატყვისი არ ჩანს. საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვითაც შესაძლებელი ჩანს \***ნან-** საერთოქართველური არქეტიპის პოსტულირება.

ს.-ქართვ. \***ნან-** „ჭია (აბრეშუმის)“

იჩქ. **ნანა** (ჭებ. **ნან-ე**) „ჭია; მუცლის ჭია“, ინგ. **ნანან** "id", ბაცბ.

**ნან** „ჭია, მატლი“; ამოსავალი სახეობა კვლავ ჭებერლოურს დაუცავს; მხედველობაშია სიტყვის აუსლაუტი. ს.-ქართვ. \***ნან-** „ჭია“ : ს.-ნახ. \***ნან-ე** „ჭია; მატლი“ კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკური შეფარდება ჩანს. გასარკვევია თავკიდური **ნ-** ფარინგალიზაციის საფუძველი ფუძენახურში: \***ნონ-ე** → \***ნუნ-ე** → **ნან-ე** (?).

ს.-ნახ. \***ნან-ე** „ჭია, მატლი“.

### ნატ-რ-ვ-ა

ქართ. **ნატ-**, ი-**ნატ-**რ-ებ-ს, **ნატ-ვ-რ-ა**, ძვ. ქართ. **ნეტ-**არ-ი, ჰ-**ნატ-**რ-ი; **ნეტ-**ა, **ნეტ-**ავ-ი, ზან. (მეგრ.) **ნოტ-ე** || **ნგტ-ე** || **ნიტ-ე** „ნეტავი“, სვან.. **ნატ-**იალ || **ნატ-**ჟალ || **ნატ-**ჟელ „ნეტავი; ნეტამც“; ე განზოგანება ქართულში მეორეული მოვლენა ჩანს. ამოსავალში ა განზოგანება უნდა გვექონოდა, რასაც მხარს უჭერს ზანურ-სვანურის ჩვენება [გამყ.-მაჭ. 1965: 159; მაჭ. 1958: 268].

ს.-ქართვ. \***ნატ-** „ნატვრა; ნეტა, ნეტავი“

იჩქ. სა-**რდ-** ← \*სა-**რტ-**, სა-**რდ-**ამ „წყევლა“, ინგ. სა-**რდ-** ← \*სა-**რტ-**, სა-**რდ-**ამ "id", ბაცბ. სა-**რტ-**-სე-**რტ-**, სა-**რტ-**-არ/სე-**რტ-**-არ „წყევლა“, სე-**რტ-**-რიკ „მწყევლელი“; ნახურ ენებში ძირად **რტ-** გამოიყოფა სა-/სე-ზმნური აფიქსებია და სხვაგანაც მეორდება — შდრ. ბაცბ. სე-**ფს-**არ || დე-**ფს-**არ „გაუბერვა“; იხ. აქვე **ვს-ებ-**ა. გამონაწევრებული **-რტ-** საერ-

თონახური ზმნაა, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*ნატ- არქეტიპი (შდრ. ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. რ, § 16.4). სემანტიკური თვალსაზრისით, წყევლაც და ნატვრაც ერთნაირად შეითავსებენ სურვილის ახდენის შინაარსს.

ს.-ნახ. \*რტ- ←\*რVტ- „წყევლა“.

### ნა-ქურც-ენ-ი

ქართ. ქურც-, ნა-ქურც-ენ-ი „ფუჩი“, ნა-ქურც-უ-ენ-ი || ნა-ქურც-ენ-ი „ქერქი“ (საბა), ზან. (ლაზ.) ქურჩ-, დო-ქურჩ-ოლ-ა „გარჩევა, გაწმენდა (სიმინდისა)“, დო-ქურჩ-ოლ-უმ-ან „გაარჩევენ, გაწმენდენ სიმინდს“, მეგრ. ქურჩ- ნასესხობის სახით დასტურდება დასავლურ დიალექტებში, შდრ. იმერ. ქურჩ-ნა, გურ. ქურჩ-ელ-ა; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. სარგ. 1987: 21].

ს.-ქართვ. \*ქურც- „ფუჩი, ქერქი“

იჩქ. ქოწსთ „ქერქი“, ინგ. ქოასთ "id", ბაცბ. ქოფსტ; საერთონახური ენობრივი მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \*ქოწსთ- არქეტიპი, რომელიც ზუსტი სემანტიკურ-ფონეტიკური შესატყვისია ს.-ქართვ. \*ქურც- ძირისა; ყურადღებას იქცევს შესატყვისობა ს.-ქართვ. ც : ს.-ნახ. სთ, რაც სხვაგანაც რეგულარულად გამოჩნდება, იხ. აქვე, § 31.3.

ს.-ნახ. \*ქოწსთ-უ „ქერქი“.

### ნაყრ-/ნაყრ-ი

ქართ. ნაყრ-, ნაყრ-ი „მცირეოდენი საჭმელი“, და-ნაყრ-ებ-ა, და-სა-ნაყრ-ებ-ელ-ი, ზან. (მეგრ.) ნოჯორ-ი „საყლაპავი; ყრონტი, ხახა“, სვან. ნწყუნ || ნწყუნ || ნწყეუნ „საჭმელი, შეჭამანი“; აქ განსხვავებას ქმნის მეგრულის სემანტიკა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ნოჯორ-ის ფუნქციას როგორც საყლაპავი, საჭმელი ორგანოსას, ყველაფერი ნათელი გახდება: თავდაპირველად მეგრ. ნოჯორ-ი საჭმელს აღნიშნავდა [იხ. ჩუხ. 2000-2003: 167].

ს.-ქართვ. \*ნაყ-ორ- „ნაყრი, საჭმელი, შეჭამანი“

იჩქ. დოყარ ←\*დაყორ „საკვები, ფურაჟი“, ინგ. დოაყარ ←\*და-ყორ „საკვები“, ბაცბ. დაყურ. შესაძლო ბაცბურ შესატყვისზე ჭებერლოური დაყურ ფუძის მიხედვით მიუთითებთ. საყურადღებოა კორესპონდენცია ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. დ, რაც რეგულარულად ვლინდება, იხ. § 16.5. ბუნებრივი ჩანს სემანტიკური ოპოზიციაც: საჭმელი ~ ფურაჟისაკვები.

ს.-ნახ. \*დაყორ- „საკვები, ფურაჟი“.

### ნადვ-ი

ქართ. ნადჷ-, ნადჷ-ი || ნადვ-ი || ძვ. ქართ. ნადჷ, ნად-ოვ-ან-ი, ზან. (მეგრ.) ნუძუ → || ნუზუ „ნადვი“, სვან. ნეზჷ- ←\*ნედჷ-, ნეზჷ-რა „ნადვი“; მეგრული ნუძუ მომდინარეობს \*ნოდვ-ი არქეფორმისაგან [იხ. ფოტ. 1938: 335; გიგ. 1984: 35; ფენ.სარგ. 2000: 354].

ს.-ქართვ. \*ნადჷ- „ნადვი“

იჩქ. **დეზ** || **დეძ** (მრ. რ. **დეძნ**-აშ) „ნადვი“, ინგ. **დეძ** || **დეცე**

←\***დეძნ** "id", ბაცბ. **დეძნ**; ბაცბურ შესატყვისზე წარმოადგენას გვიქმნის ჭებერლოური მაჩვენებელი — **დეძ**—**დეძნ**-იშ „ნადვიბი“. ასე რომ, საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \***აძნ** ←\***ლაძნ**- არქეტიბი; **ლ** → **ღ** პროცესისათვის ფუძენახურში იხ. § 13.2.

ს.-ნახ. \***დეძნ** ←\***ლეძნ** : ს.-ქართვ. \***ნადჷ**- შემდეგ რეგულარულ კორესპონდენციებს გამოაჩენს — ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ე** (§ 5.3), ს.-ქართვ. **ნ** : ს.-ნახ. **ლ** (§ 16.2), ს.-ქართვ. **ჷ** : ს.-ნახ. **ნ** (§ 20.4).

ს.-ნახ. \***დეძნ** ←\***ლეძნ** „ნადვი“.

### ნა-ხევ-არ-ი

ქართ. **ხევ**-, ნა-**ხევ**-არ-ი, სვან. **ხენ**-, **ხენ**-სგა || **ხენ**-სკა ლნტ. „ნახევარი“; ზანურში ეს ფუძე დაკარგული ჩანს. საყურადღებოა **ვ** : **ნ** შეფარდება ქართველურ ენებში, რაც ქართ. **ვ**-ს პრიმარობაზე მიუთითებს.

ს.-ქართვ. \***ხეჷ**- „ნახევარი“

იჩქ. **ახ** (ერგ. ბრ. **ეხამ**-ყო || **ეხან**-ყო, მრ. რ. **ეხან**-ნაშ) „ნახევარი“, ინგ. **ახ** (ერგ. ბრ. **ახან**-ფე) "id", ბაცბ. **ახ**; ნახურ ენებში ერგატივსა და მრ. რ. ფორმებს არქაული ვითარება დაუცავს.

ს.-ნახ. \***ა-ხან**- „ნახევარი“.

### ნახ-გ-ა

ქართ. **ნახ**-, ვ-**ნახ**-ავ, ვ-**ნახ**-ე, მ-**ნახ**-ავ-ი, სა-**ნახ**-ავ-ი, შე-**ნახ**-ვ-ა, ი-**ნახ**-ავ-ს; თუ **ნახ**- ფუძეში **ხ** ძირად გამოიყოფა, ხოლო **ნა**- პრეფიქსად, მაშინ შესაძლებელია ეგვე **ხ**- ძირი ამოვიცნოთ შემდეგ ქართველურ ფუძეებში: ქართ. **ხ**-ედ- „ხედვა“, **ხ**-ილ- „ხილვა“, ზან. (მეგრ.) **ხვილ**- ←\***ხ**-ილ- „ნახვა“, სვან. **ხ/ხ**-ალ-, ხ-ო-**ხ**-ალ „იცის, ჰგონია“, მა-**ხ**-ალ „ცოდნა“ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 393].

ს.-ქართვ. \***ნა-ხ**- „ნახვა, მონახვა“

იჩქ. **ლახ**-, **ლახ**-ან<sup>ნ</sup> || **ლახ**-არ „ძებნა, მონახვა“, ინგ. **ლახ**-, **ლახ**-ან || **ლახ**-არ "id", ბაცბ. **ლახ**-, **ლახ**-ან<sup>ნ</sup> || **ლახ**-არ „ძებნა“; ნახურ ენებში შესაძლოა ლა- ზმნურ პრეფიქსად გამოიყოს, შდრ. ს.-ნახ. \***ხ**-ა- „ცოდნა“. თუმცა სონანტებში **ნ** : **ლ** შეფარდებაც ბუნებრივია.

ს.-ნახ. \***ლა-ხ**- „ძებნა, მონახვა“.

### ნახ-ორ-ი

ქართ. **ნახ**-ორ-, **ნახ**-ორ-ი „ნაცეხვის ანაბერტყი“ (საბა), გურ. „მარცვლის ქერცლები“, ზან. (მეგრ.) **ნოხ**-, **ნოხ**-ი „ნაჭუჭი, გარსი“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. ქართული ალომორფი გართულეებულია -**ორ** სუფიქსით. შესაძლებელია რაღაც სუფიქსი მეგრულშიც იყო, მაგრამ

დაიკარგა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა **ნონ**- ფუძის ჭარაიასეული დაწერილობა: **ნონიი** || **ნონი**.

ს.-ქართვ. \***ნახ**- „ნაჭუჭი, ქერცლი, გარსი“

იჩქ. **ნე** ← \***ნეჰ** „კანი, გარსი“, ინგ. **ნიჰ** "id", ბაცბ. **ნიჰ** "id"; ამოსავალი ვითარება უკეთ დაუცავთ ინგუშურსა და ბაცბურს — **ნიჰ**, რომელიც ემთხვევა ს.-ნახ. \***ნიჰ**- არქეტიპს. ს.-ქართვ. \***ნახ**- : ს.-ნახ. \***ნიჰ**- ფორმათა შედარება გამოაჩენს კანონზომიერ ფონემურ შეფარდებებს — **ხ** : **ჰ** (§ 40.1), **ა** : **ი** (§ 5.4).

ს.-ნახ. \***ნიჰ**- „გარსი, კანი“.

## ნა || ნა

ქართ. [„ნაი“], სვან. **ნაი** || **ნაი** „ჩვენ“: ინკლ. — **მე** და **შენ/თქვენ**, ექსკლ. — **მე** და **ის/ისინი**; თუ არ ჩავთვლით **ნა**- ნაცვალსახელურ დაბოლოებას ქართულსა და ზანურში, სვანური **ნაი** ტიპის ნაცვალსახელური ფუძე ქართველურში არ დასტურდება.

ს.-ქართვ. \***ნა-ი** „ჩვენ (ინკლ., ექსკლ.)“

იჩქ. **ვაი** || **ვეი** „ჩვენ“ : ინკლ. **მე** და **შენ/თქვენ**, ინგ. **ვაი** || **ვეი** "id", ბაცბ. **ვაი** "id", **ვაი-ღე** „ჩვენებური ე. ი. წოვა-თუში“, შდრ. იჩქ., ინგ. **ვაი-ნახ** "id" (ზედმიწ. „ჩვენი ხალხი“); საერთონახურში აღსადგენია \***ვა-ი** „ჩვენ (ინკლ.) ნაცვალსახელი“, რომლის ბადალიც უნდა იყოს სვანურში შემონახული **ნაი** || **ნაი**. თუ გავითვალისწინებთ ქართ. **ვ** : სვან. **ნ** შესატყვისობას ანლაუტში, პაუზის წინა პოზიციაში (ქართ. ვაკე : სვან. ნაკ ვაკე“, იხ. ჩუხ. 2000-2003: 24), შესაძლებელი ჩანს ქართულში **ვ** ვარიანტიან სახეობაზეც საუბარი. საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს, შდრ. **ნ** → **ვ** გარდაქმნა ბაცბურში: ქართ. ლიტონი → ბაცბ. ლიტავ "id".

ს.-ნახ. \***ვა-ი** „ჩვენ (ინკლ.)“.

## ნე-

ქართ. **ნე**- „სახელური სიტყვაწარმოებითი პრეფიქსი“, **ნე-რწყვი**, **ნე-რგ-ი**, **ნე-ზვ-ი**, **ნე-შტ-ი**, ზან. **ნა**- "id", **ნა-რჩხ-ი** „ნერცხი“, **ნა-რგ-ი** „ნერგი“, **ნა-რდ-ი** „ნაზარდი“, **ნა-ჰვალ-ი** „რძის ნაწარმი“; სვან. **ნე**- "id", **ნე-წტიდ** „წვრილი“, **ნე-ფყჷ** „თავსაბური“, **ნე-ღწმდ** „თიკანი“, **ნე-სკა** „შუა“, **ნე-ვეფ** „ნაკბენი“; საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის აღდება **ნე**- პრეფიქსიანი სახელური სიტყვაწარმოება [თოფ. 1938, VII; კლიმ. 1998: 140; ფენ.სარჯ. 2000: 355].

ს.-ქართვ. \***ნე**- „სახელური სიტყვაწარმოებითი პრეფიქსი“

იჩქ. **ნა**- „სახელური სიტყვაწარმოებითი პრეფიქსი“, ინგ. **ნა**- "id", ბაცბ. **ნა**- "id"; ნახურ სახელებში გამოიყოფა **ნა**- პრეფიქსი, რომელიც ფუძემურ წარმომავლობისაა და დღეს მხოლოდ სპეციალური ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოიყოფა: ს.-ნახ. \***ნა-ტყარ**- „ჩირქი“,

**\*ნა**-ფსორ „საფუძველი, საძირკველი“, შდრ. ს.-ქართვ. \*ფასჷ- „ძირი, ფესვი“. ს.-ნახ. **\*ნა**- პრეფიქსის აბლაუტური სახესხვაობა ჩანს **\*ნი**- ალმორფში, შდრ. ს.-ნახ. **\*ნი**-წყ- „ძალა“...

ს.-ნახ. **\*ნა**-/**\*ნი**- „სახელური სიტყვაწარმოებითი პრეფიქსი“.

### ნე-დღ-ი

ქართ. ნე-დღ-, ნე-დღ-ი „ნედლი, ცოცხალი“, შდრ. რუსთავ. „...ხე-სა შეიქმს ჳმელსა ნედლად“, ე. ი. გააცოცხლებს, ზან. (მეგრ.) ლა-დირ-ი „ნედლი, ახალგაზრდა“, ი-ბ-ლა-დირ-ებ-უ-ქ „განვახლდები, ახალგაზრდა ვხდები“, ლაზ. ლა-დრ-ე → || ლა-რდ-ე "id", სვან. ა-ლე-რდ „ნედლი“; საერთოქართველურ ძირად დილ- გამოიყოფა. ნე- ფუძესშეზრდილი თავსართია, შდრ. ნე-რგ-ი, ნე-შტ-ი, ნე-რწყჷ-ი, ნე-ზჷ-ი... [იხ. თოფ. 1931: 221-226; თოფ. 1938; ფენ-სარჯ., 2000: 355].

ს.-ქართვ. \*ნე-დილ- „ნედლი; ცოცხალი/არახმელი; ახალგაზრდა“

იჩქ. დინ-ა „ცოცხალი“, დენ-ან „გაცოცხლება“, "воскрешать", ინგ. დინ-ან "id", დინ-დარ || დინ-დჷ "id", დინ-ალ „სიცოცხლე“, ბაცბ. დინ-რ || დეან-რ ← \*დენ-ი „ცოცხალი“, დენ-დ-ალ-არ „მორჩენა“, დენ-დ-არ „გამრთლება, მორჩენა“, დენ-ოლ „ჯანმრთელობა“, დენ-დჷან „მკურნალი“; საერთონახურში ფუნქციონირებდა \*დენ-/\*დინ- აბლაუტური ზმნური ფუძე, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*ნე-დილ-. სი-ცოცხლის შინაარსი ძირითადია ორივე ჯგუფის ენათათვის. სემანტიკურ იგივეობას ზურგს უმაგრებს ბგერათშესატყვისობათა ჩვენება.

ს.-ნახ. \*დენ-/\*დინ- „გაცოცხლება; სიცოცხლე/ცოცხალი“.

### ნეზვ-ი || მეზვ-ი

ქართ. ნეზჷ-, ნეზვ-ი, მეზვ-ი „დედალი პირუტყვი“, ზან. (ლაზ.) ბოზო, ბოზო-მოთა „მდედრი, ქალი, ქალიშვილი“; ქართულ-ზანური მონაცემია, სადაც ქართულისთვის ივარაუდება ბ → მ → ნ ფონეტიკური გარდაქმნა. ე. ი. ლაზურის ჩვენება უძველესია. ფუძეთა დაკავშირებისთვის იხ. ჩიქ. 1938, გვ. 24.

ს.-ქართვ. \*ბაზჷ- „ნეზვი, დედალი პირუტყვი“

იჩქ. ბაჷა (ერგ. ბრ. ბაჷან-უო) „საქონელი“, ინგ. ბოჷან (ერგ. ბრ.

ბოჷან-დჷ) "id", ბაცბ. ბჷან ← \*ბაჷან „ძროხა, საქონელი“; ბაცბურში პირველი მარცვლისეული ა ჩავარდნილა, სამაგიეროდ ნაწილობრივ შენარჩუნებული ჩანს ფუძისეული ნ თანხმოვანი.

გასარკვევია, თუ ახასიათებდა ისტორიულად თანხმოვნის (ჟ) ლაბი-ალიზაცია წინარენახურ ფუძე-ენას, შდრ. ს.-ქართვ. \*ბაზჷ-.

ს.-ნახ. \*ბაჷან „საქონელი, ძროხა“.

## ნეკერ-ი

ქართ. ნეკერ-ი, ქართლ. ნეკარ-ი, მთიულ. ნაკერ-ი „ნეკერი“, ზან. (მეგრ.) ნოსველ-ი || ნოსველ-ა „რტო, შტო“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვალინეთ. ფიქსირებულ თანხმოვანმიმართებაში — ქართ. კ : ზან. ც ორივესთვის აღსადგენია ყ, შდრ. ყ → კ ქართულში, ყ → ც მეგრულ დიალექტში. ასე რომ, საერთოქართველური ენისთვის აღდგება \*ნაყარ- არქეტიპი.

ს.-ქართვ. \*ნაყ-არ- „ნეკერი, შტო, რტო“

იჩქ. ნეყ-დე „შტო, გამონაყოფი გვარში“, ინგ. ნაყ-ილ`გ "id", ბაცბ. ნაყ-ე; ბაცბური ეკვივალენტი დაკარგული ჩანს. საერთონახური ენობრივი ერთიანობისთვის აღდგება \*ნაყ-ე არქეტიპი, რომელიც ს.-ქართვ. \*ნაყ-არ-ლექსემის კანონზომიერი შესატყვისია. შესაძლოა -არ სუფიქსის გამონაწევრება საერთოქართველურში, რასაც მომავალი კვლევა-ძიება დაადგენს.

ს.-ნახ. \*ნაყ-ე „შტო“.

## ნე-კერჩხალ-ი

ქართ. ნე-კერჩხალ-ი || ნე-კენჩხალ-ი || მე-კენჩხალ-ი || მე-კერჩხალ-ი, ზან. (მეგრ.) მე-კენჩხალ-ი || ლე-კენჩხალ-ი || ლა-კენჩხა „ნეკერჩხალი“, სვან. ბი-კენჩხალ || ბი-კენჩხალ || ბი-კენჩხალ „ნეკერჩხალი“; სვანურში ფიქსირებული ბი- პრეფიქსი ზანურ-ქართულისთვის მე- პრეფიქსს ვარაუდობს, რადგანაც მ → ბ პროცესი ფონეტიკურად დასაშვებია სვანურში [იხ. ჩუხ. 2000-2003: 20]. სისინა ცხ კომპლექსიანი ფუძე რომ ქართულშიც იყო ამას სვან. (← ქართ.) ნაკურცხ "id" ამტკიცებს.

ს.-ქართვ. \*მე-კერცხალ- „ნეკერჩხალი“

იჩქ. კოხცალ || კოცხალ „ეკალი“, ინგ. კარცხალ „აკაცია; ეკალი“, ბაცბ. კარცხილ „რცხილა“; იჩქერიულში ფიქსირებული ო პირველ მარცვალში ისტორიულად მეორე მარცვლიდან არის გადმოსული: კოხცალ ← კახცოლ და ასახავს საერთონახურ მდგომარეობას, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა (§ 6.2), ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ო (§ 5.2).

ს.-ნახ. \*კარცხოლ- „რცხილა/აკაცია; ეკალი“.

## ნელ-ი

ქართ. ნელ-, ნელ-ი, ნელ-ებ-ა, ნელ-ი-ად, ა-ნელ-ებ-ს, ზან. (მეგრ.) ნარ-, ნარ-აფ-ი „ნელება“, ი-ნარ-უ/გ „მდოვრედ, ნელა ინძრევა“. სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა, შეიძლება დაკარგულია. მეგრულშიც ნარ-ალომორფი გადაშენების პირასაა [იხ. ჩუხ. 2000-2003: 169].

ს.-ქართვ. \*ნელ- „ნელი“

იჩქ. მელ-, მელ-ნ, მელ-ა-შა „ნელი, სუსტი“, ინგ. მელ-ა ← \*მალ-ი<sup>6</sup> "id", ბაცბ. მალ-ი<sup>6</sup> "id"; საერთონახურში რეკონსტრუირდება \*მალ- დი-რი, რომელიც ზუსტი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია ს.-ქართვ. \*ნელ- არქეტიპისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. მ (§ 16.3), ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა (§ 6.2).

ს.-ნახ. \*მალ- „ნელი, სუსტი“.

## ნემს-ი

ქართ. ნემს-, ნემს-ი, ძვ. ქართ. ნემს-ულ-ი, ზან. (მეგრ.) ლიფში || ლიში-ი, ლაზ. ლემში „ნემსი“; სვანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი შდრ. სვან. ნესყე ← \*ნესე(?) "id", [იხ. როზ. 1845: 33, ჩიქ. 1938: 163]; ჩვენი ვარაუდით, ინლაუტური მ/ფ ბაგისმიერები ფონეტიკური ჩანართია ქართველურ ენებში, რასაც თავკიდური ლ/ნ-ც უწყობდა ხელს.

ს.-ქართვ. \*ლეს- „ნემსი“

ჩიქ. მახა || მახა „ნემსი“, ინგ. მახჷ "id", ბაცბ. მახ ← \*მახა „ნემსი“; საერთონახურისთვის აღსადგენია \*მახ-ა არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. \*ლეს- ფორმას, შდრ.: ს.-ქართვ. \*ლ : ს.-ნახ. მ (§ 6.2), ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა (§ 31.7), ს.-ქართვ. ს : ს.-ნახ. ხ (§ 31.7). სემანტიკურ-სტრუქტურული იგივეობა ამ ფუძეთა ერთიანობას უეჭველს ხდის.

ს.-ნახ. \*მახ-ა „ნემსი“.

## ნენა

ქართ. ნენ-ა, გურ. ნენა-ი „დედა“, აჭარ. ნენე-მ „ბებია; დიდდა; დედა“, ზან. (ლაზ.) ნანა „დედა“, ნან-დიდ-ი „დიდედა“, მეგრ. ნანა „დედა“, ნანა-ია, გინგარუა ნანა-ია-ს „დედას გიტირებ“, შდრ. ნან-ინა ქართველურ სიმღერებსა და საგალობლებში რომ გვესმის, სვან. ნან-, ნან-ჲ → || ლან-ჲ „დედულეთი“; სვანური \*ნან- → ნან- → || ლან- დედის მნიშვნელობით ცოცხალ მეტყველებაში აღარ ისმის. ისტორიულად რომ ფუნქციონირებდა, ეს კარგად ჩანს ნან-ჲ „დედულეთი“ სიტყვის წარმომავლობის გარკვევისას: ჩვენი აზრით, დედულეთი სემანტემა განვითარდა სადედეთის გაგებიდან. ქართული სა- პრეფიქსის ფუნქციას ამ სიტყვაში -ჲ აფიქსი კისრულობს [იხ. ჩიქ. 1938: 17; ჩუხ. 2000-2003: 164].

ს.-ქართვ. \*ნენ-ა „დედა“

ჩიქ. ნანა „დედა“, ნანა-ბუორძ „დედა-მგელი“, ნანა-ბელგ „დედა თითი, მთავარი თითი“, ნანა-წა „მთავარი ოთახი, დედა-ოთახი/დარბაზი სახლში“, ინგ. ნანჷ "id", ნანი „დედა (მიმართვისას)“, ნანჷ-ქოთჷ „დედაქათამი, კრუხი“, ნანჷ-ხეთოლჷ „დედა-ღერო, ე. ი. მთავარი ღერო მცენარეებში“, ბაცბ. ნან || ნან ← ნანჷ „დედა“, ნან-ეშჷ „დედა“, ნან-ტარკ „დედა-თითი; ცერი“; ადვილი შესამჩნევია ნანა „დედა“ ლექსემის ფართო დისტრიბუცია ნახურ კომპოზიტებში, რომელიც ქართულისას ემთხვევა, შდრ.: ქართ. დედა-აზრ-ი, დედა-ბოდ-ი... ს.-ქართვ. \*ნენ-ა : ს.-ნახ. \*ნან-ა ფორმათა საერთო წარმომავლობაზე აღრევე აღინიშნა [ჩიქ. 1938: 18; გონ. 1940: 599].

ს.-ნახ. \*ნან-ა „დედა“.

## ნერბ-ი

ქართ. **ნერბ-**, **ნერბ-** „დედალი ცხვარი“, და-**ნერბ-**-გ-ა „ცხვრის და-გრილება, დამაკება“, შდრ. საბა: **ნერბ-**-გ-ა „ცხოვართ მაკონტლობა, ცხოვართ აღრევა“; სხვა ქართველურ დიალექტებში **ნერბ-** ძირის შესატყვისი ალომორფები არ ჩანს, ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. \***ნერბ-** „დედალი ცხვარი“

იჩქ. **აჟულ-**არგ || **აჟულ-**ურგ „ბატკანი ნაზამთრევი“, ინგ. **აჟულ-**ურგ "id", ბაცბ. **აღლბ** „ბატკანი“; ბაცბურის ვითარება უახლოვდება საერთონახურისთვის სავარაუდო არქეტიპს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ჰა → ა გარდაქმნა უკვე დასრულებულია. ამით იმის თქმა გვსურს, რომ ს.-ნახ. \***ჰაღლბ-** ← **წ-**ნახ. \***ლარბ-**, შდრ. ხუნდ. **ლემ-**აგ „ცხვარი“..., **ლემზგ.** **ლაფა-**აგ „ცხვრისა და თხის აღმნიშვნელი საერთო სიტყვა“.

ს.-ნახ. \***ჰაღლბ-** ← \***ლარბ-** „ბატკანი“.

## ნერდ-ი

ქართ. **ნერდ-** || **ნირდ-**, ფშ. **ნერდ-** „ყველის ან ხაჭოს შრავი“; „შრავის ნარჩენი“; მოხ. **ნირდ-** „ნადუღრის ნარჩენი სითხე“, ხევს. **ნერჯი** „ხაჭოიანი შრავი“. ზანურსა და სვანურში შესაბამისი ფუძე ჯერ-ჯერობით გამოვლენილი არ არის. უფრო არქაული ფშაური **ნერდ-** ი უნდა იყოს, მოხეური **ნირდ-** მისი ასიმილირებული სახეობაა. ისტორიულად **ნერდ-/ნირდ-** ქართულში *კარაქის* აღმნიშვნელი ლექსემა იყო.

ს.-ქართვ. **ნერდ-** „ნადუღის ნარჩენი; შრავი; კარაქი“

იჩქ. **ნალხ-**ა → || **ნაჟხ-**ა || **ნარხ-**ა „კარაქი“, "сливочное масло", ინგ. **ნალხ-** "id", ბაცბ. **ნარხ**; ბაცბურში მოსალოდნელი ფუძე დაკარგული ჩანს. სავარაუდოა **ღ** → **ხ** ისტორიულ ნახურ ენებში, შდრ. ს.-ქართვ. **ძარღუ-** : ს.-ნახ. \***ძორხ-** ← \***ძორღ-** „კუჭი“...

ს.-ნახ. \***ნალხ-** ← \***ნარღ-** „კარაქი“.

## ნერჩ-ი

ქართ. **ნერჩ-**, **ნერჩ-** „ძირი“, „ფსკერს ქვეშეთი“ (საბა), ქართული **ნერჩ-**ის თავდაპირველი მნიშვნელობის დასაზუსტებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მეგრულ დიალექტში შემორჩენილ შინაარსს: **ნერჩ-** „სახლის გული“ სახლის დასადგამი *ადგილი*, სადაც ოჯახი უნდა გამრავლდეს, აშენდეს“ [ჭარ. 1997: 102]. **ნერჩ-**ის საკუთრივ ზანური შესატყვისი უნდა ჩანდეს მეგრულ **ნარჩ-**ა ← \***ნარჩქ-**ა „ძირი“ სიტყვაში, შდრ. **ნარჩ-**ა **კუჩხ-**ი „ფეხის ძირი“. ამრიგად, ს.-ქართვ. \***ნერჩ-** ფორმას *ადგილის*, *ძირ-ფუძის* მნიშვნელობა ახასიათებდა.

ს.-ქართვ. \***ნერჩ-** „ძირი, ფუძე; საყრდენი ადგილი“

იჩქ. **მეთა-**იგ „ადგილი“, ინგ. **მოთა-**იგ "id", ბაცბ. **მოთა** „ადგილი,



ლოგინი“, (მრ. რ. **მათა**-იშ); იჩქერიულში **ე** და ბაცბურში **ა** იმაზე მიუთითებს, რომ საერთონახური არქეტიპი **ა** გახმოვანებისა იყო. ამიტომაც უძველეს ფორმად **\*მათა**- უნდა დავსახოთ. ს.-ქართვ. **\*ნერჩ**- : ს.-ნახ. **\*მათა**- ბუნებრივი შეფარდება ჩანს, შდრ. ბგერათშესატყვისობები ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2), ს.-ქართვ. **ნ** : ს.-ნახ. **მ** (§ 16.3), ს.-ქართვ. **ჩ** : ს.-ნახ. **თ** (§ 32.2). ნახურში **თ**-ს გემინაცია ისტორიული **რ**-ს დაკარგვის საკომპენსაციო შეიძლება იყოს.

ს.-ნახ. **\*მათა**- „ადგილი; ლოგინი“.

## ნესვი

ქართ. **ნესუ**-, **ნესვი**-, **ნეს-ოვანი**-ი „ნესვის ბოსტანი“, ძვ. ქართ. **ნესუ**-ხავარტი-, სვან. **ნესგ** კომპოზიტი კუახ-**ნესგ**, კუახ-**ნესგ**-ილ (კნინ.) „გოგრა, კვანი“; ზანური შესატყვისი დაკარგული ჩანს. ისტორიულ სვანურში მოშლილია ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაცია — **ნესგ** ←**\*ნესქუ** [იხ. ჩუხ. 2000-2003: 169].

ს.-ქართვ. **\*ნესუ**- „ნესვი“

იჩქ. **ნარს** „კიტრი“, ინგ. **ნარს** "id", ბაცბ. **ნარს**; ბაცბური ალომორფი არ არის გამოვლენილი. საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება **\*ნარს**- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. **\*ნესუ**- ძირისა. საყურადღებოა სემანტიკური მიმართება: ს.-ქართვ. **ნესვი** ~ ს.-ნახ. **კიტრი** [იხ. გონ. 1940, V-VI: 615]; შდრ. ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2).

ს.-ნახ. **\*ნარს**- „კიტრი“.

## ნესტარი

ქართ. **ნესტარი**-ი „სადასტაქრო დანა-ლანცეტი“, „დედალი ფუტკრის საჩხვლეტი ორგანო“, **ნესტრ**-ავ-ს, და-**ნესტრ**-ავ-ს, ზან. (მეგრ.) **ნეშთერ**-ი ← **\*ნოშთორ**-ი „შაშარი“, ლაზ. **ნოსთონ**-ი ← **\*ნოშთონ**-ი; სვანურში შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი [შდრ. ჩუხ. 2000-2003: 170]. ლაზურში **შთ** → **სთ** დღესაც მოქმედი ფონეტიკური პროცესია, რაც ნასესხებ ლექსიკაშიც იჩენს თავს: ბუ**შტი**-ი → ლაზ. ბუ**სტი**-ი [კარტ. 2005: 205].

ს.-ქართვ. **\*ნასთარ**- ←**\*მასთარ**- „ნესტარი, შაშარი“

იჩქ. **ბჰოსთა** (მრ. რ. **ბჰოსთან**-აშ) „ცულის ყუა, გნდე“, ინგ. **ბჰოსთაშ** "id", ბაცბ. **ბოსტა**<sup>წ</sup>; ბაცბური ეკვივალენტი დაკარგული ჩანს. საერთონახურში აღვადგენთ **\*ბოსთონ**- არქეტიპს, რომელიც კანონზომიერი შესატყვისია ს.-ქართვ. **\*ნასთარ**- ← **წ**-ქართვ. **\*მასთარ**- პრაფორმისა. ამ შეპირისპირების სემანტიკური მხარისთვის შდრ. ხვარშ. **უნუ** „ცული“, ხუნდ. **ჰაშტი** "id".

ს.-ნახ. **\*ბოსთონ**- „ცულის ყუა, გნდე“.

## ნეფხვ-ა

ქართ. ნეფხ-, ძვ. ქართ. სა-ნეფხ-ავ-ი, ნეფხ-უვ-ა || ნეფხ-ჟ-ა-ფ „ყინვა“, ნეფხ-ჟ-ავ-ს „ყინავს“, ზან. (ლაზ.) მაფხ-, წა-მაფხ-ა „წყარო“; ლაზური წა-მაფხ-ა „წყარო“ ეტიმოლოგიურად უდრის წყალი ცივი, შდრ. მეგრ. წყურგილ-ი = წყალ-გრილ-ი „წყარო“. ლაზური მაფხ-ა ასიმილირებული სახეობაა \*ნაფხ-ა არქეოლოგისა. დაკავშირება ეკუთვნის ომარ მეშიშის [ამის შესახებ იხ. ფენ.-სარგ. 1990: 240].

ს.-ქართვ. \*ნეფხ- ← \*ნემხ- „ყინვა, ყინული“

იჩქ. დაჰა-უო „მოყინვა, დაზრობა“, ინგ. დოჰა-ა-ბჟე "id", ბაცბ.

დოჰა-ა „გაზაფხული“; ნახურ ენებში ა/ო სუბსტიტუცია უნდა მიუთითებდეს ისტორიული ა ხმოვნის მომდევნოდ ლაბიალური ელემენტის არსებობაზე — \*დაჟჰა- → დოჰა- ს.-ქართვ. \*ნემხ- : ს.-ნახ. \*დაჟჰა- ბუნებრივი მიმართებაა, შდრ. ბგერათმეცნიერების ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. დ (§ 16.5), ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა (§ 6.2), ს.-ქართვ. ხ : ს.-ნახ. ჰა (§ 40.1). გაზაფხულის სემა ბაცბურში დაზრობა/შეყინვისგან ე. ი. ზამთრის, ყინვის შესუსტების ნიუანსისაგან განვითარდა.

ს.-ნახ. \*დაჟჰა- „შეყინვა, მოყინვა, დაზრობა“.

## ნეც-ვ-ა

ქართ. ნეც-, და-ნეც-ვ-ა || და-ნეც-უ-ა „პურის დამტვრევა; დამტვრევა“, სვან. ნეც-ინ (მწ-ნეც-ინ-ე, ხ-ო-ნეც-ონ-ა) „წვრილი“; ზანური ეკვივალენტი ვერ გამოავლინეთ. ამ მაგალითში მნიშვნელოვანია -ინ სუფიქსის პოზიციურება ზედსართავ სახელში, შდრ.: სვან. ჯჟინელ ← \*ჯჟელ-ინ : ქართ. ძჟელ-ი. ამგვარი ზედსართავი -ინ სუფიქსი დამახასიათებელია საერთონახური ადიექტივებისთვის: \*მალ-ინ „ნელი, ნელ-თბილი“, \*ნეთხ-ინ „თხელი“, \*ნისჟ-ინ „სწორი, მართალი“...

ს.-ქართვ. \*ნეც- „წვრილი; წვრილად მტვრევა“

იჩქ. დ-ოც-ა<sup>ნ</sup> || დ-უოც-ა<sup>ნ</sup> (ჰებ. დ-აც-ი<sup>ნ</sup>) „მოკლე“, ინგ. ლოაც-ა

← \*დოაც-ა ← \*დ-აც-ი<sup>ნ</sup> "id", ბაცბ. დ-აც-უ<sup>ნ</sup> „მოკლე“; ინგუშურში დ კლასის ნიშნის ფუძესთან შეხორცების მომდევნო ეტაპზე ამოქმედდა დ → ლ ფონეტიკური პროცესი [იხ. მალს. 1963: 153]. საერთონახურში აღსადგენია \*დ-აც-ინ ადიექტივი, შდრ. ს.-ქართვ. ნეც-.

ს.-ნახ. \*დ-აც-ინ „მოკლე“.

## ნეძ-ი

ქართ. ნეძ-ი, შდრ. ზან. (← ქართ.) ნეძ-ი „კაკალი, კაკლის ხე, ნიგოზი“, ზან. ლაჯ-ი || ლანჯ-ი „იფანი, კობიტი“, სვან. ნენძ → || ნენზ „სოჭი“; ქართულში ნეძ-ი ლექსემა დაკარგულა, მაგრამ ზანურ დიალექტებში ის შემონახულია. ყურადღებას იქცევს ს.-ქართვ. ძ → \*ჯ → ძ ||

**ზ** გასისინების პროცესი სვანურში, რაც არაიშვიათად სხვაგანაც იჩენს თავს [იხ. ჩუხ. 2000-2003: 27-30].

ს.-ქართვ. \***ნედ**- „კაკალი/ნიგოზი; სოჭი“

იჩქ. **ნაფ** || **ნაჯ** „მუხა“, „რკო“, **ნეფ**-ნ-აშ „რკო“, ინგ. **ნაჯ** || **ნაჩა** "id", ბაცბ. **ნაჯ**-; ბაცბურში **ნაჯ**- ალომორფი დაკარგული ჩანს. საერთონახურში ფუნქციონირებდა \***ნაჯ**- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია ს.-ქართვ. \***ნედ**- წინარე ფორმისა, შდრ. ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2), ს.-ქართვ. **ძ** : ს.-ნახ. **ჯ** (§ 30.1); ვიზუალური თვალსაზრისით *კაკალი* ~ *რკო* სემანტიკურ ერთობას სერიოზული საფუძველი აქვს.

ს.-ნახ. \***ნაჯ**- „მუხა; რკო“.

### ნეხვ-ი

ქართ. **ნეხვ**-ი || **ნეხვ**, ზან. (მეგრ.) **ნახ**-უ-ა ←\***ნახვ**-უ-ა „რეცხვა“ ← ეტ. ნეხვის მომორება, შდრ. **ნოხვ**-ერი ←\***ნახვ**-ერი „ნაგავი“; ქართულ **ნეხვ**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ზანური **ნახვ**- (ქართ. **ე** : ზან. **ა**) ალომორფი (დ. მაჭავარიანი).

ქართ. \***ნეხვ**- „ნეხვი“

იჩქ. (ახ.) **ლახ** „ნაკელი“, ინგ. —, ბაცბ. **ლახ** „ნაკელი“; ინგუშურსა და იჩქერიულის მთელ რიგ დიალექტებში სათანადო ფუძე დაკარგული ჩანს. ახიურ-ბაცბური იზოგლოსების საფუძველზე აღვადგენთ საერთონახურ \***ლახ**- არქეტიპს, რომელსაც კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. \***ნეხვ**- ძირი, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2), ს.-ქართვ. **ნ** : ს.-ნახ. **ლ** (§ 16.2).

ს.-ნახ. \***ლახ**- „ნაკელი“.

### ნისლ-ი

ქართ. **ნისლ**-, **ნისლ**-ი, ძვ. ქართ. **ნისლ**-ისფერნი, **ნისლ**-შემოხვეულ-ი, ზან. (მეგრ.) **ნირს**-ი ←\***ნისრ**-ი „ნისლი“, გო-**ნირს**-ილ-ი „ნისლიანი; გაყინული“, სვან. **მუსტ** ← **მისტ** ←\***მისლ**- „თოვლი“; სემასიოლოგიური გადაწევა *ნისლი* → *თოვლი* სვანურში განხორციელდა, რაც სავსებით კანონზომიერია [იხ. ჭარ. 1895, XII: 115; ჩუხ. 2000-2003: 155].

ს.-ქართვ. \***ნისლ**- „ნისლი; თოვლი“

იჩქ. **მარხ**-, **მარხ**-უო „ღრუბელი“, **მარხ**-ინ „ღრუბლიანი“, ინგ. **მარხ**-ჲ „ღრუბელი“, ბაცბ. **მარხ**-; საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება \***მარხ**- არქეტიპი, რომელიც ს.-ქართვ. \***ნისლ**- ფორმას შეესატყვისება, შდრ. ს.-ქართვ. **ნ** : ს.-ნახ. **მ** (§ 16.3), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **რ** (§ 13.3), ს.-ქართვ. **ს** : ს.-ნახ. **ხ** (§ 31.7). კანონზომიერია შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე — ს.-ქართვ. *ნისლი* ~ ს.-ნახ. *ღრუბელი*.

ს.-ნახ. \***მარხ**- „ღრუბელი“.

## ნიფხ-ავ-ი

ქართ. **ნიფხ-ავ-ი** „წვივისაცმელი“ (საბა), მესხ. **ნიფხ-ავ-ი** „ბურ-ტყელი; ბუმბული ფრინველისა“, ქართლ. **ნიფხ-ვ-ის-ტოტ-ა** „დიდჯამა ფურისულა“, **ნიფხ-ავ-ი** „ქვედა ტანისამოსი“, **ნიფხ-ავ-პერანგი**; სხვა ქართველურ დიალექტებში შესაბამისი ფუძე ვერ გამოვავლინეთ. რაც მომავლის საქმედ გვესახება.

ს.-ქართვ. \***ნიფხ-აჟ-** „ქვედა ტანისამოსი; ნიფხავი“

იჩქ. **დუნარ** || **დოუნარ** || **დაუნარ** „ფენსაცმელი, ტანსაცმელი“, ინგ. **დოუნარ** "id", ბაცბ. **დოუნფხუ** → || **დუნფხუ** „ტანისამოსი“; საერთონახურ მონაცემთან ახლოსა დგას ბაცბური ალომორფი. ს.-ქართვ.

\***ნიფხ-აჟ-** : ს.-ნახ. \***დაფხ-**ჟ- კანონზომიერი სემანტიკურ-სტრუქტურული შესატყვისობა ჩანს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ნ** : ს.-ნახ. **დ** (§ 16.5), ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3), ს.-ქართვ. **ფხ** : ს.-ნახ. **ფხ** (§ 44).

ს.-ნახ. \***დაფხ-**ჟ- „ტანსაცმელი, ფენსაცმელი“.

## ნიღრ-ი

ქართ. **ნიღრ-**, **ნიღრ-ი** „წალდის ცხვირი; ცულის წვერი“, „მახვილის ყუის გნდე“ (საბა), ძვ. ქართ. **ნიღრ-ი** „ცხვირი“; ზან. (მეგრ.) **ნიღურ-ი** „წალდის წვერი“, შდრ. გურ. (← მეგრ.) **ნიღურ-ი** "id"; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება \***ნიღარ-** არქეტიპი.

ს.-ქართვ. \***ნიღარ-** „წვერი, წვეტი; ნაპირი“

იჩქ. **მარ-**ა || **მარჰ-**ა „კონცხი“, ინგ. **მარჰ-ჰ** "id", ბაცბ. **მარლ'-ი**; ბაცბური შესატყვისი დაკარგული ჩანს. საერთონახურისთვის აღდგება \***მარლ'-ი** არქეტიპი, შდრ. ჰებ. **მარჰ-**ი "id". ბაცბური ალომორფის გაუჩინარებას ხელი შეუწყო **მარლ'-ლ** „ცხვირი“ ლექსემასთან კონტამინაციის შესაძლებლობამ. ს.-ნახ. \***მარლ'-ლ** „ცხვირი“ ~ ს.-ნახ. \***მარლ'-ი** „კონცხი“ მკაცრად უნდა გაირჩეს ერთმანეთისაგან, შდრ. ხუნდ. **მეჰერ** „ცხვირი“ და **მეჰერ** „მთა“. ეს უკანასკნელი ქართველური \***ნიღარ-** ფორმის შესატყვისია, ისევე როგორც ს.-ნახ. \***მარლ'-ი** „კონცხი“, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ნ** : ს.-ნახ. **მ** (§ 16.3), ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **ლ'** (§ 38).

ს.-ნახ. \***მარლ'-ი** „კონცხი“.

## ნიშ-ი

ქართ. **ნიშ-**, **ნიშ-ი/ა** „ნიშანი“, და-მ-ი-**ნიშ-ავ-ს**, **ნიშ-ოვ-ან-ი** (საბა), ე-**ნიშ-ა** (საბა), მოგუ-**ნიშ-ულ-ი** || მოგვ-**ნიშ-ულ-ი** „მოგვის მსგავსი“ (საბა); სხვა ქართველურ დიალექტებში **ნიშ-** ძირის შესაბამისი ალომორფები ვერ გამოვავლინეთ. ვინაიდან სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში გენეტიკურად მონათესავე ძირები ვლინდება, შესაძლებელია დავეუშვათ \***ნიშ-** არქეტიპის პროტოქართველურში ფუნქციონირება.

ს.-ქართვ. \*ნიშ- „მსგავსი; ნიში/ა“

იჩქ. თერ- || ←\*თერჰ-, თერ-ა ←\*თარჰ-ი<sup>ნ</sup> „მსგავსი“, თერ-დარ „მომსგავსება“, ინგ. თარჰ || თარჰ-ჰ „მსგავსი“, თარ- || თარჰ-ჰ-დჟ „მომსგავსება“, ბაცბ. თარლ-ენ-რ „მსგავსი“, თარლ-დარ „მომსგავსება, შედარება“; ისტორიული დ ნახურ დიალექტებში დაყრუვდა — დ → თ, რასაც, გარდა ქართული მასალისა, დალესტნურიც ამტკიცებს, შდრ. დალ., თაბ. დიში, აღ. დინე-ჟ "id". ამდენად, საერთონახურში აღსადგენია \*დარლ- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \*ნიშ- ძირისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. დ (§ 16.5), ს.-ქართვ. შ : ს.-ნახ. ლ (§ 32.4), ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა (§ 7.3).

ს.-ნახ. \*დარლ- „მსგავსი; მსგავსება“.

### ნიჩვ-ი

ქართ. ნიჩვ-ი || ნიჩვრ-ი || ნიჩურ-ი, ზან. (მეგრ.) ნიჩქვ-ი „უშნო პირისახე“, ო-ნიქვ-ინ-ან-ს „უშნოდა აქვს პირისახე“, შდრ. იმერ. (← მეგრ.) ნიჩქვ-ი „უშნო სახე“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [ფენ.-სარჯ. 2000: 361]. ჩვენს მიერ შემოტანილი ზმნური ნიქვ- ძირი მეგრულში ამოსავლად ნიჩქვ- სახელს გულისხმობს — \*ნიჩქვ- → ნიქვ-, ხოლო ნიჩურ-ი → ნიჩურ-ი || ნიჩ-ურ-ი ქართულში, შდრ. ქართ. იხვ-ი → იხვ-ი || ხვ-ი-იკ-ა [როგ. 1966: 233-235].

ს.-ქართვ. \*ნიჩურ- „დრუხი, ტუჩი; პირისახე“

იჩქ. დითჷ „პირი (დანის, ხანჯლის...)“, ინგ. დითჷ "id", ბაცბ. დითჷ "id"; საერთონახური \*დითჷ- კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*ნიჩურ- არქეფორმას. სემანტიკურ იგივეობას მხარს უმაგრებს ნახურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობათა ჩვენება, შდრ. ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. დ (§ 16.5), ს.-ქართვ. ჩ : ს.-ნახ. თჷ (§ 32.2).

ს.-ნახ. \*დითჷ- „პირი (დანის, ხანჯლის...)“.

### ნიხრ-ი

ქართ. ნიხრ-, ნიხრ-ი „სხვადასხვა საქონლის დაწესებული ფასები; სხვადასხვა გადასახადის ნორმები“; ნიხრ- ფუძის ქართველური შესატყვისები ვერ გამოვლინდა. ნიხრ-ი დამოწმებულია საბას ლექსიკონში, მაგრამ სამწუხაროდ განუმარტავია.

ს.-ქართვ. \*ნიხრ- „დაწესებული ფასი/გადასახადი“

იჩქ. მახა (მრ. რ. მახან-აშ) „ერთი მოკლულის საფასური“, ინგ. მახან "id", ბაცბ. მახან<sup>ნ</sup>; საერთონახური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \*მახან- არქეტიპი, რომელიც უფრო სრულად იჩქერიული ენის მრავლობითის ფორმებში შემოგვენახა. ს.-ქართვ. \*ნიხრ- : ს.-ნახ. \*მახან- კანონზომიერი მიმართებაა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. მ, ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა, ს.-ქართვ. რ : ს.-ნახ. ნ რეგულარული ხასიათისაა; ასევე შდრ. დალ., ანდ. მიში, კარ. ნიხუ → ||

**ნუნუ** „გადასახადი“...

ს.-ნახ. \***მანან**- „საფასური ერთი მოკლულისა“.

### **ნ-ოყ-იერ-ი**

ქართ. **ნ-ოყ-** || **ნ-ოყ-** || **ს-ოყ-**, **ნ-ოყ-იერ-ი** „პოხიერივით“ (საბა), **ნ-ოყ-იერ-ებ-ა** „სისავსე“ (საბა), **ნ-ოყ-ლ-ი** „მსუყე ნუშის გული“, **ს-ოყ-** (მ-ს-ოყ-ე); სვან. **ნე-შყ-**, **ლი-ნე-შყ-ე** || **ლი-ნ-შყ-ე** „გასუქება“, **პ-ნ-შყ-ე** || **პ-ნე-შყ-ე** „ასუქებს“, **ადა-ნე-შყ-ი** „გაასუქა“ [შმიდ. 1961: 150]; ქართველურ ენებში გამოიყოფა **ს-ოყ-**, **ნ-ოყ-** || **ნ-ოყ-** ძირები *სიმსუქნის*, *ცხიმია-ნობის* მნიშვნელობით. გამონაწევრებული **ნ-**, **ს-** ისტორიული, ფუძესმე-ხორცებული გრამატიკული კლასის ნიშნებია.

ს.-ქართვ. \***ნ-ოყ-**, \***ს-ოყ-** „ქონიანი/ცხიმიანი, ნოყიერი“

იჩქ. **დ-ოყ-ან** „სქელი“, **ა-ოყ-ან** "id", **დ-ოყ-დან** „შესქელება; შედეგდება“, ინგ. **დ-ოყ-ან** "id", **ა-ოყ-ან** "id", **დ-ოყ-დე** "id", ბაცბ. **დ-ოყ-ი** „სქელი“, **ა-ოყ-ი** "id", **დ-ოყ-დარ** „შესქელება; გასქელება“; ნახურ-ქართველურ ფორმათა სემანტიკური იგივეობა რეალობას წარმოადგენს. ფორმალურად აღწერილი არქეტიპები ს.-ქართვ. \***ს-ოყ-** : ს.-ნახ. \***ა-ოყ-**; ს.-ქართვ. \***ნ-ოყ-** : ს.-ნახ. \***დ-ოყ-** ფიქსირებული თანმიმდევრობით ჯგუფდება, ვინაიდან **ს-/ა-**, **ნ-/დ-** კორელაცია ფონეტიკურ-ფუნქციურ მორფოლოგიურ) შესატყვისობასაც გულისხმობს ქართვ.-ნახ. ენებში

ს.-ნახ. \***დ-ოყ-**; \***ა-ოყ-** „სისქე; სქელი“.

### **ნოყ-ო**

ქართ. **ნოყ-**, **ნოყ-ო** „პატარა, მდორე მდინარე“, გურ. **ნოდ-ო/ა** „ხევი, ღელე“; ზან. (ლაზ.) **ნოდ-ა** „ნაბირი“, მეგრ. **ნოდ-ო** || **ნოდ-ა** „მდინარის ტოტი; მდინარის ყოფილი კალაპოტი“, **ნოდ-ო-ხაში-ი**, **ო-ნოდ-ია**, **ნოდ-ელ-ა** (ტობ.); სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [კლიმ. 1964: 148; ფენ.-სარჯ. 2000: 362]. საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება \***ნოყ-** არქეტიპი, რომლისგანაც **ყ** → || **დ** გადაბგერებით თანამედროვე ქართველური ალომორფები განვითარდა.

ს.-ქართვ. \***ნოყ-** „ხევი; ღელის/მდინარის კალაპოტი“

იჩქ. **ნეყ** „გზა“, **ნოჟყ-ა** „გზაში“, **ნოჟყ-ა-დწლა** „გზაზე გასვლა“; **ნოჟყ-ა-დაჟჰ** „გაცილება გზაში“, ინგ. **ნეყ** „გზა“, **ნოჟყ-არ-ან** „გზიდან“, **ნოჟყ-ოსტ** „თანამგზავრი; მეგობარი“, ბაცბ. **ნეყ** „გზა“, **ნაყვ** „გზით, გზაზე“; წარმოდგენილ ნახურ ალომორფთა შეჯერებით აღსადგენია \***ნჟაყ-** არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***ნოყ-**. სავარაუდოა **ო** → **ჟა** საერთონახურში, შდრ. ხუნძ. **ნუხ**, ხინ. **კჟარ** „გზა“... მისაღები ჩანს *კალაპოტი* ~ *გზა* სემანტიკური კორელაცია.

ს.-ნახ. \***ნჟაყ-** „გზა“.

## ნუნ-ა

ქართ. ნულ-, ნუნ-ა „ღრძილის გარეთა ნაწილი კბილის ირგვლივ“, ზან. (მეგრ.) ნოლ-, ნოლ-ეფ-ი „ღრძილები“; სვანური ეკვივალენტი ვერ გამოვლინდა. ზანურს უკეთ დაუცავს საერთოქართველური ვითარება, ქართულში დასტურდება **ლ** → **ნ** პროგრესული ასიმილაცია, ფუძის გახმოვანებაც მეორეული ჩანს; ალბათ **ოცა** → **უცა**, რადგანაც **ოა** დიფთონგი ქართულში არაბუნებრივია.

ს.-ქართვ. \*ნოლ-ა „ღრძილები; რძილის გარეთა ნაწილი“

იჩქ. დოლა (ითუმყ. დოლა, ქისტ. დოლ) „ღრძილი“, ინგ. დოლნ "id", ბაცბ. დოლ „ღრძილი“. ბაცბურში ბოლოკიდური ე მოკვეცილია ისევე, როგორც ქისტურში. საყურადღებოა ს.-ქართვ. **ნ** : ს.-ნახ. **დ**, ბგერათმიმართება იხ. აქვე, § 16.5.

ს.-ნახ. \*დოლ-ე „ღრძილი“.

## ნუსა-დია

ქართ. ნუს-ა, ნუსა-დია „ბიძას-ცოლია“ (საბა), „ხოლო ბიძის ცოლსა არა ეწოდების სძალი, არამედ ნუსადია“ (საბა), ზან. ნოსა || ნუსა || ნისა „რძალი“, არქაბულ კილოკავში დასტურდება *ჭუტა ნუსა* = *პატარა რძალი* ანუ *პატარძალი*, შდრ. ნოლამისა ← \*მოზა-ნისა „პატარძალი“ = *ახალი რძალი* [იხ. ჩიქ. 1938: 39; ჩუხ. 2000: 148].

ს.-ქართვ. \*ნუს- „რძალი“

იჩქ. ნუც „სიძე, საქმრო“, ინგ. ნეაც ← \*ნუც "id", ბაცბ. რნუც; ბაცბურში ნუც დაკარგულად ითვლება; ქართულმა სიძე → სიძე ფუძემ გამოდევნა ხმარებიდან. ასევე ქართულიდანაა შეთვისებული ნახურ ენათა ნუს „რძალი“ ლექსემატ.

ბუნებრივი ჩანს კორელაცია ს.-ქართვ. *რძალი* ~ ს.-ნახ. *სიძე*.

ს.-ნახ. \*ნუც- „სიძე, საქმრო“.

## ნუშ-ი

ქართ. ნუშ-, ძვ. ქართ. ნუშ-ი „ყველი“; ზანურ-სვანურში მოსალოდნელი ნუშქ- სახეობა არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. \*ნუშ- „ყველი“

იჩქ. შუონ (მრ. რ. შუონ-აშ) „ღვრიტა, კვეთი“, ინგ. შოა ← \*შონ "id", ბაცბ. რონ. ბაცბური სახეობა დაკარგული ჩანს. საერთონახურისთვის \*შონ- არქეტიპი უნდა აღდგეს, რაც ე. წ. შებრუნებული წყობის ფუძედ გვევლინება, იხ. აქვე, § 3. შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე ყველი ~ *ღვრიტა/კვეთი* ბუნებრივად გვესახება.

ს.-ნახ. \*შონ- „ღვრიტა, კვეთი“.

-ო

ქართ. **ტენ**-ი „ნესტი, სისველე, სინოტივე“, და-**ტენ**-იან--ებ-ა, **ტენ**-იან-ი, ზან. (მეგრ.) **ტიტინ**-, მო-**ტიტინ**-აფ-ა „წყლით გავსება“, მო-**ტიტინ**-აფ-ილ-ი „წყლის გავსებული, გაჭერებული“, სვან. **ტგტგნ**-, ლი-**ტგტგნ**-ი „წყლით, სითხით გავსება“ ლგ-**ტგტგნ**-ე „გადავსებული“; საერთოქართველური ენობრივი მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \***ტიტინ**- არქეტიპი [შდრ. კლიმ. 1964: 180, 1998: 186; ფენ.სარჯ. 2000: 430].

ს.-ქართვ. \***ტიტინ**- „წყლით გაჭერება; სისველე“

იჩქ. **ტად**- ←\***ტატ**- „სველი, ტენიანი“, **ტად**-უო „გალუმბვა“, **ტად**-ამ „წვეთი“, **ტად**-ან „სველი, ტენიანი“, ინგ. **ტად**- ←\***ტატ**- "id", **ტად**-უო "id", **ტად**-ან "id", **ტად**-ან ←\***ტატ**-ენ „სველი“, ბაცბ. **ტატ**-ნა „სისველე“, **ტატ**-ოლ "id", **ტატ**-დარ „დასველება“, **ტატ**-ენ „სველი, ნოტიო“; ცხადია საერთონახურ ძირად \***ტატ**- გამოიყოფა, რომელსაც იგივე შინაარსი ახასიათებს, რაც ს.-ქართვ. \***ტიტინ**- არქეტიპს. *სისველის* გაგება ძირითადი ჩანს ორივე ჯგუფის ენათათვის, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3).

ს.-ნახ. \***ტატ**- „სველი, სისველე“, „დასველება“.

## ტერფ-ი

ქართ. **ტერფ**-, **ტერფ**-ი „ფენის ძირი“, ზან. (ლაზ.) **ტაბ**-ან-ი || **ტაბ**-უ „ფენის გული, ქუსლი“. სვანურში შესაბამისი ფუძე ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. \***ტერბ**- „ტერფი, ფენის გული, ქუსლი“

იჩქ. **ტარა** || ← **ტარუ**, „ნები, ხელის გული“, ინგ. **ტარა** "id", ბაცბ. **ტარ** "id". ბაცბურში შემონახული ბოლოკიდური **რ** ისტორიული **ჟ** ფონემის ვოკალიზაციით ჩანს მიღებული **რ**-ს მომდევნო პოზიციაში: \***ტარჟ** (შდრ. მრ. რ. ფორმა **ტარუ**-დ) → **ტარ**რ.

ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ბ** : ს.-ნახ. **ჟ** სხვა მასალაშიც რეგულარულად ვლინდება, იხ. აქვე, § 23.3.

ს.-ნახ. \***ტარჟ**- „ხელის გული“.

## ტვინ-ი

ქართ. **ტვინ**-, **ტვინ**-ი, ძვ. ქართ. **ტვინ**-ი „ტვინი; ცხიმი“, გან-**ტვინ**-ვა „ჩაქოლვა“, გან-ვ-ი-**ტვინ**-ე-თ, ზან. (მეგრ.) **ტვინ**-, **ტვინ**-ი „ტვინი“, **ტვინ**-გა || **ტვინ**-გალ-ი „უტვინო“, სვან. **თჟელ** || **თრლ** „ტვინი“; საერთოქართველურ არქეტიპად აღსადგენია \***ტვინ**- სახელური ძირი, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვალეა განიცადა სვანურში — **ტ** → **თ**, თუმცა იგივე დეგლოტალიზებული სახეობა მეგრულშიც შეინიშნება ნეგატიური შინაარსის ფორმებში: **თვინ**-გა || **თვინ**-გალ-ი „უტვინო“, შდრ. **ტვინ**-გალ-ი "id".

ს.-ქართვ. \***ტვინ**- „ტვინი; ცხიმი“

იჩქ. **ტუმ** „ძვლის ტვინი“, ბუყან **ტუმ** „ზურგის ტვინი“, ინგ. **ტუმ** (მრ. რ. **ტომ-არ-აშ**) "id", ბაცბ. **ტუმ** „ძვლის ტვინი“; „ნიგვზის, თხილის გული“; საყურადღებოა **უ** → **ო** სვანურში და **უ** || **ო** სუბსტიტუცია ინგუ-შურში. საერთონახური ფუძე-ენისთვის რეკონსტრუირდება \***ტუმ**- არქეტიპი, რომლის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \***ტჳინ-** — **ნ** : **მ** იხ. აქვე, § 16.3. საერთონახურში განხორციელდა **ჳი** → **უ**, რაც ლაბიალიზებული კომპლექსთა მოშლის ერთ-ერთი გზა არის.

ს.-ნახ. \***ტუმ**- ← წ.-ნახ. \***ტჳიმ-** „ტვინი; გული (ნიგვზის, თხილის)“.

### ტილ-ი

ქართ. **ტილ-**, **ტილ-ი**, ძვ. ქართ. **ტილ-**, **ტილ-თა**, ზან. (მეგრ.) **ტი** (მრ. **ტი-ეფი**) „ტილი“, **ტი-ამ-ი** „ტილიანი“, ლაზ. **ტი** || **მტი** || **ტირ-ი** || **მტირ-ი** "id", სვან. **ტიშ** „ტილი“; საერთოქართველურ არქეტიპად აღსადგენია \***ტილ-** წინარეფორმა, რომელმაც სვანურში მოგვცა **ტიშ** ალომორფი, შდრ. **ლ** → **შ** : **წულ-ი/ჭჳიშ** || **ჭუშ** [როგ. 1951: 636]. დასახელებულ ფუძეთა კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს [ჭარ. 1895, XII: 113; უორდ. 1911: 613; ჩიქ. 1938: 116].

ს.-ქართვ. \***ტილ-** „ტილი“

იჩქ. **ტილ-გ** „ერთგვარი მკბენარი“, ინგ. **ტილ-გ** "id", ცის-**ტილ-გ** „ტკიბა“, ბაცბ. **ტილ-კ**; ნახურ ენებში უცნაურია **ო** განმოვანების გამოჩენა საერთოქართველური **ი-ს** საპირისპიროდ, თუმცა დადესტნური მონაცემებიც **ი-ს** პრიმარობას უჭერენ მხარს, შდრ. ხუნძ. **ტიჰ**, ლეზგ. **ნიტ**, დარგ. **ნიდ** „წილი“... ისლა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ნახური **ო** საერთონახური **ა** ვოკალის შემდგომი საფეხურია, შდრ. ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3) და ამის შემდგომ **ა** → **ო**. საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ნახ. \***ტალ-** „ერთგვარი მკბენარი; ტკიბა“.

### ტლაბ-ო

ქართ. **ტლაბ-**, **ტლაბ-ო** || **ტლაბ-ი** „თხელი ტალახი“, ზან. (ლაზ.) **ტოლოფ-ი** „ტალახი“, **ტოლოფ-ონ-ი** „ჭუჭყიანი“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ [იხ. კარტ. 1979: 66]. ფუძეენური მდგომარეობისთვის აღვადგენთ \***ტალაბ-** არქეტიპს [შდრ. ფენ.-სარჯ. 2000: 439].

ს.-ქართვ. \***ტალაბ-** „ტალახი, ჭუჭყი“

იჩქ. **ტალფ** (ჭებ. **ტალაფ**) „გამხმარი სკორე“, ინგ. **ტოლბ** ← \***ტოლ-ლაფ** "id", ბაცბ. **ტილფ**; საერთონახური არქეტიპი სრულად არის შემორჩენილი ჭებერლოურ დიალექტში. ს.-ნახ. \***ტალაფ-** : ს.-ქართვ. \***ტალაბ-** შეპირისპირება გამოაჩენს **ბ** : **ფ** ბგერათშესატყვისობას (§ 25.2). ბუნებრივი ჩანს სემანტიკური კორელაცია **ჭუჭყი** ~ **სკორე**. ყურადღებას მიიქცევს ერთგვაროვანი **ბ** → **ფ** ფონეტიკური პროცესი ლაზურსა და ნახურში.

ს.-ნახ. \***ტალაფ-** „გამხმარი სკორე“.

### ტოილ-ო

ქართ. **ტოილ-**, **ტოილ-ო** (საბა), ზან. (მეგრ.) **ტოულ-**ი „ძროხის საბელი“, დო-**ტოულ-**აფ-ა „საქონლის დაბმა“. იმერული **ტოულ-**ო, და-**ტოულ-**ებ-ა ზანიზმი გვეგონია.

ს.-ქართვ. \***ტოილ-** „საბელის სახეობა“

იჩქ. **ტიარ-**იგ „ბაწარი, თოკი“, ინგ. **ტიარ-**გ "id", ბაცბ. **ტერ-**კ „ხვანჯარი“. ბაცბურში ფუძისეული ნახევარხმოვანი **ა** ჩავარდნილია — **ტერ-**კ ←\***ტიარ-**კ.

ნახურ-ქართველურ ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა ადვილი დასანახია. ხოლო ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **რ** ბგერათშესატყვისობი-სათვის იხ. აქვე, § 13.3.

ს.-ნახ. \***ტიარ-** „ბაწარი, თოკი; ხვანჯარი“.

### ტოქ-ებ-ა

ქართ. **ტოქ-**, სიტყვებში: მე-**ტოქ-**ე, ე-**ტოქ-**ებ-ა, სი-**ტოქ-**ე, ზან. (ლაზ.) **ტოქ-**, **ტოქ-**სერ-ი „წინა ღამე, წინა დღეებში“, სვან. **ტოქ-**, ლი-**ტოქ-**ე „თევზების პეპლვა“; გასარკვევია, რა ურთიერთობა გვაქვს ძვ. ქართულ მე-**ტოქ-**ი „მონასტრის კუთვნილი სახლი“ სიტყვის **ტოქ-** ძირთან.

ს.-ქართვ. \***ტოქ-** „მოწინააღმდეგე, წინა“

იჩქ. **ტაჰა-**ფე (ჰებ. **ტოჰა-**ფე) „შთამომავლობა, მემკვიდრეობა“, ინგ. **ტეჰა-**ფე "id", შდრ. იჩქ. **ტაჰა-**ა, ინგ. **ტეჰა-**ა- „უკან“, ბაცბ. **ტყუაჰა-**ე „უკან“, **ტყუაჰა-**რენ-დაჰა „უკნიდან“; ბაცბური **ტყუაჰა-**ე ←\***ტყოჰა-**ე, შდრ. ჰებ. **ტოჰა-**ფე. საინტერესოა ამ ნახურ-ქართველურ ფუძეთა სემანტიკური მიმართება: წინ *აღმდგომი* ~ უკან *მდგომი* = *შთამომავალი*. ამგვარი მიმართების ნიმუშად გამოდგება ქართ. **წინა** სიტყვის სემანტიკური დისტრიბუცია, როცა **წინა** ფუძე სიტყვებში **წინა-**დღით, **წინა-**პარი *უკან* ანუ *განვლილ* ეტაპზე მიუთითებს.

ს.-ნახ. \***ტოჰა-** „უკან, შთამომავალი“.

### ტუ-ა

ქართ. **ტუ-ა** „ცური, ჭიქანი“, ზან. (მეგრ.) **ტუ** || **ტგ** „ცური“, ლაზ. **ტუ** "id"; სვანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი. იმერული **ტუ** „ცური“ ზანიზმი ჩანს, შდრ. კახური **ტუ-ტუ-ა** "vulva". საერთოქართველურისთვის აღსადგენია \***ტჷ-**ა არქეტიპი, რომელმაც ზანურში მოგვცა \***ტჷო** → \***ტუ-** [იხ. ახვლ. 1938: 159].

ს.-ქართვ. \***ტჷ-**ა „ცური, ჭიქანი“

იჩქ. **ტარ** „ძუძუ, ძუძუს თავი“, ინგ. **ტარ** "id", ბაცბ. **ტარ** „ძუძუ“; საერთონახურ არქეტიპად აღსადგენია \***ტარ-** წინარეფორმა. მისი კანონ-ზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \***ტჷ-**ა. ამ ფუძეთა შეპირისპირებითი ანალიზისას გამოჩნდება ბგერათშესატყვისობის საყურადღებო ფორმუ-

ლა ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. რ, რაც ცნობილია ქართველურ ენათა საერთო მასალაში, შდრ. ქართ. მშეგ- : ზან. მშქორ- || შქგრ- „შიმშილი“ (იხ. აქვე, § 20.5). აქ განხილული შეპირისპირება ანალოგიურია ს.-ქართვ. \*წყ- : ს.-ნახ. \*წარ- „ცეცხლი“ შეფარდებისა (იხ. წგ-ა).

ს.-ნახ. \*ტარ- „ძუძუ; ძუძუს თავი“.

### ტუკ-ი

ქართ. ტუკ-, ტუკ-ი „წლის წიღნა“ (საბა), გურ., იმერ., ლეჩხ. ტუკ-ი „კეტი ან გრძელტარიანი ურო ხისა“, და-ტუკ-ვა „კეტებით ცემა“, ტუკ-ი „მსხვილი კეტი“ (ქველ-ი), ზან. (მეგრ.) ტუნკ-ი „მსხვილი ჯოხი“; დო-ბ-ტუნკ-ე „მსხვილი ჯოხით ვცემე“, ტუნკ-უ-ა „მსხვილი ჯოხებით ცემა“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \*ტუკ- არქეტიპი.

ს.-ქართვ. \*ტუკ- „მსხვილი კეტი, ჯოხი“

იჩქ. დუყ-უ „მორი, დირე“, ინგ. დუყ-უტუ "id", ბაცბ. «დუყ-»; საერთონახურში ფუნქციონირებდა \*დუყ- პრაფორმა, რომელსაც კანონზომიერი შესატყვისი მოეპოვება ს.-ქართვ. \*ტუკ- არქეტიპის სახით, შდრ. დარგ. დუკი „მორი, დირე“.

ს.-ნახ. \*დუყ-ეტუ „მორი, დირე“.

### ტულ-ა-ობ-ა

ქართ. ტულ-, ტულ-ობ-ა || ტულ-ა-ობ-ა „თევზთ პებლვა“ (საბა), ი. ჯავახიშვილი ქართულ ტულაობა სიტყვას აკავშირებდა სვანურ ტელ-ეფ-ია-სთან („მელდად ტულ-ეფ-ია“), რაც გასაზიარებელი ჩანს დღესაც [იხ. ჯავახ. 1937: 250]. ამ სიტყვათა ზანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. \*ტულ- „სქესობრივი კავშირი“

იჩქ. (ქისტ., ითუმყ.) ტოლ „სასქესო ორგანო ბავშვისა“ ინგ. ტოლ ||

ტგლ "id", ბაცბ. «ტოლ»; ბაცბურში გამოსავლენია ტოლ ფუძე. სხვა მხრივ, შესატყვისობათა ჩვენება ნახურ-ქართველურ დიალექტებში დაცულია, იხ. ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. ო, § 9.2. შდრ. ს.-ნახ. \*ტუნ- „სასქესო ორგანო; სქესობრივი კავშირი“.

ს.-ნახ. \*ტოლ- „სასქესო ორგანო“.

### ტულ-ი

ქართ. ტულ-, ძვ. ქართ. ტულ-ი „ლეიბი“, სხვა ქართველურ დიალექტებში ძვ. ქართ. ტულ- ძირის შესატყვისები არ არის გამოვლენილი. მთის დიალექტებში ფიქსირებული ტოლ-ი „შინ მოქსოვილი შალი, საჩოხე ქსოვილი“ ნახური ენებიდან უნდა იყოს შემოსული.

ს.-ქართვ. \*ტულ- „ლეიბი, საფენი“

იჩქ. ტუმალ-იგ (მრ. რ. ტოლ-გ-აშ) „ჩვარი, ჭინჭი“, ინგ. ტოლ-იგ ||

ტუოლ-იგ "id", ბაცბ. ტოლ-იკ „უხეში ქეჩის ნაბადი“. იჩქერიულში და-



დასტურებული უ მიღებულია **ოფ** → **ჟფ** გარდაქმნით, რამდენადაც აქ **ოფ** თანმიმდევრობა არაბუნებურივი ჩანს. ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **ო** შესატყვისობა კანონზომიერია, იხ. აქვე, § 9.2.

ს.-ნახ. \***ტოლ-** „ჩვარი, ჭინჭი; ქვეშსაგები; ნაბადი“.

### ტურტლ-ი

ქართ. **ტურტლ-ი** „ჭუჭყი, სიბინძურე“, ზან. (მეგრ.) **ტირტონ-ტვრტონ-**, მო-**ტირტონ-ილ-ი** „მოთხაპნილი, გაჭუჭყიანებული“; სვანურ შესატყვისს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. \***ტურტლ-** „ჭუჭყი, სიბინძურე“

იჩქ. **ტონტრ-<sup>1</sup>**, ინგ. **ტონტრ-<sup>1</sup>**, ბაცბ. **ტონტრ<sup>რ</sup>** „წირბლი“; ვინახურ ენებში შესაბამისი ფუძეები დაკარგული ჩანს, საერთონახურ არქეტიპზე ფიქრი შესაძლებელია მხოლოდ ბაცბური მონაცემის მიხედვით. ბუნებრივი ჩანს შესატყვისობები ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ნ** (§ 14.3), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **რ** (§ 13.3), ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **ო** (§ 14.3). ბოლოკიდური **-ლ** საკუთრივინახური სუფიქსია. დასაშვებად მიგვაჩნია სემანტიკური შეპირისპირება: *ჭუჭყი ~ წირბლი*.

ს.-ნახ. \***ტონტრ-ლ** „წირბლი“.

### ტუს-ვა

ქართ. **ტუს-**, **ტუს-ვა-ა**, **შე-ი-ტუს-ა**, **შე-ტუს-ვა-ილ-ი**, ზან. (მეგრ.) **ტუც-** ←\***ტუს-**, **ტუც-უ-ა** „ტუსვა ცეცხლით“, **ტუც-ილ-ი** „გაფუფქული“, სვან. **ტუს-**, **ლი-ტუს-ე** „საკმევლის კმევა“, **ნა-ტუს-უნ** „საკმეველი“, **მუ-ტუს-ე** „საკმევლის კმევა“, **ნა-ტუს-უნ** „საკმეველი“, **მუ-ტუს-ე** „მკმეველი“, **ჟან-ტუს-ე** „დაწვა“. ქართულ-სვანურ ფუძეთა მიმართებისთვის იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 442.

ს.-ქართ. \***ტუს-** „ტუსვა; ფუფქვა; წვა, კმევა“

იჩქ. **თუს-**, **თუს-ა<sup>ნ</sup>** || **თუს-არ** „გავარვარება, გახურება/წრთობა“, ინგ. **თუუს-**, **თუუს-ა<sup>ნ</sup>** || **თუუს-არ** "id", ბაცბ. **თუფს-<sup>1</sup>**. იჩქერიულში **უ-ს** სიგრძე საკომპენსაციო ჩანს — **უუ** → **უ**; ინგუშური **უს** : ბაცბური **ფს** თანმიმდევრობა ისტორიულად **სუ** ლაბიალიზებული კომპლექსის მოშლითაა მიღებული: \***სუ** → **უს** || **ფს** [იხ. ჩუხ. 1992].

ს.-ქართვ. **ტ** : ს.-ნახ. **თ** ფუძის სიმბოლიკური აგებულებით (ბგერ-წერით) აიხსნება.

ს.-ნახ. \***თუსუ-** „გახურება/წრთობა“.

### ტყავ-ი

ქართ. **ტყავ-**, **ტყავ-ი**, **ტყავ-ებ-ა**, **ა-ტყავ-ებ-ს**, **გადა-ე-ტყავ-ებ-ა**, ზან. (მეგრ.) **ტყებ-ი** ←\***ტყობ-ი** „ტყავი“, შდრ. გურ. (← მეგრ.) **ტყობ-ერ-ა-ი** „კანი, ტყავი ხის“, **ტყაბ-არ-უ-ა** „გატყავება“, **გინა-ტყაბ-არ-უ-ნ**

„გადაეტყავება“, ლაზ. **ტკები** ←\***ტკობ**-ი „ტყავი“ [იხ. ჩიქ. 1938: 70, თოფ. 1937b: 143], სვან. **ტყუფ**, ხ-ე-**ტყუფ**-ენ-ი „სძვრება (ტყავი, კანი...)“, მე-**ტყუფ**-ე „ატყავებული“ [ჩუხ. 2000-2003: 218].

ს.-ქართვ. \***ტყაუ**- „ტყავი, გადატყავება“

იჩქ. **ტყამ** || **ტამ** (ახ. **პყამ** || **ტყამ**) „ფრთა“, ინგ. **ტყამ** "id", ბაცბ. **პჰან** „ფრთა“. ვაინახური **ტ** : ბაცბური **პ** სიტყვის თავში იმაზე მიუთითებს, რომ აქ განსხვავებული, ფუძესშეხორცებული გრ. კლასის ნიშნები გვაქვს, შდრ. სხვა შემთხვევა — ვაინახ. **თხოუ** : ბაცბ. **ფხუე** „სახურავი, სარქველი“. **თ/ტ**, **ფ/პ** შესაბამისად დაყრუებული **ბ**-, **დ**- გრ. კლასის ნიშნებია. ს.-ქართვ. **ჟ** : ს.-ნახ. **მ** შეფარდებისთვის იხ. აქვე, § 20.3.

ს.-ნახ. \***ტყამ**- „ფრთა“.

## ტყე

ქართ. **ტყე**, **ტყე**, ძვ. ქართ. **ტყე**-ა, **ტყე**-ან-ი „ტყიანი“, ზან. (მეგრ.) **ტყალ**- „ტყე; სარეველა ბალახი“, **ტყალ**-ონ-ი „ბუჩქნარი“, შდრ. **ტყალ**-ეფ-ი „ტყეები“, ო-**ტყალ**-უ „სანადიროდ“, ლაზ. **ტკა** || **მტკა** ← **ტყა** „ველური ბალახი; ასკილი, მაცვალი“, **ტყა**-ში ქოთუმე „ტყის ქათამი“, **მტკორ**-ი ღეფი „ტყიური ღორი“, სვან. **ტყენ** „კეტი“; საერთოქართველური ფუძეწერი მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \***ტყელ**-არქეტიპი [შდრ. კლიმ. 1964: 184; ფენ.-სარჯ. 2000: 444].

ს.-ქართვ. \***ტყელ**- „კეტი; სარეველა მცენარე; ტყე“

იჩქ. **ად** „მშვილდი“, ინგ. **ად** || **ათა** "id", ბაცბ. **ატყ** „მშვილდი“, **ატყ**-წაქი „მშვილდი-ისარი“; საერთონახური \***ატყ**- არქეტიპი უცვლელად არის შემონახული ბაცბურში. ს.-ქართვ. \***ტყელ**- „კეტი“ : ს.-ნახ. \***ატყ**- „მშვილდი“ კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკური შესატყვისობა ჩანს, შდრ. **ე** : **ა** (§ 6.2), **ტყ** : **ტყ** (§ 44).

ს.-ნახ. \***ატყ**- „მშვილდი“.

## ტყებ-ა

ქართ. **ტყ**-, **ტყ**-ებ-ა, ძვ. ქართ. **ტყ**-ებ-ა-ა „ტირილი, გოდება“, ვ-**ტყ**-ებ-დ-ი-თ „ვტიროდი“, სვან. **ტყუ**-ეფ- „ცემა“, ლო-ხ-**ტყუ**-ეფ „სცემა“; შესაძლოა ქართული **ტყ**-ებ-ა ზმნა უკავშირდებოდეს სვანურ **ტყუ**-ეფ- „ცემა“ ფუძეს. **ჟ** სვანურში მომდევნო **ფ** (← **ბ**)-სთან ასიმილაციური ზეგავლენითა ჩანს გაჩენილი.

ს.-ქართვ. \***ტყ**-ებ- „ტირილი, გოდება/ცემა“

იჩქ. **ნა-ტყ**-, ინგ. **ნა-ტყ**-, ბაცბ. **ნა-ტყ**-ადრწ ←\***ნა-ტყ**-არი „ცრემლები“ (pluralia tantum); საერთონახური \***ნა-ტყ**- ფუძე მხოლოდ ბაცბურში შემოგვინახა: **ნა-ტყ**-რ-ან<sup>5</sup> ცორნი „ცრემლების წვეთები“, **ნატყ**-ადრწ აკადრ „ტირილი“. ს.-ქართვ. \***ტყ**-ებ- „ტირილი“ : ს.-ნახ. \***ნა-ტყ**- „ცრემლი; ტირილი“ კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისო-

ბაა. ნა- პრეფიქსისთვის შდრ. ს.-ქართვ. \*ფასუ- „ფესვი“ : ბაცბ. ნა- ფსორ „საძირკველი, ფუძე“.

ს.-ნახ. \*ნა-ტყ- „ცრემლი; ტირილი“.

### ტყვერ-ბ-ი

ქართ. ტყინ-, ტყინ-ებ-ა „ცეცხლის გზნება, ნთება“ (საბა), აღ-ტყინ-ებ-ა „აღზნება“, მო-ტყინ-არ-ე „ანთებული“, „ანთებულებით“ (სა-ბა), შდრ. ტყჷერ-ბ-ი „დიდი ცეცხლი აგზებული ფრიად“ (საბა), სვან. ტყაბ-, ლი-ტყაბ-ე „შეწვა“, ლგ-ტყაბ „შემწვარი“, ა-ტყაბ-ე „წვავს“; სვანური ტყაბ- ფორმალურად უფრო ახლოს დგას ქართ. ტყვერ-ბ-ი სა-ხელთან [იხ. ჩუხ. 2000-2003: 216-217].

ტყინ-/ტყვერ-ბ- ამოსავალში \*ტყერ-ბ- არქეტიპს ვარაუდობს.

ს.-ქართვ. \*ტყერ-ბ- „ცეცხლი, ნთება; ცეცხლზე წვა“

იჩქ. «ტყერ-», ინგ. «ტყერ-», ბაცბ. ტჷერჷ → || ტჷერჷ „ვარსკვლავი“;

ტჷერჷ-ელჷ-არ-ე<sup>5</sup> „ვარსკვლავებიანი“; საერთონახური \*ტყერ- არქეტიპის გა-გრძელებაა ბაცბურში დადასტურებული ალომორფები: ტყ → ტჷ საკუთრივ ბაცბური პროცესი ჩანს. ს.-ქართვ. \*ტყერ-ბ- (ბ აფიქსურია) : ს.-ნახ. \*ტყერ- ბუნებრივი მიმართებაა, შდრ. ს.-ქართვ. ტყ : ს.-ნახ. ტყ (§ 44). სე-მანტიკურად ცეცხლი ~ ვარსკვლავი კანონზომიერი კორელაციაა.

ს.-ნახ. \*ტყერ- „ვარსკვლავი“.

### ტყვ-ია

ქართ. ტყვ-, ტყვ-ია, ტყვ-ი-ავ-ი (ტობ.), ძვ. ქართ. ტყჷ-ივ-ი || ტყვ-ი || ტყჷ-ივ-ა-ე „ტყვია“, ზან. ტყვ-ია "id", სვან. ტყჷ-ი || ტყჷ-იჷ → || ტყჷ-იჷ „ტყვია“; საერთოქართველურისთვის აღსადგენია \*ტახჷ-ძირი. იგი რედუქციის მომდევნო საფეხურზე ქართველური ენებისთვის დამახასიათებელი ტხ → ტყ გარდაქმნით ტყჷ- ძირის სახით მოგვევლი-ნა, რასაც მხარს უჭერს ნახურ-დალესტნურ ენათა ჩვენებაც [ტხ → ტყ-სთვის, იხ. შან. 1930: 11].

ს.-ქართვ. \*ტახჷ-იჷ- „ტყვია“

იჩქ. ღაშ ← \*ტაშ „ტყვია“, ინგ. ღაშ ← \*ტაშ "id", ბაცბ. «ტაშ»; საერთონახური არქეტიპის სარეკონსტრუქციოდ უნდა მოვიშველიოთ და-ლესტნური მასალა, შდრ.: ხუნძ. ტონ<sup>7</sup>-ი, ანდ. ტუშ-ი, ჭამ. ტოჷ-ა, ტინდ. ტოჷ-ა, კარ. ტონ<sup>8</sup>-ე „ტყვია“ [გულდ. 1964: 117]. ამდენად, საერთონახურის-თვის აღსადგენია \*ტაშ-ი პრაფორმა, რომელიც წინარენახურისთვის \*ტახ-ი პროტოტიპს ვარაუდობს, შდრ. ს.-ქართვ. \*ტახჷ-იჷ ~ აფხ.-აბაზ.-ტსა || ტასა „ტყვია“.

ს.-ნახ. \*ტაშ-ი ← წ.-ნახ. \*ტახ-ი „ტყვია“, "свинец".

### ტყვ-/სი-ტყვ-ა

ქართ. **ტყუ-**, სი-**ტყუ-**ა-ფ, ვ-ი-**ტყუ-**ი, მე-**ტყუ-**ელ-ი, უ-**ტყუ-**ი, პირ-**ტყვ-**ი; ზან. (მეგრ.) **ტყვ-**, ვ-ი-**ტყუ-ქ** ←\*ვ-ი-**ტყვ-**უ-ქ „ვიტყვი“; ქართულ-**ლი ტყუ-** ზმნური ძირი ცნობილია უძველესი წერილობითი ძეგლებიდან. მის შესატყვისს მეგრულში იდენტური **ტყვ-** ფუძე წარმოადგენს. **ტყუ-** ძირის დისტრიბუცია შეზღუდულია ქართველურ დიალექტებში [კლიმ. 1964: 184; ფენ.-სარჯ. 2000: 445].

ს.-ქართვ. \***ტყუ-** „თქმა; მეტყველება“

იჩქ. **თაყე-**, **თაყე-ა**<sup>5</sup> || **და-თაყე-ა**<sup>5</sup> „ხვეწა, მუდარა“, ინგ. **თაყე-**, **თაყე-ა** || **და-თაყე-ა** "id", ბაცბ. **თეყ-**, **თეყ-ა**<sup>5</sup> || **თეყ-**არ „ლოცვა, ვედრება“, **თეყ-**ინ-ი „მლოცველი“, **თეყ-**ილა „სალოცავი; დღეობა“; საერთონახურში ფუნქციონირებდა \***დ-თეყ-** კლასნიშნიანი ზმნა, რომელიც **თეყ-** ალომორფითაც არის ცნობილი თანამედროვე ნახურ დიალექტებში. ს.-ნახ. \***დ-თეყ-** → || **თეყ-** კარგად აჩვენებს ს.-ქართვ. **ტყუ-** ←\***დ-თუ-** ძირის გენეზისს, შდრ. სემანტიკური ოპოზიცია *თქმა ~ ვედრება/ლოცვა*.

ს.-ნახ. \***დ-თეყ-** „ლოცვა, ვედრება“.

### ტყვც-იალ-ი

ქართ. **ტყვც-**, **ტყვც-**იალ-ი, ზან. **ტყვაც-**, **ტყვაც-**ი „ჭეჭა; ელვა“, გო-**ტყვაც-**უ „ელვა“, სვან. **ტყუესგ-**, ხ-ე-**ტყუესგ-**ენ-ი || ხ-ე-**ტყუესგ-**ენ-ი „ნაბერწყალი უვარდება“, ამ/ნ-**ტყუესგ** || ამ/ნ-**ტყუესგ** ლნტ. „ვარსკვლავი; ნაბერწყალი“, შდრ. მუ-**ტყუესგ** || მუ-**ტყუესგ** || მუ-**ტყუესგ** "id". სვან. **ე (ტყუესგ-კ)** : ზან. **ა (ტყვაც-)** ქართულისთვის **ე** ხმოვანს აღგვადგენინებს; აუსლაუტური ზან. **ც** ←\***ჩ**, ხოლო სვან. **სგ/კ** ←\***ცქ** ახსნას ითხოვს; ალბათ ფუძის ბგერწერილობა განაპირობებს [იხ. ჩუხ. 2000-2003: 218].

ს.-ქართვ. \***ტყუეს-** „ჭეჭა/ელვა; ნაბერწყალი/ვარსკვლავი“

იჩქ. **ტყაეს** „მეხი; ელვა“, ინგ. **ტყაეს** "id", შდრ. ქისტ. **ტყაეს-**იგ "id", ბაცბ. **ტყუეს**<sup>7</sup>. ბაცბური ეკვივალენტის უქონლობა აძნელებს ფუძის განზოგანების ზუსტ რეკონსტრუქციას, თუმცა ქისტურ დიალექტში უმლაუტიანი **ო (ო)** ხმოვნის პოზიციერება ისტორიულად **უე** თანმიმდევრობის პრიმარობას უჭერს მხარს.

ს.-ნახ. \***ტყუეს-** „მეხი/ელვა“.

### ტყირბ-ი

ქართ. **ტყირბ-**ი || **ტყირბ-**ი „ტყირბი, ელენთა“, ზან. (მეგრ.) **ტყილ-**ი „ტყირბი, ელენთა“, სვან. **ტყლიბ** || **ტყლიბ** „ელენთა“; ზანურ-სვანური **ლ** სონანტი **რ-**სგან მომდინარედ მიიჩნევა — **რ** → **ლ**. მეგრულში პროცესი უფრო შორსაა წასული, აქ ბოლოკიდური **ბ** ისტორიულ **რ-**სთან მეზობლობაში დაკარგულია, შდრ. ქართ. **რბოლ-**ა : მეგრ. **რულ-**ა ←

**\*რბულ-**ა [იხ. ჩუბ. 2000-2003: 217].

ს.-ქართვ. **\*ტყირბ-** „ტყირბი, ელენთა“

იჩქ. დოა-ხ „ღვიძლი“, ინგ. დიდ-ხქ ←\*დშიუ-ხქ "id", ბაცბ. დმევე-ყ „ღვიძლი“; საერთონახური ფუძე-ენისთვის რეკონსტრუირდება **\*ტშიუ-** არქეტიპი, რომლის თავკიდურა **ტ** დენტალმა მჟღერ **ჭ** ფარინგალურ ფრიკატივთან მეზობლობით ასიმილაციური გამჟღერება განიცადა — **ტჭ** → **დჭ**, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ტყ** : ს.-ნახ. **ტყ** || **ტჭ** (§ 23.3), ს.-ქართვ. **ბ** : ს.-ნახ. **ჟ** (§ 44). *ტყირბი* ~ *ღვიძლი* ბუნებრივი სემანტიკური მიმართებაა.

ს.-ნახ. **\*ტშიუ-** „ღვიძლი“.

### ტყრ-იალ-ი

ქართ. **ტყრ-**, **ტყრ-**ომ-ა, **ტყრ-**იალ-ი, ზან. (ლაზ.) **ტკორ-** ←\***ტყორ-**, ო-**ტკორ-**ინ-უ "pedere", მ-**ტკორ-**ინ-აჯ-ე, მეგრ. **ტყორ-**ინ "id", მა-**ტყორ-**ინ-ჯ-ე, სვან. **ტყგრ** „ფაღარათი“, **ტყგრ-**ნ-ჲ-დ „მოფაღარათე“; ზანურის ო განმოვანება ქართულისთვის ა-ს ვარაუდობს. ფუძეენური მდგომარეობისთვის სამართლიანად აღადგენენ **\*ტყარ-** არქეტიპს [ფენ-სარჯ. 2000: 444].

ს.-ქართვ. **\*ტყარ-** „ფაღარათი“

იჩქ. ნო-**ტყა** (მრ. რ. ნო-**ტყარ-**შ) „ჩირქი“, ინგ. ნშოდ ←\*ნო-**ტყ** (მრ. რ. ნა-**ტყარ-**შ) "id", ბაცბ. ნო-**ტყ** „ჩირქი“, ნა-**ტყარ-**ხ „ჩირქით“; საერთონახური ენობრივი ერთობისთვის რეკონსტრუირდება **\*ნა-ტყარ-** არქეტიპი, სადაც **ნა-** ფუძეენური პრეფიქსია (იხ. აქვე, **ნა-**). სემანტიკური კორელაცია *ფაღარათი* ~ *ჩირქი* ბუნებრივი ჩანს.

ს.-ნახ. **\*ნა-ტყარ-** „ჩირქი“.

### ტყუბ-ი

ქართ. **ტყუბ-**, **ტყუბ-**ი „ტყუბი“, ნა-**ტყუბ-**არ-ი (საბა), ძვ. ქართ. **ტყუბ-**ი, **ტყუბ-**თა, ზან. (მეგრ.) **ტყუბ-**ი || **ტკუბ-**ი „ტყუბი“, **ტყუ-** **ტკუბ-**ურ-ო „დაწყვილებული ფეხებით“, ლაზ. **ტკუბ-**ი || ← **ტყუბ-**ი → || **ტუბ-**ი "id", სვან. **ტყუბ-** → || **ტყუბ** „ტყუბები“; სვანური **ტყუბ-** უძველეს ვითარებას ასახავს და არ არის ნაუმლაუტარი უ-ს შედეგი. პირიქით, ქართულ-ზანური **ტყუბ-** ←\***ტყუბ-** [შდრ. კლიმ. 1964: 184; ფენ-სარჯ. 2000: 448].

ს.-ქართვ. **\*ტყუბ-** „ტყუბი, წყვილი“

იჩქ. **ტყა** „ოცი“, ინგ. **ტყო** "id", ბაცბ. **ტყა** "id"; საერთონახურში აღსადგენია **\*ტყაუ-** არქეტიპი, რომლის აუ თანმიმდევრობის შერწყმით ო (ტყო) მივიღეთ ინგუშურში. ორი სახელის აღმნიშვნელი უძველესი საერთონახური არქეტიპი შემონახული ჩანს **\*ტყაუ-** „ოცი“ სიტყვაში, შდრ. აღ. (ხაკ.) **ტყა**, უბიხ. **ტყა**, აფხ.-აბაზ. **ჭა-ბა** ← **\*ტჭა-ბა** „ორი“

[ჯავახ. 1937: 277, 397-404]. ამდენად, ს.-ქართვ. \***ტყუიბ-** „ორი“ : ს.-ნახ. \***ტყაჟ-** „ოცი“ კანონზომიერი მიმართებაა, შდრ. ბგერათშესატყვისობა **ტყ** : **ტყ** (§ 44), **ი** : **ა** (§ 7.3), **ბ** : **ჟ** (§ 23.3).  
ს.-ნახ. \***ტყაჟ-** „ოცი“.

### ჟ-ზან-ი

ქართ. ჟ-**ზან-**, ჟ-**ზან-**ი „ტანმორჩილი ბუჩქი; აქვს შებურვილი ფოთლები; იკეთებს ქოლგის მსგავსად შეკრებილ თეთრ ყვავილს; ისხამს წვნიან, შავ ნაყოფს“ (ქეგლ-ი). დასტურდება საბას ლექსიკონში: **ჟზან-**ი (ხე), განუმარტავია. სალიტერატურო ჟ-**ზან-**ი ქართლურ, კახურ და აჭარულ დიალექტებში შეკუმშული ჟ-**ზნ-**ი სახეობით დასტურდება. სხვა ქართველურ ენებში შესაბამისი ფუძეები ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. \***ო-ზან-** „უზანი, ერთგვარი ხე/ბუჩქი“

იჩქ. **ზარა** „მოცხარი“, ინგ. **ზარა** "id", ბაცბ. **ზარ-რ** „როჭოს ყურძენა, მოცხარი“; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \***ზარ-ო** არქეტიპი. ს.-ქართვ. \***ჟ-ზან-** : ს.-ნახ. \***ზარ-ო** მოგვაგონებს ქართ. **ო-ბოლ-** : ბაცბ. **ბად-ო** „ობოლი“ შეპირისპირებას (იხ. აქვე, **ო-ბოლ-ი**). როგორც ეტყობა, არაენობრივი ცნობიერების ზეგავლენით, მეტაანალიზით არქაული **ო** ჩაითვალა უარყოფითობის **ჟ-** პრეფიქსად ქართულში: **ჟ-ზან-** ← \***ო-ზან-**.

ს.-ნახ. \***ზარ-ო** „მოცხარი“.

### ჟ-ნდ-ილ-ი

ქართ. მდ-, ჟ-**ნდ-ილ-**ი „უმწიფარი, შემოუსვლელი“, მთიულ. ჟ-**მდ-ილ-**ი „მკვახე“, ზან. **მონდა** ← \***მონდა** „მწიფე“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. ქართულისთვის არქაული ჩანს მთიულური დიალექტის **მ** ვარიანტიანი სახეობა. აქ გამონაწევრებული **მდ-** თანმიმდევრობა შეკვეცილი \***მდე** სიტყვაა, რომელიც მხოლოდ ნეგატიური ცირკუმფიქსით გაფორმებულ ჟ-**მდ-ილ-** დერივატში შემოგვრჩა. აღდგენილი ქართული \***მდე** : ზანური **მონდა** ← \***მონდა** შეპირისპირება ქართ. **მნე** : ზან. **მონა** (იხ. აქვე), ქართ. **მნე** : ზან. **მონა** „მჟავე“ შეხვედრათა ანალოგიურია.

ს.-ქართვ. \***მად-ე** „მწიფე, შემოსული“

იჩქ. **მად-ა**<sup>5</sup> (ქეგლ. **მად-ინ**) „ძალიან რბილი, გადამწიფებული“, **მად-ალა** „სიმწიფე, გადამწიფება (ხილის ნაყოფისა)“, ინგ. **მჟა-ა** "id", შდრ. ითუმე. **მჟად** "id", ბაცბ. **მატ-ე**<sup>5</sup> „მწიფე“, **მატ-**დარ „დამწიფება“; ბაცბური ალომორფი ჰებერლოურთან ერთად განმეორებით არქაული ჩანს, მხოლოდ აქ დამახასიათებელი **დ** → **ტ** არაანლაუტური გლოტალიზაციის პროცესი დასტურდება. ნახურ-ქართველურ არქეტიპთა ერთიანობა ეჭვს გარეშეა.

ს.-ნახ. \***მად-** „მწიფება“, \***მად-ენ** „მწიფე“.

## 「ურდ-უნ-ი」

ქართ. 「ურდ-უნ-ი」, ზან. (მეგრ.) ურდუმი ← \*ურდ-უნ-ი „ჯარი უთვალავი“, სვან. უდუნ ← \*ურდ-უნ „ვეებერთელა, უშველებელი“. ქართულში შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. ჩუხ. 2004: 64].

ს.-ქართვ. \*ურდ-უნ- „უთვალავი, ბევრი; ვეებერთელა“

იჩქ. ნრდან-გ (ქისტ. ორდან-გ) „ბროვა, კრებული, გუნდი (ცხოველებისა)“, ინგ. ორდინ-გ "id", ბაცბ. 「ორდან」; ბაცბურში ფუძე დაკარგული ჩანს. იჩქერიულში ასიმილირებული სახეობა დასტურდება — ნრდან-გ ← ორდან-გ. ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. ო კანონზომიერია, იხ. აქვე, § 9.2.

ს.-ნახ. \*ორდ-ან- „გროვა, ხროვა, გუნდი“.

## უსჷ-არ-ი

ქართ. უსჷ-არ-ი „მცირე ყრმა“, „ეწოდების ხუთის წლით ვიდრე ათ წლამდე ვაჟსა უსჷ-არ-ი“ (საბა); სამწუხაროდ, სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი ფუძე არ არის შემორჩენილი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ის არ შეგვხვედრია. ს.-ქართვ. \*ასჷ-ილ-და ს.-ქართვ. \*ჷ-ასჷ-არ- → \*უსჷ-არ- არქეტიპთა შედარებითი ანალიზი გამოაცალკევებს ჷ- პრეფიქსს, რომელიც ამ ერთადერთ სიტყვაში შემოგვრჩა და წარმოშობით I გრ. კლასის ნიშანი უნდა იყოს (შდრ. \*ჷ-ოჷ-არქეტიპი ნახურ ენებში). თანამედროვე ვ- „I სუბ. პირის ნიშანი“ ისტორიულად ჷ- I გრ. კლასნიშანი იყო.

ს.-ქართვ. \*უსჷ-არ- ← წ.-ქართვ. \*ჷ-ასჷ-არ- „ვაჟიშვილი ხუთიდან ათ წლამდე“

იჩქ. ვ-ოჷ ← \*ვ-ოჷ „ვაჟიშვილი, ძე“, ინგ. ვ-ოჷ ← \*ვ-ოჷ "id", ბაცბ. ვ-ოჷ „ვაჟიშვილი, ბიჭი“, დ-ოჷ-ვ-ოჷ „ქალ-ვაჟი“; საერთონახური \*ჷ-ოჷ- იმავე ძირისაა, რაც — ს.-ნახ. \*დ-ოჷ- „ასული“; განსხვავებას დ-ჷ კლასნიშანთა ოპოზიცია ქმნის. ამდენად, წ.-ქართვ. \*ჷ-ასჷ-არ- : ს.-ნახ. \*ჷ-ოჷ- ← \*ჷ-აჷ-ჷ- (იხ. აქვე, ასულ-ი) ბუნებრივი შეფარდებაა, რასაც მხარს უჭერს ნახურ-ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, შდრ. ს.-ქართვ. ს : ს.-ნახ. ჷ (§ 30.5).

ს.-ნახ. \*ჷ-ოჷ- ← \*ჷ-აჷ-ჷ- „ვაჟიშვილი“.

## უდ-ელ-ი

ქართ. უდ-ელ-, უდ-ელ-ი, უდ-ლ-ელ-ი, ზან. უდ-უ „უღელი“, სვან. უდ-ჷ-ა || უდ-ჷ-ა „უღელი“; სვანურში ანლაუტური ხმოვნის სიგრძე (resp. უ) იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ იგი საკომპენსაციოა რომელიმე, უფრო ზუსტად, ჷ თანხმოვნის გაუჩინარების მომდევნო საფეხურზე — \*ჷ-უდ-ელ- → უდ-ჷ-ა [იხ. ჭარ. 1895, XII: 113; ჩიქ. 1942: 31; კლიმ. 1964: 186; ფენ.-სარჯ. 2000: 454].

ს.-ქართვ. \***უდ-ელ-** „უღელი“

იჩქ. **დ-უყ** „უღელი“, ინგ. **დ-უყ** "id", ბაცბ. **დ-უყ** „უღელი“; საერ-  
თონახურში აღსადგენია \***დ-უყ-** არქეტიპი, სადაც **დ-** ფუძეს შეხორცე-  
ბული გრამატიკული კლასის ნიშანია [გონ. 1940: 581-582]. ქართველური  
სტრუქტურის ფუძე შეიძლება მოვიხმოთ ლეზგიურ ენათა ქვეჯგუფიდან,  
შდრ. თაბ. **უდ-ინ** „უღელი ერთი ხარისთვის“. ს.-ქართვ. **დ** : ს.-ნახ. **ყ**  
ბუნებრივი შესატყვისობაა (იხ. აქვე, § 34.4).

ს.-ნახ. \***დ-უყ-** „უღელი“.

### უწყ-ებ-ა

ქართ. **უწყ-**, **უწყ-ი**-ს „იცის, ხედავს“, ძვ. ქართ. **უწყ-ი**, **უწყ-ებ-ა**,  
ზან. (მეგრ.) **ორწყ-**, ვ-**ორწყ-ე-ქ** „ხედავ“, **ორწყ-ე(ნ)** „ხედავს“, ლაზ.  
**ოწყ-** ← \***ოწყ-**, **ოწყ-ე-ნ** „ხედავს“, მ-**ოწყ-ე-ნ-ან** „გვიყურებენ, გვხედავენ“,  
**ოწყ-ე-ს** „უყურებს“, სვან. **უშხ-**, ხ-ა-**უშხ-ე** || ხ-ა-**უშხ-ი** „ამხელს, ამჟღავ-  
ნებს“; ზანურ-ქართულ ფუძეთა საერთო წარმომავლობა ცნობილია  
[მაჭრ. 1952-1953: 121-127]. სვანურში **უშხ-** (←\***უჭყ-**) ფორმის პოვნეიერე-  
ბა ქართული **უწყ-** ძირის შესატყვისად აიხსნება როგორც **ჭყ** → **შყ** →  
**შხ** ფაკულტატიური ფონეტიკური პროცესის შედეგი, შდრ. ქართ.  
**ნერწყჷ** : სვან. **ნაშყჷ** → || **ნაშხჷ**. ამ უკანასკნელში გარდამავალი **შყ**  
საფეხური რეალურად ფიქსირდება [ჩუხ. 2000-2003: 225].

ს.-ქართვ. \***უწყ-** „ხედავ, ნახვა, უწყება“

იჩქ. **ჭაჟ-** || **ჭაჯ-** „ხედავ, შეხედავ“, **ჭაოჟ-** „ხედავ“, ინგ. **ჭაჟ-** ||  
**ჭაჯ-** "id", **ჭაოჯ-** „ხედავ“, **ჭაჟ-პრ** „ხედავ“, ბაცბ. **ჭაჭ-** || **ჭაჭყ** „შე-  
ხედავ, ხედავ“, **ჭაჭ-**დარ „შეხედება (შეახედებს)“, **ჭაჭყ-ატ-არ** „დათვა-  
ლიერება“; ბაცბურის ვითარება საერთონახურ მდგომარეობას ასახავს ამ  
შემთხვევაში — **ჭაჭ-** || **ჭაჭყ-**. თუმცა ეს უკანასკნელ (**ჭაჭყატ-არ**) შე-  
იძლება შეიცავდეს ორ ზმნურ ფუძეს **ჭაჭ-** და **ყატ-**არ „დაბჩენა, თვალის  
გახელა“. საკითხი დამატებით შესწავლას ითხოვს. \***უწყ-** : \***ჭაჭ-** შეპი-  
რისპირება წინარექართველურისთვის \***უიწყ-** სახეობას ვარაუდობს,  
შდრ. ს.-ქართვ. **ჟ/ბ** : ს.-ნახ. **ჟ/ჭა** (§ 20.2; § 24.2).

ს.-ნახ. \***ჭაჭყ(ყ)** „ხედავ, ყურება, შეხედავ“.

### უ-ხეშ-ი

ქართ. **ხეშ-**, მო-**ხეშ-ვ-ა** „მოდრეკა, მოთელვა“, უ-**ხეშ-ი** „მოუქნელი,  
მოუდრეკელი, მოუთელავი“, მო-**ხეშ-ავ-ს** „მოდრეკს, მოთელავს“, ზან.  
(მეგრ.) **ხასქარ-**, მო-**ხასქარ-ჟ-ა** „მოქნა, მოთელვა, მოდრეკა“, მო-**ხასქ-**  
არ-ელ-ი „მოთელილი; სმის დროს შეზარხოშებული“; სვანური შესატყვისი  
ვერ გამოვავლინეთ. ქართული მო-**ხეშ-ვ-ა** ზმნა სამართლიანად არის და-  
კავშირებული უ-**ხეშ-ი** სიტყვასთან [ჭუმბ. 1987: 112]. ქართულში გამოყო-  
ფილ **ხეშ-** ძირს უნდა შესატყვისებოდეს მეგრული **ხასქარ-** ზმნური ფუ-



ძე. ამ უკანასკნელში -არ იმავე ფუნქციისაა, რაც ტყაბ-არ- „გატყავება“ ტიპის ზმნებში.

ს.-ქართვ. \*ხეშუ- „მოთელვა, მოდრეკა, მოქნა“

იჩქ. ვერ- || ვერჰ- „შიში, შეშინება, ვერ-უ „შინია“, ვერ-ინ-ა „შე-დრკა, შეშინდა“, ვერ-არ || ვერჰ-არ „შიში, შინება“, ვერჰ-უო „და-შინება“, ინგ. ვერჰ- "id", ვერჰ-გ „შინია“, ვერჰ-ჰმ „შიში“, ბაცბ. ვერლ'-, ვირლ'-რ „შინია“, ვერლ'-დარ „შეშინება“, ვერლ'-რიკ „მხდა-ლი“; საერთონახური არქეტიპი სრულად არის დაცული ბაცბურში — \*ვერლ'-. ს.-ქართვ. \*ხეშუ- : ს.-ნახ. \*ვერლ'- კანონზომიერი შესატყვისო-ბაა როგორც სემანტიკურად, ისე ფონეტიკურად, შდრ. ს.-ქართვ. ხ : ს.-ნახ. ვ (§ 36), ს.-ქართვ. შუ : ს.-ნახ. რლ' (§ 22.2; § 32.4).

ს.-ნახ. \*ვერლ'- „შეშინება, შიში, შედრკომა“.

### ფათ-ურ-ი

ქართ. ფათუ-, ფათ-ურ-ი, ა-ფათ-ურ-ებ-ს ხელებს, ზან. (მეგრ.) ფუთ-ორ-ი ←\*ფოთვ-ორ-ი = ფათ-ურ-ი, უ-ფუთ-ორ-უ-ან-ს „აფათურ-ებს, ეფერება“, ფოთ-, ი-ფოთ-უ-ან-ს „მოიხმობს; შემწედ მოჰყავს“, სვან. ფაშედუ- || ფაშეტუ-, ი-ფაშედ-იელ (ათუ-ფაშედ-ი), ი-ფაშეტუ-იელ „ტრა-ბახობს, იკვებნის“; სვანურში ტრაბახიკვებნა სემანტემა მოფერების ამოსავალი გაგებიდან განვითარდა — ფათური → ფერება → ტრაბახი; იხ. ჩუხ. 2000-2003: 230.

ს.-ქართვ. \*ფასთუ- „ფერება, ქება, ტრაბახი“

იჩქ. ჰასთ-, ჰასთ-ან || ჰასთ-არ „მოფერება“, ინგ. ჰასთ- || ჰასთ-ან || ჰასთ-არ "id", ბაცბ. «ჰასტ-»; ბაცბურში ჰასტ- ფორმა დაკარგული ჩანს. საერთონახური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \*ჰასთ- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. \*ფასთ- მორფემას, შდრ.: ს.-ქართვ. ფ : ს.-ნახ. ჰა (§ 24.2), ს.-ქართვ. სთ : ს.-ნახ. სთ (§ 45).

ს.-ნახ. \*ჰასთ- „მოფერება“.

### ფარ-ი

ქართ. ფარ-, ა-ფარ-ა ←\*ა-ფარ-ა „ბოყვი; ფიცრული სახლის კედელში ვერტიკალურად დაყენებული სქელი ფიცარი, ორივე მხრიდან გრძლად ამოღარული“, ფარ-ი, ზან. (მეგრ.) ფორ-, ფორ-ი „ფარი“, შდრ. ფორ-ია (ანთროპ.); სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. საკითხი ისმის ზმნურ ფარ- (ფარ-ავ-ს) ძირთან მიმართებისა [იხ. კლიმ. 1964: 187].

ს.-ქართვ. \*(ა-)ფარ- „აფრა; ფარი; ამოღარული ფიცარი“

იჩქ. აფარი || აფარი „წისქვილის ხის ღარი“, ინგ. აფარ „წისქვილის წყლის ღარი“, ბაცბ. «აფარ»; საერთონახურისთვის აღსადგენია \*აფარ- არქეტიპი ხის ღარის მნიშვნელობით. ნახურ-ქართველურ ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა ადვილი დასანახია.

ს.-ნახ. \*აფარ- „ხის ღარი (წისქვილის)“.

### ფარფლ-ი

ქართ. **ფარფლ-ი**, ზან. (ლაზ.) **ფორფილ-ი/უ** „ქერცლი“; სვანური ეკვივალენტი ვერ გამოვავლინეთ. ქართველური **\*ფარ-** ძირი რედუბლიცი-რებული ჩანს აქ და სხვაგანაც, შდრ. ქართ. **ფა-ფარ-ი** ← **\*ფარ-ფარ-ი** : ზან. **ფო-ფორ-ი** : სვან. **ფა-ფალ** „ფაფარი“ [იხ. კლიმ. 1964: 187; ჩიქ. 1938: 102; ფენ.-სარჯ. 2000: 457].

ს.-ქართვ. **\*ფარ-** „ფარფლი; ქერცლი“; „ფაფარი“

ჩიქ. **ფელ-**, **ფელ-**-აგ-აშ „ქერცლი“, ინგ. **ფელ-**, **ფელ-**-გ-აშ "id", ბაცბ. **ფელ-**; ბაცბური ეკვივალენტი დაკარგული ჩანს. საერთონახურის-თვის აღდგება **\*ფელ-** არქეტიპი, რომელიც ზუსტი სემანტიკურ-სტრუქტურული შესატყვისია ს.-ქართვ. **\*ფარ-** ძირისა, შდრ.: ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ლ** (§ 14.2), ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ე** (§ 5.3).

ს.-ნახ. **\*ფელ-** „ქერცლი“.

### ფას-ი

ქართ. **ფას-**, **ფას-ი**, და-**ფას-ებ-ა**, ა-**ფას-ებ-ს**, სა-**ფას-ურ-ი**, **ფას-უნ-ი** „განფასებული“, შე-**ფას-ება**, ძვ. ქართ. **ფას-ი** „ქონება; ფასი“, **ფას-იერ-ი** || **ფას-ნ-იერ-ი** „მდიდარი“, **ფას-ის-მოსავ-ი** „ქონების მოიმედე“, **ფას-ის-სა-ცავ-ი** „სალარო“, შდრ. **ფას-ის-შესაწირავ-ი** "id", **ფას-ყოფ-ა** „შეფასება“, სვან. **ფას-**, მა-**ფას** || მა-**ფასუ** „მოსავლიანი“, ლგ-**ფას** || ლგ-**ფას** „ძვირად ღირებული“. **ფას-** ფუძის ზემოთმოხმობილი დისტრიბუცია ძველ ქართულსა და სვანურში მის ქართველურობაზე უნდა მეტყველებდეს [იხ. სარჯ. 2004: 530], შდრ. ზან. (მეგრ.) **მოს-**, უ-**მოს-ი** „მეტი, უმეტესი“ სვან. **მას-ვრ** || **მას-არ** „ზედმეტი“.

ს.-ქართვ. **\*მას-** „ფასი, ქონება; ფასება, მატება“

ჩიქ. **მან** „ფასი, ვაჭრობა“, **მან** ბ-ა-ნ „ვაჭრობა“, **მან** [ბალან<sup>5</sup> „გადახდა“, ინგ. **მან** „ფასი“, **მან** ბდე „ფას-დება, ვაჭრობა“, ბაცბ. **მან** „ფასი“, **მან** ბილარ „შეფასება“, **მან** ლატარ „გაძვირება“; საერთონახური **\*მან-** ს.-ქართვ. **\*მას-** სახელის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს, **ს** : **ხ** შეფარდება ჩვენი ენების საერთო ლექსიკაში რეგულარულად ვლინდება — **\*მან-** ← **\*მამ-**, შდრ.: ლაკ. **მამა** „ვაჭრობა“, დარგ. **მას** „საქონელი“, ლეზგ. **მას** „ფასი“, თაბ. **მასუ** თაჟუჟუს „გაყიდვა“, აფხ. ა-შ<sup>ა</sup>-რა „გადახდა“, უბიხ. **შუა** „ფასი“, ურარტ. **მეშე** „ხარჯი“ ← „საფასური“. ყოველივე ზემოთქმულის შემდგომ უადგილოდ გვეჩვენება **ფას** ძირის არაქართულ წარმომავლობაზე საუბარი [ანდრონ. 1966: 73-74].

ს.-ნახ. **\*მან-** ← **\*მამ-** „ფასი; ვაჭრობა; გადახდა“.

### ფატენ-ი

ქართ. **ფატენ-ი**, ზან. **ფოტა** → || **ფოტა** „ქალების ჩასაცმელი პერანგი“, შდრ. იმერ. (← მეგრ.) **ფოტა** „ერთგვარი კაბა“, სვან. **ფატან** || **ფატან** „პერანგი“. ქართული შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. სვანურ-ზანური

ბგერათშესატყვისობათა ჩვენებით შესაძლებელი ჩანს სავარაუდო ქართული ფუძის აღდგენა, შდრ.: სვან. ა : ზან. ო : ქართ. ა, სვან. ან ← ენ : ზან. ა ← ან, ე. ი. ქართ. \*ფატენ- : ზან. ფოტა ← \*ფოტან.

ს.-ქართვ. \*ფატ-ენ- „პერანგი, კაბა, ტანისამოსი“

იჩქ. ბედარ „ტანსაცმელი“, ინგ. ბნდარ "id", ბაცბ. ბატირ. ბაც-ბურ ეკვივალენტზე მსჯელობა შესაძლებელი ხდება ჭებერლოური ბადირ ფორმის მეშვეობით, თუ გავითვალისწინებთ ვაინახ. დ (←\*ტ) : ბაცბ. ტ არაანლაუტურ შესატყვისობას, იხ. აქვე, § 28.

ს.-ნახ. \*ბატ-ირ- „ტანსაცმელი“.

### ფაფ-ა

ქართ. ფაფ-ა „წყალში ან რძეში გაქნილი პურის ფქვილის დუღილით შესქელებული საჭმელი“, ზან. (მეგრ.) ფაფ-, ფაფ-ირ-ი „ფაფა“ სვან. ბზბ-ჟ || ბაბ-ჟ „პური ან მჭადი“; ფაფ-ა ქართულში რეგრესული ასიმილაციითა ჩანს მიღებული \*ბეფა არქეფორმისაგან, შდრ. ბგერათშესატყვისობა ქართ. ე : ზან. ა : სვან. ა ← ე.

ს.-ქართვ. \*ბეფ- „ფაფა“, „პური, მჭადი“.

იჩქ. ბეფ-იგ (ჭებ. ბაფ-იგ) „პური“, ინგ. ბეფ-გგ „პური ბავშვის ენაზე“, ბაცბ. ბაფ-იკ; ბაცბური ეკვივალენტი დაკარგულია. ჭებერლოური გახმოვანების საფუძველზე შესაძლებელია საერთონახურ ვოკალიზმზე საუბარი. ამოსავალი ჩანს \*ბაფ- გახმოვანების ფორმა. საერთონახურში არ მოხდა არანაირი ასიმილაცია არც პროგრესული, არც რეგრესული, შდრ. დალ., ბეჟ. ბაბა, ჰუნზ. ბაბა „პური“, სადაც სახეზეა ფ → ბ გამჟღერების ასიმილაციური პროცესი წინამავალი ბ მჟღერის ზეგავლენით.

ს.-ნახ. \*ბაფ- „პური“.

### ფაშე-ი

ქართ. ფაშე-, ფაშე-ი, ფშე-ინ- ← ფაშე-ინ-, ფშე-ინ-ვ-ა, ფუშ-ინ-იერ-ი || ფაშე-ინ-იერ-ი, ზან. (მეგრ.) ფუშქ-, ფუშქ-ინ-ჟ-ა „ფშინვა“, ფუშქ-ინ-ჟ-ს „ფშინვას, იბერება, ბერავს“, ფუშქ-ი „გამზვიადებელი, გაზვიადებული“, გადატ. „ბრტყელ-ბრტყელა მოლაპარაკე, ტრაბახა“, შდრ. ლაზ. \*შქემბ-ე ← \*შქიმბ-ე ← \*ბიშქ-ე (?) „ფაშე“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. ჩუხ. 2000-2003: 230-231].

ს.-ქართვ. \*ბაშქ- „ფაშე, ფშინვა“

იჩქ. მარშ „ნაწლავი; ძეხვი“, ინგ. მარშ "id", ბაცბ. მარშ; საერთონახურისთვის აღდგება \*მარშ- არქეტიპი, რომლისთვისაც წინარეფორმა \*ბარშ- უნდა იყოს, შდრ. ს.-დალ. ბატა „ნაწლავი, ძეხვი“; ს.-ქართვ. შ : ს.-ნახ. შ პრეისტორიული სისინ-შიშინა ს, ფრიკატივისაგან მომდინარეობს. ასევე მისაღები ჩანს სემანტიკური შეფარდება ს.-ქართვ. ფაშეი ~ ს.-ნახ. ნაწლავი.

ს.-ნახ. \*მარშ- ← \*ბარშ- „ნაწლავი; ძეხვი“.

### ფაც-ი

ქართ. **ფაც-**, **ფაც-** „თათი“, **ფაც-** ფუძე ქართლური კილოს კუთვნილებაა, მისი ზანური შესატყვისი შემონახულია მესხურ დიალექტში, სადაც **ფანჩა** ← \***ფონჩა** (ასიმილაციით) ასევე „თათს“ აღნიშნავს. სვანური ეკვივალენტი ვერ დაეძებნეთ.

ს.-ქართვ. \***ფაც-** „თათი“

იჩქ. **ბიში** ← \***ბიჩი** „ბავშვის ხელი“, ინგ. **ბუშ** || **ბუში** "id", ბაცბ.

**ბიჩი**⁴; გაუგებარია ხმოვნითი მიმართება. ინგ. **უ** : იჩქ. **ი** იქნებ ისტორიულ **ი**-ს ასახავს. ამით ადვილი ასახსნელი ხდება ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ი** მიმართება, რაც რეგულარულად ვლინდება, იხ. აქვე, § 5.4.

ს.-ნახ. \***ბიჩი**-ი „ხელი (ბავშვისა)“.

### ფაცხ-ი

ქართ. **ფაცხ-ი**; ზან. (მეგრ.) **ფუჩხ-**, **ფუჩხა** „ფხვნილი, ნაფშვენი, ნამცეცი“, დო-**ფუჩხ**-ოლ-აფ-ა „დანამცეცება“, **ფუჩხ**-ოლ-ია ცვალი „დანამცეცებული ყველი“; სვან. **ფანჩ-ჟ** → || **ფანჩ** || **ფანჩ-ჟ** „ნამსხვრევი, ნაფშვენი“, **ფანჩ-ჟ**-დ ლიგნე „დანამცეცება, დაფშვნა“; საერთოქართველური მდგომარეობისთვის აღსადგენია \***ფაცხ-** არქეტიპი, რომელიც შეიძლება ქართულ **ფაცხა**-ა ფორმაშიც ჩანდეს.

ს.-ქართვ. \***ფაცხ-** „დამსხვრევა, დაფშვნა, დანამცეცება“

იჩქ. **ს-ალ-** (← \***ფს-ალ-**ე, ჰებ. **ს-ალ-**ი) „ნამსხვრევების გროვა“, ინგ.

**ს-ალ-**⁵ ← \***ფს-ალ-**ე "id", ბაცბ. **ფს-ალ-**ე; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღადგენენ \***ფსალ-** არქეტიპს [სტარ.-ნიკ. 1994: 265]. ინგუშური და ჰებერლოური მონაცემები მხარს უჭერენ \***ფს-ალ-**ე წინარეფორმის რეკონსტრუქციას. ს.-ქართვ. \***ფაცხ-** : ს.-ნახ. \***ფს-ალ-**ე კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკური შესატყვისობა ჩანს, შდრ. ბგერათმეცნიერებისათვის ს.-ქართვ. **ცხ** : ს.-ნახ. **ც/ს** (§ 31.4). სემანტიკისთვის, შდრ. ლაკ. **ჭუა** „ქოხი“ ~ ქართ. **ფაცხა**-ა.

ს.-ნახ. \***ფს-ალ-**ე „ნამსხვრევების გროვა“.

### ფელ-ვა

ქართ. **ფელ-**, იმერ. გა-**ფელ-ვა** „სულ გაღება, ბოლომდე გაღება“, რაჭ. **მელ-ო** ← \***ბელ-ო** „შიშველი/ტიტველი“; ზან. (ლაზ.) **ფალ-ჟ** „მარტო, სულ მარტო, ამარა“, მეგრ. **ფალ-ო** || **ფალ-ჟ** || **ფალ-ჟ-ო** "id"; სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის აღვადგენთ \***ბელ-**, \***ბელ-ო** ალომორფებს, რომელთაც *ლიაობა/სიშიშველის* გაგება ახასიათებდათ.

ს.-ქართვ. \***ბელ-** „გაღება, გაშიშვლება“, \***ბელ-ო** „გაღებული; შიშველი“

იჩქ. **ბ-ელა-**, **ბ-ელა-**⁶ || **ბ-ელა-**არ „გაღება, გახელა/გახსნა, ახდა“,

ინგ. **ბ-ელა-**, **ბ-ელ-ა** || **ბ-ელა-არ** "id", ბაცბ. "ბ-ელა-"; საერთონახური ენობრივი ერთობისთვის აღვადგენთ **\*ბ-ელ-** კლასნიშნიან ზმნას, რომელსაც კანონზომიერი შესატყვისი მოებოვება ს.-ქართვ. **\*ბელ-** ფუძის სახით. ამ უკანასკნელში თავიღური **ბ-** ფუძეს შეხორცებული გრ. კლასის ნიშანი ჩანს — წ.-ქართვ. **\*ბ-ელ-**. ნახურ-ქართველურ ფუძეთა სემანტიკურ-სტრუქტურული იგივეობა ადვილი დასაბამია.

ს.-ნახ. **\*ბ-ელ-** „გაღება, გახელა/გახსნა, ახლა“.

### ფენტხ-ი

ქართ. **ფენტხ-ი** || **ფანთხ-ი** „ფერდის ხორცი“, **ფერთხ-ელ-ა**, ზან. **ფონთხ-ი** „ფენტხი“, შდრ. სვან. (← ზან.) **ფონთხ** || **ფონთხ** "id", სვან. **ფენტხ** „ფენტხი“; საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის აღდგება **\*ფანთხ-** არქეტიპი, შდრ. ბგერათშესატყვისობა ქართ. **ა** : ზან. **ო** : სვან. **ე** (**ძალღ-** : **ჭოდღორ-** : **ყედღუ**), სადაც ქართული **ა** საერთოქართველურ მდგომარეობას ასახავს [ჩუბ. 2000-2003: 233-234].

ს.-ქართვ. **\*ფანთხ-** ← **\*ბ-ანთხ-** „საქონლის ფერდის ხორცი“

იჩქ. **დიღსა** (ახ. **დიღს**, ჭებ. **დიღსი**) „ხორცი, რბილობი“, ინგ.

**დიღს** ← **\*დიღსა** „ხორცი“, ბაცბ. **დიღსი** || **დიღს** „ხორცი“; ბაცბურის ვითარება საერთონახურისას იმეორებს — **\*დიღს-ი**. ნახურ-ქართველურ არქეტიპთა შედარებითი ანალიზი გამოაჩენს ს.-ქართვ. **ბ-** : ს.-ნახ. **ღ-** ან-ლაუტურ ოპოზიციას, რაც ისტორიულად ძირის განსხვავებული კლასნიშნებით გაფორმებაზე მიუთითებს (ინ. აქვე, § 3). სემანტიკურ იგივეობას მხარს უჭერს ბგერათშესატყვისობათა ჩვენება, შდრ. ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ი** (§ 5.4), ს.-ქართვ. **თხ** : ს.-ნახ. **თხ** (§ 44).

ს.-ნახ. **\*ღ-იღს-ი** „ხორცი, რბილობი“.

### ფერ-ღ-ი

ქართ. **ფერ-ღ-ი** „გვერდი“, ზან. **ფარ-**, მეგრ. **ო-ფარ-ე** „ზურგი, უკანა მხარე (სხეულისა)“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. ქართულში **-ღ** იმავე ფუნქციისა ჩანს, რაც მ-შვილ-ღ-ი, წალ-ღ-ი, ცულ-ღ-ი... სიტყვებში [ჩიქ. 1942: 99]. საერთოქართველურ წინარეფორმად პოსტულირდება **\*ფერ-** არქეტიპი.

ს.-ქართვ. **\*ფერ-** „ფერდი, გვერდი“

იჩქ. **ფაენ** „კედელი“, ინგ. **ფაენ** "id", ბაცბ. **ფე** ← **\*ფენ** „ფერდი, გვერდი“, **ფენ-ივ-ჰა** „მხარეს“; ბაცბურის სემანტიკა ფუძე-ენისას იმეორებს. **გვერდი** → **კედელი** მნიშვნელობის გადაწევა ვაინახურ ენებში განხორციელდა. ს.-ქართვ. **\*ფერ-** : ს.-ნახ. **\*ფენ-** კანონზომიერი სტრუქტურულ-ფონეტიკური მიმართება უნდა იყოს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ნ** (§ 14.3).

ს.-ნახ. **\*ფენ-** „ფერდი, გვერდი“.

## ფერ-ი

ქართ. **ფერ-**, **ფერ-**ი „მოვარდისფრო (მკრთალი მოწითალო) საღებავი სახისა“ (ქველ-ი), **ფერ-**ად-ი, ზან. (მეგრ.) **ფარ-**, **ფარ-**ონ-ი „მწვანე საფარი; ტვერი; ხშირი ტყე“; სხვა ქართველურ დიალექტებში შესაბამისი ფუძეები ვერ გამოვავლინეთ. საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \***ფერ-** არქეტიპი.

ს.-ქართვ. \***ფერ-** „ფერი, მკრთალი მოწითალო/მწვანე“

იჩქ. **ეფა<sup>5</sup>** (ქებ. **აფი<sup>5</sup>**) „მწვანე ფერი“, ინგ. **აფა<sup>5</sup>** ← \***აფე<sup>5</sup>** "id", ბაცბ. **აფე<sup>5</sup>** „მწვანე (ბალახზე არ ითქმის)“; საერთონახური ფუძენური მდგომარეობისათვის აღსადგენია \***ა-ფენ-** არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერად შესატყვისება ს.-ქართვ. \***ფერ-** პროტოტიპი, შდრ. ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ნ** (§ 14.3). გასარკვევია ს.-ქართვ. \***ფერ-** — \***ფენ-** „ფენა“ ფუძეთა ურთიერთმიმართება.

ს.-ნახ. \***ა-ფენ-** „მწვანე ფერი“.

## ფერვ-ი

ქართ. **ბერვ-** || **ფერვ-**, ძვ. ქართ. **ფერვ-**ი → ახ. ქართ. **ფენ-**ი, შდრ. ზმნური : შე-**ფერვ-**ებ-ა, **ფერვ-**დ-ებ-ა, ძვ. ქართ. სა-**ბრვ-**ე, ზან. (მეგრ.) **ბენ-**უ „ტერფი“, **ბან-**ვ-ალ-ი „ფერვა“, შდრ. **ბენ-**უ ← \***ბან-**უ „ტერფი“, სვან. **ბწრვ** || **ბწრვ** „ნაბიჯი“, ნა-**ბარვ** „კვალი“ [იხ. თოფ. 1927: 308, კლიმ. 1964: 50; ჩუბ. 2000-2003: 231-232].

ს.-ქართვ. \***ბერვ-** „ფენი, ტერფი“

იჩქ. **ჭაავ-**, **ჭაავ-**ოლგ „ფენის კოჭი“, ინგ. **ჭაავ-**ინ<sup>გ</sup> "id", ბაცბ.

**ჭაავ-**ი; ნახურ ენებში ძირად \***ჭაავ-** გამოიყოფა, რომელიც კანონზომიერად შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \***ბერვ-** არქეტიპისა. საყურადღებოა ს.-ქართვ.

**ბ** : ს.-ნახ. **ჭა** შესატყვისობა, რაც ისტორიულად **ბ** → **ფ** → **ჭა** (შდრ. **ჟ** → **ჭ/ც**) ფონეტიკურ გარდაქმნებს გულისხმობს. ბუნებრივია სემანტიკური მიმართება: ს.-ქართვ. **ფენი** ~ ს.-ნახ. **კოჭი**.

ს.-ნახ. \***ჭაავ-** ← წ.-ნახ. \***ფავ-** „ფენის კოჭი“.

## ფესვ-ი

ქართ. **ფესუ-**, **ფესვ-**ი „ძირი, საფუძველი“, **ფესვ-**ედ-ი, ძვ. ქართ. **ფესუ-**, შდრ. გურ. **ფერსვ-**ი, ზან. (მეგრ.) **ფოსვ-**ი || **ფოს-**ი „ფესვი, ძირი“, **ფოს-**მონთხორილ-ი „ფესვმოთხრილი, ამოძირკვეული“, ლაზ. **ფოს-**ო ← **ფოსვ-**ი "id"; სვანური შესატყვისი დაკარგული ჩანს. საერთოქართველურ არქეტიპად აღადგენენ \***ფასუ-** ფორმას, რაც საფუძვლიანი უნდა იყოს [იხ. ჭარ. 1912: 35; კლიმ. 1964: 187].

ს.-ქართვ. \***ფასუ-** „ფესვი, ძირი, საფუძველი“

იჩქ. **ნა-ფსორ**, ინგ. **ნა-ფსორ**, ბაცბ. **ნა-ფსორ** „ფუძე, საფუძველი“; ნახურ დიალექტთაგან პროტოიბერიულ-კავკასიურიდან მომდინარე ეს

ძირი მხოლოდ ბაცბურშია შემონახული, ისიც **ნა**- პრეფიქსით ნაწარმოებ ლექსემაში. საერთონახურ არქეტიპზე სრულ წარმოდგენას იძლევა დაღეს- ტნური ინფორმაციის გათვალისწინება, შდრ. ბაცბ. **ნა-ფსორ** : ანდ. **ბეშონ**, კარ. **ბერსჷან** ← **ბერშუან**, ახვ. **ბეშუანი**, ტინდ. **ბეჰჷან** ← **ბეშუან** „ბუ- დე“. *ფესვი ~ ფუძე/საფუძველი ~ ბუდე* საერთო რიგის სემანტიკებია. ს.-ნახ. **ნა<sup>7</sup>-ფსორ**- „ფუძე, საფუძველი“.

### ფეცხ-ი

ქართ. **ფეცხ-<sup>7</sup>**, შდრ. მეგრ. **ფეცხ-ი** ← ქართ. **ფეცხ-ი** „წნელი, ტოტი“, ზან. (მეგრ.) **ფაცხ-ა** „ფაცხა“, **ფაცხ-უ-ა** → || **ფეცხ-უ-ა** „წვნა“, შდრ. იმერ. (← ზან.) **ფაცხ-ვ-ა** „წვნა“, **ფაცხ-ა** „კალათი“ ← ეტ. „წნუ- ლი“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 462]. მეგრული **ფეცხ-**ში ჩანს ზანური **ფაცხ-ა** სიტყვის ქართული ეკვივა- ლენტი. ამ შემთხვევაში მეგრულმა შემოინახა ისეთი ქართული სიტყვა, რომელიც სალიტერატურო ქართულმა დაკარგა.

ს.-ქართვ. \***ფეცხ-** „წნელი, ტოტი“

იჩქ. **ფიცხა** „ჯოხი მრგვალი ბოლოთი, იხმარება სითხის ასარევად“, ინგ. **ფიცხ** "id", ბაცბ. **ფიცხ-ე<sup>7</sup>**; ბაცბური შესატყვისი დაკარგული ჩანს. საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება \***ფიცხ-ე** არქეტიპი, რომელიც ს.-ქართვ. \***ფაცხ-** ძირს კანონზომიერად მიემართება, შდრ. ბგერათშესა- ტყვისობა ს.-ქართვ. **ცხ** : ს.-ნახ. **ცხ** (§ 44).

ს.-ნახ. \***ფიცხ-ე** „ერთგვარი ჯოხი“.

### ფთა

ქართ. **ფრთა**, **ფთა** „ერქვანთ საგვერდულის ფიცარი“ (საბა), ქი- ზიყ., ფშ. **ფრთა** || **ფთა** „ჯარის (ჯარა) მორგვზე ჯვარედინად აფარებული ფიცრები“, ზან. (მეგრ.) **ფოშთ-**, **ნა-ფოშთ-ა** „ხის გადანახერხი“, სვან. **ფოშდა** ← \***ფაშთა** „გვერდის ფიცარი“. ზანურის ინტერვოკალური **ო** გა- ხმოვანება იმაზე მიუთითებს, რომ საერთოქართველურისთვის **ა** აღდგება, შდრ.: ქართ. **ა** : ზან. **ო**.

ს.-ქართვ. \***ფართ-ა** „გვერდის ფიცარი“

იჩქ. **ბერჰ** (მრ. რ. **ბერან-აშ**) „ჯოხი სადღვებელი“, ინგ. **ბერღ** "id", ბაცბ. **ბარლიმ** „ჯოხი რძის სადღვებელი“; ინგ. **რღ** : ბაცბ. **რლ** იჩქერიულში **რჰ** (←**რლ**) თანმიმდევრობას გულისხმობს, რაც მარტივდებ- ბა მომდევნო ჰ ფონემის ჩავარდნით: **რლ** → **რჰ** → || **რ**. საერთონახუ- რისთვის რეკონსტრუირდება \***ბარლ-ინ-** არქეტიპი, რომელიც ნასესხობის სახით ქართულშიც დასტურდება, შდრ. ქართ. **ბარნელ-ა** ← \***ბარლენა**.

ს.-ქართვ. **რთ** : ს.-ნახ. **რლ** შესატყვისობა რეგულარულ-კანონზომი- ერია, იხ. აქვე, § 49.

ს.-ნახ. \***ბარლ-ინ-** „ჯოხი (რძის სადღვებელი)“.

### ფთილ-ა

ქართ. ფთილ-ა || ფთილ-ა „ბამბის წნული“ (საბა), სვან. ფთიუ „ბეწვი“, ფწთუ → || ფათუ „თმა“; საბას მიერ მოხმობილი ფთილ-ა არქაული ჩანს. სვანურში მისგან არის მიღებული, რედუქციის მომდევნო საფეხურზე, ჯერ ფთიუ „ბეწვი, ფთილა“, შემდგომ — ფათუ || ფწთუ ← \*ფთუ „თმა“ მ. ქალღანის წესით [იხ. ჩუხ. 2000-2003: 236].

ს.-ქართვ. \*ფთილ- „ბეწვი, ფთილა, თმა“

იჩქ. ფათარ „ბუმბული, თივთიკი (თხისა)“, ინგ. ფათარ "id", ბაცბ.

„ფათარ“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღვადგენთ \*ფათარ-არქეტიპს. ს.-ქართვ. \*ფთილ- : ს.-ნახ. \*ფათარ- კანონზომიერი სტრუქტურულ-ფონეტიკური შესატყვისობა ჩანს, შდრ. ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა (§ 7.3), ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. რ (§ 13.3).

ს.-ნახ. \*ფათარ- „ბუმბული, თივთიკი (თხისა)“.

### ფილტვ-ი

ქართ. ფილტვ-ი, ძვ. ქართ. ფირტუ-, ზან. (ლაზ.) ფურფუ ← \*ფირთუ ← \*ფირთვ-ი „ფილტვი“, მეგრ. ფირტვ-ი „ფილტვი“, ფირტ-ხვალ-ი „ფილტვის ხველება“, სვან. პერშდუა || პერშუდა- || პერშტუა- „ფილტვი“; სვანური შდ/შტ მონაცემები ისტორიულ შთ-ზე მიუთითებენ, ეს უკანასკნელი ს.-ქართვ. თ ფშინვიერი დენტალის შესატყვისი ჩანს. ასე რომ, საერთოქართველურ არქეტიპად რეკონსტრუირდება \*ფირთუ- ფორმა [შდრ. ჩიქ. 1938: 67; კლიმ. 1964: 189; ფენ.-სარჯ. 2000: 467-468].

ს.-ქართვ. \*ფირთუ- „ფილტვი“

იჩქ. ფენ- ← \*ფეჰათ-, ფენ-ქ „ფილტვი“, ინგ. ფან- ← \*ფაჰათ-, ფან-ქ "id", ბაცბ. ფჰანთ-ი ← \*ფჰათ-ი „ფილტვი“; საერთონახურ არქეტიპთან ახლოს დგას ბაცბური ალომორფი; ვაინახურ დიალექტებში ს.-ნახ. \*ფაჰათ-ი გამარტივდა თ-ს ჩავარდნითა და ჰა → ხ დეფარინგალიზაციის პროცესით. ს.-ნახ. \*ფაჰათ-ი : ს.-ქართვ. \*ფირთუ- (შდრ. ლაკ. ჰუთრუ ← \*ფუთრუ) კანონზომიერი მიმართება ჩანს. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა, ს.-ქართვ. რ (← მ): ს.-ნახ. ჰა (← მ) რეგულარულად ვლინდება (იხ. § 7.3; § 39).

ს.-ნახ. \*ფაჰათ-ი ← წ.-ნახ. \*ფაჰთ-ი „ფილტვი“.

### ფიმფილ-ი

ქართ. ფიმფილ-, ფშ., ზ. აჭარ. ფიმფილ-ი „მცენარის (სიმინდის) ტაროს წვერზე გამოსული ფოჩი თმასავით“, ზან. (ლაზ.) ფიმფილ-ი || ფინფილ-ი „წვერი, წვერ-ულვაში“, მეგრ. ფიმფ-ი || ფიმფილ-ი „სიმინდის ფოჩი“ [იხ. ჩიქ. 1938: 55].

ს.-ქართვ. \*ფილ-ფილ- „თმასავით ფოჩი; წვერ-ულვაში“



იჩქ. **ფელ-**, **ფელ-**აგ „ნაკრტენი ფრინველისა“, ინგ. **ფელ-**ანგ "id", ბაცბ. **「ფელ-აკ」** „ბუმბული“; ბაცბური ეკვივალენტი მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეგვიძლია წარმოვადგინოთ. ნახურ ენებში **ფელ-** მარტივ ძირად გამოიყოფა, მაშინ როდესაც ქართველურ ენა-კილოებში მხოლოდ გაორმაგებული სახეობები დასტურდება, ამოსავალი **\*ფილ-** ფუძის რედუბლიკაცია აქ უცილო ფაქტია.

ს.-ნახ. **\*ფელ-** „ბუმბული, ფრინველის ნაკრტენი“.

### 「ფირსკუ-ი」

ქართ. **「ფირსკუ-ი」** „კოჭი“, სვან. **ფირსკუ** → || **ფნირსკუ**, ლაშხ. **ფურსკუ** ← **\*ფირსკუ** „კოჭი“; საერთოქართველური მონაცემი მხოლოდ სვანურ დიალექტებშია შემორჩენილი, თუმცა შდრ. ქართ. (კახ.) ა-**ფესკვა** „საქონლის ასო-ასო დაჭრა“, ზან. **ფაშნუმი**-ი „დაკლული საქონლის ნახევარი“.

ს.-ქართვ. **\*ფირსკუ-** „კოჭი“

იჩქ. **ფიმაგ** || **ფიმაგა** „წვივი“, ინგ. **ფეშა** "id", ბაცბ. **ფესკა**<sup>5</sup> „წვივი“; საერთონახურისთვის აღსადგენია **\*ფისკ-**ან არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. **\*ფირსკუ-** სიტყვას. საყურადღებოა ს.-ქართვ. **სკ** : ს.-ნახ. **სკ** შესატყვისობა კომპლექსთა დონეზე, რაც სხვაგანაც დასტურდება, იხ. აქვე, § 44. დასაშვებად მივიჩნევთ სემანტიკურ მიმართებას *კოჭი* ~ *წვივი*.

ს.-ნახ. **\*ფისკ-**ან „წვივი“.

### ფიტ-ი

ქართ. **ფიტ-**, **ფიტ-ი** „ცარიელი, თაფლგამოცლილი ფიჭა“, ზან. (მეგრ.) **ფიჭი**-ი ← **\*ფიტ-ი** „ფიტი“, შდრ. ქართ. **ფიჭა**-ა, სვან. **ფიჭ** „ფიჭა“, სვან. **ფიტ-ე** „ხვრეტს“; საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღსადგენია **\*ფიტ-** არქეტიპი *ფიტ-/ფიჭა*-ს მნიშვნელობით.

ს.-ქართვ. **\*ფიტ-** „ცარიელი ფიჭა“

იჩქ. (ჭებ.) **ფად** (მრ. რ. **ფად-ი-შ**) „ერთგვარი კასრი“, ინგ. **ფედ** „თავლია კასრი“, ბაცბ. **「ფადტი」**; ჭებერლოური დიალექტის ჩვენების მიხედვით ადვილი აღსადგენია ს.-ნახ. **\*ფატ-**ი არქეტიპი, რომლისთვისაც ინგუშურის მნიშვნელობა *თავლია ჭურჭლისა* ძირითადი უნდა იყოს. ამას ეხმაურება ქართული **ფიტ-** ფუძის *ცარიელი ფიჭის* შინაარსი, სადაც *თავლია* სემა ასევე ფიგურირებს. დაღესტნურ ენათა ინფორმაცია ავსებს ჩვენს წარმოდგენას ეტიმონურ შინაარსზე (resp. სიტყვის ეტიმონზე), შდრ. ბეჟ. **ფეტი** „გოლეული“, აღ. **ბატი** „ქილა“.

ს.-ნახ. **\*ფატ-**ი „თავლია ჭურჭელი“.

## ფიც-ი

ქართ. ფუც- → ფიც-, ი-ფიც-ებ-ა, ფიც-ი, ძვ. ქართ. ფუც-ვ-ა, ხ-ფუც-ავ-თ, ფუც-ი, ზან. (მეგრ.) ფუჩ-ი „ფიცი“, ი-ფუჩ-უ-ან-ს „იფიცავს“, ფუჩ-ინ-ელ-ი „დაფიცებული“, ო-ფუჩ-ურ-ი „საფიცარი“, დ-ფუჩ-ე „დაფიცე“, ლაზ. ო-ფუჩ-უ || ო-ფუჩ-ურ-ი „დაფიცება“, დო-ფუჩ-უმ „ფიცება“, ფუჩ-ინ-ერ-ი „დაფიცებული“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [ჭარ. 1895, XII: 110; ჩიქ. 1938: 331-332]. ფუც- → || ფიც- გადაბგერება უკვე ძველ ქართულშივე შეიმჩნევა. უ → ი პროცესი ქართველურ (ზანურ) დიალექტებში გავრცელებული პროცესია [როგ. 1962: 47-48].

ს.-ქართვ. \*ფუც- „დაფიცება, ფიცი“

ჩიქ. ბიფც- || ბ-უფც-ან „თხრობა; განხილვა; მოლაპარაკება“, ინგ. ბ-უფც-ა || ბ-უფც-არ „თხრობა“, ბაცბ. ბ-ოფც-არ || ბ-ეფც-არ „თხრობა, მოყოლა“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღვადგენთ \*ბ-ოცჟ-ზმნურ არქეტიპს, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*ფუც- ზმნა. ანლაუტური ბ- ნახურში მოქმედი გრ. კლასის ნიშანია, ხოლო ქართველური ფ- (← ბ-), ფუძეს შეხორცებული ანალოგიური აფიქსი. სემანტიკურად ფიცი ~ თხრობა ბუნებრივი კორელაცია ჩანს.

ს.-ნახ. \*ბ-ოცჟ- „თხრობა, მოყოლა“.

## ფიწალ-ი

ქართ. ფიწალ-ი, ვ-ფიწალ-ავ, ძვ. ქართ. ვ-ფიწალ-ევ-დ-ი, ზან. (მეგრ.) ბურჭულ-ი „წალი“, ნა-ბურჭულ-ა „ნაწალღევი“; სვანურში შესატყვისი არ ჩანს, მაგრამ აქ შემონახულია ქართულიდან შეთვისებული ბირწალ, რომელიც ღირებული ჩანს სალიტერატურო ფორმათა ისტორიის თვალსაზრისით. ირკვევა, რომ ქართ. ფიწალ- ← \*ბირწალ- ← \*ბურწალ-. ზან. უ : ქართ. ი (← უ) შეფარდებისთვის შდრ. ქართ. ფიც-ი : ზან. ფუჩ-ი "id", ძვ. ქართ. ფუც-ი.

ს.-ქართვ. \*ბურწალ- „ფიწალი; წალი“

ჩიქ. ფურზ (ჭებ. ფურწ) „კავი“, ინგ. ფურძ "id", ბაცბ. «ფურწ»; სათანადო ბაცბური ფუძე აღდგენილია ჭებერლოური დიალექტის ჩვენების მიხედვით. სემანტიკურად წალი ~ კავი მიმართება უთუოდ მიუთითებს კავის რკინის ნაწილზე ანუ სახვინელ დანაზე ისტორიულ ნახურში.

ს.-ნახ. \*ფურწ- „კავი“.

## ფლატე

ქართ. ფლატ-ე „მდინარის, ხევის ნაპირი (ჩანგრეული)“, ზან. (მეგრ.) ფუტ-ა „ლარი“, შდრ. იმერ. (←ზან.) ფუტ-ი „ხის ქერქის ლარი“. მეგრულში ფუძე გამარტივებულია: ფუტა ← \*ფორტ-ა. ხოლო სვანური შესატყვისი დაკარგული ჩანს.

ს.-ქართვ. \*ფლატ-ე „ნაპირი (მდინარის, ხევის)“

იჩქ. **ბაბირა** „ნაპირი“, ინგ. **ბერა** „ფლატე“, „ფლატებიანი ნაპირი“, ბაცბ. **ბარტ**. ბაცბური შესატყვისი მხოლოდ არაანლაუტური ვაინახ. **დ** : ბაცბ. **ტ** ბგერათმეფარდების საფუძველზეა სავარაუდო.  
ს.-ნახ. \***ბარტ**- „ნაპირი, ფლატე“.

### ფლ-ობ-ა

ქართ. **ფალ-/ფლ-**, და-**ფალ!** **ფლ-**ავ-ს, სა-**ფლ-**ავ-ი, ძვ. ქართ. და-**ფალ-**თ, და-მ-**ფალ-**თ, ზან. (ლაზ.) ო-**ფულ-**ჟ „დამალვა, ჩაფლობა“, მ-**ფულ-**ი || **ფულ-**ი „დავმალე“, მეგრ. **ფულ-**ჟ-ა "id", დო-**ფულ-**ი „დამალე, საიდუმლოდ შეინახე“; სვანურში შესაბამისი ძირი არ არის გამოვლენილი [ჭარ. 1918: 192; ჩიქ. 1938: 330]. საერთოქართველური ერთობისათვის აღსადგენია \***ფალ-** არქეტიპი.

ს.-ქართვ. \***ფალ-** „ჩაფლობა, დაფლვა; დამალვა“

იჩქ. **დო-ჟლ-** ←\***დე-ფლ-**, **დო-ჟლ-**ან<sup>5</sup> || **დო-ჟლ-**არ „რადაცაში გაჯდომა/გაჯერება“; "заразиться", ინგ. **დო-ჟლ-** ←\***დე-ფლ-** "id", ბაცბ. **დე-ფლ-**, **დე-ფლ-**ან<sup>5</sup> || **დე-ფლ-**არ „ძრომა, ჩაძვრომა; გაჯდომა“, ცოკალ სორჟუა **დე-ფლ-**ნ „მელია სოროში ჩაძვრება“; ნახურ დიალექტებში წარმოდგენილი ფუძე კლასნიშნიანი ზმნაა, ჩვენს ენებში კი გრამატიკული კლასის არსებობის კვალი არ ჩანს. ეტყობა, წინარექართველურში ეს ძირი თავიდანვე უკლასნიშნო იყო. სხვა მხრივ, ს.-ქართვ. \***ფალ-** : ს.-ნახ. \***ე-ფლ-** კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს. შესაძარბებელ ფუძეთა სემანტიკა იგივეობრივია.

ს.-ნახ. \***ე-ფლ-** „ძრომა; გაჯდომა/ჩაფლვა“.

### ფოთ-ი

ქართ. **ფათ-**, **ფათ-**ის-ი → || **ფაზ-**ის-ი || **ფას-**ის-ი (ასიმინაციით), ზან. (მეგრ.) **ფოთ-**ი → **ფუთ-**ი, **ფუთუ-**არ-ეფ-ი „ფოთელები“, ლაზ. **ფოთ-ო** || **ფაშ-**ი „ფოთი“, სვან. **ფაშ-**დ, შდრ. ძვ. ბერძნული **ფასიდ-**ი ←\***ფაშ-**დ (ს. ჯანაშია); ქართული (resp. საერთოქართველური) \***ფათ-** არქეფორმა დამოწმებულია ჰესიოდეს მიერ ჩვ. წ. აღ.-მდე VIII საუკუნეში [ამის შესახებ იხ. ფუტკ. 2005: 266]. \***ფათ-** არქეტიპის შესატყვისად გვაქვს ზანურში ჯერ **ფოთ-**ი, რომელიც სამწიგნობრო ქართულში დამკვიდრდა, ხოლო შემდგომ **ფ-**ს გავლენით **ო** → **უ** გადაბგერების გამო თანამედროვე მეგრული **ფუთ-**ი, შდრ. მრ. **ფუთუ-**არ-ეფ-ი „ფოთელები“ [ლომთ. 1989: 62-65]. ლაზური შესატყვისი შემოგვენახა შავი ზღვისა და სახელმწიფო **პონტ-**ო-ს დასახელებაში, რომელიც უცხო ენიდან უკუშეთვისების გამო გლოტალიზებული სახეობით შემოგვიბრუნდა — ლაზ. **ფონტ-**ო → ბერძნულის გზით → სამწ. ქართ. **პონტ-**ო.

ს.-ქართვ. \***ფასთ-** „ფოთი; შავი ზღვის ქართველური სახელი“

იჩქ. **ჰუორდ** (ქისტ. **ჟუარდ**, ახ. **ჰორდ**) „ზღვა“, ინგ. **ჟორდ** "id",

ბაცბ. «ფორდ»; ამ შემთხვევაში გამოვლენილი ბაცბ. ფ : ინგ. ფ ანალო-  
გიური ჩანს ბაცბ. ფალ : ინგ. ფალ-გ „ზღაპარი“ შეფარდებისა. თა →  
დ გადაბგერება დისიმილაციურია, რ-ს ზეგავლენით განხორციელდა —  
\*ფორთა → \*ფორდ-, შდრ. დალ., არჩ. ლ'ათ „ზღვა“.

ს.-ნახ. \*ფორთა → \*ფორდ- „ზღვა“.

### ფოთრ-ი

ქართ. ფოთრ-ი „ჯიხვის ან არჩვის თიკანი“, სვან. ფვთ „ფოთრი“,  
ზანურ დიალექტებში სათანადო ფუძე ვერ გამოვავლინეთ. ქართულის ო  
განმოვანება ისტორიულად ა-ს ლაბიალიზაციითა ჩანს მიღებული ფ-სთან  
მეზობლობით: ფოთრ-ი ← \*ფათრ-ი, შდრ. სვან. ფვთ.

ს.-ქართვ. \*ფათ-(რ-) „თიკანი; ფოთრი“

იჩქ. თუო „ბატკანი (ერთი წლის შემდგომი)“, ინგ. თოა "id", ბაცბ.  
თაუბუ „ჭედილა“; ვაინახურ ენებში ძირისეული ბ დაკარგულია; აქედან  
გამომდინარე ვაქვს ცვლილებები ფუძეებში: იჩქ. თუო ← \*თაბო, ინგ.  
თოა ← \*თობა. ბაცბური ფორმა ახლოსა დგას საერთონახურთან, მხო-  
ლოდ — ბაცბ. თაუბუ ← \*თაბუ. საერთონახურისთვის აღსადგენი ჩანს  
\*თაბ-ო არქეტიპი, რომელიც შებრუნებული სახეობაა ს.-ქართვ. \*ფათ-  
არქეფორმისა (იხ. § 3).

ს.-ნახ. \*თაბ-ო „ჭედილა; ბატკანი“.

### ფრთ-ა

ქართ. ფთ-ა || ფრთ-ა, ძვ. ქართ. ფრთ-ე, ფრთენი ეწოდებინ  
გრძელთა ნაკრტენტა ფრინველისასა, რომელთა ფრინვენ (საბა), ზან.  
(ლაზ.) ფურთ-ინ-, ო-ფურთ-ინ-უ „ფრენა“; სვანურში შესაბამისი ფუძე  
ვერ გამოვლინდა. ვფიქრობთ, ბუნებრივია სემანტიკური შეპირისპირება  
ქართ. ფრთა ~ ზან. ფრენა, რასაც მხარს უმაგრებს ფრთ-/ფურთ-ინ-  
ფუძეთა მატერიალური ერთობა [იხ. კლიმ. 1998: 203; ფენ.-სარჯ. 2000:  
456-457].

ს.-ქართვ. \*ფართ- „ფრთა; ფრენა“

იჩქ. (ჭებ.) ბადირ „ფრინველის ნაკრტენი, ბუმბული, ფრთა“, ინგ.  
ბდედარ "id", ბაცბ. «ბადირ»; ბაცბური მონაცემი დაკარგული ჩანს. ინ-  
გუშურ-ჭებერლოურის მიხედვით შესაძლებელია მსჯელობა საერთონახურ  
არქეტიპზე, რომელიც \*ბად-ერ- სტრუქტურისა უნდა ყოფილიყო.  
ფ-თ/ბ-დ სუბსტიტუცია ნახურ-ქართველურ ენებში უნდა აიხსნას  
აღწერილ ფუძეთა ბგერწერითობით.

ს.-ნახ. \*ბად-ერ „ბუმბული, ფრთა“.

### ფრთხ-ილ-ი

ქართ. **ფრთხ-**, ძვ. ქართ. **ფრთხ-ოლ-ვ-ილ-ი**, **ფრთხ-ებ-ა**, **ფრთხ-ილ-ი**, და-**ფრთხ-ა** „შეშინდა“, მ-**ფრთხ-ილ-ებ-ელ-ი**, ზან. (მეგრ.) **ნთხ-ებ-ა** || **ნთხ-აფ-ა** „შეშინება“, ე-მ-**თხ-ი** „შეშინდი“, **თხ-ილ-უ-ა** — **ფრთხ-ილ-ება** „გაფრთხილება“, მა-**თხ-ილ-ე** „მცველი, მწყემსი“, სვან. **ნთხ-**, ხ-ო-**ნთხ-ილ-ე** „უფრთხილდება“, შდრ. მეგრ. **თხ-ილ-ან-ს** "id"; ლაზურ დიალექტში ამ ძირის შესატყვისები არ ჩანს [შდრ. კლიმ. 1964: 190]. ამოსავალი საერთოქართველური არქეტიპი \***მთხ-** უნდა ყოფილიყო, საიდანაც ასიმილაციური დაყრუებით **ფთხ-** → || **ფრთხ-** განვითარდა ქართულში.

ს.-ქართვ. მ-**თხ-** || **თხ-** „შეშინება, გაფრთხილება, დაცვა“.

იჩქ. **ხა** (მრ. რ. **ხა-შ**), „მცველი“, ინგ. **ხა** „მცველი, დაცვა“, "охрана", ბაცბ. **ხე** "id"; საერთონახური ენობრივი მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \***ხე-** არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისია ს.-ქართვ. \***თხ-** ზმნური ძირისა. ანლაუტური **თ** ქართველურში ისტორიული დგარამატიკული კლასის ნიშნის დაყრუებული ვარიანტი ჩანს. ამგვარი შესაძლებლობის მხარდასაჭერად კარგი ნიმუშია დარგ. **დ-იხ-** „დაცვა“.

ს.-ნახ. \***ხე-** „მცველი; დაცვა“.

### ფრჩხ-ილ-ი

ქართ. **ფრცხ-** || **ფრჩხ-ილ-**, **ფრჩხ-ილ-ი**, ძვ. ქართ. **ფრცხ-ილ-ი**, ზან. (მეგრ.) **ბირცხ-ა** „ფრჩხილი“, აკა-**ბურცხ-ა** „ერთი ფრჩხილის ოდენა, ნამცეცა“, ლაზ. **ბუცხ-ა** ←\***ბურცხ-ა** "id", სვან. **ცხა** ←\***ფრცხა** „ფრჩხილი“; საერთოქართველურისთვის, თუ ვიმსჯელებთ ზანურის უ ← **ო** მონაცემის მიხედვით, აღსადგენია **ფარცხ-** „ფრჩხილი“ არქეტიპი [იხ. ჩიქ. 1938: 61-62; შდრ.: კლიმ. 1964: 191; ფენ-სარჯ. 2000: 458].

ს.-ქართვ. \***ფარცხ-** „ფრჩხილი“

იჩქ. **ფჰარს** „ხელი“, ინგ. **ფჰარს** "id", ბაცბ. **ფჰარს** „ხელი, მკლავი“; საერთონახური ენობრივი ერთიანობისთვის რეკონსტრუირდება \***ფარსჰა-** არქეტიპი, რომლის ანლაუტშიც მოგვიანებით განხორციელდა ფ-ს ფარინგალიზაცია ს.-ქართვ. **ხ**-ს (ფარცხ-) შესატყვისი **ჰ** ფრიკატივის დისტანციური გადასმით. აუსლაუტური ს.-ნახ. **ხ** : ს.-ქართვ. **ცხ** ბუნებრივი შესატყვისობაა (§ 31.4). ასევე მისაღები ჩანს *ფრჩხილი* ~ *ხელი* სემანტიკური კორელაციაც.

ს.-ნახ. \***ფჰარს-** ←\***ფარსჰა-** „ხელი“.

### ფს-იტ-ი

ქართ. **ფს-იტ-**, **ფს-იტ-ი** „არჩვი“, ფშ., მოხ., მთიულ., ქიზ. „გარეული თხა“; ქართულში **ფს-იტ-** ფუძე ასიმილირებული ჩანს მომდევნო ყრუ თანხმოვანთან, შდრ. **მხალ-ი** → **ფხალ-ი**... ასე რომ, ამოსავალი სახეობა ამ ფუძისა \***მს-იტ-** უნდა ყოფილიყო. სხვა ქართველურ დიალექტებში

შესაბამისი ალომორფები ჯერ-ჯერობით გამოვლენილი არ არის.

ს.-ქართვ. \*მს-იტ- „არჩვი; გარეული თხა“

იჩქ. მას-არ „არჩვი“, ინგ. მოს-არ "id", ბაცბ. მას-ორ "id"; საერთო-ნახურ ძირად გამოსაყოფია \*მას-, შდრ. დარგ. მურს „გარეული თხა“, წახ. მგს-ტა „წელიწადზე მეტი ხნის თხა“. ს.-ქართვ. -იტ : ს.-ნახ. -ორ : დალ. -ტა დამოუკიდებელი სუფიქსებია, ხოლო მს- ~ მას- ~ მგს- ~ მურს- — საერთო წარმომავლობის ძირები.

ს.-ნახ. \*მას-ორ- „არჩვი“.

### ფსკერ-ი

ქართ. კერ-, ფს-კერ-ი „ქვედა ნაწილი რაიმე საგნისა“, უ-ფსკრ-ო, ფს-კერ- ძირი გვხვდება როგორც ახალ, ასევე ძველ ქართულში; მისი შე-სატყვისია სვან. ლე-ნკურ-ი || ნა-ნკურ-ი || ლა-ნკურ-ი „ფსკერი“, შდრ. ასევე სვან. ჰო-კერ || ტო-კერ „ძირი, ფსკერი“. მეგრულ-ჭანურში შესაბამისი ფუძე დაკარგული ჩანს [შდრ. როგ. 1987: 77-80]. ქართულ-სვანურ ფორმათა ანალიზი ძირად -კერ- სეგმენტს გამოგვაყოფინებს, რომელიც გართულებულია ფს-ნა-/ლა-/ჰო აფიქსებით.

ს.-ქართვ. \*კერ- „ფსკერი“

იჩქ. კელ „დაბლა, ძირს“, ინგ. კალ ←\*კელ "id", ბაცბ. კიკელ „ქვეშ“. ბაცბური შესატყვისი რედუბლიცირებული სახეობა ჩანს ისტორიულად: კელ-კელ → \*კიკელ → კიკელ. ნახურ-ქართველურ ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა საცნაურია.

ს.-ნახ. \*კელ- „ძირს, ქვეშ“.

### ფუვ-ილ-ი

ქართ. ფუჟ-, ფუვ-ილ-ი, ფუვ-ი-ს, ძვ. ქართ. ალა-ფუვ-ა, აღ-ფუვ-ნ-ებ-ა, ზან. ფუ-ნ-, ფუ-ნ-ს „დულს“, ფუ-ნ-აფ-ა „აღლდება“, ნა-ფუ-ნ-ეფ-ი „ნაღული“, სვან. ფჟ- || ფჟ-, ლი-ფჟ-ე „დულილი“, ფჟ-ლ-ი „უბერავს“; საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღსადგენია \*ფუჟ- ძირი დულე-ბა/ბერვა მნიშვნელობებით. ქართველურ ფუძეთა ერთიანობა დიდი ხნით ადრე შენიშნეს [ჭარ. 1918: 664; ჩიქ. 1938: 330; კლიმ. 1960: 25].

ს.-ქართვ. \*ფუჟ- „დულდება, ბერვა“

იჩქ. ჰუფ-, ჰუფ-ალა „ქროლა, დაბერვა“, ინგ. ჟუფ-ალნ "id", ბაცბ.

ვუფ-; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღდგება \*ჟუფ- არქე-ტიპი, რომელიც შებრუნებული წყობისაა ს.-ქართვ. \*ფუჟ- ძირთან შედარებით (იხ. § 3); ბგერწერითი შედგენილობის ფუძეებია, რომლებიც არა-ერთ მონათესავე ენაში გამოჩნდება: ხუნძ. ფუ-ა-ზე, კარ. ფუჟ-ა-ლ'ა „ქროლა“, ხინ. ფგ „ჰაერი; ქროლა/შებერვა“...

ს.-ნახ. \*ჟუფ- „ქროლა/დაბერვა“.

## ფურ-ი

ქართ. **ფურ-**, **ფურ-**ი „ზროხა დედალი“ (საბა), ფშ. „მომგები ან მეწველი ძროხა მხოლოდ“, ზან. (მეგრ.) **ფუჭ-**ი „ფური“, ლაზ. **ფუჭ-**ი „ძროხა; ფურკამეჩი“, სვან. **ფურ** || **ფირჟუ** || **ფჟირ** || **ფჟურ** „ფური, ძროხა“; მისაღებია აკად. არნ. ჩიქობავას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ლაზურისა და სვანურის სემანტიკა — *ძროხა* — უძველესია და ამოსავალ ვითარებას აჩვენებს [ჩიქ. 1938: 78; ბროს. 1849: 72-78; როზ. 1845: 29; კლიმ. 1964: 192].

ს.-ქართვ. \***ფურ-** „ძროხა“

იჩქ. **ბულ-**ა „დომბაი“, ინგ. **ბულ-** "id", ბაცბ. **ბულ-**ჟ; საერთონახურ ძირად \***ბულ-** გამოიყოფა, მისი შესატყვისია ს.-ქართვ. \***ფურ-**, შდრ. ბეგრათშესატყვისობა ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ლ** (§ 14.2). ნახურ ენათა სემანტიკა მეორეული ჩანს, რასაც დადესტნურ ენათა ინფორმაციაც უჭერს მხარს; კერძოდ, უდიურ ენაში შესაბამისი **ბელე** ფორმა აღნიშნავს *მსხვილფეხა რქოსან საქონელს*, რაც ს.-ქართვ. *ძროხა* სემანტიკასთან უფრო ახლოსა დგას.

ს.-ნახ. \***ბულ-** „დომბაი“.

## ფურც-ელ-ი

ქართ. **ფურც-**, **ფურც-**ელ-ი, ძვ. ქართ. **ფურც-**ელ-ი, **ფურც-**ლოვან-ი, ზან. (მეგრ.) **ფურჩ-**, **ფურჩ-**ა „სიმინდის ნაქურჩენი; ფურცელი“, **ფურჩ-**ონ-ჟა „ფურცვლა; ფოთლებისგან გაწმენდა“, ო-**ფურჩ-**ე „ნაქურჩალის შესანახი ადგილი (ნაგებობა)“, ლაზ. **ფურჩ-**ა „ნაქურჩელი“; ქართულში **ფურც-** ზმნური ფუძე *ფურცვლის* მნიშვნელობით დაკარგული ჩანს [ლომთ. 1964: 35; კლიმ. 1998: 207].

ს.-ქართვ. \***ფურც-** „ფურცვლა/ქურჩა; ფურცელი“

იჩქ. **ბ-ჟც-**ა<sup>5</sup> || **ბ-ოჟც-**არ „წვნა“, ინგ. **ბ-უჟც-**ჟ || **ბ-ოჟც-**ჟრ "id", ბაცბ. **ბ-ოფც-**არ „წვნა; ქსელვა; ქსოვა“; საერთონახური ფუძეეწური მდგომარეობისათვის აღსადგენია \***ბ-ოჟც-** არქეტიპი, რომელიც მოქმედი კლასნიშნიანი ზმნა არის დღესაც. ამით იმაზე გვინდა მინიშნება, რომ ქართველური **ფ-** (← **ბ-**) ისტორიულად ფუძეს შენორცეებული გრ. კლასის ნიშანია. ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ჟ** ბუნებრივი ფონეტიკური შესატყვისობა ჩანს (§ 14.5), ისევე როგორც ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **ო** (§ 9.2).

ს.-ნახ. \***ბ-ოჟც-** „წვნა; ქსელვა“.

## ფუტ-ი

ქართ. **ფუტ-**, **ფუტ-**ი „ავი კვამლი“ (საბა), გურ., იმერ. **ფუტ-**ი „ბოლი, კვამლი“; ზან. (მეგრ.) **ფიტ-**ი || **ფგტ-**ი „ელვა“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. აქ დასახელებული ფუძეები კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებენ ისტორიულად ქართველურ ენებში გ. როგავას კანონის მოქმედებას: **უ** → **გ** → || **ი**, შდრ. ქართ. **ფუტ-**ი : ზან. (მეგრ.)

**ფიტ**-ი || **ფგტ**-ი ←\***ფუტ**-ი [როგ. 1962: 47-48].

ს.-ქართვ. \***ფუტ**- „კვამლი; ელვა“

იჩქ. **ტიფ**-ა-ზა „გაცამტვერება, სრული გაცამტვერება“, ინგ. **ტიფ**-ზ-ზ "id", ბაცბ. **ტაფ** ლაწარ/ლეწარ „გაელვება“, **ტაფ** ლაწი<sup>ნ</sup> „გაიელვა“, **ტაფ**-ა-მწ „გაქრი“! ბაცბ. ა : ვაინახ. ე ამოსავალში ა ხმოვანს გულისხმობს: ა → ე. ვაინახური სემანტიკის წარმომავლობა გასაგებია, დალოცვის ფორმულებში უსურვებენ არა ელვას (-ზა „უარყ. სუფ.“), არამედ მის (ელვის) გარეშე ყოფნას. საერთონახური \***ტოფ**- „ელვა“ შებრუნებული წყობისაა საერთოქართველურ \***ფუტ**-თან შედარებით (იხ. § 3.). ფუძეთა ერთიანობის ჰიპოთეზას უფრო საფუძვლიანს ხდის აღწერილ სიტყვათა იგივეობრივი სემანტიკა.

ს.-ნახ. \***ტაფ** ←\***ტჟაფ**- „ელვა“, "сверкнуть".

### ფუტ-ი

ქართ. **ფუტ**, **ფუტ**-ი „კომლი, ოჯახი“, ზან. (ლაზ.) ო-**ფუტ**-ე „ეზო, სახლი, სოფელი“. სვანურში შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. \***ფუტ**- „ოჯახი, ეზო“

იჩქ. **ჟაფ**-მე „ეზო“, ინგ. **უაფ**-მე "id", ბაცბ. **ვუაფ**-<sup>1</sup>. ბაცბური შესატყვისის არქონა მეტად აძნელებს ამ ფუძის ისტორიის დაზუსტებას. შესაძლებელია დავუშვათ ისტორიულად თავკიდური ვ ფონემის დისიმილაციური დაკარგვა ვაინახურ ენებში.

ს.-ნახ. \***ჟუტ**-ი „ეზო“.

### ფქვილ-ი

ქართ. **ფქვილ**-ი, ზან. (მეგრ.) **ქვირ**-ი, ლაზ. **მქირ**-ი || **მქვერ**-ი || **ფქვერ**-ი „ფქვილი“, სვან. **ქჟერ**-, შდრ. სვან. ლე-**ქჟერ** „წისქვილი“. ქართული **ფ** ←\***მ** და ლაზური **ფ** || **მ** ანლაუტური თანხმოვნები ისტორიულად ფუძესმეხორცეული პრეფიქსი გვგონია, რომელიც დაიკარგა მეგრულსა და სვანურში.

ს.-ქართვ. \***მ-ქჟ-ილ**- „ფქვილი“

იჩქ. **ჰერ** „წისქვილი“, ინგ. **ჰოარ** „ფქვილი“, ბაცბ. **ჰადრჟ** „ფქვილი“. ნახური ენების მასალის შედარება ამოსავალში ლაბიალიზებული \***ჰაჟ-ერ**- არქეტიპის დაშვების შესაძლებლობას იძლევა, შდრ. ამავე ძირის ზმნური ფუძე ს.-ნახ. \***ა-ჰა**- „ფქვა“: ს.-ქართვ. \***მ-ქჟ**- „ფქვა“.

ს.-ნახ. \***ჰაჟ-ერ**- „ფქვილი; წისქვილი“.

### ფშალ-ა

ქართ. **ფშალ**-ა „სვია“, ზან. (ლაზ.) **ფშქველ**-ა „თხემლა; ახალგაზრდა თხემლა“, სვან. **მესგჟელ**-ა „ნაცარქათამა (მცენ.)“; საერთოქართვე-



ლური მ სვანურს უცვლად დაუცავს ხმოვნის წინა პოზიციაში, ხოლო ზანურ-ქართულში ამოსავალი მ დაყრუვდა მომდევნო შ ყრუ ფრიკატივის ზეგავლენით, შდრ. ქართ. ფხალ-ი ← || მხალ-ი [იხ. კლიმ. 1964: 194; ჩუხ. 2000-2003: 152-153].

ს.-ქართვ. \*მშჷალ-ა „ახალგაზრდა თხმელა“

იჩქ. მუშ (მრ. რ. მჷშნ-აშ) „თელა“ "карага", ინგ. მუშ (მრ. რ. მოჷ-შან-აშ "id", ბაცბ. მუშ; ბაცბური შესატყვისი დაკარგულია. საერთონახურისთვის აღდგება \*მოშჷან- არქეტიპი, რომლის რეკონსტრუქციას (resp. შჷ) ინგუშური მონაცემი უჭერს მხარს. ს.-ქართვ. შ : ს.-ნახ. შ ამოსავალში ს, სისინ-შიშინა არქეფონემას ვარაუდობს (იხ. აქვე, § 33.5).

ს.-ნახ. \*მოშჷან- „თელა“ "карага".

### ფშე-ნ-ა

ქართ. ფშე-ენ-, და-ვ-ფშე-ენ-ი, ნა-ფშე-ენ-ი „ნატეხი“, ფშე-ნ-ი-ს, ფშე-ნ-ა, სვან. ფურშგჷ-ნ-ი, ა-ფურშგჷ-ინ-ე „ფშენის“, ლი-ფურშგჷ-ნ-ე „ფშენა“; ზანურში შესაბამისი ფუძეები არ არის გამოვლენილი [იხ. კლიმ. 1998: 209]. სვანურის უ გახმოვანება ასიმილირებული (ლაბიალიზებული) სახეობაა ისტორიული ა ხმოვნისა: ფურშგჷ-ნ-ი ← \*ფარშგჷ-ინ-, შდრ. შდუგჷ ← \*შთაგჷ, ე. ი. ა → უ მომდევნო ჷ-ს გავლენით.

ს.-ქართვ. \*ფაშე-ენ- „ფშენა“

იჩქ. ბ-ლშ-, ბ-ლშ-ან<sup>5</sup> || ბ-ლშ-არ „დაფხვნა“, ინგ. ბ-ლშ-, ბ-ლშ-ან, ბ-ლშ-არ „ფშენა“, ბაცბ. ბ-ეფშ-, ბ-ეფშ-ან<sup>5</sup> || ბ-ეფშ-არ „ფშენა, მსხვრევა“; ვაინახ. ჷშ : ბაცბ. ფშ ბგერათფარდობა ისტორიულად შ ფრიკატივის ლაბიალიზაციაზე მიანიშნებს, ამიტომაც საერთონახურისთვის აღდგება \*ბ-ეშე- არქეტიპი, შდრ. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ე (§ 5.3).

ს.-ნახ. \*ბ-ეშე- „ფშენა, ფხვნა, მსხვრევა“.

### ფხა

ქართ. ფხა „თევზის წვრილი ძვალი“; „ნემსივით წვრილი წანაზარდი თავთავის კილზე“ (ქეგლ-ი), ზან. (მეგრ.) ხა ← \*ფხა „გველის ძვალი“, ლაზ. ფხა → || მხა „თევზის ძვალი“, სვან. ფხა „თევზის ძვალი“; ძველ ქართულში დასტურდება ფხა ფუძისგან ნაწარმოები ფხ-იერ-ი = ფხ-იან-ი. საერთოქართველურისთვის აღსადგენია \*ფხა- არქეტიპი, რომელმაც ცვლილებანი მხოლოდ ზანურ კილოებში განიცადა [კლიმ. 1964: 194; ფენ.-სარჯ. 2000: 480].

ს.-ქართვ. \*ფხა- „თევზის წვრილი ძვალი“; „გველის ძვალი“

იჩქ. ფხა „ძარღვი“, ინგ. ფხა "id", ბაცბ. ფხა „ძარღვი, ნერვი“; საერთონახურში, ისევე როგორც ს.-ქართველურში, აღდგება \*ფხა- არქეტიპი. ნახურ-ქართველურ ფუძეთა ერთიანობაზე იმთავითვე მიუთითებდნენ [კლიმ. 1964: 194]. ს.-ქართვ. ფხა ~ ს.-ნახ. ძარღვი ბუნებრივი სემანტიკური შეფარდება. ქართულში ფხა სიტყვა ძარღვის მნიშვნელობითაც გამოიყენ-

ნება, *ძარღვს* ჩაენაცვლება კიდევ, შდრ. გამოთქმა *ფზიანი* სიტყვა || *ძარღვიანი* სიტყვა.

ს.-ნახ. \***ფზა**- „ძარღვი“.

### ფზ-ან-ა

ქართ. **ფზ-ან-**, **ფზ-ან-ა**, ი-**ფზ-ან-ს**, მო-ი-**ფზ-ან-ა**, მო-სა-**ფზ-ან-ი**, სვან. **ზ-არ-** || **ზ-ერ-** ← \***ფზ-არ-**, ა-**ზ-ერ-ი** „იფზანს“, ო-ხჷ-**ზ-არ** „მოიფზანა“, ლი-**ზ-ერ-ე** „ფზანა“, მა-**ზ-ერ-ა** „მუნი“ ← ეტ. „ფზანა“; ზანური ეკვივალენტები ვერ გამოვლინდა. საერთოქართველური **ფზ** კომპლექსი სვანურში გამარტივდა — **ფზ** → **ზ** [იხ. ჩუხ. 2000-2003: 396].

ს.-ქართვ. \***ფზ-ან-** „მოფზანა“

იჩქ. **ჭაჯ-**, **ჭაჯ-ან** || **ჭაჯ-არ** „მოხოცვა, დაგვა, წასმა“, ინგ. **ჭაჯ-**, **ჭაჯ-ან** || **ჭაჯ-არ** „id“, ბაცბ. **ჭაჯ-**, **ჭაჯ-ან** || **ჭაჯ-არ** „id“; საერთონახური ფუძე-ენისთვის აღვადგენთ \***ჭაჯ-** ზმნურ ძირს, რომელიც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \***ფზ-ან-** ფუძისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ფ** : ს.-ნახ. **ჭა** (§ 24.2), ს.-ქართვ. **ზ** : ს.-ნახ. **ჯ** (§ 36).

ს.-ნახ. \***ჭაჯ-** „მოხოცვა, დაგვა, წასმა“.

### ფზეკ-ა

ქართ. **ფზეკ-/ფზიკ-**, **ფზეკ-ს**, **ფზიკ-ა**, სა-**ფზეკ-ი**, ზან. **ზაკ-არ-** „ტყავზე ბალნის გაფზეკა“, ღო-**ზაკ-არ-უ** „გაფზეკა, ბალანი მოაცილა“, შდრ. მეგრ. **ზაკ-უნ-ს** „ფზეკს“, გუმო-**ზაკ-ილ-ი** = გამო-**ფზეკ-ილ-ი**, სვან. **ზკ-გნ-**, ა-**ზკ-გნ-ე** „ფზეკს“, ლი-**ზკ-გნ-ე** „ფზეკა“; საერთოქართველურისთვის აღსადგენია \***ფზეკ-/ფზიკ-** ზმნური ფუძეები. **ფზ** კომპლექსი ერთნაირად გამარტივდა ზანურ-სვანურ დიალექტებში [იხ. ჩიქ. 1938: 412].

ს.-ქართვ. \***ფზეკ-/ფზიკ-** „ფზეკა, ბალანის მოცილება“

იჩქ. **დ-ენქ** „სავარცხელი“, ინგ. **დ-ანქ** „id“, ბაცბ. **დ-ენკ** „სავარცხელი“; გამოყოფილი **დ-** გრამატიკული კლასის ნიშანია, რომელიც არანომინატიურ ფუძეებში არ გადაჰყვება; შდრ. ვაინახ. **ანქ-არ-**, ბაცბ. **ანკ-არ-**. საერთონახურისთვის აღდგება \***დ-ანკ-** არქეტიპი, რომლის შესატყვისია ს.-ქართვ. \***ფზეკ-** ზმნური ძირი. გასარკვევია, ანლაუტური **ფ** (← **ბ?**) საერთოქართველური ფუძეს შენორცებული ისტორიული გრამატიკული კლასის ნიშანი არის თუ არა.

ს.-ნახ. \***დ-ანკ-** „სავარცხელი“.

### ფზინ-ი

ქართ. **ფზინ-**, **ფზინ-ი** „ჩხირი“ დასტურდება ძვ. ქართულში, შდრ. ხევს. **ფზინ-ი** „საქსოვი იარაღი“, ზან. (ლაზ.) **ფზენ-ი** → || **მზენ-ი** „თითისტარი“; სვანურში შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი [იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 481].

ს.-ქართვ. \***ფზინ-** „ჩხირი; საქსოვი იარაღი“

იჩქ. **ფხა<sup>5</sup>** „ისარი“, ინგ. **ფხა** (მრ. რ. **ფხან-აშ/ყ**) "id", ბაცბ. **ᲒᲕᲗ**; საერთონახურისთვის აღვადგენთ \***ფხან-** არქეტიპს, რომელიც კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. \***ფხინ-** ფუძეს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3).  
ს.-ნახ. \***ფხან-** „ისარი“.

### ფხორ-ებ-ა

ქართ. **ფხორ-**, **ფხორ-ვ-** „გაბერვა; ბუმბულის, ბეწვის აშლა“, გა-ი-**ფხორ-ებ-ა**, ა-**ფხორ-ილ-ი**, გა-**ფხორ-ილ-ი**; ზანურსა და სვანურში შესაბამისი ზმნური ძირები ვერ გამოვლინდა. ადვილი შესაძლებელია, რომ საერთოქართველური \***ფხორ-** ძირი ზანურ-სვანურმა დაკარგა.

ს.-ქართვ. \***ფხორ-** „გაბერვა, ბუმბულის, ბეწვის აშლა“

იჩქ. **ფხორ-**, **ფხორ-ა<sup>5</sup>** (ჭებ. **ფხორ-ი<sup>5</sup>**, ითუმყ. **ფხორ-**) „ორსული“, **ფხორ-ა**-ალლა „ფეხმძიმეობა, ორსულობა“, ინგ. **ფხორ-**, **ფხორ-ა** "id", **ფხორ-ა**-ლ "id", ბაცბ. **ფხორ-**, **ფხორ-ი<sup>5</sup>** "id", **ფხორ-ო** "id"; ფუძენახურისათვის აღსადგენია \***ფხორ-** არქეტიპი, რომელიც ფორმობრივად და სემანტიკითაც იგივეობრივი ანალოგი ჩანს ს.-ქართვ. \***ფხორ-** ძირისა.

ს.-ნახ. \***ფხორ-** „დაორსულება“; \***ფხორ-ი** „ფეხმძიმე“.

### ქად-ა

ქართ. **ქად-** „ერბოთზელილი პური“, „ერბოიანი პური“ (საბა), ინგ. **ქად-** „ქად-ა" id", ზან. **ქეთუ** „ხაჭაპური“, სვან. **ქადარ** ←\***ქადა-**არ „ქადა“. ზანური შესატყვისი სვანურმა შემოგვინახა, შდრ. სვან. **ქუთ** || **ქუთუ** (მრ. **ქუთუ-არ** || **ქუთუ-არ**) „ხაჭაპური“. ამ ფუძის ზანურობაზე მიგვიბრუნებს არა მხოლოდ განმარტება (ა : უ ← ო), არამედ **დ** → **თ** პროცესიც — ქართ. შვიდ-ი : ზან. შქვით-ი : სვან. ი-შგუთიდ... [იხ. ჩუხ. 2000-2003: 256]. სომხურმა **გათა** || **ქეთა** ალომორფები ქართულიდან შეითვისა, შდრ. ასევე: ფრანგული **gâteau**, ქურთული **k'adä**, თურქული **ქეთე**, რომელთა წყაროც ს.-ქართვ. \***ქად-**ა უნდა იყოს.

ს.-ქართვ. \***ქად-**ა „ერბოიანი პური; ხაჭაპური“

იჩქ. **ჩუდა** ←\***ქოდ-ან** (ხილდ. **ქოდ-ან**) „ხორციანი კვერი“, ინგ. **ჩუთა** (მრ. **ჩუთ-ან-აშ**) "id", ბაცბ. **ქოდ-არ** ←\***ქოდ-არ** „კვერი რაიმე შიგთავსით“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \***ქოდ-**არ არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკური შესატყვისი ეძებნება საერთოქართველური \***ქად-**ა პრაფორმის სახით, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** (§ 5.2). ამ რიგის პარალელებს დიდი მნიშვნელობა აქვს წინარეკავკასიური კულინარიის ისტორიის კვლევისას.

ს.-ნახ. \***ქოდ-არ-** „ხორციანი (შიგთავსიანი) კვერი“.

## ქავ-ი

ქართ. **ქაუ-**, **ქავ-** „ციხის გალავანი“, ფშ. **ქავ-**ციხე „ციხე, გალავანი“, ზან. **ქობ-**<sup>1</sup>, ტობ. **ქობ-**ულ-ეთ-ი(?), შდრ. ქართ. **ქობ-**ულ-ი „ერთგვარი თხრილი, ორმო“, სვან. **ჩაუ** || **ჩეუ** „დაწნული ღობე“, შდრ. ლეჩხ. (← სვან.) **ჩეო**; საერთოქართველური ფუძე-ენისთვის რეკონსტრუირდება \***ქაუ-** არქეტიპი, რომელმაც ზანურში **ქობ-**<sup>1</sup> ალომორფი მოგვცა, სვანურში — **ჩეუ** → **ჩაუ** (←\***ქეუ**).

ს.-ქართვ. \***ქაუ-** „გალავანი; ღობე; თხრილი“

იჩქ. **ქოუ** (ახ. **ქაუ**, ჰვბ. **ქაუ**) „ალაყაფის კარები“, ინგ. **ქოუ** "id", ბაცბ. **ქაბ**<sup>1</sup>; გამომდინარე არაანლაუტური შესატყვისობიდან ვაინახ. **უ** : ბაცბ. **ბ** (დუუ : დუბ „სადგისი“, დიუ || დუუ : დიბ „ფიცი“...). ბაცბურისთვის სავარაუდოა **ქაბ**<sup>1</sup> სახეობის ფუნქციონირება. სწორედ ამიტომ საერთონახურში პოსტულირდება \***ქაბ-**, შდრ. ს.-ქართვ. \***ქაუ-**, დაღ., ხუნდ. **ქაუუ** „ჭიშკარი“... ფონემური ოპოზიცია ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **ბ** რეგულარულობით გამოირჩევა (§ 23.2).

ს.-ნახ. \***ქაბ-** „ალაყაფის კარები“.

## ქან-ებ-ა

ქართ. **ქან-**, გა-**ქან-**დ-ა, მო-**ქან-**დ-ა, ზან. (მეგრ.) **ნქელ-** || **ნქილ-**, მე-**ნქილ-**უნ-ს „მირბის“, ქუმო-**ნქელ-**უ „მოვარდა, მოქანდა“, სვან. **ქინ-**, ა-ნ-**ქინ-**ე „მორბის“, ო-ნ-**ქინ** „მოირბინა“; საერთოქართველურისთვის აღსადგენია **ქალ-** არქეტიპი *რბენის* მნიშვნელობით.

ს.-ქართვ. \***ქალ-** „რბენა, მოვარდნა“

იჩქ. **ლდექ-** (დალარ) „მორბენა“, ინგ. **ლექ-** "id", ბაცბ. **ლექ-/ლაქ-** (დალარ) „მოვარდნა“; **ე** ~ **ა** მონაცვლეობა ნახურ ენებში ასპექტური ჩანს. რეკონსტრუირებული საერთონახური \***ლაქ-** არქეტიპი ე. წ. შებრუნებული წყობისაა ს.-ქართვ. \***ქალ-** ძირთან შედარებით, იხ. აქვე, § 3.

ს.-ნახ. \***ლაქ-** „მოვარდნა, მორბენა“.

## ქართ-ა

ქართ. **ქართ-**ა „შემოღობილი ადგილი საქონლის დასამწყვდევად“, იმერ. **ქართ-**აკ-ი „ბრტყელი ჩხირი“, ზან. (მეგრ.) **ქერთა** → || **ქვთა** „მჭიდროდ დასახლებული ადგილი (სოფელი)“, სვან. **ქერთ-**, ლი-**ქერთ-**ე „ლობვა“, ი-**ქერთ-**ე „ილობავს“, ლგ-**ქერთ-**ე „მოღობილი, შემოღობილი“, მგ-**ქერთ-**ე „მლობავი“; ქართული **ქართ-**ა ფორმის ძველი ზანური **ქოთ-**ა → || **ქუთ-**ა შესატყვისი უნდა ჩანდეს **ქუთ-**ა-ის- || **ქუთ-**ა-ია || **ქოთ-**ა || **ქოთ-**ა-ის- || **ქუთ-**ათ-ი(ს-ი) ალომორფებში, შდრ. მეგრ. **ქუთ-**ეშ-ი, ლაზ. **ქუთ-**ა-იშ-ი, სვან. **ქუთ-**ა-შ — **ქართ-**ა → **ქართ-**ვ-ელ-ი (როგორც **რაქ-**ა → **რაქ-**ვ-ელ-ი), მეგრ.-სვან.-აფხაზ. **ქართ-** „თბილისი = ქალაქი“ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 260-261].

ს.-ქართვ. \***ქართ**-ა „ლობე/შემოლობვა; შემოლობილი ადგილი, ციხე-სიმაგრე“

იჩქ. **ქდერთ** „ლობე, ზღუდე, ეზო“, ინგ. **ქართ** || **ქერთ** "id", ბაცბ. **ქართ**-ი; საერთონახურისთვის აღსადგენია \***ქართ**- არქეტიპი, რომელიც ცნობილია დაღესტნური ენებიდანაც: ხუნძ. **ქორთ** „თავშეყრის ადგილი“, დიდ. (ინხოყვ.) **ქჷერთ**-ი „საფიხვნო“. ასე რომ, ს.-ქართვ. \***ქართ**-ა : ს.-ნახ. \***ქართ**- ბუნებრივი მიმართებაა. კავკასიაში (სომხურში, ოსურში...) ეს კულტურული ტერმინი საერთოკავკასიური კულტურული ფონდის (კონინეს) ავტოქტონური წევრია.

ს.-ნახ. \***ქართ**- „ლობე, ზღუდე, ეზო“.

### ქარშ-იკ-ი

ქართ. **ქარშ**-, **ქარშ**-იკ-ი „ბრტყელი საბელი“ (საბა), „ზურგზე ჩულის დასამაგრებელი ბრტყელი სარტყელი“; ძირად გამოყოფილ **ქარშ**-სეგმენტს შესატყვისები უნდა ჰქონოდა სხვა ქართველურ დიალექტებშიც, რისი გამოვლენაც მომავლის საქმეა.

ს.-ქართვ. \***ქარშ**- „საბელი, სარტყელი (ბრტყელი)“

იჩქ. **ქარსა** || **ქარს** „ერთგვარი საბელი“, ინგ. **ქორს** „ბაწარი“, ბაცბ. **ქარსა**ⁿ „საბელი“; ნახურ-ქართველურ ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა თვალში საცემია; რასაც მხარს უჭერს ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **შ** : ს.-ნახ. **ს**, იხ. აქვე, § 32.4.

ს.-ნახ. \***ქარს**-ან „ერთგვარი საბელი; საბელი“.

### ქარც-ი

ქართ. **ქარც**-ი „თეთრი“, ცნობილია ძველი ქართულიდან, ხოლო მე-სხურ დიალექტში **ქარც**-ი აღნიშნავს **ქერა** ადამიანს. სხვა ქართველურ ენა-კილოებში სათანადო ფუძეები გამოვლენილი არ არის.

ს.-ქართვ. \***ქარც**- „თეთრი“

იჩქ. **ჰარცა** || **ჰარსა** „ქერა“, ინგ. **ჰერც** "id", ბაცბ. **ჰარც-ი**ⁿ. ბაცბური ეკვივალენტი დაკარგული ჩანს. საყურადღებოა შესატყვისობა ს.-ქართვ. **ქ** : ს.-ნახ. **ჰ**, რაც **ჰ** → **ქ** გარდაქმნას გულისხმობს საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში, იხ. აქვე, § 40.2.

ს.-ნახ. \***ჰარც**-ინ „ქერა“.

### ქასრ-ი

ქართ. **ქასრ**-, ძვ. ქართ. **ქასრ**-ი ერთგვარი მცენარე“, **ქასრ**-ა "id", თივა-**ქასრ**-ა (საბა), სვან. **ქასგრ**- || **ქსწწ**-, მუ-**ქჷწსგრ**-ა || მგ-**ქსწწ**-ი ←\*მგ-**ქწსრ**-ი „მამულა“, ზანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. ჩუხ. 2000-2003: 250].

ს.-ქართვ. \***ქასრ**- „ქასრა, მამულა“

იჩქ. **ქემს** (ჰებ. **ქამს**) „ყურძენი“, ინგ. **ქომს** "id", ბაცბ. **ქამს**.  
ბაცბურ ეკვივალენტზე ფიქრი შესაძლებელი ხდება ჰებერლოური დია-  
ლექტის ჩვენების საფუძველზე.

ს.-ნახ. **\*ქამს-** „ყურძენი“.

### ქატ-ო

ქართ. **ქატ-ო**, ზან. (მეგრ.) **ქუტ-ია** || **ქუთ-ია** „მცენარე (თხები ძლიერ ეტანებიან)“, სვან. **განტ** || **გატ** „ქატო“; მეგრულის ჩვენება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იქ მცენარის სახელწოდებაა შემონახული, თორემ **ქატოს** გაგებით სალიტერატურო ფორმა გამოიყენება.

ს.-ქართვ. **\*ქატ-ო** „ქატო“ (მცენ.)

იჩქ. **ქოთა** „სელი“, ინგ. **გეთან** "id", ბაცბ. **ქატ-ე**; ბაცბური ეკვივალენტის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ჰურიტული **ქადე** „ქერი“ სიტყვის მიხედვით. როგორც ცნობილია **ტ** → **დ** ვაინახური მოვლენაა არაანლაუტურ პოზიციებში (ა. შიფნერი). იჩქერიულში ასევე დასტურდება **ვოთა** ფორმა, რომლის წარმომავლობაც გაურკვეველია. **ქატო** ~ **ქერი** ბუნებრივი სემანტიკური შესატყვისობაა.

ს.-ნახ. **\*ქატ-ე** „ქერი, სელი“.

### ქაქ-ია

ქართ. **ქაქ**, **ქაქ-ია** || **ქაქ-იე** „ფაფა“; სვან. **ქაქ** || **გაგ** „ფაფა“; ადრე საკითხს ვსვამდით ზანური (მეგრული) **ქაფ-ირ-ი** „ბულიონი“ სიტყვის თაობაზე : „რამდენად გამართლებულია ზან. (მეგრ.) **ქაფ-ირ-ი** „ბულიონი“ სიტყვის აქ მოხმობა — **ქაფ-ირ-** ← **\*ქაქვ-ირ-** ← **\*ქვაქ-ირ-?** **ქუ** → **ფ** ზანურისთვის დამახასიათებელი პროცესია — ძელ-ქვა : ჩამ-ფა ← ჯამ-ქვა (ქ. ლომთათიძე)“ [ჩუბ. 2000-2003: 250].

ს.-ქართვ. **\*ქაქ-** || **\*გაგ-** „ფაფა“

იჩქ. **გაგ-**, ინგ. **გაგ**, ბაცბ. **გაგ** „ბური“; საერთონახური **\*გაგ-** არქეტიპი მხოლოდ ბაცბურში შემოგვენახა. ბაცბურიდანვე ჩანს შეთვისებული თქმ. **გაგ-** „ბური“. ს.-ქართვ. **\*ქაქ-** || **\*გაგ-** „ფაფა“ : ს.-ნახ. **\*გაგ-** „ბური“ საერთო წარმომავლობის ძირებია, თუმცა ვერ გამოვრიცხავთ ფუძის სიმბოლიკას. სემანტიკისთვის შდრ. ს.-ქართვ. **\*ბეფ-** „ფაფა“ : ს.-ნახ. **\*ბაფ-** „ბური“, იხ. აქვე **ფაფ-ა**.

ს.-ნახ. **\*გაგ-** „ბური“.

### ქაცვ-ი

ქართ. **ქაცუ-**, **ქაცვ** (საბა), **ქაცვ-ი**, ზან. (მეგრ.) **ქუც-ი** ← **\*ქოცვ-ი**, სვან. **გიცუ-**რ-ილ || **გიც-**რ-ულ „კვლიავი“; ჯერ-ჯერობით ვერ გავერკვიეთ **ა** → **ი** სვანური გადაბგერების მექანიზმში.

ს.-ქართვ. **\*ქაცუ-** „ქაცვი“

იჩქ. **ჭამც** „ზღმარტლი“, ინგ. **ჭამისქ** ←\***ჭამიცქ** ←\***ჭამც**-იგ, ბაცბ. «**ჭამც**»; როგორც ეტყობა, ინგუშურში ფუძე გართულეებული იყო -იგ სუფიქსით, მისი თანხმონითი სეგმენტის ძირეულ **ც**-სთან შერწყმით **სქ** კომპლექსი განვითარდა, რამდენადაც \***ცქ** ანუ ნულოვანი ღიაობის კომპლექსში ინგუშურში აკრძალულია. **მ** ბაგისმიერის პოზიციებზე ფუძე-ში ისტორიულად **ც**- აფრიკატის ლაბიალიზაციის კვალზე მიუთითებს.

ნახ. **ჭა** : ქართვ. **ქ** ფონემური ოპოზიცია მიუთითებს **ჭა** → **ქ** ფონეტიკურ გადაქმნაზე ს.-ქართვ. ფუძე-ენაში.

ს.-ნახ. **ჭამც**- ←\***ჭაცუნ**- „ზღმარტლი“.

## ქე-

ქართ. **ქე**- „კი, ჰო დადასტურებითი ნაწილაკი“, ზან. **ქო** „კი/ჰო“; სვანურში შესატყვისი ვერ გამოვლინდა. ვოკალური მიმართება ქართ. **ე** : ზან. **ო** საერთოქართველური ფუძე-ენისათვის კანონზომიერ \***ქა**- არქეტიპს გვაგვარაუდებინებს.

ს.-ქართვ. \***ქა**- „კი/ჰო“

იჩქ. **ჭა-**, **ჭა-ც** „კი, ჰო“, ინგ. **ჭა-ცა** "id", ბაცბ. **ჭა-ც**- "id"; მართალია ეს ნახურ-ქართველური ფუძეები ბგერწერითი ბუნებისაა, მაგრამ ს.-ქართვ. **ქ** : ს.-ნახ. **ჭა** ბგერათშესატყვისობა აქაც დაცულია (§ 40.2).

ს.-ნახ. \***ჭა**- „კი/ჰო“.

## ქერ-ი

ქართ. **ქერ**-ი, **ქერ**-ელ-ი „კანაფის, სელის გარეკანი“, სვან. **ქან** „კანაფი“, **ქენ**-წმ || **ქენ**-ემ „კანაფის თესლის შეჭამანდი“, **ქენ**-შ-წრ || **ქენ**-ემ-წრ „კანაფის თესლის გულიანი პური“; საერთოქართველურისთვის აღსადგენია \***ქარ**- არქეტიპი, რომელიც ქართულისთვისაც ბუნებრივი იყო, რასაც სომხური **ქარ** → || **გარ** „ქერი“ ← ქართ. **ქარ**- ამტკიცებს. **რ** → **ნ** სვანურისთვის დამახასიათებელი პროცესია [იხ. ჩუხ. 2000-2003: 249, 23].

ს.-ქართვ. \***ქარ**- „სელი, კანაფი; ქერი“

იჩქ. (ითუმე.) **ქენ** „შვრია“, ინგ. **ქენ** "id", ბაცბ. «**ქენ**»; იჩქერიულში გაბატონებულია **სულა** ფორმა, რომელიც ქართული **სვილა**-ს შესატყვისი უნდა იყოს. თუმცა ითუმეალურ დიალექტს დაუცავს **ქენ** საკუთრივ იჩქერიული სიტყვა. საერთონახურისთვის აღდგება \***ქენ**- არქეტიპი *შერიის* მნიშვნელობით, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ე** (§ 5.3), ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ნ** (§ 14.3).

ს.-ნახ. \***ქენ**- „შვრია“.

## ქერტლ-ი

ქართ. **ქერტლ**-, **ქერტლ**-ი, **ქერტელ**-ი || იმერ. **ქეტერ**-ი, ზან. (ლაზ.) **ქართო** „ქერტლი“, **ქართალ**-ი „წერილი, წიგნი“; **ქერტლ**-/**ქართო**

ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა აღიარებულია ქართველოლოგიაში [ქუთ. 1989: 23, აბაშ. 1996: 5, კლიმ. 1998: 215, ფენ.-სარჯ. 2000: 488-489]. ქართ. **ქერტელ-ი** (შდრ. გურ. ქერცელ-ი „ქერცლი“) ფუძის შესატყვისი ჩანს ლაზური **ქარტ-ალ-ი** „ნაწერი, წერილი, წიგნი“, რასაც ხის *კანისქერქისფურცლის* სემა დაედო საფუძვლად.

ს.-ქართვ. \***ქერტ-ელ-** „ქერტლი, ქერქი“ (წიგნი ← ქერქი/ტყავი)

იჩქ. **ქარდ-იგ** || **ქარდ-იგ** „ცხვრის ტყავის ნაჭერი“; „პერგამენტი, ეტრატი“, ინგ. **ქარდ-იგ** "id", ბაცბ. **ქარტ-იკ**; კოლხური (ლაზური) **ქარტ-** ძირისგან მომდინარედ მივიჩნევთ ბერძნ. Χαρτιζ, სომხ. **ქარტ** „ქალაქი, წიგნის ფურცელი, წერილი“, ლათ. charta, ფრანგ. carte, გერმ. Karte, რუს. карта... ფორმებს, შდრ. ძვ. ქართ. **ქარტა-ა** „ეტრატი“. ცხადია, ქართველური **ქარტ-** ბერძნულის მეშვეობით გავრცელდა მსოფლიოს უმრავლეს ენაში. ბერძნულში მისი ეტიმოლოგია დღემდე არ არის გარკვეული [იხ. ფრისკ. 1960: 1075].

ს.-ნახ. \***ქარტ-** „ცხვრის ტყავის ნაჭერი; პერგამენტი, ეტრატი“.

### ქერც-ლ-ი

ქართ. **ქერც-**, **ქერც-ლ-ი**, ზან. (მეგრ.) **ქაც-უ** „ქერცლი“, სვან. **ქარჩ** || **ქარც** „ქერტლი“, შდრ. მეგრ. **ქირც-ა** || **ქერც-ა** "id"; საერთო-ქართველურ არქეტიპად რეკონსტრუირდება \***ქერც-** ძირი. **ჩ** → **ც** შიშინა აფრიკატთა გასისინების ფაქტი დამახასიათებელია როგორც ზანურისთვის, ისე სვანურისთვის.

ს.-ქართვ. \***ქერც-** „ქერცლი“

იჩქ. **ფჰარჩ-**, **ფჰარჩ-**უო „ბურუსი, გინგლი“, ინგ. **ფჰარჩ-ი** "id", ბაცბ. **ფჰარჩ-ი**; ბაცბური ეკვივალენტი დაკარგული ჩანს; მიუხედავად ამისა, საერთონახურისთვის აღდგება \***ფჰარჩ-** არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***ქერც-** ძირს. ვინაიდან ს.-ქართვ. **ქ** : ს.-ნახ. **ჰ**, ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა**, ს.-ქართვ. **ც** : ს.-ნახ. **ჩ** საერთო მასალაში რეგულარულად ვლინდება.

ს.-ნახ. \***ფჰარჩ-** „ბურუსი, გინგლი“.

### ქეს-არ-ი

ქართ. **ქეს-არ-**, **ქეს-არ-ი** „ეჩო“, ზან. **ქვიშ-ინ**-ი „ხის ჯამი, ერთგვარი ჭურჭელი“, შდრ. რაჭ. (← ზან.) **ქვიშ-ინ-ი** ← \***ქაშ-ონ-ი**, სვან. **ქეშ-ენ-ი** || **ქეშ-ენ-ი** ← \***ქაშ-ენ-ი** „კარავი მთაში“; *ეჩო/ჭურჭელის შენობა* სემანტემებს აერთიანებთ *ამოთლის* სემა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: ეჩო „ამოსათლელი“, ჭურჭელ-შენობა „ამოთლილი“. ამგვარი სემანტიკური მოდიფიკაციის ანალოგიისათვის გამოდგებოდა **მაჩა** სახელის სემანტიკური დისტრიბუცია ქართველურ დიალექტებში: **მაჩა** — 1. რაჭ. „კალოზე დადგმული შენობა ბურის შესანახად ავდარში“, 2. აჭარ. „კალატოზის



ქვის სათლელი იარაღი“ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 252].

ს.-ქართვ. \*ქეს-არ- „ეჩო, ჭურჭელი, შენობა“

იჩქ. ქაშ (მრ. რ. ქეშ-ნ-აშ, ჭებ. ქაშ-ნ-იშ) „საფლავი“, ინგ. ქაშ

(მრ. რ. ქაშ-შმ-აშ) "id", ბაცბ. «ქაშ-»; როგორც მრავლობით რიცხვში შემორჩენილი ალომორფები ადასტურებენ, საერთონახური არქეტიპი ისტორიულად ორმარცვლიანი იყო — \*ქაშ-ან- : ს.-ქართვ. \*ქეს-არ-. ბგერათმეცნიერების ს.-ქართვ. ს : ს.-ნახ. შ (§ 30.5), ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა (§ 6.2), ს.-ქართვ. რ : ს.-ნახ. ნ (§ 14.3) რეგულარულ-კანონზომიერია.

კანონზომიერია სემანტიკური მიმართებაც ს.-ქართვ. ამოთლა/ამოთლილი/ამომთლელი ~ ს.-ნახ. საფლავი ← ეტ. ამოთხრილი.

ს.-ნახ. \*ქაშ-ან- „საფლავი“.

### ქექ-ვ-ა

ქართ. ქექ-, ქექ-ავ-ს, გა-ქექ-ილ-ი „გაქნილი, გაიძვერა“, ქექ-ვ-ა, ი-ქექ-ებ-ა, გადა-ქექ-ვ-ა, ნა-ქექ-ი, ნაცარ-ქექ-ია, ქექ-ა „ცუდი ფხანა“ (საბა); ზან. (მეგრ.) ქანქ-, გინო-ქანქ-ილ-ი „გადაქექილი“, ლაზ. ო-ქანქ-უ „ქექვა“, ქანქ-უფ-ს „ქექავს“, ქანქ-უ „გამოქექა“, ქანქ-ერ-ი „გამოქექილი“; სვან. ლი-ქონქ-ე „ქექვა“, ა-ქონქ-ე „ქექავს“; ლაზურ-მეგრულსა და სვანურში ნ ფონეტიკური დანართი ჩანს. გასარკვევია სვანური ვოკალიზმის საკითხი. ალბათ, ნაბლაუტარი ფუძე გვაქვს: ქნქ- ~ ქნქ- → ქონქ- [კლიმ. 1964: 197].

ს.-ქართვ. \*ქექ-/ქიქ- „ქექვა“

იჩქ. ქანგ-, ქანგ-უო „ჩიჩქნა; ქექვა“, ტუორქაზ ქანგ-უო „სკივრის ქექვა“, „მორევა/არევა“, ინგ. ქეგ-, ქეგ-ნ-დარ "id", ქანგ-უო "id", ბაცბ.

ქაკ-, ქაკ-დარ „მორევა, მოხელვა“, ქაკ-არ „სარევი“, "МУТОВКА"; საერთონახურში ფუნქციონირებდა \*ქეგ-/ქაკ- ალომორფები, რომელთაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*ქექ/\*ქიქ-. სემანტიკურ-ფონეტიკური იგივეობა აღწერილ ფუძეებში ადვილი დასანახია.

ს.-ნახ. \*ქეგ-/ქაკ- „მორევა; ქექვა“.

### ქერ-ო

ქართ. ქერ-ო „ზოგი ცხოველის კისრის ზედა ნაწილი“, ფშ. ქერჩ-ო „ქედი“, ზან. (მეგრ.) ქანჩ-ი „ქეჩო“, სვან. ქინჩ-ილ ←\*ქენჩ-ილ „ქეჩო“. ამ ტიპის ფუძეებში ქართ. ჩ : ზან. ჩ მიმართება სიტყვაში უკანაენისმიერ (გ ქ კ ლ ხ) თანხმოვანთა პონიერებისას ბუნებრივი ჩანს (გ. მაჭავარია-ნი). ასევე ჩვეულებრივია სიტყვის ბოლოში ქართ. ლ : ზან. ი შეფარდებაც, შდრ. ქართ. ღვინ-ლ : ზან. ღვინ-ი.

ს.-ქართვ. \*ქერ- „ქეჩო, ქედი“

იჩქ. ქარ „საყელო“, ინგ. ქარ "id", ბაცბ. ქარ „საყელო, კისერი“; ნახურ-ქართველურ ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა ადვილი დასანახია. კანონზომიერად გვესახება ს.-ქართვ. ჩ : ს.-ნახ. ჩ მიმართებაც,

რამდენადაც ცნობილია, რომ ს.-ქართვ. შიშინა: ს.-ნახ. შიშინა შესატყვის-სობა ამოსავალში სისინ-შიშინა (ამ შემთხვევაში ც) ფონემებიდან მომდინარეობს; შდრ. ხმოვანშესატყვისობა ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა (§ 6.2).  
ს.-ნახ. ქაჩ „საყელო, კისერი“.

### ქეც-არ-ი

ქართ. ქეც-არ-ი, ზან. (მეგრ.) ქაც-არ-ი „ციკანი“, სვან. გიც-არ "id"; ქართულში შესაბამისი \*ქეც-არ არქეფორმა დაკარგული უნდა იყოს. ხმოვანთა შესატყვისობა ზან. ა : სვან. ი ამოსავალში, ალბათ, ს.-ქართვ. ე-ს გულისხმობს.

ს.-ქართვ. \*ქეც-არ- „ციკანი“

იჩქ. გაზა || გაზან<sup>ნ</sup> „თხა“, ინგ. გაზნ || გაზ-ილ-გ "id", ბაცბ. გაზან<sup>ნ</sup> „თხა“; კანონზომიერია სემანტიკური შეფარდება ს.-ქართვ. ციკანი ~ ს.-ნახ. თხა. ორივე ჯგუფის ენებში გავრცელებული სახეობები \*გაც- ტიპის არასიმბოლირებული არქეტიპიდან მომდინარეობს. გასარკვევია მიმართება სლავურ коза, ინგლისურ hácen „ციკანი“... ტიპის ინდოევროპულ ძირებთან.

ს.-ნახ. \*გაძ-ან- „თხა“.

### ქეც-ი

ქართ. ქეც-ი „ქერცლი“, დადასტურებულია ძველ ქართულში [იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 490], ზან. (მეგრ.) ქაც-უ „ფარფლი, ქერცლი“; მეგრულში გასარკვევია უ-ს წარმომავლობა, შდრ. კლიმ. 1998: 215. უძველეს ქართულში სავარაუდო გვგონია ქეც-ო ვარიანტის არსებობა.

ს.-ქართვ. \*ქეც-ო „ქერცლი, ფარფლი“

იჩქ. გიჩჩ-უო „თმა საფეთქელზე“, ინგ. გიჩჩ-იგ "id", შდრ. ჰებ.

გიჩჩ-აჟ, ბაცბ. გიჩჩ-ო<sup>ნ</sup>. ჩ → ჩჩ ნახურ დიალექტებში მომდევნო ი ხმოვნის ზეგავლენას მიეწერება.

ს.-ნახ. \*გიჩჩ-ო „თმა საფეთქელზე“.

### ქვა

ქართ. ქუა, ძვ. ქართ. ქვა-დ, ქართ. ქვა, ზან. (მეგრ.) ქუალ- (მრ. რ. ქუალ-ფეფ-ი), ლაზ. ქვალ- „ქვა“, სვან. ქუნან || ქუან „ჭიუხი, კლდოვანი ადგილი, ქვა“. ზანურისთვის დამახასიათებელი ლ (ქუალ-) ქართულშიც დაჩნდება — \*ქუალ- → ქოლ-, ჩა-ქოლ-ვა [იხ. ჩიქ. 1938: 187; კლიმ. 1964 : 197; ჩუხ. 2000-2003: 258].

ს.-ქართვ. \*ქუალ- „ქვა, კლდე, ჭიუხი“

იჩქ. ჰაუნ<sup>ნ</sup> (მრ. რ. ჰან-ნ-აშ) „ტყე“, ინგ. ჰაუ "id", შდრ. ჰაუნ-ხუო „მეტყევე“, ბაცბ. ჰაუნ<sup>ნ</sup> „ტყე“, ჰაუნ-ი<sup>ნ</sup> ბალ „ბალამწარა“. უ ~ ა აბლაუტი ნახურ ენებში ძირეული თანხმოვნის ისტორიულ ლაბიალიზაციაზე უნდა მიგვითითებდეს. კლდე ~ ტყე სემანტიკური კორელაციისთვის შდრ. ლაზ.

დალ-ი „ტყე, მთა“.

ს.-ნახ. \*ჰაჰან- „ტყე, ველური ადგილი“.

### ქვაბ-ი

ქართ. **ქვაბ-**, **ქვაბ-**ი „გამოქვაბული“, ძვ. ქართ. **ქვაბ-**ი, **ქვაბ-**ულ-ი „ჩავერდნილი ადგილი მთებს შორის“, ზან. (მეგრ.) **ქვაბ-**ი „ქვაბი, გამოქვაბული“, სვან. **ქვაბ** || **ქვაბ**-ა "id"; ამ ქართველური ფუძეების ერთიანი წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს და გაზიარებულიცაა სამეცნიერო ლიტერატურაში [იხ. კლიმ. 1964: 197; ფენ.-სარჯ. 200: 491-492].

ს.-ქართვ. \***ქვაბ-** „ქვაბი, გამოქვაბული“

იჩქ. **ქუფ** „მიწის ნაკვეთი; უბანი“, ინგ. **ქუფ** "id", ბაცბ. **ქუბ**-<sup>7</sup>; საერთონახურში აღსადგენია \***ქუბ-** არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \***ქვაბ-** ალომორფისა. საერთონახურ არქეტიპზე, ქართველურის გარდა, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის დალესტნური მასალაც, შდრ. ჰუნზ. **ქებუ** „ქვიშა, მტვერი, მიწა“. ამდენად, ს.-ქართვ. \***ქვაბ-** : ს.-ნახ. \***ქუბ-** ბუნებრივი მიმართებაა როგორც სემანტიკურად, ისე ფორმალურად.

ს.-ნახ. \***ქუბ-** „მიწის ნაკვეთი; უბანი“.

### ქვაბ-ი

ქართ. **ქვაბ-**, **ქვაბ-**ი „ქვაბი, ერთგვარი ჭურჭელი“, ზან. (მეგრ.) **ქვაბ-**ია „ქვაბი“, სვან. **ქვაბ(ა)** „ქვაბი“; ზანურში სახეზეა უ → ვი სპონტანური ბროცესი, შდრ. ქართ. **შუღ-** „ხრჩობა“ : ზან. **შქვიღ-** ←\***შქუღ-** "id"... საკითხი ისმის ზანურ **ფოქვ-ა/ე** „გამოქვაბული“, სვან. **ფოქ** ←\***ბაქქუ** "id" ფუძეებთან ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ.

ს.-ქართვ. \***ქვაბ-** „ქვაბი (ჭურჭელი)“

იჩქ. **ბუქა** „მცირე თიხის ქოთანის“, ინგ. **ბუქან** || **ბიქან** "id", ბაცბ. **ბუქქი**<sup>7</sup>; ბაცბურისათვის სავარაუდო ფორმა, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, აქაც დაკარგულია.

ს.-ნახ. \***ბუქი**-ი „მცირე თიხის ქოთანის“.

### ქუას-<sup>7</sup>

ქართ. **ქუას-<sup>7</sup>**, ზან. (მეგრ.) **ქოს-**, **ქოს-**უ-ა „დაგვა, გამოცოცხვა“, ო-**ქოს-**ალ-ი „ცოცხი“, მა-**ქოს-**ალ-ი „გამცოცხავი“, ლაზ. ო-**ქოს-**უ „გვა, წმენდა“, ო-**ქოს-**ალ-ე „ცოცხი“, სვან. **ქუას-**, **ქუას** || **ქუას-**ი „ბალახის ცოცხი“; ვფიქრობთ, სვანური **ქუას-** ძირისებური სახეობაა ქართულშიც მოსალოდნელი, ვინაიდან ს.-ქართვ. **უა** თანმიმდევრობა ზანურში ო-ს იძლევა — ს.-ქართვ. \***თუალ-** → ზან. **თოლ-**ი „თვალი“...

ს.-ქართვ. \***ქუას-** „ცოცხი; გამოცოცხვა, გვა, წმენდა“

იჩქ. **ქავს** (ჰებ. **ქას-**) „მომკილი ბალახის ან მარცვლეულის სვრე-

ლი“, ინგ. **ქეს** (მრ. რ. **ქას-პრ-პშ**) "id", ბაცბ. **ქას-**; ჭებერლოურისა და ინგუშურის მრავლობითის ჩვენება მეტად მნიშვნელოვანია ამ საერთონახური ძირის განმარტების ძიებისას — ს.-ნახ. **\*ქას-**. რაღაც სუფიქსი — სვანური **-ი** მორფემის ტიპისა საერთონახურში მოკვეცილი ჩანს, შდრ. დალ., ხუნდ. **ქაშუ** „თივის საჭრელი მოწყობილობა“.

ს.-ნახ. **\*ქას-** ← **\*ქუას-** „მომკა; მომკილი მცენარის სვრელი“.

### ქვე-

ქართ. **ქვე-**, ძვ. ქართ. **ქუე**, **ქუე-დთ**, **ქუე-მო**, **ქუე-შე**, **ქვე-და**, **ქვე-ნა...** სვან. **ჩუ** ← **\*ქუე** „ქვე“, **ჩუ-ბე** „ქვემო“, **ქუა** ← **\*ქუე**: ლე-**ქუა** „ქვემოთ“ [იხ. უორდ. 1911: 613; კლიმ. 1964: 197].

ს.-ქართვ. **\*ქუე-** „ქვე, ქვემო“

იჩქ. **ოჰა** ← **\*ა-ჰა** „ქვევითა ადგილი“, ინგ. **ოჰა** ← **\*ა-ჰა** "id", ბაცბ. **ა-ჰა** „ქვემოთ, ქვევითა ადგილი“. ძირად ნახურ ენებში **-ჰა** გამოიყოფა, რომელიც მატერიალურადაც და სემანტიკითაც ს.-ქართვ. **\*ქუე-** ფორმას უკავშირდება, შდრ. რეგულარული თანხმობის შესატყვისობა ს.-ქართვ. **ქ** : ს.-ნახ. **ჰა** (§ 40.2).

ს.-ნახ. **\*-ჰა** „ქვემოთ, ქვევითა ადგილი“.

### ქვევრ-ი

ქართ. **ქუეურ-**, **ქუევრ-ი** „კეცის ჭური“ (საბა), **ქვევრ-ი** „ღვინის შესანახი თიხის დიდი ჭურჭელი“, „ჭური“ (ქველ-ი), ზან. **ქვინჯ-ი** „ფსკერი“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. როგ. 1987: 78-80]. ქართ. **ქვევრ-** : ზან. **ქვინჯ-** კანონზომიერი მიმართებაა, თუ გავითვალისწინებთ **ვ** → **ნ** გარდაქმნის შესაძლებლობას ჩვენს ენებში, რაც სხვა ძირების შედარებითი ანალიზისას უფრო რეალური ხდება, კერძოდ, შდრ. ძვ. ქართ. ძი<sup>რ</sup>თ-ი → გურ. ძინთ-ი „წიწვიანი მცენარეებისგან გამონადენი წვენი, წებო“.

ს.-ქართვ. **\*ქუეურ-** „თიხის ჭური“

იჩქ. **ქურ-** ← **\*ქუურ-** „სადღვებელი (თიხის, ქვის)“, ინგ. **ქურ-** „id“, ბაცბ. **ქურ-**; საერთონახური ფუძე-ენისათვის პოსტულირდება **\*ქუეურ-** პროტოტიპი, რომელსაც ზუსტად შეესატყვისება ს.-ქართვ. **\*ქუეურ-** წინარეფორმა. სემანტიკური მიმართება, ისევე როგორც ფორმალური მხარე, იგივეობრივია.

ს.-ნახ. **\*ქუეურ-** „სადღვებელი (თიხის „ქვის)“.

### ქველ-ი

ქართ. **ქუელ-**, **ქველ-ი** „კეთილი, მოწყალე; მხნე“, სი-**ქველ-ე**, **ქველ-** მოქმედება, ძვ. ქართ. **ქუელ-ი**, **ქველ-ი-ძე** (ანთროპ.), ზან. (მეგრ.) **ქვარ-**, სა-**ქვარ-ი** „საქმიანობა, სამუშაო, შრომა“, **ქვარ-ია** (ანთროპ.);

ქართული **ქველ**- ძირის ზანური შესატყვისი **ქვარ**- უნდა იყოს შემორჩენილი მეგრულ სა-**ქვარ**-ი სიტყვაში — ქართ. **ქველ**- : ზან. **ქვარ**-, სი-**ქველ**-ე : სა-**ქვარ**-ი. ქართული ენის ჯავახურ კილოში **ქველ**- ფორმის საყურადღებო მნიშვნელობაა შემონახული: ჯავახ. **ქველ**-ი „მარჯვე, ყოჩაღი“.

ს.-ქართვ. \***ქველ**- „სიკეთე, სიქველე; მარჯვე/ყოჩაღი, საქმიანი“

იჩქ. **ქად**-ენ<sup>5</sup>, **ქად**-ენ-იგ „მარჯვე, მოხერხებული“, ინგ. **ქად**-ად "id", ბაცბ. **ქად**-ენ<sup>6</sup>; საერთონახური ფუძე-ენისთვის რეკონსტრუირდება \***ქად**-არქეტიპი, რომელსაც ჯავახურ კილოში შემონახული მნიშვნელობა ახასიათებდა — *მარჯვე*. ფორმალური თვალსაზრისით ს.-ქართვ. \***ქველ**- : ს.-ნახ. \***ქად**- პროტოტიპებს შორის ბუნებრივი მიმართებაა — ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.3), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **დ** (§ 13.7), შდრ. ხუნძ. **ქუარ**-ან-აბ „სწორი, მართალი“.

ს.-ნახ. \***ქად**- ← \***ქუად**- „მარჯვე, მოხერხებული“.

### ქვით-ინ-ი

ქართ. **ქვით**-, **ქვით**-ინ-ი, **ქვით**-ინ-ებ-ს, ა-**ქვით**-ინ-დ-ა, შდრ. **ქოთ**-**ქოთ**-ი, **ქოთ**-ი „ღრიანცელი“; ბგერწერითი აგებულების სიტყვაა, საძებნია ზანურ-სვანური პარალელები.

ს.-ქართვ. \***ქოთ**- || \***ქუთ**- || **ქვით**- „ქვითინი, **ქოთ-ქოთი**“

იჩქ. **ქად**-, **ქად**-ამ (ჰებ. **ქოდ**-ომ) „დატირება; სამძიმარი“, ინგ. **ქოდ**-ამ "id", ბაცბ. **ქატ**-, **ქატ**-ომ „ჩივილი, წუწუნი“; ბაცბურში სახეზეა დამახასიათებელი არაანლაუტური **დ** → **ტ** (შდრ.: **ძ** → **წ**, **ჯ** → **ჭ**, **გ** → **კ**) გლოტალიზაციის სპორადული პროცესი.

ს.-ნახ. \***ქად**- „ტირილი; ჩივილი/წუწუნი“.

### ქვინ-ვა

ქართ. **ქვინ**-, აღმო-**ქვინ**-ვა „ამოსუნთქვა“, ზან. (ლაზ.) **ქუნ**-ი → || **ქინ**-ი „ტვინი“, სვან. **ქუნ** || **ქვინ** „სული“, ი-**ქვინ**-ი „სუნავს“, ი-**ქვინ**-დ-ა „სუნავდა“; ლაზური ეკვივალენტი ჩვენ შემოვიტანეთ სიტყვათა ამ რიგში, *სული* ~ *ტვინი* სემანტიკური მიმართება ბუნებრივი ჩანს [იხ. აგრეთვე, მაჭ. 1965 : 61; კლიმ. 1998 : 217].

ს.-ქართვ. \***ქვინ**- „სული, ტვინი“

იჩქ. **ჰადე** ← \***ჰადე** (ახ. **ჰად-ა**) „ტვინი“, ინგ. **ჰაოა** ← \***ჰაუად** "id", ბაცბ. \***ჰად** „ტვინი“; ინგუშური ოა დიფთონგი უა თანმიმდევრობის შემდგომ მოდიფიკაციად მიგვაჩნია. თუ გავითვალისწინებთ **დ** → **Ø** არაანლაუტურ პროცესს ვინახურ ენებში, შესაძლებელი ხდება საერთონახურისთვის \***ჰაუად**- არქეტიპის პოსტულირება, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ქ** : ს.-ნახ. **ჰა** (§ 40.2), ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3); ს.-ქართვ. **ნ** : ს.-ნახ. **დ** (§ 16.5).

ს.-ნახ. \***ჰაუად**- „ტვინი“.

### ქვირ-ა

ქართ. **ქვირ-**, თუშ. **ქვირ-ან-** აც-ი „კვიცი“, მთიულ. **ქვირ-ა-ქვირ-ა** „კვიცის მონამობის შეძახილი“, ზან. **ქვირ-ა** „კვიცი“, **გურ-უნ-ი** || **გურ-ინ-ი** || **გგრ-ინ-ი** || **გირ-ინ-ი** „ვირი“, სვან. **ჰჷლ** || **ჰჷილ** ← \***გჷილ** „ჯორი“; როგორც ეტყობა, **გ** || **ქ** ფონეტიკური მონაცვლეობა საერთოქართველურში დუბლეტურ **გჷირ-** || **ქჷირ-** ლექსემათა ფუნქციონირებას დაედო საფუძვლად, რაც აისახა კიდევაც ქართველურ ალომორფებში.

ს.-ქართვ. \***გჷირ-** „ვირი, ჯორი; კვიცი“

იჩქ. **გოჷრ** (ახ. **გაჷრ**, ქისტ. **გაჷრ**, ითუმყ. **გაჷრ**) „ცხენი“, ინგ. **გოჷრ** "id", ბაცბ. **გავრ**; საერთონახურისთვის აღვადგენთ \***გჷარ-** არქეტიპს, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***გჷირ-**. **ჷ** სეგმენტის მეტათეზისი ნახურ დიალექტებში აიხსნება ლაბიალიზებულ კომპლექსთა სუბერაციის საერთო პროცესით. ბუნებრივი ჩანს ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** ვოკალური მიმართებაც (§ 7.3).

ს.-ნახ. \***გჷარ-** „ცხენი“.

### ქივ-ი

ქართ. **ქივ-**, ზან. (მეგრ.) **ქიფ-** ურ-ი „ჩუმა-მაწონი (მზადდება გულდაში)“, "простокваша", სვან. **ქიჷ** „ყველი, ერთი წველა ყველი“; ზან. **ფ** : სვან. **ჷ** გულისხმობს **ვ** → **ბ** გარდაქმნას ზანურში, შდრ. **ვაც-ი** : **ბოჩ-ი**, თიფ-ა/ი: თიფ-ი "id". ამდენად ქართულში საძიებელია **ქივ-** ან **ქივლ-** ტიპის ფუძე (შდრ. მეგრ. **ქიფ-** ურ- → რუს. кефир).

ს.-ქართვ. \***ქიჷ-** „ჩუმამაწონი, ყველი (ერთგვარი)“

იჩქ. **ქირ** „შრატი“, ინგ. **ქირ** "id", ბაცბ. **ქირ** „შრატი“; ნახურ-ქართველურ მონაცემთა შედარებისას ერთგვარ წინააღმდეგობას ქმნის **ჷ** : **რ** ფონემური მიმართება, რის პარალელსაც მოვიხმობდით ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკიდან — შდრ. ქართ. **ვ** : ზან. **რ**, ქართ. მშეგ-/მშიგ- : ზან. **შქირ-** „მიმშილი“, ქართ. **ტევ-/ტივ** : ზან. **ნტირ-** „დატევა“... ასევე ბუნებრივი ჩანს სემანტიკური შეფარდებაც: ს.-ქართვ. **ჩუმა-მაწონი** ~ ს.-ნახ. **შრატი**.

ს.-ნახ. \***ქირ-** „შრატი“.

### ქინ-

ქართ. **ქინ-**; სვან. **ქინ-** || **ქნ-**, **ლი-ქნ-ალ** || **ლი-ქნ-ე** „ბანაობა“, **ი-ქნ-ალ** „ბანაობს“, **ო-თ-ქინ-ალ**, **პდ-ქინ-ალ** „იბანავა“; ქართულსა და ზანურში შესაბამისი ფუძე ვერ გამოვლინდა. რამდენადაც მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში საერთო წარმომავლობის ძირებს ვაფიქსირებთ, შესაძლებელი გვგონია საერთოქართველური ფუძეენური მდგომარეობისთვის \***ქინ-** არქეტიპის პოსტულირება.

ს.-ქართვ. \***ქინ-** „ბანაობა“

იჩქ. **ნაქ-**, **ნაქა** (ერგ. ბრ. **ნაქ-ან-უო**, მრ. რ. **ნაქ-ან-აშ**) „ცურვა“, **ნაქა** დარ „ცურვა“, **ნაქ-ან-ჩა** „მოცურავე“, **ნაქ-ან-ცა** „ცურვა ცურვით“, ინგ. **ნაქ**, **ნაქ-**დარ „ცურვა“, **ნაქ** „ცურვა“, **ნაქ-ახ** „ცურვა-ცურვით“, ბაცბ. **ნაქ-**, შდრ. **ნაქ-არ** „ზვაფი“; საერთონახური ფუძეენისთვის აღსადგენია **\*ნაქ-** ზმნური ფუძე, რომელიც მხოლოდ ვაინახურ დიალექტებს შემორჩა. ს.-ქართვ. **\*ქინ-** : ს.-ნახ. **\*ნაქ-** კანონზომიერი სემანტიკურ-სტრუქტურული შეფარდება ჩანს, შდრ. ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3). *ცურვა* ~ *ბანაობა* კორელაცია მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისით სავსებით დასაშვებია.

ს.-ნახ. **\*ნაქ-** „ცურვა“.

### ქინქლ-ი

ქართ. **ქინქლ-**, **ქინქლ-ი** „ბუსუსი“, ზან. (მეგრ.) **ქიქილ-ი** || **ქინქილ-ი** „პატარა ახლადამოსული თმა“, სვან. **ქიქილ** || **ქინქილ** „ფაფარი“; ზანურსა და სვანურში ისტორიულად უფრო ძველი, ურედუქციო ფორმებია შემორჩენილი — ქართ. **ქინქლ-** ← **ქინქილ-**. აქ წარმოდგენილი რთული ფუძეები ისტორიულად **\*ქილ-** მარტივი ძირის რედუბლიკაციით არის მიღებული. **ნ** — **ლ** სუბსტიტუცია რედუბლიკაციის თანამდევ პროცესი ჩანს [იხ. ჩუხ. 2000-2003: 254].

ს.-ქართვ. **\*ქილ-** → **\*ქილ-ქილ-** „ბუსუსი, თმა“

იჩქ. **ქან** (მრ. რ. **ქენ-აშ**) „გაზაფხულზე განაკრეჭი მატყლი“ „მატყლი; მატყლის ნარჩენები“, ინგ. **ქან** (ერგ. ბრ. **ქინ-უო**) "id", ბაცბ. **ქან**; საერთონახურისთვის აღდგება **\*ქან-** არქეტიპი, თუმცა ნახური ენებისთვის **ი** განზოგადდება არ არის უცხო. სემანტიკური შესატყვისობა ს.-ქართვ. *თმა* ~ ს.-ნახ. *მატყლი* ბუნებრივი ჩანს, შდრ. სათანადო დაღესტნური მასალა: ხუნძ. **ქარ** „თმა“, დარგ. **ქურ** „ფაფარი“...

ს.-ნახ. **\*ქან-** „მატყლი, მატყლის ნარჩენები“.

### ქის-ონ-ი

ქართ. **ქის-**, ლეჩხ. **ქის-ორ-ი** || **ქის-ონ-ი** „თაგვისფერი, ნაცრისფერი“, ზან. (მეგრ.) **ქვიშ-ორ-ი** „ნაცრისფერი“, სვან. **ქიშ-ორ-ა** || **ქუიშ-არ-ა** „რუხი“; ამოსავალია **ქის-** ძირი. ზანურსა და სვანურში **ქ-**ს ლაბიალიზაცია — **ქ** → **ქვ** განხორციელდა **ქვიშ-ა** ფუძესთან კონტამინაციით. თუმცა, არ გამოვრიცხავთ **ქიშ-ორ-** → **\*ქიშუარ-** → || **ქუიშ-არ-** შესაძლებლობასაც სვანურში [იხ. ჩუხ. 2000-2003: 259].

ს.-ქართვ. **\*ქის-ორ-** „ნაცრისფერი; რუხი“

იჩქ. **ჰარს-ი**<sup>5</sup> (ჭებ. **ჰარს-ი**<sup>5</sup>) „წითური“, ინგ. **ჰარს-ი** "id", ბაცბ. **ჰარს-ი**<sup>6</sup>; საერთონახური ენობრივი ერთობისთვის აღსადგენია **\*ჰარს-** ძირი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. **\*ქის-** პრაფორმას, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ქ** : ს.-ნახ. **ჰ** (§ 40.2),

ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3). სემანტიკური მიმართება რუხი ~ წითური ასევე ბუნებრივად გვეჩვენება.

ს.-ნახ. \***ჰარს**-ინ „წითური“.

### ქიტ-ი

ქართ. **ქიტ**-ი „ქაფქირი“ (საბა); „ჩამჩა“, ხევს., ფშ. **ქიტ**-ურ-ა „საწვნე კოვზი“, ზან. (მეგრ.) **ქიტ**-ია „ერთგვარი კოვზი“; სვანურში მოსალოდნელი **ქიტ**-სახეობის ფუძე ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. \***ქიტ**- „ქაფქირი; საწვნე კოვზი“

იჩქ. **ქად** || **ქად** „ჯამი, ფიალა; კათხა“, ინგ. **ქად** "id", ბაცბ. **ქატრ** „ხის ღიღი კოვზი“; ბაცბური უფრო ძველ ვითარებას აჩვენებს, აქ დაცული ჩანს საერთონახური **ტ** გლოტალი, რომელიც ვაინახურში გამჟღერდა: **ტ** → **დ**. კანონზომიერია ხმოვანმიმართებაც ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3).

ს.-ნახ. \***ქატ**-ო „კათხა, ფიალა; ხის ღიღი კოვზი“.

### ქიჭ-ო

ქართ. **ქიჭ**-ო „ხე (ფიცარი), რომელსაც ორივე მხარეს პატარ-პატარა რგოლები აქვს დამაგრებული ნივთების ჩამოსაკიდებლად“. ზანურ-სვანურში **ქიჭ**-ო ფუძის შესატყვისები ვერ გამოვავლინეთ. სამაგიეროდ, ირკვევა, რომ ქართ. **ქიჭ**-ი „ძელთაგან (ხეთაგან) შემზადებული ვირთ საკიდარი კოკათ შთასადგმელი“ (საბა) ბაცბურიდან ყოფილა შეთვისებული.

ს.-ქართვ. \***ქიჭ**-ო „ქიჭო“

იჩქ. **ქუოჯ** (ქისტ. **ქუაჯ**) „ქოჭი“, ინგ. **ქოჯ** "id", ბაცბ. **ქოჯ** „ქოჭი“; აუსლაუტური **ჭ** ბაცბურში საერთონახურ ვითარებას ასახავს, ხოლო ფუძისეული განმარტება ქისტურში უფრო ძველი ჩანს. ამდენად, საერთონახურში აღდგება \***ქუაჯ**- არქეტიპი, შდრ. ხმოვანშესატყვისობა ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3), ს.-ქართვ. **ჭ** : ს.-ნახ. **ჭ** მომდინარეობს წინარეისტორიული სისინ-შიშინა **წ**, ფონემისაგან.

ს.-ნახ. \***ქუაჯ**- „ქოჭი“.

### ქმარ-ი

ქართ. **ქმ-არ-**, **ქმ-არ-ი**, ზან. **ქიმ-ოჯ-ი** || **ქომ-ო(ნ)ჯ-ი** „ქმარი“, **ქიმ-ოლ-ი** || **ქომ-ოლ-ი** „ვაჟკაცი, მამრი“; ქართული **ქმარ-** ფუძე რედუცირებული სახეობა ჩანს ოდესღაც არსებული \***ქამ-არ-** არქეფორმისა [იხ. ჩიქ. 1938: 34; ჯავახ. 1937: 227].

ს.-ქართვ. \***ქამ-არ-**, \***ქამ-ალ** „ქმარი, მამრი“

იჩქ. **ქა** „ბოტი“ (ერგ. ბრ. **ქრმ-ულ**), **ქრმ-ან** „მამრი“, ინგ. **ქა** "id" (მრ. რ. **ქო-დ**), ბაცბ. **ქომ-ონ** „ხვალი, მამალი“; აღწერილ ნახურ-ქართველურ სიტყვებს ახასიათებთ სემანტიკურ-ფორმალური იგივეობა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** § 5.2.

ს.-ნახ. \***ქომ-ონ** „ხვალი, მამრი, ბოტი“.



## ქოთ-ან-ი

ქართ. **ქოთ-ან-**, **ქოთ-ან-ი** „კეცის სადღლარი“ (საბა), ძვ. ქართ. **ქოთ-ან-ი**, **ქოთ-ან-ის-სახე-ე** „ქოთნის მსგავსი“, ზან. (მეგრ.) **ქვა-ქვათ-ან-ა** „ქოთანი, კარდალი“, ლაზ. **ქვათ-ან-ა** „თინის ხელადა“, სვან. **ქუეთ-ან** „ერთგვარი ჭურჭელი“; მეგრულში რედუბლიცირებული სახეობის ფუძე დასტურდება. **უე** თანმიმდევრობა სვანურში და **ვა** მის შესატყვისად ზანურში საერთოქართველური ფუძე-ენისათვის **\*ქუეთ-ან-** არქეფორმას გვავარაუდებინებს.

ს.-ქართვ. **\*ქუეთ-ან-** „ქოთანი“

იჩქ. **ქად** „ფინჯანი, ჯამი; ქოთანი“, ინგ. **ქად** "id", ბაცბ. **ქად-<sup>1</sup>**; ჰერლოური მრავლობითის ფორმებში შემონახული ჩანს ჩვენთვის საინტერესო ფუძის უძველესი სახეობა. ჰებ. **ქად** — **ქადე**-შ, შდრ. ითუმყ. **ქად** — **ქედა**-შ. აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ **\*ქად-ე** არქეტიპი საერთონახური ფუძე-ენისათვის, რასაც დადესტნური ინფორმაციაც მხარს უჭერს — ლეზგ. **გეტი-ე** || **კეტი-ე** „ჯამი, თეფში“.

ს.-ნახ. **\*ქად-ე** ← **\*ქუად-ე** „ფინჯანი/ქოთანი“.

## ქორ-<sup>1</sup>

ქართ. **ქორ-<sup>1</sup>**, ზან. (მეგრ.) **ნქერ-** || **ნქირ-** ← **\*ქურ-**, გო-**ნქერ-** აფა „ძლიერ გაცივება“, გი-**ნქირ-** აფი-ილ-ი „ცივი“, გო-**ნქირ-** უ „გაცივდა“, ო-**ნქერ-** უ-ან-ს „აცივებს“, სვან. **ქუნერ** || **ქუნერ** „ცივი“, მა-**ნქუნერ-** ე „ყველაზე ცივი“, ხ-ო-**ნქუნერ-** ა „უცივესი“; ქართული ეკვივალენტი ვერ გამოვავლინეთ. მოსალოდნელი კი იყო **ქორ-** ძირი.

ს.-ქართვ. **\*ქორ-** „ცივი; გაცივება“

იჩქ. **ქუმ-ე**, **ქუმ-ოლ** „თოში“, ინგ. **ქუმ-ე** || **ქომ-**, **ქუმ-აღ** || **ქომ-აღ** "id", ბაცბ. **ქომ-<sup>1</sup>**; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება **\*ქომ-** ძირი, ხოლო **-ოლ** სახელზმნური სუფიქსი ჩანს (იხ. აქვე **-ოლ**). ს.-ქართვ. **ცივი** ~ ს.-ნახ. **თოში** სემანტიკური კორელაციის ასახსნელად გამოდგებოდა **თომ-** ძირის სემანტიკური დისტრიბუცია ქართულში: **თომ-ი** ~ გა-ვ-ი-**თომ-ე**. ფონეტიკური მიმართება ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **მ** რეგულარულად ვლინდება (იხ. § 14.4).

ს.-ნახ. **\*ქომ-** „თოში“.

## ქორ-ი

ქართ. **ქორ-ი** „სახლის ერდოზე სახლი“ (საბა), ძვ. ქართ. „მეორე სართული“, **ქორ-ედ-ი** „სართულიანი, მრავალსართულიანი“, **ქორ-ის-ქორ-ი** "id", **ქორ-წილ-ი**, **ქორ-წინ-ებ-ა-ე**, ზან. (მეგრ.) **ქორ-**, ო-**ქორ-ი** „ხვიშირი“, სვან. **ქორ** „სახლი, ოჯახი“, **ქორ-აშ** მარე „სახლიკაცი“; ზანური ეკვივალენტი საბასეულ განმარტებას ეხმაურება [იხ. ჩუხ. 2000-2003: 254].

ქართ. **ყწ-ავ**-, **ყვ-ავ**-ი, **ყწ-ავ**-ის ჭანგა (მცენ.), **ყწ-ავ**-ის-წრმალა (მცენ.), **ყწ-ავ**-ფრჩხილა (მცენ.), ჭილ-**ყწ-ავ**-ი (საბა); ზან. (მეგრ.) **ყვ-არ**-, **ყვ-არ**-ია || **ცვ-არ**-ია „ყვავი“, ლაზ. **ყვ-არ-ოჯ**-ი → || **ყვ-ა-ოჯ**-ი „ყვავი“, სვან. **ჭუწერ** → || **ჭწრ** || **ჭუწ**-ერ ← \***კწ**-ერ „ყვავი“; საერთოქართველური ენობრივი ერთობისთვის აღდგება \***ყწ-ა**-ტ არქეტიპი [ჩიქ. 1938: 108-109; კლიმ. 1964: 209-210]. საყურადღებოა ქართ. **ვ** : ზან.-სვან. **რ** ბგერათფარ-ლობა, რაც სხვაგანაც ვლინდება, შდრ. ქართ. ჭვავ-ი : ზან. (ლაზ.) ჭვარ-ი, ამბავ-ი → ამბარ-ი...

ს.-ქართვ. \***ყწ-ა**-ტ- „ყვავი“

ჩიქ. **ყი-გ** (ითუმყ. **ყა-გ**, ქისტ. **ყე-გ**) „ყვავი“, ინგ. **ყწ-გ** "id", ბაცბ. **ყო-ც** „ყვავი“; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის აღ-ვადგენთ \***ყწა-გ** არქეტიპს. ს.-ქართვ. \***ყწ-ა**-ტ-: ს.-ნახ. \***ყწა-გ** კანონ-ზომიერი მიმართებაა. ამკარად გამოკვეთილი ონომატოპოეტური ბუნების ფუძეებია ორივე ჯგუფის ენებში, თუმცა ბგერათშესატყვისობათა ჩვენებე-ბი მაინც დაცულია — **ყწ** : **ყწ**.

ს.-ნახ. \***ყწა**-(გ) „ყვავი“.

### ყვავ-ილ-ი

ქართ. **ყვ-ავ**-, **ყვ-ავ**-ი-ს, **ყვ-ავ**-ილ-ი, შდრ. ხევს., ინგილ., ფშ. **ყივ**-ი „მცირე ამონაზარდი თესლიდან“, და-**ყივ**-დ-ავ, ზან. (მეგრ.) **ბ-ირ**-ი „ყვა-ვილი“, **ბ-ონ**-ს „ყვავის“, **ბ-ე-ულ**-ი "id", **ბ-ეულ-ან-ს** "id"; სვანური შესა-ტყვისი ვერ გამოვლინდა. **ყვ** → **ცვ** → **პ** ფონეტიკური პროცესი მე-გრულში პროდუქტიულია [ინ. ლომთ. 1984].

ს.-ქართვ. \***ყწ-ა**-ტ- „ყვავის; ყვავილი“

ჩიქ. **ა-ოლ** „თივა, გამხმარი ბალახი“, ინგ. **ა-ოლ** "id", ბაცბ. **ა-ოლ** „თივა“; თავკიდური **ა-** გრამატიკული კლასის ნიშანია, რომელიც სხვა ფორმებში არ გადაჰყვება, შდრ. ერგ. ბრ.: ჩიქ. **ალ-უო**, ინგ. **აღ-უო**; მრ. რ.: ჩიქ. **ელ-აშ**, ინგ. **აღ-აშ**. ასე რომ, საერთონახურ არქეტიპად აღდგე-ბა \***ა-ალ**- ფუძე, რომელიც მომდინარეობს \***ა-ა-ყწ**- წინარეფორმისაგან; ამას მოწმობს დალესტნურ ენათა მასალა, სადაც **ყწ** დღესაც ფუნქციო-ნირებს: დალ., ლეზგ. **ყწყ**, თაბ. **უკუ**, აღ. **აიკუ**, წახ. **ოყ** „ბალახი“.

ს.-ნახ. \***ა-ალ**- ← \***ა-ა-ყწ**- „თივა; გამხმარი ბალახი“.



### ყვ-ან-ა

ქართ. **ყვ-ან-**, **ყვ-ან-ა**, მო-/წა-**ყვ-ან-**ა, ძვ. ქართ. მო-**ყუ-ან-**ად, მო-ი-**ყუ-ან-**ე; ზან. (მეგრ.) **ცონ-** ← \***ცვ-ონ-**, **ცონ-**აფ-ა „წაყვანა“, მიდე-**ცონ-**ი „წაიყვანე“, მე-**ცუნ-**ს „მიჰყავს“, ლაზ. **ყონ-** || **ცონ-** → || **დონ-**, ი- **ცონ-**ამ-ს „მიჰყავს“, ი-**ონ-**უ „წაიყვანა“, ქომუ-**ყონ-**უ „მოიყვანა“, ქომო-ბ-**დ-ონ-**ი-თ „მოვიყვანეთ“; სვანური შესატყვისის დღემდე ვერ გამოვლინდა [ჩიქ. 1938: 356-357; კლიმ. 1964: 210].

ს.-ქართვ. \***ყუ-ან-** „ყვანა, მო-/წა-ყვანა“

ჩიქ. **დ-ა-ც-ან** || **დ-ო-ც-ან** „მოსვლა; მოტანა“, ინგ. **დ-ა-ც-ან** || **დო-ც-ან** „id“, ბაცბ. **დ-ა-ც-ან** „მოსვლა, მოტანა“, **დ-ო-ც-დარ** „მოყვანა“; **დ-ო-ც-დი-**თარ „მოყვანინება“; საერთონახურში გამოიყოფა \***დ-V-ც-** კლასნიშნისანი ზმნა *მოსვლა/მოტანა/მოყვანა* მნიშვნელობებით, რომელსაც უნდა შეესატყვისებოდეს ს.-ქართვ. \***ყუ-ან-** „ყვანა“ უკლასნიშნო ზმნა.

ს.-ნახ. \***-ც-**, \***დ-V-ც-** „მოსვლა, მოტანა, მოყვანა“.

### ყვედ-რ-ებ-ა

ქართ. **ყვედ-**, **ყვედ-რ-ებ-ა** „ბოროტსა უთქმოდეს“ (საბა), ა-**ყვედ-**რ-ებ-ს, სა-**ყვედ-**ურ-ი, ზან. (მეგრ.) **ცვალ-** → || **ვალ-** || **ცალ-**, წგმო-**ცვალ-**აფ-ა || წგმო-**ვალ-**აფ-ა = წამო-**ყვედ-რ-ებ-ა**, სა-**ცალ-**ე ← \*სა-**ცვალ-**ე = სა-**ყვედ-**ურ-ი, სვან. **ყვლ-** || **ყანუ-** || **ყაუ-**, ლი-ნ-**ყაუ** „უაზრო ლაპარაკი“ ი-ნა-**ყაუ-**ანლ „საუბრობს, მასლაათობს“, **ყვლ-**ე „ამბობს, იძახის“; ზანურსა და სვანურში ხელშესახებია ფუძის ცვეთა: ზან **ვ/უ** იკარგება, ხანაც — **ლ** [იხ. ჩუხ. 2000-2003: 274].

ს.-ქართვ. \***ყუედ-** || \***ყუელ-** „თქმა; უკმაყოფილების გამოთქმა“

ჩიქ. **ცოედ-**, **ცოედ-**ა „ფიქრი; განსჯა“, ინგ. **ცუედ-**, **ცუედ-**ა „id“, ბაცბ. **ყუედ-**; ბაცბური ეკვივალენტი გამოსავლენია. გამოცემულ მასალებში ის არ ჩანს. საერთონახური ფუძე-ენისათვის სავარაუდოა \***ყუედ-**არქეფორმის დაშვება. ს.-ქართვ. \***ყუელ-** : ს.-ნახ. \***ყუედ-** კანონზომიერი მიმართებაა როგორც სემანტიკურად, ისე მატერიალურად.

ს.-ნახ. \***ყუედ-** „ფიქრი, განსჯა“.

### ყვენ-ვ-ა

ქართ. **ყუენ-**, ძვ. ქართ. და-**ყუენ-**ვ-ა-დ, და-**ყუენ-**ვ-ა „მოპარსვა“ (საბა), სა-**ყვნ-**ელ-ი „საპარსი“, და-ი-**ყვნ-**ა „გაიპარსა“; სვან. **ყუელ-**/**ყუილ-** „მოცილება“, ლი-**ყუელ** „მოცილება“, ხ-ან-**ყუელ-**ე (ა-ხ-**ყუილ**) „აღცლის, მოაცილებს (ჭუჭყს)“, ხ-ე-**ყუ(ე)ლ-**ენ-ი „სცილდება“; *პარსვა* ~ *მოცილება* საერთო სემანტიკური ველის სიტყვებია, რომელთაც *მოშორების* შინაარსი აერთიანებთ. სვანურში, ისევე როგორც ძველ ქართულში, ე ~ ი აბლაუტი მჟღავნდება [შდრ. ჩუხ. 2000-2003: 284-285].

ს.-ქართვ. \***ყუენ-**/**ყუინ-** „პარსვა; რალაცის მოცილება“

იჩქ. **ლარგ-** ←\***ლარკ-**, **ლარგ-ა**<sup>5</sup> „პარსვა“, **ლარგ-არ** "id", ინგ. **ლარგ-** ←\***ლარკ-**, **ლარგ-ა** "id", **ლარგ-არ** "id", ბაცბ. **ლარკ-** „სრ. ასპ. "id", **ლერკ-** „უსრ. ასპ. "id", **ლარკ-ჟ-დნ** „გასაკრეჭი; გამკრეჭი“; საერთონახური აბლაუტური \***ლერკ-/\*ლარკ-** საერთოქართველურში ასევე აბლაუტური \***ყუენ-/\*ყუინ-** ალომორფებს შეიფარდებს (შდრ. ხუნძ.-ანდ. **კუან-** „პარსვა“). წინარენახური ლაბიალიზებული **კუ** ბგერათკომპლექსი ფუძენახურში **რკ** თანმიმდევრობით შეიცვალა, რაც დამახასიათებელი პროცესია ამ ჯგუფის ენების ისტორიული ფონეტიკისათვის. ნახურ-ქართველურ ძირებს *პარსვის* საერთო მნიშვნელობა ახასიათებთ.

ს.-ნახ. \***ლერკ-/\*ლარკ-** „კრეჭა, პარსვა“.

### ყვლივ-ი

ქართ. **ყუილ-**, **ყულ-**ივ-ი „მჭრის ძვალი“ (საბა), იმერ., რაჭ. **ყვლ-**ივ-ი „დიდი ძვალი“, ზან. (ლაზ.) **ყვილ-ი** || **ცვილ-ი** || **ვილ-ი** „ძვალი“, **ყვილ-ონი** „ძვლიანი“, მეგრ. **ცვილ-ე** „ძვალი“, სვან. **ყულ-აფ** || **ყულ-აფ** „ატყავება, აყვლეფა“; ძვალი → გაყვლეფა სემანტიკური გადაწვევისათვის ერთი ძირის ფარგლებში შდრ. მეგრ. **ძვალ-ი** „ძვალი“: **გო-ძვალ-ჟ-ა** „გაყვლეფა“, **გო-ძვალ-ჟ** „გაყვლეფა“ [იხ. ცაგ. 1880: 27; ჩიქ. 1938: 71; ფენ.-სარჯ. 2000: 539, ჩუხ. 2003: 284].

ს.-ქართვ. \***ყუილ-** „ძვალი“

იჩქ. **კურამ** (ახ. **კურუმ**) „ძვალი (სათამაშო)“, ინგ. **კორამ** ←\***კურამ** "id", ბაცბ. **კურუმ**. როგორც არაერთ სხვა შემთხვევაში, აქაც ბაცბური ეკვივალენტი დაკარგული ჩანს. მისი აღდგენა მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება. საერთონახურისთვის **კურ-** ძირი აღდგება, რომელიც ქართული ყვლ-ივ-ის დარად გართულებულია **-უმ** სუფიქსით.

ს.-ნახ. \***კურ-**უმ „ძვალი“.

### ყიდ-ვა

ქართ. **ყიდ-**, **ყიდ-ი-ს**, **გა-ყიდ-ა**, **მ-ყიდ-ვ-ელ-ი**, **გა-მ-ყიდ-ვ-ელ-ი**, ძვ. ქართ. **ს-ყიდ-ვ-ა-დ**, **მ-ს-ყიდ-ვ-ელ-ი**, **ნა-ს-ყიდ-ი**, **სა-ს-ყიდ-ელ-ი**, **ჟ-სა-ს-ყიდ-ლ-ო**; ზან. (მეგრ.) **ციდ-**, **ციდ-ირ-ი** „ყიდვა“, **მა-ციდ-ე** „მყიდველი“, **ო-ციდ-ე** „საყიდელი“, **ი-ციდ-ჟ** „იყიდა“, სვან. **ყედ-** || **ყდ-**, **ლი-ყდ-ჰნ-ი** || **ლი-ყედ-ან-ი** „დაწინდვა“, **ი-ყედ-ჰნ-ი** || **ი-ყდ-ჰნ-ი** „დანიშნავს, დაწინდავს“, **ი-ყდ-ი** „ყიდულობს“, **ენ-ყიდ** „იყიდა“; საერთოქართველური ფუძენური მდგომარეობისთვის აღსადგენია \***ყიდ-** პროტოტიპი. საყურადღებოა, რომ მეგრულ-სვანურში **ყიდ-** ფუძე მხოლოდ *ყიდვის* (ვიყიდე) მნიშვნელობით დასტურდება, *გაყიდვა* ამ ენებში სხვა ზმნური ძირით გადმოიცემა.

ს.-ქართვ. \***ყიდ-** „ყიდვა“

იჩქ. **დ-უონქ-ა**<sup>5</sup> || **დ-უონქ-არ** „გაყიდვა“, **დ-ონქ-ინ-ა** „გაყიდა“, ინგ. **დ-ონქ-ა** || **დ-ონქ-არ** "id", **დ-ონქ-არ-ხუო** „გამყიდველი“, ბაცბ. **დ-ონქ-არ**

„სრ. ასბ. "id", **დ-ეხკ**-არ „უსრ. ასბ. "id", **დ-ეხკ**-უდნი „გამყიდველი“; ვაი-ნახურში ასპექტური წარმოება აბლაუტის გზით მოშლილია. საერთონახურ **\*დ-ეხკ-/\*დ-ახკ**- ალომორფებს შებრუნებული წყობის **\*ყიდ**- შეესატყვისება საერთოქართველურში, შდრ. ს.-ქართვ. ყ : ს.-ნახ. ხკ (§ 37.3).

ს.-ნახ. **\*დ-ეხკ-/\*დ-ახკ**- „გაყიდვა“; "продать".

### ყინ-ვ-ა

ქართ. **ყინ**-, **ყინ**-ავ-ს, ი-**ყინ**-ებ-ა, **ყინ**-ულ-ი, ძვ. ქართ. **ყინ**-ვ-ა-დ, **ყინ**-ელ-ი „ყინული“, მ-**ყინ**-ვ-არ-ი; ზან. (მეგრ.) **ცინ**-, **ცინ**-უნ-ს „ყინავს“, გო-**ცინ**-ილ-ი „გაყინული“, ნა-**ცინ**-ა „ნაყინი“, **ცინ**-უ/გ (მრ. რ. **ცინ**-უ-ეფ-ი) „ყინული“, ლაზ. ო-**ყინ**-უ „ყინვა“, **ცინ**-ი || **ყინ**-ი „ცივი“, **ყინ**-ერ-ი || **ცინ**-ორ-ი „ყინული“; სვან. **ყგგნ**- ← **\*ყგნ**-(?), ლი-**ყგგნ**-ე || ლი-**ყგგნ**-ე „გაყინვა“, ხტ-ი-**ყგგნ**-ი „ვიყინები“; სვანური გ ფონეტიკური დანართია, რაც (გ-ს განვითარება) აქ ხშირად დასტურდება, შდრ. ქართ. ანწლ-ი : სვან. გ-ანჭტუ ← \*ანჭლ- "id" [ჩიქ. 1938: 190, 355; კლიმ. 1964: 212].

ს.-ქართვ. **\*ყინ**- „ყინვა; ყინული/ცივი“

იჩქ. **ყა** || **ყან** (მრ. რ. **ყან**-აშ) „ზამთარი“, ინგ. **ყა** (მრ. რ. **ყან**-აშ/ყ)

"id", ბაცბ. **ყა** (მრ. რ. **ყამ**-ეშ) "id"; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება **\*ყან**- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. **\*ყინ**- ძირს, შდრ. ს.-ქართვ. ყ : ს.-ნახ. ყ (§ 37.4), ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა (§ 7.3). *ყინული/სიცივე* ~ *ზამთარი* სემანტიკური შეფარდება დასაშვებია [გულ. 1954].

ს.-ნახ. **\*ყან**- „ზამთარი“.

### ყლუნტ-ი

ქართ. **ყლუნტ**-ი „ყლუბი“, შდრ. ქიზიყ. **ყლურტ**-უნ-ა „ისეთი კაცის მეტსახელია, ლაპარაკში რომ ნერწყვს ყლაპავს“, **ყლუნტ**-ი „ერთ შესმად ჩანთქმა“ (საბა), ზან. (მეგრ.) **ყინტ**- || **ყირტ**-, **ყირტ**-უ-ა || **ყინტ**-უ-ა „ყლუბი, ყლაპვა“; სვანურში სათანადო ფუძე ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. **\*ყლუნტ**- || **\*ყლურტ**- „ყლუბი; ყლაპვა“

იჩქ. **ყურდ** „ყლუბი“, ინგ. **ყურდ** "id", ბაცბ. **ყურტ** "id"; რა თქმა უნდა, ხმაბაძვითი სიტყვაა ორივე ჯგუფის ენებში, მაგრამ საინტერესო სწორედ ის არის, რომ ბგერწერით ძირებშიც დაცულია ბგერათშესატყვის-სობათა ჩვენება. საყურადღებოა შიდანახური შეფარდება არაანლაუტში ვაინახ. **დ** : ბაცბ. **ტ** — **ტ** → **დ**.

ს.-ნახ. **\*ყურტ**- „ყლუბი“.

### ყმ-ა

ქართ. **ყმ-ა** „მონა“, პატრონ-**ყმ-ობ-ა**, ბატონ-**ყმ-ობ-ა**, ე-**ყმ-ო**; სხვა ქართველურ დიალექტებში ქართ. **ყმ-ა** ფუძის შესატყვისები არ არის გამოვლენილი, მაგრამ მაინც ხდება შესაძლებელი **ყმ-ა** სიტყვის საერთო-ქართველურ დონეზე რეკონსტრუქცია, რამდენადაც მისი პარალელური მონათესავე ნახურ ენებში გამოჩნდა. თუმცა არ გამოვრიცხავთ სვანური **ყნ-ა**უ „მათხოვარი“ სიტყვის შესაძლო ეტიმოლოგიურ კავშირს ქართ. **ყმ-ა** ლექსემასთან.

ს.-ქართვ. \***ყემ-ა** „მონა“

იჩქ. **ყენ** || **ყენ** „ღარიბი, გლახაკი“, ინგ. **ყე** ← \***ყენ** „საწყალი“, ბაცბ. **ყენ** „ღარიბი, გლახაკი“; საერთონახურში აღსადგენია \***ყენ-** არქეტიპი, რომელიც საერთოქართველური პროტოტიპის განმოვანებაზეც იძლევა წარმოდგენას — \***ყემ-ა**, შდრ. ბეჟიტ. **ყემა** „მათხოვარი, ღარიბი“; სემანტიკური მიმართება ს.-ქართვ. **ყმა** ~ ს.-ნახ. **გლახაკი** ბუნებრივი ჩანს, შდრ. სვან. *მათხოვარი*.

ს.-ნახ. \***ყენ-** „გლახაკი, საწყალი“.

### ყმ-ა

ქართ. **ყმ-ა**, კაი **ყმ-ა**, მო-**ყმ-ე** „ვაჟკაცი, რაინდი“; სამწუხაროდ ქართულში ფიქსირებული **ყმ-**ის შესატყვისი ლექსემები სხვა ქართველურ დიალექტებში ვერ გამოვავლინეთ. ცხადია, ივარაუდება მათი ოდინდელი არსებობა მეგრულ-ჭანურსა და სვანურში.

ს.-ქართვ. \***ყმ-ა** „მოყმე, ვაჟკაცი, რაინდი“

იჩქ. **მუყა** „თავისუფალი“, **მუყა-დ-აჯა**<sup>5</sup> „განთავისუფლება“, ინგ.

**მუყა** "id", **მუყ-ამ** „თავისუფლება“, ბაცბ. **მაყო** → || **მაყ** „თავისუფალი“, **მაყ-ოლ** „თავისუფლება“; ბაცბურის ჩვენება უძველესია და თითქმის იმეორებს საერთონახურ განმოვანებას. საინტერესოა სემანტიკური მიმართებაც — ს.-ქართვ. *ვაჟკაცი* ~ ს.-ნახ. *თავისუფალი*, რაც ბუნებრივი ჩანს.

ს.-ნახ. \***მაყ-ო** „თავისუფალი“.

### ყმ-ელ-ა

ქართ. **ყმ-**, **ყმ-ელ-ა** „მშევა“ (საბა), ძვ. ქართ. სი-**ყმ-ილ-ი**, მ-**ყმ-არ-ი** „დამშეული“, მო-**ყმ-ობ-ა** „წყურვილი, ხრჩობა“, ზან. (ლაზ.) ო-**ყომ-ინ-უ** „წყურვილი“, მ-**ყომ-ინ-ს** „მწყურია“, **ყომ-ინ-ი** || **ცომ-ინ-ი** || მეგრ. **ცუმ-ენ-ი** „წყურვილი“, **ცომ-ინ-ერ-ი** → || **ყომინ-ერ-ი** „მწყურვალი“; სვან. **ყიმ-** ← **ყამ-**, **ყიმ-ა** „წყურვილით ხრჩობა“, ლი-**ყმ-ე** "id", ა-**ყმ-ე** || ა-**ყმ-ე** „ახრჩობს“, ჩუადა-**ყიმ-ე** „დაახრჩო“; საერთოქართველურში აღდგება \***ყამ-**ზმნური ძირი [თოფ. 1927: 287; ჩიქ. 1938: 355; კლიმ. 1964: 212].

ს.-ქართვ. \***ყამ-** „წყურვილი; წყურვილით ხრჩობა“

იჩქ. **დო-ყან**<sup>5</sup> (ერგ. ბრ. **დო-ყან-უო**, ახ. **დო-ყან-ა**) „გვალვა“, ინგ. **დო-**

ყწ (მრ. რ. დო-ყწნ-წწ) "id", ბაცბ. დო-ყან-წ "id"; ამავე ძირისაა დ-ა-ყ- „გახმოება“, ლა-ყ- „შრობა“ საერთონახური ზმნები, სადაც -ყ- ცალმორფე- მიანი არქეტიპი გამოიყოფა. ფორმალური თვალსაზრისით საერთოქარ- თველურ \*ყამ- ძირთან ახლოსა დგას სახელური ფუძენახური \*-ყან-, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ნ (§ 15.3).

ს.-ნახ. \*-ყან- „ხმობა/შრობა; გვალვა“.

### ყრ-ა

ქართ. ყარ-, ყრ-ი-ს, ყარ-ა, სა-ყარ-ი, ნა-ყარ-ი, მი-ყარ-მო-ყარ-ა, ზან. (ლაზ.) ყორ- || ორ-, ო-ყორ-უ „გადაღვრა“, მე-ყორ-უ „გადაასხა“, მე-ორ-უ „ჩაასხა“, მეგრ. ნყორ- ←\*ყორ-, ო-ნყორ-უ „ბევრი, თავზე სა- ყრელი“. სვანური შესატყვისი არ ჩანს [იხ. ჩუხ. 2000-2003: 272; კარტ. 2005: 217].

ს.-ქართვ. \*ყარ- „ყრა, დასხმა“

იჩქ. აწნ-, აწნ-ა<sup>ნ</sup> „დასხმა, დაცვენა“, ინგ. აან-, აან-ა || აან-არ "id",

ბაცბ. რან-<sup>1</sup>. ნახურ-ქართველურ ფუძეთა საერთო წარმომავლობა უეჭვე- ლია, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ყ : ს.-ნახ. ა (§ 37.4), ს.-ქართვ. რ : ს.-ნახ. ნ (§ 14.3).

ს.-ნახ. \*ან- „დასხმა, დაცვენა“.

### ყრ-უ

ქართ. ყრ-, ყრ-უ- ←\*ყრ-უ-, ძვ. ქართ. ყრ-უ-ა „ყრუ“; ზან. (მეგრ.) ცურ-, ცურ-უ „სულელი; შეუსმენელი“, ცურ-უ-ია "id"; მეგრულ- ში სულელი სემანტიკისთვის ამოსავალია ყრუ/შეუსმენელი, რომელსაც არ ესმის სხვათა ნათქვამი. სვანური შესატყვისი გამოვლენილი არ არის [თოფ. 1940: 538; კლიმ. 1964: 214]. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ყრ-უ და ყურ-ი ფორმათა საერთო წარმომავლობის ჰიპოთეზას. აქ, სანამ სვანური მასალა არ გამოვლინდება, საბოლოო სიტყვის თქმა ძნელია.

ს.-ქართვ. \*ყრ-უ „ყრუ“

იჩქ. ყუორ-, ყუორ-და<sup>ნ</sup> „დაყრუება“, ყუორ-დალა<sup>ნ</sup> "id", ყორ-უო „მოყრუო“, "глуховатый", ინგ. ყორ-, ყორ-დე "id", ყორ-დელ<sup>ა</sup> "id", ბაცბ. ყორ-, ყორ-დალარ „დაყრუება“, ყორ-დარ „დაყრუება (დააყრუ- ებს)“, ყორ-ოლ „სიყრუე“; საერთონახური \*ყორ- კანონზომიერად შეესა- ტყვისება ს.-ქართვ. \*ყრ-უ ალომორფს. საერთოქართველურ გახმოვანე- ბაზე ნახური მონაცემის მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ, ვინაიდან ს.-ნახ. ო შეესატყვისება ს.-ქართვ. ა, ო, უ ხმოვნებს, ისევე როგორც მეგრული უ.

ს.-ნახ. \*ყორ- „დაყრუება“, "оглохнуть".

## ყუ-ა

ქართ. **ყუვ-**, **ყუ-**ა || **ყუვ-**ა „მახვილის გნდე“ (საბა), ხევს. **ყუვ-**ი „ყუა“, სა-**ყუვ-**ი; ზან. (ლაზ.) **ცვ-**ა || **ყვ-**ა || **კვ-**ა „შუბლი“, ხოფ. **ყუ-**ა „თონის ყუა“, მეგრ. **ცვ-**ა „შუბლი“; სვან. **ყუუ-**ა „ყუა; ძირი“, შდიქმიშ **ყუუ-**ა „კბილის ძირი“; საერთოქართველურში აღსადგენია \***ყუუ-** ძირი, რომელიც სრული სახით ხევსურულ დიალექტში შემოგვრჩა [შდრ. ჩიქ. 1938: 49; კლიმ. 1998: 245; ფენ.-სარჯ. 2000: 543].

ს.-ქართვ. \***ყუუ-** „ყუა; გნდე; ტარი“

ჩიქ. **მუყ** „ტარი, ვადა“, ინგ. **მუყ** "id", ბაცბ. **მუყ** "id"; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \***მუყ-** არქეტიპი, რომელთან შედარებითაც ს.-ქართვ. \***ყუუ-** შებრუნებული წყობისაა. სხვა მხრივ, ერთნაირი მდგომარეობა გვაქვს შესადარებელ ენებში. საყურადღებო ჩანს ს.-ქართვ. **ყ** : ს.-ნახ. **მ** ბგერათშესატყვისობა, რაც რეგულარულად ვლინდება (იხ. აქვე, § 20.3). აღწერილ ძირთა სემანტიკურ-სტრუქტურული ერთგვარობა ადვილი დასაანახია.

ს.-ნახ. \***მუყ-** „ტარი, ვადა“, "рукоятка".

## ყუდ-ებ-ა

ქართ. **ყუდ-**, სა-**ყუდ-**არ-ი → || სა-**ყდ-**არ-ი, სა-**ყუდ-**ელ-ი, და-**ყუდ-**ებ-ა, მი-**ყუდ-**ებ-ა, **ყუდ-**რ-ო, ზან. (მეგრ.) **ცუდ-**ე „საზლი“, სვან. **ყუდედ-**ი „მყუდრო“; საერთოქართველურისთვის რეკონსტრუირდება \***ყუდედ-** ძირი, რომლისთვისაც ძირითადია *დაყუდების/დასაყრდენის* სემა. **ყუდ-** ძირი ცნობილია ძველი ქართული სამწერლო ენიდან [იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 535-536; ჩანტ. 1974: 169; ჩიქ. 1936: 19].

ს.-ქართვ. \***ყუდედ-** „საყრდენი, საყუდელი“

ჩიქ. **ლარდ** „საფუძველი, საყრდენი, ფუნდამენტი“, ინგ. **ლარდ** "id", ბაცბ. **ლარდ**; საერთონახური ენობრივი ერთიანობისთვის აღსადგენია \***ლარდ-** არქეტიპი, რომლის შეპირისპირება ს.-ქართვ. \***ყუდედ-** ფორმასთან კვლავ წარმოაჩენს ს.-ქართვ. **ყუ** : ს.-ნახ. **ლ** შესატყვისობას (§ 35.1), რაც რეგულარულად ვლინდება — ასევე შდრ.: ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (\***ყუდედ-** : \***ლარდ**; § 6.2).

ს.-ნახ. \***ლარდ-** „საფუძველი, საყრდენი“.

## ყულ-ა

ქართ. **ყულ-**ა, კახ. „სასმისი ღვინისა“, ზან. (მეგრ.) **კულ-**ა „ვიწრო ყელიანი ხის სასმისი“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. საყურადღებოა **ყ** → **კ** მეგრულში, რაც სპორადულად სხვაგანაც გამოჩნდება: **ყვარია** || **კვარია** „ყვავი“, **ყებური** || **კებური** „კერია; ყვერბი“...

ს.-ქართვ. \***ყულ-**ა „ერთგვარი ჭურჭელი; ღვინის სასმისი“

ჩიქ. **ყულ-**გ „სადღვებელი“, ინგ. **ყულ-**გ "id", ბაცბ. **ყუღვ** „მომც-

რო სადღვებელი“. საერთონახური ფუძე-ენისათვის აღვადგენთ \***ყულ-** არქეტიპს, რომელიც კანონზომიერი სემანტიკურ-სტრუქტურული შესატყვისია ს.-ქართვ. \***ყულ-**ა ალომორფისა. ეს ძირი გამოირჩევა ბგერათფარდობათა იდენტურობით როგორც ხმოვნებში, ისე თანხმოვნებში. ენობრივი ისტორიისათვის მეტად ღირებულია **ლ** → **ვ** გადაბგერების დაფიქსირება ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ბაცბურში.

ს.-ნახ. \***ყულ-**ი „სადღვებელი ჭურჭელი“.

### ყც-ოლ-ა

ქართ. **ყც-**, **ყც-ოლ-ა** (საბა), სვან. **ყეჩ-** || **ყჩჩ-** || **ყაჩ-**, ხ-ე-**ყჩ-**ენი (წთ-**ყაჩ** ზს., ეთ-**ყაჩ** ლშხ.), ხ-ე-**ყეჩ-**ენი (წთე-**ყაჩ** ლნტ.) „ეშვება, ეხსნება“, ლი-**ყჩ-**ენი „გაშვება, დახსნა (დაეხსენი)“; ზანურ დიალექტებში შესატყვისები არა ჩანს. სვანურ ალომორფთა ვოკალიზაცია საერთოქართველურისთვის **ა** განმოვანებას გულისხმობს [ჩუხ. 2000-2003: 276].

ს.-ქართვ. \***ყაც-/ყეც-** „გაშვება, დახსნა“, "отделяться"

იჩქ. **ყასთ-/ყდესთ-** „გამოყოფა; განშორება“, "отделиться", "разлучиться", **ყასთ-**არ „სრ. ასბ.“, **ყდესთ-**არ „უსრ. ასბ.“, ინგ. **ყწსთ-/ყდესთ-** || **ყესთ-** "id", **ყწსთ-**არ „სრ. ასბ.“, **ყდესთ-** || **ყესთ-**არ „უსრ. ასბ.“, ბაცბ. **ყასტ-/ყესტ-** „მოშორება, მოცილება, გამოყოფა“, **ყასტ-** „სრ. ასბ.“, **ყესტ-**არ „უსრ. ასბ.“; საერთონახურში აბლაუტური \***ყასთ-/ყესთ-** ზმნური ფორმები აღდგება (შდრ. სვან. **ე ~ ა** მონაცვლეობა), რომელსაც საერთოქართველურ ფუძე-ენაში \***ყაც-/ყეც-** იმავე მნიშვნელობის აბლაუტური არქეტიპი შეესატყვისება, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ც** : ს.-ნახ. **სთ** (§ 31.3).

ს.-ნახ. \***ყასთ-/ყესთ-** „გამოყოფა, მოშორება, მოცილება“.

### შ-/სი-ში-ი

ქართ. **ში-**, სი-**ში-ი** → || **ში-ში-ი**; ზან. (მეგრ.) **შქ-**, ო-**შქ-**ურ-უ(ნ) „ეშინია“, **შქ-ი-შქ-ილ-ი** (რედუბლ.) „დარდი, წუხილი“, ი-ფ-**შქ-ი-შქ-ილ-გ-ქ** „ვწუხვარ, ვდარდობ“; სვან. **შგ-/შკ-** ← \***შქ-**, **შგ-ირ-** || **შკ-ირ-ა** „გაქვავება, გაშეშება (უეცარი სიკვდილი)“, **შგ-ურ** → || **შგ-ტირ** || **შკ-ტირ** „სირცხვილი“; ქართველურ ენებში საერთო ძირად **ში-** გამოიყოფა, რომელსაც *შიშისირცხვილის* მნიშვნელობა ახასიათებდა.

ს.-ქართვ. \***ში-** „შიში; სირცხვილი“

იჩქ. **ეჰა** „სირცხვილი“, ინგ. **ეჰა** || **იჰა** "id", ბაცბ. **ეჰა**; საერთონახურში აღვადგენთ \***ე-ჰა** სახელურ ძირს, რომელსაც კანონზომიერი შესატყვისი მოეპოვება საერთოქართველურში \***ში-** ცალმორფემიანი ალომორფის სახით, შდრ. დაღ., ლაკ. **ნიჰ** „შიში“. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ში** : ს.-ნახ. **ჰა** (←\***ში**) რეგულარულად ვლინდება (ინ. აქვე, § 32.4).

ს.-ნახ. \***ე-ჰა-** „სირცხვილი“.

## შანთ-ი

ქართ. **შანთ-**, **შანთ-ი** „დასადაღავი გახურებული რკინა“, ძვ. ქართ. **შანთ-ი**, **შანთ-ეულ-ი** „წიდა რკინისა“, ამო-**შანთ-ვ-ა**, ამო-**შანთ-ავ-ს**, ამო-**შანთ-ულ-ი**, ზან. (მეგრ.) **შქუნთ-ი** „სადურგლო ხელსაწყო“; ვინაიდან **შანთ-** ← **\*ნაშთ-** დადასტურებულია უძველეს სამწერლო ქართულში და შესატყვისები ეძებნება მონათესავე ენებში, ჩვენ მას საერთოქართველურიდან მომდინარედ მივიჩნევთ.

ს.-ქართვ. **\*შანთ-** ← **\*ნაშთ-** „დასადაღავი გახურებული რკინა“

იჩქ. **ჰუოსთ** „დალი, დამლა“, ინგ. **ფოსთ** ← **\*ვოსთ** "id", ბაცბ. **ვასტ** „ნიშანი, სერი; метка“; „საერთონახურში რეკონსტრუირდება **\*ჟასთ-** არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. **\*ნაშთ-** → **\*შანთ-** ძირს, შდრ. ანდ. ენათა **ანჟი** „ნიშანი, დალი“.

ს.-ნახ. **\*ჟასთ-** „დალი, დამლა“.

## შაშვი-ი

ქართ. **შაშვი-**, **შაშვი-ი**, შდრ. **შოშ-ია** ← **\*შაშვი-**, ძვ. ქართ. **შაშვი-ი**, მრ. რ. **შაშვი-ნი**, ზან. (მეგრ.) **ზესქვი** „შაშვი“, ლაზ. **ზესქუ** || მ-**ზესქუ** „შაშვი“, ლალ-ი-მ-**ზესქუ** „ღელის/წყლის შაშვი“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. ჭარ. 1895, XII: 114; ჩიქ. 1938: 105-106]. საერთოქართველურ არქეტიპად სამართლიანად არის რეკონსტრუირებული **\*ზაშვი-** ფორმა [ფენ.-სარჯ. 2000: 209; შდრ. გულ. 1964: 497; კლიმ. 1964: 162; გამყრ.-მაჭ. 1965: 63-64, 81].

ს.-ქართვ. **\*ზაშვი-** „შაშვი“

იჩქ. **შუორშ-ალ** (ახ. **შორშ-ალ** || **სორს-ალ**, ჭებ. **შარშ-ულ**) „შაშვი“, ინგ. **სდერს-ალ** || **სარს-ალ** "id", ბაცბ. **შორშ-ან** „შოშია“; საერთონახური ფუძეეწერი მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება **\*ჟორშ-ან** არქეტიპი. ს.-ქართვ. **\*ზაშვი-** : ს.-ნახ. **\*ჟორშ-ან** კანონზომიერი მიმართებაა როგორც სემანტიკური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით, შდრ.: ს.-ქართვ. **ზ** : ს.-ნახ. **შ** ← **ჟ** (§ 30.4), ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** (§ 5.2), ს.-ქართვ. **შჟ** : ს.-ნახ. **რშ** (§ 22.2). საყურადღებოა **ს** || **შ** სუბსტიტუცია ახიურსა და ინგუშურში.

ს.-ნახ. **\*შორშ-ან** ← **\*ჟორშ-ან** „შაშვი, შოშია“.

## შაშხ-ი

ქართ. **შაშხ-**, **შაშხ-ი** „დამარილებული და გამხმარი ხორცი“ (ქველ-ი), **შაშხ-ი** „ეწოდების პოხილსა ჳმელსა ჳორცთა (ჳორცსა)“ (საბა), ზან. (მეგრ.) **შხაშხ-ი** ← **\*შოშხ-ი** „შაშხი“, სვან. **შუშხუ-**, ა-**შუშხუ-**ე „აცხობს ცულ ცეცხლზე“. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ს.-ქართვ. **\*შაშხ-** ფორმის ძირითადი მნიშვნელობა *ქონიანი გამხმარი ხორცისა* უნდა ყოფილიყო. ამაზე პირდაპირ მიგვიჩივებს საბას განმარტება.



ს.-ქართვ. \*შაშხ- „შაშხი; ქონიანი გამხმარი ხორცი“

იჩქ. **ჟჟოჟ** „შიდა ქონი“, ინგ. **ჟოჟ** "id", ბაცბ. **ჟოჟ**; ბაცბური ეკვივალენტი აქაც გვაკლია. საერთონახური ერთობისთვის აღდგება \***ჟოჟ**- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისია ს.-ქართვ. \***შაშხ**- ალომორფისა, შდრ. ბეჟ. **ჟოჟ** || **ჟოჟ** "id". ნახურ-ქართველური ფუძეების შედარება გამოაჩენს **ჟ** || **შ** სუბსტიტუციას. ვვარაუდობთ **შ** → **ჟ** გამჟღერების ასიმილაციურ პროცესს ნახურში **შჰ** თანმიმდევრობის ან-ლაუტში შეუძლებლობის გამო.

ს.-ნახ. \***ჟოჟ**- ← **წ**-ნახ. \***შჰოშ**- „შიდა ქონი“.

## შენ-ი

ქართ. **შენ**, **შენ-ი**, ზან. **სინ** || **სი** ← \***სქინ** „შენ“, **სქან-ი** „შენი“, სვან. **სი** ← \***სქი** „შენ“, ი-სგუი || ი-სკუი „შენი“; საერთოქართველურ II პირის ნაცვალსახელად სამართლიანად არის აღდგენილი \***შენენ**- არქეტიპი, რომელიც უფრო სრულად II პირის კუთვნილებით ნაცვალსახელურ ფუძეებში შემოგვენახა [გამყრ. 1959: 36-37].

ს.-ქართვ. \***შენენ**- „შენ, შენი“

იჩქ. **ჰაჟო** „შენ“, ინგ. **ჰაჟო** || **ჰაო** "id", ბაცბ. **ჰაო** "id"; ნახურ ენებში ბოლოკიდური **ნ** მოკვეცილი ჩანს, რასაც, გარდა ქართველურისა, დადესტნური მონაცემები ამოწმებენ, შდრ.: უდ. **ღუნ**, არჩ. **უნ** „შენ“... ს.-ქართვ. \***შენენ**- : ს.-ნახ. \***ჰან**- ბუნებრივად გვეჩვენება, რამდენადაც ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **შ** : ს.-ნახ. **ჰ** რეგულარულად ვლინდება (იხ. აქვე, § 32.4).

ს.-ნახ. \***ჰან**- ← \***შენან**- „შენ“.

## შე-ა

ქართ. **შე**-, ძვ. ქართ. მი-**შე**-ებ-ა „მი-**შე**-ებ-ა“, მი-**შე**-ებ-ულ-ი „მი-**შე**-ებ-ულ-ი“, ზან. (მეგრ.) მე-**შქვ**-აფ-ა „მიშვება“, მი-ვ-ა-**შქვ**-ი „მივუშვი“, ო-**შქვ**-ან-ს „უშვებს“, ლაზ. მე-**შქვ**-ინ-უ „გაშვება“, სვან. **შგუ**- ← \***შქუ**-, ლი-**შგუ**-ან „გაშვება“ [იხ. ჩიქ. 1938: 366-267, კლიმ. 1964: 214].

ს.-ქართვ. \***შე**- „მიშვება, გაშვება“

იჩქ. **დ-ა-ლ**-, **დ-ა-ლ**-ან || **დ-ა-ლ**-არ „გაშვება“, ინგ. **დ-ალ**-, **დ-ა-ლ**-ან || **დ-ა-ლ**-არ "id", ბაცბ. **დ-ა-ლ**-, **დ-ა-ლ**-ან || **დ-ა-ლ**-არ „გაშვება“, **დ-ა-ლ**-ინო „მიცემული, გაშვებული“; საერთონახურში აღდგება კლასისნიშნისანი \***დ-ა-ლ** ზმნური არქეტიპი. ს.-ქართვ. **შ(ე)** : ს.-ნახ. **ლ** რეგულარულ-კანონზომიერია (§ 32.4). ამ ძირთა საერთო წარმომავლობას ასევე ცხად-ყოფს ნახურ-ქართველურ ზმნურ ფუძეთა სემანტიკური იგივეობა.

ს.-ნახ. \***დ-ა-ლ**- „გაშვება“.

## შვავ-ი

ქართ. **შვავ-ი** „თოვლის მეწყერი“ (საბა), „თუცა თოვლისა სიმრავ-  
ლე მთამან ვერ იტვირთა და თოვლი ჩამოზვლა, არს შვავი“ (საბა),  
იმერ. **შვალ-ვ**-ა „თოვლ-ჭყაბი“; „მდინარის ზედაპირზე ამოტივტივებული  
ყინულის მასა“, გურ. **შვან-ვ**-ა „თოვლის ფიფქის დამძიმება წყლით“; ზან.  
(მეგრ.) **სვიმ-ონ-ი** „შვავი“ [ჭარ. 1997: 124]. მეგრული **სვიმ-ონ-ი** ისტორი-  
ული **სქუმ-ონ-ის**აგან მომდინარე ჩანს, შდრ. **სქ** → **ს** (\***სქი** → **სი** „შენ“,  
მაგრამ **სქან-ი** „შენი“), **უ** → **ვი** (ქართ. **შუდ-** : ზან. **შქვიდ-** „ხრჩობა“).

ს.-ქართვ. \***შუაჟ-** „შვავი, წყლიანი თოვლი“

იჩქ. **ჰაჟ** ← \***ჰაჟჟ** „სინესტისაგან გამოწვეული ანთება“, ინგ. **ჰაჟჟ**  
"id", ბაცბ. **ჰაჟჟ**; ბაცბური შესატყვისი დაკარგული ჩანს. საერთონა-  
ხურში აღსადგენია \***ჰაჟჟ**- არქეტიპი *სინესტის* მნიშვნელობით, შდრ.  
ხუნდ. **შაჟბ**, ანდ. **შაიბ**, აზვ. **საიბი**, კარ. **შაიბე**., ლაკ. **ხაჟიმ**, უდ. **ხო**  
„ცვარი, ნამი“... *სინესტეწყლიანობის* შინაარსი ძირითადია სამივე ჯგუფის  
ენებში, რასაც მხარს უჭერს აღწერილ ფუძეთა ფონეტიკურ-სტრუქტურ-  
ული იგივეობა, შდრ. ს.-ქართვ. **შ** : ს.-ნახ. **ჰა** (← **შ**, § 32.4).

ს.-ნახ. \***ჰაჟჟ**- „სინესტე“.

## შვებ-<sup>1</sup>

ქართ. **შუებ-<sup>1</sup>** „გაძრობა, გატყავება“, მეგრულში შემორჩენილია  
სალიტერატურო ქართულიდან ნასესხები **შვებ-** ძირი, რომელიც საკუთრივ  
ქართულს დაუკარგავს, შდრ. მეგრ. (← ქართ.) **შვებ-**ია „მძრობი(ა)“, გო-  
**შვებ-ელ-ან-ს** „ტყავს გააძრობს“, გო-**შვებ-ელ-ჟ** „ტყავი გააძრო“. მისი  
(resp. **შჟებ-**) სვანური შესატყვისია: **შგებ-** || **შკებ-**, ხ-წ-**შგბ-ე** || ხ-წ-**შკბ-ე**  
„აძრობს“, ხ-ე-**შგბ-ენ-ი** || ხ-ე-**შკებ-ენ-ი** „სძვრება“.

ს.-ქართვ. \***შჟებ-** „გაძრობა, გატყავება“

იჩქ. **თილ-**, **თილ-ან** || **თილ-არ** „გადაყვლეფა“, ინგ. **თილ-**, **თილ-ან** ||  
**თილ-არ** "id", ბაცბ. **თილ-**, **თილ-არ** „გადაყვლეფა“. საერთონახურისთვის  
აღდგება **თილ-** ← \***დილ-** არქეტიპი, რომელიც ე. წ. შებრუნებული წყობი-  
საა ს.-ქართვ. **შჟებ-** ფორმისაგან განსხვავებით. ს.-ნახ. **ლ** : ს.-ქართვ. **შჟ** შე-  
სატყვისობა კანონზომიერია და რეგულარულად ვლინდება, იხ. აქვე, § 32.4.

ს.-ნახ. \***დილ-** „გადაყვლეფა“.

## შველ-ი

ქართ. **შუელ-**, **შუელ-ი**, **შველ-ი**, ზან. (ლაზ.) **მსქვერ-ი** || **ფსქვერ-ი** ||  
**მსკვერ-ი**, მეგრ. **სქვერ-ი** ← \***სქვარ-ი** „შველი, ირემი“; სვანურში შესაბა-  
მისი ფუძე არ არის გამოვლენილი [იხ. ჩიქ. 1938: 91, მარ. 1911-14, VI:  
421, ბროს. 1849: 74].

ს.-ქართვ. \***შუელ-** „შველი, ირემი“

იჩქ. **შუო** || **შო** (მრ. რ. **შონ-იშ**) „დედალი ჯიხვი“, ინგ. **შუნ** (მრ. რ.  
**შონ-აშ**) "id", ბაცბ. **შუნ** „შუნი“. ქართული **შუნი** ნასესხებია ნახური

ენებიდან. მრავლობითში დაცული **შონ** ფუძე არქაულობას ამჟღავნებს, ხოლო ქისტური **შუა** (მრ. რ. **შუან-აშ**) საერთონახურისთვის **შუან** არქეტიპს აღგვადგენინებს. ბუნებრივია შესატყვისობა — ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **ნ**, იხ. აქვე, § 13.6.

ს.-ნახ. **\*შუან-** „დედალი ჭიხვი“.

### შვ-ილ-ი

ქართ. **შევ-/შვ-**, **შვ-ილ-ი**, **ბ-ავშ-** ← **\*ბაშუ-**, **შ-ობ-ა**, პირ-მ-შ-ო, ძვ. ქართ. ვ-**შევ** „დავბადე“, **შვ-ა** „დაბადა, გააჩინა“, **შვ-ი-ს**, მ-**შო** ← **\*მ-შვ-ე**; ზან. (ლაზ.) ქო-გე-**სქუ-**ამ-ს „დებს კვერცხს“, ქოლო-**სქვ-**ას „კვერცხი დადოს“, **სქ-ირ-ი** „შვილი“, მეგრ. **სქუ-**ალ-ა „კვერცხის დება“, ნა-**სქუ-**ა „დადებული (კვერცხი)“, **სქუ-**ა „შვილი“, **სქ-ი-** „ვაჟი, მემკვიდრე“, უ-**სქ-ე** „უძეო“, **სქ-ირ-ი** || **სქ-ი** „შვილი“; სვან. გ-მ-**სგ-**ე || **სგ-ე** || **სგ-ე-მ** || **სკ-ე** „ძე; ვაჟიშვილი“, ლი-მ-**სგ-ა-მ** || ლი-მ-**სგ-ა-შ** „მემკვიდრის შეძენა“ [ცაგ. 1880: 31; ჩიქ. 1938: 315-316; კლიმ. 1964: 139].

ს.-ქართვ. **\*შეუ-** „შობა; დაბადება/გაჩენა“, **\*ბ-აშუ-** „ბავშვი“

ჩიქ. **ბ-ალ-** ← **\*ბ-ალ'**, **ბ-ალ-** არ „გამოსვლა“, ინგ. **ბ-ალ-** ← **\*ბ-ალ'**, **ბალ-** არ "id", ბაცბ. **ბ-ალ'**, **ბ-ალ'** არ „გაჩენა“, **ბ-ალ'-ენ** „გაჩნდა, დაიბადა“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება კლასნიშნიანი **\*ბ-ალ'**- ზმნა, რომელსაც უნდა შეესატყვისებოდეს ს.-ქართვ. **\*ბ-აშუ-/\*შეუ-** ფუძე, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **შ** : ს.-ნახ. **ლ'** (§ 32.4), ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2). აქ მატერიალურ ერთიანობას ზურგს უმაგრებს სემანტიკური იგივეობა — *შობა ~ გაჩენა*.

ს.-ნახ. **\*ბ-ალ'**- „გაჩენა, დაბადება“, "появление".

### შიბ-ი

ქართ. **შიბ-ი** „ფენა ქვისა, კლდისა; წვერი, წვეტი“, ზან. (მეგრ.) **სქიბ-**უ „წისქვილის ქვა“, ლაზ. მ-**სქიბ-**უ → || ფ-**სქიბ-**უ „წისქვილი“, სვან. **შგუაბ** „ურო, ქვის ურო“; საინტერესოა სვანური **შგუაბ** ფუძის ფორმალური ანალიზი. სიტყვის შიგნითა **უ** ლაბიალური ელემენტი ისტორიულ **-უ** სუფიქსს ასახავს, რომელიც მეგრულ-ლაზური **-უ-**ს შესატყვისი ჩანს — **სქიბ-**უ : სვან. **\*შქიბ-უ** → **\*შგაბ-უ** → || **\*შგაბუ** → **შგუაბ** [იხ. ჩიქ. 1938: 153; ჩუხ. 2000-2003: 295].

ს.-ქართვ. **\*შიბი-** „წაწვეტებული ქვა, ქვის წვერი; წისქვილი“

ჩიქ. **შუ** „მალლობი“, ინგ. **შუუ** „ბორცვი“, ბაცბ. **შუვ**; ბაცბური შესატყვისი, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, დაკარგული უნდა იყოს. საერთონახურ მონაცემად აღსადგენია **\*შუუ-** არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერად შეეფარდება ს.-ქართვ. **\*შიბი-**, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **შ** : ს.-ნახ. **შ** (§ 33.5), ს.-ქართვ. **ბ** : ს.-ნახ. **უ** (§ 23.3). სემანტიკური კორელაციის ასახსნელად გამოდგებოდა დაღესტნურ ეკვივალენტთა შინაარსი: ბავ. **შეებ**, ახვ. **სეება** „კოშკი“...

ს.-ნახ. **\*შუუ-** „ბორცვი, მალლობი“.

## შიბ-უ

ქართ. შიბ-, შიბ-უ „ერთგვარი მთის ბალახოვანი მცენარე; იკეთებს ნივრისებურ ნაყოფს“, თუშ. შებუ-ა „ჭიმის ან მჭავიაცის მწნილი“, სვან. შგუბ || შკუბ „რკო“; სვანურში განხორციელდა უ სონანტისათვის დახასიათებული მეტათეზა — უ (← -უ): შგუბ ← \*შკიბ-უ. აღწერილ ქართველურ ლექსემებს შორის სემანტიკური სიახლოვე იგრძნობა ნივრისა და რკოს გარეგნულ მსგავსებაში.

ს.-ქართვ. \*შიბ-უ „შიბუ“

იჩქ. შდებ || შოფ „ღანძილის სახეობა“, ინგ. შუფ "id", ბაცბ. ბაშ-ო; ბაცბური ეკვივალენტი ნასესხობის სახით შესაძლებელია ჩანდეს მოხეურ ბაშო ← შაბო სიტყვაში, შდრ. ჰებ. შოფუ "id". საერთონახური ენობრივი მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \*შაბ-ო არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*შიბ-უ, შდრ. ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა (§ 7.3). ს.-ქართვ. შიშინა (შ) : ს.-ნახ. შიშინა (შ) ამოსავალში ს, სისინ-შიშინა სიბილანტ ფრიკატივს ვარაუდობს.

ს.-ნახ. \*შაბ-ო „ღანძილის სახეობა“.

## შინდ-ი

ქართ. შინდ-, შინდ-ი → || შვინდ-ი, ზან. (ლაზ.) სქინდ-, შდრ. ტობ. სქინდ-ონ-ა „შინდნარი, შინდისი“. სვანური შესატყვისი ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის [იხ. მემიშ. 1983: 49-50]. აქ საერთოქართველურ ძირად \*შინ- თანმიმდევრობა გამოიყოფა, ხოლო -დ სემენტი სუფიქსურია, შდრ.: შინ-დ-, მშვილ-დ-, წალ-დ-, ცულ-ი || ცულ-დ-ი..., იხ. ჩუხ. 2000-2003: 362.

ს.-ქართვ. \*შინ-დ- „შინდი“

იჩქ. ასთი || სთაუ || სთოუ „შინდი“, ინგ. ესთაე "id", ბაცბ. წთაე; ბაცბური ეკვივალენტი დაკარგული ჩანს. საერთონახურისთვის აღსადგენია \*შნაუ- ← \*შან-ო არქეტიპი, შდრ. ს.-დალ. \*სან-უ „კოწახური“ (ბეჟ. სინო, ჰუნზ. სგნუ "id"). შიშინა სიბილანტური ფუძეები გამოჩნდება ვაინახურ კომპოზიტებში, სადაც არქაული ვითარებაა შემონახული; მხედველობაში გვაქვს იჩქ. დუჟუშთო, ინგ. დუჟესთი „შინდი“. ს.-ქართვ. შ : ს.-ნახ. შ ამოსავალი სისინ-შიშინა ს, ფონემის რეფლექსია.

ს.-ნახ. \*შნაუ- ← \*შან-ო „შინდი“.

## შინ-ებ-ა

ქართ. შინ-, შინ-ებ-ა, ა-შინ-ებ-ს, სა-შინ-ელ-ი, ძვ. ქართ. გ-ე-შინ-ი-ნ, ე-შინ-ი-ს, შე-მ-ე-შინ-ა, ზან. (მეგრ.) სქინ-ი → || რ-სქინ-ი || რ-ცქინ-ი „მუქარა“, ო-რსქინ-ან-ს „ემუქრება, აშინებს“, ლაზ. ო-სქინ-უ || ო-ცქინ-უ "id"; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [როგ. 1956: 83]. უქ → სქ გასისინების პროცესი პოზიციური ჩანს და წინამავალ რ ვიბრანტს მიეწერება [კლიმ. 1998: 251].

ს.-ქართვ. \***შინ**- „შინება; რისხვა, მუქარა“  
იჩქ. **სთიმ** || ← **სიმ** „ნაღველი; ღვარძლი, მწარე“, ინგ. **სიმ** "id",  
ბაცბ. **სემ** "id"; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია  
\***სიმ**- სახელური ძირი, რომელიც კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ.  
\***შინ**- არქეტიპს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **შ** : ს.-ნახ. **ს** (§ 32.4),  
ს.-ქართვ. **ნ** : ს.-ნახ. **მ** (§ 16.3). აღწერილ ნახურ-ქართველურ ფუძეთა  
სემანტიკური იგივეობა ადვილი დასანახია. დასადგენია **ს** → **სთ** გადა-  
სვლის მექანიზმი იჩქერიული ენის ცალკეულ დიალექტებში.  
ს.-ქართვ. \***სიმ**- „ნაღველი; ღვარძლი; მწარე“.

### შოლტ-ი

ქართ. **შოლტ**-, **შოლტი**-, ზან. (მეგრ.) **შქვერთ**-ი, **შქვერთ**-ია „შოლ-  
ტი“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. ირკვევა, რომ ს.-ქართვ. **ლტ**  
ბგერათთანმიმდევრობა მეგრულში **რთ**-დ ქცეულა: **შოლტი** → **შქვერთ**-ი.  
ქართულ დიალექტებში (გურ., იმერ., აჭარ.) ფიქსირებული **შხვერთ**-ი ზა-  
ნიზმია, მხოლოდ სესხებისას **შქ** → **შხ** გარდაქმნა განხორციელდა [იხ.  
ჩუხ. 2000-2003: 308].

ს.-ქართვ. \***შოლტ**- „შოლტი“  
იჩქ. **შად** (მრ. რ. **შოდ**-მ-აშ) „მათრახი“, ინგ. **შოდ** "id", ბაცბ.  
**შვეტ** „მათრახი“; უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ბაცბურსა და მეგრულში  
ერთგვაროვანი **ლ** → **ვე** პროცესი ვლინდება; საერთონახურისთვის აღ-  
დგება \***შოტ**- არქეტიპი. ს.-ქართვ. **შ** : ს.-ნახ. **შ** შესატყვისობა რეგულა-  
რულ-კანონზომიერია, იხ. აქვე, § 33.5.  
ს.-ნახ. \***შოტ**- „მათრახი“.

### შრ-ეტ-ა

ქართ. **შრ**-, **შრ**-ეტ-ა, ვ-**შრ**-იტ-ე, და-**შრ**-ეტ-ა, და-**შრ**-ეტ-ილ-ი, ძვ.  
ქართ. და-**შრ**-ტ-ა, უ-**შრ**-ეტ-ი, და-**შრ**-ტ-ეს, **შრ**-ეტ-ილ-ი; ზან. (მეგრ.)  
**შქირ**-, **შქირ**-ატ-უ-ა || **შქირ**-იტ-უ-ა „შრეტა“, თოლ-ელა-**შქირ**-ატ-ილ-ი  
„თვალდაშრეტილი“, **შქირ**-ტ-უ „იშრიტება, ქრება“, დო-**შქირ**-ტ-უ „ჩადვა,  
დაწყნარდა“, **შქირ**-აფ-ა „დაწყნარება“, **შქირ**-აფ-ილ-ი „დაწყნარებული“;  
დაკავშირება ცნობილია ჯერ კიდევ ა. ცაგარლის დროიდან [იხ. ცაგ.  
1880: 61; ჭარ. 1895, XII: 112; ფენ.-სარჯ. 2000: 556]. საერთოქართველუ-  
რი ფუძეენური მდგომარეობისათვის აღვადგენთ \***შირ**- ძირს, რომლის  
გამონაწევრებს ამართლებს **შქირ**-აფ-ა ფორმის არსებობა მეგრულში.

ს.-ქართვ. \***შირ**- „შრეტა, ქრობა; კლება/დაწყნარება“  
იჩქ. **ეშ**-, **ეშ**-ა<sup>ნ</sup> || **ეშ**-არ „კლება, დაკლება“, ინგ. **ეშ**-, **ეშ**-ა<sup>ნ</sup> || **ეშ**-არ  
"id", ბაცბ. **ეშ**-, **ეშ**-ა<sup>ნ</sup> || **ეშ**-არ „კლება“, **ეშ**-დარ „დაკლება, შემცირება“,  
**ეშ**-ენ<sup>რ</sup> „დაკლებული“, **ეშ**-უდ<sup>ნ</sup> „ნაკლული“; საერთონახური ენობრივი  
მდგომარეობისთვის აღსადგენია \***ე-შ**- ზმნური ძირი, რომელსაც შესა-  
ტყვისები ეძებნება როგორც ქართველურ, ისე დაღესტნურ ენებში: ხუნძ.

საუნა, ბოთლ. მიშჷ, ღოდ. ბიშა<sup>ნ</sup>, კარ. ბეშჷ<sup>ნ</sup>, ჭამ. ბისჷუნა, ახვ. ბიშორი „დაიშრიტა, ჩაქრა“., შდრ. ს.-ქართვ. \*შირ- "id".

ს.-ნახ. \*ე-შ- „კლება, დაკლება“.

### შრ-ობ-ა

ქართ. შუერ-/შრ-, შრ-ობ-ა, მ-შრ-ალ-ი, ა-შრ-ობ-ს, შე-შრ-ობ-ა, და-ვ-შვერ, ზან. (ლაზ.) სქირ- || სქურ-, მე-სქურ-უ „გაშრა“, დო-სქირ-ინ-ეს „დააშრეს“, მეგრ. სქერ-გ || სქირ-უ „მშრალი“, სქერ-აფ-ა „შრობა“, ფ-სქირ-უ-ქ „ვშრები“. სვანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი [იხ. ყიფშ. 1914: 323; ჩიქ. 1938: 318-319; გამყრ. 1959: 63; შმიდ. 1962: 145]. ქართულში სავარაუდოა ს → შ პროცესი, ხოლო ზანურში — ს → სქ; ამის შესახებ იხ. ჩუხ. 2000-2003: 27-31.

ს.-ქართვ. \*სტერ- „შრობა“

იჩქ. ლოტს-/ლეფს- ←\*ლეფს- „შრობა“, ინგ. ლოტს- "id", ბაცბ.

ლეფს-/ლაფს- „შრობა“. ე ~ ა აბლაუტი ნახურ ენებში ასპექტურია, ხოლო ტს/ფს თანმიმდევრობა ისტორიულად სტუ ლაბიალიზებული ბგერათ-კომპლექსის სუბერაციის მომდევნო საფეხურია: \*ლეფს- → ლეტს- || ლეფს-. ს.-ქართ. რ : ს.-ნახ. ლ შესატყვისობისთვის იხ. აქვე, § 14.2. საერთონახურ ფუძე-ენაში მომხდარია საურთიერთო მეტათეზისი: \*ლეფს- ←\*სტელ-, იხ. § 3.

ს.-ნახ. \*ლეფს-/\*ლასტ- „შრობა“.

### შუ-ა

ქართ. შუგ-, შუ-ა, შუ-ა-ში, შუ-ა-დღე, ძვ. ქართ. შუგ-, შუგ-ა, შუგ-ა-მ, შუგ-ა-ღამე, მ-შუგ-ალ-ე, ზან. (ლაზ.), შქ-ა || შკ-ა „წელი“, ო-შქ-ა-ში „საშუალი“, ო-შქ-ენ-ონ-ი „შუათანა“, მეგრ. შქ-ა „შუა“, ო-შქ-ა-შ-ე „შუა; საშუალო“, ო-შქ-არ-ი „შუათანა“, შქ-ა-სერი || სქ-ა-სერი „შუაღამე“, სვან. სგ-ა || ი-სგ-ა „შორის, შუა“, ნე-სგ-ა „შუა“; საერთო-ქართველურ არქეტიპად აღდგენილია \*შუჷ-ა არქეტიპი [ფენ.-სარჯ. 2000: 558; შდრ. გამყრ. 1959: 51; კლიმ. 1998: 252].

ს.-ქართვ. \*შუჷ-ა „შუა“

იჩქ. შირ-, შირ-ბინა „შუა ნაწილი“, ინგ. შირ-, შირ-ბინ-ბუხქ „შუა მოსართავი“, ბაცბ. შირ-?; ბაცბური შესატყვისი, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, აქაც გვაკლია. საერთონახური ენობრივი მდგომარეობისთვის აღვადგენთ \*შირ- არქეტიპს. აღდგენილი \*შირ- კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*შუჷ-ა ფორმას, შდრ. ს.-ქართვ. შ : ს.-ნახ. შ (§ 33.5), ს.-ქართვ. ტ : ს.-ნახ. რ (§ 20.5).

ს.-ნახ. \*შირ- „შუა“.

## შუან-ი

ქართ. **შუან-**, **შუან-** „მწვეცთა და ძაღლთა მაგარნი და დიდნი კბილნი“ (საბა), ზან. (მეგრ.) **ჩქვალ-**, **ჩქვა** „ეშვი“, მრ. რ. **ჩქვალ-**ეფი-, სვან. **ჩქუა** (მრ. რ. **ჩქუარ-** წრ) „ეშვი“; საერთოქართველური მდგომარეობისთვის აღვადგენთ \***ჩუალ-** არქეტიპს, ვინაიდან ქართულისთვის **ჩ** → **შ** სპირანტიზაციის პროცესი დასაშვებია.

ს.-ქართვ. \***ჩუალ-** „ეშვი, დიდი კბილი“

იჩქ. **ცერ-** || **ცარ-**, **ცერ-**გ (ჭებ. **ცარ-**იგ) „კბილი“, ინგ. **ცარ-**გ "id", ბაცბ. **ცარ-**კ „კბილი“; საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება \***ცარ-** არქეტიპი *კბილის* მნიშვნელობით, რომელიც ისტორიულად \***ცუარ-** წინარე ფორმიდან მომდინარეობს. ს.-ქართვ. **ჩ** : ს.-ნახ. **ც** ბგერათმესატყვი-სობა ამოსავალში **ც**, სისინ-შიშინა ფშვინვიერ სიბილანტ-აფრიკატს გუ-ლისხმობს, იხ. აქვე, § 33.2.

ს.-ნახ. \***ცარ-** ← \***ცუარ-** „კბილი“.

## შუბ-ლ-ი

ქართ. **შუბ-**, **შუბ-ლ-ი**, **შუბ-ი** „შუბი“, სვან. **სგობ-** || **სგუბ-**, **სგობ-**ინ || **სგუბ-**ინ „წინ“; ზანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [მარ. 1911: 1203; კლიმ. 1964: 218]. ქართული **შუბ-** „შუბი“ ძირი უკავშირდება **შუბ-ლ-** ალომორფს და სპარსულიდან შეთვისებულად არ მიიჩნევა [შდრ. ანდრონ. 1966]. სემანტიკური თვალსაზრისით, ამოსავალია *წაშვერილის*, *წინ გამოწეულის* სემა.

ს.-ქართვ. \***შუბ-** „შუბი; შუბლი/წვერი; წინ“

იჩქ. **ბოჰა** || **ბუჰა** „წვერი“, ინგ. **ბუჰა** "id", ბაცბ. **ბჰ-ა**<sup>5</sup> ← \***ბუჰა-ა**<sup>5</sup> „წვერი“; ბაცბურში -**ა**<sup>5</sup> სადერივაციო სუფიქსის დართვას მიეწერება ფუძისეული ხმოვნის რედუქცია. საყურადღებოა ძირის გართულების ერთგვაროვანი მიმართულება სვანურსა და ბაცბურში — **-ინ/-ა**<sup>5</sup>. ს.-ნახ. \***ბუჰა-** კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \***შუბ-** არქეტიპისა. ოღონდ საერთონახურში საურთიერთო მეტათეზისი განხორციელდა. ოპოზიცია ს.-ქართვ. **შ** : ს.-ნახ. **ჰა** ← \***შ** რეგულარულია (იხ. აქვე, § 32.4).

ს.-ნახ. \***ბუჰა-** ← \***ბუშ-** „წვერი“.

## შულ-ო

ქართ. **შულ-**, **შულ-ო** „რამეზე თანაბრად ამოხვეული ძაფი“, „ნასთის ბოკელი“ (საბა), ზან. (მეგრ.) **შქვილ-**ა „ერთი ამოქნა ძაფი“, სვან. **სდჷიგ** → || **სდჷგ-** „წინა“, **სდჷიგ-ჷ** → || **სდჷგ-ჷ** || **სტჷგ-ჷ** „ნაწნავი“; სვანური ფუძეების მიმართება ქართულ **შულ-** ძირთან გარკვეული გვაქვს [იხ. ჩუხ. 2000-2003: 200-201]. აქ დავამატებთ ზანურ მონაცემს, რომელიც საერთოქართველური ფუძის გახმოვანების თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი — \***შუირ-**. სხვათა შორის, მეგრულში შემონახული

ჩანს ქართულიდან შეთვისებული **შულ**-უ-ა „გადართვა“ ზმნური ფუძე, რომელიც საკუთრივ ქართულში დღემდე არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. \***შეილ**- „დაფი; გადართვა, ამოხვევა დაფისა“

იჩქ. **სირ** „ზეზი, ოქრომკედი“, ინგ. **სირ** „ოქროს ან ვერცხლის დაფი“, ბაცბ. **სირ**; ბაცბური შესატყვისი აქაც გვაკლია. საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის აღვადგენთ \***სური**- არქეტიპს, რომლისთვისაც დამახასიათებელი ლაბიალური ელემენტი თანამედროვე ნახურ ენებში მოიშალა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **შ** : ს.-ნახ. **ს** (§ 32.4), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **რ** (§ 13.3).

დაფის გაგება ორივე ჯგუფის ენებისათვის ძირითადი ჩანს.

ს.-ნახ. \***სირ**- ←\***სური**- „ზეზი, ოქრომკედი, ჩაფარიში“.

### შურდ-ულ-ი

ქართ. **შურდ-ულ-**, **შურდ-ულ-ი** „ქვის სასროლი იარაღი“, ძვ. ქართ. მე-**შურდ-ულ-ე**, **შურდ-ლ-ოსან-ი** || **შურდ-ულ-ოსან-ი**, ზან. (მეგრ.) **შქურდ-ონ-**, **შქურდ-ონ-ი** „შურდული“; სვანურში შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი [როგ. 1962: 98]. ვაინახური **შურდულ**-აგ || **შურდოლ**-გ (ჰებ. **შურდულ**-იგ), ბაცბ. **შურდულ** „შურდული“ ქართულიდან არის შეთვისებული.

ს.-ქართვ. \***შურდ-ოლ**- „შურდული“

იჩქ. **შად-ა** || **შოდ-ა** (ჰებ. **შოდ-ო**, ქისტ. **შოდ-ა**) „ფიწალი“, ინგ. **შოდ**-ჲ "id", ბაცბ. **შატ** ←\***შოტ**-რ "id"; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \***შოდ-ო** არქეტიპი, რომელმაც გლოტალიზაცია განიცადა ბაცბურში — \***შოდო** → \***შოტ**რ. ს.-ქართვ. \***შურდ-ოლ**- : ს.-ნახ. \***შოდ-ო** კანონზომიერი მიმართებაა, შდრ. ს.-ქართვ. **შ** : ს.-ნახ. **შ** (§ 33.5), ს.-ქართვ. **უ** : ს.-ნახ. **ო** (§ 9.2). სემანტიკური ოპოზიცია *ფიწალი* ~ *შურდული* მისაღებია, თუ გავითვალისწინებთ *შურდულის* ხის ნაწილის ვიზუალურ მსგავსებას *ფიწალთან*.

ს.-ნახ. \***შოდ-ო** „ფიწალი“.

### ჩერ-ებ-ა

ქართ. **ჩერ-**, ა-**ჩერ-ებ-ს**, გა-**ჩერ-ებ-ა**, შდრ. **ჩერ-ო**, ზან. (მეგრ.) **ჩჩქალ**- ←\***ჩქარ**-, დო-**ჩჩქალ**-აფ-ა „ბავშვის გაჩერება“, ქულდ-**ჩჩქალ**-ე „გააჩერე“, ო-**ჩჩქალ**-უ-ან-ს „აჩერებს“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. **ჩერ-** ძირი აღსადგენია საერთოქართველური ფუძე-ენისათვის.

ს.-ქართვ. \***ჩერ**- „გაჩერება“

იჩქ. **ლათ-** „დგომა, ერთ ადგილზე გაჩერება“, **ლწთ-** „დგას, გაჩერებულია“, **ლათ-**არ „დგომა, გაჩერება“; ინგ. **ლათ-** "id", **ლწთ-**ჲ „დგას, გაჩერებულია“, ბაცბ. **ლათ-** "id", **ლათ-**ჲ „დგას“, **ლათ-**ინწ „მდგარი, გაჩერებული“. საერთონახური \***ლათ-** ფუძე კანონზომიერად შესატყვისება



ს.-ქართვ. \***ჩერ-** ალომორფს. ამ შეპირისპირებისას გასათვალისწინებელია ბგერათშესატყვისობათა ჩვენება ს.-ქართვ. **ჩ** : ს.-ნახ. **თ** (§ 32.2), ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2), ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ლ** (§ 14.2). არ გამოვრიცხავთ ნახურ-ქართველურ ფუძეთა შემდგომ სეგმენტაციასაც: **ჩ-ერ-**, შდრ. **ჩ-უმ-ი**, ს.-ნახ. \***ლა-თ**-, შდრ. \***ო-თ** „დადგომა/ერთ ადგილზე გაჩერება“.

ს.-ნახ. \***ლათ-** „დგომა, ერთ ადგილზე გაჩერება“.

### ჩნ-ევ-ა

ქართ. **ჩან-/ჩნ-**, **ჩან-ს**, **ჩან-ნ**, **ჩნ-დ-ა**, მი-**ჩნ-ევ-ა**, მი-ი-**ჩნ-ევ-ა**, ზან. (მეგრ.) **ჩქუნ-** „ჩანს“, **ჩქენ-** „ჩენა, ცოდნა“, ლაზ. მი-**ჩქუნ** „ვიცი“, ო-**ჩქინ-** „ცოდნა; გაგონება, გაგება“; სვანური შესატყვისი ჯერაც არ არის გამოვლენილი. საერთოქართველურ არქეტიპად სამართლიანად აღადგენენ \***ჩან-** ზმნურ ძირს [იხ. ჩიქ. 1938: 379; ფენ.-სარჯ. 2000: 559].

ს.-ქართვ. \***ჩან-** „ჩენა, ცოდნა, მიჩნევა“

იჩქ. **მუოთ-** არ || **მუოთ-** ა<sup>5</sup> „გონება (ჰგონია)“, ინგ. **მუოთ-** არ || **მუოთ-** ა<sup>5</sup> „id“, ბაცბ. **მოთ-** არ || **მოთ-** ა<sup>5</sup> „მიჩნევა“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \***მოთ-** არქეტიპი, რომელიც ს.-ქართვ. \***ჩან-** ზმნასთან შედარებით შებრუნებული წყობისა უნდა იყოს. სემანტიკურ იგივეობას მხარს უჭერს ბგერათშესატყვისობათა ჩვენება, შდრ. ს.-ქართვ. **ჩ** : ს.-ნახ. **თ** (§ 32.2), ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** (§ 5.2), ს.-ქართვ. **ნ** : ს.-ნახ. **მ** (§ 16.3).

ს.-ნახ. \***მოთ-** „მიჩნევა, გონება (ჰგონია)“.

### ჩქ-არ-ი

ქართ. **ჩქ-**, **ჩქ-ერ-**, **ჩქ-ერ-ა** „მდინარის ჩქარი სიარული“, სი-**ჩქ-ურ-ი** „სიჩქარე“, ი-**ჩქ-ით-ი** „მყისი“ (საბა), ზან. (მეგრ.) **ჩქ-არ-**, ო-**ჩქ-არ-** „ეჩქარება“, **ჩქ-არ-ი** „სწრაფი, ჩქარი“, ნო-**ჩქ-არ-უ-ე** „ეჩქარებოდა“. ქართულ **ჩქ-ერ-** ფუძის ზუსტი ფონეტიკური შესატყვისი ჩანს მეგრული **ჩქ-არ-**, სხვა ქართველურ დიალექტებში შესაბამისი ფუძე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. \***ჩქ-** „სიჩქარე, სისწრაფე“, \***ჩქ-ერ-** „ჩქარი“

იჩქ. **ჩეხქ-** ა<sup>5</sup> (ჰებ. **ჩახქ-** ი<sup>5</sup>) „ჩქარი; სწრაფი“; „ჩქარა, სწრაფად“, **ჩეხქ-** ალლა „სისწრაფე“, ინგ. **ჩეხქ-** ა<sup>5</sup> „სწრაფი, ჩქარი“; „ჩქარა, სწრაფად“, ბაცბ. **ჩახქ-**; ნახურ ენებში ქ/კ აფიქსური უნდა იყოს, ძირია \***ჩაქ-**, რომელიც საერთონახური -**კ-** სუფიქსის დართვისას სპირანტიზაციით ხ-ში გადასულა — \***ჩაქ-კ-** → \***ჩახ-კ-**. ს.-ნახ. \***ჩაქ-** : ს.-ქართვ. \***ჩქ-**, \***ჩქ-ერ-** კანონზომიერი მიმართება ჩანს. **შიშინა: შიშინა** შეფარდება მომდინარეობს წინარეწერი სისინ-შიშინა (**ც.**) პრაფონემისაგან (§ 33.2).

ს.-ნახ. \***ჩაქ-** „სიჩქარე, სისწრაფე; ჩქარი“.

### ჩხართვ-ი

ქართ. ჩხართუ-, ჩხართვ-ი, ჩხართუ (საბა), სვან. ჩხურუშტ || ჩხურუშდ || ჩხურუშტიშტ „ჩხართვი“; ზანურში სათანადო ფუძე დაკარგული ჩანს [იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 569]. სვანურ ფორმებში უნდ ფონემამ ინტერკონსონანტურ პოზიციაში სრული ვოკალიზება განიცადა — \*ჩხარშოტუ → \*ჩხარუშოტ → ჩხურუშტ/დ.

ს.-ქართვ. \*ჩხართუ- „ჩხართვი“

იჩქ. შარტყა → || შატყა „თრითინა“, ინგ. შურტყა → || შორტყა "id", ბაცბ. შურთხ „შურთხი“; საერთონახური არქეტიპი \*ჩართხუ-ა სახეობისა უნდა ყოფილიყო, რომლის დელაბიალიზაციაც განხორციელდა წინამავალ ხმოვანთან შერწყმით — უა → ო. ქართული შურთხ-ი ბაცბურიდან არის შეთვისებული, შდრ. თხ → ტყ ვაინახურ ენებში რ-ს ზეგავლენით. ს.-ნახ. ჩ : ს.-ქართვ. ჩ წინარე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე ვარაუდობს სისინ-შიშინა ც, სიბილანტის ფუნქციონირებას.

ს.-ნახ. \*ჩართხუ-ა „თრითინა, შურთხი“.

### ჩხიკვ-ი

ქართ. ჩხიკუ-, ჩხიკვ-ი || ჩხიკუ, ქიზიყ. ჩხვინკ-ი „ჩხიკვი“, ზან. (მეგრ.) ჩხვირკ-ი, ლაზ. ჩხვიკ-ი „ჩხიკვი“, სვან. ცხეკუ → || ცხაკუ „ქორი“; ჩხ კომპლექსის ლაბიალიზაცია ზანურსა და ქიზიყურში შესაძლოა ამოსავალ ვითარებაზე მიგვითითებდეს.

ს.-ქართ. \*ცხუიკ- „ჩხიკვი“

იჩქ. სავ-ალ || სავ-ალ „რწყილი“, ინგ. სავ-ალ "id", ბაცბ. ფსიკ „რწყილი“; ბაცბურის ვითარება არქაულობის მაჩვენებელია. თავკიდური ფ ისტორიულად ს-ს ლაბიალიზაციაზე მიუთითებს: ფსიკ ← \*სუიკ. სემანტიკურად ს.-ნახ. \*სუიკ- არქეტიპთან უფრო ახლოს ს.-ქართვ. \*კირ-ჩხიბ- [კლიმ. 1998: 102] ფორმა დგას, მაგრამ ფორმალურად \*ცხუიკ- მიესადაგება; ამიტომაც ჩვენ ამ უკანასკნელთან ერთობას ვუჭერთ მხარს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ცხ : ს.-ნახ. ც/სა (§ 31.4).

ს.-ნახ. \*სუიკ- „რწყილი“.

### ჩხირ-ი

ქართ. ჩხერ-ი, ჩხირ-ი „ბადის საქსოვი ჩხირი, ფათხა“, გა-ჩხერა „გარჭობა“, ზან. (ლაზ.) ცხაჯ-ი „ბადის საქსოვი ჩხირი“, მეგრ. ჩხანჯ-ი, შდრ. აფხ. (← მეგრ.) ა-ჩხეჯნი; ქართ. ჩხაჟ-ი (← მეგრ. ჩხაჯ-ი) „ბადის საქსოვი“ (საბა), სვან. ხ-ა-ჩხინ-ა „გარჭობილია“, ლი-ჩხინ-ე- „გაჩხერა“; საერთოქართველურში აღსადგენია \*ცხერ- არქეტიპი ჩხირის მნიშვნელობით [იხ. ჩუხ. 2000-2003: 332].

ს.-ქართვ. \*ცხერ- „ჩხირი“

იქ. სერ-ა „წნელი“, ინგ. სწრ-გ „წნელი“, ბაცბ. **სარ-იკ**; საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება **\*სარ-** არქეტიპი, რომელიც ზუსტი შესატყვისია ს.-ქართვ. **\*ცხერ-** ძირისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ცხ** : ს.-ნახ. **ც/სა** (§ 31.4), ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2). ბუნებრივი ჩანს სემანტიკური ოპოზიცია ს.-ქართვ. *ჩხირი* ~ ს.-ნახ. *წნელი*.

ს.-ნახ. **\*სარ-** „წნელი“.

### ც/ცემ-ა

ქართ. **ც-**, ძვ. ქართ. ს-**ც**-ა „დაარტყა“, მ-**ც**-ა „დამარტყა“, მ-**ც**-ემ-ელ-ი, ნა-**ც**-ემ-ი, ახ. ქართ. ს-**ც**-ემ-ს, მ-**ც**-ემ-ა, სა-**ც**-ემ-ი, **ც**-ემ-ა, ზან. (მეგრ.) **ჩ-**, ქო-ბ-**ჩ**-ი „დავარტყი“, ქო-რ-**ჩ**-ან-ქ „დავარტყამ“, ქო-**ჩ**-ეს „დავარტყეს“, ლაზ. გე-**ჩ**-ამ-ჟ „დარტყმა“, გე-ბ-**ჩ**-აფ „ვარტყამ“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. ჩიქ. 1938: 369-370, კლიმ. 1964: 227].

ს.-ქართვ. **\*ც-** „ცემა, დარტყმა“

იქ. **აჩ-**, **აჩ**-ა<sup>5</sup> || **აჩ**-არ „ცემა, ტყეპა“, ინგ. **აჩ-**, **აჩ**-ა<sup>5</sup> || **აჩ**-არ "id", ბაცბ. **აჩ-**, **აჩ**-ა<sup>5</sup> || **აჩ**-არ „მიტყეპა, მიბეგვა“; საერთონახურში აღდგება **\*აჩ-** ზმნური ძირი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. **\*ც-** არქეტიპს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ც** : ს.-ნახ. **ჩ** (§ 30.2).

ს.-ნახ. **\*აჩ-** „ცემა, მიტყეპა, მიბეგვა“.

### ცა

ქართ. **ცა-**, ძვ. ქართ. **ცა**-ა, ზან. **ცა** || **ნცა** || **მცა**, **ცა**-შხა || **ჩა**-შხა || **ცა**-ჩხა „ხუთშაბათი“, ეტ. „ცის დღე“, სვან. **ცა**-ა<sup>5</sup> „ხუთშაბათი“; საერთო-ქართველურისთვის აღდგება **\*ცა-** არქეტიპი, რომელმაც ზანურსა და სვანურში **ჩა** შეისატყვისა, ხოლო მოგვიანებით შიშინა სიბილანტთა გასისინების საერთო ტენდენციით **ცა** მოგვცა — **ჩა** → **ცა** [იხ. ცაგ. 1880: 58; ჩიქ. 1938: 53, 201-202; კლიმ. 1964: 222; მაჭ. 1965: 33].

ს.-ქართვ. **\*ცა-** „ცა“

იქ. **სთი**-გალ „ცა“, ინგ. **სი**-გალ-დე ← **\*სთი**-გალ-დე "id", ბაცბ. „**სტი**-კალ“; ბაცბურში **სტი**-კალ ალომორფი დაკარგულია. საერთონახური ფუძე-ენისათვის რეკონსტრუირდება **\*სთი-** არქეტიპი *ცის* მნიშვნელობით. **-გალ** || **-კალ** სუფიქსებია, შდრ. ფზა-**გალ** || ფზა-**კალ** „კურდღელი“; ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ც** : ს.-ნახ. **სთ** (იხ. აქვე, § 31.3).

ს.-ნახ. **\*სთი-** „ცა“.

### ცალ-ი

ქართ. **ცალ-**, **ცალ**-ი, ხევს. **ცალ**-ე, **ცალ**-იერ-ი, **ცალ**-ა, და-**ცალ**-ა, ზან. **ჩოლ-**, **ჩოლ**-ჟა „ცლა“, **ჩოლ**-ერ-ი „დაცლილი“, მეგრ. **ჩვარ**-ა „ცარიელი“, **ჩვარ**-ა ნეძი „ცარიელი კაკალი“, სვან. **ჰარ**-ი ← **\*ცარ**-ი „ცარიელი“; *დაცლის* გაგება ქართველურ დიალექტებში, ცხადია, **ცალ**-ის სემი-

საგან განვითარდა: იცლება ე. ი. ცალს, ერთს უახლოვდება [იხ. ჯავახ. 1937: 419; გონ. 1940: 588; ჩუხ. 2000-2003: 421].

ს.-ქართვ. \*ცალ- „ერთი, დაცალიერება“

იჩქ. ცაა || ცაა „ერთი“ ცაა-ცა ← ცაა-ცაა „თითო-თითოდ“; ინგ. ცაა „ერთი“, ცაა „ერთი (თვლის პროცესში)“, ბაცბ. ცაა „ერთი“, ცაა-ავ-ე<sup>ნ</sup> „მარტო“, ცაა-ავ-ოლ „მარტობა“; საერთონახური ფუძე-ენის-თვის აღვადგენთ \*ცაა- არქეფორმას, რომელიც კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. \*ცალ- ძირს, შდრ. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ჰა (§ 13.8). დასახელებულ ქართულ-ნახურ ფუძეთა კავშირზე სხვა ავტორები თავიდანვე მიუთითებდნენ [იხ. ჯავახ. 1937: 419, გონ. 1940: 588].

ს.-ნახ. \*ცაა- „ცალი, ერთი“.

### «ცალ-ი»

ქართ. «ცალ-», ზან. (მეგრ.) ჩგრ-ე „ჭაობი, ჭაობის წყალი“, სვან. ჩილ „უანგიანი წყალი“; ქართულისთვის ივარაუდება ცალ- ფუძე, რომელიც დაკარგული ჩანს [იხ. ჩუხ. 2000-2003: 327].

ს.-ქართვ. \*ცალ- „მღვრიე წყალი, ჭაობი“

იჩქ. იშალ „ჭაობი“, ინგ. იშალ "id", ბაცბ. «იშალ»; ბაცბურში აღსადგენია იშალ ფუძე, რომელიც ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი. ს.-ნახ. \*იშალ სპირანტიზებული სახეობა ჩანს უფრო ძველი \*იჩალ პროტოტიპისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ც : ს.-ნახ. ჩ → || შ (იხ. § 30.2).

ს.-ნახ. \*იჩალ- „ჭაობი“.

### ცალქ-ია

ქართ. ცალქ-, ცალქ-ია „დახრილი“, ზან. (მეგრ.) ცორქ-, ცორქ-ი „მრუდე, აფრაკი“, დე-ცორქ-უ „დააფრაკდა“, სვან. ჩალგ-ჲ || ჩორგ-ჲ || ჩორგ-ჲ (←\*ჩალქ-) „კოჭლი“. სემანტემები: დახრილი, კოჭლი, მრუდე გამომდინარეობს არასწორის გაგებიდან [იხ. ჩუხ. 2000-2003: 322].

ს.-ქართვ. \*ცალქ- „დახრილი, მრუდე, კოჭლი, უსწორმასწორო“.

იჩქ. ცუოლქ „უსწორმასწორო, ოღროზოღრო“, ინგ. ცოლქ "id", ბაცბ. «ცოლქ». ბაცბურში საძიებელი სიტყვა გაუჩინარებულია.

ხმოვნური მიმართება ს.-ქართვ. ა : ნახ. ო კანონზომიერად გვესახება და სხვა მასაშიც რეგულარულად ვლინდება, იხ. აქვე, § 5.2.

ს.-ნახ. \*ცოლქ- „ოღროზოღრო, უსწორმასწორო“.

### ცარ-/ნა-ცარ-ი

ქართ. ცარ-, ნა-ცარ-ი, ნა-ცარ-მტვერი, ზან. ცერ- ←\*ცორ-, ნო-ცერ-ი "id"; ზანურში ო → ე (← ვე?) ბუნებრივი ფონეტიკური პროცესია, შდრ. ოც-ი/ეჩ-ი ←\*წი-ი, ლორ-ი/ღვ-ი ←\*ლოჯ-ი... ასევე ნა-ცარ-ი/

ნო-ცერ-ი ← \*ნო-ცორ-ი. სვანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. \*ცარ-, ნა-ცარ- „ნაცარი“

იჩქ. ჩან || ჩან-გ „მტვერი“, ინგ. ჩან-გ "id", ბაცბ. ჩან-კ; ბაცბური შესატყვისი დაკარგული ჩანს, როგორც არაერთ სხვა შემთხვევაში.

დასაშვებია შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე: ნაცარი ~ მტვერი;

აუსლაუტური რ : ნ ფონემათშეფარდება რ → ნ ფონეტიკურ გადაბგერებას გულისხმობს საერთონახურ ფუძე-ენაში.

ს.-ნახ. \*ჩან- „მტვერი“.

### ცან-ი

ქართ. ცან-, გურ., ქართლ. ცან-ი „საპარკე, მცირე პარკი“, ცან-ე (საბა), ზან. (მეგრ.) ჩანგ-ია ← ჩვან-ია || ჩონ-ია „მცირე ტომარა“; სვანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი; მეგრული ჩვან- → ჩანგ- ფუძე შეთვისებულია ქართულის დასავლურ დიალექტებში: ზ.-აჭარ. ჩანგ-ი, გურ. ჩანტა || ჩანგ-ა „მცირე პარკი“ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 336].

ს.-ქართვ. \*ცან- „მცირე პარკი“

იჩქ. ჩუნა (ერგ. ბრ. ჩუნან-უო, მრ. რ. ჩუნან-აშ) „ბაწრის ნაჭერი; "ремня", ინგ. ჩუნა (მრ. რ. ჩუნან-აშ) „მოკლე საბელი“, ბაცბ. ჩუნა<sup>ნ</sup>; საერთონახურისთვის აღდგება \*ჩუნ-ან- არქეტიპი, რომლის კანონზომიერი შესატყვისია ს.-ქართვ. \*ცან- ფორმა; ბგერათშესატყვისობათა ჩვენება დაცულია, შდრ. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. უ ← \*ჟო (§ 5.2).

ს.-ნახ. \*ჩუნ-ან- ← \*ჩუნ-ან- „მცირე საბელი“.

### ცდ-ენ-ა

ქართ. ცეთ- || ცთ- || ცდ-, ძვ. ქართ. შე-ვ-ს-ცეთ, ცთ-ომ-ა, ცთ-უნ-ებ-ა, შე-ცდ-ენ-ა, და-ცად-ებ-ა „გაშვება, დატოვება, შესვენება“, ზან. (მეგრ.) ჩილათ-/ჩილით-, ო-ჩილით-უ-ან-ს „აცდენს“, ო-ჩირთ-უ „ავიწყდება; ეშლება“, მო-ჩილათ-ირ-ი „განშორებული, დავიწყებული“, ჩირთ-უ(ნ) „ცდება“, ლაზ. ჩულეთ-, ო-ჩულეთ-ინ-უ „აცდენა“, ვ-ო-ჩულეთ-ინ-ამ „ვაცდენ“, სვან. ჩედ-/ჩიდ-/ჩანდ-/ჩდ-, ა-ჩანდ || ა-ჩად „წავიდა“, ლი-ჩედ „წასვლა“, მე-ჩედ „წამსვლედი“, ლგ-ჩიდ „გადაცდენილი“, ლგ-ჩდ-ინ-ე || ლგ-ნ-ჩდ-ე || ლგ-ნა-ჩდ-ე „გადაცდენილი“; ქართულ-ზანურ ფუძეთა ერთიანობა ცნობილი ფაქტია [ისტორიისთვის იხ. ფენ-სარჯ. 2000: 592-593]. სვანური შესატყვისები ჩვენ მიერ იქნა დაძებნილი [ჩუხ. 2000-2003: 334-335].

ს.-ქართვ. \*ცად- „გადა“-ცდენა, წასვლა; დავიწყება/მოშორება“

იჩქ. დ-იც- „დავიწყება“, დ-იც-დალან<sup>ნ</sup> „დავიწყება (ავიწყდება)“, დ-იც მადდე „არ დაგავიწყდეს“, ინგ. დ-იც- "id", დ-იც-დანლ<sup>ნ</sup> "id", დ-იც-ლუ „ვიწყებს“, დ-იც-დენანდ „დავიწყა“, ბაცბ. დ-იც- "id", დ-იც-დალა "id"; საერთონახური ენობრივი ერობისათვის აღდგება კლასნიშნიანი \*დ-იც-ზმნური ძირი, რომლის შებრუნებულ სახეობას ს.-ქართვ. \*ცად- არქეტიპ-

ში ვხედავთ, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ი (§ 5.4). სემანტიკური მიმართების თვალსაზრისით, იგივეობა ჩანს მეგრულსა და ნახურ ენებს შორის. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ *დავიწყების* სემა განვითარდა *მოშორების*, *მოცდენა/შეცდომის* არქაული გაგებიდან როგორც მეგრულში, ისე ფუძენახურში.

ს.-ნახ. \*დ-იც- „დავიწყება“.

### ცებ-ნ-ა-ფ

ქართ. ცებ-, ძვ. ქართ. ცებ-ნ-ა-ფ „ცოდნა“, ცებ-ნ-ა „ცნობა“ (სა-ბა), სვან. ქბ-, ლი-ქბ-უნ-წლ "id" — სვან. ქბ- ←\*ცქებ-; შდრ. ქართ. ცრემლ-: სვან. ქიმრ ←\*ცქიმრ- „ცრემლი“... საერთოქართველურ არქე-ტიპად აღსადგენია \*ცებ- ძირი.

ს.-ქართვ. \*ცებ- „ცნობა, ცოდნა“

იჩქ. ჩამ- (ნათ. ბრ. ჩამ-ან) „გემო“, ჩამ-ფე ჰაჟჟან „გემოს გასინჯვა, ნახვა“, ინგ. ჩამ- "id", ჩამ-ბოლწმ „გემრიელი“, ჩამ ფეცარ „გემოს აღე-ბა“, ბაცბ. ჩამ "id", ჩამ თეფხარ „გემება(იგება)“; საერთონახურში აღ-სადგენია \*ჩამ- არქეტიპი *გემოს* მნიშვნელობით. მის შესატყვის საერთო-ქართველურ \*ცებ- ზმნას ამოსავალი მნიშვნელობა *გემოს აღება, გემება (იგებებს)* უნდა ჰქონოდა, საიდანაც *ცნობა/ცოდნა* განვითარდა. ფონეტიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით ს.-ქართვ. \*ცებ- : ს.-ნახ. \*ჩამ- შეპი-რისპირებას წინააღმდეგობა არ ახლავს.

ს.-ნახ. \*ჩამ- „გემო; გემება“.

### ცელ-ვ-ა

ქართ. ცელ-, ცელ-ავ-ს, ზან. (მეგრ.) ცალ-უ-ა „ცელვა“, ნა-ცალ-ა „ნაცელი, ნათიბი“, ჩჩალ-უ-ა „მოთელვა, მოცელვა“, ნა-ჩალ-ი „სიმინდის ყანა მოცელვის (ჩალის მოჭრის) შემდეგ“, ლაზ. ცალ-ერ-ი „გაცელილი“, ო-ნცალ-უ „ცელვა“, ო-ჩალ-უ „ცელვა, ჩალის მოჭრა“, დო-ჩჩალ-უფ-ან „მოცელავენ, მოჭრიან“, ჩალ-ა „ჩალა“; ც || ჩ სუბსტიტუცია ზანურ დია-ლექტებში გვიანდელია და აიხსნება ჩ → ც გასისინების მეორეული ფო-ნეტიკური პროცესით [იხ. როგ. 1960: 163; ჩიქ. 1938: 370]. ქართულში ისტორიული «ცელ-ა» : ზან. ჩალ-ა „ჩალა“ დაკარგულია.

ს.-ქართვ. \*ცელ- „ცელვა“, \*ცელ-ა „ჩალა“

იჩქ. ცანა „სათიბელი“, ინგ. ცონ- "id", ბაცბ. «ცან-ო»; ჰებერლოუ-რი ცან-ო || ცონ-ო ალომორფები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ბაც-ბურ ეკვივალენტზე, რომელიც დღესდღეობით დაკარგულად ითვლება. სა-ერთონახურ არქეტიპად რეკონსტრუირდება \*ცან-ო სახელური ფუძე, რომლის ეტიმოლოგიური მიმართება ს.-ნახ. \*დ-ავ- (ბაცბ. დ-ავ-არ „თიბვა“) ზმნასთან გასარკვევია. ბუნებრივად გვეჩვენება ს.-ქართვ. \*ცელ- : ს.-ნახ. \*ცან- ძირთა დაკავშირება, შდრ. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ნ (§ 13.6).

ს.-ნახ. \*ცან-ო „სათიბელი“.

## ცელ-ი

ქართ. **ცელ-**, **ცელ-**ი „ბუნგრძელი სათიბი“ (საბა), ზან. (მეგრ.) **ცალ-**, **ცალ-**ი „ცელი“; სხვა ქართველურ დიალექტებში ეს სახელური ფუძე არ არის გამოვლენილი [იხ. ფენ.სარჯ. 2000: 576]. შექველია ამ სახელური ძირის კავშირი ზმნურ \***ცელ-** „ცელვა“ ფორმასთან.

ს.-ქართვ. \***ცელ-** „ცელი“

იჩქ. **ცაქლ** || **ცაქლ** „თოხი; სამარგლავი სიმინდისთვის“, ინგ.

**ცაქლ** "id", ბაცბ. **ცელ-**ი, ბაცბური **ცელ** ფორმა ორენოვნების პირობებში გაითქვიფა ქართულიდან შეთვისებულ **ცელ-**ი სიტყვაში. ანგარიშგასაწევია ის ვითარებაც, რომ თუშურ დიალექტში **ცელ-**ი *ნამგალს* აღნიშნავს. ს.-ნახ. \***ცელ-** „თოხი“ არ არის ნასესხები ქართველურიდან, როგორც ამას ადრე ფიქრობდნენ [შდრ. გონ. 1940: 613]. მას კანონზომიერი პარალელები ეძებნება დაღესტნურ ენებში: ლეზგ. **ჩინ**, კრიწ. **ჩინ**, ბუღ. **ჩინ**, ხინ. **ჩინ** „ცელი“, შდრ. უბიხ. **ცანგ** „ხმალი“.

ს.-ნახ. \***ცელ-** „თოხი; სიმინდის სამარგლავი“.

## ცენ-ებ-ა

ქართ. **ცენ-**, აღმო-**ცენ-**ებ-ა, მ-**ცენ-**არ-ი/ე, ძვ. ქართ. **ცენ-**დ-ებ-ი-ნ, **ცენ-**ებ-ულ, მ-**ცენ-**არ-ც, ზან. (ლაზ.) ო-**ჩან-**უ „ცენება“, **ჩან-**ს „ხარობს; იზრდება“, გო-ფ-**ჩან-**ი „გავახარე“, ქო-**ჩან-**ს „ასხია“, მეგრ. **ჩან-**ა „მცენარე; მცენარეული საფარი“, **ჩან-**ს „ხარობს“, მუკო-**ჩან-**ს „ასხია“, მე-**ჩან-**ელ-ი „მსხმოიარე“, სვან. **შან-** || **შენ-** ← \***ჩენ-**, ხ-ე-**შან** „ასხია“, მა-**შან** || მა-**შენ** „ნაყოფი“, ლი-**შენ**-ე || ლი-**შენ**-ე „მოსხმა ნაყოფისა“, ი-**შენ**-ე „ისხამს“, ან-**შენ**-ე „მოისხა“; საერთოქართველურ არქეტიპად აღდგენილია \***ცენ-** [იხ. ჩიქ. 1938: 371; თოფ. 1940: 49].

ს.-ქართვ. \***ცენ-** „მცენარე; ნაყოფი; ნაყოფის მოსხმა“

იჩქ. **სთომ** (ახ. უ-**სთამ**) „მცენარეთა ნაყოფი“, „ხილი“, ინგ. **სომ** ← \***სთამ** "id", ბაცბ. **სტამ**; ახიური დიალექტის განხილვა უძველეს ვითარებას ასახავს, შდრ. ს.-ნახ. \***სთამ-**. სხვა დიალექტებში განხორციელდა ძირეული ა ხმოვნის ლაბიალიზაცია მომდევნო მ-ს ზეგავლენით — **სთამ** → **სთომ**. ანლაუტური უ ახიურში თავიკიდურ პოზიციაში **სთ** კომპლექსის არაკანონიკურობით აიხსნება, რაც უფრო ძლიერდება დაღესტნურ გარემოცვაში, სადაც სიტყვის ანლაუტურში **სთ** შეუძლებელია. ს.-ქართვ. \***ცენ-** : ს.-ნახ. \***სთამ-** კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შეფარდება ჩანს, შდრ. სვანურში *ნაყოფის* სემანტიკა, რომელიც საერთონახურისას ემთხვევა.

ს.-ნახ. \***სთამ-** „ნაყოფი მცენარეთა; ხილი“, "плод; фрукты".

## ცერ-ი

ქართ. **ცერ-**, **ცერ-**ი „ყველაზე მსხვილი თითი“, **ცერ-**ა, **ცერ-**ა თითი, ზან. (მეგრ.) **ჩანჯ-**ი, **ჩანჯ-**ი კითი „ცერი“, „ცერა თითი“, სვან. **ჩერ-**,

**ჩერ**-შდოლ || **ჩერ**-შტოლ, შდრ. **ჩერ**-ი || **ჩერ**-ი „თითისტარი“ [იხ. თოფ. 1937: 143; ფენ.-სარჯ. 2000: 594].

ს.-ქართვ. \***ცერ**- „ცერი; ცერა თითი“

იჩქ. **შა** (მრ. რ. **შენ**-აშ) „მტკაველი“, ინგ. **შა** (მრ. რ. **შან**-აშ) "id",

ბაცბ. **შე** "id", **შან**-არ-ფლენ „მტკაველის ოდენა“. ნახურ ენებში სახეზეა დეზაფრიკატიზაცია-სპირანტიზაციის გზით მიღებული ალომორფები, აქ **ჩ** → **შ** გავრცელებული პროცესი ჩანს (იხ. § 30.2).

ბუნებრივია სემანტიკური შესატყვისობაც: *ცერი ~ მტკაველი*.

ს.-ნახ. \***შენ**- ← \***ჩენ**- „მტკაველი“.

### ცერცვი

ქართ. **ცერცუ**-, **ცერცვ-ელ**-ა, იმერ. **ცერცვ-ალ**-ა „სოია“, სვან.

**ჩინჩუ**-ლ-ა || **ჩინჩუ**-ელ-ა ლნტ. „დიყი“; ლეჩხუმური (← სვან.) **ჩინჩველა** სვანურისთვის აღსადგენ **ჩინჩუ**-ელ-ა არქეფორმას წარმოაჩენს. ამ ფუძე-თა ზანური სახეობები უცნობია.

ს.-ქართვ. \***ცირცუ**-, \***ცირცუ**-ელ-ა „ცერცვი, ცერცველა, სოიო“

იჩქ. **ციცა** (მრ. რ. **ციცა**შ) „კამა, კვლიავი“, ინგ. **ციცა**, "id", ბაცბ.

**ციც**- "id". საყურადღებოა, რომ ძირის ვოკალიზაცია სვანურსა და ნახურ ენებში იდენტურია — **ი** : **ი**, რაც **ი** ხმოვნის პრიმარობას უჭერს მხარს სხვა ქართველური ენებისთვისაც.

ს.-ნახ. \***ციცა** „კამა, კვლიავი“.

### ცეცხლ-ი

ქართ. **ცეცხლ**-, **ცეცხლ**-ი; ზან. (მეგრ.) **დაჩხერ**-ი || **დაჩხირ**-ი, ლაზ. **დაჩხურ**-ი || **დაჩხირ**-ი „ცეცხლი“. ქართულისთვის ანლაუტში საცნაური **დ** → **ძ** → **ც** ასიმილაციური პროცესი: \***დეცხლ**-ი → \***ძეცხლ**-ი → **ცეცხლ**-ი, შდრ.: ქართ. **სახელ**-ი ← \***ძახელ**-ი: ზან. ჯოხო „სახელი“.

ს.-ქართვ. \***დეცხ**-ალ- ← \***დეცხ**-ალ- „ცეცხლი“

იჩქ. **დაჩხ**- || **დაჩხ**-, **დაჩხ**-არ || **დაჩხ**-არ „წრთობა“, „გამოწვა“,

ინგ. **დაჩხ**-, **დაჩხ**-არ "id", ბაცბ. **დაჩხ**-. საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღვადგენთ \***დაჩხ**- კლასნიშნიან ზმნურ ფუძეს, შდრ. ბგე-რათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ცხ** : ს.-ნახ. **ჩხ** (§ 44).

ს.-ნახ. \***დაჩხ**- „წრთობა, გამოწვა“.

### ცეხვა

ქართ. **ცეხვ**- ← \***ცხევ**-, **ცეხვა**, **ცეხვა**-ა-ა, **ცეხვა**-ავ-ს, სა-**ცეხვ**-ელ-ი, ზან. (ლაზ.) **ჩხევ**-არ- ← \***ჩხევ**-არ- „სიმინდის, ღომის გაცეხვა“, დო-**ჩხევ**-არ-უ „გაცეხვა“, მეგრ. **ჩხვ**-არ- → || **ჩხევ**-არ- "id", დო-(ნ)**ჩხევ**-არ-უ „გაცეხვა“, შდრ. მეგრ. **ჩხვ**-ერ-ი, ლაზ. **ჩხევ**-არ-ი || **ჩხევ**-არ-ი-ი „მარცვა-



ლი (ლომის)“, „ნაცეხვი“ [იხ. ჩიქ. 1938: 143, 380]; საერთოქართველურ არქეტიპად აღვადგენთ \***ცხეუ-** ზმნურ ძირს, საიდანაც ქართულში **ცეხვ-** სახეობა განვითარდა.

ს.-ქართვ. \***ცხეუ-** „ცეხვა, საცეხველი“

ჩიქ. **წსარ** „გამარგვლა“, **წსარ-ხუო** „გამმარგლავი“, **წსარ-ხან** „გამარგვლის დრო“, ინგ. **ოასწარ** „მარგვლა“, **ოასწარ-ხუო** „გამმარგვლედი“, ბაცბ. **ასარ** „გაცრა“; ინგუშური **ოა** ხმოვანკომპლექსი გრძელი **წ**-საგან განვითარდა. საერთონახურში აღვადგენთ \***ა-სარ-** ძირს, სადაც ზმნური, საკუთრივ ნახური **ა-** პრეფიქსი გამოიყოფა. ს.-ქართვ. \***ცხეუ-** : ს.-ნახ. \***ა-სარ-** ბუნებრივი სტრუქტურული შეფარდება ჩანს, შდრ. ბგერათმეცა-ტყვისობა ს.-ქართვ. **ცხ** : ს.-ნახ. **ც/სა** (§ 31.4), ს.-ქართვ. **ჟ** : ს.-ნახ. **რ** (§ 20.5), ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2).

ს.-ნახ. \***ა-სარ-** „გამარგვლა; გაცრა“.

### ცვეთ-ა

ქართ. **ცვეთ-/ცვით-**, ძვ. ქართ. წინა-და-ს-**ცუეთ-**ს, წინა-და-ს-**ცუით-**ა, და-ი-**ცუით-**ო-ს, და-ს-**ცვთ-**ო-ს, და-ჟ-**ცუეთ-**ელ-ობ-ა-დ, გა-**ცუეთ-**ილ-ი; ზან. (ლაზ.) **ჩით-** ←\***ჩვით-**, ო-**ჩით-**ჟ „ჭრა; ბობა“, დიშქა ფ-**ჩით-**ჟფ „შემას ვჭრი“, დო-ფ-**ჩით-**ი „დავჭერი“; სვანური შესატყვისი არა ჩანს [კარტ. 1986: 8]. მოსალოდნელი კი იყო **ჩუეშდ-/ჩუიშდ-** ←\***ჩუეშთ-/ჩუიშთ-** ალომორფები, შდრ. ბგერათმეცატყვისობა ქართ. **თ** : სვან. **შდ/შტ** ←\***შთ** — ს.-ქართვ. **სთ**.

ს.-ქართვ. \***ცუესთ-/ცუისთ-** „კვეთა/ჭრა; ბობა“

ჩიქ. **ცდესთ-/ცასთ-** „ჭრა, კვეთა“, **ცდესთ-**არ „უსრ. ასბ.“, შდრ. **ცდესთ-**არგ „ციყვი“ ← ეტ. „მჭრელი“, **ცასთ-**არ „სრ. ასბ.“, ინგ. **ცდესთ-/ცასთ-** "id", **ცდესთ-**არ „უსრ. ასბ.“, **ცასთ-**არ „სრ. ასბ.“, ბაცბ. **ცესტ-/ცასტ-**არ ←\***ცესთ-/ცასთ-**არ "id"; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის აღსადგენია \***ცესთ-/ცასთ-** აბლაუტური არქეტიპები. გარდა სემანტიკურ-ფონეტიკური იგივეობისა ამ ძირებში ვლინდება ხმოვნის ერთგვაროვანი აბლაუტი, შდრ. ს.-ნახ. \***ცესთ-** „უსრ. ასბ.“ : ს.-ქართვ. \***ცუესთ-** „განგრძ. დრო“, ს.-ნახ. \***ცასთ-** „სრ. ასბ.“ : ს.-ქართვ. \***ცუისთ-** „ნამყო სრული“ — ე : ე; ი : ა.

ს.-ნახ. \***ცესთ-/ცასთ-** „ჭრა, კვეთა“.

### ცვილ-ი

ქართ. **ცვილ-**, **ცვილ-**ი, ძვ. ქართ. **ცუილ-**ი, ზან. (ლაზ.) **ჩირ-**, **ჩირ-**ი || მ-**ჩირ-**ი ←\***ჩვირ-**ი, მეგრ. **ჩირ-**ი ←\***ჩვირ-**ი „ცვილი“, სვან. **ჭუილ** ←\***ჩუილ** „ცვილი“; ზანურ დიალექტებში შეიმჩნევა **ლ** → **რ**, **ჩვ** → **ჩ** ფონეტიკური გარდაქმნები, ხოლო სვანურში — **ჩ** → **ჯ**, **ლ** → **დ**

[ბროს. 1849: 75, მარ. 1910: 211, კლიმ. 1964: 229; ჩუხ. 2000-2003: 16].

ს.-ქართვ. \***ცვილ-** „ცვილი“

იჩქ. **უჭრ-გ** || **ჭჭრ-გ** „ხელოვნური ცვილი“, ინგ. **ჯურ-**გ „გაუწმენდავი ცვილი“, ბაცბ. **ჯურ-აკ**; საყურადღებოა სვანურისმაგვარი **ჩ** → **ჭ** აფრიკატთა გამჟღერების საერთო პროცესი ნახურ ენებში, რასაც ეპარალელუბა ზანურისებური **ლ** → **რ** ნახურში, შდრ. ბგერათმესატყვისობა ს.-ქართვ. **ც** : ს.-ნახ. **ჩ** (§ 30.2), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **რ** (§ 13.3). ისტორიული **უი** თანმიმდევრობა იჩქერიულში **უ**-ში გადასულა: **უი** → **უ**, ხოლო ინგუშურში — **უი** → **უ**.

ს.-ნახ. \***ჩუირ-** „ხელოვნური, გაუწმენდავი ცვილი“.

### ცივ-ი

ქართ. **ცივ-**, **ცივ-ი**, სი-**ცივ-ე**, ზან. (ლაზ.) **ჩე-** სიტყვაში **ჩე-ჩხურ-ი** „ციებ-ცხელება“, სადაც **ჩე** ქართ. **ცივ-**ის კანონზომიერი შესატყვისობა: **ჩე** ← \***ჩივ-**, შდრ. მეგრ. **ჩი-ონ-ი** ← \***ჩივ-ონ-ი** „ციება“ (რ. აბაშია). სვანური შესატყვისი ვერ დაიძებნა.

ს.-ქართვ. \***ციუ-** „ცივი“

იჩქ. **ჩილლა** || **ჩიულა** ← \***ჩიუ-**ლა (ქისტ. **ჩიმა**) „წლის ყველაზე ცივი სეზონი“, ინგ. **ჩიულა** ← \***ჩიუ-**ლა "id", ბაცბ. **ჩივ-**. იჩქერიულსა და ინგუშურში ლა- ქართ. -ობა სუფიქსის სემანტიკური ეკვივალენტია.

ბგერათმესატყვისობა ს.-ქართვ. **ც** : ს.-ნახ. **ჩ** კანონზომიერია, რაც რეგულარულად გამოჩნდება გენეტიკურად საერთო წარმომავლობის ნახურ-ქართველურ ლექსემებში, იხ. აქვე, § 30.2.

ს.-ნახ. \***ჩიუ-** „ყველაზე უფრო ცივი“.

### ცილ-ი

ქართ. **ცილ-**, ზ. იმერ. **ცილ-ი** „გოგრის, საზამთროსა და მისთანათა კანის თეთრი ნაწილი“, ზან. (ლაზ.) **ცელ-**, **ცელ-ა** ← \***ცილ-ა** „ქერცილი“, სვან. **ცილ** → || **ცირ** „კანი, ქერქი“; ცხადია, საერთოქართველური მდგომარეობისთვის აღდგება \***ცილ-** არქეტიპი, რომელიც სამსავე ქართველურ დიალექტში კანონზომიერ შესატყვისს იძლევა.

ს.-ქართვ. \***ცილ-** „კანი, ქერქი“

იჩქ. **ჩიო** || **ჩო** „ბალანი“, ინგ. **ჩო** || **ჩოუ-**ა „თმა, ბალანი“, ბაცბ. **ჩო** "id"; საერთონახურისთვის აღსადგენია \***ჩაუ-** არქეტიპი, რასაც მხარს უჭერს ინგუშურში შემონახული **ჩოუ-**ა ფორმა, შდრ. ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **უ** (§ 13.4). ვფიქრობთ, სემანტიკური კორელაცია ს.-ქართვ. *კანიქერქი* ~ *ბალანითმა* სავსებით ბუნებრივია.

ს.-ნახ. \***ჩაუ-** „ბალანი, თმა“.

## ციქვ-ა

ქართ. ციქუ-, ძვ. ქართ. ვ-ციქუ „ვიმოციქულე“; «ციქუ-» „ვიკრიკი“, შდრ. სვან. ციქუ ← ძვ. ქართ. \*ციქუ- „ვიკრიკი“, სა-ციქუ-ელ-ი, ციქუ-ა „მოციქულობა“, ზან. (ლაზ.) ჩქვ- → || შქვ-, ვ-ო-ჩქვ-ი || ვ-ო-შქვ-ი „გავგზავნე“, მეგრ. ჩქვ-აფ-ა „გავგზავნა“, მო-ჩქვ-აფ-ილ-ი „გამოგზავნილი“, სვან. მუ-შგუ-წრ-ი || მუ-შკუ-წრ-ი „სტუმარი“, ი-მ-შგუ-ან-ე || ი-მ-შკუ-ან-ე „გაისტუმრა“; სვანური მუ-შგუ-წრ-ი || მუ-შკუ-წრ-ი ← \*მუ-ჩქუ-არ-ი აგებულებითა და შინაარსითაც ახლო დგას ქართულ მო-ციქ-ულ- ← \*მო-ციქუ-ილ- ლექსემასთან; სტუმარი/მოციქული მოსულის თავდაპირველი გაგებიდან განვითარდა [იხ. ჩუხ. 2000-2003: 156-157].

ს.-ქართ. \*ციქუ- „მოციქული, სტუმარი; გზავნა“

იჩქ. ჰაშა „სტუმარი“, ინგ. ჰაშა "id", ბაცბ. ჰაშე → || ჰაშ „სტუმარი“; საერთონახური ფუძე-ენისთვის აღვადგენთ \*ჰაშე არქეტიპს, რომელიც შებრუნებული წყობისა ჩანს ს.-ქართვ. \*ციქუ- ძირთან შედარებით. აღწერილ სიტყვათა საერთო წარმომავლობის ჰიპოთეზა სემანტიკური იგივეობის გარდა მაგრადება ბგერათშესატყვისობათა ჩვენებით, შდრ. ს.-ქართვ. ქ : ს.-ნახ. ჰა (§ 40.2), ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა (§ 7.3), ს.-ქართვ. ც : ს.-ნახ. შ ← \*ჩ (§ 30.2).

ს.-ნახ. \*ჰაშე ← \*ჰაჩე „სტუმარი“.

## ციყვ-ი

ქართ. ციყუ-, ციყვ-ი, ციყვ || მციყვ || მციყვ-ი, ზან. (მეგრ.) ციყვ-ი || ციღვ-ი „ციყვი“, ო-ციღვ-ინ-ან-ს „ციყვივით გამოიყურება“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. საერთოქართველურ არქეტიპად აღსადგენია \*ციყუ- წინარეფორმა. საყურადღებოა ყ → ღ ლაზურისმაგვარი დეგლოტალიზაციის ფონეტიკური პროცესი მეგრულში — ლაზ. დუღ-ი, ხე-(ნ)-დუღ-ი = ი-დაყვ-ი || ნიდაყვ-ი, შდრ. მეგრ. დუღ-ი "id".

ს.-ქართვ. \*ციყუ- „ციყვი“

იჩქ. ცჰაუოგალ || ცოგალ „მელია“, ინგ. ცუოგალ || ცოგალ "id", ბაცბ. ცოკალ „მელია“; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \*ცაკუ-ალ- არქეტიპი, შდრ. დალ., კრიწ. საქულ, წახ. სიყუა "id". ს.-ქართვ. \*ციყუ- „ციყვი“ : ს.-ნახ. \*ცაკუ-ალ- „მელია“ კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკური შესატყვისობაა, შდრ. ბგერათშეფარდება ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა (§ 7.3).

ს.-ნახ. \*ცაკუ-ალ- „მელია“.

## ციც-ა

ქართ. ციც- ციც-ა „კატა ფრანგულია ქართულად ციცა ჰქვიან“ (საბა), ფერეიდნ. ციც-ა „კატა“, ზან. ციც-ო „კატის ერთ-ერთი სახელი“,

შდრ. **ციცხ-** „კატის დასაფრთხობი მიმართვა“, სვან. **ციც-უ** → || **ცუიცი** „კატა“; საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღდგება \***ციც-**ა არქეტიპი.

ს.-ქართვ. \***ციც-**ა „კატა“

იჩქ. **ციც-**იგ „კატა“, ინგ. **ციც-ი** || **ციხქ** ←\***ციც-**იგ „კატა“, ბაცბ. **ციც-იკ**; საერთონახური ფუძე-ენისთვის რეკონსტრუირდება \***ციც-** ძირი, რომელიც შესაძლებელია ჩანდეს ინგუშურ **ციცხ-ოლ** „ვირთხა“ ფორმაშიც, შდრ. უბიხ. **ცაცა** „თახვი“.

ს.-ნახ. \***ციც-** „კატა“.

### ციც-ი-ნათელა

ქართ. **ციც-**, **ციც-ი-ნათელ-**ა, ზან. (ლაზ.) **ჩიჩ-ი** „მატლი“, შდრ. გურ., ზ. იმერ., აჭარ. **ჩიჩ-ი**, რომელიც მეგრულიდან უნდა იყოს შეთვი-სებული. სვანურში საძიებელი ფუძე ვერ გამოვავლინეთ. **ციც-ი-ნათელ-**ა უძველესი კომპოზიტია, რაზეც მეტყველებს ქართულიდან შესული ლათინური სიტყვა *cicindēla* „ციცინათელა“, შდრ. ასევე მეგრ. (← ქართ.) **ციც-გ-ნათელი** „თეთრი“.

ქართ. **ჩიჩი-ილ-ი** სხვა ფუძეა, შდრ. ლაზ. **ჩიჩქ-უ** (→ მესხ. **ჩიჩქე-ი**) „ჩიჩილი“ [იხ. კლიმ. 1998: 272].

ს.-ქართვ. \***ციც-** „მატლი, მწერი“

იჩქ. **-ციც-**იგ შემორჩენილია სიტყვაში ნჰჰჰ-**ციც-**იგ „მუხლუხა“ = „პებლის მატლი“, ინგ. ნჰჰჰ-**ციხქ** ←\*ნჰჰჰ-**ციც-**იგ "id", ბაცბ. **ციც-აჰ** „მწერი“. ბაცბური ამ შემთხვევაში უძველეს ვითარებას გვიჩვენებს.

ს.-ნახ. \***ციც-** „მწერი; მატლი“.

### ციც-ინ-ებ-ა

ქართ. **ციც-ინ-**, იმერ. და-**ციც-ინ-ებ-**ა „სხეულის კანის, ტუჩის და-სკდომა“, და-**ციც-ინ-ებ-ულ-**ი, ზან. (მეგრ.) **ჩიჩ-ინ-** || **ციც-ინ-**, გო-**ჩიჩ-ინ-**აფ-ა, გო-**ციც-ინ-**აფ-ა „კანის გამაგრება/დასკდომა სიცივისგან, როცა კანი იქერტლება“. სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. \***ციც-ინ-** „კანის დასკდომა/გაქერტლიანება“

იჩქ. **ჩიჩ** „ქერტლი“, ინგ. **ჩიჩ** "id", ბაცბ. **ჩიჩ**; ბაცბურში, როგორც არაერთხელ ვნახეთ, შესაბამისი ფუძე დაკარგული ჩანს.

ს.-ნახ. \***ჩიჩ-** „ქერტლი“.

### ცმელ-ი

ქართ. **ცმ-ელ-**, **ცმ-ელ-ი** „ქონი“, **ცმ-ელ-ოვ-ან-ი** „ქონიანი“, **ცმ-ელ-ოვან-ებ-ა-ე** „ქონიანობა“, ზან. (მეგრ.) **ციმ-უ** || **ცგმ-უ** „ქონი“, ლაზ. **ციმ-უ** „მსუყე“, სვან. **ცგმ-რა** ბქ., **ცემ-ილ** ლშხ. „მუცლის ქონი; ცმელი“, ნა-**ცმ-უნ** ზს., ლშხ., ნა-**ცომ-უნ** ←\*ნა-**ცამ-უნ** ლნტ. „საცხებელი (ღორის მუცლის ქონის)“. ზანურ-სვანური მონაცემები საერთოქართველურის დონეზე

ა ხმოვნის პოსტულაციას უჭერენ მხარს.

ს.-ქართვ. \*ცამ-(ელ-) „ქონი“

იჩქ. სთუმმ-ჲ (ჰებ. სთამ-ჲ) „მსხვილი, ქონიანი“, ინგ. სომ-ჲ ← \*სთამ-ჲ "id", ბაცბ. სტამ-ი<sup>5</sup> „მსხვილი, სქელი“; ს.-ქართვ. ც : ს.-ნახ. სთ თანხმოვანშესატყვისობა რეგულარულ-კანონზომიერია და გულისხმობს ც → სთ სპორადულ ფონეტიკურ გადაბგერებას საერთონახურ ფუძე-ენაში; იხ. აქვე, § 31.3.

ს.-ნახ. \*სთამ-(ინ) „მსხვილი, სქელი, ქონიანი“.

### ცოლ-ი

ქართ. ცოლ-, ცოლ-ი, ცოლ-ებ-ა, ცოლ-იერ-ი, ე-ცოლ-ა, ბი-ცოლ-ა ← \*ბიძის-ცოლ-ა, ზან. ჩილ- ← \*ჩულ-ი „ცოლი“, ო-ჩილ-უ „ცოლის შე-რთვა“, უ-ჩილ-ე „უცოლო“, ჩილ-ორთ-ი „ცოლოურები“, სვან. ჩურ- || ჩუირ- „ქალი“, სიტყვაში და-ჩურ || და-ჩუირ „და ძმისთვის“ = „და-ქალ-ი“; ისტორიულად ჩურ- || ჩუირ- ← \*ჩულ- [იხ. ჩუხ. 2004: 81] ალომორფებს ქალის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სვანურში [შდრ. კლიმ. 1964: 230; ფენ.სარჯ. 2000: 600].

ს.-ქართვ. \*ცოლ- „ცოლი, ქალი“

იჩქ. უსთუ || სთუ „ცოლი“, სთუ (მრ. რ. სთუ-ნ-აშ) „კნენა“, ინგ. უსთ „ცოლი“, სუჲ (მრ. რ. სუჲ-ნ-აშ) „კნენა“, ბაცბ. ფსტუ „ცოლი“, ფსტუნ-ი<sup>5</sup> „ცოლისა“; საერთონახურ არქეტიპად \*ბ-სტუნ- გვესახება, სა-დაც ანლაუტური ბ- გრამატიკული კლასის ნიშანია. ს.-ქართვ. \*ცოლ- : ს.-ნახ. \*ბ-სთუნ- კანონზომიერი მიმართება ჩანს, შდრ. ბგერათშესატყვი-სობა ს.-ქართვ. ც : ს.-ნახ. სთ (§ 31.3), ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ნ (§ 13.6). ს.-ნახ. \*ბ-სთუნ- „ცოლი; კნენა“.

### ცონ-ვ-ა

ქართ. ცონ-, მ-ცონ-არ-ა, ძვ. ქართ. მ-ცონ-არ-ე „ზარმაცი“, მ-ცონ-ი-ს, ს-ცონ-ი-ს, სი-ცონ-ილ-ი, უ-ცონ-ო, უ-ცონ-ილ-ად, ზან. (ლაზ.) მ-ჩინ-ოჯ-ი „მაკე“, დი-მ-ჩინ-ოჯ-უ „დამაკდა“ [იხ. კარტ. 2005: 192], მეგრ. ჩინ-ოდ- ← \*ჩინ-ოჯ-, დე-ჩგნ-ოდ-უ „დამაკდა“, სვან. ჩამჲ-ირ ← ჩუემ-ირ || ჩომ-ირ „დონდლო, მოუქნელი“ [ჩუხ. 2000-2003: 322-323]. უძველესია მე-გრულ-ჭანურის ვითარება, სადაც მაკეს გაგება ერთადერთია.

ს.-ქართვ. \*ცონ- „დამაკება“, \*მ-ცონ-არ- „მაკე“

იჩქ. ჩულ-ან<sup>5</sup> || ჩულ-ი<sup>5</sup> „მაკე“, ინგ. ჩულ-ჲ "id", ბაცბ. ჩულ-ი<sup>5</sup> „ორსული, მაკე“; აქ საერთონახურ ძირად ჩულ- გამოიყოფა, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*ცონ- არქეტიპს, შდრ. ბგერათ-შესატყვისობა, ს.-ქართვ. ც : ს.-ნახ. ჩ (§ 30.2), ს.-ქართვ. ო : ს.-ნახ. უ (§ 8.2), ს.-ქართვ. ნ : ს.-ნახ. ლ (§ 16.2).

ს.-ნახ. \*ჩულ- „დამაკება“, \*ჩულ-ინ „მაკე“.

### ცოფ-ი

ქართ. ცოფ-, ცოფ-ი „გადამდები ავადმყოფობა“, ზან. (მეგრ.) ფოჩ-ო „შტერი, უგნური; ცოფი/ფინთი“, სვან. ჩეფ-, ლი-ჩეფ „სენის შეყრა“; შლრ. ქართ. ბეც-ი || ბოც-ი || ბუც-ი.

ს.-ქართვ. \*ცაბ-/\*ბაც- „შტერი, ცოფი, ავადმყოფი“; „სენის შეყრა“.

იჩქ. ჩარფ (ითუმყ. ჩაფ) „ავადმყოფობის შეტევა“; "приступ", ინგ.

ჩოაფ "id", ბაცბ. [ჩაფ]; ბაცბურში მოსალოდნელი ჩაფ სახეობა დღემდე არ არის გამოვლენილი.

ს.-ნახ. \*ჩჟაფ- „ავადმყოფობის შეტევა“; "приступ".

### ცოცხალ-ი

ქართ. ცოცხ-, ცოცხალ-ი „ჯანმრთელი, ცოცხალი“, გან-ცოცხლ-დ-ა, ზან. (მეგრ.) ჩონჩხ-ი → || ჩხონჩხ-ი „ღვიძლი“; ქართველური ძირები შე-აპირისპირა ი. კორტავამ. ამის შესახებ იხ. ფენ.-სარჯ. 2000 : 599. ჩვენი დაკვირვებით, ქართულში ჩონჩხ-ი ზანიზმი უნდა იყოს.

ს.-ქართვ. \*ცოცხ- „სიცოცხლე, ხორცშესხმა; ღვიძლი, ჩონჩხი“

იჩქ. ჩუოჩხ- || ჩუოჩხ-, ჩუოჩხ-ამ || ჩუოჩხ-ამ „ხრტილი“, ინგ.

ჩოჩხ-, ჩოჩხ-ამ "id", ბაცბ. [ჩოჩხ]; ბაცბური ეკვივალენტი გამოსავლენია.

ქართველურ ენათა ჩონჩხ-ღვიძლის შინაარსი ახლოს დგას ნახურ ენათა ხრტილის მნიშვნელობასთან, რასაც ზურგს უმაგრებს სტრუქტურულ-ფონეტიკური იგივეობა აღწერილი ფუძეებისა.

ს.-ნახ. \*ჩოჩხ- „ხრტილი“.

### ცუნ-ცულ-ა

ქართ. ცუნ-, გურ. ცუნ-ცულ-ა (რედუბლ.) „ნამცხვარი“, ზან.(ლაზ.) ჩუ-ჩუნ-ა ←\*ჩუნ-ჩუნ-ა (რედუბლ.) „თბილი“, მეგრ. ჩუნ-, ჩუნ-აფ-ა „გამომრობა; შესქელება“; ქართველურ დიალექტებში დასტურდება ცხოზა (ნამცხვარი)/თბილი/შრობა სემანტიკები, რომელთაგან ამოსავალი ვითარება მეგრულს დაუცავს [ფენ.-სარჯ. 2000: 601].

ს.-ქართვ. \*ცუნ- „შრობა; შესქელება“

იჩქ. (ჭებ.) ცუნი „მშრალი“, ინგ. ცუნ- "id", ბაცბ. ცუნ-, ცუნ-არ-დარ „შესქელება“, ცუანჩ ←\*ცუნი „მშრალი“; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \*ცუნ- არქეტიპი, რომელსაც ს.-ქართვ. \*ცუნ-ფორმასთან აერთიანებს სემანტიკურ-ფონეტიკური იგივეობა. ბაცბურსა და მეგრულში ვითარება იდენტურია.

ს.-ნახ. \*ცუნ- „მშრალი; შესქელება“.

### ცურ-ვ-ა

ქართ. ცურ-, ცურ-ვ-ა, ცურ-ავ-ს, ძვ. ქართ. მ-ცურ-ვ-ალ-ი, ზან. (ლაზ.) ნჩურ- || ნჩირ- || მჩვირ- ←\*ჩვირ- „ცურვა“, ვ-ი-ნჩვირ || ვ-ი-

**მჩვირ** „ვცურავ“, ბ-ი-**ნჩვირ**-ი „ვიცურე“, მეგრ. **ჩურ**-უ-ა → || **ნჩურ**-უ-ა „ცურვა“, ბ-**ჩურ**-უნ-ქ „ვცურავ“, მა-**ნჩურ**-ალ-ი „მოცურავე“, ეკო-**ნჩურ**-უ-ა „მიცურვა ხმელეთთან“; სვანური შესატყვისი დღემდე არ არის გამოვლენილი [ჩიქ. 1938: 373-374; კლიმ. 1964: 230; ფენ.-სარჯ. 2000: 601-602]. საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღვადგენთ \***ცჳირ**- არქეტიპს. ს.-ქართვ. \***ცჳირ**- „ცურვა“

იჩქ. **ლიძი**- ←\***ლიჳი**-, **ლიძი**-არ „ბანაობა“, ინგ. **ლუჳი**-არ "id", **ლიძი**-ად „დაიბანა“, ბაცბ. **ლიფი**-; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \***ლიჳი**- არქეტიპი, რომელიც შებრუნებული წყობისაა ს.-ქართვ. \***ცჳირ**- ფორმასთან შედარებით, შდრ. ხუნძ. **ჩურ**- „ბანაობა“ (ინ. § 3). **ცურვა** ~ **ბანაობა** საერთო სემანტიკური ველის წევრი სემანტემები ჩანს.

ს.-ნახ. \***ლიჳი**- „ბანაობა“.

### ცუნ-ი

ქართ. **ცუნ**-, **ცუნ**-ი || მ-**ცუნ**-ი „ფიჭის დაწურვის შემდეგ დარჩენილი წვენი“, ზან. (მეგრ.) **ცუნ**-ი „თაფლის გამოწურვის შემდეგ რაც დარჩება სარაჯიდან, ამას ჰქვია მეგრ. **ცუნი**“ (ბ. ჭარაია). სხვა ქართველურ დიალექტებში **ცუნ**- ფორმა არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. \***ცუნ**- „ფიჭის დაწურვის შემდეგ დარჩენილი წვენი“

იჩქ. **ჩუჳა** „ყველის ნაწური სითხე; შრატი“, ინგ. **ჩუჳა** "id", ბაცბ. **ჩუჳა**; ბაცბური ეკვივალენტის პოსტულაცია შესაძლებელია ამ ენის ფონოტაქტიკური წესების გათვალისწინების შემდგომ. საერთონახური ფუძე-ენისთვის სავარაუდოა \***ჩუჳა**-ი არქეტიპის ფუნქციონირება, რომელიც კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია ს.-ქართვ. \***ცუნ**- ძირისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ც** : ს.-ნახ. **ჩ** (§ 30.2), ს.-ქართვ. **ხ** : ს.-ნახ. **ჳა** (§ 40.1).

ს.-ნახ. \***ჩუჳა**-ი „ყველის ნაწური სითხე; შრატი“.

### ცქიფ-ი

ქართ. **ცქიფ**-, **ცქიფ**-ი „მცენარის პატარა ტოტი“, ზან. **ჩქვიფ**-ი „ხის ამონაყარი“, შდრ. გურ. (← მეგრ.) **ჩქვიფ**-ი; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. ზანური ეკვივალენტი გურულ კილოს დაუცავს, სადაც ბოლოკიდური **ფ**-ს ზეგავლენით **ვ** ჩანს განვითარებული ფონეტიკურ ნიადაგზე [ინ. ფენ.-სარჯ. 1990: 415].

ს.-ქართვ. \***ცქიფ**- „ხის ტოტი“

იჩქ. **ქაჩ**-ალ „ერთგვარი ჩაქუჩი; ჯოხი“, ინგ. **ქაჩ**-ალ "id", ბაცბ. **ქაჩ**-ალ; ნახურ ენებში ძირად \***ქაჩ**- გამოიყოფა, ხოლო -ალ სახელური სუფიქსია, რომელიც სხვაგანაც გამოჩნდება, შდრ. იჩქ. **კუჳ** „ქოჩორი“ → **კუჳ**-ალ „შუბლზე შეჭრილი თმა; ქოჩორი“. ამდენად, საერთონახურ არ-

ქეტიპად აღვადგენთ \*ქაჩ-ალ- ფორმას, რომლის \*ქაჩ- ძირი შებრუნებული სახეობაა ს.-ქართვ. \*ცქ-იფ- წინარეფორმისა, იხ. § 3. სემანტიკური მიმართება ს.-ქართვ. ხის ტოტი ~ ს.-ნახ. ჯოხი მისაღები ჩანს.

ს.-ნახ. \*ქაჩ-ალ- „ერთგვარი ჩაქუჩი; ჯოხი“.

### ცხ-ად-ი

ქართ. ცხ-ად-ი, ცხ-ად-ლ-ივ, ცხ-ად-ად, ცხ-ად-მყოფელ-ი „აშკარად გამომჩენი“, სვან ცხ-ირ-, ლი-ცხ-რ-ე „გარკვევა“, ა-ცხ-რ-ე || ა-ცხ-ირ-ე „არკვევს; იგებს“; ქართულ-სვანურ ფუძეთა შედარება ძირად ცხ- სეგ-მენტს გამოგვაყოფინებს, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა: გ ა რ კ ვ ე - ვ ა, გ ა ც ხ ა დ ე ბ ა, ც ხ ა დ ი. ზანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. \*ცხ-ირ- „გაცხადება, გარკვევა, სიცხადე“

იჩქ. ს-ამ „გამოლვიძება“, ს-ამ-ახ „ცხადლივ, ცხადად“, ინგ. ს-ამ "id", ბაცბ. „სამ“; ნახურ ენათა ძირითადი მნიშვნელობა ემთხვევა ქართველურისას, ხოლო, თუ გავითვალისწინებთ ბგერათშესატყვისობას ს.-ქართვ. ცხ : ს.-ნახ. ც/სა (იხ. აქვე, § 31.4), ყველაფერი ნათელი ხდება.

ს.-ნახ. \*ს-ამ- „ლვიძილი; სიცხადე“.

### ცხავ-ი

ქართ. ცხავ-ი „საცრის მსგავსი ხელსაწყო, რომელსაც ძირი მოწნული აქვს“, „ცხრილი“, ზან. (მეგრ.) ო-რჩხე, ლაზ. ო-ჩხე „ქარქაში“, სვან. ჩხწფ „მარცვლეულის საწყაო“; ზანურ დიალექტებში თავიკდური ო-ზედმეტია, ისევე, როგორც ქართ. მტილ-ი : ზან. ო-მტულ-ე || ო-რტვინ-ი „ბოსტანი“ შემთხვევაში. ს.-ქართვ. ავ-ი → ზან. ე დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია (ტ. გულდავა) [იხ. ჩუხ. 2000-2003: 331-332].

ს.-ქართვ. \*ცხაჟ- „მოწნული ჭურჭელი; ცხავი/ცხრილი“

იჩქ. სიფა || სიფა „შიბაჟი“, ინგ. სიფა "id", ბაცბ. შიბა-ჟ "id"; ბაცბურში შიშინა შ ალოფონია დამკვიდრებული, ისევე, როგორც ინგ. ზამ-იგ : ბაცბ. ჟომ-ე „ბატარა, მცირე“ შეპირისპირების დროს. ქართული შიბაჟი ბაცბურიდან არის შეთვისებული. ასე რომ, საერთონახური \*სიბ-ა კანონზომიერი შესატყვისია ს.-ქართვ. \*ცხაჟ- არქეტიპისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ცხ : ს.-ნახ. ც/სა (§ 31.4), ს.-ქართვ. ჟ : ს.-ნახ. ბ (§ 23.2), ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ი (§ 5.4).

ს.-ნახ. \*სიბ-ა „შიბაჟი“.

### ცხემ-ლ-ა

ქართ. ცხემ-ლ-, ცხემ-ლ-ა „რცხილა“, „ჯაგრცხილა“; ზან.(მეგრ.) ცხემ-ურ-ი || ცხიმ-ურ-ი „რცხილა“, ლაზ. ცხემ-ურ-ი → || მ-ცხემბ-რ-ი "id"; სვან. ცხჟიმ- || ცხუმ- „რცხილა“, ცხჟიმ-რა || ცხუმ-რა "id"; „რცხილის მორი“; ცხუმ-ი „სოხუმი“, ცხუმ-არ (ტობ.), ცხუმ-ურ-ი „ფუ-



ლის ერთეული“, **ცხუმ**-ურ-ი „ვერცხლია ერთის ჟამისა“ (საბა) [იხ. კლიმ. 1964: 200; მელიქ. 1965: 65-66; ფენ.-სარჯ. 2000: 585]. ზანურ-სვანური ეკვივალენტები ქართულთან ადაპტირებული ალომორფებია — **ჩ** → **ც**. შინა განზოგანების არქეფორმები შემორჩენილია უძველეს ტოპონიმებში: ზან. ო-**ჩხამ**-ურ-ი = სა-**ცხემ**-ლ-ი, სვან. ლე-**ჩხუმ**-ი = სა-**ცხემ**-ლ-ი.

ს.-ქართვ. \***ცხემ-ალ-** „რცხილა/ცხემლა“

იჩქ. **ნეჩხ**-ა (ჰებ. **ნახჩ**-ი, ქისტ. **ნეჩხ**) „ტყიური ჭყიმი“, ინგ. **ნეჩხ**-ჲ || **ნეჩხ**-ჲ "id", ბაცბ. **ნახჩ**-ი; საერთონახური ფუძეენური ერთობისათვის რეკონსტრუირდება \***ნახჩ**-ი არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს საერთოქართველური \***ცხემ-ალ-** ფორმისა. ქართველურთან შედარებით ნახური ერთეული შებრუნებული (მეტათეზისებული) სახეობაა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ცხ** : ს.-ნახ. **ჩხ** (§ 44), ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2), ს.-ქართვ. **მ** : ს.-ნახ. **ნ** (§ 15.3).

ს.-ნახ. \***ნახჩ**-ი „ტყიური, ველის ჭყიმი“.

### ცხვ-არ-ი

ქართ. **ცხუ**-არ-, **ცხვ**-არ-ი, ძვ. ქართ. **ცხოვ**-არ-ი, ზან.(მეგრ.) **შხურ**-ი ←\***ჩხურ**-ი „ცხვარი“, ლაზ. **მჩხურ**-ი || **მჩქურ**-ი || **მშქურ**-ი "id"; სვან. **შხწრ** ←\***ჩხწრ** „ნიშა ხარი“ [იხ. ყიფშ. 1914: 368; მარ. 1911-1914, VI: 420; ჩიქ. 1938: 80; კლიმ. 1964: 231]. ძველი ქართული **ცხოვ-არ-** ფუძე მიღებულია **ცხვ-არ-** არქეფორმისაგან **ცხოვ-ელ-** სახელთან კონტამინაციით. ვეყრდნობით გ. კლიმოვის რეკონსტრუქციას.

ს.-ქართვ. \***ცხუ-არ-** „ცხვარი“

იჩქ. **ჩუხ**-ჲ (ჰებ. **ჩუხ**-ი) „ბატკანი, კრავი“, ინგ. **ჩუხ**- ←\***ჩუხ**-ი "id", ბაცბ. **ჩუჯხ**-ი ←\***ჩუხ**-ი "id"; საერთონახური არქეტიპის აღსადგენად ძვირფას მასალას წარმოადგენს დაღესტნურ ენათა ჩვენება: ხუნძ. **ჩაჯუჷ**, დარგ. **ჩაჯუ** || **ჩაჯა** „ცხვარი“. ცხადია, აქედან გამომდინარე აღსადგენია ს.-ნახ. \***ჩახუ**-ი, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***ცხუ-არ-**. როგორც ირკვევა, ეს ძირი წინარექართველურში განზოგანებული იყო — \***ცხუ**-არ- ←\***ცახუ**-არ-. რედუქცია ძირეული **ა** ხმოვნისა მომდევნო -**არ** სუფიქსს მიეწერება.

ს.-ნახ. \***ჩახუ**-ი „ბატკანი, კრავი“.

### ცხიმ-ი

ქართ. **ცხიმ**-, **ცხიმ**-ი, **ცხიმ**-იან-ი, ზან. (მეგრ.) **ჩხომ**-, **ჩხომ**-ი „ცხიმი“ სიტყვაში **ჩხომ**-ჰაბ-უ = **ცხიმ**-წებ-ო; სვან. მგ-**ჩხემ** „ცხიმი, ქონი“, მგ-**ჩხმ**-წრ || მგ-**ჩხმ**-წრ „ქონიანი“; ქართული **ცხიმ-ი** ასიმილირებული ვარიანტია ისტორიული **ცხამ**-ი არქეფორმისა. ამაში მეგრული ო განზოგანება (**ჩხომ**-ი) გვარწმუნებს. მეგრულში **ჩხომ**-ი „ცხიმი“ სიტყვა შემორჩენილია **ჩხომ**-ჰაბ-უ = **ცხიმ**-წებ-ო კომპოზიტში. ამდაგვარი წებო მზადდე-

ბოდა საქონლის ჩლიქების დიდი ხნის ხარშვის შედეგად გამოყოფილი ცხიმ-ქონისაგან.

ს.-ქართვ. \*ცხამ- „ცხიმი; ქონი“

იჩქ. ნეჩხჷ || ნეჩხა || ნაჩხა „ყველი“, ინგ. ნეჩხ → || ნეჩხ "id", ბაცბ. ნაჩხ ← \*ნაჩხ-ი „ყველი“; საერთონახურისთვის აღდგება \*ნაჩხ-ი არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკური შესატყვისი ეძებნება ქართველურში \*ცხამ- პრაფორმის სახით, ოღონდ აქ წარმოდგენილი ფუძე შებრუნებული წყობისაა (ამის შესახებ იხ. აქვე, § 3) — ს.-ქართვ. \*ცხამ- : ს.-ნახ. \*ნაჩხ-ი (მ : ნ, § 15.3).

ს.-ნახ. \*ნაჩხ-ი „ყველი“.

### ცხემელ-ა

ქართ. ცხემელ-, ცხემელ-ებ-ი (საბა), თუშ. ცხემელ-ი „ჩხირი (წინდის)“, ფშ., გუდ., მთიულ., ქსნ. ხეობ. ცხემელ-ა „ნის პატარა ჯოხი (საქსოვი)“, ზან. (მეგრ.) ჩხაბილ-ა „საქსოვი, ჯოხი, ჩხირი“, სვან. ცხჷი || ცხუ „ისარი“; ფუძის ანალოგიური ცვეთა სვანურიდან ცნობილია, შდრ. ცხჷი : ცხემელ- და თჷი : თაფლ- [იხ. ჩუხ. 2000-2003: 343]. მეგრული ჩხაბილ-ა ასევე კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური ეკვივალენტი ჩანს ქართული ცხემელ- ფუძისა.

ს.-ქართვ. \*ცხემ-ილ- „ჩხირი, ისარი“

იჩქ. სარ-ა || სარ-აგ „ჯოხი“, ინგ. სარ-გ "id", ბაცბ. სარ-; საერთონახური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \*სარ- არქეტიპი, რომელიც ზუსტი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია ს.-ქართვ. \*ცხემ-ილ- ფორმისა, შდრ. ს.-ქართვ. ცხ : ს.-ნახ. ც/სა (§ 31.4), ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა (§ 6.2). სიტყვის აუსლაუტში ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. რ მიმართება რეგულარულად ვლინდება — შდრ. ს.-ქართვ. \*კჷამ- : ს.-ნახ. \*კურ- „კვამლი“.

ს.-ნახ. \*სარ- „ჯოხი“.

### ცხოვ-ნ-ებ-ა

ქართ. ცხოვ-, ცხოვ-ნ-ებ-ა, ცხოვ-რ-ებ-ა, მა-ცხოვ-არ-ი, ზან. (მეგრ.) ჩხო-ნ-, ჩხო-ნ-აფ-ა „გადარჩენა, ცხოვრება/ცხოვნება“, ვ-ო-ჩხო-ნ-ე „ვაცხოვნე“, ვ-ჩხო-ნ-დ-გ-ქ „ვცხოვნივ“, ჩხო-ნ-აფ-ილ-ი „ცხოვნილი“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. საერთოქართველური ენობრივი ერთობისთვის აღსადგენია \*ცხაჷ- არქეტიპი [როგ. 1946: 12; კლიმ. 1964: 232; შდრ. ფენ.-სარგ. 2000: 606-607].

ს.-ქართვ. \*ცხაჷ- „ცხოვრება, გადარჩენა; სიცოცხლის მინიჭება“

იჩქ. ა-სარ „გაცოცხლება, გამხნელება“, ინგ. ა-სარ "id", ბაცბ. ა-სარ; ბაცბური შესატყვისი აქაც გვაკლია. საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება \*ა-სარ- ძირი, რომლის სემანტიკურ-ფონეტიკურ შესატყვისსაც წარმოადგენს ს.-ქართვ. \*ცხაჷ-, შდრ. ბგერათშესატყვისობა

ს.-ქართვ. ცხ : ს.-ნახ. ც/სა (§ 31.4), ს.-ქართვ. ჟ : ს.-ნახ. რ (§ 20.5).

ს.-ნახ. \*ა-სარ- „გაცოცხლება, გამხნეება“.

### ცხ-რ-ო

ქართ. ცხ-რ-ო „ცივების სენი“ (საბა), ძვ. ქართ. ცხ-რ-ო, ცხ-რ-ო-იან-ი, ზან. (ლაზ.) ჩხ-ურ-, ჩე-ჩხ-ურ-ი „ცივებ-ცხელება“, მეგრ. ჩხ-ურ-უ „სიცივე“, ქიმინ-ჩხ-ურ-უ „აცივდა“, სვან. ცხ- ←\*ჩხ-, მე-ცხ-ი „ცივი“, მწ-ცხ-ად „სიცივე“; საერთოქართველურ არქეტიპად \*ცხ- ძირი აღდგება [შდრ.: ჩიქ. 1938: 236-237; კლიმ. 1998: 277; ფენ.-სარჯ. 2000: 607].

ს.-ქართვ. \*ცხ- „ცივი; სიცივე“

ჩიქ. ჩოჟხ-უო || ჩოჟხ-ორ „გაყინვა, დაზრობა“, ინგ. ჩოჟხ-ნ-დჟ || ჩოჟხ-ნმ "id", ბაცბ. ჩოფხ-; საერთონახური ენობრივი ერთობისთვის რეკონსტრუირდება \*ჩოხჟ- არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკური შესატყვისი მოეპოვება ს.-ქართვ. \*ცხ- ძირის სახით, შდრ. ს.-ქართვ. ც : ს.-ნახ. ჩ (§ 30.2), ს.-ქართვ. ხ : ს.-ნახ. ხ (§ 34.5).

ს.-ნახ. \*ჩოხჟ- „გაყინვა, დაზრობა“.

### ძაბ-ურ-ებ-ი

ქართ. ძაბ-, ძაბ-ურ-ებ-ი „საშინაო ფეხსაცმელი“, მოხ. ძაბ-რიგანა „წულა“, ზან. ჯორაბ-ი ←\*ჯობ-არ-ი, შდრ. ქართ. (← მეგრ.) ჯორაბ-ი, სვან. ჯაბ-ირ || ჯაბ-რ „მონადირის ფეხსაცმელი“, „ბანდულეები“; ქართულ-სვანურ ფუძეთა საერთო წარმომავლობა გარკვეულია [ფენ.-სარჯ. 2000: 618-619]. ჩვენი დაკვირვებით, აქვე შემოვა ზანური ჯორაბ-იც. ძაბ-ურ : ჯორაბ-ში ისეთივე მიმართება ჩანს, როგორიც ქართ. კაბ-ელ-ა : ზან. კორობ-ა ←\*კობ-ორ-ა-ში [იხ. ჩუხ. 2000-2003: 115].

ს.-ქართვ. \*ძაბ- „წულა; საშინაო ფეხსაცმელი, ბანდულეები“

ჩიქ. ჟამ || ჯამ „ქალამანი“, ბჟორ-ჟამ || ბჟორ-ჯამ „ბანდულეები“, ინგ. ჯამ „ქალამანი“, ბჟორ-ჯამ "id", ბაცბ. ჯან „ქალამანი“; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \*ჯამ- არქეტიპი, რომლის კანონზომიერი სემანტიკურ-ფონეტიკური შესატყვისი გამოჩნდება ს.-ქართვ. \*ძაბ- ფორმაში.

ს.-ნახ. \*ჯამ- „ბანდულეები; ქალამანი“.

### ძავრ-ი

ქართ. ძაჟრ-, ძავრ-ი „მსხვილად დაფქული პური და ფქვილი წყალში გახსნილი“, ზან. (მეგრ.) ჯინჯ-ილ-ა „ქერის პური“, სვან. ჯორ- || ჯჟარ-, მჟ-ჯჟარ → || მჟ-ჯორ „სამარხვო შეჭამანი“. ისტორიული ზანურისთვის \*ჯოჟრ-, ხოლო სვანურისთვის ჯაჟრ- არქეფორმები აღდგება [იხ. ჩუხ. 2000-2003: 418].

ს.-ქართვ. \***ძაჟრ**- „ქერის ფქვილისგან დამზადებული შეჭამანდი“  
იჩქ. **ჭაჟრ**-აჟ ←\***ჯუჟრ**-აჟ „სიმინდის ფქვილის ნარჩენები გაცრის შემდეგ“, ინგ. **ჟუჟრ** || **ჯუჟრ** (მრ. რ. **ჯოჟრ**-აჟ/ჟ) „სიმინდის ფქვილი“,  
ბაცბ. **ჯოჟრ**. ძირის განმოვანების თვალსაზრისით ინგუშურის მრავ-  
ლობითის მაჩვენებელი (ო) უფრო ძველი ჩანს, რასაც მხარს უჭერს ბგე-  
რათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო**, იხ. აქვე, § 5.2; შდრ. ასევე  
ს.-ქართვ. **ძ** : ს.-ნახ. **ჯ** (§ 30.1).

ს.-ნახ. \***ჯოჟრ**- „სიმინდის ფქვილი“.

### ძალ-ი

ქართ. **ძალ**-/ძლ-, **ძალ**-ი, **ძალ**-ა, **ძლ**-ევ-ა, და-**ძალ**-ებ-ა, მ-**ძლ**-ე,  
ჟ-**ძლ**-ო, ჟ-**ძლ**-ურ-ი, **ძალ**-იურ-ი || **ძლ**-იერ-ი, მ-**ძლ**-ავ-რ-ი, **ძალ**-ოვ-ან-ი,  
ზან. (მეგრ.) **ნჯოლ**-, მო-**ნჯოლ**-უნ-ს „ძლევს“, მო-**ნჯოლ**-ირ-ი „ძლეული“,  
ლაზ. მე-**ნჯელ**-ი „ძლიერი“, ჟ-მე-**ნჯელ**-ჟ „უძლური“, ლაზ. **ნჯელ**-  
←\***ჯოლ**-, სვან. ნა-**ჟარ**-, ო-ხჟ-ნა-**ჟარ**- „გაუძლო“, ხ-ო-ნა-**ჟარ** „უძლებს“;  
ცხადია სვან. ნა-**ჟარ**- ←\*ნა-**ჯალ**- [იხ. ჩუხ. 2000-2003: 165].

ს.-ქართვ. \***ძალ**- „ძალა, ძლევა“

იჩქ. **ჯორ**-ემ || **ჯორ**-ჟემ || **ძორ**-ემ „ლონიერი“, ინგ. **ძორ**-ჟემ "id",  
ბაცბ. **ჯორ**-ადში „ლონიერად“, **ჯორ**-ან<sup>6</sup> „ფხიანი, გულადი“. საერთონახჟ-  
რისთვის აღდგება \***ძორ**- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად შეესა-  
ტყვისება ს.-ქართვ. \***ძალ**- ძირს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ა**  
: ს.-ნახ. **ო** (§ 5.2), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **რ** (§ 13.3).

ს.-ნახ. \***ძორ**- „ლონიერება, გულადობა“.

### ძალ-ი/ძილ-ი

ქართ. **ძალ**-/ძილ-, **ძალ**-ი „ნაწლავი, სიმი“, **ძილ**-ი „სიმი“, **ძილ**-ა  
ძაფი „ორმაგი ძაფი“, ზან. (ლაზ.) **ჯილ**-, სიტყვაში ო-**ჯილ**-აჟ-ე „ბადე, ნა-  
ბანდი ხილის შესაგროვებლად“, სვან. **ჯილ**, **ჯილ**-ად „სიმი“ [იხ. აბულ.  
1960: 219; ფენ-სარჯ. 2000: 627]. მნიშვნელობის მხრივ ამოსავალია *ნა-  
წლავის* შინაარსი, რომლისგანაც გამრობა/გახმობის განსაკუთრებული წე-  
სით *სიმი* მზადდება; ასე რომ, *სიმის* გაგება მეორეულია ჩვენს ენებში.

ს.-ქართვ. \***ძილ**- „ნაწლავი“

იჩქ. **ჯიმ** (ჭებ., ითუშყ. **ჯინ**-) „თირკმელი“, ინგ. **ჯიმ** "id", ბაცბ. **ჟინ**<sup>6</sup>  
„თირკმელი“, შდრ. **ჟინ**-ან<sup>6</sup> „თირკმლის“; ბაცბურში ანლაუტურული თანხმო-  
ვანი სპირანტიზებული ალოფონი ჩანს ისტორიული **ჯ**- აფრიკატისა, რო-  
მელიც ვაინახურ ენებშია დაცული. შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე  
ს.-ქართვ. *ნაწლავი* ~ ს.-ნახ. *თირკმელი* სავსებით კანონზომიერია.

ს.-ნახ. \***ჯინ**- „თირკმელი“.

## ძარ-ა

ქართ. **ძარ-ა** „ურმის ძირითადი ზედა ნაწილი“, ზან. (მეგრ.) **ჯოლ-ა** || **ჯოლ-ო** „სათრიელი; მოჭრილი ხის საქონლით გამოსათრევი“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. ფონეტიკურ-სტრუქტურულად **ძარ-ა** : **ჯოლ-ო** → || **ჯოლ-ა** შესატყვისობა კანონზომიერი ჩანს (**ძ** : **ჯ**, **ა** : **ო**). რაც შეეხება **რ** → **ლ** მეგრულ პროცესს, ის პოზიციურია და ხშირად დაჩნდება არაანლაუტში ხმოვნის წინა პოზიციაში, რასაც თვალნათლივ ცხადყოფს ნასესხებ სიტყვათა ანალიზი: ქართ. **ჩირ-ი** → მეგრ. **ჩილ-ა**, ქართ. **გორა** → მეგრ. **გოლა...** მეგრულის სემანტიკა თავისებურ ასახვას ჰპოვებს ქართული **ძარა** სიტყვის განმარტებაში. როგორც ეტყობა, „სათრიელი“ ისტორიულად ფორმითაც **ძარას** ტიპისა იყო.

ს.-ქართვ. \***ძარ-ა** „ძარა; სათრიელი“

იჩქ. **ჯან-ა** (ჭებ. **ჯან-ო**) „დოლაბის საკისარი“; „მოძრავი ღერძი“, ინგ. **ჯან-შ** "id", ბაცბ. **ჯან-რ** "id"; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის აღსადგენია \***ჯან-ო** არქეტიპი. ს.-ქართვ. \***ძარ-ა** : ს.-ნახ. \***ჯან-ო** კანონზომიერი მიმართებაა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ძ** : ს.-ნახ. **ჯ** (§ 30.1), ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ნ** (§ 14.3).

ს.-ნახ. \***ჯან-ო** „მოძრავი ღერძი; დოლაბის საკისარი“.

## ძარ-ი

ქართ. **ძარ-**, **ძარ-ი** „გოდორი“, ჯელ-**ძარ-ი** „ხელის გოდორი“, გურ. **ძარ-ო** || **ძარ-ი**, ზან. «**ჯორ-**», **ჯორ-ოფ-ა** „დიდხანს ნახმარი უვარგისი ქვაბი“, სვან. **ჯარ** || **ჯარ** „ვარცლი“; ზანური შესატყვისი შემოგვენახა იმერულ დიალექტში, სადაც **ჯორ-** ძირი გართულებულია -ოფ-ა სუფიქსით, შდრ. ქართ. **ძობან-ი** ← \***ძან-ობ-ი** „ჭერში ჩამოკიდებული კალათა“ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 413].

ს.-ქართვ. \***ძარ-/ძან-** „ვარცლი, ქვაბი; გოდორი“

იჩქ. **ჯაღლ-ა** || **ძაღლ-ა** (ქისტ. **ძეღლ**) „კეცი, ტაფა“, ინგ. **ძლ-**, **ძლლ-** "id", ბაცბ. «**ძაღლ-რ**»; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღსადგენია \***ძაღლ-ი** არქეტიპი, რომლის **ძაღლ-** ძირი ინგუშურში გართულებულია -ღწ ადგილობითი ბრუნვის ფორმანტით. სემანტიკური კორელაცია ს.-ქართვ. **ვარცლი/ქვაბი** ~ ს.-ნახ. **კეცი/ტაფა** ბუნებრივი ჩანს, შდრ. ასევე ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ძ** : ს.-ნახ. **ძ** (§ 31.1), ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ლ** (§ 14.2).

ს.-ნახ. \***ძაღლ-ი** „კეცი/ტაფა“.

## ძარღვ-ი

ქართ.: **ძარღუ-**, **ძარღვ-ი**, ძვ. ქართ. **ძარღუ-ი**, ზან. (მეგრ.) **ჯერღვ-ი** „ძარღვი“, მა-**ჯარღვ-ა**ლ-აია „მრავალძარღვა“, სვან. **ჯარღუ** „ძარღვი“; მეგრული **ჯერღვ-ი** ისტორიული \***ჯორღვ-ის**გან მომდინარეობს, შდრ. **ო** ← **ე**

ზანურში — ქართ. **ლც**-ი : ზან. **ეჩ**-ი ←\***ლჩ**-ი, ქართ. **ლორ**-ი : ზან. **ლეჯ**-ი ←\***ლოჯ**-ი... [იხ. ცაგ. 1880 : 64; გრენ. 1890: 131; ჟღენტ. 1949: 130; თოფ. 1960: 157, კლიმ. 1964: 236].

ს.-ქართვ. \***ძარღუ**- „ძარღვი“

იჩქ. **ძორხ** → || **ზორხ** „კუჭი“, ინგ. **ძორხ** "id", ბაცბ. **ძორხ**; საყურადღებოა სემანტიკური შესატყვისობა ს.-ქართვ. **ძარღვი** ~ ს.-ნახ. **კუჭი**, რაც აიხსნება **კუჭის** როგორც **ძარღვიანი** ორგანოს ანუ **დაძარღვლის** სპეციფიკით. სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში **ღ** → **ხ** დაყრუების პროცესი ადვილი დასაშვებია ნახური ენებისთვის, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** (§ 5.2), ს.-ქართვ. **ძ** : ს.-ნახ. **ძ** (§ 31.1).

ს.-ნახ. \***ძორღ**- „კუჭი“.

### ძარცვა

ქართ. **ძარცვ**-, **ძარცუ**-ავ-ს, ძვ. ქართ. **ძარცუ**-, მო-**ძრცუ**-, ზან. (ლაზ.) **ჩგ**-, გო-**ჩგ**-ეს „გაძარცვეს“, გო-**ჩგ**-ერ-ი „გაძარცვული“, მეგრ. **ჩჩგ**-, გო-ბ-**ჩჩგ**-ი „გაძარცვე“, ნა-**ჩჩგ**-ი „ნაძარცვი“; სვანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი [იჩქ. 1938: 372; კლიმ. 1998: 278]. საერთოქართველური ენობრივი მდგომარეობისთვის აღდგება \***ძარცუ**-ფუძე, რომელიც ზანურში შესამჩნევად არის გაცვეთილი.

ს.-ქართვ. \***ძარცუ**- „ძარცვა; მოშორება/მოცლა“

იჩქ. **ორცა** (ჭებ. **წრცუ**) „განგაში“, ინგ. **ოარც** ←\***არცუ** "id", ბაცბ. **წარცო** „თარეში“; საერთონახურისთვის აღსადგენია \***არცუ**- პრაფორმა, რომლის თავკიდური **ء** და ს.-ქართვ. **ძ** დამატებით კითხვებს აჩენს. ამაზე აქ ვერ შევჩერდებით. ბოლოკიდური **უ** საერთონახურში საერთოქართველური **უ** ბილაბიალის შესატყვისია.

ს.-ნახ. \***არცუ**- „განგაში; თარეში“.

### ძალა

ქართ. **ძალ**-ა „ტყავის გასაშავებელი მასალა, რკინის აჯასპი“, „საღებავი“, ზან. (მეგრ.) **ჯულ**-ა „ჭრელი, ზოლებიანი, წითური“, **ჯულ**-ა (ანთროპ.), სვან. **ჟალ** „ნარინჯისფერი; მოწითალო“; ზანურში ადრინდელი **ლ** განმოვანების სახეობად შეიძლება დავსაზოთ იმერული **ჯორღ**-ი „ხის გამოწყობი; კორძი“ ფორმა. საერთოქართველურისთვის რეკონსტრუირდება \***ძალ**-ა არქეტიპი.

ს.-ქართვ. \***ძალ**-ა „ერთგვარი საღებავი“

იჩქ. **შაყე**-ა (ჭებ. **ჟაყე**) „მელანი“, ინგ. **შაყ-შ** || **ჟაყ-შ** "id", ბაცბ. **შაყე**; ბაცბური ეკვივალენტი დაკარგული ჩანს, თუმცა შდრ. ქიზ. მ-**ჟაყე** ← ბაცბ. **ჟაყე**. მასზე ჭებერლოურის მიხედვითაც შეგვიძლია მსჯელობა. საერთონახური ენობრივი ერთობისთვის აღდგება \***ჟაყე** არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***ძალ**-ა წინარეფორმა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ძ** : ს.-ნახ. **ჟ** (§ 30.1),

ს.-ქართვ. **ღ** : ს.-ნახ. **ყ** (§ 34.4). სემანტიკური თვალსაზრისით *საღებავი* ~ *მელანი* ბუნებრივი მიმართება ჩანს.

ს.-ნახ. \***ყაყე** „მელანი“.

### ძაღლ-ი

ქართ. **ძაღლ-**, **ძაღლ-**, ზან. **ჯოღორ-** „ძაღლი“, სვან. **ჟედ** „ძაღლი“, **ჟედჟე**-ილჟე „ძაღლყურძენა“; სვანურში სპორადულად შემორჩენილი **ჟე ლ**-ს ბგერინაცვალაია — **ლ** → **ჟე**. ზანურში ფიქსირებული ორმარცვლიანობა კი ამოსავალი ფუძის განმოვანების უძველეს ვითარებას გვაჩვენებს. ასე რომ, საერთოქართველურისთვის რეკონსტრუირდება \***ძაღლ-**არქეტიპი [ჩიქ. 1942: 108; შდრ. გამყრ.-მაჭ. 1965: 83; კლიმ. 1964: 236, კლიმ. 1998: 283; ფენ.-სარჯ. 2000: 283].

ს.-ქართვ. \***ძაღლ-**ალ- „ძაღლი“

იჩქ. **წოყ** || **წოყ** „ფოცხვერი; გარეული კატა“, ინგ. **წოყ** "id", ბაცბ. **წოყ**; ბაცბური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი. საერთონახურ ძირად აღვადგენთ \***წოყ-**არქეფორმას, რომელიც გლოტალიზებული შესატყვისია ს.-ქართვ. \***ძაღლ-**ალ- სახელისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** (§ 5.2). *ძაღლი* ~ *გარეული კატა* ბუნებრივი სემანტიკური კორელაცია ჩანს.

ს.-ნახ. \***წოყ-** ← \***ძოყ-** „ფოცხვერი; გარეული კატა“.

### ძახ-ვ-ა

ქართ. **ძახ-**, **ძახ-**ავ-ს, **ძენ-**ვ-ი ← \***ძახ-**ვ-ი (ეტ. ნაძახევი), ზან. (მეგრ.) **ჯგხ-** → || **ჯინ-**, **ჯგხ-**ჟ-ა || **ჯინ-**ჟ-ა, **ჯინ-**ჟნ-ს „ტენის ხორცს ნაწლავში“, ჟ-**ჯგხ-**ვ-ან-ს „ჩატენილი აქვს“, ინო-**ჯგხ-**ილ-ი „ჩატენილი“, სვან. **ჟანჯ** || **ჟანჯ** „ტიკი, ტიკჭორა“; ფუძის აუსლაჟუტი სვანურს უკეთ დაუცავს, ზანურსა და ქართულში საცნაურია **ჯ** → **ხ** სპირანტიზაციის ფონეტიკური პროცესი [იხ. ჩუხ. 2000-2003: 181].

ს.-ქართვ. \***ძავ(ჟ)**- „ძახვა, ტენა; ნაწლავი, ძეხვი“

იჩქ. **ჭაოჟძ-** || **ჭაოჟზ-**არ „ძახვა“, ინგ. **ჭაოჟძ-**არ "id", ბაცბ. **ჭაოჟძ-**; ბაცბური ეკვივალენტი დაკარგული ჩანს. **ჟძ/ბძ** თანმიმდევრობა ნახურ ენებში ისტორიულად **ძ**-ს ლაბიალიზაციაზე მიგვითითებს. ასე რომ, საერთონახურისთვის აღდგება \***ჭაოჟძ-**არქეტიპი, რომელიც ე. წ. შებრუნებული წყობისაა ს.-ქართვ. \***ძავჟ-** ძირთან შედარებით (იხ. § 3), შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ჯ** : ს.-ნახ. **ჭა** (§ 35.2).

ს.-ნახ. \***ჭაოჟძ-** „ძახვა“.

### ძახველ-ი

ქართ. **ძავჟელ-**, **ძავჟელ-ი**, **ძახველ-ი**, სვან. **ჟავჟნარ** || **ჟავჟნერ** „არყის ხე“, ლე-**ჟავჟნერ** „არყის ხეთა ტევრი“ [იხ. გიგინ. 1972: 151-152].

ს.-ქართვ. \***ძაჭყ-ელ-** „ძახველი; არყის ხე“  
იჩქ. **უახარ** || **ჯახარ** „ლანძილი“, ინგ. **უახარ** "id", ბაცბ. «ჯახარ»;  
ბაცბური ეკვივალენტი აქაც გვაკლია, შდრ. ბაცბ. **ჯოყარ** „კაჭახი“.

ადვილი დასანახია ტიპოლოგიურად მსგავსი **ლ** → **რ** გარდაქმნა  
სვანურსა და ნახურ ენებში. ამ უკანასკნელში **ხ**-ს მომდევნოდ სავარაუდოდ  
**ჟ** უკვალოდ გამქრალა.

ს.-ნახ. \***ჯახ**-არ- „ლანძილი“.

### ძახ-ილ-ი

ქართ. **ძახ-**, **ძახ-ილ-ი**, **ი-ძახ-ი-ს**, **მ-ე-ძახ-ი-ს**, **და-ი-ძახ-ა**, **სახ-ელ-ი**  
←\***ჯახ-ელ-ი**, შდრ. ძვ. ქართ. **ჯახ-** ← **ძახ-**, ზან.(ლაზ.) **ჯონ-**, **ჯონ-ო** „სა-  
ხელი“, **ჯონ-ონ-ი** „სახელოვანი“, ვ-ჟ-**ჯონ-ი** „ვუძახე“, მეგრ. **ჯონ-**, **ჟ-ჯონ-ო**  
„უქვია, ეძახის“, **ბ-ჯონ-ო** „მქვია“, **ჯონ-ო** „სახელი“, სვან. **უახ-** ←\***ჯახ-**,  
**უახ-ე** || **უახ-ე** „სახელი“, **მ-ა-უახ-ა** || **მ-ა-უახ-ა** „მქვია“; საერთოქართველურ  
არქეტიპად აღსადგენია \***ძახ-** ძირი, რომელსაც კვლევის ვრცელი ისტო-  
რია აქვს [ბროს. 1849: 76; ჭარ. 1912: 43; მარ. 1914: 90-91; ჩიქ. 1938:  
437-438; ჩიქ. 1942: 32].

ს.-ქართვ. \***ძახ-** „სახელი; ძახილი; რქმევა“

იჩქ. **ხაზ-** || **ხაძ-**, **ხაზ-ა** || **ხაზ-არ** (ხილდ. **ხაძ-არ**) „სმენა, გაგება“,  
ინგ. **ხაძ-** → || **ხაზ-**, **ხაძ-ა** || **ხაზ-არ** "id", ბაცბ. **ხაწ-** ←\***ხაძ-**, **ხაწ-არ** ||  
**ხაწ-ა** „სმენა; გაგება/შეგნება“, **ხაწ-დალარ** „გაგონება“; საერთონახურ არ-  
ქეტიპად აღსადგენია \***ხაძ-** წინარეფორმა, რომელიც შებრუნებული წყო-  
ბისაა ს.-ქართვ. \***ძახ-** პროტოტიპთან შედარებით. ვფიქრობთ, *ძახილი/სა-  
ხელი* ~ *გაგება/სმენა* საერთო რიგის სემანტიკებია, შდრ. აფხ. ა-**ხ<sup>ძ</sup>** „სახე-  
ლი“, ჰურიტ. **ხაჟ-** „გაგონება“.

ს.-ნახ. \***ხაძ-** „გაგონება, სმენა, შეგნება“.

### ძებ-ნ-ა

ქართ. **ძებ-** || **ძევ-**, **ე-ძებ-ს**, **ე-ძებ-ა**, **მე-ძებ-არ-ი**, **ნა-ძებ-არ-ი**,  
**ვ-ძებ-ნ-ი**, **ი-ძებ-ნ-ებ-ა**, შდრ. **ძევ-ნ-ა**, **ძი-ებ-ა** ← **ძივ-ებ-ა**, **ე-ძი-ა**, **მა-ძი-**  
**ებ-ელ-ი**, სვან. **ჟიბ-**, **ლი-ჟბ-ინ-ე** „მოცლა“, **ხჟ-ი-ჟბ-ინ-ე** „ვიცლი“, **ოხ-ჟებ**  
„მოვიცალე“, **ო-ხ-ჟებ-ნ-ე** „მოვიცლი“, **მა-ჟებ** „მოცლა“; ქართულ **ძებ-ნ-**  
ფუძეს ფონეტიკურად მარჯვედ უდგება სვანური **ჟებ-ნ-** ←\***ჯებ-ნ-** ალო-  
მორფი. სხვაობა უფრო სემანტიკის დონეზეა საგრძნობი, თუმცა ამ ქარ-  
თველურ ძირებს გამოყენების საერთო კონტექსტიც მოეპოვებათ, შდრ.  
ქართ. გამო-**ვ-ძებ-ნ-ი** შენთვის დროს = სვან. **ო-ხ-ჟებ-ნ-ე** „მოვიცლი“.

ს.-ქართვ. \***ძებ-**(**ნ-**) „ძებნა, მოძებნა, მეთვალყურეობა, ძიება“

იჩქ. **ძაე-რ** || **ძაე-ნ** „თვალის დევნება, გზირობა“, შდრ. ახ. **ზიჟ-**არ  
"id", ინგ. **ძაე-რ** || **ძაე-ნ** "id", ბაცბ. «**ძევ-**»; ბაცბურის ჩვენების პოსტუ-  
ლაცია ახიური დიალექტის არქაული მონაცემის მიხედვით ხერხდება. შე-



საძლებელია ანალოგიური მასალის მოხმობა სხვა ზმნათა მიხედვით — იჩქ. (ახ.) **ლივ**-არ : ბაცბ. **ლევ**-არ „თქმა“, იჩქ. (ახ.) **დიჟ**-არ : ბაცბ. **დჟევ**-არ „მოკვლა“... ამდენად, საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება \***ძევ**- არქეტიპი, რომელიც ზუსტი შესატყვისია ს.-ქართვ. \***ძებ**-(ნ-) ფუძისა, შდრ. ს.-ქართვ. **ბ** : ს.-ნახ. **ჟ** (§ 23.3).

ს.-ნახ. \***ძეჟ**- „თვალის დევნება, გზირობა, თვალთვალი“.

### ძეგვ-ი

ქართ. **ძეგჟ**-, **ძეგვი**- „ბუჩქი, ჩირგვი“, იმერ. **ძეგვი**-ე „ეკალი“, ზან. **ჭაგვი**-ი → || **ჭაგ**-ი „წვრილი ჩირგვი“, **ჭაგ**-ო „ბუჩქნარი“, სვან. **ჟაგ** || **ჟაგ**-პრ „წამალი“, ხ-ა-**ჟაგ**-ნ-ე || ხ-ა-**ჟგ**-ენ-ი „უწამლებს, მოარჩენს“, ა-**ჟგ**-ერ-ი „წამლავს“; სემანტიკურად ქართულ **ბალახსა** და სვანურ **მოწამელას** შორის ისეთივე მიმართებაა, რაც რუსულ **травა** „ბალახი“ და **травить** „მოწამლვა“ სიტყვებს შორის, შდრ. **отрав** „საწამლავი“ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 180; დან. 1984: 86].

ს.-ქართვ. \***ძეგჟ**- „ბალახი, ბუჩქი“

იჩქ. **ზუგალ** || **ძუგალ** „ყლორტი“, ინგ. **ძუგალ** "id", ბაცბ. **ძუგალ**; საერთონახური ფუძე-ენისთვის რეკონსტრუირდება \***ძუგ**-ალ ← \***ძიგჟ**-ალ არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***ძეგჟ**-ფორმას. ბუნებრივად გვეჩვენება სემანტიკური კორელაცია — ს.-ქართვ. **ბალახი/ბუჩქი** ~ ს.-ნახ. **ყლორტი**.

ს.-ნახ. \***ძუგ**-ალ ← \***ძიგჟ**-ალ „ყლორტი“.

### ძერ-ა

ქართ. **ძერ**-, **ძერა**-, ძვ. ქართ. **ძერ**-ი, **ძერ**-ქორ-ი „შევარდენი“, **ძენ**-**ძერ**-უკ-ი || **ძერ-ძერ**-უკ-ი, ზან. (ლაზ.) **ჯაჯ**-, მ-**ჯაჯ**-ი „ძერა“, მეგრ. **ჯაჯ**-ი, შდრ. გურ. (← მეგრ.) **ჯაჯ**-ა-ი „ძერა“, სვან. **ჟინ**-ა → || **ჟუინ**-ა „ძერა“. [იხ. როგ. 1947: 354; თანდ., ნარ. 1986: 109; ჩუხ. 2000-2003: 184-185].

ს.-ქართვ. \***ძერ**- „ძერა“

იჩქ. **ძარძარ** → || **ზარზარ** „ბულბული“, ინგ. **ძარძარ** „ტოროლა“, ბაცბ. **ძარძარ**; ნახურ ენებში ფუძე რედუბლიცირებული ჩანს, ისევე როგორც ქართული **ძერ-ძერ**-უკ-ი სიტყვა; სხვა მხრივ შესატყვისობათა კანონზომიერება დაცულია, შდრ. ს.-ქართვ. **ე** : ს.-ნახ. **ა** (§ 6.2).

ს.-ნახ. \***ძარ-ძარ**- „ტოროლა, ბულბული“.

### ძეძვ-ი

ქართ. **ძეძჟ**-, ძვ. ქართ. **ძეძჟ**-ი, ახ. ქართ. **ძეძვი**-, ზან. (ლაზ.) **დაძ**-ი || **დანძ**-ი || **ნდაძ**-ი ← \***ძაძჟ**-ი „კვრინჩხი“. სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [იხ. მარ. 1915: 834, კლიმ. 1998: 281].

ს.-ქართვ. \***ძეძჟ**- „ძეძვი, კვრინჩხი“

იჩქ. **ძევ** || **ზევ** || **ძეძ** „ფიჭვი“, ინგ. **ძეძ** || **ზევ** „ღვია, რბილწიწვ-

იანა“, ბაცბ. **ქედ**. შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე ს.-ქართვ. *ძევი* ~ ს.-ნახ. *ფიჭვი* სავსებით დასაშვები ჩანს.

ს.-ნახ. \***ქედ**- „ფიჭვი; ღვია“.

### ძვალ-ი

ქართ. **ძუალ-**, **ძვალ-ი** || მ-**ძვალ-ი**, ზან. (მეგრ.) **ჭიჭგ-** ←\***ჭიჭგ-**, ო-**ჭიჭგ-**ინ-ან-ს „ძვალმსხვილად გამოიყურება“, სვან. **ჭიჭუ-** „ძვალი“ [იხ. ჯან. 1906: 20; ჩიქ. 1940: 93-94, კლიმ. 1998: 291]. ქართულში ფუძე გამარტივებულია, რაც რედუქციის მომდევნო საფეხურზე ორი **ძ** ფონემის შეუთავსებლობით ანუ ფონოტაქტიკური შეზღუდვით აიხსნება: \***ძიძუალ-** → \***ძძუალ-** → **ძუალ-**.

ს.-ქართვ. \***ძიძუ-** „ძვალი“

ჩიქ. **ჭიჭ-**იგ → || **უიუ-**იგ „ხორცი“, ინგ. **უიუი** || **ჭიჭი** "id", ბაცბ. **ჭიჭი** „ხორცი, ჩიჩია“; ნახურ ენებში აშკარად გამოიყოფა **ჭიჭ-** ძირი *ხორცის* მნიშვნელობით, რასაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართ. \***ძიძუ-** „ძვალი“. ბუნებრივი ჩანს კორელაცია სემანტიკურ დონეზე ს.-ქართვ. *ძვალი* ~ ს.-ნახ. *ხორცი*, შდრ. ბგერათმესატყვისობა ს.-ქართვ. **ძ** : ს.-ნახ. **ჭ** (§ 30.1), ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ი** (§ 7.1).

ს.-ნახ. \***ჭიჭ-** „ხორცი“.

### ძვ-ელ-ი

ქართ. **ძუ-ელ-**, **ძვ-ელ-ი**, **ძვ-ელ-დ-ებ-ა**, მო-**ძვ-ელ-ებ-ურ-ი**, ძვ. ქართ. **ძუ-ელ-ი**, **ძუ-ელ-ის-ძუ-ელ-ი**, ნა-**ძუ-ელ-ი**, ზან.(მეგრ.) **ჯვ-ეშ-**ი „ძველი“, **ჯვ-ეშ-ეფ-ი** „წინაპრები“, დე-**ჯვ-ეშ-უ** „დაძველდა“, **ჯვ-ეშ-ებ-ურ-ი** || **ჯვ-ეშ-ობ-ურ-ი** „ძველებური“, **ჯვეშ-გ-ბოშ-ი** „ძველი ბიჭი“, ლაზ. **ჯვ-ეშ-ი** || **მჯვ-ეშ-ი** || **ნჯვ-ეშ-ი** „ძველი“, ო-**მჯვ-ენ-უ** „დაძველება“, დი-**მჯვ-ენ-უ** „დაძველდა“, სვან. **ჯუ-ინ-ელ** ←\***ჯუ-ელ-ინ** „ძველი“, **ჯუინ-ალდ** || **ჯუ-ინ-ელდ** „ძველად“, **ჯუ-ინ-ლ-არ** || **ჯუ-ინ-ლ-არ** || **ჯუ-ინ-ელ-არ** „წინაპრები, ძველები“, ლი-**ჯუ-ინ-ალ-ე** || ლი-**ჯუ-ინ-ალ-ე** „დაძველება“ [უორდ. 1911: 592; ჩიქ. 1938: 436; კლიმ. 1998: 286].

ს.-ქართვ. \***ძუ-ელ-** „ძველი“, \***ძუ-ილ-** „დაძველება“

ჩიქ. **შ-**, **შ-ირ-ა** (ჰებ. **შ-ირ-ინ**) „ძველი“, **თი-შ-ა** (ჰებ. **თი-შ-ინ**) „ძველი“, **შ-ირ-დან** „დაძველება“, ინგ. **შ-**, **შ-ირ-ა** "id", **თი-შ-ა** || **თი-უ-ა** "id", **შ-ირ-დე** "id", ბაცბ. **შ-**, **თი-შ-ინ** „ძველი, ძველებური“, **თი-შ-მი-შ-ინ** „ძველმანი“, **შ-ირ-ინ** „ძველი“; საერთონახურ ძირად \***უ-** ←\***ჯ-** გამოიყოფა, რომლის \***უ-ირ-** ←\***ჯუ-ირ-** დერივატთან ახლოსა დგას ს.-ქართვ. \***ძუ-ელ-** პროტოტიპი, შდრ. ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **რ** (§ 13.3). სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა ადვილი დასანახია.

ს.-ნახ. \***უ-** „დაძველება“, \***უ-ირ-ინ** „ძველი“, შდრ. \***დი-უ-ინ** || \***მი-უ-ინ** "id".

## ძვ-ინ-ი

ქართ. ძივ-, მ-ძივ-ი, ძვ-ინ-ი „შანთი“, ზან. ძი-ა- ←\*ჯივ-ა „მძივი“, სვან. ჯაბ || ჯუაბ ←\*ჯაბ-ტ „ბეჭედი, დამლა“; ქართველურ ენებს შორის მნიშვნელობის ღონეზე ფიქსირებული სხვაობა ბეჭედი/დამლა ~ მძივი ადვილად აიხსნება, თუ დავუშვებთ, რომ დამლა საქონელზე დაკიდებული განმასხვავებელი ნიშნის მოვალეობას ასრულებს, ფაქტობრივ იმასვე, რასაც მძივი [ჩუხ. 2000-2003: 412].

ს.-ქართვ. \*ძიუ-ინ- „მძივი; ნიშანი, დამლა“

იჩქ. ზჳე || ძჳე (მრ. რ. ძჳენ-აშ) „ჯაჭვი“, ინგ. ძჳე (ერგ. ბრ. ძჳან-არ-უო) "id", ბაცბ. Ⴑძჳან-; საერთონახური ენობრივი ერთობისთვის რეკონსტრუირდება \*ძჳ-ან- არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერი შესატყვისი მოეპოვება ს.-ქართვ. \*ძიჳ-ინ- ალომორფის სახით, შდრ. ბგერათ-შესატყვისობა ს.-ქართვ. ჳ : ს.-ნახ. ჳ (§ 20.2). სემანტიკური კორელაცია მძივი ~ ჯაჭვი ბუნებრივად გვეჩვენება.

ს.-ნახ. \*ძჳ-ან- „ჯაჭვი“.

## ძიგურ-ა-ფ

ქართ. ძიგურ-, გურ., იმერ. ძიგურ-ა-ფ „ეკალი, ეკალა“, შდრ. იმერ. ძიგვე „ეკალი“, ზან. (მეგრ.) ძიგირ-ი || ძიგერ-ი ←\*ძიგურ-ი „ეკალი“, სვან. ძგგერ || ძიგირ ←\*ძიგურ „ძეძვი“.

ს.-ქართვ. \*ძიგ-ურ- ←\*ძიგჳ-ერ-, შდრ. ძიგჳ-ე „ეკალი“

 რაკ-, ჭირაკ-უ-ა „გრება, დანაოჭება“, ი-ჭირაკ-უ(ნ) „იკლაკნება, იგრინე-  
 ბა“; სვანური შესატყვისი გვაკლია [იხ. ჩუხ. 2000-2003: 365]. ზანური გა-  
 ხმოვანება საერთოქართველური მდგომარეობისთვისაც სრულხმოვნობას  
 გულისხმობს.

ს.-ქართვ. \*წირეკ- „კლაკნა, გრება“  
 იჩქ. ჭაგრეკ-<sup>ა</sup> „დაღვლარჭნული, მიხვეულ-მოხვეული“, ინგ. ჭარგ-<sup>ა</sup>  
 "id", ბაცბ. ჭარკ-<sup>ა</sup> „ზიგზაგი“, ჭარკ-<sup>ა</sup> დახომ „ზიგზაგის კეთებით“; ბაც-  
 ბურის ვითარება უახლოვდება საერთონახურისას, სადაც სავარაუდოა  
 \*ჭარკ-, \*ჭარკ-ონ სახეობები. ორივე ჯგუფის ენებში ფუძე სიმბოლიკური  
 (ბგერწერითი) აგებულებისაა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ბგერათშესა-  
 ტყვისობათა ჩვენება დარღვეული არ არის, შდრ. ს.-ქართვ. წ : ს.-ნახ. ჭ  
 (§ 30.3), ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა (§ 7.3).  
 ს.-ნახ. \*ჭარკ- „ღვლარჭნა“, \*ჭარკ-ონ „ღვლარჭნილი, ზიგზაგი“.

### წრ-ეტ-ა

ქართ. წრ-ედ-ა, და-წრ-იდ-ა, შე-წრ-დ-ი-ს, ახ. ქართ. წრ-ეტ-ა, წრ-  
 იტ-ა, ზან. (მეგრ.) წგრ-იდ-/წირ-ად-უ-ა „დნობა, წრეტა“, წგრ-დ-უ(ნ)  
 „დნება“, წირ-ად-ილ-ი „დამდნარი“, ლაზ. წროდ- || წორ-დ-, წორ-დ-უ-ნ  
 „იწვეთება“, წრო-დ-უმ-ს || წორ-დ-უმ-ს „წვეთავს; იწრიტება“; ქართველურ  
 ენებში ზმნურ სუფიქსებად გამოიყოფა: -ედ/-იდ, -ად/-იდ სეგმენტები.  
 ამიტომაც საერთოქართველურ ძირად აღვადგენთ \*წარ- ფუძეს [იხ. თოფ.  
 1930: 302; ჩიქ. 1938: 402].

ს.-ქართვ. \*წარ- „დნობა, წრეტა“  
 იჩქ. წერ-, წერ-კაგ-<sup>ა</sup> → || წე-კაგ-ა „დნობა“, ინგ. წერ-, წერ-  
 კაგ-<sup>ა</sup> "id", ბაცბ. წერ-; ბაცბურში შესაბამისი ზმნა დაკარგული ჩანს.  
 საერთონახური \*წერ- ძირის შესატყვისი უნდა გვქონდეს საერთოქართვე-  
 ლურ \*წარ- ზმნაში. სემანტიკურ იგივეობას მხარს უჭერს ბგერათშესა-  
 ტყვისობათა ჩვენება, შდრ. ს.-ქართვ. ა : ს.-ნახ. ე (§ 5.3).  
 ს.-ნახ. \*წერ- „დნობა“.

### წრთ-ობ-ა

ქართ. **წუართ-წურთ-წრთ-**, **წვრთ-ნ-ი-ს**, **მ-წვრთ-ნ-ელ-ი**, **წრთ-ობ-ა** „დნობა, ცეცხლში გატარება, წვალეობა“, ძვ. ქართ. **წუართ-ა** „დასჯა, წვრთნა“, **გ-წუართ-ე**, **წუართ-ი-ს**, ზან. (მეგრ.) **ჭორთ-**, **ჭორთ-უნ-ს** „სცემს ძლიერად, დასჯის“, ნა-**ჭორთ-ა** || **ჭორთ-ილ-ი** „ნაგვები, დასჯილი“; სხვა ქართველურ დიალექტებში შესაბამისი ფუძეები ვერ გამოვავლინეთ. საერთოქართველური ენობრივი ერთობის პერიოდისათვის აღსადგენია \***წუართ-** არქეტიპი *დნობის, წრთობა/გვემის მნიშვნელობით — წვრთნა = ოფლის ღვრა*.

ს.-ქართვ. \***წუართ-** „წრთობა, გვემა/წვალეობა, ოფლის ღვრა“

იჩქ. **თიფუ-**, **თიფუ-ა<sup>5</sup>** || **თიფუ-არ** „დატირება მკვდრის, ტირილი/გოდება“, „ცრემლის ღვრა“, **თიფუ-ყო** „ატირება“, ინგ. **თიფუ-არ** „მიცვალებულის დატირება“, ბაცბ. **თიბჭ-<sup>7</sup>**; საერთონახურში უნდა გვექონოდა \***თიჭუ-** სახეობის არქეფორმა (შდრ. ხუნძ. **რეწა-** „ტირილი; ღვრა/სხმა“), რომელიც შებრუნებული წყობისაა ს.-ქართვ. \***წუართ-** წინარეფორმასთან შედარებით. ს.-ქართვ. **წ** : ს.-ნახ. **ჭ** (§ 30.3), ს.-ქართვ. **ა** : ს.-ნახ. **ო** (§ 5.2) რეგულარულ-კანონზომიერი მიმართებაა. ფორმალურ ერთიანობას ზურგს უმაგრებს სემანტიკური სიახლოვეც: ს.-ქართვ. *გვემა/წვალეობა/ოფლის ღვრა* ~ ს.-ნახ. *გოდება/ტირილი/ცრემლის ღვრა*.

ს.-ნახ. \***თიჭუ-** „გოდება, ტირილი, ცრემლის ღვრა“.

### წრიფ-ი

ქართ. **წრიფ-** || **წრფ-**, **წრფ-ელ-ი**, იმერ. **წრიფ-ი** „გამხდარი; ფიზიკურად სუსტი“, ზან. (მეგრ.) **ჭიფ-ე** „წვრილი“, ა-**ჭიფ-არ-ენ-ს** „აწვრილებს“, ლაზ. **ჭიფ-ე** "id", შდრ. მ-**ჭიფ-ა** „წმინდა“; საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღსადგენია \***წრიფ-** არქეტიპი, რომელსაც ახასიათებდა როგორც სიწვრილის, ისე სისწორის, სიწრფელის სემანტიკები [იხ. ჩიქ. 1938: 231; ფენ.-სარჯ. 2000: 672; ჩუხ. 2000-2003: 365].

ს.-ქართვ. \***წრიფ-** „წვრილი; სწორი, წრფელი“

იჩქ. **ჭაფ-**, **ჭაფ-ა<sup>5</sup>**, **ჭაფ-ან-იგ** „ბრტყელი“, **ჭაფ-დან<sup>5</sup>** „გაბრტყელება“, ინგ. **ჭაფ-**, **ჭაფ-დე** „გაბრტყელება“, ბაცბ. **ჭაფ-<sup>7</sup>**; ბაცბური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი. საერთონახური \***ჭაფ-** ძირი მარჯვედ უდგება საერთოქართველურ \***წრიფ-** არქეტიპს როგორც ფონეტიკურად (შდრ. ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** § 7.3), ისე სემანტიკურად: *სწორი* ~ *ბრტყელი*.

ს.-ნახ. \***ჭაფ-** „ბრტყელი, გაბრტყელება“.

### წუკ-ალ-ა

ქართ. **წუკ-**, **წუკ-ალ-ა** „სპილენძის პატარა ქვაბი“; ზან. (ლაზ. **ჭუკ-**, **ჭუკ-ი** „პატარა ქვაბი“, **ჭურკ-ა** || **ჭუკ-ან-ი** || **ჭუკ-ალ-ი** „მოდილო ქვაბი“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. მეგრულ-ჭანური **წუკალ-**ი ფორმა შეთვისებულია ქართულიდან [იხ. ჩიქ. 1938: 168-169]. საერთოქართველურ არქეტიპად აღსადგენია \***წუკ-** ძირი.

ს.-ქართვ. \*წუკ- „მომცრო ზომის ქვაბი“

იჩქ. (ჭებ.) ჭუკ „ერთგვარი სასმისი“; „ქილა“, ინგ. ჭუგ ←\*ჭუკ "id", ბაცბ. ჭუკ „ყანწი“, ჭაკ-ბი ახკარ „კოტოშების მოკიდება“, "ставить банки"; საერთონახური ენობრივი ერთობისთვის აღსადგენია \*ჭუკ- არქეტიპი. ს.-ქართვ. \*წუკ- „მომცრო ზომის ქვაბი“ : ს.-ნახ. \*ჭუკ- „ყანწი/კოტოშა; ქილა“ კანონზომიერი სემანტიკურ-სტრუქტურული შესატყვისობა ჩანს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. წ : ს.-ნახ. ჭ (§ 30.3).

ს.-ნახ. \*ჭუკ- „ყანწი/კოტოშა; ქილა“, "банка".

### წუკ-ლაკ-ა

ქართ. წუკ-, მოხ. წუკ-ან-ია-ფ „ბატარა“, ქიზ. წუკ-ლაკა „უხვირო ძაღლი“, შდრ. ქიზ. წუკ-ია „უჯიშო“, ფშ. წუკ-ი „ცული“, ზან. (მეგრ.)

ჭუკ-, ჭუკ-ი „თაგვი“, ჭუკ-ია „ბატარა“; საერთოქართველური \*წუკ- არქეტიპისთვის ძირითადი შინაარსი პატარასი უნდა ყოფილიყო. აქედანაა მეგრულში თაგვი სემანტემატ განვითარებული [იხ. ფენ.-სარჯ. 2000: 341].

ს.-ქართვ. \*წუკ- „ბატარა; ბატარა ძაღლი, თაგვი“

იჩქ. კაწუა (ქისტ. კეძ, ჭებ. კახე) „ლეკვი“, ინგ. კაზნ || კაზნ "id", ბაცბ. კაწე „ლეკვი“; ბაცბურის ვითარება ახლოსაა საერთონახურთან, რომელიც \*კუაწე-სახეობისა უნდა ყოფილიყო. დაღესტნური მონაცემები ძირეული თანხმონის ისტორიულ ლაბიალიზაციაზე მიუთითებენ: ლეზგ.

კურწულ, არჩ. კონწოლ „ლეკვი“... ს.-ქართვ. \*წუკ- შებრუნებული წყობისაა ს.-ნახ. \*კუაწე-ე ალომორფთან შედარებით ისევე, როგორც რუთ. წიკ, ვთქვათ, უდ. ქიციი „ლეკვი“ ფორმასთან მიმართებაში.

ს.-ნახ. \*კუაწე-ე „ლეკვი“.

### წულ-ი

ქართ. წულ-, წულ-ი „ვაჟი; შვილი“, ქალ-წულ-ი, ზან. (ლაზ.) ჭოლ-ო „ჭყინტი“, მეგრ. ჭოლ-ა „ჯეელი“, შდრ. ანთროპ. ჭოლ-ა, სვან. ჭუშ || ჭუშე || ჭუშიშ „ვაჟიშვილი“, ნა-ჭულ-აშ „საწულისი“; საერთოქართველურ არქეტიპად აღვადგენთ \*წულ- ფორმას [შდრ. კლიმ. 1964: 252, ფენ.-სარჯ. 2000: 674]. წულ-/ჭუშ/ჭულ მიმართება ცნობილია [როგ. 1951: 636; სარჯ. 1969: 127]. ჩვენ აქვე შემოგვაქვს ზანური ჭოლ- ფუძეც.

ს.-ქართვ. \*წულ- „მცირე ასაკის „უმწიფარი“ ბავშვი/ვაჟიშვილი“.

იჩქ. წუოდარ „მცირე ასაკის, უმწიფარი ბავშვი“, ინგ. წუოდარ "id", ბაცბ. წოდარ; საერთონახურში რეკონსტრუირდება \*წოდ-არ არქეტიპი, რომელიც ს.-ქართვ. \*წულ- ძირის შესატყვისია, შდრ. ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. ი (§ 9.2), ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. დ (§ 13.7).

ს.-ნახ. \*წოდ-არ „მცირე ასაკის უმწიფარი ბავშვი“.

## წუმ-ი

ქართ. წუმ- „ყურე“, ხევს. ყურ-წუმ-ი „ყურე“, გურ. წუმ-ი „მტევანი (ყურძნისა)“, სვან. ჭუმე → || ჭემ (მრ. რ. ჭომ-არ) „სახელური, ყური, ტარი“. ზანურში შესაბამისი ფუძეები ვერ გამოვავლინეთ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 388].

ს.-ქართვ. \*წუმ- „სახელური, ტარი; მტევანი“

იჩქ. ჭუ ←\*ჭუჲ „მაქო“, ინგ. ჭუჲ "id", ბაცბ. ჭუჲ ←\*ჭუჲ "id"; საერთონახურ ფუძე-ენაში \*ჭუჲ- არქეტიპი აღდგება, რომელიც კანონ-ზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*წუმ- ძირს, შდრ. ბგერათშესატყვი-სობა ს.-ქართვ. წ : ს.-ნახ. ჭ (§ 30.3), ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ უ (§ 9.1), ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. უ (§ 15.5). გასარკვევია მნიშვნელობის ევოლუცია ქართველურ დიალექტებში.

ს.-ნახ. \*ჭუჲ- „მაქო“.

## წურ-ბელ-ი

ქართ. წურ- „სისხლი“ სიტყვაში წურ-ბელ-ა/ი, სვან. წორ „სისხლის საფასური, სისხლის აღება“, ლუ-წორ „მოსისხლე“, წორ-ობ „მედიატორობა მკვლელობის საქმეზე“; წურ-ბელ-ა რთული შედგენილობის სიტყვა უნდა იყოს. მისი წურ- სემანტი სისხლს აღნიშნავდა ისტორიულად; ეს უკანასკნელი მხოლოდ წურ-ბელ-ა-ში შემოგვრჩა. რაც შეეხება ბელ-ა ელემენტს (წურ-ბელ-ა), იგი იშვიათი გამოყენების სუფიქსი ჩანს და გამოიყოფა შემდეგ კომპოზიტებში: ყურ-ბელ-ა „მწერის სახელია, ადამიანს ყურში უძვრება“, შიში-ბელ-ა „მშიშარა“. ამრიგად, წურ-ბელ-ა უდრის მსისხლოვანას, სისხლის თანმდევს.

ს.-ქართვ. \*წურ- „სისხლი; სისხლის აღება“

იჩქ. ჭირ- „ვენდეტა“, ჭირ დეჟან „სისხლის აღება, შურის ძიება“, ჭირ ვაბან „გლოვა, ტრაური“, ინგ. ჭირ- "id", ჭირ-ხუო „შურისმაძიებელი“, ჭირ ლელუო „ვენდეტას მიმდევრობა“, ბაცბ. წირ-<sup>1</sup>. საერთონახური ენობრივი ერთობისათვის აღდგება \*ჭირ- არქეტიპი, რომელიც კანონ-ზომიერი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისი ჩანს საერთოქართველური \*წურ- ძირისა. ბგერათშეფარდება ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. ი გულისხმობს ჭ თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში ისტორიული უ სონანტის გაუჩინარებას ფუძენახურში.

ს.-ნახ. \*ჭირ- ←\*ჭირ- „ვენდეტა“.

## წურ-წურ-ი

ქართ. წურ-, წურ-წურ-ი „სითხე“, მო-წურ-წურ-ებ-ს (ოფლი, სისხლი), წურ-წურ-ით სდის, ზან. (მეგრ.) ჭურ-ჭულ-ი „წურ-წური“, მ-ა-ჭურ-ჭულ-უ(ნ) „წურწურით ჩამოსდის სითხე (ოფლი, ცრემლი, სისხლი...)“, სვან. წურ- ←\*ჭურ-, ხ-ო-წურ-ე „უდენს/ადენს (ოფლს, ცრემლს...)“, მე-წურ-ე „თხევადი“; საერთოქართველური ენობრივი ერთო-

ბისათვის რეკონსტრუირდება \*წურ- არქეტიპი [ფენ.-სარჯ. 1990: 452; ჩუხ. 2000-2003: 369].

ს.-ქართვ. \*წურ- „სითხე; თხევა“

იჩქ. წუნ- (ითუმყ. წუნა) „ნაკელწყალი“, ინგ. წუნ- "id", ბაცბ.

წურ- ←\*წურნ „ფურის/ძროხის შარდი“; საყურადღებოა რ || ნ სუბსტი-  
ტუცია ნახურში, რასაც რ → ნ გადაბგერება (resp. ნაზალიზაცია) ამო-  
წმებს, შდრ. ბგერათმესატყვისობა ს.-ქართვ. რ : ს.-ნახ. ნ (§ 14.3). სი-  
თხის შინაარსი ძირითადია ორივე ჯგუფის ენებისათვის.

ს.-ნახ. \*წურ-ი „ნაკელწყალი; შარდი“.

### წურქჷ-

ქართ. წურქჷ-, ზან. (მეგრ.) წგრქვ-, წგრქვ-ალ-ი „ბასრად ამო-  
წეული, ციცაბო“, სვან. ჭურქჷ „მწვერვალი“. ზანურში მომხდარა მეორეუ-  
ლი ჭ → წ გასისინების პროცესი, რაც სხვაგანაც დასტურდება [იხ. ჩუხ.  
2000-2003: 27-30]: ჭურქვ-ალ-ი → წგრქვ-ალ-ი || წირქვ-ალ-ი; ქართული  
ეკვივალენტის რაგვარობაზე მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეგვიძლია ვისა-  
უბროთ, შდრ. ტობ.: წურქოლ-ი, წირქოლ-ი (სამაჩაბლო).

ს.-ქართვ. \*წურქჷ- „მწვერვალი (ბასრი)“

იჩქ. წურქუო „ზედა ბასრბოლოიანი წათლილი ქვა (რაც ამთავ-  
რებს ვაინახური კოშკის სახურავს)“, ინგ. წურქუო "id", ბაცბ. წურქრ̃.  
ნახურ ენათა ო დაბოლოება ისტორიულად წინამავალი თანხმონის (resp. ქ)  
ლაბიალიზაციის სრულ ვოკალიზაციაზე მიგვითითებს, იხ. აქვე, § 22.1.

ს.-ნახ. \*წურქო- „ზედა ბასრბოლოიანი წათლილი ქვა“.

### წუწკ-ნ-ა

ქართ. წუწკ-, წუწკნ-ი-ს „ბაგით ამოწოვნა“ (საბა), წუწკ-ი „ბა-  
გე“, სვან. უიშკჷ || უიშკ || უშკჷ „პირი, სახე“; ზანური შესატყვისები  
დაკარგულია. სვანური უიშკ კანონზომიერად ასახავს ს.-ქართვ. \*წუწკ-  
არქეტიპს, შდრ. ს.-ქართვ. წ → სვან. ჭ → ჰ → Ø (ვ. თოფურია), ს.-ქართვ.  
წკ → სვან. ჭკ → || შკ.

ს.-ქართვ. \*წუწკ- „პირი, ბაგე“

იჩქ. ჭუოჷ || ჭაჷ || ჭუოჷ ←\*ჭოჷ „პირი, ხეობა“, ინგ. ჭოჷ || ჭოჩი  
←\*ჭოჷ "id", ბაცბ. ჭოჷ „პირი, ხახა“; საერთონახური ენობრივი ერთია-  
ნობისთვის აღსადგენია \*ჭოჷ- არქეტიპი, არაანლაუტური ჭ → ჯ || შ ვა-  
ინახურ ენებში ბუნებრივია. ს.-ქართვ. \*წუწკ : ს.-ნახ. \*ჭოჷ- გამოავ-  
ლენს რეგულარულ-კანონზომიერ ბგერათმესატყვისობებს ს.-ქართვ. წ :  
ს.-ნახ. ჭ (§ 30.3), ს.-ქართვ. უ : ს.-ნახ. ო (§ 9.2).

ს.-ნახ. \*ჭოჷ- „პირი, სახე, ხახა“.

## წყავ-ი

ქართ. წყავ-, წყავ-ი, მ-წყავ-ი „ბალს ჰგავს“ (საბა), ზან. (ლაზ.) მ-წყოლ- || მ-წყო- „წყავი“, მ-წყოლ-ეფ-უნ-ა „წყავნარი“, მეგრ. წყილ-ი → || წყი || წყე-ი „წყავი“, სვან. წყეუ || წყაუ „წყავი; ძალღყურძენა“, წყაუ-აშ (ტობ.), შდრ. მეგრ. წყოლ-ში-ი (ტობ.); ანლაუტური მ ლაზურსა და ქართულში (საბა) მეორეული ჩანს. საერთოქართველური არქეტიპის მნიშვნელობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია წყავი ~ ძალღყურძენა სემანტიკური მონაცვლეობა სვანურში.

ს.-ქართვ. \*წყაუ- „წყავი; ძალღყურძენა“

იჩქ. წყარ-, წყარ-გ (ქებ. წყარ-აგ) „ველური ხახვი“, ინგ. წყარ-გ "id", ბაცბ. წყარ-?; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის აღვადგენთ \*წყარ- არქეტიპს. ს.-ქართვ. \*წყაუ- : ს.-ნახ. \*წყარ- კანონზომიერი შესატყვისობაა, შდრ. წყ : წყ (§ 44), უ : რ (§ 20.5).

ს.-ნახ. \*წყარ- „ველური ხახვი“.

## წყებ-ა

ქართ. წყ-, და-წყ-ებ-ა, ი-წყ-ებ-ს, და-ი-წყ-ო, ლეჩხ. გა-წყ-ებ-ა, ზან. (მეგრ.) ჰყ-აფ-ა „დაწყება“, ი-ჰყ-ან-ს „იწყებს“, ქო-დ-ბ-ჰყ-ი „დავიწყე“, გო-ჰყ-აფ-ა „გაჩენა; პირველად დაწყება“, შდრ. ლეჩხ. გა-წყ-ებ-ა, ლაზ. გე-ჰკ-აფ-უ „დაწყება“, გე-ჰკ-იმ-უ "id", გე-ბ-ო-ჰკ-აფ „დავიწყებ“, გდ-ო-ჰკ-ი „დაიწყე“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი [ჩიქ. 1938: 411; კლიმ. 1998: 319; ფენ-სარჯ. 2000: 674]. ლაზურში ჰყ → ჰკ დეფარინგალიზაციის პროცესი აიხსნება ყ ბგერის დისტრიბუციის შეზღუდვით ყველა პოზიციაში [იხ. ჩიქ. 1936: 17].

ს.-ქართვ. \*წყ- „დაწყება; თავდაპირველად გაჩენა“

იჩქ. წყა „ერთხელ, ერთგზის“, წყა ჰაალხა „თავიდან, დასაწყისში“, ინგ. წყან "id", წყან ჰაალხან "id", ბაცბ. წყე „ერთხელ, ერთგერ“, წყე-ც ტყოყ „ხანდახან“; საერთონახურში აღსადგენია \*წყ-ე ზმნისართი, რომელსაც ერთხელ, თავიდან, დასაწყისში მნიშვნელობები ახასიათებდა, რითაც უახლოვდება ს.-ქართვ. \*წყ- არქეტიპს.

ს.-ნახ. \*წყ-ე „ერთხელ; თავიდან, დასაწყისში“.

## წყენ-ა

ქართ. წყენ-/წყინ-, ა-წყენ-ს, ა-წყინ-ა, „მოიწამლა“, ა-წყენ-ინ-ებ-ს, წყენ-ა; ზან. (მეგრ.) ჰყან-ა „ძალა; არაქათი“, ჰყან-იერ-ი „ძლიერი“, ლაზ. ჰკინ- ← \*ჰყინ-, დი-ჰკინ-დ-ინ-უ „დაიღალა“; სვან. ჰყ-არ-, ლი-ჰყ-არ „ავად გახდომა“, ხ-ა-ჰყ-რ-ენ-ი (ა-ხ-ჰყ-არ) || ხ-ა-ჰყ-არ-ნ-ე „ავად ხდება“; სვანური, ისევე როგორც მეგრული, ქართულის ე (წყენ-) განმოვანებას მიჰყვება, ხოლო ლაზურში ი ფუძის განმოვანება ერთადერთია — წყინ- : ჰკინ- [ჩუხ. 2000-2003: 389].

ს.-ქართვ. \***წყენ-** „წყენა; არაქათის გამოცლა; ძალა“  
 იჩქ. **ჭოდ-ა**<sup>5</sup> || **ჭუოდ-ა**<sup>5</sup> (ჭებ. **ჭად-ონ**) „ძლიერი“, „მაგრად“, ინგ.  
**ჭოდ-ა** ← **ჭად-ონ** „მაგარი; ძლიერი“, **ჭად-დჲ** „გამაგრება“, ბაცბ. **ჭად-**,  
**ჭად-ონ** „მაგარი, ძლიერი“, **ჭად-ომ** „მაგრად“, **ჭად-ნა** „სიმაგრე“; წინარე-  
 ნახურ არქეტიპად აღსადგენია \***ჭაყ-**, შდრ. დარგ. **წყ-ლი**, ხუნდ. **წყ-აბ**  
 „ძლიერი“. ს.-ქართვ. \***წყენ-** : ს.-ნახ. \***ჭად-** კანონზომიერი სემანტიკურ-  
 ფონეტიკური მიმართებაა.

ს.-ნახ. \***ჭად-** „ძალა/სიმაგრე“; „გაძლიერება/გამაგრება“.

### „წყენ-ი“

ქართ. **წყენ-**, „წყენ-ი“, ზან. (ჭან.) **ჭყან-ი** „ხორცის ნახარში ქონი“,  
 მეგრ. „**ჭყან-ი**“, შდრ. გურ. (← მეგრ.) **ჭყან-ი** „ხორცის ნახარში, ქონიანი  
 წყალი“, სვან. **ჭყან** „ქონი, ცხიმი (გადამდნარი)“; უმლაუტიანი **ა** სვანურ-  
 ში ისტორიული **ე**-ს ბგერინაცვალაია, ამიტომაც ქართულისთვის დასაშვებ-  
 ბი ჩანს **წყენ-ი** ფუძის არსებობა, რომელიც საერთოქართველური \***წყენ-**  
 არქეტიპისაგან მომდინარეობს.

ს.-ქართვ. \***წყენ-** „ქონი, ცხიმი (გადამდნარი)“

იჩქ. **ჭარა** (ითუმყ. **ჭყარა**, ქისტ. **ჭყარ**) „თევზი“, ინგ. **ჭყარა** "id",  
 ბაცბ. **ჭარე** || **ჭარ** || **ჭყარე** „თევზი“; საერთონახური ფუძე-ენისთვის რე-  
 კონსტრუირდება \***ჭყარ-**ე არქეტიპი, რომლის **ჭყ** კომპლექსი იჩქერიული  
 ენის დიალექტებში მარტივდება, შდრ. **ჭ** || **ჭჟ** ალტერნაცია ბაცბურში.  
**ცხიმი** ~ **თევზი** სემანტიკური მიმართება ბუნებრივია, რასაც ქართველურ-  
 რი მასალაც უჭერს მხარს — ქართ. **ცხიმ-ი** „ცხიმი“ : ზან. **ჩხომ-ი** „თევ-  
 ზი“, მაგრამ მეგრ. **ჩხომ-ჭაბუ** „ცხიმ-წებო“.

ს.-ნახ. \***ჭყარ-**ე „თევზი“.

### წყვა/მ-წყვ-არ-ი

ქართ. **წყვ-**, გა-**წყვ-ა** „მოსპო“, გა-მ-**წყვ-არ-ი** „მომსპარი“, ზან.  
 (მეგრ.) **წყვ-**, დო-ბ-**წყვ-ი** „დავაქციე, მოვსპე, გავანადგურე“, **წყვ-ი**-რი  
 „დაქცეული, დანგრეული“ ვა-მ-ა-**წყვ-ე** „ვერ მოვსპობ, დავაქციე“, სვან.  
**წყვჷ-**, ლი-**წყვჷ-**ე „განადგურება; მოსპობა“, ხ-ა-**წყვჷ-**ე „სპობს“, ლა-ხ-ა-**წყვჷ**  
**წყვჷ** „მოსპო“; ქართველურ ფუძეთა საერთო წარმომავლობა ეჭვს არ  
 იწვევს [ფენ.სარჯ. 1990: 455-456]. სავარაუდოა ქართულისთვის ანლაუ-  
 ტური **მ**-ს დისიმილაციური დაკარგვა ძირის ლაბიალიზაციის ზეგავლენით —  
**მწყვ-** → **წყვ-**. ამრიგად, საერთოქართველურისთვის აღსადგენია \***მწყვჷ-**  
 არქეტიპი, რომელმაც მეგრულ-სვანურში ასიმილაციით **წყვჷ-** მოგვცა.

ს.-ქართვ. \***მწყვჷ-** „მოსპობა, დაქცევა, განადგურება“

იჩქ. **ნიწყ-** „ძალა, შეძლება“, „ძალადობა, ჩაგვრა“, **ნიწყ-ან** „ძლიერ-  
 რი; მოძალადე“, **ნიწყ-ბიძრიგ** „მჩაგვრელი“, **ნიწყ-ბან** „ძალადობა“, ინგ.  
**ნიძ** || ← **ნიწყ** "id", **ნიწყ-ა** „ძლიერი, ძალოვანი“, **ნიწყ-ბჲ** „ძალადობა,



ძალმომრეობა“, ბაცბ. **ნიწყ** "id", **ნიწყ**-ბარ „ძალის ხმარება; ძალადობა“, **ნიწყ**-ლ-ი<sup>ნ</sup> „ძალოვანი“; საერთონახური **\*ნიწყ**- კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. **\*მწყყ**- არქეტიპს (შდრ. ს.-ქართვ. **მ** : ს.-ნახ. **ნ** § 15.3). *ძალის/სიძლიერის* გაგება ქართველურ დიალექტებშიც საგრძნობია, შდრ. მეგრ. მა-**ნიწყუ**-ალ-ი „ძლიერი“: ქიანაშ *მანწყუალი* მათგ ვავორექ „მთლად ძლიერი მეც არა ვარ“.

ს.-ნახ. **\*ნიწყ**- „ძალა; შეძლება; ძალმომრეობა“.

### წყლტ-უ

ქართ. **წყილტ**-უ- || **წყრტ**-უ- || **წყირტ**-უ-, თუშ. მ-**წყირტ**-უ-დ „ტიტველი, შიშველი, უთმო“, ძვ. ქართ. **წყლტ**-უ-დ || **წყრტ**-უ-დ „უთმო, მოშიშვლებული, ტიტველი“, **წყლტ**-უ-კლდეობა-დ „სიპი/შიშველი კლდე“, **წყლტ**-უ-ობ-ა-დ „უთმოობა; მოშიშვლება“, ზან. (მეგრ.) **ჰყინტ**-უ „ჰყინტი, უმწიფარი“, შდრ. ქართ. (← ზან.) **ჰყინტ**-ი, სვან. **ჰყინტ** „ბიჭი“, **ჰყიტ**-რა ← **\*ჰყინტ**-რა „ბიჭო“; საერთოქართველური ენობრივი მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება **\*წყილტ**-უ- არქეტიპი, რომლის ძირითადი მნიშვნელობა იყო *ტიტველის უთმო უწვერ-ულვაშო*, საიდანაც ზანურში განვითარდა *ჰყინტი უმწიფარი*, ხოლო სვანურში — *ბიჭი*.

ს.-ქართვ. **\*წყილტ**-უ- „უთმო, ტიტველი, უწვერ-ულვაშო“

იჩქ. **დერზ**-ან-ა || **დერძ**-ან-ა || **დარზ**-ან-ა „შიშველი, ტიტველი“, ინგ. **დერზ**-ან-ა || **დერძ**-ან-ა "id", ბაცბ. **დარწ**-ინ-რ "id"; საერთონახური **\*დარწ**-ინ-ო შებრუნებული წყობისაა ს.-ქართვ. **\*წყილტ**-უ- არქეტიპთან შედარებით. გარდა ამისა, საერთონახურში მოშლილია **წ**-ს ფარინგალიზაცია, რაც დადესტურ ენებში დღემდე შემოგვრჩა, შდრ. ჰამ. **-ჰაყულ**-და, ხუნდ. **მიწა**-აშ, დარგ. **ჰანკუ**-სი „შიშველი, ტიტველი“.

ს.-ნახ. **\*დარწ**-ინ-ო ← **\*დარწყ**-ინ-ო „შიშველი, ტიტველი“.

### წყნ-ეთ-ი

ქართ. **წყონ**-, **წყნ**-ეთ-ი (ტობ.), **წყნ**-ორ-ი (ტობ.), ზან. (მეგრ.) **ჰყონ**-ი „მუხა“, ლაზ. **ჰკონ**-ი || მ-**ჰკონ**-ი ← **ჰყონ**-ი "id", სვან. **ჰყორ**-ი, **ლა-ჰყორ**-ა<sup>1</sup>; სვანურში **ჰყორ** „მუხა“ შესატყვისის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს რაჭულ დიალექტში ფიქსირებული **ლა-ჰყორ** „მუხის სარები“ სიტყვა, რომელიც მრავლობითი რიცხვის ფორმაა **ჰყორ** სახელისა, ე. ი. სვან. **ჰყორ** „მუხა“ → **ლა-ჰყორ**-ა „მუხები, სამუხე“ → ქართ. (რაჭ.) **ლა-ჰყორ** „მუხის სარები“ [იხ. ჩუხ. 2000-2003: 390].

ს.-ქართვ. **\*წყონ**- „მუხა“

იჩქ. **წუნ** „ერთგვარი მაგარმერქნიანი ხე“, **წულლა დეჩიგ** ← **წუნ**-ლა **დეჩიგ** "id", ინგ. **წონ** „მაგარმერქნიანი ხის სახეობა“, ბაცბ. **წუნ**; **წუნ** ფორმა ბაცბურში დაკარგული ჩანს; საერთონახურში სავარაუდოა **\*წონ**- არქეტიპის პოსტულირება, რომელიც ს.-ქართვ. **\*წყონ**- ძირის კა-

ნონზომიერი შესატყვისი ჩანს. ს.-ქართვ. **წე** : ს.-ნახ. **წ** რეგულარული შე-  
სატყვისობაა და სხვაგანაც დაჩნდება, იხ. აქვე, § 44.1; § 44.2.

ს.-ნახ. **\*წონ-** „ერთგვარი მაგარმერქნიანი ხე“.

### ჭდე/ჭდ-ევ-ა

ქართ. **ჭდ-**, **ჭდ-ე** „მჭრელი იარაღით ხეზე ამოკვეთილი ნიშანი“, ნა-  
**ჭდ-ევ-ი**, **ჭდ-ეულ-ი**, **ჭდ-ევ-ა**, ა-**ჭდ-ევ-ს**, ზან. (მეგრ.) **წკანტ-ი** ←**\*ჭკანდ-ი**  
„ჭდე“; სვანურ დიალექტებში შესაბამისი ფუძე ვერ გამოვავლინეთ. ზანუ-  
რის ა განზომანება საერთოქართველურისთვის **ე**-ს ვარაუდობს.

ს.-ქართვ. **\*ჭედ-** „ჭდე, ჭდევა“

იჩქ. **თმედ-ა**<sup>5</sup> || **თმედ-არ** „მოშორება რაიმესი, მოცილება; მოკვეთა“,  
ინგ. **თმედ-ა** || **თმედ-არ** "id", ბაცბ. **თეტ-**, **თეტ-ა**<sup>5</sup> || **თეტ-არ** „ჭრა“,

**თეტ-** (დალარ) „დაჭრა, გაჭრა“; საერთონახურისთვის აღსადგენია **\*დეტ-**  
არქაული ფორმა, რომელიც ს.-ქართვ. **\*ჭედ-** არქეტის ბუნებრივად მიე-  
მართება, შდრ. ს.-ქართვ. **ჭ** : ს.-ნახ. **ტ** (§ 32.3). სემანტიკური მიმართე-  
ბა **ჭდევა** ~ **ჭრა** ბუნებრივი ჩანს.

ს.-ნახ. **\*დეტ-** „ჭრა“.

### ჭერ-ა

ქართ. **ჭერ-/ჭირ-**, მო-**ჭერ-ა**, უ-**ჭერ-ს**, უ-**ჭირ-ა**, მო-მ-**ჭირ-ნ-ე**, ზან.  
(ლაზ.) ო-მ-**ჭკირ-უ** „მოჭერა“, მო-მ-**ჭკირ-ერ-ი** „მოჭერილი“, სვან. **ჭკგრ-ნ-ჲ** ||  
მგ-**ჭკგრ-ნ-ე** „მომთმენი, დამკავებელი“. საერთოქართველური ენობრივი  
ერთობისათვის აღვადგენთ **\*ჭერ-/ჭირ-** აბლაუტურ ალომორფებს.

ს.-ქართვ. **\*ჭერ-/ჭირ-** „მოჭერა“

იჩქ. **ლითა-** ←**\*ლიტა-**, **ლითა-არ** „წურვა“, ინგ. **ლითა-** ←**\*ლიტა-**,  
**ლითა-არ** "id", ბაცბ. **ლიტა-არ** „წურვა“, **ლიტა-ორ** „საწურავი“, **ლიტა-**  
ენო „გაწურული“; საერთონახური ფუძე-ენისთვის რეკონსტრუირდება  
**\*ლიტა-** არქეტისი, რომელიც შებრუნებული წყობისაა ს.-ქართვ. **\*ჭირ-**  
ძირთან შედარებით, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ჭ** : ს.-ნახ. **ტა**  
(§ 32.3), ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **ლ** (§ 14.2). საერთონახურში ი ძირეული  
ხმოვნის აბლაუტური ცვალეობა არ შეინიშნება, რაც გვიანდელი მოვლენა ჩანს.

ს.-ნახ. **\*ლიტა-** „წურვა“.

### ჭილ-ი/წილ-ი

ქართ. **ჭილ-**, **ჭილ-ი** „ჭიხი“ (საბა), „წილი“, **წილ-ი**, ქსნ. ხეობ. **ჭი-**  
**ჭილ-ა** ←**\*ჭილ-ჭილ-ა** „ტილი“, ზან. **ჭკირ-ი** || მ-**ჭკირ-ი**; **წ** || **ჭ** სუბსტი-  
ტუცია საკუთრივ ქართულის ნიადაგზეა გაჩენილი ფუძის სიმბოლიკური  
აგებულების გამო.

ს.-ქართვ. **\*ჭილ-** ← წ.-ქართვ. **\*წილ-** „წილი; ტილი“

იჩქ. **წიმ**-ერგ „ბალღინჯო“, ინგ. **წიმ**-არ`გ "id", ბაცბ. **წიმ**-; ნახურ ენებში ძირად **წიმ**- გამოყოფა, რომელიც კანონზომიერად შესატყვისება წ.-ქართვ. \***წილ**- არტეჟიპს, რადგანაც აუსლაუტური **ლ** : **მ** შეფარდება ნახურისავე **ლ** → **მ** გადაბგერებით არის მიღებული, შდრ. **ლ** || **მ** სუბსტი-ტუცია ნახურში იჩქ. ჩიმ : ინგ. ჩილ „ფიფქი, ფანტელი; ფერფლი“.

ს.-ნახ. \***წიმ**- ← \***წილ**- „ბალღინჯო“.

### ჭროლა

ქართ. **ჭროლა** „მოყავისფრო ჭრელი“ (ქეგლ), შდრ. **ჭროლა** თვალე-ბი, **ჭროლა** თუთა, **ჭროლა** ქათამი, ზან. (მეგრ.) **ჭოლო** "id", შდრ. ტობ. **ჭოლა** (?), **ჭოლო** (ანთრობ.); სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. \***ჭროლა**-ა „ჭრელი“

იჩქ. **წოყა** „ჭრელი“, ინგ. **წოყ** "id", ბაცბ. **წოყა**; ბაცბურში სა-ძიებელი ფუძე დაკარგულია. საერთონახური \***წოყა** კანონზომიერი შესატყვისია ს.-ქართვ. \***ჭროლა** არტეჟიპისა, რასაც მხარს უჭერს სიტყვათა იდენტური მნიშვნელობა. ს.-ქართვ. **ჭ** : ს.-ნახ. **წ** შესატყვისობა ამოსავალში **წ**, სისინ-შიშინა ფონემას ვარაუდობს.

ს.-ნახ. \***წოყა** „ჭრელი“.

### ჭინ-ი

ქართ. **ჭივ**-, ხევს. **ჭინ**-ი „წილი“, თუშ. **ჭივ**-ი „მკბენარის კვერცხე-ბი“, **ჭივ**-ი (**ჭინ**-ი) „ტილი; სხვათა ტილი“ (საბა); სხვა ქართველურ დიალექტებში **ჭივ**- → || **ჭინ**- სახელური ალომორფების შესატყვისი ფუძეები ვერ გამოვავლინეთ. რამდენადაც \***ჭივ**- არტეჟიპს პარალელები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში, იგი საერთოქართველური ფუძე-ენიდან მომდინარედ მიიჩნევა.

ს.-ქართვ. \***ჭივ**- „ჭინი, წილი“

იჩქ. **კინ**-იგ „ბალღინჯო“, ინგ. **კიმ**-იგ "id", ბაცბ. **კინ**-იკ; საერთონახური ფუძეური მდგომარეობისთვის აღვადგენთ \***კინ**- არტეჟიპს, რომელიც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \***ჭივ**- ფორმისა. ქართველური ძირი შებრუნებული წყობისაა კავკასიურ შესატყვისებთან შედარებით, შდრ. აგრეთვე ლაკ. **კინ** „კალია“, დიდ. **ხინ** „კუტკალია“...

ს.-ნახ. \***კინ**- „ბალღინჯო“.

### ჭოტ-ი

ქართ. **ჭოტ**-, **ჭოტ**-ი „ფრინველი; ფრინველის წიგნში: „ჭოტიცა გააგონებს მისსა ვმათა კაცთა“ (საბა), **ჭოტ**-ი „ბუს მსგავსი მომცრო ღამის ფრინველი“ (ქეგლ-ი); **ჭკუტ**- სახეობის ფუძე ზანურში შემონახულია კომპოზიტ **ჭკუტ**-კვარია „მთის ჭილყვაი“. ვინაიდან **ჭოტ**-ს შესატყვისი ნახურ ენებში გამოუჩნდა, შესაძლებელი გვგონია მისი საერთოქართველურ დო-

ნეზე აღდგენა.

ს.-ქართვ. \***ჭოტ**- „ჭოტი“

იჩქ. **ტოდ** || **ტუოდ** „ბორა“, ინგ. **ტოდ** "id", ბაცბ. **ტუტ** „ბუზი“; საერთონახურისთვის აღსადგენია \***ტოტ**- არქეტიპი, რომელიც ს.-ქართვ. \***ჭოტ**- ფორმის კანონზომიერი შესატყვისია, შდრ. ს.-ქართვ. **ჭ** : ს.-ნახ. **ტ** (§ 32.3); დასაშვებად გვეჩვენება სემანტიკური მიმართებაც ს.-ქართვ. **ჭოტი** ~ ს.-ნახ. **ბორა**.

ს.-ნახ. \***ტოტ**- „ბორა“.

### ჭრიჭ-ინ-ა

ქართ. **ჭრიჭ-ინ-ა** || **ჭიჭ-ინ-ა** „ჭრიჭინა“, ზან. (მეგრ.) **ჭიჭ-იბ-ი** „ჭრიჭინა“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. საერთოქართველური ფუძე-ენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \***ჭიჭ**- ძირი.

ს.-ქართვ. \***ჭიჭ**- „ჭრიჭინა“.

იჩქ. **წუოზ** || **წოდ** || **წოზ** (მრ. რ. **წეზ-ი** || **წაზ-ი**) „კალია“, ინგ. **წოდ** || **წოც** (მრ. რ. **წაზ-ი**) "id", ბაცბ. **წოწ**-<sup>7</sup>; მრავლობითსა და არანომინატივში შემორჩენილი **წ** გახმოვანების ფუძეები უძველეს, საერთონახურ ვითარებას ასახავენ, შდრ. დალ., რუთ. **წაწგ**-ხა „ჭიანჭველა“... ამიტომაც აღვადგენთ საერთონახურ არქეტიპად \***წაწ**- ძირს, რომელიც ს.-ქართვ. \***ჭიჭ**- წინარეფორმის კანონზომიერი შესატყვისია. ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** რეგულარულად ვლინდება (იხ. § 7.3). **ჭრიჭინა** ~ **კალია** სემანტიკური შეფარდება ბუნებრივად გვეჩვენება.

ს.-ნახ. \***წაწ**- „კალია“.

### ჭყაბ-ი

ქართ. **ჭყაბ**, **ჭყაბ-ი**, თოვლ-**ჭყაბ-ი**, **ჭყაბ-ან-ი** || **ჭყაბ-უნ-ი**, ზან. **ჭყომბ-ო** „ჭყაბი“, სვან. **ჭყებ** „ჭაობი, ჭყაბი“. სვანურში შემონახული **ბ** სიტყვის აუსლაუტში საერთოქართველურ ვითარებას ასახავს. **ბ** → **პ** გლოტალიზაცია ზანურსა და ქართულში ასიმილაციური ჩანს.

ს.-ქართვ. \***ჭყაბ**- „ჭყაბი, თოვლ-ჭყაბი; ჭაობი“

იჩქ. **ტყოჟ** (მრ. რ. **ტყეჟ-ნ-აშ**) „თოვლ-ჭყაბი“, ინგ. **ტყოჟ** "id", ბაცბ. **ტყავ**<sup>7</sup>. ბაცბურში **ტყავ** არქეფორმის არსებობას გვაგარაუდებინებს ახიური დიალექტის ჩვენება, ეს უკანასკნელი ხშირად უფრო ძველ ვითარებას ასახავს, შდრ. ახ. **ტყაჟ** „თოვლ-ჭყაბი“. ქართველური **ჭ** : ნახური **ტ** ფონემური მიმართება აიხსნება **ჭ** → **ტ** დეზაფრიკატიზაციის პროცესით საერთონახურში, იხ. აქვე, § 32.3.

ს.-ნახ. \***ტყაჟ**- „თოვლ-ჭყაბი“.

## ხალ-ი

ქართ. ხალ-, ძვ. ქართ. ხალ-ი, ხალ-ი „ესე არს პირის-სახედ, შავი წინწყალი, გინა კალმანზე წითელი...“ (საბა), ზან. (მეგრ.) ხალ-ი "id" სალიტერატურო ფორმასთან ადაპტირებული სახეობაა: ხალ-ი ←\*ხოლ-ი, შდრ. სვან. ხალ || ჰალ "id";

ს.-ქართვ. \*ხალ- „ხალი, გამონაყარი, წინწყლები“

იჩქ. ჰაზრ „გამონაყარი, ბუგრი“, ინგ. ჰაერ "id", ბაცბ. «ჰაარ»; ბაც-ბური სახეობა არ არის გამოვლენილი.

ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ხ : ს.-ნახ. ჰ კანონზომიერია და რეგულარულად დასტურდება სხვა მასალაშიც, იხ. § 40.1. ასევე ბუნებრივია ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. რ მიმართებაც, იხ. § 13.3.

ს.-ნახ. \*ჰაარ- „გამონაყარი, ბუგრი“.

## ხალ-ი/ხალ-ა

ქართ. ხალ-, ხალ-ი || ხალ-ა „ჭოკი, გრძელი ჯოხი“, ზან. ხოლ-ი „ნიგვზის საბერტყი გრძელი ჯოხი“, სვან. ხუატ → || ღუატ „დიდი წნელი, ჭოკი“; ს.-ქართვ. \*ხალ- ფორმიდან მომდინარე ზანური ეკვივალენტი რაჭულმა დიალექტმა შემოინახა. სვანურისთვის სავარაუდოა \*ხალ-ჟ ←\*ხალ-ჟ ტიპის ალომორფი, რომლის ბოლოკიდური ჟ ქართულის ხალ-ა ფორმის ა-ს შეეფარდება, შდრ. ქართ. ციც-ა : სვან. ციც-ჟ [იხ. ჩუბ. 2000-2003: 399].

ს.-ქართვ. \*ხალ- „დიდი ჯოხი, წნელი; ჭოკი“

იჩქ. ხალ (მრ. რ. ხელ-აშ) „ღერო“, ინგ. ხალ "id", ბაცბ. «ხალ»; საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება \*ხალ- არქეტიპი, რომელიც ს.-ქართვ. \*ხალ- ძირის შესატყვისი ჩანს. კანონზომიერებას ექვემდებარება სემანტიკური შეფარდება ს.-ქართვ. ჭოკი ~ ს.-ნახ. ღერო.

ს.-ნახ. \*ხალ- „ღერო“.

## ხამ-ი

ქართ. ხამ-, ხამ-ი „სხული სამოსელი“ (საბა), „ბამბის ქსოვილი, შინ დართული მსხვილი ძაფისაგან“ (ქეგლ-ი), ქიზ. „ბამბის ქსოვილი მომსხო“; ქართულ ხამ- სახელს ვერ ვუძებნით შესატყვისებს სხვა ქართველურ ენაკილოებში. ვინაიდან მას გენეტურად საერთო მასალა უდასტურდება მონათესავე იბერიულ-კავკასიური ენებიდან, ბუნებრივია ხამ- ფუძე საერთო-ქართველურიდან მომდინარედ მივიჩნით.

ს.-ქართვ. \*ხამ- „მსხვილი ძაფისაგან ნაქსოვი/ქსოვილი“

იჩქ. ხალ „ძაფის ნაგლეჯი“; „ძაფის ნაჭერი/ნაკვეთი“, ინგ. ხალ "id", ბაცბ. «ხალ»; საერთონახური \*ხალ- მარჯვედ უდგება ს.-ქართვ. \*ხამ- არქეტიპს როგორც სემანტიკურად, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. მ : ს.-ნახ. ლ (§ 15.2).

ს.-ნახ. \*ხალ- „ძაფის ნაჭერი, ნაგლეჯი“.

## ხან-ი

ქართ. ხან-, და-ხან-ებ-ა, ა-ხან-ებ-ს, და-ა-ხან-ებ-ს „დააყოვნებს, და-აგვიანებს“, ხან-ი „დრო, ჟამი“, ხანდახან „დროდადრო“, ხან-დაზმულ-ი, ძვ. ქართ. ხან-ად-ხან-ად „დროდადრო“, ზან. (მეგრ.) ხონ-, ხონ-აფ-ა = ხან-ებ-ა, ხონ-ებ-ა „მარხვა“, ხონ-ენ-ს „მარხულობს“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. ზანურში შემონახულია ხან- ზმნური ფუძის ხონ- კანონზომიერი ალომორფი, შდრ. ქართ. ა : ზან. ო — ხან- : ხონ-. სემანტიკურად მეგრული ხონ- „მარხვა“ მარჯვედ უდგება და-ხან-ებ-ის გაგებას: მარხულობს ე. ი. რაღაცას ახანებს/აყოვნებს.

ს.-ქართვ. \*ხან- „ხანი; დახანება“

იჩქ. ხან „დრო, ასაკი“, ინგ. ხვ (ერგ. ბრ. ხან-უო) "id", ბაცბ. ხან<sup>6</sup> „დრო, ჟამი“; ნახურ დიალექტებში მხოლოდ სახელური ფუძეები ფუნქციონირებს. ფუძეენური მდგომარეობისთვის აღსადგენია \*ხან- არქეტიპი. ს.-ქართვ. \*ხან- : ს.-ნახ. \*ხან- იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან როგორც ფორმალურად, ისე სემანტიკურად, რომ შეიძლება ვინმემ ივარაუდოს ენიდან ენაში გასესხების შესაძლებლობა. ამგვარ დაშვებას ხელს შეუშლიდა დადესტურული ინფორმაცია, სადაც შებრუნებული წყობის ფორმები დასტურდება: დალ., ხუნძ. მესხ „დრო, სეზონი“...

ს.-ნახ. \*ხან- „დრო, ასაკი, ჟამი“.

## ხანძ-ვა

ქართ. ხანძ-, აჭარ. გამო-ხანძ-ვა „გახმობა ნათესის ფოთოლთა“, ზან. «ხუჯ-ი, შდრ. გურ. (← ზან.) ჩა-ხუხუჯ-ებ-ა „ჩათბუნება“, ხუხუჯ-ა-ი „გამომცხვარი კვერი“; სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. შესაძლებელია ქართ. ხანძ- (შდრ. ხანძ-არ-ი) ძირს ზანურში ხუჯ- შესატყვისებოდა. ეს უკანასკნელი ფუძეგაორკეცებით შემოგვენახა გურულში.

ს.-ქართვ. \*ხანძ- „ხმობა; ცხობა/წვა“

იჩქ. ვარძ- → || ვარზ-, ვარძ-ა<sup>6</sup> || ვარზ-არ „მოხრაკვა“, ინგ. ვარძ-, ვარძ-ა || ვარძ-არ "id", ბაცბ. ვარწ- ← \*ვარძ-, ვარწ-ა<sup>6</sup> || ვარწ-არ „მოხალვა“; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის აღსადგენია \*ვარძ- არქეტიპი. ს.-ქართვ. \*ხანძ- : ს.-ნახ. \*ვარძ- კანონზომიერი შეფარდებაა როგორც სემანტიკური — ცხობა ~ მოხალვა, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. აღწერილ ფუძეთა მსგავსი, იგივეობრივი აგებულებაც ადვილი დასანახია.

ს.-ნახ. \*ვარძ- „მოხალვა, მოხრაკვა“.

## ხარ-ებ-ა

ქართ. ხარ-, ა-ხარ-ებ-ს, გა-ხარ-ებ-ა, სი-ხარ-ულ-ი, სვან. ხენ- || ხენ-, ლი-ხენ-ე || ლი-ხენ-ე „მიხარება“, ხ-ა-ხენე || ხ-ა-ხენ-ე „ახარებს“. ზანური ეკვივალენტი დაკარგული ჩანს. საყურადღებოა რ → ნ ფონეტი-

კური გარდაქმნა სვანურში [იხ. ჩუხ. 2000-2003: 23].

ს.-ქართვ. \***ნარ-** „ხარება, სინარული“.

იჩქ. **ლად-**, **ლად-**დახ<sup>ნ</sup> „ხარება, ტკობა“, ინგ. **ლად-**, **ლად-**დახ<sup>ნ</sup> "id", ბაცბ. **ნად-**. ბაცბურში შესაბამისი ფუძე დაკარგული ჩანს. ვაინახური სახეობები ასიმილაციითაა მიღებული: \***ნად-** → **ლად-** მომდევნო **დ** მჟღერის ზეგავლენით — **ს** → **დ**, შდრ. ქართ. **ნათანგ-**ი → ბაცბ. **ლათანგ** "id". კანონზომიერია ს.-ქართვ. **რ** : ს.-ნახ. **დ**, რაც **დ** → **რ** პროცესს გულისხმობს საერთოქართველურ ფუძე-ენაში, იხ. აქვე, § 26.4.

ს.-ნახ. \***ნად-** „გახარება, ტკობა“.

### ნარო

ქართ. **ნარო** „ორმო“, ახ. ქართ. **ნარო** „მარცვლეულის შესანახი ხის ჭურჭელი, ნალია; პურის ორმო“, ძვ. ქართ. **ვარო-**დ || **ნარო-**დ „ორმო“, ზან. (მეგრ.) **ხულა** „ბეღელი“, მე-**ხულ-**ე „მეღელე“, ლაზური ეკვივალენტი ჩანს ტოპონიმ **ხულო-**ში, რაც ლაზურში **ბეღელს** თუ აღნიშნავდა [იხ. ჩუხ. 2000-2003: 394-95].

ს.-ქართვ. \***ვარ-**ო „პურის ორმო, ორმო; ბეღელი“

იჩქ. **ნარა<sup>ნ</sup>** (მრ. რ. **ნარან-**აშ) „თავლია კასრი მარცვლისთვის“, ინგ. **ნარა<sup>ნ</sup>** (მრ. რ. **ნარან-**აჟ) "id", ბაცბ. **ნარა<sup>ნ</sup>**. სათანადო ბაცბური ფუძე გამოსავლენია. ნახურ ენებში ქართველური **-ო** სუფიქსის ფუნქციური შესატყვისი ჩანს ბოლოკიდურ **-ან** სეგმენტში. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ვ** : ს.-ნახ. **ს** ბუნებრივია, იხ. აქვე, § 36.

ს.-ნახ. \***ნარ-**ან „თავლია კასრი მარცვლისთვის“.

### ნარ-ნარ-ი

ქართ. **ნარ-ნარ-**, **ნარ-ნარ-**ი, გურ. **ნარ-ნალ-**ი „ხარხარი“, ზან. (მეგრ.) **ნორ-ნოშ-**, **ნორ-ნოშ-**ი „ხარხარი“, **ნორ-ნოშ-**ან-ს = **ნარ-ნარ-**ებ-ს; ხმაბაძვითი სიტყვაა. სხვა ქართველურ დიალექტებში არ ვლინდება [იხ. კლიმ. 1998: 326]. **რ/შ** სუბსტიტუცია დამახასიათებელია მეგრულისთვის, შდრ. **გა-თქვირ-**ებ-ა = **გო-თქვიშ-**ინ-აფ-ა. ამოსავალია \***ნარ-** მარტივი ფუძე, რომლის რედუბლიკაციით მივიღეთ **ნარ-ნარ-** ქართულში.

ს.-ქართვ. \***ნარ-** „ხარხარი“

იჩქ. **ან-ა<sup>ნ</sup>** || **ან-**არ „ყეფა, ზმუილი“, შდრ. **ნინ-**დან „ღრენა“, ინგ. **ან-ა<sup>ნ</sup>** || **ან-**არ "id", ბაცბ. **ან-ა<sup>ნ</sup>** || **ან-**არ "id"; ონომატობოეტური სიტყვაა ორივე ჯგუფის ენებში; მიუხედავად ამისა ს.-ქართვ. **ს** : ს.-ნახ. **ს** ბგერათშესატყვისობა დაცული ჩანს, შდრ. ანდ. **რახ-**, ლეზგ. **რახ-** „ყეფა; ლაპარაკი ხმამაღლა“, აფხ. ა-**ჰაჟ-ჰაჟა-**რა „ყვირილი, ძახილი“...

ს.-ნახ. \***ან-** ← \***ჰან-** „ყეფა“, ს.-ნახ. \***ნინ-** „ღრენა“.

## საქ-ოლ-ი

ქართ. საქ-, ფშ. საქ-ოლ-ი „წართხალი“; ქართულში შემორჩენილი საქ- ძირი საერთოქართველურიდან მომდინარედ მიიჩნევა. ამ შემთხვევაშიც არგუმენტის ძალა აქვს იმ ფაქტს, რომ საქ-ოლ- ფუძეს გენეტიკურად საერთო ძირები მოეპოვება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ს.-ქართვ. \*საქ-ოლ- „წართხალი“

იჩქ. ჰაჩ (ქისტ. ჰაქ, ითუმყ. ჰაქ) „ქლიავი“, ინგ. ჰაჩ ← \*ჰაქ "id", ბაცბ. ჰაქ "id"; საერთონახურ არქეტიპად აღვადგენთ \*ჰაქ- სახელურ ფუძეს, რომელსაც ს.-ქართვ. \*საქ- ძირი კანონზომიერად შეესატყვისება, შდრ. ს.-ქართვ. ხ : ს.-ნახ. ჰა (§ 40.1). საერთონახური \*ჰაქ-ძირის შესატყვისებია ასევე: ხუნძ. ქოქან/შ, ანდ. ქოქომ, ლაკ. ქუნქუნ, დარგ. ქანქან „ალუჩა/ქლიავი“...

ს.-ნახ. \*ჰაქ- „ქლიავი“.

## სბ-ო

ქართ. \*კებ-ო, კბ-ო, კბ-ორ-ებ-ი, ზან. (მეგრ.) კაბ-ულ-ა, სვან. დაბ-ნ-ა || დზბ-ენ-ა ← \*ღებ-ენ-ა „მოზვერი“; ოპოზიცია ქართ. კ : ზან. ქ : სვან. ლ საერთოქართველურისთვის (resp. წინარექართველურისთვის) \*ღ ფარინგალური რიგის მჟღერ აფრიკატს ვარაუდობს [იხ. ჩუხ. 2000-2003: 262].

ს.-ქართვ. \*ებ- „სბო“

იჩქ. ბჟჰ-იგ (ახ. ბრჰ-იგ, ჰებ. ბოჰ-იგ) „თიკანი“, ინგ. ბჟიგ ← \*ბოჰ-იგ "id", ბაცბ. ბოჰ „ციკანი“. ფუძისეული ო ნახურ ენებში მიღებული ჩანს ა-სგან ბ ფონემის ასიმილაციური ზეგავლენით, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა; იხ. § 6.2.

ს.-ნახ. \*ბაჰ- „თიკანი, ციკანი“.

## ხედ-/ხედ-გ-ა

ქართ. ხედ-, ვ-ხედ-ავ, მ-ხედ-ვ-ელ-ი, ხედ-ი, ი-ხედ-ებ-ა, სა-ხედ-ვ-ელ-ი, მ-ხედ-ავ-ი; სამწუხაროდ სხვა ქართველურ დიალექტებში ს.-ქართვ. ხედ- ძირისაგან მომდინარე ალომორფები ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართ. \*ხედ- „ხედვა, მიჩნევა, ცოდნა“

იჩქ. ხაჲ-თ- || ხჲ-თ-არ „ჩათვლა, მიჩნევა, ჩვენება“, ინგ. ხაჲ-თ-არ "id", ბაცბ. ხეთ-არ „პონა (იპოვის); გონება (ჭგონია), ცოდნა (იცის)“; ნახურ-ქართველურ ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა ადვილი დასანახია, რასაც მხარს უმაგრებს იდენტურ ბგერათშესატყვისობათა ჩვენება, შდრ. ს.-ქართვ. ხ : ს.-ნახ. ხ, ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ე, ს.-ქართვ. დ : ს.-ნახ. თ.

ს.-ნახ. \*ხეთ- „ჩათვლა, გონება, მიჩნევა, ცოდნა“.



## ხელ-ა

ქართ. ხელ-, ხელ-ა „მაწვნის ქილა“, ხელ-ედ-ან-ი „საღვინე დოქი“, ზან. (მეგრ.) ხარ-, ხარ-ა „სასმისი ღვინისა“, ო-ხარ-ო „წყლის ჭურჭელი“, სვან. ხულ- „სმა“, ი-ხულ-ი „სვამს“; საერთოქართველურისთვის აღვადგენთ ხელ- არქეტიპს, თუმცა, სვანური განხილვებებ (უ) გარკვევას მოითხოვს [იხ. ჩუხ. 2000-2003: 395].

ს.-ქართვ. \*ხელ- „სმა; სასმისი, ჭურჭელი წყლის“

იჩქ. დ-ან- „სმა“, დ-ან-არ „თრობა“, ინგ. დ-ან-, დ-ან-ნ "id", ბაცბ.

დ-ან-, დ-ან-არ „თრობა“; საერთონახურისთვის რეკონსტრუირდება კლასნიშნიანი \*დ-ან- ძირი, რომელიც გაფორმებით (კლასნიშნიანობით) გამოირჩევა ქართველური ანალოგისაგან. ქართველურისმაგვარი მდგომარეობა გვაქვს ყველა სხვა დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენაში: აფხ. ა-ხა-რა „წოვა, სმა“, ხუნძ. ხუ-ფ-ზე, ბოთლ. ხუ-დ-ი, ბეჟ. ხუ-, ლაკ. ხუ-ჩ-ინ || ხუ-ტ-ინ, ლეზგ. ხ-უნ „სმა“...

ს.-ნახ. \*დ-ან- „თრობა, სმა“.

## ხელ-ი

ქართ. ხელ-, ხელ-ი „გიჟი“, ხელ-ი „არს, რომელი უცნობოდ გარბოდეს და არცა სხვათა ავნებდეს“ (საბა), სი-ხელე, გა-ხელ-ებ-ა, ზან. (მეგრ.) ხან-გა ←\*ხარ-გა „გიჟი“, გე-ხან-გ-უ „გაგიჟდა“, სი-ხან-გ-ა „სიხელე“; სვანური შესატყვისი შეიძლება ჩანდეს ხრ-ინ-, ლი-ხრ-ინ-ე „გაბრაზება; გაჯავრება“ ფუძეში [იხ. ჩუხ. 2000-2003: 396, 398]. ქართულ ხელ-ფუძეს მეგრულში ხარ- უნდა მიეცა, მაგრამ მომდევნო გ-ს ზეგავლენით რ → ნ ნაზალიზაციის პროცესი განხორციელდა: ხარ + გა → ხან-გა, შდრ. \*ცურ-გა → ცუნ-გა „ყრუ“.

ს.-ქართვ. \*ხელ- „გიჟი, გახელება“

იჩქ. ჰაერა-, ჰაერა-დაჟან, ჰაერა-დნლა „გაგიჟება“, ინგ. ჰაერან-,

ჰაერან-დახან "id", ბაცბ. ჰაერა-; საერთონახურისთვის ძირად გამოსაყოფია \*ჰაერ-ა- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია ს.-ქართვ. \*ხელ- ძირისა; შდრ. ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. რ (§ 13.3), ს.-ქართვ. ხ : ს.-ნახ. ჰა (§ 40.1).

ს.-ნახ. \*ჰაერ-ა- „გაგიჟება, სიხელე“.

## ხელ-ი

ქართ. ხელ-ი, ძვ. ქართ. ველ-ი, სა-ველ-ი „სახელო“, მე-ველ-ე „ხელოსანი“, ველ-ოსან-ი, ზან. ხე „ხელი“, ხელ-ეფ-ე/ი „ხელები“, მეგრ. ხუ „მუჭი“, სვან. ვალ ←\*ველ „გაშლილი ორი მკლავის სიგრძე“; საერთოქართველური ენობრივი მდგომარეობისათვის აღდგენილია \*ველ- არქეტიპი [ჩიქ. 1938: 58; გამყრ.-მაჭ. 1965: 89-93; კლიმ. 1964: 264].

ს.-ქართვ. \*ველ- „ხელი; მკლავი“

იჩქ. ხენ || ხენ „ტარი, სახელური“, ინგ. ხი || ხე (ერგ. ბრ. ხენ-უო) „კონდახი“, ბაცბ. «ხე»; საერთონახური ფუძეენური მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \*ხენ- წინარეფორმა, რომელიც კანონზომიერად შეესაბამება ს.-ქართვ. \*ველ- ძირს, შდრ.: ს.-ქართვ. ვ : ს.-ნახ. ხ (§ 36), ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. ნ (§ 13.6). სემანტიკური კორელაცია ხელი ~ სახელური ბუნებრივი ჩანს, რასაც ქართული ველ- ძირის დისტრიბუციაც თვალნათლივ აჩვენებს — ველ- — სა-ველ-ი.

ს.-ნახ. \*ხენ- „სახელური“.

### ხერ-ვა

ქართ. ხერ-, ძვ. ქართ. მ-ხერ-ვ-ალ-ი „წამყვანი“, სა-ხერ-ვ-ელ-ი „მომართულების მიმცემი; საჭე“, ზან. ხარ-, ხარ-უ-ა „გაკვალვა“, ბ-ხარ-უნ-ქ „გაკვალვა“, გო-ხარ-ილ-ი „გაკვალული“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. ქართველურ ფუძეთა დაკავშირება პროფ. ტ. გულდავას ეკუთვნის [ამის შესახებ იხ. ფენ-სარჯ. 2000: 695].

ს.-ქართვ. \*ხერ- „გაკვალვა; კვალი“

იჩქ. ხარ-, ხარ-შ „კვალი“ pluralia tantum, ინგ. ხარ-, ხარ-შ "id", ბაცბ. «ხარ-»; საერთონახური ენობრივი ერთობისათვის რეკონსტრუირდება \*ხარ- არქეტიპი, რომელსაც შესატყვისები დაღესტნურ ენებშიც ეძებნება, შდრ.: ხუნძ. რაჯ, ანდ. როჯი, ახვ. რაჯე., ჰინ. შორჯი, ლაკ. ვურ-სულ, დარგ. ლუარი || დარი „კვალი“.

ს.-ნახ. \*ხარ- „კვალი“.

### ხერხ-ი

ქართ. ხერხ-, ხერხ-ი, ვ-ხერხ-ავ, ნა-ხერხ-ი, ხერხ-ვ-ა, ზან. ხორხ-ი „ხერხი“, ო-ხორხ-უ || ხორხ-უ-ა „ხერხვა“, ხორხ-უნ-ს || ხორხ-უმ-ს; სვანური შესატყვისი დაკარგული ჩანს. ქართულ-ზანური ვოკალიზმის ჩვენება საერთოქართველურისთვის მხარს უჭერს \*ხარხ- არქეფორმას [იხ. ჩიქ. 1938: 431; ყიფშ. 1914: 407; კლიმ. 1964: 257-258].

ს.-ქართვ. \*ხარხ- „ხერხი; ხერხვა“

იჩქ. ჰაჯ-, ჰაჯ-ა<sup>5</sup> || ჰაჯ-არ „ხერხვა“, „ჭრა“, ინგ. ჰაჯა-, ჰაჯა-შ || ჰაჯა-არ "id", ბაცბ. «ჰაჯ-»; ბაცბური შესატყვისი დაკარგული ჩანს. საერთონახური ენობრივი მდგომარეობისთვის რეკონსტრუირდება \*ჰაჯ- არქეტიპი, რომელიც დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია-სპირანტიზაციის გზით მომდინარეობს წინარეხარხური \*ჰაჯ- პროტოტიპისაგან, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ხ : ს.-ნახ. ვ (§ 36).

ს.-ნახ. \*ჰაჯ- „ხერხვა; ჭრა“.

## ხეხერ-ა

ქართ. **ვევერ-** || **ხეხერ-**, მოხ., მთიულ. **ვევერ-**ა „უდედო ბატკანი/ციკანი, რომელიც სხვას სწოვს“, ქართლ., ქიზიყ., ფშ. **ხეხერ-**ა "id", შდრ. თუშ. **ვევერ-**ა-ც-ით გაზრდად „ბავშვის გაზრდა უძუძურად, ძროხის რძით, ფაფით“, ზან. (მეგრ.) **ხოხუ** „პატარა“, სვანურში შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი. ქართ. **ერ** : ზან. **უ** ფუძეენურ -**ელ-**ს გულისხმობს [იხ. შმიდ. 1950: 25-26].

ს.-ქართვ. \***ვევ-**ელ- „ბატკანი/ციკანი; ჩივილი, პატარა“

იჩქ. **ხაჟხარ-**, ქისტ. **ხაჟხარ-**გ „ახალშობილი ნაშიერი“, ინგ.

**ხოჟხარ-** ← \***ხაჟხარ-**, **ხოჟხარ-**გ "id", ბაცბ. **ხაფხარ** (ჩუჩნჩ) „ახალშობილი კრავი/ბატკანი“. ფუძის ინლაუტში **ჟხ** || **ფხ** ბგერათთანმიმდევრობა ისტორიულად **ხჟ** ლაბიალიზებული კომპლექსის შემდგომ ტრანსფორმაციად გვესახება. ფონემათშესატყვისობა ს.-ნახ. **ხ** : ს.-ქართვ. **ვ** ბუნებრივია, იხ. აქვე, § 36.

ს.-ნახ. \***ხახჟ-**არ „ახალშობილი კრავი/ბატკანი“.

## ხვად-ი

ქართ. **ხუად-**, **ხვად-**ი „მამალი ცხოველი“, ძვ. ქართ. **ხუად-**ი "id", ზან. **ხოლ-**, ო-**ხოლ-**უ || **ხოლ-**უ-ა || **ხოლ-**ირ-ი "coire", სვან. **ხუად-**, **ხუად-**აგ „რქიანი საქონელი საზოგადოდ“, **ხუად-**აგ-იან (ანთროპ.); ქართულ-ზანური ფუძეების საერთო წარმომავლობაზე ადრევე მიუთითებდნენ [ყიფშ. 1914: 405; შმიდ. 1962: 152]. ხოლო ქართ. **ხუად-** ძირის სვანური შესატყვისი შემორჩენილი უნდა იყოს **ხუად-**აგ სიტყვაში. იმერული **ხვად-**აგ-ი სვანურიდან არის შეთვისებული, რაზეც ფუძის -**აგ** სუფიქსით გაფორმებაც მიუთითებს.

ს.-ქართვ. \***ხუად-** „რქიანი საქონელი; მამალი ცხოველი“

იჩქ. **ვადელ** || **ვალ** || **ვალ** ← \***ვად-**ალ „ჭაკი; მდებარი“, ინგ. **ვალ** „ჭაკი“, **ვალ-**საგ „დედაკაცი“, ბაცბ. **ვად-**ალ „ფაშატი, ჭაკი“; ნახურ ენათგან ბაცბური უძველეს ვითარებას გვიჩვენებს, შდრ. ს.-ნახ. \***ვად-**ალ- „მდებარი“, ქართ. (← ს.-ნახ.) **ვრდალ-**ი || ← **ვდალ-**ი. *მდებარის* გაგება ნახურში და *მამრისა* ქართულში მეორეული ჩანს, მნიშვნელობის დავიწროვების შედეგი. ამოსავალი, ეტიმონური შინაარსი *საზოგადოდ საქონლისა* უნდა ყოფილიყო, შდრ. დიდ. **ხედ-**ი-, ხვარშ. **ხუდ-**ე, ჰინ. **ხოლდ-**ო „მამალი/მამრი; ქმარი“...

ს.-ნახ. \***ვად-**ალ- „დედალი, მდებარი; ჭაკი“.

## ხვალ-/ხვალ-ე

ქართ. **ხუალ-**, **ხუალ** || **ხვალ** „ხვალ“, **ხუალ-**ე || **ხვალ-**ე, და-**ხვალ-**ი-ე-ა (საბა), ზან. **ხოლ-**, **ხოლ-**ო „კიდევ“, „კვლავ“, სვან. მგ-**ხარ** || მგ-**ხარ** „ხვალ; ხვალე“, მგ-**ხარ-**ე-ჩხენ „ზეგ“; სვანურში წარმოდგენილია დე-

ლაბიალიზებული სახეობები: მგ-**ხარ** ←\*მგ-**ხუალ**, რაც ანლაუტური **მ** ბაგისმიერის დისიმილაციურ ზეგავლენას მიეწერება. სემანტიკური მიმართება **ხვალ**-(ე) ~ *კიდევ/კვლავ* ბუნებრივი ჩანს; იხ. სათანადო ნახური მონაცემები აქვე [ჩუხ. 2000-2003: 394].

ს.-ქართვ. \***ხუალ**-(ე) „ხვალ, კიდევ, შემდგომ“

იჩქ. **ჰან**- „ხვალ“, **ჰან**-მე „ხვალე“, **ჰან**-ურ „შემდგომ, მოგვიანებით“;

**ჰინ**- „კიდევ“, ინგ. **ჰოან**- „ხვალ“, **ჰოან**-ა „ხვალე“, **ჰე** „კიდევ“, ბაცბ. **ჰან** „ხვალ“, **ჰან**-ო „ხვალე“, **ჰინ** „კიდევ“; საერთონახურში აღვადგენთ **ჰან**- ~ **ჰინ**- აბლაუტურ დუბლეტებს, რომელიც კანონზომიერი შესატყვისია ს.-ქართვ. \***ხუალ**-(ე) არქეტიპისა, შდრ. ს.-ქართვ. **ხ** : ს.-ნახ. **ჰ** (§ 36), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **ნ** (§ 13.6). ძირეული ა-ს სიგრძე იჩქერიულში შესაძლებელია ისტორიული **ჰუ** კომპლექსის დელაბიალიზაციის შედეგი იყოს.

ს.-ნახ. \***ჰ(უ)ან**-(ო) „ხვალ, ხვალე“.

### ხვედ-ა

ქართ. **ჰუ**-ედ-ა-, **ხვე**-დ-ა „ხის ურო“, ძვ. ქართ. **ჰუ**-ედ-ა-დ „ურო“, მთიულ. **ჰუ**-ედ-ა „ტყავის დასაზელი ხე“, შდრ. **ჰუ**-ერ-**ჰუ**-ეტ-ო „პატარა ჰუედა“ (საბა); სხვა ქართველურ დიალექტებში შესაბამისი ფუძეები არ ჩანს. **ჰუ**-ედ-ა/**ჰუ**-ერ-**ჰუ**-ეტ-ო (რედუბლ.) სიტყვათა შედარებითი ანალიზისას ირკვევა, რომ აქ ძირად **ჰუ**- სემენტი გამოიყოფა.

ს.-ქართვ. \***ჰუ**-ედ-ა „ხის ურო; ტყავის დასაზელი ხე“

იჩქ. (ქისტ.) **ჰიმ**, ითუმე. **ჰომ**-ა „ტყავის საფხეკი“, ინგ. **ჰემ**-მ

„ტყავის საზელი ხელსაწყო“, ბაცბ. **ჰემ**-ო. სათანადო ბაცბური ფუძე დაკარგულია. ის აღდგება სხვა ნახურ ენათა ჩვენების ნიადაგზე. ს.-ნახ.

\***ჰემ**-ო : ს.-ქართვ. **ჰუ**-ედ-ა- შეპირისპირებაში გამოვლინდება **მ** : **ჰ** ოპოზიცია, რაც კანონზომიერია, იხ. აქვე, § 15.5. ქართული (ხევსურულში) **ჰიმურ**-ი, **ჰიმუნ**-ი „ტყავის მოსაქნელი ხელსაწყო“ ნახური ენებიდან არის შეთვისებული.

ს.-ნახ. \***ჰემ**-ო- „ტყავის საზელი ხელსაწყო“.

### ხვედ-რ-ა

ქართ. **ხუედ**-, მი-**ხვედ**-რ-ა, მი-ვ-**ხვდ**-ი, შე-**ხვედ**-რ-ა, შე-ვ-**ხვდ**-ი, ძვ. ქართ. მ-**ხუედ**-ა, ხ-**ხუედ**-ა, **ხუედ**-რ-ი, ზან. **ხვად**-, ქომო-**ხვად**-უ „შე-ხვდა“, ქიმე-**ხვად**-უ „მიხვდა“, მე-ბ-**ხვად**-ი „მივხვდი“, სვან. **ხუიდ**-, ლა-ხ-**ხუიდ** „შეხვდა“, ლო-ხ-**ხუიდ** „შეხვდი“; ქართველურ დიალექტებში ხელშესახებია (ძირითადად) ორი მნიშვნელობა: *შეხვედრა*, *მიხვედრა* [იხ. ჩიქ. 1938: 424; კლიმ. 1964: 258; ფენ.სარჯ. 2000: 697].

ს.-ქართვ. \***ხუედ**- „მიხვედრა, შეხვედრა“

იჩქ. **ჰეთ**- || **ჰეთ**- „მოხვედრა, მიხვედრა, გაგება, შეთვისება“, **ჰეთ**-ამ „შეგნება, გონიერება“, **ჰეთ**-ამ-მუნ-იგ „მიხვედრი, მისახვედრი“, ინგ. **ჰეთ**- "id", **ჰეთ**-ამ-მე „მიხვედრი, მისახვედრი“, ბაცბ. **ჰეთ**- „ცოდნა, მიხვედ-

რა“, **კეთ**-ინ-ი „მიმხვედრი, მცოდნე“, **კეთ**-ლადნი „მისახვედრი“; ორივე ჯგუფის ენებში ძირითადია *მიხვედრა/მოხვედრა*-ის მნიშვნელობები, რასაც იმავედროულად მხარს უმაგრებს სტრუქტურულ-ფონეტიკური ერთიანობა.

ს.-ნახ. \***კეთ**- „მიხვედრა, მოხვედრა, შეთვისება, ცოდნა“.

### ხვევა

ქართ. **ხუე**-, ა-**ხვე**-ს, ე-**ხვე**-ა, მო-ჰ-**ხე**-ი-ა, **ხვე**-ა, ძვ. ქართ. მო-**ხუე**-ა, სა-**ხუე**-ელ-ი, შე-ხ-**ხუე**-ი-ა, მო-ი-**ხუე**-ე; ზან. (ლაზ.) **ხე**-**ხუ**-, ქო-დო-**ხე**-ი „დამარხე“, დო-ბ-ო-**ხე**-ამ „ემარხავ“, დო-**ხე**-ეს „ჩაფლეს“, ქო-დო-**ხუ** „დამარხა“, მეგრ. **ხე**-**ხუ**-, გო-**ხუ**-აფ-ა „გახვევა“, [ქუ]-გუ-**ხე**-ე „მოჰხვეი“, გო-**ხუ**-აფ-ილ-ი „გახვეული“; „შემოყრილი“; სვანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი. მეგრული ქიმშა-ა-ხ-უ ფორმა, რომელსაც არნ. ჩიქობავა უთითებდა, სხვა და-ა-**მხე**-ე || და-ა-**მე**-ე ზმნას უკავშირდება [იხ. ჩიქ. 1938: 423].

ს.-ქართვ. \***ხუე**- „გახვევა, მოხვევა“

ჩიქ. დ-უხ- ← დ-უ-უხ-, დ-უხ-ა<sup>5</sup> || დ-უხ-არ „ჩაცმა“, ინგ. დ-უ-უხ-ა<sup>5</sup> || დ-უ-უხ-არ "id", ბაცბ. დ-უ-ფხ-/დ-ო-ფხ-არ „ჩაცმა“, დ-ო-ფხ- დ-იფნო „ჩაცმული“; ნახურ ენებში წარმოდგენილი ზმნური ფუძე დღესაც განარჩევს გრამატიკულ კლასებს, ქართველურ დიალექტებში \***ხუე**- ძირი უკლასნიშნა. საერთონახურში აღდგება \*დ-**V-ხუე**- ზმნა *ჩაცმის* მნიშვნელობით, რომელსაც ს.-ქართვ. \***ხუე**- „გახვევა“ ფორმა ენათესავება. *ჩაცმა* ~ *გახვევა* ბუნებრივი სემანტიკური მიმართებაა.

ს.-ნახ. \***ხუე**-, \*დ-**V-ხუე**- „ჩაცმა; ჩასაცმელი“.

### ხველა

ქართ. **ხუელ**-, **ხუელ**-ა-დ, **ხველ**-ა, ი-**ხუელ**-დ-ა, ზან. **ხვალ**- ←\***ხუალ**-, ო-**ხვალ**-უ „ხველება“, ფირტ-**ხვალ**-ი „ჰლექი“, სვან. **ხუე** || **ხუე** „ხველა“; საყურადღებოა ლ → უ ფონეტიკური გარდაქმნა სვანურში [იხ. ჩიქ. 1938: 424].

ს.-ქართვ. \***ხუელ**- „ხველა, ხველება“

ჩიქ. ვაჰა || ვაჰა „ცხოველთა ხველება“, ინგ. ვაჰა "id", ბაცბ. [ვაჰა]; ბაცბურში სათანადო ძირი დაკარგული ჩანს. ნახურ ენებში ტიპოლოგიურად სვანურის მსგავსი ლ → ჰ პროცესი შეინიშნება; შდრ. ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ა (§ 6.2).

ს.-ნახ. \***ვაჰა**- ←\***ვალ**- „ხველა, ხველება (ცხოველთა)“.

### ხვეტა

ქართ. **ხუეტ**-, **ხვეტ**-ა „გლეჯა“, ძვ. ქართ. **ხუეტ**-ს, **ხუეტ**-ილ-ი, ზან. **ხვატ**- „კენეტა, ღრღნა“, **ხვატ**-არ-ი „მკენეტელი“, სვან. **ხუეტ**- / **ხუტ**-, ლი-**ხუეტ**-ე → || ლი-**ხუტ**-ე „მოჭრა, მოსპობა“ [იხ. ჩიქ. 1938: 425-426;

შმიდ. 1962: 158].

ს.-ქართვ. \***ხუეტ**- „გლეჯა; მოჭრა“

იჩქ. **ხად**-, ღჷა-**ხად**-უო „მოჭრა“, ინგ. **ხოდ**- **ხოდ**-ან-დე "id",  
ბაცბ. **ხეტ**-, **ხეტ**-<sup>5</sup> || **ხეტ**-არ „გაწყდომა“, **ხეტ**-დარ „გაწყვეტა“; სტრუქ-  
ტურულად ფუძეენურ ვითარებასთან ბაცბური უფრო ახლოსაა, ხოლო  
რა განმოვანება ინგუშურში ალბათ **ხ** ფრიკატივის ისტორიული ლაბია-  
ლიზაციის კვალზე მეტყველებს.

ს.-ნახ. \***ხ(უ)ეტ**- „გაწყვეტა, მოჭრა“.

### ხვეტ-ია

ქართ. **ხვეტ**-ა, სა-**ხვეტ**-ი, მა-**ხვეტ**-ი, მ-**ხვეტ**-ელ-ი, **ხვეტ**-ია, **ხვიტ**-ი,  
ძვ. ქართ. **ხუეტ**-ილ-ი „გაწმენდილი, გამოგვილი“, **ხუეტ**-ა-ფ, ზან. (ლაზ.)  
ო-**ხვეტ**-უ „ხვეტა“, მეგრ. **ხვატ**-აფ-ი „ხვეტა, ფხეკა“; საერთოქართველუ-  
რი ფუძე-ენისთვის აღსადგენია **ხუეტ**-/\***ხუიტ**- აბლაუტური ზმნა, რომ-  
ლის სვანური შესატყვისიც ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. \***ხუეტ**-/\***ხუიტ**- „ხვეტა; სახვეტი“

იჩქ. **ჰაჲლ** ←\***ჰაჲტ** „გამოსახვეტი ნიჩაბი“, ინგ. **ჰაჲლ** ←\***ჰაჲტ**  
"id", ბაცბ. **ჰეტ** „ნიჩაბი, ჩეკი“, "кошера"; საერთონახური \***ჰეტ**- სახელი  
უცვლელად არის ბაცბურში შემონახული. არაანლაუტური **ტ** → **ღ** დეგ-  
ლოტალიზაცია-გამჟღერების პროცესი დამახასიათებელია ვაინახური ენების-  
თვის. აღწერილ ფუძეთა ფორმობრივ იგივეობას მხარს უჭერს ს.-ქართვ. **ხ** :  
ს.-ნახ. **ჰ** (§ 36) ბგერათშესატყვისობაც.

ს.-ნახ. \***ჰეტ**- „გამოსახვეტი ნიჩაბი“.

### «ხუიბ-»

ქართ. «**ხუიბ**-», ზან. **ხუბ**-, შდრ. **ხუბ**-უ-ა (ანთროპ.), სვან. **ხუიბ**-ი  
„ძმა“, მუ-**ხუბ**-ე „ძმა (ძმისთვის)“, მრ. რ. ლა-**ხუბ**-ა „ძმები“; საერთოქარ-  
თველური ენობრივი ერთობისათვის აღვადგენთ \***ხუიბ**- არქეტიპს, რო-  
მელსაც ბარალელები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში,  
შდრ.: აფხ. ა-**მაჰაჲ**, აბაზ. **მჰაჲგ**, უბიხ. **მგხგ**., უღ. **მუჰუ** „სიძე“.

ს.-ქართვ. \***ხუიბ**- „ძმა ძმისთვის“

იჩქ. **მან**-ჩა || **მან**-ჩი || **მან**-ჩი „გარე ბიძაშვილი“, "троюродный брат",  
ინგ. **მონ**-ჩან "id", ბაცბ. «**მან**-ჩე»; საერთონახურ ძირად გამოიყოფა **მან**-  
ფორმა. ს.-ნახ. \***მან**- : ს.-ქართვ. \***ხუიბ**- ე. წ. შებრუნებული წყობის  
ალომორფებია, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3),  
ს.-ქართვ. **ბ** : ს.-ნახ. **მ** (§ 23.6). ძმის ვაგება ერთნაირად ახასიათებს  
ნახურ-ქართველურ ძირებს.

ს.-ნახ. \***მან**- ←\***მანჲ**- „გარე ძმა/ბიძაშვილი“.

## ხვის-ნ-ა

ქართ. **ხუის-**, **ხვის-ნ-ა** „მოწმენდა, მოსმა, დაგვა“, ზან. (მეგრ.) **ხუშ-**, **ხუშ-უ-ა** „დაგვა, გაცოცხვა; ცოცხის მოსმა“, **ო-ხუშ-ალ-ი** „გასაცოცხნი, დასაგველი“, **ფ-ხუშ-უნ-ქ** „გვეი“, **გეგ-მო-ბ-ხუშ-ი** „გამოვცოცხე“, **მა-ხუშ-ალ-ი** „დამგველი, გამცოცხავი“; სვანური შესატყვისი გამოვლენილი არ არის [აბაშ. 1997: 5-6; ფენ.-სარჯ. 2000: 705].

ს.-ქართვ. \***ხუის-** „მოსმა, დაგვა/გაცოცხვა“

იჩქ. **ვაჟს-**, **ვაჟს-ა<sup>ნ</sup>** „ფხანა; მოსმა“, ინგ. **ვოჟს-**, **ვოჟს-არ** "id", ბაცბ. **ვაფს-** „სრ. ასპ. ფხანა“, **ვეფს-** „უსრ. ასპ. "id", **ვეფს-ით-არ** „მოფხანინება“, **ვაფს-რ** „იფხანს“; საერთონახური \***ვჟას-** „ფხანა“ კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \***ხუის-** არქეტიპს, შდრ. ს.-ქართვ. **ხ** : ს.-ნახ. **ვ** (§ 36), ს.-ქართვ. **ი** : ს.-ნახ. **ა** (§ 7.3). დასახელებულ ნახურ-ქართველურ არქეტიპებს სემანტიკურ-სტრუქტურული იგივეობა ახასიათებს. **ჟ-ს** მეტათეზისი განხორციელდა ნახურ დიალექტებში; ის გვიანდელი პროცესი ჩანს, შდრ. ბაცბ. სტიჟრ ← ქართ. სტივირ-ი...

ს.-ნახ. \***ვჟას-** „ფხანა; მოსმა (ხელის)“.

## ხვლ-იკ-ი

ქართ. **ხულ-**, **მ-ხვლ-ივ-ი**, ძვ. ქართ. **მ-ხულ-ივ-ი**, ახ. ქართ. **ხვლ-იკ-ი** ← \***ხულ-იკ-ი**, ზან. (მეგრ.) **ხვილ-არ-ი** || **ხოლ-არ-ი** || **ხველ-არ-ი** „ხვლიკი“, ლაზ. **მ-ხოლ-ურ-ა** || **ხოლ-ურ-ა** || **ფ-ხოლ-ურ-ე** ← **მ-ხოლ-ურ-ე** "id", სვან. **ფ-ხვლ** ← \***მ-ხულ** „გველის წიწილა“; „ხვლიკი“ [იხ. შმიდ. 1962: 125; კლიმ. 1964: 144; ჩუხ. 2000-2003: 247]. ამოსავალი სახეობაა **მ-ხულ-** ძირი; თავკიდური **მ-** → || **ფ-** გამოიყოფა ქართველურ ენებში. საინტერესოა **უ** → **ო** ზანურში და **უ** → **გ** სვანურში.

ს.-ქართვ. \***მ-ხულ-** „ხვლიკი“

იჩქ. **ფჰაიდ** „ბაყაყი“, ინგ. **ფჰაიდ** "id", ბაცბ. **ფჰაიტ** „ბაყაყი“, **ფჰაიტ-არ** ლელარ „ბაყაყურად სიარული“, შდრ. **ფჰაიტ-ი-დაჟჟუ** „ყარყატი“ (ეტ. ბაყაყიჭამია); საერთონახურისთვის აღსადგენია \***ფჰაიდ-** არქეტიპი, რომელიც \***ჰაჟიდ-** წინარეფორმიდან მომდინარეობს. ლაბიალიზებულ კომპლექსთა სუპერაციის ერთ-ერთი სახეობაა **ჟ** ელემენტის ანლაუტში გადასმა და მომდევნო თანხმოვნის რაგვარობიდან გამომდინარე **ჟ** → **ბ** → || **ფ** პროცესი. ბუნებრივია ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ხ** : ს.-ნახ. **ჰ** (§ 40.1), ს.-ქართვ. **ლ** : ს.-ნახ. **დ** (§ 13.7). ადვილად აიხსნება **ხვლიკი** ~ **ბაყაყი** სემანტიკური მიმართებაც.

ს.-ნახ. \***ფჰაიდ-** ← \***ჰაჟიდ-** „ბაყაყი“.

## ხილ-ი

ქართ. **ვიდ-**, **ხილ-**, ძვ. ქართ. **ვიდ-**, მ-ე-**ვიდ-**ებ-ა, შდრ. გურ. **შე-ხილ-**ებ-ა, ზან. (ლაზ.) **ხინჯ-**ი „ხიდი“, ქვა-შ-**ხინჯ-**ი (ტობ.), მეგრ. **ხინჯ-**ი "id", ჭუბურ-**ხინჯ-**ი, ოგურ-**ხინჯ-**ი, ბული-**ხინჯ-**ი, თხუმ-**ხინჯ-**ი ადგილის სახელებია სამეგრელოში; სვანურში ეს ფუძე თითქოს არ ჩანს (შდრ. მაჭ. 1965: 21). საერთოქართველურ არქეტიპად სამართლიანად აღადგენენ **\*ვილ-** წინარეფორმას [ჩიქ. 1938: 185-186; მაჭ. 1965: 21; ფენ.-სარჯ. 2000: 717].

ს.-ქართვ. **\*ვილ-** „ხიდი“

იჩქ. **ჰაჲლ-**ა (ახ. **ჰაჲლ-**ა, ჭებ. **ჰაჲლ-**ა) „ბაგა, ახორი“, ინგ. **ჰაჲლ**

